ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

XIV
ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

UDC (უაკ) 908(479.22)
ა-659



იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 აკადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების განგრენით. 1986-1987 წლებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები. 1987-1990 წლებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი. 1990-1992 წლებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში. 1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი: 9 წელიწადი და 3 თვე; სულ 111 თვე, ანუ 476 კვირა, ანუ 3333 დღე.

ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასხმა მოეწყო:

1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა. მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.
   15-მდე ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო
   6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში. 1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ.

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია, 2024

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-33-893-9

ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის იდეის ავტორია გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი არის ჯუმბერ ლეჟავა. აკადემია მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს მუშაობას. გამოდის ჟურნალი „ათინათი“ კვარტალში ერთხელ და „ანთოლოგია“ წელიწადში ერთხელ. ბატონი ჯუმბერის დაბადების 80 წლის იუბილეს მიეძღვნა „ანთოლოგიის“ სპეციალური ტომი, სადაც შესულია ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ და მოაგონებები ბატონ ჯუმბერიზე.

გარდაიცვალა 2014 წლის 25 ივლისს. ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე დადებული ფიცი შევასრულოთ და ვიშრომოთ მის უკვდავსაყოფად.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია

INTERNATIONAL SCIENTIFIC ACADEMY OF JUMBER LEZHAVA

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
Gulnaz Kharaishvili (tsiskareli)

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი
Mzia Kvirikashvili Lawrence

OATH OF ACADEMY MEMBERS

How many verses have we written for you,
But no sufficient words for your value,
We love your descendant, caress your breed,
But is it enough to praise your deeds?

For the immortality of your great name,
We can devote you our last breath,
We won't give up, won't miss a moment,
We'll continue to fight for your excellence.

From Nikopcia, we'll collect descendants,
And to Darubandi, we orient our steps.
We'll fight until our last breath, as it is,
But we won't remove you from our list.



წმინდა ნიკოლოზი

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



წმინდა ლაზარე

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე. თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი მაშინ, არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს. თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, გარდა ღვთის მგმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...
/ წმ ბერი გაბრიელი /



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

ნუ შეშინდებით,
იმედი ყველაზე დიდი ფარია,
ჯერ საქართველოს სისხლის მსმელს,
არავის გაუხარია.



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი

უცნობი პოეტი

ჩვენი ნაპირი

მთვარის წასვლამდე
მზე ამოსვლას რომ არ ჩქარობდა,
ფეხისწვერებით
მივეპარე აისის ცისფერს,
როგორც წვეთები უსხლტებიან
ქვიშას ოქროსფერს,
ისე დავტოვე ნაპირი
და ზღვას შევეხიზნე.

მთელი არსებით ვგრძნობდი ძალას როგორც არასდროს,
სამყაროს გული მაგნიტივით მეკვროდა მკერდზე,
ზმანების კაბა მოეხვია ზღვას ჩემს სხეულზე,
აღარ მოჩანდნენ ნაპირები ხალხით რომ თვლემდნენ.

მე რომ ვიყავი ჩემი თავის ბატონ-პატრონი
სრულ სიმშვიდეში საკუთარი სუნთქვა მამცნობდა,
მაგრამ გამოჩნდი, იმ ერთადერთს ჩამოწყდი ვარსკვლავს,
აპრილის თვეს შენს დაბადებას რომ დარაჯობდა.

ირგვლივ სამყარო შეტორტმანდა, რეტი დამესხა,
ზღვამ მომასხლიტა თავის კაბა, შენ მომეხვიე,
თითქოს წამები შეგვეყინა, იწყო ნათებამ
ცის კაბადონი მზის სხივებმა მონათლეს ისევ.

და აღარ ჩანდნენ ნაპირები - განაპირები,
მხოლოდ თვალები აკვესებდნენ ნაკვერჩხლებივით,
და ეს თვალები მრავლდებოდნენ და გველოდნენ ორს,
ზღვის ტალღებიდან ერთმანეთს თუ გამოვიხსნიდით.

დაატრიალა ქარიშხალმა მორევი გულში,
გაისმა შორი, ბებერ ღამის მქრქალი ბუტბუტი,-
ეგ არის თქვენთვის, ორივესთვის არსი სიცოცხლის -
ვერ გაარჩიოთ ზღვის წვეთი და მლაშე ცრემლები.

მთვრალ მთვარეულებს დავემსგავსეთ, ტალღებს ჩავყევით,
ხელისგულები ფეთქვას გრძნობდნენ ორივე გულის,
ჩვენგან დაცლილ სანაპიროზე ისე გათენდა,
რომ მერე მთვარე ლოცულობდა სიზმრად ვწვეოდით.

* * *

თუ სამოთხის კარს კლიტედ ადევს ხორცის ტკივილი,
და გასაღებად გამძლე უნდა გამოდგეს ტანჯვა,
ამიტომ ვერ სთხოვ განსაცდელის მალულად ყოფნას,
ყველაფრის დამტევს - ვინც სხეული სულთან ააკრა.

ხანაც აწვალებ გადაყლაპულ სევდის კოლონას,
ვითომ ახველებ, გაჭვარტლული ხორხის კურნებად,
ტირილის ნაცვლად ტუჩის კუთხეს დაამჩნევ ღიმილს,
რადგან არ მოგცეს მძიმე დარდის გლოვის უფლება.

უპირობო სიყვარულიც კი უკვდება პატრონს...
მას ისე მარხავს, როგორც წმინდანს - მიწას ვერ აყრის!
და როცა თავად სარეცელზე ბოლოჯერ წვება,
ხვდება რომ გზა ხსნის და გზა ტანჯვის - ერთ გზაზე გადის.

* * *

შენ პირისახით რომ უმზერ ტაძარს,
მე მის სამრეკლოს ზურგის ქარს ვეკვრი,
ზარი როცა რეკს, მინდა მესმოდეს,
მაგრამ მიარწევს ქარი ტალღებში.

მე შორს მოვჩანვარ, შენ უფრო ახლოს,
ვინ იცის,იქნებ ფრესკებსაც არჩევ...,
იქნებ, იმიტომ დაგჩემდა ლოცვა,
უსახელოს რომ სახელს ვერ მარქმევ...

უპირობო და განაპირები,
ორივემ ვიცით სად განისვენებს,
მაგრამ ლოდინის ჩამოჰკრა გონგმა,
მორჩილად ვდგავართ, ძვრას ვერ ვიჩემებთ.

ლექსებს შენნარის იცი მე არ ვწერ,
რითმი წამით თუ ამოანათებს,
სუსხის მორევში რომ არ დავინთქა,
ეს რითმი მშველის და ამომათრევს.

ნამდვილი ლექსი მახსენებს მზის სხივს,
შენს გამხდარ სახეს ჩრდილავდა მაშინ,
მაგრამ ხმა... ის ხმა, ო ღმერთო ის ხმა,
ახლაც ცრის ტანში! ახლაც ცრის ტანში...

უმანკო ტექსტი ბაგეს გეკვროდა,
და თრთოდა როგორც ქარში ფოთოლი,
შიშისგან არა, მხოლოდ რიდისგან,
თითქოს გისმენდა გალაკტიონი!

ლექსთა მეუფის ქვეყანაში რომ
ახალი სისხლი იწყებდა ჩქეფას,
გულმა სიღრმეში უმალ მაუწყა,
აღარ დაჭირდა ლოდინის ძერწვა.

მას შემდეგ ბევრმა დრომ ისე განვლო,
გადამავიწყდა ის წკრიალა ხმა,
და დილით ზარს რომ რეკდნენ გუმბათზე,
მივხვდი სამყარომ ნიშანი გასცა!

დედისეული

ჯერ არ წასულხარ და უკვე მენატრები,
თითქოს ბავშვობის დრომ განცდა კვლავ
მასესხა,
ადრე თუ მტოვებდი, სწრაფად ბრუნდებოდი,
ახლა ვიცი ეგ დრო არ განმეორდება.

ნაჯაფ ბროლის თითებს ფერი შეეცვალათ,
სიქათქათეც სადღაც მუჭში დაუმალავთ,
თითქოს შვილებს შუბლზე ტკივილი შეუშრეს -
შემოდგომის ყვითელ ფოთლებს ჩამოჰგვანან.

ბევრჯერ ვიფიქრე და პასუხს ვერ მივაგნე,
თუ რა გინათებდა გზის ბნელ მოსახვევებს,
ალბათ მოთმინება, სიბრძნე, სიფაქიზე,
დედობრიობა და შვილური სიმარტოვე.

ისე მიდიხარ, რომ ტოვებ დიდ სიყვარულს,
რითაც ყველას უვსე ცარიელი კალთა,
ალბათ ამიტომაც, მეც კი აღარ მიკვირს,
შენმა სინაზემ რომ წისქვილის ქვა არწყა.

ვიცი ძნელია და ვერწარმოდგენილი,
ვინმემ შეძლოს, სითბო უკლებლივ გიბრუნოს,
ის დიდი სიკეთე და ის თავგანირვა,
რაც გულით აჩუქე მოყვასთ საუკუნოდ.

ჯერ არ წასულხარ და უკვე მენატრები,
შენი ტკივილითაც ძალა მიზიარე,
თუმცა ახლა გიმხელ, ადრე მიეჭვია,
რომ სხვა იდგა ჩემს წინ, შენი გულის კარზე.

მაგრამ ყველა ეჭვი ერთად სადღაც გაქრა,
მნათობ მზეს მეც ვხედავ ლურჯ ცის კაბადონზე,
თურმე ის სხვა შენი ანგელოზია და
შენ მას თან მიჰყვები, მე კი მარტო მტოვებ.

დაბადების სისხამს სახელი შემარქვი,
და ყველაზე ტკბილი დედის ლოცვით მლოცე,
შენ გაიზარდე, მე პირველ შვილად დავრჩი,
დღემდე ჩემზე ფიქრი გულში ჩაიტოვე.

ვაი, რომ ჩვენთვისაც დადგა ჟამი ბოლო,
ბედმა იძულებით გვგვემა განშორების,
დედა გადაირქვი, მონატრებად იქეც,
გთხოვ მეც შემიცვალე, ეს სახელი ჩემი.

თუ დამეკითხები დავირქმევდი სევდას,
ანდაც სიმარტოვეს - ღიად პირდაფჩენილს,
ვიცი რომ გზის ბოლოს ისე მომაკითხავ,
როგორც ბავშვობისას სკოლასთან იდექი.

დედას

შენ, სიკვდილსაც კი ფერადს მოიყვან,
წყვდიადს დაადნობ სითბოს ნამქერით,
დიდხანს ელოდე ცის კარზე ადგილს,
ცისკრის ლოცვისას იცვალე ფერი.

მანამდე იყო ფერისცვალება,
სინანულმა რომ ჩატეხა ცოდვა,
ზეცაში ყოფნა აწონე ტანჯვით,
მარადისობამ დაგისაკუთრა.

როცა მეგონა მზე სისხლისფერი,
მთვარე აღმოჩნდა უძინარ ღამის,
სული ფერხულში ჩააბა ღმერთმა,
ანგელოზების რომ ჰქვია დასი.

შენ სიკვდილსაც რომ ფერადს მოიყვან,
შენმა თვალებმა წასვლისას მითხრეს,
დაუღალავი ეგ შენი გული,
ბოლო წუთებმა დაიმორჩილეს.

ღიმილი კვდება ჯერ, მერე კაცი
იკვალავს ადგილს - ბოლო სამყოფელს,
და მოთმინებით მოელის ცაში,
სხეულს გამოცრილ სულის ნაკუწებს.

და მე მჯერა, რომ შენ სამოთხეში
იშვი პირველად ათას წლებს წინათ,
რადგან სიყვარულს, ტანჯვის მოთმენას
ვერ გასწავლიდა მიწა და ქვიშა.

და სული შენი ზეცას უბრუნე,
უწონადობა ნაგემი განცდით,
სხეული დაგრჩა მიწის ქვეშეთში,
ერთ დროს უზომოდ ლამაზი სახის.

და შენ სიკვდილსაც ფერადს მოიყვან,
რადგან თავად მას უცვალე ფერი,
დამიყვავე და ფრთხილად მითხარი,
- ტალღამ არ ჟანგოს ანკესი შენი.

ცხოვრება რომ მაინც, მაინც გრძელდება,
უნდა ვეჭიდო მოლიპულ ბილიკს,
სხვისი ყვავილი მე არ მოვწყვიტო,
არც სხვას ვაჩუქო ორპირს და პირძვირს.

იმ ცისარტყელის ფერები წმინდა,
ბოლო დილას რომ გამოანათა,
აღარ მეგონა წვიმის პერანგი,
კლიტე ყოფილა სამოთხის კართან.

და შენ ფერებში შესცურე ფრთებით,
რაც დაგახვედრეს ზეცისკენ აჭრილს,
იქ რომ დატოვე დაბრუნებამდე,
როცა მიწაზე დაგიშვეს ტანჯვის.

როგორ ვამძიმო ცრემლების მარცვლით,
ფრთებით შეკრული ნაზი კამარა,
მოვიკრებ ძალებს და შეხვედრამდე,
მხოლოდ ხატებთან ამოვთქვამ ვარამს.

ვიცი სიკვდილსაც ფერადს მოიყვან,
რომ არ გავექცე უჩინარ დარდებს,
და ყველა წვიმის გადაღებისას,
ცისარტყელების ფერები გამხელს.

მოსაზღვრე ხაზთან

რა ვთქვა, გულმა ჩამიკეტა სიტყვა შენამდე, - ვერაფერს ვამბობ.
რა ვქნა, ცხადშიც დამემდურნენ სიზმრის წვიმები, - ფიქრებს ვერ ვაშრობ.
რად გწერ, შენთვის მოძღვნილი თუ იქცევა ნამწვად,- დავამწყვდევ აზრებს...
...
შენ სხვა სიღრმის ხარ, მე სხვა მწვერვალის, - ასეა ახლა!

გვიან მივხვდი, რომ წაგეგცნენ თურმე სიტყვები, - ვუსმენ სიჩუმეს,
ცხადში ნაფიქრი ყოველ ღამით მაწვიმს თავსხმად და მილპობს სიზმრებს,
რომ ისევ ცხადში შენს ბოლო დღეს გავუცვალო ჩემი სიცოცხლე...
....
მე სხვა სიღრმის ვარ, შენ სხვა მწვერვალის - ასეა, ისევ!

შენ მასწავლე გადამალვა ტკივილის ძაფის - ვკემსავ უკუღმა,
დაფლეთილ გრძნობას მონატრების ნემსებს ვუყრი, თითებს ვიწყლულებ,
ნაგავსაყრელზე მოსროლილიც ფეთქავს გული - შენგან მალულად...
....
შენ სხვა სიღრმის ხარ, მე სხვა მწვერვალის, - მაინც მიპოვნე!

წაღმა თქმულმა ვერ ააგო შენამდე ხიდი, - ჟანგა მორევმა,
ფიანდაზად ფეხქვეშ გაგებულ ცოდვას მადლმა წამოჰკრა ფეხი,
არ მეპატია სამერცხლურიდან უნებართვიდ შენ რომ გიმზირე...
...
მე სხვა სიღრმის ვარ, შენ სხვა მწვერვალის - შენ მაპატიე!

ერთხელ მართლა მოგიკვდები, ცრემლებს დამალავ, - შეძლებ ადვილად,
რადგანაც მახსოვს თვალებს უკან გადამცდარი შენი ქვითინი,
როცა ტკივილი საკუთარ ტანს გადააძრე - ჩემსას ახვიე...
...
შენ სხვა სიღრმის ხარ, მე სხვა მწვერვალის - მე გაპატიე!

ყურთან მიწუის ეშმა სასწორს როგორ კაწრავს თავისი კლანჭით,
იქვე დავძრწივარ, მსურს ჩემს საფლავს თუნდ შორიდან თვალი შევავლო,
მაგრამ ვბრამდები, - რომ ვერ ვნახო როგორ წონეს ცოდვა და მადლი...
...
მე სხვა სიღრმის ვარ, შენ სხვა მწვერვალის - ასე აგვწონეს!

ამდენ ტკივილს ვერ შევაცოდებ საკუთარ თავს - არ ვენახები,
შენც თავს აჯერებ ბატონები შეყრიანო ტანჯვის სანაცვლოდ,

რომ არ დაიხრჩო სიმტკნარეში, - მთხოვ, - მე წავიდე!
მე წავიდე...
მე წავიდე და მარილი მე მოგიტანო...
...
და მე მივდივარ ...
და ღრუბლებში ქრება სიღრმე,
ქრება მწვერვალიც...

* * *

ჩვენს სამყაროში შემოვედი ანბანის წყობით,
ზეცა შორიდან მკარნახობდა ზუსტ სიმეტრიას,
სტროფებნაკლული კრიალოსნის აწყობით თურმე,
ტკივილის თმენის გამივლია რეპეტიცია.

სულის საყდარი იქსოვება სიტყვების ძერწვით,
სამართლისა და მოწყალების ნაზავის ზღვარზე,
იქ დავიბადე ბავშვობისას ფერისცვალებით,
და ჩემს სავალ გზას მხოლოდ ერთი - ღმერთი
განაგებს!

შენ მიატოვე კუპლეტების სქელი პალიტრა,
მე დავასრულე ჩემი კალმით, ვერ დაგეკითხე...
ჰოე ყოფილა რაც საწყისად მეგონა ანი,
აპრილი იქცა იმ ათწლედის ბოლო სამიზნედ.

სიმღერის აკორდს ააწყობენ შენი სტროფები,
ჩემი - მძიმეა, ვერ იგუებს ბგერების ეჟვანს,
ერთად აკინძე, როცა წერე ძველიც, ახალიც,
მეც რასაც დავწერ მომავალში სანთლად
ენთება.

* * *

ჰო, მე ვერ შევთხზავ უბრალოდ რითმებს,
ნაწერს იფარებს ჩემივე ჩრდილი,
არ იჩქარებენ სამზეოს ყოფნას,
არ აქვთ სურვილი ტაშის და კიცხვის.

ჰო, ეს კალამი თავისთვის ცხოვრობს,
ტექსტებით ხატავს ცხოვრების ანფასს,
საწუთრო მაინც ჩემთან უთქმელად,
დროს ისე ჩაწვავს, ვით ბოლო ნაფაზს.

ჰო, მე ვერ დავწერ ისეთს ვერაფერს,
რაც არ უხილავთ თეთრ ფურცლებს უწინ,
მაგრამ გულიდან ფილტრის გარეშე,
ამოთქმულს იცნობს ნამდვილი გონი.

ჰო და ჩემს სულსაც ის უხარია,
თუ იცნობს მხოლოდ რამოდენიმე,
რადგანაც ხალხი ისე ჰგავს ერთურთს,
ვით მუნჯი ქვები სანაპიროზე.

ჰო, მე გავრიყავ ჩემგან იმ სულებს,
ვინც არც ეცადა მე შევეცანი,
თუმცა იციან სად ინახება,
იმ სინამდვილის სუფთა დედანი.

ჰო, მე მასწავლეს, პატიება რომ
დიდ სათნოების კვარცხლბეკზე ცხოვრობს,
და თავად სათნო გული ობოლი,
ფერისცვალების მწვერვალზე მყოფობს.

ჰო და ნუ იტყვი - ფერი ვიცვალე,
თუ გულის პერანგს დატოვებ უცვლელს,
თუ გული ტკეპნის ჭუჭყში ამოსვრილ -
შენსავე ფიქრებს და ნაფეხურებს.

ჰო, ეს ცხოვრება, ეს საოცრება,
სცენარს აცოცხლებს სპექტაკლის ველზე,
ვინც რეჟისორში უფალს ვერ ხედავს,
ფერისცვალებას ნუ დაიჩემებს!

ლოდინის რექვიემი

გალღვება რითმი გულს მიყინული,
და შენ ფიქრებად დაგეწვეთება,
შეგეშინდება იმ სინამდვილის,
თავს რომ გადაგხდა, თან ვერ ითქმება.

ტკივილმა შობა ის მონატრება,
რითიც ირწმუნე სრულად მყოფობა-
როცა ეცადე გაფერმკრთალება, -
ვერ მოერიე მის მზეგრძელობას.

ისწავლე ლოცვა, თუნდაც იცოდი,
მას მონათლავდნენ როგორც კადნიერს,
ღმერთმა ამიტომ მოხედა შენს სულს,
გულს შეგიდედდა ტკივილის სიღრმე.

თავად ვერ უმზერ საკუთარ სხეულს,
თვალები დაგრჩნენ მარტოდენ შენი,
სხეული სრისა იმ სევდამ უკვე,
მონატრებას რომ შლეიფად ეკვრის.

ლოცვის სიტყვების კრიალოსანი
საწყისად თურმე ჰგვანან მქრქალ სხივებს,
ცამდე ასვლას მათ ის ხმა ასწავლით,
ტკივილისას რომ სული ასხივებს.

ღრუბლებში ელვად კრთებიან ეულ,
დიდხანს არ ქრება მათი ციალი,
სანამ ცას გული არ დაეწვება
გაკირულ ცრემლებს წვიმად არ დაღვრის.

მერე ეს წვიმა შენს თვალებს აწვიმს,
უძინართ, მაგრამ სიზმარნახულებს,
გაჯიუტებულ წამწამებს დახრის,
როგორც ზამბახებს ზამთარმარხულებს.

და ეს წვეთები სხეულს გასრესილს,
დამსხვრეულ თიხის ნამქერად რომ შლის,
მზერა გამოკრულ წყვილ ქუთუთოებს,
ძალდატანებით მაინც ვერ ჯობნის.

ასე დაფერავს ტკივილის გორა,
თვალის უპეებს იისფერ ლაქად,
ტკივილმა იცის ცაში ასვლისთვის,
უკანასკნელად რომ ეს გზა დარჩა.

და რომ თვალების დახუჭვა მისთვის,
ბორკილის ახსნის საპირწონეა
და დემონისგან მიწოდებულ თასს,
ბანგით პირსავსეს ხარბად გახედავს.

მერეღა იგრძნობს, რომ ტკივილს თურმე,
თვით მონატრება სტკიოდა შენი,
ვისაც სხეული გასრესილო გაქვს,
მხოლოდ თვალები შემოგრჩნენ ძველნი.

თავისუფლებით მთვრალი ტკივილი,
განგეშორება შენ უარსებოს
თვალები შენი რჩებიან ღია,
იქნებ და სხვისმა დარდებმა კემსოს.

რომ სხვის ტკივილმა ისე იკივლოს,
წაიკრას თავშლად ღრუბლები ზეცამ,
მზის ნაფერებმა ვეღარ გაუძლოს
უეცრად წასკდეს წვიმა ცრემლებად.

იქნებ სხვის დარდზე მოსულმა თქეშმა,
დაალბოს მძიმე ქუთუთოები,
მაგრმ სულ უფრო ცოტას თუ სტკივა,
ცას გაშორებულ მიწისშორეთში.

ამიტომ დარჩნენ ჩემი ნატრული,
შენი თვალები უძიროდ ღია,
გვალვით დაორთქლილ ხოდაბუნებში,
სიყვარულიც კი პირქვე მარხია.

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

...
წყალში ჩაიფშვნა მთვარის შუქები.
შენი ადგილი ზეცის ფიქრშია.
მომავალს შენ არ გადაუქრები, -
ფლობ, აზროვნებას, რთულს და იშვიათს...
მიტომ გააკრეს, ჯვარზე, უფალი,
რომ ყველა წყვდიადს აზრის შიში აქვს...
გოლგოთა არის გარდაუვალი,
მაგრამ აღდგომა სტროფთა ფიქრშია...

...
ნისლია მთაზე.
სიზმრისფერი ნისლია მთაზე,
როგორც ტაძარი სიზმრისფერი.
ნელა ღამდება.
სილამაზე, დაისის სევდის,
ავსებს სივრცეებს.
ჩამავალი მზით აივსება,
აინთება ნისლის ტაძარი...
სიზმრისფერი ნისლია მთაზე...

მდინარისპირა ბაღში...

ფოთლების იქით
მზე ისე ჩანს,
როგორც გული მანათობელი.
მზის ჩასვლის დროს
მოგონებებით სავსეა ზეცა...

სამყაროული...

ბევრი პრობლემისგან დაღლილი,
ავდივარ მთაწმინდაზე.
გადმოვყურებ, ზევიდან,
მთავარქალაქს, -
ქალაქ-სამყაროს...
მოვიდა ფიქრთა ფოთოლცვენა
შემოდგომისას...
პოეტი და ფიქრი...
ხშირად მიფიქრია
ღმერთის შესახებ,
რუსთველის შესახებ,
ზღვარის შესახებ,
საერთოდ, -
ყველასა და
ყველაფრის შესახებ.
უსაზღვროა ფიქრთა სამყარო...
გადის საათები.
ვივსები ახალი ენერგიით.
მოდის დაისი
(მზისჩასვლისფერი დრო),
თუმც მე არ ვჩქარობ
სახლში დაბრუნებას...
მე, წმინდა მთიდან,
დაისით სავსე სივრცეს გავცქერი...

უსაზღვრო

შენ ეს ქალაქი არ ხარ,
რადგან არა ცნობ საზღვრებს.
მუზად ქცეულხარ ახლა,
ჩემს წარმოსახვას ავსებ.
    თვით ოკეანეც არ ხარ,
    რადგან მსურს უფრო მეტი.
    შენში ვგრძნობ რაღაც ახალს.
    (სივრცე სავსეა ღმერთით)...
მსურს შენს მზერასთან ომი.
მსურს ჩემს სტროფებში იწვე.
შენ ხარ გოლგოთა გრძნობის,
გრძნობა კი არის ქრისტე...
    ნეტა როგორ არ იწვი,
    ვნებათა მზეებს უძლებ...
    (არ მიფიქრია სიძვა,
    სიტყვით გეხები გულზე)...
იქნებ რა განცდებს ებრძვი,
სულს შანთავს ცეცხლის რვალი...
მე შევიცანი, შენში,
აბსოლუტური ქალი...
    ჩვენ სიტყვებს უნდა ვენდოთ,
    ვენდოთ მითოსურ ამბავს,
    ოკეანეზე მეტო,
    დასასრული რომ არ გაქვს...

სიზმრებისფერი ლექსი

სექტემბერია. ფოთლებს, ამარტის,
ქარი ყრის სულის ბაღების გზებზე.
გრძნობას შეუცნობს, გრძნობას არმარტივს,
მე, შენი გულის ძგერაში ვეძებ.
    არ ვიცი, რაა ამაზე მეტი,
    როგორც ჩურჩული, ქალს განდობილი:
    ,,შენა ხარ ჩემი ფიქრის ქალღმერთი,
    მე შენ მიყვარხარ“... მერე - დუმილი...
ჩემი სათქმელი უკვე გითხარი,
ხოლო დუმილის არ მეყო ძალა.
ხარ, ჩემთვის, ცოლიც, დედაც და შვილიც...
ხარ ყველა ქალი, ერთად თუ ცალად...
    შენ თუ გგონია, რომ ვიცი ზუსტად,
    რას გეუბნები, ან მწვავს ცეცხლი რა...
    ქარმა გაფანტა ფოთლები, ხურდად,
    და ჩემი გული ზეცას შესწირა.
შესწირა აისს, გრძნობამ, სტრიქონი.
მე უსასრულო სიყვარულს ვეძებ...
ცხადში თუ ვერა, სიზმრად გიპოვნი...
და წევს, ფოთლები, სიზმრისფერ გზებზე.

უცნაური სონეტი

ამბავი დაჟანგული მონეტის.
ცხოვრება - მონეტა. გიმართლებს:
ესაა ჯვარედინი სონეტი,
რადგანაც ჯვარზე ხარ, სიმართლევ;
    გამართლება არის მომენტი -
    უფლის ბედი რომ გაქვს იმა დღეს,
    როცა იწერება სონეტი...
    ჩვენ კი ჩვენს ცხოვრებას მივათრევთ...
გზა არის მრავალი, მრავალი,
ნეტა ვინ რომელ გზას გაივლის;
ან როგორ დაადგა, მავანი,
კაცი-მარტოობის გზა ბილიკს...
    სონეტი, თან - არასონეტი,
    და ცა, სევდის მზეს რომ გინათებს...
    სამყაროს გამოგიგონებდი,
    ოღონდაც გეცოცხლა, სიმართლევ...
რაც ვერ აღიქმება გონებით,
იმას გული უნდა სიმად დღეს...
ხრავენ, გამოსახრავს, მონები...
ვიღას ახსენდება სინათლე...

ადამიანი და ადამიანები

(ეს არაახალი ლექსი, მე, - სერგიმ, მუსიკოს გოგა გოგსაძესთან ერთად დავწერე, იგი თანაავტორია ამ ლექსისა. ჩემი და გოგას სხვა ერთობლივი ნაწერები, ამჯერად, ვერ ვიპოვე).

ბევრი ადამიანი.
ადამიანები.
ისინი ქუჩებში მიმოდიან.
ჩქარობენ ადამიანები...
დამღლელია დიდი ქალაქი, მაგრამ...
მაგრამ
ფიქრის ალაგი სულ არსებობს,
თუნდაც - ქუჩაში...
ადამიანები,
რომელთაც თითქმის სულ
სადღაც ეჩქარებათ,
და ადამიანი, მარტოობად გადაქცეული,
რომელსაც
თითქმის არასდროს ეჩქარება, -
სიმბოლურად ითქვა სათქმელი...
თანამედროვე კონტრასტია.
თუმცა არა, -
სულ ასე იყო.
ესაა სურათი-უკვდავება,
ესაა სურათი-მარადისობა, -
ადამიანი და ადამიანები...

მახსოვს...

მახსოვს მხატვარი, რომელსაც
უყვარდა, საუბარი, პოეტებთან...
ის ბევრს ხატავდა...
შემოდგომა როცა მოვიდა,
გადაუვსო ფოთლებმა ტილო.
შემოდგომა როცა მოვიდა,
გადარეცხა წვიმებმა ტილო.
ბაღებს მოედო ოქროსფერი მერდინი -
ფოთლის.
ბაღებს მოედო ოქროსფერი მერდინი -
წვიმის...
და მხატვარმა
დახატა სამი მამაკაცი,
და დაწერა, იქვე, ტილოზე, -
,,ერთი - სამია. სამი - ერთია“,
იქვე დაწერა, მან, ერთი სიტყვაც, -
სიტყვა ,,სამება“...
განთიადისას, იმ სურათზე,
მზე დაიღვარა,
ნახატი ისე გადანათდა,
რომ იფიქრებდით, -
მზე ნახატიდან ამოდისო...
საოცარი აისი იყო...

გული

შენ ნუ უყურებ ნალურსმნევ ხელებს,
მხოლოდ ამ დაღლილ თვალებს უყურე,
და მე აღვსდგები სამი დღის მერე,
ზედ რომ დავხედო ჩვენს საუკუნეს.
ზედ რომ დავხედო ყველა დროებას,
და შენი ტრფობის წყალი დავლიო, -
ვით უკვდავების წყარო და ვნება,
ანდა - სამყაროს ანომალია.
შენ ლამაზი ხარ, როგორც მადონა,
მაგრამ არა ხარ ნახატი, ფრესკა.
მე გადამექცა გული ატომად,
რომ აფეთქებით მივიდეს ეს ხმა
მაგ შენი სულის ყველა ადგილთან,
და დიდ სინათლის გსურდეს ყურება,
რათა გაუქმდეს, მთელს სამყაროში,
ტრფობის იდეის განადგურება...

ადამიანი-მარტოობა

ვილაპარაკოთ ძალზე მარტივად,
თან ძალზე რთული, ვკრიფოთ, აზრები,
ესეც ხომ არის რაღაც მოტივი,
რაღაც იდეა... არა, არ ვცდები...
    ვილაპარაკოთ თუნდ ძალზე რთულად,
    ვთქვათ რაღაც ძველი, რაღაც ახალი...
    ბინდია, ბადე, ბინდისა, ბურავს
    გონს, ღამისაგან ასე დაღალულს...
უნდა გაფანტოს გენიამ ბინდი,
რათა იდეის გაჩნდეს წადილი,
რომ სული იყოს მღელვარეც, მშვიდიც,
რომ გონს გააჩნდეს ფიქრის სადილი.
    უნდა შევიცნოთ რაც ადვილია,
    და რაც არაა, არა, ადვილი.
    ბედნიერება სურთ, არ იციან:
    ბედნიერება, რაა, ნამდვილი.
რისთვის ცოცხლობენ? რისთვის კვდებიან?
უთვალავ აზრში რაა მთავარი?...
არცოდნაც, ცოდნაც, თეთრი ფრთებია,
მიწიდან ცაზე გარდამავალი...

იგი

თმების ჩამოშლა. თვალების თაფლი.
ბაგეს გამკრთალი ღიმი - გამხელის.
მაჯაზე ტატუ - ჩემი სახელი...
თითქოს ფერია მეწვია ზღაპრის...
    მე ვარ ზღვარი, ვარ უსაზღვროება...
    მას ვხატავ, როგორც სალვადორ დალი
    ხატავდა გალლას, ჯადოსნურ ყალმით,
    და უფრო მეტიც მინდა გონება, -
წმინდანისა და მეძავის შტრიხებს
შევაზავებდე ერთურთში იქნებ...
ესეც ყოველი ნუ გეგონებათ!
    მე ვარ ცოდვილი, და მასში მომწონს
    ჰერას ვნებათა რომ ვხედავ კოცონს...
    ქალღმერთად ვაქცევ ჩემს შთაგონებას!...

ლურჯ-ძოწისფერი სტრიქონები

გადავა გვალვა.
შემოდგომა დაადნობს სიცხეს.
აღარ მომიწევს ლურჯ ჩრდილებში
ხეტება, მალვა.
თუმცა იცოდე, -
უცხელესად ხარ გულში ისევ...
დაისი. ხეთა კენწერონი
წაკვეთა ალმა.
    ჩემი წერილი
    გამოივლის უშორეს მანძილს.
    აუცილებლად გიპოვნის, რომ
    ლურჯ ფერფლად იქცეს.
    სადა ხარ, ჩემო ღვთისმშობელო,
    მე ვიცი არცკი,
    მაგრამ ის ვიცი,
    რომ ფიქრიან აღმართებს მისდევ...
ყველას თავისი გოლგოთა აქვს,
ჩვენ სტროფთა ჯვარზე
უნდა გავეკრათ, სიყვარულო,
და ერთურთს ვმზერდეთ...
არ ვიცი ვინ ხარ,
ღვთისმშობელი გიწოდე რაზე,
თუმცა, ქალისთვის,
უკეთესი ვის უთქვამს დღემდე...
    ჩემი გიჟური სიყვარულის საფლავი, -
    ლექსი,
    დარჩება სადღაც,
    ჰორიზონტის ულურჯეს მთაზე...
    იქნებ გიყვარვარ,
    როგორც ჰერას უყვარდა ზევსი,
    იქნებ მითოსად გადავიქცეთ
    და მოვკვდეთ ასე...
გადავა გვალვა,
მაგრამ გულში დარჩება ცეცხლი,
ვით გადაფრენა, მაღალ ცაზე,
ლურჯ-წითელ მერცხლის...

მანიაკი

თლილ მარმარილოს მთვარის ვერცხლი დაედინება,
და სინატიფე, თლილი ქვების, მეტისმეტია...
ჩემს ფანტაზიას შენი სითბო მოედო ვნებად,
ჩვენი გრძნობანი, პლანეტაზე, ვერ დაეტია...
    მე შეგიძღვები თეთრ სასახლის გაშლილ სივრცეში,
    სადაც კანდელთა ნაირფერი მეფობს ნათება,
    მე შენ გინატრებ, როგორც წყაროს - უდაბნოს მზეში,
    და მთლად აღგზნებულს, კვლავ აღგზნება მომემატება...
სულს არა ჰყოფნის არაფერი ამ ქვეყანაზე:
არც სილამაზე, თვალწარმტაცი, მიბნედილ მთვარის,
არც მზის გვირგვინი ცხელ ზაფხულის ოქროს ყანაზე,
არც მოფერება ბეატრიჩეს სადარი ქალის,
    არც ფულის ეშხი, ასე მწველი, ასე მომდები,
    არცა სახელი, უდიდესი, მსოფლიოს თვალში,
    და ღმერთზე იქით რომც წავიდეს ძალის საზღვრები,
    ო, დამერწმუნე, არც ეს კმარა! - მე ვიტყვი მაშინ...
ქათქათა საწოლს ჩანჩქერებად დაეფინება
მაგ თაფლის თმათა ბადაგივით ტკბილი დინება,
ყველა კანდელი მიყოლებით, ნელ-ნელა ქრება...
მაგრამ მე წყეულს, მე უბედურს, ეს მეფიქრება:
    ვიცი, კარგი ხარ, საოცარი შენი სხეული
    რარიგ თეთრია, რარიგ არის აღსავსე გზნებით,
    წუთით ერთმანეთს მშვიდადა ვართ გადახვეულნი
    და ერთმანეთის გულის ფეთქვით საოცრად ვტკბებით,
მე განვიცადე შენი მკერდის თბილი სისავსე,
შენი თვალების სინათლეთა შმაგი კვესება,
მე განვიცადე კატის მსგავსი შენი სინაზე,
მაგრამ, ძვირფასო, სურვილები კი არ ეცემა,
    კმაყოფილების კი არ მოდის უჩვევი გრძნობა,
    კი არ მახარებს სიყვარულის ღვთაებრივ ზღვაში,
    არამედ უფრო მეტს მახელებს ეს შენი ტრფობა,
    და მინდა შვება რომ ვეძიო რაღაცა სხვაში...
შენ მომნებდები... გახშირდება ძალუმი სუნთქვა...
მხურვალედ გკოცნი... ვით ბავშვს, ისე გიმწყვდევ მკლავებში...
შეშლილობამდე მიმიყვანს, მე, საზარი გულთქმა,
და ვთრთი მთლიანად, მთვარის სხივთა მოსართავებში...
    აჰა, ყველაფერს დაასრულებს ამურის ნება...
    გადათენთილი, შენ, მიწექი წყნარად და მშვიდად.
    თუმც შენს სახეზე, სურვილები, ამწუთას, ქრება,
    მაგრამ მე ვატყობ, - უფრო მეტი რაღაცა მინდა.
ამ დროს კი მთვარე თითქოს ხვდება ჩემს მტანჯველ სურვილს,

შეშინებული, ზეცას უმხელს რაღაცა ამბავს,
ბროლის ვარსკვლავი ცას მოსწყდება, ვით ცრემლი ურვილს,
და, ცეცხლის კუდით, ჩამუქებულ ცის კიდეს ქარგავს.
ამოვარდება უნდობელი, ავსული ქარი,
და ტყის შრიალი ღრმა ხეობის ბანს უერთდება...
აჰა, დაიქცა რომანტიკის ნაზი ზღაპარი,
ეს მუქი ბედი არასოდეს არ გათეთრდება.
შენ უკვე გძინავს, თვითმპყრობელო ჩემი სულისა,
შენ უკვე გძინავს, და არც იცი, როგორ გელიან!..
მკვდართა მხარეში ამბავს იტყვი სიყვარულისას...
ო, ეს სიკვდილი, საყვარელო, არცთუ ძნელია, -
შენ იგი მოგკლავს, ვისაც თავზე მეტად უყვარხარ,
ვისაც უშენოდ შეამცივნებს, როგორც მწერს თრთვილი,
შენ იგი მოგკლავს, ვისთვისაც რომ თვითონ სუნთქვა ხარ....
ჩემო ძვირფასო, ლამაზია ასე სიკვდილი...
რა ვქნა, ო, რა ვქნა, სულს რაღაცა მეტი სწადია,
სულის სიგიჟე გადაარღვევს სამყაროს ფარდას!...
სამართებელზე სისხლის გრძნობა უკვე ცხადია,
სამართებელზე, რომელიც რომ მუდამ მიყვარდა.
უცებ იღვიძებ, და მიყურებ, უნდოდ, თვალებში...
რაღაცას ხვდები... გიცახცახებს მთელი სხეული...
არა და არა, არ იღვიძებს სიკეთე ჩემში,
და სამართებელს გადაგისვამ გონარეული!...
მაგრამ ეს რაა! - არც კივილი, არც ცრემლი ცხელი...
ბავშვური სახით, ისევ ნაზად მეამბორები...
მერე მიწექი... და თუმც სულ სხვა რაღაცას ველი,
ნაზი ღიმილით, საოცარი სიკვდილით კვდები...
უცებ გავშეშდი. სულმა იგრძნო კმაყოფილება,
კმაყოფილება, რომელმაც რომ სრულად შემშალა...
ო, მე დაგღუპე, მე დაგღუპე, ღმერთის ქმნილებავ!..
და თვალწინ ჩემი ბნელი საქმე გადამეშალა, -
ქათქათა საწოლს მთვარის ვერცხლი ისევ ათოვდა,
აქვე თბილ სისხლში, ანგელოზი იწექი ობლად...
ჩემი სხეული საზარელი სიცხისგან თრთოდა,
სინდისის ქენჯნა გადამექცა მრისხანე მშობლად,
და წამოვვარდი! გაშმაგებამ შემომიტია!
ბროლის სარკეებს მივამსხვრიე მეხი სულისა!..
დღეს, სიბინძურით, სილამაზის ღმერთი იძლია,
და ამან მომსპო, სიგიჟემდე გამაგულისა...
მოვედი მკვდართან, - ხარბად გკოცნი, უსულოვ, შენა...
ვეღარ მაბრმავებს რომანტიკის ბილწი რიოში...
აქვე, ძვირფასო, სამართებლით გადვიჭრი ვენას
და წამოგყვები იმ საზარელ საიქიოში!...

შემოდგომისას თქმული

ცხოვრება არის უაზრო აზრი,
სიცარიელე გზებს აზიანებს,
ღუპავს ეს გზები, როგორც მზე - ნაწვიმს,
სიყვარულისფერ ადამიანებს.
    არ ვიცი, ვინ თქვა ეს სახე-ხატი
    სულ პირველად და ვინ გაავრცელა,
    სიყვარულისფრად ადამიანი
    ვინ დაგვანახა, - სიტყვად, ნაწერად...
არ ვიცი... თუმცა ვგრძნობ, რა სივრცეა,
როდესაც სული სხეულის ბორკილს
ამსხვრევს და ზეცა სავსე ისეა,
როგორაც ჩემი მარადი სტროფი.
    როცა ჯებირებს დალეწავს ქარი
    და მდინარეებს უცვლის დინებას,
    სული ნათდება ფოთლების ქარვით,
    გონებამ ცხადყო უფლის მიგნება...
ხოდა გალღვება ცხოვრება მკაცრი.
იდეას ვერვინ დააზიანებს.
ფიქრებში ვუმზერ მომავლის საზრისს, -
სიყვარულისფერ ადამიანებს...

პოეტურ-მუსიკალური ეტიუდი

მსურს - ლექსის მუსიკა შევცვალო,
შევცვალო, მსურს, ლექსის ჟღერა და,
ელავდა იქ, ცაში, მერცხალი,
ვერცხლსა ვთლი ღვინოში, ვღელავ და,
    ძმად შევეფიცები ჯოჯოხეთს,
    რომ მისი სიმძლავრე ავწიო...
    აწი რომ მიხილოს არწივმა, -
    ცის მეფემ, თქვას: ვნახე კაციო,
,,რომელიც საოცრად ეწამა,
ეცადა ჩემსავით ფრენას და,
ფერავდა სტრიქონებს ქვესკნელის,
თუმც ლექსში სამოთხე ელავდა“...
    გელათად იშლება სივრცენი,
    სივრცენი იშლება გელათად...
    დავწერე ლექსი და ვისვენებ, -
    სული ხომ ზღვასავით ღელავდა...

ცა თვალებში

ღვთისმშობელს ჰქონდა თვალები ლურჯი,
როგორც - იესოს... ფიქრად არიან...
და იმ თვალებით, ჩამწვდომი, გულში,
მზერა იცოდა, თურმე, მარიამ.
    ქარია, და შენ იმ მზერას ეძებ,
    შეშლილ ქარებში დადიხარ მარტო,
    გსურს ხეტიალი კოსმიურ ქედზე,
    მთა-ვარსკვლავეთის სივრცეებს არ თმობ, -
აი, ეს არის გულის ძახილი,
თუმც სადაც შენ ხარ, იქ უდაბნოა,
სად გაქუცული, მოჩანს, ძახველი,
და ეკალ-ბარდის უფერო გროვა.
    სიცხის ტრამალი დაუსაბამო,
    ფერად სილების ქარში არევა...
    თითქოსდა სხვაგან დარჩა სამყარო,
    დიდი გრძნობები, ცის აღსარება...
ღვთისმშობელს ჰქონდა თვალები ლურჯი, -
ამ ლურჯი ფიქრით ხეტიალს ავსებ...
და ფანტაზიის, მოვა, ფასკუნჯი,
და აგამაღლებს პოეტურ ცაზე...

ზღაპარ-სივრცეები

გზაჯვარედინზე ვდგავარ.
ანთებული მზერით ვუცქერ
წელიწადის ოთხივე დროს.
ხან ერთს ვაკვირდები,
ხან - მეორეს, ხან - მესამეს,
ხანაც - მეოთხეს.
ყველა აქაა.
დრონი გაერთარსდა, გაერთდა.
ყოველივე გამარადისდა.
სამყაროს საათი გაჩერდა,
და, სიჩუმეში, პირდაპირ ციდან
ჩამოვიდა-ჩამოიქსოვა,
ისე, როგორც ფიფქთა ფარდა,
მკრთალი მუსიკა...
აი, ეს არის
გაცხადებული სიზმარ-სივრცე
თუ ზღაპარ-სივრცე...
დიახ, არსებობს
გაცხადებული სიზმარ-სივრცენი...

კახა ბაციკაძე

ზეცისკენ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს,
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არ მესმის ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს;
პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არა მწამს ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

სივრცეთა სული

ისევ მეძახის სივრცეთა სული, -
მე ხომ ვერაფრით ვერ შევიცვალე,
მწამს მომავალი, როგორც წარსული,
როგორც სიცოცხლე - გარდაცვლილ თვალებს.
ჩემი გრძნობაა, გზას რომ მინათებს,
სხვა არსებობა მე ვერ ვიწამე,
როგორც წვიმის წვეთს ფანჯრის მინაზე,
ისე არა მწამს ახლა მიწა მე.
შეშლილ დღეებში ქარი კვდებოდა
და იოკებდა სიკვდილის სურვილს,
მე ეს სამყარო მავიწყდებოდა,
შორს მეძახოდა სივრცეთა სული!...

პოეტი-გიტარა

ჩემი გიტარაც სევდიანია,
ჩემი გიტარაც პოეტი არი,
მისი სიმები ზღვის ტალღებია,
მისი მუსიკა - ობოლი ნავი.
მზე ისე ჩადის, ნელა ღამდება,
მზე ისე ჩადის, თითქოს ღმერთია,
სიმებზე წვება შუქი ლანდებად,
ჩემი გიტარა ერთადერთია...
...
დღეს პოეზიის ღამე იქნება,
მოვლენ, შორიდან, სევდის ლანდები,
მე რა ვქნა, - ბედმა ასე ინება
და უსათუოდ შემიყვარდები.
ეს სული ბავშვურ ზღვის ლურჯ სიშორეს
მიეძალება, როგორც თოლია,
და მოედება თვალების ბაღებს
შემოდგომათა მელანქოლია...
...
პოეტი, ყავა, კონიაკი, თბილისის დილა,
რაღა თქმა უნდა, აქვე, ახლოს, სიგარის კვამლი...
მუზა გეწვია და ჩამოჯდა შენს მხარზე ფრთხილად,
ამოიზიდა ლექსი, როგორც ამაყი ხვამლი...
გული და გრძნობა - მეგობრები მარადიული,
ფიქრების გემი სულის ტალღებს ებრძვის ისევე,
თუ ცოტა ღვინოც წაუმატე, ბურგუნდიული,
თვალებს ზღვისფერი ოცნებები ამოგივსებენ...

...
მხოლოდ თვალებით
მზის დაფშვნას შეძლებ,
თუ სული ზიდავს
სხვა გალაქტიკებს...
...
მიდიხარ, მიგაქვს ყველა მთა მხრებით,
და ყელზე ცრემლის თვლები გითრთიან...
კვლავ ძოვენ ბალახს ცხოვრების ცხვრები...
სამყარო შენი გასარითმია...

სევდა

საღამოს, სტუმრად, სევდა მეწვია,
მეტყვის, - ქუჩაში ძალიან ყინავს,
ქვეყნად არავინ არ შემიფარა,
შენს გულში მაინც მომეცი ბინა.
შემეცოდება სევდა მწუხარე,
როგორც პატარა, ობოლი ბავშვი,
და მე გავუღებ, მას, გულის კარებს,
ვეტყვი, - თუ გინდა, სულ ჩემთან დარჩი...

ლურჯი ჯოხი

ყველაფრიდან ჩანდა, რომ
პოეტად ვიყავი დაბადებული.
აი, მაგალითად:
ბავშვობაში
ჩემი ყველაზე გამორჩეული სათამაშო
იყო ლურჯი ჯოხი,
ლურჯი, ზეცის ფერი;
საერთოდ, ლურჯი ფერი ხომ
განსაკუთრებულია პოეტებისთვის;
ვფიქრობ,
საკმაოდ სიმბოლური მომენტია...
ვიზრდებოდი და
უფრო და უფრო ვიახლოვებდი ზეცას,
რომელიც, ლურჯი ჯოხივით,
ჩემი მეგობარი შეიქმნა,
და მას მერე
დამაქვს ზეცა ხელით,
როგორც ლურჯი ჯოხი,
რომელიც არ მაძლევს საშუალებას,
რომ დავეცე...
იქნებ ჩემი გულიც ლურგი არის? –
მე ხომ არ მინახავს იგი...

დაცემა

ადამიანებო, უკვე მოხვედით, -
აი სადგური, ნანატრი, ნაოცნებარი
საითკენაც მოემართებოდით
მთელი თქვენი არსებობის მანძილზე.
ალბათ, კმაყოფილნი დარჩებით.
იღება ხომალდის კარები.
თქვენ ხომ ყველაფერი გააკეთეთ
აქ მოსახვედრად,
მაშ ასე, იყავით ბედნიერნი:
თქვენს წინაშეა ბოლო გაჩერება -
სუპერჯოჯოხეთი.
აქ ცეცხლის ისტორიაა თვითონ ცა,
ხოლო მის ქვეშ დაგხვდებათ:
შური, ბოღმა, სიძუნწე,
ერთმანეთის გაუტანლობა...
ტკივილი და ტანჯვა ათასგვარი...
თან - გულგრილობის უკიდურესი ფორმები...
მოკლედ - ბოროტება ყოველგვარი, ყოველნაირი,
ბოროტება სრული, ანუ შეკრულ-შეკრებილი
ყველა თავისი სახით,
ბოროტება - მარადიულ ომად ქცეული...
აქ დაგხვდებათ დიდი უსიყვარულობა, -
საზარელი სიცივე,
საზარელ სიცხედ გადმოცემული...
არა, არა,
ეს სატანა არაა,
ესაა თქვენი მიზანი, - დიდი სიძულვილი,
რომელიც უკვე მიღწეულია,
და აი, თქვენ იქ ხართ,
სადაც, თურმე, ისურვეთ და
დაიმსახურეთ ყოფნა...
მეტს აღარ გავაგრძელებ, რადგან
აზრი აღარ აქვს, -
ამ ერთ ლექსში რას ჩაეტევა
სულის ტკივილების მთელი არმია,
დიდი წუხილის უსასრულო,
წყვდიადური ფრესკა!...

გიორგი ზუხბაია

ჩურჩული

გული სევდისგან დადნობას რჩეობს,
მე გული ვარ და შენ - მისი ფეთქვა,
ნუ გეშინია, ზეცაო ჩემო,
ეს გარინდება? ეს - მე ვარ შენთან.
    მზეს ყვავილების ხმები აწვდება,
    წამსაც უკვდავად ლოდინი შვენის...
    ნუ გეშინია, ლექსის დაწერავ,
    ეს მდინარის ხმა? ეს - მე ვარ შენში...
ეს ყველაფერი? ეს - მე ვარ შენში...

გაგიჟებისას

ფიქრის ფიქრისგან წამი შეირხა,
მტეხავს სხეული, ლოდინთან ვრჩები,
წარმოვიდგინე - სიგარეტი ხარ,
ყველა ნაფაზი კოცნაა ჩემი...
    და მონატრება - ისევ იგი ჟღერს,
    როგორც მუსიკა გრძნობათა ლოცვის...
    ახლა ვეწევი, ჩემო სიგიჟევ,
    არა, მე გკოცნი, ასე შენ გკოცნი.
თითებზე, ნაზი, დაცურავს ბოლი,
შენზე შეხების ალის სრულიად,
და ტუჩებიდან ამომდის ბოლი,
ეს ბოლი ჩემი სიყვარულია...
        ახლა ვგიჟდები...

სევდა

ახლა არ ვიცი, რა არის იქეთ, -
ამ თოვლის იქეთ, მზე რომ დამარხა...
მე თოვლს ვეძახი გაყინულ ფიქრებს,
არყოფნას, კიდევ - ღმერთის დანახვას...
    ახლა არ ვიცი, რას ვარქმევ იმედს,
    გული დაშალა სევდის ფერებმა,
    და თოვლი, როგორც შეშლილი ვინმე,
    ეძებდა თავის ბედნიერებას...
    მე, უსასრულოს, გავცქერი სივრცეს...

გრაფი ნიკალა

უხილავს ფიქრის თვალებით ვუმზერ,
მიზიდავს, მხოლოდ, სიცოცხლე ლექსის,
ზეცა თანაბრად იშლება სულზე,
და ვხედავ ქალაქს, ლექსებით შექმნილს.
    შუქი გადმოდის დროთა წამგვრელი,
    ეს არის სივრცე, სივრცე, ვით განცდა,
    ანუ ქალაქი ლექსით ნაგები, -
    სადაც დგას ლექსნი, სახლების ნაცვლად.
აღვსებულია მთვარეულ ქარვით,
და მზის სხივების მწველი ფერებით.
ქალაქი არის, ვით სული ჯვარის,
ან - როგორც არსი ფიქრის მფენელი.
    სული უმაღლეს გარდასვლებს ითხოვს,
    რადგან ოცნების გულში აღწევდა...
    ,, ქალაქი ფიქრჰყო უფალმა თვითონ,
    და როგორც ლექსი, მტკვართან დაწერა“, -
ეს მოიფიქრა მთვარემ, ქარვისამ,
მზის წარმონაქმნად რომ არ იკმარა...
ხოლო სტროფები, ამ ქალაქისა,
ფერით შემოსა გრაფმა ნიკალამ.
    ფერთა მწყემსი და ფერთა წამყვანი,
    ჰანგთა შემქმნელი ფიქრთა ქოროდან...
    იესოსავით იყო ამაყი,
    რადგან თბილისის შიგნით ცხოვრობდა...
ასე, ღრუბლებზე გადაწვდილ ბილიკს,
გაჰყვა იმისი ოცნების ალვა...
გრაფი ნიკალა ხატავდა თბილისს, -
ლექსებისაგან ნაშენებ ქალაქს...

უსურვილობა

ლაჟვარდთა შორის ცრემლია ალთა,
თვალებზე ფიქრის ნთების მხლებელი,
მე არაფერი არ მინდა ახლა,
თუმცა კი ვიცი, შეუძლებელი

არის ეს სიღრმე, ჩაღწევა სრულად,
დანთქმა გრძნობათა უტყვი ურვილით,
ანუ: მიწაზე არ გქონდეს, სულაც,
სულაც, სურვილი...

ლაჟვარდთა შორის სტირის ზენარი,
ერთობ მდუმარი და მით მეტყველი,
და ჩემი სევდის არსი ეს არის,
მსურდეს უკუნის შეუძლებელი:

ანუ - არფლობა, ანუ - არყოფნა,
ანუ - უკვალოდ გასვლა ბედიდან,
მსურდეს ყველაფრის სხვისთვის დათმობა, -
ეს არის სული ჩემი სევდისა...
უსურვილობა...

პოეზიით...

საოცარი ფერი, ლუში,
მოვისიყვარულვილე,
მეჩვენება გულ ი გულში
და კვლავ გულში გულივე.

გრძნობა მარად დროებს
გზისთვის
გზნებად მოეზიარა,
შევიშალე პოეზიით,
ახლა პოეზია ვარ.

მე სიგიჟე ამისრულდა,
დღეებს ერთურთს ვურითმავ,
მეჩვენება სული სულთან,
სული სავსე სულითა.

მოველოდი, მოველივე,
შენს სულს, გრძნობავ
სავსეო,
მეჩვენება ყოველივე,
ისიც, რაცკი არსებობს,

რადგან გულის შეჩერება
გზას ვერ ჰპოვებს ზიარად,
რადგან ის, რაც მეჩვენება,
თვითონ პოეზიაა...

საოცარი ფერი, ლუში,
მოვისიყვარულვილე,
მეჩვენება გული გულში
და კვლავ გულში გულივე.

ტრაგედიების გამყიდველი

ქუჩაში კრთოდა მზის სხივთა ფერფლი
და ხმა ისმოდა, როგორც ცხოვრება, -
,,მოდით, იყიდეთ ტკივილი, ცრემლი,
ქარში სიკვდილი და განშორება“...

ეს იყო კაცი, სახება განცდის,
ოდით უთქმელი ცამ რომ იახლა,
იდგა ქუჩაში ჰაერი-კაცი
და ამ უცნაურ სიტყვებს იძახდა.

ქალაქი სულით მონატანია,
ჰაერი-კაცის ხმა ჟღერდა ყველგან,
და გამვლელებმაც, დიდი ხანია,
რომ ის შერაცხეს შეშლილად, ხელად.

ქალაქს ავსებდა მარად ცისებრ დრო,
ხომ სამყაროთა სასრული არ ჩანს.
კაცი იწვდიდა ხელებს ისე, რომ
ხელებში, თითქოს, ეჭირა ტანჯვა.

ამოიტანა, თითქოს, გულიდან,
ასე რჩებოდა, შემდეგ, უვნებლად,
და გასძახოდა ქუჩას სრულიად:
,,იყიდეთ სახლში არდაბრუნება,

დაცინვა, გმობა და უგულობა,
უფსკრულში ქროლვა, წყენა იყიდეთ,
იყიდეთ ტანჯვის უსასრულობა,
ციხის კედლებში ყოფნა იყიდეთ“...

ხალხი ავსებდა ქუჩებს, ვით სისხლი,
დღეთა სიცოცხლე ჰქროდა ზემოდან...
ასე ვიდოდა დღეები მისი, -
იმ კაცს არავინ ეკარებოდა.

იგი, ცხოვრებას, თითქოს, გამორჩა,
პასუხმა ვეღარ მიიღო კითხვა...
მაგრამ ერთხელაც ვიღაც გამოჩნდა,
ძალიან ჩუმი, უცნობი ვიღაც

იგი შეეხო ჰაერს უცოდველს,
ქუჩის დინებას, შუქის წყალობას,
და მოხდა ასე, რომ ის უცნობი
გიჟად შერაცხულს მიუახლოვდა.

ერთხანს უცქირა თვალებზე ერთობ,
მერე წარმოთქვა სიღრმე სიტყვებად,-
,,გთხოვ, მეგობარო,მომყიდო,მე გთხოვ,
ცოცხლად დამარხვა და დავიწყება“... –

ეს თქვა და დუმილს მიეცა სივრცე,
ქალაქიც სდუმდა და გამყიდველიც,
ქუჩის შუქებზე გადაკრთა, მყისებრ,
გამჭვირვალების წყნარი ფრინველი,

სახლებზე ზეცის სუნთქვამ იელვა,
ყველა წერტილი გახდა მღელველი...
ბოლო წამი სულ... და გამყიდველმა
მას გაუწოდა ჩუმი ხელები,

ჩუმი ხელები, ღლილი სხივისგან,
სადაც ალები არედ იწევდნენ,
თქვა: ,,ეს - ნიჭია პოეზიისა...
შენ, ამის გამო დაგივიწყებენ...

შენ დაგმარხავენ ცოცხლად ოდესღაც...“ –
უთხრა და გულზე ცრემლი მოდევნა,
თუმც არაფერი არ გამოხატა
მისმა თვალებმა, ზეცისოდენმა...

პოეზია



მამა ამირან ამირანაშვილი

ადამის ძენო!

ადამის ძენო თუ შეძლებთ,
სძლიოთ სამყაროს ვნებები,
უფალს მიენდოთ მთლიანად
და იხმოთ უფლის მცნებები.
ვეღარ გაცდუნებთ სატანა.
იქნებით მადლშემოსილნი,
საცდურს დაუხშეთ კარები,
გახდებით უფლის მორჩილნი...
სატანას თუკი განაგდებთ,
ზნეობით ცად ამაღლდები.
წმინდათა ლოცვაც დაგიცავთ,
მუდამ,,მუსტანგად“ დარჩებით.
ეს ყველაფერი ძნელია,
დაეხსნა გარყვნილ სამყაროს,
დათმო ტახტი და დიდება,
ხორცს რომ მცირედი აკმარო...
თუკი გაუძლებ საცდურებს,
მოუსმენ ციურ გალობას,
მაშინ გწამდეს და ელოდე,
ზეციდან უფლის წყალობას.

მზე სიცოცხლეა

მზემ, გამაოცა აღმოსავლეთში,
უზარმაზარმა გიზგიზა დისკომ.
ამოდიოდა სიცოცხლის წყარო
და სამყაროსთვის მოჰქონდა სითბო.
უპირველესად თბება ჰაერი,
პირველი კვებავს ცოცხალ არსებას,
და თბილი მიწა იძლევა საზრდოს,
ხალხი მადლს ვწირავთ ღვთიურ განგებას!
მზეს უმღერიან დილით მერცხლები,
ღამით ბულბული უგალობს სატრფოს,
დაათენდება ვარდის ტოტოებში,
ღამენათევი შეხვდება მნათობს.
მშვიდი საღამო მიყვარს ზღვის პირას,
ცეცხლივით მზე რომ ჩაწვება ზღვაში.
გრილი ნიავი ყურს ჩაგჩურჩულებს
და დედის ნანას შეიგრძნობ ხმაში.
დალოცვილია მზე და სიცოცხლე,
მარადიულად ამოდის ჩადის,
ეს ხომ მითია, ჩვენ გვეჩვენება,
ის დგას...სამყარო მის ირგვლივ დადის.

ღამის მნათობი

ღმერთმა შეგვიქმნა ჩვენ მზე და მთვარე,
მზე დღეს ანათებს და თანაც გვათბობს.
ღამით კი ცაზე ამოდის მთვარე,
თავის შუქსა და ფუნქციას არ თმობს.
ხანდახან ღამე კუნაპეტია,
თითს ვერ მიიტან საკუთარ თვალთან,
ამ დროს შუქმნათი ამოვა ცაზე,
და მიგაცილებს უვნებლად სახლთან.
მთვარე უმეტეს უყვართ პოეტებს,
უჭირთ თუ ულხინთ, უმხელენ მთვარეს,
პოემებს ქმნიან მნათობის შუქზე
და ცხად, სიზმარში ათევენ ღამეს.
მთვარეა ღამის მანათობელი
და მან შეგვმატა ღამის მხნეობა,
რომ არ შეექმნა მნათობი უფალს,
ცხოვრების არსი დაირღვეოდა.

მადლობა ღმერთო!

უფლის საფლავზე ვილოცე გულით,
ცეცხლის გამოსვლაც გავიზიარე...
ჩემი ქვეყანა ღმერთს შევავედრე
ღმერთო! სამშობლო გამიმთლიანე.
ახლა სავსე ვარ უფლის წყალობით,
ღვთისმშობლითა და წმინდა ნინოთი,
მეფე დავითი, მეფე თამარი,
მათი მადლით და მათი მირონით.
გამთეთრებია თმები ლოცვაში,
ვლოცულობ გულით, სრული არსებით,
ვემსახურები უთბილეს ქრისტეს,
დაუზოგავი თავგამოდებით.
სამოცდათხუთმეტს გადავაბიჯე,
კვლავაც გუგუნებს ჩემი წირვები
ჩხარელი ბაბუ მედგრად დავდივარ
და ჩემ სიბერეს ჯერ არ ვნებდები.
მადლობა გულო უბერებელო,
მადლობა სულო გაუტეხელო,
მადლობა ჩემო ორთავ ხელებო,
სიკეთისა და მადლის მთესველო!



ისევ მოვა გაზაფხული

არ ვიცი რას დავაბრალო,
რა წარმოქმნის სევდის ღრუბელს,
გული როგორ გავახარო,
სული სევდას ძლივსღა უძლებს.
სახე გახდა მოღუშული,
თითქოს წვიმას ელოდება,
თვალებია მოქუფრული.
ლამის ცრემლი გადმოსკდება.
დინჯად უვლი ტაძრის ეზოს,
ვეფერები ვარდის ბუჩქებს,
უხდებოდა გაზაფხულზე,
გულები რომ გადაფურჩქნეს.
სევდა მათაც შევამჩნიე,
უვარდებოდ მოიწყინეს,
იმ თბილ დღეებს იგონებენ,
გაზაფხულზე რომ ილხინეს.
ნუ მოიწყენთ ძვირფასებო,
სევდას შეცვლის სიხარული.
ცივ ზამთარსაც ერტად დავძლევთ,
კვლავ გვეწვევა გაზაფხული.

იმერეთის ნიავი

ო, იმერეთო, რარიგ გიხდება,
თაკარა სიცხის შემდეგ,,ნიავი".
ძილშიაც მესმის ვერხვის რტოებში,
საამო ქართა ფოთოლ შრიალი.
ცივი წყაროს წყლით ყელს გავიგრილებთ,
ნავი მკერდზე გვეალერსება,
დიასახლისი სამზადისშია,
კეცში წიწილა დაიბრაწება.
ჭურს კი გარშემო უვლის ჭიკილა,
სარქველს ახდის და გვასინჯებს ჭაშნიკს.
ხაჭაპურებით მორბის ეთერი
და ჭურისთავზე სამფეხას გაშლის.
თონიდან მოდის გოჭის სურნელი,
ჩიტის რძეც ახლავს იმერულ სუფრას,
ქეიფის ეშხი მით მოგვეძალა,
გამთენიამდე უმღერეთ უფალს.
ჩემს იმერეთში ერთხელ თუ მოხვდით,
ის დღე არასდროს დაგავიწყდება,
მერე სულ მუდამ მოგენატრება,
ის იმერული თავდავიწყება...

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი

ღრუბლები

ხან თეთრი ხარ, ხან შავი ხარ და ხან რუხი,
შეგციცინებთ, რომ გიხდება ახალუხი,
გვასველებ და თანაც გვრეცხაც რახა-რუხით,
როცა გვწუწავ არც კითხვა გვაქვს, არც პასუხი.

ვერ ვისვენებთ, თუ ღრუბლები არსად არის,
ზურგის ქარი ხან სად იყო, ხან სად არის,
ვერ გაჩერებს ვერც კარი და ვერც ჭიშკარი,
ვეღარ გაგნებს გზა სხვისი, თუ საკუთარი.

თვალს გაყოლებთ-გაელვარებს მზის ფერები,
როცა გინდა მიხაკივით იმტვერები,
ხან ბჟუტავ და ხან ბურთივით იბერები,
მე მზადა ვარ, შენზე ვწერო სიმღერები.

ღრუბელი ხარ, თვალჟუჟუნას საწინდარი,
მერე რა რომ მარჯვნივ-მარცხნივ გფანტავს ქარი,
მოგყავს წვიმა საყვარელი-სანუკვარი,
ვერ მასველებ, ქოლგის გაშლა მოვასწარი.

ხან ტოტებად გვეჩვენები ჭადრის, მუხის,
შინ შევრბივართ, როცა იწყებ ჭექა-ქუხილს,
ჩვენ გვაყრუებს-ზოგზოგები ვიწყებთ წუხილს,
ხმა ღრუბლების შეჯახების, რახა-რუხის.

ხან თოვლი ხარ, ხან მგონიხარ ნამქერები,
მეჩვენება, რომ ბავშვი ხარ ნაფერები,
ჭექ და ქუხ და გვემუქრები ამპერებით,
ზედ გეტყობა ძაფები და ნაკერები.

ზეცას ვუმზერ და შორიდან ვეფერები,
მაღლა-მაღლა კენწეროში ვეწერები,
არ ველოდი ღრუბლებისგან, არ მეგონა,
თვითმფრინავებს თუ რეცხავდბენ კერხერებით.

არ ბერდები, არც თმები გაქვს, არც წვერები,
მზის ჩასვლისას შუბლს გიმშვენებს წარწერები,
იწელები, წვეთ-წვეთობით იწველები,
ვიღიმებით შენი დედამიწელები.

მიყვარს თქვენთან საუბარი და ლუღლუღი,
ღრუბლები ხართ ხელგაშლილი და გულუხვი,
ნეტავ იმას, ვისაც ესმის, ვისაც უღირს,
ხმა ზეცაში შეჯახების, რახა-რუხის.

მგონი თქვენი მზერა-ცქერით დავითვერი,
ბევრს ვეცადე, ღრუბლებს შორის ვერ გავძვერი,
დღისით რუხი, საღამოსკენ ვერცხლისფერი,
მე ღრუბლებში მავიწყდება ყველაფერი

ლალისფერი ქვაკუთხედი

კვარტეტი ვართ არც ნაკლები და არც მეტი
დელტა, რომბი, კვადრატი თუ მართკუთხედი,
ჩვენი ხდება მეზობლების საკუთრება,
თუ ქეიფის გავლილი გაქვს ფაკულტეტი.
ვერ ვისვენებთ, როცა ვინმე ფხიზლად არის,
თუნდაც იყოს ვარსკვლავის, თუ მზის სადარი,
გვერიდება ყველა ლოთის, დიდ-პატარის,
ითმენდეს და თუნდაც იდგეს მიღმა კარის.
სელფებს ვიღებთ მტევნებით დახუნძლულები,
ღვინოს ვწურავთ მონდომებით, რუდუნებით,
მარანს ვკეტავთ, საიმედოდ, ურდულებით,
ლოთები და თითქმის ყველა სულდგმულები.
ძილში, ცხადში, ბოცებს ვიჭერთ ანკესებით,
ყველგან ვაზის გვეჩვენება ნათესები,
გამვლელს ვუსხამთ ჩვენი უბნის განწესებით,
ლოთებსაც გვაქვს უფლებები და წესები.
ვეზიდებით ბოცებით და მათარებით,
შუბლზე აგვდის ხან წარბები, ხან თვალები,
თუ აქამდე იატაკზე ვფართხალებდით,
ალაგ-ალაგ თვალებს ვახელთ ნამთვრალები.
ყველა მსმელებს ერთნაირად გვიძგერს გული,
ჩანჩქერები და ტყე გვაკრავს დაბურული,
ღვინო, რომ გვაქვს, იმიტომაც გვიდგას სული,
ყველა ბაღში ქეიფი გვაქვს გამართული.
რა დრო იყო - ვერთობოდით გიტარებით,
ვივსებოდით დამუხტულნი ვითარებით,
არამსმელებს ახლოსაც არ ვიკარებდით,
ვინ ფანჯრებით ვსარგებლობდით, ვინ კარებით.
ყანწებს ვავსებთ, როცა დრო გვაქვს მოცალების
და ვნებივრობთ გრადუსების მოძალებით,
ყველა მსმელებს ჩვენ ვეპყრობით მოკრძალებით,
ძალისხმევით, ძალებით თუ კონტრძალებით.
ხან ვისვენებთ, ხანაც ოფლში ვიწურებით,
ჩვენც ვისხამთ და სხვასაც ვუსხამთ იძულებით,
მტკიცედ ვდგავართ ერთმანეთს შეფიცულები,
ლოთებსაც გვაქვს რანგები და ტიტულები.
ერთადა ვართ ჭიქა-კოკა-ყანწელები
და არ გვტკივა არც ნეკნები, არც წელები,
ყველას შეგვხვდა 40 წლის დაძველებით,
წინ მივდივართ ტრადიციის დამცველები.

დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი

მონატრების აჩრდილი

/მონატრებულ ემიგრანტებს/

სიყვარულმა ჩვენ შორის შეამცირა მანძილი,
მაცხოვარმა გიკურთხოთ მადლიანი მანდილი,
საპატიო ჯვარი გაქვთ, შემკობილი ნამდვილი,
ყველა ქალი გმირია ოჯახისთვის მარტვილი.

თქვენი ოფლი მსხვერპლია შვილებისთვის დაღვრილი,
არც არავის უნახავს დედის სახე დაღლილი,
თან დაგყვებათ ყოველთვის მონატრების აჩრდილი,
სევდიანობს სამშობლო, მერცხლებისგან დაცლილი.

შიგნიდან

მარტო ღმერთი თუ გაიგებს რა გვაწუხებს შიგნიდან,
ბევრი რამის შემეცნება უნდა შევძლოთ ჭირიდან,
უიმედო იდეები გამოხშირეთ ფიქრიდან,
უწიგნურად ნუ იცხოვრებთ და არც მარტო წიგნიდან.

მშობლის გულში უამრავი დარდი ჩნდება შვილიდან,
თაფლისა და შხამის წყარო მოდის ენა-პირიდან,
ხასიათი ზიანდება დაფარული ზიზღიდან,
შენი ცოდნა-განათლება გამოჩნდება კითხვიდან.

ეზიარე სინანულით, სული ცოცხლობს წირვიდან,
მზის სხივები შეგეხება თუ გამოხვალ ნისლიდან,
უფრო მეტი განსაცდელი დაგატყდება ლხინიდან,
არასწორად თუ გაიგებ, რას ისწავლი სიბრძნიდან.

უამრავი ვნება, ცოდვა იკვებება ჟინიდან,
რწმენით გიჯობს სიარული, დაეცემი ხილვიდან,
კენწეროში გამწარდება ტკბილი თუა ძირიდან,
მოწყალრბა გაიმეტე გაბერილი ჯიბიდან.

უფრო მეტი კონფლიქტები იბადება ჯიბრიდან,
ნაყოფს უნდა მზრუნველობა გაუშლელი კვირტიდან,
იქ ვერაფერს ვერ წაიღებ მშობლიური მიწიდან,
ბოღმიანი მახსოვრობა ამოიგდე ტვინიდან.

ადრე სულ სხვა იყო...

რთველი მომენატრა ძველი, მადლიანი,
მინდვრად თამადობა, სიტყვა ძარღვიანი,
ირგვლივ გარემოა სევდა-ნაღვლიანი,
ასე რამ გახადა ერი დარდიანი.

გლეხი ვეღარ ხარობს, წვალობს ჯავრიანი,
ფუძე, კარ-მიდამო ექმნა ხავსიანი,
მთვრალიც შეცოტავდა ბაგე-მაჭრიანი,
მწვადიც ვერ იწვება გემო-ნამიანი.

სხვაგან გაქცეულა ხალხი საქმიანი,
სიტყვა ხშირად ისმის შურით შხამიანი,
ადრე სულ სხვა იყო ვაჟი ქალმიანი,
ქალიც ვეღარ ვნახე კოხტა კაბიანი.

გოგო მახსენდება თეთრი ბაფთიანი,
ნეფე ვის გინახავთ ჩოხა- ხანჯლიანი,
ანდა დედოფალი, ნაწნავ-ფატიანი,
ღმერთო, გაგვიმრავლე კერა-აკვნიანი.

მინდა ბევრი ვნახო სახლი მარნიანი,
ვაზი მეცოდება ბალახ-კლანჭიანი,
გუთანს ვინღა იჭერს, გდია ჟანგიანი,
გვწყალობს ღვთისმშობელი, ზრუნვა კალთიანი.

აშკარაა...

იქნება მაშინ დიდი ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან დღემდე, და არც იქნება
მათე 24:21

ყველა პრობლემა ნაყოფია ჩვენი გონების,
არ გვიყვარს ღმერთი,
გვეზარება კითხვა ლოცვების,
ბნელი გულები საკუჭნაო გახდა ცოდვების,
ქრისტიანობა ნუ გგონიათ სექტა მონების.

უფალთან მიაქვს ადამიანს არზა თხოვნების,
შიში გამეფდა, დაიჯერეს ტელე-ჭორების,
მდიდარს ადარდებს მომავალი
თავის ქონების,
ჭეშმარიტება დასაცინი არის ზომბების.

ანტი რომ მოვა, ის იქნება მამა გოების,
დადგება ჟამი დევნილობის,
მოთქმა-გოდების,
ხალხში სურვილი განქარდება
სულის ცხონების,
მკვდრები განკითხვას დაიწყებენ
რწმენით ცოცხლების.

უკვე ნიშნები აშკარაა, ხანა ომების,
ქმრებს არ აწუხებთ უზნეობა
შიშველ ცოლების,
სხეულზე გაჩნდა ტატუები წარმართ
ტომების,
შუბლზე და ხელზე მარტივდება
ბეჭდვა კოდების.

რწმენა მაინც მაქვს

თანაზიარი მინდა გავხდე თქვენი გოდების,
გაზიარება უნდა შევძლო კარგი გრძნობების,
მსჯელობა ერთად შევამოწმოთ მრუდე გონების,
ნაკლებად მჯერა ეგოიზმთან ომის მოგების.

თავისუფლება განდევნაა, დედა ცოდვების,
ქალაქი გახდა "სასაფლაო" ვითომ ცოცხლების,
პოდიუმზეა ვნებიანი ცქერა მონების,
მკვდრებმა დაკარგეს სასოება, ვაი ცოცხლების.

ხალხს მოეწყინა არჩევნები, სმენა ბოდვების,
ტელევიზორი უკვე გახდა ყუთი ჭორების,
რწმენა მაინც მაქვს გამარჯვების, მტრებთან მოგების,
მიზანი ჩემში უცვლელია სულის ცხონების.

არა ვარ ღირსი ბოძებული სამღვდლო წოდების,
უძღები ისევ მწყემსი გახდა სხვისი ღორების,
გულში იმედი ნაყოფია ტკბილი ლოცვების,
მაესტრომ სევდა თან წაიღო "ყვითელ ფოთლების".

ჯერ არ მიხილავს მადლიერი შვილი მშობლების,
რატომ ეწყებათ ალერგია კაცებს ცოლების,
არც მდიდარია კმაყოფილი დიდი ქონების,
დრო დგება თითქოს უუნარო ბიოზომბების.

ერთეულებმა თუ გაიგეს აზრი ცხოვრების,
მხოლოდ გონიერს შეუძლია კითხვა ნოტების,
სიყვარულია განმარტება უფლის დოგმების,
ვცადოთ შესწავლა ჭეშმარიტი ქრისტეს მოძღვრების.

ირაკლი ნადარეიშვილი

ნიჭიო, არა?!

ნიჭიო, არა?! თუ ღმერთი გწამს, რა თავში იხლი?!
შენ იღბალი თქვი, თორემ ნიჭით ვინ იკლავს ვარამს?
ნუ გაიკვირვებ, თუ ნიჭისთვის მიიღე წიხლი,
არც ის, ნაწიხლარს რომ ეგ ნიჭი ვერაფრით ფარავს.
ნიჭიო, არა?! არ ერევა, მაშ, გზა საკმეველს?!
და შენ გგონია, რომ დღეს ნიჭი რაიმეს კვალავს?
ეჰ, სანთლის შუქი თუ იზიდავს, ისიც იმ პეპლებს
სიკვდილის შიშით სიცოცხლის ჟინს რომ ვეღარ სძალავს.
მაშ, ჰალალ შრომით მოპოვებულ ლუკმითო, არა?!
რაღაც ვერ ვატყობ, რომ არამი დღეს ვინმეს ზარავს,
ზოგმა ცხოვრება ჩუსტებივით მოირგო მაშინ,
როცა შენს ფეხებს გადამსკდარი კოჟრები ღარავს.
ნიჭიო, არა?! ჰო, ფასდება, მაგრამ, რომელი?
ის ნიჭი ხომ არ, ლიქნა-ლიზღვით რომ აბნევს სალამს?!
იქნებ ის ნიჭი, სხვის დანთებულ კელაპტრით ხელში
დიდებისაკენ რომ ინათებს ბინდსა და წკვარამს?!
ჰოდა, რა ნიჭი, რის ტალანტი, ან სიალალე,
ნიჭიერებას ყოფიერი სტანჯავს და ზარავს,
შენ იღბალი თქვი, თორემ ნიჭით გინახავს ვინმე,
რომ ბედნიერი მიჰყვებოდეს მის წილად სავალს?!

თუ გკითხონ ჩემზე!

თუ გკითხონ ჩემზე, თქვი, რაც გსურდეს, სიმართლის გარდა,
გამოიგონე და დამწამე ათასი ცილი,
თქვი, რომ ამ ქვეყნად არავის და არაფრის მწამდა,
ოღონდაც, არ თქვა, რომ შენც გედო ამაში წვლილი.
თუ გკითხონ ჩემზე, დამაბრალე სულ ყველა ცოდვა,
რომ ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვი, ქვეყანას მოსდე,
თქვი, რომ მჩვეოდა მკრეხელური, უაზრო ბოდვა,
ოღონდაც, არ თქვა, რომ რაც ვცოდე, შენს გამო ვცოდე.
თუ გკითხონ ჩემზე, თქვი რომ ნიჭი არ მქონდა ტრფობის,
რომ პოეზიით დაგტანჯე და ვერაფრით გარგე,
თქვი, რომ არ გახსოვს ერთი დღეც კი ყვავილით ტკბობის,
მაგრამ, ის არ თქვა, შენს სახლის წინ ია რომ დავრგე.
თუ გკითხონ ჩემზე, არ გამოტყდე, რომ გრძნობა გწვავდა,
ვიცი, ნიღბის ქვეშ ოსტატურად შეიშრობ ღიმილს,
თქვი, რომ ის, ვისაც კითხულობენ, არაფრით მგავდა,
რადგან, სიმართლე გაგიახლებს სინდისის ტკივილს.
თუ გკითხონ ჩემზე, თქვი, რაც გსურდეს, სიმართლის გარდა,
დაუფსე თვალი ყველა მკითხველს ნაცრით და სილით,
ნუ იტყვი, ოღონდ, რაც დღითიდღე მხრავდა და მკლავდა
და რომ მიგიძღვის ჩემს სიკვდილში შენც ლომის წილი.

ადრევე უნდა გეცადა!

ზარს ჩამოუკრავს ხევისბერს,
გაცოცხლდა შემოგარენი,
ბალღობას გზაკვალ გაყრილნი,
ხატობას შევიყარენით.

თოლებმა ჭამა დაგიწყეს,
გული ახვნეშდა, ტიალი,
აგრე მაუხდი სუფრასაც,
როგორც ცხვრის ხინკალს კვლიავი.

გიცქერ, თანა გცნობ, თან ვერა,
მაბნევ ქალაქის იერით,
ვაი, თუ სისხლ-ხორც გამადგე,
გული დამირჩეს მშიერი.

ამოიყარა ხინკალი,
ცხვრის ბეჭს გამოსდეს ქაფქირი,
ყელს ლუკმა აღარ გადმიდის,
თვალი გარეტდა გაქირი.

ძლივს შამაგბედე - ვისი ხარ?!
რომელი კუთხის, ქალაუ,
რომ ამ ხატობას ამიწვი
თვალი და თავის ქალაო.

გადიკისკისე პასუხად,
დალალი უკან გაჰყარე,
ისედაც თავგზა არეულს
საგონებელი შამყარე.

მემრე, უეცრად მიელვა,
ფეხქვეშ შემერყა მიწანი,
ჩემი ბალღობის ტოლ-სწორი,
ხალიან ყელით გიცანი.

ჟიპიტაურმაც დამძალა,
ბოლოს მაქცია ყბედადა,
გითხარ, რა ძლიერ მინდოდი
ჩემი ბალღების დედადა.

ჩემი კოშკის და გალავნის
სინდის-ნამუსის მცველადა,
შინ მოსულისთვის გეწვდია
წყაროს წყლით სავსე ხელადა.

თოლები აგიწყლიანდა,
თითქოს, პასუხი გეწადა,
მემრე, კბილებჩი გამაგცრა -
ადრევე უნდა გეცადა!

ახლა წყვილ ბალღის დედა ვარ,
ცოლი ვარ, ჯვარდაწერილი,
ჩვენი ბალღობის ტრფობამა
გაღმა წალალა წერილი.

სთქვი და კვლავ სავალს გაუდექ
იმ სატიალო ქალაქჩი,
შენ, ახლა, სხვა წესისა ხარ,
მე კი მთის წესით მთას დავრჩი.

აგრე გასრულდა ხატობა,
აქა - იქ დარჩნენ ღრეობად,
თვალები სისხლით ამივსო
შენთვის იმ ერთმა დღეობამ.

ხვალ ისევ არღუნს ავყვები,
არხოტ-არდოტის ხეობებს,
მგელივით, მთაში ვიცხოვრებ,
თავს ავარიდებ დღეობებს.

ვინძლო, სადმე არ წაგაწყდე,
ვაი, თუ თავ ვერ დავძალო
და შენი თავი შენს ქმარ-შვილს
ლეკივით გამოვაცალო.

ცხენს შემოგაგდო უბელოს,
ცროლის კალთაზე წაგლალო,
კაცის კი არა, ღვთისშვილთა
თოლებისგანაც დაგმალო.

გზას გავცქერ, ტუჩგაკვნეტილი,
ნასოფლარს ვგავარ, დამეწყრილს,
ადრევე უნდა გეცადა!
ყურს მხოლოდ ესღა ჩამესმის.

არღუნი - მდინარე
ცროლი — მთა საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

ამ მთებში...
(სიმღერა)

ხეობებს გაწოლილ ნისლებში მივყვები,
დარდს ვტოვებ ბილიკზე, გულმკერდში ჩანაქსოვს,
დღეს მე და ხეობა მარტონი ვიქნებით,
არც არვინ გვინდა და არც არვინ არ გვახსოვს.
ხავსიან ლოდებზე გადავფენ ქვეშაგებს,
წყაროს წყალს ვიგემებ დამსკდარი პეშვებით
და როცა ტოროლა მზეს უმღერს შესაგებს,
გულიდან ამოგდღლეზ მყინვარის ეშვებით.
ერთ კუთხეს დავიჭერ მწყემსების სადგომში,
ნაბდის ქვეშ დავმალავ პირღია იარებს,
დილის ცვარს ჩავიღვრი შენს ალაგ- ნადგომში,
სანამდე შენს წყურვილს არ გაატიალებს.
გულისთქმამ გონების ფიალა დამიშრო
და მაგ შენ სიტურფემ ასაკში წამშალა,
უარმა გასროლილ თოფის ხმა დამიხშო,
სიტყვების მომედო ამ გულზე სამსალა.
თამაში გინდოდა, შენ ბავშვი იყავი,
მე შენი სურვილი მკლავდა და მახრჩობდა,
ნერვებზე დახტოდი ჩემს წინ, ვით თიკანი,
ჩემში კი გრძნობები მწიფდა და არჩვობდა.
ახლა კი ნაბადი ჩამიკრავს მკლავებში,
ქალაქში შენ მიერ შერისხულ-ნაწუნებს,
თავს ჩავდებ შენს ნაცვლად მყინვარის კალთებში
და მერე დავუვლი მთის ყოილ ქალწულებს.
ეგება, თოლს მოვხვდე ვისმესას, ფიფქივით,
თვალებმა ამრეკლოს სასურველ წაწლისამ,
თან ამყვეს ძილის წინ, აბეზარ ფიქრივით,
ჟინი და სურვილი საწმერთულ-საცვლისა.
ვინ იცის, ეგება, გვირგვინიც დავიდგა?!
ხეობას ხმა ქუხდეს ზანზალაკ-ზარისა,
ამ მთებში ფიქალის კოშკიც კი ჩავიდგა
და მცველად გადვიქცე ხეობის კარისა.
დარდის ლოდ მწადია გულს გადაგორება,
და ნისლში ფიქრები, თანდათან, გაზავდნენ,
ვინ იცის, ამ მთებში გული და გონება,
ფიცვერცხლით შეეკრან, დასხდნენ და დაზავდნენ.

არადა,
ამბობდი
მიყვარხარო...

ფრთები ჩემი ხელით ავითალე,
დავალ რეტდასხმული ფოთიალით,
რადგან შენთან ერთად შემძლებოდა
მაგ ცოდვილ მიწაზე ბოდიალი.
არადა, ამბობდი მიყვარხარო,
ჩემს თავს ფიცულობდი, წარამარა
გრძნობის საუფლოში მიმყავხარო,
გზები რა ეშმაკმა გაგვიყარა?!
ჩემი სუნთქვა ხარო, მარწმუნებდი,
მუდამ სიახლოვეს ტრიალებდი,
ყველა სამალავში მნახულობდი,
მერე, ჩემს მკლავებში ფრთხიალებდი.
ჰოდა, განა, ყველა ზღაპარ-იგავს
მხოლოდ კეთილი აქვს დასასრული?!
ზოგჯერ, გმირს მიჯნური რაშით მიჰყავს,
ზოგჯერ, გმირი რჩება დაშაშრული.
მე ზღაპარში ჩავრჩი, შენ მის მიღმა,
ჩემგან რეალობას შეხიზნული,
გიმზერ, ორაზროვნად გიღიმივარ
შენგან ერთაზროვნად შერისხული.
ახლა ჩვენ ორს შორის კედელია,
გატეხილი ფიცით ნაშენები,
შენკენ - რეალიზმის გრიგალია,
ჩემსკენ - ოცნებების ნარჩენები.
ერთდროს ჩვენს სიყვარულს იფიცებდი,
მე - შეცნობილ ტყუილს ვიგუებდი,
ვიცი, რომ ვერაფრით იფიქრებდი,
მე თუ თავს საშენოდ ვიტყუებდი.
კმარა! შემინდვია, ჩემო თავო...
გტანჯე იარების მოყენებით,
ჰოდა, ხვალ დილიდან დავკავდები
ფრთების ისევ მხრებზე მოკერებით.

ედუარდ უგულავა

მიწა ვარ...

წვიმა თავის მშობლიურ მელოდიას უკრავს,
შენ თავდახრით მიდიხარ, ვდგავარ შენს ზურგს უკან...

აი, წამით ჩერდები, ორთქლით ხელებს ითბობ,
უკან არ მოიხედო, არც ვყოფილვარ ვითომ.

არ გაბრიყვდე და ჩემკენ თვალს ნუ გააპარებ,
თუ ნაბიჯი გადადგი, გზა განაგრძე ბარემ.

მალე გამწყდარ მძივივით გაიბნევი ქარში,
მე შავ ღვინოს დავისხამ და შავ სუფრას გავშლი,

მაგრამ, როცა წარბშეკრულს წყლად მექცევა ღვინო,
უნდა მკვდარი იმედი გვერდით მოვიწვინო.

ვიდრე ძვლამდე გამომხრავს მჟავე ჟანგი ჟამთა,
ალბათ კაცის ხვედრია – თმენა ჭირთა შავთა.

მაინც ვეძებ იმედში გადანახულ ერთ წამს...
მიწა ვარ და მიწას ვჭამ, ვიდრე მიწა შემჭამს!

თემურ ჩალაბაშვილს

ეს არ არის მხოლოდ სევდა,
გულს სიმძიმე აწევს ლოდის...
რა ლამაზად იცხოვრე და
რა კეთილად იღიმოდი.

მზე მოხატულ ცარგვალს გასცდა,
შეეფარა ფიქრის სურებს...
ამ ბოლო დროს, ფანჯარასთან
დგას გეტა და გზას გაჰყურებს.

ან ახალი მე რა გითხრა,
ფიროსმანის დოსტის დარო,
შენ ქართველი პოეტი ხარ,
მამავ, ძმავ და მეგობარო!..

სულ სხვა მადლი ჰქონდა შენს სულს
და ღამეებს, შემკრთალს თეთრად,
ღვინოს, შენთან ერთად შესმულს,
პურს, გატეხილს შენთან ერთად.

პოეზიის აშლილ შამბში
მოასვენე ძვლები ლომმა.
წევხარ ახლა იმ მიწაში,
სამშობლომ რომ მოგიზომა.

დრო მკაცრია, მიდის სწრაფად,
რომ წარსული გადათელოს.
შენ კი მალე, უფრო მძაფრად
ასტკივდები საქართველოს.

სისხლს მიდუღებს ძალა ლოცვის,
მკერდს, გადახსნილს, ვუშვერ ნიავს
და იმ მიწის ნაგლეჯს ვკოცნი,
სადაც მხრები გისვენია.

თემურ გოგსაძე

სიყვარულის უსასრულობა

დავხატავ თვალების,
კოსმიურ ანარეკლს!..
შენს მშვენიერებას-
ხსოვნაში დანალექს!
იქნება, სწორედაც,
ფერების კონებმა,
გააპოს, დრო-სივრცით,
დახშული გონება!..
იქნება, დაიშვას,
დრო, გამონაკლისი
და გადაგვეშალოს
არსი და საწყისი?!
რადგანაც ერთადერთს,
ჭეშმარიტ სიყვარულს,
აქვს ნება და ძალა,
შეეხოს დაფარულს!..
მოვხატავ სამყაროს,
შენს თვალთა სხივებით!...
იმ დროშიც, წრე-ბრუნვას,
მაგ შუქით მივები!..
ათასწლის სინათლის, გზის განაპირებით,
გიპოვე!
აღსრულდა, ღვთის დანაპირები!...
მის უსაზღვროება,
სიყვარულს-ღვთაებას,
შევთხოვ, ეს სიმები, იმგვარად გაებას,
რომ დაბადებიდან,კვლავ დაბადებამდე-
მუდმივად მიყვარდე! მუდმივად გიყვარდე!

გთხოვ ჩამეხუტე!

სამყაროს სიბრძნით,
ნაშობ სიყვარულს,
ყოველი მხრიდან,
სიბნელე უტევს?!
უერთმანეთო დროს-
გადაკარგულს,
როგორ უხდება-
გთხოვ, ჩამეხუტე!...

ჩახუტებაა- გარდამომტანი,
გალაქტიკების,
ენერგო-ველთა!..
ერთდება, ჩვენი, სული და ტანი
ვარსკვლავებს ბადებს,
სიწმინდე, ცრემლთა!..

,,ფეხთბანვის" მადლით,
გაშორებ ცოდვას!...
შენი სურნელიც,
სულ შევისრუტე!...
და ვიმეორებთ,
კოსმიურ ბოდვას-
გთხოვ, ჩამეხუტე!
გთხოვ, ჩამეხუტე!...

ამ ჩახუტებას,
არ აქვს ასაკი,
არც მანძილი
და დროში არ ქრება!
მარადიული გრძნობის არაკი-
არის სინაზე და საოცრება!

ეს ჩახუტება,
კურნავს იარებს!...
და ჩვენს, სიყვარულს,
საკმეველს უკმევს!...
სამყარო, შენთვის, გადმოვიარე,
სამყაროც, ჩემთვის
შენა ხარ, უკვე!...

ქალდევ-კოლხ-იბერიაო

არსით-თორმეტი სარკმელის,
გარდმოხსნის ჟამი დგებაო-
იწყება საიდუმლოთა,
ღვთის ნებით,აღსრულებაო!...
დასაბამიდან უფალთან,
ღირსებით,
წილ-გიყრიაო,
თითქმის, სამყაროს ხნისა ხარ-
ქალდევ-კოლხ-იბერიაო!...

კავკასით-პირინეიმდე,
სიბრძნის მახვილის მპყრობელო,
მზე-ლომთა ტახტის მემკვიდრევ
და ბევრ, მოდგმათა მშობელო!-
სამყაროს კანონთა გონი,
ერთარსად, შეგიყრიაო!...
ახლაც, გასტყორცნე სინათლე
ქალდევ-კოლხ-იბერიაო!...

შენი კოდია-ღირსება!...
ბევრს, მხოლოდ, ბევრი ჰქვიაო!
ჯვარცმულხარ!..,
მაინც გიქნია,
რაც ღვთისთვის, აღგითქვიაო!...
კაცობრიობის მტერთათვის,
ქედი არ მოგიხრიაო!...

ჯვარცმა-აღდგომის სიმბოლოვ,
ქალდევ-კოლხ-იბერიაო!...

მხილებაც და შეფასებაც,
ღმერთისთვის მიგვინდიაო,
რა ვქნა, არ არის, სხვა ერი,
რომელსაც, ბრძოლასთან ერთად,
სამყაროს მემკვიდრეობის,
სათავე დაუდიაო!...
გვკლავდნენ!...
გვართმევდნენ!...
გვპარავდნენ!...
თავისუფალი ნება, კი
ვერავის დაუპყრიაო!...
ანბანში-ამეტყველდები
ქალდევ-კოლხ-იბერიაო!...

წამოდექ!...
,,შეიბ მახვილი"!...
ნება ღვთის, აღასრულეო!...
პლანეტებს დაეტოლება,
შენი ,, ჩაკრულო"-,, ლილეო"
შენი გენომის სიხშირე,
სამყაროს თანხვედრიაო!...
სამშობლოვ ჩემო, უკვდავო
ქალდევ-კოლხ-იბერიაო!...

სრულობა-უსასრულობა!

ჩემში შენი სახება,
ღვთისგან გადმოხატულა-
ლოცვა-სადღეგრძელოდ!..
ჩემო თვალებხატულა,
ჩემო აკვარელო!...

კოსმიური ნიშანი,
ცაზეც გამოხატულა,
რაღა გავაგრძელო?!
მიყვარს:- დედა-სამყარო!..
შენ და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო !

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ყრუთა ბანაკებს

ბავშვთა გნიასმა დაბინდა ზეცა,
შავი ზვირთები კლდეთა ქიმს სწვდება,
ცა მრისხანებით შფოთავს და ელავს,
სამყარო კიდით-კიდემდე ღელავს...
        გადაუარა ყრუთა ბანაკებს
        ტანჯულთა გმინვამ, ოხვრამ და ვნებამ,
        ამ სისასტიკეს რატომ ვამრავლებთ,
        საიდან მოგვდგამს, ღმერთო, ეს სნება.
თუ შეგრჩენიათ აზრი - გონება,
მინდა, ეს სიტყვა გავახმიანო,
ვცდილობ, სამყარო გავამზიანო,
„შენ, რას ჩადიხარ ადამიანო“!..

შენ უწყი უფალო

როცა დიდ წყვდიადს ჩამოშორდა ნათელი სხივი,
დაიწყო ათვლა და ავიდგი პირველად ფეხი,
გაურკვევლობის, დამთრგუნველი - მუდმივი შიშით,
გავხდი ერთგული მონაწილე ცხოვრების ღელვის.
        ვტკეპნე ბილიკი, ბევრი დავთმე, ბევრი დავკარგე,
        ცხოვრების გზაზე შევიძინე მრავალი მტერი,
        ჩემი ძალებით უღრანები ვეღარ გავკაფე,
        სულის სივრცეში დავაგროვე სამყაროს მტვერი.
ვთესე გრძნობები და მოსავალს ვერ იმკის თვალი,
გავცდი სამყაროს - დამეკარგა განცდები წრფელი,
ვბრუნდები უკან, ვერ წავშალე წარსულის კვალი,
დავეძებ ძალას ამოვკრიფო სხეული ჩემი.
        ვკრიბე აზრები, შორსმჭვრეტელი, ბრძენთა საფერი,
        როგორც მაესტრომ ვერ ავკინძე ბგერის სამება,
        ვერცერთმა სიტყვამ ვერ გამოთქვა სწორად სათქმელი,
        გულმა, გრძნობებმა, სურვილებმა იწყეს გახლეჩა.
ფუჭი აღმოჩნდა, ყოველი გზა, ყველა მცდელობა,
კოცონის ალზეც ვერ გავალღვე ჩლუნგი გონება,
გულმა პასუხი ვერ მიიღო, რასაც ელოდა,
ან კი, საზრისი ამ ცხოვრების იცის რომელმა?
        მხოლოდ შენ, ღმერთო, მეუფეო - არსთა გამრიგევ,
        შენ ხარ ნათელი, ყოვლისმცოდნე და შორსმჭვრეტელი,
        შენი სიბრძნიდან, უშურველად, შენს განძს არიგებ,
        უზადო ნიჭით, შეუმცდარად უწყი ყოველი.

ვალი მაქვს...

ბოროტი ზრახვებით იპყრობენ ცის თაღებს,
დამუქდა სამყარო, გამრუდდა სიმართლე,
ეს ბუნდოვანება ნათელ გონს მიბრმავებს,-
გამეფდა ბილწება, სიგიჟე, სიბრაზე...
ძნელია ხატება უფლისა - სიტყვისა,
ამ გაუგონრობას მორჩილად იტანდე,
დრო, ვატყობ, არ ითმენს, და თუ არ იცისკრა,
მოთმენით, სიჩლუნგით ვერაფერს მივაღწევთ.
როცა მზე ადიდდა, მაკურთხეს მიწად მე
და დამაქვს სიმძიმე მიწიდან - მიწამდე,
მწამს, რწმენით გავაქრობ ბუნდოვან მირაჟებს,
ვალი მაქვს, ვაუწყო ცის სულებს სიმართლე...
გუშინ მზე ავზიდე ბეჭებით მწვერვალზე,
დილამდე ვანთებდი ცის გულზე ჩირაღდნებს,
გავფანტე სიბნელე - დავფერფლე მზის ალზე,-
ქვეყანას ვაკმიე - სიცხადე, - სინათლე...

ცის ამბიონთან

ვნახე ცხოვრება სიგიჟესთან წილდადებული,
დაუნდობლობა, უგნურება - ზღვარგადასული,
წუთისოფელი გამოვცადე შხამგარეული,
ვიყავი მონა, მხევალი თუ მეფის ასული.
ვიღაც აჩრდილი ჩემს სისუსტეს წონის მისხლობით,
ჰარი-ჰარალედ ჩამომარცვლა ჩემი ცხოვრება,
დედამიწაზე გართულია ყველა მისნობით,
უმეცრებაში დაიკარგა სულის ცხონება.
ვერც ჩინ-მედლები აწონიან დიდებას,- პატივს,
ბევრჯერ გვირგვინიც გადაიქცა მკაწრავ ეკლებად,
როცა სიცხადე, საბოლოოდ ბნელს ფარდას ახდის,
სულს ნაფლეთები შემორჩება ანარეკლებად...
ირხევა წამი, გამშვილდული ცის ვარსკვლავებად,
მესმის, - სამყარო შორეული მეხმაურება,
არ ვიცი, როდის, მთვლემარე დღეც აბობოქრდება,
იდუმალება სულის სიმებს ესალმუნება.
როცა ჩამოშლის თავის სხივებს მზე ალიონთან
მტრედების გუნდი აიშლება ცის მაყრიონად,
მიწას დავტოვებ აზვირთებულ სანაპიროსთან,
ზეცისა ძალნი გაბრწყინდება ცის ამბიონთან...

მომაგონდებით მეგობრებო

როცა დაღარავს კლდის ნაპრალებს ნაკადულები,
როცა წრეს შეკრავა მთამაღალზე - გუნდი ორბების,
დაჰბერავს სიო გაზაფხულის უცხო სურნელით,
მომაგონდებით, მეგობრებო, მომაგონდებით...

გიწვევთ, გეძახით - გაზაფხულის ფერთა ზეიმზე,
გაყინულ გრძნობებს თქვენი ნახვა ისევ აანთებს,
ეს მონატრება გადალახავს დროთა ჯებირებს,
ეს სიხარული ამიყვავებს სულის ბაღნარებს...

გიხმობთ, გეძახით - ეს ძახილი ხევებს მიაპობს,
როგორ მომინდა, მიპასუხოთ ექოს ქუხილით,
ალბათ, იხსენებთ - ეს ხმაური რასაც გიამბობთ, -
იქნება შევძლო, შეგახსენოთ ჩემი წუხილი...

არსთა გამრიგემ ზამთრის მოსვლა უკვე გვაუწყა,
გვინდა, არ გვინდა, წლები ისე სწრაფად გავიდა,
წუთისოფელმა ტკივილები უხვად გვარგუნა,
ბევრი თქვენგანი ამქვეყნიდან უკვე წავიდა...

ახალგაზრდული გზნებით გიწვევთ ახალ ფერხულში.
ბედაურები ავარჩიოთ თეთრონებიდან,
წრფელი ქილიკით გავამხნევოთ ისევ ერთურთი,
დავლაშქროთ თურჩუ, ასხის მთები და გადრეკილა.

ხმა-ჟრიამულით გავაღვიძოთ ჩვენი მთა-ბარი,
დავდგათ კარვები, ვიბურთაოთ ჩასადივარში,
უფსკეროს ტბიდან ამოვყაროთ ცივი კალმახი,
და ვარსკვლავები ამოვთვალოთ ზეცის კალთაში.

შევახოთ ხელი მთის მწვერვალებს, ნისლის მირაჟებს,
თეთრი ცხენები ვაჯირითოთ - ცის მეიდანზე,
მერე ჩამოვყვეთ წყალვარდნილის კარსტულ მდინარეს,
მზის განახლებას დაველოდოთ დილის ცისკარზე.

დადიანებში ჩავატაროთ, ისევ, მეჯლისი,
დიდებულების გავაღვიძოთ ძველი ბაღნარი,
გარდასახვებით გავაკვირვოთ შორი მერმისიც,
ისევ ავანთოთ გორმაღალზე ჩვენი ვარსკვლავი.

ეთერ ჭელიძე

*

მომასხი ლაბადად ეგ შენი მუზები
ეგ შენი ნამზერი მიკმიე სანთლებად,
მასწავლე ჯოჯოხეთს რარიგად უძლებდი
ან შემოფლეთილი დრო, როგორ ნახლდება!
გულსაკიდს თუ დარჩა სურვილის ადგილი
იმედის ხატებთან შენში რომ სახლდება.
ლოცვებში ჩაღვრილი თუ არის ნამდვილი
ის, რასაც არ ელი და მაინც ცხადდება!
მომასხი ლაბადად შეშლილი სიზმრები,
მითხარი სად არის მართალთა ადგილი.
რა არის ის ძალა, ასე რომ ვიცვლებით...
ჩვენსა და ღმერთს შორის რად ჩნდება მანძილი?!

დროა...

სიყვარულის რიგში ჩავდგეთ
თუში ხარ თუ ფშაველი,
სვანი ხარ თუ იმერელი,
მეგრელი თუ კახელი,
ერთი სისხლის ჯიშისა ვართ
ერთი ფესვის ნართველი,
მთავარია ვიშვით ერთსულ,
ერთხორც როგორც ქართველნი!
სიყვარულის რიგში ჩავდგეთ
დავივიწყოთ წყენანი...
ყველამ ერთად ქართულ ქვევრში
ქართულ ვაზის მტევანი,
სიყვარულით ვაბადაგოთ,
გამოვწუროთ შარბათი,
გავიხსენოთ სული წმინდა
პირჯვრის გარდასახვამდი!
მოსამკელსაც ვუპატრონოთ
ზვრებია თუ ყანები,
აღარ უნდა ვაბატონოთ
რჯულგამწყრალი ხანები...
სიყვარულის რიგში ჩავდგეთ,
მორჩეს ერთ-ურთ კბენანი,
დავივიწყოთ შური...შუღლი,
რაიც გვავნებს ღმერთმანი!
გადავფურცლოთ ისტორია,
გმირთა მრწამსი, ვარამი...
ქართველობა ღვთისსწორია
საძირკვლით და გალავნით,
სიყვარულის რიგში ჩავდგეთ
გლეხი ხარ თუ თავადი,
სავარძელზე მაღლა დავდგეთ!
მშვიდობაა მთავარი!!!
ამიტომაც სულერთია
გურული ხარ, ფშაველი
ხარ რიგთი ჯარისკაცი
შენი ქვეყნის დამცველი,
აქარიშხლე შენი აწმყო,
მხოლოდ შენი მყობადი,
ნერგი უნდა ვადიადოთ
საქართველოს მომავლის!!!
სიყვარულის რიგში ჩავდგეთ
გლეხი ხარ თუ თავადი,
სავარძელზე მაღლა დავდგეთ!
სამშობლოა მთავარი!!!

თეატრალიზებული ეპოქა!

შეუცნობ დროის ქვაფენილს
ისევ ამოყრილს, ვალაგებ...
ხალიჩას ფეხქვეშ დაფენილს,
საშემოდგომოდ დავაგებ...
მიუხედავად იმისა
სხვადასხვა ეტაპს გავდივართ,
ეს კიბეც ვერ გამიგია
ასვლას ვერ ვასწრებთ, ჩავდივართ...
სიკეთეც არსად სწერია,
სადაც სავსეა მარცვალი,
გაბღენძილია ის ღერო,
ფშუტეა, რომლის თავთავიც!
შეუცნობია არსობა...
თეატრალიზმის ეპოქა!
საკუთარ მოძმის დამხობამ,
ვერ შთაგვაგონა შენდობა!
შევყურებ ბროწეულივით
ალმურმოდებულ სავანეს,
ტუჩმოკვნეტილი სურები
რომ გადადიან ალავერდს...
და ფიქრსაც, ილაჯმოცელილს
ვეღარ ვასწავლე დუმილი,
მკლავს აპეურებდაწყვეტილს,
ერის ერთობის წყურვილი!

ასეთია ჩემი სვანეთი

ეცეკვება არწივი მზეუკოცნელ ქარაფებს.
ლაჟვარდებთან თამაშის, შენც სურვილი გიჩნდება,
ამ დროს, დალი ნისლებზე ამზეურებს დალალებს,
ოქროსფერი ტალღების მოფერება გინდება...
გეფონება საამოდ ხევებიდან ნაბოლქვი...
ჩანჩქერების სიტურფეს წამით ვეღარ სცილდები...
თუ სათქმელი ბოლომდი, ბოლომდი ვერ ამოთქვი,
აგიმღვრევენ გონებას მოტრფიალე ნისლები.
მერე გაივაკებენ, სადღაც გრძნობის მარმაშით...
რძისფერ ნაკადულები დაგიმსხვრევენ დილემას.
სამყაროს მზეს იპოვნი კალმახებთან თამაშით,
სად ენგური ჟანგისფერ ლოდებს იბნევს ღილებად.
ჩოხის ყველა სამასრეს, შევერცხლილს და მთებიანს
იისფერი ქალწული სიყვარულით დაქარგავს
და თუ უშბის უძლეველ ბეჭზე ჩამოგეძინა,
ლილეს საგალობელი კავკასიონს დალაშქრავს!
აქ, ბუნების სიტურფის ამოუხსნელ მითების,
თუ მოლიპულ ღრუბელზე ფიქრი აგიცურდება...
მზის კბოდედან ეშვება ჩანჩქერებად რითმები,
მადააშლილ მუზებით ლექსი დაგიპურდება!
ჩაუქროლე ოცნებით მზეუკოცნელ ქარაფებს?
ლაჟვარდებთან თამაშის, შენც სურვილი გიჩნდება...
როცა, შხარის ტინებზე დალი გაშლის დალალებს,
ამოუხსნელ სიტურფის მეგზურობა გინდება!

* * *

ქუჩას მისდევს სევდიანი ქალი
ეს ზაფხულიც გაპარულა სადღაც
და ხელკავით მიაცილებს ქარი
ნუშის, ატმის და ტყემლების ბაღთან.
მოეფერა, შეუმშრალა ღაწვზე,
ნაკადულად მორაკრაკე ცრემლი,
– ნუ ინაღვლებ თუ გრძნობების ნამცვრევს
შენში მოაქვთ მოგონება მწველი...
მზე ამოვა, გაივლიან კვლავაც
ჩვენთან ერთად და უჩვენოდ წლები,
გაწვიმდება , დაგვითბება ისევ
გავლილი და გასავლელი გზები...
შემოდგომაც ჩამოფერთხავს, სადღაც
კვირტებივით მსხმოიარე ფიქრებს,
ხან მაისის დილა შეგიფუთავს
მზის ფურცლებზე მიმოფანტულ სიზმრებს!
--ნუ ინაღვლებ ბედს ვერ შეცვლი, რადგან
იწერება, იბადები როცა...
დუმდა ქალი დარდნათოვლი, ზღვასთან
და დუმილით აღავლენდა ლოცვას!

*

მე რომ მიცვნია სახატედ
ის ღმერთი ახლა სად არის?
მისი თვალები დავხატე,
მზის დედასავით გამთბარი.
მისი ფრთების ქვეშ შეყუჟულს
ვერ დამეწია მოშურნე,
და ხმელ ფოთლებად
შექუჩულს,
ვერ დაუდექი მეურვედ.
მე ჩემებური მჭირდა და,
იმედს ვერ გამოვეცალე.
ორპირი ქარი მეძახდა,
კარის გაღებას ვეცადე,
ისე შემაგდო ნიავმა
მხრებიც კი შემომალეწა,
სიბნელე გამიღიავა
და ვარსკვლავებთან მაცეკვა.
გადამავიწყდა საზურგეს
მოკიდებული გოდორი,
დარდის ფურცლები დავხიე
ჯვარად დავსახე ,,გოდოლი".
ყველა ბორკილი შევხსენი
მოთალხისფერო განთიადს,
ახალი ოდა შევქმენი
მზე, რომ სარტყელად არტყია
და სიწრფელიდან სისავსის
ქოხი, ბწკარებით დავხურე,
ხმები ჩავახვშე სიავის
და მირონწყალი ვასხურე.
ასე შევიცან სახატედ
თავად, ბუნება კაცისა
მადლობა, რწმენის ფიალა
ბოლომდე რომ არ დაცლილა!

19 ივლისი

გაზიარებულია აუდიტორიასთან „საჯარო"
ცხოვრება ასეთია გგონია ცის კამარაზე
მნათობი, არასდროს დასევდილა,
ათასი რამ უნდა გადაგხდეს,
რას იზამ ცხოვრება ასეთია...
არ გახსოვს, ცის შუქი როცა ნახე,
იმ დღეს, მზე ხომ არ დასეტყვილა...
ვარსკვლავი, შენი მოსახელე
სხვის ბედად ხომ არ დაწერილა?
შეგპირდნენ, არასდროს გეტკინება,
ბავშვობა სულ ვარდის ფურცლებია,
იმ ვარდსაც ყოველთვის ელხინება
ვარდს, უკვდავების სურნელიანს.
შეგპირდნენ, მაგრამ რეალობა
რელსიდან გაქცეული ვაგონია,
იმდენი რამე გადაგხდება
თავს ვერ დააღწევ აგონიას...
წამიდან წუთებში გადადიხარ,
წუთებს საათები წაულეკავთ,
დრო, წამ-წუთების სახადია
წლებს, ულაყებივით გაურეკავთ...
უცებ გავიწყდება ქარაშოტი,
არადა ბისონად გახვევია,
სიკეთისათვისაც, განაშოლტი
იარა სულში გამჩნევია...
უძლებ, კიარადა, ეომები
დრო, შენი ფარი და ნამგალია,
ფერდშელეწილი მოგონებით
ხმა შენი, სტვირი და არღანია.
უკრავ სიყვარულის სიმებიან
ისევ სიყმაწვილის გიტარაზე,
შენი ფიქრები რომ გიყვებიან
ამბის, გულის გულთან მიტანამდე...
იქვე, ახლომახლო, გასხეპილი
შენი „ერთგულების" ჩიტბატონა.
ჭორებს მიმოფანტავს ატლეკილი
შენზე, გრძნობებმა რომ იბატონა...
ლესავ დღენიადაგ დროის მახვილს,
ფარად, უდროობის ნამსხვრევია...
ნუგეშს დაგადევნებს ვიღაც, დაღლილს,
– რა ვქნათ ეს ცხოვრება ასეთია...
თავზე ისევ გადგას ცა, მბრუნავი,
საწუთროს გზებიც დამღლელია...
ჯერ სიცოცხლეა საზრუნავი,
მერე, ბედის წიგნში რაც წერია...

მალვინა ჭელიძე

მონატრება!..

მომენატრბით ვიცი ძალიან,
ნეტამც ძალიან არ მომენატროთ,
მინდა მოვხატო ფუნჯით ტკივილი,
მინდა ლამაზი ფერებით ვხატო.
მოვხატო ზეცა ნათელ სხივებში,
ისევ აცეკვდეს წვიმის წვეთები,
რა ძნელი არის სიშორით დაღლა,
არადა ბედისწერას ვნებდებით.
ჩამოწვა თალხი,ბინდია ირგვლივ,
ღამე, დუელში მიწვევს და მითრევს,
ქუჩა,რომელიც გაივსო ხალხით,
რა უსასრულო ტკივილებს იტევს.
ნეტამც, არასდროს არ მომეხატა
სული ლამაზი,სული დაღლილი,
მოუყვებოდი სამყაროს ზღაპარს
პირ მომცინარე,ლაღი ბავშვივით.
მინდა მოვხატო ფუნჯით სიცოცხლე,
ლამაზ ფერებში მინდა მოვქარგო,
უსასრულობას ვიტევ და ვითმენ,
ნეტამც ძალიან არ მომენატროთ.

აქ ხომ ჩემი სამყაროა!

ცაში აჭრილ ღრუბელს ქარი
ნაზად აფერადებდა,
ფერთა გამად აწყობილი
ზეცად ანიავებდა,
სევდის ალში გახვეული
მძვინვარებდა გზადაგზა,
წვიმა,ცრემლად მომდინარე,
მოჰყვებოდა ქარდაქარ.
დარდი ღრუბელს აედევნა
და ზეცამდე აიჭრა,
შხარამ ბეჭზე შემოისვა
მზის სხივებში ჩაიწვა,
თეთრი მთების გაყინული მზერა
ისე აკრთობდა,
წყვდიადიდან მომღიმარეს
დარდისფერად ათოვდა.
აქ წვიმები ,ნაკადულად,
ისე მოედინება,
ჭიუხვებში ჯიხვთა ჯოგი
ისევ მოეფინება,
მზერას ისევ ავაყოლებ
მონავარდე არწივებს,
კლდის ქიმიდან აფრნილებს,
ბინად, მთები არჩიეს.
მოგონებებს აყოლილი
ვითვლი, უხმოდ ნაბიჯებს,
შიში რაა, მე ენგურის
ბობოქრობა მაგიჟებს,
შეუცნობელ სილამაზემ
ცის სარტყელი დაიპყრო,
აქ ღმერთების სავანეა
ღმერთმა ბინა დაიდო.
არა, აღარ გამაგონოთ
ღამე სუსხის თარეში,
აქ ხომ ჩემი სამყაროა,
ნუ ალეწავთ ქარებში,
თურმე,როგორ მენატრება
ბილიკ -ბილიკ დავეშვი,
და რამდენი მირბენია
ამ საოცარ მხარეში!...

* * *

ისე გამიწვიმდა შუა გზაში,
როგორც წყაროს წყალი, ანკარა,
ფიქრებს, ჯერ აწყობილს,
მერე დაშლილს,
სევდა შეჰპარვია აშკარად.
სეტყვა დარევია ვერხვის ტოტებს,
ფოთლებს სიცოცხლე არ აცალა,
ჩემთან,სამია და უკუნეთი,
წვიმამ ფოთოლცვენა დათვალა.
ისევ აეცეკვა ფანჯრის მინას
ციდან დაშვებული წვიმები,
მე, კი ,შევეჩვევი ყოველ წუხილს,
თქვენი, კარგად ყოფნის იმედით.
სეტყვა,ვერხვის ტოტებს დაერია
მართლაც ჩამოვიდეს ლამის ცა..
თითქოს უკუნეთი ღამეა და
მზე კი მთის ფერდობზე ჩაიწვა!
,,შეშლილმა ქარებმა
ტოტები გაძარცა,
მადლობა უფალს რომ
ფოთოლი გადარჩა"...

შემოდგომის ფოთოლთცვენა!

დაჰქროდა ქარი,
ბინდისფერი იყო საღამო,
ისე ციოდა,
შემოდგომას ცრემლი სდიოდა,
ნაწვიმარ ქუჩას მიუყვები
ფიქრებით მთვრალი,
ყოველი ფოთლის დაცემაზე
გული გტკიოდა.
ისევ შეავლე ხავერდოვან
ბუნებას თვალი,
იყო სიმშვიდე,
თვალთა მზერა
სადღაც გაგექცა,
გაძარცულ ტოტებს მოწყვეტილი
ბოლო ფოთოლი,
ბოლო იმედი,
სიბრალულით
ფეხთით დაეცა.
ქარი აშარი
ააცეკვებს
მიმოყრილ ფოთლებს,
იქნებდა ერთ დღეს,
ვინცობაა,
გამოიداროს,
ოქროს ფერებში შემოსილი
აიჭრას ზეცად,
რომ აღარასდროს,
აღარასდროს,
აღარ იდარდოს.
ეს შემოდგომა,
მე იმ ქალის
ფიქრებს მაგონებს,
ნაქარბუქალი დღეებიდან
იმედს რომ ძერწავს,
ცრემლი, წვიმებად
დადენილი გულს რომ
აღონებს,
ღვთის სიყვარული
ნაბიჯ-ნაბიჯ
დაჰყვება მწყემსად.
ფანჯრის მინაზე
აცეკვებულ
წვიმის წვეთებთან,
ამ უსასრულო
მონატრებას ისევ ნებდები,
მზის მცხუნვარებამ
სიკაშკაშე
მოჰფინა ფერთა,
ღამის ქუჩებში შეყუჟულან,
სადღაც მტრედები.
იქნებდა ერთ დღეს,
ვინცობაა,
გამოიداროს,
რომ აღარასდროს,
აღარასდროს,
აღარ ვიდარდოთ!

კესანები!

ღამე...
მთვარის შუქზე
მშვიდად იძინებენ,
დღე კი იშლებიან
მთელი ნეტარებით,
სადღაც ოცნებებში
ნაზად ბიბინებენ,
ბევრჯერ შევთავაზე
გულის მესამედი.

დღისით
მზის სხივები
როცა აწამებდა,
მე,მის სანუგეშოდ,
ვერა,
ვერ წავედი,
გულის, გულში მიზის,
მთელი გრძნობით მიყვარს,
გაშლილს ბაღნარებად
ვეღარ ვეპარები.

ქარში მიმოფენილ
ფიქრებს ავედევნე,
ზეცად
ავიჭერი,
ღრუბლებს ვეფარები,
მინდვრად
ფეხშიშველიც
ბევრჯერ მირბენია,
გულზე დამებნია
ნაზი კესანები!

* * *

სული ზეცამდე ამაღლებული,
უფალო შენ თქვი
რაც უნდა მეთქვა,
უკუნი ღამე განათებული,

მადლობა ღმერთო
რამდენი მყევხართ.
მთვარე პირქუში თავს
რომ მარიდებს,

თუ გაემიჯნა ამაღამ ზეცას,
რას არ გაუძლებ,
რას არ დაითმენ,
თუ სიყვარულით
ახლოს ხარ ღმერთთან!

* * *

სიმართლის სხივი,
ალამაზებს სულის სამრეკლოს!
ფუნჯის გარეშე დავიწყე ხატვა,
უსასრულობას ვაფერადებ თვალდხუჭული,
ცისარტყელებში
ვერ აღვიქვი სამყარო,
რადგან...
ამოვიჩემე შუა ზღვაში ფიქრის კუნძული.
მე დავემსგავსე უნიჭო მხატვარს,
მოვხატე მდელო, ნაწვიმარი,
სულის სამრეკლო,
ლაბირინთებში ჩაძირული
სიცრუვის მგოსნებს
ვერ მოუხატე ზეცის სამეფო.
ვარსკლავთცვენაში ვხატავდი ნისლებს,
ზეცა მეჭირა ხელისგულებით,
ფანჯრის მინაზე
აცეკვებულ წვიმის წვეთების,

ვხატე სიტურფე,
დარდი სჭირდათ განუკურნელი.
შავი ფერები უსახსოვრე
ქარსა და წყვდიადს,
ფერთა გამებში ჩაძირული
მინდა ავეწყო,
ვერ მივაყენებ უსასრულო
სამყაროს ზიანს,
ამ შეუცნობელ სილამაზის
ვალი დამედო.
მოვიშველიე დღის ნუგეშად
მშვიდი ფერები,
სინათლის სხივი შემოიჭრა
დარდის გარეშე,
ფუნჯის გარეშე თუ მოვხატე
სულის სხეული, ღმერთო ძლიერო,
მაშინ, რატომ უნდა დავეცე!...

ნელი საგინაძე

* * *

ვერაფრით უფალო, ვერაფრით უარგყოფ!
იყივლე მამალო და შემოუნათე
ამ, შებნელებულ თვალს სინათლის რიჟრაჟი,
იყივლე მამალო, თორემ ცას შეასკდა
ეს გაუხედნავი, სულის ლურჯა რაში!
იყივლე და დილას მოადგი გვირგვინი
ნათელით შემოსე ამ დღეთა პერანგი,
იყივლე, იჩქარე განთიადს ხმა მიეც,
რომ ბნელი მოშორდეს შლეგი და ვერაგი!
იყივლე, რომ ცისკრის ჟამნები დაიწყოს,
ამ ლოცვით, ბნელისგან სინათლის ხაზსა ვყოფ
მესამედ კი არა, გინდ ოცჯერ იყივლე
ვერაფრით უფალო, ვერაფრით უარგყოფ!!!

ჩემი სულის ფერები

დღეს უეცრად ამობრწყინდნენ
ჩემი სულის ფერები!
მზის სხივებმა ამიკინძეს
მარგალიტის მტევნები!

აქეთ კრწანისს ავუყევი,
ყაყაჩოებს ვეწვიე,
მეწამული შემოეცვათ
ამ პაწაწა ველ- მინდვრებს!

იქეთ დიდგორს ჩავუყევი,
ზურმუხტისფრად ელავდა,
მარტყოფი კი შეუმჩნევლად
ცისარტყელას კერავდა!

სვეტიცხოველს მოვეფერე,
მტრედის ყელის ფერი ეცვა.
ჯვარი მაღლით აბრწყინებდა
ფირუზისფერ ლილის ზეცას!

მერე თბილისს ჩავეხუტე,
ხოხბის ფერი დაედო,
ქართლის დედას ცერცვის ფერი
გრძნობა გულში ჩაედო!

ზეთისხილის ფრად ბრწყინავდა
ძველი დედა სიონი,
კავკასიას თავზე ედგა
ფერი ერისიონის!

შამქორის ველს მკერდს ეკიდა
ლალისფრების ამალა,
სამცხე-მესხმა ცაში შეჰკრა
არწივისფრის კამარა!

კოლხეთს, სვანეთს ავუყევი
ოქროსფერის მზერითა,
გურულების,აჭარლების
სული გათბა მღერითა!

რაჭის მთებმა გამაოცა
გონთა ტაძრის ფერებმა,
მრავალძალის, ნიკორწმინდის
მადლსა მწიეს ბერებმა!

ფარავნის გზა, თრიალეთი
ვაზისჯვრისფრად ელავდა,
ღვთიმსმშობელი რწმენის ფერში
ქართველთა სულს ფერავდა!

ფშავ-ხევს-თუშებს,მეგრ-აფხაზებს,
ცვარისფერი დაედოთ
უფალს თურმე, მთლად
ღვთისფერად
საქართველო აეგო!

ბოლოს კახეთს მივაშურე
გრემს, ალავერდს ვეწვიე
ფერთა სხივნი სულისანი
უფრო მეტნი მეწვივნენ!

მოდით, ყელს შემომეხვიეთ
ათინათთა ბგერებო,
ალმასივით მობდღვრიალე
ქართულ, სულის ფერებო!!!!

* * *

ლაშარის გორაზე ლუხუმი წამოდგა!
გაყუჩდა ამინდი,
ქარებიც ჩამდგარან,
თვალებზე ცრემლები
შემშრალა..
მიდიან..
შეჩერდა საგულეს ეს ,გულიც ტიალი
ვიღაცა ღრიალებს
სამშობლოს ჰყიდიან!

რამდენი ბრძოლები
და სისხლის წვეთები,
დაღლილა ბოლომდე
ქართველის სხეული,
არ უკვირთ არც კვნესა..
და მტერი ხარბ თვალებს,
შეფარვით აპარებს
აქ, ჩემსკენ ჩვეული!

სადა ხართ ძირძველნო..
მომხედეთ..
მზის შვილნო..
იახსარ, კოპალა, ხოგაის მინდია
მიშველეთ..
იუდა კვლავ მობრუნებულა
და ისევ ვერცხლებად
ჩემს მიწას ყიდიან!

რამდენჯერ უფალო..
ამ მიწას სხეული
უფლირთეს, უგლიჯეს სულ ბოლო წამამდე.
სხვადასხვა ურდოთა
ცხენების ფლოქვებით
არ მინდა, ქრისტიანს
ამ, ჩემს სულს ვწამლავდე!

აიხსენ..
ამირან, როგორმე ჯაჭვები,
მჭედლები წასულან
აქ, აღარ არიან.
გაღუნე..
გაწყვიტე..
ეგ, რკინა ოხერი
თორემ მტრის ქარები
მობრუნდნენ, დაჰქრიან!

იმედი არ მოკლათ
ამ, სულში ბოლომდე,
რადგან აქ, ღმერთია
მომხედავს, ხომ ვიცი.
ღალატი უცხოა ქართველის გულისთვის
და სისხლის წვეთამდე ერთგული მის ფიცის!

კვირია, თერგაულ, ბუქნია, გიორგი..
გამოსჩნდნენ ღვთის შვილნი
სულ ცეცხლის ალებით
და სწრაფად, წამებში, თვალუწვდნელ
ადგილას
შორს..სადღაც ღრიალით
გარეკეს ქარები!

ნაბრძოლი დამშვიდდა, დაწყნარდა სამყარო,
ამღვრეულ დღის ნისლში
მზის სხივი ჩამოდგა.
წამოდექ სხეულო,
ღმერთმხრებშებჯენილი
ლაშარის გორაზე
ლუხუმი წამოდგა!!!

ილია ჭავჭავაძეს

ერისშვილობა, ღვთისკაცობა და ქართველობა
მძიმე ხვედრია, ძნელი არის, არ ადვილია,
ტყვია, რომელიც საქართველოს ესროლეს ზურგში რაკობდა,
ერის საქმეებს წინ უძღოდა სულით მზიანი,
იმ წამხდარ დროში,სანთლით უნდა ეძებ-ეპოვა
რადგან არ იყო ყველა კაცი-ადამიანი!
ხან წერილები გაატანა იმ, ჩვენს მოხევეს
ეხ, ლელთ-ღუნია,საით მიხვალ, რა განდეს -ვისთან?—
ვიცი ,ტანჯული საქართველოს ამბავი მიგაქვს
ალბათ, ბეთლემის გამოქვაბულში ჩვენს განდეგილთან!
კახეთშიც ჩახვალ, გადაეყრები ოთარაანთ ქვრივს,
შემოგიტკბება წინანდლის სიო გრილი,საამო,
ჩამოივლი და დიდხანს, დიდხანს ფიქრად გაგყვება
რითი უშველო, რით მოეხმარო „გლახის ნაამბობს!“
ყვარლის გზას ურმით გაუყვები ჩემო მეეტლევ
გრემს გასცდები და გზა დაგხვდება ბნელი, ყანჩაღი,
კუდიგორის გზას ტკივილიან ფიქრს გააყოლებ
ცხენის ფლოქვის ხმა შემოგესმება „კაკო ყაჩაღის!“
მე, რა გიშველო, რა გითხრა და რით გაგახარო,
იმედად, მხოლოდ მე, ერთი მყავს ეს“ ქართლის დედა“,
რადგან ქართული წილი მიწის შვილია ისიც
და მასთან თხოვნას და საუბარს შვილივით ვბედავ!
ო, ლელთ-ღუნია, განა არ ვიცი რა გტკივა სულში?!-
„ჩვენი თავი, რომ ჩვენადვე უნდა, ჩვენ გვეყუდნოდეს“,
დიახ, ასე გინდ ღმერთისკაცო, გინდაც მოხევევ,
ეს საქართველო ქართველს, ქართველს „უნდ ეკუთვნოდეს!“
კაცად ჰყოფილხარ ჩემო კარგო, მართლაც საქები,
შენ ყველას არგე და წესები წესებად დარგე
და ჩვენი დიდი, სულნათელი ილიასავით
შენი სიტყვები ძეგლისწერის კანონად დადე!
სტკივა ილიას ნატყვიარი, ღია იარა
ვფირობ მალამო მაინც მისი ყვარლის მთებია,
ჩემო სამშობლოვ, აწმყოში ბედი თუ ვერა გწყალობს
კარგად ხომ ვიცი, მომავალი მაინც შენია!
რადგან ქართველნი დღემდე ვდგავართ დედაბოძივით,
მართალ ხალხისთვის არ არსებობს-„ეს, სულ ერთია“
და წიწამურთა ჩემო დიდზე, დიდო მგოსანო
საქართველოსთვის გული ტყუილად არ გიფლერთია!!!

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ, გულმართალი, კაცური სიტყვით
და რასაც ვამბობ, კვლავაც ისევ თამამად ვიტყვი,
ღმერთო, ადიდე საქართველო კიდით--განამდე,
ქართველი ვარ და არავითარი ---მაშასადამე!
მე ქალდ-იბერის-ივერიის ძველი ერი ვარ
და თეთრ თორაში გამოწყობილი წმინდა ბერი ვარ,
მთის არწივი ვარ, ბარში ყვავილი ნაზი იების
იცით რა მქვია?!--კაცი მქვია კავკასიელი!
ღმერთია ჩემი რწმენის ლოდიც, ჩემი პატრონიც,
უხსოვარ დროდან ხელჩაკიდულნი მოვდივართ ორნი,
მასთან მყოფი გზა უკვდავებისკენ მიმავალია
დანარჩენი კი მაცდური და წარმავალია!
მე, პაპაჩემის გენები მაქვს ისე ძლიერი
ეს მოდგმა ვიცი, ოდითგანვე იყო იბერი,
სვეტიცხოველში დაფენილი კვართის მცველი ვარ
"მამაო ჩვენოს" ყოველ წუთში ვგალობ, ვმღერივარ!
ქართველი მქვია და ვეფხისტყავზე ვარ გამოზრდილი ,
უფროს- უმცროსის კანონებით ვარ მე აქ ზრდილი,
ადათი, წესი, ტრადიცია მაქვს ყველა ჩემი
რის უცხოელი, კავკასიის არწივად ვრჩები!
დიახ ასეა, ბარისაც ვარ და ვარ მთიელიც,
ქრისტე უფალმა მიწოდა მე კავკასიელი,
ბერი მთები მაქვს შემორტყმული წელზე ვედრებად
ჩემს ქართულ მიწას, ვერა მიწა ვერ შეედრება!
ლაზარეც მქვია, მეგობარი ვარ ჩემი უფლისა
და მფარველად მყავს სვეტიცხოველი, გრემი, უბისა,
ღმერთი ამ ჩემს სულს, ჩასახლებია სიმართლის სწორით
ვისთანაც დღემდე არ მოუგია არავის ომი!
მე ჩემის ნებით, ჩემი მიწის მქვია მძევალი,
ამ ხელებით მაქვს დაწურული ყველა მტევანი,
იმ გზის მცველი ვარ, ძველთაგანვე ქრისტე რომ ერქვა,
წმინდა ნინომ რომ მის სიმბოლოდ ,ჯვარი თმით შეკრა!
მე, ვაჟკაცობის იქეთ რა ვქნა სხვა გზა არ ვიცი,
ღვთისმშობელთან მაქვს დადებული მე, ესე ფიცი,
დროს ვერ დავკარგავ, არ მჭირდება არვის სიზმრები,
ტყუილს ვერასდროს, ვერაფრით ვერ შევეხიზნები!

ეხ, ვინ რა იცის დემეტრე რომ მყავდა წინაპრად,
დიდი ვახტანგი და ერეკლე მის მეინახად,
დღემდე სიტყვები "დავითიანნის" უფლამდე აგვაქვს
"საწამებელი ოქროსაი" კვლავ ზურგით დაგვაქვს!
ქართული მიწა სამოთხეა , მე აქ ვიზრდები
ჩემს საქართველოს ცოცხალიც და მკვდარიც ვჭირდები,
ძალა მაქვს ხარის, არწივისა და ლომისანი
ალგეთიდან ვარ ,სადაც იბადნენ ლეკვნი მგლისანი!
ქართველო, მეტი რაღა გითხრა დაშვრა კალამი,
რაც დაგიწერე და რაც კი ვთქვი, ვთქვი მე მართალი,
გამოიღვიძე, შენს ეზოში უკვე გათენდა,
წუხელ ჭიშკართან ცისკრის ვარსკვლავმა ღამე ათენა!
ის დრო ჩამოდგა, ვთქვა ხმამაღლა და მიტომ ვყვირი,
ყველა ქართველნი იცით, რომ ვართ თურმე მზის შვილნი?!
სად მივილტვოდე, ვოცნებობდე, ნეტავ სად ერთი?
გაჩენის დღიდან თავზე მადგას გვირგვინად ღმერთი,
ეს ყველაფერი მაშინ რატომ, რისთვის,სადამდე?!
მე ქართველი ვარ, არავითარი--- მაშასადამე!!!!

თოვს

თოვს. უშენობა მომეძალა ამ სითეთრეში,
მე კი ჯიუტად ყველა ფანტელს ვარქმევ შენს სახელს,
თითქოს ხვდებიან ეს ლამაზი ფერიები და
სულ სიყვარულით მიკოცნიან თმებსა და სახეს!
გადაათეთრა, ო რა ძლიერ გადაათეთრა,
თოვლის ზეწარში გაეხვია მთელი სამყარო,
ვერსად ვერ გხედავ, მენატრები და ლამისაა
შენს მოსაძებნად, ფანტელების ჯარი ავყარო!
თოვს. ალბათ ,იქნებ ჩემს ჯინაზე მუხლამდეც დადოს,
მე კი ჯიუტად, თეთრ ფიფქებთან შენს სახელს ვამხელ,
მილეული დღე გაედევნა სადღაც ფანტელებს
და ასაფურცლავ კალენდარზე დრო ფურცელს ახევს!!!

"ანდრია" ანზორ შერვაშიძე

☆ლუციფერ☆

|

საღად ვიხილე: თითქოსდა
ცა გახსნილიყო სრულად,
ყოველ ხორციელს ვხედავდი
გადაქცეულებს სულად.
კაციც, ფრინველიც,
ცხოველიც
სუყველა აღმა დიოდა,
ხიდად ვიდევი, სულ ყველა
ჩემ მკერდზე გადადიოდა.
ბოლოს გამოჩნდა ცხოველი,
თეთრი, ფითქინა ცხვარი
ბაკუნით გადადიოდა,
მკერდზე დამბერტყა ცვარი.
მან მიმანიშნა დაბლითკენ,
მოჯარულიყვნენ მხედრები,
კრავმა მაუწყა: "ისინი
ცოცხლადვე გახდნენ
ცხედრები;
ისინი შურმა დაღუპა
მშობელმა ყოვლის ცოდვის
ანგელოზიც კი ძირს დასცა,
ლხენა ეცვალა ოხვრით.
ლუციფერს უფლის რჩეულს
"დღეს მფლობელია ურვის"
მან გულში იგრძნო
მჩხვლეტავი
შეპარვა შავი შურის.
"გულში რომ შური გაჩნდება
გამომწვეველი ავისა,
გულის სისხლს შური ერევა
სისხლი იმღვრევა წამისად"
თავკისერ დაბლა დახრილმა
ღმერთს მზერა სტყორცნა
ველური,
მასში ზნემ ფერი იცვალა,
სახე გაუხდა გველური.
მას შემდეგ სტანჯავს უბედურს
მარადიული ტკივილი,
იმის მიმდევართ სჩვევიათ:
გამუდმებული ჩივილი.
არ პატიობენ სხვას ცოდვას,
საკუთარს კარგად მალავენ,
ნახავენ სადმე ღირსეულს
გააზრებულად შხამავენ.
იმათ თუ ცოდვებში ამხელ
ხელებს აწმენდენ სატანას,
მან გვაცდუნაო ამბობენ,
არა გვაქვსო მისი ატანა".

||

მკერდის მარცხენა მხარეში
ფრთები შემომკრა გრიგალმა,
გულისცემაზე ხმაური
ატეხა გულისფიცარმა.
მარცხენა ბეჭით დაბლა ვდევ,
მარჯვენით ზეცის კიდეზე,
ორივ სამყაროს განვიცდი
როგორც შემდგარი კიბეზე;
მაღლა სიმშვიდე, სიწყნარე,
აღუწერელი სიამე.
დაბლა ბუღი და მტვერი დგას,
მიწის სიმძიმე, სიავე.
მიწა გახეთქეს აჩრდილთა,
გააღეს საფლავთ კარები,
წელზე ხმლები აქვთ შებმული,
მხრებზე უელავთ ფარები.
ერთერთმა ბრძანა: "სუყველა

მადლმოსილ საყდარს
ვეწვიოთ,
ვილოცოთ უფლის წინაშე
და საყდრის კარებს
ვემთხვიოთ.
უფალს გავანდოთ ყოველი
რაც არის ჩვენი მიზანი,
უფალმა თავად განსაჯოს,
მოგვცეს თანხმობის ნიშანი.
შევჩივლოთ უფალს რაც
გვტანჯავს,
რაც არ გვასვენებს
ფიქრისგან,
ნახავს რომ ვნანობთ ჩვენს
ცოდვებს,
განსხვავებულად მითისგან.
ადრე ლუციფერს მეძახდნენ
უფლის ნათელით მოსილს,
ახლა შიშის და ზიზღისგან
მხოლოდ სატანად ხმობილს.
ბევრმა მოკვდავმა დამწამა:
რომ ვიყავ მისი მაცდური,
თითქოსდა ყურში ვუჟღერე
სიავის ჩონგურ-ფანდური.

|||

მთის წვერზე იდგა საყდარი
სოფლისკენ გადმომზირალი,
მის ცალ გვერდს წყალი
შხუოდა
დაბლითკენ ჩამომდინარი.
საყდარი თვლიდა მრავალთა
საუკუნეთა, არა წლებს,
ცა დარაჯია მოკვდავთა,
თვალს არა ხუჭავს, არა
თვლემს.
ბევრსა ჰყვებიან ამ საყდრის
შესახებ მითებს, არაკებს,
თუმცა მასზედა რაც თქმულა
მის სახელს მხოლოდ
ამაღლებს.
ამბობენ თურმე ამ საყდარს
სვეტი რამ ადგას ნათელი,
სვეტი ზეციდან ეშვება
ხედავენ მხოლოდ ბავშვები,
საყდართან მიმავალი გზა
მეტად ვიწროა, კლდოვანი,
თუ უფლის მადლი არ მოსავს
ვერ ავა იქა მცხოვანი.
შუაღამეა ბუნებას
დაჰფინა მთვარემ სხივები,
ნამის წვეთები ირეკლავს
ანათებს როგორც მძივები.
საყდრისკენ მავალ ბილიკზე
მიდის ბნელეთის მხედრობა,
ძალასა ჰმატებს წინსვლისას
მათ სულიერი ერთობა,
მათ არ იციან რა ელით,
რას გადაუწყვეტს უფალი,
მხოლოდ სურთ უფალს
მიჰგვარონ
სულები თავისუფალი.
რა მიეახლნენ სალოცავს
დაწინაურდა სატანა,
ძალამ საყდრისამ ძირს
დასცა,
ვერ შეძლო თავის გატანა.
მაინც იბრძოდა ბედშავი,
მის ზურგზე კანი სკდებოდა,
შუბლზე ნაკაწრი გაუჩნდა
თითქოსდა იმ წამს კვდებოდა,
ხელის მტევნებზე, ფეხებზე
ნალურსმნევები დაეტყო,
საყდრის კარს ხელი შეახო
ფერდი შუაზე გაეპო,
უეცრად ალი ავარდა,
მათ სხეულთ ალი მოედო,
მიწაზე ყველა მოკვდავებს
მზერა საყდრისკენ მიეპყროთ.
ცეცხლი სრულიად მოედოთ
სატანას შავ-ბნელ მხედრობას
პანორამულად მოსჩანდა
ცეცხლი საყდრის ქვეშ,
ფერდობად.
შემოეძარცვათ სხეული,
ალმა სრულიად გაწმინდა,
ლუციფერ კვლავ აკაშკაშდა
ვით უწინ იყო სულ-წმინდა.

|V

არ გაუვლიათ ჩემ მკერდზე,
ფრთები გაშალეს ნათელი,
ზეცისკენ ნელა დაიძრნენ
მოჩანდნენ როგორც
სანთლები.
ბევრი შემორჩა მიწაზე
ეშმაკის ცილის მწამებნი,
ეშმაკს უფალმა შეუნდო
მომნანიებელს წამებით.
ჩემზე რა გითხრათ არ ვიცი,
უფალი თავად გადაწყვეტს,
ან დაბლა მიწაზე დამცემს
ან მიწას ხელით ამაწყვეტს.
მარცხენა ბეჭით დაბლა ვდევ,
მარჯვენით ზეცის კიდეზე,
ორივ სამყაროს განვიცდი
როგორც შემდგარი კიბეზე.

* * *

მეც მთის შვილი ვარ არწივო,
სულით ვარ ლეგაფრთიანი,
ჩემი სახლი და ეზოა
სვანეთის მთები კლდიანი.
შინაგან ძალას მანიჭებს
ჩანჩქერთა ჩქერა ხმიანი,
ან როცა მთებში ირწევა
ლილეო ომახიანი,
როცა მთის წვერზე შევდგები
ცას თითქოს ხელით ვეხები,
თითქოს ღრუბელთა მიღმიდან
მოსჩანს თვით ღმერთის ფეხები,
თითქოსდა ძალმიძს შევძახო:
უფალო აქ ვარ მეზობლად,
არწივი ამირჩევია
ჩემი ცხოვრების მეგობრად.
აქა ვბინადრობთ შენს ახლოს,
არა ვართ შენგან შორადა,
მიწაზე, დაბლა ცხოვრებას
არც განვიხილავთ ჭორადა.

☆პლატონის გამოქვაბული☆

ფიქრით გავარღვევ ხანდახან
        გარს შემოჭედილ არტახებს,
შორს საძოვრებზე გავუშვებ
        გონების მშიერ არხარებს.
ჩვენ არცკი ვიცით, ვერცა ვგრძნობთ
        დახურული გვაქვს სარკმელი,
მხოლოდ მას ვხედავთ ბნელეთში
        რასაც გვინათებს სანთელი;
თვალს და ყურს გვტაცებს გარემო,
        მოხატულ – ამოქარგული,
სწორად უწოდა პლატონმა
        ამ სივრცეს გამოქვაბული.

ნინო უძილაური

ნინიკოს

ბედის ვარსკვლავო და საჩუქარო,
ჩემო თვალხატულა მზეო,
გულში ჩაკირულო სულის ქნარო,
ვხარობ, ვცოცხლობ, შენით ვმხნეობ.
ალბათ ქრისტეშობამ მისაჩუქრა,
დროში ჩემი უკვდავება,
შენი სახელია ის შუქურა,
ნათლით ღმერთსაც რომ მისწვდება.
ბედის ვარსკვლავო და საჩუქარო,
პირმცინარე ნატვრისთვალო,
ჩემო სიცოცხლევ და ზურგის ქარო,
ჩემთვალსხივჩამდგარო ქალო.

დედამიწა

დედამიწა დედანია,
ანი ბანი, ჰოე,
შემეწიე ბეთანია,
შემეწიე პოეტს.
შევიმეცნო გარსის არსი
და შევიცნო ღმერთი,
დავასრულო გულში ფარსი,
ვთქვა მიყვარხარ მეთქი.
დედანია დედამიწა,
ჭანი, ცანი, ძილი,
ლოცვით სული ზეცას მისწვდა,
სანთლად მოღვენთილი.

დუმილი

დუმილი არტახებდახეული,
არის დათმენა ომში,
სიმშვიდე სიბრძნეში გახვეული,
გამარჯვებულა ორში,
ნაცადი ხერხით მორგებული,
ასჯერ გაზომილი გზებით,
დროსთან მაშინ ვართ მოგებული,
როცა მოგონებად ვრჩებით.
ახლაც ამ დუმილით ეს სიჩუმე,
ისევ უსასრულო გახდა,
ჩემთვის, როგორც უწინ, კვლავ ვისურვე,
ღმერთის სიყვარულის განცდა.

თბილისს

მთაწმინდიდან ვუცქერ თბილისს,
ვმღერი მე და მღერის დილა,
მეტეხიდან უფლის სხივის,
მადლი სულში შემოჭრილა.

მეც თბილისის მეხოტბე ვარ
და თბილისის მიყვარს ღამე,
მტკვარზე ისევ მოსჩანს ტივი,
ტივს დაჰყვება მთვრალი მთვარე.

აქ მეარღნე და დუდუკი,
თბილისს ისევ ეფერება,
სიონისკენ ჩახვალ თუკი,
ლოცვაც წამოგემღერება.

ნარიყალას, მამა დავითს,
ეფერება და ათბობს მზე.
ვეფერები მე ჩემ ქალაქს,
მთაწმინდიდან ალიონზე.

არჩევანსა და არადანს

გადავიფურცლე წარსულად,
ზღაპრად სათქმელად... არადა,
ვერ გავუძელი ცხოვრების,
შემოჩეჩებულ არადანს.
მეზღაპრე რჩება სცენაზე,
არჩევანს გასდის თან ვადა,
ესეც წარსულის ხვედრია,
დრო გვიპასუხებს თავადა.
ბედმა ამ წუთისოფელში,
დამწერა ლამაზ არაკად,
დრომ შემიწირა და დავრჩი,
დროში შეწირულ ზვარაკად.

საქართველო

უფლით მადლმოსხმულო,
ღვთისგან ხელდასმულო,
დარდი, ცრემლი არ მაჩვენო,
რწმენის ხატად ქმნილო,
მზედ გაბრწყინებულო,
ილხინე მამულო ჩემო.
ჩემო საფიცარო, დედა საქართველო,
ლელოს კვლავ გაიტან დღესაც,
ძმებო ქართველებო,
რჯულის დამცველებო,
ლოცვით ვწვდებით მზეს და ზეცას.
ჩემო მზის ალაგო, ცაო ქართლისაო,
მთებო, ჭიუხებო ჯიხვთა,
არწივთ სამფლობელო,
ჭირთა მედგრად მთმენო,
მიწავ საძვალეო გმირთა.
ქრისტეს მხედრებო და ლოცვავ მადლისაო,
რწმენავ უკვდავ ვაზის ჯვრისა,
მრავალჟამიერო,
გენო ქართლისაო,
რწმენა არ დაკარგო ღვთისა.
წარსულს არ ივიწყებს აწმყო წამიერი,
მიწა გმირთა სისხლით მიწა თბება,
ისევ ისმის ჩვენი მრავალჟამიერი,
ხარობს მამული და ტკბება.

მთვლემარე ზღვასთან

ღამის უკუნში ჩამოვჯექი მთვლემარე ზღვასთან,
მსურდა დარდები გამექარვა მთვარესთან მარტოს,
ერთი სურვილი გამეგზავნა იმ გულის ხმასთან,
ფიქრად მოსული მოგონებით დღესაც რომ მათრობს...
და მინდა ისევ მაფხიზლებდეს ღამის ჩურჩული,
სიოც ტალღებად მეხებოდეს მთვლემარე ზღვასთან.

ჩემო

მე სიყვარული მქვია,
ჩასახლებული შენში,
თბილ სიოდ მონაბერი,
მოგესალბუნო ყელში,
ვარ სიხარული შენი,
შენი ფიქრი და დარდი,
მსურს შეგისახლდე მკერდში,
მოგფინო ია - ვარდი,
მოგეალერსო მარად,
შემოვეფარო ჩეროს,
ჩემი ცხოვრების ფარად,
ხარ გაჩენილი ჩემო.

ბაღში

ბაღში აყვავილდა ალუბლები,
ეზოში ჰყვავის ვაშლი,
ბაღის ბოლოში კი თეთრი ბლები,
ყვავილებს ჯერაც არ შლის.
სხივი ატმისფერი ზეცის კიდედ,
ფერებს უწნავს აპრილს თმაში,
მოდი, მომეხვიე ერთხელ კიდევ,
ბზარი შემერია ხმაში.
ბაღში აფეთქებულ ალუბლებთან,
კვირტებს ალუჩაც ხომ გაშლის.



თენგიზ ფანცულაია

მე ყოველთვის ყოველ დილას

მე ყოველთვის, ყოველ.დილას,
ვილოცები ქართველ ერზე,
თან მადლობას ვეუბნები,
ყოველ გათენებულ დღეზე.
ვილოცები წასულ ძმებზე,
კიდევ თხოვნა ჩემ ცოდვებზე,
ვილოცები მეგობრებზე,
საამაყო ერთგულებზე.
ვილოცები ქართველ.გლეხზე,
მშრომელსა და ღონიერზე,
ვილოცები ოჯახებზე,
და ჩვენ ქართულ ფუძე ფესვზე.

წყლულს არ უამებ ერსაო

თუ შენი ლექსად ნაფიქრი,
წყლულს არ უამებს ერსაო,
თუკი ვერ ამხელ იმ ძალას,
ვინც რომ სიძულვილს სთესსაო.

თუკი არ აქებ მშრომელს და
სოფელში ოფლის მღვრელსაო,
არ წარმოაჩენ მეცნიერს,
ნიჭიერ ინჟინერსაო.

თუ შენი ლექსის ბწკარებით,
პატივს არა სცემ ღმერთსაო,
თუ არ ნატრულობ სამშობლოს,
ერთიანსა და და მთელსაო.

თუ არ აცილებ ავადმყოფს,
მოძალებულსა სენსაო,
არ უხალისებ მოძმეებს,
ყოველ დილას და დღესაო.

თუ არ აღვივებ გულებში,
ტრფობისა ძალას მწველსაო,
შეყვარებულებს ბწკარებით,
აღარ უმართავ ხელსაო.

თუკი არ გახდი ქართველ კაცს,
ხალისიანს და მხნესაო,
უგულოდ ჩვენი ნაწერი,
უფრო ახარებს მტერსაო.

ვინც ეფერება კუთხეებს
ლამაზი სახლის ჭერსაო,
ვუდღეგრძელებდი სულყველას,
ნიჭიერ კალმის წვერსაო.

ვინც რომ ზემოდან უყურებს,
დამწყებს, ლამაზად მთქმელსაო,
მორიდებულად ვეტყოდი,
რომ გზა დაუთმოს სხვებსაო.
პ.ს:
ბოლოს კი ერთი თხოვნა მაქვს,
უბრალო ცოდვილს ერთსაო,
ხომ არა ვცდები თბილებო,
აზრს ველოდები თქვენსაო.

დაგვიჯდება ძალზე ძვირი

სოფლად ხალხი რომ არ დარჩა,
გული კვნესის, ხშირად ვტირი,
ვცდილობ ცოტა შეგაფხიზლოთ,
ყოველ დილას ლექსად ვყვირი.:

ერთი გვქონდეს ყველას ლხინი,,
ერთი გვქონდეს გასაჭირი,
თორემ შუღლი,შენ-ჩემობა,
დაგვიჯდება ძალზე ძვირი.

მტერი რომ არ გავახაროთ,
მოდი ყველამ შევკრათ .პირი,
ქვეყნის ფერებ-შენებაში,
შევიტანოთ ჩვენი წვლილი.
პ.ს.
თანამოძმეს მოვეფეროთ,
მასთან ქცევა გვქონდეს
თბილი,
ორგულსა და მოღალატეს,
მწარედ დავუნაყოთ ცხვირი.

ერთი ნატვრაც

საახალწლოდ ემზადება,
მშობლიური მთა და მდელო,
ღმერთო, შეგთხოვ ჩემი ერი,
ამიყვავო, გამიმთელო.
გევედრები ნუ გაგვწირავ,
უფალო და ღვთსმშობელო,
უცხოს ხელში არ ჩააგდო,
გმირი ერის სამფლობელო.
ერთი ნატვრაც ამისრულე,
ცოტა უნდა მისაშველო,
ღმერთო!!! ქართველს
შეაყვარე, ქართველი და
საქართველო.!!!

ზენაარო გეხვეწები

ზენაარო გეხვეწები,
დამილოცე ჩემი ერი,
დაიცავი, ააარიდე,
ყოველგვარი განსაცდელი,

ცუდისაგან განაშორე
თანამოძმე, ახლობელი,
გულიანს და მადლის მთესავს,
ყველგან მოუმართე ხელი.

ნუ იქნები გზაცდენილის,
უსამართლოდ განმკითხველი,
ლმობიერი გამიხადე,
ზოჯერ მკაცრი ბრალმდებელი.

შვილზე მოფიქრალი დედა,
არ გახადო ცრემლის მდენი,
გთხოვ,რომ აღარ მოუმატო,
დარდი, სევდა, სატანჯველი.

ქართველებს არ მიაკარო,
ბოღმა, შური, ყველა სენი,
ვინც შესცოდა ან დაიბნა,
ეშმაკისგან დაიხსენი.

გლეხი კაცი და მშრომელი,
გამიხადე ღონიერი,
სოფლად სახლი არ მანახო,
მიგდებული, ცარიელი.

მაპატიე ამდენ თხოვნას,
რომ გაკადრებ, ერთი ბნელი,
რა ვქნა, კარზე მომდგარია,
გვიტევს ყველა სახის მტერი,

დამილოცე, მიდღეგრძელე,
სიკეთის და მადლის მქმნელი,
ამიყვავე გამიმრავლე,
ჩემი ხალხი ძველისძველი.

კვლავ გაწუხებ დამილოცე,
დღეს სტუმრები სასურველი,
მჭერმეტყველი თამადა და
გულიანი მასპინძელი.
პ.ს:
მომეძალა ფიქრი, მე ნაბახუსევზე
ცოტა პირადულზე, ამ ჩვენ
ტანჯულ ერზე,
ყველას სატკივარზე, საშიშ
განსაცდელზე,
ლამაზ სამშობლოზე და ჩვენ
მოსავლელზე.

ისევ ვაწუხებ მოწყალე უფალს,
რომ შეეწიოს ერს,
ცოდვილებზე და უმადურებზე,
ნუღარ აიღებს ხელს.

მანანა სამყურაშვილი

იქ მინდა სადაც მართალნი...

რამის გავიჭრა მთაში ბღავილით
და თავი უღრან ტყეს შევაფარო,
იქნებ ამ ხარბი დროთა სვლის მერე
ცოტა სიკეთეს იქ შევეყარო!...
იქ კი არა მსურს, სადაც ნადირებს-
ყოველდღე გააქცთ წეწვა და გლეჯა,
იმ უღრანებში სადაც კაცთმოდგმის
არ მომესმება სულ- ხორცის გლეჯა!...
სადაც მაღალ ღმერთს დაუდგამს ტახტი,
სადაც არც გლოვა და არც შურია,
სადაც კაცთ მოდგმა ერთურთს ელიან,
სადაც ტრფობა და სიყვარულია!...
სადაც მოყვასი, მოყვასს უყვება
რით გაახაროს სხვათა გულია,
სადაც მომდური არვინ შემხვდება,
ანდა სხვის შურით აჯაგრულია!...
იქნებ ცოტა დრო რაც დამრჩენია,
იქ მაინც ვპოვო სულის სიმშვიდე,
რომ მამა -პაპის მარადიულ გზით
მათთან მშვიდად და წყნარად მივიდე...
იქ მინდა სადაც ფულის გულისთვის
შეფიცული ძმა, ძმას არ გაჰყიდის,
სადაც სიყვარულს პეშვით მოგაწვდის,
მთის წყაროსავით- ჩქეფით გადმოდის!...
იქ მინდა სადაც შური და ბოღმა
არც გაუგიათ და არც იციან,
ბრაზით და ჯიბრით კი არა,
სიტყვას კრძალვით რომ იტყვიან!...

.მადლობა ღმერთო!...

ვერ ჩავუარე მიწას გულგრილად
სადაც წინაპართ ძვალთსალაგია,
იცოდეთ, მათ სულს მტერზე დაგეშილს-
ხელები გულზე არ ულაგია.
ყაყაჩოსფერად შეფერილ კრწანისს,
ალმურად ასდის სისხლის ფერები,
იქ მოჩუხჩუხებს სისხლი წინაპარის-
ებაასება ველთა ჩქერები.
აქ დააბიჯებს დღესაც ერეკლე,
აქ ულესია დიდ დავითს ხმალი,
ცეცხლწაკიდებულ მტერთა ურდოებს
აქ, ასდენია უმქრალი კვამლი.
ფიქრი მოვწალე, თუხთუხებს გული,
ხმალი ალესე, გახსენებ დავით!-
ნიკოფსით- დარუბანდის კარს გაშალე-
ოდეს ნამიჯნი ფირმანი- ნუ გიდევს თავით!...
ვერაგი მტერი გვიმცირებს მამულს,
შემოესია კლარჯეთს და ტაოს!...
კაბადოკიის ქარო წმინდანო!
ნუ მიასწავლი ქართველთა იმ გზას-
საითაც მოდის წმინდანი ნინო!..
ჰერეთის კარზე ჩამოიქროლე,
ხმლით დაგიხვდება წმინდა გიორგი,
მიწის რა გითხრა, იქ, ტყვე ქართველთა-
მფარეველადა დგას წმინდა გიორგი!...
ექვსიათასი მოწამე ბერი გარეჯს ეხვევა,
უწყვეტელია მკლავთა ჯაჭვი შემოვლებული,
მტერმა იხილა აქ უფალი ოქროს კვერთხით,
ზეცის თაღიდან, მიწის გულზე
ცეცხლის სვეტად ჩამოვლებული...
ჩვენი მცველია ძე უფლისა და მისი მშობელი,
თვით მამა ღმერთი- ყოვლის მბყრობრლი,
მადლობა ღმერთო, შენს ხელისგულზე
მტერი გააქრე ქართველთ მბყრობელი!

ექოდ მომწივის...

გავიდიდგორებ,წივის, ვატყობ სისხლი ქართული,
ძელქვას ეხვევა ხმლითნაწყვეტი ძარღვი პაპისა,
მე ვერაფერი დამიმარცხებს ქართულ ჯიშ-ჯილაგს,
ექოდ მომწივის გააფთრებული ხმალი კახისა!...
ჭრელ ბაღდადივით გაიშლება ლოცვა ქართული,
აჭიხვინდება შლეგი ცხენები ფაფარაშლილი,
ასწიე თასი,თქვი სადღეგრძელო მრავალტანჯულის-
სამშობლოს სული ვინც დაუტოვა აფრააშლილი!...
მღელვარე სული სასმისივით დაცლის სიცოცხლეს,
მზე ჩამოდნება, ტაძრად დარეკენ გლოვის ზარები.
ვის უნახია მუხლს დაცემული მეფე, ქართველთა,
მათ სადიდებელს შავ აფთარივით ყეფენ ქარები...
კვლავაც ავკენკავთ სულის ბაღში მანანას მარცვალს,
ამოვიცოხნით ოდეს ჩაყლაპულ სიცოცხლეს ტიალს,
ნამცვრევ ბალახზე გალაქტიკა დაუშვებს ფარდებს,
პეშვით მოგიტანთ მიწისგულმკერდზე მობნეულ იას!

უფლის დიდებით მოვდივარ...

ნურავინ იფიქრებთ ბოდიალობსო,
თქვით: შაშვთა ნოტებზე გალობსო!-
ბულბულივით სტვენს დილით და
მისით სამყარო ხარობსო!...

შხამის ფიალა რამდენი,
უსუნთქეფლად დავცალე!
მაძალეს აქეთ- იქიდან, სვი!
პირუბრმა ვეღარ დავთვალე!...

ამბობენ: ღმერთი სწყალობსო,
ტანჯეს, მაინც ახილებს თვალებსო!...
სულ არაფრად არ მიიჩნევს-
ამდენ ვაებას, დარდებსო!...

იცის, ვის დახვდეს მოყვარედ,
ვის მიუხურავს კარებსო!...

გოლიათს არაფრად აგდებს და
არვის დაჩაგრავს მხდალებსო!...

ჰო, ასე შემქმნა უფალმა,
დღეს მაზიარა მზიანს!
ცაზე ავანთებ კელაბტარს,
ღამეს შევიგრძნობ მთვარიანს!

ნურვინ დამძრახავთ თუ ვეტრფი
პოეტებს ოქროს კალმიანს!...
უფლის დიდებით მოვდივარ,-
ვერ მიცნობ ქრისტეს ალმიანს?!...

ვუსმენ მტერსა და მოყვარეს,
ვუსმენ მახმადას ჩალმიანს!...
ნურვინ დამძრახავს მათში თუ
ავირჩევ ოქროს კალმიანს!...

შემყვარებიხარ!...

შემყვარებიხარ საწუთროვ,
ვეღარ განებებ თავსაო,
სწორი ნაბიჯით მოგყვები
ნუ შემყრი ჭირს და ავსაო!...

სული ბუდიდან აფრინდა,
მუზა მიარღვევს ცასაო,
მზევ შენთან მოვალ, სხივებით
ნუ შემიკვეცავ გზასაო!...

ნუ ჩამომადნობ, ვით სანთელს-
ნუ დამცლი წვეთ- წვეთადაო,
    გავშალო მინდა ფესვები-
        მიქციო ათასადაო!...

ხეზე მომისხი ნაყოფი
ღირობდეს საცქერადაო,
მესმოდეს ირგვლივ ყოველი
სიტყვანი საქებრადაო.

ნუ გაიმეტებ კაცთ მოდგმას,
ნარ- ეკლის საგლეჯადაო,
მტერს ნუ მიუგდებ საცოდავს
ყვავ- ყორანს საგლეჯადაო!...

შემყვარებიხარ საწუთროვ,
ვერ დაგანებებ თავსაო!
ვერ გაგეყრები ნებით და
ნუ ამარიდებ თვალსაო!

მომხვიე, ხელი მომხვიე,
ასე გაუყვეთ გზასაო!...
გულს ნუ აირევ ჩემზედა-
ნუ ამომინთხევ შხამსაო!...

ტკბილად შევირგოთ რაცა გვაქვს,
არ ვყურობ რა აქვს სხვასაო,
ბევრს კი არა გთხოვ, არ ვიღებ
ჩემს გულს ავსა და ხარბსაო!...

რაცა მაქვს სხვასაც გავუყობ,
ჭირთამთმენს ვიცნობ ბევრსაო,
მუხლდაცემული რომ მოდის,
სწყევლის უიღბლო ბედსაო!...

ჰოდა, საწუთროვ მომხვიე,-
ნუ ამარიდებ ხელსაო!...
დამპირდი, რომ გაახარებ
ქართულ ჯიშსა და ფესვსაო!...

თხოვნა მაქვს ღმერთო!..

ცა, მერცხლისფრთას რომ წარბად გადიფენს
დღე, საოცნებო მომაფენს იმედს,
მზე, სხივთა მძივებს მუხლზე დაიფენს,
ღამე, ვარსკვლავის შეიბნევს ღილებს,

მთვარე დაჯდება თვალცრემლიანი და
ცის ტატნობზე მოჰყვება მითებს...
მე, ღამის მუხლზე მშვიდად ჩამომჯდარს,
ზედ გადმომაფრქვევს მუქ ფერის ნისლებს.

რითაც ჩემს სულის დარაბას ვკრავდი
ღმერთო, ის მომეც და არა, ნისლი,
მხოლოდ ერთი რამ, მარადიული
მომამკევინე ზე ყანის ისლი.

მომიხმე მაშინ, წითლად რომ ელავს
ფეხმორთხმით მჯდარი ყანის ყაყაჩო,
პატარძალივით ველზე რომ ღელავს
და თავის კაბით ძლიერ ამაყობს.

მე, მაშინ მოვალ მზე ცის ტატნობზე
ოქროს მარაოს რიდით რომ კეცავს,
უკანასკნელი თავნება სხივი
ფეხმოტეხილი ფეხით რომ ცეკვავს.

მე, მაშინ მოვალ, დღესთან პაემანს
თავნება დილა მორცხვად რომ ბედავს
და ღამისაგან გადახეულ გულს,
მზის ოქროს სხივით ნაზად რომ კემსავს!

რა ვუთხარ ისეთ უგონოს!...

ნუ დამცლი წუთისოფელო,
ნუ დამცლი, ჯიხვის ყანწივით,
მოვჭამე დროის ნაწილი,
კვერცხში მატყობ რომ არ ვწივი!...

მე მთის კალთაზე ნაბუდებს,
თავი მგონია არწივი!...
დაჭრილიც ბევრჯერ ვიყავი,
მაგრამ, წარსულზე არ ვჩივი!...

ბარს ვერ ვაგუებ ტიალ გულს,
მთას მივალ ჯიხვთა საწველად,
ორბი რომ ბუდობს კლდის ქიმზე,
არარაი სჯობს საცქერლად!

ცის უბე სხივს რომ ამოშლის,
წამწამებს იშრობს სხივზედა,
რაი რჯობს იმის ცქერასა
მზე რომ მიგიწვევს ლხინზედა!...

მთვარის სადილი მუხებში,
ფოთოლთა, შარი-შურები,
ტინზე ნაკიდი ჩანჩქერის
მოურჩენელი წყლულები!..

მდინარე აყეფებული-
აჯაგრულ- ფაფარაშლილი,
მისი ღრიალი,ბღავილი,
ზეცის ტაძრამდე აწვდილი!..

ხის ჩრდილი სხივ შეუვალი,
ბებერ ტოტებით დაცული,
მის ფესვზე წყარო ანკარა,
უკვდავების წყლის ნაჟური!

იგემე ტბილად შეირგე ვით,
ფურ- ირემის ნაწველი,
ეს სილამაზე ვერ დავთმე
ბარში ამად ვერ გავძელი...

შვლის ნუკრი შემყვარებია,
დიდ მგოსნის ვაჟას ნათლული!...
ხმელ წიფელს ვერ მივეკარე,
მგოსნის ფრთითაა დაცული!...

ბარში რა ვნახო ასეთი,
მთას ღმერთის ხელნი ჰქარგავენ!..
რა ვუთხარ ისეთ უგონოს,
მთის შვილობას რომ ჰკარგავენ!...

მამა პაპის კვალს სთელავენ
სხვის უბე კალთას ქარგავენ,
სოფელი არ დაინგრევა
თუ ერთ ხეს ყველა დარგავენ!...

ახლა ჩემს ეზოს კარებზე,
აბლაბუდები ლამბავენ,
ოქროს უწყვეტი ძაფებით
სოფლის კერაზე მაბავენ!...

ვერ გავექცევი, ვერ დავცლი,
მამის ნაცხელებ კერასა,
შორიდან ვეღარ გავბედავ
მათი საფლავის ცქერასა!...

აქ არის ჩემი ბაღდადი,
ღვთით მოქარგული სამოთხე,
მე ხომ აქ ფეხი ავიდგი,
ხან ხელებითაც ვიფორთხე...

ვერა, ვერ გავცვლი ჩემს ბუდეს,
არ მინდა სხვისი სასახლე,
ჩემ მამა- პაპამ იციან-
მე ვარ ამ სოფლის მოსახლე!...

ნელი გიუნაშვილი

მე თქვენთანა ვარ

მე თქვენთანა ვარ, თქვა უფალმა, ყოველთა დღეთა,
მახარობელი აღსასრულამდე სოფელსა ჩვენთა,
თუმც, ხორციელად ვერ მიხილავთ თვისითა თვალთა,
უხილავი ვარ, მაგრამ მლოცველი, მზრუნველი თქვენთა.

აჰა ესერა, წარვადგინე მე ანგელოზი,
ამიერიდან შენს გზებს ბრწყინვალე, მზის სხივი ერთვის,
იწამე ქრისტე, მასში არის ორი ბუნება,
კაცად მოსვლისა ამქვეყნად და მაღალი ღმერთის.

თუკი შენს გულში შევა სიტყვა სახარებისა,
თუ ქრისტეს მცნება სიყვარულით სუფევს შენს გულში,
მაშინ, ისწავლე სინანული, – აზრით, გრძნობებით,
უხვად იქნება მადლი, სიწმინდე, მარად შენს სულში.

წინ აღუდექი ცოდვასა და მარად განშორდი,
დასძლიე ცოდვა, განერიდე ნებითა შენთა,
გულწრფელად გწამდეს ქრისტე ღმერთი, მარად გიყვარდეს,
რადგან უფალი, მოგვევლინა მფარველად ჩვენთა.

მე თქვენთანა ვარ, – თქვა უფალმა, ყოველთა დღეთა,
მახარობელი აღსასრულამდე სოფელსა ჩვენთა,
თუმც, ხორციელად ვერ მიხილავთ თვისითა თვალთა,
უხილავი ვარ, მაგრამ მლოცველი, მზრუნველი თქვენთა!!!

პოეზია ხომ უფლის რჩეულთა ხვედრია, ღვთით გადმოსული მადლი. ამ მადლს ეზიარება მთელი სამყარო. ყოველი ლექსი უფლის ძალით და მადლით იწერება, ყველა ლექსი უფლის დიდი სიყვარულის გამოხატულებაა. სიყვარული კი თავად უფალია, ურომლისოდაც პოეზია არ იარსებებდა და არ იცოცხლებდა.

პოეტისგული

როცა პოეტი იბადებოდა,
მას დაანათლეს სიკეთე მძევლად,
ცრემლის ქარაფი და განსაცდელი,
სიყვარული და ფიქრები სევდად.

ბევრჯერ უფულო, ხშირად ღარიბი,
ბევრჯერ უძილო, არასდროს მხდალი,
სულით მდიდარი, გულით ხალასი,
სიყვარულისგან უგონოდ მთვრალი.

აბჯარ ასხმული, შეუპოვარი,
ხან დარდიმანდი და ნაღვლიანი,
ღვთის მოშიში და ღვთის მოყვარული,
ტკბილ სიტყვიანი და მადლიანი.

ძმისთვის მზად არის თავი გასწიროს,
საკუთარ თავზე არასდროს ფიქრობს,
და გასაჭირში მყოფი პოეტი,
სხვისგან არასდროს, არაფერს ითხოვს.

პოეტები, ხომ სიყვარულისთვის,
სინანულისთვის იბადებიან,
მათ სიყვარული აცოცხლებთ მხოლოდ,
და სიყვარულში იფერფლებიან.

ფერფლს კი მიჰყვება მამულზე ფიქრი,
მწუხრი და დარდი მომავალისა,
პოეტს თან მიაქვს ერის ტკივილი,
ჯავრი ამ ქვეყნის წუთისოფლისა.

მთვარის სიმფონია

ცის მაღალ თაღში, როგორც ყვავილი
მთვარე სიამით ღამით მკვიდრდება,
ჩუმი ფიქრებით, დიადი მზერით,
მზის სიყვარულით ტრფობით იწვება.

ვიხილე მთვარის ამოსვლა ცაზე
და ვარსკვლავები ლალისფერები,
მთვარე კრთებოდა მათ დანახვაზე,
შორით ტკბებოდა მათი ფერებით.

ლამაზი იყო მთვარე ამ ღამით,
დუმდა და ფიქრში იძირებოდა,
მთელი სამყაროს მესაიდუმლე
სამყაროს ხილვით იხიბლებოდა.

ნეტავ, შემეძლოს ხელით შეხება,
მივუსათუთო ამ ბნელ ღამეში,
მოსჩანს ტაძრები ვერცხლით ნაქარგი,
გაჩახჩახებულ სავსე მთვარეში.

მთვარე შუქს ჰფენდა, ზღვას ანათებდა,
ზღვის ტალღებს ნაზად ათამაშებდა
და მთვარის ნაზი ანარეკლები
უკაცრიელ წყლებს ანარნარებდა.

რა ლამაზია ამ ღამით მთვარე,
ღრუბლის დალალნი და ნაწნავები,
მთვარის ზვიადი გამოშუქება,
მეწამულ ფერში, ცის ვარსკვლავები.

მთვარე მშვიდი და მთვარე ამაყი,
მოინადირებს სამყაროს გულებს,
მერე კი დაღლილს ჩაეძინება
და შეერევა ცად აშლილ ღრუბლებს.

სითბოს დავეძებ

ამ ჩემი სევდის მიზეზი რა ვთქვა,
რა ვქნა, რომ თავად ვერ გამიგია,
მზისკენ მიმავალ გზებს ვეძებ, მაგრამ
დანისლულ მთებში ვერ გამიგვნია.

აბა, ვინ მკითხა, – თუ მე რა მინდა,
ანდა, სად ქრიან ჩუმი ფიქრები,
ამ სამყაროში სითბოს დავეძებ,
იქნებ შენა ხარ ამის მიზეზი.

შემოდგომური წვიმები ცრიან,
ადი – ჩადიან ცივი ნისლები,
მე გადამრევენ ხვალის ლოდინში,
ეს სევდიანი, ჩუმი ფიქრები.

ასე ძნელია? მითხრა – მიყვარხარ,
უსიყვარულოდ ეს გული კვდება,
იქნებ ტკივილით გაყინულ დღეებს
უზადო გონით მოჰფინო შვება.

ამ ჩემი სევდის მიზეზი რა ვთქვა,
რა ვქნა, რომ თავად ვერ გამიგია,
მზისკენ მიმავალ გზებს ვეძებ მაგრამ
დანისლულ მთებში ვერ გამიგვნია.

გვანცა პაატაშვილი

* * *

თუ შენი გულიდან მზე არ ამოვიდა
დღე არ გათენდება აროდეს არსაით,
თუ არ დაიწურე ცრემლი მტევნებიდან
არ დაილოცება არც დიდი არც ბავშვი.
წენგოსფერ ვენახებს ფერი რომ ეცვლება,
რომ ჩაიმუხლება ვაზებთან ზამთარი,
ისევ გაყუჩდები ნაფოთლარ ხეებში
ქვევრში დაკაცდება ბიჭობის მაჭარი.
სახლს არ გამოულევ ბარაქის ნაგლეჯებს
ზღმარტლსა და კოწახურს ნათოვლით ამწიფებ,
ურმულს ჩაიმღერებ გლეხკაცის დუდუნით
ნასხლავ ვაზების ქვეშ გაზაფხულს გაიფენ.
ალავერდობიდან გიორგობისთვემდე
მძივად ჩაგკიდებენ ღვინისფერ ბადაგში,
თებერვლის ბოლოსკენ ლურჯი ატმებიდან
აპრილის ბოლომდე ვარდისფერს დაბარდნი.
თესავ და მოიმკი, შრომობ და იომებ
მზესუმზირებიდან ოქროსაც ადინებ,
ყველას ეამები, ყველას ეგებები
ყველას ეოცები სტუმარს და მასპინძელს.
თუ შენი გულიდან მზე არ ამოვიდა
თუ შემოდგომებით არ ჰკაფე ზამთარი,
დღე არ გათენდება, ქვეყანა იკოჭლებს
რომელი მხარეა სხვა შენი სადარი.

* * *

ცისკენ გარღვეულ ჯებირებს ხედნის,
ებრძვის მოპარულ ჩემს სულში შიშებს,
სხივი ვიწამე მისებურ მზეში
ასე რომ მიყვარს რას იტყვის ღმერთი?!
იქნებ ჰგონია დავიკარგები?
იქნებ, ამიტომ თელავს ბილიკებს...
იქნებ, ამიტომ ამზიდა ცამდე?
მეჯიბრებაო ღმერთი იფიქრებს.
მისგან მოკრეფილ გვირილებს ველი,
მოკვდავი კაცის, მოკვდავ საქციელს.
იქნებ, მოკვდავად სურდა სიცოცხლე
მე კი ღმერთკაცად გადავაქციე...
მისგან დაპყრობილ მწვერვალებს ვეტრფი,
მისგან აღებულ ხილულ ციხეებს,
მისგან ყოველთვის რაღაც სხვას ველი,
ასე რომ მიყვარს, რას იტყვის ღმერთი?!

გალაპტიონს...

ვუხმობ, გალაკტიონს ღამე გავათიოთ
სანამ გათენდება ვთვალოთ საათები ,
იქნებ, საფერავიც ჩვენ ორს დაგვემგზავროს,
სანამ ირიჟრაჟებს ვცალოთ გამალებით...
ვუხმობ, პოეზიას ღამე რომ ვაფხიზლოთ,
მთვარე ვამზეოთ და გავხსნათ დარაბები,
იქნებ, იისფრადაც უცებ წამოთოვოს,
სიზმრებს დავემუქრო მათი გაცხადებით.
ვუხმობ, ძილის ღმერთებს,
ვთხოვ სულის სალბუნებს,
სანამ გათენდება, იქნებ გამამთელონ ...
სანამ სამზეოზე იმედებს დავანთებ
სანამ მოვექცევი ისევ საამქვეყნოდ.
ვუხმობ, ღამის ფერებს, გრძნობებს ნაირფერებს
სადღაც, კომეტებსაც იქნებ დავემგზავრო...
იქნებ, ეს ფანჯარა აღარც გამოვხსნა და
მზიან ასფალტებზე აღარც დავენარცხო.
ვუხმობ, გალაქტიონს ღამე გავათიოთ,
ვუხმობ პოეზიას, იქცეს საათებად
მინდა დავინახო ღია სარკმელიდან
ლექსის უკვდავებით როგორ ამაღლდება...

* * *

ყაყაჩოს ყვავილით მოქარგულ სარაფანს
შილიფად, თამამად სხეულზე მოვირგებ,
ნაპარავ მზერაში მზერითვე დაგიჭერ,
ხელს გამოგიწოდებ, მაგრამ არ მოგკიდებ!
ყელთან მოთმაშე ალუბლის საყურის
სიტკბოს და სიმჟავეს ერთბაშად შეიგრძნობ,
და როგორც პეპელა მხრებზე შეგეხები
მერე კი გავყვები შორეულ ჰორიზონტს...
მხუთავ და ცხელ დღეებს სიოდ ჩავუქროლებ,
აგიშლი მოწყენით გაჟენთილ ნაფიქრალს
ჩანჩქერად მოვარდნილ თმებს ჩამოვიშლი და
ცურვის უსწავლელად ნაპირზე გაგიყვან...
იონჯის ყვავილით მზის გადმოსახლებას,
ლურჯი ყვავილებით ცაც შემოერევა,
ცეცხლს შემოგინთებ და წყალს მანამ გაპკურებ
სანამ ივლისივით სულზე მოგედება...

* * *

შენ მუდამ აპრილებს ირჩევდი წასვლისთვის,
მზეს ტოვებ ჩემს ფიქრთა უმწეო დარაჯად,
იქნებ, განშორება ეწამლოს სიყვარულს...
იქნებ, უშენობა მუზებად გარდავქმნა...
შენ მუდამ გაზაფხულს იყენებ თავდებად,
გაკვირტულ ვაზებად აკინძავ მიზეზებს,
იქნებ, ეს საღამოც, დილა რომ გახდება,
კვლავ გასათენებლად შენს ოინს იყენებს.
შენ მუდამ გზახვეულს ირჩევდი გზამკვლევად,
ბაბუაწვერებად მიქციე შიშები,
იქნებ, შემოდგომა არც ისე ახლოა,
ხნულებში ხორბლებად ჩათესე იმედი...
შემ მუდამ აპრილებს მირჩევდი მეტოქედ,
და მეც იისფერად ვიღებავ ჩემს ტუჩებს,
სულში ფურუსულის ფერ კაბებს ვიცვამ და
ლოდინის საზღაურს, კოცნებად ვიბრუნებ...

შენ ისევ ის ხარ

შენ გზის გაღმა ხარ, მე გზის გამოღმა
შენ ისევ ის ხარ, მეც ისევ ის ვარ
და რად ვიტირო, რატომ გიგლოვო
მხოლოდ იმიტომ რომ ვერ გიხილავ?
მე ისევ მესმის შენი აზრების
გიცქერ, სამყაროს ფერების მიღმაც,
ჩვენ ისევ ის ვართ ერთმანეთისთვის
საუკუნოა კავშირი ფიქრთა.
ისევ ვსაუბრობ შენთან ღიმილით
მჯერა, გამიგებ ღრუბლების მიღმაც.
ადრე თუ იყავ თვალსაწიერში
ახლა ჩემს გულში დაიდე ბინა.
შენ გზის გაღმა ხარ, მე გზის გამოღმა
შენ ისევ ის ხარ, მეც ისვე ის ვარ
ადრე თუ სახლში მეგულებოდი
ახლა სულ ჩემთან იქნები ფიქრად.
და მაშინ როცა სიკვდილი ამყრის
სიცოცხლის მტკიცე რკინის ბორკილებს,
მე შენ შეგხვდები ანგელოზებთან,
სადაც ღვთის ნებით დაისადგურე.

მზიური შავაძე

* * *

ჯანი გავარდეს თუ არ გიყვარვარ,
თუ მიმატოვა ვერხვებმაც გზაში.
ქრიზანთელებმაც ფერი იცვალა
და შემოდგომამ ჩამხედა თვალში.
ჯანი გავარდეს თუ ვერ ვაგორე
ვერ მოვესწარი ზამთრის ქარიშხალს,
ან გაზაფხულზე იების ფეთქვას
დედაბუნება რამით გამკიცხავს.
მე მაისობის ვარდებიც მინდა
ჰარმონიულად ვსრუტო ნექტარი,
ცხოვრების ლამაზ ლაბირინთებმა
უარ არამყონ იქნებ ნეტავი.
გადაშლილ მინდვრებს ქართან თარეში
გულმკერდს მიუშვერ იალო მთებზე,
და სიყვარულით ღმერთს შევავედრო
თაკარა მზე დამესვას მხრებზე.
ჯანი გავარდეს თუ არ მინდომა
ამ ცის ქურუმმა მოხვევა სულის,
ზღვის სანაპირო ქაფებს რომ ქარგავს
მასავით ვყავდე მიკუჭულ გულში.
ნამიან მდელოს ფეხშიშველ მინდა
შემოუარო ღობე,ბაღჩები,
და ხეივნის ხილვა მომინდა
წვიმად გაწუწული როგორც ფარჩები.
ნოსტალგიური გახდა გონება
და მონატრების თალხმა დამრია,
ფიქრის ფიქრებმა დედულეთისკენ
სიყვარულშივე თავად გამრია....

* * *

ეს ბაგე შენთვის დუდუნებს,
არ დაიღლება თოლები,
მინამ ვისუნთქებ შენ ნექტარს
სულთ ამევსება ბროლები.
ლოცვად გიგონებ ცისნამზე,
ღამით მთვარესთან შობილი,
სულის სარკედ ვარ ქცეული
ამ დედამიწის ძმობილი.
კრიალოსანი შენ შექმენ
მაგ ლამაზ ფერთა გამებით,
ციაგ ლაჟვადში ცვარ ნამად
დღისა და ბინდის ღამებით.
შენი მზეც მიყვარს გიჟმაჟი
ამოვარდნილი ქათიბად,
და მთვარე მიძინებული
მიყვარს, და მერე რა რიგად...
ვლოცულობ შენთვის მამულო
ჩემო ნექტარო სულისა,
იხაროს შენმა ფესვებმა
და დედამიწამ გულისა.
კრიალოსანი თითებში
დაცურავს ტრფობის არაკად,
ლოცვა მოგყვება თანხლები
გულს შემოგწირავ ზვარაკად.
გოჯებით პაწაწინა ხარ
სულით კი, დიდი მამულო,
სახელად საქართველო ხარ
ვაზის რქით დანამული.
აკვანში გეწვეს მგლის მუხლა
შენი მომავლის სადარი,
და შენ ფესვებთან მლოცველნი
გალობდეს ღმერთი აქ არის.
აყვავდი,გამზეურდი,
მზემ გადაჰყაროს ღრუბელი,
თვით მთვარემ გამოუცხადოს
მოშურნეს შენზე, დუელი....

ექსპრონტად

მოწყალებას არ მოვითხოვ
სამოწყალო ნეტა რა მაქვს?!
განცდა გულში ჩაკირული
დაღლილ სულით კვლავაც დამაქვს.
მოწყალებას მხოლოდ ღმერთს ვთხოვ
მიყვარს მასთან საუბარი,
შვებას,სითბოს ის მაჩუქებს
სიტკბოებას ვით ნუგბარი.
დღეს ღამე ცვლის,ღამეს კი დღე,
წლები ულმობ გამეპარა,
ბევრჯერ ვცადე სამომავლოდ
იქნებ რამე დამებარა.

ანდა კი ღირს გადაშალო
საამქვეყნოდ შენი იარა,
ნაჭრილობებს ვადა გასდის
ტკივილმა არ გამიარა.
მაინც იღიმის ეს ნაკვთები,
წამიერი ბედის თალხით,
ყველაფერი ჩვენს ხელთ არის
თუ ვაბრუნეთ სწორი ჩარხით.
მომენატრა ის მინდვრები
სადაც სული ბიბინებდა,
ნოსტალგია დამეუფლა
ჰოდა გულს ეს მიმძიმებდა....

* * *

* * *

მომენატრე და დაგეძებ ყველგან
ვეღარ ვაწვდინე თვალსაწიერი,
შემომელია სიტყვის მარაგი
სულიერი ვარ, მეც მიწიერი.

მზეც გაიყოლე აღარ ანათებს,
სიცივემ მართა ფერთა რითმები,
უკუნმა გულში დაისადგურა
ქარს მოვაყოლე ჩუმი ფიქრები.

ნატერფალებზე გაღვივდა ია
და აიქოჩრა ლურჯი სამოსით,
ცასთან მიილტვის ფერებს ეხამვის
ნაკვალევს ტოვებს სულის დალოცვით.

ზეცაზე ცქერით ჩამომეღვინთა
თვალთა უპეში გრძნობის სანთელი,
ვერ შევძელ გულის გაცისკროვნება
რომ მომეფინა სულში ნათელი.

ხვალ ალბად ისევ გავილაშქრები
ციდან გადავყრი ნაგლეჯ ღრუბლისა,
ამბორი მინდა შევისისხლხორცო
ქოჩორ მოფენილ ლამაზ შუბლისა....

დრომ რომ ვერ ახუნა პირველი გრძნობის
სულში აწვდილი ცათამბრჯენები,
იმ სიჭაბუკის წვიმა ნაპკურით
დღემდე ნამკობი გზებით ვჯერდები.
ყოველ ნაბიჯზე უსასრულობით
ყურში ჩამესმის "სადახარ ჩემო",
კვლავაც ხალისობს ეს გული შენით
ფიქრთა ნაზავში გრძნობებით გჩემობ.
რამდენჯერ გრძნობებს წვიმად მოსული
სულში ჩამიქრა სანთელი წმინდა,
განვლილ ბილიკებს ვერ წავშლი,ვერა,
იქ დაბრუნება ნამდვილად მინდა.
რადგან მეღირსა ჭარმაგს შეხედა
ჭაღარა ქოჩორს შევახო ხელი,
მე ამ სამყაროს მადლიერებით
წარსულს შევასხი ოცნების ფრთები.
თვალთა ხედვიდან ვერ მოგიცილებ
დამეუფლება მარტო სულობა,
თუ კი გაგასწარ მარადისობას
ღმერთი დამწამებს მე ორგულობას.
ხელი ჩაგჭიდე ყმაწვილქალივით
ჟინით ანთებულ სულის აკლდამად,
დაე,ვიაროთ სანამდე შევძლებთ
და ეს გულები გაგვყვება თავად..

გოჩა ჭაბუკაიძე ქართველი გვერდიდან აღებულ ფოტოს მიუძღვენი მოკრძალებული ლექსი ❤

სამშობლოს

შენ ჩემი გრძნობის მეტაფორა ხარ
ღმერთთან კავშირში გზის განათება,
სიყრმისეული უმანკოება
უსასრულობის არ დამთავრება.

ზღვა გრძნობებიდან წილხვედრ ნაყარი
ამოუცნობი სულის მარცვალი,
გულის ჩეროში ნასისხლხორცალი
ვაზის ყლორტივით მოყრილ კალამი.

შენ ჩემი დღე და ღამის ფიქრი ხარ
კრიალოსანში მოყრილი სევდა,
ხატის სხივი ხარ ფანჯრად ნაცემი
სიზმრადაც მესვა,კვალდაკვალ მსდევდა.

არ დაიღლება მუხლი საყრელად
უფალს შევსთხოვო მე შენი შვება,
რამდენ ტანჯვას შემოგაგებეს
მაინც ამაყად მომიწევს ქება.

არ გეკადრება ყარო ფარხმალი,
ფესვი გიღვივის, ვაზის ხარ დედა,
ჩემო მამულო სულის ტაძარო
ეგ სიდარბაისლე თვალშივე მხვდება.

ხვალ ისევ მოვა შენ გულში ღმერთი
კალთა ნაფენი მზის შედარება,
ისევ იშლები მზის ათინათი
ხილული თვალით ვინ შეგედრება.

სევდისფერ ფერებს აცლის ლაჟვარდი
მთვარე შეგაკრეჭს მორევს დარდისას,
გაყინულ გულში მზე იბატონებს
მრავალჟამიერ ისმენ ქართულსაც.

დილის ცვარნამი მდელოს დაივლის
ჭიგოზე მარცვალს ხვითი ედება,
ბერმუხა მთები ნიავს მოგიქრის
ჩემ საქართველოს რა შეედრება...

* * *

ისევ ოქროსფრად შემოსილ ბაღში
ფოთოლი ცვივა შემოდგომისა,
უწინდებურად ცრის ციდან ნამი
ხმები ჩამესმის შეგონებისა.

მიმიხმობს მასთან სადაც ვისხედით
ნიავი მსრუტავს მარგალიტისა,
ისე მეხვევა ბაგე გულმკერდზე
სურნელი შენი ამოსუნთქვისა.

ნამიან ბილიკს ამკობს ქარვები,
ნარინჯისფერი ფერთა ფიქრისა,
ფეხის ხმა მესმის თუ ქარი მღერის
ნაბობოქარი სული რითმისა.

მინავლულ ცაზე ვარსკვლავი კრთება
და შემიცნია სახის მშვენება,
ბაგეზე ღიმი როგორ გაკვდება
მარტოსულობა არ დაგშვენდება.

ცის ქურუმები გამეფებულან
გადაგეფარა ვარსკვლავო მზერა,
გული მოგიხმობს ამ ბაღის კიდეს
ბაგე ჩურჩულებს,ვერ მოვალ ვერა..

დავცალე გრძნობის სავსე ფიალა
მარტოსულობის ნატერფალები,
სევდისფერ ცაზე გამწყრალი მზერით
ძველ ბაღში მუნჯად დავიარები.

გაცრეცილ ღამეს შევხვდი უშენოდ
ისევ მესმოდა შენი შრიალი,
ზეშთაგონება მიჩურჩულებდა
შეგუება მსურს ბედი ტიალის.

შემომეძარცვა აჩრდილი ღამის,
ალიონს მოჰყვა სეტყვა სევდისა,
ნაოცნებარი, განცდილი ბაღის,
სიზმრად ხილვის იქნებ მეღირსა....

ემიგრანტის წერილი დედას

მზის ელექსირი გიწოდე დედა
გაყინულ გულში სითბო რომ მწვდება,
სიშორის ტკივილს განვიცდი დედა
შენ ლამაზ გულში იგივე ხდება.

გზაჯვარედინმა შეცვალა დედა
შენთან ალერსით მქონოდა შვება,
რამდენ ტკივილებს იტანდი ნეტა
შორ გზას მცქირალი გიწევდა თმენა.

სურვილი შენი არასდროს კვდება
გულში ვარსკვლავად მინათებ დედა,
ჩაბინდულ ღამეს ცრემლები მცდება
ფიქრის მორევში მიზიხარ დედა.

რამდენ ტკივილებს იტევს ეს გული
სხვის ცისქვეშ მზირალს მარტოსულობა,
გზა ვერ გავლიე შენამდე მოსვლის
წლები იზლაზნის უსასრულობად.

შენი ლოცვებით სულდგმულობს გული
ყოველ ნაბიჯზე დამყვები დედა,
რამდენჯერ სიკვდილს თვალში ვუცქირე
ცრემლნარეული მედექი დედა.

მაგ შევერცხლილი ფაფუკი თმების
სურნელს ვნატრულობ დავკოცნო დედა,
მორცხვად სათხოვარს ქარს დავაბარებ
ისევ კარებთან შენ დამხვდი დედა.

პირობა მომეც ჩემო დედილო
ისევ დამხვდები გაშლილი ხელით,
დაღლილ ძვლებს სითბოს გაუნაწილებ
და შეიფარებ უთბილეს მკერდით.

მინამ შენი მზე ამ სულს მოსწვდება
უცხო მიწაზე იცოცხლებს გული,
მე დავბრუნდები ჩემო დედიკო
ალბად დადგება ის გაზაფხულიც...

სამშობლოს❤

მოვეხვეოდი შენს ლაბირინთებს
სამრეკლოსავით დავსცემდი ზარებს,
გულში სიყვარულს ვკემსავდი შანდლით
მალული გრძნობით გეტყოდი რამდენს.

მზის აკორდებით ჩავიცმევ კაბას
და ჩითის ფარჩით მოგეხვეოდი,
ალბად მეტყოდი დასეტყვილ გულით,
დიდი ხანია ამ დღეს ველოდი.

ანარეკლებში ტბის ჩქროლვას ვიგრძნობ
დავასველებდი შენ ღელვით თვალებს,
ამ გულს განდობდი მოსაფერებლად
თუ კი გჭირდება ანკი და გარგებს.

ხმელ ბალახების სურნელს შევიგრძნობ,
გამზიანდება სურნელით სული,
მე და შენ ჩემო მზის განათებავ
ამოსუნთვიდან ერთნი ვართ სრული.

მომნატრებია წყურვილი გრძნობის
შენი ვენახის მეცალა თასი,
სამყარო დიდი,შენ კი პატარა,
მაგრამ სად არის ნეტავი მსგავსი?!

მაგ ლამაზ ჭალებს ხვითო გადასდის,
ხმელი ფოთლები დაცვივა ჩეროს,
ჩემი სუნთქვიდან სუნთქვაც გნატრულობს
ნაზ სიყვარულში გიწვევს და გჩემობს.

მიწის სურნელი აღწევს ჩემამდე,
რა ნეტარია,თბილი და მკვრივი,
ყელზე ამბორი მომინდა მთებო,
შემოხვეული რომ გყავდე მძივი....

ნიკოლოზ გოდერძიშვილი

სიცოცხლე

მეუფე თადეოზის უკანასკნელი სიტყვები:
"ფეხზე წამომაყენეთ, ქრისტე მოდის, უნდა შევეგებო!.."

სიცოცხლე მოჰგავს არწივების ზეცაში ფრენას,
ორთაბრძოლებში შეჯახებას ჰაერში ქროლვით,
სისხლი ჩამოსდით,მაგრამ მაინც არ ნებდებიან
და გაოცებენ ღრუბლებს ზემოთ აფრენის ლტოლვით.
სიცოცხლედ მაინც ღვთის მოვლენილ
გაზაფხულს ჩავთვლი,
დამზრალ სამყაროს სიყვარულით ისევ რომ ათბობს,
იების ზღვები როცა აფრქვევს ტევრებში სურნელს,
აღარ ადარდებს ზეციდან რომ ფიფქები ათოვს!
სიცოცხლე ჩემთვის გულისსწორთან შეხვედრას ნიშნავს,
ეს არის მართლა მოვლენილი ღვთის საჩუქარი,
ვისთან ყოფნაც რომ მეცხრე ცამდე გაბედნიერებს,
და სიყვარულზე აისამდე გსურს საუბარი!
სიცოცხლე ჩვენი ბავშვებია, ლომის ბოკვრები,
მათ უნდა ვანდოთ მომავალში სამშობლოს ბედი,
დედამიწაზე შვილები გვყავს ჩვენდა იმედად
და მაღლა ცაში ყოვლისშემძლე უფალი ღმერთი.
სიცოცხლე ჩვენი სიმღერაა, ტკბილი გალობა,
აღდგომის ღამეს როცა ერთვის სამრეკლოს ზარებს,
სიცოცხლე ჩვენი ცეკვა არის ნაღდი ქართული,
"ფარიკაობა" კავკასიონს რომ აზანზარებს!
სიცოცხლის არსი, რაც ყველაზე უმთავრესია,
ასრულებაა სიყვარულით მაცხოვრის ნების,
წმინდა სამების მფარველობა მრავალჟამიერ,
უფლის წყალობით ნეტარება მიგვეღოს ზეცის!

საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების

ჰიმნი!

თეთრი ჩოხა შემოგიცვამთ, როგორც მყინვარს
და მასრები ლომგულ მკერდზე ელვარებენ,
ფაფანაკი გულს გინათებთ მზესავით და
ქარქაშებში სატევრები მღელვარებენ!
ჩოხოსნებო, თქვენ ღვთიური მადლი გმოსავთ,
განსაცდელში ანგელოზი დაგიფარავთ,
საქართველოს სიყვარულში თავგანწირვით
უფლისაკენ ბილიკები გაგიკვალავთ.
ბედაურებს მიაგელვებთ ციხე-კოშკთან,
კლდეზე იფრენთ, როგორც მთებში არწივები,
სიცოცხლესაც გაწირავდით ქრისტესათვის,
მამულისთვის სანთელივით დაიწვებით.
ჩოხოსანთა მხედრობაში მანდილოსნებს,
ღვთისმშობელი მარიამის მადლი გმოსავთ,
უტეხი გაქვთ სული როგორც თამარ მეფის,
საქართველოს სიყვარულში ღმერთი გლოცავთ.
მომავალი ჩოხოსნებიც იწრთობიან,
როგორც ხმლები სახელოვან გმირებისა,
ალგეთს უკვე დაიზარდნენ მგლის ლეკვები,
გორდას კვალი ამჩნევია თათებისა.
შავი ჩოხა შემოგიცვამთ როგორც ნისლი
და მასრები ლომგულ მკერდზე ელვარებენ,
ფაფანაკი გულს გინათებთ მზესავით და
ქარქაშებში სატევრები მღელვარებენ!

საქართველო

საქართველომაც ქრისტეს გზაზე ბრძოლით იარა,
როგორც იესო წამებულად ჯვარზე გამიკრეს,
ქართველის გულში რჯულის შეცვლა როცა ეწადათ,
ცეცხლით, მახვილით ერთიანად მტრებმა აიკლეს.
გმინავდა ჯვარზე საქართველო ტკივილებისგან,
სისხლისგან დაცლილს ყველა მხრიდან ებრძოდა მტერი,
მახვილით დაჭრეს და აწამეს როგორც უფალი,
მაგრამ ყოველთვის მედგრად იდგა ქართველი ერი.
მტრობით დანგრეულს სიყვარულით აგებდნენ ისევ,
ქართლის გულიდან აღადგენდნენ ყინწვისს თუ წირქოლს,
თავკვერის მტევნებს ჩაწურავდნენ კვლავ საწნახელში,
სანთლებს ანთებდნენ ტაძრებში და იცხებდნენ მირონს!
მრავაჟამიერს სულ გალობდა კახთა ლაშქარი,
ფიცხელ ბრძოლებში "ეძიებდა ქრისტესთვის სიკვდილს",
სპარსს და ოსმალოს არ უშვებდნენ ქართულ მიწაზე,
საქართველოსთვის გალომებით იწყებდნენ ჭიდილს .
დავით მეოთხე, რომ აკურთხეს მეფედ იმერეთს,
მის ოქროს გვირგვინს ამშვენებდნენ ალმასის თვლები,
დიდგორის ომით საქართველო გადაარჩინა
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე აღმართა ჯვრები!
ჯირითობაში არ ჰყოლიათ არსად ბადალი,
რაშების ქროლვით გააოცეს მთელი დუნია,
გურულებში ხომ სიყვარულით სავსე გულია,
ზღვასავით ღელავ საყვარელო ჩემო გურია.
ღვთისმშობლის კვართმა დაიფაროს ჩემი მამული
ვლაქერნის ხატი შეეწიოს მეგრულ კერიებს,
დედა ჩვილ ბავშვებს როცა უმღერს მეგრულად ნანას,
ტკბილი ჰანგებით თითქოს უხმობს შვილთან ფერიებს.
ნაქერალაზე რომ გადავალ სიცოცხლეს მმატებს,
რაჭავ ჩემი ხარ სიყვარული, ჩემი ღვთაება,
,,ჩაგეხუტები“ უფლის ხელზე ლამაზად გაშლილს,
დიდება უფალს, დაილოცოს შენი განგება!
ღვირიშის ჩანჩქერს შევუდგები ცივს და ანკარას,
როცა ვიგემებ ლეჩხუმური ღვინის ხავერდებს.
გაგაოცებენ, მედგრად მდგარი ციხე -კოშკები
და სალოცავნი საქართველოს ღმერთს რომ ავედრებს!
ჯავახეთიდან შემოვიდა ნინო ქრისტესთვის,
და ვაზის ჯვარით იქადაგა წმინდა ბიბლია,
ღვთის სადიდებლად მოგალობე ახალგაზრდები
წმინდა ქალწულის ნატერფალზე კვლავაც ივლიან .

მეფე თამარმა რომ გამოწვრთნა ქართველთ ლაშქარი
და ვარძიიდან გაემართნენ საომრად მტერთან,
ბრძოლა მოიგეს ბასიანის ქართველ გმირებმა,
არ დაიხევდნენ, აღთქმა ჰქონდათ მეომრებს ღმერთთან .
დათოვლილ მყინვარს შემოუკრავს ტანზე ნისლები,
ღმერთს უკვდავებად აუგია წმინდა სამება,
უფალი მეფობს და იმეფებს მრავალჟამიერ,
ხევი -სამების საბძანისად ღმერთმა ინება!
თუშ-ფშავ -ხევსურთა უძლეველი სპათა სამება,
„ხმლებით ამტვრევდა გმირ წინაპრის ცათა კარიბჭეს,
და დაიმკვიდრეს საუკუნო სასუფეველი“,
სამოთხის გვირგვინს მაცხოვარი ვისაც ანიჭებს.
სვანეთის კოშკებს მკერდზე აწევს თოვლის ზვავები,
გაგაოცებენ ჩანჩქერების მთებიდან ვარდნა,
არწივთა ფრენა სალ კლდეების მწვერვალებისკენ,
ლამარიაზე შობის ღამეს ფიფქების ბარდნა .
სოხუმის ზეცას ფირუზისფერს კვლავაც ვიხილავთ,
ზღვის ლურჯ ტალღებში მოლიცლიცე ოქროსფერ სხივებს,
მე აფხაზეთის ყველა წმინდა სალოცავს შევთხოვ,
შემორიგება აფხაზ ძმებთან ვანახოთ შვილებს !
ტაო- კლარჯეთის ქართულ მიწას ვეტრფიალები,
არ დავივიწყებთ არასოდეს იშხანს და ბანას,
ოშკი, ხახული ისევ ისე მკვიდრად აღდგება,
დავუბრუნდებით სიდიადით თამარის ხანას!
ლომისის მადლი შეეწიოს მთიულთ ოჯახებს,
ლომის ბოკვრები გაუზარდეთ ჩვენ საქართველოს,
ახალგაზრდობა მოეფეროს ქართულ მიწა-წყალს,
ძლიერი გენი უფრო მეტად რომ ასახელოს !
საინგილოში ყველა ქართველს ვენაცვალები,
ყველა ინგილოს შევავედრებ ქურმუხის ტაძარს,
სამშობლოს რწმენას და სიყვარულს ვერვინ წაგართმევთ,
ვერ ჩააქრობენ თქვენს გულებში ანთებულ ხანძარს!
დიდაჭარიდან შემოვიდა საქართველოში,
წმინდა ანდრია მოციქული ღვთისმშობლის ხატით,
მან დააფუძნა სულ პირველად ღვთის სახლი წმინდა,
გული გაგვიხსნა სიყვარულით, აგვავსო მადლით.
ნუ გადავაქცევთ საქართველოს უქართველებოდ,
ერთად დგომისკენ ზარი რეკავს წმინდა სიონის,
გარს შემოვერტყათ საქართველოს ყველა კუთხიდან,
გარდავისახოთ, როგორც მთები კავკასიონის.

❤ ლევან გოთუას ❤

დათოვლილ მთებს არწივივით ზვერავდი
და იპყრობდი ფეხდაუდგამ მწვერვალებს,
განთიადზე საქართველოს ლოცავდი,
ღმერთის ხელზე ოქროსფრად რომ ელვარებს!
ნისლში ჩაფლულ მთების დასალაშქრავად,
მთელი ძალით, შემართებით უტევდი,
საქართველოს დროშას ქარში გაშლიდი,
სიყვარულით გულში ჩაიხუტებდი.
ღმერთის შექმნილ სამყაროს შეჰხაროდი,
მაგრამ ყველას საქართველო გერჩია,
როგორც შხარა, მყინვარწვერი, თეთნულდი!
„ვით უფალი, სამშობლოც ხომ ერთია“!
საქართველოს მტრისგან მკერდით იცავდი,
იუნკრებთან ერთად როცა იბრძოდი,
თავისუფალ საქართველოს ღირსება,
ყმაწვილმაც კი დიდებულად იცოდი.
ყინულმჭრელი გემით გადაგასახლეს,
დაბორკილი ციხე-ციხე გატარეს!
ოცი წელი ტყვეობაში ნამყოფი
ცაში მფრინავ მეტეორს შეგადარეს!
ძლიერ ყინვებს ვაჟკაცურად უძლებდი,
ქვას და რკინას ულმობლად რომ ამსხვრევდა,
საქართველოს გულში თბილად იკრავდი,
შენ ტკივილებს ეს თუ გადაარჩენდა!
„გმირთა ვარამს" ქმნიდი უფლის განგებით,
და მომავალს უტოვებდი საგანძურს,
მოგვითხრობდი თავგანწირვას გმირების,
ღმერთისაგან ნათლის თვალით დანახულს!
დათოვლილ მთებს კლდის ვეფხვივით ტორავდი,
და იპყრობდი კავკასიის მწვერვალებს,
განთიადზე საქართველოს ლოცავდი,
ღმერთის ხელზე ოქროსფრად რომ ელვარებს!

თბილისს!

ვახტანგ გორგასალმა თავის მეომრებთან,
დილით გაილაშქრა ტყეში სანადიროდ,
ცხენებით მიჰქროდნენ ლამაზ ხეობაში,
მშვილდებს ისროდნენ მიზანში სანაქებოდ.
დაჭრილი ირმები წყაროსკენ მიჰქროდნენ,
მისდევდნენ გორგასლის ძლიერი მდევრები,
ცხენების ჭენებით ნადირზე იწევდნენ,
ლომური ღრიალით აიკლეს ტევრები!
მისდიეს კვალდაკვალ და ბოლოს მიაგნეს,
ირმები აცხრობდნენ წყაროზე ნაისრალს
და მეფის მიმინოც ხოხობთან შებმული
ჩაყრილნი უნახავთ წყაროს წყლის ნაპირას!
ვახტანგი გაოცდა ლამაზი წალკოტით,
ჯერ არსად ენახა ასეთი მშვენება,
ბრძანა, რომ დაფუძნდეს ქალაქი თბილისი,
რაც ღვთის განგებას ქართვლისთვის ენება!
ააგეს ტაძრები უფლის სადიდებლად,
ციხე-კოშკები მტერთან საბრძოლველად.
დასახლდნენ ქართველნი რჩეულთა რჩეულნი,
ღმერთის ერთგულება ჰქონდათ საგონებლად!
თბილისში ღელავდა ოქროსფრად ყანები,
ქარვისფერ მტევნებში მზე იყო ჩამდგარი,
თბილისურ აისით, თბილისურ დაისით,
თბილისურ სიცოცხლით სუნთქავდნენ დამტკბარნი.
დიდი მეფეები სიცოცხლეს გწირავდნენ,
გმირთა და წმინდანთა მთავარო ქალაქო,
გულზე გიბრწყინავს მრავალი სალოცავი,
ღვთისგან კურთხეულო თბილის ქალაქო.
დღესაც ღირსეულად დაგვცქერის მთაწმინდა,
მეტეხი .ღვთაებრივი ძალის მმოსავი,
თბილისს სიყვარულით გულში ეფერება,
ვახტანგ გორგასალი ზეციდან მლოცავი!

თეიმურაზ კვარაცხელია

***

უკვე დასეტყვილს, ნაბობოქარ სულს, შველას თუ თხოვ,
ვალად აიღე, სიყმაწვილიდან ამყოლი ცოდვა,
ფეხი აუწყე, თანაც მიენდე მხოლოდ უფლის დროს,
ვით დასაწყისი, დრო დაამთავრე ყოფნისა ობლად...
ნაიარევი, ნაჭრილობევი და თუნდაც სევდა,
სიცოცხლეს ჩვენსას მუდამ თან ახლავს, ვით ვარდი ეკალს,
უფრო ივარგებ, მკურნალად თუკი ერგები სოფელს,
ვიდრე ის იყო, რაც ხარ და მხოლოდ სახელი გერქვას!.

***

ქარსაცავებში ისეთ ქარს ვეძებ, არც ჩემი იყოს, არც თუნდაც სხვისი,
გამორიყული ცად აწვდილ ქედებს, იმედად ქცეულს ლხინსა და ჭირში...
წვიმის ბორიალს თვალს ვადევნებ და, მხოლოდ იმ ერთის, იმ ერთის მიკვირს,
წვეთად რომ ლამობს წარმოსახვას და მასში რომ ზეცის ფიქრი დევს დიდი...
ცხედრის ფეხებზე დრო ასვენია, დრო მესაფლავეს რომ უთვლის წამებს,
მე კი ასეთ დროს ის დამრჩენია, ვზივარ და ლექსებს ვუკვეთავ ზღაპრებს...
და მაინც თოკზე დაკიდებული, წუთისოფელი გაშრობას ცდილობს,
მაგრამ ვაი, რომ კაცი ყოველი, სხვის დასაკრავ ჰანგს ასრულებს თვითონ...
შოპენი მათოვს, ქვაფენილები, ქვაფენილები მითვლიან ნაბიჯს,
იყო სოფელში მხოლოდ მიზეზი, ასე მგონია ნამდვილად არ ღირს...
ემოციები მიკრავენ სონეტს, ტაში თავისთვის უაზროდ უკრავს,
ვეღარ გავიგე, ვის ვუშლი ქოლგებს, როს წვიმის ნაცვლად ტვინს ქარი ბურღავს...
და მაინც ტუზი ვალეტთან ერთად, თამბაქოს ბოლის გარღვევას ცდილობს,
წარსულს ობობას ქსელი ატყვია, დრო კი ამისგან მხოლოდ თავს ირთობს...
ნიკალას ფუნჯი მეათეს ყიდის, დრომ გამოტყუა დიდ მხატვარს ნიჭი,
გროშში გაცვლილ დროს ვერ ვარქმევ სინდისს, სინდისსაც ეს დრო მიტომაც ყიდის...
ყიდის, რადგანაც ჭუჭრუტანიდან, სანიჭე სივრცე სიბრძნეს ხელს უქნევს,
„ეს რა ფუნჯები დაგიგრეხია," იმ ტილოს ავტორს დრო სასჯელს უდგენს...
და ამიტომაც სადაც მეგულვის, სადაც მეგულვის იქ კი არ ვეძებ,
ცის კიბით მინდა მივეყრდნო ღრუბლებს, იქ მყოფ სულებს რომ როგორმე შევწვდე,-
შევწვდე, რადგანაც ის დრო მეძახის, მემაწვნე როცა დუქნებს სტუმრობდა,
როცა ტივებზე გაშლილ სუფრებზე, მეარღნე მიტო მისებრ ხუმრობდა...
როცა სამშობლოს მტერიც მიქებდა, პირსავსე ქვევრი სტუმარს ელოდა,
სინდისი ძალებს მაშინ იკრებდა, როცა პოეტი მის ლექსს ხვდებოდა...
და მაინც რითმა, პოეტის ნიჭი, გრძნობების ბაღში მუზების ქროლვა,
გაუკვალავზე მელნის წვეთებით, ზეცის კარნახით სიტყვათა სრბოლა, -
ადამიანის გასინდისება, ადამიანის სიმტკიცით წრთობა,
აი კალმებსაც მიტომ ვაწვალებ, მიუწვდომელში რომ შევძლო წვდომა...
ქარსაცავებში მე იმ ქარს ვეძებ, გზააბნეულ დროს რომ უთხრას სიტყვა,
წინაპრის ფესვში დაბუდებული, ჩემთვის და შენთვის ბევრჯერ რომ ითქვა.

***

მე მომწონს კაცნი, აზარფეშებით რომ სვამენ ღვინოს,
სისხლის დუღილით, ლექსთა სტრიქონებს სულს რომ უთვლიან,
მე მომწონს კაცი, სულის აღმასვლით მწვერვალს თუ იპყრობს,
ერს რომ ახსენებს, რაც მამა-პაპას განცდით უთქვია...
მე მომწონს როცა, ღვინო კი არა, ღვინოს რომ ვათრობ,
როცა დოქის ტუჩს ჩემი ტუჩების შეხება შვენის,
ორთაჭალების მისადგომებთან მტკვარი რომ ლაღობს,
გორგასლის ციხე ხოხბის კრიახით პატრონს რომ ელის...
მე მომწონს ძლიერ, ასაღებ ნოტებს ღვინო რომ იღებს,
უფლის დიდებას საგალობლებით რომ ავსებს სუფრა,
მე მომწონს მამულს პაექრობაში მაშინ რომ ვიწვევ,
როცა სათქმელი, გულში რაცა მაქვს იგი რომ ვუთხრა...
მე ძლიერ მომწონს, ეზიარება როცა გარემო,
ლიტურგიის წესს მრევლთა ნაკადის სული რომ იცავს,
დიახაც მომწონს, მტერი რომ მერჩის, ხმალი გავლესო,
ღვინო კი არა, წყურვილს როდესც სიკეთე მიკლავს...
მე ისიც მომწონს, თვალს რომ ვაყოლებ ფარფატა ფოთოლს,
როგორ ეშვება, როგორ უხდება გაღება მსხვერპლის,
მე მომწონს როცა, ლექსის დამწერის კალამი ლოთობს,
ღვინით კი არა, როცა მუზების ალერსით ვთვრები...
მე მომწონს დიახ, მკერდგადაშლილი აზრების მუზა,
ყანწთა ჭიდილში სულს რომ გაუდებს სხეულთან ხიდებს,
ცას გამობმული უძირო სული ღმერთით რომ სუნთქავს,
ამოსარჩევში უპირატესად სიმართლეს ირჩევს...

დიახაც მომწონს, სადღეგრძელოებს როცა ეშხი აქვს,
სათქმელ სულს როცა ფიქრთა კვანძებით ხსნიან აზრები,
ლექსთა გრძნობები უაზრო სიტყვებს როცა ებრძვიან,
როცა ვთამადობ, არ მაშორებენ თვალებს ქალები...
გრძნობის ტალღებით ამიტანია ზეცაში სიტყვა,
ბევრი მითქვია, უფრო მეტს ვიტყვი მგონია აწი,
თუ სიყვარული ერთად-ერთია, წყურვილს რომ მიკლავს,
მაშინ ნუ განმსჯით, მიზეზი ამის თუ არის ქალი...
ბრონწეულების გახლეჩილ ჩოხებს დრო გაპარვიათ,
დირდულას წვეთით ადამიანი მკვდრეთით აღმდგარა,
მე უფრო მომწონს დროის მაყარი როცა მადლია,
სხვის სათქმელ სიტყვებს ლოცვად რომ იტყვის სუფრის თამადა.

ნარიყალას ცით აღქმულ ჩემს ქალაქს, ჩემს თბილისს ვუცქერ,
შეყვარებულთა სულების თრთოლვა მიმშვიდებს ნერვებს,
ჩემი თბილისის მე სიყვარულით, ლექსს აკვანს ვურწევ,
და აივნებზე გადმომდგარ სტროფებს ღვინის სმით ვეძებ...
გამოსაწურად მის დროს იმშვენებს ციური წვენი,
სნეულთსაკურნად ღმერთს უკურთხია ქართული ვაზი,
მე მომწონს დიახ, როცა თამადობს უფალი-ღმერთი,
მისი ლოცვებით როცა დღეგრძელობს ქართველი კაცი.

***

ამ დილით ლექსი დავწერე ჩემთვის,
ფიქრი მივაგე განსაცდელს კაცის,
კითხვა დავუსვი აწმყოს და მერმისს,
პასუხს მოველი, თუნდაც რომ ნაწილს...
ტაძარს შევწირე მცირედი თანხა,
გრძნობა მივმართე რწმენის სიმაღლეს,
აღარ მინდოდა აღარსად წასვლა,
გულში ვთქვი: ღმერთო როგორ მიმართლებს!.
გაჭირვებულის გული გავათბე,
რაც კი შემეძლო, პატივი ვეცი,
თითქოს სიმაღლე გრძნობით ავანთე,
როცა მივხვდი, რომ სამადლო ვქენი...
სიკეთეს სულმა გაუღო კარი,
გაჩნდა პატარა იმედი ცისა,
„ვალდებული ხარ იხადო ვალი“,
აი ეს არის მოთხოვნა ღვთისა..
უნდა ვიწამოთ ჭეშმარიტება,
გული თუ მოგვთხოვს, სიკეთე ვთესოთ,
დამსაურება ის არის ჩვენი,
მაღალი ღმერთი ასე რომ გვენდო...
დავიმახსოვროთ, ბევრთაგან ერთი,
სიკეთეს მხოლოდ აკეთებს ღმერთი,
თუკი აირჩევს მოწაფის მსგავსად,
ვინ ნათელია, ვინ არის ბნელი...
დავიმახსოვროთ უფრო მთავარი,
უფრო მთავარი პირობა ჩვენი,
ოდეს აღთქმა აქვს ერს მიცემული,
უფლება არ გვაქვს ვიცადოთ მეტი...
მოკვდავს არ ძალუძს სიკეთე თესოს,
თუკი, ამისთვის არა ეყო ნებას,
ზეცის ალერსი მწადია, თუმცა
მარტო სურვილით ეს არსად ხდება...
სიმტკიცე გვმართებს სულისა მოკვდავთ,
ათივე მცნების არსამდე წვდომა,
და თუ აღვიქვამთ სიცოცხლეს ლოცვად,
ეჭვი არა მაქვს, ჩვენი დროც მოვა.

***

ხომ იმედია იესო,
ჩემი და შენი მომავლის...
გული საფრენად იწევსო,
ცა როცა ნობათს მომაწვდის...
მწამს, რომ დროებას სჭირდება
ჯვარის სიმძიმე, ნამდვილი,
იმისათვის რომ სიცოცხლეს
არ ჰქონდეს გზები ადვილი...
იმისათვის რომ კვლავ განვლოს
ერმა სავალი მანძილი,
სულმა რომ გულით შეიგრძნოს
ღვთის სიტყვა ბევრჯერ ახსნილი...
არ მინდა გზები იოლი,
არც ფიქრი გულით უგრძნობი,
მინდა, რომ მუდამ თან ახლდეს
ჩემს სულს სიკეთე უქრობი...
ასეა იგი სიცოცხლე,
სავსე გრძნობით და ცრემლებით,
წავალ ტაძარში ვილოცებ,
მის კედლებს შემოვევლები...
სიკეთეს თავი ვუხაროთ,
სიცოცხლეს მივცეთ იმედი,
ჩემი და შენი მომავლის,
ადრე რომ იყო ისეთი...
ფერებს ვასწავლოთ სიმშვიდე,
ბევრში, ის ერთი ვიპოვნოთ,
გულში ჩავიკრათ სიწმინდე,
მამულისათვის ვილოცოთ...
ცოდვას ყველა გზა მოვუჭრათ,
ჭეშმარიტება ვარჩიოთ,
გულით გონებას მოვუხმოთ,
სული ზეცამდე ავწიოთ...
დიახ, ეს არის ოცნება,
ეს არის ჩემი მიზანი,
ფიქრებს რომ ბნელით ვერ შეწვდეს
მოღალატე და ტირანი...
ხომ იმედია იესო,
ჩემი და შენი მომავლის,
წავალ და დავკრეფ იებსო,
ცა როცა ნობათს მომაწვდის.

***

არ ყოფილიყავ, თავად შეგქმნიდი,
ოცნების ძეგლად გამოგძერწავდი,
გალატეასებრ კერპად გაგხდიდი,
ბაირონისებრ აგალექსებდი...
პიგმალიონის საჭრეთლის მადლით,
მშვენიერებას ძეგლს დავუდგამდი,
დაგიმიწებდი სულს სილაღესთან,
ბედნიერებას აღვწერდი კალმით...
გამოგიღებდი სამოთხის ფანჯრებს,
შეჩვეულ გრძნობებს ვაცლიდი ღელვას,
ოდესღაც ობლად დარჩენილ ღამეს,
მოვაცილებდი ტკივილს და სევდას...
და ჯავრს ვიყრიდი ცრემლის წვეთებზე,
ვინც შეგიმოკლა სილაღის განცდა,
ირმის ნაკვალად ნამსგავს მდევრებზეც,
მერე რომ შენი მდევარიც გახდა...
ჩამოვიჭრიდი ნახევარ სევდას,
ნახევრით კიდევ გეტყოდი სათქმელს,
მე გალატეა მიტომ მსურს გერქვას,
ჩემი სიზმარი რომ მინდა ახდეს...
სუნთქვას?.. ჯერ შენს მკერდს მივანიჭებდი,
მზით აგინთებდი ნაპერწკლებს გულზე,
გრძნობებს, რომელსაც სულზე იბნევდი,
გადმოვიყვანდი საჩემო რჯულზე...
ზღვის ქარაფებით შექმნილ შუქ-ჩრდილებს,
ამოვავლებდი ამ სოფლის ცრემლში,
აფროდიტასებრ, მსურს სილამაზე,
რომ შეგიმოსო დედოფლის კვერთხით, -
დაფნის გვირგვინი დაგადგა თავზე,
ცის პაემანზე ვიხმო სილაღე,
რაც ვერ ვიყავი, ის მინდა გავხდე,
სული ჩავუდგა შენებრ სინაზეს, -
გადავატარო ღელვა პოეტის,
იასამნისფრად შეღებილ ლექსზე,
რასაც ამდენ ხანს ასე მოველი,
მსურს მივიყვანო თაფლობის თვემდე, -
თირზასებრ მერე მინდა დაგიშრო,
ლორდის ალერსით ნაცრემლი თვალი,
გრძნობის მორებში გადმოგატარო,
უკვდავებაში რომ ვიგრძნო თავი..
არ ყოფილიყავ, თავად შეგქმნიდი,
სულს ჩავუდგამდი სიცოცხლეს შენსას,
და მარმარილოს უკვდავ შუქ-ჩრდილში,
ამოგკვეთავდი ზეციურ ძეგლად.

***

მე მიზეზს ვეძებ, აზრს ვარგო სიტყვა,
წუთისოფელი შევმოსო ლექსით,
გავიმეორებ, რაც ბევრჯერ მითქვამს,
რადგან სათქმელი ზეციდან მესმის..
ჩემს დაპირებას, რომ ლექსად მოვალ,
თუნდაც სიცოცხლის ერთი ფრთა მერგოს,
ვერ გადავუხვევ, თუნდ მქონდეს ბრძოლა,
მასთან, სიკვდილით ეს ვინც ვერ შეძლო...
კარი გახსენით უსჯულოებო,
ციდან ეშვება სიკეთის მხსნელი,
იქნებ მოყვარეც გონზე მოეგოს,
როს მამულისგან კაცი ხსნას ელის...
ზამთრის კარავთან სითეთრე მიცდის,
ცაში ამსვლელთა რიგი დგას, ვხედავ,
მაგრამ ვაი, რომ არ მიშვებს ხიბლი,
ურწმუნოებას რომელიც ნერგავს ...
რომ დავბრუნდები, ისევ მას ვირჩევ,
ვინაც სათქმელი პირდაპირ მითხრა,
თავს ლექსთა წერით როგორმე ვირჩენ,
ამით რომ ჩემი სიცოცხლე ვიხსნა.

მაგული კორძაია

* * *

...ჰო, სულ აღარაფერს არ ვაკეთებ,
ჩემში რაღაც ზღვარი გადავკვეთე,
იმდენ არაფრობას ვუღე კარი,
ახლა ყველა კარი გადავკეტე...
- როგორ არაფერსო, კალამმა და...
მელანს თავი ისე ამოაწო,
ლექსად მორაკრაკე თანადგომა
თაფლაკვერასავით გამოაცხო.
თითქოს სანაძლეო დაუდია,
თავს არ მანებებს და შემაფხიზლა:
- შენ რომც ყველა კარი გადაკეტოო,
- ხედაავ, ნიავიც კი არ დაიძრა...
და რომ არც ნიავი მაღელვებდა,
და არც ბილიკები აღმავალი,
მელნის ამ პაწაწა მონათხუპნის
თითქოს სასიცოცხლო ვიღე ვალი...
აზრებშემცივნული კალმის წვერი,
სულში ზღვა სანთლებად მეღვენთება,
სადაც კარებს ვნახავ გადარაზულს,
ყველა კარის თავზე მზედ ენთება!
ასე, უცებ, ჩემდაუნებურად,
ისევ შემოვაღე ყველა კარი,
იქნებ ვინმეს მაინც გამოვადგე,
ჩემთვის დათხუპნული სიტყვა-ბწკარით!

* * *

ლექსს მიზეზი რად სჭირდება,
"აგტკივდება",მისას იზამს,
ფეხქვეშ იფენს ყველა ცთომილს,
მაგრამ თუკი აიმრიზა...

წყალს გაატანს მოკეკლუცე,
ამპარტავან სიტყვის მსახურს,
მამაჩემმა იცოდა თქმა:
- შეხე, როგორ ჰგავსო „გახუს“...*

კაკალს თავზე დაგამტვრევს და
ჩამოგკიდოს იქნებ ხეზეც,
თუ ყვინჩილა მამალივით
რითმას გამოაბამ დეზებს...

ხანდახან რომ თოხსაც იხდენს,
დიბა-ატლასს უცხოდ კერავს,
გაზაფხულზე იწყებს ზრუნვას,
მუდამ ღუღუნებდეს კერა.

სულ უბრალოდ, ჩამოივლის,
ცეცხლს დაანთებს ორ სიტყვაში,
ნაწვალები თუ არ არის
ვარსკვლავს მოწყვეტს გამოთქმაში.

ჰოდა, მაშინ, თუ იქნება,
ლექსი თუნდაც წვეთი ზღვაში,
მოსალოცი ამბავია,
შენში ცოცხლობს დიდი ბავშვი.

რადგან სტრიქონს სულ უბრალო,
სხივმფინარე ჯიღა შვენის,
შენს ლექსებს კი თვალები აქვს
ლაღად მონავარდე შველის.

მუზავ, არც როს მიმატოვო,
ერთი ამოსუნთქვით მშველი!

---

*გახუ – დღესაც არ ვიცი მნიშვნელობა – მამაჩემი იტყოდა ხოლმე, სასაცილო ამპარტავანზე... რა თქმა უნდა იუმორით.

იყოს...

"უფლებებით" აღვიჭურვეთ,
ბრძანებების ვუშვებთ ჭურვებს,
ურვა კარზე აკაკუნებს,
- ვნებებს თუ არ დავიურვებთ...
სტრიქონს ვწერ და მელამაზა,
განა აზრად მე ვქმნი ნაზავს,
წინაპართა სულისთქმამ და
გულისძგერამ შემიკმაზა.
დღესაც თუ რამ გამოვტაცე,
"ჭკუით" აღტკინებულ ბაზარს,
ცუდად შემოღებულ კარებს,
ჩემს წილს მაინც გადავრაზავ...
აზრს და უაზრობას შორის
მხოლოდ "რვიანებს" ვხაზავთ,
ხელისგულის გულცივობამ
სტრიქონები გამიბრაზა...
"სიყვარულით"იმდენს ვუბნობთ,
სიტყვამ გადაკეტა სასა,
დავტრიალებთ მუდმივ წრეზე,
მახრჩობელა "მეს" და "სხვასაც",
ზეცას თუ არ ჩამოძენძავ,
არ იქნები მიწის ხასა...
ვნებებს თავი გამოსტაცე,
რომც დაგიჯდეს ერთი ასად,
უუფლებო "უფლებებზე"
წერტილს მაინც ღმერთი დასვამს!

შეგვეწიოს დედაღვთისმშობელი!

ვიღაც ნააზრევად ჩამითვლის
და ვიღაც აცა-ბაცა სტრიქონებად,
ნეტავ დაგანახათ როგორ მინდა,
გზაზე ურმის ლექსად მიგორება...
ისე,ბილიკ-ბილიკ შარაგზამდე
შუკებს მზე ვეგონო "აბეზარი",
არც რა გამაჩნია უფრო დიდი,
უფრო სათუთი და საესავი!
თმერთო, სიტყვა მადლად დამაწიე,
ყველას ვახარო თუ გამიცანი,
განა არ ვიცი რომ ბწკარ მარცვლები
მისთვის მისახსოვრე, დაგეცავი!

უშგული-ლამარია

* * *

გაქრა სიტყვის სიალალე, გაქრა,
ვერც დუმილში ვიგრძენ თავი მშვიდად,
ინსტინქტები ენაცვლება გრძნობებს,
და"შავ-თეთრი" ფეხზე დაიკიდა...

რაც დრო გადის მიცრუვდება გული,
სიტყვის ჭაშნიკს ვერ ავუღე გემო,
ვგრძნობ რომ წერაც მიმატოვებს,ალბათ,
ჩაკირული ფიქრით უნდა მგვემოს...

დასაწერი თითქოს არც რა დარჩა,
დაწერილს ხომ მთლად გავაძვრეთ სიქა,
ლექსის ძარღვი, ცეცხლნაკვესი დვრიტა,
ტაშფანდურა სიტყვით გაიქიქა...

ხან ტკივილებს მოვედე და ხანაც,
სიყვარულმა მამსხვრევინა მუზა,
გალახული ბავშვივით ვარ, წყენით,
კუთხეში რომ საწყლად აიტუზა.

განა აზრი ასე როგორ გაცვდა,
სიცარიელე ვერ აოტოს,მკვებოს,
(ვისთვის როგორ,) გალეულა მზეც და
მასაც უჭირს, -უნდა შეიღებოს?!

სულს მიკაწრავს ხელოვნური განცდა
"ვაი -ვიშით" ყველა ზღვარს რომ გაცდა,
სიალალე შეატოვა ალალს,*
წრფელ სიტყვას კი გაუჭირდა დაცდა..

რა დავწერო, გონებას და გულსაც
ჰარაკირით ამღვრევია მზერა,
მხოლოდ, სულო, გამოფხიზლდე იქნებ,
ჯერაც შენი უკვდავება მჯერა!

---

* ალალი – მიმინოსებრთა ოჯახის ფრინველი;

* * *

ამ ლექსის ინსპირაცია
ვახტანგ ღლონტის ლექსი-
"უსათაურო" გახდა

გათენდა, რაღაც უფრო მშვიდი ვარ,
მზე შემოდგომის მითბობს იოგებს,
დარდით ათასჯერ ჩახრინწულ ხმას რომ
ვეღარაფერი ამიწიოკებს...
ღიღინ-ღიღინით ვიხსენებ თავს და
სულს სიხარულის ცრემლით ვიოკებ,
შეყუჟული ვარ სიკეთის სხვენში
დარჩენილ წამებს არ ვახრიოკებ...
უდაოდ ვიცი,თუ რამ "შევფუთე,"
ერთხელაც ციმ-ციმ შეიხსნის ბალთას,
სულ უბრალოდ და თავდაჯერებით
როცა წარვსდგები საუფლო კართან.
რა საჭიროა ყველაფრის ახსნა,
დაე,იდინოს დროჟამმა თვისით,
წყალს კალაპოტი რომც შეუცვალო,
განა თვისება იცვლება მისი...
წამწამთკრთომაში ჩადნება დრო და
შენდობის გარდა ნურაფერს ითხოვ,
მზე უცილობლად გამოგაყოლებს
ზამთრის კარამდე საშენო სითბოს!

* * *

როცა მეგონა დუმილს ვკვერავდი,
უმისსმართო წუთების საზრდოდ,
თავად დრომ ისე ჩუმად მიყელა...
სურვილიც არ მაქვს, რომ გავიაზრო...
ყველა სიურჩე მთავრდება ერთხელ,
დროის ბაქანზე რჩები ეული,
რაც უნდა მთები გადაგელახა,
როს ბოლო სუფრის ხდები წვეული,
ან კალმახივით კვლავ დუმილს ირჩევ,
ან გამყიდველი ხდები, წყეული ...
დროსა და სივრცის მდინარებაში
ადამიანებს გადაჩვეული.
სულ ბოლო კონტურს სურვილად ავლებ,
ბოლო ფურცელზე ჰო, იმ რვეულის,
–ცამ დაიტიოს მიწის სისუსტე-
სული სხეულით გადარეული!

* * *

აღარც კითხვებით ვიწვალებ თავს და
არც გულსაამო პასუხს ვდარაჯობ,
ქვეშეცნეული მიბუქებს მზერას,
ვზვერავ ჩემ თავს და არ ვიცი რა სჯობს...
კბილების ჭია თუ ღიმილს მპარავს,
არ ვყიდი,დარდად გაცვეთლ ყოფას,
უდაბურობა მთავაზობს კარავს,
"კმარას" ძახილმაც ვერ გამაცოფა....
რა ესაქმება აწმყოში მყოფადს,
ყოველი წამი ბოლოა იქნებ,
სანამ ამოხსნი, სანამ გაიგებ,
და სანამ სადმე გზასაც გაიგნებ,
შემოგეხევა სამოსი ტანზე,
სიშიშვლე არც კი შეიტყობს ნამზევს,
რადგანაც დღემდე ბნელში დავდივართ,
ბნელში დავდივართ ვერ ვამჩნევთ რა მზეს...
აყოლილი ვართ პირამიდებით
მზის "გამომწყვდევით" ცდუნებულ რამზესს...

სულის ბორიო...*

სულდაცლილობის ბრალია, ვგონებ,
შუქჩრდილებს ებრძვის თვალისჩინი და ...
ამოხაფული სიცოცხლის საზრდოს,
- ფერი წასვლია მზეს და ირიდას.**
ვერც მთვარის შუქთან დაზავდა,თითქოს,
სიმშვიდეს ართმევს ჩქამიც, ბორიოც,
მყესებდაჭიმულ სინამდვილეში,
დღე ღამეს უფრთხის, უფრთხის ორიონს...***
ფერშემოცლილი გალაქტიკები
მზეს უკანასკნელ სითბოს წურავენ,
ზეცა შენ გენდო ადამიანო,
ადე...სანამ კარს მიგიხურავენ!

---

* ბორიო- მშვიდი ნიავი;
** ირიდა-ცისარტყელას ქალღმერთი;
*** ორიონი-ერთ-ერთი კაშკაშა თანავარსკვლავედი;

ვერდაძებნილო სრულყოფილებავ...

არასრულყოფილთ, სრუყლყოფილება
თავში სახლელი გვგონია ხშირად,
ადამიანმა – თვითკმაყოფილი,
თავის თავიდან ვერ გამოხშირა...

არის მუდმივი ორომტრიალი,
ვინ რას დაეძებს, არავინ იცის,
კანონ(ს)ზომიერს "ზომა" წავართვით,
სამყაროს ვებრძვით ურა კვიცივით...

გვეძახის,გვიხმობს დროში ნაქსოვი,
სრულყოფილობით ნაქსოვი ქობა,
იმ უკერველი კვართის გულისხმა,
ღვთისმშობელმა რომ მოქსოვა შობას!

და თუ ხმამაღლა გამოგდის ფიქრი,
ნირი ეცვლება შენს ირგვლივ ყველას,
ცის სამკვიდროში ჭექაქუხილიც
შველას ითხოვს და ამიტომ ელავს...

და როცა მეხის გავარდნის ფასად
გამოფხიზლება გვიჯდება ძვირი,
აქ სტუმრად მოსულთ, წუთისოფლისთვის
გვიგვიანდება გადახდა ქირის...

მერე კოსმიურ სიმარტოვეში
ვიძირებით და ჩვენ თავსვე ვტირით,
არასრულყოფილთ, სრულყოფილება,
თავსმოხვეული გვგონია ჭირი...

წყალამომშრალი ყოფის მორევში,
ვერ ვადუღაბეთ ქვიშა და კირი,
დღესაც ასეა გადახვეული
არასრულყოფილთ ცხოვრების ფირი...

ვერდაძებნილო სრულყოფილებავ,
ვარ დამაშვრალი, მიმიღე შვილი!

ნანიკო (ნანო) ხარძიანი

ადამიანი...

ერთი უბრალო მოკვადვ ვარ,
ამ ქვეყნის ცოდვა მადლითა,
მზის სხივ ვახარე სიცოცხლედ,
ვარსკვლავნი დავრგე ცაზედა,
მიყვარს ჩანჩქერთა ნავარდი,
იდუმალ ფოთოლთ შრიალი,
ტრფობით ვიწვები თუ მიყვარს...
ქარაფსაც არ ვერიდები,
მთვარეს ღიმილით ვუყვები,
სულის ტკივილის ხმაზედა,
ზოგჯერ ზვავივით მოვწყდები,
უკუღმართს... არემარესა,
მიყვარს იმ მიწის ფესვები,
უფლის ნაკურთხი მხარესა,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანა,
მაცოცხლებს, გამახარებსა,
შვილების თვალთა სინათლე,
მინათებს უკუნ ღამესა,
მთის სათიბების სურნელი,
მათბობს და მაელვარებსა,
მიყვარს წარსულის დიდება,
წინაპართ ნაკვალევისა,
თაფლის სანთელის სურნელი,
სიცოცხლეს მიხანგრძლივებსა.

ზოგჯერ ქარი ვარ ტრამალზე,
ზოგჯერ ნიავად ვიქცევი,
ჩემი სამშობლოს მტრების კი,
მეხადაც გადავიქცევი...
მიყვარს ვაჟკაცის ნათქვამი,
სიტყვა ქართული ფხიანად,
ქალის ლამაზი ღიმილი,
გულს რომ ატყვია მზიანად,
აკვანი მიყვარს მზისწნული,
ღუღუნი სიცოცხლისაო,
ლამაზად ლექსი ნათქვამი,
ნათქვამი გულის ხმისაო.

ერთი უბრალო მოკვდავ ვარ...
შვილი ალალი მშობლების,
დიდი ტაძრიდან, საყდრამდე,
ჯვარის და რწმენის მპყრობელის,
მიყვარს უბრალოდ ... ვინც მიყვარს,
ფერებს მოვქარგავ მძივებით,
რაცა ვარ, ეს ვარ, რაც აქ ვარ!
სანამ ცოცხალ ვარ ვიქნები.
მერე გავყვები მყინვარზე,
ბილიკს გავივლი მზიანსა,
ვიცი ... დამხვდება უფალი,
სინათლით გულდარდიანსა.

* * *

აზრად ჩამისახლდი, ფიქრად დამენათლე,
ლოცვად მომევლინე, სანთლად დაგენთები,
წყაროდ აგიმღერებ, სულში ნაფერებო,
ჩემი სიცოცხლის შენ მიზეზი რომ,,ხდები".

მიდის ისევ გემი, უსასრულო გზებზე,
ცის თაღს ეფერება, მთვარე გარინდული,
სიოს სუნთქვას ისმენს, მთები იდუმალი,
ალიონის მზის სხივს შენით ვეგებები.

იცი? ამ ხანმოკლე, ერთი გაელვების,
ვარსკვლავს შეგადარე, უკვე ისტორიას,
ზღვის ტალღების შფოთვას, ნავს კი მონანავეს,
სანაპიროს ცხელი, ქვიშა დაფენია.

წვიმა ამიტირდა ფიქრთა ფორიაქით,
დაუსველდა თვალი, მართლა ნამდვილია,
,,ეფემერა" წვეთად მინას შერჩენილი,
ქარის ბორიალის, სევდის ნარჩენია.

კალამს მინდობილი გულის ხმას კი სადღაც,
გახელებულ სურვილს ბორკილდასდებია,
შემოდგომის უხვი ფერთა გალაშქრებას,
შენი ბაგის ჩუმი ღიმი მოსდებია.

ოდეს ყვავილობის სურნელს თავბრუდამხვევს,
მონატრების სუნთქვის,,პულსი" დაჰყოლია.

***** ****

მთვარევ შენ ღამის წაწალო,
ღრუბელთა სამოსელითა,
ზეცას გაკრულო,,ვარსკვლავო"
დაგაქვს ჯავრ გულის სევდისა,
სადა არა დაჰხეტიალობ,
სად არა ჰხედამ,,რამესა",
მოივლი ისე დუმილით,
ფორიაქს ურჩსა ღამესა,
ნიავს ჩურჩულით აყოლებ,
ქალას ნატვრისა წამებსა,
თითქოს გულცივ ხარ არ დარდობ,
არარად იმჩნევ რამესა.
დაგორავ ისე ვითამცა,
ვალ ჰქონდეს შენი ღამესა,
გკლავს კი სურვილი მზის სხივის,
გაგინათებდეს თვალებსა.

ჩამაჯექ წყაროს თავზედა,
პირიმზეს დაჰხე თავზედა,
ლოცვა თქვი ანგელოზისა,
შაირ სთქვი ურჩი მთებისა,
დედაბუნება საკინძეს,
ჩაიხსნის ფერად ყოილთა,
დაგაბრძანებენ ვით სურვილს,
ვით მზის სხივების ცურვილთა,
მთვარევ... შენ ღამის წაწალო,
,,მთვრალო " სიცოცხლის ჟინითა,
გადმოხე ... გულით გატარო,
ვით ლოცვის მადლი დილისა.

* * *

დედა დედოფალი, ქალი მზის სხივებით,
ნაზი სიფაქიზე, სულის სიმრთელეში,
სევდა გულის დარდის, უფლის დიდი მადლი,
სიყვარულის მძივი, მარგალიტისდარი,
ქალი არსადარი, ვით ტალღები ზღვაზე,
თოლიების ფრთების კრთება ჩვეულ ხმაზე,

დედა დედოფალი, მხრებით უდგას ტაძარს,
ტაძარს სიცოცხლის და სიყვარულის ზღაპარს,
იასამნისფერი სულის სურნელებას,
აფრქვევს ყვავილობის და კვირტობის ფერად,
ამაყ ქართველობის გვირგვინი და ხიდი...
შენ ხარ დედოფალო ! სიყვარული დიდი.

* * *

მე და შემოდგომა ერთად დავიბადეთ,
ფერთა,,გნიასი "კი სევდას გვიფერადებს,
მე და მთვარე ცაზე, ერთად მივილევით,
როცა ვერ ვიხილივათ ფერთა სიდიადეს.

შენ კი ჩემი სულის თბილო სიხარულო,
სადღაც შორიდან რომ სუნქვით მეფერები,
გაზაფხულის წვიმის თქეშად მოდენილო,
ვარდის სურნელების ეშხში იძირები.

შემოდგომის ცივი და თავნება ქარი,
ფოთლებს მიაცილებს საკურთხევლის კართან,
შენი კი დიდი,,ვაჟას" უკვდავ ლექსის ბწკარით,
გამიღვიძებ ღელვას, ფშავის სალოცავთან.

ცის ლაჟვარდი კრთება ე მაგ თვალთა შუქით,
ღამეს ლამპარს უნთებს მათი ელვარება,
როგორ თბილად მესმის მე ეს წაკითხული,
როგორც მთების გულის სევდის მწუხარება.

ალბათ სიამაყე დაძლევს სურვილების,
ბობოქარი გრძნობის ველურ ჟინის ვნებას,
მთვარე გაიელვა ღამის ხეტიალში,
და დაჰყვება კაცი ისევ უფლის ნებას.

ფიქრის ფიქრად თითქოს ფიფქად მოვლენილი,
ელოდები ზამთრის ლამაზ გარინდებას,
ბუხრის სითბოში კი ჩაგისახლებ სულში,
გაზაფხულის იის ლამაზ გაღვიძებად.

* * *

შემოდგომის ცა, ცაზე მეტია,
ამედევნება ხევთა ნისლები,
ფიქრი კი გულში შემომეჩვია,
მე შენ მჭირდები, ჩემი იქნები.

სევდით დანისლულ თვალთა სიშორით,
თითქოს მწვერვალებს ისევ მისწვდები,
ნიავს ჩურჩულით გამოჰყოლია,
მე შენ მიყვარხარ, მე შენ მჭირდები.

შემოდგომის ცა, ხომ ზღვისფერია,
ზოგჯერ ცრემლების თქეშად დაღვრილი,
მიჰყვება ისევ დათოვლილ მთებზე,
ბილიკს დაღლილი, შენზე ფიქრებით.

მთვარეს სულ მოაქვს სარკმელთან შენი,
დანაბარები სულის სათქმელი,
სანთელი დნება უფალს ავედრებს,
როგორ მიყვარხარ, როგორ მჭირდები.

გაზაფხულების იის სურნელი,
ფოთოლთაცვენას ვნებით შეხვდება,
მაისის ვარდის გაუშლელ კოკორს,
შემოდგომის მზე მოეფერება.

შემოდგომის ცა, ცაზე მეტია,
ფუნჯი მოქარგავს სულის ხვიარებს,
მინდა იცოდე, ჩემო სულისთქმავ,
რომ მივდევ ისევ ნატკენ იარებს.

როდესმე ალბათ ისევ შევხვდებით,
ისევ ავანთებთ დღეებს მზიანებს,
ისევ ჩურჩულით გეტყვი ძვირფასო,
დღესაც ვიცი რომ დავიგვიანე.

სულში ქარია

სულში ქარია, ლეწავს დარაბებს,
ზღვაზე თოლია დაფარფატებს, როგორც ფანტელი,
ზურმუხტისფერი ზეცა ისევ მაგონებს თვალებს...
შენ მენატრები.
ატმისფერ ბაგეს ღიმილები ეკეკლუცება,
ვარსკვლავებს დავკრეფ შენი ხელებით...
მოგეფერები.
ღამის წყვდიადში განთიადი მეალერსება...
ვნების მორევში.
და... ჭიუხებზე ჩამოიხევა ფარდა სიშორის,
თვალთა ხატებად აღიმართება კლდეთა სიშიშვლე,
ვით ანგელოზი უგალობებს სიცოცხლეს ისევ,
სევდის ცრემლებით.

სულში ქარია...
ლეწავს დარაბებს, მაგნოლიები ისევ კვდებიან,
უკვდავებას კი, კვლავ ეტრფის მთვარე,
ჰორიზონტი ხომ უკვე,,მთვრალია"
სადღაც კი ყრიან ურცხვი ხორხოცით,
მარგალიტ-ლალებს,
ვიღაცას შია...
ვისი ბრალია?!
კითხულობს ვიღაც...
შემოდგომის ფერთა კაშკაშმა,
ცისარტყელები დარში არია,
სადღაც ვიღაცა, რაღაცას ყვება,
და სიყვარულის ნაზი ფერები, რუხი ფერებით არივდარია.

იცი ? ქარია, სულში ისევ სევდის ქარია,
და ეკედრება კარიბჭესთან უფალს ცრემლებით,
სანამ სიცოცხლე კიდევ ერთხელ მეტყვის დარჩიო...
მე შენ მიყვარხარ! მე შენ მჭირდები!.

შენ ფიქრო...

შენ, ფიქრო ოხერტიალო,
გინდა ? რომ მახეტიალო,
ნაფიქრო ჩემო მზიანო,
გსურს დარდი გამიზიარო!?.
მთვარევ მეგზურო ღამისა,
ზეცაო დუმილიანო,
ნიავო ნაჩურჩულებო,
წვიმის წვეთებო ხმიანო,
ნისლებო ქარაფებისა,
მყინვარო დიდგულიანო,
მზეო,,ცხოველო" სიცოცხლის,
სიმღერავ ომახიანო,
ზღვაო აქოჩრილ ტალღებით,
ქვიშაო მარცვლებიანო,
ტრამალო უსასრულობის,
კაეშანი რომ გქვიანო,
ჩუქურთმავ ჩემი სულისა,
ნატვიფრო ნაფერიანო,
მემატიანევ კალმითა,
ნაწერო ტკივილიანო.
ბევრჯერ ნაცრემლო სევდაო,
მუხლზე დამჯდარო ვედრებით,
ტაძარო სულის სავანევ,
ვიცი რომ ისევ შევხდებით.

შენ... ფიქრო ოხერტიალო,
რად გინდა მახეტიალო,
სიზმრად ნანახო ვარსკვალვო,
თვალები გინატრიანო,
ღიმილო დანაფერებო,
სიცოცხლევ ალერსიანო,
განა არა ღირს?! ამ ქვეყნად,
ამ სუნთქვით,,ვიხეტიალო".

* * *

ისე სევდიანად მიყვებიან,
ჩემი კესანები, გულის დარდებს,
ზღვა კი ისევ ღელავს, არ მშვიდდება,
გულის ფორიაქებს, ...
სულ ქაფებად ანთხევს,...
ფრესკა ღვთისმშობელის, ისე მიყურებს დღეს,.. .
თითქოს ჩემი თხოვნა, სადღაც გაუფრინდა,
ჩემი კესანები, ისევ მოწყენილი,
ბედის ირონიას ჩუმად ჩურჩულებენ.

გაშიშვლებულ სულის, ღამის სიმფონია,
ისევ შარიშურობს, ღამის სიოს გაჰყვა,
მთვარე ლექსის ბნკარებს, დაწერს საიდუმლოს,
ჩრდილებს შეაფარებს, დარდებს სულ ავდრიანს,...

ლამაზ შემოდგომის ფერად ქორწინებას,
ისევ ლამაზ სტროფად, დაწერს ლამაზ კალმით,...
უსუსური ფოთოლთ, ნაზი ფარფატი კი,
მომაგონებს ისევ მე გზებს, სევდით გავლილს,...

გაღეღილ საკინძეს, მარგალიტის მძივი,
მოხვეული ყელზე, ისტორიას ყვება,
ლამაზ შემოდგომის, ყვავილობა ვარდის,
ნიშანია ისევ.... გრძნობის გაღვიძება,...

შორეული ლანდი, ოდნავ ნირწამხდარი,
თითქოს პატიებას ატანს ფოთოლცვენას,
ჩემი კესანები, სევდიანი დარდით,
ისევ წერენ ლექსებს,.... შემოდგომის ფერად,....

* * *

ქართული ჯიშის გენიავ,
ვარსკვლაო მომავლისაო,
ანბანო ნაჩუქურთმებო,
ლილეო ექოვ მთისაო,
ნაფერებ შენ ნაცრემლარო,
ვაზო ნაშენო ღვთისაო,
გლეხკაცის სავედრებელო,
ტაძარო ივერთ ხმისაო,
დაუვიწყარო ტკივილო,
დედა და დედოფლისაო,
გზაო გავლილო გოლგოთის,
შირვანს ჩასული მზისაო.
ლოცვით აღთქმულო შენ ფიცო,
დაფერფლილ შავი დღისაო.

შენ საქართველოს ჯილაგის,
ვარსკვლავო მომავლისაო,
გიყვარდეს მიწა მშობელი,
ქართული ზეცის მზისაო,
ისწავლე ენა,ამღერე,
გალობით უფალ ღვთისაო,
ვერვინ გაცდუნოს ვერასდროს,
ნაშობი ქართველისაო.

ისწავლე,,ვაჟას" ბილიკი,
სიცოცხლე ხვალის დღისაო,
წინაპართ დატოვებულის,
იცოდე ფასი სხვისაო,
შეჰკარ კამარა მართვეო!
სუნთქვა გესმოდეს მთისაო,
ბარში გიხმობდეს ასული,
მზის სხივის მსგავსი დღისაო,
მიწა მშობელი იმედად,
გელის შენ ვარსკვლავისაო,
არ გაუცრუო იმედი,
ქართველო მომავლისაო.!!!♡

* * *

მოსტაცეს მთვარეს ღამეში,
ვარსკვლავი შუქურ ცისაო,
დაიბნა ღრუბელთა ჯარში,
ნათელს ეძებდა დღისაო.

ჯანღი ნისლები ხევებზე,
ფაფარსა ბრაზით შლისაო,
თერგი კი შაჰყეფს ღამესა,
ცრემლი სწვავს დილის მზისაო.

სადღაც შორს, მწყემსი სალამურს,
აკვნესებს ჩაგრულისაო,
მთათა კალთებზე ირწევა,
აისი ვიღაც სხვისაო.

ხევისბერს წარბი შაუკრთის,
გაგონილ-ნანახისაო,
მყინვარებს ზვავი მოსკდებათ,
ქარაფთა სიკვდილისაო.

გაბნეულ ფესვებს მუხა კი,
იცავს სეტყვისგან ცისაო,
მოსტაცეს მთვარეს ღამეში,
ვარსკვლავი შუქურ ცისაო.

ადიდებული ზღვის ტალღა,
ნაპირს მოარღვევს კლდისაო,
ფიალა გადავსებულა,
ვაჟკაცთა მოთმენისაო.

შასძახეს! ჰეი ! ქართველნო,
,,ქუდზე კაცს იძახიანო"!
აბობოქრებულ გულის ხმას,
აჰყვა ხევებიც ხმითაო.

თავხედსა მომხვდურს კარზედა,
მომპარავს მზისა სხვისაო,
მეხად იქუხეს და ერთად,
მადლი ქნეს უფალ ღვთისაო.

ქალაის ცრემლი დაღვრილი,
მარგალიტების მძივებად,
ჩანჩქერს უმშვენებს სიცოცხლეს,
ვით ოდეს... ელაციცება.

მთვარეს მოსტაცეს ღამეში,
ვარსკვლავი შუქურ ცისაო,
დაიბნა ღრუბელთა ჯარში,
ნათელს ეძებდა დღისაო.

ოქროსფერს სურვილს...

ოქროსფერს სურვილს, მზის სხივთა ცურვილს,
დაშვებულს სულში, პოეტი ქარგავს, კალამით ისევ,
იმ ფერთა გამას, ასე რომ ათბობს სამყაროს მზერას,
ლექსით და სევდას აფერადებს ჭაღარას ფერთა,
სიდიადედ ბწკარებში ლექსთა.
ზოგჯერ მღელვარე ვერ იტევს გრძნობას,
გულში მჩქეფარეს,
მარგალიტებად ასხამს მძივებს და...
ანკარა წყაროს პეშვით მოგართმევს,
ბაგეს ალუბლის კოცნით დაათრობს
და ალიონი რომ იფერმკრთალებს,
დაიბადება ისევ ჩანჩქერი, გადაეშვება...
უსასრულობის უშრეტ მდინარედ.
გულში ჩაიკლავს პოეტი სევდას,
ღვინით შეივსებს გრძნობის ფიალას,
იტყვის ღამესთან ლექსად სიცოცხლეს,
თუ როგორ უყვარს!
და სად იარა ...
ოქროსფერს სურვილს ჩაიკრავს სულში,
,გიჟი " პოეტი,
და გაჰყვება კვლავ მის ბილიკებს
დარდით,,ხვიარას".

* * *

ჩვენი ცხოვრების ბილიკებს,
,,ავანიცა ჰყავს ჩავანიც",
მზეც ათბობს სხივთა კაშკაშით,
მთვარე კი, ღამით მავალი,
არის საწურთოს გამოცდა,
ოქრო და ვერცხლი მრავალი,
ზოგი მივყვებით ქარიშხალს,
ზოგი კი ნავით მავალი,
მიჰყვება ადვილს ეშმაკი,
თითქოს ვერ ამჩნევს მავანი,
ითქმება და იწერება,
ჩუმად ნაფიქრი ნასწავლი,
ლოცვას აღავლენს ტაძარში,
მრევლი მორწმუნე მრავალი,
სადღაც ხომ მადლით უფლისა
ისევ ირწევა აკვანი,
წინაპართ ნაფეხურებზე,
შენდება რწმენის ტაძარი.
დედები ისევ გალობენ,
დარდობს ფუძეს კვლავ ვაჟკაცი.
მიდის ცხოვრება ღიღინით,
მიდის და მიაგორებსა,
ხან ცეცხლის თქეშის წვიმა წვავს,
ხან ვარსკვლავთ მოაგროვებსა,
ხან ჩითის კაბას მოიხდენს,
ზოგჯერ კი,,ჯვალოს" ხმარობსა,
ფიცს დადებს სიცოცხლისათვის,
გარდაცვალებას ჰყვარობსა,
ხელებგაშლილი შესძახებს,
უფალი ღმერთი ხარობსა,
უთენებელი ღამის კი,
ბულბული ისევ გალობსა,
ვარდი დედოფლობს ამაყი,
ია ხევს ჩასვლას ჩქარობსა,
სათიბი მთიბველს კვლავ ელის,
სურნელად დაიღვაროსა...
მე კი... მე ! ჩემო გამჩენო!
შენთან შეხვედრის წამებსა,
გითხრა თუ როგორ მიყვარხარ!
რომ ენატრები თვალებსა,
კალთაზე თავი დაგადო,
გავათენებდი ღამესაც.

შენ !.. ჩემო ღამევ.

ღამენათევი ფიქრები,
ბაგეს უკოცნის ალიონს,
მზის სხივთა ამბორს ელის და...
თავს კვლავ დაუხრის ამბიონს,
მთვარემ,,ლაჩარი " ფიქრებით,
ცის ჰორიზონტი დალაშქრა,
მზის სითბოს ელვარებაში,
ისევ სურვილად აზვავდა,
ვერ მისწვდა ყინულქცეული,
მწვერვალთა ფიქრს და ნატვრსა,
გულში ჩაიკლა სიცოცხლეც,
თითქოს თვითონაც,,დამთავრდა".
სადღაც ვარსკვლავთა ლაშქარი,
დარაჯად უდგას ღამესა,
შემცივნულ სულში ჩურჩულით,
სიყვარულს უხსნის მთვარესა.
მოვალ და გულის სიამევ,
კარავს აგიშენებ მთებში,
გვირგვინს სიყვარულის,
სულის მელოდიას,
გრძნობით ჩაგიწნავ თმებში.
ტაძარს აგიშენებ ტრფობის,
ბილიკს დავუბრუნდეთ ყრმობის,
სურნელს მიმოვაბნევ ჭიუხთ,
შენი ღიმილების თრთოლვით.
გულზე კვლავ დაგიბნევ ღილად,
ლოცვით ისევ ვიტყვი სათქმელს,
მერე... დავითვრებით ერთად,
ერთად,,ვუდარაჯებთ" ღამეს.

* * *

გამიდიდგულდნენ ჩემი მიწის სულის ფესვები,
ამიბობქრდა მონატრება როგორც ენგური,
წლებმა იწივლეს... და ხმაურით ქვათაცვენისა,
მთებიდან ზათქით, დიდ ზვავებად დაბლა ვეშვები.

გამიდიდგულდა ჩემი მიწის სული ამაყი,
არშეჩვეული მონობისთვის ,,რატომ გავწირე!"
როგორც არაგვი მოაგორებს ბრაზით შავ ტალღებს,
ისე ბობოქრობს გული მიწის,... ხედავს დარაბებს,
როგორ დახურა და მზის სხივებს ელის იმ შვების,
ასე რომ უხმობს და ეძახის ექოდ მთას და ხევს.

აჩრდილებს მისდევს სული მიწის ნაწყენ წინაპართ,
ლოდინით დაღლილთ ცხრამთას იქეთ დარჩათ სიცოცხლე,
სად არის ნეტავ ქართველი ქალის ის სილამაზე!?
საქართველოს რომ მტრის თვალებში სულ,,ხდიდა" ნეტარს.

გამიდიდგულდა ვაზის ცრემლი მათრობს, მამღერებს,
იავნანაო მოენატრა კვლავ ქართულ ზეცას,
წყაროს წყალივით ანკარა სურვილს გული ამღერებს,
და დასასრულსაც თუ დაარქმევს ქართველი ნეტავ.

გამიდიდგულდა ჩემი მიწის მუხის ფესვები,
და ახმაურდა გმირთა სულების წუხილით კვნესა,
წლებმა იწივლეს... მოენატრათ ფუძის ფესვები,
ქართველო ! შენს თავს როდის აძლევ ამ სულის შვებას.

შენ ჩემო...♡

ჩაგიზიარებ სულისმწედ,
ამოგიქარგავ უბესა,
დაგარქმევ ჩემსა ნანდაურს,
დაგეწაფები ბაგესა,
სურნელად გაბნევ ყვავილთა,
სარეცელს გავშლი ღამესა,
ნათიბის მთოვარ ვნებას კი,
გავუთენებ მე ღამესა.♡

ავაზას სულგრძელობითა,
დაველოდები მთვარესა,
ვარსკვლავთა შუქურ ციალში,
ავამღერებდი ღამესაც,
მკლავს გადავიწვენ ალიონს,
ვნებას სულ მოჩანჩქარესა,
ნისლებად გავიფანტები,
ზურმუხტისფერსა ცაზედა.♡
ბროლისა ყელზე ძვირფასო,
ჩემოგხვევ ჩემსა მკლავებსა,
აგიტაცებდი... მწვერვალებს,
მოგატარებდი მხარესა,
მინვრად გაშლილი ყვავილთა,
ნამს დავარქმევდი ბაგესა,
საკინძეს ვარდის ჩეროსი,
ვაბრიალებდი ალებსა,
და ლამაზ თვალებს სიცოცხლის,
ცრემლს შევუმშრალებ მწარესა, ♡
არწივებს ვესტუმრებოდით,
მიუვალ ჭიუხ მხარესა,
ტაძარში გვირგვინს ტრფობისთვის,
მუხლს მოვუყრიდი ხატებსა,
ფრესკად დაგხატავ ჩემს გულში,
სიცოცხლედ სულ მდინარესა.

სუნთქვას დაგარქმევ გულისა,
სალოცავს წმინდა გრძნობისა,
მოგიჩუქურთმებ სიცოცხლეს,
ვით ტაძარს უკვდავყოფისა.♡

და ისევ მოვალ ...

მე შემოდგომის ფუნჯით ისევ მოვხატავ სულს და...
დათოვლილ მთებზე ნისლებს ჩუმად ავყვები სევდად,
,,მაჩუბის " ჩრდილებს მოუვყვები დარდთა ფიქრებზე,
თუ როგორ თოვდა ყველა გზაზე ცივი ზამთარი,
და ვერ ათბობდა სულს გაყინულს სხივთა ლაშქარი,
მთვარე კი მუდამ მდუმარებით გასთქვამდა სევდას,
ბუხრის სითბოში მომიყვება ზღაპარს მხცოვანი,
და მონატრების სადღეგრძელოც იტყვის,,ფორიაქს",
დაიბადება კვლავ სტროფები სურვილის სითბოდ,
კარს მიუხურავს სულ სუსხიანს ფიქრთა ხეტიალს.

ოქროსფერ დალალს ჩამოიშლის სათიბთა კვალი,
ნაფეხურებზე კვლავ გაჰყვება წარსული ფიქრებს,
და სუსხიანი ზამთრის ლოდინს ფუნჯთა შეჯიბრში,
თეთრი ვარდების სიანცეში მოქარგავს ფერებს,
ღვინით ფიალას შეავსებს და უგონოდ,, მთვრალი"
აამღერებს და ააგიზგიზებს ისევ,,მუხამბაზს".

მარგალიტებად გაბნეული ჩანჩქერთა ფერებს,
მზის ათინათი სიცოცხლისთვის ისევ ამღერებს,
შემოდგომის კი მოხატული კაბა ატლასის,
უკვდავ სიყვარულს ვაზის ფესვის მადლით გადარგავს.

მე შემოდგომის ფერთა ფერებს ისევ სულ ვეტრფი,
ჭაღარა მთების სიდიადეს ისევ დავლაშქრავ,
ტაძარ -საყდართა სალოცავის მადლით აღვსილი,
მიწის სურნელად გავიბნევი ნატვრის კვალდაკვალ.

ჩემო საქართველო

ჩემო სადარდელო, ჩემო ტურფა მხარევ,
მზით და მთვარით ნაფერებო სიცოცხლევ,
ვაზის ცვარო, ნინოს ჯვარო, სალოცავო,
საფიცარო ...
ლოცვად თქმულო, ხატისა და სანთელის.
ნიშა ხარო, ოროველას შენ ტკბილხმაო,
ალესილო ხმალო ოდეს დიდებით,
ტაძრის კარო, მთის და ბარის სალოცავო,
ნაფერებო შენი ტკბილი ქართველის.

მოდუდუნე მრავლის მთქმელო დინჯო მტკვარო,
შენ ენგურო მყინვარწვერთა ჩანჩქერის,
ლიახვო და ცხენისწყალო მუდამ ჩქარო,
სულ მოგყვებათ ქართულ მიწის სათქმელი.
დედოფალო შენ გვირგვინო კავკასიის,
სახელი ხომ გქვია ქალის ქართველის,
მეომარო ღირსებისთვის ბედდამწვარო,
ქართლის დედავ მრავალ შვილის აღმზრდელი.

დიდგორის და ბასიანის,
არაგველთა ჯიშის, მოდგმის ქართველის,
შენ ხარ ახლაც სადარდელი ჩემო მიწავ,
რომ ბრწყინავდე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

ვაზეიმოთ ქართველებო საქართველო!
გავახაროთ ერთობით და ნათელით,
დავუბრუნოთ,,ვერცხლის ზოდი" იუდას და...
დავიბრუნოთ ჩვენ ქართველის სახელი.

სევდა

ადამიანთა სევდავ,
ლელიანების ჩერო,
ღიმილო მოჩვენებავ,
და სიყვარულო ჩემო,
ფიქრო ნისლებად ცაზე,
ცხოველო თბილო მზეო,
ვარდისფურცლობის ფერო,
შენ გარდასულო დღეო.
გვირილობისას მიდვრად,
დაწნულო გვირგვინ მზეო,
ბავშვობის ბილიკების,
მოგონებებით მზეობ.
მყინვარო სისპეტაკის,
სასტიკო განაჩენო,

აღელვებულო ზღვაო,
ნაპირო შენ დამღლელო.

ადამიანთა სევდავ,
სიმშვიდე როდის მოდის.
ტრამალო უსასრულო,
ქარო ქარბუქო დროის,
ნიავო შარიშურო,
წვიმავ სიცოცხლის წვეთის,
ჩამოდი ციდან თქეშით,
დანამე გამშრალი,,ლოდი".

ადამიანთა სევდავ,
საით მიდიხარ !? როდის?,

კარიბჭეს ცეზის კართან,
თუ მიადექი ლოდინს.
ცისარტყელას კი ახლაც,
სულ ქარგავ სულის ფერით,
ადამიანთა სევდავ,
დარდი დაგჩემდა გულის.

ფერგადსული ღიმი,
ალერსიანი მზერა,
ადამიანთა სევდავ,
მთვარეს ჩრდილებში ხედავ,
სულ ეკითხები რატომ?!
შენ მართლა ამის გჯერავს!?.
ამ ქვეყნად მოსვლის მიზეზს,
ვერასდროს ახსნის ვერა.

შეშლილი სამყარო

ხარხარებს წყენისგან შეშლილი სამყარო,
ტკივილებს ვერ ახშობს, იარას უხსნიან,
წვიმაში კვლავ დაძრწის ფიქრი და ჩივილი,
ვიღაცა ჩურჩულებს! უფალი დიდია!..

მიჰყვება მდინარე კალაპოტმოშლილი,
უნაპირობის უსასრულობას,
მოწყენას არ იმჩნევს ლამაზი მზის სხივი,
სიყვარულის აგზავნის სულ ცეცხლის ენებად.

იბნევა ვით მძივი, ბუნება დიადი,
ამაყი მრისხანებს, ბობოქარ სულისხმას,
მთებიდან გუგუნით ეშვება ქვის გული,
ანიშნებს კაცთმოდგმას ტკივილის გულისთქმას.

ფერები გახუნდა წუხილით ჩურჩულებს,
დაგლეჯილ საკინძეს იფარავს ხელებით,
ვიღაცა კივილის ექოში სულს ეძებს,
ვიღაცა უფალთან ლოცულობს ვედრებით.

ხარხარებს ტყუილში შეშლილი სამყარო,
შიშველი სხეულით მთვარის შუქს დაუდგა,
ვიღაცა ვერცხლისთვის სულს ყიდის დავთარით,
ვიღაცა უფალთან უვნებლად დაბრუნდა.

ცაგო აბაშმაძე

****

ახლა გულში მარტოობის ხანძარია,
იფერფლება შეუმდგარი ოცნებები,
მხრებზე მაწევს უსაშველო მონატრება,
ფიქრს მივყვები...შორეული ოჰ, ეს გზები.
მე ამ გზების უთვისტომო ყარიბი ვარ,
ზურგზე გუდით მივუყვები გზას ნისლიანს...
წინაღობად მეგებება ხორშაკები,
ვნატრობ: იქნებ გადავაწყდე ქოხს ისლიანს.
ანდა ვინმე, ჩემნაირი, ჩემზე მეტი,
გამიღებდეს კარს გულისას, ანდა ქოხის,
შემიკედლოს, დამაფაროს თავზე ზეცა,
მწვანე მოლი გამიშალოს, როგორც ნოხი.
მერე, ღამით, ლურჯი მთვარის ათინათზე,
დამიკრიფოს ვარსკვლავების იაგუნდი,
განთიადზე, სასთუმალთან კესანებით
მაკოცოს და...ჩუმად მითხრას:,,დაგიბრუნდი".

* * *

რაღაცნაირად მიზიდავ..
რაღაცნაირად მათბობ..
რაღაცნაირად ვმუნჯდები,
სათქმელს ვერაფრით ვამბობ...
შორიდან გეალერსები,
კოცნას გიგზავნი მრავალს,
მონატრებული გრძნობებით
მე სხვის ქუჩებში დავალ..
ეს ქარიც, ცოტა შეშლილი,
რაღაცნაირად დაქრის,
მკერდზე მეხლება ჯიქურად,
ქაღალდის ტყვიებს მახლის.
რაღაცნაირი დღე არის,
რაღაცნაირად გნატრობ,
ჩემს გადარეულ ფიქრებში
რაღაცნაირად მარტო...

* * *

მეფერება მზე ბახუსით მთვრალი
და მწველ კოცნას უცხო გემოს ატანს,
ატკრეცილა ღაწვი ბაღის ბალის,
საპასუხო კოცნას ნიავს ატანს.
შრიალებენ, შრიალებენ ქარში....
ბროლის მკლავებს მოსახვევად შლიან,
მე ამ ქარში მუზის აფრებს ავშლი,
ვიცი, ფრენას ვეღარ დამიშლიან.
მეხვევიან და მეც ძალას ვიკრებ,
თან ბაგეზე მადნებიან თაფლად,
ერთი კოცნა გაიმეტო იქნებ,
მე ეს კოცნა წამადგება წამლად.
შრიალებენ, შრიალებენ ქარში...
ბროლის მკლავებს მოსახვევად შლიან,
მე ამ ქარში აფრებს მაინც ავშლი,
ვიცი ფრენას ვეღარ დამიშლიან.

****

აღარ მეძვირფასები სიცოცხლეო ტანჯულო,
უკვე ვეღარ ვღიმილობ, მგონი გავხდი უგრძნობი,
როცა ნორჩი ბავშვები იქცნენ სულის ჩიტებად,
ამ სამყაროს ტოვებენ ნაცნობნიც და უცნობნიც...
როცა რეკენ ზარები, განგაშის ხმას არ ვუსმენთ,
გაყინულა სამყარო, გადავიქეცთ ზომბებად,
არც სიკვდილი გვაშინებს, ვერც სიცოცხლით ვნაყრდებით,
გულზე მიწა გვეყრება, დამსხვრეული ლოდებად.
მე ამ ყოფას ვერ ვარქმევ ვერანაირ ფსევდონიმს,
არეული გონება ჭკუას არ მეკითხება,
ჩვენი ცოდვის სიმძიმით მოიდრიკა ღრუბელიც,
დრო მოვიდა ნამდვილად, ვიცი, მოგვეკითხება...
სანამ შეგვრჩა მცირედი აზროვნების უფლება,
იქნებ, გონზე მოვეგოთ და არ იყოს გვიანი,
ხალხნო! ფერი ვიცვალოთ, უნდა გამოვიცვალოთ,
აღარ მინდა სამშობლო კუშტი და ნაღვლიანი.

მუზას

იასამნის სურნელებით შემოდიხარ ჩემში
და ძარღვები იმუხტება გაზაფხულის ეშხით,
ახლა ასაკს ვინ დაეძებს, სიცოცხლეს ვსვამ პეშვით,
ქარფარფატა კაბას მიქსოვს,
სილამაზე შემშლის.
წამიწამზე მზეც ამოვა, გულთან ვიგრძენ სითბო
და ჩხრიალა ნაკადულიც ჩემთან შერწყმას ითხოვს,
უნდა ავყვე დილის სიოს, მეც ქარი ვარ თითქოს,
თავს მოვირთავ მზემანდილით,
მერე შენს თავს ვითხოვ.
მოვედებით მთელ სამყაროს სიყვარულის სხივად,
ოღონდ, კარგო ჩემს დარდებზე არაფერი მკითხო,
გულში ვმარხავ ყველა ტკივილს, მიწას ვაყრი ცივად,
შენი ვარ და შენთან ვრჩები, როცა გულით მიხმობ.

დარეჯან ღონღაძე

* * *

რასაც ითხოვ, მოგეცემა,
თუ ცოდვები მოგეტევა,
როცა გულში ღმერთი ჩნდება,
მტერიც გიყვარს, გეცოდება.

რასაც გასცემ, მოგეზღვება,
არ გეგონოს ეს არ ხდება,
დაიჯერე ეს მოძღვრება,
შეასრულე ყველა მცნება.

ვიღაც, როცა ბოროტდება,
შეაშველე შენი რწმენა,
მიახვედრე, რომ ის ცდება,
ამით გული მოულბება.

ნურასოდეს შეგშურდება,
შენიც გეყოს, რაც გეძლევა,
წუთი არის ეს ცხოვრება
და ეს წუთიც წამში ქრება.

გულისცემა გაჩერდება,
სული ცაში გაფრინდება,
ხორცი მიწას ებარება,
ასეთია ღმერთის ნება!

* * *

სუნთქვა შეგეკვრება, გული აჩქარდება,
სისხლი მოაწვება ძარღვებს,
შენ თუ ქართველი ხარ, გენიც ქართული გაქვს,
ვერა, ვერ გასწირავ ქართველს!
ვერა, ვერ შეცვლი და არ გადაშენდება,
ვერ გადაარჯულებ ამ ერს,
რა გინდ ბევრი სცადონ, რა გინდ ღვარძლი ღვარონ,
ჯვარი დაგვიფარავს, გწამდეს!
მტერი ისევ გვმტრობს და თანაც გვემოყვრება,
ეს ხომ ოდიდგანვე თან გვსდევს,
უნდა გავარჩიოთ დღესაც ეს მოძღვრება,
რომ არ გადაგვყარონ შავ დღეს!

* * *

გამოუცნობია ხალხის მასა,
ამოუხსნელია ჯერაც რაღაც,
ამოსაცნობია სწორი გზა და
ლაბირინთებია, გზა კი არ სჩანს.
გამოსაცნობია ბევრი რამ და
გამოსარჩევია თეთრი შავთან,
ისევ ემტერება კაცი კაცს და
ისევ იკვეთება ზღვარი ხაზთან.
ყველა მართალია ვითომ სხვასთან,
მაგრამ სიმართლე კი არის სხვაგან,
ეს რომ გაიაზრონ, უნდათ აღზრდა
და რომ აღიზარდონ, უნდათ გაწვრთნა.
ვითომ ვერ ხედავ და ვითომ არ სჩანს,
მათი სიმრუდე და ყალბი ზრახვა,
რატომ ვერ ძღებიან, მიკვირს მათგან,
ამდენი სიცრუის მიჭირს აღქმა...
ლაბირინთებია და გიჭირს გასვლა,
ეს გზა, რომ გაიარო, გჭირდება ძალა,
მაინც არ ჩერდები, მიდიხარ ჩქარა,
მთავრდება გზა და არ იცი სად ხარ.
რჩები შენს თავში, არა გაქვს სხვა გზა
და გეუფლება სიცივის განცდა,
თუ ამ გზის ბოლოს ტაძარი დაგხვდა,
ხვდები, რომ შენში ღმერთია ახლა!

* * *

სულ უბრალოდ მინდა ვწერო,
სიყვარულით ვაშენო,
სულ უბრალოდ მინდა ვქარგო,
ჩემი ფიქრის სამრეკლო.
მინდა, ჩემო ლურჯა ცხენო,
თეთრ ღრუბლებში გაგხედნო,
მერე მარტო წინ ვიყურო,
ზღვა სიკეთე ვაკეთო.
სულ თავიდან დავიბადო,
ამ ცხოვრებას ავეწყო,
ისევ ბავშვი მინდა ვიყო,
მე ბავშვობა არ მეყო!
სულ უბრალოდ მინდა ვწერო,
ბნელში სანთლად ავენთო,
არ მინდა, რომ დავიღალო,
ვიცი, მიცავ კვლავ ღმერთო!

* * *

იცი, რა დიადია ღვთისმშობელი?
ბრონწეულისფერია მისი კაბა!
იცი, რა სპეტაკია მისი მზერა?
წყალზე გაივლი და ნაპირს გახვალ.
იცი, სულ უბრალომ დაიტია
მთელი სამყარო და დედა გახდა,
იცი, სიტყვებიც კი არ მეყოფა,
რომ ავღწერო და მოგცე განცდა,
მინდა ვიცოდე და ლექსადაც ვთქვა,
მაგრამ მე არ შემწევს ამის ძალა...

ღვთისმშობლობას გილოცავთ 🙏

* * *

როცა არვის არსად ელი,
მაშინ გაგიღიმებს ბედი,
არ დაკარგო იმედები,
დაიხსომე რჩევა ერთი!
არ გინდოდეს ვითომ ბევრი,
გთხოვ ინატრე მხოლოდ შენი,
სიმშვიდე და გულში ღმერთი,
სულში მონავარდე მტრედი.
ასეთია ზოგჯერ ხვედრი,
უნდა გამოსცადო ბევრი,
რომ გაიცნო უკეთ მტერი,
უნდა განვლო ძნელი გზები!
გულში გქონდეს რწმენა წრფელი,
ისევ იმედს მოგცემს ღმერთი,
ვერ დაგგესლავს შხამით გველი,
თუ იქნები მასზე ბრძენი!

* * *

მივდივარ, მივყვები ცხოვრების გზებს,
ზოგჯერ სულ წვიმაა, ვნატრულობ მზეს,
არ ვითვლი ციფრებს და არ ვითვლი წლებს,
ისევ ის ბავშვი ვარ, ჩემში რომ თვლემს.
მწამს, სადმე ვიპოვნი სიკეთის კვერთხს,
რომელიც რატომღაც არ ააქვს ბევრს,
სულ ყველგან დავთესავ მის კეთილ თესლს...
და ასე ვამრავლებ სიკეთის ნერგს.
ხან ზეცას მოვივლი, გავიშლი ფრთებს,
იქ, ყველა ოცნებას გავანდობ მზეს,
იმ მაცდურს და ბოროტს მივანდობ ღმერთს,
მე ყველას გისურვებთ სიკეთეს ბევრს.

თინიკო ხარიტონაშვილი

მარტოობა...

როცა გული ვეღარ უძლებს, სიშორეს და მონატრებას,
მაშინ თითქოს ცას ეკვრება შავი ბინდი,
თითქოს მზეც კი აღარ მზეობს და მთვარესაც უცივდება ტუჩს ღიმილი...
თითქოს გულის კედელს გიგლეჯს,
მის სიღრმიდან წამოსული სიმარტოვის დიდი ზვირთი,
ზოგჯერ თვალსაც ეფარება, ნაცრისფერი სველი ნისლი.
გრძნობ რომ სხეულს ვეღარ ზიდავ,
გიმძიმდება თითქოს სულიც,
გგონია, რომ უკვე ყველამ მიგატოვა,
არავინ გყავს მომკითხავი ირგვლივ თითქმის...
მაგრამ უცბად გონს ეგები, შეგრძნება გაქვს, რომ უფალი შენთან არის,
ის ფეხდაფეხ თან დაგყვება და გიმაგრებს ზურგს ყოველთვის...
მერე უცებ მსუბუქდები და აგრძელებ ჩვეულ ყოფას, იმ იმედით,
რომ ყოველგვარ გაუსაძლისს, ალბათ მალე დაეღწევი...

სიყვარულის სადღეგრძელო

მოდით, შევავსოთ ფიალა ღვინით
და სიყვარულის სადღეგრძელო შევსვათ ყოველმან,
იმ სიყვარულის, რომელსაც შოთა ეტრფოდა მუდამ
და გააცოცხლა „ვეფხისტყაოსნის“ თითოეულ სტროფში...
    იმ სიყვარულის, რომ სუფევდა
    ჭავჭავაძეთა წინანდლის ბაღში
    და იქ გავლისას ხმა ნიავისა,
    თითქოს გამცნობდა ყურში ჩურჩულით,
    ცის კიდურიდან დაშვებულსა ვნებას უცნაურს...
მოდით და შევსვათ სადღეგრძელო იმ სიყვარულის,
ნიკო ფიროსმანს ხელში ფუნჯი რომ ააღებინა
და მარგარიტას ფეხისა ქვეშა,
მილიონ წითელ ვარდთა ბილიკი დააგებინა...
    მოდით შევავსოთ ყველამ ფიალა
    და ვადღეგრძელოთ ის სიყვარული,
    დიდ გალაქტიონს რომ ათქმევინა
    ზეცას შეკრული კონა ღვთიური:
    „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...“
მოდით შევავსოთ ფიალა ღვინით
და ვადღეგრძელოთ ის სიყვარული,
მირზა გელოვანს რომ შეეპარა
და აამღერა ყველა თავისით:
„ო, მე ოდესმე მოვიპარავ თოვლის ფერ ვარდებს
და შენს სახლის წინ თავს მოვიკლავ ვარდებიანად...“
    მოდით და შევსვათ სადღეგრძელო იმ სიყვარულის,
    რომლის გარეშეც არ ვართ არანი,
    დაე, გვიყვარდეს ჩვენ ერთმანეთი,
    რათა არ გაქრეს კაცთა მოდგმა დედამიწაზე.

შემოვიარე მე მთა და ბარი

შემოვიარე მე მთა და ბარი და ვერსად ვნახე,
საქართველოვ მხარე შენი სადარი,
შენ კუთვნილი ხარ დედა ღვთისმშობლის
და დალოცვილი უფლისგან ყოვლით.

სწორედ ამიტომ, შენ,,გადარჩენის ხომალდი
ხარ თვით სამყაროსი,,
ქრისტესა კვართზე აშენებულ სვეტიცხოველით,
წმინდა ნინოსა საფლავითა კახეთსა მყოფი,
აწ განსვენებულ მამა გაბრიელ სალოსისა,
არსებულსა მცხეთასა ნეშტით.

მუდამ ამაყობ წმინდანებად შერაცხული გმირ
წინაპრებით:
დიდი თამარით, დავით მეფით,
აღმაშენებელ საქართველოსი,
წმინდა დემეტრე თავდადებულით, კვლავაცა
დავით გარეჯელით და სხვა მრავალნით...

შენ მდიდარი ხარ წმინდა ადგილს აშენებულ
კირთა ტაძრებით:
დიდი გელათით, ნიკორწმინდით, ზარზმით, ვარძიით,
როგორცა ფრესკა აკრულსა კლდესა,
ჯვარით, ამაყად რომ გადმოჰყურებს ჩვენსა თბილისსა,
ცამდე ასული სამება ხომ გულს გვითბობს ყველას...

მთაწმინდა კი გაჟღენთილი ქართველ კაცთა
წმინდა სულით,
დღე და ღამე ლოცვებს გზავნის, რომ დაიცვას გენი ჩვენი,
ალავერდი დარაჯად დგას, არ დაეცეს კახეთს მტერი,
შუამთა კი თვალს ადევნებს, იქნებ ვინმე გაჭირვებულს,
კვლავ სჭირდება შესაფარი...

უამრავი სალოცავნი, თავდახრილნი დგანან ჩუმად,
დუმილში ხომ საიდუმლო, ინახება უფრო დიდი...
და ამიტომ, მართლაც რომ ხარ,
„გადამრჩენი სამყაროსი“.

ჩემს ოჯახს!

თქვენ, გაზაფხულის ფერებივით
შემოიჭერით ჩემს ცხოვრებაში
და თქვენი ყოფით, გამილამაზეთ
სული ჩემი მარტოდა მყოფი...

გამიფერადეთ ერთფეროვანი,
მელანქოლიურ ფერად ქცეული სიცოცხლის წლები.
გვირილებივით მოეფინეთ ჩემსა სამყაროს
და ჩემსა გულსა, მოევლინეთ მკურნალ მალამოდ...

ხშირადა ვფიქრობ: რომ არა თქვენა,
ვინ ვიქნებოდი მე?
ეულად მყოფი, გადაკარგული,
მოხეტიალე არსება ერთი,
რომელსაც ალბათ არ ექნებოდა არც არაფერი...

მადლობა უფალს, რომ გაგაჩინათ ჩემს ცხოვრებაში
და ჩემი გული, ნავსაყუდარი გახადა თქვენთვის...
რომ არა თქვენა, მე ვფიქრობ,
ალბათ არ ექნებოდა არაფერს ფერი...

როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს!

როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს,
მაშ რისთვის გვინდა სიკვდილზე ფიქრი?
ვიფიქროთ მუდამ სიყვარულზე და
გავიადვილოთ ცხოვრება მისით.
როცა სიცოცხლე ასე ტკბილია
და რისთვის გვინდა სიკვდილზე ფიქრი?
შევიყვაროთ და სითბო ვაჩუქოთ,
გავიფერადოთ ცხოვრება მისით.
გულის კარები გავუღოთ მოყვასს
და დავივიწყოთ ყველა წყენანი,
რადგან დრო ისე სისწრაფით გარბის,
რომ ვერც ვერაფერს ვერ ვასწრებთ იცით?
სულ ყველაფერი წარმავალია,
ვერ შევაჩერებთ ვერაფერს ვერვინ,
ვიბრძოლოთ მხოლოდ სიყვარულისთვის,
ის გადაარჩენს სამყაროს თვისით.
როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს
და რისთვის გვინდა სიკვდილზე ფიქრი?.
მაშ გაუმარჯოს ეს იმ სიცოცხლეს,
სიყვარულისთვის მუდამ რომ იბრძვის!

იმედი

რაც უფრო გადის ეს დრო და ჟამი,
მით მეტად მიპყრობს მე კაეშანი,
სევდა ფიქრებში იკეთებს ბუდეს
და ფეხს იკიდებს ღრმად ჩემსა სულშიც.

ფერადი ოცნებები შავ თეთრში გადადის,
ხანდახან იმედიც ღრუბლებში იკარგება
და წვიმის წვეთებში მერე შერეული,
დედამიწაზე მაგრად ენარცხება.

ქარი მოზუზუნე ირგვლივ რომ დაჰქრის,
თითქოს ირონიით გულში ქირქილობს,
ხან კი ხარხარით ზემოდან დაგცქერის
და ნიშნის მოგებით თითქოს თავს გამეტებს...

მაგრამ ბოროტსა კეთილი სჯობნის,
ცაზე ისევ ჩნდება შვიდფერი ცისარტყელა,
დამსხვრეულ ოცნებებს კონებად კინძავს
და კაეშანი, დარდი და ბოღმა, ლამაზღიმილა
იმედად ხდება...

და ჩემი სულიც შფოთვით დაღლილი,
თითქოს ისვენებს და აღარ ღელავს.

საქართველო!

საქართველოვ, მე
დაგინთებ სანთელს!
როგორც ღმერთთან მოღაღადე ხატებს,
მუხლმოდრეკით შევავედრებ უფალს,
ძლიერებას და მხნეობას შენსას.

საქართველოვ, მე დაგინთებ სანთელს!
როგორც წილხვედრს
ღვთისმშობლისას ნეტარს,
როგორც სუფთა მიწაწყალზე აშენებულ,
ტაძარს წმინდას აღმართულსა კირთა!

საქართველოვ, მე დაგინთებ სანთელს,
როგორც ადგილს გაპოხილსა
წინაპართა სისხლთა,
როგორც მებრძოლს თავისუფალ
ცხოვრებისთვის,
გზათა ხსნისთვის ნიჭიერთა ტომთა.

საქართველოვ, მე დაგინთებ სანთელს !
როგორც მშობელს, მონატრებულს ჩემსას,
როგორც ჩემს გულს ამოგლეჯილს
მკერთგან,
დატოვებულს მიწა- წყალსა შენსას...

საქართველოვ, მე დაგინთებ სანთელს!
როგორც ღმერთსა, სალოცავსა ერთსა,
ისე შენცა, ჩემო ტკბილო დედა-ბოძო,
შენც ერთი ხარ შეუცვლელი,
ჩემს სამშობლოდ წოდებული,
ქვეყანასა ზედა!

დედა

ამ ლექსს ვუძღვნი ჩემი დედიკოს ხსოვნას.

დედა, შენ იყავ ჩემი კურთხევა,
ჩემი ცხოვრების ერთგული მეგზური,
მფარველი ანგელოზი უფლისგან ნაბოძები,
მზის თბილი სხივი
და ჩემი სულის, თვით გასაღებიც.

ოხ, როგორ მინდა რომ დავიბრუნო მე ის დღეები,
როდესაც თმებზე ნაზად მისვავდი შენს,
შრომისაგან დაკოჟრილ ხელებს,
ძალას მმატებდი, მამხნევებდი, იმედს მაძლევდი...

და მე კი შენთვის, ხან ვერც ვიცლიდი,
ახლა კი ვნანობ, რაღაც არ მითქვავს,
რაღაც დამიმალავს და მოფერებაც ბევრჯერ დამიკვლია,
ალბათ გატკინე გულიც...

რას არ გავიღებდი, რომ დავიბრუნო მე ის დღეები,
ახლაღა ვხვდები, რომ შენთან ერთად
მე მიცხოვრია დიდ ფუფუნებით
და შენი წასვლით ვხვდები დავკარგე,
დედის სიყვარული, გრძნობა ღვთაებრივი...

დედა, დედიკო, გთხოვ მაპატიე,
როცა შევედი მე სიბერეში, ახლაღა
მივხვდი ჩემს დანაშაულს...
ბევრს გეფერები, შორიდან გულში
და გინთებ სანთელს, შენ იმიერში!

ემიგრანტებს!

თქვენ გაგიმარჯოთ ემიგრანტებო,
მიმოფანტულნო ყველა ქვეყანას,
მე თქვენ მიყვარხართ,
თან განურჩევლად, გიცნობთ თუ არა...
რადგან ჩვენ ყველა,,ერთს ბედს ქვეშა ვართ,,!
საკუთარ მიწას მოწყვეტილები,
გადმოსროლილნი უცხო ქვეყანას,
ხან მარტოსულნი, მოხეტიალე ჩვენს დარდთან ერთად...
ხან კი მხნედ მდგომნი,
არ ვუშინდებით ამოვარდნილ თვით ქარბორბალას,
რომელსაც უნდა რომ მტვრად გვაქციოს...
მაგრამ არ იცის, რომ სულსა ქართულს,
ვერ მოერევა ვერცა ვერა რა!
თქვენ გაგიმარჯოთ ემიგრანტებო! მიმოფანტულნო მარგალიტებად...
მე თქვენ მიყვარხართ, გიცნობთ თუ არა,
რადგან ჩვენ ყველა,,,ერთს ბედს ქვეშა ვართ,,

ემიგრანტ დედას!

ეს შენ გეძღვნება, ემიგრანტო ქართველო დედავ!
მხოლოდ შენ, ჩემო ძვირფასო ქალო,
რომელმაც ერთ დროს, უარი თქვი საკუთარ თავზე
და ცხოვრებისა დარჩენილი წუთისოფელი,
მიუძღვენი სამშობლოსა და შვილებს ...
რაღაცა დროით, ან სამუდამოთ გადაიკარგე უცხო მიწაზე,
ზურგს მოიკიდე უმძიმესი ჯვარი ცხოვრების,
ბევრჯერ მიიღე ვიღაცისაგან განკითხვა, ცილი...
მაგრამ შენ ისე მედგრად იდექი, ვერ მოგერია ვერცა ვერავინ...
განა გმირობა სხვა რამე არის?...
საკუთარ მე-ზე უარის თქმა,
თავის გაწირვა სხვის სიცოცხლისთვის,
ამას რა ჰქვია? აბა მითხარით...
მხრებზე დაიდგით საქართველოს ყოფნა არ ყოფნა...
სწორედაცა რომ თქვენ გმირები ხართ,
თავგანწირულნო, ემიგრანტო ქართლის დედებო!
გავა დრო და ასი წლის შემდეგ,
შთამომავალი ყველა ქართველი,
მოგიხსენიებთ, როგორცა
დედებს თავშეწირულებს სამშობლოსათვის!
დიახაც, თქვენ ხართ გმირი დედები,
რომლებმაც ერთ დროს, უარი თქვით საკუთარ თავზე...

* * *

მე სიყვარული გავიხადე
გზად და გასავლელ ხიდად,
მე სათნოება და სიკეთე დავისახე ცხოვრების მიზნად,
მე ბოროტება, შუღლი და ბოღმა,
შევეცადე რომ გამედევნა ჩემი სულიდან,
მაგრამ ცოდვილად მაინც დავრჩი, ასე მგონია...

ის რაც მგონია რომ სიკეთეა,
ღრმად რომ ვფიქრობდი, ვერ გამიგია,
მავნისთვის არის ალბათ ხეირი,
მავნისთვის ალბათ ის ვაგლახია...

სულში ყოველთვის უკმარისობის გრძნობა ბობოქრობს
და მტანჯავს ფიქრი გაუსაძლისი,
იქნებ შემეძლო, უფრო მეტის გაცემა სხვაზე
და წამიერი სიხარული მიმეცა მისთვის ...

და ამიტომაც ცოდვილად ვრჩები,
როგორც სულ ყველა მომაკვდავნი ამა სოფლისა,
მეც გამაჩნია ცდუნებები, რომელიც მტანჯავს,
და ამიტომაც უფალს მივენდე,
დე, მან განმსაჯოს და მომიტევოს თუ შეიძლება...

სურვილი

ხანდახან მინდა რომ ვიქცე ზღვად,
ჩემი წუხილი რომ დაიმალოს მისსა ტალღებში
და ხან კი მინდა რომ გადავიქცე მთისა მწვერვალად,
ჩემი სევდა რომ გაიფანტოს ცის კაბადონში...

ხან მინდა ვიქცე მთვარედ, ღამის წყვდიადში
ამოვიკითხო საიდუმლო თვით ვარსკვლავების,
ხშირად ვოცნებობ ვიქცე მზის სხივად,
ყველას ვაჩუქო ღიმილი თბილი.

და მერე უკვე მინდა რომ ვიქცე,
ღვთისმშობლის კუთვნილ მშობლიურ მიწად,
რომ მკვეთრად ვიგრძნო სურნელი მისი,
შევუმსუბუქო, გავიზიარო და ვიწილადო ტკივილი მისი...

* * *

სიძულვილს ნუ ეტყვი დათოვლილ ჭაღარას,
შენი ცხოვრების განვლილ ჟამთა სვლას,
რადგან ყოველთვის უნდა გახსოვდეს:
დღეს კი ხარ, მაგრამ ხვალ იქნებ აღარა...
სამდურავს ნუ ეტყვი თოვლისფერ ჭაღარას,
ნურც დანანებით ნუ შეხედავ სახეს დაღარულს,
რადგან მასშია მოქცეული შენი ცხოვრება,
სავსე ტკბილ- მწარე მოგონებებით...
მადლობა უთხარ უფალს ამისთვის,
რომ მოგავლინა ამ სამყაროსა
და შეგიმოსა თმა მან ჭაღარად,
თან გაგრძნობინა სიცოცხლის ფასი.
სიძულვილს ნუ ეტყვი დათოვლილ შენს თმასა
და სინანულით ნუ შეხედავ სიბერისაგან დაღარულ სახეს,
დააკვირდი და კვლავ ამოიცნობ,
წლების წინანდელ შენს ლამაზ ნაკვთებს...

მადლობა წლებო, უკვე განვლილნო

თქვენ გაგიმარჯოთ, წლებო ჩემო უკვე განვლილნო!
მე თქვენ მიყვარხართ, როგორნიცა ხართ,
თავის ტკბილ-მწარე მოგონებებით!
მადლობა უფალს თქვენი ჩუქნისთვის!
თქვენ ჩემთან ერთად გაიარეთ ჩემი ცხოვრება,
ხართ ერთადერთი ნათელი მოწმე
და მოზიარე რაც რამ გადამხდა, კარგიც და ცუდიც,
მადლობა უფალს რომ მიმიყვანა აღსარებამდე!
თქვენ მიერთგულეთ და არასოდეს არ დაგცდენიათ აუგი ჩემზე
და მე კი ცოდვილს, ხან კმაყოფილსა და ხანაც ნაწყენს,
გაუაზრებლად გამომიხატავს ავი ზრახვები...
ალბათ გიკვირთ და ხშირადა ფიქრობთ,
რა უმადური გამოგადგათ მემატიანე, არ დამემდუროთ, არ არის ასე.
მე თქვენ მიყვარხართ, გარდასულ დღეთა მოლოდინებით!
თქვენ გაგიმარჯოთ განვლილო წლებო!
წლებო, რომელთაც გამაცდევინეთ ხან სიხარული, ხანაც ტკივილი,
მადლობა წლებო, დათოვლილ თმათა სისპეტაკეს რომ მაზიარეთ!
მე თქვენ მიყვარხართ უკიდეგანოდ!
თქვენ ჩემო წლებო, უკვე განვლილნო.

* * *

სადაც არ უნდა ვიყო მე,
ჩემო საქართველო, მაინც შენი ვარ!
შენი მიწიდან ანასხლეტი ერთი კენჭი ვარ,
უმისამართოდ გადასროლილი
უცხო მიწაზე....

მე ხე ვარ ერთი, ფესვებშეჭრილი,
მდგარი ფუტუროდ, გულამოცლილი...
გული, რომელიც მქონდა ოდესღაც,
მე იქ დავტოვე, ჩემს სამშობლოში....

იცით რა არის ემიგრანტობა!?
საკუთარ თავთან მარტო რომ რჩები
და აუტანელ ტკივილს რომ ებრძვი,
არც რომ ცისა ხარ და არც მიწისა....
ახლა ეს უფრო მეტად ვიგრძენი,
დღეს რომ სამყაროს თავსა დაატყდა
ყოფნა-არყოფნის სინდრომი დიდი...

თვალებში ორი შიში გამოკრთის,
შიში სამშობლოს და ჩემი ერის,
მერე კი შიში საკუთარ თავის.....
მაგრამ, ქართველო ემიგრანტებო,
მე თქვენ მოგმართავთ იმედით სავსე,

ჩვენ ხომ გენში გვაქვს მებრძოლი სული
და თანაც გვფარავს უფალი, ღმერთი...
უნდა მოვიგოთ ეს მძიმე ომი,
ბრძოლის ველიდან უვნებელი
დავბრუნდეთ ყველა
და კვლავ დავჭექოთ საქართველოში,
ტრადიციული მრავალჟამიერი!!!!.....

* * *

ელვის სისწრაფით გარბიან წლები
და უკან რჩება, ბევრი რამ ძველი...
ბევრმა ზამთარმა და გაზაფხულმა,
ჩაიარა, როგორცა მგზავრმა, ერთმა ჩვეულმა.

ბევრმა ზაფხულმა და შემოდგომამ,
შემოგვიხსნა კარი ცხოვრების
და მერე, ისევ მიგვიხურა, როგორც სტუმარმა...
და ჩვენ კი დავრჩით ისევ მარტო, წლებისაგან
მიტოვებულნი.

ეს ის წლებია, რომელნიც გვიყვარს,
გვენატრება და მისით ვცხოვრობთ,
ან და არ გვინდა გახსენება მისი არაფრით...
მაგრამ რას ვიზავთ, იგი ჩვენია, ვერ გავექცევით...

აბა, ცხოვრება რა ცხოვრებაა,
განსაცდელები რომ არ მოგვიწყოს,
არ აგვაფრინოს ცაში ხანდახან
და ხანაც დაბლა არ დაგვანარცხოს...

ეს არის ჩვენი ბედის ბორბალი,
რომელიც აღმა და ხანაც დაღმა, ტრიალებს მუდამ,
ჩვენც, როგორც მგზავრნი მჯდომარნი მასზე,
ვტრიალებთ ისე, როგორც მას უნდა...

ამასობაში დროც იწურება.. იქვე მდებარე წამმზომი
გვამცნობს:
რომ ბორბალიდან უნდა ჩავიდეთ და ჩვენც
ჩავდივართ...
ასე მთავრდება დიდი სიზმარი,
რომელსაც ჰქვია, ჩვენი ც ხ ო ვ რ ე ბ ა....

ლიკა ქათამაძე

მამაჩემო

გაეცალეთ, გაეცალეთ ორპირსა და ფარსს
თუკი თქვენი სიყვარული გაატანეს ქარს
არ დაგინდეს, გადაგთელეს,შეგაფურთხეს კვლავ
შეიყვარე და სანაცვლოდ მიგისიეს ძაღლს..
დაგცოფეს და გაგატანეს ადიდებულ მტკვარს,
შველას თხოვდი გიმატებდნენ არ გაკმარეს მას,
რა ძნელია როცა მამა დაგცემს გულში ხმალს
როცა მისი სიყვარულით გული სავსე გაქვს...
ვერ გაუგებ ამ ცხოვრებას შავ-თეთრსა და ავს,
სხვა კი არა სისხლი ხორცი აღარაფრად გწამს,
აღარ იცი სად წახვიდე ან რა ძალა გაქვს
მაგრამ მივხვდი სიძლიერე მე ფესვებში მაქვს..
მამაჩემო ვერ მიმიხვდი სიყვარულის არსს
არ გამტყუნებ და კაცობა ალბათ ესე გწამს
რადგან შვილი ვერ გიცვნია არ გაბეზრებ თავს
ვინც ისურვე და მიიღე ფართედ უღებ კარს.
მართალია უარმყავი წიხლი კარი მრწამსს
ჩემს გამზრდელებს მომაშორე განა ცოდვა მაქვს
დაისჯები უფლისაგან სხვა გზა შენ არ გაქვს
და ოდესმე აღსრულდება მე სამართლის მწამს.

* * *

სულო, გაუძელი ტკივილს
გულო შფოთვის ნება არ გაქვს
ყველას მიუტევე უგნურს
ღმერთი დაგანახებს მართალს,
თუკი უსამართლოდ გმოძღვრეს
სისხლი დაგადინეს მართალს
მრავლად ჭრილობები გეწვის
მაგრამ გაუძელი კვლავაც..
ყველა გასავლელი განვლე
მხოლოდ დაუჩოქე უფალს
არა არ დაეცე მათ წინ
შენ ხომ სიძლიერე თან გაქვს...
ეხლა?ეხლა ისე მტკივა
სიკვდილს გავუსწორებ თვალსაც
მაგრამ ვერასოდეს დამცემთ
მაინც გავაგრძელებ სავალს.

* * *

მინდა გაზაფხულზე ვიყავილო
აპრილს დავემსგავსო ფერებით
გზებზე ია-ვარდი მოვფინო და
ღმერთთან მივირბინო ვედრებით...
იქნებ ბოროტება აღარ იყოს
იქნებ აქვითინდნენ ფრესკები
ყველგან სიყვარული თუ იმეფებს
არვინ დაიღლება ცრემლებით.

უკანასკნელი საჩუქარი

ვშორდებით და მაინც არ მინდა ვიტირო
არ მინდა დამჩემდეს სიცივის შეგრძნება,
დღეიდან ვიცი რომ არავის მივიღებ
რადგან შენს იქეთ არ მქონდა ოცნება.

მივდივარ და მაინც ეს გული არა გთმობს,
არ უნდა წარსულში რომ დარჩეს ეს გრძნობა
უკანასკნელად მომხვიე ხელები
დღეიდან უჩემოდ მოგიწევს ცხოვრება.

მე არა ვარ ევას შვილი

ისევ ისე მარტოობა ჩემში,
უსასრულო მოლოდინის ექო
განშორების დაშანთული სივრცე
სადღაც შორით გავკივივარ, ღმერთო!..
ვეღარ ვუძლებ ამ უღმერთო ბუტბუტს
ხატთან მდომი დავემხობი დიდ დროს
როცა ჩემთვის ვერ მოიცლის ვერვინ
რისთვის ღირდა ეს სიცოცხლე ვოთომ?
სავანეთა მდუმარების ჩუქურთმებს
გავცქერივარ ციხის მაღალ ჯურღმულს
აღარც საკრავს აღარ უკრავს არვინ
სერაფიმებს ისევ შავი ამკობთ.
როიალზე დაემხობა ქალი
გლოვის ზარებს დარეკავენ ვატყობ
წინ მიმიძღვის უკუნითი ღამე
გათენებას აღარც მთვარე ლამობს.
მე არა ვარ ევას ნაღდი შვილი,
ან, ვინა თქვა? მამა, ადამს ჰგავსო
ვერც კაენი ვერ მიცვნია მოძმედ
როგორ შესძლო რომ აბელი დათმო?
დავდუმდები, გაირბენენ წლები
და დრო იტყვის ყველა კაცთა სამყოფს
სამართალი ურმით ისევ ივლის
ყველას გასცემს შესაფერის პასუხს

თითქოს სამყარო მეპაექრება
რატომ? რას მერჩის არ ვიცი ოღონდ,
როგორც კი ცაზე გამოანათებს
წამსვე სიბნელე სინათლეს ახშობს.
სიცილს ვერ ვასწრებ ადგომის შემდეგ
ისევ ვეცემი ცრემლები მახრჩობს

წადი აღარ მოიხედო

წადი, არასოდეს აღარ მოიხედო
თუკი შენს გარშემო მაინც ტკივილია
თუკი, ცრემლთა დენით გული გადაღალეს
მითხარ ეს სიცოცხლე ესე ლამაზია?

ტკივილს უნდა ჰქონდეს ალბათ დასასრული
ბნელი ღამეებიც ისე დამღლელია
ხვდები რომ არ გიღირს სევდად ეს ცხოვრება
დარდი უსაშველოდ ბევრი გითრევია.

დროა შეამცირო ტვირთის სიმსუბუქე
ზურგზე ადგილები აღარ დაგრჩენია
ჭაპანს უსასროლოდ მაინც ვეღარ გასწევ
წადი, სადაც გულით მუდამ მიგელიან..

აღარ დააძალო არვის არაფერი
ძალად სიყვარული? არა, ვერ მიცვნია
სითბო არავისგან აღარ მოითხოვო
თავად უნდა იგრძნო თუკი ნამდვილია...

წადი, არასოდეს აღარ შემობრუნდე
აღარ აპატიო ბედის ირონია
თუკი ტკივილისთვის ესე გაგიმეტეს
მათთან არაფერი აღარ დაგრჩენია...

* * *

რატომ ან რისთვის მოვედი ქვეყნად
თუკი მე ბედი არასდროს მწყალობს?
კამათელს მოჰგავს ჩემი ცხოვრება
დუშაში მასში არასდროს ხარობს,
სულ მარტო ყოფნა, ხვედრია ალბათ
და ასე მხოლოდ დარდები მათბობს.

თინათინ ხაბურზანია

შენი ბედის ვარ

ცაში ამაფრენს შენი სილაღე,
გულს დამიმძიმებს ჯვარი წარსულის.
სულ შენგანაა, რომ მწამს სიმართლე,
ამ ბრძოლაში ვარ დღემდე ჩაბმული.

შემოგალიე ჩემი სიცოცხლე,
სამშობლოვ! ყველგან შენს მადლს ვიცავდი.
შენზე ოცნებით, ფიქრით ვიცხოვრე,
შენი ღირსების მონა ვიყავი.

ერთი წვეთიც კი არ მაქვს სისხლის,
შენს სასიკეთოდ არ ჩუხჩუხებდეს.
ერთი ნაფლეთი ოცნების, ფიქრის,
შენს სადიდებელს არ ჩურჩულებდეს.

მოზიარე ვარ შენს ბედისწერის,
ვარ უდრეკი ვით შენი ჯიში და მოდგმა.
შენზე მართალი ლექსების მწერი
და სიჯიუტეც სულ შენგან მომდგამს.

ის მეგრელები

მე დღემდე მახსოვს ის მეგრელები,
ზღვისფერთვალება და ხმელ-ხმელები
მშვიდები, დინჯები და უთქმელები,
თუმცა დუმილით ბევრის მთქმელები.
ყანას თოხნიდნენ, ვენახს ფოთლიანს,
სევდამორეულ ტკბილი ჰანგებით.
მეგრელი კაცის ოფლი მგონია,
ჩვენსკენ, რომ იცის წვიმის ღვარები.
მუდამ ხარივით უღელს შებმულნი,
ზურგით მზიდავნი ქვეყნის ბეღელის.
ღვთის მეომარნი, გამორჩეულნი,
რომ აკვდებოდნენ მტერს პირველები.
გულის კუნწულით დაჰქონდათ ურჩი,
სიყვარული თავის დედულ-მამულის.
სიმინდის ყანა თუ ჩაის ბუჩქი,
რა კოხტად ჰქონდათ გამოკვანწული.
ოდებს აგებდნენ, აკვნებს არწევდნენ,
ეზოში მზით და მთვარით ულევით.
ნალიებს იმედის რწმენით ავსებდნენ,
სულ სტუმრის მოსვლას დანატრულები.
საღამო ხანს კი ყვებოდნენ ამბებს,
მუხნარის ჩრდილქვეშ, თავშეყრილები.
თუთუნს მოწევდნენ, იტყოდნენ მკვახეს
ოხუნჯობაში გამოწვრთნილები.
ბჭობდნენ და ქვეყნის საქმეს არჩევდნენ,
მისთვის გულ და თავდადებულები.
ავისგან ბრძნულად გამოარჩევდნენ,
კარგს ბედით ხშირად დაჩაგრულებიც.
ასეთი მახსოვს სხვებიც, ჩემებიც,
ბაბუები, ბიძები და მეზობლები.
შავი კიტელით, ხრომის ჩექმებით,
მხარბეჭგრძელები და წელვიწროები.
ვერ დავივიწყე ის მეგრელები,
ზღვისფერთვალება და ხმელ-ხმელები.
ბავშვივით ალალი და გულწრფელები,
მართლაც, რომ ქვეყნის დამამშვენელნი.

ამ ჩახუტების საძებნელად

აგვისტოს ცხელ თვეში საღამო ხანს,
საიდანღაც ზღვის სურნელი მოაქვს ჩემთან ქარს.
ვიცი, ვიცი, რომ სიზმრებში ისევ მოხვალ,
დამახვედრებ ჩემს მეგობარ პალმებსა და ზღვას.

აფხაზეთო! ვისთვის გულში ტყვია ხარ და,
ვისთვის კი ალაფი მირთმეული ძღვნად.
მე შენს მკერდს მოწყვეტილი ბავშვობა ვარ
და შენთან ჩახუტების მონატრება მკლავს.

მოგონებებს, ხომ მაინც ვერ წამართმევენ,
გულის მწარე ტკივილი და ჭრილობაცა ხარ.
შენ ოცნებავ! ამაფრინე რიწის მთაზე,
რომ გადმოვხედო ჩემი ყრმობის საოცნებო ტბას.

სიზმრად ვხედავ მამაჩემის ძველ, თეთრ „ვოლგას“,
აღმართ - აღმართ მივუყვებით გაგრისკენ მთას.
ბავშვს მახარებს კანიონში სიგნალების ექოდ მოსვლა
და საშიში „სერპანტინიც“ მოვიტოვეთ თან.

და ჰა გაგრაც, ჩავუყვები პალმის მწკრივებს,
ვხედავ ტბაზე თვალცეცხლოვან თეთრ გედების ჯარს.
ზღვა მეძახის საბანაოდ ისევ მიწვევს,
გულს მიჩქარებს მის ტალღების მომნუსხველი ხმა.

თან შევცქერი კლდის ძირებში
ჩაგორებულ ნისლის ტიკვებს
უნაზესი მოგონება მიმაცილებს გზად,
ერთადერთი - სიკვდილი თუ დამავიწყებს,
აქ ძმობის და გულითადი მეგობრობის მადლს.

ის სურნელი მენატრება სიხარულის,
მისვლა-მოსვლა, ქორწილებში ჩახუტება და.
სიზმრად მომდის განცდა იმ დიდ სიყვარულის
და ცხადშიც ველი მე აქ მზიან და უღრუბლო დარს.

მერე დროსთან შერკინების მძიმე წლებში
სიბერემაც ნელა-ნელა დამათოვა თავს.
მივხვდი თურმე, მიცხოვრია სამოთხეში,
რომ შევყურებ ახლა შორით მის დარაზულ კარს.

აგვისტოს ცხელ თვეში კი საღამო ხანს,
ისევ ის ოცნება მოაქვს ჩემთან ქარს.
სულ მალე ენგურის ხიდს ჩვენ გადმოვალთ
და იმ ჩახუტების საძებნელად, ყველა ერთად გავუდგებით გზას.

ნეტავ მას

მე ღმერთს ვერ ვხედავ, ღმერთს მათში ვხედავ,
ვინც მისთვის შეძლო თავის დადება
და ჩემს განვლილ გზას თუ გადავხედავ,
სიცოცხლე მათზე ფიქრში მთავრდება.

მე პირმოუკრავ იარად მიჩანს,
გულისპირიდან მათი წამება.
მუჭში მაქვს ჩემი მშობელი მიწა
და გულში მათი წმინდა ხატება.

მე მიკვირს ასე ნორჩი, პატარა,
თუ როგორ შეხვდა სიკვდილს თამამად.
საკაძიანთ ლეკვი პაატა,
თურმე თვალიც არ დაახამხამა.

საკვირველია, რამ მისცა ძალა,
ფუფუნებაში გაზრდილ დედოფალს,
როგორ ისმენდა მტვრევის ხმას ძვალთა,
მაინც არ დათმო რწმენა, დედობა.

თვით სისხლისმსმელი მტერიც თუ როგორ,
მოხიბლა ცოტნე მთავრის გმირობამ.
თვით გვემის ფასად გმირმა უბრძოლოდ,
გადაარჩინა ქვეყნის მშვიდობა.

ან მამულისთვის რა წყნარად, მშვიდად,
თავს იღო მტრების რისხვა ჟიულიმ.
გმირად დააკვდა სოხუმის მიწას,
მოძმის ღალატით გულგანგმირული.

მე ღმერთს ვერ ვხედავ, ამ გმირობით ვგრძნობ,
მთელ ძალას მისი დიდებულების.
ნეტავ მას! ვისაც ღმერთი თავად ცნობს,
ღირსად ამ რჩეულ ღირებულების.

სიბერის ჟამი

ძნელია, რომ დაგვიძველდა სიტყვა,
ხმაც აღარ მოგვდევს სიმღერის თქმისას.
ჟამს თავის პეწი, რომ გაუვიდა,
სიცოცხლე დიდ მოგონებად იქცა.

აღარ გვახარებს ჭიკჭიკი მერცხლის,
გულს არ გვიჩქარებს პირველი ია.
ქარის ჩურჩული, რომ აღარ გვესმის,
გაზაფხულებაც, რომ სულერთია.

მიდიან ჩვენი ნაცნობნი იქით,
ჩუმი გლოვაა სულში და ფიქრში.
დრო უიმედოდ წამებში მიქრის,
გულს შიგნიდან ხრავს სიკვდილის შიში.

სარკე მტერია უკვე ცხოვრების,
იქიდან ვიღაც უცხო მოგვცქერის.
გადაგვიარა თითქოს ბორბლებით
და წლებთან სასტიკ ომში მოვყევით.

მაგრამ ჰე! გესმით ტირილი ბალღის,
შვილიშვილებით ივსება სახლი.
გაზაფხულის სურნელი დგება კვლავ ახლით
და ფეთქავს პულსი ახლა სხვა ძალით.

მზე მათზე ლოცვით ამოდის, ჩადის,
მთვარეც სხვა იმპულსებს გვიგზავნის მალვით.
თითქოს თავს ვაღწევთ ავბედით აჩრდილს
და ვსწავლობთ გაძლებას სიბერის ჟამს.

ქართველო ქალო

მიყვარს მედეა, მაოცებს ანა,
ქეთევანი მყავს საფიცარი ხატად.
ქართველო ქალო! არ მესმის განა,
ოდით და ოდით, რომ ციხედ დგახარ.
    გიჭრის სიკეთე, როგორც მახვილი,
    სიყვარული გაქვს გულში ჩაღვრილი.
    შეუბღალავი წმინდა მანდილი,
    დღეს რა ძნელია, განა არ ვიცი.
რომ გვყავს ვაჟები თვალებ წარმტაცნი,
ქოჩორაყრილნი, კუნთებმაგარნი.
მტერთან მრისხანე, გულით ალალნი,
შენ დაარწიე მათი აკვანი.
    მზე ამოსულა შენი აპრილის,
    ეკლიან ვარდებს გულში დავითვლი.
    შეუცნობელი შენი სამყარო,
    ამ ქვეყნად აბა რას შევადარო.

და სწორად ახლა, ის დროება დადგა,
სტუმარი უღირსად მოგვადგა კართან.
ვინც შენი მანდილის შებღალვა სცადა,
ვინც შენი შვილების ღირსებას დასწვდა
დახვდე მახვილად და მტკიცე ფარად,
და ციხედ იდგე ქვეყნისთვის მარად.

არ მთავრდება

ისიც არ ვიცი, როგორ ვიბრძოლო,
მე სიყვარული მასწავლეს მხოლოდ.
და რომ ამ ქვეყნად მშვიდად ვიცხოვრო,
სიყვარულით უნდა ვძლიო მე ბოროტს.

ან სააქაოდ ვინ გამიმეტა,
სუსტი ფრინველი შორეულ ღამის.
ვინც მუზის ტყვეა, ის გამიგებდა
ლექსის მძივით, რომ ვიხრჩობი ლამის.

ვიღაც ბნელეთის მოციქულებმა
მაქციეს სახლში, როგორც სტუმარი.
ცოცხლად მაყრიან მიწას ულევად,
გულს ჩამცეს თავის ბოღმის ლურსმანიც.

სულს ვიბერავ და ტკივილებს ვახშობ,
ჩემი წამალი მხოლოდ ლექსია.
ყველა მედროვეს კვლავ ლექსით ვამკობ,
დროს სარეველად, რომ შესევიან.

გავარდნილი აქვს ქვეყანას ძირი,
ცრუ გზა-ბილიკებს ამაოდ ვკეცავ.
არ მთავრდება დარდი, ოცნება, ფიქრი
და ამაოების რუხ ნაცარს ვქექავ.

გამარჯვების შარავანდედი

ბიჭი დაბრუნდა სახლში ომიდან,
კარში შეეგება დედა.
- ლოცვამ გიწია ჩემმა შორიდან,
- შვილო დამიბრუნდი ხედავ?

ნელ-ნელა იღვენთება სანთელი,
ცეცხლში აშიშხინდა შეშა.
- ღამე გავათენე თეთრად რამდენი,
- მოლოდინში შვილო შენთან.

მტერი თუ სად, რამდენი დახოცა,
ბიჭი სიამაყით ყვება.
- ვაი, რამდენი შვილი დაობლდა,
- დედას ღაწვზე ცრემლი ყვება.

- მე ხომ დაგიბრუნდი კვლავ ცოცხალი,
- მტერს რაღად მისტირი ნეტავ?
- ისიც ვიღაცის შვილი ხომ არის,
- სიკვდილს არ ვუსურვებ მტერსაც.

იღვენთება, იღვენთება სანთელი,
გული სათქმელსაც ვერ ხვდება.
- არ მინდა იცხოვრო მკვლელის სახელით,
- შვილო შენ მოგიკვდეს დედა

სულ მალე მიილია სანთელიც,
ძილშიც იცრემლება დედა.
და გამარჯვების შარავანდედი,
იქ წყვდიადში, სადღაც კვდება.

გიგი თეთრაძე

მე და შენ ელე

და როცა მივალთ სიბერემდე მე და შენ ელე,
ჩვენ სიყვარულზე საუბრები გვექნება მერე,
მე მეყვარები ისევ ისე მარად და მარად,
შენ თვალებს დახრი მაკოცებ ნაზად.
        თუ კი გავხდები შეუძლოდ, ავად,
        მომიტან წამლებს და ჭიქა წყალსაც,
        გამომაკეთეს თვალები შენი
        სადაც სითბოა და თავად ღმერთი.
ღმერთი იქნება ჩვენს შორის არა...
ღმერთი იქნება შენში და ჩემში
და ჩვენც ვიქნებით ამ ქვეყნად მარად,
ვიქნებით ერთად, მშვიდად და წყნარად.
        სამყარო სადაც ტყული მეფობს,
        სამყარო სადაც ებრძვიან მართალს,
        სადაც სიყვარულს არქმევენ ღალატს,
        აღარ მაშინებს, შენ მყავხარ ფარად.
და როცა მივალთ სიბერემდე მე და შენ ელე,
ჩვენ სიყვარულზე საუბრები გვექნება მერეც,
მე მეყვარები ძველი გრძნობით, ძველი ოცნებით,
როცა სიბერე გვესტუმრება, მე და შენ ელე.

იესო ქრისტე

ი ესო ისმენს გულიდან ფიქრებს,
ე ხმიანება კეთილ განწყობებს,
ს იტყვა უღმერთო ჭაობში მითრევს,
ო მია ჩვენში, უნდა გვახსოვდეს!

ე როდნენ ქარები, აუტანლები,
რ ეკდნენ ტაძრებში წმინდა ზარები
ი მეორებდა მოძღვარი ლოცვებს,
ს ულის სარჩენად, გავხდი დაუზარები.
ტ კივილებს ვითმენ, მივიწევ ზევით,
ე რთი რამ მიკვირს, ცოტაც მაოცებს,

რასაც კი ვებრძვი, მე ის მაცხონებს.

სამშობლოს

ჩემს სამშობლოს ყველა კუთხით მტერი უტევს,
თუმცა გზები არასოდეს არევია,
გაუმარჯოს ყველა იმ კაცს და იმ ქართველს
ვის გულშიაც საქართველო ასვენია!

მართალია შიდა მტერი ავად ლამობს,
სურს გამოხრას ჩვენი მიწის ოქრო ვერცხლი,
იბრიქება, ბაქიბუქობს ქართველობით,
აღარ ახსოვს წინ რომ ელის მწველი ცეცხლი.

რა გვაცინებს, ანდა რა დროს ქეიფია
ტაშფანდური გაგვიმართავს უდარდელებს,
ყანწების და ფიალების ზეიმია
დალევაში ვინ გვაჯობებს ჩვენ ქართველებს?

შინაური მტერი უფრო მეტი გვებრძვის,
გარე მტრების ვინაობა ცნობილია,
ვერ გავიგე ქვეყნის დარდი ვის გავანდო,
ყველას სძინავს უცხოა თუ ძმობილია.

შაჰაბასის,თემურ ლენგის შემოსევა,
რუსის ჯარებს მე ათასჯერ მირჩევნია,
რაც მახვილმა და ცეცხლმა ვერ დაგვაკლო
"ერთმორწმუნე" მეზობელმა
        სული სულ მთლად აგვირია.

ახლა ვიჯდეთ მხიარულად, უდარდელად,
რა გვადარდებს უნაკლოებს, გულმზიანებს,
ერთმანეთის შურით მტერს ვერ დავამარცხებთ,
ჩვენვე დავმარცხდებით,ჩვენ დაგვაზიანებს.

აღდგება სამშობლო მიწაწართმეული!
დადგება ქართველის და უფლის ერთობა!
ვეღარ გაიცინებს ჩვენ ავად ყოფაზე
მტერი,რომელიც ჩვენით ერთობა!

ჩემს სამშობლოს ყველა კუთხით მტერი უტევს,
თუმცა გზები არასოდეს არევია,
გაუმარჯოს ყველა იმ კაცს და იმ ქართველს,
ვის გულშიაც საქართველო ასვენია!

პორტრეტი

სამყარო თითქოს ყველასია,
თუმცა არ წყალობს ყველას სამყარო,
მავანი ისე გაზუნუქდა გაუქრა კისერი
ქუჩის ბოლოს ბერიკაცი დადის ფეხშიშველი.
მოდი და გული ნუ მოგივა,
ადამიანი გათაღლითებული ორი გროშის გამო
პირში ისე გიცინის და გეფერება
ლამის საკუთარ თავს ავნო
მე ხომ არა ვარო სულელი.
კაცს გაიცნობ და ვაჟკაცია,
იტყვი, არ გადაშენდებაო ქართველი,
მალე ისეთი ჟამი გამოხდება
უკან წასაღები გაგიხდება სათქმელი.
ჩემო მიწაო ფერი წითელი გაქვს
საუკუნეების სისხლით ნაჟღენთი,
სევდის და ტკივილის ბუნაგია
შენი ისტორია, ცრემლად ნაღვენთი.
თავი შევინახეთ არ გადავჭიშდით,
რწმენა არ გავცვალეთ ოქროზე,
ენა და მამული დავიცავით,
ქრისტეს ვუერთგულეთ ბოლომდე,
დღესაც ვერ ივიწყებს მტერი დიდგორს
გული მოსდის გამარჯვების ზეიმზე,
ალგეთს ლეკვები იზრდებიან,
ამობრწყინდება ივერიის მზე.
საკუთარის გმობა და დაცინვა
ვიღაცამ გახადა მოდური,
გადმოგდებულ ანკესს ბევრი წამოეგო,
ჰოდა დარჩებიან წამოგებული.
ღირებულებებს ესროლეს ტალახი,
ვაჟკაცებს უწოდეს ბნელები,
კაცი კაცს თუ ცოლად გაყვა
ესენი იქნებიან ჩვენი მხსნელები?
ცოტა უცნაურად ფეთქავს ქვეყანა,
ჩვენთვის მიუღებელს გვაძლევს და გვაჩეჩებს,
აქეთ ოკუპანტი შვილებს გვიკლავს,
იქით უღირსობას გვაჩვევენ.
მიწის გამყიდველი ქართველები
ფულის საჭრელ სკამზე წამოჯდნენ,
ჩხუბი,ლანძღვა და ქაოსია,
საქმის კეთებაზე დამუნჯდნენ.
არც რწმენა,არც საქმეები,
რითი გამართლდებით უფლის წინაშე?
ღვთისთვის არასათნო ქცევებით
ჯოჯოხეთს იბევებთ მიწაზე.
პრიორიტეტული გახადეს ნარკოტიკი,
სახელად უწოდეს მსუბუქი,
ბოლომოგეღებათ ასეთ ვაიკაცებს,
თქვენი საფლავის ქვა იქნება მსუბუქი.
ჩემი სამშობლო ყველაფერს უყურებს,
მის სიჩუმეში იგრძნობა სიბრაზე,
მარიამის კალთა ყველას არ გაწვდება,
ბევრი დარჩებით სოდომის მიწაზე!

სიცოცხლის ხაზი

ფოთოლთა შრიალს,მონაქროლ ნიავს,
შენი სურნელი მიაქვს და მოაქვს
და ეს თვალები მზეზე ნათელი
ცის უსასრულო სივრცეებს მოჰგავს...
და რომ გაივლის ათასი წელი,
ათასმეერთე დადგება ოდეს,
ისევ მოიტანს ნიავი სურნელს
ჩვენს სიყვარულზე იმღერებს ოდებს.
მე ყველა სიტყვა ახლა მჭირდება,
ყველა ჰაერი და ყველა ფერი,
რა პატარაა ეს დედამიწა
შენ სამყაროში ხარ ყველაფერი.
მიილევიამ წლები დათვლილი,
ქვიშის საათიც დახურავს სარკმელს,
მე უსასრულო სამყაროს მკვიდრი,
წუთისოფელში დავტოვებ სათქმელს,
რომ სიყვარული თავად ღმერთია,
ერთადერთია უცვლელი ჟამთა,
სიცოცხლის ხაზად გავავლებ სიტყვებს,
მე მხოლოდ შენი და ღმერთის მწამდა.

ნორიკო მგელაძე

რომ არ მიყვარდე

ქუჩას მივყვები ჩუმად და
შენი ხატება თან დამდევს,
არა, არ რჩება იარა,
გულს, რომ ჭრილობად დაადე.

ცას ავხედე და ერთგულად,
მთვარე, ეული, თან მომდევს,
რა ვქნა,არ მინდა მეგზურად,
რომ მარტოობა შემომრჩეს.

ჩუმად მივყვები ქუჩას და
ლამპიონები ბრდღვიალებს,
უშენოდ ეს გზა, სულაც და
ვერაფრით ვერ გავიარე...

ღამე მთვარეთი სულდგმულობს,
მთვარე სიბნელეს ანათებს,
ეს სიყვარული ჩურჩულებს,
შენზე მოსაწერ ბარათებს...

ღამევ, გათენდი, გათენდი
იმედი მკრთალ გზას მინათებს,
ალბათ, არც ამ ლექსს დავწერდი,
ისევე, რომ არ მიყვარდე...

რომ შემეძლოს...

რომ შემეძლოს ცის ტატნობზე აგიყვანდი,
განახებდი ამ სამყაროს სულ სხვა თვალით,
რომ შემეძლოს სავანეში სიყვარულის,
ოქროს ტახტს და დიადემას დაგადგამდი.

რომ შემეძლოს მზის ათინათს უნანებლად,
მაგ ოქროსფერ დალალებში ჩაგიწნავდი,
ლურჯ თვალების მანათობელ შუქთა ფერად,
გზას მოჩითულს, კესანებით,გაგიყვანდი.

რომ შემეძლოს მთის მწვერვალზე არწივისებრ
არემარის ცქერით ისე დაგატკბობდი,
მდინარეებს, მწვერვალიდან ამოჩქეფილთ
მთის მძივებად შემოჭდობილთ გაჩვენებდი.

მერე ხევით მთიდან ბარად ჩაგიყვანდი,
ატატებულს გულში მაგრად ჩაგიკრავდი,
შენთან ერთად, ერთ ჰაერსაც ვისუნთქებდი
ჩემო ყველავ, ყვავილთ გვირგვინს დაგიწნავდი.

მთელ მინდორასაც, ყვავილების ფერად ფარჩას,
ფიანდაზად გზად მიმავალს გაგიფენდი,
შენთან ერთად მოვივლიდი მდელოს, ტყესაც,
მერე ზღვაზე თოლიებთან წაგიყვანდი.

რომ შემეძლოს შენთან ერთად ვიყო ახლა,
ხელებს მაგრად, ძლიერ მაგრად ჩაგჭიდებდი,
შენთან ერთად ვერ ვიგრძნობდი ვერა დაღლას,
იმიერშიც ბინას შენთან დავიდებდი.

რომ შემეძლოს მეცხრე ცაზე აგიყვანდი....

განვლილი ცხოვრება

ცუდად შევიქენ და წამებში გადავხედე განვლილ ცხოვრებას,
სიხარულთან ერთად ბევრიც მიწვალია და ცრემლიც მიღვრია,
როცა იმ ასაკში ხარ, რომ ყოველდღიურად ებრძვი გონებას,
აანალიზებ, როგორ სწორად გიცხოვრია, რა შეგიქმნია...
.....
ხარ ამ ფიქრებში და ამინდიც თითქოს ხელს გიწყობს,
წვიმს და ზეციდან არ ილევა თითქოს ეს წვიმაც,
გინდა გასწიო წვიმის ფარდა, გამოაჩინო,
მზე, კულისებში მოთმინებით ჩუმად რომ იდგა.
მზე გახსენდება და თვალწინაც წარმოგიდგება
სახე იმათი, ვინაც შენთვის სანატრელია,
ორმაგად გწადის მათი ნახვა, ვინც გედარდება
ეს მონატრება, ვით წურბელა გულზე გკიდია...

გულის კაეშანი

გულს კაეშანი შემოგვაწვება,ზოგჯერაც, ჩემო
ამ დროს სხვა არა, მხოლოდ სულზე ფიქრი გვეწვევა,
უცებ,წამებში, თვალს შემოვავლებთ ირგვლივ გარემოს,
სულის საოხად ჭმუნვარება შემოგვერევა....
დასანანია,ჩვენთვის განკუთვნილ დროის დინებას,
მივყევით ზოგჯერ, ზერელედ და დაუფიქრებლად,
არ გავუფრთხილდით და შეცდომებით ვხარჯეთ დროება,
ჟამიც გვეძლევა სინანულის,
ღმერთმა ინება....
დადგა ეს ჟამიც,სულ სხვანაირად ვუცქერთ ცხოვრებას,
გამოცდილება ხომ შეგვძინა განვლილმა წლებმა,
სული წრიალებს,არ ეპუება ამაოებას,
რაც უკვე იყო,არაფრით არ გამოსწორდება...
სულ ამაოა ამქვეყნად მოსვლა, თუ ვერ იხარე,
ჩაკეტილ წრეზე სიარული მართლაც ფუჭია,
გული როს დარდობს, დიდ სევდის ტბასაც ცრემლები ავსებს,
წუთისოფელი ვისთვის კარგი,ვისთვის ცუდია....

წვიმს..

ხმაურობს წვიმა ჩემს სახურავზე,
გულში კი სევდა დაბუდებულა...
შენ ხმას არ იღებ, თითქოს ჯინაზე,
ტკივილიც ჯერ არ გაყუჩებულა
აწვიმს ხეებს და აწვიმს ყვავილებს,
ნეტავ განახა, როგორ ტირიან...
შენს შემხედვარეს,რა დამამშვიდებს,
წლები, ულმობლად, როგორ მიქრიან...
შენ ხმას არ იღებ, თითქოს ჯინაზე,
ტკივილიც ჯერ არ გაყუჩებულა
და განშორების წლების მიჯნაზე
გული ჯერაც არ განკურნებულა.
ეს მონატრების ტკივილი, ჩემო,
ისე მწარეა, ჯერაც ,აქამდის...
წვიმა წკაპუნობს და ისე ცელქობს,
დარდი არა აქვს, ქვეყნად, არაფრის.

მე ქართველი ვარ

მე საქართველოს ღვიძლი შვილი ვარ,
მისი ცისა და მიწის ნაგლეჯი,
მისი ჰაერით და მისი ზღვითა
გაჟღენთილი და განაბანები.
საითაც უნდა წავიდე, ყველგან
საოცრებების მე ვარ მნახველი,
აგერ, ვუყურებ ბუმბერაზ მთებს და
მწვერვალებიდან მიცქერს ტაძრები.
მე საქართველოს ღვიძლი შვილი ვარ,
მტკივა,მახარებს, მისი ავ-კარგი,
ყველა ქართველის წმინდა ვალია
საკუთარ ქვეყნის დაცვა მარადის.
უფლის ნაკურთხი მიწის შვილი ვარ,
თითოეულ გოჯს ვეთაყვანები,
ვერ შემირყევენ რწმენას უფლისას,
ზურგს მიმაგრებენ აქ წმინდანები
უფალო ჩემო და დედავ ღვთისავ,
მუხლის მოდრეკით შეგევედრებით,
გადამირჩინეთ სამშობლოს მიწა,
შეგვინარჩუნეთ ჩვენი ედემი.

მინდვრის ყვავილი

მინდვრის ყვავილი ვარ ნაზი და ფერმკრთალი,
ვერ გავუტოლდები სამეფო ყვავილებს,
ცხოვრებაც უბრალო მაქვს ასე მდინარი,
ამიტომ არასდროს ვედრები სხვა ვინმეს.
მინდორში მოვსულვარ უჩუმრად და ვხარობ,
სიცოცხლის თასი მე თითქმის დავცალე,
ცოტა ხნით მოვედი და განა ბევრს ვითხოვ,
უფალო, ცა-მიწით, რომ დავტკბე მაცალე .....

ვაცოცხლოთ სამშობლო

როგორ გიხდებათ ერთად ყოფნა ჩემო ქართველებო
როგორ ბრწყინდება სიხარულით ამ დროს თვალები,
როგორ მიყვარხართ,მიხარიხართ ღმრთისგან ნაფერებნო,
რა სჯობს ერთმანეთს ვუერთგულოთ, ვიყოთ მართლები...

როგორ გალამაზებთ ""ერთ გულ"" ყოფნა და გალაღება,
ამ ერთგულებამ მოგვიყვანა ოდითგან დღემდე,
როცა გულობს გული ვერვინ შეძლებს ჩვენს დამარცხებას,
ეს სიყვარული გვაძლიერებს და მეფობს ჩვენზე...

ეს სიყვარული,სამშობლოსადმი ღმერთისგან გვერგო,
ტყუილად როდი უბრძოლიათ ჩვენს გმირ წინაპრებს,
მათ მოგვიტანეს თავიანთ მხრებით ეს საქართველო,
რომ ვაცოცხლოთ და ვაძლიეროთ, უნდა გვიყვარდეს!

„იყო და არა იყო რა...“

„იყო და არა იყო რაო“ -
ასე იწყება ყველა ზღაპარი,
ჩვენი ცხოვრებაც ასე იწყება,
რანი ვიქნებით-ეს არს მთავარი.
დღეს ბევრს ჰგონია, რომ სულ იქნება,
რომ არ დატოვებს ამ წუთისოფელს,
სულ მირაჟია მთელი ცხოვრება,
უნდა ესმოდეს ეს ჭკუათმყოფელს.
ბევრისთვის ფრიად გასაკვირია,
დედაბუნების მოწყობის წესი,
ისე იცხოვრებს და მიიცვლება,
ვეღარ გააიგებს ამ ყოფის წესრიგს.
...და ყველა მოკვდავს უნდა ახსოვდეს,
ცხოვრების ჰპოვოს მან გასაღები,
რამდენიცა ვართ, იმდენივეა
ჩვენი სამყარო, ასეთი ჭრელი...

წყალში გადაყრილი ამაგი...

ცხოვრებისგან დაღლილია,
მაგრამ მაინც ფეხზე მდგარი,
ჩვენზე ზრუნვით უთევია
ღამეები, თან რამდენი,
ტკიოდა და მერე როგორ!
...და ითმენდა..
მოეხადა ჩვენ წინ ვალი,
სასახელოდ გაეზარდა
ჩვენი თავი..
იშრომა და არ დაგვაკლო
რაც შეეძლო,
რაც რამ არის,
იყო მუდამ შვილებისთვის
საჭირო და საფიცარი (ერთ დროს)

უანგაროდ რომ მოგვიძღვნა
თვისი თავი...
დღეს კი... დღეს კი საცოდავად
მარტოდ არის...
გაფრენილა წლები მალე,
იმედებით და სიცოცხლით
აღსავსენი,
გაფრენილან თავის გზაზე
შვილები და ბადიშები...
დღეს?
– დღეს კი დგას და ისე მძიმედ
ჩაუხრია დარდით თავი,
მაინც ლოცავს, თან ცრემლს იწმენდს,
მონატრების....
ენატრება მისი ნახვა,
ვინც გასწირა ამ დღისათვის
და მის გვერდით ვინც არ არის....

მზია ერგემლიძე

* * *

დგას მარტოსული ქალი ....
გულამოსკვნილი ტირის
ცრემლი ღვარებად დადის,
სადღაც გიჟივით მიდის...

თებერვლის ქარი დაქრის,
ქარი სისინა ცივი...
სულში უძვრება ქალს და
არც ჰკითხავს რატო ტირის..

შეჩერდა, შედგა ქალი
ნაცრის გორებთან დაჯდა
ცეცხლის ნაკვალებს ეძებს
ფიქრობს იქ რაღაც დარჩა..

ფიქრებით ქექავს ნაცარს,
თვალებს ამჩნია მწუხრი,
ფიქრობთ? რას ეძებს ქალი?
ან მის სულს როგორ უჭირს.

თვალცრემლიანი იდგა,
შავ სვეტს მიეყრდნო თავი.
ცეცხლის და ნაცრის კვალებს,
ვერ მოაშორა თვალი...

ყოველდღიურად დადის,
დადის რაღაცას ეძებს,
მისი ფიქრები აქ ზის,
ცხადად მოსვლასაც შეძლებს.

როცა ტკივილი იპყრობს,
როცა დარდები გუდავს,
ფიქრებით სულ აქ დადის
და მის სიყვარულს ფუთავს.

რომ არ გასტაცოს ქარმა,
რომ არ გაყინოს ყინვამ,
ხშირად ცრემლებით აწერს
რიგორ უყვარს და ტკივა..

ვერ მოერია ტკივილს,
ვერ მოიშორა დარდი,
სასაფლაოს და სახლს შორს
ის აჩრდილივით დადის.

აჩრდილს მიუგავს სახე,
გამოლევია ხედვა,
მიზანი მხოლოდ ერთი
მალე მოვიდეს შენთან..

იქნებ გაიგო მაშინ,
როცა დაჯდება ახლოს
რაც შენ დატოვე მასში,
თებერვლის ქარი სახლობს.

დარდში ათენებს ღამეს,
ჩუმად ცრემლები ცვივა,
ყველაზე მეტად ალბათ,
მას თებერვალი ტკივა...

* * *

ცამდე აზიდული სილამაზე,
ღრუბელს დაუხურავს ქუდი,
თითქოს მწვერვალებმა აგიტაცა,
თბილად ჩაგიხუტა გულში.

მერე მზის ამოსვლით მოგეფერა,
მერე გაგაგრილა ქარმა,
მდელო ხასხასებდა სიხარულით,
ცქერით გაიხარა თვალმა.

შენმა სილამაზემ დაატყვევა,
მდელო, მზის სხივი და მთანი,
ღრუბელს არასოდეს დაუნახავს,
შენი სილამაზის ქალი.

ლამაზ ქალს ყურადღება მიაქციეთ,
მიართვით სიყვარულით ვარდი,
ეცადეთ სიმარტოვე არ ატკინოთ,
ეცადეთ გაუქარვოთ დარდი.

ლამაზ ქალს კარგი სიტყვა შეაწიეთ,
ლამაზი მიუძღვენით ჰანგი,
ვარდების თაიგულს თუ მიართმევთ...
ვარდივით იღიმება ქალი.

ასე ნუ გაფანტავ ლამაზ სიყვარულებს,
თორემ გაიტაცებს ქარი,
მერე შემოგაცლის დარდი სიხარულებს,
ცრემლით აგევსება თვალი.

ქალო გიშრისთვალა, გრძნობას გაუფრთხილდი,
ხედავ აშრიალდა ქარი,
შენი სიყვარული ცაში არ გაფანტო,
და არც დაივიწყო წამით.

როცა შენთან არის ძლიერ ლამაზია,
ყველა ადგილი და წამიც,
მიტომ მოეფერე სულში ჩაიხუტე,
გირჩევ არ დაკარგო წამიც.

ქალის ნაზ სიყვარულს გაუფრდხილდით,
გრძნობას ნუ წაართმევთ დაღლილს,
მერე როცა წავა გვიანია,
მასზე წუხილი და დარდი.

ქალი სიამაყის ნაწილია,
ძლიერ ნაზია და წრფელი,
მაშინ გაუფრთხილდი როცა გიყვარს,
მაშინ მოუტანე ფრთები.

მაშინ აამღერე, მაშინ ააყვავე,
ლაღი სიყვარულის გრძნობა,
როცა უხარია ,როცა გიხარია,
როცა ლამაზია ტრფობა.

* * *

ისე გაფრენილა წლები სანატრელი,
ჭაღარა შეპარვია წარსულს საბატონოდ,
ვიღაც მოწიწებით გზაზე გაგატარებს,
უკვე მოგმართავენ, რიდით ქალბატონო.

თავი ისევ ისე კოხტა გოგოდ მოგაქვს,
წლები უტყვად მიდის, დრო კი დაბატონობს,
ხშირად თვალს შეავლებ თმებში თეთრს შერეულს,
შენ კი მოგმართავენ, -უკვე ქალბატონოს.

გული არ ბერდება, გული ბავშვად რჩება ,
თუმცა წარსულს დარჩა წლები საბატონო,
ქარსაც დაედევნე, წვიმას შეეხიზნე,
თოვლიც დაგფენია თმებში ქალბატონო.

წლებმა გაიფრინა,
სულ მთლად ფრთებგაშლილმა,
ეხლა ქუჩებში კი ქარი დაბატონობს,
შალი მოიხვიეთ, კაშნე შეიკარით,
გული გაითბეთო, ცივა ქალბატონო.

* * *

ვარ პაწაწინა ჩიორა ჩიტი,
ნაზი და სუსტი... ტოტებში ბუდე გამიკეთა მე ჩემმა დედამ,
მერე დამტოვა და გამიფრინდა შორეულ მხარეს,
ასე პატარამ რა ვქნა მარტო ფრენას ვერ ვბედავ.

მე მეშინია მოვარდნილი ძლიერი ქარის,
მაშინებს ღამე, ბუდეშიაც - მძინავს მარტოკას,
მე სიმარტოვემ დამიბრიყვა, ვერ ვამბობ რამეს,
არ ვიცი ასე დათრგუნული ღმერთო რატომ ვარ.

მე ხომ ჭიკჭიკით ვიღვიძებდი გამთენიისას,
გაღიმებული რომ ვხვდებოდი დილის ალიონს,
დღეს თითქოს მზესაც აღარ უნდა ჩემთან შეხვედრა,
გზაზე დამდგარი ელოდება სულ სხვა მაყრიონს.

რა დავაშავე მითხარ მზეო ! - თუ ვარ პატარა,
პაწაწა გულში სხვაზე მეტი მქონია გრძნობა,
მე თუ სიმღერით ვერ დაგატკბე და სხვამ დამასწრო,
შენ არ გეგონოს სხვამ იცოდეს ჩემგვარი ტრფობა.

არ გამიმეტო...მეც სხივები გადმომაფრქვიე,
უკუნ ღამეში.... სიყვარულმა დამტოვა მარტო,
გთხოვ ჩამეხუტო, ყინულად ნუ გადამაქციე,
პატარა ჩიტი შენ გულში ხომ. .. ერთ კუნჭულს ვნატრობ...

გამთენიისას ავფრინდები თბილი უბიდან,
ცაში ჭიკჭიკით ვიტრიალებ არ გავჩერდები,
აღარც ქარები შემაშინებს მე გრძელი ზამთრის,
და სამუდამოდ შენ უბეში ფიქრად დავრჩები.

გულის კუთხეში თუ უსიტყვოდ დავიდებ ბინას,
არ შეგაწუხებ მე ზედმეტად კარგო არაფრით,
ღამით კი როცა გაგაღვიძებს ფრთების ფრთხიალი,
გჯეროდეს ჩემი ტრფიალია და სხვა არავინ...

გთხოვ ნუ გამაგდებ მე უმწეო ციცქნა ჩიორას,
რადგანაც ვიცი რომ გეწვია ჩუმი გრძნობები,
მე ხომ შენ გულში დავიბუდე მთვარიან ღამით,
არსად არ წავალ შენ თბილ გულში დაგელოდები.

* * *

ხშირად გაიღიმეთ ქალბატონო,
სულში ჩაიხედე იმედებით,
ზოგჯერ სიხარულს თუ სევდა ჭარბობს,
დღეს ხომ ხვალის იქით იხედები.
ხშირად გაიღიმეთ ქალბატონო, ხედავთ?
შემოდგომის დღე აფეთქდა,
ადე ყვითელ ფოთლებს მოეფერე,
დილა ოქროსფერად რომ გათენდა.
დილას მზის სხივები ახალისებს,
ზოგჯერ ზღვის ნაპირზე ცელქობს სიო,
ბევრი სიხარული მოაფრქვიე,
დრო რომ ფიქრებში არ გააბნიო.
ცაზე ღრუბლები თუ გამოჩნდება,
ვხედავ ამინდივით იღრუბლები,
ღრუბელს ღიმილები დაადევნე,
ასე ნურასოდეს იქუფრები.
იცი? არ გიხდება სევდა, დარდი,
სახეს ნაოჭები ემატება,
ზოგჯერ თუ ქუჩაში დაჰქრის ქარი,
ქარსაც ღიმილები ენატრება.
ღიმილს ელოდება ყველა დილა,
ციცქნა ყვავილი თუ ცელქი სიო,
მოდი ღიმილებით გაიღვიძე,
ირგვლივ სიყვარული რომ აბნიო.
რაა შემოდგომა თუ მოვიდა,
ცივი ზამთარიც ხომ მოგვადგება,
იქაც გაუღიმე ფიფქს და თეთრ თოვლს ,
ზამთარს გაზაფხული მოადგება.
სევდა თუკი გულზე მოგაწვება,
ქარებს გაატანე ეგ ფიქრები,
ვხედავ გენატრება შენ სილაღე,
დილა გაითენე ღიმილებით.
ხშირად გაიღიმეთ ქალბატონო,
დილა გაითენე ღიმილებით,
სევდით ნუ გადაღლი შენ სათუთ გულს,
ცაც კი აფერადდა იმედებით.

* * *

ქალი შემხვდა დილით ხიდზე,
თვალციმციმა მომღიმარი,
ტანში გამცრა გავიყინე,
ქალი იყო მზის სადარი.

ან რა ტანი ,ან რა ფეხი,
სახე ყვავილის სადარი,
ნეტავი თქვენც დაგენახათ ...
მისი მზერა და ნარნარი.

იმის შემდეგ თვალს ვერ
ვხუჭავ,
მისი სახე მელანდება,
სად წავიდა ვერ ვიპოვე,
ოხ რა ძლიერ მედარდება.

განა ქალი იყო მხოლოდ?
იყო ნაზი აღმაფრენა,
როგორ გავჩნდი მე გზის
ბოლოს,
დამწვა მისმა გამოჩენამ.

ქალი ???
გოგო???
დედა ??
ცოლი???
ვერ გავიგე რა დავარქვა,
უნაზესი არსება და ...
უთბილესი ---გულს რომ
ჩარჩა.

იმის მერე აღარ მძინავს,
მოსვენება გამეფანტა,
ვერ გავიგე ეს ქმნილება,
ასე როგორ დამეკარგა.

დავდივარ და ვერ ვპოულობ,
მოვიარე ყველა ხიდი,
ყველა მთებზე გადავდექი,
მის ძებნაში გავხდი გზირი.

ან რა დედამ შობა ასე,
შემკული და მოქარგული,
დედა იყო?
ცოლი იყო?
ვერ გავიგე დამწყდა გული.

იქნებ მარტოობა ჭირდა,
დაეძებდა გულის სატრფოს,
ასე როგორ დამეკარგა,
რომ იცოდე როგორ ვნანობ.

მე შორიდან ვუჭვრეტოდი,
მისმა ხილვამ დამაბნია,
თურმე ტყვილად
ვუთვალთვალე,
ეს არასდროს დამმართნია.

იქნებ კიდევ გაიაროს,
ამ გზაზე და ამ დიდ ხიდზე,
ერთხელ კიდე მოვკრა
თვალი,
მისი ცქერით დავტკბე
იქნებ....

* * *

შეციებული თეთრ სამოსში, ქალი ყინვაში,
მიაბიჯებდა და ფიქრებში ნაბიჯს ითვლიდა...
თოვლის ფიფქები ამშვენებდა მის ნატიფ სახეს,
არვინ არ იცის მისი გული რაზე ფიქრობდა.

ის მიდიოდა სადღაც ტყისკენ ვიწრო ბილიკზე,
ხეებთან თითქოს ზამთრის სუსხის ფერებს
იყოფდა,
მხრებზე დაყრილი მოგონება მოაბიჯებდა ...
- და ოცნებები დახუნძლული სადღაც მიქონდა.

მიაბიჯებდა, მოყვებოდა თეთრი ფანტელი,
ტოლს არ უდებდა ქარებსა და თოვლის
სიდიდეს...

მისი მიზანი და ოცნება დაუცხრომელი,
სადღაც მთის ძირში წაუღია ქარს და სიცივეს.

გაყინულ ტყეში მიდიოდა ქალი ამაყად,
ვერ აშინებდა მარტოობის მწარე ზმანება,
 თეთრ სამოსელში მოდიოდა ის თავდახრილი
...
და მოგონება გაუახლეს შორით ზარებმა.

ეძებდა წარსულს, გატაცებულს ცივი ქარისგან,
და წერილებიც დაუფანტავს ზამთრის
გრიგალებს,
მაგრამ მან იცის, რას მოელის ცივი
ზამთრისგან...
სულის გასაღებს დაეძებს და...კიდეც მიაგნებს.

* * *

რად ჩაფიქრებულხარ ქალბატონო,
რაღაც მოწყენილი დგხარ,
თვალზე ცრემლი ერთვის წვიმის წვეთებს,
ვხედავ მარტოხელა ჩანხარ.

თვალებს ნუ აწვალებ ცრემლებისგან,
სახეს დაგიღარავს დარდი,
მარტოდ შენ სარკმელთან ჩამომჯდარხარ,
შენთან მხოლოდ სევდა დადის.

ვიცი მონატრებამ დაგაფიქრა,
ვიცი გაწამებს და გტანჯავს,
გთხოვ სულ მარტოობას ნუ ეჩვევი,
ვხედავ, შემოდგომას ჰგავხარ.

მალე გაზაფხული მობრძანდება,
მალე შემოიყვანს აპრილს,
მინდა რომ ვიხილო მოკრძალება,
შენი გაღიმება ლაღი.

ფიქრს ნუ ეძალებით ქალბატონო,
ფიქრი უსასრულოდ დაქრის,
ცრემლი შეიმშრალე ლურჯ თვალებზე,
თორემ დაგტანჯავს და დაგცლის.

მოდი შეეცადე გაღიმებას,
ცაზე ღრუბელიც ხომ დადის,
იქნებ გამიღიმო ერთხელ მაინც,
დრო კი თავისთავად გარბის.

კართან მოგიტანე ლურჯი თაიგული,
ვიცი რომ გიყვარდა ვარდი,
იქნებ გადიყარო გულს ნაღველი,
იქნებ გამახარო წამით.

ნუ ხარ მოწყენილი ქალბატონო,
გთხოვ ნუ შეეჩვიე სევდას,
ირგვივ სიყვარული დანავარდობს
შენ კვლავ თვალცრემლიანს გხედავ.

* * *

გადმომიფინეთ ძველი ნოხები გრძელ აივანზე,
ხის მოაჯირმა არ დაქუცოს ძველი ძაფები.
ერთი ამქარი მოტრფიალე ძველი თბილისის ....
მივტირი წარსულს და დღეს თითქოს
არ მაქვს სათქმელი..

სად დაიკარგა ძველი ხიბლი თბილის ქალაქის,
დიდებით თქმული სიყვარულის ბაიათები.
მტკვარზე ხიდის ქვეშ მონარნარე ლამაზი ტივი,
ყარაჩოღელებს აღარ დარჩათ ნუთუ სათქმელი.

გამქრალა სუფრა ტივზე მდგარი, ძველი ტიკებიც,
მეთევზეები აღარ ათევს ნაპირთან ღამეს.
ოპერის ბაღში ვეღარ ვხედავ წყვილად მიჯნურებს,
ლამაზ ხალიჩებს აღარ. ქსოვენ ქალები სახლში.

განთიადისას არვინ უმღერს თბილისის ქუჩებს ,
და ძველრბურად ქუჩებში კი ---არ დაქრის ქარი,
ყარაჩოღელებს არ უშვებენ ახალ დუქნებში,
რადგან წარსულში დარჩენიათ სიმღერის ვალი.

ახალ ქალაქში ახლებურად უკრავენ ჩონგურს,
სიყვარულითაც ახლებურად ციმციმებს ქალი ,
მე გევედრებით რომ მაჩუქოთ ძველი ნოხები,
აქ სიყვარულით იქსოვება სიმღერა ქალის.

მე ძველებურად მიჯნური ვარ და დღეს ვმღერივარ
და ადრიანად გეფერებით რადგან ვარ მთვრალი ,
ნაოჭებმა კი გამახსენეს ძველი ქუჩები,
ბებერ მიკიტანს ჩავუკარი მაცდურად თვალი.

ქალმა კი ერთხელ გადმოფინა ძველი ნოხები ,
მიჯნურს ელოდა აივანზე გრძნობებით მთვრალი,
წარსულის ქუჩებს გადახედა თვალცრემლიანმა ....
და საბოლოოოდ მიიხურა მაღალი კარი.

* * *

პატარა გოგო ვიყავი,
ყველა მეძახდა ცქრიალას,
ნაკადულმა კი ღობესთან
კისკისით ჩაიჩხრიალა.

მეც იმის კისკისს გავყევი
წყალსაც ვასწრებდი ციალსა,
მდელოზე გადაირბინა,
ხევისკენ ჩაიცქრიალა.

აქ ხევის პირად ვიდექი
ვუსმენდი წყლისა თქრიალსა,
ვერ ვიგრძენ როგორ დაღამდა ...
მთვარე დამნათის ტიალსა.

შევცბი და ქარს ავედევნე,
მივენდე ქარის შრიალსა,
იმანაც გზაზე მიმაგდო,
დამტოვა გაიშრიალა....

რა დამემართა არ ვიცი,
სად დამათენდა მტირალსა,
პატარა გოგო ვიყავი..
მივსდიე გულის ფრიალსა.

გულმა სულ ტყე,-ღრე ატარა,
ნაპირს ველოდი მზიანსა...
როდის გავთეთრდი არ ვიცი,
წლებმა სულ მისთვის იარა.

თავი პატარა მგონია,
წლებმა დამატყო ღარები..
ეხლაც ჭიშკართან დამჯდარი,
ნაკადულს დავემადლები.

იქნებ მაპკუროს ის წლები,
თუნდ გამიყოლოს ხევშია,
გინდ თავდაყირა მატაროს
იმ მონატრებულ წლებშია..

ოღონდ ბავშვობა მაჩუქოს,
ვიყო პატარა გოგონა,
ყოველ დღეს სიხარული
და ბედნიერება მოქონდა.

გული ჩამდგარა საგულეს,
ფიქრებმა ფრთები გაშალა,
რამდენმა ქარმა დაბერა,
თმები სულ თეთრად აშალა,

დღეს არც მდელოზე
დავრბივარ
არც ნაკადულს აქვს ნაღარა,
აღარც კისკისი ჩამესმის,
აღარც ბავშვობა დამდგარა.

* * *

ის ქალი მე ვარ ტკივილმა რომ ბევრჯერ დაკრუნჩხა,
ისიც კი მე ვარ ცხოვრებამ რომ სინჯა გაწირვაც,
ზოგჯერ დაცემულს ზურგზე წიხლიც რომ დააჭირეს,
მაგრამ ვერავინ რომ ვერ შეძლო იმის წაქცევა.
ღალატიც ნახა, ორპირიბაც, ტყვილიც იმდენი,
იხილა ის დრო ცრემლის ტბაში მარტომ გაცურა,
რამდენ ტკივილებს შეებრძოლა უფლის იმედით,
მართალი დარჩა და არასდროს ის არ გაცრუვდა.
სიკეთის ტვირთი აიკიდა უსუსურ მხრებზე,
დადის და გზებზე უშურველად ყველგან არიგებს,
ფეხზედაც დადგა დაცემული, იცის მეტს შეძლებს,
აღარც შიში აქვს ამ ცხოვრების ხვედრის გამრიგეს.
ოღონდაც წარსულს ვერ ელევა სილაღით სავსეს,
სადაც სჭარბობდა სიყვარულის მშვენიერება,
და მოგონება მას იმ წლების იმ ქალად აქცევს
და მისი გული ამ სიკეთით ბედნიერდება.

ხათუნა თედიაშვილი-კვეტარის ასული.

* * *

იცი, მე გუშინ მთაში ვიყავი,
ზეცასთან ახლოს,მზესაც ვეწვიე,
და საფარაში წმინდა ხატებთან,
მუხლზე მოყრილი,უფალს ვემთხვიე.
სანთლის ციმციმი ანათებს ფრესკას,
და ღვთისმშობელი თითქოს ჩამოდის,
ქვითინი ისმის ტაძარში ,ქალის,
მას თვალებიდან ცრემლი,გადმოსდის.
მუხლზე მოყრილი ვჩურჩულებ ლოცვას,
ღმერთო აკმარე ,ტანჯვა ქვეყანას,
და შეგთხოვ მალე ისე გაბრწყინდეს,.
მისი ნათელით ყველას ეხარა.
მერე ქარაფთან დავდექი ახლოს,
მთებს გადავძახე იციით,მიყვარხართ,
მაღლა ზეციდან მიღიმის მზე და
სხივებს მიგზავნის,მასთან მიმავალს.

* * *

ვხედავ ჩამომდგარა უკვე ფოთოლცვენა,
მე კი გვირილებთან მსურდა საუბარი,
ფურცლად ჩამოშლილი მოდის მოძახილით,
ილტოს მოყოლილი,მათი ნაუბარი.
რომ კვლავ მიმელიან ისევ ქარაფებთან,
ჩუმად ჩურჩულებენ,სად ხარ საყვარელო,
მოდი ჩაგეხუტოთ,ჩვენო მონატრებავ
ერთად ავამღეროთ კვლავაც მთა და მდელო.
ჩემო სათუთებო,ფიფქზე უნაზესნო,
ვიცი ისევ ისე მალე,რომ შევხვდებით,
დღეს კი ამ წვიმიან დროულ ფოთოლცვენას,
მივდევ ნაბიჯით და წვეთებს ვეფერები.

* * *

მთვარე ანათებს,ჩემს სარკმელს ახლა
ჩუმად, ჩურჩულით მიყვება ამბებს,
მე სტრიქონებად გაგიშლი წარსულს
და მერე ლექსად გიკინძავ ღამე.
ხან ბავშვობისკენ გავყევი ფიქრებს.
ვიხსენე ტკბილად წარსული,ჩვენი
,მომნატრებიხარ ძალიან ჩემო
და უნებურად,თვალზე მდის ცრემლი.
პატარა გოგო დავრბივარ,კვლავაც,
ილტოს ტალღიან,ნაპირებს ავყევ,
გადავიარე ხევგრძელის ხიდი
და კვეტარისკენ ბილიკებს,გავყევ.
ვკრიფე იები,ტყის პირა მდელოს
ფურისულების ფურცლები ვკოცნე,
როცა ვეახელ,ჩემს ტაძარს იცი
ჩვენი ბავშვობა,კიდევ დავლოცე.
და ისევ მთვარე ანათებს სარკმელს,
ჩუმად ,ჩურჩულით მიყვება ამბებს,
და მეც სტრიქონად გიწერე ყველა
მერე კი ლექსად გიკინძე ღამე.

* * *

ახლა ისე მომენატრა საფარა და ვარძია,
ცრემლი წამსკდა თვალებიდან, სევდამ წვიმად მაქცია,
მახსოვს ბოლოს საფარაში, წამოსვლისას ავედი,
წმინდა საბას ვემთხვიე და მერე გარეთ გავედი.
ტაძრის უკან,გალავნიდან თვალი სამცხეს მოვავლე,
ღმერთო შვილებს გაბარებ და მიფარე მოსვლამდე.
სამრეკლოზე მტრედი დაჯდა და ზარებმაც დარეკა,
თითქოს ღმერთმა გამიგო და ტაძარს სხივად ამრეკლა,
სამცხის მთებზე ნისლის ქულა,ცაზეც ჟღალი მიმინოო,
ანთიმოზის ლოცვის ძალა,ანგელოზთა იფრინდო,
ჯავახეთის ქედზე თოვს და ვარძიაში მზე ბრწყინავს,
თამარ ქალის სენაკიდან თვითონ მეფის ხმა გვრგვინავს,
ქუდზე კაცი საქართველოს,უცხო ტომით გავივსეთ,
ხმალი ლესეთ ლომგულებო, სანამ ჟანგით ავივსეთ,
აფსუს ჩემი დრო და ჟამი, საზღვრებს ვეღარ ვითვლიდით,

დღეს კი ყველა აქეთ მორბის,ლარსზე ვეღარც ითვლიდით,
ეს ღვთისმშობლის წილხვედრია,არ გაქვთ იმის უფლება,
ყველა კუთხე გააჩუქოთ,ვისაც ხელი უწვდება,
ქარველების გარდა რჩება,მიწა ჩვენი იცოდეთ,
დროა ერი ერთად დადგეთ და გულიდან ილოცეთ.
სენაკს სხივი დაეცა და სარკმელს მტრედი აფრინდა,
ლოცვა- მადლი დატოვა და მეფე ცაში გაფრინდა,
მუხლის ჩოქზე. დავეცი და ხატს სანთელი დავუნთე,
ღმერთო შეგთხოვ დაგვიფარე,რომ მტერს ფეხზე დავუდგეთ,
საფარაში ზარი რეკს და ვარძიაში გალობენ,
უფლის ლოცვა შეგეწიოთ,ღვთისმშობელი გწყალობდეთ!

* * *

მერე როცა გაზაფხული ისევ მალე დადგება
,,მოფრინდება მერცხალი და ხეშიც წყალი ჩადგება, "
ბუჩქის ძირში გაიღვიძებს მორცხვად ლურჯი იები.
უცხო ქვეყნის ცივ მიწაზე ვივლი მე თვალმშიერი.
რადგან დიდხანს ვერ ვიხილავ.ჩემი ქვეყნის სანახებს.
და ხანდახან თუკი წამით სიზმრად ღმერთი მანახებს.
გავიღვიძებ ბედნიერი თვალზე სავსე ცრემლებით.
სევდით სავსე სულიერად, დარდში გადავეშვები.
იქ უჩემოდ გაზაფხული ვიცი ისევ დადგება.
,,მოფრინდება მერცხალი და ხეშიც წყალი ჩადგება"
მე კი დიდხანს ვერ შევიგრძნობ ლურჯი იის არომატს,
ატირდება თვალები და სულშიც ლავა გადმოვა.

* * *

მზისგან ანატყორცნი სხივი,ქარაფს დაჰფენია ვხედავ,
მივდევ ბილიკებს და უკვე,გულზე გადმეყარა სევდა,
ვიცი შემომხვდება გზაზე,შენგან დანატოვი სითბო,
სული დაგეძებს და კვლავაც, შენთან დაბრუნებას ითხოვს.
ვჩქარობ დამათენდა უკვე,მე კი არც მეტყობა დაღლა,
შენსკენ მოვიჩქარი შენსკენ,ბილიკს შემოვუყევ მაღლა,
გზაზე გამითოვდა გზაზე,ფიფქი ნაფეხურებს ფარავს,
მე კი სულ არ ვდარდობ ამას,უკან აღარ წავალ არა,
რადგან გადავწყვიტე დავრჩე,მთებში ,ჭიუხებთან მარად,
მიტომ მოვიჩქარი მიტომ,თოვლსაც მე ,მუხლამდე ვკვალავ.
ვიცი მელოდები ვიცი,ქარმა მომიტანა ამბად,
ქარაფს ჩასძახისო ველი, მისი ოცნებების ზღვა ვარ,
შურთხი ამიფრინდა ბილიკს,თითქოს მახარობლად მოდის,
არჩვიც აგვიცეკვდა ნახე,ყავლი გასვლიაო ლოდინს.
და ჰა,შენც გამოჩნდი მთაზე ისევ ამაყად,რომ დგახარ,
ფიფქი ჩამოგყრია მხრებზე , ნისლში ,გოლიათს რომ გავხარ.
უცებ დაიქუხა ზეცამ,ზვავი წამოვიდა მთიდან,
ბილიკს დაგორდა და წერამ,უფსკრულს ჩამიტანა კლდიდან.
მერე კვლავ გათოვდა მთაში, ნისლი ჩამოაწვა ქარაფს,
მესმის მოძახილი სულის,მარტო რად დამტოვე დარდთან.

***

წუხელ ოცნებებში შენთან გამოვიქეც,
ღამე ხეტიალში თეთრად გავათენე,
ლექსით შევეგებე მზიან ალიონს და
 იქაც ოცნებები,ისე გათავხედნენ.
შენი სიყვარული მძაფრად გამოხატეს,
ვენებს შემომსკდარი სისხლი ააღელვა ,
როცა მოვინდომე მისი შეჩერება,
სევდამ,მონატრებამ უფრო გამახელა.
ვწურე ცრემლები და მერე სისხლის ღელვაც,
სულში მონატრებაც,ჩუმად მოვაყუჩე,
შევძელ ცრემლშემშრალმა ისევ ხალისი და
აჰააა.ღიმილებიც ერთად მოვაქუჩე...

* * *

ისევ დაგეძებდი ჩემო ოცნებებში,
მთის ძირს ავუყევი შენზე დარდიანი,
ვკრიფე კესანები,დეკა ვიხუტე და
ქარაფს წავეკიდე მერე შარიანი.
რადგან ნისლია და წვიმაც წამოვიდა,
ისე დამასველა გავხდი გასაწური,
ჩუმად გაგეყინე ჩემო ერთადერთო,
მაგრამ გასათბობად მაინც არ დაბრუნდი.
მერე მზე მოვიდა ჩემთან სხივთამფრქვევით,
გულში მიხუტებს და თმებზე მეფერება,
სცადა რომ გავეთბე,შენგან განაყინი,
მაგრამ ამაოა ,ყველა ცრემლთა ფრქვევა.
სულში ჩარჩენილხარ,ჩემო ოცნებავ და
წლების მცდელობამაც კი ვერ გადაგშალა,
დღეს მე ქარაფებთან,წვიმას ვეშარები,
რადგან მოგონება ავდრად გადაშალა

***

მივყვები ზღვის ნაპირს,სილაზე კვალს ვტოვებ,
გელოდე,გიხმობდი,გეძებდი ,ვერ გპოვე,
ვიხსენებ ძველ წარსულს,ზღვის პირას მხატავდი,
მე,მუზა შენი კი ლექსებში გქარგავდი.
დაისი იდგა და მეწამულ ფერებში,
ბრწყინავდა ლიცლიცით იქ,ზღვის სანაპირო,
ისმოდა წივილი თოლიის შორიდან
,მიყვარხარ ძვირფასო და არ ამატირო.
და მერე დღეები გაგრძელდა ხატვაში,
რატომღაც ჩემს თვალებს რა დიდხანს ხატავდი,
ცდილობდი ჩაწვდენას,იქ სულის სიღრმეში,
გავრბოდი ,გეძახდი,წავედი ,ნახვამდის.
და უკვე ერთ დილას,როდესც დავბრუნდი,
ზღვა ძლიერ ღელავდა და ნაპირს ანგრევდა,
არ ჩანდა მოლბერტი,სიღრმეში წაეღო,
გესლით და ხარხარით კი ბოღმას ანთხევდა,
გავრბოდი ნაპირზე,გიხმობდი ცრემლებით,
ნაკვალევს სილაში ამაოდ ვეძებდი,
ხარხარებს ტალღები,აწყდება ნაპირს და გაჰკივის,
უგულო,ტყუილად ეძებდი.
შენ,როცა წახვედი და მარტო დატოვე,
ხატავდა დიდხანს და მერე დალია,
ის იდგა მოლბერტთან,ფუნჯებით ხელში და
რაღაცამ თითქოსდა ის უცებ არია,
შეშლილმა ისროლა ფუნჯები ზღვაში და
მოლბერტი მოგლიჯა,ტილო კი დახია.
გეძებდა ,ყვიროდა,გიხმობდა სადა ხარ,
წახვედი ძვირფასო და ჩემზე ახია,
რადგანაც გაგიშვი პატარავ უთქმელად,
ვერ შევძელ ამაყმა,ამ გრძნობის გამხელა,
ვერ ვუძლებ ტკივილებს,ცხოვრება მძიმეა,
რით ვზიდო ტკივილი მითხარი ამხელა,
დ მერე,გიჟივით შევარდა სიღრმეში,
გვებრძოდა,ყვიროდა,გეძახდა ხელახლა.
ბორგავდა ზღვა მერე,ღმუოდა მთელ ღამეს,
სულ ცოტას დამცხრალა შეხედე მას ახლა.
დამცვივდა ცრემლები,ზღვის სიღრმეს მივაწყდი,
სად არის, მითხარი ბოროტო,სატანა,
ხარხარიტ მიმაგდო სილიან ნაპირზე,
თუ წახველ,ისწავლე ტკივილის ატანაც,
ვტიროდი,ვიწექი ნაპირზე უღონოდ
და ტალღა რეცხავდა ნაკვალევს სილაში,
მცვიოდა ცრემლი და ჩურჩულით გიხმობდი,
დაბრუნდი,რომ გითხრა თუ როგორ მიყვარდი.

* * *

შენთვის კვლავ ცელქი გოგო ვარ,
სხვისთვის უბრალოდ ქალი
და ღიმილებით დახუნძლულს,
ცრემლით მიბრწყინავს თვალი.
რომ მახსენდება ბავშვობა,
ლურჯთვალა იის მოსვლა,
ბუტია გოგოს ტუჩებზე,
გაზაფხულების კოცნა.
ქარში დაშლილი ნაწნავი,
აწითლებული ლოყა,
რა ტკბილი იყო ბავშვობა,
თუმცა შორი გზა გვყოფდა.
შენ ცაში იყავ,მე მიწას
შემორჩენილი ნამი,
ვისთვის უბრალო გოგონა,
შენთვის ნახატი კალმით.
მერე რა იყო არ ვიცი,
სულ წაიშალა ხსოვნა,
და შემოდგომა ძაფებით,
კვლავ ჩვენ ბავშვობას ქსოვდა.
შენ მიმღეროდი,მე ვწერდი,
გავლიეთ ასე წლები
და ჩიტბატონავ, ლოდინში
შემომათეთრდა თმები.

* * *

დამხატე ახლა ,ხო დამხატე თორემ მივდივარ,
ჩემი გზა გრძელია და როდის გავივლი,
დამხატე ასე გრძნობებით და თბილი ღიმილით
ოღონდ გახსოვდეს, რომ ეს წლები ასე არ ივლის.
გაბევრდებიან რიცხვები და მერე ასაკიც,
იმ ჯალათივით დამისერავს სახეს ულმობლად,
ოდესღაც გველთან წილნაყარი რომ გამომყვა და
ჩემს თავს არავის,სულ არავის,რომ არ უთმობდა.
მერე თვალებიც დაკარგავენ ჩვეულ სიმკვირცხლეს,
დაიბუდებენ სევდები და იქნებ შიშებიც ,
დამხატე ახლა,მოასწარი სანამ წავედი,
სანამ დროა და ეს ბოლოჯერ სულით ვშიშვლდები .
დამხატე ოღონდ , ნუ დამხატავ კვლავაც დარდიანს,
დრო შეარჩიე,ადრე დილის ტურფა ალიონს,
ღამენათევი ლექსის წერით დაღლილი მაჯა
ცრემლებს შეიწმენდს და უსწორებს თვალებს ამბიონს
და ხალისები ჩასახლდება მერე ჩვეული,
უნდა მოასწრო ,რომ ტილოზე ასე დამხატო,
ცა ანთებული მზის სხივებით ოქროთ ქცეული ,
და სული ისე, ვით სანთელი უფლის სახატო.
დამხატე ახლა,ხო დამხატე თორემ მივდივარ,
ჩემი გზა გრძელია და როდის გავივლი,
დამხატე ასე ღიმილით, რომ ტილოზე დავრჩე,
და მერე წავალ,გოლგოთასაც უტყვად ავივლი.

* * *

დახურეთ ზეცა,კმარა თორემ სისხლის ზღვებია
და ანგელოზთაც შეღებვიათ წითლად ფრთებია,
შეწყვიტეთ სროლა,ცეცხლის წვიმამ შეძრა უფალი,
ცრემლის მდინარით ავსებულა, მიწა მუხლამდის.
იწვის ტაძრები,თვალდამწვარი ხატები მოსთქვამს,
დახარეთ დროშა,დაიჩოქეთ გმირები მოჰყავთ,
შეწყვიტეთ სროლა,კმარა უკვე ამდენი სისხლი,
ბავშვის ცხედრებით ავსებული მიწაც კი იწვის,
ბუჩაში ცივა,დედა სად ხარ,რა უნდათ ჩემგან,
ვეღარ ვგრძნობ სხეულს,სისხლიანი უკბილოდ ვწევარ,
მამა დახვრიტეს,მანამ ჩემი ტანჯვა ანახეს,
ბებო ტიროდა და თვალები ხელით დათხარეს,
დედა სადა ხარ ,ისე მეწვის მთელი სხეული,
თითქოს შანთებით დამიჭრეს და ვყვირი ეული.
დახურეთ ზეცა,დაასრულეთ უწყალოდ ჟლეტა,
მე წუხელ მოვკვდი,წამიყვანა თავისთან ღმერთმა,
იწვის ტაძრები,თვალდამწვარი ხატებიც მოთქვამს,
დახარეთ დროშა,დაიჩოქეთ გმირები მოჰყავთ!

* * *

მაშინ სოხუმში დაჰქუხა ზეცამ,
წვიმის მაგიერ ცვიოდა ტყვია,
ენგურმაც, უმალ იცვალა ფერი
და სისხლიანი ტალღები მიაქვს.
იწვოდა მიწა,იწვოდა ზეცა,
გაჩენილიყო ზღვაზეც ხანძარი,
გარბოდა ბავშვი ნაპირზე მაგრამ
,აღარ იცოდა დედა სად არის.
ნანგრევებს შავად მოუჩანთ პირი,
ზოგან კვლავ მოჩანს,ცეცხლის ღადარი,
გარბოდა ბავშვი,გარბოდა სახლში,
მაგრამ იქ,უკვე სახლიც არ არის.
ცვიოდა ტყვია,ჰქუხდა ქვემეხიც,
ვინ გაარჩიოს მტყუან-მართალი,
გარბოდა ბავშვი,მამასთან მინდორს,
მაგრამ,ვინ იცის,მამაც სად არის.
ჰქუხდა და წვიმდა აგვისტო სოხუმს,
სისხლის მდინარე ერთვოდა ენგურს
ტიროდა ბავშვი,ნანგრევთან მატოდ
და ეს ტირილი აპობდა,ჩემს გულს.
მერე პატარამ იარა ღამეც....
თუმც ეშინოდა ტყვიისაც ძლიერ,
გამთენიისას,მიადგა ერთ სახლს,
გთხოვთ,მომეშველეთ,არის..აქ ვინმე..
კარი ჭრიალით გაიღო ბნელში,
გარეთ გამოჩნდა მოხუცი ერთი,
თეთრი თმა წვერით,შეკრული შუბლით
ნუთუ გაუწყრა,ყველას დღეს ღმერთი.
და ასეთ ომში ,ცეცხლის წვიმაში
როგორ გაგიშვეს მარტო,პატარავ
და როცა ბავშვმა ვერ შეძლო დგომაც,
აფხაზმა პაპამ,ხელით ატარა.
გადაიყვანა ბავშვი უღრან ტყეს,
ჩუმად ატარა ,იგი მტრის ზურგში,
და როცა ბავშვი ჩაიძინებდა ,
ტკბილად იკრავდა,მოხუცი გულში.
და აჰა როცა იქ მიაღწია,
სადაც გემბანზე,ხალხი აჰყავდათ,
პაპას ესროლა ვიღაცამ ტყვია
და იავნანაც,იქვე გათავდა.
და ვიდრე პაპამ დალია სული,
ხელით მოძებნა,ისევ პატარა,
და ასე უთხრა,შენ ხარ ქართველი,
მაგრამ,აფხაზმა გულით გატარა.
.....უკვე გასულა წლები,რამდენი
სოხუმში,ისევ ზღვა ბორგავს შავი,
და აფხაზ პაპის ,ტკბილ იავნანას
საღამოობით მოიტანს ქარი...

ჯარისკაცის წერილი დედას

დედა მაპატიე შეგთხოვ,
ჩუმად გაგეპარე რადგან
და მტრის გასროლილი ტყვია,
მერე ჩვენს შორის,რომ ჩადგა.
ომი ასეთია დედა
შენ თუ ვერ იმეტებ ესვრი,
ვიღაც გაგიმეტებს ,მოგკლავს,
ტყვიას დამიზნებით გესვრის.
გახსოვს გიყვებოდი ერთხელ,
მტერს,რომ ვერ ესროლა ბიჭმა,
მანაც დაინდო და უცებ,
მკერდი შეუნგრია მჭიდმა.
რადგან არ დაინდო სხვამ და
ტყვიის დააცალა ჯერი,
ომის მეგობარი შეცბა,
ჯარი გამოხშირა ცელით.
მერე თვისიანმა მოკლა,
ტყვიის დაუშინეს წვიმა,
მეც ვერ დავინდე და დედა,
მის მკვლელთ გამოვენთე გიჟმა.
ვხოცე სანამ შევძელ იცი?
სანამ გამითავდა ტყვიაც,
მერე დამიზნებით ნასროლს,
ჩემი სიცოცხლეც კი მიაქვს.

მიტომ მაპატიე დედა,
თავს ვერ გავუფრთხილდი რადგან,
ომის მეგობარის სისხლი,
ვეღარ შევარჩინე ჯალათს.
იცი ?ომია და დედა,
შენ თუ ვერ იმეტებ,ესვრი,
ვიღაც გაგიმეტებს გულჩვილს
,ტყვიას დამიზნებით გესვრის.
დღეს აქ სიმშვიდეა უკვე,
ომი აღარ არის დედა,
ტყვიას არ გვესვრიან მაგრამ,
თვალებს არ შორდება სევდა.
რადგან მეც მინდოდა მყავდეს,
ცოლი,ერთი-ორი ბავშვით,
მე კი არ დამცალდა ეს და,
ვერც კი დაგიბრუნდი სახლში.
და გთხოვ,მაპატიო თუკი,
თვალი ძველებურად გიცრემლს,
თუნდაც ათასჯერ,რომ მოვკვდე,
გული ისევ,ისე მიძგერს.
სანამ გახსოვარ და მყავხარ,
მეც ხომ ცოცხალი ვარ დედა,
და ღმერთს ვეხვეწები მხოლოდ,
შენს თვალს,რომ აკმაროს სევდა.

* * *

ეს შემოდგომაც გავა უშენოდ,
ხეებს დასცვივა, ხმელი ფოთლები
და შორს წაიღებს ქარი უწყალოდ,
ფეხარეულებს,ვითარც ლოთები.
მერე აურევს ამინდი ალბათ
თან ჩამოაქცევს ზეცას წვიმებად,
გამომიკეტავს კარებს საუფლოს
და დაივიწყებს ყველა ღირსებას.

გამყინავს ისევ სუსხი ზამთრის და
უშენობაც ,სულში გამატანს
ამიტირდება თეთრი თოვლიც და
გულზე მიმიკრავს დარდის გადამტანს.
და თუ გაზაფხულს მოვესწარ კიდევ,
ლურჯი იების სურნელით თრობას,
მოვალ და გეტყვი რომ არ ვაპირებ,
ჩემი ცხოვრების ასე დათმობას.

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

ყოველთვის გწამდეს

ცხოვრება თურმე ბევრჯერ გულს გატკენს,
მთვარეც დარდისგან გამოლეულა,
დრო მიდის,ითვლის ტკბილ-მწარე წამებს
და საკენკს გიყრის როგორც ბეღურას.
ხან გაგიღიმებს,ზოგჯერ ძირს დაგცემს,
ხანაც გატარებს გზაზე ეულად,
სევდა მოგაპყრობს კვლავ ელამ თვალებს,
რადგან სიხარულს გადაჩვეულა .
წლები თქარუნით ღრუბლების რაშებს,
მიაჭენებს და გიცქერის მტრულად,
გართმევს ჯანს, იმედს და სილამაზეს,
თითქოს სიკვეთეს გადაჩვეულა.
არ დაიდარდო,ყოველთვის გწამდეს,
თუ გინდ საწუთრომ ჩაგთვალოს მდგურად,
მადლი შესწირე ყოველთვის გამჩენს,
უნდა ატარო მკერდში მზე გულად.
ჯანღი ყოველთვის მაღალ მთებს ანგრევს,
ახლა რომ დგანან ასე მეფურად,
სიყვარულისთვის ანთებულ სანთელს,
სიცოცხლე უნდა მოჰგავდეს მუდამ.
სანამ საწუთრო დაგითვლის წამებს,
სიკვეთე თესე გაავლეთ ხნულად,
ადამიანად ცხოვრება გმართებს,
სანამ ბოლომდე კარს გაიხურავ.

წუთისოფელი

ხან მიღიმის,ხან იმკაცრებს რისხვით სახეს,
ვერ შემცვალა, ვერ გამხადა სხვაგვარი,
ჩემ სიცოცხლეს სიყვარულის გზა დავარქმევ,
წუთისოფლის საოცარი ზღაპარის.

ზოგჯერ მთებზე ნისლის ფარდაგს გადმოაფენს,
ხან მზეს აჩენს წვიმით სახე დაბანილს,
ხან უთქმელად მიმიხვდება გულის ნადებს,
ხანაც ვყავარ თვალში ამონაყვანი.

ჩემ სიცოცხლეს სიყვარულით ვალამაზებ,
ღვთის ნაჩუქარს ქვეყნად არ ჰყავს ბადალი,
მას ვერ გავცვლი წუთისოფლის სხვა რამ განძზე,
სულში ყვავის როგორც იასამანი.

მის გარეშე მწამს წუთითაც რომ ვერ გავძლებ,
სუნთქვაა და ჩემი სულის საგზალი,
მზე მიღიმის როცა დილით თვალს გაახელს,
სურს სხივებით მომიქარგოს გზა კვალი.

პატარა გულს ნაზს,სიძულვილს ვერ ვაკადრებ,
მოდარაჯე დასაპყრობად მზად არის,
სიყვარული რომ მარგუნა ვმადლობ გამჩენს,
საიმედო არის თავშესაფარი.

ბავშვობიდან მივუყვები ამ გზას ნაჩვევს,
ხან მზე მათბობს, ხან ფიფქს მაყრის ზამთარი,
როგორც თოვლზე, წუთისოფელს გულზე ვაწერ,
სიყვარული უკვდავების გზა არი.

ყვავილებად რომ ამოიფრქვევი

გზას სიყვარულით ვქარგავ შენამდე,
მტერსა და ორგულს ხედავს გამჩენი,
ამ მიწის ვალი მხრებზე მეც მადევს,
გწამდეს, რომ ღალატს არ ვარ ნაჩვევი.
მინდა ბედნიერს მუდამ გხედავდე,
გულში არ გქონდეს დარდი უთქმელი,
მზე გიკოცნიდეს მაღალ მწვერვალებს,
ცას არ ფარავდეს ჯანღი ღრუბლების.
გშვენის ღიმილი, რომ გიმკობს სახეს,
ბედნიერების მუდამ სხივმფენი,
მე სიყვარულის ქვეყანას გარქმევ,
მომავლის მზედ რომ ამობრწყინდები.
იმედს მალამოდ ჭრილობას ვადებ,
მწამს წამოდგები ფეხზე ღვთის ნებით,
სხვაგან სამშობლო არა აქვს ქართველს
და ქართველების მარად იქნები.
გიკოცნი გულს და სხეულს სისხლ ნამცვრევს,
მიწავ ქართულო, იქნები მრთელი,
გიცქერი უფლის სამოთხედ ნაქებს,
ყვავილებად რომ ამოიფრქვევი.

ანგელოზად მოფრენილო

მოფრენილხარ ანგელოზად თითქოს ციდან,
ხარ ლამაზო ამ ცხოვრების დამამშვენი,
შენი ხიბლით ხედავ მზეც კი ამობრწყინდა,
მართლა მზეა,თუ ღიმილი ასე გშვენის .
ეგ თვალები სიყვარულით რომ გიბრწყინავს,
ჩემი ხსნაა, ან და მწარე განაჩენი,
მე სიცოცხლე მხოლოდ შენთან ერთად მინდა,
უშენობით ამაოა ყველაფერი.
ვარსკვლავებსაც ჩამოგიკრეფ კარგო ციდან,
ყვავილების გვირგვინს დავწნავ ათას ფერის,
მხოლოდ ერთი,ის ნანატრი სიტყვა მითხარ,
მიყვარხარო,სხვა არ მითხრა არაფერი.
შენ ხარ ჩემი სალოცავი ხატი წმინდა,
მშვენიერო უთქმელადაც ალბათ ხვდები,
ანგელოზად მოფრენილო ჩემთვის ციდან,
ასეთ ლამაზს, სულ დედოფლად გატარებდი.

მოდი ავანთოთ სანთელი ღმერთთან

მამას პატარა გოგონა ახლავს,
ციცქნა გოგონა ციმციმა მზეს ჰგავს
და ევედრება მუდარით მამას,
მოდი ავანთოთ სანთელი ღმერთან.

მამა კი მიდის, თავდახრით წყნარად,
ტაძარს გვერდს უვლის, თითქოს ვერ ხედავს,
ვერ შეაჩერა პატარას ხმამაც,
მოდი ავანთოთ სანთელი ღმერთთან.

შეჩერდა კაცი, ქუდს იხდის სწრაფად,
გადიწერს პირჯვარს ორივე ერთად,
გულის კარები ღია აქვს ტაძარს,
ყველა იქ მიმსვლელს უფალი ხედავს.

მოდის, ტაძარში მუხლს იყრის ხატთან,
მამაც მორჩილად მიჰყვება ბედად,
ვჩუქნი სანთელს და ვჩურჩულებ ამას,
შენ ეს სანთელი გაჩუქა ღმერთმა.

მიღიმის, მორცხვად ისწორებს ნაწნავს,
ჩუმად მამისკენ აპარებს მზერას,
წითლდება გოგო ყაყაჩოს მსგავსად,
მართმევს სანთელს და აანთებს ღმერთან.

გოგონას სახეს ღიმილი ხატავს,
პატარა გული სიამით ფეთქავს,
უკან კუნტრუშით მიჰყვება მამას,
რადგან სანთელი აანთო ღმერთთან.

მან წრფელი გულით არ ვიცი რა თქვა,
ბედნიერი ვარ მეც მასთან ერთად,
სიკეთის სხივად და უფლის მადლად,
პატარა გოგო რომ დადის ქვეყნად.

თამრო სვანი-ნიჟარაძე

როცა მოვკვდები

ნუ გადმომაყრით ნიანგის ცრემლებს,
და ნუ მიტირებთ პატივისცემით,
ნუ ითვლით ჩემი ცად წასვლის დღეებს,
ნუ შემაფასებთ სხვის გადმოცემით.
ვისაც ვუყვარვარ მას შეეკითხეთ,
თუ რა ტანჯვები გამოვიარე,
ისე ზერელედ ნუ განმიკითხავთ,
ნურც დამიმატებთ წყლულზე იარებს.
სასუფეველში გზას გამინათებს,
ჩემი სიკეთის თვალის ხატება,
რამდენჯერ ცრემლით ღამეს ვათევ და..
ყოველი თვე რომ მიღრენს მარტებად.
ვგრძნობდი ხომ ვგრძნობდი ვინ რას ამბობდა,
ხორცს რომ მწიწკნიდნენ შეუბრალებლად,
ჩემი მერანი ცას რომ გარბოდა,
ყოველი დღე რომ იქცა ვალებად.
გზა გავიკვლიე სიცოცხლის ფასად,
მენატრებოდა ჩემი შვილები,
ახლა მგონია დამიფასდა,
მეც წავალ ცაში სულდამშვიდებით!

ნუ ცდილობ

ჩემს ნაკვალევზე გავლას ნუ ცდილობ
ბარდებითაა გადაეკლილი,
ურთიერთობით ვითომდა რბილო,
ქარი ხარ ჩემთვის ყელმოღეღილი...
წადი შენი გზით მე კი უფალი,
მიპატრობებს და მომაძლიერებს
არა მჭირდები სხვის ნასუფრალი,
მხოლოდ შვილები მაბედნიერებს.
თუ სიყვარულით ცხოვრება გინდა,
ნუ შეგაშინებს სისხლის წვეთები,
მაშინ ეგ გული გადევი ხიდად
და კურდღელივით ნურც დაფეთდები.
მე ნუღარ მესვრი ცეცხლიან ისრებს,
საქართველოა გულში აქ მარტო,
მივალ იმასთან ვისაც ვუყვარვარ
ვინაც ყოველ წამს მელის და მნატრობს!

რას ვინატრებდი?

ვინატრებდი დაბრუნებას,
ჩემს საყვარელ სახლში,
ტკბილ სიტყვას და ტკბილ ბუნებას,
საქართველოს ხალხში
ლუკმა პურის საშოვნელად,
არ წავიდე არსად,
ჩემი მინდვრის საპოვნელა,
იყოს ოქროს ფასად
ყოველ ღამე ვეხვევოდე,
შვილებს შვილიშვილებს,
ვაზის ლერწად ვეხვეოდე,
ჩემს ტკბილ მამიშვილებს!

შენ რომ წახვედი

მე რომ დამტოვე ვტირი მის შემდეგ,
შენ რომ წახვედი და მიმატოვე,
ფიქრით სიზმარში მუდამ შენ გეხებ,
ძნელია კარგო ეს სიმარტოვე.
მხარჩამოგდებულ ფრინველს ვამგვანებ,
ჩემს თავს და ასე დავრჩი ეული,
თუ შემს მაგივრად ნერგებს დარგავენ,
მაინც შენ დარჩი ჩემი რჩეული!

ვინატრე

ვინატრე ო, როგორ ვინატრე,
არ ჩანხარ ფიქრბმა დამღალა,
დარდს შენით ყოველდღე ვიმატებ,
ის ყინვა ძველიც არ გამღვალა.
ვინატრე... იქნებდა მოხვიდე,
გამათბო ყოველდღე მეფერო,
მოდი და კვლავ ხელი მომკიდე,
ლექსები სულ შენთვის მეწეროს.

ვინა სთქვა

ვინა სთქვა იცინის ღიმილით,
უცინის სიცოცხლის ხალისს,
ღიმილით ვიცინი ტკივილით,
მვტკივა და ვხალისობ ძალით.
ღიმილი დარდია ზოგჯერ და...
სევდაა, დიდი გულის,
ვიღიმი გული რომ მოკლეს და...
ვიღიმი დაჩაგრულიც!

როცა

როცა განძი არ გაქვს ხელში,
ოდნავ თუ დაგიცდა ფეხი,
ძალა გამოძებნე შენში,
სულში ააშრიალე ვერხვი!

** ცრემლი

თვალეში რომ დარბის ცრემლი,
გულს რომ გიღონებს დარდი,
კარგს არავისგან ელი,
ბედი სულ სევდას ბარდნის.
რომ გენატრება სამშობლო,
სიზმრად რომ ხედავ შვილებს,
სევდას როგორღა დავშორდე,
დარდი რომ ყოველდღე გიშვილებს.
ვითომ ქალს ვგავარ უდარდელს,
სულში ტკივილი ყივის,
დარდებს ვიხსენებ შარშანდელს,
მტკივა და დღე ბედს ვუჩივი.

ცრემლი მცვივა

ყოველ ღამე ცრემლი მცვივა
და ღმერთს ვუხმობ ძალზე ხშირად,
სულში მყინვს ძალზე მცივა,
ბედმა ასე რად გამწირა.
ჩემი მიწა მენატრება,
ოჯახი და ოდაბადე,
დროც ემიგრანტს ემტერება,
ცრემლებთან ერთა დავიბადე.
რამდენია ასეთ დღეში,
ფიქრთან სტირის ღამე ჩუმად,
ის მზე დარჩა ისევ ჩემში,
და დავდივარ მასთან სტუმრად.
დაბრუნების დრო არსად სჩანს,
ან სად გაქრა რესურსები,
ამ ტკივილებს ქარს გავატან,
მზეს იმედებს ვესეხები.
ხვავი ჰქონდეს ჩემს სამშობლოს,
იმდენი რომ სტუმარს დახვდეს,
ცრემლს მზის ალზე გავაშრობ და...
მინდა ნატვრა ჩქარე ახდეს!

მაია ქასრაშვილი-რამიშვილი

ლექსად დაწერილს

ლექსად დაწერილს სიმღერად გიმღერებ,
ლამაზ ფერებში დავხატავ სიყვარულს,
გულს მოგცემ, სულს კი ჰაერში გაუშვებ,
რომ წვიმის წვეთებად დაეცეს მიწაზე.
თვალებში ჩამხედე, თვალები გეტყვიან,
თუ როგორ მიყვარდი, მიყვარდი ძალიან,
მერე რა მოხდა დრომ წლები წაიღო,
სიყვარული კი დარჩა ფიქრებად.

მე მოვალ შენამდე

მე მოვალ შენამდე და გეტყვი ყველაფერს,
გეტყვი ყველაფერს რაც მქონდა სათქმელი,
სიყვარულს გაგიმხელ ამ წლების ნატარებს,
ნატარებს გულით, რაც მქონდა სათქმელი.
მინდორში წაგიყვან დაგიკრეფ ყვავილებს,
გარითმულ ლექსებსაც სიმღერით გიმღერებ,
ხელში აგიყვან და ისე გატერებ,
ცის კიდით კიდემდე არც დავიღლები.
ავაციმციმებ ცას კიდით კიდემდე,
ვარსკვლავებს დაგაბნევ ყელზე მძივებად,
გულში ჩაგიკრავ და ისე გატარებ,
მთელი ცხოვრება ვფიცავ ღირსებას.

ჩემი ჩიტი

ყოველ დილით სადღაც შორიდან,
ჩემს სარკმელთან მოფრინავს ჩიტი,
მე მის თვალებში ამოვიკითხე,
დიდი სევდა და დიდი ტკივილი.
ნეტავ რა სტკივა, რას ფორიაქობს,
რა სტანჯავს ასე,
ალბათ სამშობლო ენატრება და ეძებს საშველს,
მე ის ჩიტუნა შემიყვარდა და შევეჩვიე,
ყოველ დილით ველოდები მის გამოჩენას,
მაგრამ მასინებს ცუდი ფიქრი ჩემს ჩიტუნაზე,
ვიცი რომ ერთ დღეს ჩემი ჩიტუნა,
ჩემს სარკმელთან რომ აღარ მოვა.

ცხოვრების ბილიკებს

მივალ მიუყვები ცხოვრების ბილიკებს,
წვიმს, თვალებს კი სევდა შემორჩენია,
გული ფეთქავს სული ბობოქრობს,
რას იზავ, სხვა გზა არ დამრჩენია.
გავყურებ ნაპირს მინდა გავცურო,
მარტო დარჩენილს ვიკრიბავ ძალას,
უფალო ღმერთო შემაძლებინე,
ხელი ჩამკიდე რომ შევძლო გასვლა.

სულის სევდა

სევდა მიეჩვია ფიქრებს,
ცრემლი მომადინა თვალზე,
რატომ შემაჩვიე ფიქრებს,
რატომ შემაჩვიე დარდებს,
ისე მომეჩვია ღამეც,
მარტოობასა და ფიქრში,
რატომ გამიმეტე ასე,
ღამის მონატრების ფიქრში.
ვიცი ვეღარ მოვალ შენთან,
ვიცი ვეღარაფერს შევცვლი,
ღამემ შემაყვარა შენზე,
ლოცვა, ოცნება და ფიქრი.
გავა, გაიქროლებს წლები,
ისევ ცამოწვება ნისლი,
ისევ დაღამდება ვიცი,
და მეც დავილევი ფიქრში.

გაიღიმე

გაიღიმე თორემ ეს ცხოვრება შეგშლის,
გაიღიმე სანამ შენი გული ფეთქავს,
გაღიმება მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია,
შენი სულის განკურნება მხოლოდ.
გაიღიმე ჩემთვის, შენთვის, სხვისთვის,
სანამ კიდევ სიყვარული მეფობს,
გაიღიმე ჩემო გულის ფეთქვა,
რადგან ეგ ღიმილი შველის
ირგვლივ ყველას.
გაიღიმე და გაშალე ფრთები,
გაიღიმე არ შეწყვიტო ფრენა,
სანამ კიდევ სიყვარული მეფობს,
იფრინე და თან განკურნე ყველა.

მონატრება

გულის არეში მე მესმის სუნთქვა,
სუნთქვაა ნატვრის, შორეულ ლანდის,
ისევ ქარია ძლიერი ქარი,
წვიმა და ქარი, ფიქრი და დარდი.
გულის არეში მე მესმის სუნთქვა,
სუნთქვა ფიქრის და მონატრების,
ფიქრები ისე დაჰქრიან ყველგან,
მათ არ აშინებს წვიმა და ქარი.
გული კი ფეთქავს ლოდინით, დარდით,
ლოცულობს მალე დაბრუნდეს სახლში,
როცა სუნთქვა ბრუნდება სახლში,
გულიც წყნარდება,
რადგანაც სუნთქვა დაბრუნდა სახლში.

სიყვარულის აკორდი

დო-ქით წყაროდან წყალს მოგიტან დაგალევინებ,
რე-კავს ჩემს გულში სიყვარულის ზარები,
მი-ყვარხარ მინდა რომ გითხრა ჩემებურად,
ფა-რ ხმალი ავლესო, შემოვკრა ზარები.
სოლ-ო მიმღერე სევდა მომერია,
ლა-მაზი სიმღერით, ლამაზი ჰანგებით,
სი-ყვარულს გაუმარჯოს, ის ერთადერთია,
აღმერთეთ, გიყვარდეთ, მოხვიეთ ხელები.

ჩემს ტყიბულს

იმერეთის ტყის გულში არის ერთი ქალაქი,
ტყის გულია ლამაზი, ჩემი ტყიბულ ქალაქი,
ნაქერალა დასცქერის, ლოცავს ჩვენი ცხრაჯვარი,
თბილ გულაა ლამაზი, სიყვარულის ქალაქი.
ჩემი ტკბილი აკვანი აქ დაირწა პირველად,
ჩემმა ტკბილმა დედიკომ იავნანა მიმღერა,
აქ მასწავლეს პირველად დედა ენა ქართული,
სიყვარული წრფელი და მეგობრობა ნამდვილი.
ჩემი გოგო ბიჭები უკვე თმაჭაღარები,
უდარდელი ბავშვობა მოგონებად ქცეული,
სიყვარულის ქალაქი ოცნებებად ქცეულა,
ჩემი ტყიბულ ქალაქი სიზმრად გადაქცეულა.
შენ სულ სხვა ხარ იცოდე, ტყის გული ხარ ნამდვილი,
ჩემი სანატრელი და გულში ხატად ჩარგული.

ჩემს ნათიას

მადლობა ღმერთს რომ გაჩნდი ამ ქვეყნად,
მე მაგრძნობინე შენი დედობა,
ჩემი გოგო ხარ ამონათება,
ჩემი ნათია, ჩემი ხატება.
გული ვერ იტევს ამ დიდ სიხარულს,
შენა ხარ ჩემი სულის სამყარო,
დილის მზეც, მთვარეც და ვარსკვლავები,
დღედაღამ რომ ანათებს და მათბობს.
დედის გული ხარ ჩემო სიცოცხლე,
დედის წმინდა წყარო ანკარა,
დედის სამყაროს წმინდა სანთელი,
და სალოცავი ჩემი პატარა.
დედი გილოცავ დაბადების დღეს,
მადლობა რომ გაჩნდი ჩემთვის ამ ქვეყნად,
შენა ხარ დედის ვარდი პატარა,
ჩემი ნათია "ჯნოპჯა" პატარა.
მადლობა უფალს ქვეყნად მარგუნა
შენი დედობა,
მადლობა შვილო ჩემო პატარავ,
მე შენ გისურვებ რომ უსასრულოდ,
ღმერთმა დაგლოცოს ჩემო პატარა.

თეთრო თოლია

ზღვას მოცქერალო თეთრო თოლია,
ნეტავ რა ნატვრა გაქვს ახლა,
მოდი მოფრინდი, ჩემთან მოფრინდი,
და ამაფრინე ცაში სულ მაღლა, მაღლა.
გადამაფრინე ჩემს სამშობლოში,
გთხოვ ამისრულე ნატვრა,
მოდი გიამბო ჩემი ფიქრებიც,
იქნებ დამთანხმდე მართლა.
გთხოვ დამეხმარე ჩემო თოლია,
თორემ დამლია დარდმა,
მოდი მოგხვიო ხელები მაგრად,
მეც ამაფრინე, სულ მაღლა, მაღლა.
ჩემო თოლია, თეთრო თოლია,
გთხოვ ამისრულე ეს ერთი ნატვრა,
გადამაფრინე ჩემს სამშობლოში,
მოდი მოფრინდი ჩქარა.

სიყვარულს ვეკითხები

სიყვარულს დავეძებ და ვეკითხები,
რას ეძებ ჩემს გულში?
სულ რატომ მაკლიხარ, სულ რატომ მჭირდები.
რას ეძებ ჩემს გულში, შენ გეკითხები?
გულში ქარივით რომ შემოფრინდები.
სიყვარულს ვეკითხები, რა თამაშს თამაშობ,
მითხარი ვიცოდ, რა სიტყვებს მპირდები,
ჩემი ფიქრები სულ რატომ დაგეძებს,
სულ რატომ დაგეძებს, სულ რატომ მჭირდები.
სიყვარულს დავეძებ და ვეკითხები,
რა თამაშს თამაშობ, მეც არ მეკითხები,
თითქოს და ბავშვივით სულ მებუტები,
სადა ხარ მითხარი,
სულ რატომ დაგეძებ,
სულ რატომ მჭირდები.

ჩემო სამშობლო

ჩემს სულს შენი მონატრება დაღად დატყობია,
ჩემო სამშობლოვ, შენი შვილის, შენი ყვავილის,
ჩემი ტკივილი უცხოეთის მთებსაც რომ ესმის,
შენი შვილი სხვის მიწაზე ემიგრანტად წოდებული.
რამდენი შვილი გადახვეწილი უცხო მიწაზე,
შენ შემოგნატრის ჩემო ტკბილო, ჩემო სამშობლო,
შენი ფესვები ჩვენს გულებში გადმონერგილი,
ყველას უყვარხარ, სულზე ტკბილო, ჩემო სამშობლო.
მაგრამ ვერ თქმული ემიგრანტისთვის გულში მარხული,
შენი ძარღვებით აქაც ვცოცხლობთ უცხო მიწაზე,
შენს მიწას მოწყვეტილი ყვავილის ფურცლები,
სხვის მიწაზე ცოცხალ მკვდარი დავიარებით.
შენს თავს ვფიცავართ ჩემო სამშობლო არ მიგატოვებთ,
შენს თავს ვფიცავართ,გულით სიყვარულს შენსას ვატარებთ.
შენს თავს ვფიცავართ, ჩვენ ვართ შვილები შენი ერთგული,
შენს თავს ვფიცავართ, როს დავბრუნდებით,
ხელებ გაშლილი გულში ძლიერ ჩაგეხუტებით.

ლალი სოხაძე

*

მტერი გვერჩივნოს გავაზი,
სამშობლოსაკენ მზირალი,
ვიდრე, მოყვარე ჯამბაზი,
ცბიერი ცრემლის, მდინარი!
პირზე ღიმილად მცინარი,
თეთრი კბილისა მჩინარი,
ვითომ მოძმისა ტრფიალი
ავი სულისა, ზიარი!
გულს მოგვხვედროდეს ტყვიანი,
თვალს გამქრალიყოს ციალი,
ენა, კი გვიჭრის წყლიანი,
და რომ არ იყოს გვიანი,
ერთურთს ვეჯიბროთ ცოდნაში,
სიყვარულში და ტრფობაში,
მოძმის გატანა მოდაში
არ დარჩეს, იყოს გრძნობაში.
ურთიერთობა ნდობაში
ნუღარ იქნება ნანატრი,
ზღაპრის ცხოვრება ყოფაში
გამართლდეს, იყოს სანახი.
****
მტერი გვერჩივნოს გავაზი,
ვიდრე მოყვარე ჯამბაზი...

***

მახსოვს იებს რომ მიკრეფდი,
მავსებდი მათი სურნელით,
მზესა და ღრუბლებს შევცქერდით
გადაჯაჭვული გულებით.
უცებ ღრუბლებმა ტირილი
მორთეს, ვით თოთო ბავშვებმა,
ხელი ჩამჭიდე, და არც მე,
არ მსურდა ხელის გაშვება.
იბზარებოდა ცის თაღი
ელვისგან, როგორც ლამბაქი,
სულ მალე ცას დაუბრუნდა,
ფერები ლურჯი ზამბახის.
მე შენ მათბობდი,
კაბაზე ყვაოდა იის სურნელი,
თავს დაგვცქეროდა წინა წლის
ხეზე შემხმარი კუნელი.
შაშვი დახტოდა ბუჩქებში,
სველ ფრთებს ფერთხავდა სილაზე,
მე შენი მზერა მაკრთობდა,
შენ და შაშვს-ჩემი სინაზე.
მზემ მიწას ორთქლი ადინა,
სხივებით გამთბარს, დაბლიდან,
სველ ტანზე შემოტმასნილი
მეც ვორთქლდებოდი კაბიდან.
მაკანკალებდა სიცივე,
თუ შენი სითბო, არ ვიცი,
როგორც პეპელა სანთელზე,
მალე შენს მკერდზე დავიწვი.
აღვსდექი ისევ ფერფლიდან,
ვით ცეცხლოვანი ფენიქსი,
შენი შვილების დედა ვარ,
ვით ეპაფუსის მემფისი.
ჩამოგვეღვენთა სანთლები,
სულ-ხორციანად შევთვისდით,
და დღეს ჩვენს შესართავებთან
ვდგავართ, ვით ციხე ხერთვისის.

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

მამისეული სახლის

მამისეული სახლის
გამორღვეულა ფუძე,
ჩამორღვეულა ჭერი
გადაწოლილა ღობე,
დაფიქრებულა სხვენი:
სად წავიდნენო ნეტავ,
სად გაიპარა დღენი
ჩქეფდა სიცოცხლე ეზოს,
მას მყარი ჰქონდა ბჭენი.
უფროსი იყო მხნე,
გონიერი და ბრძენი,
მამისეული სახლის
კვლავ სუნი ადგას ფუძეს
დედისეული ჩადრით
გადარაზულა ზღუდე,
აქ ისევ მიწვევს ძველი
აღფრთოვანება დიდი,
ჩემი ბავშვობის სიტკბოს
ოცნებებით,რომ ვთვლიდი.
მამისეული სახლუს
გადაწოლილა სხვენი
გული უტიფრად მიტევს
გადარღვეულა ბჭენი
მამისეული სახლის.

ვარჩიე დარჩენა

ლექსებში ვარჩიე მეცხოვრა ანაზდად
ამოთქვა ამ გულმა,თუკი რამ იცოდა,
სიყვარულს ეტრფოდა აქამდეც ყოველი,
როგორც იბრძოდა ტრისტან და იზოლდა.
სიყვარულს ეტრფოდა მგოსანი ბესიკი,
ტახდრევანდს უდგამდა სიყვარულს ვერონა,
მგზნებარე სიყვარულს შეაკვდა რომეო
ვერ იცხოვრებდა უმისოდ ეგონა.
სიყვარულს ვერასდროს ვერავინ გაექცა
ამ გრძნობით მიჰქროდა ტატოს მერანიც
გადაიარა ტრამალი მრავალი
ამ გრძნობამ დაშანთა ცხოვრება ვერანი.
ლექსებში ვარჩიე მეცხოვრა იდუმალს
სიყვარულს ვაჩუქე სიცოცხლის წამები,
ამ ფურცელს მივანდე ყველა საიდუმლო,
როგორ მიყვარდა,მის ქსელში გავები.

ყველაფერზე ვწერ

ველაფერზე ვწერ რასაც კი ვხედავ
რაც სიამოვნებს ჩემს თვალთა ნზერას,
უფალმა ხილულ სამყაროს გვშობა
გამოგვატარა უთვალავ ერას.
ქართველებს შვიდგზის შვიდფერი სხივით
სამოთხის ბაღში დაგვიდო ბინა.
დღეს სილამაზის წალკოტი გვმოსავს
ასეა დღეს და იყო ეს წინათ..
ცად აზიდული მთები გვარტყია,
სურნელი ასდის ნადლიან მიწას,
ვაზის ნაჟური უფლის თასშია
ნაკურთხი ხორბლით უფალი გვიცავს.
შვიდი სამყაროს, შვიდი სამთავროს
სამის და ოთხის ჯამის არსია,
 სამოთხის ბილიკს მაშ ნუ ავცდებით
მადლით შევავსოთ უფლის თასია.
აზიდულ მთების სამზერელს გავცდი
გადავივაკე სამოთხის გზისკენ,
ახალ სამყაროს იქ ვნახავ ვიცი
და ვიყურები ახალი ცისკენ.

თქვენ!

/გულნაზ ხარაიშვილს/

თქვენ!
შემოაღეთ სულის ჭიშკარი
და შემახსენეთ ისევ ქალი ვარ!
თქვენ!
გამოხსენით გულის კარები
და მაგრძნობინეთ,რომ ცოცხალი ვარ!
თქვენ!
გადასწიეთ მწუხრის ფარდები
და დამანახვეთ კვლავ მზის სამყარო!
თქვენ!
შემიმშრალეთ წვიმის წვეთები
ცდილობთ დარდები შორს გადავყარო!
თქვენ!
გადაფანტეთ ცაზე ნისლები
გადამაფარეთ ზედ ცისარტყელა!
თქვენ!
შემოჰკარით სიცოცხლის ზარებს
და შემახსენეთ,რომ ცოცხალი ვარ!
არ მსურს გამხელა,რომ
მე დედა ვარ,არ მაქვს უფლება
არ ვზიდო ტვირთი,თუნდაც ცალხელამ!
თქვენ!
გახსენით ჩემი ჩარჩო სიმორცხვის
და შემაყენეთ პოეტურ აღმართს!
თქვენ!
არ მომეცით დრო მოდუნების,
რომ ცოცხალ-მკვდარს ჩამევლო დაღმართს!
თქვენ!
გამოაღეთ ფანჯარა ხვალის
და გზა მიჩვენეთ უკვდავებისკენ!
თქვენ!
ამოსწიეთ სიცოცხლის ნიში,
რომ გაძლიერდეს ქართული ჯიში!
თქვენ!
შეამშრალეთ ჩემი ცრემლები
და დამავიწყეთ სიკვდილის შიში!
თქვენ!
ძლიერი ხართ,როგორც სალი კლდე
და უკვდავება თვით გამობრძმედეთ!
აი ვლოცულობ ახლა მე თქვენთვის,
რომ ბედნიერი იყოთ ყოველ დღეს.
მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!
თქვენ!

ლურჯა ცხენები

ლურჯა ცხენები დათარეშობენ
ბილიკ-ბილიკ აკალთეს ცანი
არ დაგიდევენ წუხილს გულისას
მათთვია არ არის ზღუდე გზისანი.
მიჰქრიან შორ-შორს ცის კარიბჭისკენ,
მოინავლებენ ფიქრებს ავდრიანს,
წვიმს,თუ თოვს არ დაგიდევენ
და ქარიშხლების გზაზე გადიან.
ლურჯა ცხენები გიქრებს მისდევენ
უკიდეგანოს იპყრობენ სივრცეს
წარსული გზები უკან დატოვეს
დაისაკუთრეს ადგილი ცისქვეშ.
მიჰქრიან,მიაქვთ დარდი გულისა,
ლურჯა ცხენებმა ან რა იციან,
დაგაყენებენ მუზის ქოლგის ქვეშ
შეგაყვარებენ მირზას,ტიციანს..
ლურჯა ცხენები ისევ მიჰქრიან
გაიტაცებენ ფიქრებს გულისას
უფლის წყალობას თავს მოგავლენენ
და უწამლებენ ტკივილს სულისას.

ია მოსულიშვილი

* * *

სულის ამბორს ვატან სიოს, გულის კარი გაუღე!
მონატრების ქარტეხილებს წინ რომ ვეღარ აღვუდგე,
გონი სულ რომ დამეკარგოს, ენითაც რომ დავმუნჯდე.
ეგ ამბორი შეინახე,როგორც გრძნობის საუნჯე.
ამ თვალებში არეკლილი,ფერთა გამა ჩრდილებით,
დაგყვებით და ერთ სიბრტყეში,
კონად გადმოვსხივდებით.
ბგერა ბგერას გადაბმული- სიტყვად გულისხმიერი.
ავსებს სულის იმ ნაწილებს ,თუ რამ მქონდა მშიერი.
სულის ამბორს,ვატან სიოს,გულის კარი გაუღე!

* * *

წავედი! ავყვები მთისკენ ბილიკებს,
გადავალ მინდვრებს ჭალით დაფარულს,
როგორც მერცხლები თბილი ქვეყნიდან,
ნისლიან მთებზე დავფენ გაზაფხულს.
სამყარო როგორც ბედის ბორბალი,
გზადაგზა მაწვდის ფერებს დამალულს!..
ნუშის კვირტები, ყინვის ტუსაღნი
ნელ-ნელა შლიან ფურცლებს დანამულს.
წერილებს ატანს მარტი ქარიშხალს,
სევდიანსა და ნატვრით დაფარულს,
სამყარო იღებს მისგან გზავნილებს,
ნისლიან მთებზე მიფენს გაზაფხულს.

* * *

სად არ ვიარე, უკიდეგანოდ...
სად არ ვამდიდრე თვალსაწიერი,
ხან ვარსკვლავების მშვენება ვცანო,
ხან ცოდვა ვზიდე,აქ მიწიერი!..
არავინ მკითხოს, ვინ ვარ და სად ვარ!
მე, მყოფნის ტვირთად ჩემში ჩემობა,
ბევრჯერ ჩავრაზე გულის კარიბჭე,
არ დამეკარგა გონი, მეობა.
ახლა ომობენ ემოციები,
ცაზე სახავენ სევდის ქარაგმებს
და იმპულსები, გრძნობის ძაფებით,
გულის ზედაპირს წითლად ქარგავენ!
სად არ ვიარე, უკიდეგანოდ...
არ მეშვებოდა ქარი თავნება
თავად სიყვარულის ფერებად ადნობს,
ჩემში განცდილი ფერისცვალება!

* * *

დაუპურებელ ყანის თავთავებს,
ჰგავს სიამაყის მედიდურობა,
დაველოდები მაინც მკათათვეს,
რომ ღირდეს ქვეყნად ჩემი სტუმრობა.
აყვავებული ყაყაჩოები ,
ჰგავს სატყუარას, ვითა ცდუნება.
ვნებამ შარბათით თუ გამომათრო,
მომიწევს ფიქრში გადარწმუნება.
ვიდრე ყაყაჩო თმას მაბნევია,
ღიმილი კრთება ცათა ციალში,
გავქრები როგორც თოვლი, მზის სხივზე,
ცხოვრებისეულ ორომტრიალში.
დაუპურებელ ყანის თავთავებს,
ჰგავს სიამაყის მედიდურობა,
დაველოდები მაინც მკათათვეს,
რომ ღირდეს ქვეყნად ჩემი სტუმრობა.

* * *

დღეებს, უშენოს, აღარ მივითვლი,
შენობით ყოფნა ბევრად ძნელია!..
ისე ამრია ფიქრქარტეხილმა,
მარტის სიგიჟე რა სათქმელია?!
წავალ გავყვები ქარს თავაშვებულს,
ეს ბობოქრობაც შენი მტერია
და დანისლული ჩემი თვალები,
სახლის კარებთან აღარ გელიან.
ეს არის ბოლო, თუ რამ ვიდარდე,
სნეულ სიყვარულს, ვეღარ შველიან,
როგორც ადამის ცოცხალი მოდგმა,
თურმე გრძნობებიც ასე კვდებიან!

* * *

ქრიან ქარები მერე რა თუ დღეს აპრილია ,
მერე რა თუ კი ატმის ყლორტზე დასკდნენ კვირტები,
ჩემს სამყაროში ბობოქარი ჯაზის რიტმია
და მის სიმძაფრეს უსასრულოდ დავეწაფები!..
დღეს არ მწვევიან მონატრების ლურჯი ფიქრები,
არც ფანტაზია გადაშლილა ფერთა გამაში,
ახლა,ყოფიერ სამყაროში ,დიდხანს ვიქნები.
და ჩემი ეგო დამშვიდდება ,შენთან კამათში.
მერე რა თუ ,უშენობა უკვე მოვქარგე,
მერე რა თუ კი გაგიშვი და ფერი ვიცვალე,
იმაზე მეტი შევიძინე,ვიდრე დავკარგე,
მარადიული სიყვარულის ძალა ვიწამე.

* * *

ჰორიზონტს მიღმა, სამყაროს ვეტრფი,
მიწის სიცხადე, დუმილს მავალებს.
ვხედავ, თუ ნისლი როგორ ეშვება
და მეც მორჩილად ვხურავ დარაბებს.
ვერწყმი ოცნებით ცის სილაჟვარდეს,
ვაწყდები ნატვრით, გრძნობით, ქარაფებს,
უსასასრულობა როგორც მორევი,
მატრიალებს და სიღრმეს გადამცემს.
აქ, ამ მიწაზე მარტოსულობა,
კვლავ სიმუნჯეს და დუმილს მავალებს,
რადგან სიწმინდეს შეგილახავენ,
როგორც კი გახსნი გულის დარაბებს.

* * *

ამაოება გადებულა ვით მყიფე ხიდი,
სინდისს,ქსელივით ეხვევიან ცოდვის ძაფები!..
დღეს, ღამე ურცხვად ეპარება, მაცდურად მშვიდი...
შიში იღვიძებს, თვალს ვარსკვლავებ განაკაფები!..
ცდილობს და მაინც ვერ მაფერხებს წარსულის ტვირთი...
როგორც მთამსვლელი სიმაღლისკენ, სივრცეს მივაპობ...
და უცნაურის მოლოდინში, სხეული მითრთის!
ილევა ღამე, განთიადი მიმოფანტავს ალბათ დღის სევდას,
ფიქრი გიტაცებს, იქნებ სადმე კიდევ მიაგნო...
თვალებს, ასეთი ელვარებით, სულს რომ გივსებდა
და პატიებაც, სინანულით იმედს მიანდო.

ინგა ლობჯანიძე

მთა, სიყვარულია!!!

რა შეედრება მთის სურნელს,
ყვავილებს გაშლილს ველადა,

სულს რომ სიცოცხლით აგივსებს,
გულს მორთავს ათას ფერადა.

ზეცა დაგაყრის ფირუზებს
ხელს მოგხვევს საკოცნელადა,

ნამგალა მთვარეს დაგარწევს,
ვარსკვლავთ დაგისვავს მცველადა.

წვიმის ნისლებთან გატარებს,
ფრთას გაშლის ცისარტყელადა,

ააშრიალებს ველ-მინდვერებს,
მორთავს ხოხბისა ყელადა.

თმაში ჩაგიწნავს ყვავილებს,
დაგხატავს ლამაზ მხევლადა,

ამაყი მთების სიყვარულს
გულს დაგიტოვებს მძევლადა.

ჭიკჭიკით გამოგაღვიძებს,
მზის სხივს მოგიფენს დარადა,

არწივის ფრთის ქვეშ მოგიწყობს,
ჩეროს თავშესაფარადა.

კოკას ჩამოდგამს წყაროზე,
წამწამთ მოაფენს ჯარადა,

სიყვარულის გზას გაჰყვები
ციცინათელას კვალადა.

ჩურჩულით აედევნები,
ლამაზ ოცნებებს შარადა,

ჯიხვი ჯიხვს დაეჯახება,
ექო გადივლის ზარადა.

შვლის ნუკრის თვალებს გაჩუქებს,
ხან გამოგბრძმედავს ხარადა,

თავისუფლების მწვერვალზე
მთა დაგიდგება ფარადა.

გაპკურებს წმინდა საკმეველს,
გულს დაადგება ჯვარადა,

მთის სურნელს თუ კი შეიგრძნობ,
რა გაგაჩერებს ბარადა.

ჩემო სამშობლო

ოდითგან რწმენით მოდიოდი ჩემო სამშობლოვ,
ჯვარზედ გაკრულსაც მუდამ გიძგერდა უფლისთვის გული,
ბევრჯერ გადაგწვეს, აგაოხრეს, შვილნი გიწამეს,
მაგრამ ვერ მოჰკლეს შენში სული ქრისტიანული.
ვერ დაგაჩოქეს, მგლის მუხლისა, ვერ შეგაშინეს,
ვერსგზით წარგტაცეს, სარწმუნოება,ენა, მამული,
შანთით დაგდაღეს, მაშ რა იცოდნენ ურჯულოებმა,
ეს ყოველივე სულზედ რომ გქონდა ამოქარგული.
მაშ რა იცოდნენ, როცა გიკლავდნენ ათას მოწამეს,
ათი ათასი იბადებოდა რწმენის დამცველი,
იბადებოდა, დაფერფლილი კვლავ აღსდგებოდა,
ერი "ფენიქსად წოდებული, "ერი ქართველი.
მაშ რა იცოდნენ, ეკლის გვირგვინს თავს რომ გადგამდნენ
და სისხლის წვეთზე ხელებს იბანდა დიდი გრძნეული,
რომ აღსდგებოდი, უფრო დიდი, უფრო ძლიერი,
როგორც ჯვარცმიდან გარდამოხსნილი ქრისტეს სხეული....
არ შეგეშალოთ, ვინმეს გზები არ აგერიოთ,
პატარაააო, არვინ არ სთქვათ, არის ეული,
ჩემი სამშობლო, დიდზე დიდი ღვთის ტაძარია,
ჩემი ენაა ძირთა ძველი არამეული.
აქ, ამ მიწაზე დიდ წმინდანთა ნატერფალია,
აქ უფლის მადლი, დედა ღვთისას კალთით არის მიწას ფრქვეული,
დღემდე უკერავს, უკემსია დედა ღვთისმშობელს,
ჯაჭვის პერანგი, მტერ-მოყვრისგან შემოხეული.
აქ, ამ მიწაზე დედის თვალებს იები სცვივათ,
მათი სურნელი უფლის ტახტამდე არის ასული,
მინდა, აწმყოც და მომავალიც დიდების გვქონდეს
და საამაყოდ არა გვქონდეს, მარტო წარსული...
მადლობა ღმერთო, ამ მიწაზე რომ გამაჩინე,
კავკასიონზე მდგარი მუხის, რომ მარგუნე მძლავრი ფესვები,
მე ვარ ქართველი, დიდ წინაპართ გმირულ ნაკვალევს,
მე წმინდა ნინოს ვაზის ჯვარის მადლით მოვყვები.
მე ვარ მტევანი, იმ პირველი ვაზის ლერწისა,
უფლის საწნახელს, რომ წურავდნენ მამა- პაპანი,
მე ვარ თავთავი, იმ დალოცვილ პურის ყანისა,
სეფისკვერებად რომ აცხობდნენ ქართლის დედანი.
მე ვარ იმ ცამეტ ანბანთათვის მზედ გადაშლილი,
ის ძველთა ძველი, ხატოვანი ანბანთ დედანი

რომელ ენაზეც იმღეროდა ნანას ღვთის დედა,
რომელ ენაზეც დაწერილა ქრისტეს მცნებანი.
მე ვარ ქართველი, სიწმინდეთა მხურავს მანტია,
ოქროს საწმისში საბარძიმე ღვინოდ ვისხმები,
მე სხვა სიმდიდრე ამაზე მეტი არ გამაჩნია,
ყოველ ცისმარეს მე სულიწმინდის მადლით ვივსები...
ჩემო ქართველნო, ქართველობა დიდი მადლია,
მარტო სიტყვებით ვერ ვიქნებით მისი ღირსები,
აბა რა მომკლავს,ან გულს დარდად რაღა გამყვება,
ჩემო სამშობლო, შენს გაბრწყინებას თუ კი ოდესმე, მეც ვეღირსები.

ლექსი მომწყურდა

ლ ე ქ ს ი მომწყურდა ფრთიანი, ლამაზი, ომახიანი,
წყაროს წყალივით რაკრაკა, მთის ბალახივით ცვრიანი,
ზოგჯერ მტრედივით ღუღუნა, ხან ტირიფივით მტირალი,
ნარნარა ვითა პეპელა, რაჭის მთებივით ზვიადი,
მზეს რომ მკერდს ამოაცურებს, გაიფანტება წყვდიადი.

ქ ა ლ ი მომწყურდა ბროლის მკერდს გიშრისა ნაწნავიანი,
თანდაყოლილი ტუჩ - კბილ-ცხვირ, მკერდ-თვალ- წარბ- წამწამიანი,
მჩქეფარე ვითა ჩანჩქერი, კისკისა მზის სხივიანი,
გაზაფხულივით ლამაზი, ლურჯთვალა, ბულბულხმიანი,
სპეტაკი ვითა ზამთარი, უმანკო მანდილიანი.

კ ა ც ი მომწყურდა ფხიანი, ლომგული, მგლის მუხლიანი,
მოქნილი ვითა ავაზა, უბელ რაშისა ზნიანი,
ქარაფს ჯიხვივით მხტომარე, წინაპარივით ჭკვიანი,
ქორ-შევარდენის ფერისა, მთის არწივივით მწივანი,
თავის მიწა-წყლის ერთგული, ხელგამრჯე, თავაზიანი.

მე ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი მომწყურდა,გულწრფელი, ხალასიანი,
მთის წყაროსავით ანკარა, ანგელოზისა ფრთიანი,
ნესტან- დარეჯან, თინათინ, ტარიელ, ავთანდლიანი,
ა დ ა მ ი ა ნ ი მომწყურდა კეთილი, თბილ სალმიანი,
უანგარო და უბიწო, გულთბილი, ღიმილიანი.

ჩ ე მ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო მომწყურდა, ლამაზი ქართველიანი,
დავით, გიორგი, დემეტრე, ერეკლე, თამარიანი,
ისევ ისეთი ძლიერი, ისევ ისეთი მთლიანი...
გ ა მ ო ი ღ ვ ი ძ ე ქართველო სანამ არ არის გვიანი,
თორემ დაგვახრჩობს წყურვილი, დავრჩებით უ ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ა ნ ი!!!

ბეღურა

ჩემო ბეღურა, ჩემო პაწაწინა,
როგორი ერთგული მყავხარ,
ასე უმწეო და ასე დაუცველი
როგორ უმკლავდები ზამთარს.

თურმე ამ პატარა, ლაღი ლამაზ ფრთებით
რა დიდი გული დაგაქვს,
გშია, სიცივისგან სულმთლად გათოშილხარ,
მაინც არა ტოვებ ალაგს.

სადაც დაიბადე დაფრენ, დასჭიკჭიკებ,
იმ შენს მშობლიურ მთა- ბარს,
თითქოს ჩუმად ჰყვები, შენი ლურჯი ზეცის
დიდ სიყვარულის ამბავს.

თითქოს, არც კი გაკრთობს თოვლის
ფანტელები,
არემარეს რომ ფარავს,
ტკბილად, ისევ ისე, ლაჟვარდს
დაჟღურტულობ,
სევდიან თვალებს მალავ.

ცოტაც გაუძელი, ჩემო ფრთახატულა,
მალე მზე გაშლის სხივებს,
აწკაპუნდება , ჟუჟუნა წვიმა
ხის ტოტს დაჰკიდებს მძივებს.

სურნელს მოაფრქვევს,ცას გაზაფხული
ყვავილს მოაბნევს ულევს,
გაგილამაზებს ისევ სიცოცხლეს,
მოგირჩენს, ნაზამთრალ წყლულებს.

ჩემო ბეღურა, ჩემო პაწაწინა
ისევ გადაუფრენ ხნულებს,
დილის ცვარ-ნამით ბუმბულს დაიპენტავ,
გაგვიხალისებ გულებს.

ჩემი სამოთხე შენა ხარ

შენ გენაცვალე სამშობლო,
ბერმუხავ, ფესვებ მაგარო,
შენი მიწისა ნამცეციც
მირჩევნის მე მთელ სამყაროს.
არ მინდა, ერთი გოჯიც კი
ვინმეს დავუთმო, დავკარგო
მინდა ქართველმა, ქართველი
შენს სიყვარულში დავღალო.
შენს ძირ - ძველ ნასახლარებზე
ფუძე კვლავ ლხენით ვამძლავრო,
ვაბღავლო ნიშა - ნიკორა,
ვაზის მტევნები დავცვარო.
კაცის გულს სიკეთის თესლი
ხნულში თავთავი ვახარო,
შენი შვილობის სახელი,
დიდი ღირსებით ვატარო.
მიყვარხარ!!! ჩემო მამულო,
უფლის სამოთხის სადარო,
აბა მითხარი, ამ ქვეყნად
სხვა რამეს, რას შეგადარო.
ჩემო რწმენის და იმედის,
მიწას დადგმულო ტაძარო,
ვაზო, წინაპართ სისხლის წვეთს,
მიწიდან ამონაყარო.
უფლისა შვილობილი ხარ,
თავი არასდროს დახარო,
ფრთები გაშალე არწივო,
კავკასიონზე შამდგარო!!!
სიწმინდის საბარძიმე ხარ,
კიდობნად გჭედა სამყარომ,
მინდა ეს ჩემი სიცოცხლეც
და სულიც შენ მოგაბარო.
მიყვარხარ ენავ ქართულო,
გულს დედის ნანად დამტკბარო,
მიყვარხარ ღვთისმშობლის კალთით,
გადაფარულო მთა - ბარო!!!
ის დღეცა ნუ გამითენდეს,
ვინმემ ფარ-ხმალი აგყაროს,
საქართველო და ქართველი
ერთმანეთისგან გაგვყაროს.
ოქროს საწმისად იბრწყინე
ანგელოზის ფრთით ნაფარო,
მინდა ეს გული, მაგ შენს გულს
მალამოდ გადავაფარო.

ლეილა ვადაჭკორია

ხელები

ხელები ყოვლის მქმნელები,
ხელები მრავლის მთქმელები,
შემკული ეპითეტებით:
ხელთქმნილი, ხელთუქმნელები.
ხელნაკეთი და ხელწერა,
ხელსაქმე, ხელხვავიანი,
ხელმოკლე, ხელმომჭირნე თუ,
ხელმარჯვე, ხელმადლიანი.
თუმცა, ხელმრუდიც ხომ არის?!
ხელმწარეც, ხელმარცხიანი...
შორს ჩვენგან მოღალატისა,
მსახვრალის ხელი ტიალი
ღმერთო ამრავლე სიკეთის,
მადლის მთესველი ხელები,
თავდადებულთა მარჯვენა,
ქვეყნის კარიბჭის მცველები!

გაოცება მიპყრობს

ცხადია თუ სიზმარი?
გაოცება მიპყრობს,
ქვეყნად ახლა ხელახლა
დავიბადე თითქოს.
აღარც სიტყვა ყასითი,
არც ფარსაგი ტაში,
ახლა ზამთრის სუსხიც,
ვეღარ მატანს ტანში.
ყველაფერი ნამდვილი,
რაღა მომკლავს აწი?
ფრინველიც კი მიაგებს
პატივს მეფე არწივს.

თვალის სინათლე

ქარს საწვიმარი ღუბელი თან სდევს,
რადგან ბუნებამ ასე ინება.
არ მეშინია ღრუბლის სიშავის,
და არც მივყვები მდორედ დინებას.
ავქუხდები და ავშხუილდები,
ხანაც დინებას ვაპობ პირის-პირ
არ მოვდუდნები, დამენანება
თვალს რომ მოვხუჭავ ფხიზელ ძილის წინ.
განწირულს იქნებ უფსკრულშიც ჩავყვე,
იქაც შევმატებ სიმართლეს ძალას,
მან ამიხილა ბრმასა თვალები
და მოწიწებით მზის სხივზე დავალ.
უღალატოა ის ერთადერთი,
თვალის სინათლე, სულის მალამო,
თუმცა მწარეა ზოგჯერ სიმართლე,
გულო შენ მაინც აღარ დამალო.

იმედგაცვეთილი

ეს დღეც მიილია,
ასე უდღეური,
ცაზე დაეკიდა
მთვარე გალეული,
სულში ქაოსია,
ფიქრი არეული,
აღარც შინაური,
აღარც გარეული.
თითქოს ის კი არა
ვინმე ორეული
დადის ციცაბოზე,
როგორც მთვარეული.
აღარც შიში იპყრობს,
აღარც გაოცება,
წარსულს შეფარვია
ყველა საოცრება.
ნუთუ სიყვარულის
არ ერგო ნამცეციც,
ციცაბოს შეეწიოს
იმედგაცვეთილს.

შინდისის გმირები

წარსული ჩვენი თანამდევია,
დიდებული და სირცხვილნაჭამიც,
აქაც იდგაო ადრე ბერმუხა,
ნასისხლარი და ნაჭარმაგარი.
    გვყავდა დავითი, გვყავდა თამარი,
    ხედააავ? გიყვები ისევ თავიდან!
    ბრძენი რამდენი, თავდადებული,
    გმირი რამდენი დასაბამიდან.
და ჩვენც მსოფლიოს ვამცნეთ ამბავი,
სულ ცინცხალი და ახალთ-ახალი,
იმათი ჯიშის, იმათი გენის,
იმათ ფესვებზე ამონაყარის!
    დღეს ვინ არ იცნობს შინდისის გმირებს?
    ისინი ქვეყნის სიამაყეა,
    მტერს რომ ებრძოდნენ თავგანწირვითა,
    სულს რომ უკმევდნენ ძმებსა ნატყვიარს.
და როცა სამნი დარჩნენ ალყაში,
იდგნენ ხელი-ხელ გადახვეულნი,
მათ საკუთარი ყუმბარის მადლით
სულ ნაკუწებათ ექცათ სხეული!
    გაფრინდნენ ლაღად ცად, საუფლოსკენ
    მათი სულები წმინდა, ნათელი,
    ცაც მოწმენდილი იყო საოცრად,
    გზად ქართლის დედამ უნთო სანთელი!

ეს არის ჩემი სამშობლო

ჩემთვის ეს მიწა შვებაა
სხვისთვის უბრალოდ ალაგი,
ჩემთვის ეს ველი სუნთქვაა,
ვისთვის ბიბინა ბალახი.
        ეს მთები, იალაღები,
        ჭიუხები თუ სერები
        ჩემია, მშობლიურია,
        ყოველ წამს მოსაფერები.
არწივი მთას შეაკვდაო,
ღრუბლის სუდარა ეფარა,
მთას იშვა, მთას აღესრულა,
აბა რა უნდა ენანა?
        ეს არის ჩემი სამშობლო
        განსაცდელიც და სავანეც.
        აქ არის ჩემი ფესვები,
        აქ მოვიზომე სამარე.

გაცილება

შენ რომ წახვედი მომერია
შიში და ეჭვი,
ისე დამთრგუნეს ლამის იყო
ჭკუიდან შევცდი.
იმ დღეს დამდინდა მწარე ცრემლი
შემკრთალ ღაწვებზე
და ბოლო კადრი შემეყინა
მაშინ თვალებზე.
რა უბედურად, უსუსურად
ვიგრძენი თავი,
თითქოს ერთ წამში უკურნებელ
ვიქეც ხეიბრად,
თითქოს დაკარგა ყველაფერმა
ამ ქვეყნად აზრი,
ჩიტის ჭიკჭიკიც კი აფრთხობდა
თითქოს ხეივანს.
დრომ მაინც მიხსნა, ჩამახედა
სულის წიაღში,
თურმე რამდენი კარგი საქმე
დამრჩა უქმნელი,
მივხვდი რომ შენით არც ვიწყები
და არც ვმთავრდები,
თურმე რამდენი ჩუმი ფიქრიც
დამრჩა უთქმელი.
ახლად ვიქეცი, რადგან ახალს
მოვუხმე ძალას,
ცხოვრება ისევ მიხარია,
ისევ ვიღიმი,
სული გამითბა, ფენიქსივით
აღვსდექ ფერფლიდან
და მე მეურმე მივუყვები
შარას ღიღინით.

ნანა გიგუაშვილი

მუზა

სულში ველი ახალ ტალღას
შემოვარდნილს ქარივით,
ცეცხლს მომკიდებს
უცაბედად შენთებული კვარივით,
სიტყვა-სიტყვად სტრიქონები
ჩამწკრივდება ჯარივით,
მერე ლექსად შეიკვრება
წმინდა ნინოს ჯვარივით.

ამოაფრქვევს ვულკანივით,
დარდი ფურცლებს წალეკავს,
შავი ღამის წყვდიად
ბურუსს მზის სხივები არეკლავს,
ლექსს დავწერ და მომითიბავს
გულზე დაყრილ ნარ-ეკალს,
წუთისოფლის სამრეკლოდან
სანამ ზარი დარეკავს.

განსაცდელი

სულის წვრთნაა, მოვიკიდე თმენის გუდა,
დროვ შენელდი, ცოტაც იქნებ დამიცადო,
ეს სიშორეც ალბათ უფალს ჩემთვის უნდა,
რომ ტკივილი მეტად აღარ განვიცადო.

ამ ქვეყნიდან სამშობლომდე მირაჟია,
ცაც კი ისე ახლოსაა ლამის შევწვდე,
თვალცრემლიანს ო, რამდენჯერ მინატრია
ეს სიშორე დასრულდეს და მალე შეწყდეს.

ვისთვის როგორ, მე კი დარდი ვენებს მიხსნის
და მილეულ მთვარეს ვუყეფ ნაგაზივით,
რად ჩამიქრა საქართველოს შუქი მისხლივ,
როცა უნდა კაშკაშებდეს ალმასივით.

ღმერთო მხოლოდ შენით მილხინს ეს ცხოვრება,
სიყვარულით ვერავის ვერ შევედრებით,
გთხოვ უფალო მოგვანიჭო კვლავ ცხონება,
საქართველოს მთლიანობას გევდრები.

გონი-ერი

შენშია ღმერთით გონი და სიბრძნე
ერო ქართულო- უფლით მოსულო,
დაბადებიდან მტერიც კი იძმე,
განსაცდელებში ტანჯვით მოცულო.

გებრძვის ყოველი - სიკეთის მთესველთ,
შიგნიდან ტყდება ციხე წყლის ჭავლით,
რავუთხრა ქართველს, ფარ-ხმალის მლესველს ,
უფლის სიტყვისგან განზე გზით ჩავლილს.

ზღვა ცნობას იტევს, ადამის გონი,
ქართველის ხელით საგანძურს სხლავენ,
გავთითოკაცდით, არც ის ვართ მგონი
და რანიც დავრჩით, ერთურთით გვკლავენ.

არ შეიგუო მტერი ვერაგი,
მსგავსი წარსულით ბევრი იგმინე,
ვერ დაგიფასებს ძმობას ვერავინ,
სხვის ომში ყოფნას შენთვის იგმირე!

შენში ღამეა

წასულა ჟამი, შენს სარკმელთან ისევ ღამეა,
ცოცხლადგლოვისთვის სტრიქონებიც დიდი რამეა,
საკუთარ ნისლში მირაჟობა შენი ხვალეა,
გადაჭიმული სფეროების დიდი არეა.

და ვერც ვერასდროს გათენდება, ვდარდობ ამაზე,
წლებთან გაქრება შემართება და სილამაზე,
ფლოქვებდახეთქილ, ფაფარაშლილ ფიქრის რამაზე
გადავატარე ეს წლები და გზები ჩავრაზე.

კიოდი

შენ კიოდი ხარ, საღვთო ენის წმინდა საცავი,
ედემის ბაღი , საოცარი და დასაცავი,
რით შევეგუო ორგულობას ძმებში რაც არი,
რით ავიტანო საქართველოს თვალში ნაცარი?

რა დამაყენებს, რომ არა ვთქვა, ვერ შევჩერდები,
დარდით აღარ ვარ, წუხილისგან გზა-გზა ვჩერდები,
თანაც რა ვუყოთ, თუ რწნმენაში ვერ შევჯერდებით,
რასელის მოდგმავ ჩვენ -
ქართველებს ვერ დაგვჩემდები!

უღმერთობაა, მიდის ბრძოლა, გულში ჩეხვები,
ატირებულან სამებასთან ჩემი ვერხვები,
ჩამოასკდება ზეციური ძალით მეხები
და დაისჯება ჩვენი მიწის მტრულად შემხები.

გადავლილია შეცდომების დიდი შარაგზა
და ორგულობა ჩაანაცვლა ახლა მარაზმმა,
მე კი მგონია, რომ უფალმა ზეცა ჩარაზა,
ჩვენს დასაცავად ანგელოზთა დასი დარაზმა.

გადაიაროს, დაიწმინდოს გული დუღილმა,
რომ მიგვატოვოს განსაცდელმა, დიდმა წუხილმა,
წინაპრის სულმა იგრძნოს- ბრძოლა ამად უღირდა,
სამყარო შეძრას
უფლის სიტყვით ჩვენმა ქუხილმა!

გალას სარკმელი

არც მე არ ვიცი როდის მოვრჩები,
როდემდე ვივლი ან დავმთავრდები,
როდის იტყვიან უფრო ხმამაღლა
ჩემს ყველა სათქმელს ეს დავთარები...
როდის შეწყდება ხორცის გაგლეჯა,
დანაყრდებიან ტურა-აფთრები,
როდის ამოვა დედამიწის მზე
და გადიდარებს როდის ავდრები...
არ ვიცი თუკი ოდესმე მაინც
ამიხდებიან ჩემი ნატვრები,
სუნთქვა მეკვრება ამ დაბალ ცის ქვეშ,
სულის კარიბჭე გახდა სამტვრევი.
როდის იქნება ის ღვინობისთვე,
რომ მშობლიური მერგოს ნართვლევი,
ან როდის მომცემს უფალი ძალას-
გამოვაღვიძო ერი ნათვლემი?
მომნატრებია სულის მოძღვარი,
სურნელი ჩემი ტაძრის საკმევლის,
ნეტავ არასდროს გაიღებოდეს
გადასაფრენად გალას სარკმელი.
ნეტავ ეს ფიქრიც დამთავრდებოდეს,
სადარდებელიც მქონდეს ნაკლები,
დროზე დასაჯოს [1]თავად უფალმა
ქართული მიწის როკვით ამკლები.
ამ ცრუ სამყაროს რატომ ერთვიან
ჩვენი სამშობლოს ,,სეფე-ამქრები,,
რად ავიწყდებათ ჩვენი მისია,
ჩვენი წარსულის ნაიარევი.
რატომ ჰგონიათ დღევანდელობა
ზღვაზე აშლილი თეთრი აფრები,
რატომ ფიქრობენ გადარჩებიან,
თუკი ამ ქვეყნად ყველა გავქრებით?
იქნებ მიპოვო ჩემო უფალო,
რომ ყველას ვუთხრა ჩემი სათქმელი,
მტერს თვალწინ შენი სიტყვა ვუფარო,
ფიქრს დავუკეტო გალას სარკნელი.

კომა

არ შეგეშინდეს მუქი ნისლის, უკვე გაწვიმდა,
ნახე, ამ ხეებს ეს ფოთლები როგორ დაცვივდა,
შემოდგომაა, მზეა მაგრამ მაინც აცივდა
და სიცივეში სიყვარულიც უცებ გაცივდა.

არ შეგეშინდეს, მერე რაა მარტო თუ დარჩი,
მზე გადარგული, ცა გახსნილი ღიმილის ფარჩით
უფალი ახლა შენთანაა და გიღებს კარებს,
იცით, მთავარი დღეს რა არის? - შენ რომ გადარჩი.

ლოცვით

სიკეთეს დათვლა კიარა, დამახსოვრება ჭირდება,
უფალი მაშინ ნუ გახსოვს, როდესაც გაგიჭირდება,
მადლიერებას ესწრაფე, ვიდრე თვალს გაგიწვიმდება,
ლოცვით ყოველი წუხილი გულიდან გაიწმინდება.

ყოველი დილის სისხამზე მადლობის
ლოცვა ღვლინდება,
ხორბლის მარცვალიც დალოცე,
სანამ მიწაში ღივდება,
ვაზს მოეფერე ყურძნამდე, ბადაგს -
სანამდე ღვინდება,
მერე ყოველი უფლისგან მადლადვე
გადმოდინდება.

წლებს ბატონებივით მოხდილს...

როგორ გაფრენილა წლები,
თმებში შეფარულა ნაზად,
ჩიტებს შეკვეციათ ფრთები,
ფიქრი გაჰყოლიათ საგზლად.

გულის თვალებშია ცრემლი,
სახეს ღიმილები ფარავს,
დროს ვერ შევაჩერებთ ვერვინ,
წლები სიხალისეს გვპარავს.

თითქოს ბავშვობაში მოვხვდი,
გულში მოგონება სახლობს,
წლებს ბატონებივით მოხდილს
ახლა წინ ვუზივარ, ახლოს.

ფერისცვალება

ერთჯერ მეც ალბათ ,,სამოსს,, შევიცვლი
და სამუდამოდ კაბას ჩავიცვამ,
გადავიღალე და მყარად ვიცი,
რომ კრიალოსანს მაჯას ავიცვამ.

დაღლილი სული მარტო დამირჩა
და უფალია მისი პატრონი,
სასწაულია, როცა რჩებიან
ჩემი გული და ღმერთი მარტონი.

მაშინ იხსნება ზეცა თავიდან
და გეფიქრება გარდაცვალება,
გონიდან ყველა ფიქრი გავიდა
და ჩემში მოხდა ფერისცვალება.

მე ის აღარ ვარ მსხვერპლად რომ მწირეს,
მე დღეს ზე გონის მმართავს მმართველი,
მადლობა ლოცვა რომ შემიწირეს
და წმინდანების ვიგრძენ ნათელი.

ცხოვრების ლაბირინთები

ჩამეკარგა თვალები უპეების ღრმულებში,
წლები მიწას ჩაჰყვირის ბელტებმიყრილ ხნულებში,
ღმერთო სად არ მატარე, სხვათა სულის სამწეოდ -
ამ ცხოვრების უღრანში, მუდამ დანაღმულებში.

შემომადნა სიცოცხლის ნაზამთრალი ტოტები,
ქარი ზმუის, ტკივილებს წამოსვლიათ ყლორტები,
სმენა არ მაქვს და მაინც კვლავ ვეხები კლავიშებს,
ყელზე მძივად მკიდია სევდიანი ნოტები.

ცხრა მთას იქით წაიღო წერომ ჩემი ბავშვობა,
ვეღარც აწმყოს ვიკავებ, იმ ცხრა მთასაც გაშორდა,
ლაბირინთებს მივყვები, კარი ვერსად ვიპოვე
და ცხოვრების ჭიდილში გონი სხეულს დაშორდა.

აფხაზური ლანდები

ფიქრში დავხეტიალებ
აფხაზური ლანდებით,
ენგურს მოსდევს, ტრიალებს
ანატეხი დარდები.

ბედნიერი ღიმილით
გულს სიცხადე მეძალვის,
აივნიდან მომდგარი
ბებიის ხმა მეძახის.

ისევ იქ ვარ ეზოში,
სტუმარს ველით გაღმიდან,
სუფრას ვშლით და თეფშების
დათვლას ვიწყებ თავიდან.

ურაიდა-რაიდა წაიმღერა ბიძიამ,
მამის შემოძახილმა
ხმამ ძმის კალოს მისწია.

დედის ხაჭაპურების
დატრიალდა სურნელი,
ღვინო დოქით შემოდგეს -
ტკივილების მკურნელი.

თონეს ჩაკიდებული
აწკიპინდა პურები,
სუფრას ბროწეულებით
ფერავს აფხაზურები.

ხიდს გაღმაც და გამოღმაც
სიყვარული მზიანობს,
სტუმარ-მასპინძლობაში
სიტყვა თავაზიანობს.

ჩვენ დავრბივართ ეზოში,
სძინავთ ციცინათელებს,
მანდარინის ხესავით
სიხარულით ვათენებთ....

ნაწვიმარი ტოტების
მზემ დაიწყო აშრობა,
ატყდა ცვენა ბომბების
და დასრულდა ბავშვობა.

წლებმა ფიქრი მოლია,
დროს მიუგდო ავდარი,
სულში დარდის თქორია,
არ ჩამქრალა ღადარი.

ფიქრით ახლაც იქა ვარ,
სტუმარს ველით გაღმიდან
გულს მიჩეხავს ფიქრები
ასხლეტილი ნაღმიდან.

განახლება

ვით წიგნის ფურცლებს, ეს საღამოც გადაშლის წლებს და
ცაცხვის ხესავით გადაფურჩქნის ვარჯებს ტოტიანს
და იგრძნობ სულში როგორ ჩარჩა, როგორ გამეფდა,
უმოძრაობის ნაეტლარი მელანქოლია.

მერე კი შენი არსებობა მოგიჭერს მარწუხს,
მიხვდები, როგორ შემოგაცვდა მტკიცე ნართები,
სხვა გზა აღარჩანს, ვერ გაუძლებ სიცოცხლეს ნაწუხს,
დაიფერფლები ფენიქსივით, მერე აღდგები.

უსასრულობა

ატომის გულში კვლავ გუგუნებს იქსი დიადი,
ფრთხილად მივყვები ასტრალიდან ამ ფილაქანებს,
შემომხვევია უდროობის დიდი წყვდიადი,
მატრიალებს და სიბნელისკენ კვლავ მიმაქანებს.

იქ, სადაც ალბათ არ არსებობს მარადისობა,
სულის სამშვინველს კვლავ ეხშობა ორთავ კარები
და პარკუჭებში გატყორცნილი სისხლი დინდება,
წინაგულების სარქველიდან განატარები.

გამოვაღწიე და ვიხილე კაენის კვდომა,
ახლა აბელის ფესვებიდან მშვიდად მოვედი,
შეგვაძლებინე უსასრულოდ ფეხზე დადგომა
მაღალო ღმერთო,
საქართველოს შველას მოველით.

არ გადამეჩვიო

არ გადამეჩვიო შენ ჩემო სამშობლოვ,
უშენოდ ფრთამოჭრილ პეპელას მოვგავარ,
და-ძმებო, შვილებო სიკეთით ნაშობნო ,
სიცოცხლის ყველა გზას თქვენამდე მოვყავარ.

არ გადამეჩვიოთ სახლებო, ქუჩებო,
ჩემო თვალხატულა ქალაქო, პატარავ,
წლებია სიცოცხლეს აგრძელებ უჩემოდ,
ნეტავ შენს ქუჩებში ღიმილით მატარა.

მდუმარება

მდუმარებაა საუბარი გრძნობით უფალთან,
თვალებს ხუჭავ და გულით ხედავ რარიგ უყვარხარ,
იმ წუთას სხეულს სულის მადლი ნადიმს უმართავს
და ზიარებით საკურნებელს საგზლად უნახავს.

მდუმარებაა შენი გულის უტყვი ძახილი,
მტერზე პირჯვარის გადასახვა - გულში მახვილი,
გზაგაუკვალავ თოვლიანში მსრბოლი მარხილი,
დიდ სამსჯავროზე შენი ყოფის ნაღდი სამხილი.

ღირსება

ღირსებას ვერვინ ჩაგაცმევს, მისით დღითიდღე მშვენდები,
ენით და სარწმუნოებით მამულში განაშენდები,
მტერი ვერ აგყრის იარაღს, თუ ნებით არ დანებდები,
სამშობლოს სიყვარულისთვის თუ ნაცრად არ ჩანელდები.

სანამდე გულში ღმერთია, სანამ ცრემლებით ვლოცულობ,
შევუერთგულდეთ ერთმანეთს ერო, სიწმინდით მოცულო,
საყრდენად გამოსადეგო, ძმაო სიკეთით მოსულო,
იმედის გემად გამოჩნდი, იქნებ ჩვენამდეც მოცურო.

რამდენი ტანჯვა ვიგემეთ, გულს ტყვიად განატარები,
წლებმა მოისრა საწუთრო, ერი გადარჩა წვალებით,
ღირსებას ვერვინ წაგვართმევს, არს ხელარდანაკარები,
სადა გვაქვს მიწა ქართველებს სხვის საფლავს ჩასატანები?!

მამული - ჩვენი სამშობლო, ქართული გენის აკვანი,
ენა - ლაზარეს სახელით უფლის გულამდე ამყვანი,
სარწმუნოება - მართალი, ღმერთის სახელის თაყვანი,
ჩვენი გმირული წარსულის ფესვიდან ამონაყარი.

ეს არის ერთი მთლიანი, ქართველი კაცის ღირსება,
ამ ერის გადაშენება არავის არ ეღირსება!
თავად უფალმა სულებში რწმენის ტაძარი გვიშენა,
მამული, სარწმუნოება,
ჩვენი ქართული - ღვთის ენა.

* * *

რამდენჯერ ვცადე ლექსის დაწერა, გულისნადების გათქმა,
მუზის გარეშე არ გამოვიდა, რითმამ მაშინვე გამთქვა,
ვერ მომიქარგა ლექსის კიდური მოჩუქურთმებულ ნართმა,
ლექსი იგია, ერთი რომ იტყვის იმას, რაც ვერ თქვა ათმა.

* * *

სიყვარულით მოევლინა და უფალში იქცა მისად,
ის ჩვენსავით არ მომკვდარა, ეწამა და აღსდგა მყისად,
თუ ეს კიდევ მიაჩნიათ ათეისტებს ვინმეს მითად,
თვით უფალი გიპასუხებთ: ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად!

* * *

ჩვენს შვილებამდე, სანამ ვიქნებით,
გულის ტალღების აზვირთებიდან,
მთვარემდეც მივა ჩვენი ფიქრები,
სულ რაღაც წამში გაფიქრებიდან.

* * *

სიმაღლე - კაცხის, სურნელი - ცაცხვის,
ცხობილი - მარცვლის, გემოს რომ არ ცვლის,
დრო დადგა დაცვრის, ფიქრების გაცრის,
წყურვილის დაცლის, გუება მარცხის,
სუნია ნამწვრის, მტვერია ნაცრის,
შედეგი საცხის, ცხოვრება გაგვცრის.

* * *

ეს ცხოვრება მართალთათვის ტკივილია,
ცოდვილთათვის ყოფა, როგორც ლიქენის,
ჩემი ლექსი უთქმელობის კივილია,
დარდს დავიმცრობ, თუ ცოცხალი ვიქენი.

* * *

მე რომ შემეძლოს მოგიწყვეტდი ვარსკვლავებს ციდან,
თმებში მზის სხივებს ჩაგიწნავდი მარტის საფეროდ,
შენ გაზაფხულის ფერია ხარ, სულ ერთი ციდა,
მინდა სიცოცხლე ბედნიერად გაგისხვაფერო.

* * *

სასწაულია დეკემბერში ყვაოდეს ვარდი,
ლამაზი სული ზეციერმა გაშალა თეთრად
და მზეს რომ თან არ გაჰყოლოდა სიცივის დარდი,
თეთრ ვარდს ფიფქები მოახურა ფითქინა თექად.

* * *

კვლავ დაჰქრიან ნასახლარზე ველური ტყის ქარები,
ჩაჟანგებულ ანჯამებზე დაჭრიალებს კარები,
ისტორიას გვიყვებიან ნახავსარი ქანები,
ეზო-ეზო, ბილიკ-ბილიკ დაბლა ჩავექანებით.

* * *

ჩემი ცხოვრება სისხლისფერია,
ყაყაჩოების ყანაში ვწვები,
წლის სარჩო ჩემი სეფისკვერია,
ზიარებისთვის - ზედაშეს წვენი.

* * *

სმენას მოედო ხმაური მშვიდად
და ბეთხოვენის "მთვარის სონატას"
ქარს გავაყოლებ მოჭიმულ მშვილდად
მუსიკის ბგერებს, ქარის მონატანს.

* * *

სიცოცხლე თუ ღირსად ჩაგითვალა,
უფალი ქვაზეც გაგზრდის მე მგონია,
აქ სად ამოსულხარ წითელთვალა ,
ციცქნა პატარძალო - ბეგონია .

* * *

მოვალ გაზაფხულის ყვავილებად,
მთაში შროშანებად გავიშლები,
სანამ თქვენს ხსოვნაში ვიარსებებ,
სანამ სამუდამოდ წავიშლები.

* * *

მსურს დარჩე ფიქრის ამარა ,
მის გულს თევზივით ხელავდე,
მტრედივით შეკრა კამარა,
სხვას ვერსად ვერვის ხედავდე,
ჩემი სურვილი ანკარა შენი აივნის ხედამდე.

* * *

ქართული სულიდან გაშორდი დემონო!
განდევნე დემონი უფალო ძლიერო,
დატოვე სხეული, შთენილი ეული,
უფალი გიბრძანებს გრძნეულო ცბიერო.

* * *

თოვლის ფიფქები ხელისგულზე ნაზად დაეშვა და სწრაფად მოკვდა.
რა ხანმოკლეა მისთვის ჩემი ხელის შეხება, დღე შეუმოკლდა,
თუმცა ფიფქები ეფინება არეს მადლიანს და ფარავს მიწას,
მე კი ამ ხელებს ყინულისგან სიცივე მიწვავს.
დადგება დრო და უფლისაგან დადგენილ ჟამზე მიმიწვევს მიწა.

*

და როცა აღარ ვიქნები მიმატოვებენ ფიქრები,
ხან მზის სხივები ვიქნები, ხან თეთრი თოვლის ფიფქები,
ვიცი რომ სულ დაგჭირდებით, არც მიგატოვებთ გპირდებით,
ვიწვიმებ თუ ავტირდები, ვიქუხებ თუ ამტკივდებით
და სულ თქვენს გვერდით ვიქნები.

* * *

ქარიშხალს ვგავარ ზღვის ტალღებთან ბრძოლაში დაღლილს,
ხან ძლიერი ვარ, ბობოქრობის ხანაც მგმობელი,
ვპატიობ ფიცილს ერთგულების თასიდან დაღვრილს,
უსამართლობის უფლის ძალით ასგზის მთმობელი.

* * *

გაცივებული მიწა ფაფუკი თოვლით დნება,
შენი ჩურჩული მესმის ქარისგან გაშლილ თმებთან,
მაგრამ ჩურჩული სადღაც დაუყოვნებლივ ქრება.
წყნარად მივყვები ბილიკს, უცნაურ ხმებთან ერთად.

* * *

მაგ ბროლის ყელზე მოგეხვევი , ვით მარგალიტი,
მძივად შეკრული მოგიჭექავ კისერს ხალიანს
და რაც ცხოვრებამ შემოგძარცვა აქვანარინი,
კვლავ დაგიბრუნებ გულში მზეს და სულში ხასიათს.

* * *

გულს მოედო ფიქრებად მაქმანების არშია,
მოდის დაუსრულებლად სიყვარულის ნაკადი,
ეს წარსული მეძახის, მოგონების მარშია,
ბავშვობიდან აქამდე, შეხვედრიდან -ნახვამდის.

* * *

შენი მთები ვერ დაიტევს ჩემი მთების სიზვიადეს,
ვერც სიზიფეს ლოდი დამღლის, ვერც აღმართის სიდიადე,
გული სიყვარულით სავსე, მელ სამყაროს გიწილადეთ,
როგორ მინდა ყველა ლოცვას ღმერთო მადლად მიწირავდე.

* * *

წითელ ცას წვიმები შეცვლიან,
აპრილში ხშირია დაისი,
ნისლები მირაჟებს ერთვიან,
ვარდისფრად ღაღანებს მაისი.

ქართულ ცას აპრილიც უხდება,
ნაწვიმარ დილაზე აისიც,
სხვაგან კი სიცოცხლეც რუხდება,
დამტირის უფერო მაისი.

* * *

ხელი შემაშველე ანგელიზო,
მტკივა ნატყვიარი ჭრილობები,
სხვისგან ოქროს ფარდაგს არ ველოდო,
შენი დამიფინე ჭილოფები.

ოღონდ დამიამე სატკივარი,
ერში სიყვარულად ჩამელხინე,
გვეყო, აგვარიდე სატირალი,
ჩამქრალ თვალებიდან ამეხილე.

* * *

დაწერ და წაშლი, თუ რაღაცა არ მოგწონს მისი,
ღვთიური სიტყვა ჩანს ხანდახან იქცევა ფერფლად,
შენ პოეტი ხარ, განიცადე ტკივილი სხვისი,
ვინაც ნამდვილი სიყვარული აღიქვა ღმერთად.

* * *

და უფლის დიდების რეკავდნენ ზარს,
ღელავდა ხალხი და ღელავდა ზღვა,
რწმენაში სიმტკიცის ეს იყო გზა,
ქრისტეს სადიდებლად ფენილი ბზა.

* * *

ამ ალუბლების კუნწულებს
თან მოჰყვა სითბო მალალი,
შემომაგებეთ მზესავით,
გულიდან გამომავალი.

სიტკბოზე მეტად მეხარა
სულში სიკეთის კეთება,
ამ კუნწულებმა იტვირთეს
გუნების გამოკეთება.

* * *

ვეღარსად ვპოულობ სიმართლეს,
სამყარო გამხდარა ცბიერი,
თვალები ეძებენ სინათლეს,
წყვდიადის ქარია ძლიერი.

მზე მიწას შიგნიდან ჩაკვრია,
ლუციფერს შეცვლია იერი,
სიცოცხლეს ფერები აკლია,
ერთ წამში გამხდარა ცბიერი.

* * *

მეცა მაქვს დარდი და ვარამი,
ცხოვრების სიმშვიდეს არა ვფლობ,
გვერდშიაც არ მიდგას არავინ,
უფლის წინ ზე ხელებს აღვაპყრობ.

მიჭირს და კვლავ მაინც მივათრევ
გადაღლილ სხეულში სიმძიმეს,
მე თვითონ სულს უფალს მივართმევ,
თუმც ვხვდები ამ ძღვენის სიმცირეს.

* * *

ასე გარბიან წლები ღვიძილში,
ემიგრანტობას ბოლო არ უჩანს,
ეს მერამდენედ აყვავებულმა
დაიყვავილა კიდევ ალუჩამ,
მე კი კალენდარს აღარ ვუყურებ,
დასათვლელ დღეებს თვალი გადურჩა.

* * *

ამ პატარა ქალს ამხელა დარდი საიდან მოგაწყდა,
თვალს ვერ იმშრალებ ნიაღვრად მოგედინება ცრემლები,
გაწვრილებული ნერვიდან ნუთუ მოთმენა მოგაცვდა,
რად მოგკივიან დატანჯულ სულში ბოროტი მდევრები?

დათმენის თასიც აივსო, ვიცი რარიგად ძნელია,
გჯეროდეს გამბედაობა აგეფარება ფარადა,
განსაცდელისას სიმართლე ყველაზე დიდი მცველია,
სწორედ ამიტომ უფალი მოგყვება კვალი-კვალადა.

* * *

სულ უბრალო ვარ, ამ ატმების ყვავილის ფერი,
წლები კვირტებად ეხსნებიან ხეზე სიცოცხლეს,
57 გაზაფხულსაც თუკი შევფერი,
მაშინ დანარჩენს ლესებშიაც გამოვიცოცხლებ.

* * *

სიხარულის ცრემლებით დაგინამავ ნაბიჯებს,
გულის ძახილს მოვყვები შთაგონებით უფალო,
ქართულ გენზე ვერასდროს ვერვინ ვერ დააბიჯებს
და ბედნიერს გიხილავ ერო თავისუფალო.

განახლების ეპოქა დადგომია გონებას
და სიახლეს თანდათან შემოგვაჩვევს სამყარო,
ღმერთო შენ მომასწარი ერში რწმენის ქონებას,
უამისოდ ხორცისგან სული ჯერ არ გამყარო.

* * *

ჩაფიქრებული გზას მივყვები, მზე ჩალეულა,
შენ კი უსახურ ამბებს ყვები გულგალეულად,
მთებს შეარყევენ ეგ სიტყვები და მზის ამოსვლას,
არის თუ არა სინამდვილე ცეცხლის გარდმოსვლა.

* * *

თუკი ვტირი, არ გეგონოს სუსტი ვარ,
მე ღიმილი უფრო მეტად მამშვენებს,
შენ რომ ანგრევ, მოვყვები და პირწმინდად
იმ ნანგრევებს სიყვარულით ვაშენებ.

* * *

ვერ გაარკვია ვერავინ
 იასამნების სურნელი,
ბევრი აღმოჩნდა ვერაგი,
  ავი სურვილის მსურველი,
ის დარჩა სხვისი ფეხსაგი,
 მე კი ყვავილზე მზრუნველი.

* * *

როგორც არუნდა გტკიოდეს,
როგორც არუნდა გიჭირდეს,
სულში წუხილით გციოდეს,
ბედს ორი გროში გიჭრიდეს,
არ გაბოროტდე არასდროს,
ბოლო წუთამდე ითმინე.

* * *

წლებია ერთად მოვდივართ,
ერთი სიცოცხლით ვივსებით,
მე სიტყვა მყოფნის ლოდინად,
უფალში ვრჩები ღირსებით,
შენ კი ბოროტად აზროვნებ
სატანის ქსელურ ფიქრებით.

* * *

კარის კაკუნზე თუ არ გაგიღეს,
ანჯამებიდან ნუ აჰყრი კარებს,
თუ შენი სითბო არ გააღვივებს
მის გულში სიტყვად ჩათესილ კალებს,
თუ შენი ნახვით არ გაიხარებს,
თუ არ შემოგხვევს შენს კუთვნილ მკლავებს,
კარის კაკუნზე თუ არ გაგიღეს
ანჯამებიდან ნუ აჰყრი კარებს.

* * *

სულ სხვისი შურით , ბნელი გონებით
დახვალ ბოღმისგან ამორჩეული
და ვერ მიმხვდარხარ ეშმას მონებით
უცბად დაბერდი, დარჩი ეული.

* * *

სარცხელით უნდა გაიხეხოს შენი გონება,
რომ იმ საღვინე ქვევრებივით ამოსუფთავდე,
წუთიც არაა, რა მოკლეა ჩვენი ცხოვრება,
გადარჩენილი ჩასუნთქვიდან ამოსუნთქამდე.

* * *

ძველი ძონძივით მოისროლე სიტყვა უღირსი,
ცილისწამება, დამცირება, ლანძღვა - გინება,
რაც არ გეკუთვნის ნუ მიიღებ სხვისი წადილით
და შეიგრძენი გამარჯვების დაგვირგვინება.

* * *

ვარსკვლავად გსურდა ცაზე ყოფნა?
- მოხველ ბალახად.
კამკამა წყლობაც არ დაგცალდა,
იქეც ტალახად.
ვაჰმე რარიგად აირია ჩვენი ცხოვრება,
როგორ გართულდა ამ ყოფიდან სულის ცხონება.

* * *

მარადიულნი როდი ვართ,
ერთი წამია ცხოვრება,
ის საიდანაც მოდიხარ
კვლავ გელის სულის ცხონებად.

* * *

რატომ ვიჭრით მისთვის ვენებს,
ვინც ვერ ხვდება ვინ ვართ მართლა,
შენ მის გულში მზეს აშენებ,
ის კი ცოდვის ძაფებს ართავს.

* * *

შეურაცხყოფა ჩვევად გქცევია,
უმადურობა წესად ცნობილი,
კეთილი ბოროტს არ გაქცევია,
შებრალებია მასში ცოდვილი.

* * *

ამ გაჩერებულ დროს,
ქვებით დასეტყვილ გვამებს,
სიხარულს დარდი ძმობს,
ცრემლები მივსებს თვალებს,
რა საცოდავად თმობს
სიცოცხლეს - ციდას, მტკაველს.

* * *

ბრაზისგან გეტყვი რომ არ მიყვარხარ,
თვალებზე ცრემლი დაგადგამს ნათელს,
ტაძარში შევალ შენი გულისთვის
და ისევ შენთვის ავანთებ სანთელს.

* * *

ვეღარსად ვპოულობ სიმართლეს,
სამყარო გამხდარა ცბიერი,
თვალები ეძებენ სინათლეს,
წყვდიადის ქარია ძლიერი.

* * *

რად აგიჩემა ოხერმა,წყევლა ვინა თქვა კაცისა?
რად არ ეშინის უფლისგან თავზე დამტყდარი მეხების,
შენც ხომ მასავით შვილი ხარ, ამ მიწისა და ამ ცისა,
ვინ მისცა ნება შენს სულში ასე უხეშად შეხების.

* * *

არ უკითხია ვის გამო და რის გამო სჯიდნენ,
უსამართლობას მიიჩნევდა უფალის ნებად,
უმეცრებაში გამოწყობილ უსახურ მიზნებს
მოყვებოდა და ასრულებდა უხარისხებლად.

* * *

რა ცხოვრებაა, დაგემალე საცდურო ვერსად,
ისედაც ვიცი, შენს თვალში რომ არა ვარ არვინ,
მე უფალი მყავს ჩემი სულის უძლეველ მწყემსად,
მერე რა, თუკი შენს წინაშე დავპატარავდი.

მადონა კისკეიძე-ქორიძე

* * *

დავბერდი! დავჩაჩანაკდი
თმაში გამიჩნდა ჭაღარა,
დარდმა, ფიქრმა და წუხილმა
გული საშინლად დაღალა.
დავბერდი! სული დამძიმდა,
ვეღარ ზიდულობს სხეული,
უამრავ ხალხში ვტრიალებ და
თითქოს მაინც ვარ ეული.
დავბერდი! მაგრამ სიბერეს
ვერასდროს ვერ დავნებდები,
ვილხენ, ვიცეკვებ, ვიმღერებ,
არასდროს არ გავჩერდები!
თუ კი მუხლმა არ მიმტყუნა,
გონება შემრჩა ხალასი,
უჰ რა ამაყად გავივლი
ჩემს მონატრებულ ქალაქში!
ჩამოვუქროლებ ძველ უბნებს,
მწვანეყვავილას, ნიკიას,
ზასტავას თვალცრემლიანი,
სადაც ბედნიერს მივლია!
მერე? ავირბენ ჭომაში,
დედულეთს იქ თვალს შევავლებ,
ბოლოს საფლავებს დავივლი,
გალავნის კარებს შევაღებ.
ბავშვობის ფუძეს გავხედავ,
სახლის წინ ქვაზე დავჯდები,
წარსული თავს შემახსენებს,
მოგონებებით დავთვრები.
მერე? ჩუმი ნაბიჯით უფალო,
სამოთხის კართან დაგიცდი,
წაიღე ჩემი სულიც და
ჩემი სხეულიც დაღლილი!

ჩემო ქართველებო!

თუ ქართველებს ქართველობის
შეგვრჩა შნო და უნარი,
არასოდეს ვიქნებით
ჩვენი ქვეყნის სტუმარი!
თუ შემოგვრჩა სტუმრის მიმართ
პატივი და დიდება,
ქართველ კაცის ოჯახში
არ გაქრება ღირსება.
თუ კი ზვარში
ვაზი მტევნით დახუნძლული იქნება,
ქართველ კაცის ყანწით ხელში
სადღეგრძელოც ითქმება.
თუ ურთიერთ სიყვარულს
უფალი არ წაგვართმევს,
ვერაფერი მოგვერევა,
ვერაფერი წაგვაქცევს.
თუ დაცხრება ბოღმა..შური
და ვივარგბეთ კაცებად,
მომავალიც გაიზრდება
ნამდვილ ვაჟკაც ქართველად!
რჯულსაც თუ არ ვუღალატებთ
მტრებად თუ არ ვიქცევით,
საქართველოს მიწაზე
ბედნიერნი ვიქნებით.
აღარ მინდა ცრემლის კვალი
ეტყობოდეს ბაგესა,
ბედნიერი წლები მინდა
ქონდეს ყველა ქართველსა!
ხელი ხელს და თუ დაგვჭირდა
გულიც მივცეთ ერთმანეთს,
სული არვინ მიჰყიდოს
სატანებს და ეშმაკებს!
თუ ჩვენს გულს და სულს ავკინძავთ
გულის პირზე მძივებად,
საქართველო უქართველოდ?
არასოდეს იქნება!

ჩემს ქუთაის

ვწერ და გაქებ, ხოტბას გასხამ,
სულს ედები მალამოდ,
ჩემი სულის ნაწილი ხარ
ჩემო თბილო ქალაქო.
    სიყვარულის, ჩახუტების,
    მოფერების ალაგო,
    გაშლილ სუფრის თავკაცო და
    მასპინძელო ალალო!
გეფერები ათენიდან
მონატრებით დაღლილი
სხვაგან არსად, მხოლოდ შენთან,
არის ჩემი ადგილი!
    არ გეგონოს, რომ ეს წლები
    იყო ჩემთვის ადვილი,
    სადაც წაველ ყველგან მდევდა
    შენეული აჩრდილი.
ბაღის კიდე, თეთრი ხიდი,
წითელი და ჯაჭვიცა,
ყველაფერი მხიბლავს შენი
"ჯიგრიანი" ხალხითა.
    ბაგრატი და გელათი,
    სათაფლიის ნაკრძალი,
    უძველესი მოწამეთით
    თავს იწონებს ქალაქი.
ძველთა-ძველო სოლომონის
დავითის და თამარის,
სანაქებო საუფლო
არის ჩემი ქალაქი.
    რავქნა თუ კი მიყვარხარ და...
    მენატრები ძალიან,
    დღემდე ვნატრობ გიჟმაჟურ
    შენს გაზონებს ქარიანს.
როგორ მინდა ძველებურად
შენს ქუჩებში ცელქობა,
ქუთათური ლაღი სული იცი?
აქაც მეტყობა.
    ასაკი მაქვს არ ვარ ბავშვი
    ნოსტალგია მაწვალებს,
    ჩამოვალ და დაგიკოცნი
    წინაპართა ნაკვალევს.
მწვანეყვავილის პანთეონს
საფლავებსაც დავივლი,
ცხრამეტი წლის განშორებით
მონატრებით დაღლილი.
    რამდენი მაქვს მოსაყოლი
    ყველას გულში ვინახავ,
    ყველა ქუთათურმა იცის
    თუ რა ძლიერ მიყვარხარ!❤

* * *

წლების წინ რომ
მიგატოვე გული მტკივა,
დარდიც გამყოლია,
ვერა და ვერ დაგივიწყე ვერ შევძელი,
ჩემო მაგნოლია.

დამავიწყდი? ნუთუ მართლა
ნეტავ რად გგონია,
არც იფიქრო დაგივიწყო
ჩემო მაგნოლია.?

რომ დასცქერი
წითელ ხიდს და ადიდებულ რიონს
იცი რა მგონია?
ქუთათურის სულის სანუკვარი განძი ხარ
ჩემო მაგნოლია.
ის ვიცოდე ნეტავ ვინ გიწოდა დედოფალი
სულიც მას ჰქონია,
მართლაც დედოფალო, ქუთაისის დედავ
ჩემო მაგნოლოა.

ცრემლით ვუცქერ ფოტოს სიყვარული შენი
ჯერ არ გამქრობია,
შენზე დარდი, ფიქრი, მონატრება შენი
ათენს გამყოლია.

მეღირსება ვითომ შენი ნახვა ისევ?
რაღაც არ მგონია,
მხრებ გაშლილი დამხვდი,
ვარდისფერი ყლორტით
ჩემო მაგნოლია!

* * *

ქუთაისი ...სულის, გულის,
სიყვარულის ქალაქი,
აქ იყო და აქ იქნება,
ჩახუტების ალაგი.
კაცურ კაცის მეგობრობის,
უტყუარი სალამი,
ასეთია ჩემი ტკბილი,
გემრიელი ქალაქი.
იქ გახედეთ გორის ბორცვზე?
დგას ამაყად ბაგრატი,
ქალაქს როგორ დასცქერის,
დიდებული ამაყი.
გელათი და მოწამეთა,
სათაფლიის ნაკრძალი,
უკეთესი, უძველესი,
სად გინახავთ ქალაქი?
მწვანეყვავილის პანთეონს
თვალი ნაზად შევავლე,
უძველესი კოშკურა
ჩუმად გულში შევაქე.
განისვენებს ამ მზის გულში
სანაქებო ერია,
ვისაც თქვენ არ ახსოვხართ
საქართველოს მტერია.
საღორიის ულამაზეს
ტყეებსა და ველში,
რა ლამაზად სეირნობს
ირემი და შველი.
სუფრა? არ თქვათ უკეთესი,
არც კი ვიცი სად ვეძებო,
ხუმრობით და ლამაზად
ლექსად თქმული სადღეგრძელო.
თეთრი ხიდი ხმაურით
უერთდება წითელს,
უზიარებს ერთმანეთს
ქუთაისურ ფიქრებს.
იქ თოიძე, მიზანდარი,
იქ აკაკი, ტაბიძე,
ხელოვნების მწერლების
ვერ ვივიწყებთ ნაბიჯებს.
სადაც ამაყად და მედგრად
გემრიელი კალამით
ლექსი იწერებოდა და
ირწეოდა აკვანი.
იშხნელების ჰანგებზე
გამოზრდილო იმერელო,
მინდა დიდხანს გიცქირო
შენ ჩემო იმერეთო.
ბაღის გულში, ჭადრის ძირში
მუდამ იყო თავყრილობა,
შეიძლება კოლორიტი
წასულების დავიწყება?
მესხიშვილის ფუძის ძირო
დავითის და თამარის,
ჩემს უძველესს ქალაქს მინდა
შევუთვალო სალამი.
ცრემლით ვწერე სტრიქონები,
მონატრებულ ქალაქზე
ოი როგორ ავღელდი
ჯავრი ვიყარ კალამზე.
სულ მინდა, რომ შენზე ვწერო
არასოდეს დავნებდე,
ცხადშიაც და სიზმარშიც
სულ შენს ქუჩებს დავეძებ.
აქ შევწყვიტავ წერას თორემ
შემშლის შენზე ფიქრები,
მუდამ შენი ერთგული
ქუთათური ვიქნები.
დღესვე დავთმობ ყველაფერს
ოღონდ შენთან მამყოფა,
ათენიდან გეფერება
კოლორიტი მადონა ❤

ირმა ტყემალაძე

* * *

მიწიდან ცამდე სიყვარული
გავაზიაროთ,
ოცნების ტალღა გადავცუროთ
იმედიანად,
უსასრულობის ნაპირები
გადავიაროთ
და გარიჟრაჟზე მზე შევიპყროთ
სხივებიანად.

* * *

წამოდგა ხილვა
მიყვება ქუჩას
და მეც გავყევი
ვითარცა ლანდი,
ჩემს ფანტაზიას
ბოლო არ უჩანს
ფიქრი მაქვს ერთი,
დავძლიო დარდი.
მივყვები ხილვას...
ფეხდაფეხ მივსდევ,
მიადგა ძველ და
ნაცნობ სამარხებს,
რთულია ასე
უსიტყვოდ იდგე
იქ სადაც ადრე
თითქოს დაგმარხეს.
შემიპყრო შიშმა,
არ მყოფნის ძალა,
ვცდილობ დავბრუნდე
ხილვა არ მიშვებს,
მე რომ ლანდი ვარ
ვერ დავუმტკიცე
და გზა განვაგრძო
კვლავ მიმანიშნებს.

არ ჩანს მარტივი
ხილვა დავტოვო,
დასაბრუნებლად
არ მყოფნის ძალა,
საკუთარ განცდებს
ვეღარ ვპატრონობ
დაბნეულობა გონს
მომეძალა.
გადავიღალე..
დავნებდი თითქოს,
რადგან გავყევი
ბოლომდე მივყვე
ჩემი ლანდისგან
განა რას ითხოვს
ის სხეულისგან
მე ხომ გავრიყე,
ბოლოს, რომ ჩაქრა
სხივი სინათლის,
გულმა რომ უკლო
სხეულში ფეთქვას
მივხვდი დრო დადგა
მწარე სიმართლის
და შანსი მქონდა
ეს თავად მეთქვა.

ჩემს ყველა ცოდვას
მოვუხმე ერთად
და სიამაყის ჩავრაზე კარი,
ნეტავ რას ვიტყვი
ან როგორ ღმერთთან
ცოდვის მორევში
ყელამდე მდგარი.
სულ გამიქვავდა
მთელი სხეული,
ჩამომეშალა სულის
ფარდები,
სადღაც უცხოდ და
თანაც ეული
დრო შემიჩერდა,
ვგრძნობ რომ
ვმთავრდები.
ფერი წაერთვა ყველა სანათებს
როგორც ცოდვილი გამასამართლეს.
იყო სიკეთეც, მადლიც მცირედი
სულ ცოტა შვება თითქოს ვიგრძენი.
ახლა ცხადია ხილვის მიზნები
სიცოცხლის აზრი გვითხრას მთავარი,
დიახ ცოდვილნი ვართ და ჩვენც ვცდებით
მაგრამ სიკეთე ვთესოთ მრავალი.

* * *

გასაჭირის ჟამს ვის მივმართავთ
თხოვნა-ვედრებით?..
ვის იმედად ვართ, დახმარებას
ვის ვევედრებით?..
ცოდვებით დაღლილთ ვისი რწმენა
გვააქვს შენდობის?...
და ნებისმიერ შემთხვევაში ვის.....
ვის ვენდობით??.
რა თქმა უნდა ღმერთს, მისი რწმენა
არის მთავარი,
ღვთის სიყვარული არავისით უნდა
შევცვალოთ,
ადამიანი ვინ რას იტყვის
ის კი არ არარის,
ღმერთს რომ მოსწონდეს ის ცხოვრება
უნდა ვეცადოთ.

* * *

ლოცვა მსურდა და ტაძართან მისულს
თითქოს მთელ სხეულს ჩრდილი მიადგა,
უცხო განცდები თრგუნავდა ჩემს სულს
მივხვდი რომ მისვლა დამაგვიანდა.
სიკეთე მსურდა მიმეღო უხვად,
ნუგეში ვთესე ადამიანთა
მაგრამ აქ ყველა თავისას სწუხდა,
მივხვდი რომ მისვლა დამაგვიანდა.
სიყვარულისთვის ვიბრძოდი მუდამ,
ფიქრებს ვმართავდი სამართლიანად,
გაუცხოებულ გულს, გული სძულდა
მაინც ვიწამე ადამიანად.
სადაც ვიარე ვნახე მსგავსება
და ბოლოს რაც კი ძლიერ ვინანე,
ეს იყო დროის ვერ დაფასება
რადგან სულ ყველგან დავაგვიანე.

* * *

მთელი არსებით მებრალება
ადამიანი,
ვისაც კი გულში სიბოროტის
განცდა ჰქონია,
ვინც სხვისი წინსვლით დამინახავს
გულ-დარდიანი
და თავის თავი სხვაზე მეტი
რამით ჰგონია.
ბევრი მინახავს საკუთარ თავს
როგორ აფასებს
და ამბიცია სხვის დაჩრდილვის
როგორ ჰქონია,
მაგრამ ოხერი დრო ყველაფერს
გადააფასებს
და ვინმე დარჩეს უპასუხოდ
არამგონია.

* * *

სხვის ცოდვებს ისე მარტივად ვარჩევთ
არ გამოგვრჩება არვის ცოდვანი,
საკუთარ თვალში დირეს ვერ ვამჩნევთ
აი, რანი ვართ კაცთა მოდგმანი.

სხვის გასაჭირზე ბრძნულად ვსაუბრობთ
და გვტკივა მხოლოდ ჩვენს კართ მომდგარი
ის გვესმის, ვის რაც გვსურს რომ გავუგოთ
აი ესა ვართ კაცთა მოდგმანი.

ვშიშობ, რომ სიტყვა უკან ბრუნდება,
მაინც სხვას განვსჯით ყოვლის მცოდნავი,
აი ესაა კაცის გუნება
აი რანი ვართ კაცთა. მოდგმანი.

ნინო მოსაშვილი

ШЕН ИС ХАР!

ის მოგონება ჩაწოლილა მთებს ნისლივით,
...და სიზმარივით ახდენილო, შმაგივით გჩემობ,
თუ არა ცხადი, აქ ყველაფერს რად დასდებია,
ის მათრობელა შენი სუნი და შენი გემო?!
ყოველ ცისმარე შემოდიხარ იმ მონატრებად,
უსიხარულოდ იზლაზნება მრუმე წამები,
ასე მგონის, შენ ისა ხარ და თუ ისა ხარ,
შეგისუნთქავ და წყურვილივით დაგეწაფები ! ! !

ИЕСО!!!

ყველას გვაქვს ჩვენ, ჩვენი გოლგოთა,
ასევე საზიდი ჯვარიცა,
იმიერს რა საგზალს ვისაგზლებთ,
უფალი მისხლობით აღრიცხავს.
იქ არ ჭრის ჩინი და სტატუსი,
უფალს დაექარგე საუნჯედ,
ამიერს რისთვსაც მოგგზავნეს,
გამოცდას ზეთმენით გაუძელ !
ურცხვად ნუ მიუშვი სადავე,
დაფრინავ ღრუბლებში, სადა ხარ?!
გახსოვდეს იესოს ქმედება:
უბრალოება და სიკეთე,
იესო მოსწავლეთ ფეხს ჰბანდა ! ! !
...დაეშვი, მიწაზე დაეშვი...
აფრები დაკეცე, ,,ვსთქვიესო",
სულისთვის იზრუნე, სულისთვის,
იესოს ვემსგავსოთ, ი ე ს ო ს ! ! !

ВИТЕЛИ ВАРДЕБИ

არიალს წითელი ვარდებ გიმშვენებს,
ძოწი კრთის, შეხედე მაგ ფერთა გამაში,
სუნამო რად მინდა, ქალის მაქვს სურნელი,
სუნამოს გაგიცვლი ვარდების გამაში.
რტოს შემოხვევია ეკლები დარაჯად,
სულ მოვკრეფ, ვარდები ჩემია, ჩემია,
ვიცი, რომ ეკლები დატოვებს ნაკვალევს,
ვარდები უეკლოდ ვის მოუკრეფია?!
არც გკითხავ ჩამოვკრეფ სურვილით ნახანძრი
და დედოფალივით ამაყად ჩაგივლი...
გრძნობის ,,ლოთი" რომ ვარ, გგონია მითია?
თუ ზოგი ,,ხელის ჭუჭყს" შეასხლეტს კუპიურს,
მე კი დღეს გავხდები ,,ვარდების თაღლითი"!
თაიგულს ჩავიკრავ სურნელით გამთბარი
და არ მომწყინდება ალერსი-ფერება,
ვიცი, რომ, ვიცი, რომ ამ ვარდებს ვფიცავარ,
ყველა ვარდს შენი სურნელი ექნება...

ГАЕЦЕВА

რა უჩვეულოდ ბარდნიდა მაშინ,
სუნთქვა მეკვროდა, შემომათენდა,
შემოფეთება იყო მოსვლა და
სასოწარკვეთა ჩემი გაქცევა!
ვერ შეგელიე, ვერ დაგივიწყე,
შემომისახლდი, გაგითავისე,
ასე მგონია, გულს ამეხლიჩე,
ასე მგონია, სულში დავიჭერ!
გრგვინავდა ზეცა, ცის კაბადონი
ამგლისფერდა, რომ
ჩემს ბედს შეჰყეფოს,
უნდა ჩავრაზო სულის დარაბა,
რამეთუ არვინ შემომეფეთოს!
შემომილეწე სულის კარიბჭე,
ქვესკნელს აპობდა სარკმლის ჩაქცევა,
შემოფეთება იყო მოსვლა და
გულის გაგლეჯა-- ჩემი გაქცევა!!!

ლაბირინთს აართვი შეშლილი არტახი

მინდა, რომ ამ შეშლილ სამყაროს გავექცე,
 სადაც კი ლაბირინთს ბურუსი ჰფენია,
მაგრამ თუ აქა ხარ, აქა ხარ, აქა ხარ,
იმიერს მითხარი, იქ რა დამრჩენია?!
 დუმილი, დუმილი აყრუებს ამიერს,
 სატანა მძვინვარებს ჩვენს შორის ჩამდგარი,
 სულის ტაძარი კი მოგელის ლოცვისთვის,
 სად გაჰქრა წარსული, მითხარი, სად არის?!
დაიფშვენ ხუნდები ნაჭედი ხელებზე,
არ მინდა, უსუსურს, უმწეოს გხედავდე,
მინდა, რომ ზეციდან მესტუმრო თოვაში,
აკაფე მანძილი შენიდან ჩემამდე!...
 ...მიყვარხარ, მოგიხმობ, ზეციდან მოგიხმობ,
 ჩამოჰყე ცის კიბეს, მოგიყვანს მიწამდე,
 აქ კოცონს დაგინთებ, გრძნობებით ნაჯერებს,
 რამეთუ ზეციდან მიწამდე გიწამე!...
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!!!.

თ ე მ ი დ ა

 აჰა, წაიღეთ აწმყო საზარი,
ვისთვის ზღაპრული, საარაკევი,
ვისთვის კოშმარი, ვისთვის ნათება,
ბედნიერებით ნაარაყევი!
 გაცისკროვნდები, დღეო, ნათელო,
 ჩემთვის ბნელდები, ვისთვის ანათო?!
 არა, ჩაინთქი, მზეო, ქვესკნელში,
 და არასოდეს გამოანათო!!!
... ვინძლო აღგავოთ ეს გარემოცვა,
დამტოვეთ მარტო,
 დამტოვეთ მარტო!!!
 ... მე ვახშამი მაქვს სამხეცეში,
ჩამოდგა უქმე, როგორც ვამპირი
გავილოკავ სისხლიან ტუჩებს !!!
 არსთაგამრიგე, მომიტევე,
 შევიშალე, ასე ვხელდები!...
 მომივლინე ზეციური შენი თემიდა,
 არ მაჩვენო, არ მაჩვენო, არ მაჩვენო,
 სისხლიანი ჩემი ხელები!!!

როგორ გავიღიმო?!

როგორ გავიღიმო, თუკი მენატრება,
თუკი სუნთქვა მიჭირს უმისობით,
თუკი არასოდეს გამიმართლა,
თუკი ვიტანჯები უიღბლობით?
 როგორ გავიღიმო, როგორ გამიხარდეს,
 როგორ გავიმშრალო ეს თვალები...
 მინდა შემეფეთო თეთრი მერანვით,
 შენ კი უმოწყალოდ მემალები...
როგორ გავიღიმო,
 როგორ ავღიღინდე,
წამიც არ მაჩუქე ნეტარების,
როცა სუდარისფრად გამითენე,
როცა უსაშველოდ მენატრები ! ! !

არსთაგამრიგე!

რწმენადაცლილი ფეხშიშველი დავძრწი სანახებს,
ეშმა ხარხარებს, ამაზრზენი ეშმა ხარხარებს,
გამომიწოდე, შენი ხელი გამომიწოდე,
ეშმა მხურავს ნაღმერთევი რწმენის დარაბებს...

შემაწიე შენი თემიდა, რამეთუ ვცოდავ,
დასაბამიდან დღევანდლამდე გულით გიწამე...
მე მეშინია ჩემი თავის,
 თუ არ დამინდე...
წაიღე შენი ნაბოძები ჩემი სიცოცხლე,
და ჯოჯოხეთის კართან მ ი მ ა გ დ ე !!!
... უფალო, მომიტევე კადნიერება!!!

☆☆☆☆☆☆☆☆☆
თუ მონობაში გალიე,
შენი ,,მისჯილი" სიცოცხლე,
ზოგჯერ ერთი დღის სჯობია,
სამასი წელი სიცოცხლეს,
 არწივად ყოფნა ირჩიე,
 ყვავების ,, ყვავურ" სიცოცხლეს!!!
 რას ფიქრობ, ის თქვი,
 აკეთე, ბაგეს თუ რამე აგმოგხდა,
მდედრი ვარ, არა მჩვევია,
მამრო, ნაფურთხის ალოკვა!!!

ლია ალადაშვილი

* * *

ფიქრო, ჩემთან ხარ ყოველთვის,
თავს ხშირად დაგვთენებია,
ძილი არ ვიცით მე და შენ,
ბევრჯელ თვალს ცრემლი გვდენია.
მხოლოდ შენ იცი,რამდენჯერ ,
გულს დარდი დაუძლევია,
ოცნება ჩვენი,საერთო,
იცი მამულის მთებია,
რომ მუდამ უნდა ხარობდეს,
დედა ღვთისმშობლის ერია,
და ყველა მისი მოკეთე
ძმა, მეგობარი ბევრია...
მე უფრო მტკივა ის მხარე,
სადაცა ახლა ომია,
უფალო შენ დაიფარე
ძმა, ებრაელი,ჩვენია,
ისრაელს მშვიდობა ჰქონდეს,
გამრავლდეს მისი ფესვია,
ძმებო ერთურთით ვიხაროთ....
არ გავაცინოთ მტერია!

პოეზია

ვერასოდეს გაპატიებ რომ გაძარცვე გრძნობა ჩემი უნაზესი,
სანამ ქვეყნად ვიარსებებ მოვუყვები უფალს ამბავს, ჩემსას ვეტყვი,
თუ როგორი ორგულიბით დამჭერ გულში....
რაღას ელი?
ახლა უკვე გვიანია,პატიებას ნუღარ ელი.
აღარცა მსურს გავიხსენო ტკივილები გულის მკვლელი,
პოეზია შევიყვარე, ლექსის ბწკარებს გულით ვეტრფი!

* * *

მე ამ ღამეს ისევ თეთრად გავათენებ,
ფიქრში გართულს ამრევია გზა-ბილიკი,
შენს ძებნაში გაილია ეს ზაფხულიც,
სად გეძებო, ვერ გპოულობ, მაინც გიცდი.

გაიცრიცა სიყვარულის ნაზი ფერი,
გულიც ჩემი მოლოდინით გადაღლილი,
გზას ვერ ვხედავ გადაეკრა თვალებს ბინდი,
თუ გიხილავ სიზმრად მაინც არას ვჩივი.

მაგრამ ბედი ვით ბორბალი ბრუნავს ჩემი,
არც ხმა მესმის ნაბიჯების ,არც ვინ მიცდის,
მზე მთის წვერზე მოქცეულა, ვეღარ გხედავ,
თურმე ძლიერ მყვარებიხარ ახლ მივხვდი..

* * *

ისევ გამეხსნა ჭრილობა ძველი
არ მიამდება ,რა უნდა ვუყო?
ტკივილს მიმძაფრებს შავი ღრუბელი,
დარდებს თავისას შუაზე მიყოფს

ისედაც გული მთლად გამეთოშა,
შენ ქარო ტკივილს მიმატებ უფრო,
წავალ,შევუხსნი მაღალ ცას გულ-მკერდს...
უფლისა მადლით, გულსაც გავუთბობ,

რომ აღარასდროს აღარ დამნისლოს,
და მ ოს ვ ლა მზისა ისევ მაუწყოს,
ნერგმა იხაროს და მზემ სხივებით,
მომავალს სითბო გაუნაწილოს!

* * *

ფესვი ხარ ჩემი ,სულის საზრდო და სიხარული,
ხის ტოტი არ ვარ ,რომ მომტეხო შენი გულიდან,
არც ფოთოლი ვარ ცოტახნით რომ შემოგიფრინო
და მერე გავქრე უცაბედად შენი გულიდან.
შენ ფესვები ხარ, ფესვები ხარ, მუხისა მძლავრი
და ვეღარავინ ამოგძირკვავს ჩემი სულიდან!

ჩემი სამშობლო საქართველოა!

არ დავიღლები, არ დავეცემი,
ჩემი მიზანი არის ნათელი,
არასდროს ვიტყვი მორჩა,დამთავრდა....
სათქმელი დამრჩა კიდევ რამდენი!

არ დავიღლები, მე სიყვარულში,
დავიფერფლები როგორც სანთელი,
გზად გავიყოლებ გრძნობას უნაზესს,
რომ სცვლიდეს ღამეს მისი ნათელი.

ჩემი სამშობლო საქართველოა,
სხვაგან არ არის მხარე ამ ფერის,
ცის სილაჟვარდე ატყვევებს მნახველს,
იზიდავს ყველას ,,ხიბლავს მთა-ველით!

ჩემია, ჩემი მისი სიტურფე,
მეამაყება მისი სახელი,
საქართველოა, ყველას რომ ხიბლავს...
სვეტიცხოველი, უფლის სამშვენი!

მინდა მომავლით ვხარობდე!

როდის ყოფილა მომხვდურსა,
ვაქებდე ანდა ვეტრფოდე?
მას ვფიქრობ საქართველოს მტერს
რა გზით და როგორ დავშორდე,
მზე კი სხივებით ჩემს მამულს
მსურს მუდამ თავს დაჰნათოდეს,
დავზარდო შვილთაშვილები.....
მინდა მომავლით ვხარობდე!

* * *

მიუვალ გზებით მივყავარ ქარებს,
არ ვიცი ნეტა ხვალ სად გავათევ
და მაინც, მაინც მზე სულში მწვდება
ლაბირინთებში შენს მზერას ვარჩევ.
მოვძებნო იქნებ საფარი ღამის,
სულს იმედებით ისევ ავავსებ
ავერიდები გზებს ქარო შენსას,
გრძნობას კი ჩემსას აღარ დავამსხვრევ!

* * *

ყველაფერს უფალი ხედავს,
ამიტომ ქარი ვერ მაშინებს,
გზას მშვიდობითაც გავივლი,
უფალი ხიდს არ ჩამიტეხს,

ვგრძნობ უფალს მუდამ ჩემს გულში,
ეშმაკს კი თავსა ვარიდებ,
მე დედის სულსა ვფიცავარ,
რომ მტერს ღიმილს არ ვაღირსებ!

თავს არ დავუხრი არასდროს,
მტრის ზრახვებს ყველა გაიგებს,
ჩემი მამულის ხელმყოფელს,
მე ,არასოდეს ვადიდებ!

დედაო, ხვთისამშობელო!

ცაზე ნათობენ ვარსკვლავნი ,
ბრწყინავენ მის გულ- მკერდსაო,
ცას მზე და მთვარე შეჰხარის,
მეც მის სიყვარულს ვბედავო
ცავ, არ გაეხვე ნისლებში,
გული ძალიან ღელავსო,
გვიცავდეს ჯვარი უფლისა,
მშვიდობა იყოს ყველგანო.
დედაო ხვთისამშობელო,
მტერს სურს გაგვტეხოს ხელადო,
ვერ მოესწრება, ვერც შესძლებს.
ვფიცავ მამულის მზესაო!

ნელი ტორონჯაძე-მუჯირი

უფალო შენი შვილი ვარ

უფალო შენი შვილი ვარ
შენს კალთას დავიარები,
მოვედი უნდა ჩამოვკრა
გულით სიკეთის ზარები.
დედაოღვთისა მარიამ
შენს კალთას ვეზიარები,
არ დამიხურო უფალო
არასდროს შენი კარები.
სანთელი როცა დავანთე
უფლის ხატს თხოვნა შევბედე,
არ გამიხუნოს დღეები
მოყვარეს მრავლად ვხედავდე.
ნაღველით როცა მოვდივარ
უკან იმედით ვბრუნდები,
უფლის ერთგული ვარ მარად
წლებო ნუ გამიხუნდები.
ვილოცოთ ყველამ უფალთან
დრო დაგვიდგა თიქოს ბნელი,
ვინ მოყვარეა,ვინ მტერი
დაბნეული გვყავს დღეს ერი.
ვავედროთ ჩვენი ოჯახი
ყველას ოჯახი ვავედროთ,
ვილოცოთ მშვიდობისათვის
მსოფლიოს მშვიდობას გთხოვთ ღმერთო.

ბევრსაც ნუ დააგვიანებ

ეხლა მინდა ისევ გულში ჩაგისახლო
არ მინდა რომ ამ ჩვენს გრძნობას ხელი ახლონ,
შენ ვერ მხედავ, მანდვე ვცხოვრობ შორიახლოს
მე გიცქერ და არ მოვდივარ შენთან ახლოს.

გულით მინდა ძველი გრძნობა განვაახლოთ,
გავიხსენოთ სიყვარული...შენ თუ გახსოვს,
გამოვჩნდე და შენ ადგილი შეიცვალო
გულს რა ვუთხრა სიყვარულის გრძნობა ახსოვს.

გიცქერი და თითქოს ვხვდები ჩემზე ფიქრობ
ჰოდა თვალი გაახილე,შენს სუნთქვას ვგრძნობ,
ბევრსაც ნუ დააგვიანებ გული გდარდობს
მოდი,სიყვარულით დავთვრეთ ჩემო კარგო.

ჯერ სათქმელი ბოლომდე არ მითქვამს

მხრებზე შემოსხმული ფიქრები
გულს რომ ამჩნევია დარდად,
მინდა კარი ფრთხილად გამოვაღო
გზას გავუყვე ფიქრის გასაფანტად...

ცხოვრებაში რამდენ განსაცდელს გავუძელ,
მხოლოდ ვიცით მე და ჩემმა გულმა.
სახეს ღიმილი თუ შემომრჩენია
მინდა სიცოცხლე მაჩუქოს სულმა.

სული სხეულს არ მინდა რომ გაეყაროს
ჯერ სათქმელი ბოლომდე არ მითქვამს,
ჭირსა შიგა გამაგრება კარგად მესმის
ამიტომაც მადლს მივაგებ უფალს.

ჩემს უკან დგას ჩემი კარგი მომავალი
ღმერთმა იცის,მათი სუნთქვით ვსუნთქავ,
დარდის დაძლევაშიც სულ მეხმარებიან
მათ თავს ყოველდღე ვავედრებ უფალს.

შემოდგომა

ნელ-ნელა ფერადდება შემოდგომა
ფოთლებს დადებიათ ფერები,
ვენახიდან ეპრანჭებათ ყურძენი
დაბრაწვიათ მტევნები.

გლეხი კაცი იქვე ხის ძირას დამჯდარა
ხარობს მისი ნაჯაფით,
კოხტად შეშაც დაუჩეხავს
ალესილი ნაჯახით.

შუბლიდან ხშირად ოფლს იწმენდს
არც კი აგდებს არაფრად,
იცის შვილმომავალს მოახმარს
ყველა თავის ნაჯაფარს.

მალე რთველიც დეწყება
დაიწყება მაჭრობა,
ტკბილიკვერი,ჩურჩხელებიც
დაიწყებენ გაშრობას.

ღმერთმა ლხინში მოახმაროთ
ყველას თავის ნაშრომი,
ყველამ სოფლად გაიხაროს
შემოდგომის დადგომით.

არ მოაკლდეს ხვავ-ბარაქა
მშრომელ კაცის მარჯვენას,
რა ჯობია ბუხრის პირას
ნაოფლარით მოლხენას.

****

როგორ ლამაზად დაჰბერა დილის ნიავმა
და შემოდგომის სუსხი სახეს შემომაფინა,
ოქროსფერად მობნეულა ირგვლივ ფოთლები
ბარაქიანი შემოდგომაა ეხლა ნამდვილად.

მერცხლის ჭიკჭიკი არ გვალაღებს
გადაფრენილან,
მაგრამ გალობს შავი შაშვი ხის კენწეროდან.
ვარდს ფურცლები ჩამოშლია მიმოფანტულან
ვარდკაჭკაჭა თავს იწონებს არ გაფანტულა.

წინსაფარით დედაკაცი თონეს გარს უვლის
თონის პური ამოკრიფა სულ დატკაცულან,
იქვე ხის ძირში სუფრა ლამაზად მოუკაზმავს და
ყველი პური,ბაღჩეული უდევს ,,ქართულად"

გლეხი კაცი ორშიმოთი ჭურს დასტრიალებს,
დეგუსტატორად მეზობელი გადმოუხმია.
შენ გაგიმარჯოს ბიძაჩემო,შენი ნაჯაფით
მეზობელსაც უხვად სიტყვები დაუფქვია.

მეკი ეხლა წარმოსახვით ვიმოგზაურე
მამაჩემის კარ-მიდამოს შემოვუარე,
რამდენი რამე გავიხსენე წარსული წლების
ნოსტალგიას გვერდი მაინც ვერ ავუარე.

კვლავ დაჰბერა ნიავმა და გამომაფხიზლა,
კვლავ დამატკბო შემოდგომის ფოთოლთ შრიალმა,
ბედნიერი შემოდგომა ყველას ოჯახში
არასოდეს დაგჩენოდეთ გულზე იარა.

რამდენჯერ

 რამდენჯერ დაღონებული
დავმჯდარვარ მარტოდ წყლის პირას
ტალღები მითვალთვალებდნენ
შეიშალაო...ნამდვილად.

 ფიქრში ცრემლები მსდიოდა
რატომ? ამ გულმა ხომ იცის
რა გზები გამოვიარე
მე და ჩემმა გულმა ვიცით.

 დღეს შემართება უფრო მაქვს
გზებზე სვლაში გამოვიწვრთნე,
გული საღი რომ შემომრჩა
დიდება ამისათვის ღმერთს.

 ჩემს თავს ვატყობ დაღონება
არაფერს კარგს რომ არ მარგებს,
ხოდა უნდა გავიღიმო
ვუმკურნალო ამით დარდებს...

ეხ ცხოვრებავ

 ზოგჯერ როგორ არ მასვენებს დარდის მახრა,
ცდილობს, მაგრამ ჩემი გული მთლად ვერ დახრა.
საფეხურზე როცა თავქვე დამაქანებს
ისევ შემართებით ვიწყებ მაღლა ასვლას.

 ამ ცხოვრებამ ლამის მთამსვლელს დამამსგავსა
ზოგჯერ თოვლში კლდის ქიმზე რომ დაბრკოლდება,
ისევ ძალას მოიკრებს და ნელა-ნელა
მწვერვალს იპყრობს მისი ნატვრა ასრულდება.

 ზუსტად ასე მივუყვები ჩემს ცხოვრებას
ხან ვბრკოლდები,ხან სურვილი მისრულდება,
მაგრამ იცით?რაც არ უნდა მოვინდომოთ
ყველაფერი მაინც არის უფლის ნება.

 მთავარია სულიერად არ დავეცეთ
უნდა ჩვენც ხელი შევუწყოთ უფლის ნებას,
ყოველ დილას მხიარული შევეგებოთ
სარკმელთან რომ მზის სხივები მოგვადგება.

გაქრა ჩვენი სიყვარული

 წყლის ქაფივით ხან იყო და ხან არა,
ნაცარივით ჩაიფერფლა ჩემი გული,
რომ მეგონა ყველაფერი კარგად იყო
სწორედ,ამ დროს გაქრა ჩვენი სიყვარული.

 ნაცნობ ადგილს დავაბიჯებ ზღვის ნაპირას,
იქნებ სადმე ვპოვო შენი ნაფეხური,
 შორიახლოს დაფარფატებს თოლიები
მიბრალებენ გრძნობენ რომ ვარ
,,დატანჯული"

 განვლილ წლებზე აღარც კი მინდა ვიდარდო,
მაგრამ განა მეკითხება ჩემი გული?
ვისაც უყვარს,ის არასოდეს ივიწყებს
ამას ჰქვია ჭეშმარიტი სიყვარული.

სადაურსა სად წაიყვან ბედო

 ეხ მუჯირის გოგოებო
საიდან,სად წამოვსულვართ,
რამდენი წელი გავიდა
უკან ჩვენ აღარ წავსულვართ.

 გავიდა ახალგაზრდობა
წლები გაფრინდა ჩქარ-ჩქარა,
ამ წელში წავალთ,იმ წელში...
ფიქრებმა გული დაღალა.

 სახეს ნაოჭიც გაგვიჩნდა
თმებშიც დათოვა ჭაღარამ,
მომავალი გვყავდეს კარგად
ჩვენც დავბრუნდებით, აბა რა.

წავშალე და წავშალე

გადავწყვიტე ნაბიჯების
უკან გავყვე ნაკვალევს,
ვინც ზედმეტად მივიჩნიე
წავშალე და წავშალე.

უკან როცა გამოვბრუნდი
დამრჩა ვინც გულს ახარებს,
მადლობელი ვარ ცხოვრებავ
რამდენი რამ მასწავლე.

გეფიცებით,სიძულვილით
მე არავინ არ მძულს,
პირიქით,ვისაც გავერიდე..
ხინჯად ადევს ამ გულს.

ნაჩქარევად მეგობარი
არ უწოდოთ არავის,
მერე ნუ გაგიკვირდებად
თვალში შეყრა ნაცარის.

თუნდაც მარტო ღმერთს უყვარდე
მშვიდად გქონდეს გული,
რადგან მხოლოდ უფალშია
ნაღდი სიყვარული.

ჩემო შვილო

ოცნებებს დაგილოცავ,შენს გზას დაგილოცავ
შენს ჩანაფიქრს დაგილოცავ დედა,
არასოდეს არ მენახოს შენი გული სევდიანი
შენს სატკივარს მე ვიტკივებ დედა.

შენი სახე მოწყენილი როცა არის
მე იმ ღამით,ვერ ვიძინებ დედა,
ვიცი რა ძნელია შვილების მონატრება
გამძლეობა შენს გულს ჩემო,დედა.

არ მინდოდა შენც იგივე განგეცადა
შენს ასაკში რაც ვიგემე ბედად,
გამჩენ ღმერთს ვთხოვ,მუხლმოდრეკით ვევედრები
შვილებს მალე ჩაეხუტო დედა.

ეს ცხოვრება ძალზედ ამოუცნობია
ფეხს იქ გიდებს,რომ არ ელი დედა,
მერე ერთ შეცდომასაც არ გაპატიებს
შეცდომებზე ბევრი ვსწავლობთ დედა.

შენ შრომა არასოდეს გეზარებოდა
სწავლის დონეც არ გაკლია დედა,
სტუდენტობაც გამოცადე,ძმაკაცობაც
დღემდე მეგობრად გხედავენ დედა.

დედას გულში მზე იცინის შვილო
შენს ბაგეს თუ გაღიმებულს ვხედავ,
შენს ორს ვაჟკაცს შენგან სითბო არ აკლია
შენს სიყვარულს იფიცებენ დედა.

გვიყვარხარ და გვენატრები
წლებიც ალბათ მალე გავა დედა,
მე კი მალე სამშობლოში დავბრუნდები
ლოცვა-ლოცვით გელოდები დედა.

დასათმენი დაითმინეთ...

ბოლოს რაღაც უცნაურად იქცეოდი
მომაწყინე ამ თემაზე ჩივილი,
როცა წადი,არც კი გამკვირვებია
თუმცა გულში მაინც დარჩა ტკივილი.

დრო მოვა და ყველაფერს რომ ,,გადახარშავ"
გაგიქრება ღიმილი,
ჩემი გული ჩაწყნარებული იქნება
ეხლა შენს გულს დაეწყება ტკივილი.

გაუჩინარებას როცა გადაწყვეტთ
უგუნურისგან რჩევას ნუ მიიღებთ,
თუ დაგჭირდათ მომავლში დახმარება,
არამკითხე კარს აღარ გაგიღებთ.

სადაც არის დასათმენი,დაითმინეთ
გაუსაძლისს გაერიდეთ წამსვე,
მომთმენის დედა ყოველთვის იცინის
ასეთების სადღეგრძელოს ავწევ.

მე უშენობით

მე უშენობით,თავს ვგრძნობ ეულად
და ასე გადის წლები მრავალი,
ვერავინ ამ გულს ვერ ჩამოხედავს,
მხოლოდ შენ იყავ გულის წამალი.

ფიქრში ჩემთან ხარ,დღითა და ღამით
მგონიხარ მზე ხარ ამომავალი,
მოგონებები ცოცხლობენ ჩემში
გულში დავუდგი მყარად ,,კარავი".

სულ ვუფრთხილდები,სულ ვეფერები,
თუმცა ნაღველი არის მრავალი,
ჩუმი ღიმილიც მედება ბაგეს
რომელიც გახდა ჩემი წამალი.

სულ ახალგაზრდა მგონია თავი
მოგონებები ცოცხლობს მრავალი,
თუმც წლები მრავლად მაყრია მხრებზე
აღარც ბევრი მაქვს ალბათ სავალი...

მოგონება

ნაცნობ ბილიკებს გავყევი მარტოდ
და ძველი წლები ამოტივტივდნენ,
იქ გვირილებიც ისევ გაშლილან
დასაკრეფადაც თითქოს მიცდიდნენ.

გვირილებს მარტოდ არასდროს ვკრეფდი
მე შენთან ერთად ყოფნა მხიბლავდა,
ეხლა პირიქით,დამძიმდა გული
ნაცნობ ადგილას არც მინდა გავლა.

მას შემდეგ ბევრი წლები გავიდა
თუმც გვირილები არ იცვლებიან,
მეკი ასაკმა დამრია ხელი
გვირილის ფერი ჩემი თმებია.

ვიცი ამ ქვეყნად შენ აღარა ხარ
საფლავზე მოსვლა მე ვერ გავბედე,
გვირილის კონა გულად შევკონე
შენს სახლთან მიველ,იქვე დავტოვე.

მოგონებებში ვიხეტიალე,
არ მეგონა თუ დავღონდებოდი,
ფიქრების ტალღა უფრო აგორდა
შენ არ გელოდი,სად გამოვრბოდი...

უფალო შეგვიწყალე

მოწყენილი ვლოცულობდი
მომღიმარი წამოვედი,
გულში იმედი ჩასახლდა
სალოცავად რომ მივედი.

შევავედრე საქართველო
მისი მიწის ყველა გოჯი.
დაილოცე საქართველოვ
მოკეთით და შენი მოდგმით.

სანთლის ალზე მოვიხსენე
მიცვალებულთა სულები,
მათ დანატოვარს ვუსურვე
ბედნიერება ულევი.

ისეთი გრძნობა გამომყვა
ღვთისმშობელმა მომისმინა,
ვინც რომ ამ ჩემს გულს ახარებს
მისი ლოცვით დაულხინა.

მიაშურეთ ეკლესიას
წმინდანთ სანთელი დაუნთეთ,
რასაც გულით შევთხოვთ უფალს
შეგვისრულდება დღითი-დღე.

დააგვიანე

მომენატრე და შენს სახლთან მოველ
შუქი არ გენთო,ვთქვი რომ გეძინა,
ის იყო წამოსვლა დავაპირე
შუქი გამოჩნდა გზაზე ქვევიდან...

ვიღაც გოგოსთან ერთად მოხვედი
გაბუტულები ცალ-ცალკე თქვენთვის,
მივხვდი ის სხვა შენ რომ არ გიყვარდა
მე რად დამტოვე,ისიც არ მესმის.

გარეთ ციოდა,თან ქარი ქროდა
მეკი სიცივეს სულაც ვერ ვგრძნობდი,
სარკმელს ვუცქერდი,ცრემლი მახრჩობდა
შენც არ გეძინა,მე ამას ვგრძნობდი.

იქ გადავწყვიტე ჩემი გრძნობისთვის
უნდა დამესვა დიდი წერტილი,
ეს კი იოლი სულაც არ იყო
ხშირად ვიდოდი ვითარც შეშლილი.

დრო გადიოდა,თვალით გეძებდი
ცხოვრებაში კი ერთხელ ვერ შევხვდით,
ბოლოს გავიგე,თურმე მეძებდი
დააგვიანე...მოწმეა ღმერთი.

დაგილოცავთ

ვაზის გამფურჩქვნელს,
მტევნების დამწურავს,
ქალს ლამაზ მანდილით,
კაცს ქუდის დამხურავს.

ჭერს დაგილოცავთ და
იმ ჭერის სახურავს,
ნაჯაფარ ხელებს და
მოლხენას ქართულად.

მონაგარს დაგილოცავთ
გამოზრდილს კაცურად,
გოგონებს ლამაზებს
ნახატებს კალმურად.

მოხუცებს დაგილოცავთ
ადათით-წესებით,
ბევრი თავსაც არ გვაწყენს
სამიჯნურო ლექსებით.

მიწა-წყალს დაგილოცავთ
ფლორას და ფაუნას,
ჩავეხუტოთ ერთმანეთს
ქალურად,კაცურად.

შენ გაგიმარჯოს
მარჯვენავ ყოველო,
კაცო- კაცურო
ქალავ სიკეთის მთოველო.

მირზა ვარძუკელაშვილი

უსიყვარულოდ....

უსიყვარულოდ იცვეთენ ენებს,
ბნელი მიზნების მისაღწეველად.
თითქოს ქალისთვის თმობენ ყველაფერს,
გულ დაწინდულნი ფარისევლებად.

ო კაცთა მოდგმა სადამდე მიდის,
ენა დაჰკიდავთ შოლტის ღვედებად.
დაკეკლუცობენ მრავალფერ სიტყვით,
ცრუდ სიყვარულის მოსაფერებლად.

ამ დროს კი სულში ეხვევათ ნისლი,
თითქოს გულწრფელი ცეცხლის ენებად.
ეს სიყვარული ჰგონიათ ფიცი.
ბევრი ვერცა გრძნობს ისე ბერდება.

სიყვარულია ჯოჯეხეთს ჰგრძნობდე,
ის რომ აანთო უქრობ სანთელად.
მუდამ მუხლმოყრით ღვთისმშობელს თხოვდე,
სიცოცხლეს მის გასაუკვდავებლად...

გილოცავთ ჯვართამაღლებას ყველას..

ჩამოულოცვენ მზეს სამეუფოს...

მთვარევ ცისკარის გამღვიძებელო,
ღამე ნათევო მსახურებაში.
კეთილად მწუხრის დამმოძღვრებელო,
ახლა მზეს ველით ღვთიურ ვენახში.
    გაირინდება წუთისოფელი,
    სააღმსარებლოდ მზისთვის სათქმელად.
    ნაწყვდიადევი ცოდვის მგლოველი,
    სურს რომ აენთოს წმინდა სანთელად.
მალე გამოვა ცის ამბიონზე,
მზე სიყვარულის საქადაგებლად.
ჯვარ პატიოსანს გამოაბრძანებს,
დღის ტკივილების დასაამებლად.
    გაჩირაღდნდება ესე სამყარო,
    დღე აენთება უქრობ კანდელად.
    ჩამოულოცვენ მზეს სამეუფოს,
    და სიყვარულით ცად ამაღლდება.

არა რას ამბობთ...

მე შემოქმედი? არა რას ამბობთ,
არ მსურს ამხელა ამპარტავნება.
მე სიყვარულით მხოლოდ მას ვამბობ,
რასაც მკარნახობს უფლის განგება.
    არა ნუ იტყვით რომ ვარ პოეტი,
    ნუ შემადარებთ ნამდვილ პოეტთან.
    მე ვარ უგნური ერთი მცოდველი,
    მთხოვნელ შენდობის თვით შემოქმედთან.
ტაშს ნუ დამიკრავთ გთხოვთ არ ვარ ღირსი,
ნუ გამრევთ მხოხველს ნამდვილ ფრთოსნებთან.
ცოდვილს ბუნებით გონება მიჭრის,
ასე აღმოვჩნდი მე კალმოსნებთან.
    მე შემოქმედი? არა რას ამბობთ,
    ჩემში ნუ აღძრავთ ამპარტავნებას.
    თვით შემოქმედის წყალობით ვხარობ,
    ნიჭიც მან მანდო გასამრავლებად.
გმადლობ შენ ზეცის საჭეთმპყრობელო,
ყველაფრისათვის რაც მე მომეცა.
უმორჩილესად თქვენ კი ყველას გთხოვთ,
ნუ შემადარებთ თვით შემოქმედთან...

ხომ დამასახლებ...

შენი თვალიდან ვგრძნობ ღმერთი მიმზერს,
წყვდიადში მავალს მიფარავს მადლით.
თითქოს გაქცეულს მამა მელოდეს,
მამა გულსავსე ზეციურ სახლით.

მაგ თვალებიდან ვხედავ ცის მნათობს,
მნათობს რომელიც სავალს მინათებს.
შორს გადაკარგულს შემცივნულს მათბობს,
და სახლში მოსვლის იმედს მიმატებს.

უძღებ შვილივით ვმონობდი სოფელს,
და მივირთმევდი ღორთა სალაფავს.
მთელი ცხოვრება ტანჯვაში მყოფელს,
ვგრძნობდი მეძახდი გულით აქა ვარ.

ემაგ თვალებმა შემომაბრუნა,
მე საყვარელი მშობლის წიაღში.
მოვალ შენდობით აუცილებლად,
ხომ დამასახლებ მაგ გულ მზიანში.

მზე სიყვარულის გულიდან მოდის...

ნისლთ ნაცრემლს ვეღარ იკავებს ძონძი,
გულმკერდზე ღვარად ჩამომდის წვიმა.
მზეო ერთხელ ჩემს იმედად მოდი,
თორემ გულ ნაჭრევს ძალინ მცივა.

ვკემსავ ისევე ძველ შესამოსელს,
გარეთ კი ისევ ავდრობს და ელავს.
რა უნდა ნეტავ ამ წუთისოფელს,
სათიბ ყანასთვით სუ რატომ მცელავს.

ნუ გეშინიან გულო იცოცხლე,
უგრძნობთ არ მიგცემ არაფრით მძევლად.
სიყვარულისთვის უნდა იბრძოდე,
და ღმერთი გყავდეს თავისა მხსნელად.

ნისლთ ნაცრემლს ვეღარ იკავებს ძონძი,
მაგრამ სულს მაინც ვერ სთრგუნავს ეშმა.
მზე სიყვარულის გულიდან მოდის,
გულო იხაროს გამჩენმა შენმა...

მაშინ იცოცხლეთ...

ამ ქვეყნის გზა წვრილი ყველა,
ბოლოს სამარესთან მიდის,
იქით ხელ ვერვინ გაშალა,
არც ღრიანცელის ხმა ისმის.

მიჰყვება მხოლოდ ცრემლის ზღვა,
იმ ცრემლმაც მისი გზა იცის.
სიცოცხლე ბევრად სჯობია,
მე ასე ვფიქრობ რა ვიცი.

მაშინ იცოცხლეთ აქ მკვდრებო,
უგრძნობლად ცას ნუ განიცდით.
თორემ არავის შეინდობს,
მიწა წუთსოფლის თანრიგით.

რასაცა მხედავთ ესა ვარ...

რასაცა მხედავთ ესა ვარ,
არავის ვეპირფერები.
არც იმიტომ ვარ ვინმესთან,
რამეს გამოვრჩე ფერებით.

ამ თავსაც არვის ვაბრალებ,
ხვეწნა მუდარით ვედრებით.
თუ ვერ სცნობ გულის სიწრფელეს.
ჰა მაშინ სუფთა ხელები.

მე სამეგობროდ მოვსულვარ,
გსურს თავზე შემოგევლები.
არ გინდა? ჩემი ზეცა მაქვს,
უკვდავთა შესავედრებლით.

არასდროს მიშენებია,
გულის საფარი კედლები.
სულშიც არ მიმრავლებია,
სხვათა მწამლველი გველები.

ა ჩემი ფიქრიც წინ გიდევთ,
სიტყვა ღვთის მადიდებელი.
გსურთ გინდა? დამიმეგობრეთ,
არ იყავთ ეჭვის მძევლები...

ლია შენგელიძე

მთაში, მთიელებო!..

- მთაში რა ნახეო?- აგდებით მკითხეს...
- ბუნება, ზღაპრული ბუნება.
ნეტა იქ მაცხოვრა, დამშვიდდეს იქნებ
ბარში ნირწამხდარი გუნება...

- შენ აღარ ხუმრობო, მართლა მოგეწონა?!.
მართლა იცხოვრებდი მთაში?!.
- რაის მეხუმრება, გულზე მომეფონა!-
სიმტკიცე დამეტყო ხმაში.

- მთაც ბარის შვილია, მაღალი, ამაყი,
წყარონი მირონად დიან.
წავიდეთ, დავსახლდეთ უფალთან სულ ახლოს,
წავიდეთ, არ არის გვიან.

თორემ მარტოობა მთასაც შეაურვებს,
შეწყდება სიცოცხლის ექო.
მთაში, მთიელებო, კერა გელოდებათ,
სადაც ბუხრის ცეცხლი ენთო!..

სადღაც...

სადღაც მარტოდმყოფობის
მისტერია წამიღებს...
გული გულში დამალულ
საიდუმლოს გამიმხელს.
უკაცრიელ კუნძულზე
(თუნდაც იყოს ზამთარი),
განვერიდო ყველაფერს,
ვპოვო თავშესაფარი.
წუთით მაინც არავინ
არ გამთვალოს ავთვალით,
დავავიწყდე მეჭორეს,
სხვა მასალით ნათალი.
თვალ- გონების სამყარო
დარდებს აღარ მითვლიდეს,
სადღაც მე და ბუნება
ქორწილს ერთად ვიხდიდეთ.
ზღაპრულ სანაპიროზე
კენჭებს ვკრეფდე ფერადებს,
ქარს ღრუბლებში ეძინოს,
ზღვა რომ აღარ ღელავდეს.
სადღაც მარტოდმყოფობის
მისტერია წამიღებს...
ამ ცხოვრებით დაღლილი
სული სურვილს გამიგებს.

გული

გულს რომ გულობა ვაკმარე,
მაინც გამიწყრა წყეული,
აბობოქრდა და აღელდა,
როგორც ზღვა, გადარეული.
რა დავუშავე ასეთი,
ვეღარ ვუბრუნებ კალაპოტს,
მკერდში სათუთად ვიკრავდი,
მადლის სანაცვლოდ, მღალატობს.

გვირილები მომიტანეთ მაშინ...

ახლა ჩემში გვირილების დღეა,
თეთრ გვირილებს აჰყოლია ფიქრი,
გვირილებმა თუ იციან ნეტავ,
ჩემი გულის ჩუმი ჩანაფიქრი?..

გარეთ მზეა, გულში დარი დარობს,
ივლისურ ხვატს ემიჯნება წყარო.
გვირილები მინდა დავრგო ისევ,
გვირილები მინდა გავახარო.

როს ჩემი დრო არსებობას წაშლის,
ჩემი სული ლურჯ იალქნებს გაშლის,
ცრემლები ნუ მოგადგებათ თვალში,
გვირილები მომიტანეთ მაშინ...

...და სიტყვა მაცხოვრისია
(ქართულ ენას)

ათასწლეულთა სამჭედლოს
გარანდულ- გამოჩარხული,
ფოლადი, ნაწრთობ- ნაგემი,
ენა ქართველთა, ქართული.

ჩვენი მეობის დასტური,
ჩვენი ჯიში და გენია,
ვით ღვინო ალადასტური,
სასმელად გემრიელია.

სამყაროს კიდით- კიდემდე
სათქმელით შეაზანზარებს,
მახვილს ფარივით დახვდება,
მკვდრეთით აღსდგება ლაზარე.

ქართული ენა , ქართველთა
არსობის მიზან- მისია,
ენათა დედამშობელი
და სიტყვა მაცხოვრისია!

ბიჭმა, მე რომ მიყვარდა...

ამ გულს რით მოვერიო,
ანდა როგორ ვაამო,
გახსოვს წყარო, სამწყარო,
მე, შენ და ის საღამო.

გახსოვს ჩალიანი და
ფეხშიშველი პატარა,
გზა რომ აგვერია და
ჭყანტობებში გვატარა.

ხელში რომ აიტაცე
ერთი ციცქნა ბიჭუნა,
იმის ტიტინ- ტიტინმა
ქოხმახი რომ გვიპოვნა.

გახსოვს ის საუბარი,
მე და შენ რომ დაგვატკბო,
ფიცი - ფიცილ- ფიცილის,
დრომ ღიმილით დაგვათრო.

გახსოვს მთვარე ჭადრებში,
ღაწვზე კოცნის წამი და,
იქნებ დროთა დინებას
ისიც გაჰყვა, წავიდა.

გახსოვს ჟამი ზურმუხტის,
ცა- ფირუზისთვალება,
სიყვარული უებრო,
გიჟმაჟი და თავნება!
. . .
მახსოვს ის დღე, ის წამი,
ჩემი სულის იარად,
ბიჭმა, მე რომ მიყვარდა,
სხვასთან რომ გაიარა...

ადამიანი ქვასავით მაგრობს...

დაცარიელდა სახლი და ეზო,
დარჩა მოხუცი თავის ამარა,
ძეძვი მოედო შარას და ფერდობს,
დრომ აქ სიცოცხლე დაასამარა.

მჭკნარი ხელებით ფუსფუსებს მარტო,
სიმწრის ცრემლები უღარავს სახეს,
სტკივა და დარდობს, გარდასულთ ნატრობს,
ვაგლახ, ცხოვრებამ დაუგო მახე.

ჩაუკვირდებით, მიხვდებით და თუ
მარტოდმყოფობა არ მოგგვრით ჟრჟოლას,
ყოფიერების ვერ იგრძნობთ დასტურს:
სულში ტკივილი შხამივით ჟონავს.

დილით, რიჟრაჟზე, ხელის მოჩრდილვით,
გახედავს თავის სამყოფ- სავანეს,
ამაოების მონა- მორჩილი,
თითქოს დაეძებს თვალით სამარეს.

შორს , გორის თავთან, დარჩა გულები,
ეახლნენ უფალს მონა- მხევალნი,
ცით, უფლისაგან გადმორგულები.
ამ სახლ- კარს შერჩა ერთი მძევალი...

შრომა- კვნესაში ანაზდად გართულს,
ფიქრი წარსულზე ათოვს და ათრობს.
ადამიანი ქვასავით მაგრობს,
როდესაც რჩება სრულიად მარტო!

გარეჯული იორი

ჩავუყევი ივრის ჭალებს,
ქვაღორღიან ნაპირებს.
აქ ბუნება სიცოცხლეს და
სუნთქვას გამიაპრილებს,

გზა-გზა მხვდება ლელიანი,
შამბნარი და ჭყანტობი,
ყველა არის ჩემიანი,
ჩემი გულის ნადობი.

ბუჩქნარიდან კოწახურმა
წითლად შემომანათა,
მზერა კაკაბმა მომტაცა,
ცისაკენ აინავარდა.

დურაჯმა ფრთა შეისწორა,
თვალწინ ამიფრთხიალდა,
მაღლით შაშვმა წაიმღერა,
ჩვეულ ღვთიურხმიანად.

აქეთ-იქით თვალს შევავლებ
ბერყენას და ღვიას.
ბუნების ამ სილამაზეს
ჩემეული ჰქვია.

კალაპოტში მშვიდად, წყნარად,
როგორც სულის სიონი,
ლოცვასავით მობუტბუტებს
გარეჯული იორი.

სახედარს ცხენად ვით ვაქცევდი...

მილხინდა, დარდი არ იცისო,
თურმე ჭორაობდნენ ჩემზე,
მიჭირდა, აბა შეხედეთო,
მშვენივრად გამოდისო სხვებზე.

ღიმილს ვარიგებდი უშურველად,
მეგონა, ესმოდათ ჩემი,
დავკარგე ღიმილი და უცაბედად
ბევრმა ამიქნია ხელი.

წყალობას ვიღებდი წრფელი გულით,
(დღემდე ეს თვისება მომდევს...),
მწირ ლუკმას სხვებს ვუნაწილებდი,
მშიერი ვყოფილვარ ზოგჯერ.

- ოხრად აქვს, ეტყობა, თორემ რად ირჯება,
რას ცდილობს, ვინა სცემს თავში?!
- ბევრისგან მსმენია ამგვარი ქილიკი
და, როგორც დასჯილი ბავშვი,
ვითმენდი ტკივილებს
და სულის კივილებს ცრემლად
ვიგროვებდი თვალში.

ვცდილობდი, სხვა მეხარებინა,
ენას ვაყენებდი უკან,
სიტყვებს ვიბრუნებდი, ჩემი ნათქვამით რომ
გული არ სტკენოდა უგვანს...

თვალების პაჭუნით ერთურთს შესცქეროდნენ
უწვრთნელი ლეკვების მსგავსად,
- ეს რა თქვა, რა ჩაიდინაო?!.-
ჭკვიანად ასაღებდნენ თავსაც...

ფარისევლობდნენ და სიტყვათა თამაშით
ირგებდნენ მეგობრის ნიღბებს.
ვისმენდი მათ იწილ- ბიწილოს,
ჯანდაბას, დაოკდნენ იქნებ...

ეგონათ, ვერაფერს ვხედავდი,
ეგონათ , ვისმენდი არას,
სმენად , სახილველად ვკეტავდი
ყურს და თვალს, გონების ფარად.
ძირს ხოხვას არ იშლიდა ზოგ- ზოგი,
ღვარძლით გაწყვეტილი წელში,
ვდგამდი მათკენ ნაბიჯს მოზომილს,
არ გავსვრილიყავი მტვერში.

როს წლების სიმძიმე მხრებზე მაწევს,
როცა დამიზამთრდა სულში,
სახედარს ცხენად ვით ვაქცევდი-
ხშირად ვიმეორებ გულში.

მარინა კოლხელი

მ თ ვ ა რ ე

წუხელ მთვარე შემოიჭრა ჩემთან,
ვითარც ქალი ლამაზი და მკრთალი,
ტანზე კაბა ქარვისფერი ეცვა,
სახეს ბევრი უმშვენებდა ხალი.
მთვარეს ჩემი საიდუმლო ვუთხარ,
როგორც დობილს, გავუსწორე თვალი,
თურმე მთვარე გულგატეხილს კურნავს,
და ყოფილა ჩემი ტყუპისცალი.

ზ ღ ვ ა ს *მ ა ნ ა ნ ა ს*
(ექსპრომტად)

მშვენიერია მანანა,
არავის არ ჰგავს სხვას,
ღიმილიანი, ლამაზად
გაჰყურებს მშფოთავ ზღვას.
მგონი წვიმასაც აპირებს,
გამუქებულა ცა,
შესცქერის ზღვისა ნაპირებს,
ნეტა რას ფიქრობს რას...
მოზღვავებული ტალღები,
ამცნობს ავსა და კარგს,
ქამელეონის თვალებით,
ეალერსება ზღვას.

ო ც ნ ე ბ ა

წავალ სხაგან და იქ მოვიწყობ ბუდეს ლამაზად,
იქ ოცნებებში გამოვისხამ ოცნების ფრთებსაც,
იქ არასოდეს დავივიწყებ რომ ვთქვა თამამად,
ბედნიერი ვარ, შენ გვერდით და შენთან ერთად.
იქ დილაობით ხელგაშლილი მზის სხივს შევხვდები,
საღამოობით შევეყრები ცინცხალ მთვარესაც,
და კვლავ ოცნებით ფრინველთა გუნდს შევუერთდები,
თვალებს შევავლებ ჩემი ქვეყნის ნაწყვეტ მხარესაც.
იქ ნაღვლიანად არასოდეს გავიღიმები,
წვიმა-წყალივით უსასრულო ფრაზებს გავლექსავ.

საწუთრო

მშვენიერია საწუთრო,
ულამაზესი ფერებით
ო, ღმერთო როგორ გავუძლო,
აქ არა გვტოვებ, გვერევი.
ერთ დღეს გვიყენებ შავადა,
შლი, რაც რამ ღია ფერია,
რამდენჯერ ვხდებით ავადა,
მრავალი განსაცდელია...
რა იქნებოდა სუყველა,
რომ აქ დატოვო ქვეყნადა,
და ამ საწუთროს ულევად,
გვამყოფო ბედნიერადა.
გთხოვ მომიტევო უფალო,
საწუთრო შემყვარებია♥

ღ ი მ ი ლ ი თ

გამოვიარე ეკლის შარაგზა,
ყველა ბილიკი გამოვიარე,
იცი, რამდენი რამე გადამხდა,
მაინც ვუღიმი ადამიანებს.

და იცი რატომ არ ვიბუტები,
ასე ღირსება არ მეკარგება,
როცა ღიმილებს კვლავ ვუბრუნდები,
მშვენიერია, არ მენანება..

იგივე მინდა გაგიზიარო,
ღიმილით დატკბი, ადამიანო.

* * *

რა იცხოვრებდა ამ ქვეყნად,
რა გაუძლებდა ტკივილებს,
თუ ღვთისნიერი არსება,
გვერდით არ გედგეს, გიცდიდეს.
მადლობა უფალს, დიდება,
ბევრი გამოცდა მომიწყო,
აწი არ გამიჭირდება,
თუნდაც ზღვის ფსკერზე რომ ვიყო.
კიდევ ბევრ ტკივილს ავიტან,
სულს გამოვძერწავ მეფურად,
რადგანაც ღმერთმა მაღირსა,
აქ დაბადება ერთგულად.

მეგობრებს

ზოგჯერ თავს აჯობე ღიმილებით
კმარა ჯავრები და დარდი,
თვალებს მოუმატე ციმციმები,
გულზე დაიბნიე ვარდი.
ისე აირბინე აღმართები,
თითქოს ხარ პატარა ბავშვი,
ზოგჯერ არ უყურო სულ არავის,
თავი ასწიე და წადი.
როცა მოგადგება ეს სიბერე,
დრო ხომ დაუნდობლად გარბის,
წაიღიღინე და წაიმღერე,
მტერმაც გაიგონოს ცხადლივ.
ნახე, რა ვარდისფრად ჩანს სიცოცხლე,
თუ არ გაგეპარა დარდში,
ყური არ ათხოვო სხვების ბოდვებს,
შურით უამრავი დადის...
თავის გამხნევება უნდა შეძლო,
ზოგჯერ მზესთან ერთად ელავს,
თორემ დაინანებ, ვიცი ერთ დროს,
რომ არ დაივიწყე წყენა.

ზოგჯერ თავს აჯობე ღიმილებით,
კმარა ჯავრები და დარდი,
თვალებს მოუმატე ციმციმები,
გულზე დაიბნიე ვარდი.

ვერ გივიწყებ

გაწვიმდა და სულ გააქრო დარდის კვალი,
მზე წავიდა და სადღაც შორს დაიმალა,
მოიწია და მომეკრო ლექსის ბწკარი,
წვიმა წვიმს და მუზის მადლი მომეძალა.
სად წავიდა, ვერ ვპოულობ თბილი სიო,
სიყვარულით გულის გულში მონავარდე,
წვიმა მოდის, გაატარა ის რაც იყო,
მაშ, რად გეტრფი, ვერ გივიწყებ, მაშ აქამდე...

"უკვდავება" რომ ჰქვია

უნდა იარო ლამაზად,
მკერდს დაიბნიო ია,
თავი ასწიო ამაყად,
სანამ არ არის გვიან.
არ მოუსმინო ბოროტ ხმებს,
ყური დაუგდე ნიავს,
ვიღაცა მუდამ სისინებს,
ვიღაც გადარებს იას.
მინდვრად დაკრიფე ყვავილი,
უკვდავება რომ ჰქვია.

რა ძალიან ცხელა

(სატრფიალო)

დილაა და სადღაც მივიჩქარი,
ჩანს საავდროდ მოქუფრულა ზეცა,
ღიადა მაქვს დიდი გულის კარი,
აქ ჭექაა, ქუხილი და ელვა.

უცებ დაცხა, რა ძალიან ცხელა,
მზე ჩამოდნა, დაეღვენთა მიწას,
ვეღარ ვსუნთქავ, ნუთუ არა გჯერა?
მომენატრა გაზაფხულის წვიმა.

მოდი გითხრა, გამიტაცე სადღაც,
მონატრება ვერ გაუძლებს ამდენს,
მომეგებე სხვაზე უფრო სწრაფად,
დავუცადოთ წვიმასა და ნამქერს.

გულიკო კაპანაძე

მუზას...

არ მითანხმდები, ისე მსტუმრობ, მიტოვებ სითბოს.
მორიგ მოსვლამდე ლექსებად გწერ, სულს იმით ვითბობ.
როცა ბლაგვდება უშენობით ლექსის რითმები
მოდიხარ ისევ და მავიწყებ, რასაც ვითმენდი.
არ ვიცი როგორ, შენ მიპოვე, თუ მე მოგძებნე
ხან სევდა იყო, სიხარულიც ბევრი, ჩემს გზებზე...
მე შენი მქვია, შენ ჩემი ხარ, მუზავ სადა ხარ...
შენ ოღონდ მოდი,მე აგყვები, მუდამ მზადა ვარ.

მარტის დღე

ისეთი დღეა, გადაიძვრეს მთებმა ნისლები.
ნუში ყვავილობს, მაჯადოებს ფერი მისებრი.
მოლურჯო ცაა, ალაგ-ალაგ ღრუბელთა გროვით,
მოდის აპრილი, ტყემლის თეთრი ყვავილთა თოვით.
მზეს უხარია, სხივებს იკრებს, მიწას უგზავნის,
მიწა ფერს იცვლიას დაიბნია მწვანე უზანგი.
მალე გასკდება იასამნის კვირტი ყვავილად.
გაზაფხულია უთუოდ და ახლა ნამდვილად.

მოსვლა მინდოდა შენთან

მოსვლა მინდოდა შენთან...
თან ისე წვიმდა გუშინ.
ვიყავ დარდებთან ერთად
დღეს, გუშინ, იმის უწინ.
კოკისპირულად წვიმდა...
გული გეძებდა არსად.
ჩემთვის შენა ხარ ვინ და...
ვერ ვამბობ სიტყვას სადარს.
შენთან მინდოდა მოსვლა.
ჩემზე ტიროდა ეს ცა
ფიქრი არ მქონდა მე სხვა
არ მაშინებდა ეგ გზა.
გფარავს სიშორე, არ ხარ...
გნატრობ, არ იცი როგორ?
მუდმივად გულში მყავხარ
და შენთან ერთად ვცხოვრობ.

ისევ...

ჩემი ლექსი ისევ ისე
ძველებურად ამღერდა.
ვინც მიყვარდა, მიყვარს ისევ
კიდევ მეტად ამჯერად.
ათასჯერ და უფრო მეტჯერ
ვთქვი, რომ გადავიყვარო.
გულმა მითხრა არაერთჯერ
"კარგად ვერ ხარ შენ, ქალო".
გულია და რას ვუბრძანებ,
თავის საქმე მან იცის.
რომ დავნებდე მის დიდ ძალებს
გულს დავუდე მე ფიცი.
ჰო და, მიყვარს ჩემებურად...
მერე რა თუ არა ჩანს.
ლექსს ვაკვნესებ ძველებურად
სიმს არ ვუცვლი გულის ჩანგს.

მას...

ავკრიბავ ფიქრებს დროში მოფანტულს,
მოვაგროვებ და ლექსებად დავწერ.
ლექსებად გეტყვი: "მყავხარ ფარად გულს
გაისად, შარშან, სრულიად ამ წელს.
გადივლის ფიქრი კვლავაც სიშორეს
შეეჩეხება უამრავ ქარაფს,
გულს რაც დააჩნდა ვერ, ვერ ვიშორებ...
გიჩემებ, თუმცა სიშორე გფარავს.
ჩემს გულში დიდი სიმშვიდით სახლობ,
სულის საზრდო ხარ, გულისთვის ჩვევა.
მხარს არ მიმშვენებ, არა ხარ ახლოს,
მაინც გძებნი და მეგულვი ჩემად.

წლები...

წლები? სხეულს მოერევა მხოლოდ,
ზნე-ხასიათს რა შეგვიცვლის აბა.
გულში მაინც უნებურად ვგლოვობთ,
რომ დაგრძელდა ერთ დროს მოკლე კაბა.
წლები? ხან გვატირებს, ხან გვამღერებს,
ჭირს უნაცვლებს სიხარულს და იმედს.
შეგვაჭიდებს მთას, ზღვასა თუ ღელეს,
რასაც გვაძლევს, ვზიდავთ ჩვენაც იმდენს.
წლები? ბოლოს იქ მიგვიყვანს სადაც
ფიქრისთვისაც განვისჯებით ყველა
ზნე-ხასიათს, ყველა საქმეს ნაცადს
ვერ მიჩქმალავ, ვერ დამალავ ვერა.

შვილიშვილს...

აი, მოხვედი, ამ სამყაროს უკვე შეეხე,
და გაამდიდრე შენი ჯიში, შენი გვარის ხე.
უმანკო თვალით შემომხედე, "ბებო, როგორ ხარ?.."
მე რაღა მომკლავს, შენ მოხვედი, ახლა კარგად ვარ.
საოცრება ხარ, რა ბურთუკა და რა ჯანმრთელი.
ჯვარი გწერია, გაიზარდე კარგი ქართველი.
ამრავლოს ღმერთმა შენისთანა ლომის ბოკვრები,
რომ არვინ იყოს ჩვენი ქვეყნის მძლე და მომრევი.

სიყვარულს...

ახლა ავიღებ კალამს და
შენზე ფიქრს ლექსად ვაქცევ.
სიტყვა არ დამრჩეს ვალად და
ვთქვა ის, გითხარი რაც ვერ.
როგორც არ უნდა ვეცადო
ვერსად დაგმალავს რითმა.
სადაც ხარ, მიწად თუ ცადა
ლექსიც იმაზე ითქვა.
ზოგჯერ დღეები ღიღინებს,
ზოგჯერ უეცრად მცელავს
სიცოცხლე მაშინ მიღირს მე
ფიქრში შენ თუ ხარ მცველად
ვწერე, ვშალე თუ გავჩერდი
პატარამ, დიდმა, მერე...
ვლოცე შენს გამო გამჩენი,
ლექსიც შენს გამო ვწერე.

სიყვარულს...

გემოთ გაუჩნდი ჩემს რითმებს
ლექსი გყვირის და ვერ გითმენს.
ფიქრები ჰგვანან ა, იმ ცას
ბოლო არ უჩანს ლექსად თქმას.
თვალს ვხუჭავ, ფიქრი ბობოქრობს,
სულში ვაგროვებ საღ ოქროს.
შაქრდება, ტკბება ყოველ დღე
მიმყვება ვიცი ბოლომდე.
ცის აქით მომწონს სიცოცხლე,
არ მეყო ჯერ, რაც ვიცოცხლე.
ცის იქით თუა ედემი
ოდესმე მოვალ, შეგხვდები.
მომწონს მე დედამიწაზე
აქ შეგხვდი, გიცან, გიწამე.
როს არ ვიქნები, წავალ ცად...
სულში ჩაგტოვებ, წახვალ სად.

მიტოვებილი სახლის გამო...

სახლის პატრონი სად არის
ჟანგი რადა სჭამს ჭიშკარს.
ეზო, სამოთხის სადარი
რად გადუვსია ჭინჭარს.
სად არის ვაზის მტევნები,
ჭის სახელური რად დუმს.
სახლ-კარი გამოკეტილი
კაცის არყოფნას რად სწუხს.
ეზო სამოთხის სადარი
რად გადუვსია ჭინჭარს.
სახლის პატრონი სად არის
რატომ არ აღებს ჭიშკარს.

სვანეთში...

სვანეთს ამოველ ღრუბელო
მსურდა მენახა ახლოდან.
ვიცოდი იყო უბელო,
აქ წმინდა სული სახლობდა.
მთებს ტანად ნისლი მოუცვამს
ქუდად ყინული ახურავს.
კოშკს დასასრული არ უჩანს
ცა წარმოადგენს სახურავს
ვნახე დუცი და იფარი,
ბეჩო, წვირმი და ადიში.
გზა თითქოს ნაშენ ფიქალი,
იქვე ციცაბო, საშიში
ოქროს თასიდან მირონის
შესმა მარგუნა განგებამ.
ამ დროდან ვიყავ იმ დროის,
უფლისგან იყო ეს ნება.
ვნახე ვაჟკაცი ლომები
გვარი, გენები ქალდანი.
თეთნულდის ძირში ყოველი
იყო ძვირფასი მადანი.
წავალ, წავიღებ ამ მთების
სიამაყეს და ღირსებას.
მეც ნაწილი ვარ იმ ერის
ვერ დააჩოქეს, რომ ჯერაც.

თიბათვე კორბოულში

ცელს ძმა, მამასავით იქნევს...
შხუის ძველებურად იგი.
ნაცნობი ხედია, ისევ
გაჩნდა ჩაცელილის რიგი.
ზევით კი ბავშვობის ცაა,
ფიქრიც მისებურად მღერის.
ჰო და, მგონია საცაა...
ცელს აუფრინდება მწყერი
და ძმაც, მამის მსგავსად, მზერას
ბოლომდე მიაყოლებს მწყერს.
თავს ზემოთ მიღიმი მზე რას?
აწმყო ლექსს წარსულიდან მწერს.
ძმის შემდეგ მოცელავს ვაჩე,
მის შემდეგ იქნება სხვა.
ვლოცავ ამ ედემის გამჩენს
მიყვარს აქ ბალახიც და ქვაც.

ვარ მერე...

სად არ მოგძებნე, გიპოვე ვერსად
უმისამართოდ წასულხარ სადღაც.
არც შენ არ იცი დავდივარ მე სად..
მინდოდა მეთქვა ამბავი რაღაც.
რადგან არა ხარ, ამ ფიქრს, ამ სათქმელს
უმისამართოდ გავგზავნი, რა ვქნა.
"კარგი გამგონე უნდა კარგად მთქმელს".
ფიქრებით ვწვდები მიწიდან სხვა ცას.
არ მომეწყინა მე ხეტიალი,
გატკბილდა უფრო წუთისოფელი,
ვერც დარდი მოვკალ ოხერტიალი,
ვერც გავხდი შენი უარმყოფელი.
რაც უნდა მეთქვა ის დამავიწყდა
იცი? მიყვარხარ ასე ხმამაღლა.
ხშირად ვერ მიტევს ეს დედამიწა
ვარ მერე თავზეც და ცაზეც მაღლა.

მიყვარდა, მიყვარს!

დღემდე რა იყო თუ მკითხავ
გეტყვი, მიღირდა სიცოცხლე.
ვლოცავ ვინც ზილა ის თიხა,
რის გამოც მე აქ ვიცოცხლე.
მიღირდა, რადგან მიყვარდა,
დღემდე ვარ შეყვარებული.
მერე რა, გვერდით თუ არ მყავს,
მერე რა, ვარ მთვარეული.
დარდი რომ მქონდა, კი, მახსოვს
უცებ მოსული, მუხთალი
ფიქრით მოვგავდი დარდსაქსოვს,
მერე ძლივს ვუთხარ უარი.
დავდივარ, ვფიქრობ, სიზმრადაც
მყავს ჩემი გულისმპყრობელი.
არ ვარკვევ, მიმტრო ვინ რადა,
უხმოდ ვარ უარმყოფელი.
ხვალის შემდეგი არ ვიცი,
იქნებ არც ვიყო სამზეოს.
არ მერქვას მკვიდრი ამ ცის და
გავდგე სიცოცხლის განზეო.
ვიდრე ვარ, მიყვარს სიცოცხლე,
ვთქვი უკვე, რად და რისთვისო.
მიყვარდა, მიყვარს, ვიცოცხლე
ამ სიყვარულის ხიბლითო.

სვანეთში...

ცაც რა ახლოა და ღმერთიც ახლა,
გამქრალა ყველა ნატკენი ფიქრი.
წონა არა აქვს, სხეული გაქრა,
სული დარჩა და მთებს ზემოთ მიჰქრის.
რა ბუმბერაზი ყოფილა უშბა.
რა სიძლიერით მოჰყეფს ენგური.
ამ მთებს, სიწმინდის ნიმუშს და გუშაგს
გარეგნობა აქვს ნამდვილ მეფური.

შენ კი არა და...

შენ კი არა და...ამ ჩემს ფიქრებს მე ვუფრთხი ხშირად...
შემიჩნდებიან, გამიჩენენ დავლურს დარდების.
იმ კრიალა ცას, მე რომ მიყვარს, მიქცევენ ბინდად
მერე მორევა უნდა შევძლო, ოი, რამდენის.
სულ გავურბივარ უშენობას, მაგრამ ის თან მდევს,
მე რომ მგონია დაგივიწყე, ისევ იწყები.
იქნებ და...სადღაც ერთად ვიყავთ, ჰო, აქ მოსვლამდე
მერე განგებამ ერთად მოგვცა სიცოცხლის წლები.
რა პატარაა ცის ქვეშეთი, მე შენ მოგძებნე..
დაგისაკუთრე, მიდი სინჯე, წამართვი ფიქრი.
ჩემი გრძნობები არ დაბერდნენ და არ მოძველდნენ...
შენით სავსე ვარ, უშენობის წლები კი მიჰქრის.

ის რაც ვიცით...

რასაც ვინატრებთ სხვისთვის,
არ დააყოვნებს ჩვენთვის.
რასაც დავთესავთ, ვიმკით,
ვართ მონაგარი ღმერთის.
უკვდავი არვინ არის,
სიცოცხლე უცებ გადის.
ტრიალებს დროის ჩარხი
ადამიანო რა გჭირს.
სიყვარულს რატომ მალავ,
სიკეთეს რად არ თესავ.
მეორედ მოხვალ განა?
იხილავ კიდევ მზესა?
დღეს, დღეს გიყვარდეს, ხვალის
იქნებ და არის გვიან.
გიწევს გადახდა ვალის...
ადამიანი გქვია.

მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი

რა უსამართლოდ ნაწილდება ბედნიერება..

ფანჯრის სარკმლიდან ნაცრისფერი მოჩანს ფერები,
ღამემ მოისხა ტანზე მჭიდროდ შავი მანტია,
ცაც ისეთია უღიმღამო, არაფრისმთქმელი
და კაცთა მოდგმის ცოდვა- ბრალი სადღა არ ყრია....

დილით, რიჟრაჟზე, ჩავუარე ქაშუეთს ახლოს,
ნეტავ რა დამრჩა, გავიფიქრე მე... სათხოვარი?!..
ამ სიცივეში, თეთრი თოვლით დაფარულ ცის ქვეშ,
ყინვას ვერ გრძნობდა მხოლოდ , ლოთი და მათხოვარი...

ბედის განაჩენს შეგუებულთ, ღმერთს მინდობილნი,
მორჩილი სახით, მოლოდინში დაღლილი სულით,
მთელი დღე იცდის, რომ მიიღოს, დაკმაყოფილდეს,
ლოთი არაყით, მათხოვარი, ხმელ ლუკმა-პურით..

და თუკი დარჩათ კიდევ ხურდა ერთი სანთლისთვის?
ცივი ხელებით ღმერთს უნთებენ სანთელს ალალად,
რა უსამართლოდ ნაწილდება ბედნიერება,
ზოგს, სულ არ შია, ზოგს ერგება ლუკმა არამად..

ტაძრის შუაგულს, მუხლმოდრეკილს ვხედავ ლოცულობს,
მის გვერდით ვდგავარ ხელში სანთლით,
ღმერთო....რა გთხოვე???
ჰოო...რა მინდოდა?! მაპატიე ჩემი ცოდვები,
შენს სიახლოვეს მამყოფე და შენში დამტოვე...

სანთელ-საკმეველს ღრმად ვისუნთქავ, მინდა შევიგრძნო,
გავდივარ გარეთ, თვალით ვეძებ ლოთს და მათხოვარს,
იქ, კიბის ძირში ერთად სხედან ღვთის ანაბარად,
ლოთი არაყით, მათხოვარი ითხოვს სათხოვარს....

ქართული ვაზი..

ქართული ვაზი თვისებებით გამორჩეული,
მისი ნაჟურით, კაცი ლოცავს, შვილს და მომავალს,
თუ დაბლარია, მუხლმოდრეკით კრეფს ყურძნის მტევანს,
და თუ მაღლარი, ხელაპყრობით ლოცავს მოსავალს...

ყურძნის ნაჟური, დამაჭრებულ- დადუღებული,
თითქოს ფაქიზი, შემპარავი და თანაც მძიმე,
მზის ოჯალეში, რქაწითელი, ცოლიკოური,
ციცქა, კრახუნა, საფერავი, ღვთის საბარძიმე..

თუკი შეირგებ ზომას მისი მშვენიერების,
ბევრი, ვერ ირგებს, შიგ იხრჩობა, მაოცებს ძლიერ,
გონებას უხმე, თავი არრად გაიბეჩავო,
ცოტა მიირთვი შეგერგება მრავალჟამიერ..

კაცი ფხიზელი, დინჯი, მშვიდი, გულისხმიერი,
ზომას თუ კარგავს, ვერ მოირგებს ზრდილობის აბჯარს,
ღვინის ნაჟური ამჩატებს და თავს აკარგვინებს,
ღვინო, კაცს შვენის დარბაისელს, გონებადამჯდარს...

ეს სითხე არის ღმერთის მიერ ღვთივკურთხეული,
და თუ ვერ ირგებ, შენც ადექი, ცოტა დალიე,
ღვინობისთვეა, ადრიანი შემოდგომისა,
ყველას დაგლოცავთ, გეფერებით, მრავალჟამიერ.

შეგეფარები

დიდი ხანია გადავცილდი ბალზაკის ასაკს,
თუ დავბერდები, თუ სიკვდილმა მაინც დამინდო,
მე ვისურვებდი, შენი გულის ერთ-ერთ კუნჭულში,
სამარადისო ნავსაყუდლად, ბინა დავიდო,

შეგეფარები, როცა თმებში თეთრად დამათოვს,
და ცისარტყელა გამოჩნდება ცაზე შვიდფერი,
როცა ჩემს გვერდით, შენი ყოფნა მეიმედება,
არც მეშინია ჩემო კარგო მაშინ, სიბერის....

რომ გარიჟრაჟზე რა სჯობია აისის ფერებს,
თუმც ეს სამყარო ეგუება ჟამთაცვალებას,
ყველაფერს ვუძლებ, ვეგუები, ვემორჩილები,
ვერ ვეგუები, გარდაუვალ გარდაცვალებას...

დაუჭერიათ არწივი

მზემ დააცხუნა ჭიუხებს,
ჩანჩქერებს, კლდეზე ვარდნილებს,
არწივთა სანავარდოს და
ფოთრებს, ჯიხვებად დაზრდილებს....

მთის შვილი, ლაღი ირემი,
ფურ- ირემს დასდევნებია,
და სალამურის ჰანგებით,
მწყემსი, ცხვარს ასდევნებია...

არწივს შაუკრავს ირაო,
ჰაერში, მტვერი ავარდა,
გნოლნი, კაკაბნი შაშინდნენ,
და სადღაც, თოფი გავარდა....

გადაიხლართა ძეძვებში,
ფრთამოტეხილი არწივი,
ოღონდ, აქედან გაფრინდეს,
არც ფრთის მოტეხვას არ ჩივის,

დაუჭერიათ დაჭრილი,
არწივი, ძერა-ქორებსა,
თვალს, მაინც ვერ უსწორებენ,
იმის მრისხანე თოლებსა....

ან კი, რას გაუსწორებენ,
ცეცხლებს ყრის თვალებიდანა,
დაჭრილიც შიშის ზარსა სცემს,
ჩიტნი გამქრალან ტყიდანა...

ვაი....რა დასანანია,
სიცოცხლე, წამში კვდებოდეს,
ტყუილად დაჭრილი არწივი,
ყვავ-ყორნის ლუკმა ხდებოდეს

ლეგენდა ნაძვისხეზე

როდესაც ქრისტე იშვა ბეთლემსა,
ხეები, ყველა ბაგას ხლებიან,
უფალთან მისვლის ეს რიტუალი,
მხოლოდ ნაძვისხეს არ შეხებია.

და ჰკითხეს:-კენტად რად დგახარ ცალკე?
ბავშვისკენ არც კი გაგიხედია,
- ჩემი ჩხვლეტია წიწვების შიშით,
ახლოს მისვლა, ვერ გამიბედია...

რომ ჩავეხუტო გულში, ფერებით,
ჩემმა წიწვებმა იქნებ ატკინოს
და ამ უცოდველ, ლამაზ ანგელოზს,
თვალიდან ცრემლი უცებ ვადინო..

გაკვირვებია მამა- ღმერთს ციდან,
გული გაუთბო ნაძვისხის სითბომ,
უბრძანებია,...ამიერიდან
სიყვარულის ხეს დავარქმევ თვითონ...

თავზე, ვარსკვლავი დაუდგამს მყისვე,
ტოტებზე უხვად, ხვავი, ბარაქა,
და ჭრელა-ჭრულა ფერად გირჩებით,
თან ოცნებების მთელი ქარაგმა...

შემოხვევიან გარშემო თურმე,
გახარებულა ირგვლივ ყოველი,
მას შემდეგ, შობა-ახალწლის მოსვლას,
ყვრლა სულდგმული მასთან მოველით....

ყველას ოჯახში დგას და კაშკაშებს,
სულყველას უყვარს, მეტად პატარებს,
უზღვავ სიყვარულს, ხვავს და ბარაქას,
ყველას ოჯახში, მეკვლედ ატარებს...

ჩემი საქართველო

მინდა ვნახო საქართველო,
ნაკუწ-ნაკუწ კი არა,
ერთიანი და ძლიერი,
დაჩაგრული კი არა,
მტკივა მისი გოჯი მიწა,
მიშუშდება ძნელადო,
შენი მადლი შეგვაწიე..
ბაგრატო და გელათო.

ათას ჭირგამოვლილო,
ვერ გიშუშდება იარა,
გაგწიეს და გამოგწიეს,
მოგახვიეს ხვიარა,
სალოცავი იმდენი გვაქვს,
მისი მადლი გვეყოფა,
აცრემლებულ საქართველოს
გული, ორად ეყოფა.

დაგვიფარე მშობლიურო,
ძველო სალოცავებო,
ჩიჩხიტურო, ხაშმის ციხევ,
ალვანის მონასტრებო,
დაგვიფარე, ერთაწმინდავ,
ნინოწმინდავ, ნეკრესო,
დაქსაქსული საქართველო,
კვლავ ერთ მუშტად შეკრბესო.

ძმამ, ძმის სისხლი არ დაღვაროს,
ერთურთს ქონდეთ ნდობაო,
ვაჟკაცობით, გამტანობით,
შეიფერონ ძმობაო,
დედის გულმა გაიხაროს,
შვილთა კარგი ამბებით,
დაგვიბერდნენ ბედნიერნი,
ჭრელა-ჭრულა კაბებით.

ლოთი შიო...

გათენდა დილა სუსხიანი შემოდგომისა,
მისი გემო, მარტოსულ შიოს, სახლში ეწვია,
ერთგული მურა მიწოლილა, ბებერ ძვლებს უთბობს
და როგორ პატრონს, მურიასაც ისევე შია...

ცივა მარტოსულს, ძველი პლედი, სითბოს ვერ იჭერს,
აწი, ზამთარსაც ვერ გაუძლებს ასე იოლად,
სიცივემ დაკრა, აიძულა წამომდგარიყო,
ადე ბიჭოოო, თავს შესძახა ისევ შიოლამ...

ყელი გაუშრა, მაგიდისკენ გადაიხედა,
იქ, მხოლოდ იდო ხმელი პური, ბოთლი, სანათი,
ციოდა შიოს, კანკალებდა, წამლად უნდოდა,
„პახმელიაზე" ასი გრამი ჭიქა არაყი....

ძველი ქურთუკის საყელური წამოიწია,
ქუჩის ქვაფენილს თავდაღმართზე ქვემოთ ჩაუყვა,
ძველმა ტრამვაიმ ჩაუქროლა, ხმაურით გაცდა,
და ნაცნობ დუქნებს სათითაოდ, ფეხით აუყვა...

უკვე ისმოდა დუქნებიდან მღერა-გნიასი,
ხინკლის და არყის გაჟღენთილი სუნი დიოდა,
სულ კანკალებდა საცოდავი, ვეღარც კი გრძნობდა,
გათოშილ სხეულს ცოტა ხნის წინ, როგორ ციოდა...

– მოდი შიოლო,დაუძახეს, არ დაიშურეს,
ჭიქა არაყი მიაწოდეს, წამსვე გადაკრა,
მერე, ხინკალზე დაიწვიეს, აღარ გაჩერდა,
იმ გულკეთილ ხალხს, მათთან ჯდომა, აღარ აკადრა...

სახლში უნახავთ მეორე დღეს, „ეძინა" მშვიდად,
ჭირისუფალი ყავდა მხოლოდ მისი მურია,
ეეჰ... ვინ რა იცის რას გვიმზადებს წუთისოფელი,
ვისთვის ჭირი და ვისთვის კიდევ ....საამურია...

თვითონვე უთქვამს არაყით მთვრალს, თვალზე ცრემლებით,
ვერ გავატანო, ვერ ვაჯობებ, ვიცი ამ ზამთარს,
ბოლოს უნახავთ „ლოთი" შიო, ძველი ქურთუკით,
თავისი ფეხით მიყვებოდა...კუკიის აღმართს....

ხევსურული კაფიაობა
ქალ-ვაჟს შორის...

(ვაჟი)

ქალავ ღიმილი მაღირსე,
მზერა მაჩუქე თანაო,
მასე ცივგულა ქალშავა,
ნეტავ, რამ შამაყვარაო....

გადმო, ღიად მაქვს წინკარი,
ჩემთან იცხოვრე ქოხასა,
სარჩოც ბევრი მაქვს, ცხვარ-ძროხაც,
ერთად შავუდგეთ მოვლასა...

ყოველ ცისმარე მოგართმევ,
ახალ კარაქს და მაწონსა,
გვერდით, პატარძლად დამიჯექ,
ნუ დამაბერებ მარტოსა...

(ქალი)

– რასაა ბიჭო, რომ ამბობ,
რა თავში ვიხლი კარაქსა,
სოფელში ყოფნა მამწყინდა,
უნდა გავსთხოვდე ქალაქსა....

აღარ მსურს ცხვარ-ძროხის მოვლა,
ხინკალ ქალაქშიც ბევრია,
ჰოდა, წავალ და ვიცხოვრებ,
ჩემს ბედის წიგნში სწერია....

(ვაჟი)

– მაშ თუ ეგრეა გასთხოვდი,
არ გეხვეწები ქალაო,
მაგ მწარე ენის პატრონი,
ნეტავ რამ შამაყვარაო....

(ქალი)

– ვაი, შაგირცხვეს კაცობა,
მტკიცე მეგონე წადილში,
დიაცს, არც ვალაპარაკებ,
გავიტაცებდი შატილში...

შენ ეგაც არ შაგიძლიან
ვერც აისრულებ წადილსა,
ამიტომ, იქნებ შაეშვა,
ტყუილად თქმასა და ქადილსა...

(ვაჟი)

-- მაშ, ვაჟკაცობას მიწუნებ?
არ მსურს მეხმარა ძალაო,
მოგიტაც, შატილს წაგიყვან
შე ენამწარა ქალაო...

ნათია დაშნიანი

* * *

აწმყო კბილებით გლეჯს მონატრებას
და ფიქრებისგან შეკრულ ბალდახინს,
ქარმა ღრუბლების ფარა გადენა,
სველ ცას გადაჰკრა ჭრელი მათრახი.
უმთვარო ღამის ფარდა ეშვება,
თითქოს სამყარო დგება ყირაზე,
მე კარგად ვიცი, ვერ შეგეშვები,
თუმც კარი ბევრჯერ გადაგირაზე.
შენი ღიმილით დარდს გავიქარვებ
და სულს გავითბობ ბოლო წუთამდე,
ვიდრე ცარიელ ადგილს იკავებ
ღრმა ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე.

მამაჩემი

კარი შევაღე და შევბარბაცდი,
სული შემიხუთა კაეშანმა,
ჩემს მშობლიურ სახლში სიმარტოვეს,
ფრთები უსასრულოდ გაეშალა.
დამხვდა გადამხმარი ვენახები,
ზოგან სასიმინდე ნაუყარი,
წალდი, მამის ხელებს შენახები...
დარდი ვეღარავის გავუყავი.
თითქოს ყველაფერი სიზმარია,
ბედის გამოტანილ განაჩენით,
თვალი დახუჭა და ეკლესიის
გვერდით გადასახლდა მამაჩემი.

ღმერთო, შენ შემაძლებინე

სულს რომ ლოცვებით ვწამლობდე,
გულს ვუმაგრებდე ჯებირებს
და დაცემული წამოვდგე,
ღმერთო, შენ შემაძლებინე!
შუბლით ვასკდები ქვაფენილს,
შველას შენ შეგთხოვ ვედრებით,
არ დაგვრჩა აღარაფერი,
ღვთისმშობლის დასახვედრები.
მეც, მსგავსად ჩემი ქვეყნისა,
ცოდვის ჯვარზე ვარ გაკრული,
თუ შენი ხილვა მეღირსა,
გავიგო კარზე კაკუნი,
სულს რომ ლოცვებით ვწამლობდე,
გულს ვუმაგრებდე ჯებირებს
და დაცემული წამოვდგე,
ღმერთო, შენ შემაძლებინე.

სოფელი

ციდან თეთრი ფიფქები
ეშვებიან ცეკვით,
კვამლი ძველი ბუხრების
სველ ცას აღარ ეკვრის.
ჩაკარგულან სახლები
უხალისო დროში,
ერთი ბავშვიც არ გარბის
გაუკვალავ თოვლში.
გზა-შარა თუ ორღობე
მკვდარ სიჩუმეს ირგებს
და ულპებათ ფიცრები
მიტოვებულ ციგებს.
ხეებს, ხეთა ბერმუხებს,
უცხოები ჭრიან,
ბეღურები უფრთხიან
დარაბების ჭრიალს.
თუმცა სოფელს ზამთარი
მდუმარებით მოსავს,
მაინც მოაქვს იმედი
ახალი წლის მოსვლას.

იზოლდა მოშიაშვილი

პაატა იოსებაშვილს

ადამიანის ზნეს და ხასიათს,
ბუნება ქმნისო, არის ნათქვამი.
მინდა გიწოდო "კაცი ლეგენდა",
რადგან ეს არის სრულად მართალი.
არ გავიწყდება ზღაპრული მხარე,
ახალგაზრდობის ლამაზი წლები,
მიწის სურნელი, დედის "ნანინა,"
სიზმრად ნახული, მთები და ზღვები.
სამშობლო მიწის გესმის ღაღადი,
ბეთამიკდაშის, ცრემლით ნაბანის,
ფუძე ძლიერი შენ აქ შეჰქმენი,
სამშობლო შენი მხოლოდ აქ არის.
სულით ძლიერო, სიტყვა მართალო,
კაცთმოყვარე და დაუღალავი,
ყოველი საქმე შენით ნაკეთი,
შუქია მომავლის დაუფარავი.
ორ სამშობლოსთვის იღწვი, იხარი,
რომ მეგობრობას დაუდგა ძეგლი,
სიყვარულისთვის ჩუქნი სიყვარულს,
რომც გზანი იყოს სავალი ძნელი.
თუმც კი იცვლება ირგვლივ ყოველი,
წუთისოფელსაც აქვს კანონები,
შენით დარგულ ხეს წყალს აპკურებენ,
გზას იკაფავენ სხვა თაობები.

მშვიდობა გვინდა

მაღლა, შორეთში მზე ჩაესვენა,
ცამაც გადიკრა შავი ღრუბელი,
და ბოროტებამ კვლავ იზეიმა,
რომ ააკვნესა დედა მშობელი.

მუსიკის ჰანგებს სცვლიდა გოდება,
და ბობოქრობდნენ ავი სულები,
სულ გამქრალიყო რწმენა, ღვთის შიში,
ეწირებოდნენ ძუძუმწოვრები.

მათ ულმობლობამ წითლად შეღება,
მიწა, მდელო და სახლის კედლები,
ბოროტებამ კი შთანთქა ყოველი,
ძე ხორციელი, ირგვლივ მყოფელი.

შიშით თენდება ყოველი დილა,
ზეცის ნამს ერთვის დედის ცრემლები,
ხელებ გაშლილი, ლოცვად ქცეული,
ღმერთს შველას შესთხოვს, ჩუმად, ვიდრებით.

ღმერთო ისმინე ლოცვა-ვედრება,
გვაკმარე ტანჯვა და ცრემლთა დენა,
მოგვეც ცხოვრება ყველას ნანატრი,
შენ დაგვიბრუნე ქვეყნად მშვიდობა.

და ამ მშვიდობას ეწირებიან,
სამშობლოსათვის თავდადებულნი,
მათი სახელის უკვდავსაყოფად,
მარად ენთება, წმინდა სანთელი.

წუთისოფელი ასეა

ირგვლივ ყვავის ყოველი,
სჩქეფს სიცოცხლის ფერები,
მარტოდ სივრცეს გავცქერი,
წარსულს კვლავ ვეფერები.
        სადაურმა სად დავიდე ბინა,
        იქ, შორეთში ფიქრით დავეხეტები,
        მაგონდება უდარდელი ბავშვობა,
        იქ განვლილი ის ლამაზი წლები.
გაზაფხული ზაფხული
ბობოქარი ტალღები,
წლები ისე მიჰქროდნენ,
არ ვიყავი დამთვლელი.
        ბედმა გვითხრა სათქმელი,
        აფრიალდა ირგვლივ თეთრი აფრები,
        ვეზიარეთ მიწას ღმერთის ნაკურთხს,
        ავიხდინეთ ჩვენს წინაპართ ნატვრები.
და ცხოვრების სავალ გზაზე,
ვკრიფე ბევრჯერ ვარდები,
მაგრამ ზოგჯერ ეკალმაც,
გულს დასტოვა დარდები.
        წუთისოფლს ვერ გაუგებს ვერავინ,
        სად და როდის იხურება კარები,
        ნეტავი მას ვინც სიძულვილს უმტრო,
        სიყვარულს კი ვრცლად გაუღო კარები.
ჩვენ ცხოვრების ვითვით ბოლო აკორდებს,
ამ ქვეყანას ვერვინ შევაბერდებით,
რაც ვაკეთეთ უკვალოდ არ გაქრება,
და გადივლის ვით ლამაზი კადრები.
        ბედმა ფართოდ გამიღო,
        სულიერი სარკმელი,
        დედადა მყავს ისრაელი,
        საქართველო გამზრდელი.

საქართველოს

საქართველო, მხარე ზღაპრად ქცეულო,
მოხატულო ნაირ-ნაირ ფერებით,
საოცნებო, მონატრების სურვილით,
შორეთიდან მე კვლავ მოგეფერები.
        დაგილოცავ ფუძეს ქართველ კაცის,
        ცას უღრუბლოს, ნათელსა და მზიანი,
        მსურს მარადის ჟღერდეს შენი დიდება,
        და გხედავდეთ მხრებგაშლილს და მთლიანს.
დაგილოცავ წარსულს, აწმყოს, მომავალს,
გმირთა სულებს სამშობლოსთვის ზიარს,
დაგილოცავ ხალხთა შორის სიყვარულს,
მასპინძლობას შენებრ ბარაქიანს.

მონატრება

აკვნესებული გული,
და განდიდება სულის,
იფერფლებოდა მზე და
იდგა საწყისი მწუხრის.
        ქარიც ზუზუნით ქროდა,
        ცდილობს მოყოლას ამბის,
        კარ-ფანჯრებს ელამუნება,
        მიტოვებული სახლის,
მბჟუტავი შუქი სანთლის,
ეფინებოდა ირგვლივ,
და ამავ სანთლის შუქზე,
იკვეთებოდა ლანდი.
        რამდენი გულის ტკივილი,
        სევდის მომგვრელი ღამე,
        რამდენი თქმული, ბევრიც უთქმელი
        სულის ჩივილად ვსახე.
მზის სხივებმა ამოქარგა,
ცაზე შენი სახე,
ეს სურათი მონატრების,
ღამე სიზმრად ვნახე.

ვერიკო პარწიკანაშვილი

მამისეული სახლი

იქ, მამისეულ სახლში,
მოგონებები ცხოვრობს,
მამისეული სახლის,
კერა თბილია ჯერაც,
იქ, მამისეულ სახლში,
ზღაპრები ისევ ცოცხლობს,
იქ სითბოა და რწმენა,
 მე იქ, სიზმრების მჯერა!
ჩემი ბავშვობა ამ სახლს,
ქედს მოწიწებით უხრის,
იქ, იმ ეზოში გავლა,
ჩემთვის, სიცოცხლეს უდრის!
და შენც, ქვესკნელის ქარო,
ამოზესკნელდი, გაქრი,
ვიცი, მე ვიდრე მოვალ,
შენ მოგონებებს წაშლი!
ღმერთო, აფარე ფარი,
ღმერთო, მოიღე მადლი,
რომ თბილი იყოს მუდამ
მამისეული სახლი!
რომ არასოდეს ჩაქრეს
იქ, სიცოცხლე და კერა,
იქ ხომ, ბავშვობა ცხოვრობს,
მე, იქ, ზღაპრების მჯერა!

*****

უფალო, შენ-ჩემი ყოველთვის გესმოდა,
ღამეებს მითევდი, მაშორე დარდები,
ალბათ, შემიწყალებერთ ცოდვილს, მაშინაც,
როცა შენს წინაშე, სამსჯავროდ
წარვსდგები!
უფალო, ვიცი, რომ არ ვარ ანგელოზი,
მაგრამ ჩემებურად,
გულ-წრფელად-გიწამე,
ცხოვრებას ნამუსი ისე-წარხოცვია,
აღარც ღირს სიცოცხლე,
ამ ცოდვილ მიწაზე!
უფალო, ეკლიან-გზაზე მეც მივლია,
უკან მოვიტოვე, რამდენი აღმართი,
რამდენი შავ-თეთრი დღე-გამომივლია,
იყო სიმარტოვეც, დარდიც და კამათიც!
მაგრამ ნათლის სვეტად,
ელვარე დღეებიც,
შენ რომ მისახსოვრე, მქონია-უდავოდ
და იმ სხივებისთვის, შვილები რომ ჰქვია,
მადლობა-უღრმესი, მადლობა-უფალო!
ჩემი ხელ-ფეხი და ჩემი თვალის-ჩინი,
ახდენილ-სიზმრებად,
გულში რომ ჰყვავიან,
ჩემი შვილებია ჩემი - ყავარჯნები,
ამისთვის მადლობა, დედაო-მარიამ!
მუდამ-ჩემეულად,
გულ-წრფელად-ვლოცულობ
და გულის-გულიდან უსიტყვოდ გადიდებ,
იქნებ, მაპატიო, თუ-კი-რამ-შევცოდე
და-ვით-იმსახურებ, ისე ვერ გადიდე!
უფალო, შენ ჩემი გული და სული ხარ,
ფიქრი-ხარ, ზე-ციდან ნამღერი-არია,
ვიცი, რომ ნამდვილად არ ვარ ანგელოზი,
კალთა დამაფარე, დედაო-მარიამ!

ბალადა საქართველოს

„პატარა კახის", ლანდი დადის,
ახლაც თელავში,
ყველგან რომ ტოვებს ნაცნობ სუსხს და
ნაცნობ ნატერფალს,
ერთი „ერეკლე" მთელს თელავს და
კახეთს ეყოფა,
საამაყოდ და გაღვივებულ
გულში-ნაპერწკლად!
პატარძეული რომ ამაყობს
„გოგლას" შვილობით,
დგას შემართებით და ამაყად, თავ-აწეული,
ჭყვიშთან რიონი პირს რომ შეჰკრავს
და აყვირდება,
„განა, ვინმეს ჰყავს,
საკუთარი გალაკტიონი?
იქ, წინანდალი, ალიონზე
მზეს რომ შეჰხარის
და სიძველეებს რომ დარაჯობს საუკუნეთა,
ეკატერინე, ნინო ვის ყავს ,ჩვენებრ ლამაზი,
ახლა, ყველა და ყველაფერი გაუფერულდა!
გზად, წიწამურთან, დაჩოქილან
ხეთა ჩრდილები,
არვის ეგონოს, ის ტკივილი გადავლილია,
დღეს, მის საფლავთან, დარცხვენილი დგას
საქართველო
და ბევრ „ცოცხალ ლეშს",
გვირჩევნია მკვდარი ილია!
მთებში – მწვერვალებს რომ ჩაუცვამთ
ნისლის ჩოხები,
აუტაციათ ცამდე, ყველა აზრი თუ ფრაზა,
არა მარტო ფშავს, მთელს ჩვენს მოდგმას
ეამაყება,
ერთი ალუდა, „ხევისბერი" და ერთი ვაჟა!
თავ-აწეული, ისევ ისე, ამაყად მდგარი,
მიწიდან-ცამდე რომ იღვრება,
მზედ და ფიქრებად,
ქართლს, მხოლოდ ერთი,
„ჯუღაშვილის" გვარი ეყოფა,
მტერთა-რისხვად და
„არწივების" არ-დავიწყებად!
და აღარ ვიცი,ჩამოვთვალო რომელი-ერთი,
შენ, საქართველოვ,
არასოდეს გაკლდა გმირები,
ჩვენ კი, სამშობლოს დროშა უნდა გვეჭიროს
მაღლა
და მათ საფლავთან,
ვიჩოქებდეთ თავ-დახრილები!
ახლა, ჩვენს ცაზე, არწივები დანავარდობენ,
(წიგნის კალთაზე გავაკეთებ
მცირე მინაწერს),
აბა, ვისა ჰყავს ,, თამარ-მეფე" მეორე სადმე,
„ვეფხისტყაოსანს",შოთას გარდა,
აბა ვინ დაწერს?
აქ, ,კლდის ვეფხვების" საუფლოში
ძრწოდა სიკვდილი,
ასეთ გულიან გამარჯობას, არსად გეტყვიან
და განა მარტო საქართველო?
მარტო სვანეთი?
მთელი მსოფლიო ქედს უხრიდა
მიშა ხერგიანს!
ჩვენს გარდა ვის ჰყავს გმირი ცოტნე,
გმირი დემეტრე,
აქ, ისტორიას სისხლით წერდა ერი ამაყი,
სად გაგიგიათ გორგასალი, ქვეყნად მეორე,
ან იაკობი,ან დავითი,ან-და აკაკი!
ასე, ცალ-ცალკე, სულთან ახლოს,
წლების მანძილზე,
ჩვენ, მისხალ-მისხალ ვაგროვებდით
ციურ ვარსკვლავებს
და დღეს, გულდაგულ შეგროვილი
ეს ვარსკვლავები,
საქართველოსთვის, წარმოადგენს
თანავარსკვლავედს!
ახლა, მე შენი მოფერება, ისე მომინდა,
ჩემო ტანჯულო საქართველოვ,
ტკბილო ყველაზე,
მინდა, რომ მხოლოდ შენ გიმღერდეს
მთელი სამყარო
და შენი ქება გაისმოდეს ყველა ენაზე!

******

სულში შემოდიან, ფიქრები სექტემბრის,
მერე, ეშვებიან ზეციდან მიწაზე,
მე და შენ, ამ ქვეყნად, იმიტომ მოვედით,
რომ ერთად გვეცხოვრა აქ, დედამიწაზე!
სხეული დაიპყრეს ცივმა ღამეებმა,
ოცნებებს, მე ისევ ფიქრებში ვინახავ,
უფრთო ანგელოზად, ჩემთვის რომ მოხვედი,
არ ვიცი საიდან,არ ვიცი ვინა ხარ!
სექტემბრის ღამეებს ეწყებათ კანკალი,
სხივებს გარდატეხავს კლდე ნისლებიანი,
ღმერთმა, ჩვენ ერთმანეთს იმიტომ შეგვყარა,
ცხოვრების ყველა დღე, გვქონოდა მზიანი!
სულში ჩირაღდნები, იებად იწვიან,
სექტემბრის ღამეებს ეწყებათ ციება
და-თუ სიყვარული, ვერავის დავუთმეთ,
ნუ დაგვემდურებით, ეს გვეპატიება!

*****

სად სუნთქავდა „შოთა", თუ არ გაგიგია
და „იყალთოს" - მტვერი, თუ არ გისუნთქია,
თუ არ მოილოცე „გელათი" და „ჯვარი",
„სვეტიცხოვლის" - სვეტებს, თუ არ შეეკარი!
არ გინახავს თუ-კი, „ნიკორწმინდის"-ყელი,
„შუა-მთის" -გზას-დილით, თუ არ შეუყევი!
„კვეტერა"რომ დილით, ცის-ლაჟვარდში-ქრება,
თუ არ გინახავს და თუ არ გესიზმრება!
თუ-არ-აგებ-პატივს „ჩარგალსა" და „სხვიტორს",
ნუ იტყვი, რომ შენ-შენს საქართველოს იცნობ!
„ჭყვიშთან", მღვრიე „რიონს", თუ არ სთხოვე-ფიცი,
როგორ დავიჯერო, სიყვარული-იცი!
„აფხაზეთზე", გული თუ არასდროს გწყდება,
თუ არ გააჭენე, ის, „ცხენები ლურჯა",
მისი გულის - ფეთქვა თუ არ შეისმინე,
მისმა სიყვარულმა, თუ არ დაგამუნჯა!
მისთვის, თუ არ გითქვამს, თუნდაც, ერთი ლექსი,
შენში, თუ არ ცხოვრობს, შენი-წილი-ღმერთი!
მისმა სიყვარულმა, თუ არ გაგაბრუა,
არ თქვა, საქართველო, შენი სამშობლოა!

****

ასეთი ლამაზი თუ რამე გინახავთ,
მატყვევებს ცის თაღის
გუმბათთან ტრფიალი,
დამისხით ეს ღვინო,
ვსვამ და ვერა ვთვრები,
ჩემი საქართველოს
ტყეების შრიალით!
ვსვამ ჩემი სამშობლოს
სიყვარულს წვეთ-წვეთად,
ხან პეშვით, ხან დოქით,
თასით თუ ფიალით,
დამისხით ეს ღვინო,
დამათროს იქნება,
იქნებ მომერიოს
ეს ოხერ-ტიალი!

*****

ჩემო გამჭვირვალე გოგო,
ჩემო სიფრიფანა მტრედო,
შენზე შევეჩვიე ფიქრებს,
შენი სიყვარული მერგო!
გულში, გადალეწილ გრძნობებს,
ცრემლი, გვირგვინივით შვენის,
მხოლოდ შენი სუნთქვა მათბობს,
შენი სიყვარული მშველის!
ეს გაუსაძლისი ყოფა,
ზურგზე მოკიდული ტვირთით,
ცდილობს, დაეწიოს დროს და
წუთებს გამალებით ითვლის!
ჩემო სიფრიფანა გოგო,
მკერდში ჩატეულო სუნთქვად,
ჩემთვის სიცოცხლეზე მეტი,
იყავ, ხარ, იქნები მუდამ!
სულში, ჩაუქრობელ სანთლად,
ვისი ღიმილებიც მენთო,
ჩემი სიყვარული დიდი,
ფრთებით დაიფარე ღმერთო!

****

გვირილის ფურცლებს მიგიგავს,
სიცოცხლე ადამიანო,
შენი ფიქრია ცხოვრების,
მავანნი რას იტყვიანო!
სწორედ აქ ვცდებით,
არ ვცხოვრობთ ისე, როგორაც გვწადია,
სხვისი ცხოვრებით ვპურადობთ,
რამდენი წელიწადია!
სიკვდილს - „მოსაცდელ დარბაზში",
ვუცდით და წარსულს გავყურებთ,
„იქ", არვის-არას ატანენ,
არც ბეჭდებს, არცა საყურეს!
მხოლოდ „კაცობას" ითვლიან,
რამდენი ვკვებეთ, ვაპურეთ
და სწორედ იმას გვიზღავენ,
როგორაც დავიმსახურეთ!
გვეცლება წლები, ხუნდება
მზის-ფრად ნაქსოვი მანტია,
წლებს ვიცლით იმ ფურცლებივით,
გვირილას, ტანს რომ არტყია!
გვირილას: უყვარს, არ უყვარს,
ჩვენ-კი: ვრჩებით ან არ ვრჩებით,
თუმცა, გვატყუებს გვირილაც,
ვიცით, აქ არვინ დავრჩებით!
სულ ერთი წუთის სავალი,
არის მიწიდან-ზეცამდე,
ასე ივსება საწუთრო,
კარგით და ცუდით ყელამდე!
ზე-ცას კი, ზარით, ზეიმით,
დაგვახვედრებენ სასწორებს,
აგვიწონიან მისხლებად,
რაც ჩვენს სულს აწონასწორებს!
„იქ", ვეღარავინ გვიშველის,
ძირს დავხრით თავებს „ნაწონებს",
მაგრამ გვიანი იქნება,
ვერაფერს გამოვასწორებთ!
თუმცა, სიკვდილსაც „ამშვენებს",
დადებითი-რამ-მცირედა,
ჩავთვალოთ, ქვეყნად ვიცხოვრეთ,
თუ ვინმე ავატირეთა!
მაგრამ ჩვენ,ერთი გვადარდებს,
მავანნი რას იტყვიანო,
გახსოვდეს, ერთხელ გეძლევა,
სიცოცხლე, ადამიანო!

მორყეული საძირკველი მტკივა

მორყეული საძირკველი მტკივა
და მერცხლების ჩამოშლილი ბუდე,
ქაფ-მორეულ ღრუბლებს როგორ სცივათ,
ალბათ მათაც მარტოობა უტევთ!
სულ გამხმარა ხეხილი და ტევრი,
ვაზიც მართლა ობოლივით ტირის,
გასჩენია მიწას დარდი დიდი,
სულშიც, სევდის ჩირაღდნები ღვივის!
დაკარგული აფხაზეთი მტკივა,
ენგურს იქით, ხმას რომ ვაწვდენ ვერვის,
უქართველო სამაჩაბლო მტკივა
და მკლავს ფიქრი, რა იქნება მერმისს?
მტკივა ,, ოშკი", მტკივა ჩემი ,, ბანა",
ჭრილობებს რომ ვერ იშუშებს ჯერაც,
დაკეტილი, ყველა კარი მტკივა
და თვალების, სხივ-ჩამქრალი მზერა!
აქ გაზაფხულს ჩაუცვია თალხი,
ტირის მარტოდ დარჩენილი ოდა,
როგორ მიყვარს, ეს ალალი ხალხი,
ვინც აქ დარჩა და სოფელზე შფოთავს!
გრილ ამინდებს, ზაფხულები შეცვლის,
შემოდგომებს, ფანტელების თოვა,
შინ დაბრუნდით, გევედრებით, თორემ
,, გაზაფხული" აქ, არასდროს მოვა!
მარტო-სახლებს ნახეთ, როგორ უჭირთ,
ნატაძრალნიც, მარტოობენ უკვე,
მორყეული საძირკველი მტკივა
და მერცხლების ჩამოშლილი ბუდე!

Მ******

ღიმილს ავიფარებ ტუჩებზე ხანდახან,
ღიმილით დავმალავ უჩუმარ ტკივილებს,
თვალებს ცრემლიანსაც
ვიწმენდავ ჩუმ-ჩუმად,
ქარებს გავაყოლებ სულიერ კივილებს!
ბრაილის შრიფტივით მოგძებნი ღამეში,
კვლავ ხელის ცეცებით
შეგიგრძნობ, გიჩემებ,
ნისლები არიას უმღერენ ალიონს,
ჩვენ კი, ავივსებით,, პირთამდე" ისევე!
და ზურმუხტის-ფერი თვალების ჩეროში,
ღიმილებს დავმალავ,
ვუწამლებ ტკივილებს,
გიშრისფერ თმებში კი,
ჩუმად და მოპარვით,
ჩაგაწნავ ზურგს-უკან
დამალულ გვირილებს!
დღეს, ისე შორსაა ცის ლურჯი ნაპირი,
შესცივდათ ტალღებს და
მზეს უწვდის ზღვა-ხელებს,
დავდივარ წვიმაში და ხელის ცეცებით,
შენს თმებს ვეფერები,
წვიმა რომ ასველებს!
ბოლავს ცის-კიდური,
ნათდება მზის ფერად,
მთებს ისევ სძინავთ და
სიჩუმე მახელებს,
ბრაილის შრიფტივით
მოვძებნი შენს თითებს,
როცა განთიადი მზეს ამოახველებს!

*****

მოდით, სული სამზეოზე გავიტანოთ,
ჯამში ჩასხმულ ღვინოს გადავაყოლოთ,
ალალ სიტყვას,
გულის სითბოც მოვაყოლოთ,
ყოველ სუნთქვას, ლოცვა ამოვაყოლოთ!
მოდით გული, გულის წილად გავიმეტოთ,
ამდენ ცოდვებს ვეღარ იტევს სამყარო,
სიყვარული, სიყვარული დავიბედოთ,
ზავი დავდოთ, იარაღი დავყაროთ!
შევაჩეროთ დრო ეგება დარჩენილი,
სიყვარული ნამცეცებად მოვიმკოთ,
წლების უკან, ჩვენს ღირსებად შერჩენილი,
ახლა მკვდარი საქართველო მოვიხმოთ!
მინდა გულში, სიყვარული ჩავისახლოთ,
არაფერი არ გამოვა კამათით,
ის ამაყი საქართველო დავიბრუნოთ,
ღირსებები წვეთ-წვეთად რომ წავართვით!
იცით, ყველას დასაცინი რატომ გავხდით,
ჩვენი ყოფა, ყველამ რატომ გაქექა?
იმიტომ, რომ ძმასთან,
ლოცვად უნდა გვევლო,
არა სამტროდ და ვაზების საჩეხად!
ხოდა, სული სამზეოზე გადავფინოთ,
ქვაზე მადლი, ავაყვავოდ იებად,
შევაჩეროთ დრო, ეგება დარჩენილი,
თორემ მეტი, აღარ გვეპატიება!

ტიტე მოსია

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 70-ზე მეტი სამეცნიერო წიგნის ავტორი, ნახეთ რას სწერს, 40 წლის წინ გარდაცვლილ ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაზე.

*

ვინც გარდაცვლილს პატივს სცემს, მას უფალი სიცოცხლეშივე უკვდავს გახდის

(ცისკარელი)

*

ბეჟან ხარაიშვილის ხატება

ჭალვანიდან მოვარდნილო ქარო,
ხვანის მთაზე დაფენილი ნისლო,
ძირულის პირს მოპრიალო დარო,
პოეზიის გულ-ღვირძლო და სისხლო.

ხვანის მთიდან გადმოსული მთვარე,
სიმინდებში ჩანამგნულა ხვნეშით,
შენი ლექსის ყვავილები რთავენ,
ჩვენი სულის კარ-მიდამოს ეშხით.

წყობილსიტყვის რა მოსავალს ვიმკით,
მის ღირსებას რა თაყვანი ვეცით,
შეუჩერე მაჯისცემა სიკვდილს,
სიტყვის ძალით,– ბინადარო ზეცის.

საწუთრმან უფრო გირტყა, გჟეჟა,
გიღერებდა ცხვირწინ დანას ლესილს,
საიქიოს კი არ დარჩი, ბეჟან!
დაგვიბრუნდი სახელით და ლექსით.

ახლა ხშირად ენატრები თბილისს,
ხევსურეთსა, ფშავეთსა და თუშეთს,
მზე აცხუნებს შენი მუზის ივლისს,
სხივებს გვაფენს გაუხუნარს, უშრეტს.

ხდის ხეობამ გაგატანა ჩანთით,
უკაცრიელ ადგილების სევდა,
სვანეთში კი რა ამაყი ჩანდი,
ჩვენს ერეკლე საღლიანთან ერთად.

ესიზმრები კვლავ ბეწინას წისქვილს,
კოდის წყალთან ხურჯინს წყალთან ავსებ,
სამშობლოა მწვანე ხეთა იქით...
პოეზია იწყებოდა ასე.

ვაჟას მთაში გინატრია მარხვა,
განედულება ხმელი წიფლის ფესვის,
ხვანის მთიდან ციურ გზებით დახვალ,
სამარესაც ამზიანებ ლექსით.

ძირულაში ჩაძირულა მთვარე,
აგორავებს, აბურთავებს ტალღა,
შაირსიტყვის გაზაფხულის დარებს,
შენი სული ცისკენ მიჰყავთ მაღლა.

სულს ამოხდი სიკვდილისვე დღეჟამს,
სიტყვამ კაფა მისი ღრუბლის ჩვრები,
პოეზიის სიმაღლეზე, ბეჟან!
აფრენილი არწივივით რჩები.

საქართველოს გამოხარული გული
და ნაყნოსი შმორად--– ვარდის სუნი...
საყდრის თავზე ყორანთ გროვა კრულის...
გულის ლეშვა, წიოკობა სულის...

საფლავშიაც არ გასვენებს ვიცი,
სიკვდილის წინ როგორდავრჩით მარტო,
საქართველოს ბრძოლის ველზე გვიცდი,
ვინ დაჯაბნის შენი ლექსის პატრონს.

გიხმობს ვაჟას, მირზას, ლადოს სული,
გრანელი თუ მუხრანი და ანა,
ჩვენი სულის დასაცავად ბეჟან!
ეს ლექსები მეომრებად დგანან!

2018 წელი 10 მარტი.

ლია ენისელი

* * *

მარტის ასაკიდან გამოვედი,
აღარ მაქვს მარტის ხასიათი,
ისეთი რაღაცა აზრები მაწუხებს,
რა ვიცი, თუ ფიქრობს ასში ერთი...

არც არავისზე კარგი არა ვარ
და არავისაც არ ვედარები,
არც მართლა, მარტო სხვისას კი არა ,
საკუთარ ჩრდილსაც , არ ვეფარები.

რაღაცნაირად, სხვანაირი ვარ,
სიყვარულის და გრძნობების სიძველით,
ჩემს მიერ შექმნილ, ფერად სამყაროში
მინდა, დავბინავდე მე ჩემი სიბერით.

სხვა გასასვლელი ვიპოვე მგონი,
ხელიდან ამ შანსს, ვეღარ გავუშვებ,
ღმერთმაც კი იცის, ჩემი სათქმელი,
მე უთქმელობას, როგორ დავუშვებ.

უკვე ვიცი, რომ კლდის წვერზე ვდგავარ,
ვფიქრობ, მომიწევს დაშვება მალე,
თუმცა, ანთებულ ჩირაღდანს ვგავარ
და უკვდავებას ვუსწორებ თვალებს.

სევდიან თვალებს ვერ ვგუობ

სევდიან თვალებს ვერ ვგუობ
ტკივილს ვერ ვიტან სხვისასა,
ცრემლებს რომ ვხედავ დარდიანს,
როგორ ვცხარდები, მტრისასა.

ღიმილი მიყვარს ლამაზი,
ბროლის კბილების პრიალი,
თვალებში მიყვარს სითბო და
ვარსკვლავისებრი ციალი.

ყმა მიყვარს, ზრდილობიანი,
სუფთა წყალივით ანკარა,
ისეთი არა, აქა-იქ,
გუბესავით რომ დამდგარა.

მზე მიყვარს, დარდს რომ გამითბობს,
ზოგ-ზოგგან რო ჭვრეტს კი არა,
წვიმა კი, აი ისეთი,
უცებ რომ გადაიარა.

ცა მიყვარს, ნეტა როგორი
სიყვარულივით კრიალა,
მზე რომ ჩააწნავს სხივებს და
ცეცხლს რომ დაუნთებს ბრიალას.

სიცოცხლე მიყვარს, რომ ღირდეს,
მთლად უკაპიკო კი არა,
მართლა ისეთი, თუ გულზე,
სალბუნად გადამიარა.

მინდა სიყვარულს ჩავუთბე,
სულ მუჭა-მუჭა დავყარო,
ფერად სხივებად მოვედო
და გავიფანტო სამყაროს.

ადამიანი, ბუნება,
ჩემთვის ორივე ერთია,
ორივეს ბატონ-პატრონი,
მაღლა ხო მარტო ღმერთია.

მარტოსული

თავს მაბეზრებს ჭორაობით,
ფიქრის გორგალს მიშლის, მიხვევს,
შუაღამე ჩამეძია
და უცნაურს მისვამს კითხვებს.
დროც არ გადის, გაიყინა,
წამ-წუთები გადაგვარდა,
მოგონებებს გადაყოლილს,
ძილი სულაც გადამვარდა.
ბალღობიდან დაწყებული,
ჩამოვყევი წლების კიბეს,
დარდმა ისე დამამძიმა,
როგორც ხურდამ სავსე ჯიბე.
ხან წინ მიდგას ცელქი გოგო,
სისხლიანი მუხლის თავით,
ხან სტუდენტი წიგნით ხელში,
სიტყვასხარტი ტყვიასავით.
ხანაც ქალი მეოჯახე,
ქალი დედა, მეომარი,
ზნეობასთან ფიცნაჭამი,
მეუღლე და მეგობარი.
ბევრი ჭირის გადამტანი,
ტკივილით და სევდით სავსე,
ზოგჯერ რატომ არ გვიმართლებს,
ქალებს, მართლა ქალის მსგავსებს.
ჩემს შვილებს და შვილიშვილებს,
ჩუმად ითვლის ღამე, თბება,
ამით ხომ ხარ ბედნიერი,
მოკრძალებით მეკითხება.
ბედნიერი როგორ არ ვარ,
ყველა თავის გზას ადგია,
ცარიელი სახლი აბა,
რას მჭირია, რას მარგია.
დაილეწავს თავ-პირს ფიქრი,
თავს მახსენებს, ბეწვის ხიდი,
მერამდენედ გავიარო,
თაო, ნეტა რასა გრჯიდი.
ღამევ, მალე გაგაცილებ,
ისევ ვრჩები მარტოსული,
ისევ ვზიდავ ჩემ საწილეს,
მაინც კენტად ვარ მოსული.

ლექსი სიმღერად უნდა დავწერო

ლექსი სიმღერად უნდა დავწერო,
თესლად ჩავაგდო, სიყვარულისა,
დავცხოთ და ერთად ავაგუგუნოთ,
ჰეიდა, ბიჭებო, შენი გულისა.

გამოვაღვიძოთ ერი და ბერი,
ქართული ხმების მადლი ავწიოთ,
მუშტად შევიკრათ და გავმთლიანდეთ,
მტერს ხმლად დავუდგეთ და დღე ვაწიოთ.

ბარაქა დავდოთ, ჩვენ ნაშრომ- ნაჯაფს,
მიწა დავხნათ, ვთქვათ, ჰარიჰარალე,
ის გავაკეთოთ, რაც გვეკადრება,
პაპის ანდერძი რასაც გვავალებს.

ბალღებს ვასწავლოთ მამულის ყადრი
და გავამრავლოთ თამარ-დავითი,
გულს სიყვარული მაჭრად ვადუღოთ,
საქმეც წინ წავა უფრო ამითი ...

ქვეყანას ერთად, სანთლად ავენთოთ,
მუხლს მოვიყაროთ, ლოცვა-ვედრებით,
ქვრივსა და ობოლს წამლად დავედოთ,
მხოლოდ, ალალად, არდაყვედრებით.

რკინა გავჭედოთ, სახლი ვაშენოთ,
წიგნი დავწეროთ, შიგ სიბრძნე ჩავდოთ,
ენა, მამული, სარწმუნოება,
ხატად გავხადოთ და სითბოდ დავდოთ.

ვიხაროთ დღეს და აწდა მარადის,
მტლადაც დავედოთ, სიკეთეს მრავალს,
ღმერთიც შეგვინდობს, ლოცვა-კურთხევით,
ასი წლის შემდეგ, ლამაზად წავალთ

ჩემ ქუჩაზედაც გაიაპრილებს

ჩემ ქუჩაზედაც გაიაპრილებს
აკისკისდება ატმისფერები,
მზის სხივებს ციდან სითბოდ ჩამოღვრილს,
გავუცინებ და მივეფერები.

გაითამამებს ფიქრები უფრო
და ოცნებებში ზღაპარს დაწერენ,
სიყვარულმა რომ გაიყვავილოს,
ვნებები უფრო გრადუსს აწევენ.

ზეცა გაიხდის ნაცრისფერ მანტოს,
ლურჯ ფერებს უფრო გაილამაზებს,
ზოგჯერ ხასიათს გაიჯიუტებს,
წვეთებს გადმოყრის როგორც ალმასებს.

ირემი ირემს ბალახს გაუწვდის,
ხელი ხელს დაბანს, ორნივ ერთმანეთს,
მე კი ერთ სიტყვას ჩაგიჩურჩულებ,
მხოლოდ მარტო შენ, მხოლოდ ერთადერთს.

ხო, იცი, უკვე რაც უნდა გითხრა,
არც ველი ხოოს, არც ველი არას,
ჩემში ოცნება თავის თავს ეძებს,
ღამე ქურდობს და აზრებსა მპარავს.

ვიცი, რომ მაინც გაიაპრილებს,
წყალწაღებულის, არ მინდა როლი,
რაც მეკუთვნოდა და ვერ მივიღე,
მაინც მივიღებ როდისღაც ბრძოლით.

გულს ამოვიღებ

გულს ამოვიღებ და ხელზე დაგისვენებ,
გჯეროდეს, ნამდვილად, ხუმრობით კი არა,
იცოდე, როდისმე თუ რამე მატკინე,
ჭექა-ქუხილივით რომ გადაიარა.

სიცოცხლეს მივცემდი, ნეტა კი მენახე,
თავს შემოგევლები, გაგიხდი ზიარად,
ვერაფერს ვერ გავხდი, ვერც ლექსის მოწერით,
ვერც მორიდებით და ვერც თავაზიანად.

სიყვარულს მიხსნიან თოვლის ფანტელები,
გულზე მადნებიან, ისინიც დამთბარან,
მთვარე კი ღრუბლებში მშვიდად მიმალულა,
ალბათ თუ ჩემსავით გრძნობებით დამთვრალა.

რამდენჯერ ჩავაქრო ჩამწვარი სანთელი,
რამდენჯერ უფალთან ვაფრინო უსტარი
რამდენჯერ გითხარი: ესა ვარ, რაცა ვარ,
არა ვარ სევდის და სიცრუის მუშტარი.

იქნება გაიგო, ჩემი საფიქრალი,
ქარიშხალს უსმინო, ამბებს რომ ვაბარებ,
გრძნობები გულში რომ აზვირთდა, გადმოდის,
ვეღარ ვერევი და ტკივილად ვატარებ.

მიყვარხარ, ფიქრებში ხან გეჩურჩულები,
ხანაც კი სახალხოდ გავკივი მგონია,
მიყვარხარ, ყოველ დღე ლექსით გესაუბრო,
ვინ გითხრა, ან კიდე სად გაგიგონია.

ისევ წვიმა

ისევ წვიმა ისევ ნისლი,
ისევ სევდის წანწალი,
წვიმა გახდა, მაღლა ცის და
დაბლა მიწის წაწალი.

წვიმა მიყვარს, მაგრამ ასე
ჩამომბალი კი არა,
რომ იქუხებს და რომ ვიტყვით:
წვიმამ გადაიარა...

ისევ წვიმა, ისევ ნისლზე
გაბუტული ზაფხული,
მზესთან დღესაც გადაიდო,
პაემანი დათქმული.

ჩემი ქვეყნის ტრფიალი

ჩემი ქვეყნის და ხალხის ტრფიალი,
ისე შემყრია, თითქოს სენია,
ჩვენ რომ სიტყვა გვაქვს, ან ანი-ბანი,
სხვასაცა ჰქონდეს, არსად მსმენია.

გინდ ისტორია, გინდა კულტურა,
ლექსი, სიმღერა, ანდა ბუნება,
სიწმინდეები რომ არ ვახსენო,
როგორ გავუძლო, ნეტა ცდუნებას.

ქართული ვაზი, ლერწამგრეხილი,
ჩხავერი, ქისი, ალადასტური,
საფერავი, თუ ციცქა, კრახუნა,
სხვაც ხომ ბევრი გვაქვს, ღმერთის დასტურით.

მინდორ-ველები, მთები, მდინარე,
მოკაზმული და მოხატულები,
მიწა, ფხვიერი და ნოყიერი,
ხალხი, სიმღერად მომართულები.

ვაჟკაცნი, ჩოხის და ხანჯლის ხიბლით,
დიაცნი, ტურფა, თვალკალმულები,
ლურჯი ზეცა და მოცინარი მზე,
ბაღ-ვენახები და მამულები.

ხოდა, დამისხით, შემივსეთ თასი,
ქვეყნის სიყვარულს ავუხსნი ღვინოს,
დღეგრძელი იყავ, ჩემო სამშობლო,
მცხეთას მირონმაც დიდხანს იდინოს.

ფიქრები ფხიზლობენ

ფიქრები ფხიზლობენ, ნეტა რას მერჩიან,
უშენოდ ყოფნას ხო ეხლა არ ვეჩვევი,
მუდმივად ჩემში ხარ, მაგრამ რა ვიღონო,
მაინც შორსა ხარ და მაინც არ მემჩნევი.

წამები, წუთები, როგორ გადარბიან,
ფეხდაფეხ მივდევ და მაინც ვერ ვეწევი,
მჯერა, ყურს დაუგდებ გულის ამოძახილს,
მოგენატრები და როდისღაც მეწვევი.

თუმცა, ეს წლებიც ხო გაიცრიცებიან,
ამიტომ ძალიან გვიანი იქნება,
გრძნობები ლოდებად რომ ჩაეწყობიან,
აღარც მოცდათა ღირს და აღარც ფიქრებად.

ტკივილით დამღალა ამდენმა განცდებმა,
ფიქრები ფიქრებში ძაფივით ეყრება,
ქაღალდზე მუდმივად წერით და ვედრებით,
ვგრძნობ უკვე თითებიც მტკივა და მეღლება.

რძესავით აიჭრნენ ლამაზი გრძნობები,
გვალვისგან გამომშრალ ბალახსაც ვამსგავსებ,
ამოსაძირკვადაც ვერაფრით ვიმეტებ,
შენც იცი, რატომაც...მიყვარხარ...გაფასებ...

ფიქრები ფხიზლობენ, ნეტა რას მერჩიან,
უშენოდ ყოფნას ხო ეხლა არ ვეჩვევი,
მუდმივად ჩემში ხარ, მაგრამ რა ვიღონო,
მაინც შორსა ხარ და მაინც არ მემჩნევი.

რამდენი ხანია

რამდენი ხანია, გაჩუმებული ვარ,
რამდენი ხანია, მიყვარხარ, არ მითქვამს,
რამდენი ხანია, ლექსად ვერ დაგწერე,
ვერაფრით ვახერხებ სიტყვების გარითმვას...

უაზროდ დაგეძებ, სიბნელეს ვაწყდები,
ქარებმა სადღაც შორს, დაგმალეს ტალღებში,
ნეტავი იცოდე, ამდენი განცდებით,
როგორ მაწამებ და ჩამაგდე რა დღეში.

სიყვარულს არადა, მხოლოდ სითბოს გთხოვდი,
სითბოს, თან სადღაცას, ძალიან შორიდან,
რა მოხდა, თუ ქარებს ვაბარებ ყოველ დღე,
შენთან შეხვედრა და რამის თქმა რომ მინდა.

ვწუხვარ, მონატრებებს გული ვეღარ უძლებს,
ყოველ დღე ახლდება, წყეული იარა,
დარდებმა, რომელიც სულს ასე მიწეწავს,
რა ვქნა, რომ ვერაფრით ვერ გადამიარა...

გზას ვეძებ, მაგრამ რა, ვეღარა ვპოულობ,
ჩვენ შორის ჩამოწვა, ღამე და შიშები,
სულში ტკივილებად ჩასახლდა გრძნობები,
ასე რათ მიმეტებ, ასე რათ მიშვრები...

ვიცი, ბევრი წლები რომ გამექცევიან,
კენტად სიარულში რომ დამღლის ფიქრები
იცოდე, ძალიან, ძალიან მიყვარხარ,
სიცოცხლის ბოლომდე ერთგული ვიქნები.

ნესტან ხარებავა

ბოლო ფოთოლი

ცოტა აცივდა,როდის იდარებს,
ბოლო ფოთოლი მიაქვს მდინარეს,
შენ მოინატრებ იმ წუთს,იმ წამებს
რომ მიყურებდი,პირმომცინარეს.

გაუძლებ ალბათ ნოემბრის ქარებს,
დაელოდები კვლავ ახალ მთვარეს,
თუ ვერ გაუძლებ გრძნობების ალებს,
ცრემლი დატბორავს მოწყენილ თვალებს.

ბევრ დროს დაუთმობ, აისს და დაისს,
ცქერით ვერ იგრძნობ ძველებურ ხალისს,
დარდს მოუყვები,-იმ ღვინის სასმისს
რომელიც იხსნის შენს,სულის საზრისს.

ცოტა აცივდა,როდის იდარებს,
მეც ველი იმ დღეს, რომ გაიხარებ...

ბედნიერი ბებია

იმ დღეს დამარცხდა
ჩემი სიბერე
როცა შენ გაჩნდი
ამ ქვეყანაზე,
დაღლილ,მინავლულს
სული შთამბერე,
უნდა მეზრუნა
უკეთეს,რაზე.
დაყრილ ფარ-ხმალს
კვლავ
მოვკიდე ხელი,
ახალ გაზაფხულს
გავუღე კარი,
შენი ძილის,
სულ
ვიქნები მცველი,
შემოიტანე
ჩემს გულში დარი.
მათბობს პატარა
გულის
მე,
ფეთქვა
გელოდი,ალბათ
თმენით,წლებია,
შენ შვილიშვილი,
ჩემი,დაგერქვა,
მე ბედნიერი,-
შენი ბებია!

ბერიკაცის აღსარება

მე შენ მიყვარდი,
მიყვარხარ, ახლაც,
ხედავ?-მორცხვობა
გაფრინდა სადღაც.
მომიტევე, თუ
გატკინე გული,
მუხლებს მოგიდრეკ
ჯანდაკარგული.
არა,არ მითხრა
არაფერია,
(მახსოვს ღიმილში
სევდა ერია),
გვიან არ არის
ბოდიშს მოგიხდი,
ვალს კი ვერასდროს
ვერ გადაგიხდი.
ნურც იმას მკითხავ-
ვამბობ,რა ვალზე,
მახსოვს მომსდევდი
გზად,ძნელ სავალზე,
როს ცრემლი მადგა
სიმწრისა,თვალზე
მუდამ ფიქრობდი
გამოსავალზე.
როგორ გეგონა
დაგივიწყებდი?
მსურდა სულ მეთქვა,
ვეღარ ვიწყებდი,
ახლა დავიწყე,
ვით სერენადა,
ამომეწურა
მოთმენის ვადა!

მე შენ მიყვარდი,
მიყვარხარ, ახლაც,
ხედავ?-მორცხვობა
გაფრინდა სადღაც...

ძმას

შენ რომ წახვედი,იდგა ზამთარი
შიშველ ხეებსაც სტკიოდა ტოტი,
ეს იყო მხოლოდ ცუდი ზღაპარი
გამარჯვებული დარჩა ბოროტი.

გაგვყო ბოროტმა სიკვდილმა ორად
შენ წაგიყვანა,მე კი დამტოვა,
ვერ ვაზროვნებდი ცხადია სწორად
გონს მაშინ მოველ,როს დამათოვა.

გულის პატარა ნაწილთან ერთად
სიმწრის დრეების შევძელ გაძლება,
სიბრძნე ესტუმრა გონებას, ბედად
სულს პარალელის ვცადე გავლება.

ვალდებულება ავიღე თავზე
უფლის ბოძებულ სულზე ვიფიქრე,
დავგეგმე როგორ მეცხოვრა ხვალ,ზეგ
და სუიციდი გადავიფიქრე.

ავუწყვე ჟამთასვლას ფეხი წვალებით,
ბევრი უშენო,გავიდა წელი,
ძმას ვეძებდი , ცრემლიან თვალებით
ასე გავიდა ტანჯვით დრო, მთელი.

მაგრამ არ ჩანდი და შევეგუე
ძვირფასო!-მე შენს გარდაცვალებას,
რა მექნა,თავი ვერ მოვიტყუე
რა
    შეცვლიდა
                    შენს გადასახლებას.

მომიახლოვდა ეს მერამდენე
უშენოდ,ცივი,მკაცრი ზამთარი,
თავშია,ფიქრი ვეღარ გავდენე
შენი წასვლის დროს შიში,ჩამჯდარი.

გალაქტიკაში

სულიერ ძაფებს ვეღარ გაწყვიტავ
შენ,შენ,შენ და მე რაც გვაკავშირებს,
დღეს დავისვენე, ყოფას არ ვწყვიტავ
ხვალ კი დავხატავ ციურ კავშირებს.

კვლავ ნაბიჯ-ნაბიჯ ავყევი კიბეს
გადავინაცვლე წამს მისტიკაში,
მფრინავმა ქვებმა მხარი ამიბეს
ვჰოვე სიმშვიდე გალაქტიკაში.

შევეხე კიდეც იქ ფილამენტებს
სულ არ მაშინებს ირგვლივ ვოიდი,
ვკრავ და ვინახავ უცხო მომენტებს,
სისხლში ამიწევს ვგრძნობ სტეროიდი.

ახლა ვარჩიე დავეშვა დაბლა
რომ ამ დამრიოს სკლეროზმა ხელი,
არ განიცადოს გონებამ დამბლა
ნანახს დავარქვა უნდა სახელი.

დედამიწაზე, ციურ ბილიკზე,
დამხვდა,გავცურე ბევრი მდინარე,
თავში ვფიქრობდი მუდამ ფინიშზე,
მზეს ედრებოდა თვალი, მცინარე.

ერთი ვარსკვლავი ამოვიჩემე
იმსახურებდა ყოველთვის ნდობას...
თუ დაუკვირდა სხვაც ნეტავ ჩემებრ
სხეულთან სულის ურთიერთობას?!

მთვარეულივით დავდივარ ხშირად,
აფრენაც მიწევს გალაქტიკაში,
თმენა ვარჩიე,-ფიქრთა ნაპირად,
გაჩენილ სევდას ვკლავ ლირიკაში.



მაკა მექერიშვილი

ცხელი აგვისტო

თითქოს გამექცა მე გონება მძიმე წარსულში,
თვალწინ დამიდგა, სისხლიანი ყაყაჩო ძველი.
ო,რა ძნელია, გაფიქრებაც განვლილი წლების,
არ მავიწყდება ცრემლიანი აგვისტო, მწველი.

მზე ჩაესვენა,ჩამოღამდა, რეკენ გლოვის ზარს,
სულ,რომ მოჰფანტეს არემარეს მწუხრის ფერები.
ირგვლივ დატყვია დედამიწას მკვდარი ცხედრები,
და მათ სისხლისგან შეღებილა გორის ველები.

იდუმალი ქალი

ღამის წყვდიადში შევნიშნე ქალი,
ლამაზ თვალწარბა ქუჩაში მდგარი,
მას არ აშინებს,თავნება წვიმა,
თუნდაც ჩამოკრან განგაშის ზარი.

წვიმის წვეთებმა სულ დაასველა,
გრძელი დალალი ლამაზი ქალის!
ქუჩას მოჰფინა სუნამოს სუნი,
რამაც აანთო გამვლელის ალი.

ქალი კი არა ცეცხლის ალია,
რასაც ეხება,გადაწვავს ირგვლივ...
არ უშინდება იდუმალ ღამეს,
ბედნიერების წამებს რომ ითვლის.

პოეტთა ხმები

ვრცელდება ექოდ, პოეტთა ხმები,
პოეზია ხომ წილად ხვდათ ბედით!
დგას იქ ლოდინის კორიანტელი,
სადაც სათუთი მკითხველი ელით.

ახლა ჩამოთვლაც ისე გაჭირდა,
ღმერთმა ამრავლოს ქვეყნად ყოველი.
ხმა პოეზიის,ტკბილი ჰანგების,
მინდა მესმოდეს,სულით მოველი...

ვრცელდება ექოდ, პოეტთა ხმები
და პეპლებივით ირევა რითმა,
მათი მოსმენა ვის მოსწყინდება,
თუნდაც ათასჯერ იგივე ითქვას....

ესაა მთელი ქართული გენი
და პოეზია უკვდავსაყოფი.
ღმერთო ამრავლე ქვეყნად პოეტი,
მიეცი მუზა და დრო სამყოფი.

* * *

რითმების კონას ვაგროვებ მარად,
ლექსად რომ შევკრა ჩემი ფიქრები,
ნეტავ რა არის ეს პოეზია!
ან მის გარეშე როგორ ვიქნები?
ეს ალბათ ღმერთის საჩუქარია,
დიახ, უფლისგან უბადლო ჯილდო,
უნდა ვეფერო,მივუალერსო,
მთელი არსებით მივიღო ვიგრძნო.
რომ არა წვეთი პოეზიისა,
ვინ იქნებოდა ჩემი მშველელი?
თავად დაიწყო ეს მეგობრობა,
მანვე ჩამკიდა ჯიუტად ხელი.
ხანაც უარი ვუთხარ, პასუხად,
მის სიახლოვეს ბევრჯერ გავექეც,
ყველგან მომძებნა,არ მიმატოვა,
ამ ერთგულებას ვეღარ დავეხსენ.
სულ არ მინდოდა ჩემი ფიქრების,
ასე მოყოლა,თქვენთვის გამხელა,
მაგრამ რითმები აღარ მომეშვა,
შემომეწერა ლექსი ამხელა!...
ახლა კი ვხვდები, რომ პოეზია,
სულის მკვებავი არის და საზრდო,
თუნდაც გავექცე,მაინც მიპოვის
თუ დამემალა,უკვე არ ვდარდობ.

* * *

ჯვარო მფარველო ქვეყნისა,
და იქ მცხოვრები ერისა,
შენ დაიფარე ყოველი,
ქვეყნად შექმნილი ღმერთისა.
არ მიაკარო ბოროტი...
არ შეულახო სულია,
კაცს გაუნათე გონება,
თუ არის დაბინდულია.
ჯვარო გვიხსენ და გვიწყალე,
არ გაგვიმეტო ერია.
შეგვიმსუბუქე ცოდვები,
ღმერთთან რომელიც ბევრია....

სევდიანი ღამე

გულში დაგროვდა სევდა იმდენი,
აღარც მაქვს მზის და დარის იმედი!
ვერ ვუმკლავდები მოვარდნილ მეწყერს,
ვერსად ვერ ვპოვებ დაჭრილი მშველელს!
წვიმამ დაიწყო გულს ნაკადულად,
ციდან ჩამოსვლა მიწაზე ჩქარი,
სულ ერთიანად განბანა სული,
რომ ბობოქრობდა ჯიუტი ქარი.
დაისადგურა სადღაც სიჩუმემ,
აღარც ლანდები მოჩანს არსაით,
თვალცრემლიანი გავყურებ იმ გზას,
დაუსრულებელს ადგას არავინ....

მე ვქმნი ახალ სამყაროს

განსხვავებულად მივუალერსებ
ზეციდან გადმომდგარ, თაკარა მზეს,
გავყურებ ცხოვრების ლაბირინთებს,
ვცდილობ ვარდებიანს, გავუყვე გზებს.
ვქმნი ახალ სამყაროს პეპლებიანს,
სადაც აღარ სუფევს ცრემლი, სევდა,
ყვავის გონებაში გაზაფხული,
წინათ გულის ტკივილი რომ სდევდა.

მთვარისა ზეინკლიშვილი

უფლისციხე

უფლისციხეზე ბუნება ხარობს,
მწვანედ გაუდის ბიბინი მინდვრებს,
მთა ერწყმის მთასა, ველი შეჰხარის,
ყვავილით უქსოვს მთის ძირებს წინდებს.

მირონცხებული ეს მყუდროება,
ანგელოზების არის სავანე,
აქ სიო მეფობს, მზე კი დედოფლობს,
ეკალიც ცდილობს არ იყოს მავნე.

აქ ნაკურთხია კუთხე კუნჭული,
გუმბათზე სხდანან სერაფინები,
ლოცვის მომგვრელი სიჩუმე მეფობს,
---,,უფალო ფრთებით თავს ეფინები"!

ჰაერში საკმეველის სუნია,
მიაქვს და მოაქვს სიოს სურნელი,
აქ ყველაფერი სამკურნალოა,
კაცს უქარწყლდება დარდი მჭმუნველი.

უფლისციხეზე სამოთხე სუფევს,
მშვიდობის მტრედი დაჰყურებს მინდვრებს,
მთას ერწყმის ციხე, ველი შეჰხარის,
გალობა ისმის, როს დაიბინდებს.

მე და მთვარე

გაშმაგებით ფრიალებენ ღრუბლები,
დამალობანას თამაშობს მთვარე,
მზეც ვერ ათბობს უძლიერეს მაგიით,
მეც ოცნება თითქმის დავამთავრე.
ვეღარა ვფრენ, აღარ შემწევს უნარი,
ფუჭ ოცნებებს უკვე გავეყარე,
ძველებურად მე დავრჩები ჩემს თავთან
და ღამით კვლავ მესტუმრება მთვარე.
როგორ მიყვარს ჩემი სარკმლის ხედები,
როგორ მიყვარს ღამის არემარე,
დროებით რომ ზურგს შევაქცევ ცხოვრებას,
თან ჩემს გვერდით მეგულება მთვარე.
ზურგს შევაქცევ სადარდებელს უაზროს,
რითაც დღემდე გული დავისვარე,
მინდა ფეხი შევდგა ტკბილ სიბერეში,
ფიანდაზებს კი დამიფენს მთვარე.
ხვალ რას ვიზამ, რას ვიფიქრებ, რას დავწერ?
შთამაგონებს, მთვარე გამახარებს,
დღეს ის არის ჩემი მესაიდუმლე
და ღრუბლები მისებრ გადავყარე.
ამბიცია მაქვს ჯერ აქა ცხოვრების,
თუმც იქ-ისთვის მომამზადებს მთვარე,
იმ ქვეყნისთვის მე ტკბილ- მწარე გამოცდა,
ნუთუ ჯერ კიდევ ვერ ჩავაბარე !?

კვალი

სადაც წავალთ, ყველგან მიგვიხაროდეს,
ჩვენს ნაკვალევს დარჩეს სიტკბო, სურნელი,
წამოსვლისას ვტოვოთ კარგი ბილიკი,
ჩვენთან ყოფნის ბევრი იყოს მსურველი.
ჩვენებისთვის ვიყვეთ ალალ-გულ- ღია,
ცუდი მზერით გულს ნურავის გავუპობთ,
ის ჯობია შეძლებისდაგვარად, რომ
გულის სითბო მიყვარეებს გავუყოთ.
ჩვენ ამ ქვეყნად მუდმივად ხომ არა ვართ,
იმიერში ვერც ვერაფერს წავიღებთ,
თუმცა შევძლებთ ჩვენს განვლილ ნაკვალევით,
ჩვენი ხსოვნის დიდებულ ძეგლს ავიგებთ.
ჭეშმარიტი ჩვენი სიტყვა, მართალი,
მხოლოდ სიკეთის კეთების სურვილი,
ჩვენი პეშვით, გავსებული სუფთა წყლით,
მოსისხლე მტერსაც მოვუკლათ წყურვილი.

მოგონებების ღიმილი

ცხოვრება მიჰქრის დაუღალავი თეთრი რაშივით,
ხან დარში იღწვის, ხან დაუღლელად შავ,
ცივ ღრუბლებში,
უკანა დაგვჩება ტკბილი, მწარე მოგონებები,
წარსულში რჩება და იბუდებსღრმად
ჩვენს გულებში.

მოგონებები ულამაზესი ჩვენი ბავშვობის,
ფილმის კადრივით გვიტრიალებს ხშირად
თვალებში,
და გვენატრება უნებურად შორი წარსული,
მომღიმარი ვიძირებით დიდ, ტკბილ წამებში.

რა კარგი იყო ბავშვობის წლები,
უდარდელობა,
ხტუნვა, თამაში, ძმებზე ზრუნვა, ორომტრიალი,
დამალონაბა,ხიდობანა, მინდვრად კუნტრუში,
მერე ,ზამთარში გუნდაობა, ციგით სრიალი.

სულ სხვა ფერისა იყო მაშინ მთელი სამყარო,
სულ სხვა ხმაზე ჭიკჭიკებდა ხეზე ჩიორა,
შემდგომ განცდილი, ჩემი წარსულის
მოგონებები,
ამათ ვერ წაშლის, ვერ დამავიწყებს ასე იოლად.

ყოველი დილით, კარგი განწყობით
ვაკეთოთ რამე,
აზრზე რომ მოვალთ, დრო იქნება
მაგრად გასული,
მერე ვინანებთ ჩვენი ცხოვრების ფუჭად
ხარჯვაზე,
დღევანდელი დღე ხვალ იქნება
უკვე წარსული.

ევროპა თვითონ ვართ

ევროპაში მზე ამოდის ჩვენგან,
ჩვენი ქვეყანა სხივთა სკივრია,
ჩვენ ხომ ღვთისმშობლის წილხვედრში ვცხოვრობთ,
რაც გინდათ იყოს გასაკვირია.
ჩვენს ძარღვებში ხომ საღი სისხლია,
ეს ბევრს არ ესმის, სულ გვაყვედრიან,
ღმერთი გვამხნევებს და ძალას გვაძლევს,
ღვთიური მადლი ჩვენში ბევრია.
ყველა სფეოში, ყველა ასპექტში,
უბადლო ნიჭი ჩვენში ბევრია,
ქართველთ ხელ-- ფეხით შექმნილი ყველა,
საოცრებაა და შედევრია.
სულ არ სჭირდება ამას მსჯელობა,
ეს მსოფლიოსთვის მისახვედრია,
იშვიათნი ვართ ამ სამყაროში,
წარმატებები ჩვენი ხვედრია.
ევროპაში მზე ჩვენგან ამოდის,
ჩვენი სამშობლო საოცარია,
ჩვენ ხომ ღვთისმშობლის წილხვედრში ვცხობრობთ,
აქ ყველა სანდო მეომარია.

თვალებში მიდგას ბედნიერება

თვალში რომ მიდგას ბედნიერება,
გულს ყველაფერი რომ უხარია,
რომ არ ვიღლები დღე და ღამ შრომით,
სიბერისაკენ მიმიხარია.
ეს მიზეზია, კარგი მიზეზი,
ჩემს უკან კეთილ ხალხის ჯარია,
მე წინ მივიძღვი სანთელით ხელში,
ლოცვისას სულში მზე და დარია.
გზას ავუმწვანებ მე ჩემს მომავლებს,
დღეს აღმა ფრენა მათი ჯერია,
ხელს თუ მივახმართ აღმართით სვლაში,
ვერ შეაფერხებს მათ ბრმა მტერია.
თვალში რომ მიდგას ბედნიერება,
მადლიერება ჩემი ვალია,
ჯანსაღი ყოფა და აზროვნება,
ელექსირია და წამალია.

ანამარია ლილუაშვილი

შემოდგომის წვიმიან დღეს

შემოდგომის წვიმიან დღეს,
გულს რომ სევდა მოსწოლია,
სათქმელი აქვს დაგროვილი,
ცრემლი თვალზე მოსდგომია.
თავს წაუკრავს მუქი შარფი,
კაბა ტანზე მოტმასნია,
ალეწვია სახე ნათლად,
ის ნამდვილად ნაწყენია:
შემოურტყამს მჭიდროდ მკლავი,
ღრუბელს ხელში მომწყვდევია,
უკითხავად უკოცნია,
ცრემლიც მიტომ მორევია.
თავს იკავებს არ გამოსდის
უკვე ბრაზი მოსდებია,
წვიმა ცრემლის წვეთებია,
ქარბორბალაც - ნაღველია.
ქაოსია სრული ეს დღე
და გუნების ამრევია.
ამოყარა დარდი სრულად
არაფერი დარჩენია.

გული რას მიგრძნობს?

თითქოს ყველაფერს მინდა გავექცე ,
სიმშვიდეს ველტვი, საღაცით მიხმობს .
და თუ დავფიქრდე უნდა რამეზე,
ფიქრები შორის ამბებზე მითხრობს.
ეს ყველაფერი ახალს მიანიშნებს ,
ეს ლტოლვა თითქოს, ნაწილებს მითბობს.
უნდა ვიპოვო დრო , რომ მოვძებნო,
რა მექაჩება, გული რას მიგრძნობს?.

სამყაროს ნიშანს...

სამყაროს ნიშანს სათანადოდ თუ შეაფასებ,
ფანჯრის რაფასთან მოლოდინში დროს ნუ დააგდებ;
დაიკეტება ერთი კარი ახალს გააღებ,
წინ გელოდება უკეთესი და არ წააგებ.

ცხოვრების არსი ბობოქარი სულის არსია
მიზნის მიღწევა, აღმავლობა მისი მადლია.
შედეგებამდე გადალაშქრო უნდა მთანია,
ქარიშხალს შემხვედრს გააყოლო გულის დარდია.

დაკარგული ცხოვრება ...

გაწამებულ წუთებს ვითვლით,
მივისწრაფით, ნეტავ სად?
გვეჩქარება დროის გასვლა,
რას ვუჩქარით? ნეტავ რას?
ვერ უძლებ? ვერ ეგუები ?,
არ მოგწონს და გარბიხარ?!
ვერც კი ვითვლი რამდენი ხართ?
რატომ ითმენთ? სადა ხართ?
ცოტაც კიდევ იმეორებ,
ერთი დღეც და ერთი თვეც,
და წლები შემოგვეცალა,
შევიცვალეთ ისევ ჩვენც.
არ აჩვენო ეს სისუსტე
თავს ძლიერად ასაღებ.
შორს არ წავა და გროვდება
ტკივილს კიდევ ამატებ.
მოთმინება ყელში გასხამს,
ეხეთქები ნაპირ კლდეს,
არ გათავდა არც ეს შიში,
მორჩილდები ისევ ბედს.
ნუ მოითმენ ამად არ ღირს
დაკარგული ცხოვრება,
გააცოცხლე ,აიხდინე
ფიქრები და ოცნება.

ქალღმერთი

ეს ის ქალია საკუთარი გულის სიღრმიდან
გაუკვლევია სიბნელე და სინათლეს სწვდება.
მასში არსებულ ჯადოსნურ და წმინდა გრძნობებსაც
იყენებს სულის საკვებად და მთლიანი ხდება.
მაგნიტურია, სინაზეც და ძალაც რომ მოსავს,
ულევ შუქს გასცემ და ბრწყინვალე თავადაც რჩება.
ყველა ბავშვისთვის დედაა და მზრუნველი ქალი,
სიცოცხლით სავსე, მისი მადლი სუყველას ხვდება.
ის მკურნალია სიტყვით, მზერით, ხელის შეხებით,
გამსჭვალულია თანაგრძნობით, სიბრძნის აქვს კვება.
იცის სიხარულს მის გარეშე არ შეუძლია
და სიყვარულის ჰანგებს მუდამ სიმღერით ჰყვება.
სულით მაღალი, აპატიებს სხვასაც და თავსაც,
ისეთს მიიღებს ადამიანს როგორსაც ხვდება.
ეს ის ქალია, მიუწვდომელი თანაც უბრალო,
ქალღმერთი არის და ღვთიური ძალა თან რჩება.

დაიფარე კაცთა მოდგმა!

დაიფარე კაცთა მოდგმა , შინაურია თუ მტერი;
ყველანი ვართ სამყაროსთვის ნაწილაკებისგან მტვერი.
ან ეს მტრობა რა გრძნობაა შურია თუ შავი ფერი?
რამ წარმოქმნა ან ჩასახა, იქნებ არის ჩხირის ღერი?

რაც კი არის სულ ერთია შედეგი აქვს მწველი,
მკვლელი.
მოვიძიოთ და აღმოვფხვრათ დაფარული გრძნობა ბნელი?
გულში უნდა ჩავიხედოთ ამოვძირკვოთ ვნახოთ მთელი.
თუ ნამცეციც ჩარჩა სადმე გაგვიხდება სისხლის მსმელი.

გულს გონებას ერთად არევს და სხეულის ხდება მხხრნელი.
იმოქმედებს ჯავრსაც შეგყრის თაგვი ხდება შენი მღღრნელი.
ძალა გაქვს და დროზე მოსპე აღმოჩენა არის ძნელი.
რადგან მუდამ მართლები ვართ და ეს არის ჩვენი მტერი.

მართალი ხარ სიმართლეა მზე გადგია სულის მწველი.
ეს სინათლე და სხივები შემოივლე როგორც ველი,
ამით დაწვი შური ბოღმა დაგირია თუკი ხელი,
ამაღლდი და ეს სიმაღლე გაიხადე შენი მხსნელი.

იწყება დღე და

თენდება, ცისკარს დავესესხები,
ავკინძავ, დილის ნამისგან მძივებს;
იწყება დღე და მზეს ვუერთდები,
უხვად ვარიგებ სითბოს და სხივებს.
ურჩი ფიქრები გაჰყვება ღამეს,
დავიმორჩილებ წამოსულ მიზნებს.
იწყება დღე და ავითვლი წამებს,
არ დავნებდები დარდსა და ნაღველს;
გავაფართოვებ რწმენის არეალს
გადავამოწმებ დარჩენილ კითხვებს,
იწყება დღე და მხნეობას მმატებს,
მოავაჩუქურთმებ მოფრენილ რითმებს.

მე ასეთი საქართველო მინდა

მე ასეთი საქართველო მიყვარს,
ანთებული გრძნობებით და გულით;
მე ასეთი სიყვარული მინდა,
ერთიანი, უბოროტო სულით;
დაგელოცოს ერო ყველა შვილი!
დაგეხუნძლოს თაობები სიბრძნით.
მოგიმრავლდეს ერთგული და გმირი,
და გებრწყინოს ვარსკვლავების სხივით.
მე ასეთი საქართველო მიყვარს,
ანთებული გრძნობებით და გულით;

***

გადმოაწყვე გულო დარდი,
დაუყენე რითმებს მწკრივი,
არ იშურო წამი მარდი,
აიკინძე ფიქრის მძივი.
ენა წყლიანი გატეხე,
ღამეს თეთრად დაუმძიმდი,
მთვარეს აზრი დაესესხე,
ისე არც კი დაუფიქრდი.
გაბედე და გაიხარე,
ცხოვრებას არ შეუშინდი,
სიტკბოება დაარიგე,
და მტერსაც კი შეურიგდი.

ნატალია აბდუშელიშვილი

* * *

როგორ აგიტირეს გული საქართველოვ,
ტყვიამ გაიარა გულთან თანაბარად.
როგორ არ გცხვენიათ, რატომ გაგვიმეტეთ,
რატომ არ გვიცავდით მტრის დასანახად.
ეს ის ბავშვებია სიმწრით გამოზრდილი,
სითბო და ალერსი ყველას რომ აკლიათ,
სული დაკემსილი კვლავაც აწიოკდა,
ძარღვებს მომდგარი სისხლი მოდიოდა.
ცივმა ქარიშხალმა ისევ დაუბერა,
ქართველს ქართველისთვის ტყვია ემეტება,
სიზმრად რომ მენახა, იქაც მოვკვდებოდი,
ამას არ ველოდი, არც კი ვიფიქრებდი,
მამა თავის შვილებს ასე გაწირავდა.

სანაპიროზე

სანაპიროზე ზღვის ტალღები ბობოქრობს, ღელავს,
მზის სხივი აღწევს ჩემს გულამდე, ქვიშა ცხელია,
დაგიჩემე და აქაც შენი აჩრდილი დამდევს,
უშენობა კი საყვარელო, მართლაც ძნელია.
ტალღების ხმაურს უცნაური, ფერები დაკრავს,
გულით სულ დამაქვს საყვარელო შენი ალერსი,
თუ ზღვის ტალღებმა გაიყოლა ჩემი დარდები,
ჩემი გჯეროდეს უფრო ძლიერ შემიყვსრდები!

* * *

თქვენ გენაცვალეთ ბიჭებო,
ეს რა დღე გაგვითენდაო,
რომ ასახელეთ სამშობლო
მეტოქე გულზე სკდებაო.
მამარდა, შენ გენაცვალე,
ეს რა მამაცი ყოფილხარ!
ჰაერში ისე დაფრინავ,
ბიჭო, არწივი მგონიხარ.
შენს გამზრდელს მადლობა ვუთხრათ,
კარგი რომ გამოუზრდიხარ,
ეს რა ბოკვრები გვყოლია,
დაგლოცოთ წმინდა ლომისამ.
სულ გამარჯვებით მოგევლოთ
საქართველო თუ ევროპა.
კარგად დასრულდა ზღაპარი,
კეთილი ყველგან სწორია,
თქვენ ასახელეთ სამშობლო,
აბა, ამას რა ჯობიაააა!

* * *

შემომაღამდა, ფიქრი არ მტოვებს,
ფეხდაფეხ დამდევს, არ მომასვენა,
ზღვაში შევცურე თვალცრემლიანმა,
უცბად გაწვიმდა, თითქოს გათოვდა.
შენ ბედის წერავ, რატომ მაშინებ,
რატომ არიე ჩემი ცხოვრება,
ნუთუ სიყვარულს არ ვიმსახურებ,
ჩემი გრძნობების კორიანტელად.
მტრედისფერ მთებზე ნისლი ჩამოწვა,
ცისარტყელამაც შეკრა კამარა
და შენ რომ არა, უფალო, ისევ
ვერ გავუძლებდი ამდენ დანაკარგს.

* * *

გარეთ გახედე როგორ წვიმს,
ეხლა ქუჩაში დაქრის ქარი თავნება,
თუ ჩვენ ამ ზაფხულს ერთად ვიქნებით,
ვერაგი მტერიც ვერ მოგვერევა.
შეშლილი ფიქრი აწყდება კედელს,
სიცარიელე დაბორიალობს
და თუ შენ მეტყვი, არ შეგიყვარო,
მაშინ არასდროს არ დავწერ ლექსებს.
მაჩუქე ეს ღამე, მაჩუქე ეგ გული,
სიგიჟის წუთები მეწვია ძვირფასო,
დღეები, თვეები ზეცისკენ მიქრიან,
გახუნდა, განელდა როგორც ღადარი,
მინდა დაიჯერო უშენოდ მკვდარი ვარ.
ისე დავდივარ როგორც ყაჩაღი,
გინატრე, არ ვნანობ, გავები მახეში,
ჩემს გულში ჩავწერე შენი სახელი,
ხელი ჩამკიდე და ნუღარ შემელევი
წვიმასაც გავანდოთ ჩვენი საიდუმლო!

* * *

ჩემს გულს ჭრილობის კვალი ატყვია,
დასერილია როგორც საცერი,
რად მინდა ფული, ოქრო, დიდება,
თუ არ მერქმევა ისევ ქართველი.

დაინაწილეს, დაშალეს ირგვლივ
თუ დავითს რამე უშენებია,
ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გახდა
გაბრწყინებული კვლავ იბერია.

შენ ჩემო მიწავ, სისხლით მორწყულო,
რამდენჯერ უნდა ზიდო უღელი.
ვიცი, უფალი არ მიგვატოვებს
და არ გავხდებით სხვისი ნაწილი!

***

ნუ დაღონდებით ბიჭებო,
მაჭარი უკვე დაღვინდა,
ქვევრიდან ისე გადაგვაქვს
წვეთიც კი არსად დაიქცა.
ვისურვებ წარმატებები
სულ მოდიოდეს თქვენითა,
გამარჯვებები იწყება
ოვაციებით, მღერითა.
ეხლა იწყება ცხოვრება,
თასი შევავსე ღვინითა,
ისეთ მომავალს გისურვებთ,
ვარსკვლავებს თვლიდეთ ხელითა.
ჩვენც მუდამ თქვენთან ვიქნებით
სიყვარულით და ლხენითა.

ფიქრები

ჩამძინებია წუხელს ფიქრებში,
ჩემს საქართველოს მტერი ესია,
წინაპართ სულის შემონახული
კოშკებს სვიარა შემოხვევია,
იბრძოდა ყველა გაშმაგებული,
არწივებს ბუდე დაუნგრევია,
აღარ ისმოდა ურმული, ნანა,
თურმე ეს მტერი ისევ ჩვენშია,
დასრულდა ჩემი ღამის ტკივილი
დაღლილს დაქანცულს,
გამომეღვიძა ზეცას ავხედე
თვალცრემლიანმა გული
სევდისგან ლამის გამისკდა!

ამ ბოლო დროს მომეჩვია სევდა,
სიმარტოვეს ვეღარ ვუძლებ ვატყობ,
თმებსაც თეთრად დასდებია თოვლი,
ამას კიდევ უკვე აღარ ვდარდობ.
შენი გულის ძგერა ვიგრძენი,
შევიგრძენი წუთით შენი სითბო,
მკერდთან თითქოს სისხლმა ამოფეთქა,
ამიტომაც მთელ ჩემ ფიქრებს გითმობ.
სითბო კვლავაც ჩაიღვარა გულში,
გადიყრება ნაღველი და წყენა,
მინდა იყო ჩემთვის ერთადერთი,
ჩემი სულის გულის მათრობელა.

* * *

დეკემბერი მიილევა მალე,
მერე მთებზე მოადგება თოვლი,
გადაღლილი მიუჯდები ბუხარს,
ფინჯან ჩაის შევექცევით ორნი.
დაღლილ თვალებს მოადგება ცრემლი,
სიყვარულით გავიხსენებთ ძველ დროს,
როცა კითხვებს დაგაყრიდი, იცი?
მე მიყვარხარ, შენ კი სხვაზე ფიქრობ.

ლამზირა შეყილაძე

ჩვენს ფეხბურთელებს

უფალმა მოგავარაყათ,
მოგცათ ღვთიური ნიჭი.
ძარღვები დახეთქვაზე გაქვთ,
გიდუღთ ქართული სისხლი.
სამშობლოს ესულხატებით
გულწრფელი სულისკვეთებით,
მსოფლიო შეაზანზარეთ,
თავგანწირული ქმედებით.
თქვენ გვაზიარეთ სიხარულს,
გადაიდარეს წვიმებმა,
თქვენით იწყება ბიჭებო,
სამშობლოს გამობრწყინება.
ამ გამარჯვებამ დაღლლ ერს,
სულ სხვა დიდება შესძინა,
სიხარული და უფლის მზე
სიცოცხლედ გადმოგვეფინა.
მტრების ზრახვა და მიზანი
თქვენმა ქმედებამ მოსრა,
მზესავით გეტარებინოთ
ჩვენი ქართული დროშა!

*

მეგობარს ზურგში რომ დასცემ ლახვარს,
მართალ კაცივით იჩეჩავ ბრიყვ მხრებს...
ბოლოს საკუთარ იდაყვსაც დახრავ,
როცა შენს გულში იპოვნი შენს მტერს...

უკვდავება და არ დავიწყება

შენ დადიოდი დედამიწაზე,
ჰგავდი უფალს და ღვთიურ ნათებას,
წრფელი ლოცვებით და ქადაგებით,
გვმატებდი რწმენას და შემართებას.
        გახსნილი გქონდა სულის კარები
        და მრევლს შეგვეძლო სულში ჩახედვა,
        მზეს ასხივებდა შენი თვალები,
        ქრისტეს რომ გავდი მზერა გამხელდა.
იცოდი ქვეყნის ავანჩავანი,
რომ დავდიოდით გახსნილ წყლულითა,
ცოდვილთ სულებში შემოდიოდი,
ქრისტესმიერი სიყვარულითა.
        იმდენი მადლის იყავ მზიდველი,
        შუქი დაგქონდა მნათი მზესავით,
        სიკვდილ- სიცოცხლის გახდი მხილველი,
        უერთგულესი უფლის მმოსავი.
აწი რამდენჯერ მოგვენატრება,
შენი ბაგენი კეთილმღიმარი,
რა სხივოსნებას გვაფრქვევდა ირგვლივ,
ლურჯი თვალები მირონ მდინარი.
        ,,ტკბილო მოძღვარო" გული გვატკინე,
        გულში ტკივილებს იღრმავებს მტკვარი,
        იცოდი შენი წასვლა ქვეყნიდან,
        ლექსად ამოთქვი დარდსაწუხარი.
მიდის ცხოვრება ზღვა აზრით სავსე,
გონებას მირევს ათასი კითხვა,
სულს მიამინდებს ბევრმა ჩემსავით,
შენში უფალი ამოიკითხა.
        ვიცი ყოველ ღამ იჩურჩულებენ,
        იჩურჩულებენ შენზე ვერხვები,
        მე შენი ლურჯი თვალების მჯერა,
        სამშობლოს მზისებრ გადმოენთები.
მზიდან მოსული კვლავ მზეში წახველ,
ვერ შეგიმეცნეთ და გული მწყდება,
ოცდაათი წლის ასაკში შეძელ,
უკვდავება და არ დავიწყება!

*

ადამიანი... ჩვენ, რომ გვგონია
იმაზე მეტად ყიფილა მომცრო...
ვინც ძლიერ გიყვარს და შენს სულს ანდობ,
სწორედ ის უნდა გადაამოწმო...

სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე

როცა მიხვდები ბრბოთა სიბრმავეს,
თვალხილულს ნაცარს გაყრიან თვალში.
ფეხით თელავენ შენს წილ სიმართლეს,
შენ კი... ტკივილი დაგიდის ტანში.
კარგის მშენებელს მარჯვენას გჭრიან,
ნაჭრილობებში გაყრიან მარილს.
როცა შენს თვალწინ იესოს სჯიან
და შენ კი, მისი შველა არ ძალგიძს.
როცა ცხოვრება გიმეტებს ეულს
და ბარაბები გყიდიან ვერცხლში.
ყვავ-ყორნებივით გჯიჯგნიან სხეულს,
ქეთევანივით გდაგავენ ცეცხლში.
როცა სამშობლოს ხურდაში ცვლიან,
ცრემლები ღვარად ჩამოგდის ღაწვზე.
შენს გამძლეობას სამსჭვალით ცდიან...
და შენ კი მაინც, ლოცულობ მათზე.
როცა მიხვდები, ხარ მარტოდ-მარტო,
შენი ტკივილი არავის ესმის.
დარდი და სევდა გაწვიმს და გათოვს
და სხეულიდან ღრიალი გესმის.
შენი სიცოცხლე არ უღირთ ფასად,
შენი წამებით იხდენენ წადილს,
შენს ირგვლივ მაშინ სიცოცხლის ნაცვლად
გზააბნეული სიკვდილი დადის.
სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე,
ბნელით შეცვალეს დილა მზიანი.
თავის ცოდვები აგკიდეს მხარზე
და მიგატოვეს თვალცრემლიანი.

სტუმარი წუთისოფლისა

მამა მელქისედეკ ხვედელიძეს.

ღვთისგან ხარ გამოგზავნილი,
სანდო მხედარი უფლისა.
ერთი კეთილი კაცი ხარ,
სტუმარი წუთისოფლისა.
დახვალ და გულით თან დაგაქვს
ქრისტესმიერი სინათლე.
ამ ცბიერ წუთისოფელში,
კბილით გიჭირავს სიმართლე.
ტანთ მოთმინება გაცვია,
გულში ღვთის მადლი ჩურჩულებს.
სიკეთის ნერგებს ახარებ,
სულში მტრედები ღუღუნებს.
მრევლს ანეტარებ ლოცვებით,
ქრისტეს მცნებებით ქადაგებ.
სული ისეთი წმინდა გაქვს,
ამბიონიდან ანათებს.
გულზე ასნც გადაგიარა,
ცრუ ჟამსაწუთროს გრიგალმა.
უმწიკვლოდ იხდი ქვეყნის ვალს,
რაც დაგაკისრა უფალმა.
ციური ანგელოზები,
ცის საუფლოდან დაგხარის
და ყოველ დილით მზესავით,
ქალ ვაჟის სული დაგნათის.
ღმერთმა დაგლოცოს ღვთის კაცო,
გაშოროს ავი, მზაკვარი,
ბევრს მიუჩინე შენს გულში,
სიცოცხლის თავშესაფარი.

ირინა ბერიანიძე

ლენა კაპანაძეს

სამართლიანი იყავი მუდამ,
თანამდებობამ
 არ მოგცა შიში,
ვაფასებ კარგო შენ შემართებას
სიცოცხლის ფასი იცი.
არ გიცხოვრია
სხვისი კარნახით,
ხალხის დამცველად იშვი,
არ გეშინია წვიმის- ძანძახის,
სიმართლისათვის იბრძვი
ხალხის ტკივილი ძალიან გტკივა,
გვერდში უდგიხარ ყველას,
მთავარი არის იყოს მართალი,
დაიწყებ იმ წამს შველას.
შენ კედელი ხარ საქართველოსი,
ჩემთვის მზე ხარ და მთვარე,
ვამაყობ შენით ჩემო ქალღმერთო,
სიმართლით გამახარებ!

ნატვრა

ვნატრულობ შენსავით რომ ვფლობდე მაგ ფუნჯებსს,
მოლბორტზე ვაზავო ფერები,
ვხატო უსასრულოდ მზე მთვარე და ...
დუმილით რომ ეფერები.
მუდამ შევიგრძნობდე მეც აღმაფრენას,
ცის და დედამიწის სამყაროს,
ვხატავდი ყველაფერს უსასრულოდ,
დარდი ბედისწერამ მაკმაროს!

ოჯახის სიწმინდე

არ წაიშლება რუკაზე საქართველო და ერი,
ღვთისმშობლის ხელსმით ყოფილა ჩვენი არსი და ბერი.
ვერას დაგვაკლებს გადამთიელი,თუ ოჯახია წრფელი,
თუმც ბევრს სწადია სიკვდილი,გადაშენება ჩვენი.
მხოლოდ ერთობა გვაკლია,ღმერთო მოგვმადლე ხელი,
ჭკუა გონებით აგვავსე,თანაც გვაშორე მტერი!

ჩემს მაიკოს

მეამაყები და შენით ვხარობ,
იმედის სანთელს გინთებ,
შენი გულისთვის დარდსაც არ ვკარობ,
ტკივილებს შენით ვითბენ.
დაბადების დღე იჩქარე დედი
რვა თვის გამიჩნდი შვილო,
სიცოცხლე უნდა გამიხანგძლივო,
ჩემო თაფლივით ტკბილო.
პატარა იყავ ცელქი ძალიან,
ახლა ხარ შვილო მშვიდი,
შენზე ამბობენ კარგი ქალია,
ყველას აქვს შენი რიდი.
კეთილშობილო მრავალჟამიერ,
გამიფერადე წლები,
შვილო და შვილიშვილებო,
თქვენი სიკარგით ვტკბები!

მეთევზე

*

ტბასთან ერთად საიდუმლოს მალავ,
ელოდები თევზი როდის მოვა,
წვიმაშიდაც ფიქრებს იმედს ძალავ,
ებრძილები ბედისწერის თოვას.
მედიდურად ელოდები ტალღას,
და უყურებ წყლის ბუყბუყს და ტრიალს,
შენ არ იცი თუ რა არის დაღლა,
გაუძელი ბედის ორონტრიალს .

ბაზალეთზე

*

ბაზალათზე ყვავის მინდორ ველი,
სიმშვიდეა მზე ისვენებს მინდვრად,
მეც ჩემს გულში ღვთის გაზაფხულს ველი,
რადგან გულში თოვდა კიდეც წვიმდა.
ბევრის მომსწრეს თუმც ტბასა მოსდის ცრემლი,
ყრმის აკვანი აწვენია წყალში,
ისტორია ყვება დარდით წარსულს,
მეგობრებო მზეს დავწძებ ქარშიც.
ვერიდები ბოროტსა და ავსულს,
სიყვარულით გულს მსურს მივცე შვება,
მტკივა ისევ მეგობრებო მტკივა,
რადგან წყალი ცრემლით წარსულს ყვება

მარინა წიკლაურს

*. *. *

ბაზალეთმა დაიბნია შემოდგომის ბაბთა,
დარდი გაყვა
სადღაც ნიავს,
მარი შენით დათბა.
ლამაზ ფერში მოფენილა,
ყვავილები წყებად,
ადრე ბევრჯერ მოვწყენილვარ,
ვერსად ვნახე შვება.
იომორით მინდა კარგო,
დარდი შევამცირო,
გულში უნდა დაგიქრგო,
ზოგჯერ გავიცინო.
მწვადის შეწვას მოუხდება,
წალამი და ბია,
ჩემო კარგო მარიკუნა,
შენ გული გაქვს ღია.
მასპინძლობას თამ მოყვება,
მეგობრობის ფიცი,
გულმა რადგან
იგრძნო შვება,
გახდი დადნაფიცი!

იღბალი

*

იღბლის მაწყევარი
უფალსაც არ უყვარს,
რადგანაც ტკივილი
მას უფრო აწუხებს,
მე დავგმე ამიტომ
ცრელი და წუწუნი,
გავურბი ბედისწრის მარწუხებს.

წინ ვიყურები
მომავლის იმედით,
ცრემლით და წუწუნით
უფალო არ დაგღლი,
რწმენით კი მე შენთან
გულწრფელად მოვედი,
თვალიდან ცრემლებსაც გადავღრი!

ია ხიდაშელს

*

შეგხედავ და მკაცრი ჩანხარ,
ჩაცმაცა გაქვს შესაფერი,
ნიავივით რომ დაქრიხარ,
მენატრები! მენატრები!
ჩემო თბილო მეგობარო,
რომ მატყვევებ თვალთა ისრით...
მებრძოლო და მეომარი,
მორიდებით თავს რომ გიხრი!

ქსნის ხეობის ნოსტალგია

*

სევდა მორეული დავიარები და...
ფიქრით მივუყვები გზას,
ქსნის ხეობაა ჩემი ტკივილი და...
არას ვენდური სხვას.

როცა ვიხსენებ იქ განვლილ დღეებს,
დაბურულ ტყეთა ხედებს,
მთები რომ გავდა გოლიათ დევებს,
ვარდები ლამაზ დედებს.

ზანგურაანთში
 დანგრეულ ოდებს,
ხავსი მოდებია ბზას,
ქსნის სიყვარული მახსოვს და მომდევს,
მოგონებები მკლავს.

გულს ვიიმედებ
 ის დღეც დადგება,
ლოცვით ლექსის
 ყანწს ვსვავ...
სისინა ქარი ისევ ჩადგება
ვიხილავ ლამაზ ქსანს.

პრომეთე

ღმერთმა პრომეთე მიტომ დასაჯა,
ადამიანებს ცეცხლი რომ მიცა,
მეც ბედისწერამ მწარედ დამსაჯა,
სულს კი უფალი იცავს

ნონა გაფრინდაშვილს

ქალი ლეგენდა მსოფლიოს იპყრობს,
ჭადრაკს თამაშობს გონით,
მის წინააღმდეგ
ოციც რომ იყოს...
მოგებული აქვს ომი!

თამუნა სამქანაშვილს

მწვერვალია შენი ლექსი,
ანათებს როგორც ცისკრის ვარსკვლავი,
გალობა არის ნანინად მესმის,
მტრისთვის კი არის მიწის საფლავი.

ცეცხლია, ცეცხლი, აალებული,
ჰაერი არის...
 დილის ნიავი,
ენგური არის აღელებული,
მტერს რომ დახვდება ბევრჯერ სიავით!

*

აღტაცებული გემით შევცურე
კონოს ტბის ტალღამ წვეთი მაპკურა,
რა მექნა დარდო, შენი შემყურე,
ცრემლები აბა გულს რას განკურნავს.
საქართველოა ჩემი სახატე,
რიწას ვამსგავსე ტბა სიკამკამით,
გულში იმედი გადმოვიხატე,
ჩამოვისვენე ტბასთან იმ ღამით!

*

მე პოეტად თავს
არა ვთვლი,
არცა ვფიქრობ დიდობაზე,
ჩემი გულის დარდებს დავწერ
ჩემი ფიქრის კიდობანზე.

მინდა ყველას გამოვუტყდე
შინაგანად
გულს რა ყინავს,
მარტო ოჯახს არ ვგულისხმობ,
სხვისი ტკივილებიც მტკივა.

ძლიერ ქალად რომ მომნათლეს,
არ მემჩნევა თითქოს დაღლა,
ცრემლ-ქვითინში
ხშირად ჩამთვლემს,
გულის შიგნით
ვმალავ დამღას.

სულ არ მინდა შეცოდება
რომ მიყურონ დარდიანი,
ნურც მავთული მომედება,
დიდი ეკალბარდიანი.

ნანა წვიროველს

წლიდან წლამდე სულ რომ ველი.
ჩემი ნანას დღეობას,
გულ გახსნილსა და ძალზე ჭკვიანს,
ჰქონდეს კეთილდღეობა.

ქალი დედა საყვარელი,
ნანა არის რჩეული,
მღერის, ცეკვავს ტკივილს გვქრობს,
ხალხში გამორჩეული.

შენს გვერდში ვარ თუ დაგჭირდე,
გოგონების აღმზრდელო,
სიყვარულსაც მსურს დაგპირდე,
ტკივილების განმდევნო.

იმ გოგონებს გიდღეგრძელებ,
შენებრ კარგს და ჭკვიანებს,
სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ,
ნამდვილ ადამიანებს

დალოცვილი მინდა იყო,
შვილთა შვილში გამრავლდი,
ასი წელი აქ მსურს იყო,
მერე უფალს ჩაბარდი!

არა ვნებდები

მე არ ვნებდები
განვლილ ცხოვრებას,
განსაცდელი რომ მომივლინა უგულო ბედმა,
იმ დარდის აღმარდს ტკივილები არა შორდება,
არ იდარდოვო, გამიღიმა იმედის მტრედმა.

ნიკოლოზ კურტანიძე

სიცოცხლე

მარტო იმად ღირს სიცოცხლე,
აანთო ბნელში სანთელი,
ისე მოფინო სინათლე,
არ გააწბილო გამზრდელი.
ტყეში გაკვალო ბილიკი,
ყვავილს მზის შუქი არგუნო.
ეკალბარდისგან გაწმინდო,
მამულეთი და საუფლო.
ალგეთს გაზარდო „ლეკვები“,
ლაშარს „არწივის მართვენი“.
არ შედრკე მუდამ ამრავლო
ძალა ამრავლო ქართველის.
ერია ძალა ქვეყნისა,
სამშობლო მეტი რა არის?!
მადლია ქრისტე ღმერთისა,
აღელვებული ზღვა არის.
დედა ბურჯია ქველობა,
ლილეო მისი ლოცვაა,
ორი ზღვის შუა ტანჯვა და
ბედის მოთბენით მოცდაა.
ამონათქვამი ხმა არის,
წინაპართ სისხლის ყივილის,
უკიდეგანო სივრცეში
ქართველებს წინ რომ მიგვიძღვის.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს

მე ფეხბურთი არ მიყვარდა,
შემაყვარეთ ძალიან!
ევროპაშიც შეგეწიოთ,
ღვთისმშობელი მარიამ.

„საქართველოს გაუმარჯოს“,
ასეთია დევიზი,
ევროპის ჩემპიონობამდე
უეჭველად მოვიცდი.

ოთხმოცი წელი რას მიზამს,
თქვენ თუ ასე იმარჯვებთ.
გოგონები გულს გახსნიან,
მოგართმევენ მიხაკებს.

მიყვარს თქვენი შემართება –
ვაჟკაცური თამაში.
ღმერთო, კარგი იქნება
სიყვარულს თუ დამაცლი.

რას იზამდა კვეკვესკირი,
რომ ვერ გაეტანა გოლი?!
აფხაზეთს რას მიუძღვნიდა,
რას იზამდა ღმერთის სწორი?!

კვარამ ისე ითამაშა,
ოთხი კაცი დაამბა,
ვიდრე გოლებს გაიტანდნენ,
თითქოს სული გათავდა.

იმედია ევროპაშიც,
ითამაშებთ კარგად.
თორემ იქ მაჩანჩალობას,
მირჩევნია ჯვარცმა.

... და შევქმნათ სინერგია!

ნეტავ, რამ გაგვაძლებინა
ხმალთაკვეთების ჭიდილში,
ტანს გვიჩეხავდნენ და ტოტებს
გვჭრიდნენ ძილსა თუ ღვიძილში.
რომ წავიკითხე მეორედ,
მე „უქარქაშო ხმლები“–
ფესვები გვქონდა ძლიერი,
ახლა გუმანით ვხვდები.

წუთისოფელი მოგორავს!...

17 წლის გუგას (გურამს)

გილოცავ, დაბადების დღეს!
თვალი დაადგი ევროპას.
შენთან ვერც ერთი ყმაწვილი,
განათლებით ხომ ვერ მოვა.
ისეთ ასაკში შედიხარ,
ახლა იწყება დუღილი.
მტრისათვის – მტერი იყავი,
ნამდვილი ჭექა–ქუხილი.
მოკეთეს გამოადექი,
არ დაიზარო სიკეთე.
ვიცი, რომ კარგი ბიჭი ხარ,
კარგია გულის სიმრთელე.
ისე ძალიან მიყვარხარ
უმცროსი შვილიშვილი ხარ!
ახლა სულ შენზე ვიფიქრებ –
ევროპაში რომ მიდიხარ!
ას წელს გისურვებ ყმაწვილო!
გიტოვებ ჩემს წილ სამყაროს,
ღმერთმა შენ ქორწილს მომასწროს,
სიცოცხლის გზას არ გამყაროს.
საბედოც კარგი გენახოს,
თეთრკანიანი გოგონა,
შავგვრემან ქალსაც რა უჭირს,
წუთისოფელი მოგორავს!...
მე ვხვდები, მტერიც მიგვიხვდა
და ახლა ფესვებს გვჭრიან,
ფესვები უნდათ შეგვაჭრან
და დაგვაშორონ მიწას!
უნდათ სამშობლოს მოგვწყვიტონ,
ცათამდე ადის გოდება!
ისეთ პირობებს ქმნიან, რომ
თავად ჩავბარდეთ მონებად.

მეოთხმოცე დაბადების დღე

ნახეთ რა სილამაზეა –
ოცი ლამაზი ქალი,
ცუდ ხასიათზე რომ ვიყო,
გამიბრწყინდება თვალი.
წინ დიდი თაიგული დგას,
ჭერში – ბუშტების ჯარი.
ღვთისმშობლის სურათს ვუყურებ,
არ მაქვს არაფრის დარდი.
დარდი კი არა, კარგია –
დაბადების დღე რომ მაქვს.
რა საჩუქრები მომართვეს!!!
დღეს სიხარული მოაქვს.
იმდენმა ქალმა მაკოცა!!!
პირს არ დავიბან სამ დღეს.
მინდა, რომ მათი სურნელი
დიდხანს, სულ დიდხანს გამყვეს!
ისეთი მადლობელი ვარ,
ტანს ჟრუანტელი მივლის,
მათი სიცოცხლე მაცოცხლებს,
ჩემი სიცოცხლე მიდის...
რვა ათეული წელია,
მეცხრეს დავიწყებ ახლა.
მე არ მოვკვდები არასდროს
სიცოცხლის ჟინი მახლავს!
მე მტერი ვერ მეკარება,
არც ერთი მტერი არ მყავს.
სულ სიხარულად ვივლი და
გამოვეკვრები ცამრგვალს.

ამ ყველაფრისთვის გჭირდება

ისე მიყვარხარ ისევე,
როგორც ოთხმოცდაცხრამეტში*
პატარა, დინჯი, ლამაზი
დადიხარ გულის არეში.

დიდი ცხოვრება წავიდა
ვაგროვებ ოქროს არაკალს.
კარგად ხართ, მეტი რა მინდა,
მე მეტი ჯავრი არა მაქვს.

მანძილი ვერას დამაკლებს,
გონების თვალი თანა მაქვს.
თქვენ გეფერებით სულ ყველას,
სხვა საფიქრალი არ მაქვს.

გილოცავ დაბადების დღეს!
ჩემო ვაჟკაცო ლევანი,
შენ უნდა შექმნა სამყარო.
ზარდო ცხოვრების მტევანი.

ამისთვის არის საჭირო
ჭკუა და კარგი კაცობა.
გისურვებ, გულს არ დაგაკლდეს
საჭირო არის გართობაც.

საჭირო არის ცხოვრება–
დიდი ცხოვრების ჟინი.
რომ გაჩნდეს შენი შვილები–
ცხრა ბიჭი, ერთი „ჯინი“**

ვერ წარმოიდგენ ვერასდროს
როგორ მიყვარხარ როგორ!
ამ ყველაფრისთვის გჭირდება
ერთი „ვაჟკაცი“ გოგო!

ნამდვილად უღელს რომ გასწევს
ცას შეაწყვიტავს ტიტას.
შვილებით რომ გაახარებს
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას.

*ოთხმოცდაცხრამეტში – იგულისხმება 1999 წელი.
** „ჯინი“ – გოგონა

გარდასული დღეების ფიქრები

ძალიან ხშირად

ძალიან ხშირად, ძალიან ხშირად,
თვალს დავხუჭავ და ბავშვობას ვხედავ
გადავიქეცი მარტოდენ ფიქრად,
ამდენი ფიქრი რას ნიშნავს ნეტავ!

მშობლიურ სკოლას ვხედავ წერტილად,
ხელში ვგრძნობ სითბოს, გულში კი დაჭრას.
ის გრძნობა ჯერაც არ დაშრეტილა,
სიცოცხლის იმპულსს იძლევა ახლაც.
ვარ მოდინახის კოშკზე ასული,
ყველაზე შორს და ყველაზე მაღლა,
ხელს მიწვდის ჩემი ყრმობის ქალწული,
მისი თვალები მინათებს ახლაც.

ის გრძნობა იყო მე რომ გამზარდა,
გამზარდა უცბად, თითქოს ერთ წამში,
ჩემს წინ გაიხსნა ცხოვრების ფარდა,
გაფრინდა ჩემი ოცნების რაში!

არ შერჩება მავანს!

დღეს ქარები რაღაც, სხვანაირად ქრიან,
მეც იმედით ვუმზერ ლაჟვარდოვან ზეცას,
თუ სიტყვები ახლა ხმალზე მეტად ჭრიან,
სიტყვის ჯაჭვი ტანზე გაუხდელად მეცვას.

ნეტავ რაღას ვიზამ დარჩენილი კენტად,
სხვას უფრო აქვს ახლა ენა ალესილი,
სატანის სწამს ზოგ–ზოგს ღმერთზე უფრო მეტად,
საქართველო უნდათ, ნახონ გასრესილი.

ვერ მივართვი, ისე, ვით დასუსტდეს ლომი,
შეუშინდეს ტურას, თავს დაისვას მელა.
ჯერ კი სიბრძნე გვმართებს, შორს სისხლი და ომი,
არ შერჩება მავანს უსაფუძვლო წყენა.

ნახევარი სანთელი

შანდალზე ვხედავ ნახევარ სანთელს,
გვიან ანთებულს უკუნ ღამეში,
უნდა, რომ მისი სინათლეც ჩანდეს,
ამ უსასრულო სილაჟვარდეში.

იწვის სანთელი, პატარავდება,
ნაჟურის დადგა ტბორი,
ტბორში ლანდად ჩანს მისი
ნათება და მომავალი შორი.

ნატრობს სანთელი ისე აინთოს
(თუმც დარჩენია ერთი ანთება)
ისეთი შუქი გამოაჩინოს
იმის მომავალს რომ ეკადრება.

შენიშვნა: ნიკოლოზს ნახევარი სიცოცხლე ჰქონდა გავლილი გულის ოპერაცია რომ გაიკეთა.

რა ბედნიერება, იცი?!

მკლავი რომ გეღლება და გული არა,
რა ბედნიერებაა, იცი?!
რა ბედნიერებაა, რომ ცეკვავს ლაღად,
მწვანე მინდორზე კვიცი.

ბედნიერი ხარ, ძმობილო მაშინ,
გულს რომ არა გრძნობ მკერდში.
ბედნიერი ხარ, იმღერე ლაღად,
ხმა აუწიე ჭერში.

მე კი... და მაინც ვბედავ სიცოცხლეს,
სხვის როკვას ვაყოლებ სიმღერას.
ღიმილით ხელებს მაღლა ვიწოდებ,
თან დარდს ვატარებ იმხელას.

სხვაც რომ არ იყოს სადარდებელი,
ქვეყანას ეყოფა დარდად,
მაგრამ ასეა წუთისოფელი,
დარდი?! არ მახსოვს ნაღდად.

სულის ტანჯვა

ძალიან უჭირს ახლა ჩემს ყვავილს,
ძალიან უჭირს პატარა იას*,
წყალი დამშრალა, დგას სიცხის ხვატი,
რა ასაზრდოებს ვერ გამიგია.

გული გამშრალა, არა აქვს ცრემლი,
ტვინში აზრები ბუნდოვანია,
ბედ–იღბლის მჭედელს ვინ მისცა გრდემლი,
დადუმებულა დიდი ხანია.

ასე მგონია გარჩენილია,
უდაბნოს პირას ბედისმჭედელი
და უდაბნოში პატარა იას,
არა აქვს წყალი, უშრება ყელი.

ვუყურებ ტანჯვას, ჩემი სულისას
და თვალში ჟონავს ცრემლი ალალი,
ღმერთი თუ არის, სადმე თუ არის,
იმან განსაჯოს მტყუან–მართალი.

უმადურობამ შემძრა ძალიან,
ძმისა და მოყვრის უმადურობამ,
პატარა იას ფერი წასვლია,
სიცხემ დასწვა და უამინდობამ.

ფიქრი, ფიქრს მოსდევს, არავინ არ მწამს,
არც არჩევანის არ მაქვს უფლება,
რაც მახარებდა და რაც მე მწამდა
არავინ მაძლევს იმის უფლებას.

სულ სხვანაირად ვზრდიდი ყვავილებს,
თავს ვევლებოდი პატარა იას,
მგლური კანონით ცხოვრების მსურველს,
როგორ ვაცოცხლებ ვერ გამიგია.

არ ვიცი, არა, ფიქრები მტანჯავს,
მექანიკურად ვადგამ ნაბიჯებს,
შთამომავლობა ნატანჯს და ნაჯაფს
არ ვიცი ამას როგორ გამიგებს.

---

*ია – ახალი საქართველო

კრიზისი

სად დაიკარგა ნეტავ ხალისი,
გული საგულეს ჩაფერფლილია,
წაიღო დარდმა ოქროს საწმისი
ვარდის ფურცლები დაფლეთილია.

რაა ამ ქვეყნად კაცის ცხოვრება,
ცუდი მესაჭე მისვლა–მოსვლისა,
ზარალი, ზარალს, თუ წამოება,
წინსვლის სურვილებს მისრის–მოსრისავს.

მგლების ხროვაში ცხოვრება,
მგელს შეუძლია მხოლოდ,
ალალ–მართალი მოკვდება
წინ ჯვარი გაუძღოლოთ.

კრიზისი დადგა, დიახ, კრიზისი,
კაცობისა და სირცხვილ–ნამუსის
და გადის ახლა მხოლოდ იმისი,
ვისაც მკლავი და ძალა გაუჭრის.

ძმა, ძმას არ ინდობს წიხლს აჭერს,
გული საგულეს წეწავს,
სხვას რაღა ვუთხრა, ნეტავი,
ან ქურდს და ანდა მეძავს.

წლები

წავიდა წლები, წაიღო რაღაცა...
ყოველმა ცოტ–ცოტა, იოტის ოდენა,
ფიქრებმა წარსული წუთებად დამარცვლა,
მასწავლა სიცოცხლე, შრომა და მოთმენა.

წავიდა წლები და წაიღო სინორჩე,
გულმა სიყვარული მაინც ითხოვა.
ოღონდ ესაა ცოტა დავიმორცხვე,
როდესაც თმებში უხვად ითოვა.

ვიცვლები მე და იცვლება ყველაფერი...
ახალგაზრდობას შევცქერი სინანულით
გულის გატეხვა შვილია – ვერაფერი,
ირგვლივ როდესაც ფეთქდება სიყვარული.

ისე ფეთქდება, როგორც გაზაფხულზე
ფეთქდება ხის შტამპზე მძინარე კვირტები,
ისევ დავბრუნდები ერთ დღეს, გენაცვალე,
მომეფერები და გაგიკვირდები.

შვილები

დავბადებულვარ თურმე აპრილში,
ბედნიერი და პირზე ღიმილით,
ეს დეპრესია ვიცი, გამივლის,
დავრჩები მხოლოდ გულზე ტკივილით.
თანამგზავრია ჩემი ღიმილი,
უკან ღრუბლები ჩამოწოლილან.
ტკივილი მომდევს, დიაღ! ტკივილი,
გულის ტკივილი მომდევს ყრმობიდან.
მაგრამ მე მაინც უკვდავება ვარ,
მე მარტოსული არა ვარ, არა!
უკვდავებისთვის ჩემი სულისა,
ჩემი შვილები დიაღაც კმარა.

ბავშვობა

თუნდაც ღარიბი, სიცოცხლით სავსე
პატარა, მაგრამ იცი, იზრდები.
დედის ალერსი იმედით გავსებს,
იშლები, როგორც ხეზე კვირტები.

ის გმირთა–გმირი, მამა გგონია,
რომელიც ყველა ურჩხულს წააქცევს,
ის მოერევა ყველა გოლიათს,
მას სიბრძნედ უთვლი, ყველა ნააზრევს.

ხშირ–შირად ხედავ ვარდისფერ სიზმრებს,
არწივს ეწევი ცაში ოცნებით,
ისახავ დიდ და შორეულ მიზნებს
არ გწამს ოდესმე, შენც თუ მოკვდები.

ფიქრი

ყოველდღიური წვრილმანები მჭამენ, მქანცავენ,
ირგვლივ პატარა კაცუნები ხლართებს აბამენ,
ასეთი არის წუთისოფელი, აბა რას ვიზამ,
ნაგავი ყველგან დაგროვდება, თუ არ გავზიდავ.

მგონი ცხოვრება მაინც არის დიდი გენია,
მე რომ ჩამოვრჩე იმის წინსვლას, ნაღდად მრცხვენია.
კაცის გონების შედევრია აერობუსი
გაიჭიმება სავარძელში ვიღაცა ურცხვი.

გონებაჩლუნგი, ფიზიკურად უქნარა, ზანტი,
იტყვის: „ ვინ არის ციოლკოვსკი, ნიკო, ან კანტი?!“.
წასვლა–წამოსვლა, გადაფრენა – ესეც ბედია,
უმოქმედობის, სიზარმაცის ნაღდად მრცხვენია.

უნდა მოხდეს რაღაც დიდი

ყველასა ჰყავს თავის ღმერთი,
თავის სულის მოძღვარი,
წუთისოფლის კანონია,
ყველაფერი – მოძრავი.

თურქი ქართველს ეჯიბრება,
ალაჰი კი იესოს,
წუთისოფლის კანონია
ყველას მისი მიეზღოს.

ყველა ხალხი მისთვის ბრძოლობს,
გაიხაროს გულის ჭია,
თურქი მეჩეთს აშენებს და
ქართველი კი ეკლესიას.

ვინ გაიტანს ნეტავ ამდენ,
ლაფში ჩაფლულ ქართულ ურემს.
თურქი ეკლესიას ანგრევს,
ქართველი კი მეჩეთს უღრენს.

ეკლესიის ნანგრევებთან
ანგელოზებს ჰქონდათ კრება
ქართველური სული ღმერთო!
ნელა–ნელა რატომ ქრება.

რა ვუშველოთ სინამდვილეს,
ღერთმა მეტი გვაშოროს!
უნდა მოხდეს რაღაც დიდი
ქრისტემ ალაჰს აჯობოს.

გადმოხედოს – ართვინს, ხახულს,
იუსუფელს, უზუნდარეს.
ქართველებში მისი რწმენა,
არ გაქრეს და ისევ აღდგეს.

დარეჯან მაჭარაშვილი

გაიარე!

სხვისი ცოდვა არა –
შენი დაითვალე,
თვალი ვინ დახუჭოს –
მიდი, გაითვალე.
სადაც ძალა ვერ ჭრის –
შუბლით გაიტანე,
რაც სხვამ აიტანა –.
შენც ის აიტანე!,

სხვაზე ფიქრის ერთი
ღამე გაათიე,
ცოდვა–მადლი ერთად
მუჭში ჩაატიე,
სხვისი ტვირთი ერთხელ
ზურგზე მოიკიდე,
სხვა რომ დარდიანობს –.
შენაც მოიწყინე!

მე რომ ამივლია, –
ის გზა აიარე,
ფეხით ნუ გათელავ
ყვავილს გვალვიანებს,
აღარ შემომიხსნა –
პირი ნაიარევს,
თუკი არ მოგწონვარ –
ისე გაიარე!

მომენატრა

ჩემი სოფლის "სუნი" მომენატრა,
წყარო ანკარა და.... ლელიანი,
სადაც ყველაფერი თავს მაწონებს,
სადაც ყველაფერი ჩემი არის!
ჩემი ბავშვობა და მინდორ– ველი,
ატალახებული გზებიანი,
წვრილი,საცალფეხო ბილიკები,
ადგილ–მამულები ზვრებიანი!
ღამე ტოლ–სწორებთან ჭორაობა,
საზღვარს გადასული ხეტიალი,
სტუმრად ჩამოსული გოგო–ბიჭის,
ჩუმი გამოხედვა ვნებიანი!
ღამეს მოპარული კოცნები და
მერე სიყვარული ფრთებიანი,
ფეხით შემორბენა ადგილების,
სადაც ზვინები და ძნები არის!
იქვე–ჭორიკანა ბებიები,
თავშალწაკრული და მხიარული,
ბევრი უმიზეზო სიცილი და
ბევრი უგზო–უკვლოდ სიარული!
ბაღში შეპარვა და სიჩქარეში
ტოტებდამტვრეული ხეხილები,
დაგვიანებული სახლში მისვლა,
მამას ნახსენები"კეთილები"...
ახლაც ის ალაგი მენატრება,
ხან ღელეებიც რომ შლეგი არის,
სადაც ზღვარი არ აქვს მონატრებას,
სადაც სიყვარული ბევრი არის,
სადაც შეხვედრისას ღიმილია,
თვალი–სიხარულის ცრემლიანი,
სადაც კანტი–კუნტად უცხოა და
უფრო უმეტესი"ჩემიანი"!
– – – – – – – – – – – – – –
ეს მოგონებები მაცოცხლებს და
თავად სიცოცხლეზე მეტი არის,
და ეს ყველაფერი იმ ბავშვობის
სულ ციცქნა– ზღვაში წვეთი არის!!!

***

ისევ წუხილი და ისევ მონატრება,
ისევ სევდიანი ღამე...
მერე უსასრულო, ჩამქრალ სიყვარულზე
ჭორებს გაავრცელებს მთვარე!.
დარდი აზვირთდება,ვით ზღვა ქარიშხალში,
აღარ დასრულდება ღამე,
მე კი სიბნელეში ხელებს ვაცეცებ და
ვეძებ საიმედოს, რამეს!
სული გაძარცული იქნებ გადამირჩეს,
რწმენას შემოვიცვამ ტანზე,
იყო არა იყო, ვინაც მაწყენია
ვინაც მახე მიგო გზაზე!
ისევ ავმღერდები, ისევ გავდიდდები
ვინმე საიმედოს ხმაზე,
მერცხლის ბუდესავით შევკრავ ღიმილებს და
აღარც დავიდარდებ რაზე!
ცუდი სიზმარივით წყალსაც მოვუყვები
აღარ დავიტივებ დარდებს,
მერე ნარ-ეკლებით ხელებდაკაწრული,
გზა-გზა ავაყოლებ ვარდებს....
– – – – – –
აღარც წუხილი და აღარც მონატრება,
აღარც სევდიანი ღამე....

ვაი–თუ

შემომეპარა ლურჯი აპრილი
გრძნობა მიბნია ფერხთა,
ვაი–თუ შენზე მიყვება ამბავს
ჩუმი შრიალი ხეთა,
ვერ შემოგბედე გულის ნადები
სიოს ვაბარე შენთან
ნეტავ გითხრა თუ დაკარგა გზაში
შენთვის რაც უნდა მეთქვა!
ფანჯრის გადაღმა თავს იხრჩობს მწუხრი
იქნებ დამცინა ბედმა,
იქნებ ის არ ხარ, ვინაც მგონია,
იქნებ ჩემთვის გშვა ღმერთმა!
ფიქრი სასთუმალს წვება დაღლილი
გულის მაწვალებს ფეთქვა,
ვაი–თუ–ჯობდა რომ არ გითხარი,
ვაი–თუ.... უნდა მეთქვა!!!

მოდი

უშენობით გამიჭირდა სუნთქვა,
ცა პირქუშობს,
ტოტებს არხევს ქარი,
ქუჩა–ქუჩა ვეხეტები უქმად,
დაღლილი და სიყვარულით მთვრალი.
თუ არ მოხვალ, დავიბნევი სულ მთლად,
თუ არ მოხვალ, ამერევა კვალი,
სიცოცხლესაც ჩაუვლია უქმად,
თუ გამყვება სიყვარულის ვალი,
იქ, შორეთში ელვა კაწრავს ზეცას,
აქ კი ჩემს გულს შენ დაატყვე ბზარი,
მოდი, სანამ გელოდები მეც, და..
სანამ სადმე მომისროდეს ქარი!!!

იყო და არა იყო

როგორ გაფრინდნენ წლები,
ქარს აედევნენ თითქოს,
ის ღიმილები მწველი
იყო და არა იყო!
გული, დაღლილი ფიქრით
დარდის დაფარვას ცდილობს–,
"ეჰ, უდარდელი ხანა
იყო და არა იყო"
ფიქრის შემიჩნდა ჭია,
უნდა მიმონოს, მიყმოს,
თავზე დამჩხავის–, კმარა
იყო და არა იყო!
სად დაიკარგა ნეტავ,
ის სიამე და სითბო,
ახლა გაყინულ ხელებს
მოგონებებით ვითბობ!
სევდამ გაკაწრა გული,
ტოლ–სწორმა ვეღარ მიცნო,,
ის სიყვარულიც წრფელი
შემომეხარჯოს ვინძლო,
სიყვარულს ბნელში ვეძებ
გამოწვდილ ხელებს ვითხოვ,
როდემდე მაარსებებს,
იყო და არა იყო?

მზია გირგვლიანი

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ!
კურთხეული მიწის შობილი,
ვაზის ქვეყნიდან,
მოდარაჯე ჩემი მამულის.
მზე ჩემში არის სამუდამოდ
გადმომყნობილი.
ყველა კუთხე მაქვს გულში
ნაზად ამოქარგული.
მე ქართველი ვარ, ქალი
დედა, სულით ძლიერი.
ქრისტე რჯულისა, რწმენისათვის
ფერფლად ქცეული.
არ შემიცვლია გასაჭირშიც
სახის იერი. მტერი კი ბევრგან
საზღვარზეა გადმოწეული.
სუნთქვა მაცოცხლებს,
ჩემი ერის მერცხლის ჭიკჭიკი.
ქართვლის შვილი ვარ,
გმირები რომ იბადებიან.
მკვდრეთით აღვსდექი,
მოისმინეთ გულის წიკწიკი.
თუმც გარდვიცვალე
ვიბრძოლე და მაინც აღვსდექი!

მშვიდობის მტრედი

ფიქრები და ოცნებები

შემოფრინდა ფანჯარაში
სიო ნაზი სურნელით,
გაქრა ფიქრიც
ამდენ ქარში,
ქარი არის სულელი.
ქარი როცა ამოვარდა,
ოცნებები დამიფრთხო.
სიო უკვე არსად ჩანდა
სად წავიდა ვის ვკითხო.
ბრწყინვალებას ჩემი მზისას
უკვე ვერსად ვერ ვხედავ,
ქარი ზმუის დეკემბრისა,
მიჭირს გარეთ გახედვა.
ღრუბელ-ღრუბელ მიაქროლებს
ოცნებას და ჩემს ფიქრებს,
გულში ნაღველს მიტოვებს,
დარდი რითი გამიქრეს.

მირონი

მთიდან იწვიმოს მირონმა,
სამშობლოსათვის.
ღმერთო,
ამიბიბინდეს მინდორი.
რწმენა სულ გულში
მენთოს.
აკურთხე ჯვარი
რწმენისათვის,
საყდარი, ყველა ტაძარი.
ამას გთხოვ ჩემი ერისთვის,
ჩემი სიმდიდრე ეს არი.
ხატები ცრემლით ნაწერი,
განძია ჩემი ერისა.
გული მაქვს დარდით
ნაძერწი,
იმიტომ აღარ მეღირსა.
საქართველო და უფალი,
ჩემთვის ორივე ერთია.
მენახოს თავისუფალი,
რომ მეც მოვესწრო ერთიანს!

მზის სხივების ზეიმია

დრო, მტვერწაყრილი,
ტრიალებს ირგვლივ.
მოფენილია დარდი.
სამყაროსთვის ცრემლად
დადენილი წვიმა, ნისლებად
რომ დაიხურა დედამიწამ.
უღმერთობით შეშლილი და
ცრემლად მოვლენილი
წვიმის წვეთებია.
მოსულია მშვიდობისთვის,
მოფარფატე თეთრი მტრედი.
გულში არ ჩააქროთ
სიცოცხლის სანთელი.
გულის კარში ანგელოზები
შემოფრინდებიან.
წვიმის წვეთები
მისველებს სახეს.
მიყვარს გაზაფხული,
იების სურნელით.
ავსებული სითბოთი
და სიყვარულით.
მობნეული ზეციდან,
ოქროსფერი სხივებით.
თითქოს სულსაც
მოჰფენია სხივი.
მზე ათბობს და
სურნელს აფრქვევს.
ირგვლივ მზის
სხივების ზეიმია!

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი...

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
არ სწამდა ხატი, არ სწამდა ღმერთი.
წაიფორხილა ქუჩაში მარტომ,
გულში ტკივილი შეიგრძნო ამ დროს.
იქვე ცივ კედელს მიეყრდნო კვნესით,
საშველად იხმო ხატი და ღმერთი
და უკაცრიელ ქუჩაში, ბნელში,
წამს აიტაცა ვიღაცამ ხელში.
გონზე მოვიდა, სიკვდილს გამოსცდა,
მიხვდა, მოუწყო ღმერთმა გამოცდა.
ის მიდიოდა ქუჩაში ერთი...

ვეძებ

თეთრ ნისლებში ზეცას შემოვძახებ,
გავუყვები უეკლო გზას ნელა,
სხვას არასდროს ხელს არაფერს ვახლებ,
იმედებით ვასაზრდოვებ ყველას.
ჩახსნილ ღილით გულს გაგიშლი მთაო,
შევერევი თეთრ გვირილებს ველად,
გამიღიმე ლურჯთვალება ცაო,
არსად მომწვდეს წვიმის ხმა და ელვა
მე ვარდს ვგავარ ლამაზს, ნაზს და ცვრიანს,
არ მატიროს ქარიშხალმა დილით,
ეს ქარებიც რაშებივით ქრიან,
ნუ მომაკლებ უბოროტო ღიმილს.
ეს სურვილი შემისრულე ღმერთო,
ფიქრის გზები ამ ფერებად ღვივის,
მიწა მინდა ჩემი შევიერთო,
ბოლოს გავქრე ღამის ვარსკვლავივით!

თინათინ უზარაშვილი

მშობელო მიწავ!

სხვა არა მინდა,
მაპოვნინე გული ნამდვილი,
ბევრს არას შეგთხოვ,
მომეც ნება შენზე ვილოცო,
არ გამინელო ძიებისა და წვის წადილი,
შენთვის მოსულმა,
დაე,მხოლოდ შენთვის ვიცოცხლო
შენს სახატეში
ნუ ჩამიქრობ ბოლო კელაპტარს,
დაუდევრობით
ნუ დალეწავ გრძნობას
გულისა,
მომეცი ძალა,
რომ სიკეთე
მხოლოდ შენად ვქნა
და მაზიარე სიტკბოს შენი სიყვარულისა...
უძირო ცაო,
გთხოვ,მასწავლე ცხოვრება ისე,
რომ შენ მოგიძღვნა
აზრიანი ყოველი წამი,
მშობელო მიწავ, სულ დაგილევ ნისლიან ფიქრებს,
ოღონდ,შენს გულზე დამარჩინე,
ვით წვეთი ცვარი...

წმინდაო მარიამ

ოცნებით დაღალულს,
მეწადა
მზის სხივთა შემეკრა
გალია,
შიგ თეთრი ბარტყები მეზარდა,
რწმენის და იმედის თვალია.
ვეძიე ღიმილი ყველგან და
სიცივემ ხელი რომ დამრია,
მოვკრიბე, რაც სითბო მებადა
და...ბილიკს შევუყევ, ქარიანს.
ჯიუტად ვეძიე ნათელი
და გული ოცნებით გავათბე,
ჩამქრალი იმედის სანთელი,
ათასგზის,თავიდან ავანთე.
თუმცა ვერ მივედი მზესთან და
ვერც სხივთა შევკარი გალია,
ვერ შევძელ,რაც გულით მეწადა,
ვერ ვპოვე ნუგეშის თვალია...
მაინც, კვლავ ერთგულად
მივყვები
ჩემს ბილიკს,ეკლიანს,
ქარიანს,
თუ, ზოგჯერ, დაღალულს ფიქრებით,
უნებურ, სევდა მძლევს ძალიან,
სისუსტედ ნუ ჩათვლი ჩემს ცრემლებს,
ნურც წუხილს,გული რომ დალია.
თუ ქვეყნად ტკივილი მამღერებს,
შემინდე,
წმინდაო მარიამ!...

* * *

სული პირთამდე აუვსია
აბურდულ ფიქრებს,
მზის ბოლო სხივზე
კოხტაობენ თეთრი ფარდები,
მზისფერ ღიმილის
სამყაროდან
გამხდარ ხელს მიქნევს
ციცქნა გოგონა,
გაზაფხულის თეთრი
ვარდებით.
ქარის ფრთებისგან შეკერილი
კაბის შრიალით,
მეპატიჟება სიყმაწვილის
ჯადოსნურ კართან,
ჰაეროვანი და მსუბუქი,
როგორც ნიავი,
ლაღი კისკისით,
შეჯიბრს იწყებს ონავარ
ქართან...
ეს სიფრიფანა ახტაჯანა,
წლებისგან დაღლილს,
წამით მიტაცებს
და მანატრებს გიჟურ ანცობას,
მაგრამ...საღამო,
ტლანქ ხელებით,სიცივეს
მახლის
ღია სარკმლიდან
და...ქარს ატანს
ლამაზ ბავშვობას...

*. * *

ცივა...
სიჩუმე ღია თვალებით
ჩამყურებს სულში,
ტკივილით დაღლილს,
წვიმა,
საოცარ იდუმალებით,
უყვება ჭადრებს,
ღრუბლების ნაღველს.
ძინავს
გაზაფხულს,
იმ მთების მიღმა,
გულზე იმ მთათა
რუხი ჩრდილებით,
ცივათ
ოცნებებს,
კალთებზე მიმხმარ
თეთრი ღიმილით
ლურჯი იების...
ცივა...
სანთელი ანათებს
წყვილად
და ტოკავს ქარში
შიშველი ტოტი.
ფრთხილად!
სანთელიანთია,
ფრთხილად!
სიჩუმე მღერის
საყვარელ მოტივს...

* * *

თურმე სულ ამაოდ გელოდი,
სულში ტკივილიღა ზეობს,
ერთხელ ჩემს სულშიაც შემოდი,
სხვისთვის ანთებულო მზეო
ერთხელც...ამ გაცრეცილ სურათებს
და დღეს,უკვე რომ არ დღეობს,
ფერი და სინათლე უმატე
თორემ, ხედავ?
ეშმა ზეობს...
თურმე სულ ამაოდ გინატრე
უხმო სადარდელო ჩემო,
რატომ სხვისი სანთლის სინათლე?
რატომ სხვისი ფრთების ჩერო?
ერთხელც ამ სულშიაც შემოდი
სხვისთვის ამოსული მზეო!!!

მე რომ შემეძლოს ...

მე რომ შემეძლოს,
ნიავივით გავფრინდებოდი,
ვარსკვლავთა გვირგვინს
მოგიწყვეტდი ლაჟვარდი ციდან,
ქარს გავატანდი
ყველა სევდას და გულისტკივილს,
ყველა ეკალ-ბარდს
მოგაცლიდი დაბარდულ გზიდან.
მე რომ შემეძლოს,
შენ გიძღვნიდი ყველა სიხარულს,
ყველა გაზაფხულს,
ყველა ღიმილს,უნაღვლოს,
წმინდას,
მე რომ შემეძლოს,
დაგიშლიდი მარტო სიარულს
და...შენი სევდა,
ვეღარასდროს ვეღარ დამღლიდა...

"ამავოება ამავოთა.."

წლები გარბიან და... ქარებით შეშლილი ჟამი
მიჰყვება ქარებს,
მსხვრევის ჟინით
მთვრალი და ხელი.
ამაოდ ცდილობ შეჩერებას
თუნდ ერთი წამით,
ყველას,ყველაფერს
წვდება მისი
ალმასის ცელი...
ყველას...ყველაფერს ..
და იშლება ათასი კვალი,
ხსოვნის წიაღში
ჩალექილი ათასი ფერი,
დაღლილი მზერა,
მოგონების ჩამწყდარი თვალი
და მონატრების ტკივილები,
სევდით ნაფერი.
ყველას... ყველაფერს...
გვიან მივხვდი
ოცნებით მთვრალი,-
რა ამაოა სიმძიმილი
ტკივილთა თმენის...
ცალს რომ ამაოდ
ნატრობს სული,
კენტი და ცალი,
რომ მთელთან შერწყმას
ფუჭად ცდილობს
ნაწილი მთელის...
წლები გარბიან
და ქარებით შეშლილი ჟამი
მიჰყვება ქარებს
მსხვრევის ჟინით მთვრალი და ხელი...
"ამავოება ამავოთა .."
გაიღო ჩქამი
სულმა და..
მჯიღით მოიწმინდა თვალები სველი...

გზის დასასრული...

/ძველი რვეულიდან.../

თითქოს ჯადოსნურ წრეში ვტრიალებ
და გზებს მიხერგავს "ბედი მდევარი"
სულს,ოცნებებში ნახეტიალებს
სწყურია თბილი მზის შადრევანი.
განგება,თითქოს უხილავ ხელით,
მაკვეცავს ფრთებს და მიდუნების სმენას,
ვბორგავ ტკივილში ღამენათევი,
ვეძებ,ვერსაით ვპოულობ შველას.
ირგვლივ სიცივე, ყალბი ტკივილი,
ყალბი ღიმილი,ყალბი ცრემლია,
გაუხედნავი სულის კივილი
ამ სიცივეში უფრო მწეველია...
ამაოდ ვუხმობ ათას სალოცავს,
ამაოდ ველი აღდგომას სულის...
მწუხრი ნთქავს ფიქრებს,დაღლილთ საოცრად...
ალბათ ეს თუა გზის დასასრული?!.

* * *

გაზაფხულდა,
დათრთვილულმა ვარდება
სულში ძველი
გააღვიძეს იარა,
ნუთუ ასე,უცაბედად მთავრდება
ჩუმი თრთოლვა,
სევდის თანაზიარი?!

გაზაფხულდა
და ოცნების თოლია
იმ თბილ ღიმილს დაენატრა შეფარვით...
მომენატრე?
გაზაფხულზე თოვლიან ზამთრის ბურუსს
ვინღა ნატრობს ნეტავი?!.

წასვლა

/ლექსების
ციკლიდან"პოეტი,
რომელსაც წვიმა
არ უყვარდა..."/

"სიცოცხლე
 რომ მდომოდა,
სიკვდილს არ ვიწამებდი"
შორს,ტყვიისფერ
ღრუბლიდან სინანულმა
იწვიმა.
მესამე გზის ძებნაში
ჩაფერფლილი წამები
მიითვალა წარსულმა
და...ჩუმად მიიძინა.
ჩაიფერფლა. დასრულდა
აგონიაც, ტკივილიც,
უხმო კვნესა- ვედრება
გაიტაცეს ქარებმა.
ნაწამებ ანგელოზის
სევდიანი ღიმილით
წავიდა და დატოვა
უსაზღვრო მწუხარება.

სიზმარი

დაკვირტულ რტოებს
გაზაფხულის სუნთქვა მოჰქონდათ,
შენი ხატება,
ქართან ერთად,
უხმოდ მეწვია,
სულში მზე ჩადგა
და სიამის ზღვა აბობოქრდა,
თბილი ღიმილი
 ნიავივით წამომეწია...
შავი ფიქრების ქარავანი
სადღაც მიქროდა...
თვალი დავხუჭე,
რომ სიზმარი ცხადად მექცია...
წავიდა და ..ბილიკი
შავმა სევდამ დაფარა,
ცამ ცრემლი ვერ დამალა
დარდით დამზრალ უბეში
სულით კენტმა, ეულმა,
მარტომ,სევდის ამარამ
სიკვდილშიაც ვერ ჰპოვა
ალბათ სულის ნუგეში.
აღარც დედის ალერსი,
აღარც სატრფოს ხელები,
აღარც თოვლი ქათქათა,
აღარც ცის ვარსკვლავები.
მხოლოდ რუხი სისველე
ნაწვიმარი ხეების,
ნაცნობი მესაფლავე
და...ცივი საფლავები...
"სიცოცხლე რომ მდომოდა,
სიკვდილს არ ვიწამებდი"
შორს, ტყვიისფერ
ღრუბლიდან
სინანულმა იწვიმა...
მესამე გზის ძებნაში
ჩაფერფლილი წამები
გაიყოლა ნუგეშად
და ...ჩუმად მიიძინა...

* * *

ბინდმა წვეთ-წვეთ ამოავსო
 სულის ყველა კუნჭული,
დღის და ღამის გასაყართან
ვდგავარ თვალდახუჭული.
ველოდები.რას? არ ვიცი,
გზები სადღაც მიდიან,
ნესტიანი სევდის კაბა
კართან ისევ კიდია...
ველოდები...მოგონებებს
აუშვიათ აფრები...
"კართან მოდგა შემოდგომა",-
რა მითი და ზღაპრები!?

ღამე, წვიმა და.. შეშლილი ქარი...

ღამე. წვიმა და...
შეშლილი ქარი, ელვა
- ცეცხლად გალანდული ცაზე,
ცივი თქეშით
ჩარეცხილი კვალი
და სიკეთე,
დადებული ქვაზე.
ფანჯარასთან
მონატრების ჩქამი
და ბოლომდე
დაშვებული ფარდა.
სულის ფსკერზე
იდუმალი კვალი
და ოცნების
ბორიალი ქართან...
ღამე, წვიმა და...
შეშლილი ქარი...
ვინ გაარჩევს
ახლა ტყუილ-მართალს?
სული -ყელში
გაჩხერილი ძვალი,
სინანული -ატუზული კართან...
ღამე. წვიმა და...
შეშლილი ქარი...

დაბრუნება

/ეძღვნება ჩემს ორ მფარველ ანგელოზს,
საუკეთესო დედას და მამას, რომლებიც
გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდნენ შინ ../

გზა.ამ გზაზე გაიარეთ ალბათ
იმ ავბედით, ქარიშხლიან ღამეს,
კუნაპეტში, სველი ქარის ხარხარს
ღრუბლებს მიღმა რომ გაექცა მთვარე...
გზა. ამ გზაზე მოდიოდით ორნი
და ერთმანეთს ამხნევებდით, მჯერა:
"დაგვიფარავს შემოქმედი ყოვლის,
არ გაგვწირავს ჩვენი ბედისწერა"...
მოდიოდით დაღლილები, სველნი
და იმედი ჭიატებდა ბნელში-
"დავბრუნდებით,ამაყი და მხნენი,
დასრულდება ეს დელგმა და თქეშიც".
გზა. ამ გზაზე გაიარა ჯვარცმა
თქვენმა სულმა იმ ავბედით ღამეს,
გულდაგულ რომ უმალავდით ერთურთს
ტკივილით და ცრემლით სავსე თვალებს.
"სული მძიმე ყოფილაო, დედა,"
დარდი თრთოდა ცრემლით დამლბალ ხმაში...
გათოშილებს, უნაპირო სევდა
და ტკივილი ჩაგწურვოდათ თვალში...
გზა -იგივე, ცაც იგივე, წვიმაც
და ჰაერიც,მოგუდული დარდით,
გადაბუგულ ნასახლართა მზირალს
გული მტკივა, სევდა მომაქვს კალთით.
გზა -მოშლილი,მორყეული ხიდი,
მორღვეული, გათელილი ღობე...
დილის ნათელს შეპარვია ბინდი,
ხავსი- საფლავს ჩახუტებულ ლოდებს.
ჩვენს სახლამდე ჯერ გზა არის შორი,
არავინ ჩანს გადაბუგულ ველზე,
იავარქმნილ ნასახლარებს შორის
სიცოცხლის კვალს სულ ამაოდ ვეძებ.
რეალობის სასოწარმკვეთ სურათს
ძლივს ვუსწორებ ცრემლებგამშრალ თვალებს.
ღმერთო,როგორ დაიტიოს სულმა
ეს ტკივილი და წკვარამი ღამე?!
აგერ თქვენგან ნაფერები ეზო,
აი ,ჩვენი უთბილესი ბუდე.
ვინ გაწირა, ჩვენო ფუძე-ფესვო,
ვინ დაგადგა ფეხი ნატკენ გულზე?!
ვინ დათესა ეს ბოღმა და შხამი?!
ვინ აავსო ჯამი მწარე ცრემლით?!
თქვენი სახლში დაბრუნების წამი
რა მძიმეა და როგორი მწველი.
წყვილი ცრემლი. წყვილი მძიმე კუბო.
თქვენს სარკოფაგს მზე დაჰნათის კდემით.
ო, რამდენი რამ გვაქვს სასაუბრო,
როგორ მინდა მოფერება თქვენი.
როგორ მინდა გეამბოროთ შუბლზე,
როგორ მინდა,რომ შეგახოთ ხელი..,
ჩავკლა დარდი,მოწოლილი გულზე,
მაგრამ...აღარ ძალმიძს არაფერი...
გზა. ამ გზაზე მე მოვდივარ ახლა-
მარტოსული,ობოლი და კენტი...
მოგონებებს ზღვა ნაღველი ახლავს,
ღმერთო, როგორ ვერ შევძელი მეტი?!
მოვდივარ და...სულს მიმძიმებს დაღლა
და ყინულის მარწუხები. მცივა.
ისევ ლესავს ბედი ჯამში ბალღამს,
მენატრებით.უთქვენობა მტკივა.

მზია ელიაძე

თბილისქალაქობას

(ექსპრომტად) 5-6 ოქტომბერი 06.10.24წ.12:09

იბერთ სიწმინდევ,მშვენებავ, შენ,ქალაქო,თბილისო,
თბილისობას მოგილოცავ ძღვენით შემოდგომისო!
საქართველოს გულის გულო,საყვარელო თბილისო,
ჟრიამულით გათენებავ, ყოველივე დილისო!..
სათნოებავ,სიამაყევ თითოეულ შვილისო,
სინატიფით ჩამოქნილო უფლის ხელით,ცვილსო...
მტკვრის ტალღებზე მონანავე უთვალავი ტივითო,
ყარაჩოხელთ და აშუღთა ლოცვით ნათქვამ სიტყვისო!..
ტანს გიმშვენებს სამკაული ურიცხვ,ფერად ღილისო:
ძოწის,მარჯნის და ქარვისა, ლალის,მარგალიტისო...
გორგასალის აღმოჩენავ-ჩვენი მეფის,გმირისო
დიდებულის,საოცარი ვაჟკაცისა,დიდისო!..
მძაფრი სუნის,თბილი წყლებით სახის ბანვა,თბილისო,
შენ დიდ მკერდზე ამოხეთქვა ცხელი წყლისა-თბილისო;
ცოტა შიშიც კოლხ-იბერთა ამ საოცარ ხილვისო...
გაოცება სამყაროსი, სასწაულის, მიწისო!..
გოგირდოვან აბანოზე მწერო,ისტორიისო,
მეტეხის გულში ჩაკრულო დედავ, შუშანიკისო!
სამბუნოვანო ღმერთივით,საოცარ ანბანისო
მქარგავ-მრანდავო,მჭედელო დარო,მსგავსო არვისო!..
ჯვარ-მირონით გაჟღენთილო მთავ, წმინდავ დავითისო,
ღვთიური სიწმინდეების სამების,სიონისო,
ნავსაყუდელო,სავანე აბოსი-თბილელისო...
დიდი დედავ და მშობელო სვეტიცხოვლის,ტკბილისო!..
საქართველოს მეპატრონე, შენ,ნეტარო თბილისო,
შემქმნელ-დამბადებელ-მზრდელო ცოტნეს,თევდორე მღვდლისო;
ცხრა ძმათ-ხერხეულიძეთა, სამას არაგველისო,
თამარ მეფის,დავითისა-დიდ, აღმშენებელისო!..
რუსთაველის,საakაძის, ქეთევან დედოფლისო
სათნოებავ,სისპეტაკევ,ჩვენო დედა თბილისო!
შთაგონებავ ვარძიისა, გარეჯ-უფლისციხისო,
გრემის,იყალთოს,ნეკრესის, ბრეთის,სამთავნელისო,
ზედაზენის,შიომღვიმის, ულუმბოსი,წილკნისო,
ალავედის,მარტყოფისა,ხირსა,სტეფანწმინდისო...
ბეთანიის,ნიკორწმინდის, კიდევ ურიცხვ წმინდისო
და გელათის დიდო დედავ,სათაყვანო,თბილისო!..
მცხეთა ქალაქს გადმომყურე, მონასტრისა ჯვარისო
არაგვ-მტკვარის შეერთების ადგილს,ნინოს მადლისო...
ესეც კიდევ ცოტა არის შენ გაკვალულ კვალისო,
ოჰ,მრავალჯერ ნაწამებო და ნაგვემო რვალისო!..
სვეტიცხოველს, დავანებულს, უფლის წმინდა კვართისო
შემნახველი დიდ სიწმინდის თეზბიტელ ხალენისო.
დედაღვთისმშობლის წილხვედრი მამულს,ჩვენთვის გზავნილსო,
ვეფერებით,ვუფრთხილდებით,გულში გიკრავთ,თბილისო!...

ნათია ჯიქურაშვილი

მარტივია...

ვერ გადარჩები თუ არ გეტკინა,
სხვისი წუხილით არ ავსე სული,
ზოგჯერ ყვირილი დროსთან გერჩია,
მაგრამ სიცოცხლეს უდრის დუმილი.
დადიხარ უცხო უხოთა შორის,
ეს ქუჩა ტანზე ვეღარ მოირგე,
შენი კაბაა თეთრი თოვლივით,
ჰო, ასეთ სამოსს, იცი, მოიხდენ.
მაგრამ ცივ მზერას და ქაოსს ერწყმი,
სიღარიბეს კი ჭუჭყის ფერი აქვს,
მას ეშმაკივით გაზრდილი ეშვით,
უიმედობა მუდამ ხელში ჰყავს.
გულზე მჯიღს ირტყამ და ფრთებს დასტირი,
ლანდებს კი უმზერ სულიდან გასულს,
ამ მკერდში ჭკნება ნაზი ყვავილი,
ეკლად ქცევა რომ ბოლომდე არ სურს...
ამიტომ თეთრი კაბით გადიხარ
და ყველა ლაქა სისხლია შენი,
უსიყვარულო ქალაქს აიტან?!
ვერა...და გულსაც იგლიჯავ მკერდით...
ყველა ღიმილი, ნაზი შეხება,
ხელის გაწვდენა იმ სათქმელს გეტყვის,
რომ მარტივია სულის შებერვაც,
ყოველ ჩვენგანში თუ ცოცხლობს ღმერთი.

ანა შ. მჭედლიშვილს!

სული ივსება თოვლის ნამქერით,
და ქარ-წვიმაში სევდის ბინდია,
ვერ შემაშინებს ყოფის ლანქერი,
ბედნიერება ჩემი წილია.
მზემ აიკეცა სხივი სხეულზე
 გული ბორჯღალი, გრძნობის რვალია
მე ამ ცხოვრებას ისე ვეურჩე,
ჭიდილში ნატვრაც დამიკარგია.
და გაყინული იმედის ხესთან
სუსხმა მომისწრო და ვერ გადავრჩი,
მაინც აღვდგები "მეში" ხომ მე ვარ
ქვაბულში ვხედავ გონის კათარზისს.
შეკრული წრე და გვირაბის ბოლოც
ლაბირინთიდან გასვლის წინარე
დაწერილ ბედთან მხოლოდ და მხოლოდ
ჯაჭვის გაწყვეტად ღმერთი ვიწამე...
ჰო, სიყვარული თუა უფალი
ბედნიერების, ალბათ, სათავეც,
ათასი წლების მიღმა გეძახი,
რადგან მე და შენ უნდა გადავრჩეთ...
ცაში ახლოს ვართ ნისლებში ერთად
და ბროლის ქალის ფაფუკ სილუეტს
ლექსში ჩუქურთმის სილბოთი კვეთავ,
კაზმულ სიტყვაში შენად მიურვებ...
გზები გაწყვეტილ ძაფის ნაწილი
ისევ ერთდება სულ ერთი ფსკვნილით
გამარჯვებაა ერთი ნაბიჯიც
თუნდაც კაბიდან შეხსნილი ღილი.
ქარი ხარაკირს იგუებს ბედად
ცაზე კი მაინც მზე გულს გადაშლის,
მუდამ იქნება "მე და შენ" ერთად
სანამ ვართ ცოცხლობს ჩვენი ზღაპარიც.

გოდერძი ჩოხელს!

ადამიანის სევდა თან გდევდა
და უკმარ დროსთან ჯაჭვით დაები,
საჯიხვეებთან ნისლი დაეშვა
ქვეყნის ტკივილით სავსე თვალებით...
წაქცეულს მუდამ სულს გიბერავდა,
მშობლიურ მიწის მოტკბო სურნელი,
თუ ამის მეტი არცრა გებადა,
ამ ცარგვლის ქვეშაც იყავ უტეხი.
ჰო, პირნათელი მაღალ ღმერთთანაც,
სიცოცხლე შენი მტერსაც ერჩია
და სხვანაირი გრძნობის ხელადა,
პირთამდე სავსე შემოგემსხვრია...
შემოგემსხვრია გული ალალი,
ის ჭირ-ვარამმა ლანდად აქცია,
უკვდავებასთან შენი თავანი,
ჩაბარდა სიტყვად, ლექსად, კაფიად...
სიკვდილის მერეც როს არ მთავრდები,
ეს ვაჟკაცობის ხმა და მეხია,
მიწაში ფეთქავს შენი განცდები
საქართველოსთვის! - თავს რომ გერჩია.

საქართველოს!...

დრო არის ჩვენი მემატიანე
გამარჯვებების ისხამს მანტიას,
დიდგორს, ბასიანს, შამქორს ვინ დალევს?!
ყოფა გმირობის სავსე თასია...
საუკუნები ჭრილობას ხსნიან
უსუსურობის იმ ბევრ განაჩენს,
ხან პილატე და ხან ღმერთი გქვია,
მაინც სამშობლო უნდა გადარჩეს!
შადიმანს სულში არ აქვს ადგილი,
და არც იესე ჩვენი სისხლია,
ჰო, დარუბანდი კარი გახსნილი
და ნიკოფსია ჩვენი წილია!
ძლევა საკვირველ! ძლევა იმ დროის,
მტერს და დუშმანსაც დღემდე აფიქრებს
წინ წყალი, უკან მეწყერი მოდის
ბეწვის ხიდზეც კი უნდა გავიდეთ!
ხონთქრებს, ნოინებს, აღებს, ამირებს
სახეცვლილი აქვთ დღესაც სახელი
სიმწრის ნაკვალევს გავინაპირებთ
დასასრულია რადგან ნათელი!
გამოცდილება ნაწერი ტვიფრით
პალიმფსესტზე და ეტრატზე ამბობს
რომ გრაალის თასს ქართველის სისხლით,
გამარჯვებისკენ მივყავართ მარტო!

თბილისს!..

სევდა დაჰყვება სექტემბრის თბილისს,
ღრუბელი ცარგვალს მოავარაყებს,
გავდივარ გარეთ და ნაბიჯს ვითვლი,
მზე ზოგჯერ სხივის მიდგამს ჩარდახებს.
გზას მეტეხისკენ მივსდევ ჩვეულად
რწმენის ტაძარი სულში მნათია,
ჩემი სამშობლოს გულიც მედგრულად
ჩაუქრობ სანთლად კრთის და ანთია.
სკამზე ვჯდები და ტაძრის ეზოში
გარემოს ვავლებ მზერას ნუგეშად,
უფლის წყალობას დღესაც ველოდი?!
არა, მადლობა მსურდა რომ მეთქვა!..
რადგან სიცოცხლის ერთი უფლებით,
ვსუნთქავ და რაღაც ხომ მიხარია,
ხელოვნურია ყოფის ჯებირი
და გარღვევისთვის დამიქადნია.
ფიქრთა წნულები გორდიას კვანძით,
ბევრჯერ გამოვხსენ სიტყვის კიბესთან
და წინაპართა უხილავ ლანდით
მათ ნაკვალევზე მივალ იქნება.
ჩასახლებულა ღმერთი ამ გულში
და გზაწვრილების არ მეშინია,
ხელში ცახცახებს პოეტის წუთი,
მარადისობის ისიც წილია.
და გულში ვიკრავ სევდიან თბილისს,
ლექსსაც კი ვუძღვნი ბოლოს სათუთად
საუკუნების ჯანღია ირგვლივ
ზოგჯერ მგონია მთებიც დაძრულან.
ვგონებ ერთურთის ძალა გვაცოცხლებს,
მიწა და კაციც არ არის მარტო,
მერე ამაყად ვუმზერ მთა-გორებს
და სამადლობელს ბოლოჯერ ვამბობ.

თეა ბარბაქაძე

ღმერთივით მწამხარ!!!

ხელები მიცახცახებს, თვალებში ცრემლის ნატეხები ელავს,
ღმერთივით გელოდები, ვიცი,
გზააბნეული ბოლოს მაინც ჩემამდე მოხვალ...
შენი თვალები, არამიწიერი ლაჟვარდები -
სიახლოვე ჯვარს გაკრულ ღმერთთან
და წამწამები, რენესანსის ეპოქის ლავგარდანები -
თავაწყვეტილ მუსტანგთა რემა...

და აღსდგებიან ტერაკოტის ჯარისკაცები - არამიწიერ შენს
ღიმილს რომ დაუდგნენ მცველად,
რომ ნიავიც არ გეხებოდეს და შენს გიშრისფერ
ლანქერს არ შლიდეს ველად,
რომ ჩემს მაჯაზე დანთებული შენი სუნთქვა მიჩერებს ვენას
და ელოდება,
დაგროვილი ჩემი სისხლი როდის გაანგრევს ჯებირს,
მოვარდი მელნად...

ჩაბარუხივით გაიტაცებ ყველა სტრიქონს, ესაა შენი ნამდვილი
ატმა,
შენი ზვირთები, კლდეს შემსკდარი სასწაულები - შენს სველ
სხეულზე სიყვარულის დაწერენ ზღაპარს, როცა მელანი
გეყინება და მონატრება ძვალ-რბილში ატანს,
რაღა აზრი აქვს თიხაში მყოფს ვინ გზილავდა - დემიურგი თუ
უბრალოდ ბრაჰმა...

დაემხობიან შენს წინაშე გალაქტიკები,
შენს თავხედური სილამაზის ვისაც აქვს აღქმა,
წარმართი ვარ, თუ შენი ტრფობით შეშლილი მავრი?
მკრეხელობაა, თუმცა ვბოდავ - ღმერთივით მწამხარ!!!

გამოქცეული ედემიდან მრავალი ცოდვით
და შეგონებით ათი მცნების - არ გავცდე საზღვარს...
თუმც დიდი ხნის წინ დავივიწყე - სად გადის ზღვარი,
ხან თომას ვბაძავ, ხან იუდას და ხანაც ჯალათს...

ჯვარზე გაკრულიც ვიხილე და მკვდრეთით აღმდგარიც,
თუმცა ვმკრეხელობ და გიმტკიცებ: - ღმერთივით მწამხარ!!!

*

შიზოფრენიის დიაგნოზი.

მე და შენ ერთად გაგვაკრავენ თეთრ ხალათებზე,
რომელიც ჩვენთვის გამოჭედეს, ჩვენი ჯვარივით,
შიზოფრენიის დიაგნოზიც ისე გვიხდება, როგორც
გვირგვინი პოეზიის, მელნით დასვრილი...
ქცევა გიჟური, ასტრალებში ერთად გაქცევა,
ქერუბიმივით, აწყვეტილი ფრთების ქუხილი,
ჰო, ხელს ჩამკიდებ, როცა ღმერთში გინდა გაღწევა,
თანხმობას ნიშნავს, ვიცი გესმის ჩემი დუმილის...
ჩამიკეტავენ დროისა და სივრცის დარაბებს,
რომ წამიშალონ, შენთან ერთად ფრენის წყურვილი,
მავთულს საწოლის, სტრიქონივით ისე ვაწვალებ,
ხშირად გამიჩნდა ამ მიწიდან წასვლის სურვილი...
კოცონზე დაწვას თუ გადვურჩით ისე აგვყრიან
დედამიწიდან, გოლგოთას რომ გადაურჩები,
მიგვალურსმავენ საწოლებს და ასე გაგვყრიან,
ერთ სულ და ერთ ხორც, რომ არ ვიყოთ ჯვარდასმულები...
თუკი აბებით უშენობა გამიყუჩდება,
დეე გაყუჩდეს ყველა ძარღვი, ნეკნი, წყლულები...
შიზოფრენიის დიაგნოზიც ისე უხდება
ჩვენს ყოფას, როგორც ჯვარს გაკრული ჩვენი სულები...

*

შეეჭორფლება ხეს ფოთლები, ზეცას - დაისი,
აკვანს გირწევ და ვერ გიმეტებ ასატირებლად,
რა ლამაზი ხარ, როცა ტანზე ია ამოგდის,
ტუჩის ჭრილიდან მზე გეღვრება მარგალიტებად...
ჩამოადნება ცას მირონი, ღრუბელს ქლამინდი
და ამ დღეებსაც უმოწყალოდ წვიმა წალეკავს,
ჩემს აივანზე შემოყუჟულ მტრედებს დავპირდი,
მალე ნახავდნენ ჩემი სულის ფერისცვალებას...
შენც ფერს შეიცვლი, შენი ყველა ნაკლით, ღირსებით,
აბსტრაქციაა ის, რაც ახლა ღმერთსაც მისწვდება,
ლექსად მოვარდნილ ხანძარივით წამეკიდები,
ფორს-მაჟორები, მინორები, ქარის სიმღერა...
და მელოდია ხეს მოწყვეტილ ყვითელ ფოთლების,
როგორც შოპენი'ს მისტიციზმი, ბახი'ს დიდება
და იავნანა - გალაქტიკის ყოველი ფერი,
ყველაზე წმინდა, სათუთი და ნაზი სიმღერა...

*

AVE MARIA...

გავილუმპები შენი თქეშით დედა მარიამ,
შენი ზარები მეცხრე ცის თაღს გლეჯს ლამარია,
შენს საგალობელს ღრუბელთ დასი ნათლავს არიად,
Ave Maria...

ეგ გუმბათები - ცას მიდგმული ცათამბრჯენები,
თავაწყვეტილი ოცნებების თეთრი მაგია,
თეთრ პერგამენტზე შეფენილი შავი მერცხლები,
Ave Maria...

ვაზი, შეკრული ნაწნავებით, მორცხვი ქალწულის,
ღმერთის ენაზე დაწერილი შენი არია,
ეგზისტენციად ჩამოწნული შენი წარსული
და მომავალი,
Ave Maria...

*

"PIETA"

ენა, რომელზეც თვით უფალი წერდა ფსალმუნებს,
მარადისობის მონუმენტი, პროტო ქართული...
ტოსკანის თეთრი მარმარილო, როგორც " Pიეტა' " ,
ვისთვის გოლგოთა, ვისთვის ალბათ ვნების ალმური...

შენი "Pieta" - რა სიღრმეა და რა სიმაღლე,
რა ჟრუანტელი ვერცხლით მოგვრილ გრძნობის დიდების
და ჟრუანტელი, მაშინაც კი როცა გროზგავენ
და გონიათ, რომ გერევიან შენზე დიდები...

ჟრუანტელი ხარ, სანთლის სუნზე მოსული ღმერთის,
ეჩურჩულები, გონზე დარჩე და არ გარეკო...
მაგ თვალებიდან აფრენილი სამოთხის მტრედის
ფრთების შრიალი, ღმერთთან მისვლას ალბათ არ ეყო

და შენი სისხლი, თუ ჯვარცმიდან მადლად მეპკურა,
რაც შემოქმედმა ჩემგან შექმნა ალბათ ეს არის,
ტოსკანის თეთრი მარმარილო - ქვა თუ "Pieta" ,
ვისთვის გოლგოთა, ვისთვის ალბათ თეთრი ვერსალი...

*

"SIXTEEN CAPELLA."

Sixteen capella, ლიტურღია ხმათა ხავერდის
და ყველაფერი რაც კი გიყვარს, რაზეც აბოდებ,
არამეულად დაწერილი ყველა სონეტი,
გენიოსებიც იჩოქებენ მაღალ ნოტაზე...

რთულია ყველა აქსიომა, ყველა ტოლობა,
უფრო რთულია შენი მსგავსის გწამდეს ღმერთამდე,
გუმბათს ჩამომწყდარ ფერსაც სურდა ისე ეცოცხლა,
როგორც ცოცხლობენ იდეები აღმოჩენამდე...

სიქსტეს კაპელა, ხავერდები ცათა აღაპის,
ირეკლავს ნოტებს, ცად ატყორცნილ ლოცვის სტიქარებს,
მიფორიაქებ სულსაც ისევ ბრმასა და საპყარს
და მწვერვალიდან ვეტოლები მეტრს და იარდებს...

ყველაზე მცირე მაშინა ხარ, როცა ვერცხლებით
იოხებ გულს და ფიქრობ ღმერთზე ალბათ დიდიც ხარ,
პლაგიატი ხარ, ეს სიტყვებიც შენს თავს მოპარე
და ამისათვის არავის არ გაუკიცხიხარ...

ალბათ ღმერთამდეც ერთი გზა გვაქვს, ერთი ასპექტი,
მიქელანჯელო, ბოტიჩელი, Sixteen capella
და ყველაფერი რაც კი გიყვარს, რაზეც ბოდავდი,
სისხლის და მელნის გრადაცია, გარდა'ცვალება.

*

"ფერების SVING"-ი... "

ესაა შენი ფერების "შვინგ"-ი,
ლურჯი ნოტები - ჯაზი ზეცამდე,
პოლირითმია და აკორდები,
პულსიდან როგორ ფეთქავს ღმერთამდე...

მოსწყდები ისე ნაზად, ვით სემპლი,
გიხდება ყველა ნოტი და ბგერა,
როგორც პალიტრის ფერთა სინთეზი,
ფერების "Sving"-ი - ბგერების რხევა...

ეთერ ლობჟანიძე

* * *

ამ ჩემს ზეცას და მწვერვალებს
ცადასროლილს,
ვარსკვლავებით მოხატულს და
მოციმციმეს,
არც ტაში და არც შექება
არც სჭირდება-
მზის სხივებზე გადაშლის და
მოკისკისეს....
ზეცა არა, ეს ტაძრების
სამეფოა-
რწმენის ზარებს აწკრიალებს
ნიკორწმინდა,
ალავერდი და გელათი ხმას
მიაწვდის
ქართველებო დაგიფაროთ
ყველა წმინდამ!
ამ ჩემს მიწას, ვაჟას გულზე
დაყრილ მიწას--
გაზაფხულის უხვი ფერი
გარდასვლია,
მრავალ ლამაზ ფოთოლცვენას
დაგილოცავთ,
მრავალს კიდევ, შემოდგომას
ბარაქიანს! ეთ ლობჟანიძე

* * *

დამაგვიანდა - ვერ მოგეფერე ჩემო,
დამაგვიანდა - ვერ მოგიძღვენი ლექსი,
შენ ჩემო ფიქრო, მუდამ მახსოვხარ მაგრამ.
არ დამემდურო ხან თუ ვერაფერს გეტყვი!
ფერად ფერებით გადაგიხატავს მხრები,
გადაგიშლია ოქრო - ქარვისფერ ჩერო,
ვერა პალიტრა ასეთ პეიზჟაზს ვერ ქმნის
თავად უფლისავ,, უფლის ნახატო ჩემო!
დაწყნარებულა ჩემი რიონი ცელქი,,
იდუმალ ფერებს თითქოს შხეფები მიაქვს,
თავზე დაგცქერის "ციხისკარიდან "კოშკი ,,
მზის გვირგვინები წნულებად ადგას მზიანს!
დაზამთრებამდე დრო ცოტა დარჩა ჩემო,,
ამ სილამაზეს თეთრი ფიფქები ცვლიან,
ხვავ -ბარაქაიანს მინდა გხედავდე მუდამ,
ხატი გფარავდეს , სულ გაცილებდეს ზიანს!

* * *

ხან მზის სხივებს გამოვყვები,
ხან მიწაზე ვეშვები,
ხან ბინდი ვარ ქარაფების,
ხან ფოთლები ვერხვების...
სულში სევდა რომ ცახცახებს
ფიქრებს რომ ვერ ვეხსნები,
ლექსში უნდა გავახვიო
დავივიწყო წესები..
წავალ მინდორს გადავივლი,
ლექსთა ფარას შევხვდები,
მზის მანტიას მოვიხვევ და
ქარაფებზე შევდგები...
რას გაუგებ გულს და ფიქრებს,
ან სადა აქვთ წესები,
ხან სიმივით დავდუმდები
ხან ღიმილით შეგხვდები...

* * *

მოდი უხვად დავარიგოთ,
შემოდგომის ფერები,
უცებ გარბის თვეები და
დღეებს მისდევს, დღეები...
სულ სხვაგვარი, სუსხიანი,
უბერავენ ქარები,
რაღაც სხვაგვარ ჰანგებს მღერის
შემოდგომის ქნარები...
რაღაც უფრო ნაღვლიანად,
ჩამომდგარან ქედები,
გარს საფარად მოსდებიათ
უკვე, თოვლის მტრედები...
სულ ცოტაც და ფერად ფოთლებს,
ქარი მიწას მოაფენს,
დრო სისწრფით გაფრენილი
ზამთრის რაშებს მოაფრენს!

* * *

უკვე ....შემოიჭრა შემოდგომა,
ფოთლებს შემჰოხვია ქარმა ხელი,
ცაზე ღრუბლები აირია
კლდეებს ჩამოაწვა სევდისფერი...
ტყეში ნელი სიო ჩუმად დაჰქრის,
შემოდგომაა და აბა ჰერი..
მთები პეიზაჟებს დაგვიქარგავს
გარს შემოვლებულებს ოქროსფერით...
უხვად მიმოაბნევს ქარვისფერებს, ტყეებს,
ველ-მინდვრებს და ბაღ-ვენახებს,
სანამ ბადაგი არ დადუღდება
მანამ არ აკეცავს მის ტკბილ ფარჩებს...
წითლად აინთება ნეკერჩხალი,
კრძალვით- გადაავლებს ხეებს თვალებს,
მერე.... გაიშლიან ფრთებს ქარები
მიწას უბრუნებენ მისივ ვალებს..
კლდეები შავ ნისლებს შემოიხვევს,,
ქარიც იტრიალებს ქარბორბალა,
ხეებს გაძარცვულებს თეთრ ქათიბში
თოვლის ფიფქი მორთავს ამორძალად!

* * *

ეს შემოდგომაც
მოვიდა,
მიჰქარგ-მოჰქარგა
ფერები,
ხეებზე ცეცხლი
დაანთო
ალის ავარდა,
კერები...
ყვითელ- ქარვისფრად
შეღება,
ტყეები,მინდორ-
- ველები,
მთაში დააჭკნო
ბალახი
გაახმო ყვავილთ
ღერები...
სუნი დამდგარა
მაჭრისა...
ივსება საბძელ-
-ბეღლები,
ღამე გადიდდა,
აგრილდა
შიშისგან თრთიან
ქედნები...
ქარს გული უცემს
ონავარს,
ფერად ფოთლების
ფერებით,
ტოტებს აშიშვლებს
ფარდაგებს
მიწაზე აგებს
ფენებით...
ეს შემოდგომაც
მოვიდა,
მიჰქარგ-მოჰქარგა
ფერები,
მოდი და ერთად
დავთვალოთ
ფოთლები ნაირფერები...

* * *

ლექსის თქმა მსურდა ერთისა
ფანდურს ავუწყე ლარიო,
გული არა არ, ბერდება
ჭაღარის არ აქვს ვალიო....
მხეცია ჟამი დამწვარი
არა აქვს ცოდო ბრალიო,
მიჰკივის რჯულს და თან მიაქვს
ღმერთების ნაუბარიო...
სიმართლე მინდა იცოდე
ვიდრე წამიღებს ჟამიო,
შენფერად ვერვინ მიტირებს
სიკვდილს არა აქვს ბრალიო....

* * *

რა გინდა
ცხოვრებავ,
რას მედიდგულები?!
ჩემს ირგვლივ
ღელავ და
ზეცაში აგყავარ...
მაშორე
ცხოვრების
მწარე დასასრული,
არსადაც ნატკენი
სიცოცხლით
არ წავალ.....
დრო მიდის ,
მივყვები
ფიქრიან ბილიკებს,
ჩემს სევდას
ეკლიანს
ტკივილით დავფარავ,
თუ წავალ
იცოდე
ჩანაფიქრს ჩაგიშლი...
სიყვარულს წავიღებ
ნაწამებს ....
საგზალად!

ვალია კვაშილავა

ჩემი ფიქრის გორა

წვიმამ ჩამორეცხა ჩემი ფიქრის გორა,
ნისლიც გაიკრიფა ჩუმად,
ისევ მიღიმიან ჩემი ტირიფები,
მაგრამ უშენობით დუმან...

გულში ქარიშხალი ისევ ამოვარდა,
ვეღარ მოვერიე ფიქრებს,
სულის სიზმარეთში მეხიც ჩამოვარდა,
თავი მოვუყარე რითმებს.

ისევ მივაკითხე ტირიფს ატირებულს,
სულს რომ მილოკავდა რტოთი,
ტანი აუყრია,როგორ გაზრდილია,
გულში ვიხუტებ და ვკოცნი!

წლები გაფრენილი ვეღარ დავიჭირე,
ვეღარ დავეწიე, გაქრა,
წყარო ტირიფებთან მსურდა მენახა და
ისიც უშენობით დაშრა!

დამრჩა უსასრულო შენი მონატრება,
შენი სიყვარული, სითბო,
ახლა ტირიფის ქვეშ მარტო ჩამოვჯექი,
სული გეძახის და გიხმობს.....

რამდენიმე დღის წინ წავიკითხე წერილი შვილების უმადურობაზე,რამაცძალიან მატკინა გული. .....საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულს ელოდებიან და თან ზოგიერთს მადლიერების არანაირი გრძნობა არ გააჩნია.

შვილო სიმწარით ნაზარდო

შვილო სიმწარით ნაზარდო,
მშობლის გაიგე ფასი,
თავი საფრთხეში ჩაიგდო,
სიცოცხლის გივსო თასი.
        უამინდობას არ წუხდა,
        ოღონდ ეშოვნა ფული,
        თოვლში, ყინვაში გზადაკრულს,
        შენთვის ეყიდა პური!
ნეტავ რა გჭირს და რა გინდა,
რას შემოგიჩნდა ეშმა,
მშობლის უღელის წევისთვის,
მადლობა უნდა გეთქვა!
        ყველა მოკვდავის ცხოვრება,
        ერთი არ არის იცი,
        ღმერთმა მშობლობა გიბოძა,
        შვილის გაგხადა ღირსი.
ხომ ცდი საყვარელ პატარას,
სისხლი რომ უჩქეფს შენი,
რა სიხარული შემოაქვს,
გინდა მოხვიო ხელი!
        მშობლებს უნდოდი, გაგზარდეს,
        ღამე დაიკლეს ძილი,
        შენი სახით რომ ჰყოლოდათ,
        ბედნიერება _____' შ ვ ი ლ ი!
და ვერ შეძელი დასწავლა,
მშობლის ამაგის, რთულის,
საკუთარ თავზე გამოცდი,
მერე დაგწყდება გული!
        დედის სათუთი ხელები,
        გაშორებს თუ რამ გიჭირს,
        ყველაფერს როგორ ივიწყებ,
        სულში ეშმაკი გიზის!
შენ პირველ რიგში გასწავლეს,
იცოდე მშობლის ფასი,
წყალში ჩაყრილო სიკეთე,
თურმე ყოფილხარ ფარსი!!!!!!!!.....

გ ი ლ ო ც ა ვ თ

მასწავლებლის დღეს გილოცავთ,
ქეთის,ნიკას და მარის,
რადგანაც ეს დღე ყველასი,
იყო, იქნება, არის!

მასწავლებელმა მაგ გულში,
სიკეთის ნერგი ჩარგო,
ხნული გაავლო პირველი,
თან არაფერი გავნო!

თესლი ჩაყარა ისეთი,
მამულს წაადგეს უნდა,
შენ მისი ნატვრისთვალი ხარ,
მისი ნაძერწი გუნდა!

მასწავლებლის დღეს გილოცავ,
გიო,ბარბარე,დალი,
წერა_კითხვა არ იცოდი,
მან აგიხილა თვალი!

ჩემო ნინო და ლაზარე,
ჩემო ლამაზო ლაშა,
თქვენზე ფიქრებით იცხოვრა,
წლები რომ უკან დარჩა!

დაე,იხარე თაობავ,
მომავლითა და რწმენით,
მასწავლებელი გახსოვდეს,
ის დღესაც ხარობს შენით!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ო, გილოცავთ,
ამ დღეს იმედით,რწმენით,
სამშობლოს მომავალს ვხედავ,
მხოლოდ თქვენით და თქვენით!!!!!!!!!!

მე მგონია

მე მგონია უჩემობით ტირის ლექსი,
უჩემობით თვალს აკლდება სინათლე,
პოეზია არ დამინდობს,ალბათ შემშლის,
უნდა ითქვას დაფარული სიმართლე!
თუ უფალმა დაგვიბედა ერთად ყოფნა,
ულექსობით მეწვის სისხლის ყველა წვეთი,
მხოლოდ ლექსით შეიძლება ცეკვით რომ ვთქვა,
რას ჩამძახებს უფალი და ლექსის ღმერთი!
ლექსი არის სიყვარული,ძალა ღვთისა,
ვიდრე ჩემი აღსასრული დარეკავს,
სანამ გული სიყვარულით გაითიშა,
სანამ ლექსი საიქიოს წამლეკავს!

შ ე მ ო დ გ ო მ ა

დღე იკლებს,საქმე იმატებს,
შემოდგომაა ბარაქით,
კიბე მიუდგამს ბიჭუნას,
ვაშლებს კრეფს დიდი კალათით.
დაბლიდან ბებომ შესძახა,__
,,პატარავ,ხესაც უხდები",
ბაბუამ გამოიტანა,
ვაშლისთვის დიდი ყუთები.
ნუციკოს გაღვიძებია,
გამორბის ჩანთით პატარა,
ჩქარა ვაშლებით ავავსოთ,
აღარ მაქვს მეტის ატანა!
ახლა წითელი ვაშლები,
ახალ ჩანთაში გორდება,
ო,როგორ აგრილებულა,
მზე მთის მწვერვალებს შორდება!
დღე იკლებს, საქმე იმატებს,
შემოდგომაა ბარაქით,
ვაშლის ხეს გული გაუთბა,
ბავშვი კრეფს დიდი კალათით!

გაგიმარჯოს

შენ გაგიმარჯოს ამაყს და ძლიერს,
კარგი ქართველი შენში მიცვნია,
არ მიატოვებ მეგობარს მშიერს,
რომ არ აღვნიშნო არ შემიძლია!

კაცს გაგიმარჯოს მეზობლის შემწეს,
და ნათესავის გულით გამკითხავს,
ეგ ქართველობა ბოლომდე შეგრჩეს,
აღარ დაგიწყებ რამის დაკითხვას!

კაცს გაგიმარჯოს ეგ სულგრძელობა,
გაჭირვების დროს როა წამალი,
ვიცი არ გიყვარს შენ პირფერობა,
ან რა გაქვს ჩემთან დასამალავი?

კაცს გაგიმარჯოს ს,იკეთის თესვა,
ცხოვრების მიზნად რომ გაგიხდია,
საქართველოა მაგ გულის ფეთქვა,
მისთვის ფარ_ხმალი არ დაგიყრია

კაცს გაგიმარჯოს,როგორც შოშია,
სხვაგან რომ ვერ ძლებს გიყვარს ქართული,
უგულო კაცის ფასი გროშია,
გულიან კაცთან ყვავის ზაფხული!

კაცს გაგიმარჯოს გრძნობებით სავსე,
ყველგან დაგყვება ამაყი გული,
მე კი მიგიღე არწივის მართვედ,
და მიღირს შენთან ეს სიყვარული!

შენ გაგიმარჯოს ზედმეტად მკაცრიო,
შენიხალხისთვის ბევრ რამეს იტან,
გამიბრაზდები,მაგრამ ვიცი რომ
მაინც მოხვალ და ვარდებს მომიტან!.

თურმე რა ყოფილა

ჩუმად მოგეპარა სიბერე და,
თმები გაგითეთრა შავი,
თურმე რა ყოფილა უბედური,
ძნელი, მურტალი და ავი.

როგორ დაგიკარგა სილამაზე,
თვალში სინათლე და თმენა,
ახლა გიყურებ და __ საოცრება....
ჩემი თვალისაც არ მჯერა.

როგორ შეგიცვალა ხასიათი,
დადგა ტკივილების ჯარი,
ისევ ვინატრებდი ახალგაზრდას,
შორით რომ შეგავლო თვალი.

ნეტავ დააბრუნა ოცნებები,
შენი ხარხარი და ბრწყინვა,
წლებს ვერ დავეწევით გაფრენილებს,
გულში დამიტოვა ყინვა!

ისევ მენატრება ღიმილები,
გულში დანთებული ცეცხლი,
ისევ შენთანა ვართ ტკივილებით,
ჩემი ოცნება და ლექსი!

 წლებმა გაირბინა ფიქრის ჯარად,
უკან ლექსი მდევდა სულ მე,
წმინდა სიყვარული აიმრიზა,
მართლა არ ბერდება თურმე!

როგორ მოგეპარა სიბერე და,
თმები გაგითეთრა შავი,
თურმე რა ყოფილა უბედური,
ძნელი, მურტალი და ავი!

კორბოულობა

კორბოულობას გილოცავ კორბოულო,
ფრთებგაშლილო,ლამაზო და მზიანო,
შენს კალთის ქვეშ გამოზრდილი მართვეებით,
სიყვარულის,სითბოს თანაზიარო!

მიყვარს შენი მზიანი დღე და ნიავი,
შენი ქარიც ___მოვარდნილი მერანი,
მიყვარს შენზე დაწერილი ყველა სიტყვა,
ლექსი მიყვარს ჯერაც დაუწერავი!

წვიმა შეგხვდა და ხევები გაახარა,
გააცოცხლა, აამღერა ბუნება,
იმერული სიყვარული მიაგებე,
სტუმრისაგან რომ არ დაიწუნება!

ცისარტყელა ცის კამარას გადაეკრა,
და შენი დღე მოგილოცა ფერებად,
მასაც უნდა ახლა შენი ჩახუტება,
შენი სითბო და გულზე მოფერება!

კორბოულო,იმერეთის ბადახში ხარ,
თვალჟუჟუნა გოგონების აკვანი,
პურ_მარილი ამ სოფელში რომ იციან,
ვერსად ნახავთ,არც გინახავთ ამგვარი!

უფლის ლოცვა გფარველობდეს საყვარელო,
უბან_ უბან იშლებოდეს ნუმაგიდა,
თონის პური დაბრაწული წიწილებით,
ხაჭაპურმა ხომ გონება დაბინდა!

სიყვარული,სიხარული შენთან იყოს,
და ასრულდეს სამშვიდობო მიზანი,
საქართველოს სადიდებლად იმზეგრძელე,
დაგვიზარდე ,,ლეკვნი ალგეთისანი

სექტემბრის ზარები

პატარებს უხმობენ სექტემბრის ზარები,
გორაზე მზე წვება სიცილით,
სკოლისკენ გაურბის დედიკოს თვალები,
გვამხნევებს სიმღერა, სიცილი!

სექტემბერს დაუდგამს წიგნების გვირგვინი,
ცეკვავენ სასწავლო ნივთები,
გვჯერა,რომ მოსწავლე__სამშობლოს იმედი,
მომავლის დარაჯად ინთები!

გიყვარდეთ,გიყვარდეთ, მუდამდღე
გიყვარდეთ,
ეს მიწა შენი და ზღაპრული,
გიყვარდეთ სამშობლოს ლამაზი მთა_ ველი,
და ენა ღმერთების __ ქართული!

გახსოვდეს წინაპრის განვლილი ნაბიჯი,
ომების ქარცეცხლი, თაკარა,
იცოდე სამშობლოს უფროსმა თაობამ,
სისხლი მამულისთვის დაღვარა!

თქვენ კი დაგახვედრეს ლამაზი ქვეყანა,
ეს გზა და ეს მზეა ნათელი,
თქვენი ნაბიჯით და კარგი საქციელით,
აუნთეთ წინაპრებს სანთელი!

ავტორი:ვალია კვაშილავა.

გვანცა ხარაიშვილი

თვითზრუნვა

წინა საუკუნეში,
როცა ყველა მეზობელი
იცნობდა ერთმანეთს,
შენი სახლის ტელეფონი კი
რეკავდა საათში ოცჯერ,
ლუკმას იყოფდნენ უცხოები
და ჭამდნენ ერთი გობიდან,
არავინ გასწავლა როგორ გეზრუნა
საკუთარ თავზე.

როგორ დაგებანა ხელები სწორად –
უნარი, რომელიც თავს შეგახსენებს
რამოდენიმე ათწლეულში,
როგორ გებრძოლა სახის ან
ზურგის გამონაყართან,
როგორ ამოგეცნო ემოციები
სანამ უსახო მონსტრად გადაიქცეოდნენ
და უფრო მეტიც,
როგორ გეცნო ადამიანები
სანამ დანით ოცდარვა ჭრილობას
მოგაყენებდნენ.

არავინ გასწავლა საუზმის მომზადება,
მხოლოდ სადილის –
ერთი მაგიდა სტუმრებისთვის.
თავადაც დამშეულმა,
ვერცერთმა სულმა მოიცალა დაეცავი
ათას შიშს როცა ებრძოდი,
არავინ გაგინათა უკუნი
სადარბაზოს სიბნელეში
წყვდიადს რომ მარტო ერკინებოდი.

სარკესაც როგორ არ მოჰყვა
სწორად ჩახედვის ინსტრუქცია
შენი სხეული რომ დაგენახა ისეთი,
როგორიც ყოველთვის იყო –
ლამაზი, ძლიერი
და როგორიც იყავი თავიდანვე,
სანამ საკუთარ თავს
ხელახლა აღზრდიდი.

როგორ უყვარდი ყველას,
შვილო,
ძვირფასო,
და რა ბოროტად ისარგებლეს
შენი „არას“ არცოდნით.

დედაჩემის სახლი რომ სამოთხე იყოს

დედაჩემის სახლი რომ სამოთხე იყოს
ექნებოდა დიდი ჭიშკარი
მეტალის, ლურჯი _
ადგილ-ადგილ დროის შეჭმული.
პიონების და ტიტების რიგს
ერთმანეთისგან გამოყოფდა
მოკირწყლული ვიწრო ბილიკი,
და ტყემლის ჩრდილში იდგებოდა
მუხის მაგიდა.
გავიღვიძებდი დილით ადრე _
არ ავდგებოდი,
დავამთავრებდი წიგნის ბოლო
გვერდების კითხვას,
საუზმობისას მხოლოდ ვიოცნებებდი
და ყავის ჭიქით მომავალში
ჩავყოფდი ცხვირს და
დავარწევდი ფიქრებს შუადღემდე
დაწნულ ჰამაკში.
დედაჩემის სახლი რომ სამოთხე იყოს,
არ ერქმეოდა შფოთვა.
ბალახი მოკლე იქნებოდა,
მწვანე და გამოთიბული,
ქვეწარმავლებს ბუდე რომ არ დაედოთ.
ვენახის ფართო ფოთლები დაგვიცავდნენ
სიცხის ავი თვალისგან
და წყაროს ცივი წყალი მოგვიკლავდა
სიკვდილის წყურვილს.
ნოველებს დავწერდი აივანზე _
მარადიულ სიყვარულზე.
დედაჩემის სახლი რომ სამოთხე იყოს,
სახლი მექნებოდა.

დავით მოდებაძე

მინდა დავისვენო ფიქრებისგან

მინდა დავისვენო ფიქრებისგან, სურვილს ჩავურაზო კარი,
იქნებ დავინახო სიმაღლიდან, როგორ იბადება ქარი...
გულში ჩავიკირო სამუდამოდ, ჩემი სურვილები წყნარი,
ცრემლმა დამასველოს უკითხავად, სახეს დაედინოს ღვარი...
ისრებს გადამიყრის აქეთ-იქეთ, ცუდად დაჭიმული ლარი,
ენას ამოიდგამს ცის კიდესთან, ჩუმად აკვნესდება ზარი...
უნდა გადავმალო უკუნეთში, ოდნავ მოკიაფე კვარი,
აღარ ავაჟღერო არასოდეს, სიმებდაწყვეტილი ქნარი...

გავიდა ჟამი

გავიდა ჟამი, ვერ მოვახტი რაშს ფაფარ აშლილს,
თავს ვეღარ ვუყრი გაფანტულ დროს წამებად დაშლილს,
სამყაროს ქაოსს ვერ ვაჩერებ, ვერაფერს ვშველი,
მაწუხებს ისევ გულის პირზე ჭრილობა ძველი...
არ მანებივრებს, მათამაშებს სვე-ბედი კრული,
ბევრი ღამეა უძილო ვარ, თვალს მადგას რული,
ცრუ დაპირებამ დამაბრმავა, მატყუებს თვალი,
სწორი ნაბიჯის ძიებაში დავკარგე კვალი...
ამ ცის ქვეშეთში ცალუღელი დავიარები,
ვერ მოვიშორე სულის კვნესა და იარები,
არასდროს შრება ცრემლისაგან ღაწვები სველი,
გაქცევას ვლამობ, მაგრამ მახრჩობს ტკივილი მწველი...
მინდა კამათი, თუმცა ვისთან, რისთვის ან რატომ,
როგორ ვიარო ცისქვეშეთში ამ ტვირთით მარტომ ?!
ალბათ ეს არის ჩემი ბედი, რაც მომცა ღმერთმა,
რისთვის მერგუნა მე ეს ხვედრი, მან იცის ერთმა...

რას ველი

კვლავ ვზივარ ზღვასთან, შევყურებ ცას,
არ ვუსმენ თოლიებს, არც გამჭოლ ქარს,
რომელიც კითხულობს, რას ველი, რას ?!
მე ველი ღვთაებას, ერთ ყმაწვილ ქალს...

ის ალბათ მოჰყვება ზღვის შხეფებს, ქაფს,
ლამაზი მედუზა მის კაბას რთავს,
სულ მასზე ვვოცნებობ, ვერ ვებრძვი თავს,
იქნებ არც მოვიდეს... გულს ეჭვი ხრავს...

დ ა მ ე ს ი ზ მ რ ე

დამესიზმრე, რომ ვაჩუქო სევდა წარსულს,
გავიხარო და სიცოცხლეს შევურიგდე,
შემახსენე, რომ წავშალო ძველი კვალი,
მოვინდომო, ეშმას აღარ გავურიგდე...
მომეხმარე, რომ დავიცხრო იარები,
შევიცვალო, სულიწმინდის დავიჯერო,
გამოვფხიზლდე, რომ შეგავლო ისევ თვალი,
ვიყოჩაღო, ხელით სხივი დავიჭირო...
მოახერხე, რომ განელდეს ძველი წყენა,
შემოგხედო, არ გამიქრეს სიყვარული,
გაიხსენე, რომ მაწუხებს შენზე ფიქრი,
დაკარგულზე ვერ მიშველის სინანული...
გამომტეხე, რომ გიამბო ყველაფერი,
შევინახო უსასრულოდ გრძნობა წმინდა,
დამიჯერე, რომ სინანულს დავატარებ,
მომისმინო ერთხელ მაინც, გულით მინდა...

ს ა დ ა რ ა ჯ ო ზ ე

ჩემს გულში უცებ გამოიდარებს,
არ გავექცევი ცოდვილ სამყაროს,
ისე გავიდგავ მიწაში ფესვებს,
რომ სიცოცხლესთან ვერვინ გამყაროს...
ისევ მოვნახავ რკინის მუზარადს,
შორს გამიტაცებს შავი მერანი,
ჯაჭვის პერანგი ვიდრე გაუძლებს,
შიშისგან თრთოდეს ყველა ტირანი!..
მძიმე სატევარს უმალ ავლესავ,
გამომაფხიზლებს ყივილი სისხლის,
გამომეცხადა გმირის აჩრდილი,
აღარ მასვენებს და წუთებს მითვლის...
გამოვეხვევი ნისლის ნაბადში,
გამარჯვებამდე ვიცი გჭირდები,
შემოვუძახებ ბრძოლის ყიჟინას,
სადარაჯოზე ისევ ვიდგები!..

კ ვ ლ ა ვ ა ე ნ თ ო ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ი

სიომ ყურში ჩამჩურჩულა, შენი ჩუმი ნაფიქრალი,
შემეცვალა წარმოდგენა, გულში გაჩნდა ნაღვერდალი...
სულს მიხუთავს შენზე ფიქრი, ვერ პოულობს ადგილს გული,
დუღილს იწყებს ჩემი სისხლი, გონება მაქვს დაბინდული...
აიშალნენ ოცნებები, აბობოქრდნენ სურვილები,
იქნებ ისევ განმეორდეს ჩვენი ჩუმი შეხვედრები...
ამიშალე საღერღელი, გამიჩინე საფიქრალი,
ჩაქრობისთვის განწირული კვლავ აენთო ნაპერწკალი...

თ ე თ რ ი კ ა ბ ა

დილის სიოს შრიალი, შუშის კარის ჭრიალი,
ემოციის ღრიალი, თეთრი კაბის ფრიალი...
მომღიმარი მცინარი, სულ ყოველთვის წინ არი,
მორცხვი და უწყინარი, თეთრ კაბაში ვინ არი?
სილამაზით ავსილი, გული გრძნობით გავსილი,
სინაზით შემოსილი, თეთრი კაბით მოსილი...
ცოტა გვიან მიხვდება, ისევ მუზა რომ ხდება,
სულ ტყუილად წუხდება, თეთრი კაბა უხდება...

მე მომენატრა
(მამას)

მე მომენატრა გაზაფხულის შხაპუნა წვიმა,
მსხვილი წვეთები ვარსკვლავებად მიწაზე ცვივა...
ჩაშავებული ცის ქონგური, ღრუბლები მუქი,
მოუსვენარი ელვის სხივის კაშკაშა შუქი...
ჭექა-ქუხილის გამყინავი გრუხუნის ხმები,
ქვით მოკირწყლული შინისაკენ სავალი გზები...
მე მომენატრა, ნაზამთრალი მაღლობზე სახლი,
კაკლის მორისგან გამოთლილი ქვევრებთან დახლი...
ყინვით დამზრალი წვრილი ხურმა სავსე შაშვებით,
უკბილო ცუგას მოსალმება თათის დაშვებით...
დიდი კოპიტი შემოსილი მწვანე სუროთი,
ბებერ ხეებში ჩამალული ეზოს სურათი...
მე მომენატრა, გამომიღოს მამამ ჭიშკარი,
შემოაცალოს ვაზის ძირებს ქერქი მიმხმარი...
მოსალმებისას მხარს დამადოს მოხუცმა ხელი,
ააგიზგიზოს მუხის კუნძით ბუხარი ძველი...
ვაზის ნაკვერჩხლით გადაავსოს რკინის მაყალი,
და ჩამომისხას ჭინჭილაში ღვინო ახალი....

ვიხსნებ, ვერ გავიხსენე

აღარ მტოვებენ ფიქრები, არ მომასვენა წარსულმა,
ბევრი შეკითხვა დატოვა ჟამთა სვლამ ჩუმად გასულმა...
ვიხსენებ ვერ გავიხსენე, იყო თუ არა, რაც იყო,
ყველა სურათი გახუნდა, წუთი წამებად დაიყო...
მიჭირს ვიპოვო პასუხი, უნდა დავძაბო გონება,
მიხმობენ მოგონებები, ძნელია არ გაგონება...
რეალური და შეთხზული, სანამ არ გადაიზილა,
გამოგონილმა ამბებმა სიმართლე გადაიბირა...
სად მე ვიყავი, სად არა, ვცდილობ სიმართლის გაგებას,
ძნელად თუ შევეგუები, დროისგან მახის დაგებას...
თუ რამე მახსოვს ჯერ კიდევ, მინდა კედლიდან ჩამოვხსნა,
სადაა ჭეშმარიტება, იქნებ როგორმე ამოვხსნა...

რ ჩ ე ვ ა შ ვ ი ლ ს

მე რჩევას მოგცემ ერთს, არ შეურიგდე ბედს,
ყური დაუგდე ბრძენს, ცოდნას შეიძენ ბევრს...
ზედმეტს მოეშვი ცდებს, სულის ცხონებას ვნებს,
ზურგს ნუ შეაქცევ ღმერთს, კეთილს დაკარგავ გზებს...
არ გაურიგდე მტერს, მეგობარს ენდე ძველს,
თუ გულს გაუღებ სხვებს, თვალს ნუ აჩვენებ სველს...
მაღალს გადაწვდი მთას, უსმინე დილის ხმას,
ზენას ელოდე ქარს, მიჰყევ პოეტთა ქნარს...
პატივი ეცი ჯვარს, შენს სახელსა და გვარს,
თუ შეაფასებ წამს, არ დამარცხდები მწამს!..

რ ა ტ ო მ ა რ მ ტ კ ი ვ ა ?!

(ეძღვნება ჩემს ძმას)

მზემ შეაფარა შავ ღრუბლებს თავი,
ჩრდილები გაქრნენ მიწიდან უმალ,
ირგვლივ გამეფდა სიჩუმე ავი,
ჩემი ფიქრებიც საეჭვოდ დუმან...
დაუძლეველი ჩამოწვა შიში
და უძლურების გამიჩნდა განცდა,
ნუთუ საწუთრომ მომძახა - ქიში!
სულის ძახილი სამყაროს გასცდა...
ვგრძნობ, სადღაც ახლოს სიცოცხლე შეწყდა,
შიგნიდან მესმის სისხლის კივილი,
რეალობასთან კავშირი გაწყდა,
რატომ არ მტკივა?! მინდა ტკივილი...
გაურკვევლობამ დამრია ხელი,
სიმართლის აღქმამ წამართვა ძალა,
გული დაობლდა, თავს ვეღარ ვშველი,
მიშველე, ღმერთო! წამება კმარა!!!

ქეთევან გელაშვილი

საქართველო

საქართველოს სილამაზე არ აკლია
მომადლებულ მარიამის მადლით.
ახლა უფრო ლამაზდება საყვარელი
აღმავლობა ემატება ადლით.
საქართველოს ოთხი კუთხე შეგვიმოკლეს
არ დატოვა ჩვენთვის ოხერ მტერმა
ბევრი ომი, გლეხთა ჩაგვრა განვიცადეთ
თუმცა ბევრი იქადაგა ბერმა.
შემოჭრეს და შეამოკლეს ყველა კუთხე
ისე,როგორც მოკლე კაბის მკერავმა
ვერ გატეხეს მხოლოდ ხალხი ურყევი
მუჭი უფრო ქვად გადიქცა ხელადა.
შემოკლებულ კუთხეს ვლოცავ ზევიდან,
რომ მოჰყვება დიდ ალაზნის ნაპირებს
საქართველო მარიამის წილ-ხვედრი
ისევ გაზრდას განდიდებას აპირებს.
მტკვარს ქალაქის ელფერი აქვს იღიმის,
ამაყად,რომ მოაბიჯებს ,რჩეულად
ამინდია მის კალაპოტს არ სცდება
ზევით მიდის მისებურად ჩვეულად.
დაუყვებით დასავლეთის მხარეს და
უხვები ვართ მდინარეთა დინებით
სიზმარშიც კი გაზრდილს ვხედავ ჩვენს მიწას
მე არ ვამბობ უფალს ვხედავ ხილვებით.
მდინარეს და აქ ბუნებას რა დალევს,
მაგრამ მაინც ბევრი-ბევრი წაგვართვეს
სადაც "ღონე ვერ აჯობებს იცოდეთ!
იქ ხერხია გავხერხავთ და ავართმევთ."
რაც ჭამეს და მიითვისეს მიწები,
ხალხი კიდევ,როგორც ნივთი იყიდეს
გადიხადონ! დრო მოდისო ურყევი
სული ალბათ აქაც ეშმაკს მიჰყიდეს.
გამარჯვება უფლისაა იცოდეთ
თავის შვილებს, დედა არსად აჩერებს
თუ ცუდი ყავს? იმას უფრო იცოდებს
და ზურგს გლახას ის არასდროს აჩვენებს.
უფალია მომხმარეო და მოწყალე
სამსჯავროზე რიგმა უკვე უწია.
საქართველო დაბრუნდება მთლიანად
ცოტა ხანში ვიტყვით ისევ ლუწია.!

დედა ენა

დედა ენას ფესვები აქვს
ჩატანილი უკვე ქვესკნელს
შენ ვერ შეძლებ, ვერ აღმოფხვრი
ვერ დაარღვევ ქართულ წესებს.
ან ვინ მოგცა ეგ უფლება,
რომ ჩაგვიქრო ღადარი
გოგებაშვილს ვის შეადრით?
დიახ! არ ყავს ბადალი.
არ იყო და არ იქნება
ვარდის ადგილს ვინ წყვეტს იას,
დიდი მწერლის ნამოღვაწარს
ვერ გავატანთ ქარს და ნიავს.

დედა ენის მტარვალებო
ნუ გექნებათ მცდარი რისხვა!
ვინც მის გაუქმებას ითხოვთ
უკვეთესს სად ხედავთ სხისას.
გოვებაშვილს არ შეშლია
ია-ვარდის წიგნად ქცევა,
ჯერ დაწერეთ უკეთესი
მერე იწყეთ აღმა ფრენა.
არა ჩვენ არ გასამართლებთ,
უფალია მოწმე ერთი
სუყველაფერს კარგად ხედავს
მაღლა ციდან მამა ღმერთი.

სექტემბერი

სექტემბერი მოსულა
წარმატება ბავშვებო,
უფლის სიტყვა ითქმევა
ღვთის მშობელო ნაქებო.
სიკეთის გზით იარეთ
ამინ !ამინ !ზიარით
ერთმანეთი შეიყვარეთ
დატკბით ერთ-ურთ პიარით.
სიყვარულის ქვეყანა
მზიური გაქვს მხარეო,
ვერსად ვნახე ვარსკვლავი
შენ კი მოამრავლეო.
ეს მერცხალიც არ დადის
ეგეც ჩვენი შვილია
ყველას უყვარს საქართველო
უფლის გამოწვრთნილია.

გაიხარეთ თაობა
ჩვენი ქვეყნის არეში
ღმერთმა არ გამაგონოს
კიდევ მტრების თარეში.
უფალია შემწე და
უფალია მადლითა,
ჩვენც ,რომ ხელი შეუწყოთ
არ შევცდებით ადლითა.
დაგილოცავთ სექტემბერს
მომავალო თაობა,
მუდამ გქონოდესთ მატება
და ნუ გექნებათ სხვაობა.
,,სექტემბერში " ურევია
ჩვენი ,,ერი,, ,ჩვენი ,,ბერი,,
დაგილოცავთ ამ სიტყვას და
გზები გქონდესთ ბედნიერი.

ქეთო ჯომოდავა

...ჩვენ დავბრუნდებით!

ფანჯარასთან ვდგები ისევ,ქრისტეშობის ღამეა...
ეს წუთები,დარჩენილი,ჩემთვის დიდი რამეა...
უფლის მზერას ვნატრობ ჩუმად,იქნებ გამოიაროს...
გამიმრთელოს ბზარი გულში, ერთხელ შემეხმიანოს...
ანთებული სანთელიც კი ცახცახს იწყებს გულივით...
ვერ ჩერდება გალიაში, დამწყვდეული სულივით...
მთაში გაზრდილს მენატრება წყაროს წყალი ანკარა,
ჩემი ეზოს თავზე მდგარი ცხრათვალა მზე,თაკარა,
აივანზე მოჟღურტულე ჩიტი კუდმაკრატელა...
ოჰ,ამდენი სიყვარული ვინ მოსპო და გათელა?
მერცხლებიც კი იტირებდნენ სისხლით მორწყულ მიწაზე,
ფიცს დადებდნენ დაღუპული მოძმეთ კუბოს ფიცარზე:
,,მოვფრინდებით,როს გავიგებთ, ყველა თქვენს გზას იცავდეს,
როცა ისევ სიყვარულით ა, იმ ციდან მიწამდე,
გაიდება ხიდები და...გაცოცხლდება სახლები...
აი,მაშინ თუ იქნება ჩვენი კუთხე ნაქები!"
ფანჯარასთან მდგომი ვხედავ იფერფლება სანთელი...
უცებ მესმის ვიღაცის ხმა, მიხმობს ჩემი სახელით...
სულ წამები დარჩენილა, ნეტა,ვინ გამიხსენა?
და შავ_ბნელად დაღამება,თეთრად ვინ გამითენა?
ამ სარკმლიდან ასფალტს ვხედავ, იქ კი უცხო დამდგარა,
ხელში ჯოხით მიბაკუნებს, თითქოს ღმერთი გამხდარა...
მოიხედა ჩემკენ თბილად,ვარსკლავები მაყარა,
გააბრწყინა ირგვლივ არე, უზომოდ გამახარა!

მარიამობის ღამეა...

ძილი გამიკრთა კვლავ...
ცაზეც ახალი მთვარეა,
მშვიდია,არ ისმის ხმა...
მარიამობის ღამეა,
სახლის გზებს ვეძებ ისევ...
ეს ხომ ისეთი რამეა,
მხოლოდ ეს გახსოვს,ირჩევ!
მიდიხარ ,გზაზე მთვარეა...
შენს ლამაზ ლანდებს მისდევ!
ზოგჯერ ისეთი მწარეა,
არა მგონია, მიხვდე...
რატომ დღე არა, ღამეა!
და ამდენს როგორ ითმენ...
ზოგჯერ ფიქრებიც მდარეა,
გაბრაზდები და იფრენ,
ეს მხოლოდ ერთი მხარეა...
მეორეს გულში იძვრენ!
და დრო ისეთი მცირეა,
ვერაფერს ასწრებ იმდენს!
ცხოვრებაც ისეთი მძიმეა,
ის მხოლოდ ხელებს გიწვდენს!
ირგვლივ ისეთი მღვიმეა,
გზასაც რომ ვეღარ იკვლევ...
იმედიც ისეთი მწირია,
შეძლებ იმ ხელებს მისწვდე?
სიცოცხლე ისეთი ძვირია,
მის ფასს ვერავინ იხდენს!
ერთი თუ ორი გმირია,
მის არსებობას მიხვდეს!
სიცოცხლე ისეთი ძვირია!
ვერ იყიდიო,მითხრეს!
ერთი ლამაზი ფირია...
შიგ რომ მთლიანად გითრევს!
როცა მოდიან,ტირიან...
წასვლასაც ცრემლი მისდევს!
მარიამობის ღამეა...
გულს სიყვარული იხვევს...
ეს ხომ ისეთი რამეა,
ვერავინ ვეღარ იკვლევს!
მინდორი ისევ მწვანეა...
ბილიკად ვხედავ ფიქრებს!
მარიამობის ღამეა,
ჩემს სახლს მივაგნო იქნებ!

შემოდგომაა...

შემოდგომაა...როგორც ყოველთვის,
უბერავს ქარი, ცვივა ფოთლები...
შუაღამეა...ისევ მოგელი,
რომ ფიქრებივით ჭადარს მოსწყდები...
ფრიალ_ფრიალით შემოფრინდები,
ნაწნავს ლამაზად გადაეხვევი
და მაჭარივით აქ დაღვინდები..
იშრიალებენ ვნებით ვერხვები...
ქუჩას მომირთავ ათას ფერებად
სახლის წინ მდგარი შოლტი ჭადრები,
და ჩემი ღამის ჩუმი ვედრება
დაგვირგვინდება თეთრი ვარდებით...
გრუხუნ_გრუხუნით ცვივა კაკალი...
ამ სიბნელეშიც მოჩანს იოლად,
როგორ კანკალებს გული საწყალი...
თითქოს ძარღვებიც ამიწრიოლა...
შუაქალაქში შემოდგომაა...
ჩუმად ჩურჩული ისმის ჭადრების,
ხანდახან თითქოს ცაზე კრთომაა...
და მელანდება ნაზი კადრები...
მივდივართ ერთად, როგორც ყოველთვის...
ცვივა და ცვივა ყვითლად ფოთლები
და ის სიტყვები,უწინ რომ ვერ ვთქვით,
ტყდება ასფალტზე როგორც ბოთლები...
ჩვენ დაჭრილები სისხლში მივცურავთ,
წვიმა გვასველებს თუ ეს ცრემლია?
იმედი თითქოს გადამიწურა
ბედმა ისევლე,გზა ამერია...
მაგრამ უცაბედ აისის ნათელს
გამოჰყვა შენი თბილი ხელები...
და ისევ თვალებს იმედით ვახელ,
ვიღლები მწარე უკუჩვენებით...
როგორც ყოველთვის, უბერავს ქარი,
შენოდგომაა, ცვივა ფოთლები...
და ყველა აზრი მცდარი, უმცდარი,
და ყველა აზრი რისხვა,მორცხვები...
დაქრიან ახლა დროა ისეთი...
და ხეს კვლავ მოსწყდა ერთი კაკალი!
ბედო,ცხოვრებას თითქოს მიწერდი,
აღარ გყავს,ვიცი, შენ აქ ბადალი....
ხელისგულს ვშლი და ვიჭერ ბურთივით,
ბედის საჩუქარს ჩვენ ვინაწილებთ...
ხალისს ვიხურავთ თბილი ქუდივით,
ბედნიერებით სავსე ნაწილებს...

გუშინ სოხუმში!

გუშინ იყო,დიახ,გუშინ...
წვიმდა, ცრიდა ნელა-ნელა,
მზე კი იყო ამ ჩემს სულში
და მინდოდა ჩუმად მღერა..
ამედევნა რაღაც გზაზე
ძალზე ძველი ეს სიმღერა
და არ ვიცი,რომელ ხმაზე,
მაგრამ გულმა დაიმღერა...
და ფეხებიც აჰყვა ამ ხმას...
რირა_რერა,აბა რერა,
სადღა გაჩნდა ეს სიმღერა?
როგორ გაჩნდა,იცით ძველად?
ალბათ ისე, როგორც გუშინ!
გონმა აზრი გაიმთელა
და ჩასახლდა იგი გულში...
რომ მივრბოდი ხტუნვა_ხტუნვით,
თან მომდევდა ეს სიმღერა,
დავტრიალდი ზოგჯერ ბრუნვით...
გულმა რა არ დაიჯერა,
სწორედ ამ დღეს, სწორედ ამ წუთს
სამყაროს სწერს ათას ფერად,
რომ გახეთქავს ცნობილ შავ ყუთს
და თეთრ კაბებს შეგიკერავთ...
დავბრუნდებით ჩვენს კერაზე
და ავანთებთ ცეცხლებს გულში...
სულ ვიცხოვრებთ ჩვენ ამჯერად
სითბოსა და სიყვარულში...
სოხუმელი გვერქვა გუშინ...
ჩავეხუტეთ თითქოს ნაპირს...
ჩამჩურჩულეს თითქოს ყურში:
დაბრუნდებით ყველა სახლში!
აღელვებულს მეგობრები
მილოცავდნენ რაღაც ახალს...
ვინმეს გიჟი ვეგონები,
მაგრამ მალე ჩვენს მზეს ვნახავთ...
და ეს იყო,იცით გუშინ...
მაჩაბელზე ჩავირბინეთ
ერთ წამსა და თერთმეტ წუთში...
ველზე მდელო დავიფინეთ
გავფრიალდით,როგორც მაშინ,
როცა ვღლიდით სხვაგან ქუჩებს!
ამ ერთხელაც ამ ჩვენს თვალში
კვლავ ვეწვიეთ სოხუმს უცებ..

ნინა გაჩეჩილაძე

სულის მხედარი

სანამ ის ცოცხლობს,
სანამ ის სუნთქავს...
იყავი მისი სულის მხედარი!...
მერე კი, მერე...არის გვიანი,
მერე...უტყვია დედის ცხედარი.

შეუერთდება მოვარდნილ გრიგალს,
გაყვება შორეთს,ამომტყდარ ქარებს,
ვეღარ იხილავ სკამზე ჩამომჯდარს
და ვერც გაგიღებს
ჩარაზულ კარებს!

დარჩება სიტყვა- შენთვის უთქმელი,
ვერას უშველი ამაო დარდებს,
სანამ ის ცოცხლობს,
სანამ ის სუნთქავს...
უყურე დედის სხივჩამდგარ თვალებს.

შენზე დარდში რომ გაჭაღარავდა,
შენზე ფიქრებში ჩამოდნა სანთლად,
შენთვის რომ ქსოვდა,
შენთვის ქარგავდა,
ფეხქვეშ დასაგებ ჭილოფის ფარდაგს.

შვილი დედისთვის არს ყველაფერი!
შვილით საწუთრო არის ნეტარი!
...
სანამ ის ცოცხლობს,
სანამ ის სუნთქავს,
იყავი დედის სულის მხედარი.

სტუმარო

მზისებრ მესტუმრე სტუმარო,
მოადექ სახლის ერდოსა,
პირს საით მოაბრუნებდე,
პირგაღიმებულს გევლოსა.
.
ხელებგაშლილი შემოგხვდე,
გულში ჩაგიკრა ნებითა,
ფეხქვეშ ყვავილი გიშალო,
ჭრელა-ჭრულითა ფერითა.

გავშალო თეთრი ბაღდათი-
სუფრა, ნაქარგი ხელითა,
ჯამით შეგასვა ზედაშე,
წვენი, ნაკურთხი ღმერთითა.

კერიის პირას მოგიყვე
ლექსი, უბრალო, ნამდვილი,
ღამე გავტეხოთ, რომ, მზესთან
შეხვედრა იყოს ადვილი.

ქვეყნად ბედნიერს, მხიარულს,
თავაწეულსა გევლოსა,
უპირველესად ყოვლისა-
ადამიანი გეცნოსა.

გფარავდეს დედოფლის კალთა,
წმინდისა მარიამისა,
მკურნალი ყოფილიყავი
გულისა დარდიანისა.

მზისებრ მესტუმრე სტუმარო,
მოადექ სახლის ერდოსა,
პირს საით მოაბრუნებდე,
პირგაღიმებულს გევლოსა.

არ ქრება დროში

გამეფებულა ირგვლივ სიჩუმე,
კრძალვა, მთრთოლვარე
სტრიქონთა წყება...
კაცი- პოეტი არ თმობს სიცოცხლეს,
არ ქრება დროში,
არასდროს კვდება.
კვლავ ჩამომჯდარა აქვე
ჩვენს გვერდით,
ჭკვიან თვალებში
ჩამდგარა ცრემლი...
კვლავ აზეიმე,
კვლავ ადიდგულე
უფალო, ვანში-
მართალი ლექსი!

საით მიდიხარ ღრუბელო

საით მიდიხარ ღრუბელო,
სულამღვრეულო, უფერო,
ცა დაგიჯაბნავს უმზეო,
მკაცრი ხარ... მკაცრი, უბელო.

წამში დაუშენ წვიმის თქეშს,
კოკას დაცლი და დაამტვრევ...
მდინარეს ნაპირს ახეთქებ,
ააბობოქრებ, აამღვრევ.

სამყაროს ბაც ფერს მოახვევ,
დამალავ მწვერვალს მთისასა,
ვინც არ წუხდება ქაოსით,
ნეტავ გაძლებას მისასა.

ნეტავი უზრუნველობას,
გადუხდელობას ვალისას,
ვაჰმე, ამდაგვარ სიცოცხლეს,
ვაჰმე, წახდენას კაცისას.

საით მიდიხარ ღრუბელო,
გულამღვრეულო, უფერო,
ცა დაგიჯაბნავს უმზეო,
მკაცრი ხარ...მკაცრი, უბელო.

სიტყვა

ღრუბელს დაუგორდა ცრემლი...
წვეთად კიაფობს და კრთება,
ერთ დღეს იბადება კაცი,
ერთ დღეს უცილობლად კვდება.

სიტყვა ვერ ვიწამე ფარსი,
მლახვრავს, ცხელ კოცონზე დამწვავს,
კვდომის ვერ გაიგეს ფასი...
სახე- ნიღბიანი, არ მწამს.

ვეტრფი სუყველაფერს ხალასს,
ნამდვილს- თუნდაც იყოს მწარე...
დილას, მზე ახარებს ამბავს,
მწუხრს კი ეფინება მთვარე.

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთები
ვარდის კოკრებს ისე ამკობენ-
როგორც ქალის ყელს
მარგალიტის მძივების კრება,
წამი, წამია!
გაქრება და დაიკარგება...
ო, რა შორია!...
ლურჯი ცა და ცის უკვდავება.
მშფოთვარე სული
ბროლის ბოთლში გამოკეტილი-
შფოთავს, მძვინვარებს,
გამალებით აწყდება კედლებს...
წვიმა ჩაივლის,
ნაწვიმარი დარჩება კვალი...
გაანჩხლებული სისხლის ჩქერი
აწყდება ხელებს.
წვიმის წვეთები
ვარდის კოკრებს სულს უბრუნებენ,
არ გაბედოს და
ფურცელ-ფურცელ არ დაიშალოს...
ვარდის სურნელი,
ვარდის ეშხი- ბაღს რომ ამშვენებს-
არსად წავიდეს,
არ გაქრეს და არ დაიკარგოს.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სულის სამყარო

ჩემი შექმნილი სულის სამყარო,
ნიჭის გონით და ნაჯაფ ხელებით,
წიგნია ჩემი ფიქრის წყარო და...
განვლილი წლების ნატერფალები.
ვცხოვრობ წიგნების სუნის სურნელთან,
მას ვუზიარებ თუ რამ მაწუხებს,
რაც ფიცი დავდე წინაპრის ძეგლთან,
შეუცდომელად ვაძლევ პასუხებს.
ყოველი თვე და განვლილი წლები,
გონის ჭურჭელში ხელით ჩავწურე,
ვსვავ როგორც ლოთი ვქეიფობ, ვთრები
და ტკივილებიც აღარ მაწუხებს!!!

ლექსით

ყველა თავის ბედისწერით მოდის,
დაბადება უფლის ნებით ხდება,
შეეჩვევა გული დარდს და ლოდინს,
ვინც ლექსს შექმნის მხოლოდ ის არ კვდება.
თუმცა ბევრმა ნაჯღაბნები მიქეს,
არ მგონია მერგოს უკვდავება,
ზეცის თაღი ნაღვლიანად მიცქერს,
ღამეს ჩემი დარდი ედარდება.
დავამშვიდე, ერთგულს მოვეფერე,
ჩემი გული საბნად დავაფარე,
უკვდავებით თუ არ გამიხსენეს,
სიცოცხლეს ხომ ლექსით დავამთავრებ!

მრავალწერტილო

მოგზაურობ ცას და მიწას,
ფიქრის მრავალწერტილო,
ბევრჯერ ზეცა სევდას გიწნავს,
ბედზე გულდაწყვეტილო.
არ იდარდო გენაცვალე,
ცრემლის ზღვები დააშრე,
გულს ეკლები გააცალე,
წლები ისე დალაშქრე.
გზის აღმარდზე ღრუბლის მიღმა,
მზეც იქნება შემოგხვდეს,
ცის მნათობმა გაგიღიმა,
ვარსკვლავებმა დაგმოძღვრეს.
უნდა შეძლო ფიქრო ჩემო,
მომავალის ალერსი,
ჯერ წინსვლა არ შეაჩერო,
თუ წაიქცე ადექი.
შექმენ წიგნი წითელგულა,
ოქროსფერი სიტყვებით,
ვიცი ბევრმა გიორგულა,
მაინც ღვთის გზას მიყვები.
ჰოდა ფიქრო, დავმეგობრდეთ,
სიცოცხლის დრო წიკწიკებს,
ხალხს სიკეთე უნდა ვარგოთ,
სანამ ისევ იწვიმებს!

ლექსი შვილია

რაც კი დავთესე არ ამოვიდა,
მიწამ ჩაყლაპა თუ ბედისწერამ,
ვიწყებ ცხოვრებას ისევ თავიდან,
ლექსთან მექნება კვლავ ჯვარისწერა.
ცხოვრება ისეც ლაბირინთია,
ობობას ქსელს გავს დაუნდობელი,
განა ლექსები მარტო რითმია,
ლექსი შვილია... მე კი მშობელი.
ისმება კითხვა თანაც მრავალი,
ამოუცნობი რად არის ნდობა,
მიმტევებლობა თუა წამალი,
ხალხი ერთმანეთს რად არ ენდობა?
დღეს ეს იმედი ღვთისგან მოვიდა,
დათბა... სიცხეა როგორც თაკარა,
მრავალჟამიერ ისმის შორიდან,
ცას ვარსკვლავები გამოაყარა!

უბრალოება

მიყვარს სიცოცხლე უბრალოებით,
მიყვარს დიდი და მიყვარს პატარა,
დედამიწაზე ჩვენ ვართ დროებით,
ნეტავ მსოფლიო შემომატარა.
ვამცნო ის რასაც ახლა განვიცდი,
გათენებისას რას ვფიქრობ დილით,
თუ წინ წავედი სხვასაც დავუცდი,
სულის სიმშვიდეს ვაჩუქებ თბილისს.
მიყვარს წარსული თავის ტკივილით,
ის ცრემლიც მიყვარს
თვალს რომ წამოსკდა,
არ მთრგუნავს მტერის სახის ღიმილი,
თუ მაწყენინა მერე რა მოხდა.
იპიწკინებენ შეზამთრებისას...
იმედის ბუხრის ნაპერწკლები,
კვირტი იფითქებს ხვანის მთების და...
აყვავდებიან ნეკერჩხალები!

წმინდანო

შენი წამება, შანთვა სხეულის,
გავს ქრისტეს ჯვარზე გაკვრას წმინდანო,
სული ჩვილივით გადარწეული,
ცის ვარსკლავივით ყვავის მიდამო.
ქართვლის ქალობა არ გაპატიეს,
ერთგულებისთვის დაგვწვეს, დაგდაღეს,
ქართველებმა რომ ვერ დაგიტირეს,
დარდის ყინული როგორ გამოლღვეს.
შვილიშვილების შუქია ალბათ,
მთვაერე თვალს ახელს უფლის თვალივით,
აჩრდილი შენი დადის ლანდად და...
ბრწყინავს ცისკარი დედოფალივით!

ანსამბლ„ ლალეს" ჰიმნი

ჩვენი სიმღერა კოსმიური ლალეს ჰანგები,
სულ იგუგუნებს, იღაღადებს, სამარადისოდ,
მტრედთა ღუღუნი, სიყვარული, ტკბილი ბაგენი,
თოვლის ფიფქივით სუფთაა და ღმერთთან ადისო.
„ლალე" მზე არის ენერგია მაცოცხლებელი,
სიმღერები კი წყაროსავით დარაკრაკობენ
ისე წმინდაა , ისე სუფთა, ხელუხლებელი,
ჩვენს წარმატებას მსოფლიოში ლაპარაკობენ!

ჟონავს სიცოცხლე

მწამს რომ სამყაროს შევძრავ ლოცვებით,
 სიყვარულით და ტკბილი სიტყვებით...
ცუდი ფიქრისთვის რიგორ მოვცდები,
სიცოცხლის ბილიკს ფრთხილად მივყვები.
ვგრძნობ გარდაცვლილის სხეული სუნთქავს,
ქვის და ბრინჯაოს ნაძერწი გულით,
ლექსებში რითმით ალალად ... სუფთად...
უკვდავებაა ამოქარგული
ერთი ბეჟანი იქ განისვენებს,
სასაფლაოზე ხვანის დიდ მთებში,
იმ მწარე დღებს არც გავიხსენებ,
ტკივილი კვნესის სხადასხვა ხმებში.
ორმოცი წელი გასულა ძმაო,
ფოთოლცვენებით ვაით და ვიშით,
აღარ ვტირივარ, არაფერს ვდავობ
აღარც ვძაგძაგებ სიკვდილის შიშით.
თეთრი და შავი არაგვის მსგავსად,
 ჟონავს სიცოცხლე გულის ძარღვიდან
დროს რომ არ დარჩი ჭაობში ხავსად...
მზით სავსე სული ღმერთთან წავიდა!...

ვფიქრობ

ვფიქრობ ... ფიქრის გემით ვმოგზაურობ,
მგზავრი იმ წარსულის წლები არის,
ჩუმად... არასოდეს არ ვხმაურობ,
მოგდევ... ,,დროვ" მაინც შენ გამასწარი.
ჩემი მგზავრებია კეთილები,
წიგნი, ლექსები და მადლის თესვა,
შენ მე არაფერს არ გეცილები,
წიგნით უკვდავების წყალსაც შევსვამ.
მინდა ქურდი იყო და მომპარო,
წიგნი წაკითხვისას შეიმეცნო,
ბოღმა მაგ გულიდან გადაყარო,
იქნებ ჩემი ფიქრიც ამოგეცნო.
„დროვ", შენ სიძულვილმა გადაგწონა,
მეკი საუკუნის სიყვარულმა,
ალბად გინდოდა და გეპირწონა,
გვერდი აგიარა სიხარულმა.
ჰოდა, წინ იარე ვიყო უკან,
მოგდევ წაგიშალო ნაკვალები,
ვცდილობ, სიყვარულის მოგცე ლუკმა,
ჩემი მომავალის დავალებით!

გახსოვდეს

იყავი მომთმენი რადგანაც,
ზოგჯერ ასეა საჭირო,
მაზოლზე ფეხს როცა გადგამენ,
ისიც არ გაინაპირო.
სამყარო შეირყა ცოდვებით,
კეთილი ბოროტად აქცია,
დაიწყეს უაზროდ ბოდვები,
ნამუსი ტანთ შემოძარცვიათ.
გიყვარდეს მეუღლე, ოჯახი,
სიყვარულს არ უნდა ფულები,
თუნდ გქონდეს პატარა ოთახი,
გახსოვდეს ცად გარდასულები.
მოკრიფე ტყის ჟოლო მინდორში,
მეუღლეს მიართვი სათუთად,
ასეც ცხოვრობდნენ ძველ დროში,
მზეს იყენებდნენ ,,ნათურად".
შვილები დაზარდე, ასწავლე,
მტერს არსად გადაეყაროს,
ზოგი რომ ქუჩაში წანწალებს,
არ შეხვდეს... არ გაეკაროს!

სიკეთეს ველი

შეცივნია მარტო ეულ მნათობს,
აედევნა მოფარფატე ღრუბელს,
ხელის გულით ჩიტბატონას ვათბობ,
შაშვსაც ვშველი ჩემს მეზობელ უბნელს.
,,წეროები მიფრინავენ" ცაში,
სად მიდიან ასე მწრივად ნეტავ,
 ტყეში დარბის უნაგირო რაში,
თოთო ნეკერს დაუნდობლად კვნეტავს.
ყველას თავის გზის გაკვლევა უნდა,
ყველას ვშველი მე კი არვინ მშველის,
კარგს ვაკეთებ ცუდად დამიბრუნდა,
მე ჯიუტად კვლავ სიკეთეს ველი!

ძმები მყავდა

ძმები მყავდა და ხუთივე გარდიცვალა,
ქმარიც ადრე სულ უდროვოდ ღმერთს ეახლა,
ჩემმა შვილმა მოფერებაც არ მაცალა,
 დათამ ყველა ტკივილები გამიახლა.
არ დავეცი რადგან რწმენა მომეშველა,
მოვითბინე სული ცაში დავამშვიდე,
ან ნერვები რატომ უნდა მომეშალა,
გავმაგრდები სანამ ლოგინს გავიშლიდე.
ასეთი ვარ ფიფქებივით მოფარფატე,
სიყვარულის ცეცხლი გულში დამინთია,
ცა ცრემლებით ღამით ისე გადავხატე,
ვუმკურნალე სევდის ნაგვემ არითმიას.
თავდაბლობა სულ არ ნიშნავს უმწეობას,
ტკბილი ენით ,,გველს ხვრელიდან გამოვიყვან"
წინაპრებიც ღვთის სიკეთეს ეწეოდა,
სულ უპოვარს გულის სახლში შემოვიყვან.
ულამაზეს ქოხს ღარიბულს ავაშენებ,
დაგაპურებთ სიტყვით ნაკაზმ საუზმეთი,
მადლის სკვერებს სიმშვიდისას გავაშენებ,
საბოლოვოდ ცას მიმიხმობს ჩემი ღმერთი!

ლოდინი

არ გაგიკვირვდეთ ღიმილით ვუცდი,
წეროთა გუნდის შემობრუნებას,
ჯერ ამინდია ძალიან ცუდი,
ვატყობ არც ერთი არ დაბრუნდება.
მე მაინც ვუცდი შევყურებ ზეცას,
კვლავ მიფრინავენ
მწკრივად ... გუნდ -გუნდათ,
ყველა იმედი შემომეძარცვა,
მობრუნება რომ არავის უნდა.

ძალა მომეცი

სიმდიდრე არა ძალა მომეცი,
მტერი ცუდისთვის არ გავიმეტო,
მე სიყვარულის დედად მოვედი,
ეს გრძნობა მინდა რომ გადაედოთ.
რაღაცა უნდა გამოვიგონო,
ნაშრომი უნდა შევქმნა სიკეთის,
ბოროტი კეთილს რომ მივამგვანო,
წამალი უნდა შევქმნა ისეთი.
ზღვასავით გრძნობა უნდა ღელავდეს,
შიგ ბანაობდნენ დიდი – პატარა,
მტერს რომ მოდევდნონ მევე ვმალავდე
და ცრემლსაც ვღვრიდე მისთვის თაკარას!

ჰიმნი

რაჭის ჰაერით ვსუნთქვთ და...
ტყეს და ბარს ვეალერსებით,
დედის გულივით სუფთაა,
მთა და წინაპრის ფესვები.
თვითონ ჩვენა ვართ მამული,
ქალაქი, დაბა, სოფელი,,
ნერგი ვართ ხელით დარგული,
ვართ დროის წუთისოფელი.
ამბროლაურის მეორე,
სკოლა ვართ სწავლის სურვილით,
საწუთროვ, გაგვამეორე,
ცოდნის და შრომის წყურვილით.
ენა ვართ იაკობის და...
ვიცით ვინ იყო ილია...
სწავლაა ჩვენი ჰობი და..
აქ, მთაც მზესავით თბილია.
ამბროლაურის მეორე,
სკოლა ვართ სწავლის სურვილით,
საწუთროვ, გაგვამეორე,
ცოდნის და შრომის წყურვილით!

ფიქრის ქუჩა

დავწერ მისამართის ნომერს,
ფიქრის ქუჩა მადლის სახლი,
ყველაფერი რაც ვიშრომე,
ყველაფერი არის ხალხის.
სიყვარულით ავაშენე,
ლოცვით ვზიდე აგურები,
სულის კოშკი დავაშენე,
ერთად ყოფნის სადგურებით.
კედლები სულ სიპი ქვაა
მარილიან ცრემლ-ნაზელი,
ჭიშკარი კი ირმის რქაა,
სახურავი არის ძველი.
არაუშავს თოვლს გაუძლებს,
თუ არ გაძლო გამოცვალეთ,
განაცვალებთ გადაღლილ ძვლებს,
თუ სიცოცხლე დამაცალეს.
რად შრომობსო ჩემზე უთქვამთ,
რად შექმნავო მოსავალი,
ასეთებსაც ხორბალს ვუფქვავ,
არავისთან არ მაქვს ვალი.
მტერს ვუძლებ და მოკეთეს კი,
რაც კი მქონდა სულ მივეცი,
გული ბევრჯერ გამკვეთეს და...
მეტკინა და არ დავეცი!

*. *. *

სითბო გამატანე ბევრი,
რომ არ შემამცივნოს გზაში,
სუნი მომენატრა კერის
ხმები... მოჭიკჭიკე შაშვის.
დროს არ შემოვცვითავ შურით,
წუთსაც სიყვარულით მოვქსოვ,
ცეცხლი მომენატრა ბუხრის,
მტკვარის ქაშაპი და ლოქო.
შენ კი დაგილოცავ კერას,
გმადლობთ მასპინძელო კარგო,
შენი ერთგულების მჯერა,
მჯერა გულკეთილო ფრანგო.
დაგრჩეს ერთგულების კვალი,
გული სამშობლოსი არის,
ვარ მე ის პოეტი ქალი,
რომ არ ეშინია ქარის.

ტყემალს არ ვჭამდი

იქნებ არც გჯერათ რომ მე სინდისის,
ვიყავ დამცველი რადგან მიღირდა,
მტკივა ტკივილი ჩემი შინდისის,
გზადაგზა მტერი გულმკერდს მიღრნიდა.
ტყემალს არ ვჭამდი რომ ჩემს მომავალს,
არ მოკვეთოდა ის სიბრძნის კბილი,
და ასე სუფთად ვიმკი მოსავალს,
ვარ ყველას დედა და თანაც ტკბილი.
უნდა იწამოთ რომ ღრუბლის ფენას,
წინ ვეფარები ვით ბრძოლის ფარი,
გავრბი და მომდევს ეს ფოთოლცვენა,
არ ჩერდებოდა ძლიერი ქარი.
აგერ შევჩერდი მოდი მესროლე,
მამულისათვის ეს ბრძოლა მიღირს...
არ ვარ მშიშარა ვიღაც თებროლე,
ჩემს დანახვაზე სიკვდილიც მირბის!

მეცოდება

გულით მინდა ნამეხარ ტოტს ვუმკურნალო,
შევუხორცო ღრმა ჭრილობა, სეტყვით ნავნებს...
იმედის რაშს გამოვუცვლი ნაცვეთ ნალებს,
გადამხმარ ვარდს რწმენა ისევ გაამწვანებს...
გულდაჭრილი, თან უიღბლო მეცოდება,
იარებით გული რომ აქვს დასერილი...
უბედობამ შემიყვარა, არ მშორდება,
მეცოდება ჩემნაირად დასევდილი.

ძალიან მაფიქრებს

ვცდილობ რომ არ გაწყდეს მოთმენის ძარღვები,
ნათოვლარ გულის პირს ისევ არ დათოვოს,
როდისღა გავთბები, ან როდის დავლღვები,
ქართველი ქუჩაში რამდენი მათხოვრობს.
კვლავ ვცდილობ დავლაშქრო მთა დაულაშქრავი,
შევძლებ კი ყოველთვის ცარიელ ხელებით,
თან მახლავს ფიქრების არმიის ლაშქარი,
თვალს უნდა აღიქვას სამყაროს ფერები.
ამოილაჟვარდოს ჩემს ახლოს არწივმა,
ხან მთებით იფრინოს ხან გავდეს შევარდენს,
დამიღრნა ძარღვები ბედისწრის ნაწვიმმა,
რადგანაც სამშობლო ძალიან მადარდებს!

სამყაროს დედა

აი, სადა ვარ, აი ვინ მიყვარს,
რწმენა და სული ჩემი პოეტთა,
ქადა – ნაზუქებს სხვა კი არ მიკრავს,
პირიქით ქარმა წელში მომტეხა.
რწმენას მოუხმე და სიყვარულმა,
უკიდეგანოდ ფრთები გაშალა,
თუმც დრომ ბოროტად შემოპარულმა,
იწოწიალა ჩემს წინ გარშემო.
წაიქცევაო შრომის ბილიკზე,
რადგანაც ტვირთი იყო მძიმეა,
სიკეთისათვის გამაქილიკეს,
თქვეს ესეც ერთი დიდი ვინმეა.
სიტყვა არა ვთქვი ვდუმდი მუნჯივით,
გაშლილ სუფრაზე სხვა ქეიფობდა,
დავაბიჯებდი მძიმე ხურჯინით,
მხოლოდ უფალი ჩემზე ფიქრობდა.
გთხოვ მიუტევე ცოდვილთ ცოდვები,
უფალო, მე გთხოვ დედა -მშობელი,
უნდა შეუნდო სულელთ ბოდვები,
ბოროტებაა დამამხობელი.
ჩემი თვალები მხოლოდ მზეს ხედავს,
ღრუბელშიც მინდა თვალის სინათლე,
ვცდილობ რომ ვიყო სამყაროს დედა,
ვარსკვლავო ციდან ჩამომინათე!

ფერს შეიცვლის

ჩიტი კენკავს ჩემი ეზოს ნაყოფს,
მწიფე ლეღვს გავს სიტკბოთი და ფერით...
მიზნობრივად მათ დრო ისე დაყოფთ,
შემოდგომის იყოს შესაფერი.
ფერს შეიცვლის დამწიფდება თითა,
ყურძნის მტევნებს დაამძიმებთ ტანი,
კაკლის გულებს კანი დაეფლითათ,
შეიცვალნენ უკვე ვერ ვიცანი.
ჩემი ბაღის დაშაქრებულ ყურძენს,
ვუწილადებ მშიერსა და ობოლს,
სამომავლოდ ბებერ მუხის კუნძებს,
არვინ უთხრას არის უსამშობლო.
საზღვრისპირა სოფლებს ცრემლი ცვივა
დრო გარდაცვლილ სიყვარულზე ყვება,
წნელისის მთებს თუკი ისევ ცივა,
ძველი სითბო მზის სხივს ჩამოყვება,
დამოყვრდება ქართველი და ოსი,
არვინ მითხრას ეს რომ არ მოხდება,
ყოველ ღამე გავათენებ ლოცვით,
უფლის ნებით ნატვრა ამიხდება!

მაინც ის მიყვარს

სხვისი სამშობლოს სილამაზე როდის მიკვირდა,
ერთგულებას კი სულ დავეძებ დასაბამიდან,
თუ სხვის მიწაზე იმედები გამოიკვირტა,
უსაქართველოდ თვით სიცოცხლეც აბა რად მინდა.

მოვეფერები ჩემი მიწის გამხმარ ბალახსაც,
სადაც სურნელი მწვანე ხავსაც შემორჩენია,
ახლა ამჟამად ყველაფერი დრომ თუ გალახა,
მაინც ის მიყვარს ამ ყვავილებს ის მირჩევნია!

ოქრო თუ ლექსი

მეკითხებიან როგორც მოსწავლეს,
რა გირჩევნია, ოქრო თუ ლექსი,
ჩამჩიჩინებენ როგორც მოვალეს,
არადა ლექსი ძილშიდაც მესმის.

განძს წამართმევენ ლექსი კი ღრმაა,
ოკენეში როგორც წყლის ფსკერი
მერცხლის ჭიკჭიკიეს ლექსის ხმაა,
გაზაფხულებას ლექსივით მღერის.

ლექსთან ვიძინებ, გადავშლი მკლავებს,
ხან საბანივით შემოვიკეცავ,
სიმდიდრისათვის ერთმანეთს კლავენ
 მე კი მსურს ლექსის სამოსი მეცვას!

ფიქრი

ნაძვებივით მარადმწვანე ფიქრი,
უჩინარი დარდის თოვლის ხროვა,
ნეტავ რაა ცათა მთების იქით,
ვინც წავიდა ნუთუ მართლა მოვა.
ველოდები ყოველ დღე და ღამე,
კარებს ვტოვებ ძალზე ხშირად ღიას,
გაზაფხული მიფერადებს წამებს,
დედის ცრემლით რომ ამოდის ია.
ღამით მთვარეს შევეკითხე კრძალვით,
თოვლ- ქარბუქში რატომ იმალება,
გზაზე მიდის სევდიანი ქალი,
რომ ვერ ხედავს მტერსაც ესალმება.
ყური მოკრა ჩვენს საუბარს ზეცამ,
გადმოაგდო ელვის გრძელი ენა,
სულ რომ ტანზე მწვანე კაბა მეცვას,
ვერ შეამჩნევ თუ დაკარგე რწმენა.
დავუჯერე ლურჯი ზეცის რჩევას,
ღრუბლის ფენას მზის სხივები შლიდა,
ვინც წავიდა ისევ ჩემში რჩება
და ღვთის რწმენამ გული დამიმშვიდა!

ვალში

ისევ ჩამოწვიმა დილას,
კაკლებივით სეტყვას ისვრის,
მოვეფერე ღრუბელს ფრთხილად,
სითბო ვინათხოვრე მზისი.

იმედების წყაროს ვეძებ,
ჩემთვის არა თქვენთვის მინდა,
სუფთას უმანკოს და წმინდას,
რომ სულ იყვავილოთ შინდად.

მხარზე დამაფრინდა შაშვი,
საცოდავად აწრიპინდა,
ციცქნა იყო როგორც ბავშვი,
თითქოს იყო სული წმინდა.

გამიკვირდა ენა ესმის,
გავემზადე სამასპინძლოდ,
წყალი მთხოვა ერთი პეშვი,
ტკბილად უნდა ვუმასპინძლო.

ჩიტმა შემომხედა კრძალვით,
ცრემლი გადამალა თვალში,
მასაც ვუყურებდი დაღლილს,
დავრჩი მასპინძელი ვალში!

ძირულიდან ვარ

მათ რომ ეგონათ ჩამოწურეს გონის ჭურჭელი,
ისევ ავივსე ენერგიის უხვი მარაგით,
თუმცა არ დარჩათ გულის კუნთი გამოუჭმელი,
ეს ყველაფერი სათქმელადაც ჩემთვის არა ღირს.
ძირულიდან ვარ, პოეზიით დაუშრეტელი,
შვილი ვარ, დედა, ბებია და სხვათა დამხმარე,
ზეცის შვილი ვარ, კავშირია განუწყვეტელი,
მე ასეთი ვარ, ჩემთან ახლოს მტერსაც ვახარებ.
არ მეშინია, სიკვეთეა ჩემი აბჯარი,
ხან ვიექიმე მოვარჩინე ენით დაჭრილი,
ჩემი გენია სიძლიერის ხართან ნაჯვარი,
თუმცა სულია გაზაფხულის თეთრი აპრილი!

ორი ჩიტი

სკუპ და ხიდან გადმოფრინდა,
ორი ციცქნა ჩიტის ბარტყი,
მათთან ყოფნა უკვე ღირდა,
დარდიანი უცებ დავტკბი.
ხან დახტოდნენ წყალის მხარეს,
ხანაც ჩემთან სურდათ ყოფნა,
თუმც ხელი არ დავაკარე,
ფრთა სირბილით გაეოფლათ.
მოვეფერო ჩიტებს მინდა,
საკენკიც კი დავუყარე,
ერთი ხელზე დამაფრინდა,
თვალი- თვალში გავუყარე.
მისი ენა რომ არ ვიცი,
ჩიტუნიას მე რა ვუთხრა,
მიყურებს და ჩიტი მიცდის
დუმს და მზერა გულს მითუთქავს.
ჩემთვის რაღაც ვიბუტბუტე,
არ მიმიღეს მასპინძელად,
ბოლოს თითქოს გამებუტნენ,
ჩემთან ყოფნა გაუძნელდათ.
რა იციან ამ ჩიტებმა,
ანაბანა ქართველების,
გედებმა და ან გვრიტებმა,
გენეტიკა მთასვლელების.
გამახსენდა ხერგიანი,
მთის არწივი და კლდის ვეფხვი,
გავხდი უცებ სევდიანი,
ცრემლებს ღვრიდა კლდის პირს ვერხვი!

დ უ მ ი ლ ი

მდინარის დუმილი მიკვირს მე რადგანაც,
ებრძვის თან უძლებს ბედისწრის ნალექებს,
წაპირზე ყოველთვის გულზე ფეხს ადგამენ,
მდინარის სათავეს ვიღაცა აქეზებს.
ო, არა დამშვიდდი მდინარის ტალღებო,
სიამის ფსკერზე რომ იცუროს თევზებმა,
ნუ ყეფავთ ქუჩაში უაზროდ ძაღლებო,
სამშობლოს საჯიშე ბოკვრები ეზრდება!

ცაში

ცაში ვარსკვლავები გადავთვალე,
მერე მთვარეს წყნარად ვესაუბრე,
დარდი იმედებით გადავთალე,
ბედს კი სამუდამოდ დავეუბრე.
ციდან მიღიმოდა ცისარტყელა,
თითქოს ნაცნობი და მეგობარი,
გული რაღაც ძალამ დაატყვევა,
ერთად შეიკრიბა მთა და ბარი.
ჩემი საჩივარი განიხილეს,
ბედი არასოდეს არ მიმართლებს,
მთვარე – მოსამართლე გავაფრთხილე,
მართალს რომ არავინ გაამართლებს.
დარდი გულში აღარ დამეტია,
მზე რომ ხელოვნურად გაამწვანეს,
ეს დრო მდიდარისთვის კამფეტია,
ღარიბს სიკეთისთვის გაამწარებს!

ღმერთი გწყალობდეს

არ გაგეხარდეს სხვისი წაქცევა,
როცა სხვას უჭირს ნუ გაიცინებ,
ბრმა ტყვია ზოგჯერ შენც არ აგცდება,
მლიქვნელს ტალახს ვერ მოიცილებ.
ხან მზე იქნება და ხანაც ელვა,
ცუდი და კარგი არ დაილევა,
ნუ დაიფიცებ ტყუილზე დედას,
თორემ სამყარო გადაირევა.
შენც ხარ სტუმარი ამავ სოფელის,
ლექსი რითმებით ააგალობე,
არ ხარ სიკეთის უარმყოფელი
და ჰოდა კარგო ღმერთი გწყალობდეს!

ბევრი ვესაუბრე

რა არ ვეჩურჩულე ... გული გულს აემბას...
იყო სიყვარული ჩემი სათხოვარი,
ქართვლის კრუხ-წიწილას თუკი გზა აებნას,
ღმერთო, არ გახადო სხვისი მათხოვარი.!

ცხოვრების ხიდი

დიდ ხიდსა გავს ეს ცხოვრება,
ხან გახვალ და ხან გამოხვალ,
დარდი არსად არ გშორდება,
თუ გაჯობა გულს გამოგხრავს.
ჰოდა, მიტომ გავეცალე,
კეჭებივით გადავყარე,
ჩემი სხვაშიც ვერ გავცვალე,
მერე დარდიც შევიყვარე.
ჰოდა, ვცხოვრობ დარდთან ერთად,
ჩემს ბალიშზე ხვრინავს ბევრჯერ,
ჭირში-ლხინშიც არის ჩემთან,
თუ წავიდა სხვასთან ვეძებ .
ამ ცხოვრების ხიდის ჯებირს,
ორთავ ხელით ჩავეჭიდე,
ეს დრო იწყებს დროსთან შეჯიბრს,
ნეტავ ხალხს არ გაუჭირდეს.
გული დარდით რას გახდება,
ჯებირს არღვევს ფულის არხი,
გაჭირვებულს კლდე დახვდება,
გამომძღარი თავს არ დახრის!

ვიარე ციცაბო აღმართზე

ძნელია იარო კლდეებზე,
ვით ჯიხვი შებედო ქვაფენილს,
მაღლიდან დაეშვა ფერდობზე,
თან სდიო არწივებს აფრენლს.
ვიარე ციცაბო აღმართზე,
არასდროს ვიკადრე ღალატი,
არ მინდა წავიქცე – დამთავრდე,
გული მაქვს ვით ნაზი ბარხატი.
უკან მოხედვაც რად მინდა,
ისევე წინ უნდა ვიარო,
გავძლებ თუ ისევ გაწვიმდა,
გულზეც რომ გადამიარონ.
ხან კლდეც ვარ სიპი და უტეხი,
არადა სინაზეც მიხდება,
მტერს ბევრჯერ წინ გადავუდექი,
ვინ იყო თვითონაც მიხვდება.
წყლისა და სიპ ქვებთან გაზრდილის,
არც უნდა გიკვირდესთ ეს ბრძოლა,
ნუ გეჩვენებით დაღლილი,
კვლავ შევძლებ ჯარის გაძღოლას!

სახლი სახლასა გავს

თითქოს ბუნება ერთნაირია,
სახლი სახლსა გავს
ვარდები ვარდებს,
მაინც ფიქრები უცნაურია,
მონატრების ეჭვს
ყოველ დღე ბადებს.
რა სიმშვიდეა ყველგან ქუჩებში,
არ კამათობენ ლანძღვის სიტყვებით,
იებიც ყვავის მინდვრად ბუჩქებში
და ხიდან ხეზე ხტიან ციყვები.
ვარ საფრანგეთში
ვზივარ და ვფიქრობ,
ჩემი სამშობლო რით განსხვავდება,
დარდი რაც გამყვა
ვერაფრით ვიქრობ,
დანაშაულის დგება ბრალდება..
ისე გავსხალით
ვაზის ტოტები,
რომლის ყლორტებიც
სხვაგან იზრდება,
ჩემი ფიქრების ნატურმოტები,
ქართულ მიწაზე გადაიზრდება
ვინ დახსნას მიწა პაპის გუთანით,
სახლს მწვანე ხავსი ვინ გააცალოს,
ვწუხვარ და ფიქრი
კვლავ ფიქრს ვუთხარი,
სამშობლო სულ არ გარდაიცვალოს!

მე ის დედა ვარ

მე ის დედა ვარ შვილის გულისთვის,
რომ დავთმე თუ რამ დასათმობია,
დროს არ ვკარგავდი ბოღმა-შურისთვის,
გული ღვთის რწმენით განათბობია.
თუ ვინმეს ტკივა მათი დედა ვარ,
და ვყოფ თხილის გულს ნაწილ-ნაწილად,
რომ სულ ვიბრძოლო მუდამ მზადავარ,
მერცხლებმა იგრძნონ თავი არწივად.
მე ის დედა ვარ სხვებსაც რომ ზრდიდა,
როგორც შვილი და სულ ახლობლები,
რომ არ უჭირდა ტვირთის ზიდვა და...
ეცოდებოდა ბრმა და ობლები.
მე ის დედა ვარ, როცა შიოდა,
სხვის შვილს რომ ხელი გამოუწოდა,
თვალიდან ცრემლი ჩამოდიოდა,
იმანაც ბევრჯერ დედა უწოდა.
მე ის დედა ვარ რომ მიბრძოლია,
სიტყვით და საქმით როგორც წესია,
არასდროს მითქვამს ერთზე ორია,
რადგან სიმართლე მუდამ ჩემშია.
მე ის დედა ვარ, კვლავ რომ შრომობდა,
ეკალ- ვარდები გზად რომ ხვდებოდა,
მაინც წვალობდა, მაინც ომობდა,
ტყვიებს სროდნენ და არა კვდებოდა.

ვედრება

გთხოვ უფალო,
დაამშვიდე დედამიწა,
ღრუბლები და
მზის სხივები შეარიგე,
სიძულვილის სახრე
არავინ გადამიწნას,
ო, ამაზე ფიქრებსაც
კი განმარიდე.
მაპოვნინე გულიანი
სულის ხალხი,
ძალიანი უსუსურს
რომ არ ჩაგრავდეს,
კუდის ქიცინს არ
იწყებოდეს როგორც ძაღლი,
რომც შიოდეს სიმდიდრისთვის
არ დაბრმავდეს.
გულით წამდეს ერთგულების
ძმობის ფასი
და რას ამბობს სიტყვა
ბევრჯერ შეარჩიოს,
სულ ახსოვდეს
წუთიერი ყოფნის არსი,
რომ მოვიდა წასვლასაც
რომ შეაჩვიო.

... და პირველ რიგში ადამიანი

მეორედ მოსვლა მე ასე მჯერა,
რომ აღმოვცენდე სიბრძნის ფესვებით,
ახლა მომავალის სამოსელს ვკერავ.
არ მიხმარია სიტყვის ნემსები.
არ დავაყვედრი მათ რაც შევქმენი,
ის სამომავლო სახლის კედელი,
არც გავთამამდე სხვისი შექებით,
თუნდ მეპატრონე ვიყო ედემის.
თუ შხამს შევურევ იმ ჩემს მომავალს,
ჩავთვლი მაშინ რომ არც მიცხოვრია,
სიტყვის ნიაღვრად თუკი წამოვალ,
თუ სიძულვილით ვიწყებ ბორიალიას.
მაშინ თვითონ ვჭრი მოსვლის იმ ტოტოებს,
თუ შხამ- ბალღამით გული ივსება,
თუ ჩემს სიკეთეს მე თვითონ ვკორტნი,
ჩემით დავმარხავ თვითონ ღირსებას.
მე უნდა ვიყო სიკეთის ქვევრი,
პირამდე სავსე გრძნობის ფიალით,
ყველას დედა და ოჯახის წევრი
და პირველ რიგში ადამიანი.

უცხო მდინარე

გავდა,,ძირულას" უფერო წყალი,
მივუალერსე მორბენალ თევზებს,
გულს ეუცხოვა ის მიწა წყალი
თუ, მე ვეძებდი უბრალოდ მიზეზს.
მეჩვენებიდა საკმაოდ მკაცრი,
იქნებ არც იყო ეჭვები მღრნიდა,
ფიქრით გავავსე თევზებით ვარცლი,
გედიც ნაპირზე გამოღიღინდა.
რეალობაში ასე არ იყო,
არ მიმიკრა წყალმა საერთოდ,
მინდოდა ჩემი გამოდგარიყო
და დარდიანი გული გამერთო.
აგვისტოს თვეში სიცივის სუსხმა,
შემაჟორჟალა, ზურგი ვაქციე,
კალმახებმა და ბომბორა ზუთხმა,
წყალი პირიდან გადმოაქციეს.
მათ არ ეამათ უცხო სტუმარი
და შორს გამართეს ლამაზი სცენა,
გამოვტრიალდი როგორც უბარი,
მეც არ მესმოდა თევზების ენა!

რამ გამაკვიროს

რამ გამაკვიროს თბილისის პატრონს,
საფრანგეთშიაც ვხედავდი მცხეთას,
თუმცა კეთილ კვალს აქაც კი დავტოვ
წერილსაც დავდებ ერთ ლამაზ ხესთან.

ქართულად ნაწერს ქართველი ნახავს,
წაიკითხავს და კიდეც იტირებს,
ტკივილს და დარდებს იქვე დამარხავს
ნოსტალგიას კი გამოიტირებს.

მხოლოდ სიმშვიდე მაოცებს ქუჩის,
ხალხი დუმს ვითარც წყალში თევზები,
ყურს არ ჩამესმის სიტყვები ურჩის,
მიკვირს ქალაქო რატომ მბეზრდები.???

ვსუნთქავდე ჰაერს არ შემიძლია,
დედაენის ჰიმნს რომ არ მღერიან,
ეს რაც აქავარ არ შემიგრძვნია,
თუნდაც უბრალოდ მინამღერია.

სულთან გასაუბრება

შემოზაფხულდი სიცოცხლედ ბეჟან,
ყინვამ დაიწყო იმ წუთში დნობა,
სიმართლისათვის ცხოვრებამ გჟეჟა,
გაგძარცვა დროის უამიდობამ.
გაავებული ქარიშხლის სუსხმა,
პოეტის სული რად არ დაინდო,
შენი ლექსები რომ იყო სულ სხვა,
ამიტომ შენს ნიჭს მახე დაუგო.
განკითხვით ძმაო არ დაგამძიმებ,
თევზივით ვდუმ და დავცურავ დარდში,
სიმშვიდის მკლავზე დაგაძინებ და ...
კვირტივით გაგშლი ლექსებით მარტში
ახალი წელი როგორ გიყვარდა,
გადაფიფქული რომ იყო მთები,
დედა ბუნება გულში გიკრავდა,
გადავარცხნილი ლამაზი თმებით.
პირველ იანვარს დაბადებული,
პირველ იანვარს გარდაიცვალე,
ქარი დაძრწოდა გაავებული,
ცაში იმიტომ გადაინაცვლე.!!!

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
Makvala Gonashvili

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი – მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator, Philologist, poetess

სამადლობელი

ვცხოვრობ უჭერო ბინაში
აგერ ეს ათი წელია,
რაც მიკარნახე, მამაო,
სულ ცრემლით დამიწერია.

ტანჯვაში ჩემო მფარველო,
ლხინშიაც დამიფარავდე,
გმადლობ, რომ არც კი მიმიშვი
ხელმწიფის მბრწყინავ კარამდე.

გმადლობ, რომ ჩემი ტანჯული
მამულის დარად მაცოცხლე,
ვმარტვილობ სიტყვით და პურით
ვით ზეციური საცოლე.

მინდობილი ვარ შენს კალთას,
ეს ლექსიც, გვედრებ, შემინდე,
განიხსნა ცხრავე კარიბჭე,
მე რომელ კარით შევიდე?

THANKFULNESS

I live in a ceilingless flat,
It has been now for ten years,
All that you told me, my father,
I wrote it while shedding tears.

My protector in suffering,
Cover me also in my delights,
Thank you for not letting me even
I approach the posh door of the ruler.

I am thankful for letting me,
To live like my poor estate,
I survive with bread and speech,
Like a heavenly bride.

I trust in your blissful hem,
Forgive me for this harsh poem,
All nine gates are opened:
Which door is mine to enter?

სიმარტოვის ლექსი

ბედმა იმდენჯერ მიმუხთლა, ღმერთო,
კვლავ სიყვარული როგორ გავბედო?
ნუთუ ამხელა დედამიწაზე
არავინაა ჩემი საბედო?

სულ შეხვედრები, სულ განშორება,
სულ მოლოდინი, ესეც ბედია,
და სიმარტოვე _ ერთგული სატრფო
ლექსებს მთავაზობს ისევ სევდიანს.

რა მელის კიდევ ჩემად იმედად?
ტრფობის სევდა თუ დედობის მადლი?
ზეცა – მანდილი, წვიმა – ნუგეში,
თუ მიწა, რაღაც ორიოდ ადლი?

ვარ წუთისოფლის დაღლილი სარძლო,
რიგნი მოდიან, მიდიან რიგნი,
გაბზარულია გული და სარკე,
დახურულია კარი და წიგნი.

A POEM OF LONELINESS.

Fate betrayed me so many times,
O my Lord, how can dare I to love again?
I wonder if, on this immense earth,
No one is there, my match, my destiny?

Just endless meetings and separations,
Constant waiting, and this is also the fate,
And this Loneliness, my only sweetheart,
It offers me poems that are bitter and sad.

What else is waiting for me, for my bad fate?
Sorrow of loss or motherhood grace?
The sky – as a veil, the rain – as comfort,
Or the land, something too little to be buried?

I am the life's weary bride,
They come in rows, they go in rows,
The mirror is cracked, and my heart is cracked,
And the door and the book are also closed.

ხალხურ კილოზე

მე რომ იად მოვსულიყავ,
ცა ცვარსაც არ მაღირსებდა.
მე რომ ფიფქად მოვსულიყავ,
სხივთა ლაშქარს მომისევდა.
რა ვქნა, რად ვერ გავექეცი
ბედისწერას, ცრუს და მტანჯველს,
შენ რომ მართლა დამეძებდე,
მაშინ წამიყვანდნენ ქაჯეთს.
დავდივარ და ჩუმად ვღუი,
ეგრე ზეზეურად ვხმები,
აღარ მესმის სიყვარულის,
აღარც გაზაფხულის ხმები.
ზეცისაკენ გასაფრენი,
ვხედავ, მოჭრილი მაქვს გზები,
სიცოცხლეზე გულგამწყრალი,
სიკვდილს ველოლიავები.

Like Folk Poem

If I came there as Violet,
The sky wouldn't give me dew,
If I appeared as a snowflake,
Sun would send its scorching rays.
What if I couldn't escape,
From my fate, false and fake,
If you looked for me heartily,
They would send me to devils.
I walk lonely and quietly cry,
And I keep fading daily,
I don't hear the voice of love,
And no more sounds of spring.
I wish to fly to the sky,
But look? Someone cut my way,
And so heartbroken over my life,
I am now caressing my death.

***

ჩემი სამშობლო მაყვლის ველია,
მზის კარი ჩემი მისამართია.
გაზაფხულია და ჩემს ტყეებში
შინდის ყვითელი ცეცხლი ანთია.

ჩამოვიღვრები მალე სიმღერად,
სავსე მაქვს სული მზით და ლექსებით,
როგორც დიდი ხნის უნახავ სატრფოს,
მზეს კარს ვუღებ და ვეალერსები.

იქნებ გაგვახსენდეს

მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ მამა,
ვარსკვლავები _ დები, ძმები, აღარავის ახსოვს,
სიყვარული, თავგანწირვა, დანდობა და რწმენა,
არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.

პოლიტიკა, აი, ჩვენი თეატრი და კინო,
პოლიტიკა, აი, ჩვენი მარილი და პური,
მთავარია ჩვენი აზრი, სხვა სუყველა ცრუობს
და ბრძენკაცის რჩევასაც კი არ დავუგდოთ ყური.

მერე რა, თუ ამ ქვეყანას ჩალაც არ ახურავს,
მერე რა, თუ სითბო უნდა კერაჩამქრალ სახლებს,
გამოაკლდა ჩემს თაობას არაერთი ბიჭი,
მიემატა დღეს მუშტარი ჯიხურებს და დახლებს.

აირია ერთმანეთში რწმენა, ცოდვა, მადლი,
აგორდა და აიზვირთა ცა, მიწა და წყალი,
რა დაწყევლილ დროში ვცხოვრობთ,
ერთი დღით და ღამით.
ზოგს წარსული დაეკარგა და ზოგს მომავალი.

მესიზმრება, ზღვა ბობოქრობს, ნავზე რჩება ეშმა...
იცინის და დაუნდობლად ფეხებს აჭრის მტრედებს.
იქნებ ბინდი გადავყაროთ, იქნებ გავიღვიძოთ,
მზე რომ დედა არის ჩვენი, იქნებ გაგვახსენდეს.

***

The blackberry field is my homeland,
And my address is the entrance of the Sun.
It is spring now, and in my forests,
It shines the yellow flame of the cornel.

I'll pour down soon into the melted hymn,
My soul is filled with poems and sunshine,
Like a sweetheart long time unseen,
I open the door to the Sun, caressing it.

MAYBE WE REMEMBER IT!

We need to remember that the sun is our Mother,
The moon is our father and stars – sisters and brothers.
Love, self-sacrifice, mercy-confide, trust, and faith,
No more and no less its value, it costs just one penny.

Politics, here is our cinema and theatre,
Politics is our bread and salt, nourishment,
The main thing is our opinion; everyone else lies,
And don't even listen to a wise man's advice.

So what if this country is not even covered with straw,
So what if hearth-extinguished homes need its warmth,
My generation lost many thoroughbred youths,
Multiplying customers to counters and booths.

It mixed faith, sin, and grace, a man changed his face,
Rolled upwards and waved, raged water, sky and earth;
What a damn time we live in, for one day and night.
Some have lost their past and some future aims.

I dream the sea roars and the devil dances on the boat...
He cuts off the legs of pigeons with a merciless Laugh,
Maybe we'll throw off twilight; perhaps we'll wake up,
We may remember that the sun is our Mother.

გულნაზ ხარაიშვილი
Gulnaz Kharaishvili

მურმან გელენიძე
Murman Gelenidze

გილოცავთ!

ბატონი მურმან გელენიძე სამხატვრო აკადემიის პროფესორი და საკმაოდ აღიარებული მხატვარი 80 წლის შესახვედრად ემზადება. დარწმუნებული ვარ მის ხელში აღზრდილი სტუდენტები პირველ რიგში, ადამიანობას ეზიარებიან და მერე კი არჩეულ პროფესიას კვალიფიციურად დაეუფლებიან. ბატონი მურმანი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. როდესაც ჯუმბერ ლეჟავამ საერთაშორისი სამეცნიერო აკადემიაში წარდგინება გაუკეთა, მოგზაური აღრფრთოვანებით საუბრობდა მხატვრის პროფესიონალიზმზე და მის ადამიანურ ღირებულებებზე. მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა. ბატონი ჯუმბერის სიტყვები არ გახუნებულა, პირიქით დღითი დღე იზრდება. ბატონი მურმანის ავტორიტეტი საზოგადოების წინაშე საამაყო და მისაბაძია. თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს ბატონ მურმან გენელიძეს არაერთი სტუდენტი აღუზრდია და კვლავაც ბევრს აღზრდის მაღალი კვალიფიციური იდეალიზმებით.

დღეისთვის მხატვრის მეტი წილი ნახატები შედევრებად ითვლება.

CONGRATULATIONS!

Mr. Murman Genelidze, a professor at the Academy of Arts and a well-known artist, is preparing for his 80th birthday. I am sure that the students brought up in his hands, first of all, share the humanity offered by him, and then they will master the chosen profession in a qualified manner. Mr. Murman is quite a famous person. When Jumber Lezhava presented to the International Academy of Sciences, the traveller enthusiastically spoke about the artist's professionalism and human values. Fourteen years have passed since then, but Mr. Jumber's words have not faded; on the contrary, they are increasing daily. Mr. Murman's authority in society is a source of pride and a role model and imitable. Mr. Murman Genelidze, professor of the Tbilisi Art Academy, has educated many students and continues to educate many with highly qualified idealisms.

Today, most of the artist's paintings are considered masterpieces.

***

მხატვრის ხელით დახატულმა ბახმარომ,
მთაწმინდამ და ჩვენმა დედა თბილისმა,
საქართველოს ვაზი უნდა ახაროს,
შემოავლოს ქალაქს ლამაზ თილისმად.
საუკუნეს შემორჩება წალკოტი,
გორდის მთების მარადმწვანე ბუნება,
ეს არ არის მხატვრის ბოლო აკორდი,
ხელოვანი კვლავ მთებს ეჩურჩულება.
ორჯერ ოთხმოცს უნდა შეეთამაშოს,
სასმისები ჯიხვის რქებით დალიოს,
დღეს თუ ახლა ვაჟკაცურად თამადობს,
საუკუნეს გაუღიმებს ალიონს!

***

Bakhmaro, painted by the artist's hand,
mout Mtatsminda and saint Mother Tbilisi,
The vine of Georgia should plant and multiply,
To surround the city as a magic talisman.
Eden will remain for the century,
The evergreen nature of the Mount of Gordie,
And it is not the artist's final chord,
He still has his sweet talk with mountains.
He has to be played twice eighty,
To drink his toasts with horn chalice,
And if he rules and still feasts bravely,
I believe his century will smile on him.

მზიაში მზე არის ჩასახლებული

მზემ თავისი მოვალეობა შეასრულა და ჩასვლას აპირებდა. ნახევრად მილულ თვალებში შორიდან მოვარდნილმა სიკაშკაშემ თვალი მოჭრა და იძულებული იყო თვალები გაეხილა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა თავისი მსგავსი სითბოს მფრქვევი სხივი. დაინტერესდა და გაესაუბრა: ჩასვლას ვაპირებდი, თვალები იავნანას მიმღეროდა. შენმა სიკაშკაშემ გამომაფხიზლა. ვინ ხარ და საიდან მოხვედი, ჩემნაირად რომ კაშკაშებ? ეხ! რა გითხრა ჩემო კარგო. აქაური ვარ ქართველი. ქართველი? მერედა რად არ გძინავს? მე სადაც ვცხოვრობ იქ, დღე არის. აკი ამბობ ქართველი ვარო. ქართველი ვარ, ქართველი მაგრამ, სხვა ქვეყანაში ვცხოვრობ.

მზემ აათვალ-ჩაათვალიერა თავისი მსგავსი მოკაშკაშე მნათობი და გაურკვევლად ჩაილაპარაკა. ნახევრად მძინარეს საუბრის თავი აღარ ჰქონდა და ზღვის ტალღებში გაუჩინარდა. დილის ალიონზე მზეს კაშკაშა მნათობი შეეგება. მზეს გაუკვირდა, მაგრამ რადგან აღარსად ეჩქარებოდა, საუბარი გააგრძელა. სახელი შეეკითხა. მნათობმა დუმილი ამჯობინა და არაფერი

MZIA RESIDES IN THE SUN

The sun had done its duty and was about to set. But at this time, she felt some distant brightness, and it forced her to open her half-closed eyes. She looked around and saw a ray similar to her own. The sun asked the ray: I was about to go down, and my eyes were singing a lullaby to me. Your brightness woke me up. Who are you, and where did you come from to shine like me? Oh! What can I tell you, my dear? I am a Georgian. – The ray answered. Georgian? And why don't you sleep, then? It is daytime where I live. But you say that you are Georgian? I am Georgian, but I live in another country.

The sun looked at the brightening light like her, but she was half-asleep, as it was her bedtime. She no longer felt like talking and disappeared into the sea's waves.

In the early morning, the sun was surprised when another bright Sun met her. At this time, she was not in a hurry, and she continued the conversation, asking the name of her. The luminary preferred silence and did not answer at first, but after a long silence, the conversation began: I live in London, and my name is Mzia.

უპასუხა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ საუბარი დაიწყო. ლონდონში ვცხოვრობ, მზია მქვია. მიყვარს ჩემი საქართველოს ტყე და მინდვრის ყვავილები. ხშირად ფიქრს ადევნებული ხან კახეთის კუთხეს ვესტუმრები და ხან იმერეთს. ფიქრის სახლში საქართველოს ოთხივე კუთხეში ვცხოვრობ. ფიქრის საბანს წავიფარებ და სოხუმის ზღვის ნაპირებზე ისევ ისე დავსეირნობ, როგორც ბავშობაში დავდიოდი. მზეს მზიას საუბარზე ცრემლები წასკდა. ბოლოს ისევ მზიას მოუწია მზის დამშვიდება. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მზემ ასეთი დასკვნა გამოიტანა: დროებით უნდა მოშორდე შენს სამშობლოს რომ, იგრძნო მისი სიდიადე და სიყვარული.

მზემ დაინახა რომ, მზიაში სიკეთის მზე იყო ჩასახლებული და იმიტომ კაშკაშებდა!

I love my Georgian forest and field flowers. I often visit the Kakheti and sometimes Imereti, chasing my thoughts. I live in the house of dreams, and I travel in all four corners of Georgia. I usually cover myself with a blanket of thought and walk on the shores of the Sukhumi Sea again as I did in my childhood... Tears fell from the sun's eyes on the conversation... In the end, Mzia had to calm down the sun herself... After thinking for a long time, the sun came to such a conclusion: You have to leave your homeland temporarily to feel its greatness and love.

The sun saw that the virtue of goodness was settled in Mzia's soul, and that's why she was so shining!

მოგზაურობა

მოსაღამოვდა. მზემ სხივის ფარდები ლამაზად გადმოაფინა ხვანის მთებს. ოქროს ფერმა ფარდებმა ძირულის პირამდე ჩრდილის რკალში გაახვიეს მზისგან გავარვარებული ყვავილები. სხივები მდინარის ტალღებს შეეთამაშნენ და გზა ისევ საპირისპირო შეღმართისაკენ განაგრძეს. სხივებს თვალი გავაყოლე, რატომღაც მომინდა მათთან ერთად მემოგზაურა. სწრაფი ნაბიჯით დავეწიე და სხივებში გავეხვიე. ისე მიცოცავდნენ დაღლა არ ეტყობოდათ, არც ეთმანეთს ცილდებოდნენ. როგორი მეგობრობა ცოდნიათ ჩავილაპარაკე და კვალდაკვალ მივყევი. ზეციდან ჩამოსულები ჯერ დაბლა ჩამოვიდნენ, მერე ისევ ზეცისკენ მიიწევდნენ. ოცნებით ფრთები გამომესხა, მათთან ერთად რამდენი მაღლა აიწიეს მეც ავყევი. მზემ ყველა სხივი გულში ჩაიხუტა. ვიდექი მათ წინ დაუპატიჟებელი სტუმარი და ვტკბებოდი დედისა და შვილების სიმშვიდით. მზე და სხივები ძილის სახლში გაუჩინარდნენ. ცაზე შავი ფარდა დაეშვა, არაფერი აღარ ჩანდა. ვიდექი ბედშეგუებული და ნაბიჯის გადადგმას აზრი არ ჰქონდა. ვეღარც წინ მივდიოდი და ვეღარც უკან. სადღაც ჯერ ერთი შუქი აინთო, ცოტა ხანში მთელი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მე დავფრინავდი ვარკვლავთ ქვეყანაში. ყველა ვარსკვლავს სახელი ერქვა. მეტი წილი სახელი სულ ქართული იყო.

მე რადგან ქართველი ვიყავი, სხვა ეროვნების

JOURNEY TO THE STARS

It was the evening. The sun spread its rays beautifully over the mountains of Khvan. The golden-coloured curtains wrapped the sun-scorching flowers in an arc of shadow up to the edge of the Dzirula River. The rays played with the river's waves and continued their way opposite uphill. I followed the rays, and for some reason, I wanted to travel with them. I caught up with a quick step and wrapped myself in the rays. They crawled up and up; they didn't seem tired or even parted from each other. I talked to myself about what kind of friendship they knew, and I followed in their footsteps. Having come from Heaven, the rays first came down; then they moved towards Heaven again. I felt as if I had wings; the rays made me dream as far as they climbed, and I followed them. The sun embraced all the rays in her heart. I stood before them as an uninvited guest and enjoyed the peace of mother and children. The sun and rays disappeared in the house of sleep. A black curtain fell on the sky; nothing could be seen anymore. I stood despondent, adapted to fate, and there was no point in taking a step. I could neither go forward nor back. A light was lit somewhere, and the sky was soon covered with stars. I was flying on the

ვარსკვლავები წაკითხვის საშუალებას არ მაძლევდნენ. რამდენი წავიწიე წასაკითხად, ვარსკვლავები თავისივე ჩრდილით იფარავდნენ სახეს. სიმართლე გითხრათ, არც მაინცდამაინც არ ვიკლავდი მათ საალერსოდ თავს. იმდენი ჩემიანი ვნახე და ისე გავერთე მათთან, აღარც მახსოვდა ზეცაში რომ ვიყავი. იყვნენ პატარა ვარსკვლავები და დიდი ვარსკვლავები. პატარა ვარსკვლავებს ანგელოზებს უწოდებდნენ. დიდი ვარსკვლავები ეროვნული გმირები იყვნენ. ძალიან მაინტერესებდა პოეტების ნახვა. ანგელოზებთან და გმირებთან პოეტები არ იყვნენ. დავფიქრდი: ნუთუ ყველაფერი ფანტაზიაა და ადამიანის მოგონილია? სად არიან პოეტები? ვარსკვლავებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩურჩული ატეხეს. ცოდვაა, ვასწავლოთ გზა... პოეტი ძმა ყავს ზეცაში და მას დაეძებს... ძალიან შორიდან მრისხანე ხმა მოისმა. ჯერ ადრეა პოეტებთან შეხვედრა. პოეტები ღმერთის სახლში რაღაცა საკითხზე თათბირობენ. თენდება... მზის სხივებს ადევნებული მგზავრი დაბლა დაბრუნდეს. ცისკრის დილამ მაიძულა დავმორჩილებოდი და ზეციდან ჩამოვედი ცისკარელი. ერთი სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ. გმირები ვარსკვლავებად ანათებენ. ახალგაზრდები ანგელოზის ფრთებით დაფრინავენ და პოეტები ღმერთთან განაგრძობენ მარადიულ სიცოცხლეს. მხოლოდ გაითვალისწინეთ – მოეშვით შურისძიებას და ბოღმას. მტერზეც არ იფიქროთ ცუდი, თორემ...

იქვე ახლოს კუპრის ქვაბიც იდგა!

stardom. All the stars had names. Most of the names were Georgian. As I was Georgian, stars of other nationalities did not allow me to read. How long did it take for me to read? The stars covered their faces with their shadows. I didn't even try to caress them. I saw so many familiar faces and had so much fun with them that I didn't even remember being in Heaven. There were little stars and big stars. Small stars were called angels. Big stars were national heroes. I was very interested in seeing the poets. There were no poets with the angels and heroes. I wondered if everything was a fantasy and invented by man. Where are the poets? The stars looked at each other and whispered: "Let us take pity on her; let's teach her the way. Her brother is a poet, and he is in Heaven. She's looking for him..." An angry voice was heard from far away: "It is too early to meet poets. The poets are discussing some matters in the house of God. It is dawning... the passenger, chasing the sun's rays, should return."... The Dawn forced me to obey the voice, and I emerged from the sky, Ciskareli. We have some good news for you: Heroes shine like stars, young people fly with angel wings, and poets go on to eternal life with God. Just avoid revenge and evilness. Don't think wrong even about the enemy; otherwise...

A cauldron full of resin tar was boiling nearby!

გულის ბუხარი

სიყვარულისთვის გაჩენილს, სიძულვილს ნუ დამავალებ. ნუ მაიძულებ ვიყო ის რაც არ ვარ და არც არასოდეს ვიქნები. სიძულვილის მისიის შესრულებას სიკვდილი მირჩევნია. ნუ ამომადენ ყელში იმ სიტყვას, თუ ოდესმე ჩემზე თბილი სიტყვა გითქვია. დასაყვედურებული სიცოცხლეც არ მინდა. ენას სანამ ვისწავლიდი დედაჩემი სიყვარულის ზღაპრებს მიყვებოდა. როცა წამოვიზარდე ვიცოდი რომ ყველაფერს უნდა მივფერებოდი და მყვარებოდა. უნდა მყვარებოდა თვით უსულო და უმეტყველო ნივ-

FIREPLACE OF THE HEART

Do not teach me to hate others; I was born for love. Please don't force me to be something I never will be. I would rather die than carry out a mission of hatred. Please don't ask me to pay for all the words you have said about me. Before I learned the language, my mother used to tell me love stories. Growing up, I knew what I should love and care about. I should have loved even inanimate and speechless things. I learned from my mother that I

თებიც კი. დედისგან ვიცოდი რომ, ჩემი საკუთარი მინდვრის იებისა და ენძელების სურნელებით უნდა დამტკბარიყავი და სხვის ბაღში ვარდი არ უნდა მომეწყვიტა. ჰოდა გავიზარდე ისეთი როგორიც დედას უნდოდა. არ ყოფილა შემთხვევა რომ, დედაჩემს ჩემს საქციელზე გული ტკენოდა. თუმცა ძალიან ცელქი და მოძრავი ბავშვი ვიყავი. ჩემი სიცელქით არაფერს ვაშავებდი. არავის ვცემდი და არავის ვჩაგრავდი. თუ ერთი ბავშვი მეორეზე ცუდს იტყოდა და მერე ვიღაცა იმ ბავშვს ენას მიუტანდა და დავინახავდი, რომ სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა, მე ისე დავამშვიდებდი მას, რომ სიძულვილის მაგივრად ერთმანეთის მეგობრები ხდებოდნენ. მე კი ეს მიხაროდა და ამნაირი სიყვარულით ვკვებავდი გულს ბავშობიდან. როცა გავიზარდე და უკვე დედა გავხდი ჩემს სოფელში ჩხუბი მოხდა, ერთმა ახალგაზრდამ მეორეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაზარალებული ჩემი ნათესავი იყო. წამში მასთან გავჩნდი. საუბარისას ისეთ თემებს შევეხე, ისე ვამოგზაურე მიმტევებლობის ქვეყანაში რომ, გაცოფებული ნათესავს სიმშვიდე შევანაეჩუნებინე და ბოლოს კი ერთმანეთთან შევარიგე. პატივს ვცემ კანონს და სამართალს მაგრამ, პოლიციის აგენტად არასდროს გამოვდგები. სიკვდილზე მეტად მძულს ისეთი ქალბატონები ვინც ამას დამავალებს. ასეთი ცხოვრებით არასოდეს ვიცხოვრებ. მე ერთი ღარიბი პოეტი ვარ, საკუთარი მხოლოდ გული მაქვს. გულში სიყვარულის ცეცხლი მინთია. სუყვარულის ცეცხლზე გათბობა მხოლოდ კეთილ ადამიანებს შეუძლიათ. ბოროტს და ავს გული არ კარობს. თუ ვინმე ჯიუტად გათბობას მოინდომებს, თვალთ უხილავი ძალით, ძალა მემატება და ასეთ ენერგო ვამპირებს დუმილითვე ვაიძულებ უკან გაბრუნებას.

should enjoy the fragrance of the violets and snowdrops of my field and not cut a rose in someone else's garden. So, I grew up as my mother wanted. There was no occasion that my behaviour hurt my mother. However, I was a very naughty and active child. But I never did wrong with my teasing. I did not beat or oppress anyone. If one child said something wrong about another, and someone, the third would stick his tongue at that child, I would see him throw tantrums out of anger; I would have to calm down so much that instead of hating each other, they became friends. I was happy about it; it fed my heart with such love since childhood. When I grew up and became a mother, there was a fight in my village; one young man stabbed another with a cold weapon. The victim was my relative. I appeared with him in a second. During the conversation, I touched on such topics: I travelled to the land of forgiveness so that I calmed down an enraged relative and finally reconciled with each other. I respect the law and justice but will never become a police agent. I hate more than death women who ask me to do this. I will never live a life like this. I am a poor poet; I only have my pure heart, and here is a fire of love. Only kind people can warm on the love fire. There is no place there for evil and mischievous in my heart. But If someone stubbornly wants to beat me with an invisible power, my strength increases, and I force such energetic vampires to turn back with silence. I grew up with the aphorisms of "The Night in the Panther's Skin": "One who does not look for a friend is an enemy of oneself." or "Sweet words can bring a

გავიზარდე ვეფხის ტყაოსნის აფორიზმებით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია".,,გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი". იმაზე ძალიან მძულს ენის მომტანი ადამიანი, ვიდრე ჩემზე აუგის მთქმელი. თუ ჩემი მოყვარე ხარ იქვე გაეცი პასუხი. მე ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრე. ამჯერად თმებ შვერცხლილ-შეჭაღრებულს ნუ დამავალებ იმას რაც არასოდეს გამიკეთებია და არც არასოდეს გავაკეთებ. შენი მტერისთვის სათქმელი შენი დავალების გარეშეც მითქვია და ვიტყვი. რასაც არ გკადრებ, შენც ნუ მკადრებ. ქართული ენა, მდიდარია თბილი სიტყვებით. გენაცვალე, გეთაყვა, საყვარელო, გაიხარე, გამრავლდი და ასე შემდეგ... ძლიერი მამაკაცი ქალბატონებთან არასოდეს იკადრებს ბილწსიტყვაობას. დედა ქალბატონი არასოდეს არ უნდა წყევლიდეს სხვას. დამინახე, ხელში სიყვარულის თაიგული მიჭირავს და უშიშრად მივიწევ წინ. დააკვირდი ჩემს უშიშარ სახეს. ჩემი კვალის ანარეკლს სიყვარულის იერსახე დასტრიალებს. ჩემი ხელები ცისარტყელის ხელებია, ცასა და დედამიწას სიყვარულით აერთიანებს. მივდივარ წინ და უკან მომავალს გზას ვუკაფავ. რათა უეკლო გზაზე იარონ. სიყვარული უნდა დავამკვიდრო დედამიწაზე. მე ქართველი ვარ და ყველაფერი ქართული მიყვარს. ორი თვალი მაქვს და თვალთა ხედვასაც არ ვუჩივი, მადლობა უფალს. ჩემი თვალი ვარდისფერ ქართულ სამყაროში ტრიალებს. შენი თვალებით არაფერს დავინახავ. დედა თბილი უნდა იყოს როგორც შეშით აგუზგუზებული ბუხარი. ასეთი თბილი ძველებური ბუხარი ვარ მე დედა გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი).

serpent out of his deep hole full of venom". I have a person whose habit is delating, espionage, who brings someone else's uttered words toward me. If you love me, you can answer my bad wisher. I lived such a life. I am now an aged woman, and I won't do something I have never done and will never do. I have been saying what I needed to say to your enemy without your assignment, and I still do the same. What I have not deserved, could you not do it with me and the opposite? Please do not hurt me, and I will never hurt you. The Georgian language is rich in warm words: I Genacvale! (I could die instead of you!), my love, my beloved, my sweetheart, be happy, multiply and so on... A strong man never engages in profanity with women. A mother lady should never curse another. Watch at me, holding a bouquet of love in my hand and fearlessly moving forward. Look at my fearless face. My footprints reflect immense love and affection. My hands are the hands of the rainbow, uniting heaven and earth with love. I walk ahead and leave for my descendants the flawless, thornless path. I must establish love on earth. I am Georgian, and I love everything Georgian. I have two eyes, and I don't complain about my eyesight yet, thank God. My eye wanders into the pink Georgian world. I will not see anything with your eyes. A mother should be warm like a wood-burning fireplace. I am such a warm, old-fashioned fireplace. Mother Gulnazi Kharaishvili (Ciskareli)

უცნობი

როცა ვთქვი: დამთავრდა ყველაფრის რესურსი,
სამყარომ უეცრად იმედი მაჩუქა.
რას მიზამს ყინვა და ბედისწრის ნასუსხი?
ზეციდან გზავნილი ვარდისფრად გაშუქდა.

თუმცა მე ავსტრალში ცხოვრების არ მჯერა,
ხმამ მითხრა: ირწმუნე, ცისკარის მზე გაბრწყინდა,
მომავლის სამოსელს იოლად შეკერავ,
ბედს შენი წამება ძალიან მოწყინდა.

ჩამესმა: ფესვები საზრდოობს მიწიდან,
სიკეთე გაგყვება სიცოცხლის დაისშიც,
ვიღაცა უცნობმა გზა გადაგიწმინდა,
აღდგომას აღდგები, გჯეროდეს, მაისში.

მითქვია ბევრჯერ და კვლავ ვიტყვი მეორედ,
მიყვარხართ... სიყვარულს ნურავინ დამიშლით,
სიცოცხლე შვილებო, კვლავ გავიმეორე,
თუ წიგნებს არ შევქმნი, ზეცაში გამიშვით!

UNKNOWN

When I said the resource of everything was over,
The universe gave me hope immediately,
What can Destiny or Frost do to me more?
The message from Heaven was lit up in pink.

Although I don't believe in living in Astral,
A voice said to me: look up, it is your dawn sun,
You will easily sew the garment of the future,
Fate exhausted your suffering and torture.

I heard... the roots nourish from the ground,
Kindness will follow you even in life sunset,
Someone unknown cleared your way,
Believe in the resurrection on Easter, in May.

I've said it many times, and I'll repeat it:
I love you... don't let anyone break my love!
My children, I repeated my life once again,
And if I don't create books, send me to Heaven!

უფლის მსახურნი არის გმირები

ვინ იცის დედის ცრემლის წვეთებით
გამონაჟონი ჭაში ჩაგროვდა,
ოდეს გამყიდველ იუდევლებით,
წარსულის დარდი გარეჯს დარბოდა.

აქ რამდენ დედას შვილი მოუკლეს,
კლდე და მინდორი მწარედ გლოვობდა,
იმ ბილიკებზე გზას მივიკვლევ და ...
გზადაგზა ფიქრი მტერთან ომობდა.

ხმა მომაწვდინეს წყლის აჩრდილებმა...
კლდის აკლდამებში სევდის ახოა,
და საიდუმლოდ მითხრეს დილებმა,
აქ ნეოფიტეს სამოსახლოა.

დავდარდიანდი, ნუთუ მოკვდება,
ქარი იქროლებს განაპირებით,
მწამს ფენიქსივით ბერი აღსდგება,
უფლის მსახურნი არის გმირები!

SERVANTS OF THE LORD ARE HEROES.

Who knows mothers' holy teardrops,
They were melting and gathered in a well.
One time, grieving was reigning in Gareji,
Because of hostility and ruthless betrayal.

Here, mothers were losing children and
Rocks and fields around mourned bitterly,
I found my way on those paths and ...
In my mind, I, too, fought with the enemy.

The water ghosts passed voices to me,
There is a sadness field in the rocks' shrines,
And the mornings here told me secretly,
That here is Neophyte's eternal estate.

Sadness captured me: will he ever die?
Father Neophyte? Will the wind flow aside?
A monk will rise like a phoenix.
As Servants of the Lord, they are fearless.

გ ა მ ე ხ ა რ დ ა

არ გვეტყობა სახის ფერზე დარდის ნისლი,
წავითხუპნეთ მზის სხივების აჩრდილით,
ჩვენ ვაჟკაცებს ცაში შეხვდათ სახლის წილი,
ერთად იყვნენ დღის რიჟრაჟზე ამ დილით.

გამეხარდა, ო, ძალიან გამეხარდა,
უკვდავების მგზავრები რომ ვიხილე,
სიცხე იყო, ხალათები გაეხადათ,
ღმერთო ჩემო, სიხარულით ვიკივლე.

ორ პოეტ ქალს დაგვებედა ერთი ბედი,
თვალის გუბე აგვსებია ცრემლით,
უნაზესო, რწმენის წლებით დამიბერდი,
შენნაირებს დე გულნაზი შველის!

IT CHEERED ME UP.

Pain is unnoticeable on our appearance,
The shade of sunray hid our heart cuts.
Our sons had the house shares in the sky,
On this morning's trip, they were together.

I was glad... o, how glad... filled with delight,
When I saw the passengers of the immortals,
It was too hot; they had taken off their shirts,
Oh my God, how I screamed with all my heart.

Two poet mothers' fates ended in the same way.
Our eyes already dried with endless tear-shedding,
My dear one, walk to the end, and believe in faith,
Gulnazi-mom helps you withstand all your pain.

ბედის ბორანი

ბედის ბორანში ვზივარ და მივსდევ,
სხვა არჩევანი ისეც არა მაქვს,
ხან ვეკითხები: გულში რა გიდევს?
სიკვდილისთვისაც უკვე მზადა ვარ.

დუმს თევზივით და არა მპასუხობს,
დედამიწას ჰგავს ბრუნვით, საერთოდ,
იქნებ დამინდოს, აღარ დამსუსხოს,
ორომტრიალში იქნებ გაერთოს.

მზის ქვეყანაში მოვხვდი ამჯერად,
ოდნავ ვიღიმი მნათობთ სივრცეში,
იქა ვარ მაინც, თითქოს არ მჯერა,
ავდრების შემდეგ ვიწვი სიცხეში!

FERRY OF DESTINY

I sit on a ferry and follow my fate,
As another choice I don't have,
Sometimes I ask: what else should I wait for?
What more do you prepare? I am ready to die.

It doesn't answer; it is silent like a fish.
Its rotation is resembled to the Earth,
Maybe he won't hurt, will spare me,
Perhaps he'll have fun in this turmoil.

This time, I've got to the land of the sun,
I smile faintly among the stars,
It's hard to believe, but I am there,
After freezing weather burns me, the sun.

სანთლის ალივით წმინდა

ია მოსულიშვილს

მინდა გაგათბო ისე,
როგორც მზე ათბობს დილას,
გულს რაღა გადამისერს
რადგან გიწამე შვილად.
თაფლის კვერვით ტკბილო,
სანთლის ალივით წმინდა,
ჩემი სიმშვიდის ძილო,
ვარსკვლავი ამობრწყინდა.
არ დავიჯერე რადგან...
ბედით წვიმდა და თოვდა,
ახლა საღ ნერგებს ვრგავ და...
გულიც სიყვარულს მთხოვდა.
გამიაღდომე წლები,
იმედიც ჩამისახლე,
ღამით სიმშვიდით ვწვები,
ბედიც არ მირტყამს სახრეს!

PURE AS A CANDLE FLAME

I will give you my warmth,
As the sun warms a dawn,
Nothing can make me hurt,
As you are my child, now.
Sweet like a honey roll,
Pure as a candle flame,
My peaceful night's sleep,
My star, my shining day.
I didn't believe in a new fate,
Because of constant rain,
Now plant healthy seedlings,
Ready for new feelings.
You resurrected my years,
Returned to me my dreams,
I sleep peacefully at night,
And Fate stopped my whipping.

ძალზე კეთილი

(ლია ალადაშვილს)

რა უნდა გითხრა? ვთქვა თუ დავდუმდე,
ღმერთმა დაგლოცოს მართლაც ბულბულო...
დარდისკენ ლია აღარ გაბრუნდე,
შენი სიმღერით გული სულდგმულობს.
აიმზიანე დღეც და წუთებიც,
წლებიც მრავალი გადაითვალე,
შენ რომ ჩემს ლექსებს ღამეს უთევდი,
მეც ერთგულება შემოგითვალე.
მგრძნობიარე ხარ, ძალზე კეთილი,
სათუთი როგორც მინდვრის იები...
შენ მეგობრობის ხარ გაკვეთილი,
ჩემი ლექსების სულის მთიები!.

VERY KIND

(to Lia Aladashvili)

What should I tell you? Say or not to say!
God bless you forever, our nightingale...
Don't go back to sorrow, to your bored life,
Let your charming songs grant us delight.
Cheer up yourself, give sense to your time,
Brighten your day; enjoy your life.
Because of your work on my poetry,
I want to repay you with my loyalty.
You are too kind and too sensitive,
As tender as violets of the spring field...
You are an example of a true friendship,
You are the dawn star of my verse spirit.

მაინტერესებს

ფიქრებთან მშვიდად სადილს მივირთმევ,
ერთად დავლიეთ ამ დილით ჩაი,
მზე ჩასასვლელად ფეხს ძლივს მიითრევს,
მაინტერესებს საითკენ ჩადის.
მთვარესთან მიდის? იქნებდა არა,
იქნებ აქვეა ჩემს სულის ახლოს,
ნისლმაც არაფრით არ დაიდარა,
მზე სად იძინებს რომ დავინახო.
კარგახანია მაინტერესებს,
ცის მნათობების იდუმალება,
ან თუ ჩემსავით უძლებენ სტრესებს,
ჩემდენი შრომა თუ ევალებათ.
მაინტერესებს ტყეს რა ახარებს,
როცა ტაშს უკრავს ტოტის ხელებით,
ნაკადულები რატომ ხარხარებს,
ქარისგან ასე განახელები.
ბუნების ყველა დროს ვაკვირდები,
დროს ერთნაირი კაბა აცვია,
გაზაფხულს შვენის ნაზი კვირტები,
ზამთარს ფოთლები შემოსძარცვია.
მე მაშინ დამწყდა ერთად ძარღვები,
ჩრდილს რომ ეძებდა გულის ზაფხული,
ბედმა მღრნა ისე როგორც ძაღლები,
იმედს კი ვყავარ გადანახული!

I AM INTERESTED IN IT.

I am dining with my thoughts in peace,
And we had tea, too, together this morning,
The sun barely drags its feet to set,
Where does it head, and which way?
I wonder if he heads to the moon or not.
Maybe she stays here, with my orphaned soul,
And the fog neither cleared its way,
I want to see where the sun hides itself.
I've been wondering for a long time,
About the mystery of the skylights,
Or if they can withstand stress like me,
If they must work for days and nights.
I wonder what can delight the trees,
When they clap branches with applauding,
Where do springs rush, and why do they giggle?
Dashing mind lost, maddened by the winds.
I've watched this nature for many years,
Each season is dressed in its own garment,
Spring is beautified by its tender buds,
Winter is marvellous with its naked branch.
My veins were finally torn then,
When my heart's summer was searching for shade,
Fate gnawed my heart as dogs do with bones,
But I have hope still, and it will look after me.

მაინც ის მიყვარს

სხვისი სამშობლოს სილამაზე როდის მიკვირდა,
ერთგულებას კი სულ დავეძებ დასაბამიდან,
თუ სხვის მიწაზე იმედები გამოიკვირტა,
უსაქართველოდ თვით სიცოცხლეც აბა რად მინდა.

მოვეფერები ჩემი მიწის გამხმარ ბალახსაც,
სადაც სურნელი მწვანე ხავსაც შემორჩენია,
ახლა ამჟამად ყველაფერი დრომ თუ გალახა,
მაინც ის მიყვარს ამ ყვავილებს ის მირჩევნია!

MY LOVE FOR IT ENDURES, UNWAVERING!

I've never been surprised by the other land's charm,
But only loyalty is what I adore from the start,
If the hopes were bloomed on someone else's land,
Anyway, there won't be life fulfilled without Georgia.

I will caress even the dry grass of my land,
There, even green moss remains its fragrance.
Now, when time destroys everything around,
I still love my land; I prefer it to these flowers!

ხვთისმშობლის კალთა
(მზიას)

*

კალთა გფარავდეს დედაღვთისმშობლის,
ღვთიურმა ძალამ მოგაძლიეროს,
შეიგრძენ სუნი ქართული ხორბლის,
ლონდონში გული აბედნიერო.
ნოსტალგიაა შენთვის ყველა დღე,
მონატრებული ფიქრები გაკრთობს,
შორიდან გართმევ პოეტს თბილ ხელს და...
დარდს სტრიქონებით ვფანტავ და ვართობ.
დაბადების დღე მაისის თვეში
რა დამთხვევაა ჩემი და შენი,
აქ სადღეგრძელო მე ლოცვით შევსვი,.
სიყვარულით და კვლავ ნახვის თმენით.
დედაღვთსმშობელს ვაბარებ შენს თავს,
დარდი განდევნე შვილო სიცილით,
მე შენი სახით გოგონა მყავს და...
გულში სხივად რომ შემოციცინდი!

მე და სანთელი

ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, მე და სანთელი,
ერთად ვიღვიძებთ ... ერთად ვიძინებთ,
მთელი ცხოვრება ჩვენ ვართ დათმენით,
ცუდად არავის გამოვიძიებთ.
წმინდაა ფიქრი და უბოროტო,
დაუბადებელ ბავშვივით სუფთა,
გული რად უნდა გავაბოროტო,
მე სანთლის ალის ჰაერით ვსუნთქავ.
გულის წამალი სიყვარულია,
დედაშვილური ტკბილი – უბიწო,
თავზე ქარიშხალს გადაუვლია,
სულელურად და სულაც უმიზნოდ.
ნეტავ ცოტა ხანს მაცადონ ლოცვა,
მადლმა აჯობოს ბოროტთა ხროვას,
სულის სამრეკლოს გადმოგილოცავთ
და თუ წავედი ისევე მოვალ.

SAINT MARY'S BLESS
(To Mzia Lawrence)

*

Let it cover you - The Saint Mary's bless,
Let it strengthen you the power of the Lord,
To feel forever the Georgian wheat smell,
Let it make your heart happy in London.
It is nostalgia for you every day,
Longing disturbs you, fades peace away,
I shake you the poet's warm hand from afar,
I disperse your pain with lines of the verse.
My Birthday and yours in the beautiful May,
What a coincidence between you and me!
Here, I filled the toast with a prayer,
And I am looking forward to seeing you.
I entrust you to the Mother of God,
Banish your sorrow with laughter, my friend,
You are my daughter as a gift of the Lord,
You entered my heart with your sparkling ray.

CANDLE AND I

We live together, me and a candle
We sleep together and up together.
In our whole life, we are too patient,
Don't hurt or never blame anyone.
Our thoughts are holy and innocent,
Pure and sincere as an unborn child,
Why should I turn my heart embittered?
I breathe the air of the flame of a candle.
Love is the medicine of the painful heart,
Chaste and sweet like a motherly hug,
A storm passed many times over us,
And, often, in a fullish way, without reason.
May I be given some time to pray,
May grace prevail over the wicked pack,
I leave to you my soul tower...
And if I go, I will come back.

ძირულიდან ვარ

მათ რომ ეგონათ ჩამოწურეს გონის ჭურჭელი,
ისევ ავივსე ენერგიის უხვი მარაგით,
თუმცა არ დარჩათ გულის კუნთი გამოუჭმელი,
ეს ყველაფერი სათქმელადაც ჩემთვის არა
ღირს.

ძირულიდან ვარ, პოეზიით დაუშრეტელი,
შვილი ვარ, დედა, ბებია და სხვათა
დამხმარე,
ზეცის შვილი ვარ, კავშირია განუწყვეტელი,
მე ასეთი ვარ, ჩემთან ახლოს მტერსაც
ვახარებ.

არ მეშინია, სიკეთეა ჩემი აბჯარი,
ხან ვიექიმე მოვარჩინე ენით დაჭრილი,
ჩემი გენია სიძლიერის ხართან ნაჯვარი,
თუმცა სულია გაზაფხულის თეთრი აპრილი!

I AM FROM THE DZIRULA

When they thought they'd drained my brain's supply,
I have filled again with an abundant reserve of energy,
However, the muscle of the heart was not left uneaten,
All this is not worth saying to me, not even for a
message.

I am from Dzirula, and I am inextinguishable from
poetry.
I am a child, mother, grandmother and helper of others,
I am a child of heaven; the connection is unbreakable,
I am like that; I make even the enemy close to being
favourable.

I'm not afraid, as kindness is my strong armour,
Sometimes, I've healed a wounded by the evil tongue,
My genius was with the potent bull crossbreed,
However, the spirit is the white April of spring!

გულის სანთელო

არ ჩაიფერფლო გულის სანთელო,
მარტო ეული არ მიმატოვო,
ისევ მინდა რომ გამაჯამრთელო,
თოვლმა ზეციდან არ დამათოვოს.
გულს დავიბნიე ხმელი ბალახი,
დამასაჩუქრა რითაც მამაომ,
მხრებს შემოვისხი სხივის ხალათი,
შემომციცინა თბილმა საღამომ.
მონატრებულებს თვალით ვეძებდი,
ლამპიონები ცაზე აინთო,
მეფერებოდნენ ეკლის ძეძვები,
გარეჯის მადლმა გული გამითბო.
იქ, სიახლოვე ვიგრძენი ზეცის
ვარსკვლვთმრიცხველი რაღაცას წერდა,
წამით უეცრად ცოტათი შევცბი,
ვგრძნობდი რომ რწმენა გადამარჩენდა!

CANDLE OF HEART

Heart's Candle, don't burn down yourself,
Please, don't leave me in the dark, in loneliness.
Could you give me back my health?
Don't let Snowflakes make me moisten.
I fasten dry grass on my heart with a pin,
My saint father gave it to me by its hand,
I put a ray robe coat on my shoulders and
I felt the warm evening smile at me.
I was looking for my long-missed loved ones,
The lantern luminaries lit up in the sky,
Caressed me hedges with Jerusalem thorn,
And Gareji's grace was warming my heart.
There, I felt the heaven's proximity,
The star enumerator was writing something,
And it made me a little confused suddenly,
I felt hope that faith would save me!

ზეცა იწვა

*

ზეცა იწვა დედამიწის მკვლავებში
და სიწმინდის სამოსელში სუნთქავდა,
კრთოდა წამი ვარსკვლავთ ლამაზმანებში,
ღამის ქვაბი დარდებს ცაში ფუფქავდა.

თეთრ ნისლებში ჩავიკარგე ...დავნებდი,
წამწამებში მიიძინა ტკივილმა,
გალაქტიკის უსასრულო განედი,
შეაფხიზლა მნათობების ღიმილმა.

იის ფერით ირიჟრაჟა სამყარომ,
მზის სხივები კალმახებთან თამაშობს,
საფრანგეთის ჩანჩქერების ცხრა წყაროს,
იმედებით უნდა შევეთამაშო!

HEAVENS LAY IN THE ARMS OF THE EARTH

*

Heavens lay in the arms of the earth,
and it breathed the garment of purity,
I enjoyed my time among starry beauties,
The cauldron pot was boiling human sins.

I got lost in the white mists...and I obeyed,
The pain fell asleep in the eyelashes,
The infinite latitude of the galaxy,
The luminaries' smile awakened it.

The world has dawned with a violet colour,
The rays of the sun play to the trout,
I have to play with my sweet hopes
With nine springs of France's waterfalls.

რწმენაა ჩემში

*

გადაყვითლებულ წიგნის ფურცლებს გავს,
გული, რომელშიც მასალებია,
ვდუმ თევზებივით, მხოლოდ უფლის მწამს,
ფიქრი ნაზ რტოებს ემსგავსებიან.

თეთრი ღრუბლებით ცას მივაშენე,
უფაქიზესი ოცნების სახლი,
ახლა ხეივანს გავაშენებ და. ..
თავთავებივით თავს დაბლა დავხრი.

არ ვიამაყებ, არ განვდიდები,
უბრალოების ბილიკს მოვძებნი,
აღარც დარდების ზღვად ავდიდდები,
რწმენაა ჩემში ღვთით ნაბოძები!

FAITH IS IN ME

*

It's like the yellowed pages of a book
The heart is where my materials are kept.
I am silent like a fish; I only believe in the Lord,
My thoughts are like tenderest branches.

I built on the sky with white clouds
My beautiful and tenderest dream house,
Now I will build an alleyway and...
And like wheatear, I'll bow my head down.

I won't be proud; I will not boast,
I will find the path of simplicity,
I won't be raised as a sea of sorrows,
I have faith that God built in me!

ვინც გავზარდე

*. *. *

არა ევნოს ვინც გავზარდე უფალო,
არ დასაჯო ჩემზე ცუდის მთქმელიც კი...
ცის მსაჯულო, შენ ყველაზე მართალო,
გთხოვ დაინდე ჩემი გულის მკვლელიც კი.

მე ვპატიობ შეცდომებს და ანცობას,
მაჯობონ და მთა და ბარი დაიბყრონ,
ერთგულება არის კაიკაცობა,
ერთი ლუკმა ძმებმა უნდა გაიყონ.

შევეჩვიე, უბედობას, ტკივილსაც,
შევეჩვიე, დიდ თოვლიან ამიდსაც...
ბევრჯერ სუსხი მოყოლია ივლისსაც,
მაინც ცუდი არავისთვის არ მინდა!

WHO I RAISED

*

My Lord, please save all who I've raised,
Don't punish those who wish me evil.
Judge of the sky, you, the most righteous,
Please forgive even the killer of my heart.

I forgive all the kinds of mistakes and mischieve,
Let them win over the mountains and fields,
Loyalty includes an understanding of humanity,
Brothers should be able to share one bite.

I got used to unhappiness and misery,
I also got used to the heavy, snowy weather,
Many times, I face frost, even in July,
But, anyway, I want goodness for everyone!

ძირულიდან ვარ

*

მათ რომ ეგონათ ჩამოწურეს გონის ჭურჭელი,
ისევ ავივსე ენერგიის უხვი მარაგით,
თუმცა არ დარჩათ გულის კუნთი გამოუჭმელი,
ეს ყველაფერი სათქმელადაც ჩემთვის არა ღირს.

ძირულიდან ვარ, პოეზიით დაუშრეტელი,
შვილი ვარ , დედა , ბებია და სხვათა დამხმარე,
ზეცის შვილი ვარ , კავშირია განუწყვეტელი,
მე ასეთი ვარ, ჩემთან ახლოს მტერსაც ვახარებ.

არ მეშინია , სიკეთეა ჩემი აბჯარი,
ხან ვიექიმე მოვარჩინე ენით დაჭრილი,
ჩემი გენია სიძლიერის ხართან ნაჯვარი,
თუმცა სულია გაზაფხულის თეთრი აპრილი!

I AM FROM THE DZIRULA

*

When they thought they'd drained my mind vessel.
It was filled again with an abundant supply of energy,
However, the muscle of the heart was not left uneaten,
All this is, now, not worth saying and worrying to me.

I am from the roots of Dzirula, unexhausted by poetry,
I am a child, mother, grandmother and helper of others,
I am a child of heaven; the connection is unbreakable,
I am like that; I make even the enemy closer to my heart.

I'm not afraid, as kindness is my defence armour,
Sometimes, I heal by a cut tongue awed man,
My gene is crossed with the bull, the symbol of strength,
But, my spirit is gentle as the white April of spring!

მოვინათლები

(+წმინდა ნინოს სახელობის
ტაძრის წინამძღოლს,
მამა მელქისედეკ ხვედელიძეს)

*

უფალი მიმიყვანს კვლავ ტაძრის კარამდე,
,,ათინათს " დაიცავს ციური ვარსკვლავი,
დათესილ სიკეთეს სხვა რომ არ მპარავდეს,
რად უნდა გათხაროს ბოროტმა საფლავი?!
გავრბივარ, მომდევნ, ცელით და დანებით
და მაინც ყვავილებს გამოვრგავ გზადაგზა,
მომრავლდა, უფალო, კაენისთანები,
მე მადლის სათესად ყოველთვის მზადავარ.
ტაძარში მორჩილად სანთელი ავანთე,
დავლოცე, ის, ვინაც მახსენა აუგად,
ლოცვებში ყოველთვის ღამესაც გავათევ,
ვწუხვარ, რომ უძღები ბოროტ გზას გაუდგა.
იმედი მაჩუქა კეთილმა მამაომ,
ვაზის ტოტს დაესხა მტევნები სიცოცხლის...
ახალი ყლორტები ტოტებზე გამოვა,
მჯერა, რომ ეს გული დარდს ამოიცოხნის.
ამ ტაძრის სიმშვიდემ ცრემლის ზღვა დააშრო,
სხვა ფერით განათდა ღვთის რწმენის სანთლები,
სიცოცხლის იმედი არ უნდა ჩავაქრო,
სიკეთის სათესად კვლავ მოვინათლები!

I WILL BE BAPTIZED

(To the leader of the Cathedral named
after St. Nino,
Father Melkhisedek Khvedelidze)

*

My Lord will lead me to the temple door,
"Atinat" will be protected by a star of dawn,
If no one else steals the good I have sown,
Why should an evil dig a grave tomb?!
I run, and they chase me with scythes and knives,
And still, I'll plant flowers along the way,
O, Lord, the Cainites have multiplied,
But I am always ready to spread grace.
I loyally lit a candle in the temple,
Who mentioned me badly, I blessed all of them,
I will always spend the night in prayers,
I am sorry that the prodigal has taken an evil way.
When a kind father gave me hope
The vine branches blessed my new way,
Now, I nourish and grow fresh shoots,
And it will help me to defeat my heart pain.
The peace of this temple dried up the tear sea,
Differently lit up the candles of faith.
I must not extinguish the hope of existence,
I will be baptized again to sow more goodness!

საინგილოს ვარდები

ბილიკ-ბილიკ, გზის აღმართზე,
ვარდს ვეძებდი, ვერსად ვნახე,
სხვას არასდროს არ წავართმევ,
უბრალოდაც ხელს არ ვახლებ.
საინგილოს ვარდის კონა,
მე მომართვეს, ჩემი არის,
დავხედე და მომეწონა,
ვერ წამართმევს ამას ქარი.
წყალს დავუსხამ ყოველ დილით,
სურნელებას თვითონ აფრქვევს,
შორი გზა აქვს გამოვლილი,
მე მას საქართველოს ვარქმევ!

SAINGILO ROSES

From trail to trail, up the road,
I was looking for a rose...
Other's belongings I never touch,
I can't do it; it is not my nature.
But, soon, I was given a rose bunch,
From Saingilo, my soul to calm,
As I looked at it, I fell in love,
The wind can't grab it; I can't give it up.
I'll look after it, I will moisten it,
And its fragrance it will emit itself,
She has come with me from a long way,
Its name has been "Georgia" since today.

სამყაროს დედა

*

აი , სადა ვარ, აი ვინ მიყვარს,
რწმენა და სული ჩემი პოეტთა,
ქადა - ნაზუქებს სხვა კი არ მიკრავს,
პირიქით ქარმა წელში მომტეხა.

რწმენას მოვუხმე და სიყვარულმა,
უკიდეგანოდ ფრთები გაშალა,
თუმც დრომ ბოროტად შემოპარულმა,
იწოწიალა ჩემს წინ გარშემო.

ბევრჯერ გადავწყდი შრომის ბილიკზე,
რადგანაც ტვირთი ჩემზე მძიმეა,
სიკეთისათვის გამაქილიკეს,
თქვეს ესეც ერთი დიდი ვინმეა.

სიტყვა არა ვთქვი ვდუმდი მუნჯივით,
გაშლილ სუფრაზე სხვა ქეიფობდა,
დავაბიჯებდი მძიმე ხურჯინით,
მხოლოდ უფალი ჩემზე ფიქრობდა.

გთხოვ მიუტევე ცოდვილთ ცოდვები,
უფალო, მე გთხოვ, დედა -მშობელი,
უნდა შეუნდო სულელთ ბოდვები,
ჩემებია და თან ახლობლები.

ჩემი თვალები მხოლოდ მზეს ხედავს,
ღრუბელშიც მინდა თვალის სინათლე,
ვცდილობ რომ ვიყო სამყაროს დედა,
ვარსკვლავო ციდან ჩამომინათე!

MOTHER OF THE UNIVERSE

*

It is where I am; It is who I love
Faith and spirit of my poem writers,
No one looks after me, and no one cares,
On the contrary, the wind broke my waist.

I called on faith and my abundant love,
It spread its wings unboundedly wide,
Though the time that wickedly sneaked,
It keeps crawling in front of me.

I was over-exhausted on the labour path,
for the burden has always been heavy upon me,
For goodness sake, they denounced me up:
Who is she? She thinks she is an important one.

I didn't say a word; I was silent like a dumb,
Others were feasting on the open table,
I would walk with a heavy thud bag,
It seems only the Lord thought about me.

Please forgive the sinners the committed sins,
Lord, I beg you, as a mother-parent,
Please, pity the fools for their delusions,
They are all mine, and all are relatives.

My eyes only see the shining sun,
But even in the clouds, I need eyesight,
I try to be the mother of the universe
Star, beam from the sky! Shine with your light.

ფიქრის ვაგონო

ერთგულებისთვის რა დავიფიცო,
მთელი სიცოცხლე ვკაფავ ლელიანს,
წლები ეკლებში დაფაციფუცობს,
არადა შვებას ჩემგან ელიან.

გზად ავედევნე ფიქრის ვაგონებს,
დარდის კოცონებს არვინ მიქრობდა,
სხვისი ტკივილი, ისევ მაღონებს,
გული სიკეთეს მაინც ფიქრობდა.

დარდით ნაყინ მთებს ჩემით ადნობენ
სხვასთან ფრინავენ ჩემი მერცხლები,
ძლიერიაო არა მდარდობენ,
ასე რად ხდება მართლაც ვერ ვხვდები.

საქმით და სიტყვით რამდენს ვარჩენდი,
კვლავ სიძულვილი რატომ ბატონობს...
ფიქრის ვაგონო უკვე გაჩერდი,
კეთილ ხალხს უნდა მივეპატრონო!

CARRIAGE OF THOUGHT

How can I prove my loyalty to my Lord?
All my life, I've been clearing dense reeds,
Years bustle about into pricking thorns,
But people still expect relief from me.

I chased the train of thought on my way,
No one extinguished bonfires of pain.
It makes me sick of someone else's pain,
And the heart thinks of kindness again.

They relax with me first, sharing heart thoughts,
But then my swallows move under other roofs,
No one cares about me, thinking I am strong,
Why does it happen so? I wish I would know.

I've been curing them by my kind deeds,
But somehow, some evil hatred still reigns.
The carriage of thought, it's time to stop,
I have to look after magnanimous people.

გავიმარჯვებ!

ხომ არ მენდურები მოგზაურო,
ვცდილობ სიკეთისკენ გზები გავჭრა,
ბედი უკუღმართად საზღაურობს,
სახელს რადენჯერმე შემევაჭრა.

მაინც შევძელი და გავიმარჯვე,
სული ვაზეიმე ცისკრის ახლოს,
ჯერ არ გავაჩერებ ამ ჩემს მარჯვენს,
დარდი სადღაც უნდა გავასახლო.

გმადლობ ... სიცოცხლეში რომ მომანდე,
შენი სახელი და უკვდავება,
აღმართს ჩემი წლები შემოვადნე,
მაინც ბევრი რამე მედარდება.

რწმენით ავაშენებ პირამიდებს,
ძალას თვით უფალი ჩემთან დატოვს,
იქნებ ყინვები გულს გამომიდნეს,
ციდან სხივები რომ გადმოვხატო!

I WILL WIN

I hope, traveller, you aren't upset with me.
I've tried to cut paths to the virtue benefit,
Fate pays for toiling perversely,
So many times, I've stumbled upon the name.

I've still managed and got to the end,
I celebrated the soul near the dawn,
I won't stop this right of mine yet
I have to farce my pain to go.

Thank you for trusting me with your life,
Your immortality and your clear name,
I have spent my years in the uphills,
And I still worry about a lot of things.

I'll build pyramids with faith,
The Lord will strengthen me, I believe,
Maybe my heart will clear off this ice,
To draw rays from the azure sky!

ბეჟანი ხარაიშვილი
Bezhan Kharaishvili.

მდინარეზე

შენ ისევ გაღმა ფიქრებში გძინავს,
მოვალ შენს გემთან მივაბავ ბორანს,
მზერას ბადისებრ გტყორცნი და მძირავ...
დარდი თავისით ტალღებზე გორავს.
ხან ჩავფიქრდები მოვშორდე ამ წყალს,
რაღაც ფეხის ხმა სხვაგანაც ისმის,
ვერ ვეგუები უსამართლო ბრალს,
ჩემგან მოკითხვის არ ხარ შენ ღირსი.
მაგრამ არავის არ მინდა მოსვლა,
შენს გარდა... შენ ხარ ის ერთი ქალი,
ეს სიყვარული თუ ისევ მომკლავს,
შენი გულისთვის თუ მომჭრეს თავი ...
დაგედევნება სული ეული,
გზას გადაგიჭრით როგორც თოლია,
ვინ არის? გკითხავს შენი რჩეული,
შენ უპასუხებ, ღრუბლის თქორია!

გაცრეცილი ჩანთა

გაცრეცილი სკოლის ჩანთით,
სხვა გოგოც რომ შემეყაროს,
მახსენდება დრო რომ დავთქვით,
ცაცხვის ხე და სოფლის წყარო.
დაკეცილი თეთრი ბაბთით,
სხვა გოგოც რომ ჩაივლიდა,
ხელს მართმევდი თითქოს ხათრით
და ცახცახიც გაგივლიდა.
კვლავ ვიხსენებ წყაროს ჩუხჩუხს,
შენგან ნათქვამ ყოველ სიტყვას,
გახსოვს?- ტყემ რომ დაიხუჭა...
ის დღე ისევ ძალიერ მიყვარს.

ON THE RIVER

You are still sleeping beyond in deep thoughts,
I'll come and tie the ferry to your yacht,
I glanced at you: you drowned me in your net,
Grief rolls its own over the sea waves.
Sometimes, I think of getting away.
Somewhere nearby, I hear footsteps,
I wouldn't say I like the unfair blame,
You are not worthy of my caring.
But I don't want anyone to come,
Except you, as you're my only woman.
I think this love will kill me anyway,
If they cut my head off, you'll be a reason.
The orphan spirit will chase you,
It will cross your path like a seagull does,
"Who is he"? - Your loved one will ask you,
"It is a cloud drizzle", - will be your answer.

OLD BAG

And, what if another girl meets me,
With a threadbare, warn out school bag,
I remember we arranged the time
At the village spring, under a lime tree.
With her whitely ribboned hair,
If another girl was passing by us,
You were taking your hand off me,
And you calmed your trembling heart.
I still remember the gurgle of the spring,
And every word from your pinky lips.
But the most of all, I remember
Eye shut forest when we kissed each other.

1970.

წინათგრძნობა

ვიცი ჩაივლის შენს სახლთან ღელვით,
მღრიე ღელე და ჩემს კვალს წაგიშლის,
ცის ხმები მესმის შორიდან ელვის,
ჩემს ნახვას ვიღაც ისევ დაგიშლის.

დამარტოვებულს თან მოგიყვება,
აუგს ჩემსას და შენც დაიჯერებ,
მაშინვე გზები გაიყრება და . ..
ნაგლოვარ დღეებს თითქოს იფერებ.

უშენო ღამეს შევექვიტკირე,
ზეცას გამოჩნდა სხივი უჩინო,
უჩემოდ ვიცი შენც რომ ქვითინებ,
ვფიქრდები ... ჩემს ბედს როგორ ვუჩივლო?

1971

PREMONITION

I know it will pass by your house, and
Indignant, turbid stream will erase my tracks,
I hear the sounds of the sky, distant lightning:
Someone will stop you again from seeing me.

To the appropriated, it will utter you
my reproaching, and you'll believe it.
Immediately, the roads will diverge
And you seem free from your gloomy days.

Without you, I fell in love with the night,
An invisible ray appeared in the sky,
Without me, I know you also wail,
Oh, how can I appeal to my fate?

1971

***

უფალო ! შეგთხოვ, ვამხილო ისე,
მოყვასი მტრად არ გადავაქციო,
ნება-უნებურ ნაბიჯებიდან
ხვალინდელი დღით ვიყოთ აქსიოს!
***

Lord! I ask you to let me expose it so,
Not to turn my friend into my oppose,
With willy-nilly behaviour and words,
Let's be in Axios tomorrow in rapport!

მაგული კორძაია
Maguli Kordzaia

ᲠᲠᲝᲛᲢᲠᲘᲐᲚᲘ

ვერ დაიტიე ადამიანო,
შენი სიმცირე დრო-ჟამს მოჰყვება,
ცოდვებით იშვი ამ ქვეყანაზე,
დღემდე რომ გხიბლავს და გემოყვრება!
დრო რად არ გყოფნის სიხარულისთვის,
როცა შენს აკვანს უფალი არწევს,
ვწუხვარ, შეგვინდოს, თავს როგორ ავწევ,
ჩვენი სიმცირე კვლავ ლოდად აწევს.
არც საქილიკოდ, არცა ბოღმისთვის,
არც სამტროდ ვწერ რომ ახლოა ღამე...
საკუთარ სინდისს თუ არ ჩახედე,
თუ მის წინაშე არ დაივალე,
ვერ დაიჯერებ რისთვის მოგეცა,
გონი და აზრი ასე რომ "გტანჯავს"...
თუ სინდისის ხმა ჩაახშვე შენში,
დროს სულ ტყუილად სულ ფუჭად ხარჯავ.
თავზე თუ ხელი აიღე, რატომ ?!
-თქვი , ამით შენში სიკეთეს ხედავ?!
გთხოვ, ჩვენ კი არა, უფალს კი არა...
შენ თავს , ჰო, ამას ნუ გაუბედავ!

*

რომ რაც არ უნდა იყოს,
რომ ვინც არ უნდა იყოს,
შენი სამშობლო მუდამ
წმინდანთა უბე იყო!
ეს, არც გოდება არის,
არც გასაკიცხი სიტყვა,
მეჩვენება რომ გულზე
სიმართლე მჯიღებს ირტყამს!
და იმ ფიალას სავსეს,
მოთმინებას რომ ავსებს,,
სხვა რა პასუხი გავცე,
ძაღლს რატომ ვგავარ, ნაცემს...

PANDEMONIUM

You couldn't defeat your scarcity, human being,
That has been following from your arrival time,
You were born with pain and thin,
And it attracts you still and is fascinating!
Why don't you have enough time for joy,
When the Lord is rocking the cradle of yours.
I am sorry; forgive us, my Lord,
For drugging our paucity like a boulder.
Neither for mocking nor for maliciousness
I need to write how close the night is.
If you don't look into your conscience,
If you don't obey and respond to it,
You won't believe what you were given for
Your mind and thoughts suffer you so,
If you suppress the voice of conscience,
You are wasting your time, and all in vain.
If you keep giving up, rejecting yourself,
Will you see goodness in your behaviour?
Please note that it is not the Lord, not us,
But, yes, yourself... and don't you dare!

*

That no matter what,
and no matter who
your homeland has always
been the saints home!
This is neither a lament,
nor a word of reproach,
It seems to me that the truth
will crack my soul,
And to that cup full of patience,
ready to burst my heart,
What else could I answer:
Why I look like a beaten dog?

ია მოსულიშვილი
Ia Mosulishvili

* * *

ჰორიზონტს მიღმა სამყაროს ვეტრფი,
მიწის სიცხადე დუმილს მავალებს.
ვხედავ, თუ ნისლი როგორ ეშვება
და მეც მორჩილად ვხურავ დარაბებს.

ვერწყმი ოცნებით ცის სილაჟვარდეს,
ვაწყდები ნატვრით გრძნობით ქარაფებს,
უსასასრულობა როგორც მორევი,
მატრიალებს და სიღრმეს გადამცემს.

აქ, ამ მიწაზე მარტოსულობა,
კვლავ სიმუნჯეს და დუმილს მავალებს,
რადგან სიწმინდეს შეგილახავენ,
როგორც კი გახსნი გულის დარაბებს.

***

Beyond the horizon, I adore the universe,
The clarity of the land adjures me silence.
I see how the fog descends towards earth,
And I obediently close my shelter entries.

With my dreams, I merge the heavens azures,
I am facing the turbulence of feelings,
And infinity as a whirling vortex
It turns me and drags me into its depths.

Soul loneliness here on this empty land
It orders me to be silent and dumb,
Because they'll violate your sanctity,
As soon as you open the doors of your heart.

***

ოჰ, ჩემო ცაო, ღმერთო ჩემო, ჩემო ღვთაებავ!
გადმომაფინეთ წმინდა კალთა ღრუბლის ფთილებით.
რამეთუ შევძლო ყველა სიტყვის ჰანგად გარდაქმნა,
შემოგაწოდოთ ეს გულისხმა ფერად სიმებით.

ბინდისფერად დგას სევდა ფიქრის მისადგომებთან
მიხსენით მისგან, ვარსკვლავური გამოსხივებით.
დიად კოსმოსში გაჩენილი გრძნობის საუნჯე –
თვალხილულისთვის დამიწერეთ, ფრაზა-სიტყვებით.

ოჰ,ჩემო ცაო,ღმერთო ჩემო,ჩემო ღვათებავ!
ამ სამყაროში შეცნობილო, ლურჯი სიზმრებით.

***

Oh, my high heavens... my God, my Deity,
Spread out over me, the petals of clouds.
To be able to transform all the words into a melody,
And to pass my heart's voice to colourful strings.

Sadness stands dimly on the verge of thought,
Please, save me from it with your starry glow.
And the feelings barn that was created in the cosmos,
Write for me, for a mortal, in phrases and words.

Oh, my sky, my God, perfect and divine,
Perceptible in this world, with your blue dreams.

თემურ გოგსაძე
Temur Gogsadze

ი ბ ე რ თ ა მ ო დ გ მ ა

ღვთაებრივ გონის ბგერა-ათვლა ვარ!..
არა მარტოდენ ქრისტეს მცნებიდან!..
მე ისეც ჯვარცმა-აღდგომით დავალ,
სამყაროს პირველ დაბადებიდან!

კავკასის მთებზე გაბრწყინდა ნისლი!..
გვაკურთხა ღმერთმა აქ არსის მცველად!..
მთელს პლანეტაზე დაღვრილი სისხლით,
ისევ ისა ვარ, ვინც ვიყავ ძველად!...

მე, ღირსებასთან ვიყარე წილი!...
სიცოცხლეც ისევ ღმერთს მივუძღვენი!..
და, როგორც საღვთო ტაბლის ნაწილი,
გავაზიარე ცოდნა და გენი!...

ემსხვერპლა მტრების ბოროტს და ავ-ხელს,
ბევრი რამ, სხვა და,,ოქროს საწმისი"!
დრო, ღვთაებრივი, ყველაფერს ამხელს,
მე, ისე ღრმად და შორს მაქვს, საწყისი!...

ჩემს სტუმარს, ოდით, ღვთისა აქვს, ფასი!..
და დღესაც, ვცხოვრობ, ქალდევ-ქართულად!..
არ შეიძლება, შეცვალო არსი,
სტუმარი, თუნდაც, ამღერდეს მტრულად?!..

ცოდვის და მადლის ბასრი წვერიდან,
იუდაც, ქრისტეს მოსვლამდე ვცანი!..
ღალატის შუბით გაჭრილ ვენიდან,
ბევრჯერ შევღებე მიწა და ცანი!...

TEMUR GOGSADZE

IBERIANS DESCENDANTS

I am sound-counting of divine mind!..
And not only from the commandment of Christ!
I walk with the crucifixion and resurrection,
From the first birth of the immense Universe!

Fogs were shone on the Caucasus mountains,
And God blessed us as the guardian of Gist!..
All over the planet, with my blood spilt,
I am still the same as I was at first!

I, with dignity, took part in sortition,
I dedicated my life to God again!
And as a part of the divine table
I shared my knowledge and genes!

Many things were sacrificed to the evil spirits,
And amongst them was the "golden fleece,"
Divine time will display and reveal it:
So far and deep are my roots and beginning!..

My guest, sent by my Lord, has his value since!
And even today, I live as a Chalde-Georgian!
We can't change the essence of our traditions,
Even if Devil turns your guest offish-glacial!..

Even from the sharp point of grace-sin,
I recognised Juda before the coming of Christ!
From a vein pierced by a spear of treachery,
I painted the land and the sky many times!

მე გავუძელი სასტიკ მტრებთან ომს,
ცრემლით დატბორილ დედის თვალებით!...
კაცობრიობის ძირეულ გენომს,
ატყვია ჩემი ნატერფალები!...

მტკიცება დროში ჩაწყობილია...
ლეგენდაც, ფაქტიც... არ უნდა, ფიცი!
არა მარტო ის, რაც ცნობილია,
არამედ, ისიც, რაც ჯერ არ ვიცით!..

ავამეტყველე ქვა საჭრეთელით!..
შვიდ სხივთა რხევა ვქმენ-ჰარმონიად!....
მიყვარს სამყარო – სრული და მთელი,
მარადისობის პოლიფონია!..

რადგან, თავად ვარ თავისუფლება
შემომემსხვრევა, კვლავადაც, მტერი!..
მაქვს, ღვთაებრივი-ენა და ნება,
ამიტომ მქვია,, ფენიქსის ერი"!..

მკლავს აღტაცება – სამყაროს სიმთა
და სილამაზის თვალის შევლების!..
დრო, სიყვარულში გადაიტვირთა –
აღსასრულია ფარისევლების!...

იბერთა მოდგმა ღვთის აღთქმას ელის!...
ვართ-უსასრულო საგალობელი!..
მამა-ღმერთის და ყოვლის შემქმნელის –
მართლად და მართლა, მადიდებელი!...

I endured a cruel war with enemies,
Flooded by Mothers poured tears Earth!
On The main genome of humanity
My footsteps can be noticed clearly!...

The assertion is put in time and
A legend, and a fact, too... it no need proven!
Not only what is already known
But there are lots of things we still need to learn!

I made the stone with a cutter talk!..
I turned into harmony seven ray vibration.
I love the World – whole and perfect,
As Polyphony of eternity!..

Because I am freedom, myself
The enemy will crush itself, battling with me!
I have divine Language and Will,
That's why I'm called "Nation of Phenix"!..

I admire the World's marvellous strings,
And to see and feel the beauty of the Universe,
Time will soon overflow in love-adoring
And it is too near the hypocrite's end!

The Hibernian Kin's wait for God's promise!
In this Universe, we are the eternal hymn!
The praisers of Father-God and creator of all things-
The true worshipers, anticipants of ordinary bliss.

ირაკლი ნადარეიშვილი
Irakli Nadareishvili

მეეზოვე

ეჰ, მეეზოვეე, მხოლოდ შენ იცი,
როგორ ეძინა რიჟრაჟზე ქალაქს...
და შენი ცოცხი ასუფთავებდა
ღამის ცოდვათგან ამ წმინდა ალაგს.

ჰო, მეეზოვეე, მაგრად მოუსვი,
ააშრიალე ფოთოლთა გროვა
და ყვითელ ფოთლებს თან გაატანე
წუხანდელ ღამის ცრემლი და გლოვა...

რადგანაც თავი სურთ, რომ იხილონ,
სუფთა, რომელიც წუხანდელს არ ჰგავს,
მხოლოდ შენ ხედავ, მხოლოდ შენ ამჩნევ
ადამიანში დაგროვილ ნაგავს...

ჰო, მეეზოვეე, შენ მეც მჭირდები,
მინდა ეს სული ისე გახვეტო,
რომ ხვალე დილით ყველა დარდისგან
თავისუფალი გამოვეხეტო.

ჰოდა, კვლავ მინდა, ისე ვით უწინ...
სინდისის სუფთა სამოსი მეცვეს,
არ დამიღამდეს, ისეთი ცოდვით,
სინანულისგან დილით, რომ შემრცხვეს...

THE YARD KEEPER

Eh, my yard keeper, only you know
How the city slept at the daybreak,
And your broom how was cleaning off it,
This holy place from the night sins.

O, yes, gardener, continue, go on,
Make rustle up dried piles of leaves,
And send away with the yellow leaves
Last night-tears and bitter mourning.

Because of their wish to see themselves,
Clean and sincere – not like last night's,
Only you notice, only you see,
Garbage accumulated in human-being.

O, yes, yard keeper, I need you too,
I want you too, to clean my soul so,
That tomorrow morning, from all sorrow,
To feel refreshed and to take a stroll.

Well, I still want to, just like before
Clean clothes of conscience, I to wear,
Not to spend the night in such a sin,
Regret it in the morning and feel ashamed.

მეც მაშინ შევცდი...

აქეთ მოდექი მეგობარო, აგერ, ამ ლოდზე...
მოირთხე ფეხი, ნუ გექნება სამარის რიდი,
მაგ ცხოვრებაში ცოცხლებს უნდა ერიდო, თორემ
მე არას გავნებ, ჩემთვის ვწევარ მკვდარივით მშვიდი.

მიამბე წვრილად ეგ განცდები, შიგნიდან რაც გხრავს,
ეჰ, თავის დროზე მეც შენსავით დარდით ვიარე,
ვგრძნობ დაკარგულით დაგიკარგავს სულის სიმშვიდე,
ჰოდა, ვით ცოცხალს გამენდე და გამიზიარე...

რად ჩამოგტირის აგრე სახე, უცნობო მგზავრო?!
არ ღირდეს, იქნებ, დანაკარგი ტანჯვად და გვემად,
მეც მაშინ შევცდი, როცა "ჩემი" დავარქვი საგნებს
და სულიერთაც ვიხსენებდი, ოდესღაც, ჩემად.

ჰოდა, შენც ცდები, თუკი რამე გგონია შენი,
ან მოკვდავთაგან, თუნდაც ერთი რომ შენთვის გაჩნდა,
აგერ, შემხედე, რაც ჩემია, მაყრია გულზე,
არადა, ერთ დროს, ყველა,,ჩემი" იარად მაჩნდა...

ყველას ტკივილი მტკიოდა და სინდისი მწვავდა.
ახლა კი რა ვარ?! მხოლოდ ტირე ორ თარიღს შორის...
ჰო, მეც ოდესღაც სიყვარულის შენსავით მწამდა,
და მინდობილი მეც ვლაღობდი მოკვდავთა შორის.

ცხოვრება ველს ჰგავს, განსაცდელის ნაღმებით სავსეს,
ვერვინ გაივლის, ერთზე მაინც რომ არ აფეთქდეს
და ყველა ნაღმი გულზე გვამჩნევს თავის იარას
ჰო, ვიცი ხშირად გინატრია, რომ აღარ ფეთქდეს ...

ჰოდა, გაუშვი...თავის გზაკვალს მონახავს დარდიც,
ჰოდა, გალაღდი...ეგ სიცოცხლე არა ღირს გვემად,
მეც მაშინ შევცდი, როცა საგნებს დავარქვი "ჩემი"
და სულიერთაც მივიჩნევდი რატომღაც "ჩემად".

IT WAS MISTAKE

Approach me, please, rest here, at this rock, my dear,
Come and sit near, try not to have a grave fear,
In life, you should avoid living being, otherwise,
I can't hurt you; I lie here, in dead man's peace.

Trust me, those feelings gnawing at your heart,
Eh, I was wandering with sorrow too, like you, once,
I feel your loss took from your mind the peace,
So, rely on me, please, share with me your grief.

Why are you so sorrowful, my strange passenger?!
Maybe your loss does not worth your bitter tears.
I also made a mistake when I called things to mine,
And some living beings I accepted as my soul parts.

So, if you think in this world anything is yours,
Even if one of the mortals has arisen for you,
look at me, here, what is mine, it spread on my heart,
But, at one time, all cuts seemed to be mine, to be my ulcers.

The pains around buttered me, and my conscience burnt.
What am I now?! I am only a dash between two dates.
Yes, I believed in love, once, as you do now,
fulfilled with trusting I was enjoying among the mortals.

Ordeal and peril, full of the trail mines life is like a field,
Without at least one exposure, no one will pass it,
And every mine in the heart bears its at least one wound,
I know you often wish it would not have been, though.

Let it go, then! Let your grief find its way,
So, be delightful, as this life is not worth a wailing,
When I called things to mine, I also made a mistake,
And for some reason, I considered people as mine.

ირმა კეკელიძე
Irma Kekelidze

მზის სხივები ჩაქრა დიოსკურიას

(ეძღვნება 1993 წლის ოქტომბერში,
სოხუმში, 9 აპრილის სკვერში,
სეპარატისტების მიერ დახვრეტილი,
ქართველი პოეტი ქალის,
ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას)

ოქტომბერში ზღვა ლივლივებს, წყნარია,
ქვეყანას კი დარდმა ხელი დარია,
როს პოეტმა – ქალმა ულამაზესმა,
მოყვრის ტყვიით, ვაჰ რომ სული დალია.
მზის სხივები ჩაქრა დიოსკურიას,
გაეყინა სისხლი პოეტს-გულიანს,
„აპრილის" სკვერს მოედო ღრუბელი,
ლამაზ ქალს კი მოეკვეცა მუხლები.
აღარ ისმის მისი ლექსის სტროფები,
აღარ ჰყვავის ბაღში ვარდის კოკრები,
გაზაფხულზე მიმოზებიც არ ჩანან,
ლამაზ სკვერში მაგნოლიაც გამქრალა...
მისი სული ზეცას იდარდიმანდებს,
ღვინობისთვეს ვიცი აღარ იდარდებს,
როს სოხუმში კვლავ გაჩნდება ვარდები,
ლამაზ სკვერში მაგნოლიაც იხარებს!..

THE SUN'S RAYS WERE EXTINGUISHED IN DIOSCURIA

(Dedicated to the memory of Georgian poetess
Eter Samkharadze-Jghamadze,
who was shot by separatists
in October 1993, in April 9 Square, Sukhumi.

***

It was October, and the sea was so calm,
But the country was in pain, in the evil battles,
And the poem writer – a beautiful woman,
She was ruthlessly killed, emptied of blood.
The sun rays turned faded in Dioscuria,
The blood turned icy of a beloved poetess.
Clouds surrounded "the ninth April" square,
And the knees of the beautiful woman were bent.
The stanzas of her poem are no longer heard,
Rosebuds no longer bloom in the square.
Mimosas don't even appear in spring.
The white magnolia also disappeared.
Her soul will have a celebration again.
And it will be wine month again in Heaven.
When in Sukhumi, Roses still appear
And Magnolia will bloom in the April square!

თქვენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები

მავთულხლართებმა უკუნეთ ღამეს,
ვახ, რომ დიდ ლიახვს დაუგეს მახე,
და სამაჩაბლოს ლამაზი სახე,
გარიჟრაჟზედაც ვერ დავინახე.
თამარაშენი გაღმით დავტოვეთ,
მაჩაბლის სახლს ხომ თვალსაც ვერ ვავლებ,
თქვენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები,
პატარა ლიახვს ხლართები გავლეს!
მოფრინდებიან ისევ მერცხლები,
"ვახტანგის" ბაღში ვარდიც იხარებს,
კვლავ დაგეძებენ ჩემი ფიქრები,
ფრონეს ნაპირებს თავს რომ აფარებს.
მწვანეში ჩაფლულ ქემერტს და ერედვს,
გულ-მკერდზე აწევს დიდი იარა,
სამაჩაბლოში ბნელ ღამეს წყვდიადს,
კვლავ გაანათებს მზე თვალბრიალა.

როცა გარეჯში მივდივარ ბედად

მოსჩანს სიმრავლე უამრავ ფერთა,
თუმც იანვარში გავიდე ველად
და დიდ მინდვრებში უდაბნოს ვხედავ,
როცა გარეჯში მივდივარ ბედად!
ზეცაში მოსჩანს აურაცხელი,
ფრინველთა გუნდი აღუწერელი,
სევდა მიპყრობს და კვლავაც ვდუმვარ,
ბრძოლები გვიწევს ისევ ულევი.
მოგვეგებება ლუკიანე და
წმინდანთა ჯარი მოუდრეკელი,
როს ავუყვებით აღმართს ქვებიანს,
მონასტერში კი ლოცვით გველიან.
"ნათლისმცემელს" კი, კლდეში ჩაჭედილს,
დაღლა არა და არა სჩვევია,
მწამს მივადგები მე მის კარიბჭეს,
ეს მონასტერი მჯერა-ჩემია...
და წირვის შემდეგ ღამენათევი,
როს ცას ავხედავ ვარსკვლავებიანს,
ზეციდან მესმის ხმა უცნაური-
გწამდეს გარეჯი – მართლა შენია!

MY THOUGHTS ARE LOOKING FOR YOU!

The stinging barbed wires in the pitch night,
Alack! Have set a trap for the great Liakhvi,
And, that the beauty of my Samachablo,
I could not see even at early sunrise.
We left Tamarasheni beyond the wires,
At Machabli's house, I can't even glance.
My thoughts follow you; you are in my mind,
My Little Liakhvi struggled under a wire trap.
Swallows will return, build nests under roofs,
In "Vakhtang's House" roses will re-bloom...
But what can I do? How can thoughts cure,
Hiding in your search in the banks of Frone?
Qemerti, Eredvi, hidden in the green,
An incurrable pain struggles their chest,
But I believe that Samachablo's nights,
With the sun's radiance, it will shine again.

IN THE GAREJI

When I go to Gareji, on my luck,
Around me spread various colours,
If even there is a January month,
In the velvet desert, I see a mirage.
When I go to the Gareji to pray,
In the sky soar unquantifiable birds,
Sadness attacks me, as for our wealth,
We have to move and fight again.
When we follow the stony uphills,
They wait for us with their praying,
The fearless army of defiant spirits,
And prayers Chorus that Lucian leads.
Stuck in a rock, "Baptist John's temple."
It's never exhausted, never gets tired,
I believe once I'll get to its entrance,
As this monastery is genuinely mine.
And after service, feeling courageous,
I look at the sky glittered with the stars.
I hear from heaven a mysterious voice:
Believe in Gareji – it's accurate yours!

თოლიების მოლოდინი

ეძღვნება მზია ლაურენსს

ზამთარია და ზეცას ბინდი შემოჰფენია,
როს შემოდგომა მიიწურა ნისლი გვწვევია,
შენს სითბოს მაინც გულცივობა არა სჩვევია
და სილამაზე, უჭკნობელი, მაინც შენია!
ჩვენთან, შავ ზღვაზე, თოლიების დიდი ველია,
მთას ცივი ყინვის, რუხი ბინდი შემოჩვევია,
ტყეში ხის ტოტებს გადაკვრია თეთრი მანტია,
მანდ დიდ ქალაქს კი შენი სხივი შემოქარგვია!
გაზაფხულია, აპრილია, წვიმის თქეშია,
"ჰაიდ პარკს" მწვანე სიხასხასე გადაჰფენია,
ფანჯრის რაფაზე წყლის წვეთები ისევ ჩნდებიან
და ხის ტოტებზე ბეღურები შემოსხდებიან.
სულს მღელვარება "ვესტმინსტერის" თანა ხლებია,
ზაფხულია და მზის სხივები კვლავ ცას ეკვრიან,
ჭაღარა ტემზას "ჰემპსტედ ჰიტი" თავს დასდგომია,
"ბიგ ბენის" ხმა კი, ღამის ლონდონს, თავს დასტყდომია.
ჩრდილოეთის ზღვას ტემზას სისხლი შეჰმატებია,
ლონდონის ხიდზე შემოდგომა მრავალფერია,
ენგურს გაღმა კი სილაჟვარდე ცას ასწვდომია,
შავ ზღვაზე, გუნდი თოლიების, შენ მოგელიან!

SEAGULLS' WAITING

(Dedicated to Mzia Lawrence)

It is winter, and a gloomy twilight reigns in the sky,
Sorrowful clouds covered the heavens. Autumn left us.
But your warmth is unchangeable despite the frost,
And, anyway, this beauty, unfathomable, is still yours!
There is a large field of seagulls on the Black Sea with us.
The mountains are covered by silver frost and some grey dusk,
A white mantle lustres bushes and trees in the forest, and
Your shining charm embroiders a great city far away from us.
It is spring, and it is April month it is pouring rain,
And shines in London "Hyde Park" in emerald green,
Water drops appear playing on the windowsill,
And the sparrows with ruffled-up feathers perched on the trees.
It excites the soul, the magnificence of Great "Westminster",
It's summer, and the sun's rays still reach high up in the sky,
"Hampstead Heath" stands like a guard, gazing over grey Thames,
And it keeps awoken London at night with the sound of "Big Ben".
The Thames added immeasurable blood to the North Sea,
Autumn spreads its magic colours over London Bridge.
Beyond Enguri, azure reaches the sky, waves amber fields,
And a team of seagulls waits for you on the Black Sea!

ქეთო ჯომიდავა
Qeto Jomidava
(ფილოლოგი)

მამას

შუაგულ ტყეში პაწაწა ქოხი, ცამდე ასული მთები ფარებად,
მამაჩემის ხმა მქუხარე, ბოხი, ექოდ მოსული ჩემთან ზმანება,
წყაროს რაკრაკი, მგოსნის გალობა...სამოთხე იყო ჯერარნახული,
ალბათ ეს იყო ღმერთის წყალობა, თითქოს იპოვა მიწა აღქმული.
ზღაპრული ფილმი, თეთრწვერა კაცი, სავსე სიკეთით შუაგულ ტყეში.
მკვლელი ნაჯახით, სისხლით კვებილი, და აჩეხილი მოხუცის მკერდი,
ჩემს სევდიან ფიქრს ათოვს და აწვიმს,
გზას ვერ ვპოულობ უსიერ ღრეში...
ის არ მომკვდარა, სიკეთის მტერო, მას ვერ მოკლავდი,
რაც არ გეცადა,
თავს ნუ იტყუებ, არ დაიჯერო, რომ შეასრულე, გულს რაც ეწადა.
მამის ბილიკი აღარ წაშლილა, მის ნამყნობ ხეზეც იგრძნობა სითბო
და მისი ქოხიც ჯერ არ დაშლილა, უცნობი მგზავრი იქ ხელებს ითბობს.

TO MY FATHER

A small hut in the middle of the forest, mountains up to the sky as shields,
My father's voice sundering, brave, fearless echo that achieves to me,
Source-murmuring and poet's chanting, it was Paradise as if yet unseen,
As if it was the mercy of Heaven as he found the land, that had been promised him.
A fabulous movie, a white-bearded man, full of kindness living in the woods,
A murderer with an axe, fed by blood, ruthlessly mangled an older man's breast,
It snows and rains at my sad thoughts; I can’t find a way from this labyrinth,
He did not die!… Enemy of goodness, you couldn't kill him no matter what you did!
Don't deceive yourself, do not believe, that you fulfilled your cruel heart wish,
You couldn't erase my father's trace; you couldn't destroy his grafted tree,
And his hut is not yet demolished, it shelters and warms passing-by passengers.

სამშობლო მეძახის!

ვერ დავდექი ფეხზე მტკიცედ...
და მაწვალებს კითხვა: – რატომ?..
სულ დავათრევ სიზმრად ფიცრებს,
ტყე-ღრეში ვარ მარტოდმარტო!

სულ ვაშენებ სადღაც სახლებს,
უვალ ადგილს გამყავს გზები,
მაღალ სახლზე კიბეს ვაგებ...
იმდენს ვშრომობ, არ ვიღლები...

ვინ გამწირა ასე ნეტა?
ვინ მაწვალებს ასე მწარედ?
ხმამაღლა თქმას ვეღარ ვბედავ,
ვხვდები, რად ვერ გავიხარე...

ბავშვობაში სახლს ვაგებდით,
იცით,როგორ მახსოვს ის დრო?
სხვა სამყაროს კარს ვაღებდით...
ვერ ვგუობდით ბილიკს ვიწროს...

ის ბავშვობა რომ წამართვეს,
ჩემი სახლი, ჩემი კერა...
სულიერად რომ გამძარცვეს,
გულმა ვეღარ დაიმღერა...

მესმის, ვიღაც ხშირად მიხმობს...
ავიხედავ ზოგჯერ ცაში..
ზოგჯერ ყვირის,ზოგჯერ ითხოვს,
მე ვახვედრებ ხელებს გაშლილს!

გული მიგრძნობს, სულ სხვა ხმაა...
ძახილია მიწის მწარე...
ვენატრები ყრმობის კერას...
მიხმობს სახლი, ჩემი მხარე.

მე ავაგე ძმებთან ერთად...
და ავაგებ ისევ... მჯერა!
მე მამული დღესაც მიცდის...
მასაც სწამს და მასაც სჯერა!

CALLING MOTHERLAND

Why can I not stand on my own feet? -
This suffering question disturbs my peace.
I am dragging timber in my dreams,
I am fighting endlessly with forest trees.

I build houses in unknown places,
Constructing roads in the deepest forest,
Attach the highest houses staircases,
Working endlessly, but I'm tireless.

Who doomed me so and who damned,
Who could make me suffer so much?
I can not dare to admit it out loud,
I am guessing why I can't get some rest.

We were building houses steadily,
In my childhood… as I remember.
Wishing to open the other world's gate,
We tried to widen the narrow path.

My happy days were taken away,
My sweet childhood and my warm hearth.
As spiritually I was grabbed,
I could not sing anymore by heart.

I hear that somebody is calling,
Sometimes, I look above to the heavens,
There is begging, there is screaming,
I am always ready with open palms.

I follow the feelings of my heart.
It is the bitter voice of my homeland.
It calls me endlessly, the warmth of my mum,
I constantly miss my childhood yard.

I built the house with my brothers' help,
I believe that we'll rebuild it again.
My homeland is waiting for me,
It believes my return to my domain.

ხათუნა თედიაშვილი
Khatuna Tediashvili

*

მე რომ მოვკვდები, ნუ გამატანთ ცრემლსა და ტკივილს,
კუბოს მაგივრად დამიფინეთ ყვავილნი იის,
მე,რომ მოვკვდები ნუ ჩაიცმევთ შავებს. არ მინდა,
წლები ისედაც, მუქ ფერებში სულზე მაწვიმდა.
მე რომ მოვკვდები, არ გამართოთ დავი-დარაბა,
მევიოლინევ გთხოვ დაუკარ რამე ხმამაღლა.
არ გამატანოთ გზაზე წასულს ცრემლი. არ მინდა,
თეთრი ვარდები დამაყარეთ, ვითომ გაწვიმდა.

*

When I die, don't send with me tears and grieves,
Instead of a coffin, lay flowers of violets for me,
When I die, don't wear mourning black. I don't want it.
My years were already in the dark, and rain was pouring.
When I die, please, don't bustle about,
Let the Violinist play something loud.
Don't send tears with me. I don't want it.
Spread white roses on me, please, like the rain.

*

წავიდეთ ძვირფასო იქ სადაც მთებია
და ცაში ნავარდობს ამაყი არწივი,
მე სული მტკივა და მუზებიც კვდებიან,
ნესტიან ქუჩაში ვერ გავთბი,ბავშვივით.
ხო, ახლაც წვიმაა, ჩიორაც კანკალებს,
მოვგევართ ერთმანეთს, ალალი გულებით,
წავიდეთ გავფრინდეთ, ზეცაში ვარსკვლავეთს,
აქ ყოფნა ძნელია, ნატკენი სულებით.
რას მეტყვი სიახლეს, პატარა ჩიორავ
ჩემს მთაშიც აცივდა, თუ უკვე თოვლია,
ფოთლები დასცვივდა იმ შინდსაც იორთან,
თუ ისევ ქარს ებრძვის, ვით თეთრი თოლია.
ალაზანის ველებზე ფერების სიუხვემ,
ნეტავ თუ არია ის ცელქი გოგონა,
ფეხმარდი ცხენით რომ გაფრინდა ჭიუხზე
და როგორ უყვარდი, მწველად და ბობოქრად.
კვეტარზეც ჩამოდგა ნისლების სავანე,
სულივრის კოშკიდან თუ მიხმობს ოლოლი,
გავფრინდეთ ჩიორავ, დღეს თუნდაც დაღამდეს,
არ მითხრა, რომ მტოვებ შემინდე ობოლი.

*

Let's go, my darling, to the high-up mountains,
Where there a proud eagle is soaring in the sky,
Here, my soul aches, and the muses are dying,
I could not warm up in these damp streets.
Well, it's still raining; a bird is even shivering.
We are like each other; both have tender feelings,
Let's fly high up, my darling; let's mix the high stars,
It is too hard to be here with painful hearts.
What news can you tell me, my tiny bird?
Is it there just cold, or is it snow in my mountains?
I wonder if corneal-cherry lost his leaves at Iori,
Or it, like a white seagull fights with the winds.
The abundant colours in the Alazani fields,
Maybe it encouraged the playful, naughty girl,
To fly on a rapid horse over a rock summit;
And how she loved you, with her heart burning.
On Kvetera descended cloudy heaven,
It calls me an owl, as if from a spiritual tower.
Let's fly my bird today, even if it gets darker,
Don't tell, you're leaving me, feel sorry for an orphan.

* * *

ო, როგორ მომნატრებია ჩემი სახლი და კარი,
კვეტარის ძირთან მღელვარე ყაყაჩოების ჯარი,
მე ფიზიკურად შორსა ვარ, თუმცა სულით ვარ ახლოს,
ილტოს ნაპირას წარსული და ის ბავშვობა სახლობს,
ბედნიერებით აღვსილი ცხოვრება სადაც დუღდა,
ხან ანათებდა მზე და ხანდახან კიდეც ქუხდა,
ფიქრის გორაზე კისკისებს პატარა გოგო ანცი,
ხელში გვირილა უჭირავს ფურცლებს ჯიუტად აცლის,
ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ ახლა შენ უნდა მითხრა,
მაგრამ გვირილა გაჩუმდა და ასე იყო დიდხანს,
თეთრი ფურცლები ცვიოდა ვითარც ცრემლების ჯარი,
ბავშვსაც ტკიოდა დუმილი, თვალებს ხუჭავდა ჯავრით,
და მაინც ისევ გაისმის მისი კისკისი ცაცხვთან,
ნუ მემალები, გამოდი, ვეღარ გიპოვნე სად ხარ.
ჩემი ბავშვობა ისევ იქ,ფიქრის გორასთან სახლობს,
მე ფიზიკურად შორსა ვარ, სულით კი ისე ახლოს.
რომ ყოველ დილას ვიხუტებ, ჩემი კვეტარის ციხეს,
ოღონდ დაბრუნდეს ბავშვობა, მე მთელ სიცოცხლეს მივცემ.

* * *

Oh, I miss my home very much and my beautiful yard,
The swaying poppies army at the gate of Kvetera Castle,
I'm physically far away but close in spirit, there,
My happy, far, out childhood, still dwells around Ilto banks.
It is the place where my life and happiness boiled,
Sometimes the sun was shining, and sometimes it was hail.
A little, restless and naughty girl still giggles on the green hill,
Stubbornly peeling off the petals of a silvery daisy.
Does he love me, or doesn't he? You have to tell me about it.
But the daisy was silent, and it was for a long time,
White sheets were falling and spreading like tears' army,
The girl waited with patience, closing her eyes tightly.
And still, her giggles are heard there at the lime, again,
I can't find you, come out, where are you hiding from me?
And, still, my childhood lives there, by the hill of my dreams,
I am physically far away, but I'm so close in spirit.
That every morning, I hug my beloved Kvetera Castle,
To return to my childhood, I would give my whole life.

* * *

ემიგრანტობა, ეს ისეთი მძიმე ტვირთია,
შორიდან რაც ჩანს, ყველაფერი მხოლოდ მითია,
პატიმრები ვართ, თუმც გისოსი საკანს არა აქვს,
მონატრება გვკლავს, ხოდა წლები დარდით გადაგვაქვს.
ლაღები ვჩანვართ, ფოტოებზე, როცა ვიღიმით,
მაგრამ ვინ იცის, რა ფასი აქვს წუთებს ღიმილის,
ბევრი ღამე გვაქვს უძილო და ცრემლით ნათევი,
იქნებ, ამიტომ ვერც დავბრუნდეთ უკან ჯანმრთელი.
როცა წავედით, მიწა ვზიდეთ ყველამ მუჭებით,
და თუ მოვკვდებით, წავიყოლებთ ცრემლით უბეში,
ემიგრანტობა, ეს ისეთი მძიმე ტვირთია,
შორიდან რაც ჩანს, ყველაფერი მხოლოდ მითია.
სასჯელი ჩვენი სასტიკია, ვადა არა აქვს,
ბორკილგარეშე ჩვენც ეს წლები ცრემლით გადაგვაქვს,
ემიგრანტობა, როცა ჩვენით მხრებზე ვიტვირთეთ,
იქ დავიმარხეთ და აქ გვამი გამოვიტირეთ.
სახეზე ღიმილს რა ფასი აქვს, როცა დარდი გჭამს,
ზოგჯერ ისე ვართ საკუთარ ხორცს კბილებით ვიჭამთ,
მონატრება გვკლავს, ხოდა იქნებ ისე წავიდეთ,
ვეღარ დავბრუნდეთ და სხვის ცაზე სულად ავიდეთ.

* * *

Being an immigrant is a cumbersome ordeal.
All you see from far a distance is just a myth.
We are prisoners, although the cell has no lattice.
Longing kills us, and years pass with heart grief.
We look so merry in photos when we have smiles.
But who knows how much pain we hide behind it?
We have many, many sleepless and tearful nights,
That's why every second emigrant returns home ill.
When we left homes, we all carried handfuls of earth with us,
And if we die in foreign lands, it will be spread in our hearts.
It is such a heavy burden, being an immigrant,
It is all just a myth that you see from a distance.
It has no time limit, it is so cruel, our punishment,
We don't wear shackles, but we live with tears,
On the day we left our lands to become immigrants,
We left our souls at home and carried only corpses with us.
What value has a smile on your face when pain consumes you?
We often bite our flesh with our teeth.
Longing suffers us, and maybe fate develops so,
We can't return and climb to heaven through someone else's sky.

ეთერ ჭელიძე
Eter Chelidze

სანამ დრო...

მიუფიცხე სული შენი სიყვარულის კოცონს,
თორემ მალე დაზამთრდება, თორემ მალე მოთოვს,
და, გაქრება როგორც ფიფქი, ფიფქი, პირველ თოვლის,
თქმა რომ გსურდა ვეღარ იტყვი, უპირველეს ყოვლის.

ჰოდა, სანამ აფეთქდება რუხისფერი ლეგა,
უნდა შეძლო გადაცურო გრძნობის ტალღა შლეგმა,
სანამ თოთო გრძნობის მტევნებს გამოწრუპავს ქარი,
აქარიშხლე მზის კალთებზე წამი, ერთი წამი...

მიუფიცხე გული შენი სიყვარულის კოცონს,
სანამ შენში ზაფხულია, სანამ თმებში მოთოვს!!!

WHILE IT'S TIME...

Warm your soul at the Fire, at the BomFire of desire,
Or, Winter is at the gate, and snow will fall otherwise.
And it will soon disappear like the flakes of the first snow,
If you want to open your heart, you won't be able to do it at all.

Well, before it explodes, those silvered and glaucous clouds
You Must be able to swim a wave of feeling mad and too insane.
Until the whirlwind with sipping takes from clusters, all feelings
turn raging for a second on the sun hills a second.

Please warm your heart on the Fire, on the BomFire of love,
While it is summertime, while you are in love, thirst dove.

წუთი წყვეტს ყველაფერს...

ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს,
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს
ნებდები... განაჩენს უცდი...
სანამ ხარ სიკეთის ჯეჯილი,
თესო და მარგლო უნდა,
რაცა გაქვს შენი შექმნილი,
გასცე უკვალოდ თუნდაც...
იცხოვრო, ისე იცხოვრო,
ღიმილს სდიოდეს მადლი,
ერთია მხოლოდ სიმბოლო,
მიწის მტკაველა, ადლი...
სიცოცხლე შენი მოყვასს,
თავის ტოლ-სწორად სურდეს...
მტერს, უხილავს და ხილულს,
შენი სიკვდილიც შურდეს...
ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს.
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს...
ნებდები...განაჩენს უცდი!...

A MINUTE DECIDES EVERYTHING...

One minute decides everything,
Half awake and half sleeping...
You can't change a bit anything,
You surrender and keep waiting.
As long as you serve kindness,
You earn yet and then give away,
What you have heartily created
Give away without regret.
You have to live a kind life,
To pour like flood your grace,
There is only one symbol-sign,
Tiny like a dwarf of earth.
If your friend wishes you to have
everything equal to himself...
To the enemy, invisible and visible,
May be envious even your death.
One minute decides everything,
Half awake and half sleeping...
You surrender and keep waiting,
Because you can't change anything.

ნორიკო მგელაძე
Noriko Mgeladze

გვიყვარდეს და მოვეფეროთ ყველას

გავიმეტოთ თითო პეშვი სიყვარული,
განა მეტი უნდა მოყვასს ჩვენგან?
მოედება, გამრავლდება და სალბუნი
დაედება გულს უმალვე თქვენგან.
გავამრავლოთ და ვაპნიოთ სიყვარული,
ჩვენ ამისთვის მოგვავლინა ზენამ,
სულ არ არის ასე ძნელი, ასე რთული,
გვიყვარდეს და მოვეფეროთ ყველას.
ჩემი გული სიყვარულით სავსე არის,
შენც აივსე სილამაზით , ხელად,
სიყვარული გადამდები უნდა იყოს,
დაგლოცოთ და გაგამრავლოთ ღმერთმა.

LET'S LOVE AND CARESS EVERYONE.

Let's give each other a handful of love,
What could good-wishers ask more from us?
It will spread, multiply and ease your hearts,
Like ointment omnipotent, almighty balm.
Let's multiply the love and spread it around us,
We are sent here only for love in this land,
It is not hard at all; it is not so difficult,
To love each other and happiness to grant.
My heart is so packed with love and tender,
Take part in it; it doesn't matter the gender,
Love should be contagious and powerful,
May God bless you and multiply you.

გაგიფერადე ცის კაბადონი

ცას მოგიხატავ ცისარტყელებით
მზესაც დავხატავ თბილს,
შენს მოლოდინში არ დავიღლები
დიდი გრძნობა არ ღლის.
ცაზე დავხატავ ღრუბელს თეთრ ფრთიანს,
ჰაეროვანს და რბილს,
სიყვარულით ხომ გული სავსეა
იმედის შუქიც კრთის.
ცას მოგიხატავ ლამაზ ფერებით,
მინდა შეხედო მას,
ამ ცხოვრებაში ყველაზე სუფთა
გული უნდა ჰქონდეს კაცს.
გაგიფერადე ცის კაბადონი
ბევრი დავხარჯე ფერი,
სანამ დადგება აპოკალიფსი
გეცხოვროს ლამაზ წლებით.
მე დაგიხატე სურათი ნაზი,
სიყვარულით და გრძნობით,
და იდუმალი ფერების ვალსით
მზე ცისარტყელას ჰკოცნის.

I COLOURED THE SKY MARGIN FOR YOU.

I will paint the sky with rainbows
And the sun will be warm in the sky,
I can wait forever for you,
A great feeling does not tire.
I'll draw a cloud with a white wing,
Aerial and soft, misty and mystic,
When the heart is full of sincere love
The light of hope also shines.
I will embroider the sky for you,
To look at it and cheer yourself up,
In this life, the purest of all
A man must have a heart.
I painted the sky margin for you,
I used a lot of colours,
And before the apocalypse comes,
May you have beautiful times.
I painted a picture with grace,
Gentle and tenderest for you,
And with a colourful, mysterious waltz,
The sun kisses the rainbow.

მარტოდ ყოფნის სევდა

ვზივარ ოთახში, მარტო, ყავას ვსვამ...
შემოჯარულან ფიქრები მწველი,
ვით ყავის ჭიქის ფსკერი ნალექით,
ნაირგვარია ხომ კაცთა ბედი.
ფიქრში ადიხარ მწვერვალზე თითქოს,
რომ იზეიმო შედეგი შრომის
და სწორედ ამ დროს, სულ რომ არ ელი,
შემოგემსხვრევა იმედი ბროლის...
ვზივარ ოთახში, მარტო, ყავას ვსვამ
ფიქრით სად არ ვარ, კოსმოსს გარს ვუვლი,
საოცარია შეგრძნება იმის,
სამყაროს, დიდის, ხარ მოგზაური.
სად არ ვიარე, რას არ შეეხო,
ფიქრებში სული, მოხეტიალე
და საბოლოოდ, მიწევს დაშვება
ცოდვებით სავსე დედამიწაზე.
ვზივარ ოთახში, მარტო, ყავას ვსვამ.

THE SADNESS OF BEING ALONE

I drink coffee alone in the room,
Absorbed in thoughts, I burn in gloom.
Like sediment in a coffee cup,
It is different, the fate of every man.
In your mind, you climb a mount top,
To celebrate the result of your work,
And just then, when you least expect it,
Shatter and disperse your crystal hopes.
I drink coffee alone in the room,
I circle the Cosmos in my thoughts,
You feel peculiar, and it's so amazing,
You are a traveller of the great world.
Where haven't been, what he hadn't done,
In thoughts, my restless, wanderer soul.
Finally, I have to merge with the earth,
Complicated and suffering in sins.
I drink coffee alone in the room.

თინიკო აჯიაშვილს

ვზივარ და ვფიქრობ ამ ცხოვრებაზე,
ვის სად წაიყვანს ან რას შეამთხვევს,
ბავშვობის წლების მოგონებაზე
თვალებზე ცრემლი რომ არ მოგადგეს
არ შეიძლება, ეს უნდა მოხდეს,
თუ ოდნავ მაინც გული ისევ ძგერს
ანდა რა შეცვლის, რა დაგავიწყებს
სკოლას, კლასელებს, ერთგულ მეგობრებს...
ჯერ ისევ ნორჩი, ისევ პატარა
ოჯახმა სხვაგან გადაიყვანა,
სხვა ქვეყანაში, მათთვის აღთქმულში
წინაპართ ძახილს არ უღალატა...
წლები გავიდა (და თანაც ბევრი)
და უცებ დადგა ნანატრი წამიც..
ის ჩამოვიდა,კლასელი ჩვენი
ლამაზი გოგო,დიდი ნაწნავით...
შევხვდით ერთმანეთს, გულის ფანცქალით,
რაღაცა დიდის ჩვენ მოლოდინით,
უზარმაზარი სიყვარულით და
ბავშვობის წრფელი მოგონებებით...
ყველაზე მეტად, რამაც გვახარა,
ჩვენ ვსაუბრობდით ლამაზ ქართულით,
თქვენს ოჯახს სწორედ, რომ ბარაქალა,
ენას ქართულს ფლობთ დიდ სიყვარულით.
...და იყო ასე ლამაზი ერთი,
საღამო, ყველას არ მსგავსი სხვების,
გულში ვიკრავდით ერთთურთს და-ძმები,
საქართველოსი და ისრაელის.
დაე გაგრძელდეს, არ დაიკარგოს,
ეს სიყვარული ამ ორი ერის,
სული ვუბეროთ,არ დაინავლოს,
რადგან მშვიდობა უფლისგან გველის!

TO TINIKO AJIASHVILI

I think about the rules of this life,
How does the fate of human beings change?
On the memory of childhood years
If you don't sparkle nostalgic tears,
It happens, so it has to happen
If your heart remained still soft and tender,
Or what can it change? What makes forget
Your school, classmates, loyal friends...
She was still too youthful, a tiny child,
When her family moved and took the girl,
In the other country, perceived them
They could not betray the ancestor's cry...
Since then, years have passed, a lot of years,
And look, the long-awaited moment arrived.
One day, she appeared; our classmate,
A beautiful girl with a long braid...
We met each other with a brush of the heart,
We expect something vast and marvellous,
With great love and with a long longing,
With vivid, gleeful childhood memories...
And, what made us happy the most of all?
We were talking in beautiful Georgian,
Thanks to your family, be blessed by God,
You speak Georgian with great love.
And there was an evening, a beautiful one,
One different evening, not like the others,
We held each other in our hearts,
Brothers and sisters of Israel and Georgia.
Let it ever last, not to lose its way,
Two nations' love, pure and sincere,
Let's blow the soul, don't get faded,
Let beg Almighty, save this friendship.

თინათინ უზარაშვილი
Tinatin Uzarashvili

მენატრები

მენატრები, უსაშველოდ მენატრები,
ქარი არხევს გადაპენტილ ალუჩას,
სასოებით დანთებული კელაპტრები
უხმოდ ქრება, ლოდინს ბოლო არ უჩანს.
მენატრები, ფიქრს, დასერილს ტკივილებით,
ენანები ქარში დასაკარგავად,
გზა მიჩვენე, სად ვიპოვო გვირილები,
ჩანისლული სულის მოსაქარგავად...
ჰაერივით მჭირდები და მენატრები,
უხმო ლოცვად, ტკივილად ვარ ქცეული,
მენანები, დასაკარგად მენანები,
რა ამაოდ გიხმობს სული, ეული.
მენატრები, უსაშველოდ მენატრები, ირგვლივ
მხოლოდ ამღვრეული ნისლია, ჩაღვენთილან
სულის ციცქნა კელაპტრები... ეჰაა! მზე და
სიხარული სხვისია... მენატრები!!!

სინანული

რარიგ სწრაფად გაიკრიფნენ წლები,
როგორ ჩუმად მომეპარა ღამე,
როგორ მტკივა დაწყვეტილი გზები,
სინანული წვეთ-წვეთ წყდება თვალებს.
  მხოლოდ ცა და სუსხიანი ბინდი
  და სიცივით შეჭირხლული მთვარე,
  მოგონება სველ ბურანში მიდის,
  ცივი ქარი ეხეთქება კარებს.
მხოლოდ ცივი ჟრუანტელი ტანში,
მხოლოდ სველი, ნესტიანი ღამე...
კიდევ ერთი ვერცხლის სიმი თმაში
და იმედი – ეს დღეებიც წავლენ...
  როგორ ჩუმად გაიკრიფნენ წლები
  და ფინიშთან, მარტოსული ვდგავარ.
  ფერად სიზმრებს შეტრუსვიათ ფრთები...
  ღმერთო! ჩემს თავს თითქოს აღარც ვგავარ...

I MISS YOU

I'm helpless... I miss you so much.
The wind sways the over-whitened plum,
It keeps disappearing without a sound,
The candle, lit with tenderness and love.
I miss you... my thoughts being cut into pieces,
Don't want to sacrifice you to be lost in the wind,
Please show me the way where to find daisies
To embroider my soul... shrouded in mist.
I miss you so much now; I need you like air,
I've become a silent prayer of suffering pain,
I don't want to lose you; I'll regret my loss,
I call you, but my soul has been left alone.
I miss you, I miss you, I miss you so much,
It is a hopeless day, fog only all around,
My soul's tiny candles have already melted,
Eh! My Sun and my joy are someone else's now.
I miss you!!! There is no end to the wait.

REGRET

  How quickly the years have passed
  How quietly the night sneaked into my heart,
  Hurts me my roads, severed half-way,
  Regret falls drop by drop from my sad gaze.
    Only the sky and the freezing twilight
    And the cold moon, hurt by soul pains,
    The memory goes to the wet half-sleep,
    And the cold wind is ready for the gate to hit.
Just a cold shivering in my worn body,
And only a wet, damp, moist night...
Another silver thread in the hair and
I hope – these days will also pass...
    How silently the years have vanished,
    It is the end of my life, and I'm still alone,
    Colourful dreams have the wings burned.
    God! I don't look like myself anymore...

ქ-ნ. გულნაზ ხარაიშვილს
(დედასავით სათნო და საყვარელ ადამიანს)

წუთისოფლის ლაბირინთში უგზოდ მოხეტიალე,
ფესვებდამზრალ ხეთა ჩრდილში ვიშუშებდი იარებს.
მოტეხილ ფრთით, ქარიშხალში ვიფარფატე, ვიარე,
ხან ღრუბლები ვპენტე ცაში, ხან ვმწყემსავდი ნიავებს...
დიდხანს ვედექ ჯიბრში გულღრძო ბედისწერის სიავეს,
ბოლოს, დავიკარგე უგზოდ, გულიც დავიზიანე...
ასგზის იმედდამსხვრეული სევდის ვცლიდი ფიალებს,
როცა თქვენთან მომიყვანა წუთისოფლის მდინარემ.
მზედ მეჩვენა თქვენი სითბო, მტლად დაედეთ იარებს,
ჩემი სული შეაფარეთ თქვენი სულის მინარეთს...
სითბოთი და სიყვარულით სევდა გამინიავეთ,
სულის ზიარი მიწოდეთ, მუზა დამიფრთიანეთ.
კვლავ გამეხსნა ზეცის კარი, მირონგადმომდინარე...
მადლობა ღმერთს, გადმოვტოპე ჯოჯოხეთის მდინარე...
....
მადლობა,რომ გზადაღლილს და დარდით განატიალებს,
დამანახეთ - დედამიწა თურმე წაღმა ტრიალებს...

TO MS GULNAZ KHARAISHVILI
(To a virtuous and beloved person)

Wanderer without a path in the labyrinth of the being,
I used to heal my wounds in the shades of the faded trees.
I flew in the windy storms; I fluttered with broken wings,
Sometimes, I fought with clouds; sometimes, I guarded a breeze...
I competed for a long time with the cruel forces of doom,
Ultimately, I got lost without the road, and my soul hurt.
A hundred times despairing, I drank the vials of the downturn.
Before the river of destiny brought me finally here to you.
Your warmth seemed to me like the sun; you became my balm-cure,
You gave peace to my soul in the minaret of yours ...
With your love and caressing, you freshened my ill soul,
You called me the part of yours, putting wings on my sad muse.
Heaven's door was opened again, blessing me by myrrh-flow...
Thank God that I overcame the hellish, burdened river stones.
....
Thank you that me a road-weary and exhausted by bordom,
You showed me - that the earth seems to roll ahead forward.

ნინო უძილაური
Nino Udzilauri

ზღვა ირხეოდა

ზღვა იყო წყნარი და ისე მშვიდი,
თითქოს დანებდა ცა დედამიწას,
ტალღებმა მზესთან გამართეს ფლირტი
და ათამაშეს ნაპირთან მიწა.

მე კი სიმშვიდით ვუცდიდი სათქმელს,
მაგრამ სათქმელი იყო ამაო,
მწველი სხივები ფერავდა ტალღებს,
ზღვაც ირხეოდა, როგორც მარაო.

THE SEA WAS ROCKING

The sea was so smooth and so calm,
As if the heavens surrendered to the earth,
The waves started flirting with the sun
Have been caressing by the coast sand.

And I with patience waited for a message,
But all my expectations were in vain,
Burning sun-rays coloured the waves,
The sea was swaying, like a feather fan.

მლოცველი ქალი

ტაძარში ერთი ვიდოდა ქალი,
ყოველ ცისმარეს და ყოველ ჟამთა,
იდგა მუხლებზე თვით ღვთისმშობელი
და იღვრებოდა სურვილად სამთა.

ჩამოქნილ თითებს ეპყრათ სანთელი,
პირჯვარს იწერდა ხატება ხატთა,
თვალთ უბრწყინავდა შუქი ნათელი,
შარავანდედად მაცხოვრის კალთა.

ზე სიყვარული არხევდა სიმებს,
გალობდა სული და ხმები ზართა,
ახშობდა გლოვას … ზეცად კი წვიმებს,
ცრემლი სდიოდათ ამ ტაძრის კართან.

ცარიელია ალაგი ტაძრის,
ამ ერთ ცისმარეს და ლოცვის ამ ჟამს,
მუხლზე დაჩოქილ მლოცველი ქალის,
აღარ ესმოდა ჩურჩული ტაძარს.

PRAYING WOMAN

A woman was going to the temple,
At every dawn through the whole years,
She stood on her knees, like Saint Mary,
And with three wishes, she poured tears.

Holding a candle in her soft hand,
The depicted icon was crossing herself.
From her gaze sparkled pure radiance,
Covered with a halo by God's skirt hem.

Heavenly love was swaying the strings,
The soul was chanting, and the noise of bells
Was weakening grief, and in the sky
Rain was crying at the door of the temple.

And now it's empty, her usual place,
In this time of dawn and this hour of prayer,
There wasn't any more the praying woman,
And wasn't her whispering more in the temple.

დღეს ნუ დამიშლით

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
მთელი სიცოცხლე ველოდი რასაც,
თეთრი ღრუბლები ცეკვავენ როცა,
ფერი ეცვლება მიწას და ცასაც.

ბედნიერება იფრქვევა ჰანგად,
ბახუსი სიტყვის თქმასაც აპირებს,
ახლა მინდა რომ გადავთვრე მაგრად
და მივეხეთქო ტრფობის ნაპირებს.

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
სიცოცხლე მიჰქრის, მუქდება დარიც,
ნუ მაიძულებთ აქ დიდხანს მოცდას,
ვაკოცებ....მერე ვიცოცხლებ მკვდარიც.

DON'T LET ME DOWN TODAY.

Let me have today my passionate kiss,
I've been waiting all my life for it,
When white clouds dance in the heaven,
It changes the colours even of the earth.

Happiness pours out melodious rhythms,
Bacchus is trying about to speak.
I want now to drink to the end,
And to dash into love coast-verge.

Don't prevent today, my passionate kiss,
Life fades away, and it gets twilight,
Don't make me here too long to wait,
I kiss, and then it does not matter if I die.

გმირთა სულები

ისმის ჟღარუნი...
თავგანწირვის ხმა და გოდება,
ბრძოლის ყიჟინა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...
სიცოცხლის მერე,
საუკუნო გარდაცვალება,
როცა გმირებმა უკვდავება უფალს მიანდეს.

აქ ახლაც ფეთქავს
მამულისთვის მაშვრალი გული,
მიწამიყრილი რჩება შიში,
გარდაცვალება,
სამშობლოსათვის შეწირული სიცოცხლე სრული,
მარადისობას უკვდავებად ეალერსება.

ისმის ჟღარუნი...
თავგანწირვის ხმა და სიმღერა,
გმირთა სულები ცას სიმღერით მიედინება...

SOULS OF HEROES

There is a commotion.
The voices of self-sacrifice and lamentation,
A battle cry until the last breath...
And afterlife
Eternal death
When the heroes entrusted their immortality to the Heaven.

It still beats here,
An exhausted heart, dedicated to the motherland.

The fear remains buried in the ground.
Life after death.
The life sacrificed for the motherland's aim,
Salutes and caresses Eternity as Immortality.

There is a sound...
The voice and song of self-sacrifice,
The souls of the heroes flow with singing to the sky...

ლია ალადაშვილი
Lia Aladashvili

მზეო, ნათელო!

მზეო, ნათელო, მთელ სამყაროს
კვლავ მოჰფინე შენი სხივები,
ყველას მიეცი სითბო დიდი, რომ
არავის ჰქონდეს გულში შიში
ზამთრის ყინვების.

მზეო, გამოდი, რომ სამყარომ
კვლავ იბრწყინოს, არ დაიბინდოს
და მთასაც მალე აეშოროს შავი ნისლები,
კვლავაც მშვიდობას დაესადგუროს,
მუდამ გვესმოდეს ხმა სიმღერების!
ამინ!

LUMINOUS SUN!

Luminous Sun, disperse your rays,
And shine to the whole world again,
Give everyone your warmth enough and
Don't let anyone have fear in their heart
Of frosts of winter.

Sun, come out to the world with your beams,
To avoid this universe dimming once again,
And let the mountain soon become free,
Remove from them the grievous black mists.

Allow the earth to have peace again,
Then we can celebrate and happily sing.
Amen!

წვიმა

წვიმა ჩემს ბილიკს უშლის ნაკვალევს,
ქარიც ბობოქრობს ურჩი,
იმ ადამიანს ვეღარ ვენდობი,
ვინც დანა ჩამცა ზურგში,
ბევრჯერ ვეცემი, მტკივა და ვტირი,
ფიქრი გამიხდა ამაო,
ო, როგორ მინდა, სულ ერთხელ მაინც,
მქონდეს მშვიდი და ტკბილი საღამო!

THE RAIN.

The rain erases marks on my footprint,
Storms and rages the disordered wind,
I can't trust that person any more
Who stabbed me in the back once with a knife.
I fall many times, it hurts me, and I cry,
My thoughts and trying all went in vain,
Oh, how I wish, just once, and only once,
To have my evening peaceful and sweet!

უეკლოდ!

ვარდებს უეკლოდ ვერვინ დაკრიფავს,
ეს ადრეც ბევრჯერ სხვებსაც უთქვიათ,
ლექსს ვწერ ფაქიზს და სულით ნატიფარს,
რადგან ვარდები გრძნობის შუქია,
ზოგჯერ ეკლები მთელ სხეულს მოჰკვეთს,
გულის ყვავილი სხვისკენ იხრება,
ტირილი ეკლით მეც ბევრჯერ შემხვდა,
გამომადინა ნაკაწრმა სისხლი,
გაქრა იმედი და ბოლოს მივხვდი,
რომ ჩემი ვარდი გამხდარა სხვისი.
მინდვრის ყვავილი გაზრდილა ველად,
მაგრამ იმედი აღარ მაქვს მისი,
სუფთა გულით და უფლის წყალობით,
გზა გავაგრძელე უკვალავ თოვლში, ნისლში.
თუმცა დარდი მაქვს და ბევრჯერ ვღელავ,
მაინც ვამაყობ ჩემი ქალობით.

დაბრუნდი

დაბრუნდი, ხევი მოგელის
ნუ დაივიწყებ შენს მხარეს,
არასდროს არის გვიანი,
თუ შემოაღებ მთის კარებს.
ერთი ქართული სიმღერა,
მთას შესძრავს, აახმიანებს,
გაგებუტები, იცოდე,
თუ მოსვლას დააგვიანებ.

COME BACK

Come back, your ravine waits for you,
Don't forget your motherland abode,
Remember, it is never too late,
If you enter your mountains gate.

You know, one of your Georgian song
It will echo, will move the mountains,
You know I will be upset about you,
If you arrive late on the rendezvous.

WITHOUT THORNS!

No one can pick roses without thorns,
It is the rose rule, everyone knows.
I write poems - pure and refined,
Because the rose - the light of feelings.
Sometimes, thorns cut through the beloved body,
The flower of the heart bends to another one.
Thorns of roses have often hurt me,
Scratches made blood flow from a cut.
I lost hope, and finally, I realized
My rose abandoned me for someone else.
In the field, a carefree flower grows,
But I don't trust her, don't have more hope.
With a sincere heart, thanking the Lord,
I continue my way through the unmarked fog.
I have pains and worries, though,
I'm still proud of my womanhood and my road.

სულის მშვენება

გარეგნობა ფერს შეიცვლის წლების მერე,
მშვენიერ სულს ფერი არ უხუნდება,
გავა წლები ვიფარფატებ პეპელივით,
და ტკივილებს კვლავ მესვრიან გუნდებად.

ცაზე მსხდომი ვარსკვლავები მიმანიშნებს,
სული არის მნათობივით ციმციმა,
მოვილოცო სანამ დროა უფლისათვის,
მან მოიგო, ვინაც ბოლოს იცინა.

აფხაზეთო!

ვუგალობ აფხაზეთს, ცრემლიან ნარინჯებს,
როგორ უნდა ვითმინო, მიწას სხვა დააბიჯებს,
ბევრჯერ ცრემლი მდენია, ბევრჯერ გულში
დამჭრეს,
აფხაზეთი ჩემია, ხელი არვის წაგცდეთ!

მუხთალია ცხოვრება, ბატონია ბედი,
თვალზე ცრემლი გორდება, არ ღუღუნობს
მტრედი,
ვუგალობ აფხაზეთს, ცრემლიან ნარინჯებს,
როგორ უნდა ვითმინო, მიწას სხვა დააბიჯებს!

*
ვის არ უმუხთლა ცხოვრებამ,
მეც მასვა სიმწრის ფიალა,
განუზომელმა ტკივილმა,
ძალიან დამაზიანა.

ისევ უფლისა ვირწმუნე,
რწმენით დავანთე სანთელი,
ახლა დავმშვიდდი რადგანაც,
ღმერთს ვუთხარ ჩემი სათქმელი!

THE BEAUTY OF THE SOUL

Appearance will change colour after years,
But a beautiful soul can not be faded,
Years will pass, and I will flutter like a butterfly,
But pain will always be there to hurt my heart.

The stars in the sky are pointing to me,
The soul is as bright as the star flickering.
I must pray while the Lord's time comes,
The winner is the one who laughed last.

ABKHAZIA!

I sing to Abkhazia, to tearful oranges,
Others walk on my land, no more patience,
My heart is cut into pieces, and my soul cries,
Hands off from my ground! Abkhazia is mine.

Life is ruthless, and destiny is the master,
No doves cooing any more, and tears pour down.
I sing to Abkhazia, to oranges, with tears,
How long should I wait? Someone
else steps my ground!

*
Who hasn't been betrayed by life?
And I also had bitterness enough,
Immeasurable pain and unfairness,
It hurt me a lot, damaged and harmed.

I entrusted to the Lord again,
And I lit a candle with faith,
I'm relieved now it's because,
I told God what I wanted to say!

ჩვენი სამშობლო!

ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი,
სამოთხის ბაღი მგონია,
სულის სიმდიდრე აქ არის,
ყველგან იების მოლია.

აქ ხორნაბუჯის ციხეც დგას,
ქვებით ნაშენი მაგარი,
რაც შემიძლია ვპატრონობ,
ჩემთვის სამოთხე აქ არის.

იდუმალებით მოსილა,
დღევანდელობა, წარსულიც,
ვლოცულობ, დღის და ღამითაც,
თვალი არ ეცეს ავსულის.

ღვთისმშობლის ლოცვა კურთხევით,
ბევრჯერ გვქონია წყალობა,
მეც, რომ ქართველად დამბადა
და ლექსით დამაწყალობა!

ARAGVI!

მდინარის დინებას გავცქერი,
ხანაც კი დაჭრილ გულს ვუყურებ,
ღირდა კი ცხოვრება მაშინაც,
როცა გულს ფიქრებით აპურებ.

არაგვო, ამ გულს ვერ ჩასწვდები,
მიდიხარ ტალღების ღრიალით,
შეწითლდა ცრემლებით ღაწვები,
დარდის და ქარის ტრიალით.

შენ,ისე სწრაფად მიდიხარ,
მოგდევს და ვეღარ გეწევი,
ვხედავ, რომ აღარ გინდივარ,
დამლამავს ფიქრის მეწყერი!

OUR HOMELAND!

Our homeland's mountains and fields,
All are gardens of paradise, so I think,
The wealth of the soul is only here,
Here's Violets Meadows everywhere.

Here's erected Khornabuji fortress,
Built with stone, pride and grace,
I look after it as much as I can,
For me, heaven is here, around this castle.

It is shrouded in strange mystery,
Its past and even its present,
I pray day and night for it
To keep it off evil eyes.

With the bless-praying of Saint Mariam
We have had mercy many times,
Me too, as I was born a Georgian
She blessed me granting poem writing!

ARAGVI!

I look at the flow of the river,
And I think of my broken heart,
Is it worth it living even then,
If you feed yourself only with the past.

Aragvo, you can't reach my heart depth,
Because you rush with wave-roaring,
Tears turned my cheeks scarlet red,
With worries and whirling of the raging wind.

You go so fast, with rush and dash,
I'm chasing you, but I can't catch you,
You don't more like me, I see it,
A bit, and the avalanche over me triumphs.

ნანა გიგუაშვილი
Nana Giguashvili

გაფრთხილება

ჩემო სამშობლოვ, ქაოსური ჭიდილის ქარში
საბედისწერო შეცდომების საზღვართან დგახარ
და გლობალური გადარჩევის ომის ავდარში
შესაწირავად გამზადებულ ზვარაკს მოგავხარ.
არ გადაგიცდეს ეგ ნაბიჯი მყარად ნადგომი,
სულ პატარა ხარ, არ ეყოფი ლუკმად სატანას,
უფალმა მოგვცა ჩვენ ქართველებს ჩვენი სადგომი
და უნდა შევძლოთ სიტყვის რწმენით თავის გატანა!
ნუ გაბრიყვდები, ფულის პრიმატს თავზე გვახვევენ,
არ გაიყიდო! - ფული უფლით არ დადგენილა,
სხვა დრო-ჟამია, ფურცელივით გადაგვახევენ -
წარსულს, რომელიც ფენიქსივით კვლავ აღდგენილა.
ჯვარცმულის სისხლმა გადარეცხა ცოდვილი მიწა,
გულზე კლდეებად ავიმტვრიე შენი ტკივილი,
ქართველ კაცს თვისი ქართველობა რამ დაავიწყა -
ბრაზმორეული მებჯინება ყელში კივილი.
ჩემო სამშობლოვ, ქაოსური ჭიდილის ქარში
საბედისწერო შეცდომების საზღვართან დგახარ
და გლობალური გადარჩევის ომის ავდარში
შესაწირავად გამზადებულ ზვარაკს მოგავხარ

WARNING

My homeland, in a chaotic, strenuous state,
You stand at the border of fatal mistakes,
And amid a global war of the new selection,
You look like a lamb ready to sacrifice.
Don't miss that step of standing firmly so far,
You're so small, only one mouthful morsel for Satan.
The Lord gave us our place in the divine land
And we should respect with faith the Lord's utterance.
Don't be fooled, we are imposed with the money primacy,
Don't be sold out! - money is not established by right,
There is another time, and they will tear it on us like a sheet -
Our great past has risen again like a phoenix.
The blood of the Crucified washed over the sinful land,
I try to break your pain heavy like rocks on my heart,
My fellow men have forgotten the duty of the Georgians
An angry scream fills my throat; I am desperate.
My homeland, in this chaotic, strenuous state
You stand at the border of fatal mistakes
And amid a global war of selection choice
You look like a lamb ready to sacrifice.

ღირსება

ღირსებას ვერვინ ჩაგაცმევს, მისით დღითიდღე მშვენდები,
ენით და სარწმუნოებით მამულში განაშენდები,
მტერი ვერ აგყრის იარაღს, თუ ნებით არ დანებდები,
სამშობლოს სიყვარულისთვის თუ ნაცრად არ ჩანელდები.
სანამდე გულში ღმერთია, სანამ ცრემლებით ვლოცულობ,
შევუერთგულდეთ ერთმანეთს ერო, სიწმინდით მოცულო,
საყრდენად გამოსადეგო, ძმაო სიკეთით მოსულო,
იმედის გემად გამოჩნდი, იქნებ ჩვენამდეც მოცურო.
რამდენი ტანჯვა ვიგემეთ, გულს ტყვიად განატარები,
წლებმა მოისრა საწუთრო, ერი გადარჩა წვალებით,
ღირსებას ვერვინ წაგვართმევს, არს ხელარდანაკარები,
სადა გვაქვს მიწა ქართველებს სხვის საფლავს ჩასატანები?!
მამული - ჩვენი სამშობლო, ქართული გენის აკვანი,
ენა - ლაზარეს სახელით უფლის გულამდე ამყვანი,
სარწმუნოება - მართალი, ღმერთის სახელის თაყვანი,
ჩვენი გმირული წარსულის ფესვიდან ამონაყარი.
ეს არის ერთი მთლიანი, ქართველი კაცის ღირსება,
ამ ერის გადაშენება არავის არ ეღირსება!
თავად უფალმა სულებში რწმენის ტაძარი გვიშენა,
მამული, სარწმუნოება, ჩვენი ქართული - ღვთის ენა.

DIGNITY

No one can put dignity on you; your maneuvres help you in this way,
You will be raised with language, with your traditions and faith,
The enemy cannot disarm you unless it becomes your choice,
Unless you give up, turn into ashes for the love of your estate.
As long as God owns my heart and as long as I pray with tears,
Let's join together as a nation, let's cover it with holy bless,
My brother is coming as support, as a column with his kindness,
Have appeared as a hope ship; you might sail toward us.
Many sufferings we've gone through give us bullet pains,
The nation has survived struggles, years having passed away,
No one can take away dignity, as it's neither untouchable nor undefeated,
Where do we have land Georgians to put in other people's graves?!
Estate - our homeland, the cradle of the gene of Georgians,
Language - praised by Lazarus bringing us to the heaven's heart,
Have been worshipping God's name, sincere, faithful - Righteous,
Sprung from the roots of God's tribe - our heroic past.
It is one whole, the dignity and honour of the Georgian man.
This nation cannot be extinct on the face of the Earth.
The Lord himself built a temple of faith in our souls and hearts,
Manor, faith, and the language - Heaven's noble love face.

კომა

არ შეგეშინდეს მუქი ნისლის, უკვე გაწვიმდა,
ნახე, ამ ხეებს ეს ფოთლები როგორ დაცვივდა,
შემოდგომაა, მზეა მაგრამ მაინც აცივდა
და სიცივეში სიყვარულიც უცებ გაცივდა.
არ შეგეშინდეს, მერე რაა მარტო თუ დარჩი,
მზე გადარგული, ცა გახსნილი ღიმილის ფარჩით
უფალი ახლა შენთანაა და გიღებს კარებს,
იცით, მთავარი დღეს რა არის? - შენ რომ გადარჩი.

COMA

Don't be afraid of the dark fog; it's already rained,
Look how the leaves have fallen from these trees.
It's autumn, and the sun is shining, but it's still cold,
And in the cold, love suddenly can become chilled.
Don't be afraid... and then what if you stay alone,
The sun is transplanted, the sky has a kind smile,
The Lord is with you now and opens doors for you,
Do you know what is essential? - You are survived.

განახლება

ვით წიგნის ფურცლებს, ეს საღამოც გადაშლის წლებს
და ცაცხვის ხესავით გადაფურჩქნის ვარჯებს ტოტიანს
და იგრძნობ სულში როგორ ჩარჩა, როგორ გამეფდა,
უმოძრაობის ნაეტლარი მელანქოლია.
მერე კი შენი არსებობა მოგიჭერს მარწუხს,
მიხვდები, როგორ შემოგაცვდა მტკიცე ნართები,
სხვა გზა აღარ ჩანს, ვერ გაუძლებ სიცოცხლეს ნაწუხს,
დაიფერფლები ფენიქსივით, მერე აღდგები.

RESUMPTION

This evening will turn my past years, like book pages,
And like a lime tree, it will spread of leave branches,
You will feel how it stuck in your soul, how it reigned,
The melancholy has been like a motionless carriage.
And then your choking existence will haunt you,
You will understand how strong threads wore off around,
There is no other way; you won't bear your dammed life,
You will fade like a phoenix, but then you will rise again.

უსასრულობა

ატომის გულში კვლავ გუგუნებს იქსი დიადი,
ფრთხილად მივყვები ასტრალიდან ამ ფილაქანებს,
შემომხვევია უდროობის დიდი წყვდიადი,
მატრიალებს და სიბნელისკენ კვლავ მიმაქანებს.

იქ, სადაც ალბათ არ არსებობს მარადისობა,
სულის სამშვინველს კვლავ ეხშობა ორთავ კარები
და პარკუჭებში გატყორცნილი სისხლი დინდება,
წინაგულების სარქველიდან განატარები.

გამოვაღწიე და ვიხილე კაენის კვდომა,
ახლა აბელის ფესვებიდან მშვიდად მოვედი,
შეგვაძლებინე უსასრულოდ ფეხზე დადგომა
მაღალო ღმერთო, საქართველოს შველას მოველით.

INFINITY

In the heart of the atom, X-diadem still hums,
I carefully follow these paving slabs from the astral,
The scary darkness of timelessness surrounds me,
It turns me and drives me towards the darkness again.

Takes me there where may be no eternity,
And where the breathing ways in and out are blocked,
And the shoot blood flows in the ventricles,
Conducted from the atrial valve.

I got out, and I witnessed Cain's death,
Now, from Abel's roots, I peacefully come,
Almighty lord, allow us to stand on our feet forever,
We are waiting for your blessings over Georgia.

რობაიები
ROBAYS

* * *

ასე გარბიან წლები ღვიძილში,
ემიგრანტობას ბოლო არ უჩანს,
ეს მერამდენედ აყვავებულმა
დაიყვავილა კიდევ ალუჩამ,
მე კი კალენდარს აღარ ვუყურებ,
დასათვლელ დღეებს თვალი გადურჩა.

* * *

That's how the years pass in sleeplesness,
My being in emigration doesn't have its end.
It is how many spring it's flourishing
Alucha keeps blooming without me.
And I cannot look at the calendar any more,
Countable days long time are gone.

* * *

ჩაფიქრებული გზას მივყვები, მზე ჩალეულა,
შენ კი უსახურ ამბებს ყვები გულგალეულად,
მთებს შეარყევენ ეგ სიტყვები და მზის ამოსვლას,
არის თუ არა სინამდვილე ცეცხლის გარდმოსვლა.

ვერ გაარკვია ვერავინ იასამნების სურნელი,
ბევრი აღმოჩნდა ვერაგი, ავი სურვილის მსურველი,
ის დარჩა სხვისი ფეხსაგი, მე კი ყვავილზე მზრუნველი.

* * *

I follow the path thoughtfully, the sun is going to set,
And you story telling is so irksome to hear them. ri listen,
Those words will shake the mountains and prevent the sunrise,

Is the falling of fire real?
No one could detect the scent of lilacs,
Many turned out to be an evil, unwilling to wish,
He remained someone else's footstool, and I took care of the flower.

* * *

თუკი ვტირი, არ გეგონოს სუსტი ვარ,
მე ღიმილი უფრო მეტად მამშვენებს,
შენ რომ ანგრევ, მოვყვები და პირწმინდად
იმ ნანგრევებს სიყვარულით ვაშენებ.

* * *

If I cry, don't you think that I am weak,
Though a smile beautifies me more, indeed,
I follow behind the things you destroy,
And the ruins cleanly with love I build.

* * *

როგორც არ უნდა გტკიოდეს,
როგორც არ უნდა გიჭირდეს,
სულში წუხილით გციოდეს,
ბედს ორი გროში გიჭრიდეს,
არ გაბოროტდე არასდროს,
ბოლო წუთამდე ითმინე.

* * *

ვარსკვლავად გსურდა ცაზე ყოფნა?
მოხველ ბალახად.
კამკამა წყლობაც არ დაგცალდა,
იქეც ტალახად.
ვაჰმე რარიგად აირია ჩვენი ცხოვრება,
როგორ გართულდა ამ ყოფიდან სულის
ცხონება.

* * *

კარის კაკუნზე თუ არ გაგიღეს,
ანჯამებიდან ნუ აჰყრი კარებს,
თუ შენი სითბო არ გააღვივებს
მის გულში სიტყვად ჩათესილ კალებს,
თუ შენი ნახვით არ გაიხარებს,
თუ არ შემოგხვევს შენს კუთვნილ მკლავებს,
კარის კაკუნზე თუ არ გაგიღეს
ანჯამებიდან ნუ აჰყრი კარებს.

* * *

სარცხელით უნდა გაიხეხოს შენი გონება,
რომ იმ საღვინე ქვევრებივით ამოსუფთავდე,
წუთიც არაა, რა მოკლეა ჩვენი ცხოვრება,
გადარჩენილი ჩასუნთქვიდან ამოსუნთქამდე.

* * *

სულ სხვისი შურით, ბნელი გონებით
დახვალ ბოღმისგან ამორჩეული
და ვერ მიმხვდარხარ ეშმას მონებით
უცბად დაბერდი, დარჩი ეული.

* * *

No matter how much it hurts,
No matter how complex your need is,
No matter how big your worry is...
Even if your fortune asks you for two pennies,
Never be angry, manage your patience,
Wait until the last minute to make a decision.

* * *

You may like to be a star,
But you arrived like grass.
You wished to be crystal-clear water,
But you turned into disgusting mud.
Alas, how messed up lives have become.
How arduous is soul salvation from such existence?

* * *

If they don't open the door, you knock on,
Don't throw the doors off the hinges.
If your warmth does not grow lily,
Planted in your heart like a word,
If one is not happy to see you
If one doesn't wrap arms around you,
If they didn't batter about your knock,
Do not break their hinges; leave their door.

* * *

Your mind must be scoured in the filter,
To be cleansed like those wine vessels,
Life lasts not even a minute; it is too short,
It is one breath from inhalation to exhalation.

* * *

You walk with envy and hatred of others,
With a dark mind, with bogey bogus,
And don't understand that devil's slavery,
Made you old and left you alone.

* * *

ძველი ძონძივით მოისროლე სიტყვა უღირსი,
ცილისწამება, დამცირება, ლანძღვა - გინება,
რაც არ გეკუთვნის ნუ მიიღებ სხვისი წადილით
და შეიგრძენი გამარჯვების დაგვირგვინება.

* * *

წლებია ერთად მოვდივართ,
ერთი სიცოცხლით ვივსებით,
მე სიტყვა მყოფნის ლოდინად,
უფალში ვრჩები ღირსებით,
შენ კი ბოროტად აზროვნებ
სატანის ქსელურ ფიქრებით.

* * *

მარადიულნი როდი ვართ,
ერთი წამია ცხოვრება,
ის საიდანაც მოდიხარ,
კვლავ გელის სულის ცხონებად.

* * *

რატომ ვიჭრით მისთვის ვენებს,
ვინც ვერ ხვდება ვინ ვართ მართლა,
შენ მის გულში მზეს აშენებ,
ის კი ცოდვის ძაფებს ართავს.

* * *

შეურაცხყოფა ჩვევად გქცევია,
უმადურობა წესად ცნობილი,
კეთილი ბოროტს არ გაქცევია,
შებრალებია მასში ცოდვილი.

* * *

ბრაზისგან გეტყვი რომ არ მიყვარხარ,
თვალებზე ცრემლი დაგადგამს ნათელს,
ტაძარში შევალ შენი გულისთვის
და ისევ შენთვის ავანთებ სანთელს.

* * *

Throw worthless words like tattered, an old dress.
Give up defamation, humiliation, cursing-swearing,
Don't take undeserving things at others' wishing,
And feel the crown - your victory to celebrate.

* * *

We've been coming together for years.
And one life nourishes our hearts,
Your one word is enough for me to wait,
I abide in the Lord with my dignity,
But you think differently, evilly though,
Have Invaded by Satan's networked thoughts.

* * *

We are not eternal; We are guests here,
Life is instant, one second, transient,
And the place where you come from
It welcomes us again as soul salvation.

* * *

Why do we cut our veins for the humans,
Who don't understand what value we have,
You build the sun in the hearts of your loved ones,
And they spin the threads of sins without heart.

* * *

You make a habit of insulting.
You turned ingratitude, too, as your habit,
Good have not escaped from evil,
As it mercies on the sinner in it.

* * *

I tell you out of anger that I don't love you,
Tears in your eyes will make you a saint,
I will enter the temple for your sake
And I will light a candle for you again.

* * *

რა ცხოვრებაა, დაგემალე საცდურო ვერსად,
ისედაც ვიცი, შენს თვალში რომ არა ვარ არვინ,
მე უფალი მყავს ჩემი სულის უძლეველ მწყემსად,
მერე რა, თუკი შენს წინაშე დავპატარავდი.

* * *

Temptation, I couldn't hide from you myself,
I already know that I am nothing in your eyes,
I have the Lord as the invincible shepherd of my soul,
What if I shrink in front of you? I'm forced into it by my life.

* * *

ვეღარსად ვპოულობ სიმართლეს,
სამყარო გამხდარა ცბიერი,
თვალები ეძებენ სინათლეს,
წყვდიადის ქარია ძლიერი.

* * *

I can't find the truth anywhere,
This world has become too mischievous,
Eyes are searching for radiance,
It is the ruthless wind of the dark.

* * *

რად აგიჩემა ოხერმა, წყევლა ვინა თქვა კაცისა?
რად არ ეშინის უფლისგან თავზე დამტყდარი მეხების,
შენც ხომ მასავით შვილი ხარ, ამ მიწისა და ამ ცისა,
ვინ მისცა ნება შენს სულში ასე უხეშად შეხების.

* * *

Why did he choose you, that accursed man,
Why he doesn't afraid of the Lord's sunders,
You are also a child like him, of this land and sky,
Who permitted him your soul rudely to touch?

* * *

არ უკითხია ვის გამო და რის გამო სჯიდნენ,
უსამართლობას მიიჩნევდა უფალის ნებად,
უმეცრებაში გამოწყობილ უსახურ მიზნებს
მოყვებოდა და ასრულებდა უხარისხებლად.

* * *

He didn't ask for what he was being punished.
But he considered injustice to be God's will,
Faceless goals dressed up in recklessness
He followed and performed with poor quality.

* * *

ამ გაჩერებულ დროს,
ქვებით დასეტყვილ გვამებს,
სიხარულს დარდი ძმობს,
ცრემლები მივსებს თვალებს,
რა საცოდავად თმობს
სიცოცხლეს - ციდას, მტკაველს.

* * *

In this stopped halting time,
The corpses are thundered by hails,
Sorrow befriends delight,
Tears have wetted my eyes,
How pitifully Man gives up
Its life - so short and limited.

სიმართლის დრო

მე ვეღარ გავბედე, შენც არ თქვი,
სიმართლე სიბნელეს მიუჩნდა,
უსამართლობა არ გავთქვით,
მერე...სათქმელიც მიყუჩდა.

დამკვიდრდა, გამეფდა ტკივილი,
ვიღაცას უცდიან ფრთებიანს,
სიმართლის დრო დადგა კივილით,
სამშობლოს ფესვები ხმებიან.

სხეული იწყება თავიდან,
გონებას მოვთხოვოთ პასუხი,
ეს წლებიც წამივით გავიდა,
ხელთ შეგვრჩა სამშობლო ნაწუხი.

IT'S TIME FOR THE TRUTH!

I could not dare it, and you didn't say,
Truth befriended to the darkness,
We did not inform injustice in words,
Then... to be uttered, it lost its sense.

Pain established, and it started reigning,
Waiting for a leader, flying with wings,
The time of truth has come with a scream,
The roots of the motherland are ready to fade.

The body, as a rule, starts from over the head,
Therefore, we need the mind for an answer.
These years, for us, passed like a second,
Alas, we have the homeland bothered.

შთამომავალი

ჩემი სიცოცხლის გაგრძელება ხართ,
ჩემგან გასული ფესვის ნერგები,
უფალს მხურვალედ ვუხდი მადლობას,
კვლავ სიყვარულში დავინერგები.

რწმენის სისავსეს ვიღვრი ფესვებში
და მათ გულებში ქართველს ვაშენებ,
უფალს მოვუხდი ათას მადლობას,
მათით თუ ქვეყნის ბედს დავამშვენებ.

ამქვეყნად ჩემი ყოფნის მიზანი,
სავალდებულო არსის მისია,
ვიცი რომ არის ჩემი ხიზანი,
შემოქმედება თავად ღვთისია.

დამილოცე და მიხარე ღმერთო
მათი ცხოვრების გზები სავალი,
რომ ბედნიერად გამოგიზარდო
ჩემი ოჯახის შთამომავალი.

DESCENDANT

You're my descendant, my continual life,
The sprouts of root that spread out from me,
I fervently thank the Lord for my kin,
And I will spread out my roots again.

I pour the fullness of faith into my roots,
And I build a Georgian in their hearts,
I will thank my Lord myriad times
If I can beautify my country's life.

The purpose of my being in this world
The mission of mandatory essence,
I know it is a migrant of mine,
And all my creation is only God's wish.

God, bless my children and make them happy,
The paths of their lives, and their aims,
To give them courage, raise them happily,
Every descendant of my family.

იზა ჭიკაიძე
Iza Chikaidze

***

ურომლისოდაც ვერ ივარგებ ვერასდროს, ვერსად,
ეს არის რწმენა, ღირსეული სიტყვისკაცობა,
თავმდაბლობის და ძლიერების შეხმატკბილება,
სულის მხნეობა, სიმშვიდე და კაცთმოყვარება.
ალალი შრომა და სიკეთით ლელოს გატანა,
დუმილისა და სიყვარულის დასაძირკვლება,
შვილის და ძირის მადლის ცხებით დაგვირისტება,
მტრისტვის შენდობა და სამოყვროდ ხელის გაწვდენა.
ურომლისოდაც ვერ იქნები ვერასდროს ვერვინ,
გულის თვალით და ღვთის გზით თუ არ შეიმოსები,
გამარჯვებას და დამარცხებას გულდინჯი მზერით,
და გონივრული თვალთახედვით თუ არ შეხვდები.
უიღბლო დღეთა დანგრეული ცხოვრების კედლებს
ბედნიერება და იმედი წამოაშველე,
დაბნეულობა არ შეგნიშნოს არასდროს არვინ,
გაიღიმე და გულისგულიც გამოაბრწყინე!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ ეს არის გული,
მამულისა და ხალხისათვის შემოწირული!
ოქროსფერ ვარდებს მოაშორე მზაკვრობა, შური,
და არასოდეს დაივიწყო შენი წარსული!..
ურომლისოდაც ვერ ივარგებ ვერასდროს ვერსად,
ეს არის შენი ტრადიციის ტოტი და ფესვი,
ქვეყანა შენი, ოჯახი და თავისუფლება,
ერთგულება და დღეგრძელობა ერის და ბერის!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ ეს არის შენი,
მოყვარეების სავსე მუჭით მოწვდილი წყალი,
დაგლოცავ შენი მადლისფერა სიყვარულისთვის,
ღირსი ყოფილხარ უკვდავყოფისდ! ამინ და ამინ!

***

What you can't live without never, anywhere
It is faith and honour, as a man of his word,
A combination of Humility and Power,
The courage of spirit, composure and love.
To get your goal with hard and honest work
Build and create based on love and silence,
To be blessed with myrrh, anointing of grace,
New friends-making and enemy-forgiveness.
You can't be completed, whole and perfect,
If you don't cover your heart and God's way,
If you don't meet with victory and defeat-loss,
With a reasonable point of view and benevolence.
The walls of life ruined by unlucky times,
Let support and present hope and happiness,
Don't let anyone notice your confusion,
Smile and let your heart shine with goodness!
It is the heart you can't survive without,
That's been donated to the estate and people!
Remove cunning and envy from golden roses,
And remember the roots you come from.
The main thing is that without you will never fit in,
It is the branch and root of your genes and traditions,
Your country, family and freedom, your estate,
Loyalty and longevity of the layman and clerics!
The one, whatever you can't fit in, it's the water,
A handful of water from your loved ones,
I congratulate you for your virtue-coloured love,
You are worthy of immortality! Amen and Amen!

ბედნიერება შენშია

კეთილ წიაღსა და ტკბილ სიზმრებში
დაბადებულო ადამიანო,
სადაც იყავი და სადაც იქნები…
რა გზაც არ უნდა გამოიარო,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია!
ბედნიერება მუდამ ჩვენშია!
ცდა – განცდაშია, ხსნა ახსნაში დევს,
ბრძოლა – მებრძოლში, შველა – მშველელში,
რთული – მარტივად წარმოდგენაში…
ლურჯი – ცასავით ლამაზ ფერია,
დარდი – იმედით დასამღერია…
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მხოლოდ შენშია!

HAPPINESS IS IN YOU

Oh, human being, born in sweet dreams,
Coming with good heart and kind will,
Where you were and where you will be...
Whatever path you take in this earth,
The way of life is everywhere the same!
Happiness is always in us, under our rule,
The effort is in the ordeal, the salvation in release,
Fight – in the fighter, help – in the ordeal.
Hard – in a simple imagination...
Blue is a beautiful like sky colour,
Sorrow – it's a base of singing with hope,
The way of life is the same everywhere:
But your happiness is only in you!

მეუფეო

მეუფეო, ხე ნაყოფით მაცნობინე,
მოწყალება დაფარული მიმჯობინე,
პურის ნაცვლად ქვა არ მიმაცემინო და
მტერ-მოყვარე მუდამ დამამშვიდებინე.
სახლი ჩემი კლდეზე ამაშენებინე,
სიტყვა შენი საქმით დამამშვენებინე,
ხვალინდელზე ხვალეს აფიქრებინე და
გული შენი ტრფობით გამახელებინე.
ვიწრო ჭიშკრის შესასვლელი შემირჩიე,
შენი სანდლის თასმას მომაფერებინე,
სული თავმდაბლობით დამამშვენებინე,
გული ერთგულებით ამამღერებინე.
ყველა ცოდვა ცრემლით განმაბანინე და
ლაზარეზე უფრო მდაბლად აღმადგინე,
განკითხვისგან თავი შემაკავებინე,
მაწყევარი შვილის ნაცვლად მალოცვინე.
მალოცვინე ზღვა ზურმუხტა აფხაზეთი,
კახეთი და მთიულეთი მალოცვინე,
ხეზე განასკვული ბაფთით გელოდები, –
დაკარგული ნატვრისთვალიც მაპოვნინე!

REVEREND

Let me recognise a tree with its fruit,
And let me spread mercy with humility,
Don't let me give out a stone instead of bread
Let me calm down, and an enemy and a friend.
Help me to build my house on the rock,
Let me beautify your deeds with my words,
Make tomorrow think about tomorrow,
Open my heart with your love and warmth.
Choose for me the narrow gate entrance,
Let me caress your sandal strap,
Help my soul embroider with diffidence,
And make loyal the songs of my heart.
Let me wash away all my sins with tears
And raise me as you did with Lazarus.
Instead of coursing, let me pray for my son,
And don't let me judge anyone else.
Let me pray for my Abkhazian sea
And for my gold-amber Kakhetian vine,
I am waiting for you at a bow-tied tree,
To help me find an almighty pearl!

მირზა ვარძუკაშვილი
Mirza Vardzukashvili

შეაჭრის წყვდიადს...

კლდის თავზე დაწვა გულიაღმა ნალევი მთვარე,
მწვერვალზე დაჩნდა შუქ ჩრდილების შარავანდედი.
როგორაც ბერებს თეთრ მანტიას აღსაკვეცს აცმენ,
ისეთი არის ბნელი ღამის ახლა განცდები.

ფიჭვიანები იფარავენ ღამეს აღსაკვეცს,
კითხულობს ახლა სამონაზვნე ლოცვებს დრო ჟამი.
შეაჭრის წყვდიადს სამორჩილედ ცისკარი წამებს,
და უკვდავ ღამეს გაეცლება ფიქრი მოკვდავის.

დაღლილმა მთვარემ მიაშურა მწვერვალთ სენაკებს,
ღამე დატოვა სამორჩილედ კლდეთა ტაძარში.
ასე იცვლიან დღე და ღამე საუკუნეებს,
მნათობთ გადაჰყავთ მოკვდავები უკვდავ მარადში.

FROM DARKNESS TO LIGHT

The waning moon lay on the top of the rock,
At the peak, a halo of shadowy light appeared.
As monks are clothed in white robes for monastic vows,
Such is the feeling of the pitch-dark night now.

Pine-like trees care of the night, at the monastic vows,
The monastic prayers are now being read by time,
The dawn will cut the seconds the pitch-dark, prepared for a vow,
And the thought of the mortal leaves the immortal night.

The overtired moon headed to the cells of the peak,
He left the night in the rock temple as a submissive meek.
It is how day and night change their place for ages,
Luminous bodies transport mortals to eternity.

მივალ, მივუყვები...

მივალ მივუყვები ბილიკს თავდახრილი,
ცაზე შეხედვისა თვალით მეშინია.
ვშიშობ არ მეგონოს თავი უმაღლესი,
ამპარტავნება ხომ შურის მეწილეა.
ასე უნდა განვლო ჩემი გასავლელი,
ასე სოფლად ყოფა ბევრად კეთილია.
სიყვარულში უნდა ვნახო ის ნათელი,
რითაც თავმდაბლთა სული შევსილია.
მივალ მივუყვები შარას თავდახრილი,
ზემოთ ახედვაში ვფიქრობ არა ყრია.
წუთის სოფლად მყოფმა უნდა შეიმეცნო,
ამპარტავნება რომ ეშმას ნაწილია.
მოველ არა ჩემით მე ამ წუთის სოფლად,
ვივლი შარაგზაზე მუდამ თავდახრილი.
ჩემზე მაღლა ქვეყნად ჩემივ შემქმნელია,
უნდა დავმდაბლდე რომ გავხდე ღვთის
ნაწილი.

I FOLLOW MY PATH.

With my head down, I follow my path,
I am afraid to look up at the sky.
I keep myself restrained, as superiority
It is part of envy and arrogance.
It is how I should go about my journey.
Life in this way is much more convenient,
I must see this love in the light and
radiance,
Which usually fills a humble man’s heart.
I follow my way with my head down,
There is no goodness in being too proud,
The instant world's inhabitants should know it:
Arrogance is a deadly sin; it's part of evil.
I will always tread the path of humility,
My head bowed in reverence of others.
I am not for my wish in this transient
world,
Above me in the world is my creator.

ბელა მოდებაძე
Bela Modebadze

ქარო, რად ბობოქრობ...

ქარო, რად ბობოქრობ, ნელა დაუბერე,
ცად რად ატრიალებ მტვერს,
თვალებს ნუ დამივსებ,
მთლად ნუ დამაბრმავებ,
და ნუ გამიცინებ მტერს.

სიოდ გადაიქეც, ნიავს დაემსგავსე,
სულში გაიარე დღეს,
რადგან მონავარდე მშობლიურ ნიავში
შიგნით ჩემი გულიც დევს.

ღმერთმა ხომ შეგვიქმნა ცა და დედამიწა,
ჰოდა, რა უფლებით გმობ?...
ვინც კი გეღობება დიდი თუ პატარა,
უმალ დაუნდობლად სპობ.

ქარო, რად ბობოქრობ, ნელა დაუბერე,
ცად ნუ ატრიალებ მტვერს,
ტვირთად დაწოლილი ბოღმა მოიშორე,
ნუღარ გაგვიცინებ მტერს.

WHY DO YOU RAGE, WIND.

Do not rage Wind, be like a breeze,
Why are you jumbling
the dust up the sky?
Don't fill my eyes, don't wholly blind me,
And don't make the enemy laugh.

Be like the breeze, gentle and desired,
Try to reach my soul today,
Because in the wandering my native breeze,
Inside, my heart also lies.

After all, God gave us heaven and earth
So, you don't have the right to denounce it.
Whoever opposes you, big or small
You immediately mercilessly destroy.

Wind, do not be stormy; please blow slowly,
Don't whirl up dust in the sky,
Avoid anxiety, hanging as a burden,
Don't make the enemy laugh.

ოჰ, ფიქრო, ფიქრო...

ჩაფიქრებული მივუყვები აღმართზე ბილიკს
ფიქრმა წამიღო და სამყარო შემომატარა,
ღრუბლის აკვანში ჩამაწვინა, გადამარწია
მეც გავინაბე, როგორც ცელქი ბავშვი პატარა.
და წამით თითქოს ჩამიჩუმდა ყველა ტკივილი,
თვალი დავხუჭე, მსურს მოპარულ ფიქრებს
მივენდო,
ჩემს გულს თუ არა, ან გონებას თუ არ ავყევი
აბა მითხარით, უფრო სანდოს ნეტავ ვის ვენდო.
ყოველთვის მწველი როდი არის ჩემი ფიქრები,
ზოგჯერ გულშიაც ისადგურებს იმედის სხივი,
მე შვილები მყავს ისე, როგორც მყარი კედელი,
მათ მივეყრდნობი, მადლობა ღმერთს, არაფერს
ვჩივი.

OH, MY THOUGHTS.

I am thoughtful and follow a grassland,
My thoughts made me travel in the stars,
They carried me lying down in the cloud cradle,
I held my breath like a naughty infant.
And for a second, all my pain seemed to be silent,
I close my eyes; I want to trust stolen thoughts.
If I don't follow my heart or mind or sense,
Please tell me then who you would like me to trust more.
My thoughts always can't be unsettled,
Sometimes, my heart settles a hope ray:
I have children, and I can rely on them,
They are like a solid wall, thanks to my Heaven.

უნდა დარჩე ადამიანად...

უნდა ვიბრძოლო, მე ხომ ღმერთმა ბრძოლისთვის
შემქმნა,
მთელი ცხოვრება ბრძოლა მიწევს გადარჩენისთვის,
თუკი ვიბრძოდი სითბოსა და სიყვარულისთვის,
მაინც გამწირეს, გამიმეტეს უფსკრულისათვის.
მაგრამ ხომ ხედავთ, მე არ გავტყდი, არ დავიმარხე,
არ მაქვს უფლება ცივ მიწაზე დანარცხებისა,
თუ ფარ-ხმალს დავყრი, ვიცი უმალ გავიწირები,
ვერც სასმისს აწევთ სიყალბეში გამარჯვებისას.
ბევრჯერ დავეცი, მაგრამ მკვდრეთით ისევ აღვდექი,
მე ღმერთი მიცავს, ცხოვრებამ კი გადამიარა,
შვილებს შევცქერი, მათით გული ტკბილად აძგერდა
სხვას არას ვნატრობ, მინდა დავრჩე ადამიანად.

TO REMAIN AS A HUMAN BEING.

I have to survive, as my Lord forced me to fight,
I have had to fight to succeed my whole life,
And despite battling for love and social justice,
I was sacrificed to be thrown into an abyss.
But you see, they couldn't break me, couldn't bury me,
I have no right to fall on the cold ground-earth,
If I throw down my shield and sword, I know I will lose,
You can't even raise a glass to your victory of falsehood.
I've fallen many times, but I've risen from the dead,
God protects me in some way, but life passed over my head,
I have only children's hope; they'll sweetly warm my heart,
I want to remain as a Human Being; I long for nothing else.

ივანე ლომსაძე
Ivane Lomsadze

გულში ჩემი სიყვარული ჩაუკვრია მზეს.

*

გულში ემი სიყვარული ჩაუკვრია მზეს.
მე რომ მიყვარს იცის რადგან მუზა მასზე წერს.
მცხუნვარებით რომ დამადნოს, მაინც მიყვარს მზე.
სინათლისფერ სხივებით რომ გამინათოს დღე.

მიყვარს რადგან ბრმა ხედავს და ხარობს ყოველ დღე.
მიყვარს რადგან შეუძლია, რომ გაგვათბოს ჩვენ.
მზე ისეთი ჭკვიანია, ითვლის დღეს და წლებს.
აბრწყინვალებს ცისფერ ცაზე, სხივებს დაგვაფენს.

შავ მიწაში მზე ვერ აღწევს, იქ ვერ ათბობს ძვლებს.
ასი წლის რომ შევიქმნები, წამიყვანე მზევ.
შენი სითბო არ მომაკლდეს, ლექსს გიგალობ შენ.
მომაფერე ეგ სხივები, მომაფერე მე.
ეს სურვილი შემისრულე, შენთან მამყოფე.

SUN IS HOLDING MY LOVE IN ITS HEART.

*

The sun is holding my love in its tender heart,
It knows how much I love and my muse adores it.
Despite the scorching weather, I love the sun
For only its illuminating and enchanting beams.

I love it because the blinds see and rejoice in it.
I love it because it is there to encourage our spirits,
The sun is smart-minded and counts days and years.
The radiance of its rays nourishes living beings.

It cannot reach into the dark ground or warm bones...
Sun, let me live for a hundred years; take then my spirit,
Don't lose me, your love, sunshine; I sing to you.
Grant me the pleasure of your caress, fulfil my long wish.

გაგიმარჯოს! იცოცხლე მარად!

*

დედა შვილობა, სიწმინდეა ყოვლად ძლიერი.
თავს დაფოფინებს თავის შვილებს, დედა გმირია.
დედა შვილობამ გამოზარდა ბევრი ვაჟკაცი.
საქართველოში დედის გული მართლა დიდია.
დედის სითბოა, სულ რომ დაგვდევს, მთელი ცხოვრება.
მისგან ნალოცი დიდსულოვნად მომისმენია.
დედის ცრემლია, რომ გაცილებს უცხო მიწაზე.
ჩემ დედიკოსთვის მე ეს ლექსი დამიწერია.
დამიმჩნევია დედის სახეზე იარის კვალი,
ის სევდისფერი მონატრება, გულს რომ უზაფრავს.
დამიკვნესია წაქცეულსა: - “ვაიმე, დედა”.
მას ჩემი ცრემლი, გულშ ი ჩაუკრავს, და ისე მალავს.
ყველას ვაფასებ, ვინც დედობა გმირულად ზიდა,
წესიერება გვიქადაგა, მადლი მოგვმადლა.
ყველას ვაფასებ, ვინც დედის ვალი წმინდად ატარა,
ჩემო დედიკო, გაგიმარჯოს! იცოცხლე მარად!

BE BLESSED FOREVER!

*

Motherhood is full of caresses, filled with great grace.
Mother is a hero; she sacrifices herself for her children.
Motherhood, a testament to strength and resilience,
In addition, the heart of a Georgian mother is different.
Our mother's enduring warmth cares about us.
I have kept my mother's praying intensely in my heart,
It's her tears that accompany you to a foreign land.
I've written this poem for my mother, for her immense love.
Because of me, my mother carries sadness' marks,
For immense longing of me that carries her heart.
So many times I have fallen, I sighed: "Wow, my mother."
She keeps all my pains in her bosom, with hidden tears.
I appreciate all who heroically carried motherhood gift,
Who preached decency to us, who gave us grace.
I adore every woman carrying her duty sacredly…
My dear mother, bless you and wish you eternal life.

გამოაცხო ობლის კვერი

*

მეგობრებო ჩემი ლექსი, რომ არა ვსთქვა არ იქნება.
სიყვარულის დიდი პწკარი, მიეძ ღვნება პოეტს ალალს.
ვაჟა ფშაველამ სიკეთე დასტოვა და გააგრძელა.
გამოაცხო ობლის კვერი, ჭირში მოძმეთ შეეშველა.
ერთხელ სახლშ ი ბრუნდებოდა, შემოესმა დიალოგი.
მეზობლები საუბრობდნენ: „უჭირთ ობლებს, ძალზე უჭირთ...“
დადინჯებით გაიარა, სოფლის თავიდან ბოლომდი.
სახლში მისულმა, ცოლს უთხრა: „ობლებს თურმე ძალზე უჭირთ“.
ნალიაში გამოძებნა, ცოტაოდენი სიმინდი.
მეწისქვილეს აუხსნა და, არ აიღო მანაც მინდი.
ასე წვალებ წვალებაში, მიეეახლა ობოლთ სახლკარს.
აიღეთო და დაპურდით, შეგეწიოთ ღმერთი მარად.
მერე სახლში ბრუნდებოდა, მეზობელმა მიაძახა.
"მაგ ვალს ვინღა გადაგიხდის, არაფერი მათ არ ააქვთ“.
"არც მინდაო, - ვაჟამ უთხრა, – სიყვარული გულით დამაქვს,
რომ შესძლებენ მერე იყოს, სიკეთეა ამისთანა".

HE BAKED AN ORPHAN PIE.

*

My Friends, I must tell a story of goodness, greatness, grace,
These golden words of my poem are dedicated to kindness,
Vaja Pshavela, a poem writer, how he left his kindness once on his way,
After he had baked the orphan's bread, and he fed the hungry children.
Once, when he was returning home, he heard the dialogue between men.
Neighbours were talking to each other about how some orphans needed help.
He passed by them without questions, and he achieved the village's end.
As he arrived home, he asked his wife to prepare bread for the children.
He found some grain in the granary storage for millet,
When the miller man learned the truth, he did not make Vaja pay,
Then Vaja put it on his shoulder and took it to the orphaned children,
Saying he brought it for them, and that Heaven would bless them.
Then, when he was returning home, one of the neighbours called him out:
"Who will pay that debt you back as they don't have anything?".
"I don't expect payment from them, as my heart is filled with love and tender,
Goodness itself is too sweet, and if they can, once, they will pay".

თეა კანდელაკი
Tea Kandelaki

უფლისციხევ! შენს კესონებს...

უფლისციხევ, შენს კესონებს სიდიადის ქარგავს ნართი.
უფლის - ციხე ქალაქია, „უფლისწულის“ - წმინდა კვართი.
შენს წიაღში ქედს უხრიდნენ ღვთისმშობელს და დედა „ნანას“,
სხვაგან არსად უგალობდნენ უფლის დედას „იავ-ნანას“.
    უფლისციხევ! შენს სიწმინდეს და უძლეველ ძალთა კრთომას,
    უშურველად ვანაცვალებ, არ ვინანებ - შენთვის კვდომას...
    ქვათახევის მზირალ თვალთა - მზის სხივების კრთება სხივი,
    აქ ხომ უთქმელ ღვთაებათა საიდუმლო დუღს და ღვივის.
რა დარბევას არ გაუძლო, რა ჯვარცმას და რა გოლგოთას,
მაინც სიდიადით უცქერს, გადაურჩა მტერს როგორღაც.
ქვათახევის ღვთისმშობლის და უფლისციხის „უფლისწული“
საქართველოს გვირგვინია, სულს ჩახლართულ ვაზის წნულის.
    ქვას ნაკვეთი ღმერთის ენა „დედა-ენა“ კვალად ხნული
    შენ კალთებმა შეგვინახა არტახებით ღრმად ჩაკრული!
    ვხედავ, ისევ ურწევ აკვანს, იმ სათუთი რუდუნებით
    როგორც ველით მერცხლის მოსვლას, გადაფრენას – გუგულების.
უფლისციხევ, შენს კესონებს სიდიადის ნართი ქარგავს.
შენს საწნახელს, როგორც წიპწა - მტერი ისე დაგილახვრავს...

UPLISTSIKHE, YOUR CAISSONS...

Uplistsikhe, your caissons are a symbol of the old glory,
In the fortress, there is hidden the robe of Christ, the most holly,
In your bosom have been worshipped, Saint Mariam and sweet "Nana",
It is where "Yav-Nana" was sung to God's baby Mother.
    Uplistsikhe! Take my life for your strength and your sacredness,
    I Give life for your wealth and die for you without regret.
    The eye-gazing Kvatakhevi shimmers more than sunny rays,
    It's boiling, embers flashing speechless, silent deity-secrets.
Many raids withstanding, and Golgotha and crucifixion,
Stayed with your greatness, and you survived from enemies.
"The Virgin" of Kvatakhevi and Uplistsikhe's the son of Heaven,
It is the crown of Georgia, the soul entangled in braided vines.
    Heaven's language carved in stones and the mother tongue's secret trace,
    Kept by your skirt, swaddled and tightened in a cradle like a baby,
    I see you rock a cradle still with the tender guardianship,
    Like we wait for swallows and send away cuckoo goblins.
Uplistsikhe, look at caissons, the yarn of greatness embroiders.
Your enemy like grain, seems, you crushed it in a winepress.

..სივრცეში გაიფანტა "ამინ!"...

(ორთოდოქს ებრაელ
პაციენტთან მუშაობის დროს)

ახლა ლოცვაში დამღამებია და
სივრცეში იფანტება - ამინ!
აგერ ერთის სულში რწმენამ დაივანა
მეორე მიკედვლია – დარვინს.

რა საოცარია ეს წუთისოფელი,
ნეტავ რისთვის არის დავა,
სანამ ამ ქაოსში სიმართლეს გავარკვევთ,
წლები ფეხაკრეფით გავა.

წავა და გადივლის ღრმა უღელტეხილებს,
ჭიუხვებს, მთებსა და სერებს,
მათ ნაკვალევზე კი ვით მიქელანჯელო
"სხვები" მოხატავენ ფერებს.

და აირ-დაირევა ამ ფერთა ციალში
შავსა და თეთრ შორის ზღვარი,
კეთილს, ბოროტისგან ნისლი გადაფარავს,
სიყალბის მოვარდება ღვარი...

"ძველი" და "ახალი" ერთმანეთს შეეხლება,
ვიღაც სულს მიყიდის მოლას,
მე უფალ იესოს ლოცვა აღვუვლინე,
ჩემს გვერდით კითხულობდნენ – თორას.

შემაკრთო "ერთ-არსის" დანაწევრებამ
მკერდზე მოვიძიე ჯვარი,
დაე, უფალმა განსაჯოს ჩვენს შორის
რაოდენ დიდი იყო ზღვარი,

ჩემსა და მას შორის - თორას რომ ფურცლავდა,
მას შორის - ვინც სწავლობდა დარვინს,
მე "ჩემს" ღმერთს მოვუხმე,
მათ უხმეს "თავისას" და
სივრცეში გაიფანტა - ამინ!

"AMEN!" WAS DISPERSED IN SPACE.

(While working with an Orthodox Jewish patient)

Now, a night caught me in my prayers.
In space disperses the heavenly - "Amen!"
Here, in one spirit, the faith settled firmly,
The second one gives worship to Darwin.

How amazing this instant world is,
What is the dispute about? And why?
Until, in this chaos, we find out the truth,
Years will be unnoticeable pass by.

Years will pass over **the weathered peaks,**
Over clough ravines, bare-rock summits,
And in their footsteps, like Michelangelo,
"Others" will paint a coloured masterpiece.

And will get mixed in this colour-shimmering,
The border between black and white,
Fog will cover the goodness from evil,
A flood of evil will invade Earth.

"Old" and "New" collide each other,
Someone will sell a soul to Moolah.
I prayed to the Lord Jesus his praising,
Next to me, someone read the Torah.

The division of the One Being startled me,
I checked for a cross on my chest.
Let the Lord decide and judge between us
How significant was the margin?

Between me and him – who read the Torah,
Among them - those who studied Darwin,
I called "my" God, they called "theirs" and
In space was dispersed - "Amen!"

ფანტომის ხორუმი

ყოველ გზას, ყოველ წამს შენთან მოვყავარ.
მე, შენი დიდების უტყვი მონა ვარ...
ვერა რამ ვერ შთქანთქა შენზე ფიქრები,
სიზმარშიც მზის დარი სირმით ირთვები.

ფირუზით ნაქარგო ჩემო თბილისო -
ვერ შევძელ უშენოდ ცხოვრება ვიტვირთო,
მეტეხთან ჩაივლის მტკვარი დუდუნით
და აბჯარს აისხამს ზართა გუგუნით...

იქით, კი გორგასლის მზერა ამაყი -
ევლება მთა-გორებს, ველებს - ალაზნის...
რიყეზე მივყვები ბორანს ტაატით,
ეს წუთის სოფელი ვის რას დააცლის?!

მეარღნევ! უმღერე თბილისს ნაფიცარს,
ამ ქვეყნის წალკოტს და სულის საფიცარს!
დიდებულ მთაწმინდას კრძალვით ვეახელ
მარტო არ დამტოვო ჩემო მეარღნევ!

რიყესთან ელვარებს გრდემლი ოპიზრის!
ფიესტა მოზიდავს არბალეტს მოისრის!
ვერ დავთმე ვარაფრით მე შენზე ფიქრები,
ფანტომით დაჭრილი შენს სულად ვიქმნები...

მაცხოვრის ტაძართან, სადღაც - ერთ ნაბიჯში,
მეჩეთს და მოსეს ღვთის ტაძრებს რომ იხილავ
რა გონმა იტიოს... რა გულმა ატაროს
ეს ღმერთი - მაღალი , თუ არა –
თბილისმა??...

მინდა, რომ, ამ ქუჩებს, ამ ტაძრებს, ამ ზეცას,
ფარდაგად ვიფენდე ჩემს სულის თილისმად,
ისე ნუ მოვკვდები, ისე ნუ წავხდები,
რომ, არ დამიტიროს მე ჩემმა თბილისმა...

PHANTOM'S CHORUM

It leads me to you, every road, in every second.
I am a dumb slave to your glory, and I am silent.
Nothing there could not prevent my thoughts,
Even in my dreams, you're covered with gold threads.

The sky of Tbilisi, embroidered with azure turquoise,
I can't carry my life without you, I can't bear more,
Mtkvari will pass by Metekhi with hum noise,
And it puts armours over it through echo.

Over there, you can see Gorgasali's gaze,
Standing proudly and fondling Alazani fields,
I follow the ferry along the cobblestones,
What for we have times in this instant world?

Hey, sing to Tbilisi, street organ player,
To the Iden Garden and the soul's Talisman.
I visited Mtatsminda with great respect.
Please don't leave me alone; don't stop your organ.

Opizari's anvil shines on Mtkvari-side,
Fiesta pulls the crossbow of Moisir!
I could not give up thinking about you,
I am your soul, wounded by the phantom.

When you one step to Saviour's Cathedral,
the Muslim mosque and Synagogue together,
What mind should carry? what heart should bear,
This primary God, if not – Saint Tbilisi's power.

I want to be spread as the rug, talisman,
For these streets, for these temples, and this sky,
Not to die like that, not to fade like that,
So that Tbilisi does not pour its tears.

მიხეილ თურქაძე
Mikheil Turkadze

მთვარის შუქზე...

*

ზღვის ტალღიან ნაპირს ვუმზერ.
ვარსკვლავები ანათებენ სადღაც სცენას!
ქალი ცეკვავს, თმა ებნევა შიშველ ზურგზე…
და ტალღებმაც იგრძნეს ჩემი გულის ცემა.

ცეკვავს უხმოდ ზღვის და ქვიშის ლამაზ ბმულზე…
მისი ტანი აჰყოლია ნოტის ვნებას,
მოსასხამი მიწვდებოდა სადღაც მუხლზე!
ტალღებს ნაზად ეხებოდა ფეხშიშველა!!!

მერე ლანდიც დავინახე ცისფერ წყალზე…
ეშხით თითქოს მივამსგავსე ფოთოლცვენას!!!
ალუბლების ყვავილობა ესხა თვალზე!
მკერდი თითქოს წააგავდა კვირტის კვნესას…

თმები, უფრო მომხიბვლელი,ზღვის ტალღებზე…
მისი სახე ჩემში იწვევს აღმაფრენას,
მის თლილ თითებს ვნებით, ნაზად, იდებს ტანზე…
არ მინახავს მე ასეთი საოცრება!

ჩრდილთან ერთად,
ქალს ვნებები ეცვა ტანზე…
მეც და მთვარეც,
ვუმატებდით გულისცემას!

ON A MOONLIT NIGHT

*

A moonlit night, the sea and gentle waves...
And the stars... illuminating the stage,
A dancing woman with her scattering hair,
And the waves, feeling my heartbeat!!!

The silent dance on the sand of the sea,
And the body, following the passion of melody,
The sundress, somewhere on the knee!
Barefoot, touching playing waves!!!

Then I saw a shadow on the blue sea,
It looked like the falling of leaves!!!
Cherry was blossoming in her eye-sparkle,
Her breast resembled the sighing bud...

Oh, her hair, on the waves of the sea...
The charming expression, so mesmerizing,
Gentle fingers playing on her body,
It was so unique and beautiful to see.

The sea... passion celebration,
and the moonlit night...
And the mysterious heartbeat,
a rhythm of strange delight...

ნეტავ რა ხდება ჩვენს თავს?!

წერილები***

დედი ხომ კითხულობ ამ წერილებს,
ნეტავ რა ხდება ჩვენს თავს...?!
მე და ლექსს მარტოდ დარჩენილებს,
ყველა რომ გვეფერება ერთხმად!

დედი ხომ გახსოვს ბავშვობაში,
როგორ მაყვარებდი ლექსებს...
იმ ძალზედ მძიმე და ავ ყოფაში,
გულში მინერგავდი ფესვებს!

კალთას მაფარებდი ავდრობაში,
სულის მიმოწმებდი მყესებს,
გამოგადგებაო კაცობაში...
ღვთიურს მასწავლიდი წესებს!

ჩამსვამდი ოცნებების კიდობანში,
ვედრებით მიკოცნიდი ხელ-ფეხს!
მამაპაპისეულ სოფლის სახლში,
მახსოვს როგორ ვრგავდით ნერგებს.

მახსოვს ვსეირნობდით ვაშლოვანში,
გულდასმით მასწავლიდი ბგერებს!
ახლა კი ვიკარგები ცამდე მადლობაში,
შენს სახელს ვავედრებ ღმერთებს.

დედი ხომ კითხულობ ამ წერილებს,
ნეტავ რა ხდება ჩემს თავს...?!
ოცნებებს მარტოდ დარჩენილებს,
ყველა რომ ეფერება ერთხმად!!!

WHAT IS HAPPENING TO US?

*

letters***

Mom, are you reading these letters?
What is happening to us?
Me and my poems left alone,
Everyone caresses all at once.

Mom, do you remember when I was a child,
You were teaching me how poems to love,
In that challenging and evil times,
You planted love roots in my heart!

You were bringing me up with your love,
You tested the sinews of my soul,
It would be helpful to me as a man...
You were teaching me the life rules!

You were putting me in the ark of dreams
You kissed and caressed my hands and feet,
In the village house of my ancestors
I remember how we planted seedlings.

In the time of walking in the apple yards,
You were teaching me sounds of the nature,
And now I'm lost in gratitude to the heaven,
I implore earnestly to the gods in your name.

Are you reading these letters, feeling my longing?
What is happening? I yearn for your guidance, Mom.
My dreams, left alone somewhere, too far,
Everyone caresses all at once with love.

დათო ყანდაშვილი
Dato Kandashvili

სასოებიდან სიყვარულამდე

სუფთა, სპეტაკი სასოებიდან,
ვიწრო ბილიკით უნდა იარო,
უხილავ ნიშნებს უნდა მიუხვდე,
ნამდვილ სიყვარულს რომ ეზიარო.

სიყვარულამდე ხმლით ვერ მიაღწევ,
და ვერც ვიღაცის ბრმა დახმარებით,
იქ მაშინ მიხვალ, გულს რომ განიწმენდ
და შესძლებ ხედვას წმიდა თვალებით.

თუ სიყვარულის ცნებას ვერ ხვდები,
იმას უწოდებ, რაც შენ მოგინდა,
ეგოიზმის მსახური და მონა გახდები,
ნამდვილ სიყვარულს ვერასოდეს ეს ვერ მოგიტანს.

სასოებიდან სიყვარულამდე მისვლისთვის დიდი ძალა გჭირდება,
ბევრ გამოსაცდელს შეგყრის განგება და თან თავადვე გვერდში იდგება.
იქამდე ვიდრე სასოწარკვეთის ზღვარი შენს შიგნით არ დაგიდგება,
მაშინ გაკმარებს ყველა პრობლემას და შენი შრომის საზღაური მოგენიჭება.

და თუ მიაღწევ სასოებიდან სიყვარულამდე
ამ მომენტიდან სულ მთლად ახალი ათვლა იწყება,
ბედნიერება, ნეტარება, თავისუფლება და უკვდავება
შენს ცხოვრებაში უწვყეტად და სრულად იქნება.

FROM HOPE TO LOVE!

From pure and sincere hope-expectance
You have to walk along a narrow path,
You have to guess the invisible signs,
To learn true love and life endurance.

You can't reach love with a sharpened sword,
And not even with someone's blind support,
You will get there when you clean your heart
With your purity, you'll get your sweetheart.

If you don't understand the notion of love
You call this feeling what comes to your tongue,
Then, you become a selfish servant, just,
And you'll never experience the mystery of love.

To go from hope to love, you need immense effort.
You will face a lot of trials with helping of your Lord.
It will last until your despair is calm inside your soul,
Then you will be rewarded for all your effort and work.

And if you reach from hope-expectance to love,
From that moment, a completely new stage begins,
Happiness, bliss, freedom and immortality -
It will be uninterrupted and complete in your being.

სასოება

მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,
ჩემთვის სიმართლე მოჰგავს იარაღს,
ჩემმა მოძღვრებამ ყურების ეზო
ენის დაცინვით გამოიარა.

მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,
ამ სიღარიბემ ღმერთს მაზიარა,
ამპარტავნობსო, რა არის ესო,
მღვდლის და ცოდვილის აზრში იარა.

მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,
მსურდა მიმეცა ცოდნა ზიარად,
და როცა ამის ქმნასა ვცდილობდი,
სწორედ რომ ამან დამაზიანა.

მამაო ღმერთო, ძეო იესო,
თქვენს მიერ არის, ჩემგან კი არა
და დღეს ერთი რამ ვერ გამიგია,
ის, რაც მაქვს თქვენგან დარჩეს ტიალად?

ვიცი ამ ქოთნის დამტვრევის დროა,
მოიზილება თიხა ხელახლად,
გაჩნდება სულ სხვა ფორმის ქოთანი
და შეეჩვევა ეს მოდგმა ახალს.

HOPE!

I am poor! I am like Jesus!
The truth is, like a weapon, for me,
My doctrine has passed the observers' yard,
And multi-language censure-mockery.

I am like Jesus! I am poor,
This poverty lead me to my Lord,
"He is arrogant; what does it mean?"
They were repeating sinners and priests.

I am poor! I am like Jesus!
I tried to spread my knowledge around,
And when I decided to fulfil it,
That's what caused me a lot of loss.

O, Father God and Son Saint Jesus,
It is all from you, and it is not from me.
And only one thing I did not understand:
All I have from you, must you all vanish?

I know it's time to break this pot,
And the clay will be kneaded again,
The new pot will be sculpted with a new shape,
And this generation will accustom it.

ადამიანთა შეხედულებები ჩემზე

ვეტრფი იმ წამებს როცა სიწმინდე
რაღაცით ცდილობს ჩემში ასახვას
და ამ ნეტარი წამების შემდეგ
ჩიხი.. და უკვე იქ აღარა ვარ.

მეძალებიან რომ ის ვაკეთო
რაც მიუღიათ, წესი წესია,
ვინ დააწესა ან ვის სჭირდება
არავინ იცის, მაგრამ ესეა.

ყველა მიყურებს დიდი თვალებით
და გულში ფიქრობს – მგონი, გიჟია.
სახლი არა აქვს, არ სურს ქალები,
არ სვამს, არ ირჭობს, რის მაქნისია?

ცოტა უფროსი ასაკის ხალხი
ჩემს უშვილობას შემოსტირიან,
ასე ამბობენ, საწყალი, ალბათ,
საექიმოა, ანდა შიში აქვს.

ზოგსაც ჰგონია ვიღაცის ხელით
გაკეთებული რაღაც ჯადო მაქვს,
მაგრამ ერთი რამ ვერ გაუგიათ
ახალგაზრდობამ რად არ დამტოვა.

მოკლედ მარტო ვარ დედამიწაზე
მოსიარულე სხეულებს შორის,
სული ნათლდება ასე თუ ისე,
აი, სხეულს კი, ვერაფრით ვშველი.

PEOPLE'S VIEWS ON ME.

I adore the moments when sincerity
It tries to reflect somehow in my soul,
And after this blissful way of sentiment
It instantly vanishes and is a dead end...

They force me to do what they decide,
What they usually get is a usual rule,
Who established it, or who needs it,
No one knows, but it is how it is.

Everyone looks at me wide-eyed,
And they think I am probably mad.
I don't have a house, I don't chase ladies,
No drink and nor drugs; what's wrong with me?

Older people than I am myself,
Making discussions, judging me, assessing,
So they say, perhaps the poor thing,
He is a medical patient or intimidated.

Some think by someone else's hand,
I am bewitched, some magic done.
But they did not understand one thing:
Why was the youth with me and not leaving me?

In short, I am alone on this earth,
Among bodies, I'm moving and walking.
The soul is baptized one way or another,
But there is no way I can help my body.

მე, ჩემს შესახებ

დღენი გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან ერთმანეთს,
კი, ეს გარედან, შიგნიდან კი, მუდამ ვიცვლები,
თითქოს ისეთი ბუნების ვარ, როგორც ვიყავი,
სიმანდვილეში სიბილწისგან ვსუფთავდები, რყვნისგან ვიცლები.
    დღევანდელ დროში ეს სიტყვები უაზროდ მოსჩანს,
    თავისუფლების შეზღუდვად არის ეს დღეს აღქმული,
    თითქოს სიწმინდის ცნება მოკვდა, სიწრფელე მორჩა,
    მე კი, ღრმად მჯერა ეხლა იწყება რაღაც არ თქმული.
დღეს ასეთი, როგორც მე ვარ არვის ვჭირდები,
იმათ ვგულისხმობ, ვინც ჩემს გარშემო დაიარება,
თუმც მაინც მჯერა განგება მწვრთნის, არვის მაკარებს,
ჩემს სულელ გულს კი, მარტოობა ეჩვენება ნაიარევად.
    სიფაქიზეს, სისპეტაკეს, უმანკოებას,
    ერთგულებას, გულის გულთან გაზიარებას,
    ძალიან ჩუმად და სათუთად ვატარებ ჩემში,
    რომ როდესმე ჩემს ცხოვრებაში დაივანება.
მე მინდა ნაღდი, არა ყალბი კავშირი კაცთა,
რომ მეგობრობა იყოს, ცხრაპირ კლიტეზე მტკიცე,
აი, ასეთი მეგობრისთვის ჭირში თუ ლხნიში,
თუ საჭიროა სიცოცხლესაც ხალისით მივცემ.
    მე მინდა ნაზი, არა ბილწი წყვილთა კავშირი,
    რომ მიჯნურობა იყოს განცდილ სექსზე მაღალი,
    რომ მიჯნურთან ჩემი ყველა ურთიერთობა,
    მუდმივად იყოს მომტანი რაღაც დიდის, ახალის.
მე მინდა წმინდა, არა ვითომ ღვთის მსახურება,
რომ ღმერთი იყოს ცოცხლად, არა თვალით აღქმული,
რომ ღმერთი ჩემი არასოდეს არ დავივიწყო,
თვით უდიდესი განცდით ვიყო თუნდაც გართული.
    ბევრი დავწერე უკვე, ბევრსაც დავწერ იქამდე,
    ვიდრე ვიქნები თქვენში როგორც, აი, ეს სხეული,
    და როცა წავალ ამ ქვეყნიდან, როცა დაგტოვებთ,
    მაშინ გახდებით ამ ნაწერებით გადარეული.
კი, ჩემთვის, მაგრამ ამას თქვენთვისაც ვწერდი,
რაც მიქმნია, ვფიქრობ, ბევრ თქვენგანს გამოადგება,
მე ძნელ დროში სიყვარულის ტრაქტატებს ვწერდი,
მსურს თქვენში შესძლონ მათ ბედნიერი გამონათება.
    ახლა, ამ დროში მე ასეთი მარტო ვარ, ერთი,
    ხვალ კი, თქვენს დროში ასეთები ბევრნი იქნებით
    და მგონია საჭიროც და კარგიც იქნება
    რომ მოისმინოთ წარსულიდან ჩემი სიტყვები.

I, ABOUT ME!

The days are like each other, like half-divided apples,
Yes, It is from the outside, but inside I keep changing,
I am the same as I was before, honest and sincere,
I am still cleansed from impurity and depravity.
In today's time, these words seem meaningless.
Nowadays, it is perceived as a limitation of freedom.
It's as if the concept of purity died, simplicity ended,
And believe that now is starting something untold.
Today, this kind, as I am, no one needs,
I mean those who walk around me endlessly,
Although I still believe in the fortune training me,
And in my stupid heart, loneliness seems like a mess.
Subtleness, brilliant, innocence, purity,
loyalty, heart-to-heart sharing,
I carry it very quietly and tenderly inside me,
And I hope once it finds an eternal abode in my life.
I want loyal, but not fake hookup of men links,
Friendship to be stronger than a nine-edged lock,
Here, for such a friend, in trouble or feast,
If necessary, I will gladly give my life.
I want a gentle but not dirty couple's union,
Love to be higher than experienced sex, intimacy,
All my relationships with my loved ones,
Always bring something big and something new.
I want pure, not pretended service of God,
That God may be alive, not perceived by the eye,
That I never forget my God and ever to praise him,
Even if I am engrossed with the far-fetched feeling.
I've already written a lot and will write more until then.
While I shall be in you as, behold, this body,
And when I leave this earth, and when I leave you
Then, you will become surprised by these writings.
Yes, for me, but I was writing this for you too,
What I have created will be helpful to many of you.
I wrote treatises of love in my hard times,
I want them to have good results and give plenty of light.
Now, at this time, I'm so alone, and one,
And tomorrow, in your time, there will be many of you.
And I think it will be reasonable and even necessary
You all to hear my words from the faraway past.

უკანასკნელი სურვილი მიწაზე

ბევრი რამაა ქვეყნად ნაღდი და საკვირველი,
ჩემს ირგვლივ მყოფნო, თქვენ ერთ-ერთი ხართ, მე კი პირველი.
ყველანი სადღაც გაჩერდებით, იტყვით მივედით,
ჩემს გზას კი, ბოლო არ უჩანს და ჯერ ვერც მივედი.
თქვენს დასახლებას და სურვილებს შორს არ მიყავხართ,
თუმც წარსულში ხართ თითქოს, მაგრამ უფრო მიყვარხართ,
ალბათ, ამ გრძნობის ძალით მივალ სადღაც შორეთში,
რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს თავს ვუთხრა: ძლივს არ მოვედი?!
ახლა კი, ამ წამს ის სჯობია სულ მთლად დაგტოვოთ,
რომ ღვთის სიწმინდემ თქვენს წილ ადგილზე თავზე დამთოვოს,
რომ ანგელოზად გადავიქცე ადამიანი,
რომ სიბინძურემ ვეღარ შესძლოს ჩემში ტრიალი,
ადამიანად ყოფნა, რა ვქნა, მეცოტავება,
თუ ამ სურვილით უნებურად მეცოდავება,
ვთხოვ პატიებას უფალს ღმერთს და თქვენც გთხოვთ შენდობას,
მაგრამ რა ვუყო, თუ ეს ნდომა სხვა არაფრისთვის აღარ მეთმობა.
დღეს, მგონი დროა სულ დავტოვო ეს დასახლება,
სადაც ვიქნები განვლილი გზაც მოგონების გზით გადასახლდება,
მაგრამ ეხლა ასე სჯობია, გთხოვთ, რომ დამტოვოთ,
მე არ ვიყავი თქვენი ღირსი ანდა პირიქით. კარგად იყავით...

LAST WISH ON EARTH

Countless wonders in the world are strange and authentic.
You are one of those around me, and I am the first.
You will all stop somewhere else, say we have arrived,
But my path has no end, and I have yet to reach it.
Your settlement and your desires don't take you far,
But I love you more despite the fact you are in the past,
Perhaps, with the power of this feeling, I will go far away,
That one fine day to say to me: At last... I barely came?!
And it's better to leave you entirely now, at this moment.
May the God's holiness will spread snowflakes upon my head,
An ordinary man becomes an angel, and the wonder is to happen.
That filth and maliciousness can no longer roam in my innocence.
Being human, what can I do, pity me, it is too little,
If by this desire I sin involuntarily, forgive me, please,
I ask for forgiveness from everyone around me and my God.
But what if I don't give this trust for anything else?
I think it's time to leave this settlement altogether today.
Wherever I am, the path I've travelled will be displaced by memory,
But now you should leave me, please,
I was not worthy of you, or _ Vice Versa. Goodbye...Farewell!

ირმა კეკელიძე
Irma Kekelidze

მოხუცი ჯამბაზები

"მოხუცი ჯამბაზები" - სპექტაკლი, რომელიც აღარ არის რუსთაველის თეატრის რეპერტუარში... სპექტაკლი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება!..სპექტაკლი, რომელიც აღარც მახსოვს რამდენჯერ ვნახე!..სპექტაკლი, რომელიც ყოველთვის ანშლაგით მიდიოდა!..სპექტაკლი, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართული თეატრის უახლეს ისტორიაში!..სპექტაკლი, რომელიც ძალიან მენატრება!..

სრულიად შემთხვევით, რუსთაველის თეატრის სპექტაკლის "მოხუცი ჯამბაზების" (საგულდაგულოდ შენახულ) პროგრამას წავაწყდი და ვერ შევძელი გვერდზე ისე გადამედო, როგორც მაყურებელს, ჩემი გულწრფელი სათქმელი არ მეთქვა... პროგრამის გარეკანიდან, სპექტაკლის პერსონაჟი- კოტე (კახი კავსაძე) მიღიმის. გადავშალე და ვკითხულობ:

რონალდ ჰარვუდი

მოხუცი ჯამბაზები

მცირე სცენა

გადმოაქართულეს თამაზ გოდერძიშვილმა და გოჩა კაპანაძემ , რეჟისორი - გოჩა კაპანაძე, მხატვარი - ანა ნინუა, მუსიკალური გაფორმება - გოჩა კაპანაძე, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე, კონცერტმეისტერი - სალომე ჯიჯეიშვილი, რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი.

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

კოტე - კახი კავსაძე, გრიგოლი - თენგიზ გიორგაძე

ლოლა - ზაზა ლებანიძე, თამარი - დარეჯან ხარშილაძე

შალვა - ჯემალ ღაღანიძე, ალექსანდრა - მარინა კახიანი

ელისო - მანანა გამცემლიძე, ნინა - მარი ჯანაშია

რამდენადაც მახსოვს, სპექტაკლი 2008 წელს, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დაიდგა... პიესის შინაარსის მიხედვით, მოქმედება მოხუცთა თავშესაფარში ხდება... თავშესაფარის ბინადრები, ხელოვანი ადამიანები (ოპერის მომღერლები, მსახიობები)არიან, რომელთაც სიბერის გამო, სცენის დატოვება და პანსიონში ცხოვრება ერგოთ ბედად.

სპექტაკლის (პიესის) შინაარსის მიხედვით, გამოკვეთილია ის სამწუხარო რეალობა, რომ მოხუცი ხელოვანები, არა მხოლოდ კოლეგებმა (საზოგადოებამ), არამედ საკუთარმა ნათესავებმა, ახლობლებმა, ოჯახის წევრებმაც გარიყეს და მარტოობისთვის გაიმეტეს. სპექტაკლში რეჟისორს, უდიდესი პროფესიონალიზმით აქვს ნაჩვენები, როგორია მათი ყოფა... ყოფა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ერთ დროს არ აკლდათ მაყურებლის სიყვარული. რომლებიც ერთ დროს სცენას "აზანზარებდნენ"...მოხუცთა პანსიონში, მათი ოცნება, სალაპარაკო თემა, ცხოვრების აზრი, ისევდა ისევ სცენაზე დადგომაა. ყველაფერს გაიღებენ, ოღონდაც ეს სურვილი აისრულონ... იმდენად დიდია მათი მონდომება, რომ მოხუცთა თავშესაფარში, თავად დგამენ სპექტაკლს და თავის თავს (უაზრობაში დაკარგულს) პოულობენ.

მოხუცთა თავშესაფარის ბინადრები, პატარა ბავშვებივით, ერთმანეთთან კინკლაობაში და ერთი მეორის გაშველებაში არიან. ამავე დროს ერთმანეთს დარდს უზიარებენ და ახალისებენ კიდეც...სცენაზე მდგომი, ყველა მსახიობი საოცარი პროფესიონალიზმით ასრულებს თავის როლს. საოცრად კარგად ამბობენ თავის გმირის სათქმელს. თითოულ მათგანს ზუსტად მიაქვს თავისი სათქმელი, თავისი სევდა, მაყურებლამდე... სპექტაკლის მსვლელობისას, მაყურებელიც გმირების ცხოვრებით ცხოვრობს... ცხოვრობს იმ გმირების ცხოვრებით, რომლებიც სადღაც კულისებში

ტოვებენ თავის განცდებს (ტკივილს) და მაყურებლის თვალწინ, უნდათ თუ არა, მაინც "ჯამბაზობენ"...

სპექტაკლს ლეიტმოტივად სევდანარევი ღიმილი გასდევს. ერთდროულად შეიძლება ცრემლიც მოგადგეს და გაგეცინოს კიდეც... მოხუცები ერთმანეთს აძლებინებენ, ერთმანეთის ატანითა და გატანით ცხოვრობენ... მსახიობები, მონოლოგების გზითაც, საოცრად მაღალ დონეზე წარმოაჩენენ თავისი გმირის სათქმელს, წარსულს და დღევანდელ ყოფას...

სპექტაკლის ფინალში, ეკრანზე (სპექტაკლის მონაწილე) გარდაცვლილი მსახიობების ხილვის ემოციაც და განცდაც გვქონდა მაყურებელს... სცენაზე, ეკრანიდან გვიყურებდნენ დიდი არტისტები: გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა, ზინაიდა კვერენჩხილაძე... მათ ეკრანზე გამოჩენას, მაყურებელთან ერთად, ტაშით ხვდებოდნენ პარტნიორი კოლეგები და მათი შემცვლელი მსახიობები... გურამ საღარაძის, მედეა ჩახავას, ზინაიდა კვერენჩხილაძის გარდაცვალების შემდეგ "მოხუც ჯამბაზებში" მათი როლები - თენგიზ გიორგაძემ,

მანანა გამცემლიძემ, დარეჯან ხარშილაძემ შეასრულეს... თითქმის ათი წლის განმავლობაში სპექტაკლი სცენიდან არ ჩამოსულა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათი წლის განმავლობაში, როგორც პირვანდელი, ასევე ახალი შემადგენლობით, სპექტაკლის არსებობა (ცხოვრება) მხოლოდ და მხოლოდ უსასრულო გამარჯვებათა გალა იყო... ყოველი რიგითი სპექტაკლი ახალ-ახალი გამარჯვების მომტანი იყო, როგორც შემოქმედებითი ჯგუფისათვის, ასევე მაყურებელთა უზომოდ დიდი გუნდისათვის...

რეჟისორს, გოჩა კაპანაძეს, უხვად ჰქონდა გამოყენებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ეპიზოდები, რაც სპექტაკლს განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა...რეჟისორის საოცრად მიზანმიმართულმა, პროფესიონალურმა ხედვამ, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ელემენტების უხვად გამოყენებამ, სპექტაკლი ზეიმის დონეზე აიყვანა... მაყურებელს ალბათ ახსოვს, რომ მთელი წარმოდგენა გათამაშებული იყო ერთ სივრცეში, რომლის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ზეიმის მონაწილენი თავადაც იყვნენ.

უნიჭიერესმა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ, რუსთაველის თეატრის ლეგენდარულ არტისტებთან ერთად, შემოქმედებითი კუთხით, მაღალ დონეზე დაგვანახა სპექტაკლის (პიესის) ყველა პერსონაჟის თავგადასავალი და სულიერი მდგომარეობა... რეჟისორმა პროფესიონალურად, შემოქმედებითად მაღალ დონეზე დაგვანახა სპექტაკლის პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტიც და მაყურებელზე გათვლილი, მათი ყოფის სანახაობითი სურათიც...

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი "მოხუცი ჯამბაზები", რომელიც აღარ არის რუსთაველის თეატრის რეპერტუარში, არის ეპოქალური სპექტაკლი, რომელიც არასოდეს დაავიწყდება მაყურებელს...სამწუხაროდ, აღდგენილ სპექტაკლს- კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე, ზაზა ლებანიძე და მარი ჯანაშია გამოაკლდნენ... როგორც მაყურებელი ვისურვებდი, რომ კვლავ მენახა "მოხუცი ჯამბაზები", ქართული თეატრის სცენაზე... ვისურვებდი, რომ ზეციურ საქართველოში გადანაცვლებული მსახიობები კვლავ ღირსეული არტისტებით ჩანაცვლდეს, რომელთა მიგნების და ხედვის დიდოსტატი, რეალურად გახლავთ თანამედროვეობის უნიჭიერესი რეჟისორი გოჩა კაპანაძე... მახსენდება ლეგენდარული კახი კავსაძის სიტყვები: "ნეტავ იქ თეატრი არის?"

როგორც მაყურებელი ვისურვებდი, რომ მარადიულ სიცოცხლეში გადასულ მსახიობებთან-გურამ საღარაძესთან, მედეა ჩახავასთან, ზინაიდა კვერენჩხილაძესთან ერთად, განახლებულ, გაცოცხლებულ "მოხუც ჯამბაზებში", ზეციურ თეატრში გადასული მათი კოლეგებიც ვიხილოთ... სცენაზე, ეკრანზე-კახი კავსაძის, ზაზა ლებანიძის, ჯემალ ღაღანიძის, მარი ჯანაშიას პერსონაჟებსაც მოვეფეროთ და მარადიულ სიცოცხლეში, ზეციურ თეატრშიც, ტაშით მივაგოთ პატივი...

პატივისცემით, მაყურებლის პოზიციიდან

OLD CLOWNS

"Old Clowns" is no longer in the repertoire of the Rustaveli Theater. But it is a play that I will never forget; the play that I don't even remember how many times I saw; the play that was always sold out; the play that took a particular place in the recent history of the theatre; and a performance that I miss very much.

Quite by chance, I came across the carefully preserved program of Rustaveli Theater's play "Old Clowns", and as an audience, I couldn't turn to the page without expressing my honest opinion... From the cover of the program, the character of the play - Kote (Kakhi Kavsadze), smiles at me. I opened it and read:

Ronald Harwood

Old clowns

A small scene

It was translated into Georgian by Tamaz Goderdzishvili and Gocha Kapanadze, director - Gocha Kapanadze, artist - Ana Ninua, musical arrangement - Gocha Kapanadze, choreographer - Kote Furtseladze, concertmaster - Salome Djijeishvili, assistant director - Grigol Tateishvili.

Acting persons and role players:

Kote - Kakhi Kavsadze, Grigoli - Tengiz Giorgadze, Lola - Zaza Lebanidze,

Tamari - Darejan Kharshiladze, Shalva - Jemal Ghaganidze, Alexandra - Marina Kakhiani, Eliso - Manana Gamtsemlidze, Nina - Mari Janashia.

As far as I remember, the play was staged in 2008 on the small stage of the Rustaveli Theatre. According to the play's content, the action takes place in an old people's home. The home's residents are creative people—opera singers and actors—who, due to old age, were destined to leave the stage and live in a Nursing home.

According to the play's content, the sad reality is highlighted that the old artists were ostracized, rejected by their colleagues, society, relatives, friends, and even family members and left for solitude. In the play, the director shows what their existence is with outstanding professionalism, the existence of people who at one time did not lack the love of the audience. Who once resounded the stage from fame and achievement. In the nursing home for older people, their dream, conversation topic, and meaning of life is to be on the stage

again. They would have given anything but to fulfil this desire... their determination is so great that they stage a play in the nursing home and find themselves lost in meaninglessness.

The nursing home residents are like little children; they constantly argue with with each other, and then soon get back together. At the same time, they share their sorrows and even cheer each other... All the actors standing on the stage perform their roles with fantastic professionalism. They say what their hero has to say surprisingly well. Each one of them brings precisely what they have to say, their sadness, to the audience... during the play, the audience also lives the life of the characters... they live the life of those characters who leave their painful feelings somewhere behind the scenes and "clown" in front of the audience, whether they want to or not.

The leitmotif of the performance is a smile mixed with sadness. It can make you cry and laugh at the same time. The old people support each other; they live by supporting and bearing each other. Actors, through monologues, present their hero's words, past and present life at an amazingly high level...

In the performance's finale, the audience had the emotion and feeling of seeing the dead actors on the screen (participating in the performance)... On the stage, great artists watched us from the screen: Guram Sagaradze, Medea Chakhava, Zinaida Kverenchkhiladze... Their appearance on the screen, along with the audience, was met with applause by their partner colleagues and the colleagues who played after their deaths, replacement actors... After the death of Guram Sagaradze, Medea Chakhava, and Zinaida Kverenchkhiladze, their roles in "Old Clowns" - Tengiz Giorgadze, Manana Gamtsemlidze and Darejan Kharshiladze performed... for almost ten years, the play did not leave the stage... It can be safely said that for ten years, both with the original and the new composition, the existence (life) of the play was only a gala of endless victories... Each regular performance brought a new win for both the creative team and the vast audience...

The director, Gocha Kapanadze, abundantly used musical and choreographic episodes, which added a unique charm to the play. The director's incredibly purposeful, professional vision and the abundant use of musical and choreographic elements raised the play to the level of celebration. The audience probably remembers that the entire performance was staged in a space where they participated in the musical and choreographic celebration.

The talented director Gocha Kapanadze and the legendary artists of the Rustaveli Theatre showed us the adventures and spiritual condition of all the play's characters at a high level from a creative point of view... The director professionally and creatively showed us both the psychological portrait of the play's characters and the spectacular picture of their being aimed at the audience.

As I said at the beginning of the letter, "Old Clowns", which is no longer in the repertoire of the Rustaveli Theatre, is an epoch-making play that the audience will never forget... Unfortunately, Kakhi Kavsadze, Jemal Ghaganidze, Zaza Lebanidze and Mari Janashia were missing from the restored play... As an audience member, I wish I could see "Old Clowns" again on the stage at the Georgian theatre... I want the actors transferred to Heavenly Georgia to be replaced by worthy artists; finding and choosing relevantly gifted actors and actresses can easily manage the most talented director of our time, Gocha Kapanadze...

I remember the words of the legendary Kakhi Kavsadze: " Is there a theatre there?"

As an audience, I would like to see, together with the actors Guram Sagaradze, Medea Chakhava, Zinaida Kverenchkhiladze, who have passed on to eternal life earlier, in the renewed, revived "Old Clowns", their colleagues who have also passed later to the heavenly theatre... on the stage, on the screen - Kakhi Kavsadze, Zaza Lebanidze, Jemal Ghaganidze... Let's caress Mari Janashia's characters and applaud them in eternal life in the heavenly theatre...

Sincerely, from the position of the viewer - Irma Kekelidze

საბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი

ბუნება და ბავშვები

როგორი და რის ფერია?

ზ ა ფ ხ ულ ი - მზის სხივებივით.,
ცხელია და ყვითელია,
რადგან წყალი გვახსენდება,
ალბათ კიდევ, ზღვისფერია.

ზ ა მ თ ა რ ი - კი თოვლის ფერი,
ცივია და რის ფერია?
რადგან თოვლი ციდან მოდის
გვგონია რომ ცის ფერია.

გ ა ზ ა ფ ხ ულ ი - ფერადია,
პეპლების ფრთების ფერია,
ჩითებივით ჭრელიც არის
და... ყოჩივარდებისფერია.

შ ე მ ო დ გ ო მ ა - ჭრელია და
თითქოს ფოთლების ფერია,
ხილი ბევრზე ბევრია და
თანაც წითელ-ყვითელია.

ცისარტყელა

ცისარტყელას ფერები
წვიმის შემდეგ ჩნდებიან,
ერთმანეთის ადგილას
კი არ ისახებიან.
გაიხედავ აქეთ-იქით,
უამრავი ფერია,
ცისარტყელას ზოლებში კი
ღვთის მადლი ურევია.
კაცთა მოდგმას სანუგეშოდ
უფლისაგან გვეძლევა,
ცისარტყელა ნუგეშია
და ნუღარ წაგვერთმევა.
ი-მზირება ლ-ურჯი ც-იდან
მ-ზე ყ-ველა ნ-აკლს
წ- არმოაჩენს
და რომ აღარ გაგიჭირდეს,
ფერებს რიგით აღმოაჩენ.

ჭრელა-ჭრულა

ჭრელა-ჭრულა ფოთლები,
სათითაოდ სწყდებიან,
მოეწყინათ ხის ტოტზე,
ფეხქვეშ დაგვეგებიან.
ეშინიათ სიცივის
ზამთარს ელოდებიან,
დაიბადნენ მიწისგან,
მის გულს უბრუნდებიან.
იძინებენ ღრმა ძილით,
სადღაც იკარგებიან,
გაზაფხულზე ახლიდან,
ხეზე როგორ ჩნდებიან?

ფიფქები ზეციდან



ზამთარში ხომ ყოველთვის
ფანტელებს მოელიან,
მოხატული ფიფქები,
მოუთმენლად სწყდებიან.
გზაში კი არ დნებიან,
ერთურთს მიეკვრებიან,
უფრო დიდ დიდ ფანტელად
ხელზეც გვიან დნებიან!
თოვს და თეთრი ფიფქები
თავზეც დაგვეყრებიან,
დედამიწას ლოდინით
გული გასციებია;
თოვლის საბანს იფარებს,
სხვას არაფერს იკარებს,
თოვლი, ფიფქი, ფანტელი,
თავის ადგილს იკავებს.
ჟრიამული, ყიჟინა;
გუნდაობა,სრიალი,
რა კარგია ზამთარი,
დიდ თოვლში კოტრიალი.

ჟუჟუნებს წვიმა

წყნარად ჟუჟუნებს წვიმა,
წყალი წანწკარებს მილში,
არსად არ ეჩქარება,
წვიმა დღეს ჩვენთვის იცლის.
ახლა მოვძებნოთ ქოლგა,
საწვიმარი და ბოტი,
რომ არ დავსველდეთ უცებ,
წვიმა მიდის და მიდის..
გუბეს დავეძებ ყველგან
წვიმა ნაკვალევს ტოვებს,
მაგრამ მე ვერ მაშინებს
ბოტებით დავაბოტებ.

ია და წვიმა

შეხეთ იის ფოთლებზე
წვიმასა აქვს ფერხული
—გაიღვიძე ია ია,—
შენთანა ვართ მოსული...

მალე მზე გამობრწყინდება
სხივებს გულში ჩაიკრავ,
შენი ნაზი სურნელი, რომ
აქეთ - იქით დაიფრქვას.

პეპლებს დავეძებ

ეზოში პეპლებს დავეძებ,
სად დაიმალნენ ნეტავ?
თუ კი სამი დღე ცოცხლობენ
მერე კვლავ როგორ ჩნდება?
შეფარებული იქნება
პეპლის კვერცხები სადღაც.
გაზაფხულს ელოდებიან
ისევ რომ დათბეს, ალბათ.
ბუნება გამოიღვიძებს,
სითბო სიცივეს შესცვლის
პეპელაც დაიბადება
გაიჩეკება კვერცხი.
მუხლუხო ჭუპრად იქცევა
მერე პეპელა ჩნდება
და მათი ფრენა -ფარფატი
ახლიდან დაიწყება.
წითელ -ყვითელი, ჭრელები
შემოიფრენენ ეზოს,
ფერად ყვავილთა ძებნაში,
ნექტარად გამოდგესო.

წრეზე ხეტიალი

წელიწადი ბრუნავს
განა გეკითხება?
ერთ დროს მეორე სცვლის,
განუწყვეტლად ...ხდება.

ვერ მოასწრებ რამეს?
გსურს რომ დაიცადოს...
ნურას უკაცრავად
სჯობს არ გაისარჯო;

ბატონო ჰყავს ერთი
წელიწადის დროებს,
თუნდაც შეეხვეწო,
მაინც მიგატოვებს.

წრეზე ხეტიალით
დრო არ დაიღლება
წელიწადის ბრუნვა
არასდროს მთავრდება.

მოხერხებული მელა

მელამ სორო გამოხვეტა,
ზამთრისათვის მოამზადა,
ყოველი შემთხვევისათვის
გასაქცევიც მიამატა.
როცა ქათმებს იპარავდა
გამოუდგა ავი, მურა,
მელამ თავი დააღწია
თავის სოროს მიაშურა.
მაგრამ ძაღლი არ მოეშვა
მისი სორო გადათხარა;
მაგრამ მელა ვერ იპოვა...
ის სულ სხვა გზით გაიპარა!

დღნაშვი

კუდფუმფულა ციყვუნია,
სად გაქვს შენი ფუღურო,
მოაგროვებ თხილს და გირჩებს,
ტკბილი ძილი გისურვოთ;
ადრიანად გაიღვიძებ
არბიხარ და ჩარბიხარ
იქნებ კიბე მიაყუდო,
ამდენს როგორ დადიხარ?
პატარა ხარ, სულ არ ზარობ
ხიდან ხეზე ხტომასა,
აბა ერთი შეეკითხე
შენს ბიძია თომასა,
ასაკი, რაც მოემატა
შეუყვარდა ფუღურო,
ასვლა-ჩასვლა ისე უჭირს...
შორიდან არ უყურო.
სჯობს უფროსებს დახმარო,
მათზე ზრუნვა იკისრო,
და სხვას ისე მოექეცი,
შენს თავს, როგორც უსურვო.

ბროწეულები

წითელკაბა ბროწეულებს
ხეზე ყოფნა მიეწყინათ,
მალე გაიხლიჩებიან
მარცვლებს აჩენენ დილიდან.
დაეჭიმათ უკვე კანი,
შემოასკდებათ ის ხელად,
დაკრეფავ და გაიხარებ
ნაყოფს მოკრეფ უეჭველად.
შემოდგომის ფერებს ავსებს,
წითელი ბროწეულები,
უნდა ბევრი ნერგი დავრგო,
დიდი, როცა გავიზრდები!

პოემები

ბელა მოდება

I. თავი

წუხელ სიზმარი მესიზმრა
თითქოს ხილვაა ნამდვილი,
აღმოვჩნდი,სადღაც მინდორთან
და ვიდექ, როგორც აჩრდილი.

ირგვლივ არ იყო, არც მთები
და არც პატარა მდინარე,
ქალი შევნიშნე შორიდან
და მასთან მისვლა ვინატრე

გავხედე, ცოტა მეშორა
გზებიც ვერ ვნახე სავალი,
მგზავრიც კი არსად მოჩანდა,
სადმე ბილიკზე მავალი.

უცებ ჩავფიქრდი, სევდაც მკლავს,
ვერ გადამიდგამს ნაბიჯი,
ვფიქრობ რამე გზა მოვძებნო
დროც კი არ მრჩება ამისი.

თითქოს ვიღვიძებ, არც მინდა
გამოღვიძება სიზმრიდან,
თან მინდა, თანაც არ მინდა
გამობრუნება იქიდან.

დიდხანს ვებრძოლე სიფხიზლეს
და განთიადმაც მომისწრო,
მზის სხივებმაც კი სითბოთი
თვალზეც ცრემლები შემიშრო.

თითქოს მოვეშვი, უეცრად,
ძილი ძალიან მინდოდა,
წამთვლიმა ისევ აღმოვჩნდი,
აბიბინებულ მინდორთან.

თუკი, მანამდე ვერ ვნახე
ამ ქალთან მისასვლელი გზა,
ახლა ბილიკიც გამოჩნდა
და მოწმენდილი ლურჯი ცაც.

მივუახლოვდი, შევხედე,
ჩაძირულიყო ცრემლებში,
ვუცქერდი, მის ნატანჯ სახეს
და სათქმელ სიტყვებს ვეძებდი.

ჩურჩულით ვუძღვენ სალამი
თითქოს შეცბუნდა, შეშინდა,
ფიქრიდან გამორკვეულმა
გაოცებისგან შეჰკივლა.

მითხრა, აქ როგორ აღმოჩნდი,
რატომ ან რისთვის მოხვედი,
თითქოს ნაკვალევს ჩუმჩუმად
ჩემსას, ფეხდაფეხ მოსდევდი.

რომ დავასრულეთ მოკითხვა
საუბრით გულიც ვიჯერეთ,
ვკითხე, აქ როგორ აღმოჩნდი,
იქნებ, ვეღარც კი იხსენებ.

II. თავი

ნაღვლიან-ცრემლმორეულმა,
თითქოს, ჩურჩულით დაიწყო,
და ყველა სიტყვა თანწყობით
ჩემს გულის ცემას აუწყო.

მითხრა, არც ვიცი რა გითხრა
ანდაც, საიდან დავიწყო,
ყოველი ბედნიერება
ჩემს ტანჯულ წლებმა წაიღო.

პატარა ვიყავ, სულ მახსოვს,
ის ჩემი დიდი ოჯახი,
გვერდით მშობლები, და-ძმანი,
სახლი კი, ჩემი ოთახით.

ბებიკოს ტკბილი სიმღერით
გადარწეული აკვანი,
სადაც შობილხარ, ხომ იცი,
ბედნიერებაც იქ არის.

მეტი რა უნდა გვენატრა
ყველა ვშრომობდით, ვწვალობდით,
დრო გადიოდა, ნელ-ნელა,
ცხოვრების წესებს ვსწავლობდით.

დიდხანს არ გაგრძელებულა
ბედნიერება ოჯახში,
და ყველაფერი, რაც გვქონდა,
თითქოს დასრულდა ერთ წამში.

ყოველღამ გაღვიძებულსა
მესმოდა დედის ქვითინი,
ბედნიერებას, დარდი ცვლის
ღიმილს კი ცრემლის ჩივილი.

კითხვა არც ღირდა, ვხედავდით
დედის ცრემლების მიზეზსა,
მამა წავიდა, დაგვტოვა
გაუყვა თავის ფიქრებსა.

გონზე მოსვლა ვერ მოვასწარ
რაც მოხდა, ვერ გავიაზრე,
ჩემი წარსულის ამბავი
დღეს, შენ პირველად გიამბე.

III. თავი

უმამოდ დარჩენილები
შემოვრჩით დედის ამარა,
იმ ტკივილს, რასაც ვიტანდით
ჩვენ ვიცით მხოლოდ, სხვამ არა.

პირველ ხანებში ყველასთვის
თითქოს დასრულდა აღმასვლა
ვფიქრობდით, ეს ტრაგედია,
ცხოვრებამ დაღად დაგვასვა.

დედის ფიქრები მუდმივად
დაგვტრიალებდა გარშემო,
იტყოდა, ეს განსაცდელი
რად მომივლინე გამჩენო.

სწავლისთვის მოწყურებული
მუდამ ვიყავი ფხიზლადა,
შორს ჭვრეტდა ჩემი გონება
სულს, ბრძოლა ქონდა მიზნადა.

დრო გადიოდა, მიქროდა
წლები, თვეები, წამები,
ოჯახის ბურჯად ვიქეცი
თან გზისკენ მქონდა თვალები.

და ვოცნებობდით ყოველდღე
ჩვენს გვერდით ყოფნას მამისა,
დღეს-კვირას ცვლიდა, თვეს წლები,
ხმაურს-სიჩუმე ღამისა.

ცხოვრებას თავის წესი აქვს
ბევრს გააცინებს, ახარებს,
ზოგს დიდ განსაცდელს მოუვლენს
ეკლიან გზებით ატარებს.

მდიდარს უშენებს ცის კოშკებს
ღარიბს, ხის ქოხსაც დაუნგრევს,
უტვინოს თვალს დაუხუჭავს
ჭკუა-გონებას აურევს.

ყოველღამ ამგვარ ფიქრებში
გულს, დარდი მიტარებია,
ოჯახის ტვირთით გადაღლილს
სულიც კი მიწამებია.

დედა, გულს მიმიხუტებდა
ვანუგეშებდით ერთმანეთს,
ცრემლს შემიშრობდა, მკოცნიდა
თან მარიგებდა ერთ რამეს.

კარგად ისწავლე, იშრომე
და დაისახე მიზანი,
მცნებას არ გადაუხვიო
მტერიც-მოყვარედ იცანი.

თავი, არასდროს დაკარგო
ცუდს დაგარიგებ მე-განა?!
პატიოსნებით, ღირსებით
გამოადექი ქვეყანას.

ყურს ჩამესმოდა ყოველთვის
დარიგებები დედისა,
იმედი ვიყავ მეგონა,
ოჯახის, თავის, ქვეყნისა.

IV. თავი

დრო გადიოდა, ტკივილიც
ნელ-ნელა გვიყუჩდებოდა,
ჩვენს წარსულ მოგონებებზეც
გული არ გვიჩუყდებოდა.

წამოვიზარდეთ, დავქალდით
ძმაც კი მოგვესწრო,დაკაცდა,
ვთვლიდით, რომ ჩვენთან ჭიდილში
ცხოვრება მკაცრად დამარცხდა.

დადგა დრო სასწავლებლისკენ,
რომ გადამედგა ნაბიჯი,
ცუდზე რად უნდა მეფიქრა
განა დრო მქონდა ამისი?

სტუდენტიც გავხდი, ვფიქრობდი,
ყველა სურვილი ამიხდა,
გულში მალული შიშებიც
თითქოს უეცრად გამიქრა.

ცხოვრების ახალ ეტაპზე
დგომა, ძალიან მომწონდა,
ცუდი წარსულში დავტოვე
აწმყოს, რა უნდა მომსვლოდა.

თანატოლ გოგო-ბიჭები
ყველა ხალისით ვტკბებოდით,
ჯერ სწავლით გულს ვიჯერებდით
მერე კი ავმღერდებოდით.

აღარ მიწევდა ყოველდღე
დარდის და ფიქრის ატანა,
მაგრამ ამ იდილიამაც
რამდენიმე თვეს გასტანა.

ქალი გავიცან შემთხვევით
შავი ძაძებით მოსილი,
დარდისგან სახე შეშლოდა
თავის ბედს იყო მორჩილი.

არც ისე დიდ ასაკისას
ჯანი, მთლად მოხუცებოდა,
თმას, შეპარვოდა ჭაღარა
თოვლივით გათეთრებოდა.

მის სახემ თვალი მომტაცა
შემორჩენოდა სინაზე,
ვუთხარი, ნუ დაეცემი
გამაგრდი, მტრების ჯინაზე.

თავს უნდა შემოუძახო
უნდა გაერთო საქმეში,
ვფიცავ ღმერთს, გული მიკვდება
გხედავ, ჩავარდნილს ამ დღეში.

თავი ასწია, შემხედა
იქვე ჩამოჯდა კიბეზე,
მითხრა ტანჯული ეს გული
გამითბა მაგ შენს სიტყვებზე.

V. თავი

მჭირდება, ვინმეს ვუამბო
თავს გადამხდარი ამბავი,
ვუთხრა, არასდროს არ მქონდა,
ცხოვრება, როგორც ზღაპარი.

პატარას, თითქოს თამაში
სულაც არ გამხსენებია,
ზოგჯერ, საქმითაც გადაღლილს
ძილიც კი არ მღირსებია.

ოჯახს უჭირდა, მშობლები
დღედაღამ მძიმედ შრომობდა,
საახლობლოშიც ყველანი
თავის ცხოვრებით ცხოვრობდა.

წამოვიზარდე, ლამაზიც
ვიყავი შეხედულადა,
ოჯახშიც დედის იმედად,
ვრჩებოდი ძველებურადა.

ჩემი ტოლ გოგო-ბიჭები
დამტრიალებდნენ გარშემო,
მიყვარდა მათთან ყოფნა და
ტკბილი, სათუთი გარემო.

ბევრი მეტრფოდა, ვუნდოდი,
ზოგიც, მტრად გადამეყარა,
მე , მხოლოდ ერთი მიყვარდა
გულს სიტკბო გადამეშალა.

ამ სიყვარულით შევქმენით
ჩვენი პატარა ოჯახი,
ბიჭებიც გაჩნდა, ფუძეც გვაქვს
თავისი თბილი ოთახით.

დალხინებულად არ ვიყავ,
მაგრამ ვხარობდით, ვლაღობდით
ერთურთი ძლიერ გვიყვარდა
თავის გატანას ვსწავლობდით.

წამოგვეზარდნენ ბიჭებიც
ერთი-მეორის იმედად,
შვილი, ხომ დიდი მადლია
ღვთის ბოძებული ისედაც.

დილით, სახლიდან გასულსა
მანძილი მიშორდებოდა,
ვეღარ გამეგო მე ბედშავს
გული, რად მიღონდებოდა.

თავზარდამცემი დღეც დადგა
დედა-შვილს ემშვიდობება,
და ცის კიდემდე გაისმის
შვილმკვდარი დედის გოდება.

დავკარგე შვილი, მეც მოვკვდი
მის მერე დავალ ეული,
ღმერთო, ასე რად დამსაჯე
სიკვდილო, იყავ წყეული.

მე კი ვიჯექი, ვუსმენდი,
თვალთაგან ცრემლი მდიოდა,
გავქვავდი, ვერას ვამბობდი
ან სათქმელს ვინღა ჩიოდა.

ვფიქრობდი, რატომ მოასწარ
შვილის სიმწარის ტკივილსა,
ღმერთო, არ უნდა უსმენდე
შვილ მკვდარი დედის ჩივილსა.

რომ გადავხედე ჩვენს წარსულს
საერთო ბევრი აღმოჩნდა,
დალხინებული ცხოვრება
განვლილი არც ერთს არ გვქონდა.

ჩავთვალე უფლის განგებად,
ჩვენი შეხვედრა, კავშირი,
სულის ფიალაც მინდოდა,
სავსე და არა დაცლილი.

VI თავი

დავემშვიდობე წამოვედ
გულ-დამწვარ-სულდათუთქული,
გონებას აღარ შორდება
მისი სახე და ჩურჩული.

სასწავლებელში ყოველდღე
გონება მისკენ მიხმობდა

ალბად გრძნობდა, რომ ვეძებდი
თავადაც დიდ დროს მითმობდა.

ასე ნელ-ნელა, ჩუმ-ჩუმად
დღეები სწრაფად გარბოდა,
უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებთ
ხომ ხედავ?!... ხშირად ამბობდა.

მეც ვგრძნობდი, როგორ თანდათან
შემოვეჩვიეთ ერთმანეთს,
ერთ დღესაც შემომიბრუნდა,
მითხრა, გთავაზობ ერთ რამეს.

იცი, როგორაც მიყვარხარ
არც შენ ხარ ჩემთან გულგრილი,
აღარაფერი მახარებს,
მხოლოდ ერთი მაქვს სურვილი.

ერთიღა შემრჩა ვაჟკაცი
ჩვენი ოჯახის იმედად,
შენი თავი კი უფალმა
მაჩუქა სულის სიმებად.

ჩემი რძალი თუ გახდები
აღარ მოგაკლებ არაფერს,
ისეთ აურას ასხივებ
გულს მითბობ, მზისებრ ანათებ.

არც, დაფიქრება მაცადეს
არც, ჩემი აზრის გამოთქმა,
ყველა საქმეში ჩაერთო
ვინც კი გზა და გზა გამოჩნდა.

ნიშნობაც გადავიხადეთ
მალევე მოყვა ქორწილიც,
ვერ გავიაზრე რაც მოხდა,
მაგრამ ბედს ვიყავ მორჩილი.

და ვითომ ბედნიერება
უბედურებად გადიქცა,
როგორც შეივსო ფიალა
ისე წვეთ-წვეთად დაიქცა.

VII თავი

რძალ-დედამთილის როლები
ვერც ერთმა, ვეღარ მოვირგეთ,
რა სურდა ვერ გამერკვია
ვეღარც მის გული მოვიგე.

ჩემებსაც გადაეკიდა
ვერ მოსულიყვნენ ოჯახში,
მე კი, ყოველღამ ტირილში
მათენდებოდა ოთახში.

დედაც კი ვერ მოდიოდა
ასჯერ გამიგდო სახლიდან,
ყოველდღე მიახლდებოდა
ძველი ტკივილი ახლიდან.

მადლობა უფალს, რომ მყავდა
ქალიშვილები პატარა,
და მათთან ერთად ცხოვრებამ
აღმართ-დაღმართი მატარა.

წლების მანძილზე ხდებოდა
გაშორებ-გამოშორება,
მსგავსიც კი არსად მინახავს
ასეთი ამოჩემება.

მე კი შვილმკვდარი დედისთვის
მიჭირდა ენის ტრიალი,
მეცოდებოდა, რადგანაც
ცხოვრება ჰქონდა ტიალი.

სამსახურიდან მოსული
მიზეზს ეძებდა, კიოდა
მკერდში მუჭს ისე მირტყამდა
მთელი თვეები მტკიოდა.

ამის შემყურე ბავშვები
შიში-კანკალით ყვიროდნენ,
რამდენჯერ შეშინებულნი
მეზობლებისკენ მირბოდნენ.

გავიქცეოდით სოფელში,
რომ არაფერი არ მეთქვა,
მის დამშვიდებას, დაცხრომას
არა, საშველიც არ ედგა.

მეც, უცებ მავიწყდებოდა
ძველი წყენა და დარდები
ვფიქრობდი ესეც გაივლის
წელშიდაც გავიმართები.

მაგრამ კოშმარი კოშმარად
რჩებოდა, წლების მანძილზე,
ხან თვითმკვლელობას ვეცადე
ხან ზღურბლს ვერ გადავაბიჯე.

VIII თავი

იმ ხანად, რთულ პერიოდში
ხალხი გასაჭირს დარდობდა,
ვისაც შეეძლო გაქცევა
ყველა ქვეყნიდან გარბოდა.

მეც თავში მიტივტივებდა
მსგავსი ფიქრები ეული,
მაგრამ შვილების დათმობას,
არა, არ ვიყავ ჩვეული.

გამოსავალი არ მქონდა
არჩევანს, დიდხანს ვეძებდი,
მათ, რომ არ გავრიდებოდი
სიცოცხლეს ვეღარ შევძლებდი.

ერთ დღესაც გამოვაცხადე
ოჯახში, ჩემი განზრახვა,
და ისე მშვიდად მიიღეს
მითხრეს, მერე არ გადათქვა.

მეგონა, ვინმე მეტყოდა
ნუ წახვალ, ჩვენთან იყავი,
ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ
მთელი ცხოვრება წინ არის.

დავემშვიდობე ყველას და
ცრემლი, წვიმებად მათოვდა,
შვილებთან, ჩემს განშორების,
წუხილს, საზღვარი არ ჰქონდა.

მიყვარდა ჩემი სახლ-კარი
თითქოს გასვლას ვერ ვბედავდი,
რას ვიფიქრებდი ყველაფერს
იმ დღეს ბოლოჯერ ვხედავდი.

სულმკვდარმა - გულგაგლეჯილმა,
დავტოვე, ჩემი შვილები,
ყურში ჩურჩულით ვუთხარი
მალე, თქვენს გვერდით ვიქნები.

მიწასაც მოვწყდი, შვილებსაც
ჩემი რეისიც აფრინდა,
რაც კი რამ გამოვიარე
დღეს გახსენებაც არ მინდა.

აფრინდა, გადავიხვეწე
უცხო გზას, უცხო ტომივით,
დარდი, ცრემლი თუ ტკივილი
გულზე დამაწვა ლოდივით.

IX თავი

თურმე, რა ძნელი ყოფილა
უცხოდ, ნაბიჯის გადაგმა,
სხვა ხალხი, სხვა ტრადიცია,
მათ ყაიდაზე გადასვლა.

ბედად, კეთილი ქართველი
უფალმა გამომიგზავნა,
ჩემი ცხოვრების ახალი,
ფურცელიც გადაიშალა.

მეხმარებოდა ყოველ წუთს
ლაპარაკსა თუ საქმეში,
საშველად თუ მოვიხმობდი
გადმორეკავდა წამებში.

მან შემასწავლა პირველად
ჩემთვის უცნობი სიტყვები,
ამისთვის მთელი ცხოვრება
მის მადლიერი ვიქნები.

შესვენების დროს გასული
მეგობრებს ვეკედლებოდი,
ტირილისა თუ ცრემლისთვის
არავის ვემეტებოდი.

მართლა ძალიან მიჭირდა,
შეწყობა, ახალ ოჯახთან,
მათი არც ენა მესმოდა
სულიც კი შიშით ბორგავდა.

საბედნიეროდ მოხუცი
შვილიშვილებით, შვილებით,
თბილი და ტკბილი აღმოჩნდა
გულიც შემევსო იმედით.

მითხრეს, ნუ ღელავ ოჯახში
გვინდა, შვილივით მიგიღოთ,
ნუ შიშობ, თუ კი არ გესმის
ისწავლი, ნუ ნერვიულობ.

წამით დავიბენ, დავდუმდი,
თვალი, ცრემლებით ამევსო
და იმ წუთიდან ყოველი,
დილა ხალისით დამეწყო.

მეჯდა, მოხუცი ბაბუა
ისე, ვით მასწავლებელი,
ჩემი ყოფაც და ცხოვრებაც
არ მქონდა სანანებელი.

იცი, ამას რად გიყვები?..
ან ახსნა, რისთვის დამჭირდა,
უცხო ოჯახში, შვილად მცნეს
საკუთარმა კი გამწირა.

ნელ-ნელა თითქოს აღვდექი
ვიგრძენ ნათება შუქისა,
მთავარი იცით რა არის?!...
წყალობას გრძნობდე უფლისას.

უმუშევარი ამ წლებში
სულ ცოტახანი თუ ვიჯექი
საქმეც მშვენივრად ამეწყო
ფეხზედაც მყარად ვიდექი.

შვილები მენატრებოდა,
ის ჩემი ორი თილისმა,
მტანჯავდა, აღარ მინდოდა
გამონათება დილისა.

თუ გადამქონდა ტკივილი,
ისევ, მათი წყალობით,
ეკრანზე ვეფერებოდი
სულ მათთან ყოფნას ვლამობდი.

X თავი

დრო გადიოდა, ნაბიჯებს
უცხო გარემოს ვუწყობდი,
ერთ მოხუცს, მეორე ცვლიდა,
ჩემთან კი უფალს ვუხმობდი.

არ გეგონოს, რომ ადვილი
იყოს ყველაფრის ატანა,
უფალსაც მისთვის ვიხმობდი
სული არ ეპყრო სატანას.

ყველა მიყვარდა ამ ქვეყნად
ეს, ტანჯვაც არ მდომებია,
მაგრამ დღეს თუ რამ შემომრჩა
შვილი და მეგობრებია.

დედა და დედმამიშვილი
ჩემთვის ძლიერი მხარეა,
შვილებიც უკვე მომესწრო
გვერდით მყავს, როგორც ფარია.

ოჯახში ჩემზე აუგად
ხმას არვის აღებინებდნენ,
და ამის გამო სასჯელად
საყვედურებსაც იღებდნენ.

მათ ბევრ განსაცდელს გაუძლეს
უჩემოდ ტკივილს იტანდნენ,
ტირილით, გულიც დაღლიათ,
არსად, არაფერს იძახდნენ.

ვხედავდი, თითქოს არ აკლდათ
ოჯახში მოვლა-ალერსი,
მაგრამ სახიდან ღიმილი
თითქოს გაუქრათ სამ თვეში.

მეუღლეს ეკრანის მიღმა
უნდოდა, ჩემთან ედავა,
შარსაც იმავე წუთს მომდებდა
მლანძღავდა, მეძავს მეძახდა.

უნდოდა ფული მეგზავნა
კომუნალურის, ხარჯების,
ვეუბნებოდი იშრომე
დრო არ გაქვს ჩხუბის, დარდების.

შემდეგ შანტაჟებს მიწყობდა,
შვილებით მემუქრებოდა,
ოჯახს, შვილების იმედად
არავინ მეგულებოდა.

კარგს ჭამდა, კარგად იცვამდა
დარდი, არ ქონდა არაფრის,
ჭამა-სმა, ქეიფ-ქეიფში
ტოლს არ უდებდა არავის.

შორს ყოფნით შვილებისაგან
გული, საშინლად მტკიოდა
არც კითხულობდნენ სახლიდან
ცუდად ვიყავ თუ მშიოდა.

ვიტანდი ჩუმად ყველაფერს
დარდი უკვალოდ არ ქრება,
იცის უფალმა, არ მწადდა
ჩემი ოჯახის დანგრევა.

დეტალებს არ გავიხსენებ
თავად მიხვდები დანარჩენს
ყველა თავის ქცევით მოიწყობს
საკუთარ თავის განაჩენს.

XI თავი

დრო გადიოდა, თვეები, წლები,
დღეს-ღამე ცვლიდა, წამებს-წუთები,
მე კი ყოველდღე ეკრანის მიღმა
შვილების აღზრდას, სწავლას ვუნდები.

მაგრამ შორს მყოფი, ვიწმენდი ცრემლებს
ვამხნევებ, ვმოძღვრავ, არც ესმით თითქოს,
თან შიში მიპყრობს, ასეთ ასაკში,
ახალგაზრდები, რას აღარ ფიქრობს.

ვისაც შევძელი, ვუხმე საშველად
ვუხსნიდი, შვილებს როგორ უჭირდათ,
შემომაშველეთ, თუნდ ერთი სიტყვა,
მაგრამ ყველანი სეირს უცდიდა.

ყველა განს გადგა, გვერძე გამწია
არავინ არ იღო ყურად ვედრება,
გამწარებული დედის ქვითინის,
საცოდაობის არ აქვთ შეგრძნება.

სანამ იქ ვიყავ, თვალით მხედავდნენ,
მიცოდებდნენ და ყველა მაქებდა,
მაგრამ შორს მყოფს, რომ რამე დამმჭირდა
ზურგი მაქციეს, ყველამ გამყიდა.

ვერ ვიფიქრებდი საყვარელ ხალხში
უსამართლობა გამეფდებოდა,
ერთ დროს საქები ურთიერთობა
მომავალშიც არ გაგრძელდებოდა.

ბოლოს მივხვდი, რომ აღმოვჩნდი მარტო
ჩემს პრობლემებთან, სევდასთან, დართან,
ჯერ მოთქმით გული კარგად ვიჯერე,
მერე კი უცებ, დავფიქრდი „სად ვარ''?!...

ბედნიერებას ვეძებდი მუდამ
ვეფერებოდი, ყველა მიყვარდა,
ერთ-ტკბილი სიტყვის ღირსი ვერ გავხდი,
მაგრამ ცხოვრება, მაინც მიმყავდა.

დიდხანს ვწვალობდი, ვეძალებოდი
ვფიქრობ, კიდევაც დამაგვიანდა,
ოცდასამ წელმა, ტანჯვა-წამებით
გულზე „დავლურით'' გადამიარა.

XII თავი

და მანიც კვლავ ვთქვი, ვეჩვევი ფიქრებს
ოცნების კოშკებს აღარ ავიგებ,
ცივ რეალობას ვუსწორებ თვალს და
ჩემს სათქმელს ალბად ღმერთიც გამიგებს.

დაისადგურა ირგვლივ სიჩუმემ
წყვდიადმაც სწრაფად მოიცვა სული,
ფიქრებში ვეძებ გამოიდარებს
ტკივილით თითქოს გაჩერდა გული.

არ მიყვარს ღამის ბნელი წყვდიადი
ფიქრებიც მაშინ მერევა თავში,
როს გათენდება ასე მგონია
ცხოვრებას განვლილს მაშინვე წავშლი.

მაგრამ ვაი, რომ წარსულის ბილიკს
არ უწერია გადავიწყება,
არ წაიშლება უკვალოდ ვიცი
თუნდაც ეცადო თავდავიწყებას.

მინდა ველოდე გამოდარებას
და მიხაროდეს ყოველი დილა,
მშვიდად მაშინ ვარ საკუთარ თავთან
როცა ცხოვრება არ მაწნის სილას.

XIII თავი

ვიჯექ ვფიქრობდი, მე ხომ ქალი ვარ
და ოჯახია ჩემთვის მთავარი,
ბევრი ვიბრძოლე, ბევრი ვიწვალე,
მაგრამ არ გატყდა, მავან-მავანი.

დედის განვლილ გზის ნაფეხურებზე
შვილმა ფეხდაფეხ უნდა იაროს,
შემდეგ კი უკვე წელგამართულმა
ბედნიერებით უნდა იხაროს.

მე ხომ დედა ვარ დედა მებრძოლი
შვილებისათვის თავდადებული,
სახლში რომ გულში დარდებს ვიკლავდი
გარეთ კი ვიყავ თავაწეული.

რადგან მესმოდა, რომ სახლის ფუძე
ქალის მხრებზე დგას, შრომით თუ გარჯით,
მნიშვნელოვანი რაც მსურდა მუდამ
მეხარა კარგი შვილების აღზრდით.

და დავდე ფიცი საკუთარ თავთან,
ჩემი ცხოვრება გამეღო მსხვერპლად,
მათი სწავლისთვის და მომავლისთვის
მეცხოვრა, მევლო ამაყად ქვეყნად.

მენანებოდა განვლილი წლები
თან შიშიც მძლევდა მარტოხელობის
ქმრის გამუდმებულ შანტაჟით, ლანძღვით
ფიქრები მქონდა მეც თვით მკვლელობის.

მაგრამ გონს მოვედ, თვალს ამეხილა
შვილებს არ ყავდათ მეტი პატრონი,
და თუკი დედაც უღალატებდა
რაღად უნდოდათ წესი, კანონი.

და აღვდექ თითქოს, მკვდრეთით წამიერ
ვიგრძენი ძალა თავად უფლისა,
შემოვუძახე თავს და დავიწყე
უკუნით ღამეს, ძებნა შუქისა.

XIV თავი

მე მხოლოდ უფლის იმედად ვიყავ
შვილებს ვავედრებ, ღვთის მშობელს წმინდას,
ახლაც მოვუხმე უფალს საშველად
არ მსურს სიკვდილი, სიცოცხლე მინდა.

ყოველთვის მოჩანს ნათელი სხივი
ბეწვის ხიდზე მდგარს, გზას გაგინათებს
დღესდღეობით თუ აწმყო არ მწყალობს
მომავალში, ხომ მეც გამიმართლებს.

კვლავ დავუბრუნდი კალამს მადლიანს
ცრემლით არ ვნამავ საკუთარ ღაწვებს,
ავაშრიალებ „სევდის დღიურებს''
და ჩემს ცხოვრების მომენტებს ავღწერ.

თუმც რას გაუგებ ადამიანს, რომელიც ფლიდობს
გვიჩვენებს თეთრ კბილს და სიშავეს თავის გულისა,
სხვის დასანახად გაგაღმერთებს,ცად აგამაღლებს
ზურგში მახვილს გცემს, არც შიში აქვს თავად უფლისა.

ადამიანო, გონს მოეგე, გეტყვი ბოლოჯერ
ცხოვრებაში ხომ ღირსებაა უპირველესი,
თუ ამ ღირსებას დღეს დაკარგავ ხვალ კი ინანებ
რომც დაიბრუნო აღარა აქვს მას ინტერესი.

ნუთუ ვერ ხვდები, რომ წუთია-წუთისოფელი,
და ამ სოფელში, დროებით გვაქვს ჩვენი სამყოფელი,
ნუ ვჭამთ ერთმანეთს, შევიყვაროთ, ხელი ჩავჭიდოთ,
უფალი ხომ გვწამს?!... „ჰოდა რა გვაქვს გასაყოფელი''.

ასე ვუხმობდი, ჩემს მეუღლეს შერიგებისკენ
და ყოველ ჯერზე არ მისმენდა, მიზეზს ეძებდა,
ტყუილებსა და სიცრუეში, თვის სიყალბეში
არაკაცობის, ურჯულობის ქცევებს იძენდა.

ვფიქრობ ჩემს ირგვლივ, ყველაფერი უკუღმა ბრუნავს
და თვით წყვდიადმაც, კვლავ მოიცვა ტანჯული გული,
ისევ ფიქრებში, ვეძებ სხივთა გამონათებას
მძლავრი ტკივილით,სხეულს თითქოს დაშორდა სულიც.

XV თავი

მხოლოდ ერთი გამონათება ცაზე...

ყოველთვის, როცა მეძალება ფიქრი ეული,
ყოველთვის, როცა სულში ვიგრძნობ სიცარიელეს,
ყოველთვის, როცა მომინდება მარტოს ტირილი
ამ ჩემს ყოფაზე, ყველასთან ვერ ვიმარჩიელებ.

მაშინ შვილები იჭრებიან ჩემს გონებაში,
შემომანათებს და სიცოცხლის იმედით მივსებს,
ისინი ტკივილს მიამებენ წამში უეცრად
და მზის სხივით მინათებენ, ჩემს ირგვლივ ყოველს.

მენატრებიან?!... ისევ ვიწყებ ლექსების წერას
ხან ავმღერდები, ავამღერებ სევდებს დარდიანს
ვიცი, რომ ჩემში მათზე ფიქრი ისევ იმარჯვებს
ხელს მაშველებენ,მიმშრალებენ ცრემლებს ნამიანს.

ისიც არ ვიცი, რა სიტყვებით მოვეალერსო,
ან მონატრება რით მოვიკლა მათი თვალების,
მსურს საუკუნოდ არ მეჩვენოს წლები, დღეები,
მათი ღიმილი წამალია სულის წამების.

მხოლოდ შვილები მაძლევს იმედს, უნდა ვიცოცხლო
ნელ-ნელა ტკივილს გავიყუჩებ, ფეხზეც დავდგები,
შვილების გამო, ჯოჯოხეთშიც რომ ვიწვებოდე
ძალას მოვიკრებ, ფერფლიდანაც მკვდრეთით აღვდგები.

XVI თავი

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

როცა შვილებზე საუბრობდა, უთრთოდა ბაგე
თითქოს ღელავდა, ჩუმად თვალზე ცრემლებს იწმენდდა,
თუმცა ვხედავდი, მისი გული დარდს დაეღალა,
მაგრამ იმედის ნაპერწკალით ამ დარდს ივსებდა.

გამხიარულდა, სახეს დარდი გადაეყარა
როცა შვილებზე საუბრობდა, არც კი ახსოვდა,
წარსულის დარდი, უკვე მისთვის წარსულად დარჩა,
ვეღარა გამტეხს, გავძლიერდი, თავად ამბობდა.

მინდოდა მისთვის სულ განაბულს დიდხანს მესმინა,
მაგრამ განთიადს, მოჰპარვია თვით მზის სხივები,
ჩიტების ჭიკჭიკს არემარე გადაუფარავთ
ნორჩი ნერგებიც, თავს იწონებს ნაზი კვირტებით.

თითქოს შევფხიზლდი, სიზმრიდანაც გამოვერკვიე,
მაგრამ არ მინდა ეს სიფხიზლე, თვალის გახელა,
კიდევ რამდენი რამის თქმა და ახსნა უნდოდა
ვერც ვინაობის ვერ მოასწრო ალბად გამხელა.

მაინც რას ნიშნავს უცნაური ჩემი სიზმარი,
რომელიც თითქოს ცხადში ხდება, გამახსოვრდება,
როცა იფხიზლებ, გენანება სიზმრის დათმობა,
ასეთი რამ ხომ, ყოველ წუთს არ განმეორდება.

ვიღებ კალალამს და ჩემი სიზმრის აღდგენას ვიწყებ
გონებას ვძაბავ, ვდილობ წამიც აღარ დავკარგო,
სიზმრად მოსული ქალბატონის სევდით ნაამბობს
არ მინდა რამე შევუცვალო, ანდაც დავაკლო.

ჩაფიქრებული, დავცქერდი, გადაშლილ ფურცლებს
სიზმარშ განცდილ, ემოციას ვერასდროს ავღწერ,
ალბად ოდესმე, ქალბატონი ისევ მეწვევა
მისი მომავლის ისტორიას ღიმილით დავწერ.

დასასრული!

23.04.2024 წ.

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმინდა ილია მართალი

(ჭავჭავაძე)

ბოროტის გზაა მოკლე,
კეთილს ხმალი აქვს ელვის,
დიდი სიცოცხლის მოკვლა
ხელეწიფება ვერვის.
სივრცე სივრცეთა შორის
და სივრცეების იქით...
აქ ცისარტყელა ორი
მზის სხივოსანი ჯიღით....
ზოგის სიცოცხლე რადგან
კვლავ ეჭვების გზით მიდის,
ეს სასწაულიც დადგა
ბეჭედადა სულიწმინდის.
იყო ვედრების ჟამი,
წვიმა, ღრუბლების გროვა,
მაგრამ დათრგუნვად ღამის
თვითონ წმინდანი მოვა.
მისი ღიმილის შუქში
ლივლივებს ცა და მიწა,
ის კაცი იყო გუშინ,
დღეს ანგელოზად იქცა.
გვესაუბრება ციდან
ჭექაქუხილის ენით,
დიდი, მართალი, წმინდა,
მარად მფარველი ჩვენი.
ბოროტის გზაა მოკლე,
კეთილს ხმალი აქვს ელვის,
მან თვით სიკვდილი მოკლა,
რომ ერს მოსწმინდოს ცრემლი.

რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის დიდებულ მერაბ კოსტავას ხსოვნას

ერის რჩეულო, ღვაწლმოსილო, წახველ ადრიან,
ნათლით მოსილი წარუდგები დიდთა წინაპართ...
მამულის იქით, სხვა რამ ნატვრა არც გინატრია,
შენი კაცობა, მზისქვეშეთში, მადლით ბრწყინავდა.
გვირგვინს გიბოძებს, დაუჭკნობელს, უზენაესი,
რადგან აქ, ცეცხლში იწრთობოდა შენი ღირსება,
ნანას გიგალობს საქართველო დედის ალერსით
და შენი სულის საწყაული ცით აღივსება.
აწ განისვენე, დამაშვრალო მამულიშვილო,
ბევრსაც გვავალებს სანატრელი შენი სახელი,
სამოთხის ბაღში უჭკნობელი ყვავილი შლილობს,
ტკბილი მამულის სიყვარულის გამომსახველი.
ცა გახსნილობით - სვეტიცხოვლის ელვა - მარადი,
შენთვის გახდება სახილველი ცათა განგებით.
რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის,
სად მგალობლობენ ანგელოზნი ღვთიურ ჰანგებით.
მოგეგებვიან გალობით და ციურ ჩანგებით,
ვინაც კარგობით ანგელოზად არის ქცეული,
რომ გულს აგყარონ სააქაო დარდის ჭანგები
და დაასვენონ გადაღლილი შენი სხეული.
მას ნეტარება, ვინც ქვეყნისთვის ვალმოხდილია,
ვინც წმინდა სანთლად შეიწირა და ცით გვინათებს,
პირზე ღიმილით შეგეყრება დიდი ილია.
ერის სინდისი, საუკუნის დიდი სიმართლე,
მშვიდობა შენდა! გეთხოვება შენი ქართველი -
წმიდაა შენთვის ერის ცრემლი და უანგაროც...
ცათა მოგითხრან, გასახარი შენდა სათქმელი
და განკვირვებას ვერ ფარავდეს მთელი სამყარო...

ბეჟან ხარაიშვილი

*

გახსოვს? მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები
და შორი გზები...
წამომელანდები
კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყუჩებს წამწამთ სივაშეში,
შენ კი მთებს
გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა
და მწვანე მოლზე,
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? – მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი
ბგერის გადაცემა,
ხედავ? ჩაგჩურჩულებ
და მთის ნაპრალიდან,
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი,
წუხდი დამკაწრესო,
თმები შინდის რტოზე დაგეწეწა,
ვკრეფდი ფირუსულებს,
ახლად დაჩიტულებს,
იებს იმედიებით გიწოდებდი,
ნისლიში ირწეოდა მოდინახე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი
მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

ხელი არ დამადო

გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ
მკერდზე ძარღვებით,
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
ნეტავ რა ხელმა აიღოს უნდა,
რომ ვერ დაძალავს --
ისეთი გუნდა?!

ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო,
და შენს ფანჯარას,
გარშემო უვლის,
ყველაზე
დიდი სასაფლაო
გული!

მოლოდინი

მაღლა მთიდან პატარა რუ,
სოფლის
ნაღველს ჩამოლექავს,
საცალფეხო
ხიდზე შემდგარს,
ქარი გულმკერდს გაგიქექავს
და დახედავ იმ თაიგულს,
წეღან სხვამ
რომ მოგიტანა,
მოღალატე-მოღალატე,
ჰკივის ქარი ჭორიკანა.
მოლოდინი ვეღარ შეძელ,
თუ ყვავილმა გაგაბრიყვა,
გული განა იმად მოგეც,
რომ ორგული გამხდარიყავ???

დავით გამთენაძე

განშორება

თბილ ღიმილით მაცილებდი თუკი,
მიმყვებოდა თვალნი მოციმციმე,
გუშინ ისე შემაქციეთ ზურგი,
თითქოს უკან აღარ დაგრჩათ ვინმე.
წახვედი და ჩემი გულიც გაგყვა,
მარტო შევრჩი სევდასა და ლოდინს,
ფანჯარასთან ნაძვი იდგა კენტად
და შენს ნაცვლად დამიქნია ტოტი.

მზე მიტოვებს სათქმელს.

მზე მიტოვებს სათქმელს,
ჩადის ცხრა მთას იქით,
შემომიღებს სარკმელს
ღამე წვით და ფიქრით.
უხილავი ძალით,
მირხევს სულის სიმებს,
მაყვლისფერი თვალით
მშვიდად გამიღიმებს.
მომიყვება ამბავს
,,ვეფხისა და მოყმის",
ამქვეყნიურ ზღაპარს
მტერისა თუ მოძმის.
მოქათქსთე ფურცლებს
რჩებათ ღამის კვალი,
სათქმელის ზღვას ულევს
უციმციმებს თვალი.

ზაფხულის ღამე

დღე გვირგვინს იხსნის,ღამე შემოდის,
მთვარე ვარსკვლავთა მინდორში იწვის,
ციცინათელას დასდევს ეზოში
თვალებმერცხალა პატარა ბიჭი .
გულის კარები გახსნეს ვერხვებმა,
ასეთი მშვიდი ღამე სად არის,
ბიჭი კისკისებს დაღლას ვერ ხვდება,
ციცინათელას თვითონ სადარი.
გარბის, გამორბის ციცქნა ყმაწვილი,
სახე ედემად გადაქცევიაო,
ციცინათელამ აბა რა იცის,
მზეთუნახავმა ღამის ფერიამ,
რომ გაიზრდება მხედარი მისი,
მამულს მოურჩენს წყლულს და იარებს,
იმ ნაპერწკალით ახლა რომ იწვის
ზღაპრულ ბავშვობას გაუმზიანებს.

* * *

რად ჩაგვისახლდა სულში ძალა გამოუცნობი,
ერთმანეთისთვის ძმები რატომ გავხდით უცხონი,
მითხარ რად ვანგრევთ სიყვარულით ნაგებ-ნაშენებს,
ნუთუ უკეთეს საქართველოს ამით ვაშენებთ?!

შერმადინ ქალდანი

სვანეთს

სხვაზე როგორ გაიცვალოს,
შეეგუოს ან სხვა ცა ვით.
ღმერთმა ნუ ქნას დაიცალოს
საქართველოს სისხლსაცავი.

მთებს

ზეცას ეკვრება ღამე მაღალი,
ანთებული ხარ ზამთრის ტყეო და,
თუმც ქეეყნის ოთხმხრივ ღიაა კარი
მე მირჩევნია თქვენი ტყვეობა.
    ეს თქვენით ვიცი: არის მთავარი,
    მამულს რომ ზიდვა უნდა უღლითა...
    როგორც თეთნულდთან პირსავსე მთვარე,
    ისე ამოდის ლექსი გულიდან.
რამდენი სიტყვა დამირჩა გვერდზე,
კვლავ უთქმელობის მიმყვება ჯავრი.
რა ვქნა, დედაზე ლექსებს თუ ვერ ვწერ,
ამ წუთისოფლის დაღლილი მგზავრი.
    ღამდება თქვენით, თენდება თქვენით,
    მთებო, გიხდებათ სიდარბაისლე.
    მაღალ ღმერთებთან ჩურჩული გშვენით,
    მომავლის ბურუსს თქვენ ამაისებთ.

გზა

ვეღარ გავიგე სოფელი ესე,
ჭრიან მუხას და ცვივა ნაფოტი,
ღვარძლის მაგიერ თუ იფქლი თესე
ან ჯილდო გელის, ან ეშაფოტი.
    დღემუდამ მზის და სინათლის მძებნელს
    ირგვლივ კუპრივით ჩამოგდის ღვარი, –
    აქ ხომ ციხის და ტაძრის მშენებელს
    ორივეს ჰქვია ხუროთმოძღვარი.
გზაგასაყართა ქვასთან მდგომელი
მეც ვარ და საით, როგორ მისანო,
მითხარი ერტი, გზა სჯობს რომელი,
რომ შემდეგ მხარი აღარ ვიცვალო.
    თუმც ანგელოზთა ისმის გალობა,
    არდაბრუნების გზა ვერ წავშალე.
    სხვასავით ვუცდი მეც ღვთის წყალობას
    და დუმილისთვის ვარ დამნაშავე.
არჩევანია რადგანაც გზათა,
ცოდვილი მიწაც სანამ ტრიალებს,
უხილავო და მპყრობელო არსთა
შეუცნობ გზაზე მახეტიალე.

* * *

რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,
ინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ,
რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას
ამ მზისთვის ყელი ვით მომეღერა.
    რომ არ აეგოთ რუხი მურყვამი,
    შავი მაჩუბი რომ არ აეგოთ,
    რომ არ ჰქონოდათ ლიბო ურყევი,
    ურდონი ხმელზე რომ არ აეგოთ.
რომ არ ებრძოლა წინაპარს ვეფხთან,
კერიის ცეცხლი რომ არ დაენთო, –
ვინ მერქმეოდა ნეტავი დღეს და,
თუ ვიქნებოდი ქვეყნად საერთოდ...
    რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,
    წინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ.
    რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას
    ან მზისთვის ყელი ვით მომეღერა.

ედუარდ უგულავა

თემურ ჩალაბაშვილი

ჯერ ისევ თბილია მისი სამარის მიწა, ჯერ კიდევ სრულად ვერ გაუაზრებიათ მეგობრებსა და ახლობლებს მისი გარდაცვალება. ყველას თავისად ეგულებოდა, ყველას თავისი ჩალაბა ჰყავდა.

სამშობლოსავით იცხოვრა... სამშობლოსავით უჭირდა... სამშობლოსავით დარდობდა...

ვცხოვრობ უფლის განაჩენით,
მწამს ღმერთი და სულიწმინდა.
სხვა ჯანდაბას დანარჩენი,
ქვეყნის გადარჩენა მინდა...

სხვა მადლი ჰქონდა... სხვებისგან საკუთარი მანერებით გამოირჩეოდა: ლექსს დაწერდა და თავისი იყო... იმღერებდა და თავისი იყო... იცეკვებდა და თავისი იყო... იუმორიც თავისებური და ორიგინალური ჰქონდა. მახსენდება: მივდივართ ქუჩაში, ჩვენ წინ უცნობი მიაბიჯებს, დროდადრო

ჩერდება და აცეცებს თვალებს. დახმარება ხომ არ შეგვიძლიაო, ჰკითხა თემურმა. კაცს ვეძებო, თქვა უცნობმა. აბა, წინასწარ გეტყვი, ვერ იპოვიო, გაეცინა თემურს, კაცი ასე იოლი საპოვნელიაო?!.

დადიოდა თბილისის ქუჩებში და ქალაქს ალამაზებდა... მეგობრებს ამხნევებდა და გვერდში ედგა. ადამიანი უყვარდა. ახარებდა სიკეთის კეთება...

საკუთარი თავისთვის არ შეეძლო, თორემ სხვის გამო, ქვეყანას შეძრავდა, ფეხზე
დააყენებდა და ვიდრე არ დაეხმარებოდა, არ მოისვენებდა.

სამშობლოზე ფიქრი არ შორდებოდა გულსდანაბევრჯერმიკარებულს,
ბოლოს მაინც გულმა უმტყუნა, ვეღარ გაუძლო ამდენ დარდსა და მღელვარებას...
ხოლო მანამდე უკურნებელმა სენმა დაღეჭა, სისხლი შეუსვა და ხორცი შეუჭამა,
მაგრამ ვერ დასძლია, მაინც ამაყი და ლამაზი იყო. გარდაცვალების შიშმა ვერ
დაიბრიყვა, ემზადებოდა უფალთან შესახვედრად, არაერთხელ მიიღო ზიარება... ეს
იყო მხოლოდ, არ უნდოდა ყველას ენახა მისუსტებული და ენერგია გამოცლილი,
არ ეგონოთ, უმწეო ვარო... ლექსითაც იხუმრა:

კითხვის ნიშანს დავემსგავსე,
ადრე ვგავდი ძახილისას.
სიკვდილი რა ფეხებს მომჭამს _
გემოს ვიგრძნობ სხვა ხილისას...

შვილებისა და შვილიშვილების ცქერით ხარობდა. ხუმრობდა ხოლმე, _ შვილი მიზეზია და შვილიშვილი _ მიზანიო.

ხშირად იგონებდა გარდაცვლილ მეგობრებს: თენგიზ არჩვაძეს, თემურ წიკლაურს, ჰამლეტ გონაშვილს, ზურაბ ქაფიანიძეს... იტყოდა, _ ისინი იქ დამხვდებიან, ადგილს მომიმზადებენ, არ მეშინია იმქვეყნად წასვლისო... ან რისი უნდა შინებოდა ამდენი სიკეთის მქმნელს, ღვთის მოშიშსა და კაცთმოყვარე შემოქმედს. სწამდა უფლისა და თუ ვინმე დაეჭვდებოდა ღვთის არსებობაში, ეტყოდა, _ არსებობით ჩვენ ვარსებობთ, უფალი _ სუფევსო.

სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს პოეტი ჩოხოსნებმა. ფერწასული და მხრებდაშვებული ეთხოვებოდა ძვირფას მეუღლეს ქალბატონი გეტა, ქალი, რომელმაც ვაჟკაცურად ზიდა პოეტის ცოლის უმძიმესი ტვირთი. წამით არ მიუტოვებია, ყურადღება არ მოუკლია ბოჰემური ცხოვრების ტალღებში გადაშვებული შემოქმედისთვის. კარგად იცოდა თემურმა მეუღლის ფასი:

გამომაფხიზლებს როდემდე ნეტა,
ხმა ტელეფონის _ გეტა ვარ, გეტა!
თან ვბრაზობ, თანაც ოცნებით ვთბები _
თან სიჭაბუკის მესხმება ფრთები.
დიდხანს ბუზღუნი „ნერვების წყვეტა,“
ოღონდ მესმოდეს _ გეტა ვარ, გეტა!

იქ არ დაღვრილა ყალბი ცრემლი და არც ხალხის სახეზე აღბეჭდილი მწუხარება იყო მოჩვენებითი... ეს იმ დღეს არავის სჭირდებოდა... ყველაფერი ნაღდი იყო. ეთხოვებოდნენ საყვარელ პოეტსა და მეგობარს... აცილებდნენ თემურ ჩალაბაშვილს... ეს ის ცრემლები აცილებდნენ, რაც ოდესმე თავად დაუღვრია... ეს ის სითბო უბრუნდებოდა, რაც ოდესმე თავად გაუცია... იცოდა ხალხმა... იცოდა და გრძნობდა, ვისაც ეთხოვებოდა...

მამა თეიმურაზი უკვდავად დარჩება

მამა თეიმურაზ ქორიძე

წერილი ახალშობილ ქალიშვილს

გიყურებ ერთ ციცქნა გოგონას და გული განუზომელი სიყვარულით და მადლიერებით მევსება. გაღიმებული დაიბადე. წრფელი და უანგარო ღიმილი გინათებდა პატარა სახეს და გთხოვ, მუდამ ასეთად დარჩი.

როდესაც კეკლუცობას და გაპრანჭვას დაიწყებ გახსოვდეს, რომ სამყაროში ყველაზე ძვირფასი სამკაული – ღირსებაა და ნეტა იცოდე, როგორ შვენის და უხდება ეს სამკაული ადამიანს.

შენ მოხვედი სამყაროში, სადაც უმეტესად ხელს არ აწვდიან დაცემულს – არამედ ხელს იშვერენ მისკენ. გთხოვ, არასოდეს შეხვდე გულგრილად სხვის დაცემას, გაუშვირე დაცემულს ხელი და გულში ჩაიკარი. არ უთხრა საყვედური – გაიქცევა. უბრალოდ ჩაეხუტე და გაათბე, დანარჩენს თვითონ მიხვდება.

გთხოვ, იყავი გულწრფელი. გულწრფელი ყველაფერში. ეს ფარია, რომელიც ფარისევლობისგან დაგიცავს.

შეიყვარე – ოღონდ გემუდარები უმიზეზოდ!

მინდა ღმერთზე გესაუბრო, მოსიყვარულე და მზრუნველ ღმერთზე, მაგრამ თუ გულწრფელი იქნები, მაშინ შენ გულში თავად იხილავ მას და მერე ვისაუბროთ...

მაპატიე. აკი, გითხარი ამ სამყაროში ხელს ხშირად იშვერენ-თქო. ხოდა, შენსკენაც გაიშვერენ ხელს, რადგან მღვდლის ოჯახში დაიბადე და ამის გამო ხშირად გამადიდებელი შუშით დაგიწყებენ ყურებას. ამან არ დაგაბნიოს და შეგაშინოს. იყავი ის, ვინც ხარ. შენ, შენი ცხოვრება გაქვს, შენი თავისუფალი ნება, რომელიც იმ მოსიყვარულე ღმერთმა გარგუნა ახლა შენს პატარა გულში რომ ფეთქავს.

ჩვენ ბედნიერებისთვის შევიქმენით. ასე, რომ იბრძოლე ბედნიერებისთვის. მე ვერაფერს შეგპირდები, შეიძლება არაფერი დაგრჩეს ჩემგან. მაგრამ ერთს კი, გპირდები - მთელი ცხოვრების მანძილზე ვეცდები, რომ ღირსება დაგიტოვო, როგორც უძვირფასესი ძღვენი და უმთავრესი ქონება შენი მამიკოსაგან. მადლობა! მიყვარხარ – უმიზეზოდ! აბა, შენ იცი ...

შვილი, რომ მკითხავს ადამიანობა რას ნიშნავსო? ,,შენზე მოვუყვები მამაო“

თუ ტკივილებმა დაგღალეს შვილო,
არ დაიჩივლო!
შენი ცრემლები თუ გაუხარდეთ,
არ დამწუხარდე!
ყველა განსაცდელს ღირსებით შეხვდი.
მამი, გამხნევდი!

სიკეთის გზაზე - მტერიც რომ გყავდეს,
ყველა გიყვარდეს!
ყველა გიყვარდეს!!
ყველა გიყვარდეს!!!

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი
(დასასრული)
(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“
№28, 29, 30, 31, 32, 45-53-ში)

* * *

2096 წლის 14 აპრილს, შუაღამისას ქუთაისში ოღასკურას სასაფლაოზე თავისი პაპისპაპის გიგლაია კვატაშიძის საფლავის ლოდზე იჯდა ქართველ ემიგრანტთა შთამომავალი ვაცლავ კვატაშიძე და ტიროდა.

ქარი არ ქროდა. სასაფლაოს ორღრუბელგაშვებით შიგადაშიგ თვლემამორეული დასცქეროდა ბებერი მთვარე.

ბატონო სტუდენტებო

ჯანდაბას ჩემი თავი. მიხვდებით ალბათ, ეს მოთხრობები მე, ლევან კაკაბაძეს, შიშმა დამაწერინა.

დამიჯერეთ, ეს შიში ჩემთან არ მოვიდოდა, რომ ულმობელი ისტორიის მაგალითები არ ვიცოდე და ქართულ გულარხეინობას არ ვგულისხმობდე.

ჩემი ლექციები გაფრთხილებად მაინც თუ გამოგადგებათ, სხვებს მაინც თუ გადასცემთ, დროა ქართველებმა ყურები გამოვიფხიკოთო, თავს ბედნიერად ჩავთვლი და მშვიდად ჩავალ სამარეში.

* * *

– ბატონებო, დღეს 2296 წლის 5 თებერვალია! – გამოაცხადა სხდომის თავმჯდომარემ, ახალგაზრდა, მწვანეთმიანმა უულვაშო კაცმა, რომელსაც მარჯვენა ყურის ბიბილოზე სათარგმნი აპარატი ეკიდა, ხოლო მარჯვენაზე – ელექტროპენსნე დალტონიკებისათვის – უჩვეულო პრესკონფერენციაზე მოგიწვიეთ. ჩემ გვერდით ზის მეოცე საუკუნის მოქალაქე, ბატონი პავლე კვერნაძე. როგორც მოგეხსენებათ, მან ზუსტად სამასი წლის წინათ, სწორედ ამ დღეს, ხუთ თებერვალს თბილისის სამუნიციპალიტეტო თბოლაბორატორიას მიმართა განცხადებით: „გთხოვთ გამყინოთ და სიცოცხლე დამიბრუნოთ მხოლოდ მაშინ, როცა დედასამშობლო იქნება ერთიანი და განუყოფელი, საქართველოში აღარ იქნება არც ერთი რუსის ჯარისკაცი, შეუძლებელი იქნება არჩევნების ფალსიფიცირება, აღარ იქნება შიმშილი და ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება. ლიფტს ექნება ჩვეულებრივი კარი და დამთავრებული იქნება პრივატიზაცია“. ბატონი პავლეს შეთბობა-გაცოცხლება აქამდეც შეიძლებოდა, მაგრამ მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრები შეთანხმებულნი არ იყვნენ ბოლო პუნქტზე – საქართველოში პრივატიზაციის თავისებურებებზე და მისი დამთავრების რეალურობაზე. გთხოვთ რესპოდენტს ნუ გადავღლით, რადგანაც იგი უნიკალური შემთხვევაა ოცდამესამე საუკუნისთვის და, რასაკვირველია, სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება! შეკითხვები იყოს, შეძლებისამებრ, მოკლე და ბუნდოვანი!“

1) – უკაცრავად, – წამოხტა თავგადახოტრილი, ჩოხალეკვერთხებიანი ქალიშვილი – გაყინვაში ფული გადაიხადეთ?!

ა. – არა, ბატონო, უფასოდ გამყინეს, – მშვიდად უპასუხა პავლემ.

ბ. – ტანსაცმელიც იმ დროისა გაცვიათ?

2) – ზუსტად. ყველაფერი როგორც სამასი წლის წინათ მეცვა, ჯიბეში პურის ტალონი მედო, ისიც ხელუხლებელია. ერთადერთი ავტოკალამი აღარ წერს. ვერ გეტყვით, რა მოუვიდა.

3) – ლიფტის კარზე წერთ თქვენს განცხადებაანდერძში. ცოტა არ იყოს გაუგებარია, იქნებ აგვიხსნათ.

4) – იცით, რანაირი კარი ჰქონდა ჩვენს დროს ლიფტს? გახსენებაც კი ტანში მზარავს. ავტომატურად იღებოდა და, თუ ვერ შეასწრებდი, უკეთეს შემთხვევაში, ფეხს მაინც მოგტეხავდა. მერე ავტომატურად იხურებოდა კარი და, თუ დენი გამოირთვებოდა (რაც ხშირად ხდებოდა), ან ავტომატი მოიშლებოდა (რაც უფრო ხშირად ხდებოდა), რჩებოდი ცოცხლად დამარხული ლიფტის სარკოფაგში. შენს განწირულ კივილბრახუნზე მოცვენილი მეზობლები დანაჩანგლებით, იატაკის საწმენდი ჯოხებით და დაჟანგული (გასაგებია რატომაც) შამფურებით ამაოდ ცდილობდნენ ლიფტის კარის გაღებას და შენს გამოყვანას.

5) – რა საშინელებაა! – ამოიგმინა ჩოხაახალუხიანმა თავგადახოტრილმა ჟურნალისტმა ქალმა და მინიმაგნიტოფონის საპოვნელასხელა ღილაკს თითი დააჭირა.

– შემდეგი! – თავმჯდომარის ხმა იყო.

ბოლოსწინა რიგიდან აქლემისპირიანმა, მაღალმა ზებრისსვიტრა ჟურნალისტმა კაცმა მიკროფონს წამოუდგომლად დაუმიზნა მაგნიტის ნალი. მიკროფონი მისკენ გასრიალდა.

1) – რუსის ჯარისკაცს რა უნდოდა 1996 წლის თებერვალში საქართველოში? თქვენ ხომ დამოუკიდებელი ქვეყანა იყავით?

2) – არა, ბატონო, ოდნავ დამოუკიდებელი ქვეყანა ჩვენ ვიყავით 199093 წლებში. ისიც მოჩვენებითი დამოუკიდებლობა იყო. რუსეთი დამოუკიდებლობანას გვათამაშებდა მსოფლიოს თვალში. მერე დამოუკიდებლობის თამაშში მწევრების დაჭერილი მელიის არ იყოს, ჩვენი სოროსკენ რომ გავიწიეთ, არ მოეწონა და ტორი დაგვკრა.

3) – მოიცათ, მოიცათ, საბჭოთა კავშირი ხომ დაშლილი იყო, იმპერია ხომ აღარ არსებობდა?

ა. – არაფერიც არ დაშლილა. არ დაუჯეროთ, თუ რომელიმე ქარაქუცა ისტორიკოსი ამას ამტკიცებს. ჩემს დროს ერთი საათითაც არ გასულა დამპყრობელი რუსი საქართველოდან.

ბ. – როდის გაგანებათ რუსეთმა საბოლოოდ თავი?

4) – ამაზე თუ შეიძლება მე გიპასუხებთ, რადგანაც ბატონმა პავლემ შეიძლება არ იცოდეს, – თქვა თავმჯდომარემ – რუსი დაპყრობილი ტერიტორიებიდან მთლიანად წავიდა 2025 წელს, როცა იმპერია საბოლოოდ დაინგრა. ბატონი პავლეს სიცოცხლეში კი რუსეთი საკმაოდ ძლიერი იყო და მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა. იგი საშინელი სისასტიკით სჯიდა ქართველებს, უკრაინელებს, აზერბაიჯანელებს... შეიძლება, არ დაიჯეროთ, საკუთრივ რუსეთს მაშინ უზარმაზარი ტერიტორია ეჭირა იაპონიის ნაპირებიდან პოლონეთამდე და მოსახლეობით 250 მილიონს აღემატებოდა.

– არ გამაგიჟოთ?! – გაკვირვება ვერ დაფარა ვიღაცამ.

ა. – დიახ, რუსი ისეთი სრულიადაც არ იყო, როგორსაც თქვენ ახლა იცნობთ – წყნარს, მშვიდს, გულუბრყვილოს. რუსეთი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დედამიწაზე ყველაზე აგ-

რესიული სახელმწიფო იყო. იმპერიის დაშლის მერე თვით რუსეთმაც იწყო დაშლა და ახლა იგი, როგორც იცით, როსტოვის, ტულის და რიაზანის ოლქებსღა მოიცავს თხუთმეტი მილიონი მოსახლეობით.

ბ. – თითქმის იგივე დამართნია, რაც მონღოლეთს დაემართა

ც. – თქვა ზებრისვიტრამ.

დ. – უარესი, – დაუდასტურა თავმჯდომარემ.

2) – ბატონო პავლე, საქართველოს მთლიანობაზე და განუყოფლობაზე ოცნებობდით, – განაგრძო აქლემისტუჩამ – რა მთლიანობაზეა ლაპარაკი?

3) – სანამ ვუპასუხებდე, მე თვითონ მაინტერესებს, – თავმჯდომარეს მიუბრუნდა პავლე – თუ შეიძლება, მითხარით, რუსი რომ საქართველოდან გავიდა, საქართველოს ხომ არ წაეპოტინენ თურქეთი და ირანი, ან ჩრდილოეთელი პატარპატარა ფინია სახელმწიფოები ხომ არ აწკავწკავდნენ?

4) – ვინ გაბედავდა. რუსის წასვლის მეორე დღესვე საქართველოსკენ ნატომ გამოიხედა. ნატოს წევრი გახდა. ნატოს წევრებს კი, მოგეხსენებათ, უზარმაზარი სამხედრო მანქანა იცავდა. – ახლა, რაც შეეხება მთლიანობას. საქართველო არასოდეს არ ყოფილა ისე პატარა, როგორიც ჩემი გაყინვის დროს იყო. ჯერ კომუნისტებმა გამოიჩინეს გულუხვობა და ტაოკლარჯეთი თურქეთს დაუტოვეს, ლორე სომხეთს აჩუქეს, საინგილო – აზერბაიჯანს, მერე დარჩენილ საქართველოში გამოგონილი მინისახელმწიფოები – ე. წ. ავტონომიები შექმნეს. ბოლოს რუსეთმა 1993 წელს საქართველოს 25 ათასი კვ. კმ. ჩამოაჭრა – აფხაზეთი და სამაჩაბლო წაართვა.

5) – ესენგეში რომ „თქვენი ნებით“ შეხვედით, არც მაშინ დაგიბრუნათ წართმეული რუსეთმა?

1. – მარტო ესენგეში კი არ შევედით, ოცდახუთი წლით ბაზები დავუთმეთ, რუსეთთან ცალმხრივ, მონურ ხელშეკრულებას რატიფიკაცია გავუკეთეთ და რუსეთისვე მითითებით საქართველო გუბერნიებად დავყავით, რა თქმა უნდა, ეს ხდებოდა ქართველი ხალხის ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მარიონეტულ ხელისუფლებას ამ „უნაპირო სიკეთე მორჩილებით“ სურდა ემოქმედნა ელცინგრაჩოვის პირსისხლიან რუსეთზე, არც ამან გაჭრა. სხვა უბედურებაც გვჭირდა იმ დროს. კომუნისტურმა და პროკომუნისტურმა ხელისუფლებამ საქართველო ინტერნაციონალისტურ უღობო ქვეყნად, სხვადასხვა ერთა თანაცხოვრების ლაბორატორიად გადააქცია. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აზერბაიჯანში არ ცხოვრობდა არც ერთი სომეხი და სომხეთში

2. – არც ერთი აზერბაიჯანელი. უპატრონო საქართველოში კი ოთხმოცამდე ეროვნების სხვადასხვა სტუმარი ჯიუტად იყო დამკვიდრებული. მათ შორის ნახევარ მილიონამდე სომეხი, ოთხასი ათასი აზერბაიჯანელი და სამასი ათასამდე რუსი. ფაქტობრივად საქართველო აღარ არსებობდა. იგი მსოფლიო დერვიშთა შესაკრები პუნქტი იყო.

3. – ეგ მართალია, – ჩაერია სხდომის თავმჯდომარე – 2075 წელს საქართველოს დემოგრაფიულ მოწესრიგებაში გაერო რომ არ ჩარეულიყო, სტუმარ ერთა წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა თავთავიანთ ქვეყნებში არ გაესახლებინა და ისტორიული წონასწორობა არ აღედგინა, საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობას შეადგენდნენ.

4. – აი, რას ვგულისხმობდი, ბატონო, მე საქართველოს გამთლიანებასა და განუყოფლობა-

ში. სიხარულისაგან ეს ნატანჯგანაყინავი, ძლივს მფეთქავი გული კინაღამ გამიჩერდა ჩემი გაცოცხლების მეორე დღეს როცა შევიტყვე, რომ იმპერიის დანგრევისთანავე მეზობლებმა ლორე, სოჭის ოლქი და საინგილო დაგვიბრუნეს, ხოლო ტაოკლარჯეთი თურქეთმა 2050

წელს სტამბულის ხელშეკრულებით საქართველოს შემოუმტკიცა. ეს ჩემი ოცნების ახდომა იყო.

1) – ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ სახლდებოდნენ ასეთი გაშმაგებით მეზობლები თქვენს მიწებზე, თავიანთი სახელმწიფო ხომ იქვე, ერთ ნაბიჯზე ჰქონდათ? – იკითხა ჩალისფერზუჩიანმა, ფანტომასის სახის მქონე რადიოჟურნალისტმა.

2) – რა მოგახსენოთ, ჩანს, ძალიან ვუყვარდით, – იხუმრა პავლემ, მაგრამ რაკიღა არავის გასცინებია, მეოცე საუკუნის კაცმა დაასკვნა: ალბათ, ამათთან ან ხუმრობა საერთოდ აღარ არის მოდაში, ან სხვა რაღაცებზე ეცინებათო.

3) – ერთი რამ მაინტერესებს, – ხორხისმიერი, ოდნავ დაგუდული ხმით თქვა ზუჩიანმა – მეოცე საუკუნის ბოლოს ქართველები რომ ასე გაუბედურებული იყავით, ჩემთვის უკვე გასაგებია, რას აკეთებდა ხელისუფლება და რატომაც აკეთებდა, მაგრამ თქვენ რაღას აკეთებდით – უსავარძლო და უპორთფელო ქართველები, ასე ვთქვათ, ერის ჯანსაღი ნაწილი?

ა. – ღამით გულში მჯიღს ვიცემდით, დღისით კი გახურებული ცეკვათამაში გვქონდა გამართული. ჩემი გაყინვის მერე ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონია, კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე იმდენი არ უცეკვუმღერია და „შოუმანამიდიმიდი“ არ უთამაშნია, რამდენიც ჩვენ, ქართველებმა, 199296 წლებში ვიმხიარულეთ. არძინბა (აფსუა მომთაბარეთა ლიდერი) შეძრწუნებული გვიგდებდა ყურს, ფიქრობდა: ან გიჟები არიან ეს შობელძაღლები, ან რაღაც უბედურებაა ჩემს თავზეო.

ბ. – არჩევნების ფალსიფიცირება რით გამოიხატებოდა?

4) – კომუნისტების დროს ბიულეტენებს საერთოდ არ ითვლიდნენ. უმეტესობას არც საარჩევნო უბნებში მისვლაზე გვაწუხებდნენ. მერე „დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართ

ველოში“ რამდენჯერმე ჩატარდა არჩევნები, მაგრამ ვაი იმ არჩევნებს. იქ, სადაც ბიულეტენების მთლიანად გამოცვლა არ ხერხდებოდა, საარჩევნო ჯიხურში გხვდებოდა ბრგე „ინსტრუქტორი“ და „კონსულტაციას გვიწევდა“ – ეს წაშალე და ეს დატოვეო.

– საარჩევნო კომისია რას აკეთებდა?

ა. – ყველაზე ვერ ვიტყვი და ზოგი მისი წევრი რეგისტრაციაში გატარებისათვის ფულს სძალავდა საარჩევნო კომპანიისგან ისედაც გაძვალტყავებულ პარტიებს.

ბ. – უცხოელი დამკვირვებლები რაღას აკეთებდნენ?

ც. – აკვირდებოდნენ, მხოლოდ იმას, რისი გარეგნულად დანახვა შეიძლებოდა.

დ. – საარჩევნო დარღვევებს სასამართლო არ ასწორებდა?

2. – კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სად იყო სამართალი. სასამართლოს, რასაც უბრძანებდნენ, იმას აკეთებდა – აქ პავლემ გაიფიქრა, „თუ ძმა ხარ“ ნამეტანი შინაურულად გამომივიდა, არ ეწყინოს ამ პატიოსან ჟურნალისტსო. – ელექტროენერგიას რას ეძახდით და რას ერქვა გამოთიშვა? – ისევ „ფანტომასის“ ხმა იყო.

ა. – მაშინ ჰაეროენერგია არ არსებობდა და ენერგიას ძირითადად ჰიდრო და თბოელექტროსადგურებიდან იღებდნენ – დააზუსტა თავმჯდომარემ.

ბ. – „ითიშებოდა“ რაღას ჰქვია?

ც. – მიწოდების შეწყვეტას.

დ. – ვისი ან რისი მიზეზით „შეწყვეტდნენ“ ხოლმე? – ორმოცდათხუთმეტისა მოვიყარე და ეგ ვერ გავიგე

3. – გულწრფელად განაცხადა პავლემ – დანამდვილებით ის შემიძლია გითხრათ, რომ დენის გამოთიშვის დროს თბილისში საშუალოდ ცხრა კაცი კვდებოდა (მეტრო, საავადმყოფო, სასწრაფო დახმარება...), ხოლო ჩართვის დროს სიხარულის ელდისგან – სამი კაცი.

1. – ბატონო პავლე, შიმშილი ძალიან გაწუხებდათ? – მარჯვნივ მესამე რიგში ნახევრად წამოწოლილ, ჯინსიან ულამაზეს ჟურნალისტ გოგონას გრძელი, ჯინსმგლეჯი ფეხები წინ მჯდომი ბატისჭუკისფერთმიანი მამაკაცის მხრებზე ჰქონდა შემოწყობილი ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით. პავლეს სულ არ უკვირდა, რომ როგორც მის დროს, მეოცე საუკუნეში, არც ახლა ცდილობდნენ ლამაზი გოგოს ფეხებისგან თავის გათავისუფლებას.

ა. – როგორ აგიხსნათ, ქალიშვილო. გაყინვის გადაწყვეტილებამდე შიმშილმაც მიმიყვანა. წარმოიდგინეთ, ხელფასი ოთხი ლარი მქონდა. ოთხი ლარით ხუთი დღის სამყოფ პურს თუ იყიდდი, მეტს ვერაფერს.

ბ. – ანაბრები ბანკში?

ც. – კომერციული ბანკირები ყაჩაღები აღმოჩნდნენ და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გაიქცნენ.

დ. – თქვენც სახელმწიფო ბანკს მიაბარებდით.

ე. – რას?

ფ. – დანაზოგს.

გ. – სახელმწიფომ უარესი გვიქნა – მე პირადად ოცი წლის ნაშრომი ერთ დღეში კუპონად მიქცია. ასე რომ, ცხრა ავტომანქანის საფასური მივაბარე და უკან ცხრა კოლოფი ასანთის საფასური დამიბრუნა.

ჰ. – არ შერცხვა?

ი. – ვის?

ჯ. – სახელმწიფოს.

2. – მგონი არა. ყოველ შემთხვევაში, მე სინდისის ქენჯნის ვერაფერი შევატყვე.

3. – სახელმწიფოსგან ადამიანის გაძარცვის მსგავსი შემთხვევა მე წიგნებშიც კი არ წამიკითხავს, – თქვა იმ მამაკაცმა, რომლის მხრებზეც ანგელოზის ფრთებივით მოჩანდა ჟურნალისტი გოგონას ორი, ღუნღულაწინდებიანი, ნატიფი ფეხი.

მართალია, პავლეზე ლამაზი ფეხები დამამშვიდებლად მოქმედებდა, მაგრამ ოცი წლის ნაშრომის სახელმწიფოსგან მიტაცების გახსენებამ, ჩანს სევდა მოჰგვარა და წნევამ აუწია.

პრესკონფერენცია დამთავრდა.

***

– ჩვენთან პირველად ბრძანდებით?

– დიახ.

– მე მაჰიდოს ტომის ბელადი ვარ, ალბათ გეტყოდნენ.

ოჰაიოს შტატის უკიდურეს დასავლეთში, ატოტის მთების ძირში სახლობს ინდიელთა პატარა

სოფელი.

იგი მაჰიდოს ტომის, აპაჩების სამყოფელია და როგორც ამერიკელები ამბობენ, ამერიკული უნაპირო დემოკრატიის წყალობით აქაურებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ ყოფაცხოვრების ის იერსახე, რაიც ათასი წლის წინათაც მოსდგამდათ.

სწორედ მაჰიდოს ტომის ბელადს უზის ახლა წინ წაქა ლომოური.

ბელადის ჩაცმულობას და აღკაზმულობას, მისი მკლავების იდუმალებით მოცულ ტატუირებასა და თავსამოსს (განსაკუთრებით თავსამოსს) მე სურვილის შემთხვევაშიც ვერ დავასურათხატებ; არც სიტყვები მეყოფა და არც ფერები.

ფარშევანგი გინახავთ? ბოლოგაშლილი ფარშევანგი რომ შეაბრუნო და ბოლოთი სახეპირის გასწვრივ დაუყენო ტომის ბელადს, დაახლოებით მაინც შეგიქმნით წარმოდგენას აპაჩზე. ხოლო ვისაც ფარშევანგი არ გინახავთ, ჩვენებური, ჯიშიანი, ბიბილოდეზებიანი მამალი ხომ უეჭველად გეცოდინებათ, აი, სწორედ მამალს მოგაგონებდათ მაჰიდოს ტომის ბელადი.

– სადაური ხართ?

– ქართველი.

მაჰიდოს წინამძღოლმა „ქართველი“ ყურიდან ყურში გაატარა. იმიტომ კი არა, რომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ქართველი. იგი არც სხვა ტურისტების წარმომავლობით ინტერესდებოდა.

მისთვის სულერთი იყო, ვინ საიდან ჩამოეხეტა.

ტომის ბელადი უბრალოდ შეკითხვას სვამდა.

მას, ამერიკელ ინდიელთა წარმომადგენელს, კაცმა რომ თქვას, ვისი ეროვნება უნდა გაკვირვებოდა.

– გეოგრაფი ხართ?

– არა, ეთნოგრაფი.

– აქ რა მიზნით ჩამობრძანდით?

– მაინტერესებს მაჰიდოს ტომის ცხოვრება. მეც პატარა ხალხის შვილი ვარ. მინდა პასუხი გავცე კითხვას, რომელიც ბოლო წლებში დილემად მექცა, როგორ გადაირჩინა თავი ინდიელმა, როგორ გაუძლო ათასწლეულებს და როგორ მოაღწია ჩვენამდე.

– ძნელი ამოცანა დაგისახავთ.

– დიახ.

– მაგ კითხვაზე ენციკლოპედიები უკეთესად გიპასუხებდნენ.

წაქას გაუკვირდა ამ თუთიყუშურად მოხატული ინდიელისგან ენციკლოპედიების ხსენება, მაგრამ არ შეიმჩნია.

– ბაჟის ფული გადაიხადეთ? – მოულოდნელად ჰკითხა მასპინძელმა.

– დიახ.

წაქამ ქვითარი უჩვენა.

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ, სერ, ამ მცირე ფინანსური უხერხულობისთვის, მაგრამ ეს თანხა მაჰიდოს უხუცესთა გადაწყვეტილებით იკრიბება და გზების კეთილმოწყობას ხმარდება. რაც შეეხება საქმეს, გთხოვთ გარეგნულად მშვიდად დაათვალიეროთ სოფელი, ფოტოგრაფირებაც შეი

ძლება, მაგრამ ფოტოგრაფირების დროს ნუ იაქტიურებთ. აპაჩებს არ უყვართ „შენ აქეთ დადექი“ და „შენ იქეთ მიიწი“... ისინი თქვენ ყურადღებას არ მოგაქცევენ და ნურც თქვენ შეაწუ-

ხებთ თქვენი ცნობისმოყვარეობით. აპაჩები თავიანთი საზრუნავით არიან გართულნი და ნუ ჩაერევით მათს ყოველდღიურობაში. ახლა, მარტო რომ არ მოგიწიოთ კარდაკარ სიარული, მინდორზე, ბაობაბის ხის ქვეშ შეგროვილებს ხომ ხედავთ? იქ მიბრძანდით და მათთან ერთად იარეთ. ეცადეთ, ჯგუფს არ ჩამორჩეთ. იარაღი (თუნდაც ცივი), დარწმუნებული ვარ, არ გექნებათ. აპაჩები იმ წამსვე იგებენ, ჯიბეში რას მალავთ და შეიძლება თვალები დაგთხარონ, როგორც ეს შარშან მოხდა. საერთოდ კი მაჰიდოს ტომი, მშვიდობიანობით გამოირჩევა. კიდევ ერთი, „ინდიელობას“ ხშირად ნუ წამოაძახებთ. „ინდიელი“ თქვენ, ევროპელებმა გვიწოდეთ და ეს შეცდომაა. სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. წარმატებას გისურვებთ. პირადობის მოწმობა გასასვლელში, მორიგეს დაუტოვეთ.

* * *

ისლით დახურულ პირველივე ქოხთან ბალახზე ინახით მჯდარ ინდიელებს საოჯახო ფუსფუსი გაემართათ.

ჩანდა, სადილისთვის ემზადებოდნენ.

ქალებს ზვიგენის ეშვთა მძივები ჭიპამდე დასთრევდათ.

ორი აპაჩი თითისტარის მსგავს თეთრ ჯოხს ხელისგულებით წაღმაუკუღმა ატრიალებდა. ჯოხს ბულულებში ჰქონდა თავი წაყოფილი.

მალე ბულულებს კვამლი მოედო და ცეცხლმაც იფეთქა.

ქალებმა ტაში დასცხეს.

აპაჩები ლამაზი ტანების რხევით კარგა ხანს როკავდნენ ცეცხლის გარშემო. ბოლოს ჭამად დასხდნენ.

სამი უშველებელი გობით მოიტანეს ათასნაირი ბალახბულახი.

ხრაშახრუშით, გემრიელად შეექცეოდნენ.

ტურისტთაგან ყველაზე თამამმა, ოცდაოდე წლის ბიჭმა ტრაპეზის შორიახლო თეთრხელთათმნიანი ხელით მოგლეჯილი ჭინჭრის ბღუჯა გაუწოდა ნესტოში ოქროსბეჭედგაყრილ ინდიელს.

ინდიელმა გამოართვა და შეჭამა.

ახლა ბიჭმა კაკტუსს გრძელი, სქელი, ცერისსიმსხო ეკლებიანი ფოთოლი აახია და იმავე აპაჩს გაუწოდა.

აპაჩმა ეკლებიანად შეჭამა კაკუტუსიც.

... მეორე ქოხის წინ, ბალახზე ჩამუხლული აპაჩის წინ, ტყავის მოკლეშორტიანი უმშვენიერესი გოგონა წამომჯდარიყო და უბიუსტჰალტერო მკერდი ტატუირების ოსტატისთვის მიეშვირა.

წაქას მოეჩვენა, რომ მხატვარი თითქოსდა განგებ, დიდხანს ხატავდა მაჰიდოს ტომის უმშვენიერეს წარმომადგენელს.

ხატვას რომ მორჩა, ქამრისსისქე ტყავის რგოლი შუბლკეფაზე მოარგო ქალს, ფრთებით აჭრელებული კალათა ახლოს მიიჩოჩა და შუბლქამრის სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა ფრინველის ფრთებით მოქარგვას მიჰყო ხელი.

მალე ჩვენ წინაშე უნატიფესი ფრთების თავსამკაულით შემკობილი ქალი იჯდა.

– მეც მინდა! – დაიძახა წაქას ჯგუფის ერთმა, არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ კარგად შენახულმა ქალმა.

ტატუმახერმა ახლა ის დაისვა წინ და თმებზე ტყავის ქამარი მოარგო.

– ჰაუ მაჩ?! – ჰკითხა ქალმა.

– უან ჰანდრიდ დოლარ, – გაუღიმა აპაჩმა.

ტურისტმა ქალმა თავი დაუქნია, გაღიმებით, ვერ მოგატყუებთ, არ გაღიმებია.

... მესამე ქოხთან თუნუქის იატაკზე მიმობნეულ ნაკვერცხლებზე არცთუ არხეინად, მაგრამ გულდაგულ დააბიჯებდა აპაჩი და ირგვლივ შემოჯარულ ტურისტებს უხმობდა. ბოლოს, რაკიღა ნაკვერცხლებზე სიარულის მოყვარული სტუმართა შორის ვერ იპოვა, პეშვით აიღო ნაღვერდალი და ერთი ამოჩემებული ტურისტისკენ წამოვიდა.

„ნუ გეშინია, აი, ხომ ხედავ, არ მწვავს. ეს ჩვეულებრივი ნაკვერცხალი არ გეგონოს. ჩვენებური, აპაჩური ნაკვერცხალია“.

გრძელთმიანი, წითური, ულვაშა ტურისტი გაბრიყვდა, ის იყო ორი თითით დაწვდა ნაკვერცხალს, რომ საშინელი ღრიალით გადაყარა და თითებზე სულის ბერვით გაიქცა.

... მეოთხე ქოხის წინ, ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნისხელა მინდორზე აპაჩს გრძელი საბლით ეჭირა ოქროსფერი ულაყი და წრეზე დაარბენინებდა.

აპაჩს მათრახის ენა მოკეცილად ეჭირა და დროდადრო ცხენს გაუტკაცუნებდა.

ნესტოებდაბერილი და თვალებგაფართოებული ულაყი მათრახის ყოველ გატკაცუნებაზე სიჩქარეს უმატებდა.

მათრახები სხვა აპაჩებსაც ეჭირათ და ისინიც, თავის მხრივ, დასძახოდნენ ცხენს მხოლოდ მათთვის (და ალბათ ცხენისთვისაც) გასაგებ, აპაჩურ ენაზე.

ბოლოს აპაჩებს ჯვალოსკაბიანი სახეპირმკლავებიანად სამფრად (წითელი, ლურჯი, შავი) ტატუირებული აპაჩი გამოეყო და თვალისდახამხამებაში უბელო ცხენს ზურგზე მოექცა.

ულაყი, რა თქმა უნდა, წრეზე სირბილს განაგრძობდა.

მერე რაც მოხდა, წაქას მხოლოდ ცირკში უნახავს.

აპაჩი მხედარი ხან მუცელზე აეკვრებოდა ცხენს, ხან ფაფრის გასწვრივ ორ ფეხზე დადგებოდა, ზურგით შეტრიალდებოდა და სხვა აპაჩებს ხელით უხმობდა.

სხვა აპაჩებიც არ აყოვნებდნენ. ისინი მორიგეობით ახტებოდნენ ცხენს ზურგზე და ერთხელ ისე შეთამამდნენ, რომ მქროლავ ულაყზე ერთმანეთის მხრებზე შემდგარი სამი აპაჩი დაჰქროდა.

მოედნის შუაგულში აპაჩებმა დაახლოებით ასე 67მეტრიანი ბამბუკის სვეტი აღმართეს (სვეტის თავზე დამაგრებული, აალებული ჯამით.

ცხენოსანს მშვილდისარი შეაჩეჩეს.

აპაჩმა პირველივე სროლაზე ჩამოაგდო ჯამი და არა მარტო ჩამოაგდო, ხელითაც დაიჭირა, თანაც ისე დაიჭირა, რომ ალი არ ჩამქრალა.

... მეხუთე ქოხთან, თეთრზეწარგადაფარებულ ფიცარნაგზე, შავტუხა ბიჭს ქირურგი ოპერაციას უკეთებდა.

ჯერ შელოცვასავით კარგა ხანს იბუტბუტა, მერე ხელებზე წყალი გადაივლო. ვაზის ლერწივით წვრილი და ხმელი თითები აათამაშა ავადმყოფის მუცელზე და თხუთმეტიოდე წუთში ამოკვეთილი ბრმანაწლავი ხელში ეჭირა.

ავადმყოფი წამოდგა, ქირურგს მადლობა გადაუხადა და თავისი გზით წავიდა.

არც შეხვევაგაკერვა დასჭირვებია, წვეთი სისხლიც არ დაუღვრია. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაოპერაციევნაიარევიც არ ემჩნეოდა.

***

ექვსი საათისთვის ოროტოტოს ჟღრიალი გაისმა.

მაჰიდო ერთბაშად უჩვეულოდ ამოძრავდახვანცალდა.

აპაჩებმა საქმიანობა შეწყვიტეს, ხელსაწყოსაჩეჩელები აკრიფეს და ქოხებში შეიმალნენ.

გეგონებოდათ, ლოცვის ჟამმა დაჰკრაო, სოფელი სადაც ხუთიოდე წუთის წინ აპაჩური სიცოცხლე ჩქეფდა, დადუმდა, უკაცრიელს დაემსგავსა.

წაქა თავის ჯგუფთან ერთად გასასვლელისკენ გამოემართა.

ტურისტები ორსართულიანი ომნიბუსით წავიდნენ.

წაქა დარჩა, სოფლის შესასვლელთან ჩამწკრივებული ჯიპების შორიახლოს ხის სავარძელზე ჩამოჯდა.

ერთი საათიც არ გასულა ჩაჯინსჩაჰალსტუხებული აპაჩები მხიარული მასლაათით ჭიშკრისკენ, სხვადასხვა ფერმარკის ჯიპებისკენ გამოემართნენ.

წაქა ახლაღა მიხვდა ყველაფერს.

აი, თურმე რატომ არ ისმოდა სოფელ მაჰიდოში ბალღის ტირილი, ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი.

თეატრალური მაჰიდო ხვალ დილამდე რჩებოდა ცარიელი ცის და დარაჯი პოლიციელების ანაბარა.

„რა დღე გელის, ჩემო უბედურო სამშობლოვ“.

ასე ფიქრობდა წაქა.

ბოლო

ლევან კაკაბაძე მორჩილს რომ დაშორდა თბილისის ზღვისკენ გასწია. იორის შესართავს ზემოდან მოუარა და თბილისის ზღვის იმ ხრიოკ ნაპირს მიუახლოვდა, სადაც კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ცხელოდა.

ზღვის უჩინარ ტალღათა ტყაპატყუპი ისმოდა. წყალი ისე ზარმაცად და ძლივსშესამჩნევად ფეთქავდა, თითქოს მნახველს ნიშანს აძლევდა, კეთილ ენება და გაერჩია, სად მთავრდებოდა მიწა და სად იწყებოდა ზღვა.

ტანზე გაიხადა, სიპ ქვაზე საგულდაგულოდ დაკეცილ ტანსაცმელს ქვა დაადო და ზღვაში შეცურდა.

გახურებულ სხეულზე გრილი წყალი მაინცდამაინც არ ესიამოვნა. ცოტა არ იყოს, შეაჟრჟოლა, მაგრამ მალე შეეჩვია და ცურვაში შეთბა კიდეც.

ჯერ პირდაპირ მიცურავდა წყალჯომარდობის სადგურის გრძელი შენობისკენ. ზღვის შუამდე რომ მიაღწია, მარჯვნივ გაუხვია და შინმოუსვლელთა ძეგლისკენ აიღო გეზი.

„აქ უნდა დავამთვარო... მე თვითონ უნდა დავუსვა წერტილი ყველაფერს, თორემ, როგორც ჩანს, მიქელ გაბრიელს ისე ვუყვარვარ, რომ ჩემს წაყვანას აგვიანებს. წავალ... ჩემი წასვლით ქვეყანა არ დაიქცევა. როგორ მინდა, ჩემიანები სადაკრძალვო და საორმოცო ფუსფუსისგან გავათავისუფლო, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გამოდის. ერთი გაფიქრება ვიფიქრე, ანდერძს დავწერ და დაწვრილებით ჩამოვწერ: პანაშვიდებით და ნეკროლოგებით ხალხს ნუ შეაწუხებთ. დამკრძალეთ სადმე პატარა, შედარებით იაფიან სასაფლაოზე, უქელეხოდ და სამგლოვიარო გალობის

გარეშემეთქი, მაგრამ ეს ანდერძიც პრეტენზიული იქნებოდა და ზედმეტ თავმდაბლობად ჩამითვლიდნენ. უკვე საკმარისად მაჯანჯღარა წუთისოფელმა იმისათვის, რომ ერთი კაცის თავზე მოვლენილი განსაცდელები საკმარისი ყოფილიყო. ბედს არ ვემდური. მე ჩემი საცდელი ვეცადე. არსთა გამრიგემ საკმარისზე მეტი დრო მომცა იმისათვის, რომ თუ რამის გამკეთებელი ვიყავი, გამეკეთებინა. აწი სხვამ გასწიოს და, ღმერთმა ქნას, ჩემზე უკეთ შეძლოს.

ჩემს ტანსაცმელს, ალბათ, ხვალ იპოვიან. თბილისის ზღვა პატარაა და თუ მანამდე მაშველებმა არ აღმომაჩინეს, ორ დღეში ზღვა ისედაც გამომრიყავს.

დაიწყება რეკვა, ჭორაობა, სამედიცინო ექსპერტებს საქმე მიეცემათ. მერე ათასი მტერმოყვარე დაიჩემებს ჩემს პატრონობას... ზოგი გულით... ზოგი ისე, ყასიდად, ქვეყნის დასანახად. დაავალებენ მავანს ნეკროლოგი დაწერეო. მავანი თავს გაითავისუფლებს, მე მისი ბიოგრაფიული მონაცემები კარგად არ ვიცი, მეორე მავანმა დაწეროსო. მერე „ბჭობა“ იმაზე გაიმართება, ნეკროლოგი სახელდებით გამოაქვეყნონ თუ უბრალოდ „ამხანაგების“ ჯგუფი“ მიაწერონ, სახელისუფლებო ხელმოწერის, ან მთავრობის ხარჯზე დასაფლავების საკითხი, რასაკვირველია არ დაისმება. ამაზე მე თვითონ ვიზრუნე სიცოცხლეში, ყველა მთავრობას ოპოზიციაში ვედექი. შეიძლება რომელიმე ჩემმა ნამოწაფარმა ან მეგობართაგანმა ჩუმად ჩაილაპარაკოს: კაცმა რომ თქვას, თუ ის, ის და ის არიან დასაფლავებული პანთეონში ამ პროფესორს რატომ არ ეკუთვნოდაო, მაგრამ მის „ჩამოლაპარაკებას“ (მადლობა ღმერთს) ყურადღებას არავინ მიაქცევს.

მაპატიე, უფალო, ჩემი ეს უკანასკნელი შეცოდება.

ახლა სუნთქვას შევაჩერებ და ვეცდები ჩავიძირო.

თუ სუნთქვის პირველ შეგუბებაზე ვერ ჩავიძირე, ამოვყვინთავ, ხელებს მაღლა ავწევ, დავიქნევ და უფრო ღრმად ჩავიძირები. მართლაც რომ ძალზე დავიღალე...

რა მშვენიერია წყალში სიკვდილი.

მაპატიე, ღმერთო!

სუნთქვაშეკრულს და ლურჯ ლაჟვარდში ჩაძირულს ზედ ყურთან ძრავის გუგუნი ჩაესმა.

წამიც და ვიღაცის ღონიერი ხელი მხარზე წვდა.

ნავში ორნი ისხდნენ.

***

ამ ამბიდან სამი თვის შემდეგ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ 29 ოქტომბრის ნომერში მეოთხე გვერდზე ასეთი განცხადება დაიბეჭდა:

„26 ოქტომბერს შიომღვიმის მონასტერში ოთხმოცდახუთი წლის ასაკში ბერად აღიკვეცა პროფესორი ლევან კაკაბაძე და ეწოდა ბერი ერმინე“.

2018 თბილისი

ელგუჯა მგელაძე

ბუმბერაზი წიფელი და „იაგორის საცივი“

ირიჟრაჟა...

ღამეს ჯერაც ვერ მიეღო გადაწყვეტილება, რომ ძილით დაღლილი ქვეყანა გაეღვიძებინა.

მისი ბჭობა მზეს შეეწყვიტა... ნელ-ნელა, ჯერ ცარგვალი გაენათებინა, მერე - მიწა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გიშრის ღამე და საფირონის დღე.

იღვიძებდა გურიის ულამაზესი სოფელი ზომლეთი და ამ სოფლის მშვენება, დიდებული ბუმბერაზი სამასწლოვანი წიფლის ხე, რომელიც, რომ იტყვიან, სოფლის სავიზიტო ბარათი იყო!

ამ უზარმაზარი წიფლის გარშემოწერილობა სულ ცოტა ოთხი მეტრი მაინც იქნებოდა. იგი განმარტოებით იდგა იაგორ მგელაძის ფერდობიანი ეზოს ყველაზე დაბალ ადგილზე. ძნელია, სიტყვებით იმის გადმოცემა, თუ როგორი იყო ეს ხე. მისი ტოტები, ერთნაირად თანაბრად გაშლილიყო ყველა მიმართულებით და უზარმაზარ ქოლგას მოგაგონებდათ. იგი მთელ ამ არემარეს ავსებდა, ასეთი მოცულობის გამო და იშვიათი სანახავი იყო. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მიდამოს ერთი ხე ავსებდა და მთელი ტყის ასოციაციას ქმნიდა. უქარობაში მისი სილამაზის აღწერა უბრალოდ, შეუძლებელი იყო. უზარმაზარი ტოტებიც კი გარინდულიყვნენ, მაგრამ ოდნავი სიო წამოუბერავდა თუ არა, უცებ იცვლებოდა წიფელი. ერთად აჩურჩულდებოდნენ ტოტები, ერთმანეთს აჰყვებოდნენ ფოთლები. ფოთოლთა ჯარის შრიალი ერთ სიმფონიად იქცეოდა და მთელ არემარეს ავსებდა.

როცა ფერდობზე ნისლი ჩამოწვებოდა და ირგვლივ აღარაფერი ჩანდა, წიფელი ერთს შეიბერტყავდა ძლიერ ტოტებს და ნისლიც უცებ გაიფანტებოდა!

დილა ტოროლას სტვენით იწყებოდა, მას მერცხალი ეხმიანებოდა ჭიკჭიკით, ჟღურტულებდნენ პატარა ბარტყებიც, ბუდეებიდან თავს ამოჰყოფდნენ და გარემოს ათვალიერებდნენ, თითქოს ცხოვრებას სწავლობდნენ.

შეუძლებელია იმ სილამაზის აღწერა, რაც წიფლის ამ გამოღვიძებას თან ახლდა. დილაადრიან, მზე ოდნავ გამოანათებდა თუ არა, იხუვლებდნენ ფრინველები. ხის უზარმაზარი ტოტებიდან ცაში აიჭრებოდა აურაცხელი ჩიტი, თითქოს, დირიჟორმა ჯოხი აუქნი-

აო და დავლურს უვლიდნენ ჰაერში; თავს დასტრიალებდნენ მშობელ წიფელს და ათასგვარ ხმაზე უმღეროდნენ.

ასეთი მშვენიერების ხილვის ბედნიერება, იშვიათად თუ ეღირსება ადამიანს!

იღვიძებდა ბუნება და წიფლის გაღვიძებაც განსაკუთრებით უხაროდა მის ძირას მორაკრაკე მესაიდუმლე და ერთგულ მეგობარს, ანკარა წყაროს!

წყაროს წყალი, სპეციალურად გამოჭრილ, დაახლოებით ერთ ტონამდე ტევადობის ქათქათა თეთრ, წყალგაუმტარ კლდის ფიქალში გროვდებოდა და ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მარტო ბუნების დამსახურება კი არა, ადამიანის ხელის დახმარებით, ჭკვიანურად იყო მოფიქრებული და შესრულებული. აუზს, ზედმეტი წყლის გასატარებელიც ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მასში ერთ ტონამდე წყალი სისტემატურად იდგა. წიფლის ხის მიწის ზედაპირზე ამოზიდული ფესვებიც, წყაროს თავზე ისე მოხერხებულად იყო განლაგებული, რომ მორაკრაკე წყლის მსურველს შეეძლო, ერთი მეტრის სიღრმეში შეეყო ხელი და სპეციალური ჭურჭელი, პირდაპირ წიფლის ფესვების ბუნებრივ ტერასაზე, შეედგა წყლისთვის.

წყაროს და წიფელს უანგაროდ უყვარდათ ერთმანეთი. სანაცვლოდ არაფერს ითხოვდნენ. მათი ურთიერთობა, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა იყო იმის გამო, რომ ხე და წყარო ბევრს უნახავს ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ხის ფესვებიდან გამომდინარე წყარო, რომელიც ,,აუზს ქმნიდა", არავის ახსოვს.

აქ, სოფლის უბნების გზაგასაყარი იყო და ყოველთვის განსაკუთრებით ბევრი ხალხი მიმოდიოდა.

ერთი სიტყვით, ეს ნამდვილი სიცოცხლით სავსე გარემო იყო!

აქაურები ამ ადგილს ,,იაგორის საცივს" უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შემთხვევით არ მოუგონიათ. წყარო იქაური გლეხის, იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობდა. არავინ იცოდა, ხსენებული ბუმბერაზი წიფელი უფრო დიდი ხნის იყო თუ წყარო, რომელსაც ენაკვიმატი გურულები რატომღაც ,,საცივს" ეძახდნენ. ერთი კია, რომ ამაზე ლამაზ, იდუმალ ადგილს ძნელად იპოვიდა კაცი! მოსახლეობას წყარო და წიფელი ცალ-ცალკე ვერ წარმოედგინა.

,,იაგორის საცივი" უშუალოდ სამანქანო გზის პირას მდებარეობდა და სოფლის მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვისაგან დასაცავად, იგი აკაციის მეტრნახევრიანი სიმაღლის მესერით იყო შემოღობილი. ნებისმიერ მსურველს, ღობის დაბალ ,,ალაგეზე" გადავლით, შეეძლო ცივი წყლის დაგემოვნება. წყლის ჭურჭლად, წვერწათლილ მესერზე ჩამოკიდებულ კონსერვის თავმოჭრილ ქილებს იყენებდნენ.

ენით აუწერელი სილამაზე იყო, წყაროს აუზის კიდეებზე წყლის დასალევად შემოსკუპებული უამრავი ფრინველის ხილვაც. ხშირად გვინახავს ელექტრონის მავთულებზე

შემომსხდარი ფრინველები, მუსიკალურ ნოტებს რომ მოგვაგონებდნენ... მაგრამ წყაროს შესევის დროს სულ სხვა სურათი იყო: ეს ათასფერი ჩიტი ტილოზე ხელით ნაქარგს ან მხატვრის ფუნჯით დახატულს ჰგავდნენ.

ცივი წყლით გაგრილებული ჩიტები, მერე, ერთად აფრინდებოდნენ, ცას მიაშურებდნენ და ჟრიამულით იკლებდნენ იქაურობას. ალბათ, სწორედ ამაზე ითქმის ხოლმე: მზეს უმღერიან ჩიტებიო!

წიფელი წელიწადის ოთხივე დროს, რომ იტყვიან, შეუდარებელი იყო, მაგრამ განსაკუთრებით საოცარი იყო იგი გაზაფხულზე, ზამთრის შემდეგ გამოფხიზლებული! უნდა გენახათ, როგორ იბადებოდნენ და მერე როგორ სკდებოდნენ დაბერილი კვირტები - მისი შვილები. როგორ იმოსებოდა უხვი ტოტები ფოთოლთა ულამაზესი კაბებით!

ჰაერი რომ დათბებოდა, თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებოდა ათასი სახეობისა და ჯიშის ფრინველი. ირგვლივ გაზაფხულის ყვავილების სურნელება ტრიალებდა.

ბედნიერი ჩიტები ჰაერში დავლურს უვლიდნენ, თავს დასტრიალებდნენ მშობელ წიფელს. მერე ცოტა ხანში მათი ბარტყები დაიჩეკებოდნენ და სურათიც სულ სხვანაირი ხდებოდა. ხეც თითქოს ზღაპრებს უყვებოდა პატარებს, ასწავლიდა მათ, რომ არსად, ასე ლამაზად არ თენდებოდა და ასე ლამაზად არ ღამდებოდა, ასე არ ჩახჩახებდა მზე, როგორც აქ და, სწორედ ეს იყო მათი სამკვიდრებელი!

ამ ხეს თითქოს სხვა განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა იმ ფრინველების მიმართ, რომლებიც თბილ ქვეყნებში არ მიფრინავდნენ და მის ტოტებში იზამთრებდნენ, ზოგი დროებით დაცლილ ბუდეებში, ზოგიც უზარმაზარ ფუღუროებში. წიფელი, შეძლებისდაგვარად ,,მასპინძლობდა“ მათ. მისი უზარმაზარი ტოტების ქვეშ თავს აფარებდნენ ადამიანები და ცხოველებიც.

წიფლის გამოღვიძება ძალიან ახარებდა სოფლის ბინადრებსაც. მისი მდებარეობის, სამანქანო გზასთან სიახლოვის გამო, გამვლელი თუ გამომვლელი, წყურვილს აქ იკლავდა.

წიფელმა თითქოს იცოდა ყველა მიტოვებული ბუდის, ყველა ობოლი ფოთლის, ყველა

იმედგაცრუებული ტოტის, ყველა ძირს ჩამოვარდნილი ბარტყის, ყველა ბნელი ფუღურო-სა და ყველა ფრთოსნის ამბავი. ისიც იცოდა, როდის მოფრინდებოდნენ აქ ჩიტები, ყვა-ვილს შერჩენილი ნამი რომ შეესრუტათ.

მიუხედავად იმისა, რომ წიფელს მეხის რამდენჯერმე დაცემის კვალიც აჩნდა და რამდენიმე ფუღუროც ჰქონდა, ის მაინც ისეთი ბუმბერაზი და მდიდრული იერის იყო, რომ, მის ქვეშ წყაროც რომ არ ყოფილიყო, საკუთარ ღირსშესანიშნაობას მაინც არ დაჰ-კარგავდა! ხის უზარმაზარი ტოტები თავის დროზე, ალბათ, ზეცისკენ იყო აღმართული, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდნენ და მას სხვანაირ იდ-უმალ იერს აძლევდნენ. ის კი არა, დასავლეთ მხარეს, ერთი, დაახლოებით 60 სანტი-მეტრის დიამეტრის ტოტი, იმდენად ჩამოიწია ქვემოთ, რომ მის ქვეშ გამავალ გზაზე თი-ვით ან ჩალით არაგაბარიტულად დატვირთული ავტომანქანები და ტრაქტორის მისაბმე-ლები, თავისუფლად გავლას ვერ ახერხებდნენ. ადგილობრივი მძღოლები ყოველთვის ითვალისწინებდნენ ამ გარემოებას და ტვირთი წიფლის გვერდის ავლით, შემოვლითი გზით მიჰქონდათ.

სოფელ ზომლეთში ალბათ ვერ ნახავდით ადამიანს, ვისაც, რომ იტყვიან, პირი არ ჰქონდა ჩატკბარუნებული წიფლის უგემრიელესი წიწიბოთი. მოსახლეობა ამით ,,აპურებ-და“ თავის ბინადარ ფრინველებსა თუ შინაურ ცხოველებსაც კი.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იმატა წიფელზე კოდალების სტუმრო-ბამ. ისინი დილიდან საღამომდე უკაკუნებდნენ ხეს თავიანთი გრძელი ნისკარტით და წი-ფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატურად ,,უმასპინძლდებოდა“ ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

ხანდახან წიფელს ერთდროულად, 4-5 კოდალა ,,სტუმრობდა“ და კაკუნით იკლებ-და არემარეს.

გვიან შემოდგომაზე, ხის სიმაღლის, ტოტების სიხშირისა და სიდიდის გამო, ჩრდი-ლოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ უცხო ფრინველთა ლამაზი ,,ქარავანი“ მის ტოტებზე ისვენებდა, სულს მოითქვამდა და გზას აგრძელებდა. ეს იყო საოცარი სანახაობა...

ამ ხეზე შემომჯდარი ნებისმიერი ფრინველი სოფლელებს თავისად მიაჩნდათ და არავის აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ მისთვის თოფი ესროლა. ჩანდა, წიფელს ძა-ლიან უყვარდა თავისი ბინადარნი და მათ უფრთხილდებოდა. ისინიც სიყვარულით პასუ-ხობდნენ, ენდობოდნენ და გულის ნადებსაც კი არავინ იტოვებდა, ხეს ჭიკჭიკით ანდობ-დნენ თავის საიდუმლოს. ყველა თავისებურად აკეთებდა ამას. უცნაურია ის, რომ ამ წი-

ფელზე არავის უნახავს მტაცებელი ფრინველი, რატომ?. ამის ახსნა არავის შეეძლო. ესეც უნიკალური შემთხვევა იყო.

წიფლის ფერდობის გაღმა, სხვადასხვა ჯიშის ხე ხარობდა, მართალია, ისინი წიფლისგან მოშორებით იდგნენ, მაგრამ მის სიახლოვეს ყოფნა ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ, მასსავით დიდებული გამხდარიყვნენ, მაგრამ ამის ბედნიერება არ ჰქონდათ, რადგან ხის მჭრელების ეშინოდათ. თავის მხრივ, წიფელს გულს უკლავდა ნაჯახის კაკუნი და ხერხის ავი ხმა... თვითონ ასეთი საფრთხე არასდროს დამუქრებია, მაგრამ სხვების ბედი ძალიან აწუხებდა.

ამბობენ, ხეებს რომ ტირილი შეეძლოთ, ხის მჭრელებს ცრემლების ნიაღვარი წალეკავდაო.

,,ხეს ადამიანივით და კიდევ უფრო უკეთესად გაეგება ყველაფერი. ადამიანზე ლამაზად და უკეთესად სიკვდილიც შეუძლია და სიცოცხლეც. სიცოცხლე ხომ იცის და იცის უკეთესი“, ბრძანებდა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი თავის ნაწარმოებში ,,დათა თუთაშხია“.

ზომლეთის წიფელიც, სწორედ, ასეთი ხეების რიგს მიეკუთვნებოდა. იგი ფოთლების შრიალით ყოველთვის თანაგრძნობას გამოხატავდა გარშემომყოფთა მიმართ, არიგებდა მათ: ,,ვიდრე ტყის შვილობის სურვილი ცოცხლობს ჩვენს გულებში, არც დედამიწა გაგვიმეტებს და არც გამჩენიო“.

თურმე, ხეებსაც სცოდნიათ ლოცვა. წიფელი სისტემატურად ლოცულობდა მოძმეებზე, საკუთარი ტოტების წიაღში დაბუდებულ ფრინველებზე, განუყრელი მეგობრის - კამკამა წყაროსთვის და მინდორ-ველებში არსებულ მცენარეულობებზე.

...წიფელს ძალიან უყვარდა ღამის საუბრები წყაროსთან. ვინ იცის, რამდენი გასაჭირის თუ ლხინის მომსწრენი ყოფილან წიფელი და წყარო. რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. ღამით მარტო დარჩენილი ხე ფოთლების შრიალით, წყარო კი რაკრაკით ერთმანეთს უზიარებდნენ დარდსა თუ სიხარულს. მერე, როგორც ამბობენ, ,,ერთი ძილით წყალსაც წაეძინებაო“და, წყაროსაც რომ მიეძინებოდა, წიფელი უკაცრიელი სიჩუმით ტკბებოდა.

მაშინ, როცა ფრინველთა გადაფრენა დამთავრდებოდა, ხეზე მობინადრე ფრინველებიც, გამოსაზამთრებლად, დროებით მიტოვებულ ბუდეებს მიაშურებდნენ და ხეს შერჩენილი ბოლო ფოთოლიც, უკანასკნელი მოჰიკანივით, ფარფატით დაეშვებოდა მშობელ მიწაზე და წიფელიც ღრმა ძილს მიეცემოდა გაზაფხულამდე, აი, სწორედ, იმ დღეს, მეგობრები კეთილი სურვილებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს იმ იმედით, რომ წიფელი გამოღვიძების შემდეგ, კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმს დაუბრუნდებოდა.

წიფლისა და წყაროს მოპირდაპირე მხარეს, მომცრო ღელეს გაღმა, სულ რაღაც 70-ოდე მეტრში, მდებარეობდა სოფელ ზომლეთის მესაქონლეობის ფერმა, რომელიც სამასამდე სულ მსხვილფეხა საქონელს იტევდა.

მესაქონლეობის ფერმა ხუთი შენობა-ნაგებობისაგან შედგებოდა და ყველა მათგანს სასმელი წყალი ლითონის მილებით მიეწოდებოდა, დაახლოებით 150-მდე მეტრით დაშორებული წყაროდან, რომელიც საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდა და ფერმაშიც თვითდინებით შედიოდა. ამის მიუხედავად, ფერმაში ყოველდღიურად მომუშავე ადამიანები სასმელად ყოველთვის მაინც წიფლის წყაროს წყალს იყენებდნენ, რომელსაც სხვადასხვა სახისა და ტევადობის ჭურჭლით ეზიდებოდნენ.

მდინარე სუფსის ორივე მხარეს გადაჭიმულ სოფელ ზომლეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მომუშავე ადამიანები, რომლებიც, ძირითადად, სიმინდის ყანების დამუშავებით იყვნენ დაკავებული, სასმელ წყალს ყოველთვის ,,იაგორის საცივიდან“ ეზიდებოდნენ. შუადღისას თაკარა სიცხის დროს, ბევრი მათგანი, სწორედ, წიფლის ქვეშ აკეთებდა შესვენებას, სადაც ენამოსწრებული გურულები ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ. შუადღის შესვენება, პაპანაქება სიცხის გამო, ზოგჯერ სამი-ოთხი საათი გრძელდებოდა. უზარმაზარი წიფლის ქვეშ შეფარებულ გლეხებს აქ ყოველთვის სასიამოვნო, გრილი ნიავი ხვდებოდა, რაც წიფლისა და წყაროს ჰარმონიული ურთიერთობით იყო გამოწვეული.

აქვე ისვენებდა სოფელ ზომლეთის ყველა ახალგაზრდა, ვინც კარგ ამინდში, თითქმის ყოველდღე მდინარე სუფსის პირას მდებარე საფეხბურთო სტადიონზე იყრიდა თავს.

ცივი წყაროც ძველებურად მოჩუხჩუხებდა და ზამთარ-ზაფხულს რატომღაც ყოველთვის ერთი და იგივე ტემპერატურა ჰქონდა. იგი არასდროს იყინებოდა. სწორედ, ამის გამო, ყველა მოწიწებით ეპყრობოდა წიფელს და მის ძირში მორაკრაკე წყაროს.

ზამთარში გაშიშვლებული უზარმაზარი ხე გრანდიოზულ, მონოლითური ქანდაკების ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებდა და საოცარი სანახავი იყო! ცივ ზამთარში, თოვლი ხის ტოტებს რომ დაფარავდა, მის შემხედვარეს თოვლიანი მწვერვალის ასოციაცია გაგიჩნდებოდათ!

ვინ იცის, რამდენი გასაჭირის თუ ლხინის მომსწრე ყოფილა ეს წყარო და წიფელი! რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. რამდენ გამვლელ-გამომვლელს მოუკლავს წყურვილი, მოუოხებია გული და შინ დასვენებული და დარდისაგან განტვირთული წასულა. ალბათ, რა მტკივნეული იქნებოდა მათთვის იმ დაუდევარი ახალგაზრდების საქციელი, რომლებსაც ხის ტანზე ბასრი საგნით ამოტვიფრული არაფრისმთქმელი წარწერები დამღად, რომ დაუტოვეს საუკუნოდ.

წიფელის გამოღვიძების შემდეგ გაზაფხული იწყებოდა სოფელ ზომლეთში.

ალბათ, ძნელი იქნება ამ ხნის (სამი საუკუნე) ხის პოვნა საქართველოში! როგორც ვიცით, მხოლოდ ძელქვა, მუხა და ჭადარი ცოცხლობს სამას წელზე მეტ ხანს. მაგრამ ზომლეთის წიფელი იშვიათი გამონაკლისი იყო!

ალბათ ვერც ერთი აქაური პეიზაჟი ვერ ხიბლავდა ადამიანს ისე, როგორც ეს მიდამო - იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთის ფერდობის ძირში აშოლტილი ეული უზარმაზარი ხე!

გადიოდა დრო, რომ იტყვიან, ხან წვიმდა, ხან თოვდა, ხან მცხუნვარე მზე წვავდა მიდამოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წიფელს ხანდაზმულობისაგან ნელ-ნელა ტოტებიც ტყდებოდა და დრომ მეხსიერებაც წაართვა, იგი მაინც ჯიუტად მყარად იდგა და იდგა!

მაგრამ, გამოხდა ხანი და ბუნება, სტიქია, უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ეს უნიკალური, შეუდარებელი ხე, თითქოს, უსულო, მაგრამ ძლიერი, დიდმა თოვლმა ძირში გადატეხა. მძინარე ხეს საოცარი კვნესა აღმოხდა. ნელ-ნელა გადაწვა, მერე მტვრევის ხმა, ხრჭიალი გაისმა და წიფელი მოწყვეტით, მთელი ძალით დაენარცხა დედამიწაზე, უზარმაზარი ტოტებიდან თოვლი საბოლოოდ ჩამოიბერტყა, თითქოს მის დამღუპველ თოვლსაც ანგარიში გაუსწორაო. აი, შემდეგ კი, თვალები მშვიდად დახუჭა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და სამუდამოდ განესვენა.

სიკვდილი შეუძლებელია ლამაზი იყოს, მაგრამ ეს წიფელი ნამდვილად ლამაზად მოკვდა, მან ღირსეულად დაამთავრა ამქვეყნიური ცხოვრება.

გვინახავს ადამიანის ხელით მოჭრილი მორადქცეული ხეები, მაგრამ წიფელი, გადატეხვის შემდეგ, რაღაც უცნაურ სანახაობად ქცეულიყო, რომელსაც ვერც მორს უწოდებდი და ვერც კუნძს.

სხვა ხეები მისგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ, მაგრამ წიფელი ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ, მასავით დიდებული გამხდარიყვნენ. როცა კვნესა გაიგონეს, გლოვის ზარი ჩამოჰკრეს. იდგნენ გარინდული და სულგანაბული. შემდეგ, თითქოს, ძლივს ამოისუნთქეს და წყაროს მიუსამძიმრეს...

...ამ ორიოდე წლის წინ კვლავ ვესტუმრე ჩემს მშობლიურ სოფელ ზომლეთს. გვიანი შემოდგომა იდგა და ხეები უკვე გაძარცვულიყო. ამიტომ, სოფლის შესასვლელიდანვე, რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა: გარემო იერშეცვლილი მომეჩვენა... წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება და იმედგაცრუება, როცა სულისშემძვრელი სურათი დამხვდა. წინა წლის დიდთოვლობას, ულამაზესი ბებერი წიფელი ზედ ძირში გადაეტეხა!

გაოგნებული ვუცქერდი დაცარიელებულ არემარეს. მოსახლეობას წიფელის ის ნაწილი, რომლითაც სავალი გზა იყო ჩახერგილი, შეშად დაუმუშავებია, ხოლო მისი ვეებერთელა ტანის ნაწილი, რომელიც ღელეში ჩავარდნილა, საცოდავად იქ ეგდო...

,,ხეებს ლაპარაკი ესმითო", - მიაჩნდა ბუნების მესაიდუმლე დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას. იმასაც ხომ ამბობენ, ,,ხეები ზეზეულად კვდებიანო". აი, ჩვენი წიფელი კი სულ სხვანაირი სიკვდილით მოკვდა...

უაღრესად დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი მივედი წიფლის გადამტვრეულ ძირთან, რომელიც, თითქოს დარცხვენით მიმზერდა და თვალს ვერ მისწორებდა. თვალი შევავლე წყაროს და მომეჩვენა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა, რადგან თოვლთან ერთად წყალმაც თავისი როლი შეასრულა წიფლის ფესვების ძირის გამოთხრაში...

მომეჩვენა, თითქოს ცხარე ცრემლით ტიროდა წყარო, როცა განუყრელი და ერთგული მეგობრის დაკარგვის ამბავს ,,ჰყვებოდა". ალბათ, ამიტომაც ახლა უფრო მეტი წყალი გადმოდიოდა წიფლის ფესვებიდან, ვიდრე ადრე!

წყარო იმასც წუხდა, რომ წიფელს ამონაყარი ნერგი არ დარჩა, რომელიც მის სიცოცხლეს გააგრძელებდა.

მე კი იმაზე ვდარდობდი, რომ დაუდევრობით ან მოუცლელობით, ამ საოცარი ხისა და დიდებული ადგილის ფოტოსურათი არ შემომრჩა... ამიტომ გადავწყვიტე, ამ მონათხრობით მაინც ჩაიწეროს სოფელ ზომლეთის ისტორიაში საუცხოო ხისა და მისი განუყრელი მეგობრის – ანკარა წყაროს თავგადასავალი!

თემურ გოგსაძე

„სიყვარულის ანდერძები“

ნამდვილ ფაქტებზე აგებული,
მომავალი რომანის მინი ვერსია

ეს ისტორია გახმაურდა. რამდენიმე პატივსაცემმა შემოქმედმა დამირეკა კიდეც და მოთხრობას (სცენარს) დავწერო - შემომთავაზა.

ყველამ მომიტევოს, მაგრამ, ეს უშუალოდ ჩემი მონაწილეობით განხორციელებული დრამატული ცხოვრებაა და მაქვს ამბიცია მევე ვაქციო - ლიტერატურულ ტილოდ! ამიტომ საავტორო უფლების დაფიქსირების მიზნით, სოციალურ ქსელში ვაქვეყნებ ფრაზებით გადმოცემულ - მინი-სიუჟეტს.

სოხუმი, 1993 წლის 27 სექტემბერი

... ნაღალატევი და გაყიდული სოხუმის სისხლიანი ქუჩები... მოზეიმე „რუსულ და აფსუა - გადამთიელთა აგენტურა...“

ქართველთა და აფხაზთა სისასტიკეები. იმავდროულად, მოძმეთა სისხლის ყივილი - ქართველების მიერ გადარჩენილი აფხაზები და აფხაზების მიერ გადარჩენილი ქართველები...

ცალკეული შენაერთებისა და ბიჭების გამაოგნებელი გმირობები... ორად გახლეჩილი სამშობლო და უმწეობისგან ატირებული ვაჟკაცები...

სოხუმისგან „გამოპარებული მთავარსარდლის“ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ცაში მონავარდე მტრის მოიერიშე თვითმფრინავები...

„საიდუმლო ხელშეკრულებაზე“ ხელის მოსაწერად, მუხანათურად ჩატოვებული ჟიული შარტავა და მის სულში ამბოხებული წინაპართა ღირსება და საუკუნოვანი გმირობა.

ალყაშემორტყმული მთავრობის სახლი და მიმდებარე ტერიტორიები...

კეფაზე მობჯენილი ავტომატის ლულა და დასახვრეტად გაყვანის სიცივის შეგრძნება...

საბედისწერო სამაგიეროს გადახდა - ციმბირში „ირკუტსკის“ საპყრობილიდან გამოხსნილი ჩეჩენი „მაგილას“(მეტსახელი) მიერ ჩემი ალყიდან გამოყვანა და გადარჩენილის ამოსუნთქვა...

* * *

ნაღმისგან ამოთხრილი ორმოს მიღმა დასისხლიანებული პატარა გოგონა დავლანდე - შველას ითხოვდა... მისკენ უყოყმანოდ გავემართე... ჰაერში ჭურვის ზუზუნი გაისმა... გოგონასაკენ გადავხტი და მთელი სხეულით გადავეფარე, აფეთქების ტალღამ ორივე გაგვისროლა.

საპრობლემო არაფერი ჩანდა, ამიტომ გოგონას ვუთხარი:

- ხელები შემომხვიე და წავედით აქედან !
- არ წამოვალ ! იქ ჩემი მეგობარია.. და ხელით მიმანიშნა თხრილისკენ
- გავცოცდი და ფეხდამსხვრეულ ყმაწვილთან ერთად ძლივს მოვახერხე დაბრუნება.

- მე მარი ვარ, ეს კი ჩემი მეგობარი დათი, მე ქართველიც ვარ და აფხაზიც !

მივხვდი, რომ ამ ფაქტს შეგნებულად გაუსვა ხაზი, თუმცა ამაზე ფიქრის დროც კი არ იყო !

აშკარა იყო, რომ ვერ შევძლებდი მათთან ერთად გადაადგილებას, ამიტომ ბეტონის ნანგრევებში დავმალე საგულდაგულოდ და დავპირდი, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი.

ყოველი შემთხვევისათვის, ბარათი დავუწერე, რადგან ჩემი ვარაუდით, გეგმის მიხედვით „ზვიადისტების ბატალიონს“ უნდა გაევლო ეს ტერიტორია.

მოვახერხე და გვიან ღამით დავბრუნდი იმ ადგილზე, თუმცა იქ აღარავინ დამხვდა!?

მათ შესახებ დღემდე არაფერი ვიცოდი.

სალონიკი – „ჯორჯია“

სისხლის სამართლის მასალების გაცნობაში დღე-ღამის გასაყარი ისე შემომეპარა ვერც გავიგე.. ოფისიდან გამოვედი და მთაწმინდის აღმართს შევუყევი... მამადავითიდან ყველაზე უფრო მომხიბვლელია ალიონი თბილისში.

მოულოდნელად, მობილურზე დაირეკა, ქალბატონი მომესალმა და ვინაობა მკითხა.

როცა დავუდასტურე ვინ ვიყავი, მითხრა:

- პატიმარი ქალბატონი, მოუთმენლად გელოდებათ საბერძნეთში.

- ზეგ მივფრინავ, ათენში - მეთქი, ვუპასუხე, ჩემი მხრიდანაც ვინაობა ვკითხე და დავინტერესდი რა აკავშირებდა ამ საქმესთან.

- ვიცი, ვისთანაც ჩამოდიხართ, მაგრამ, მე სულ სხვა პატიმარზე გელაპარაკებით, გარწმუნებთ, მასთან შეხვედრა, არანაკლებ საშურია ! - ისეთი ტონით მითხრა, ეჭვები აღმიძრა... ინსტიქტურად ტელეფონის აპარატს დავხედე, დაფარული ნომერი იყო, რამაც უფრო დამაეჭვა და მივახალე :

- მგონია, პროვოცირებას ახდენთ, ვიღაცის ინტერესით, ფეხმძიმე ქალის წამებისა და არაადამიანური მოპყრობისათვის, მაინც მოეკითხება ყველას...

- გარწმუნებთ, არა ! მე მასთან ვიჯექი საკანში... გამამართლეს და გამოვედი... მისი თხოვნით ვრეკავ... ის სოხუმელია...

- და მან, რამდენიმე დეტალი მითხრა, რომელიც მხოლოდ ერთმა გოგონამ და მისმა მეგობარმა ყმაწვილმა იცოდა, რაც სოხუმში გადაგვხვდა.

წამიერად, სხვა სამყაროში გადავედი... ისევ უცნობი ქალბატონის ხმამ გამომიყვანა ფიქრიდან .

- იქნებ, სალონიკში ჩამოხვიდეთ..? უფრო დეტალურად მოგიყვებოდით..

- კარგი, მეთქი ! - უყოყმანოდ დავეთანხმე

* * *

სალონიკის აეროპორტის ავტოსადგომზე დიდხანს ვეძებდი „BMW“-ს მარკის ავტომანქანას, როგორც იქნა ვიპოვე და გავემართეთ კალამარიასკენ (მინი ქალაქი სალონიკში),ასე დაიწყო „გეორგიასთან“ სტუმრობა.

მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ ის ხატავს და წარწერას ქართულად აკეთებს - ჯორჯია!

გაირკვა, რომ მისი წინაპარი საქართველოსთან მყარად იყო დაკავშირებული, ამიტომ მერე აღარ მიკვირდა, როდესაც ჯორჯია პერიოდულად ღიღინებდა „სხვა საქართველო სად არი“-ს.

თვითონაც ტრაგიკული ბედის ადამიანი, სხვების ტკივილს იმდენად ითავისებდა, რომ განსაკუთრებულ ადამიანურ აღტაცებას იწვევდა ჩემში !...

რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ საქმე მართლაც მარიასთან (მარი აფხაზთან) მქონდა და მეორე დილით საპატიმროსკენ გავემართეთ.

აცრემლებული ქალთა საპყრობილე

ცხოვრებამ გამანებივრა და გამომაწრთო განსაცდელებით ! თუმცა რაც ქალთა საპყრობილეში იმ დღეს ხდებოდა, ენით და ემოციით გამოუთქმელია...

ჩემს მკერდზე ქვითინებდა პატარა გოგონა სოხუმის ქუჩებიდან...

ქართულ-აფხაზური გენის ქალბატონი!... ისეთივე გატანჯული, ნაწამები და დატყვევებული, როგორიც მისი მშობლიური აფხაზეთი..

არავის ესმოდა ჩვენი საუბარი, თუმცა ტიროდა ყველა... ენას მნიშვნელობა არ ქონდა, ისედაც გასაგები იყო, რაც ხდებოდა.

- ძალიან მიჭირდა, მაგრამ ქართველი პატიმრებისათვის, არ გამიმხელია ნამდვილი ვინაობა... თუმცა, როცა საკონსულოს წარმომადგენელმა ქალბატონს უთხრა, რომ ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია ახლა საქართველოდან ადვოკატი ჩამოვა და იქნებ მან რამე გიშველოთო, მაშინ გავიგე, რომ ეს თქვენ გეხებოდათ.

- მაშინვე გადავწყვიტე, რომ შეგხვედროდით, ბედად, ჯორჯიაც გაამართლეს და გავიდა ციხიდან...

* * *

მაშინ, სოხუმში გაგვიმართლა... ტყვიების ზუზუნი, რომ მორჩა მოულოდნელად მეგრული საუბარი მოგვესმა, მივხვდით მე და დათი, რომ ქართული მხარის მებრძოლეები იყვნენ... თქვენმა წერილმაც დიდი როლი ითამაშა.. რა დამავიწყებს?! სოსო ჯომიდავას სოხუმის ბატალიონის ბიჭებმა ზუგდიდში გამოგვამგზავრეს...

მერე, ერთი წელი უკრაინაში ვიყავი, მაგრამ დათის გარეშე არ შემეძლო და დავბრუნდი.

ოდესიდან - ბათუმამდე ზღვით გამომამგზავრეს, სადაც გავიცანი ჩემი ბედის უკუღმა დამტრიალებელი!... ისეთი მზრუნველობა გამოიჩინა, მამის სითბოდ აღვიქვი... მერე, ინტენსიურად დაიწყო „ზრუნვა“ ჩვენზე... დათის არ მოწონდა და მაშინ ამაზე ვღიზიანდებოდი.

მოკლედ, დამარწმუნა, რომ საზღვარგარეთ სასწავლებელში მომაწყობდა და ცნობილი მოდელი გავხდებოდი ჩემი გარეგნობის წყალობით.

ედუარდ შევარდნაძის ტერაქტის დღეს, განმიცხადა, რომ საზღვრები შეიძლება ჩაკეტილიყო, ახლა გვქონდა შანსი და სასწრაფოდ გამიყვანა ფოთიდან, რომელიღაც ტანკერით.

 დათის როგორ ვეტყოდი და დავისაჯე კიდეც...

რომელიღაც ქვეყნის (მგონი თურქეთის) აულში მარტო აღმოვჩნდით სახლში და არ ვიცი რამდენხანს ძალადობდა ჩემს სხეულსა და ფსიქიკაზე...

არ მეგონა თუ, ფილმებში ნანახი მე გადამხდებოდა და მონაზე უარეს ნივთად გამყიდდნენ!...

- ის ვინც ეს გააკეთა ქართველი იყო? ვკითხე ბოღმა მორეულმა..

- ქართულად, რუსულად, თურქულად, ბერძნულადაც ლაპარაკობდა, თუმცა ასეთ ადამიანებს ეროვნება არ გააჩნიათ !

- დუმილით დავეთანხმე და მარიმ განაგრძო..

- ერაყი, სირია, ავღანეთი, პაკისტანი და კიდევ უცნობი კუნძულები, სადაც მეძავად მამუშავებდნენ... ახლა აღარ მრცხვენია, რადგან ეს ჩამოვირეცხე... ასაკისა და კეთილი ადამიანის წყალობით თავისუფლება გამოვისყიდე, სირიაში გადმოვედი და გავთხოვდი კიდეც ვეტერან მეზღვაურზე... მდიდარი აღმოჩნდა.. თუმცა ამას მნიშვნელობა არ ქონდა ჩემთვის.

საბერძნეთის ერთ-ერთ რესტორანში ვვახშმობდით... ძალიან ლამაზად მეცვა... საპირფარეშოში გასვლისას დარბაზის კუთხეში მამაკაცი დავლანდე, არ ვიცი, ალბათ ინსტიქტი... დავბრუნდი უკან და ისევ გავიარე... საპირფარეშომდე ძვლივს მივაღწიე.. გული გამიჩერდა... ვიცანი - ის მამაკაცი ჩემი ბედის დამანგრეველი იყო.

შურისძიებაზე მეტი იყო რაც დამეუფლა, უცებ გავხდი ის, ვინც მისი წყალობით მთელი ცხოვრება მიწევდა ყოფნა... ჩემს „პროფესიულ ჩანგალზე“ უმალ წამოეგო.. ცხადია, თვითონ ვერ მიცნო.. იქვე, არ გადავწყვიტე, რადგან ქმარი დავინდე, არ იმსახურებდა.

დათქმულ დღეს, ვილა მზად ქონდა... და სანამდეც ნერვი მეყო ვაწამე, სიკვდილის წინ ვუთხარი ვინც ვიყავი, როგორც მე პირში საცვალი ჩამჩარა და ისე მაუპატიურებდა, მისივე საცვალით მოვახრჩე და მერე პოლიციას ჩავბარდი.

ის სატანა იყო, რომელმაც ჩემზე გაიმარჯვა - მკვლელად მაქცია.. მუდმივი პატიმრობა მაქვს მოსჯილი, მაგრამ თავისუფალი ვარ !... განაჩენის გამოცხადებიდან ერთ თვეში ჩემი ქმარი გარდაიცვალა... არაფრის მქონე მდიდარიც გავხდი, არ ვაპირებდი ცოცხლად დარჩენას, რამდენჯერმე თვითმკვლელობაც ვცადე.. ჯერ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მერე კი მოძღვარი შემომიგზავნეს.

მამა თეოდოროსი აფხაზეთში, ახალ ათონსა და სხვა ქართულ ეკლესიებში მსახურობდა თურმე... დიდი ბერძნული მიგრაციის დროს, ისიც დაბრუნდა სამშობლოში... მისი წყალობით ვარ ცოცხალი და ვუბრუნდები უფალს...

სამემკვიდრეო ქონების გაფორმებიდან, რამოდენიმე დღეში, მთელი სამკვიდრო დათის ვუანდერძე, ანდერძი მამა თეოდოროსთან არის და ჯორჯია წაგიყვანს მასთან.

ჩემს საქმეზე ზრუნვას არ გთხოვ, დათი მოძებნე და გადაეცი ანდერძის პირი...

დიდხანს უსიტყვოდ შევცქეროდით ერთმანეთს, მერე ისევ ჩავეხვიეთ და პირველად პირადპროფესიულ ისტორიაში, დავარღვიე ეთიკა და მარის დავპირდი, რომ ციხიდან აუცილებლად გავიყვანდი და სამშობლოში დავაბრუნებდი !..

* * *

მამა თეოდოროსი, ჭეშმარიტად ღვთაებრივი მოძღვარია, მასთან საუბარში დრო ისე გავიდა, რომ ვერც შევამჩნიე.. მისი კურთხევა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, გაათმაგებული რწმენა გარანტიაა იმის, რომ აუცილებლად გაიხსნება გზა!..

თუ გიყვარს – მოლოდინითაც ბედნიერი ხარ !

ჩემი პროფესიის ადამიანს, დათის მოძებნა, რომ არ გაუჭირდებოდა, ვფიქრობ, ზედმეტი მტკიცება არ ჭირდება, თუმცა, სამწუხაროდ, ჩემს წინ იდგა ახოვანი და სასიამოვნო გარეგნობის, მაგრამ ყავარჯნიანი მამაკაცი, რომელშიც ძვლივს ამოვიცანი, ის პირტიტველა დაჭრილი ბიჭი.

- ეს იმ დროს ჭურვის აფეთქების შედეგია? - ვიკითხე, ფრთხილად...

- არა, ავარია მომივიდა და აუცილებელი გახდა ფეხის ამპუტაცია - მითხრა დანანებით, მერე რატომღაც ავარიის თარიღიც მოაყოლა და გაოგნებისაგან გავშეშდი - წელი და რიცხვი ზუსტად ემთხვეოდა მარის განაჩენის გამოტანის თარიღს ?!

- ვგრძნობ, რაღაც განსაკუთრებულმა მოგაძებნინა ჩემი თავი, ხომ ასეა? - გამომცდელი სახე მიიღო დათიმ.

- მარიამის საჩუქარი მაქვს შენთვის !

- მა... მარ... მარრ....

ვეღარ დაასრულა და ... როცა სასწრაფო დახმარების წყალობით გონს მოვიდა და დამშვიდდა, ყველაფერი მოვუყევი, გარდა განსაკუთრებული პირადულისა...

ეს არ იყო ის შემთხვევა, როცა საზიზღრობაა აქვითინებული მამაკაცი... ახლა, მართლა არავინ იცოდა, რა ხდებოდა მის სულში?!

მერე, მოულოდნელად წამოდგა და კედელში ჩაშენებული სამალავიდან „სეიფიდან“ ქაღალდები გამოიღო და გამომიწოდა:

- წარმოუდგენელია! დაუჯერებელია ! - ვიმეორებდი ანგარიშმიუცემლად.

ფაქტი კი ჯიუტი იყო, მარის მიერ დაწერილი ანდერძის თარიღი და დათის მიერ შედგენილი ანდერძის თარიღი - ერთი და იგივე იყო?!

- ოჯახი არ გყავს? - ისედაც ყველაფერი ნათელი იყო, თუმცა ეს შეკითხვა განგებ დავსვი.

პასუხი გამოხედვითვე გამცა, თუმცა მაინც მიპასუხა:

- არა, არა , რათქმაუნდა, მარის გარდა, ოჯახს არავისთან შევქმნიდი. რწმენა კი ყოველთვის მქონდა, რომ ვიპოვნიდი!

- თუ გიყვარს - მოლოდინითაც ბედნიერი ხარ!

* * *

დათისგან წამოვედი და მივხვდი, რომ უზარმაზარი პასუხისმგებლობა დამეკისრა ორი ადამიანის ბედზე და ვალდებული ვარ ვიპოვო გამოსავალი!

რამდენიმე დღეში, ათენში ვბრუნდები... მარიმ არაფერი იცის ... არ იცის რა სიურპრიზი ელოდება!...

ჯორჯიამ მითხრა, რომ მას იმედის ნაპერწკალი უკვე გაუჩნდა და თავისუფლების წყურვილი დაუბრუნდა.

სამყაროს კანონზომიერებაა, ვინც ჭეშმარიტი რწმენით თავისუფლებას ეძიებს, უსათუოდ მოიპოვებს კიდეც!...

თბილისი - სალონიკი - ათენი

მაია ტყემალაძე

მზეს მონატრებული მათხოვარი

დედაქალაქის ქუჩებში მაისის სითბო და სინაზე იღვრებოდა. აკაციის მათრობელა სუნი მიმოჰქონდა ნიავს, ხასხასა სიმწვანე გულს სიამეს ჰფენდა და მაინც, ადამიანების უმრავლესობას სახეზე ტკივილი და ზამთრის სიცივე აღბეჭდვოდა. ნაწილს კი, მეტწილად ახალგაზრდებს, შედარებით სილაღე ეტყობოდათ.

მიწისქვეშა გადასასვლელში ადამიანებისაგან გარიყული მათხოვარი ბიჭი იჯდა. თითქოს ძვალზე გადაკრული კანი აქვსო, ისეთი გამხდარი ჩანდა. გაზაფხულისათვის შეუფერებელი სქელი, დიდი ლაბადა ეცვა, მაინც ციოდა. ბიჭს კარგა ხანი იყო, თვალი არ მოეკრა მზისათვის, არადა, როგორ ენატრებოდა მათბობელა სხივები. ოცნებობდა, კვლავ დამჯდარიყო მშობლიური, პატარა ქალაქის მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აივანზე, რომელსაც შორეული მთებიდან ამობრდღვიალებული მზის ჩვილი სხივები ადრიან დილიდანვე ეღვრებოდა. დახუჭავდა ბიჭი თვალებს, მიუშვერდა სახეს და ბედნიერი იყო. ზოგჯერ დამალობანასაც ეთამაშებოდა ქვეყნის მანათობელს და თავი მის მეგობრად წარმოედგინა. უმღეროდა კიდეც:

,,კუკუ, კუკუ მალულა,
ციდან გამოპარულა,
ბიჭს კოცნიდა მალულად,
მზე – ს ი ხ ა რ უ ლ ა!“

თუმცა შიგნით, ოთახებში, უმეტესწილად, სიცივე, შიმშილი, ნახევრად წყვდიადი სუფევდა, მაინც ბედნიერი იყო ბიჭი, რადგან შინ მზრუნველი, სირინოზის საამო ხმით მოუბარი, მუდამ მოუღლელი, უთბილესი დედა ეგულებოდა. მასაც, ბიჭივით, უჭირდა მხედველობა, მაგრამ ოჯახს მაინც ყოჩაღად უძღვებოდა.

ბიჭს ლუკა ერქვა. მას ჰყავდა უსინათლო მამა, რომელსაც,,ბრმა პოეტს“ ეძახდნენ. ასევე ჰყავდა ორი დაიკო, უმცროსი – ცისია, ისიც მამასავით მთლად უსინათლო, მოცუცნული, ნამცეცა და უფროსი ცისნამი – მზესავით შუქსხივიანი, ცის ლაჟვარდისფერი, უძირო თვალებით, ცვილივით ჩამოქნილ-ჩამოსხმული, ყელიან, ტან-ფეხიანად, მზისფერი კულულებით, სრულიად ჯანმრთელი...

ნესტიან, მიწისქვეშა გადასასვლელში, მუყაოს ყუთზე ჩამომჯდარ ლუკას ხეიბარ მათხოვარს ეძახდნენ. ჩვიდმეტი წელი შესრულებოდა ბიჭს, მაგრამ ხშირად უმწეოდ, უჩუმრად ტიროდა .ლუკა უფერულ, მაგრამ მაინც ბედიერ ბავშვობას ნატრობდა. მისი სახლის საიხლოვეს, სივრცეში, ვინ იცის რამდენჯერ აგოგმან-ჩაგოგმანდებოდა ხოლმე სამგზავრო-საბაგირო გზის პატარა ვაგონი. გოგმან-გოგმანი საამო მუსიკად ჩაესმოდა ბიჭს, რადგან იმ კუკუშკა, მოძრავი ვაგონიდან სასწაულს ელოდა. ეგონა, რომ ჩამოუყრიდნენ ლამაზფოჩებიან კანფეტებს, ჩამოუგდებდნენ ახალ შარვალს, წინდებს, ქურთუკს, ჭრელსა და კოპლებიან ბურთს. აივანზე მჯდომი ლუკა გრძნობდა, რომ კუკუშკა ვაგონიდან ადამიანები სითბოთი, სიყვარულით უმზერდნენ. ბუნდონვად ხედავდა თეთრბაფთებიან, ლამაზ გოგონასაც, რომელიც მუდამ საყვარლად უპაჭუნებდა პატარა თითებს. ლუკა ოცნებას უმხელდა მხო-

ლოდ დედას. ისიც, დიდრონ, გრძელწამწამებიან, შავ თვალებს უკოცნიდა, ეფერებოდა, გულში იხუტებდა, ყველაფერი გექნება, ჩემო ლუკჩოო, ამშვიდებდა.

და, აი, ერთხელ, სასწაული მართლაც მოხდა. საჰაერო-საბაგირო ვაგონში ბიჭის აივანს ჩაუქროლა და, საოცრება... ლუკას ფეხებთან რაღაც დიდმა შეკვრამ მოადინა ბრაგვანი. ჯერ გაოგნდა ბიჭი, სუნთქვა შეეკრა. მერე გულაფანცქალებული დაწვდა ჭრიჭინა ქაღალდებშემოხვეულ ფუთას და... თვალს არ უჯერებდა, სიხარულისაგან სიცილ-ტირილი აუვარდა: ფუშფუშა, ლამაზქაღალდებშემოხვეული კანფეტებით სავსე პარკი – მისი საყვარელი კანფეტები! ახლოს მიიტანა თვალებთან, უფრო კარგად რომ დაენახა მკვეთრფერიანი ქაღალდებში შეხვეული ნუგბარი. ამანათში ასევე იდო ლამაზი, ახალთახალი შარვალი, თბილი წინდები, სანატრელი, კოპლებიანი ბურთი!..სიხარულს ვეღარ იტევდა პატარა გული. კეთილმა ფერიამ ნამდვილად იმ ლამაზი ვაგოვიდან ჩამომიგდოო, ირწმუნა.

ექვსი წლის გახდა იმ დღეს ლუკა. მოგვიანებით ოცნებით ნაშენ-ნალოლიავები ზღაპრული კოშკი კუდრაჭა ცისნამიმ დაუმსხვრია. მის თოჯინას რომ ხელი მოტეხა ლუკამ, გაკაპასებულმა გოგონამ პირში მიახალა:,,კარგად ვიცი, დედიკომ ფული როგორ ისესხა, რაღაცები გაყიდა, ჩემი თვალით ვნახე, როგორ ავიდა ჩვენი ბინის ზემოთა აივანზე და იქიდან შეკრული ფუთა ჩამოგიგდო. არც კეთილი ფერია ყოფილა და არც კეთილი მეზღაპრეო“. სინამდვილემ ისე გაამწარა ლუკა, კულულებში დასწვდა ცისიას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თმებით ათრია.

ამ ამბის მოგონებაზე ყელი გაუშრა, ცრემლები მოადგა მათხოვარ ბიჭს.

,,ფუმფულიკა!“ როგორც უყვარდა ცისნამის ის თოჯინა. ძველი ტანსაცმლის ნაჭრებისა და ბამბისაგან თავისი ხელით შეკერა. ცხვირი, პირი, თვალები გაუკეთა, ნაწნავებიც არ დავიწყებია. დიდი, ძალიან ლამაზი, გაფუშფუშებული თოჯინა გამოვიდა და,,ფუმფულიკა“ დაარქვა...

ლუკას ხშირად აგონდებოდა კიდევ ერთი ამბავი და სიამოვნებით ეღიმებოდა. ერთხელ, შემოდგომაზე, ბებიამ და ბაბუამ სოფლიდან დიდი გოდრით დიდ-პატარა კვახები ჩამოუტანეს. ჩაამწკრივებდა ცისნამი კვახებს, იქვე მიუსკუპებდა ბოკონა სკამზე დასკუპულ ცისიას, თოჯინა,,ფუმფულიკას,“ ვითომ მოსწავლეები იყვნენ. თავად – მასწავლებელი, ლუკა კი – სკოლის დირექტორი. რა ამაყი იყო მაშინ ბიჭი. თავი ნამდვილი სკოლის დირექტორივით დინჯად ეჭირა. ცისნამს ხელში ტირიფის წკეპლა დაეკავებინა.,,აბა, ადექი, ლექსი მოყევიო,“ ხან ერთი, ხან მეორე კვახისაკენ მიაშვერდა წკეპლას.,,ყოჩაღ, ხუთიანს გიწერო!“ მიაძახებდა ზოგს. ზოგიერთ კვახს კი წკეპლას უთავაზებდა:,,გაანძრიე, ეგ ხოკერა თავი, გუშინ თამაშის მეტი არაფერი გიკეთებიაო?“ ან:,,ორიანი, ჩქარა კუთხეში დადექიო!“ ხან,,დირექტორს“ შემოიყვანდა:,,ბატონო ლუკა, ძალიან ცელქი ბავშვები არიან, ძლივს ვაწყნარებო.“ დირექტორიც:,,- უჰ, უჰ, უჰ, ამათ საქმეს პედსაბჭოზე განვიხილავთო,“ მერე, ვითომ სიმღერის გაკვეთილი ჰქონდათ, ამღერებდა და ამღერებდა ნამცეცა ცისიას. ამ დროს მეზობლები აივანზე გამოეფინებოდნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ უსინათლო გოგონას.

საღამოობით,,ბრმა პოეტი“ საკუთარ ლექსებს უკითხავდა ცოლ-შვილს. დედა თეფშებზე ასხამდა უმწეოთა სასადილოდან მოტანილ უგემურ წვნიანს, მოადუღებდა რძეს, ჩაფუჩნიდნენ შიგნით პურს, ხან მჭადს. თუმცა კარგად ვერ დანაყრდებოდნენ, მაინც ტკბილად ეძინებოდათ...

...ფიქრებში გართულმა მათხოვარმა იგრძნო, ვიღაცამ პატარა ყუთში ფული ჩაუდო. გამოერკვა, ყუთს ჩახედა, თვალებს არ დაუჯერა. ორმოცდაათლარიანი იყო. მყისვე ფულისკენ გაექცა ხელი, მაგრამ იგრძნო, თავზე ვიღაც ადგა. აიხედა, თვალებში ცრემლჩამდგარი მამაკაცი სევდიანად დაჰღიმოდა. ბიჭმა მისი თანაქალაქელი იცნო. შერცხვა, გაწითლდა, თავი დახარა. მამაკაცმაც იგრძნო

მათხოვრის სირცხვილი, მხარზე ხელი გამამხნევებლად დაადო და უხმოდ გაეცალა. რაღაცნაირად მხრებჩამოშვებული, მძიმე ნაბიჯებით წავიდა...

სოროსმაგვარ მიწურ სარდაფში, გამხმარ ტახტზე დაწოლილმა ლუკამ ის ღამეც თეთრად გაათენა, უმწეობის განცდა ტანჯავდა. კეთილი კაცის ცრემლიანი თვალები გონებიდან არ სცილდებოდა. ჰო, ისინი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ. იქ, შემაღლებულ ადგილზე, საოცრად ლამაზი ტაძარი იყო. მიხვეულ-მოხვეულ აღმართს აუყვებოდი და ტაძარში შეხვიდოდი. სწორედ იქ შეხვდა პირველად იმ კაცს. მაშინაც ორმოცდაათლარიანი აჩუქა. ჩუმად ჩაუდო ხელში, ალალად გაუღიმა, მოეფერა ბიჭს. ეს კარგა ხნის წინ იყო. მაშინ პატარა იყო ლუკა. კარგად ახსოვს ის დრო: ერთ მკლავზე თავად ჩამოეკიდებოდა დედას, მეორე მკლავზე მამა დაეყრდნობოდა ხოლმე ქალს და ნელ-ნელა მიდიოდნენ ტაძრისაკენ სამნი. იქ კეთილი, გულისხმიერი მღვდლები ხვდებოდათ, სხვა ადამიანებიც კეთილები იყვნენ. საზიარებლად მისულ ხეიბრებს ყველანი გზას უთმობდნენ, თავაზიანად ექცეოდნენ, სანთლებს ჩუქნიდნენ, ხშირად სურსათ-სანოვაგეს სთავაზობდნენ. ის კეთილი ძია მათთან შინაც მიდიოდა. როცა დედა ტაძარში წასვლას ვერ ახერხებდა, მაშინ იმ ძიას მიჰყავდა ხოლმე,,უსინათლო პოეტი“ წირვაზე.

დიდმა უბედურებამ და წყვდიადმა კი მათ ოჯახში მაშინ დაისადგურა, აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი რომ დაიწყო. სწორედ მაშინ გარდაიცვალა დედა. თითქოს, გული ამოეგლიჯაო ოჯახის ყველა წევრს. შესაბრალისად მოსლუკუნე ლუკას ეგონა, მზემ სამუდამოდ დახუჭა თვალები, რომ სიცოცხლე დამთავრდა, რომ ღიმილი განადგურდა, რომ, წყვდიადმა შთანთქა მთელი სამყარო!

დედა დაკრძალეს თუ არა, თავადაც არ იცის ლუკამ რა მოხდა.

ახსოვს, შორეულმა ნათესავმა მოაკითხათ, პირდებოდა: თავიდან გაგიჭირდება, თორემ მერე ლაღად იქნებიო, მეფესავით იცხოვრებო, ფული არასოდეს მოგაკლდებაო. ბიჭი ვერაფერს გებულობდა, ისე უქანჩალებდა თავს. მერე დედაქალაქში აღმოჩნდა. ვიღაცა კაცი გასრიალებული მანქანით ფართო ქუჩებში ატარებდა. მანქანაში, იმ ღიპიანი, უსიამოვნო გარეგნობის კაცის გვერდით, სულის საშინელ ხუთვას გრძნობდა ბიჭი. მერე იმ კაცმა სხვა კაცს გადააბარა, იმ სხვამ კიდევ სხვას და ბოლოს სოროსმაგვარ მიწურ სარდაფში აღმოჩნდა...

ახლა ჩვიდმეტი წლისაა ლუკა და ხეიბარი მათხოვარი ჰქვია. მისი ხეიბრობა და მათხოვრობა ვიღაცამ შემოსავლის წყაროდ გაიხადა. დილით, მზე ამოსული რომ არ არის, ბუზღუნა, შავი, გახრიკინებული კაცი გამოიყვანს სოროსმაგვარი სარდაფიდან და აქ, მიწისქვეშა გადასასვლელში დასვამს. საღამოთი, მზე ჩავა და ისევ იმ სოროში დააბრუნებს. ნამათხოვრალ ფულს გულმოდგინედ დაითვლის, ჯიბეებს ამოუტრიალებს ლუკას, ტანზეც მიუსვ-მოუსვამს ხელებს, ფული ხომ არსად დამალაო. მიუგდებს ლუკმას, ცოტა ხურდასაც და დილამდე იქ დატოვებს. თითქმის ერთი წელია, ასე მეორდება ყოველდღე. ღამით მოკაშკაშე ვარსკვლავები ენატრება ლუკას, დღისით – ბრდღვიალა მზე.

თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა მძიმე ხვედრის შეგუება. ხელის გაშვერა და,,დამეხმარეთო!“ ამ სიტყვის დაძახება სიკვდილივით გაუჭირდა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა.

იმ მიწისქვეშა გადასასვლელში, უმეტესწილად, სტუდენტები მიმოდიოდნენ, რადგან ქუჩის ორივე მხარეს უმაღლესი სასწავლებლის კორპუსები იყო. სტუდენტებს თავად რა ჰქონდათ, მაგრამ დღის ბოლოს მაინც ბლომად უგროვდებოდა ფული, საიდანაც თავად მხოლოდ გროშები რჩებოდა. რამდენი ჭუჭყი და ნაგავი მიაყარეს, რამდენი ტალახი ესროლეს ლუკას, როგორ აკნინებდნენ, ამცირებდნენ.,,ფხუკ-ფხუკო,“ – დასცინოდნენ კიდეც. ნუთუ ეს ყველაფერი სინამდვილეაო, ნუთუ აქამდეც ამ შეუბრალებელ საზოგადოებაში ვცხოვრობდიო – უკვირდა. ფულის ნაცვლად ზოგი ღილს უდებდა, ზოგი ქვას თუ კენჭს, ერთხელ ვიღაცამ ჩაუფურთხა კიდეც პატარა ყუთში.

პირველად რომ დაუძახეს,,ხეიბარი მათხოვარი," მწარე სინამდვილემ გააოგნა ბიჭი. ამ სიტყვებმა ეკლებივით დაკაწრ-დაფხოჭნა ლუკას სული. თანაც ვინ დაუძახა?! თითქმის მისმა თანატოლმა, ლამაზმა სტუდენტმა. ახლა იცის ლუკამ, იმ სტუდენტს ხატია ჰქვია. ახლა დამცინავად აღარ უყურებს ხატია, პირიქით, მის თვალებში სიბრალული ჩანს, ყოველ გავლა-გამოვლაზე ხურდებს უყრის ლუკას, ზოგჯერ ქაღალდის ფულსაც, უღიმის კიდეც. ხატიას შეყვარებულიც ჰყავს – ქერა, გრძელთმიანი ბიჭი. აქ, კუთხეშიც ხვდებიან ხოლმე. ერთხელ ერთმანეთს აკოცეს კიდეც. როგორ შერცხვა მაშინ ლუკას. რა იცის ხატიამ, ან სხვებმა რა იციან, რომ ხეიბარ მათხოვარსაც მათდაგვარად შეუძლია დიდი სიყვარული, სიხარული; მასაც რომ ტკივა, ცივა, ისიც რომ ოცნებობს, ნატრობს. როგორ უნდა ლუკას თავადაც სტუდენტი იყოს, ისიც დადიოდეს ფეხბურთზე, კონცერტებზე... მაგრამ?!

პატარაობისას ლუკაც ყოფილა კონცერტზე. გაახსენდა განსაკუთრებულად ლამაზი დღე – ,,ბრმა პოეტის" საქველმოქმედო საღამო, რომელიც მამამისს გაუმართეს. დიდი დარბაზი ლამაზად იყო მორთული. სცენაზე მისი მამიკო იდგა. რიხიანად, შთამბეჭდავად კითხულობდა საკუთარ ლექსებს. დარბაზში ტაში ქუხდა. მაშინ ლუკამაც წაიკითხა ლექსი, ხატიამაც. ნამცეცა ცისიამ,,მზეო თიბათვისა" იმღერა და ყველა გააოცა. მის გამოსვლაზე ტაშმა ლამის დაანგრია დარბაზი... ყოველი მხრიდან ესმოდა ლუკას:,,უნიჭიერესი კაციაო, აფსუსი არ არის ვიღაც ღიპიანი რეგვენები წიგნებს ბეჭდავდნენ, ამისი ლექსები კი მიმოფანტული იყოსო?!"

იმ საღამოთი ბედნიერება ზეობდა ლუკას სულში. თანხაც ბევრი შეუგროვდათ. აღარაფერი გაგვიჭირდებაო, ამბობდა დედა. მამა კი?! მამა ნაღვლიანად ეპასუხებოდა:,,თვალებით ბრმა ვარ, გონებით კი არაო. ეს საღამო ლექსის ფასის მცოდნე ადამიანთა პატარა ჯგუფმა მომიწყო, თორემ საზოგადოებას სული თანდათან რომ ეყინება, აშკარაა. ვიღას უნდა ლექსი და მოთხრობაო, ვის სჭირდება პოეტი და მწერალიო. უნიჭოთა, მლიქვნელთა, ფარისეველთა ზეობის ხანააო. ეჰ, შვილები არ მყავდეს ასე, ჩემი თავი ჯანდაბასო". უკვირდა ლუკას, სცენაზე სულ სხვაგვარად ხალისიანი, ომახიანი ჩანდა მამა და ახლა რა ემართებაო. კარგა ხნის შემდეგ მიხვდა ბიჭი, რა დარდი ღრღნიდა კაცს.

პატარა ბედნიერება მათხოვრობის დროსაც ხვდა ლუკას. ერთხელ, ვიღაცამ ოთხად დაკეცილი ქაღალდი ჩაუგდო ყუთში, გაშალა და დიდი ასოებით ლამაზად დაწერილი წაიკითხა:,,ლუკა, ძალიან, ძალიან კარგი ბიჭი ხარ, მიყვარხარ!!!" –სწორედ ასე ეწერა ბარათში. გული აუძგერდა. იმ წამს გაიფიქრა, ეს ნამდვილად ის ბაფთებიანი გოგონაა,წლების წინ საბაგირო ვაგონიდან რომ მიღიმოდა და თითებს მიპაჭუნებდაო. მერე დიდხანს, დიდხანს ელოდა იმ გოგონას, მაგრამ აღარსად ჩანდა. ბარათს სასოებით ინახავდა. ბნელ სოროში ხშირად გაშლიდა ხოლმე და გულაფანცქალებული დასცქეროდა. ბნელ სოროს და დაბნელებულ სულს ეს ბარათი უნათებდა!..

* * *

იმ საღამოთი ბუზღუნა, შავმა კაცმა აღარ მიაკითხა ლუკას. ელოდა, დიდხანს ელოდა ბიჭი. ირგვლივ თანდათან მიყუჩდა ყველა და ყველაფერი. ლუკას გახრიკინებული კაცის მოსვლის იმედი მთლად გადაეწურა, კარგა ხანს იჯდა უმწეოდ. მარტო სად წასულიყო, არ იცოდა. მერე ლაბადა მოიხვია, მოიკრუნჩხა და მიწისქვეშა გადასასვლელში მიეძინა.

დაესიზმრა: ვიღაც მდიდარი კაცის შვილს მიჰყვებოდა მისი დაიკო, ცისნამი ცოლად. ულამაზესი იყო გოგონა. თეთრ სადედოფლო კაბაში გამოწყობილი პატარძლის მშვენება ყველას ანცვიფრებდა. ბრილიანტები უბრჭყვიალებდა ხელებსა და ყელ-ყურზე, მაგრამ ნაღვლიანი ღიმილი უჩანდა მის დაიკოს. ვიღაცას დაეძებდა საპატარძლო. მიხვდა ლუკა, მას, ცისიას და მამას დაეძებდა ცისნამი. მერე დედა გამოეცხადა, გულში ჩაიხუტა.,,ნუ გეშინია, ჩემო ლუკაჩო, ცოტაც მოითმინე, ყველაფერი

კარგად იქნება, ყველაფერი შეიცვლებაო“, – აცრემლებული თვალებით უმზერდა დედა. სიზმარი ცუდად გაგრძელდა. ახლა მისი მეთვალყურე, შავი კაცი გამოეცხადა:,,სადა ხარ, სად დაიკარგე, შე გაიძვერაო!“ – მუშტს უღერებდა. ააკანკალა ბიჭს, შეამცივნა და გამოეღვიძა.

კანტი-კუნტად მიმოდიოდნენ ადამიანები მიწისქვეშა გადასასვლელში. რაღაც უნდა ვიღონო, იქნებ იმ კაცს რა შეემთხვა, იქნებ აღარც მომაკითხოსო, ჯერ შეშფოთდა ბიჭი, მერე გაეხარდა, იმედი ჩაესახა, იქნებ ამ ჯოჯოხეთს როგორმე თავი დავაღწიოო. ნელ-ნელა წამოდგა, ლაბადა დაფერთხა, ჯიბეში ფული მოისინჯა, თმა შეისწორა, ხელის თითებით გადაივარცხნა და კოჭლობით აუყვა ქუჩაში ასასვლელ კიბეებს. მაისის მზის სიკაშკაშემ თვალები დაუბნელა. მერე გაეხარდა, როგორ გაეხარდა! მადლობა, უფალო, მზე კიდევ ყოფილაო ამქვეყნად. ხარბად მიაცქერდა ცას. მიეალერსა სხივები ბიჭს. გაახსენდა:

,,კუკუ, კუკუ მალულა,
ციდან გამოპარულა,
ბიჭს კოცნიდა მალულად,
მზე – ს ი ხ ა რ უ ლ ა!“

გაუთბა გული, სული, სხეული. თან ეშინოდა, იმ კაცს არ მოესწრო, ისევ არ დაკარგვოდა გაცოცხლებული მზე. თუმცა სიარული უჭირდა, ნაბიჯს აუჩქარა. ფიქრობდა, იქნებ ავტოსადგურისთვის მიეგნო. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულიყო. მიდიოდა, ხშირ-ხშირად იდებდა ფულიან ჯიბეზე ხელს. რომელიღაც ავტობუსს გაჰყვა. მეტროსთან ჩამომსვიო, შეეხვეწა მძღოლს. მეტროს ჩასასვლელში უამრავი ადამიანი ირეოდა. ლუკა ძლივს მიიკვლევდა გზას, ავტოსადგურს კითხულობდა. ხანშიშესულ ქალს შეებრალა,,,გამომყევი, შვილო, მეც იქით მივდივარო!“ გაეხარდა ლუკას, გაჰყვა. მეტროს მატარებლის ვაგონში შევიდა და, გაქვავდა. სული, სხეული გაეყინა, ერთიანად აცახცახდა, სიცილ-ტირილი აუვარდა, აღარ იცოდა რა ექნა. ნაცნობმა ხმამ, ნაცნობმა სახემ გააოგნა.,,ისიც აქ ყოფილა, ისიც, ჩემი ნამცეცა!“ – უწიოდა სული.

,,მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე, – ამას გევედრები,“

ისმოდა წკრიალა, თუმც ნაღვლიანი, გასაოცარი, მავედრებელი ხმა.

ხელი გაეშვირა სიფრიფანა, სამოსჩამოკონკილ, უსინათლო გოგონას. ხალხმრავლობაში ნელ-ნელა მიიკვლევდა გზას. სიმღერით სულშეძრული ადამიანები ხელისგულზე ხურდებს, ქაღალდის ფულს უდებდნენ.

– ცისია, დაიკო! – ამოიღრიალა ლუკამ.

ჯერ გაირინდა, მერე სულისშმძვრელად დაიძახა,

– ლუკა, ძამიკო! – და ხმისკენ შებრუნდა გოგონა, თვალები ააფახულა, ხელები გაშალა,.

და-ძმა ერთმანეთს ჩაეკონა...

რაღაც გალღვა, გათბა. ყველას თვალში ცრემლებმა გაიბრწყინა.

,,საბრალონი!“ – დაიკვნესა ქალმა...

ყველა ბარიერი გადაელახა, მიწისქვეშეთში ჩამძვრალიყო და სითბოს მონატრებულ და-ძმას ეალერსებოდა, ცრემლიან თვალებს უკოცნიდა მ ზ ე ს ი ხ ა რ უ ლ ა!

მაგული ღვინიაშვილი

უფლის წყალობა

ის სამ ძმას შორის ყველაზე უფროსია. უფროსიო ვამბობ, თორემ მხოლოდ პირველი კლასის მოსწავლე იყო და ძმები კი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ძმები მიყოლებით იყვნენ დაბადებულები. როცა დაიბადა ქუდბედი დაჰყვა. გამოუცდელმა დედამ არ იცოდა თუ უნდა შეენახა და არც არავის უთქვამს. არ ვიცი დასაჯერებელია თუ არა ქუდბედის შესახებ რასაც ამბობენ, მაგრამ ისეთ დროს დაიბადა და იზრდებოდა, როდესაც ქვეყანა ის-ის იყო თავისუფლების მოსაპოვებლად ნაბიჯებს დგამდა. მაშინ ყველას უჭირდა. არც მათი ოჯახი იყო გამონაკლისი, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით მოთმენით იტანდნენ გაჭირვებას და ტკბილად ცხოვრობდნენ. ხანდახან საჭმელი თუ ჰქონდათ- პური არა, თუ პური ჰქონდათ- მისაყოლებელი არა. ერთხელ მთელი ორი კვირა ლობიოს ჭამდნენ- ხან უცხიმოს, ხანაც უმარილოს. ლობიო მისი საყვარელი საჭმელი იყო, მაგრამ ახლა დანახვაც აღარ უნდოდა. მამა დღედაღამ მუშაობდა, რომ ცოლ-შვილი გამოეკვება

და გადასახადები გადაეხადა, მაგრამ ისეთ მიზერულ თანხას უხდიდდნენ, რომ ძლივს გაჰქონდათ თავი. სკოლასაც თავისი ხარჯი ჰქონდა. არ იყო გათბობა- არც დენი, არც გაზი და შეშის ღუმელით ათბობდნენ საკლასო ოთახებს. არც სახლში ჰქონდათ ყოველთვის შეშა. თუ შუქი მოვიდოდა- კიდევ არა უშავს: მიუსხდებოდნენ კუსტარულად დამზადებულ გამათბობელს, რომელსაც წარამარა ეწვებოდა სპირალი და ეფიცხებოდნენ. თუ არა და ჩააწვენდა დედა ლოგინში, თვითონაც მიუწვებოდა ბავშვებს და მათი ასაკის შესაბამისი კითხვა-პასუხებით რებუსობანას, ან ,,ვის უნდა ოციათასი"-ს თამაშობდნენ. ხან მღეროდნენ, ხან ლექსებსა და ზღაპრებს უყვებოდა დედა. ასე გაჰყავდათ დრო და მერე იძინებდნენ. დედა ხშირად უკითხავდა სახარებას. უყვარდათ იგავების კითხვა. ზეპირად იცოდნენ ,,მამაო ჩვენო". ბევრი რამ მათთვის გაუგებარი იყო და ძალიან ბევრ კითხვებს უსვამდნენ დედას. ისაც მათთვის გასაგებ ენაზე უხსნიდა. ხშირად მოუკრავთ ყური დედა როგორ ლოცულობდა და შესთხოვდა უფალს მისი ოჯახისათვის წყალობა არ მოეკლო. თუ ვინმე პატივს სცემდა და საჭმელით ან ტანსაცმლით მოიკითხავდა- მადლობას სწირავდა უფალს - ჩემი ლოცვა შეისმინეო. თვითონ ხომ უჭირდათ და კარზე სათხოვნელად მოსულისათვის უარი არასოდეს უთქვამს, თუ ცოტა ზედმეტი ჰქონდა იმ მომენტში თვითონაც მოიკითხავდა სხვას და ბავშვებს ეუბნეოდა- სიკეთე თესეთ შვილებო, რადგან არ იცით თქვენს მიერ გაკეთებული სიკეთე როდის დაგიბრუნდებათ უკან და იცოდეთ, როცა არ ელით სწორედ მაშინ მოგცემთ უფალი წყალობასაო.

ერთხელ სკოლიდან წამოიყვანა დედამ. ჩანთა დადეს სახლში და ფეხზევე გატრიალდნენ. მამა სამსახურში იყო და საღამოს რომ მოვიდოდა მოიტანდა საჭმელს, მანამდე კი არაფერი არ ჰქონდათ და გადაწყვიტა დედამ თავის დასთან გასულიყო ,,ვაგზალზე" ბაზრობაზე, სადაც ის ტანსაცმელს ყიდდა და ხუთი ლარი ესესხა, რომ საღამოსთვის საჭმელი დაემზადებინა. დედას ჯიბეში მხოლოდ ათი თეთრი აღმოაჩნდა. მაშინ ჯერ კიდევ დადიოდა აქა-იქ ტრამვაი და ტრამვაის გაჰყვნენ. ბილეთი აიღეს და რომ იტყვიან დარჩნენ ჯიბეგაფხეკილები. დედა იმედს არა ჰკარგავდა- ჩემ დას გამოვართმევ ფულსაო. გადაიარეს ხიდი და მივიდნენ ბაზრობაზე. ბედი არ გინდა? არ დახვდათ. იმ დღით არ მუშაობდა. რა უნდა ექნათ? გამოტრიალდნენ უკან. დედა ისეთ დღეში იყო დანა კბილს არ უხსნიდა და თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებ-

და: ,, რა უნდა ვქნა? კარგი პატარები ბაღში არიან იქ აჭმევენ. ამას რა ვუყო? სკოლიდან მოვიდა. მხოლოდ ერთი ნაჭერი პური შეჭამა და მშიერი ბავშვი წამოვიყვანე. არა ესაც როგორ გაჩუმებულია? მოგიკვდეს დედა ჩემო პატარა და დიდო კაცო. ხომ ვიცი რომ გშია და ერთს არ მეტყვი მშიაო"... ასეთ ფიქრებში იყო. გადაწყვიტა ბორჯომის სადგურის ქვეშ გასულიყვნენ და მატარებლების ლიანდაგები გადაეკვეთათ-ესე მოკლე იყო გზა და თანაც კიბეები არ იყო ასასვლელი. თან რომ გაერთო დედას პატარა ისევ ღმერთზე და წყალობაზე ესაუბრებოდა. როგორც ხიდის ქვეშ გავიდნენ დაინახეს პატარა აღმართის თავში ვიღაცა გლეხს ყუთებით დატვირთული ურიკა მიჰქონდა. გადაუწვა ურიკა და ორი ყუთი გადმოუვარდა. ყუთები ვაშლით ყოფილა სავსე. დაიპნა ვაშლები. მოგორავენ ლოყაწითელა ვაშლები. ისეთებია რომ გაცდუნებს და ნერწყვი მოგადგება. დედამ უთხრა- მოდი შვილო ავუკრიფოთ, მივეხმაროთ. მართლაც დაიხარნენ და რაც მათ მხარეს იყო დაიწყეს აკრეფა. პატარამ გამოიწია ჯემპრი და უბე გაივსო ვაშლით, ზოგიც ჯიბეებში ჩაიყარა. დედამაც ხელში ცელოფანი ეჭირა და იმაში ჩაყარა. დედამ გვერდზე გაიხედა და დაინახა ერთმა ქალმა ჩამოიარა. წამოკრიფა ვაშლები და არც გაჩერებულა სადგურის მხარეს ხიდქვეშ გააგრძელა გზა. გული დასწყდა- ეს როგორ იკადრაო. აღმართის თავში ურიკის პატრონსაც აეკრიფა უკვე და ამათ უყურებდა გაბრაზებული თვალებით. მივიდნენ მასთან და სულ პირწმინდად ჩაუყარეს ყუთში ვაშლები. პატრონს ალბათ ეგონა იმ ქალივით ესენიც წაიღებდნენ წამოკრეფილ ვაშლსო და რომ ჩაუყარეს სახე გაებადრა მოულოდნელობისგან. პატარამ ჯიბეებისკენ წაიღო ხელი. მის ხელებში ოთხი ვაშლი იყო.

- არ მინდა პაპი, ეგ შენ შეჭამე. ტკბილად შეგერგოს და კარგი ვაჟკაცი გაზრდილიყავიო- დალოცა პატარა. დედა-შვილმა ჯერ იუარეს, როგორ გეკადრება მაგიტომ კი არ დაგეხმარეთო, მაგრამ მერე მათაც მადლობა გადაუხადეს და ლიანდაგებისკენ გააგრძელეს გზა. მოდიან და ალაპარაკდა პატარა:

- დე, ეს ხომ უფლის წყალობა იყო დედი? რომ გადმოტრიალდა, რომ მივეხმარეთ, რომ გვაჩუქა...

თვალნათელი მაგალითი დაინახა და უხაროდა, რომ უფალმა მოწყალება გაიღოო.

- დე ერთი შენ შეჭამე, ერთს მე შევჭამ, ორს კიდევ ჩემ ძმებს წავუღებ- არ ჩერდებოდა პატარა და ლოყაწითელა ვაშლი გემრიელად ჩაკბიჩა.

- არა შვილო, მე არ მინდა. ჩემი წილიც შენ შეჭამე და ორი ცალი შენს ძმებს შევუნახოთ- უთხრა დედამ და ცრემლებით სავსე თვალები მოარიდა შვილს...

მეორედ დაბადება

გამთენიისას აფეთქების ხმამ შეძრა ირგვლივ ყოველი. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს-მესამე და ასე შემდეგ. აფეთქებას თან ნგრევა მოჰყვა, ნგრევას კი გრუხუნი, წივილ- კივილი. ბომბავდნენ მძინარე ქალაქს. ეს ის მომენტი იყო ,, ერთი პირი წყალსაც კი რომ ჩაეძინება ". ჩაირთო სირენების გამაყრუებელი ხმაც, რომელსაც სასოწარკვეთილი ტირილი, ღრიალი, ისტერიკული სიცილის ხმები ერთვოდა- ვიღაცა ყვიროდა, ვიღაცა შეშლილი ხარხარებდა, ვიღაცა გამორბოდა, ვიღაცა გარბოდა. ირგვლივ ყველაფერი მტვერში და ქაოსში გახვეულიყო. მაშველებიც გამოჩნდნენ. ნელ-ნელა დღის სინათლესაც მოემატა ძალა და უკვე შეიძლებოდა ყველაფრის გარჩევა. იქ სადაც სახლები იდგა ზოგან ღრმა ორმოებს დაეღოთ პირი, ზოგან კიდევ მთათ ქცეულ ნანგრევებს დაეკავებინათ ადგილები. იყო გადარჩენილი სახლებიც, საიდანაც დამფრთხალი ხალხი გამორბოდა. ისტერიკაში ჩავარდნილები ვერ გარკვეულიყვნენ რა უნდა გაეკეთებინათ და წინდაუკან დარბოდნენ. ეს ქაოსი რამდენ ხანს გაგრძელდა ვერავინ გეტყოდათ, რადგან ეს წამები, წუთები საუკუნედ გადაქცეულიყვნენ და მერე გაყინულიყვნენ. თითქოს მტვრის ბუღიც კი არ იძვროდა ადგილიდან...

როგორც უცებ ჩამოწვა სიჩუმე, ისევე უცებ ახმაურდა ირგვლივ ყოველი და უკვე აირია ერთმანეთში ხმები- ზოგი დაჭრლიყო და შველას ითხოვდა, ზოგი ცხედართან მუხლზე დამხობილყო და ტიროდა გარდაცვლილს. ერთმანეთში არეულიყო სისხლი და მტვერი... ზოგი ნანგრევების გასუფთავებას შესდგომოდა, საიდანაც გმინვა და ყვირილი ისმოდა. საჭირო იყო სისწრაფე და სიფრთხილე, რომ მოყოლილები უვნებლად ამოეყვანათ. გონს მოსული ხალხი ერთმუშტად შეკრულიყო და ნანგრევებს შესეულიყო. სადღაც გამქრალიყო ის შიშიც დაბომბვის პირველ წუთებში რომ დაემართათ. ახლა მხოლოდ იმას ფიქრობდნენ რაც შეიძლება მეტი გადაერჩინათ. ნელ-ნელა ნანგრევები სუფთავდებოდა. უმეტესობა გარდაცვლილები ამოჰყავდათ. დასახიჩრებულ გვამებს ძნელად თუ იცნობდა ადამიანი. მთელი დღის მუშაობის შემდეგ დაასკვნეს, რომ აქ უკვე ხელით ვეღარაფერს გახდებოდნენ და საჭირო იყო სპეციალური ტექნიკის გამოყენება. ტექნიკაც მოვიდა და დაიწყეს ბეტონის დიდი ფილების გამოტანა. თან ყვიროდნენ: თუ არის ვინმე ცოცხალი შეგვეხმიანეთო. არსაიდან ხმა არ ისმოდა. ერთი ბეტონის დიდი კარკასი ძლივს გამოიტანეს. ეს ბეტონი ამაგრებდა ქვა-ღორღის უშველებელ მასას. ამის გამოტანა და ხრიალით წამოსვლა ამ მასისა ერთი იყო. მერე თითქოს სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ და ამ სიჩუმეში აშკარად გაისმა ბავშვის ხმა. ჯერ ეგონათ ხალხს მოგვეჩვენაო, მაგრამ ყველამ აშკარად გაიგონა ხმა, რომელიც ნანგრევებიდან აღწევდა. ისე გაისუსა ირგვლივ ყოველი ჰაერში ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდი. აშკარად ბავშვის ხმა იყო. ხმას მიჰყვნენ. ხელით გადაყარეს ქვები და ბეტონის ნამტვრევები. ხმა დროდადრო წყდებოდა. სასწრაფოდ მოქმედება იყო საჭირო, თანაც მალე დაღამდებოდა და სინათლის გარეშე გაუჭირდებოდათ ბავშვის მოძებნა. ცოტა წვალების შემდეგ მიაგნეს ბავშვსაც, რომელიც აფეთქების ტალღას თუ დედამისს საწოლის ქვეშ შეეგდო, ზემოდან კარადა დაცემულიყო და ერთი ბეტონის ფილაც ისე ეგდო მახვილი კუთხით, თითქოს სპეციალურად გადახურეს ზემოდანაო. სწორედ ამ ბეტონის ქვეშ იყო ბავშვის დედა მოყოლილი, რომელსაც ხელი საწოლის ქვეშ ჰქონდა გაშვერილი, იქ კი ასე სამი-ოთხი წლის პატარა ბიჭი ეგდო მტვერში ამოსვრილი. ბიჭს სახე ტირილისაგან დასიებოდა და ცრემლის ღარები ემჩნეოდა მტვრით დაფარულ სახეზე. ბავშვი აღარ სუნთქავდა. მაშველები შეწუხდნენ- ნუთუ დავაგვიანეთ, ნუთუ არაფერი ეშველებაო.ვფრთხილად ამოიყვანეს პატარა. დააწვინეს ძირს და დაუწყეს ხელოვნური სუნთქვის პროცედურები ჩატარება. ის იყო იმედი გადაეწურათ, რომ ბოლო მცდელობაზე ბავშვს პულსი გაესინჯა. ცოტა კიდევ და თვალი გაახილა. მოასულიერეს პატარა. შეშინებულმა ტირილი დაიწყო. ვიღაცას ჯიბეში კანფეტი აღმოაჩნდა. მიაწოდეს. ბავშვმა უმალ იტაცა პირში და გაეღიმა. რახან გაეღიმა ყველას გადაავიწყდა თითქოს ის კოშმარი, რაც მთელი დღე განიცადეს. მალე პატარამ ფეხზე გაიარა. არსად დაზიანება არ ჰქონდა. საღ-სალამათი იყო და ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა. ცოტა ხანში კი სირბილიც დაიწყო...

ირმა კეკელიძე

ოქროს ზოდი

სამოცდათვრამეტ წლამდე მიღწეული ჭარმაგი მამაკაცი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. არ უყვარდა დიდხანს ძილი, ზოზინი. გამთენიისას, უთენია წამოდგებოდა ხოლმე და ადრე გაზაფხულის სუსხიან, ცივ დილას ეზოში გამოვიდოდა. კოჟრიან უხეშ ხელებს ცივი წყლით დაიზელდა და ცას გახედავდა. იმ დილასაც ასე იყო. შინიდან გარეთ გამოსულმა ჩვეულებრივ ხელები დაიზილა და ცას გახედა. მთის მწვავე მზემ თვალებში შეანათა, მაგრამ მხოლოდ თვალები კი არა, გულიც გაუნათა. იდგა უხმოდ, გარინდული და ცას გაჰყურებდა. შემდეგ მისმა მზერამ ირგვლივ დათოვლილ მთებისკენ გადაინაცვლა. ფეხებზე ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო. დახედა და გაეღიმა. პატარა ნუცა ბაბუს ფეხებზე შემოხვეოდა. გაზაფხულის ნიავი წაბლისფერ გაშლილ თმებს უწეწავდა. გოგო ცდილობდა ერთი ხელით თმები მოეწესრიგებინა, მეორეთი კი ბაბუს ფეხს ჩასჭიდებოდა. თვალებმოჭუტულმა მოხუცს ახედა და წკრიალა ხმით წაუტიტინა: „გრიშა ბაბუ, დედა შენზე გაბრაზებულია“. მაღალმა, ახოვანმა, თმაჭაღარა მოხუცმა სქელი ჭაღარა წარბები შეკრა და ისე უპასუხა; „რატომ, ჩემო პატარავ, რას ვაშავებ?!“ გოგომ ისევ წაიტიტინა; „არც ისაუზმა, არც წამალი დალია და ამ სუსხიან დილას გარეთ ისე გავარდა თბილი ქურქიც არ ჩაიცვაო“. ბაბუს გაეღიმა. პატარა, თმაგაწეწილი გოგო ხელში აიყვანა და სიცივისგან გაწითლებულ ცხვირის წვერზე აკოცა. შემდეგ ცისკენ აიხედა და ნუცასაც ანიშნა ზემოთ აეხედა. „ხედავ, ბაბუ, მზე გამოვიდა, შიგ თვალებში გვანათებს. თვალების გავლით გულამდე ჩადის და მთლიანად მალამოდ ედება მთელს ჩვენს სულს, გულსა და სხეულს. რომელი წამალი შეედრება?! მზის სხივებზე უკეთესი წამალი არ არსებობს“. თვალებმოჭუტული პატარა გოგო უაზროდ იყურებოდა ხან ცისკენ, ხანაც ბაბუს ნაოჭებიან შუბლს მიშტერებოდა. შემდეგ გრიშას გულმკერდზე მიადო თავი და ისევ გაუმეორა: „დედა ძალიან გაბრაზდება თუ ნამდვილ წამალს არ დალევ“. ნუციკომ ბაბუს მკერდთან რაღაც სიმაგრეზე შეხება იგრძნო. დაინტერესდა, ბაბუს გულის ჯიბე ხელით მოსინჯა და მოხუცს ჰკითხა: „აქ რა გიდევს, ბაბუ, რა არის ეს მაგარი?“... გრიშა შვილიშვილს წაბლისფერ გაწეწილ თმებზე მოეფერა და ხმადაბლა უპასუხა: „ეს ოქროს ზოდია, ბაბუ... ოქროს ზოდი...“ ბავშვმა თვალებში შეხედა და ისევ მიუტიტინა: „შენია ეს ოქრო, ბაბუ? აქ ინახავ?“... მოხუცმა ცას გახედა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა: „მხოლოდ ჩემი არა, ბაბუ... ჩვენია, ყველასია!“ შემდეგ ხელში აყვანილ შვილიშვილთან ერთად სახლისკენ შებრუნდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „შინ შევიდეთ, ბაბუ, ჩემს თავს არ ვჩივი, შენ არ გამიცივდე. დედიკოსაც ძალიან ნუ გავაბრაზებთ...“

***

შუადღე უფრო მეტად მზიანი იყო. სვანეთის მთის ძირას, პატარა შეფენილ სოფელს, მთის მწვავე მზე დაუზოგავი სიუხვით აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს. სოფლის შარაგზაზე გაყინულმა, გაქვავებულმა თოვლმა დნობა დაიწყო. მიწა დარბილდა და ალაგ-ალაგ თოვლს ტალახი შეერია. სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ტალახარეულ თოვლში ტყაპატყუპით მიაბიჯებდნენ და მობუზულები სასკოლო ჩანთებით ხელში ცდილობდნენ ჩქარი ნაბიჯებით ევლოთ და შინ დროულად მისულიყვნენ. სოფლის

შუაგულში ძველისძველი ქვის პატარა სახლი იდგა, სადაც გრიშას უმცროს მეგობარს, გენოს დუქანი გაეხსნა... დუქანი არა მხოლოდ სურსათით ამარაგებდა სოფლის მოსახლეობას, არამედ სოფლის თავკაცთა შეკრებისა და შეზარხოშების ადგილიც გახლდათ... ფოლადის მძიმე, სვანური ღუმელი დუქნის კუთხეში იდგა, რომელშიც საგულდაგულოდ შეწყობილ და ცეცხლმოკიდებულ შეშას სასიამოვნო ტკაცატკუცი გაჰქონდა. იქვე მდგარ დაბალ ხის მაგიდას სამი ახალგაზრდა შემოსხდომოდა. მედუქნე გენოს სტუმრებისთვის სახელდახელოდ გაეშალა სუფრა. სახლში გამომცხვარი პური, სვანური სულგუნი, მსხვილად დაჭრილი მოხარშული ლორი, მოხარშული კარტოფილი, ღუმელზე გაფიცხებული კუბდარი, მწვანე პომიდორის მწნილი, სვანური მარილი და სვანური რახი, ერთი სიტყვით, რაც კი მოახერხა, ყველაფერი გულით მიართვა გზად მიმავალ და მის დუქანში შემთხვევით შემოსულ სტუმრებს. მასპინძელს არც კი უკითხავს, ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ ან სად მიდიოდნენ. დუქნის კართან გაჩერებული შავი ჯიპიდან გადმოსული სამი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც ახლა მის დუქანში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და მადიანად სადილობდნენ, კარგად შეზარხოშებულები იყვნენ, როდესაც დუქანში ძლიერი ნაბიჯებით სოფლის ბრძენკაცმა შეაბიჯა. „მობრძანდი, გრიშა ბატონო, მობრძანდი! დაბრძანდი ღუმელთან, გათბი“, მიაძახა მედუქნემ ახლადშემოსულს და პატარა ხის დაბალი სკამი მიაწოდა ახლადშემოსწრებულს. მოხუცმა დაბალ სკამზე საგულდაგულოდ მოიკალათა და გაციებული, გაყინული ხელები მოგიზგიზე, გახურებულ ღუმელს მიუშვირა. გენო სტუმრებს მიუბრუნდა, ორივე ხელი გაშალა და ხმამაღლა მიმართა: „ბედი გქონიათ, რომ გრიშამ შემოგისწროთ. ეს კაცი სოფლის თავკაცია, სოფლის ბურჯია, სოფლის ტვინია, სოფლის იმედია. შეზარხოშებულმა სამეულმა ალმაცერად შეხედეს „სოფლის ბურჯს“ და ერთმანეთს უღიმღამოდ გადახედეს. „დროზე უნდა გავაგრძელოთ გზა, თორემ დაგვიღამდება, სერიოზულ საქმეზე ვართ ჩამოსულები“, - წარმოსთქვა ტყავის შავ ქურთუკში გამოწყობილმა, თავგადაპარსულმა ახალგაზრდა მამაკაცმა და გენოს თვალი თვალში გაუყარა. „მართალი ხარ, ბესო, დროა წავიდეთ“, - დაეთანხმა გვერდით მჯდომი წითური მეგობარი. „ანგარიში მოგვიტანეთ და წავედით, თორემ დაგვიღამდება ნამდვილად“. აჰყვა მესამე, შავგვრემანი მამაკაცი.

გენომ შუბლი შეკრა და მკაცრი ხმით უპასუხა: „რა ანგარიში, რას ბრძანებთ. ჩემი ოჯახიდან მოტანილი რაღაც ერთი-ორი ლუკმა მოგართვით გზად მიმავალ სტუმრებს და ამას როგორ გიანგარიშებთ. რომ დაგაგვიანდათ, არც მაგაზე იდარდოთ. ღამეს ისე გაგათევინებთ, რომ არ შევრცხვებით. ასე არ არის, გრიშა?!“ გრიშამ თანხმობის ნიშნად თავი უხმოდ დაუქნია და მის გვერდით მჯდომ შავგვრემან მამაკაცს მხარზე ხელი დაადო.

შუბლშეკრულ ახალგაზრდებს სახეზე ღიმილი მოერიათ და ერთმანეთს რაღაც ამოუცნობი იდუმალი მზერით გადახედეს. „დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ დღის ბოლომდე ადგილზე უნდა ვიყოთ. მნიშვნელოვან საქმეზე მივდივართ, ძალიან რომ არ გვეჩქარებოდეს, თქვენთან ყოფნას რა სჯობს, ღამეც სიამოვნებით დავრჩებოდით“. - წარმოსთქვა თავგადაპარსულმა და რახით სავსე ჭიქა მეგობრებს მიუჭახუნა... „ნამდვილად ასეა, ისეთ სერიოზულ საქმეზე მივდივართ, რომ ციხის აღება, ჩვენს საქმესთან შედარებით, არაფერია!“ - წარმოსთქვა წითურთმიანმა, რახით სავსე ჭიქა ბოლომდე დაცალა და მაგიდაზე დაახეთქა. „გეთანხმები, ასეა, მაგრამ კაცი არ ვიყო, თუ ეს „ქაჯეთის ციხე“ არ ავიღო! დამიჯერე, ფრიდონ, ყველაფერი მაგრად იქნება!“ - მიმართა შავგვრემანმა წითურს. „მჯერა შენი, მიხო, ჯიგარო, მჯერა! შენი იმედით წამოვედით. „ქაჯეთის ციხის“ აღებას გაუმარჯოს!“ - ხმამაღლა წარმოსთქვა წითურმა და შავგვრემანს იმედის თვალით შეხედა.

ღუმელის გვერდით მჯდომმა გრიშამ ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა და ახალგაზრდებს შეხედა. შემდეგ ჭიქაში რახი თვითონვე ჩაისხა და დინჯად წარმოსთქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან, სვანეთში. თქვენს შორის ერთ-ერთი ფრიდონიც ყოფილა. თან „ქაჯეთის ციხის“ აღებაც გადაგიწყვეტიათ. თქვენმა საუბარმა ნურადინ ფრიდონის თათბირი გამახსენა „ქაჯეთის ციხის“ აღების წინ...“ მოხუცმა ლექსის კითხვა დაიწყო:

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნო, სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლენ მათი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან,
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან...

გრიშამ რახით სავსე ჭიქა პირთან მიიტანა და ცოტა მოსვა. ახალგაზრდები მოხუცს მიშტერებოდნენ. გენომ მათი მზერა იგრძნო და დინჯად მიმართა: „ეს გრიშაა, სოფლის ტვინი, სოფლის ბურჯი. მან შოთას

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის. ის ჩვენი განძია, ჩვენი სინდის-ნამუსია. გაგიმართლათ, რომ თქვენ, შემთხვევითმა მგზავრებმა, იგი გაიცანით“. გრიშა წამოდგა, მარცხენა ხელი გენოს მხარზე დააადო, მარჯვენა ხელით პირჯვარი გადაიწერა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ისე დაიწყო: „მე რა განძი ვარ, ერთი ბეხრეწი ბერიკაცი ვარ. ანკი ისეთი რა გამიკეთებია, რომ „სოფლის ტვინს“ მეძახი. ამ სოფლის განძი ჩვენ ყველანი ერთადა ვართ... რაც შეეხება ნამდვილ განძს ჩვენი ქვეყნისას, ჩვენი ერისას, მე მას ყოველთვის თან ვატარებ. ის ჩემი ოქროს ზოდია. აი, აქ, გულის ჯიბეში მიდევს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცოცხლებ, მაგრამ ჩემს ბადიშს სულ იმას ვუმეორებ, რომ ეს „ოქროს ზოდი“ ჩემი ჯიბიდან არ ამოიღონ, თან გამატანონ... იმ ქვეყნადაც გამიჭირდება ჩემი „ოქროს ზოდის“ გარეშე ყოფნა. სული უკვდავიაო და თუკი ასეა, ჩემს სულს ამ განძის, ამ „ოქროს ზოდის“ გარეშე იმ ქვეყნად ყოფნა გაუჭირდება. ჩემი „ოქროს ზოდი“ ჩემთან უნდა იყოს. ის ყველაზე დიდი შენაძენია, რაც კი ამ ქვეყნად შემიძენია...“ გრიშამ თავის სათქმელი თქვა და დინჯად დაეშვა დაბალ ხის სკამზე...

გრიშას შემყურე თავგადაპარსულმა ბესომ კისერი წაიგრძელა და მზერა მის მარცხენა გულისპირთან არსებულ ჯიბეს მიაპყრო. შემდეგ მზერას არ დასჯერდა და გრიშას ჯიბე მარჯვენა ხელის თითებით საგულდაგულოდ მოსინჯა. ხელში რაღაც მაგარი საგანი მართლაც იგრძნო. სახე შეეცვალა და მოხუცს ინტერესით ჩაეკითხა: „რა სთქვი, ბაბუ, რაო, რაო?“ ამ ჯიბეში ოქროს ზოდს ინახავ?“ გრიშა თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა. ბესოს წითური ფრიდონიც აჰყვა და მოხუცს შეზარხოშებულმა, თავჩაქინდრულმა გაუმეორა: „რას ამბობ, ბაბუ, ჯიბით ოქროს ზოდს ატარებ?... თანაც ასე თავისუფლად, ასე სოფელ-სოფელ და არ გეშინია?“ მოხუცმა წითურს გაოცებულმა შეხედა და დინჯად უპასუხა: „რისი უნდა მეშინოდეს?“... ამის გამგონე შავგვრემანმა მიხომ ხელი ხელს შემოჰკრა და შეჰყვირა: „ვაჰ, გენაცვალე, რა ვაჟკაცი ყოფილხარ! ოქროს ზოდი ჯიბეში გიდევს და არაფრის გეშინია? ბაბუ, ერთი ეს მითხარი, ნაღდი ოქროა?“ მოხუცმა თავი დაუკრა და ისე უპასუხა: „დიახ, ნაღდი ოქროს ზოდია, თანაც ბაჯაღლო, შეუფასებელი ბაჯაღლოა!“ შემდეგ გენოს მიუბრუნდნენ და სამივემ კითხვების კორიანტელი დააყარეს: „ვინ არის ეს კაცი, რა გვარის კაცია, საიდან აქვს ამხელა ოქროს ზოდი?... მთლიანი ჯიბე გამოტენილი აქვს ამხელა ზოდით?... ნაღდი ბაჯაღლოა თუ ხუმრობს და გვასიაფანდებს?... დაუჯერებელია, საიდან ამ მოხუცს ეს ოქროს ზოდი?!“ გენო ალალად, ღიმილით სამთავეს თავს უქნევდა და ისე პასუხობდა: „კი, ნამდვილად ოქროს ზოდი უდევს ჯიბეში. ხომ გეუბნებით, გრიშა ამ ოქროს ზოდის, ამ განძის გარეშე არსად არ მიდის. აკი თვითონაც ამბობს, გარდაცვალების შემდეგაც თან გამაყოლეთ, იქაც მჭირდებაო!“ პირზე დუჟმორეულმა, უკვე საკმაოდ შეზარხოშებულმა ბესომ თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა შესძახა: „იქ რაღაში სჭირდება. სანამ ცოცხლები ვართ განძი მანამ უნდა მოვიხმაროთ“. წითურმა ფრიდონმა არ დააყოვნა, ისე შეაგება: „თანაც რა განძი, ოქროს ზოდი!“ შავგვრემანმა მიხომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „ბაჯაღლოს ზოდი, ნაღდი ბაჯაღლოს!“ შემდეგ დაცლილი ჭიქები კვლავ რახით შეავსო და ფეხზე წამომდგარმა წარმოსთქვა: „ბატონო გრიშა, თქვენ გაგიმარჯოთ! თქვენი სახით თუ ასეთ განძს წავაწყდებოდით, რას ვიფიქრებდით?!“

დაფიქრებული გრიშა სამივეს აკვირდებოდა, შემდეგ თვალზე ცრემლმომდგარმა თავისი ჩვეული დაბალი ხმით დინჯად დაიწყო:

მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა...

ამასობაში დუქანში ნუციკომ მოაკითხა გრიშას. მოხუცთან მივიდა, მუხლებზე ჩამოუჯდა და ყურში უჩურჩულა: „ბაბუ, წამოდი, დედა გაბრაზდება, წამალი გაქვს დასალევი, წნევაც უნდა გაგიზომოს“. მოხუცმა ბავშვს თეთრ, ფუმფულა ლოყაზე აკოცა და ხმადაბლა უთხრა: „შენ წადი, ბაბუ, და დედა დააწყნარე, მეც მალე მოვალ...“ ნუციკომ განაწყენებულმა შეხედა გრიშას და უთხრა: „ბაბუ, ნუ დალევ, დედა გაბრაზდება, წამალი გაქვს დასალევი!“... გრიშამ შვილიშვილს გაუღიმა და ანიშნა, რომ წასულიყო. განაწყენებული ნუციკო დუქნიდან მარტო გავიდა და სირბილით დაადგა შინისაკენ მიმავალ თოვლჭყაპიან გზას.

მოსაღამოვდა. გენოს დუქანში მჯდომ და მოქეიფე სამ ახალგაზრდა მამაკაცს „ქაჯეთის ციხის“ აღებაც დავიწყებოდათ და ალბათ ისიც აღარ ახსოვდათ, რისთვის ჩამოვიდნენ სვანეთში, რატომ გაჩერდნენ გენოს დუქანში, სად მიდიოდნენ და საიდან მოდიოდნენ. მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: „ოქროს ზოდი... საიდან, როგორ?... ნაღდი ბაჯაღლო!... საოცარია, რა უნდა გრიშას ჯიბეში ოქროს ზოდს...

გაგვიგია, სვანეთში მდინარეშიც პოულობენ ოქროს კენჭებსო...“ - გაიძახოდნენ და თან შეშლილი სახით და გადიდებული, ამღვრეული თვალებით გრიშას გულ-მკერდზე მარცხენა ჯიბეს მიშტერებოდნენ.

გრიშამ იგრძნო, რომ სასმელი მოერია და ფეხზე წამოდგა. ახალგაზრდებს შეხედა და მორიდებით მიმართა: „შინ უნდა წავიდე, შვილიშვილი გავანაწყენე, შვილიც განიცდის, წამლის მიღება დავაგვიანე“. წითურმა ფრიდონმა გრიშას ხელი გადახვია და ჩურჩულით უთხრა: „ბაბუ, შენ აქედან მარტოს, ფეხით ვერ გაგიშვებ, ჩვენ მიგაცილებთ სახლამდე...“ მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხმადაბლა უპასუხა: „კი ბატონო, თანახმა ვარ, ამაღამ ჩემი სტუმრები იქნებით, ხვალ გააგრძელეთ გზა, სადაც მიდიხართ. მადლობა ვუთხრათ გენოს მასპინძლობისთვის, დროა ჩემს ოჯახში გადავინაცვლოთ!“

მოხუცი და სტუმრები ფეხზე წამოდგნენ. გრიშა კიდევ ერთხელ მიუბრუნდა გენოს და მადლიერების ნიშნად თავი დაუხარა. შემდეგ ახალგაზრდებთან ერთად დუქანი დატოვა. წითურმა ფრიდონმა შავი ჯიპის კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. ბესომ და მიხომ უკანა კარებები გამოაღეს და მოხუცს მანქანის უკანა სავარძელზე დაჯდომაში მიეხმარნენ. თვითონ კი აქეთ-იქით შემოუსხდნენ. დუქანში დარჩენილი დაღლილი გენო მანქანის უკანა კარებების დახურვისა და ადგილიდან სწრაფად მოწყვეტის ძლიერმა ხმამ რაღაცნაირად შეაშფოთა და გამოაფხიზლა.

***

მოხუცმა თვალი გაახილა. უაზროდ აქეთ-იქით იცქირებოდა. „სად ვარ, რა მჭირს, ვისთან ვარ?... - გაიფიქრა და თეთრხალათიან ახალგაზრდა გოგოს უაზროდ შეხედა. ახალგაზრდა მედდამ მოხუცს გაუღიმა და გახარებულმა ჰკითხა: „გაიღვიძე, ბაბუ? კარგია გონს თუ მოხვედით!“

საავადმყოფოს ფოიეში პატარა ნუცა და დედამისი წინ და უკან გადი-გამოდიოდნენ. შენობის გარეთ თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო. მედუქნე გენო იქვე ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო, თავი ხელებში ჩაერგო და ხმამაღლა მოსთქვამდა: „ჩემი ბრალია, მე დავღუპე. ვის ვენდე, ვის გავატანე მოხუცი კაცი. ვის ვენდე, ვის?... ადამიანები მეგონენ, თურმე ყაჩაღები ყოფილან. მეზობელ სოფელში „ქაჯეთის ციხის“ ასაღებად მივდივართო. თურმე მათი ახლობლისთვის შვილს უცხოეთიდან ფული გამოუგზავნია სოფელში სახლის ასაშენებლად და მის გასაქურდად მიდიოდნენ. საცოდავ კაცს ნიღბებით შევარდნიან, იმასაც წინააღმდეგობა გაუწევია და მოუკლავთ ამ სულძაღლებს, ამ ტარტაროზებს. დღეს დილით მესტიის პოლიციაში ყველაფერი დაუფქვავთ... ნაძირლები!... მე ვარ მოსაკლავი, მე! როგორ ვანდე ჩვენი სოფლის იმედი ვიღაც ნაძირლებს. იმ უწმინდურებს ეგონათ, რომ მოხუცს ჯიბეში მართლა ოქრო ჰქონდა“. გაოგნებული მეზობლები გენოს მიშტერებოდნენ. სკოლის დირექტორმა, ტანმორჩილმა, თმაჭაღარა ქალბატონმა დოდომ თავი ვერ შეიკავა და გენოს ჩაეკითხა: „რას ამბობ, გენო, რა ოქრო, გრიშა ხომ გულის ჯიბით მუდამ „ვეფხისტყაოსანს“ ატარებდა?“... გენომ ქალს თვალცრემლიანმა ახედა და უპასუხა: „სწორედ მაგ განძზე ვლაპარაკობდით. გრიშა ხომ „ვეფხისტყაოსანს“ ოქროს ზოდს ეძახდა. ნაძირლებმა მოხუცს თავში რაღაც ჩაარტყეს და ტყე-ღრეში გადააგდეს. ეგონათ ხელში ბაჯაღლო ოქრო შერჩებოდათ. გრიშას თავთან დაგდებული უპოვნია პოლიციას ეს წიგნი და ამ დილით მე გადმომცეს“. გენომ სკოლის დირექტორს დასისხლიანებული „ოქროს ზოდი“ მიაწოდა და უხეში ხელებით ცრემლები მოიწმინდა. ქალბატონმა დოდომ წიგნი ხელის კანკალით გადაშალა. სისხლის ლაქებს შორის გადარჩენილი სტროფები ქალმა მისდაუნებურად ხმამაღლა ამოიკითხა:

მო, დავსხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვდის შეუშრობელი:
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი,
აქამდე ამბათ ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი.

პატარა ნუციკო საავადმყოფოს შენობიდან ეზოში შეძახილით გამოვარდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა: „ბაბუმ გამოიღვიძა! ბაბუმ თვალი გაახილა!“ მთელი სოფელი გარს შემოერტყა პატარა გოგოს. ზოგი სახეგაღიმებული შესცქეროდა, ზოგსაც გული აჩუყებოდა და ცრემლს ვერ მალავდა. ნუციკო კი ხელებგაშლილი იდგა და ყელმოღერებული ტიტინებდა და არ ჩერდებოდა: „ბაბუმ გაიღვიძა თუ არა, ლექსად დაიწყო ლაპარაკი. „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა დაიწყო... მოიცა... მოიცა... გამახსენდა, რაც თქვა: „ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მინდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა! მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“ სოფლის მოსახლეობა გაოგნებული უყურებდა პატარა გოგოს, რომელმაც სულმოუთქმელად ჩამოარაკრაკა „ვეფხისტყაოსნის“ პატარა ეპიზოდი. გენომ თავი ვერ შეიკავა, ხელი ხელს შემოჰკრა და გახარებულმა შესძახა: „ნახეთ, ამ პატარა კუდრაჭამაც როგორ ზეპირად ჩამოარაკრაკა „ოქროს ზოდის“ სტროფები?!“ აქეთ-იქიდან შეძახილები გაისმა: „რა გასაკვირია, ვისი შვილიშვილია არ იცით?!... ესეც ბაბუის კვალზე დგას!“ ნუციკომ ყელი მოიღერა და ლაპარაკი განაგრძო: „ბაბუამ მე და დედა ვერ გვიცნო. „ვეფხისტყაოსანი“ კი მაინც ახსოვს. ექიმმა სთხოვა, „ავთანდილის ანდერძი“ წამიკითხეო და ისიც უშეცდომოდ წაიკითხა. ექიმმა მე და დედა დაგვამშვიდა და იმედი მოგვცა, რომ ცოტა დრო სჭირდება და თქვენც გიცნობს და ყველაფერს ძალიან კარგად გაიხსენებსო...“

***

სამოცდათვრამეტი წლის მოხუცს არ უყვარდა დიდხანს წოლა და ზოზინი. უთენია ადრიანად წამოდგა და ზაფხულის ლამაზ, მზიან დილას ამწვანებულ ეზოში გამოვიდა. ხელები დაიზილა და ცას გახედა. მთის მზემ თვალებში შეანათა, მაგრამ მხოლოდ თვალები კი არა, გულიც გაუნათა. იდგა გარინდებული და ცას გაჰყურებდა. შემდეგ მისმა მზერამ ირგვლივ ამწვანებულ მთებისკენ გადაინაცვლა. ფეხებზე ხელის შეხება იგრძნო. გაიღიმა. პატარა, თმაგაწეწილი გოგო ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. ნუციკომ ბაბუს გულის ჯიბეში მაგარ საგანს ხელი შეახო. მოხუცი შვილიშვილს წაბლისფერ, გაწეწილ თმებზე მოეფერა და ხმადაბლა ყურში უჩურჩულა: „ეს ოქროს ზოდია, ბაბუ, ოქროს ზოდი!“ ბავშვმა თვალებში შეანათა და ისე უპასუხა: „შენს ოქროს ზოდს ისევ აქ ინახავ, ბაბუ?“ მოხუცმა ცას გახედა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უპასუხა: „მარტო ჩემი არა, ბაბუ, ჩვენია, ყველასია!“... შემდეგ ხელში აყვანილ პატარასთან ერთად სვანეთის მოკრიალებულ ცას გახედა, მზის სხივებს კვლავ თვალებში შეხედა და გულში ჩახუტებულ შვილიშვილს წაბლისფერ თმებზე ეამბორა...

ხათუნა ჩიტაძე

ნაძვის ხე

ქაოსში ძლივს ვართმევ თავს, რომ ნივთებს ადგილი მივუჩინო... მერე კი სევდის მძივები მებნევა ყელზე, მოგონებების ჯარი მოდის ჯარად! ერთ წუთს ვყუჩდები და ოთახის კუთხეში დატუქსული ბავშვივით სკამზე ჩამომჯდარი მოგონებების წამიერ, უსიერ ტყეში შევდივარ... ვგრძნობ, რომ ყველა მენატრება გაღმა გასულთა საუფლოდან, მაგრამ მამა... მამა უფრო ძალიან მენატრება ახლა, ამ წუთში, ამ წინა საახალწლო დროს.

ბავშვობაში, ახალი წლის წინა დღეებში მამის ხელით საგანგებოდ მოჭრილი ნაძვის ხე ირთვებოდა. როგორ ველოდი, როდის შებინდ-დებოდა, რომ მამის მანქანა გამოჩენილიყო ჩვენი ქუჩის თავიდან. უზარმაზარი ნაძვის ხის მოსართავად მთელი ჩვენი ნათესაობა მოდიოდა, იყო ზეიმი, ჟრიამული და მამის სიხარულით, ბავშვივით ანთებული გიშრის თვალები. თვალწინ მიდგას სხვადასხვა ზომის ყუთები და შიგ ფაქიზად, დედის ხელით ჩალაგებული ულამაზესი ნაძვის ხის სათამაშოები. მამა კიბეს ამოიტანდა და ყველა, დიდი თუ პატარა, მისი განკარგულების ქვეშ ვიმყოფებოდით. როგორი მადლიერი ვარ შენი, მამა. ახლა, აქედან გეუბნები იმას, რომ დამიტოვე ულამაზესი მოგონებანი... მიყვარხარ! ისევ ისე, როგორც ყოველთვის. კინოფილმის კადრებივით იშლება ის დეტალებიც კი, რაც იქ, იმ წუთებში ხდებოდა და ბოლოს, აბრიალებული ნაძვის ხე! ყველაზე ლამაზი და სრულყოფილი! ისეთი, როგორიც არასდროს, არსად მინახავს და ვერც ვერასოდეს ვნახავ, – მამისეული ნაძვის ხე! ოთახის სურნელი მახსოვს... წიწვების ფერი... და ის ფერი, რომელიც აღარასოდეს განმეორებულა იმ ბავშვობის მერე...

წერილი უცნობს

შენ ის ხარ, რომელსაც არასდროს შევხვედრივარ, არადა მთელი ცხოვრებაა, მიყვარხარ, მენატრები, ვფიქრობ შენზე... ნეტავ, ერთხელ მაინც მენახე, მცოდნოდა, თუ ვინ, როგორი იყავი, რა ფერის თვალები გქონდა.

უცნაურია არა?... ეს ისტორიაც ძალიან უცნაურია.

მაშინ ათი-თერთმეტი წლის ვიყავი, ძალიან მგრძნობიარე, სხვებზე მზრუნველი გოგონა, რომელიც დედას გვიანობამდე ეხვეწებოდა, რომ კიდევ ერთი შვილი გაეჩინა, იქნებ, როგორმე და მყოლოდა, რომელიც მთელი ცხოვრების ნატვრად შემომრჩა... განსაკუთრებით ამ ასაკში ვიყავი გაფაციცებული, იქნებ დედას ჩემი საოცნებო სიტყვა, – ფეხმძიმედ ვარ!– ეთქვა.

დიდი ოჯახი გვქონდა, დიდი და რთული. ჩემთვის არავის ეცალა, ყველას თავისი საქმე და საზრუნავი ჰქონდა. მახსოვს, განსაკუთრებით ძმებს „ვედებოდი ფეხებში“. ალბათ, ამიტომ სულ ვეძებდი პატარას, რომ ჩემთვის განკუთვნილი ყურადღება – რომელიც სახლის კუთხის კუნჭულში მიგდებულიყო, იქნებ როგორმე სხვაზე გადამეტანა და გამომეყენებინა.

ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, მამა სამსახურიდან ძალიან დაღლილი დაბრუნდა. სისხლიანი ხალათები ამოიტანა და დედას მიაწოდა – გამოხარშეო. მერე სავარძელში ჩამჯდარი უჩვეულოდ დიდხანს იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა, ჭერში იყურებოდა გაშტერებული თვალებით. მე, როგორც ყველაზე ნაბოლარა და ერთადერთი გოგონა, მამას გამორჩეულად ვუყვარდი და ხშირად მეთამაშებოდა. ახლაც, როგორც ყოველთვის, მოსვენებას არ ვაძლევდი და სათამაშოდ ვიწვევდი. ისიც გამიკვირდა, შეპირებული თოჯინა რომ არ მომიტანა, რადგან თითქმის ყოველ კვირაში მოჰქონდა თოჯინა, ხშირად სახელით „ნასტია“.

მამა ვერ ავიყოლიე თამაშში და დავრჩი გაოცებული. იგი თითქოს ვერც კი ამჩნევდა ჩემს შემაწუხებელ და ზღვარგადასულ ხვეწნა-მუდარას. ცოტა ხანში მშობლების საუბარს მოვკარი ყური, რომ საავადმყოფოში რომელიღაცა ბავშვთა სახლიდან ერთი ძალიან კარგი, პატარა გოგო მოეყვანათ. მამას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთებია მისთვის – „აპენდიციტის“, ძალიან მოწონებია ბავშვი და დედას სთხოვდა, რომ სახლში მოეყვანათ და ერთად გაეზარდათ. წამის სისწრაფით შევვარდი ოთახში.

– ესეიგი ჩემი და იქნება?!

– კი, ვიშვილებთ და დაიკოც გეყოლება.

– ორ დღეში უნდა გაწერონ და სახლში მოიყვანთ?

– აუცილებლად, – დამაჯერებელი ხმით მითხრა დედამ.

ასეთი ბედნიერი წამები, წუთები და საათები არასდროს მქონია! მახსოვს, სამყარო უცბად შეიცვალა ჩემთვის, ის ჩემი მეგობარი გახდა. მთელი უბანი მოვირბინე, ყველას ვუთხარი, რომ ასეთი რამ ხდებოდა ჩვენს ოჯახში, რომ მეყოლებოდა პატარა და და ამ სიტყვების გამეორებისას სრულყოფილ ბედნიერებას ვგრძნობდი.

– ვალაგებდი ჩემი სამოსის კარადას, ვათავისუფლებდი ადგილს, თუ სად რა უნდა დაეწყო, ისიც ვიფიქრე, რომ მას ბევრი ნივთი არ ექნებოდა, ამიტომ ჩემი ნივთების გაყოფაც დავიწყე. ფული მქონდა შეგროვებული, გონებაში უკვე ვყიდულობდი მისთვის ჭრელ კაბას, სხვადასხვა ნივთებს, თმის სამაგრებს, მას რაც გაუხარდებოდა. დაახლოებით ორი ან სამი წლით პატარა უნდა ყოფილიყო ჩემზე, როგორც მამამ თქვა, მე უფროსი ვიქნებოდი და ვფიქრობდი, თუ როგორ კარგად მოვექცეოდი მას, როგორ ვივლიდით სკოლაში ერთად, როგორ დავეხმარებოდით გაკვეთილების მომზადებაში. ყველაზე ლამაზი სასკოლო ნივთები ექნებოდა და, ჩვენ მისაბაძი დები ვიქნებოდით.

სახელი არ მახსოვს.... ეტყობა არ თქვა მამამ, დაზუსტებით არ იცოდა რა მოხდებოდა, თორემ არ დამავიწყდებოდა მისი სახელი. ღამეები არ მეძინა. განსაკუთრებით ბოლო ღამე, უთენია ავდექი და ოთახში კიდევ ერთხელ ვასწორებდი მისთვის გადარჩეულ ნივთებს.

ზაფხული იყო, ცხელოდა, აწრიალებული და მოლოდინით გატანჯული ახლა სათამაშოებს ვყოფდი შუაზე, უფრო მეტი მისთვის მქონდა გადაწყობილი. თმის სამაგრები, როგორები იყო, ახლაც მახსოვს, რადგან ძალიან მძაფრად აღვიქვამდი ყოველივეს.

მამა ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა შინ. მის მოსვლამდე ორი საათი ქუჩაში ვიდექი გაუნძრევლად. აი, ახლა ამოუხვევს მამა, აი, ახლა, აი, ახლა...

გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ერთი სული მქონდა დამენახა როგორი იყო, როგორი სახე ჰქონდა, თმა, თვალები, ხმა...

მანქანამ ამოუხვია. მამა მარტო მოდიოდა...

– სად არის !!!

– დაგვასწრეს...

ისეთი ნაღველი იყო მის ხმაში

მე ვეღარ დავწერ იმას, რაც განვიცადე.

შენ ის ხარ, რომელიც მთელი ცხოვრებაა მიყვარხარ!...

ნიკოლოზ კურტანიძე

დაუჯერებელი ამბავი

მატარებელმა ერთი ჩაიქოთქოთა და გაჩერდა. შემადგენლობა - „წყალტუბო-მოსკოვი“ ქუთაისის სადგურის მეორე ბაქანზე ჩამოდგა. გამცილებლები ვაგონის ტამბურებზე გამოვიდნენ, კიბეები გახსნეს და მგზავრებს დაუწყეს ლოდინი.

ღიმილით მივესალმე ახალგაზრდა გამცილებელს და ჩემს ადგილს მივაშურე. კუპეში ძველი მეგობარი დამხვდა, დიდი ამბით მომესალმა. მეც გამიხარდა, ნაცნობი რომ შემხვდა.

– აღარ მოვიწყენთ. კარგია, ზედა ადგილებსაც რომ აღარ ყიდიან. ახლა ეს ვაგონი როგორც ლუქსი ისე ფუნქციონირებს და გზაში უცხოც არ შეგვაწუხებს, – მხარზე ხელი დავარტყი მეგობარს.

– ო, ეგ კარგია, თორემ წლების წინ ამ მატარებელში ისეთი ამბავი გადამხდა თავს, – გამიღიმა გიგიმ.

– რა ამბავი? – ჩავეკითხე მეგობარს. გიგი სტუდენტობიდან კარგი მოსუბრე იყო და მისი მონათხრობის მოსმენა ამხელა გზას საინტერესოს გახდიდა.

– მოგიყვები. დრო კი გვაქვს, – კვლავ გამიღიმა მეგობარმა და დაიწყო:

–მოსკოვში მივდიოდი მივლინებით. მატარებელში ჩემი კუპე მოვძებნე და კარი შევაღე. ფანჯარასთან ლამაზი ქალი იჯდა. გამიხარდა, გავუღიმე და თავი წარვუდგინე რუსულად.

– ჩემთვისაც სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე ალა მქვია, – მიპასუხა ქალმა.

შევცბი მის გამართულ ქართულზე. ქალი რუსი მეგონა, – ქართველი ქალი რუსული სახელით?! – გავუღიმე თანამგზავრს.

– მამამ ელენე დამარქვა, დედა რუსი მყავდა და ალა დამიძახა, საბუთებით ელენე მქვია, ალას მეძახიან. თქვენ როგორც გინდათ ისე მომმართეთ, – მიპასუხა ქალმა.

– ალას დაგიძახებთ, რუსს უფრო ჰგავხართ, მაგრამ ქართულად ვისაუბროთ, გზა შორი გვაქვს, ბევრი ამბის მოყოლას მოვასწრებთ.

– აბა! აბა! - გადაიკისკისა ქალმა.

ამასობაში მეც მოვშინაურდი კუპეში. ლაბადა გავიხადე და საკიდზე ჩამოვკიდე, ჩემოდანი კი საბარგულში დავაბინავე.

მალე ერთმანეთსაც გავუშინაურდით. ტუაფსეს რომ გავცდით, უკვე ვიცოდით ორივე მივლინებით მივდიოდით მოსკოვში. ის წყალტუბოს კურორტის საქმეებზე, მე ჩემს საქმეებზე. როგორც გვჩვევია ქართველებს, არც ოჯახური ამბები დაგვიმალავს. მე სამი ვაჟი დავტოვე სახლში. ალამ კი პატარა გოგონა, თუმცა ოჯახურ მდგომარეობას არ შეუშლია ხელი უფრო თამამებად და ახალგაზრდებად გვეგრძნო თავი, – როგორც ხდება ხოლმე მივლინების დროს. ცოლი 6 თვის გარდაცვლილი მყავდა და ეს უფრო ამართლებდა ჩემს მოქმედებას.

საღამოს სახლიდან წამოღებული სანოვაგე ამოვალაგე და იქვე ვაგონში, პატარა მაგიდაზე მშვენიერი სუფრა გავშალე. ქართული კონიაკიც თანდათან უფრო ახალისებდა ჩვენს განწყობას.

პირველი, გაცნობის სადღეგრძელო დავლიეთ. მეორე – კარგად ყოფნის, შემდეგ „ჩემი ხათრით, ერთი კიდევ“ და თანდათან ავკისკისდით. ვნატრობ, არავინ ამოვიდეს ჩვენს კუპეში. ალასთან მარტო ყოფნის სურვილი უფრო და უფრო მემატებოდა, მაგრამ... მატარებელი გაჩერდა... კუპეში დედა–შვილი შემოვიდა. ქალი 40 წლამდე იქნებოდა, ვაჟი ალბათ 15 წლის. როსტოვში მიდიოდნენ. ზედა ადგილებზე მოთავსდნენ და მალე დაიძინეს კიდეც. უხერხული იყო ჩვენ „ქეიფი“ გაგვეგრძელებინა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მეც მალე ჩამეძინა, თან ალბათ დაღლილიც ვიყავი.

დილით თვალი რომ გავახილე, დედა–შვილს მაგიდა გაეწყოთ და საუზმობდნენ. მე ალა მატარებლის რესტორანში დავპატიჟე. გვიან დავბრუნდით კუპეში, არ გვინდოდა უცხოებს დაერღვიათ ჩვენი საუბრის სიმყუდროვე. იქ უკვე სხვა მგზავრები დაგვხვდნენ. ის დედა–შვილი სხვა დედას და ქალიშვილს ჩაენაცვლებინა. მალე ორივე მოშინაურდა და დედა–შვილი ერთმანეთს ასწრებდა კეკლუცობას. მგონი, რომ ორივეს მოვეწონე. ასეთ მდგომარეობაში სხვა დროს არ ვყოფილვარ. ჩემდა უნებურად საქათმის მამალივით ვიღერებდი ყელს. სამი ქალი მზად იყო ჩემთან ყოფნისთვის ერთმანეთი არ დაენდოთ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა.

გამცილებლის ხმამ გადამარჩინა. მატარებელი მოსკოვში, კურსკის სადგურში შედიოდა. ქალებიც დაფაცურდნენ. მეც მოვაგროვე ჩემი ნივთები. დამშვიდობებისას იმდენი მოვახერხე, რომ ალასგან მალულად, მოსკოველ ქალბატონს, „ყოველი შემთხვევისთვის“, ტელეფონის ნომერი გამოვართვი. შემდეგ მე და ალამ ტაქსი გავაჩერეთ და უახლოეს სასტუმროში წავედით.

სასტუმროში თავისუფალი ნომრები არ აღმოჩნდა. დახმარება რეგისტრატორს ვთხოვეთ, საფასურის სანაცვლოდ იქნებ რომელიმე სასტუმროში დავებინავებინეთ. არც თუ ისე მეგობრულმა ქალმა ყურმილი აიღო და სადღაც დარეკა. მოსკოვის მეორე ბოლოს თითო ნომერი მოგვიძებნეს. მე და ალამ კვლავ გავაჩერეთ ტაქსი და ახალი სასტუმროსკენ გავეშურეთ. ადგილზე მისულებს კვლავ უარი გვითხრეს, – თქვენს მოსვლამდე ეს ნომრებიც დაიკავეს, – მკაცრად გვიპასუხა რეგისტრატორმა. მერე აქეთ-იქით გაიხედა და გვითხრა, – შემიძლია ბინა შემოგთავაზოთ, ახლოა, აქვე სასტუმროსთან.

მე და ალა არც დავფიქრებულვართ, ისე დავეთანხმეთ. ქუჩაში საშინელი სიცივე იყო, გარეთ გაჩერებას ყველაფერი აჯობებდა.

უცებ წარმოგვიდგინეს სახემიჭყლეტილი ბერიკაცი. ბინის მეპატრონე სასტუმროს თანამშრომელი ყოფილა. უსიტყვოდ გავიარეთ სასტუმროდან რამდენიმე კვარტალი. ერთ–ერთ კორპუსში შეგვიძღვა კაცი. კარი ქალმა გააღო, ბერიკაცის ცოლი იქნებოდა. არც უკითხავთ ვინ ვართ ერთმანეთისთვის, ჩათვალეს, რომ ცოლ–ქმარი ვიყავით და დაგვაბინავეს ერთ ოთახში. 20°ყინვიდან თბილ ოთახში მოხვედრილები ისეთი გახარებულები ვართ, რომ აღარაფერზე ვჯავრობთ. „ხაზეიკამ“ ჩაიც მოგვართვა და მთლად გავიხარეთ. ამასობაში შუაღამეც წამოგვადგა თავზე. დაღლა და ძილი მოგვერია ორივეს. ოთახში ერთი საწოლი დგას. ქალმა გაიხადა და საბნის ქვეშ შეძვრა. ვდგავარ გაურკვეველ მდგომარეობაში. ცოტა ხანი მძლია სისუსტემ, მაგრამ უცებ გამოვფხიზლდი, ავიღე პლედი და იქვე სავარძელზე მოვთავსდი. არჩევანიც ალას დავუტოვე.

ცოტა ხანში ალას მშვიდად ეძინა.

მე კი სრულიად გამოფხიზლებული სიბნელეს ვუსწორებდი თვალს და ალას ქმარზე ვფიქრობდი. მეც ხომ შეიძლება აღმოვჩენილიყავი მის მდგომარეობაში. რა უბრალოდ შეიძლება გაიწიროს კაცის ღირსება. ის ხომ ამ სიტუაციას სიზმრადაც ვერ ნახავს. არ ვიცი რა დამემართა, სურვილიც კი გამიქრა. არანაირი ლტოლვა არ მქონდა, რომ შემთხვევით მესარგებლა. მარტივად დავძლიე ჩემი თავი.

შემეცოდა სრულიად უდანაშაულო კაცი, ან იქნებ არც უდანაშაულო, მაგრამ ჩემ წინაშე ხომ არ იყო ის დამნაშავე. ჩემგან უნდა გამხდარიყო ღალატის მსხვერპლი. გაუთვალისწინებელ შემთხვევას უნდა შეელახა მისი ღირსება.

მე კი უნდა მესარგებლა ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევით?! მერე ვინ ვიქნებოდი მე?! ჩემში ორი გრძნობა ბობოქრობდა. ადამიანური სისუსტე და ზნეობრივი სიმტკიცე ებრძოდა ერთმანეთს. მძიმე იყო სხვისი ღირსების შელახვა, თუნდაც რომ არავინ ხედავდა.

თითქმის დამათენდა. დამღალა აზრთა ჭიდილმა და გადაღლილს ჩამძინებია.

თვალი რომ გავახილე, ალა უკვე ჩაცმული იდგა. საბუთებს ალაგებდა. გამიღიმა, – წასასვლელი ვარ, დროა საქმეებს მივხედო, – აბაზანაში გავიდა.

მეც წამოვდექი. ტანსაცმელი შევისწორე და ალას დაველოდე.

ოთახში შემოსულს შევთავაზე ახლომდებარე კაფეში გვესაუზმა. ქალმა უარი არ მითხრა.

ალბათ ერთი საათი ვისხედით კაფეში. დამნაშავესავით ვარიდებდი ქალს თვალს, საუბარიც არ ეწყობოდა. საუზმე დავასრულეთ და ჩვენ ჩვენ საქმეზე წავედით.

საღამოს 6 საათისთვის დავთქვით სახლში დაბრუნება.

გიგიმ თხრობა შეწყვიტა, სარკმლიდან გაიხედა. მე საათს დავხედე.

–ოჰო, მეგობარო, შუაღამე გადასულა. ახლა დავიძინოთ, თუ არ გეწყინება, დანარჩენი ხვალ მიამბე.

გიგის მოგონებები ჰქონდა აშლილი, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, დამეთანხმა, – ხვალ იყოსო და დასაძინებლად მოემზადა.

მეორე დილით უკვე როსტოვში გავიღვიძეთ. რესტორანში გავედით. ვისაუზმეთ, ცოტა ვისაუბრეთ და ისევ კუპეში დავბრუნდით. მე კომფორტულად მოვერგე ჩემს ადგილზე და გიგის მივუბრუნდი:

-მერე, გიგი, რა მოხდა იმ საღამოს?

გიგიც მიწვა თავის საწოლზე და ამბის მოსაყოლად მოემზადა:

–საღამოს 6 საათისთვის დავბრუნდი ბინაში. ალა მოსული დამხვდა. ოთახში დიდებული სუფრა გაეწყო, მაგიდას ჩიტის რძეც არ აკლდა.

– მე უნდა მემასპინძლა, – უხერხულად ვუთხარი ქალს.

–შენი დროც მოვა, – ღიმილით მიპასუხა ალამ, – ახლა ჩემი მადლიერების დროა. წუხანდელი ღამისთვის მადლობა მინდა გადაგიხადო. ძალიან დაღლილი ვიყავი, სამი დღის მგზავრობამ ეტყობა თავისი ქნა, უცებ ჩამეძინა. დილამდე გაუნძრევლად მეძინა.

–ანუ, არ მემდური, ალა?!

–რას ამბობ, მადლობის მეტი რა მეთქმის, – გამიღიმა და სუფრასთან მიმიწვია.

გემრიელად ვივახშმეთ, რამდენიმე ჭიქა დავლიეთ კიდეც, მაგრამ ვხვდებოდი, რომ შექმნილი სიტუაციით ვერ ვისარგებლებდი. არ შემეძლო. ვერ გავიმეტებდი უცხო ქვეყანაში ჩემს მოყვასს. საქართველოში ვინ იცის როგორ მოვიქცევოდი. ალას ბოდიში მოვუხადე. ჩემი ნივთები მოვაგროვე და დავემშვიდობე.

–მაპატიე, სხვაგან მოვნახავ გასაჩერებელს. უნდა წავიდე. ასე არ შემიძლია.

ალას უხერხულობის, შიშის, იმედის, გადარჩენის სხივი ერთიანად ჩაუდგა თვალში, – შენი მსგავსი კაცები თუ არსებობდნენ აღარც კი მჯეროდა, – უხერხულად ჩილაპარაკა და დასამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა.

ქუჩაში გამოსული ტელეფონის ჯიხურს მივადექი. კურსკის სადგურზე მალულად გადმოცემული დაჭმუჭნული ფურცელი გავშალე და ვალიჩკას დავურეკე.

–მერე ალა?!– არ ვაცადე ამოსუნთქვა მეგობარს.

–ალა მესამე დღეს ბრუნდებოდა საქართველოში. მე ერთი კვირის შემდეგ.

–მერე?

–დავბრუნდი ერთ კვირაში საქართველოში, – გამიღიმა გიგიმ.

–ესაა, კაცო?! ასე დამთავრდა?! – არ ვიყავი ნაამბობით კამყოფილი.

–ერთ დღეს სამსახურში კაბინეტში ვიჯექი, – გიგის თხრობა თითქოს დამძიმდა, კუპეში ჩამოცხა, – ტელეფონმა დამირეკა.

–გოგრიჭიანი ბრძანდებით?–გაისმა ყურმილის მეორე მხრიდან.

–დიახ, მე ვარ, გისმენთ.

–ბატონო გიგი, საღამოს 6 საათზე სკოლაში უნდა მობრძანდეთ. დირექტორს უნდა თქვენი ნახვა. აუცილებლად უნდა მობრძანდეთ!

–აუცილებლად მოვალ. ხომ მშვიდობაა?

–როგორ გითხრათ, თქვენს შვილებს ეხება საქმე.

ძალიან დამადარდიანა ზარმა. სკოლაში მიბარებდნენ შვილების ცუდი საქციელის გამო. ვინ იცის რა ჩაიდინეს – ბავშვურად იცელქეს, თუ უპატიებელი შეცდომა დაუშვეს?! ან იქნებ ჩემი შვილები არიან ვინმეს ბოროტების მსხვერპლი?! ათასი ფიქრი მერეოდა თავში. უცებ კარზე კაკუნმა გამომაფხიზლა. თავი რომ ავწიე, ალა უკვე ჩემ წინ იდგა.

–ალა?! ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ჩემ ნახვას მოისურვებდი. რა ხდება? რამ შეგაწუხა?

– გიგი, ეს რა მიქენი, დამღუპე! – ქმარს შენ შესახებ მოვუყევი. მეგონა სწორად გაიგებდა ყველაფერს. მან კი არ დამიჯერა. მლანძღავს და სახლიდან მაგდებს. განქორწინება უნდა ჩემთან.

არ ვიცი რა დამემართა. მოსკოვში შეკავებულმა გრძნობამ ერთიანად იფეთქა და ალა გულში ჩავიკარი. ალას ცრემლი სდიოდა, მე კი ვცდილობდი კოცნით ამომეშრო მისი თვალები. არ ვიცი რამდენ ხანში დაგვიბრუნდა ორივეს სიმშვიდე. ალამ თავი გაითავისუფლა ჩემგან.

–ახლა რას აპირებ? – მხოლოდ ამის კითხვა მოვახერხე.

–ჩვენ ერთად ყოფნა აღარ გამოგვივა. მე და ჩემი ქმარი ისეც ვერ ვახერხებდით ურთიერთობას. სულ მლანძღავდა–ეჭვიანობდა. ამის გამო ბავშვსაც ჩემი დედამთილი ზრდის. ახლა კი აღარც მენდობა. მიშველე რამე, – შემომტირა ქალმა.

–ცოტა დრო მომეცი. ერთი თვე მაინც. ახლაც უნდა გავიქცე, –მოვუბოდიშე ალას. წასასვლელი ვარ. შენ სად მიდიხარ? წაგიყვან.

–ჩემით წავალ. მიპასუხა ალამ და კაბინეტიდან უიმედოდ გავიდა.

ნახევარ საათში სკოლაში დირექტორის კაბინეტში ვიჯექი და ჩემი ბავშვების ლანძღვას ვისმენდი: დიდს კიდევ არა უშავს, ქვებს მაინც არ ისვრის, მაგრამ პატარამ ფანჯარა აღარ დატოვა მთელი. მიხედეთ თქვენს შვილებს, პირდაპირ ძალის დემონსტრირებას ახდენენ, – ყვიროდა დირექტორი. თავდახრილი ვიჯექი. თავის აწევას ვერ ვახერხებდი.

–გვაპატიეთ, ბატონო დირექტორო! დედის გარდაცვალებამ ძალიან იმოქმედა ბავშვებზე. რაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა ბავშვებს ვეღარ ვცნობ. მეც ვხედავ, რომ ხელიდან მიდიან, ისე აღარ მეცადინეობენ, მაგრამ ვერაფერს ვცვლი. სამსახურში რომ არ წავიდე, რით ვარჩინო. უყურადღებოდ დამრჩნენ.

–ეს არ გამართლებთ. ბავშვებს ყურადღება სჭირდებათ. ზრუნვა. მარტო ძნელია შვილების აღზრდა. ქორწინებაზე იფიქრეთ, – სირბილე შეერია დირექტორს ხმაში.

–ვიფიქრებ, პატივცემულო. კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით,– მივუგე ღვაწლმოსილ პედაგოგს და მისი კაბინეტი დავტოვე.

მატარებელმა ერთი შეჰკივლა და გაჩერდა. ჩვენც ბაქანზე გადავიტანეთ მზერა. მგზავრები ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ. ვიღაცამ ჩვენს კუპეშიც შემოიხედა. გიგის თავი არ აუწევია. შორს იყო მისი ფიქრი. მეც გავჩუმდი. არ მოვინდომე მისი ფიქრის გაფანტვა. ერთ საათში გამცილებელმა შემოგვხედა, – მოემზადეთ, შემდეგი გაჩერება უკვე თქვენიაო. ჩვენც სკამებზე შევსწორდით, საუბარიც აღარ აეწყო.

შემდეგი გაჩერება უკვე დანიშნულების ადგილი იყო. იქ შეხვედრაზე მეჩქარებოდა და გიგის მოსმენის დრო აღარ მქონდა.

–გიგი, შეფიქრიანებულს მტოვებ. მაინც ვერ გავიგე რა მოხდა შენსა და ალას შორის.

–შევხვდებით მეგობარო. სადმე ისევ გადავეყრებით ერთმანეთს – გამიღიმა გიგიმ და ტაქსი გააჩერა.

წლები გავიდა. გიგი ამ ხნის განმავლობაში ალბათ ერთი–ორჯერ თუ გამახსენდა. ნახვით კი არსად მინახავს.

***

ერთ დღეს ელიავას ბაზრობაზე ერთ–ერთ მაღაზიაში მილ–კვადრატები ვიყიდე, გამყიდველთან ანგარიში გავასწორე და გარეთ გამოვედი. გზად გიგის გადავაწყდი. გავიხარეთ ძველმა მეგობრებმა ერთმანეთის ნახვით.

გიგის წლები უფრო მეტად დასტყობია, ჩემსავით მთლიანად გაჭაღარავებულა. დაღლილი და დარდიანი მეჩვენა.

–წამოდი, გიგი, სადმე ვისადილოთ. მეც დილიდან საქმეებზე ვარ გამოსული. შევისვენოთ.

–წავიდეთ, გავიხსენოთ ახალგაზრდობა, – უხერხულად გამიღიმა მეგობარმა.

სანაპიროზე შევედით რესტორანში. მტკვარზე თოლიები წრიალებდნენ. გიგი უხერხულად იჯდა. ცოტას მიირთმევდა.

–გიგი, თითო ჭიქაც ხომ არ დავლიოთ? ჩვენი შეხვედრის.

–დავლიოთ.

მიმტანს ღვინო შევუკვეთე და მეგობარს მოვუბრუნდი, – გიგი, როგორ წავიდა შენი ცხოვრება, სად ხარ? როგორ ხარ? ბიჭები როგორ არიან? ცოლიც ხომ არ მოიყვანე?

–ეჰ, ჩემო ძმაო, ვერ წავიდა ჩემი ცხოვრება კარგად. მე და ალამ იმ წლებში ვიქორწინეთ.

–რომელმა ალამ? მატარებელში რომ გაიცანი? – გამახსენდა ძველი ამბავი.

–გახსოვს?!

–მახსოვს, შე კაცო. შენ ისეთი მოყოლა იცი, კაცი ვერ დაივიწყებს. ახლა მაინც მომიყევი ბოლომდე – მოსასმენად მოვემზადე.

გამიძნელდა მარტოობა. ბიჭებსაც აშკარად აკლდათ დედის ხელი. ალასთანაც დანაშაულის განცდა და სიახლოვის სურვილი ერთნაირად მაწვალებდა და ერთ დღეს სამსახურში მივაკითხე. ქმარს გაცილებოდა და თურმე ისიც მელოდა. ასე, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე შინ წავიყვანე. გზად ბავშვებს საჩუქრები ვუყიდეთ და ხელდამშვენებული დედობილი მივაყენე ბიჭებს.

–გაიცანით, ელენე. დედათქვენი ღმერთთან არის. აქ კი ელენე გაგიწევთ დედობას. აბა, თქვენ იცით, როგორ დაუჯერებთ და როგორ მოიქცევით. ახლა ორ დედას უნდა ასიამოვნოთ თქვენი საქციელით. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. პატარა ჯანიკო მაშინვე გახალისდა, – ეს დედა სულ ჩვენთან იქნება?!

ელენემ ჯანიკო ჩაიხუტა, – სულ თქვენთან ვიქნები. არასოდეს დაგტოვებთ!

ჯანსუღი და ჯემალი უფრო ეჭვის თვალით უყურებდნენ დედინაცვალს. არა, პროტესტს არ გამოთქვამდნენ, საჩუქრებსაც უსიტყვოდ იღებდნენ, მაგრამ მაინც ემჩნეოდათ, რომ ისე ხალისიანად ვერ იყვნენ „დედასთან“, როგორც ჯანიკო.

–იქნებ მათი ნდობა მაინც მოვიპოვო, – შემომცინა ერთ დღეს ელენემ და გულმოდგინედ შეუდგა „დედობას“.

ჩვენთან გადმოსვლიდან რამდენიმე დღეში მთელ სახლში რაც კი ნივთები გვქონდა გარეთ გამოიტანა. მზეს მიუფიცხა ჩვენი „ავლა–დიდება“, თავად კი ხეხვას შეუდგა. ბიჭებიც გახალისდნენ და ელენეს გვერდით ამოუდგნენ. საღამომდე მთელი სახლი ბრწყინავდა. იმ საღამოს მთელმა ოჯახმა ერთად ვივახშმეთ. ჩვენი ცხოვრების ბორბალმა წაღმა დაიწყო ტრიალი.

თანდათან მეზობლებიც დაუახლოვდნენ ელენეს, სახლშიც ხშირად აკითხავდნენ და ისიც გულთბილად მასპინძლობდა მუსაიფის მოყვარულ ქალებს.

სოფელი ახლოს იყო რაიონულ ცენტრთან. ჩვენი სახლი სოფლის გზისპირზე იდგა, რაიონული ცენტრიდან როგორც კი ორ შეღმართს აივლიდი სახლში იყავი. ბავშვები ფეხით დადიოდნენ სკოლაში. მეც სამსახური შევიცვალე და ცაგერში დავსაქმდი.

კვირას, ოთხშაბათს და პარასკევს რაიონის ცენტრში ბაზრობა იმართებოდა. უამრავი ადამიანი მოძრაობდა ამ დროს ჩვენ ქუჩაზე, ზოგჯერ სახლის წინ მდგარი ნეკერჩხლის ჩრდილსაც შეაფარებდნენ ხოლმე თავს, თან ჭორ–მართალს ერთმანეთში ურევდნენ. ზოგი ისეთი საინტერესო მოსაუბრე გამოდგებოდა ხოლმე, რომ არ მეთმობოდა და სიამოვნებით ვიჯექი მათ გვერდით. ჩემი ბიჭები ხომ სულ იქ ტრიალებდნენ. ხალხმრავლობამ მაღაზიის გაკეთება

გადამაწყვეტინა. ეზოში პატარა ოთახი ჩავდგი და უბნის მაღაზია მოვაწყე. ელენე სახლის საქმეებსაც ასწრებდა და მაღაზიასაც წარმატებით უძღვებოდა. ბიჭებიც სულ ეხმარებოდნენ.

ამასობაში მე და ელენეს ორი გოგონა შეგვეძინა. ბიჭები წამოიზარდნენ, სკოლა დაამთავრეს. ბედნიერად ვცხოვრობდით. ჩემი ცოლი ვაჟებს და გოგონებს ერთმანეთისგან არ არჩევდა, ყველას უნაწილებდა თავის სითბოს. შინ კარგი დედა, გარეთ კარგი მეზობელი და მეგობარი იყო. მთელი სოფელი თავს ევლებოდა: ზოგს სიხარულის გაზიარება უნდოდა, ზოგს დარდის. ზოგს პური უნდოდა ნისიად, ზოგიც ძველი ვალის გასასტუმრებლად იყო მოსული. განსაკუთრებით ჩვენი სოფლელი, ერთი შუახნის ქალი იყო შეჩვეული ელენეს; თალიკოს რაიონიდან ტანსაცმელი ამოჰქონდა გასაყიდად, ხან ნაღდზე ყიდდა, ხანაც სოფლის პროდუქტებზე ცვლიდა, ზოგჯერ ნისიადაც უტოვებდა თანასოფლელებს. მაღაზიასთან ჩამოჯდომა უყვარდა. ჩემს ცოლს ეცოდებოდა ზურგზე ტომარა მოკიდებული ქალი და ხშირად მასპინძლობდა. ცივ დღეებში ჩაის მიართმევდა ხოლმე, მოგვიანებით ყავაც გაჩნდა სოფელში და ახლა ყავის სმაზე გადავიდნენ. იჯდა მაღაზიის ფანჯარასთან, ყავას წრუპავდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა. ბევრჯერ შემოღამებია კიდეც. ელენე ეტყოდა ხოლმე, – ასე რომ დაიღამე, არ გეშინია?! მთელი გზა გაქვს გასავლელი.

სოფლის განაპირას ფიცრულ ქოხში ცხოვრობდა თალიკო, მაგრამ შიში არ იყო მისი თანამგზავრი.

შიშს ახალგაზრდა გოგომ გაუსწორა თვალი, თავს დამტყდარმა უბედურებამ გააძლიერა და თავისი თავის მფარველად და იმედად აქცია. თალიკო ჩემი ბავშვობიდან მახსოვს. ებრაელებთან ერთად დადიოდა ხოლმე სოფელ–სოფელ. ახლაც თვალწინ მიდგას ებრაელი კაცი, ზურგზე კურტანი რომ ჰქონდა მოკიდებული. დადიოდა და იძახდა: შეღებვა–შეღებვა, სტეკლოს ჩასმა – სტეკლოს ჩასმა, ტანსაცმელი, ათასი წვრილმანი... ყველას გასაკვირად გოგონაც გვერდიდან არ შორდებოდა რაიონიდან გამოსულ ებრაელს ეხმარებოდა შრომაში. ისიც უფასებდა. დაბადებიდან ხელი ჰქონდა ნატკენი, მაგრამ მაინც არ უშინდებოდა ტანსაცმლის ბოხჩების თრევას. ხალხს იმ დროს ძალიან უჭირდა და ბიძინა თავადაც საგებლობდა და სოფელსაც ასარგებლებდა თავისი საქმიანობით. ერთხელ ბიძაჩემმა შემოიყვანა, – მოდი ბიძინა, საწოლი მაქვს შესაღებიო. საქმეს რომ მორჩა, ბიძაჩემმა მერე უთხრა, – ახლა ფული არ მაქვს, შემდეგ მოსვლაზე დაგახვედრებო.

–კარგი, დაგენაცვლე, რა სალაპარაკოა, როცა გექნება მერე მომეცი. მეორე მოსვლაზე იყოს, ენაწყლიანობდა ბიძინა.

მგონი მეათე მოსვლაზეც არ ჰქონდა ბიძაჩემს ფული და ბიძინას აუშარდა, – რა ფულს მთხოვ, წესიერად არ არის საწოლი შეღებილი. ზემოდან არ შეგიღებავსო.

–შარზე ხარ, დაგენაცვლე, აქამდე რატომ არ მითხარი თუ არ მოგეწონა. თანაც რას ამბობ, ბიძინა დაგენაცვლოს, ზემოდან საწოლის შეღებვა არ გამოვიდოდა, მერე ლეიბს დაგისვრიდა. შენ რა ჩემი გაბითურება გინდა! – ხმას აუწია ბიძინამ.

ბიძაჩემი უმალ გაცეცხლდა, სიმართლე რომ მიახალეს – სამუშაო ვერ შეასრულე და ახლა ყვირილსაც ბედავ?! კაცებს შორის მშვიდი საუბარი, უცებ იქცა ხელჩართულ ჩხუბად. მე ბავშვი ვიყავი, ვერ ჩავერიე ჩხუბში, მაგრამ ბიძაჩემის საქციელის გამო ძალიან შემრცხვა. სხვაც ბევრი

იყო ასეთი შემთხვევები სოფელში, თუმცა ერთმანეთის პატივისცემა და გატანაც არ აკლდა ამ ორი ერის თანაცხოვრებას. მაშინ თალიკოც შეესწრო ამ ამბავს. მანაც დაგმო ბიძაჩემის ქმედება და დიდხანს აღარ ეკარებოდა მათ ოჯახს.

წლები გავიდა. ებრაელები ისრაელში წავიდნენ. ცაგერში ბევრი სახლი გამოიკეტა, თითქმის დაიცალა ებრაელებით დასახლებული უბნები მთელ საქართველოში.

თალიკოს დაუტოვა ბიძინამ გასაყიდი ტანსაცმელი ძველი ხურჯინით და ვალების სიით. ახლა მარტო მიუყვებოდა ხოლმე რაიონიდან სოფლის შარა გზას. გზას კი ხომ იცი, კარგიც მოსდევს და ცუდიც. მეზობლები ეტყოდნენ ხოლმე, ნუ დადიხარ სოფელ–სოფელ, ხიფათს არ გადაეყარო, თვალი ცუდად არავინ დაგადგასო. არ ეშინოდა თალიკოს მასთან შეზრდილი თანასოფლელი ბიჭების. ისინიც არასოდეს უბედავდნენ აუგს. თუმცა მთხოვნელი და მომწონებელიც არავინ გამოუჩნდა, თურმე წინ ელოდა განსაცდელი.

ბავშვობაში დაობლებული თალიკო ბიძაშვილს იყო შეკედლებული. ბიძაშვილი ებრაელ კაცს ჰყავდა ცოლად, იმხანად ებრაელები კარგად ცხოვრობდნენ და ერთი ადამიანის შეფარება არ უჭირდათ.

ებრაელებმა ისრაელში წასვლა რომ დაიწყეს, თალიკო შეფიქირანდა, ვაი თუ ჩემებიც წავიდნენ და მარტო დავრჩეო, ბიძაშვილის ქმარს კი უნდოდა თავის და–ძმებთან ერთად წასულიყო, მაგრამ თალიკოს ბიძაშვილმა – ქართველმა ქალმა ვერ დათმო მშობლები.

მათ ოჯახზე მიკედლებული თალიკოც დამშვიდდა. შრომობდა თავისთვის. ჩუმად მისდევდა სოფლის შარა გზას ტანსაცმლის ტომრით, თავდახრილი, თითქოს არც არსებობდა, თითქოს მხოლოდ ხურჯინი იყო ჭრელა–ჭრულა კაბებით...

ერთ დღეს კბილი ასტკივდა თალიკოს. ცაგერის ცენტრში ახლადგახსნილ სტომატოლოგიურ კაბინეტს ეწვია. კი ეშინოდა, მაგრამ ტკივილი თანდათან მოუთმენელი ხდებოდა, ამიტომ გული გაიმაგრა და კაბინეტის კარი შეაღო.

თეთრ ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი ღიმილით შეეგება პაციენტს. ახალმოსულ ექიმს ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდნენ ადგილობრივები, ამიტომ პაციენტების სიმრავლე ნამდვილად არ ჰქონდა. თან შეშინებული თალიკო რომ დაინახა, ახალგზარდა ექიმმა უფრო დაიტკბო ენა. მტკივანი კბილი სულ ფერებ–ფერებით ამოუღო.

–სხვა კბილებიც გასაკეთებელი გაქვთ. თუ არ მიხედეთ, ყველა კბილი ამოსაღები გაგიხდებათ. ასეთი ლამაზი გოგო უკბილოდ რომ დარჩეთ, არ ივარგებს, – გაუღიმა ექიმმა. თალიკო ისეთ ასაკში იყო გასაშლელი ყვავილივით ყვავილობდა.

ასე თბილად თალიკოს მანამდე არავინ დალაპარაკებია. ბედნიერი დაბრუნდა შინ. აღარც კბილი აწუხებდა და დაიჯერა, რომ ლამაზი იყო.

მეორე დღეს, ვიდრე კლინიკაში წავიდოდა, დიდხანს იტრიალა სარკის წინ. მართლა არ ვყოფილვარ უშნო, – გაუღიმა სარკეში თავის თავს, დედის დანატოვარი საყურეც გაიკეთა და ბედნიერი წავიდა რაიონის ცენტრისკენ.

ცოტა ხანში თალიკო შეიცვალა. ალაპარაკდნენ სოფლის ქალებიც, – ეს ჩვენი თალიკო, რაღაც ძალიან ბედნიერი დაიარება. მგონი გალამაზდა. არა, ცოტა მოიმატა და მოუხდა, – ერთმანეთს არ აცდიდნენ გზისპირას ჩამომსხდრები.

სოფელში აზვირთებული ჭორ–მართალი, თალიკოს ბიძაშვილის ქმრის ყურამდეც მივიდა. კაცი მდგომარეობიდან გამოვიდა, – ეს როგორ იკადრა, თავი მომჭრა მთელ სოფელში. მისი ფეხი არ ვნახო ჩვენს ოჯახშიო, – ეჩხუბა ცოლს.

ამასობაში თალიკოს მუცელიც დაეტყო. ერთ საღამოს მათი სახლიდან ქალის განწირული კივილი ისმოდა. კივილს მსხვრევის ხმა მოჰყვა. მერე ვიღაცებმა თქვეს, – თალიკოს თავის ვენახში ქოხი შეუჭედეს და იქ გადაიყვანეს საცხოვრებლადო.

უი, ორსულად ყოფილა, უი, ბავშვიც არ შერჩენია მაგ უბედრსო, –შეიცხადეს სოფლის ქალებმა.

სწორედ მაშინ, იმ ღამეს, სოფლის ბოლოში, ქოხში გამოიტირა თალიკომ თავისი თავი, თავისი ახალგაზრდობა და მომავლის იმედი. იქ მოერია შიშს და ტკივილს და მას შემდეგ აღარასოდეს უტირია, აღარ შეშინებია. იმ ღამეს ახალი თალიკო დაიბადა. სოფელ–სოფელ მოსიარულე, უშიშარი და უკარება ქალი. არავის დაინდობდა, გზაზე თუ გადაეღობებოდა.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა. ბევრმა ქარიანმა შემოდგომამ და სუსხიანმა ზამთარმა იზუზუნა თალიკოს ქოხში და ახლა, ელენესთან თითქოს ადამიანურ სახეს იბრუნებდა, თითქოს მკვდარი უნდა გაცოცხლებულიყო, რომ საშინელება დატრიალდა.

***

შემოდგომის ქარიანი დღე იყო, სოფლის გზაზე ფოთლების კორიანტელს აყენებდა. მტვერი ირეოდა. თალიკოს სახეში აყრიდა ქვიშას. ძლივს მოაღწია ჩვენს მაღაზიამდე. ზინზილაკი გაწკრიალდა და კარში თალიკოს ქარისაგან გაწეწილი თავი გამოჩნდა. ორი დიდი ჩანთა ძლივს შემოათრია და იქვე უდიერად მიყარა,

–ძლივს მოვიტანე სული აქამდე, საშინელი ამინდია. დღეს რომ არ წავსულიყავი, ამ საქონელს სხვები აიღებდნენ და მე გადარჩეული საქონელი დამხვდებოდა, – უპასუხა ელენეს მზერას.

ელენემ მაშინვე ჩაი შესთავაზა. თალიკო გემრიელად მოეწყო „თავის“ სავარძელში და ლაი–ლაი გააბა. სარკმელთან იდგა „მისი“ სავარძელი და კარგი დედის შვილი იქნებოდა, თუ ვინმე დახვდებოდა იქ ჩამომჯდარი და მაშინვე ადგილს არ დაუთმობდა. თქვენ უნდა გესმინათ მაშინ თალიკოს წყევლა–კრულვა. ცხრაჯერ ჩადებდა კაცს კუბოში.

იმ დღეს ჯანსუღი იჯდა იმ სკამზე, როგორც კი თალიკო შემოვიდა, ვაჟი ადგა და მეორე მხარეს, სადაც თალიკომ ჩანთები დაყარა, იქ გადაჯდა.

იმ დღეს გვიანობამდე შემორჩა თალიკო ჩვენთან. ხან ავი თქვა, ხან კარგი. ბიჭებიც იქვე ისხდნენ და შესცქეროდნენ, მათაც რამდენჯერმე გამოელაპარაკა, საღამოს მოკიდა თავის ჩანთებს ხელი და წავიდა.

მეორე დღეს უთენია დაგვადგა თალიკო წყევლითა და ყვირილით. ფული დაუკარგავს და ჯანსუღი დაადანაშაულა ქურდობაში. შევიცხადეთ მე და ელენემ. გაოცდა ბიჭიც.

იმ დღიდან აირია ჩვენ შორის ურთიერთობა. თალიკომ მოუხშირა ჩვენსკენ სიარულს. მაღაზიას რომ ჩაუვლიდა, გვწყევლიდა. ქვას ქვაზე ადუღებდა. ჯანსუღი კი სულ აგინებდა. სადაც შეხვდებოდნენ ერთმანეთს ერთი წყევლას და მეორე გინებას არ აკლებდა. ასე გავატარეთ

თითქმის ერთი წელი. მეზობლები: ზოგი თალიკოს ამტყუნებდა, ზოგი ჯანსუღს. მე ძალიან განვიცდიდი ამ მდგომარეობას. ცალკე ბედისგან დაჩაგრული, ინვალიდი ქალი მეცოდებოდა, ცალკე ჩემი შვილი. დღე და ღამე გამოსავალზე ვფიქრობდი, თალიკოს შემორიგების გზებს ვსახავდი, ჩემს შვილს ვარიგებდი, არ აყოლოდა თალიკოს წყევლას, მაგრამ ვიდრე მე ვფიქრობდი, გაუგონარი რამ მოხდა...

***

ერთ დღეს ბიჭები მეზობელს ეხმარებოდნენ ვენახის გათოხნაში. საღამოს ვახშამზე შეიპატიჟა მასპინძელმა. დაღლილებმა ერთი–ორი ჭიქაც დალიეს. უმეტესობა ადრე წავიდა სახლში. სუფრას რამდენიმე კაცი შემორჩა, მათ შორის იყო ჯანსუღიც. ერთ საათში ისინიც აიშალნენ და კარგი შეზარხოშებულები სახლებში წავიდნენ. ბიჭებს სხვადასხვა მხარეს ჰქონდათ გზა. სოფლის ბოლოსკენ მხოლოდ ჯანსუღი მიდიოდა. გზად თალიკოს ქოხის გვერდით უნდა გაევლო.

იმ ღამეს თალიკოს ქოხი დაიწვა...

ცას ასწვდა ცეცხლი. ხუთ წუთში მთელი სოფელი თალიკოს ქოხის გარშემო შეიკრიბა. ისმოდა თალიკოს განწირული კივილი. გამხმარი ფიცრების ტკაცუნი ერთვოდა ქალის კივილს. ქოხის კარი თითქოს ერთხელ შემოძრავდა, ალბათ თალიკო ლამობდა გაღებას. ბედად ანჯამისკენ კარის ბაზო დამწვარიყო და კარის ნახევარი „პეტლების“ მხარეს გაიღო. ცოცხალმკვდარი თალიკო გარეთ გადმოვარდა. დამწვარი ქალი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. როგორც ერთი, ყველა თალიკოს გაჰყვა. ქალს სხეულის 25% დამწვარი ჰქონდა. ბევრს ეცადნენ ექიმები, მთელი ღამე თითქმის მკვდარ პაციენტს თავი არ დაანებეს და გამთენიისას სასიცოცხლო პარამეტრებიც გაჩნდა...

–ალბათ ჭრაქი დარჩა ანთებული საწყალს. ღამე გადაყირავდებოდა და ამიტომ გაჩნდა ცეცხლი. როგორ ვერ გამოფხიზლდა საბრალო ქალი, როგორ ვერ მოასწრო გარეთ გამოსვლა. მართლა უბედური ყოფილა საწყალი თალიკო, – მოსთქვამდნენ ქალები. მერე ვიღაცამ, – აშკარად კარის გაღებას ცდილობდა, მაგრამ ვერ გააღო. ალბათ გარედან გადაუკეტა ვინმემო და ნიავივით დატრიალებული აზრი ქარბორბალად იქცა. აზვირთდა და უფრო გამძვინვარდა. თალიკოს ბიძაშვილს ვიღაცამ სხვათაშორის უთხრა, იმ ღამეს ჯანსუღი მაგ გზაზე დავინახეო...

დილით ორგანოს მუშაკებმა დაათვალიერეს ქოხის ადგილი და ნახეს, რომ ანჯამაში ბოქლომი არ იყო გაყრილი.

უთენია თალიკოს ბიძაშვილი დაგვატყდა თავზე წყევლა–კრულვით:

–ეგ იყო ჩემი ბიძაშვილის მაგინებელი და შემწუხებელი. ეგ მტრობდა ჩემს საბრალო ბიძაშვილს, მაგის მეტი ჩემს თალიკოს მტერი არ ჰყავდაო.

შეცბუნებული მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს შევცქეროდით. ჯერ იყო და თალიკოს სასტიკმა წამებამ შეგვძრა და ახლა ამისთანა ბრალდებას ვისმენდით.

ჯანსუღი შუა ეზოში იდგა და ყვიროდა, – ახლა ცეცხლის გაჩენას მე დამაბრალებენო.

მეორე დღეს პოლიციის მანქანა გაჩერდა ჩვენს ჭიშკართან, ჯანსუღს ხელბორკილი დაადეს და რაიონულ განყოფილებაში წაიყვანეს, შემდეგ ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. ჯანსუღი

გამოძიებამ დამნაშავედ ცნო. მართალია ექსპერტიზამ დაადგინა, რომ კარი გარედან არ იყო ჩაკეტილი, მაგრამ რამდენიმე მოწმე მტკიცებით ამბობდა, რომ გვიან ღამით ჯანსუღი იმ გზაზე ნახეს.

ჩემმა შვილმა დანაშაული არ აღიარა, რადგან მანამდე სუფთა წარსული ჰქონდა, 7 წელი მიუსაჯეს.

თავად არ აღიარა. მეც ვერ ვიჯერებ, რომ ადამიანის ასე გამეტებას შეძლებდა ჩემი შვილი. ალბათ გაუაზრებლად სიგარეტის ნამწვი მიაგდო და ასე გაჩნდა ცეცხლი. რა ვიცი?! რა ვიცი?! ვერ ვიჯერებ შვილის ასეთ უღმერთობას.

იმ დღის შემდეგ ჩვენი ცხოვრება აირია. უმცროსი ჯანიკო ავად გაგვიხდა, მძიმე სნეულებას ვერ გავუმკლავდით და გარდაიცვალა. ელენე გულჩათხრობილი გახდა. ძალიან გაგვიფუჭდა ურთიერთობა. მეზობლებთანაც ვეღარ ახერხებდა გასვლას. მაღაზიაც დავკეტეთ. ერთ დღეს ჩემოდანი ჩაალაგა, მოკიდა გოგონებს ხელი და მშობლების სახლში დაბრუნდა.

დავრჩით მე და ჯემალი, მერე ჯემალმა ცოლი მოიყვანა–ოჯახი შექმნა. მე კი თბილისში წამოვედი. ახლა ელიავას ბაზრობაზე ვმუშაობ.

ჯანსუღი ციხეში ცუდად არ იქცეოდა, ოთხ წელში ამინისტია შეეხო და საპატიმროდან გაათავისუფლეს.

მერე ღმერთმა კიდევ მისცა შანსი ჯანსუღს. ციხიდან ახალი გამოსული იყო, კლასელი რომ შეხვდა. ის ბიჭი მაღალი თანამდებობის პირი იყო. მეგობრის ამბით გულწრფელად იყო შეწუხებული და დიდი დახმარება გაუწია. მატერიალურადაც დაეხმარა და კარგ სამსახურშიც მოაწყო. ჩემმა შვილმა მეორე შანსიც ვერ გამოიყენა. ფული გაუჩნდა. ბარებს და გართობას მიეჩვია. ცუდი გზა აირჩია, ცუდი ადამიანები დაიმეგობრა. თანდათან ნარკოტიკებზე გადავიდა. ექსპერტმა მითხრა:–სამი დღის გარდაცვლილი მაინც იქნება. წამლის გადაჭარბებული დოზა გახდა სიკვდილის მიზეზიო.

–ტრაგიკულად გავიდა ჩემი შვილი ამ ქვეყნიდან. უკვალოდ არ ჩაიარა ჩადენილმა ცოდვამ.

გიგიმ თხრობა შეწყვიტა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მეც ვეღარაფერს ვამბობდი. ასეთი ამბის მოსასმენად მზად არ ვიყავი. შევწუხდი. საჭირო სიტყვასაც ვერ ვპოულობდი, – თალიკო?! თალიკოს რა ბედი ეწია?!

– თალიკო ბიძაშვილმა და მისმა ებრაელმა ქმარმა ისრაელში წაიყვანეს. მერე აღარ ვიცი...

დიდხანს ვიყავით დაფიქრებული. ორივე ჩვენ საფიქრალს გავყევით.

დუმილი ისევ გიგიმ დაარღვია:

–ერთ რამეში დავრწმუნდი: ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. და მაინც... მე ქაშვეთის ტაძრის მრევლი გავხდი. დღე და ღამე ვლოცულობ ჩემი შვილებისთვის. მათ მიერ ჩადენილი ცოდვებისთვის. ვლოცულობ ნატანჯი თალიკოსთვის...

გიგი წამოდგა, გამიღიმა და გამშორდა.

სუფრა ხელუხლებელი დარჩა...

ირაკლი ნადარეიშვილი

დათიკო

- გეიგე, დათიკო, ეკაიეს ამბავი?

- რომელი ეკაიას და რა ამბავი, მართა?

- ფემინისტი ვარო, რომ გეიძახის, იმ ეკაიეს, წისქვილის შუკიდან. მიმავალა, რაფრაც ჩვევია, მენჯების ქნევით, ჰოდა, რაჟდენიე ტრაქტორისტის ზურიეს შაუთავაზებია, თურმე... ჰოდა, დგას ახლა სოფლის ცენტრში და კივა ბოლო ხმაზე, სექსუალურად შემავაწროვაო, იძალადავო, სახელი შემილახაო და ამფერებს. პატრულიც გამოუძახებია თურმე და არის ერთი ამბავი.

- აგი ,,ფემინისტი" რას ნიშნავს, მართა?

- აუფ! რავა ჩამორჩენილხარ ამ დუნიას, დათიკო? არ გეკადრება მაგ შენ. რაო და ქალის და კაცის ტოლ-სწორობას რომ ქადაგებს, იგია ფემინიზმი. კაცმაც უნდა იმუშავოს და ქალმაცო, ჩვენე მარტო ბაღნების გასაჩენად და სახლის დასალაგებლად არ გავუჩენივართ ღმერთსო. ჩვენო, რაფრაც გვინდა, ისთე უნდა ვიცხოვროთო, რაც გვინდა და ვისთანაც გვინდა - იგი უნდა ვაკეთოთო და ისთე ვაკეთოთ, რაფრაც ჩვენ გვინდაო. ჩვენზე ხელის ხლება და ძალადობა არ შეიძლებაო. რაფრაც გვინდა, ისე ჩავიცვამთ და დავიხურავთო, შენ ხარ ჩემი ბატონი და სულ რომ ტიტლიკინებმა ვიაროთ, არავის საქმე არაა მაგიო. დემოკრატია გვაქვენ და ლიბერალიზმი უნდა შემევიტანოთ ჩვენს კუთხეშიო. ქალიო ქმრის მონა არააო...

- ვინ თქვა მაგ, მართა და სად თქვა?

- პირველად ვინ თქვა არ ვიცი, მარა ეგერ კივა მაგ ყველაფერს ეკაიე და მოუსმინე თუ გინდოდეს.

- ჰოო, მაგდენის მომფიქრებელი არაა მაგ და ჩასძახა ეტყობა ვინცხამ. ისე, რაცხას კივა, თლათ ურიგოს არ კივა ეკაიე, რომ იცოდე, მაგრამ...

- რაის ურიგოს და რაის მაგრამ დათიკო, გადირიე?!

- რაის ჩემო მართა და სა იყო ეკაიე და მაგ ფემინისტები, რუსთაველმა რომ დაწერა მაგ ყველაფერი. კაცისა და ქალის თანასწორობაც მან დაწერა პირველად და ქალის მეფობა და ქვეყნის მსახურებაც. ჰოდა, მასე პირველი ფემინისტი რუსთაველი იყო, თუ იყო, ჩემო მართა. ასე მეც ფემინისტი გამოვდივარ მაშვინ და ყველა რუსთაველის მეხოტბე და მაღიარებელი. ქალს რომ პატივი უნდა სცე და სანამ თავს არ მოაწონებ და შეაყვარებ ხელი რომ არ უნდა ახლო, მისი ნების საწინააღმდეგოდ, არც მაგია ახალი. გეიხედე, ჩემო მართა, ეგერ, იმ დედალს რაფრა უტრიალებს და უცეკვებს ის ჭრელი მამალი, ხედავ?

ჰოდა, ქათამმა და საქონელმა თუ იცის ამდენი, ადამიანს ცოტა მეტი ხომ მაინც მოეთხოვება, ჩემო მართა.

- კაი ახლა, დათიკო, აგი გულზე მოდღლეზილი მაისური რომ ჩაუცვამს, მაგ დასაქცევ ეკაიეს, დეკოლტე მიხდებაო რომ გაიძახის და ცალკე ჯიქნის თავები აქვს გადმოვარდნაზე და ცალკე ის პირსინგიანი, ნახევრადმოკრული ჭიპისთავი, მოგწონს მაგ შენ, დათიკო?

- ჰოდა, ამაშია საქმე, მართა ჩემო, ზომიერება არ ვიცით, ზომიერება. დეკოლტეს რომ ჩეიცვამ ჭიპლოტეთი და ტრაკკოლტეს რომ ამეიცვამ იმ გადმოყრილ ბარძაყებზე, მაგ რაცხა პირსინგს რომ გეიკეთებ, ცხვირსიგს, ყურსინგს და ჭიპსინგს დეიხვრიტავ და დეიბნევ საცხა გამოზნექილი ადგილი ნახო ყველაფერზე, ამფერ რომ გეირონიებ სოფლის ცენტრში და გაკრეჭილი ცხვარივით გაიქნევ დუმას, აგედევნება რაჟდენიას შვილიშვილი დამშეული ბუღასავით, აბა, რას იზამს, შე კაი ქალო? იძალადაო, რომ კივა, ორივე მოძალადეები არიან მაგენი მე თუ მკითხავ, ჩემო მართა. ერთი, ადამიანის ფსიქიკაზე და ნებისყოფაზეა რო ძალადობს და მეორე ადამიანის სხეულზე. ადგილი რომ არ დარჩა ტანზე გოუხვრეტელ-შეულახავი, სახელის შელახვას ჩივა ახლა მაგ ვითომ? ეკაიეს კახპობის ამბავი, სოფელს კი არადა, რაიონს გასცდა უკვე. კახპა იყო მაგ ფემინისტობამდე და ფემინისტობისასაც კახპად დარჩება, მაგრამ მაინც არაა ზურიე მართალი. კახპასაც აქვს უფლებები და თავმოყვარება, ჩემო მართა. იმის უფლებაც აქვს, თავად ეირჩიოს ვის ჩაუგორდეს და ვის არა. ფარას გულობიზა ჩოუგორდეს, თუ მოწონების გულობიზა. ადამიანია მაგიც და ისე იცავს თავს ზურიესმაგვარებისგან, რაფრაც შეუძლია. ჰოდა, აწი, ირონიოს, რაფრაც უნდა და სადაც უნდა, ვინ გვკითხავს ჩვენ, მარაა... ამ ყოლიფერს მეორე მხარეც აქვს, ჩემო მართა. ახლა, მაგის პასუხად, ჩვენც რომ დავიჯინოთ, კაცებმა, ჩვენს ნაშოვნ და ნაოფლარ ჯამაგირს იქ დავხარჯავთ, ისე დავხარჯავთ და იმდენს დავხარჯავთ, რაფრაც ჩვენ გაგვიხარდება-თქვა, იმასთან დავწვებით და ავდგებით, ვისთანაც ჩვენ გაგვიხარდება და რაფრაც გაგვიხარდება-თქვა? იმ დროს შემოვალთ ოდაში და მხოლოდ იმას შემოვიტანთ, როცა ჩვენ გაგვიხარდება და რაც ჩვენ გაგვიხარდება-თქვა, ტოლ-სწორები თუ ვართ, ბიძიკო, არც ყანას გავთოხნით, არც ბოსტანს დავბარავთ და არც შეშას დავჩეხავთ, სანამ თქვენც არ მოკიდებთ თოხს და ბარს ხელს-თქვა... რა გამოვა მერე ამით, ჩემო მართა?! უღელში ორი ხარი სხვადასხვა მხარეს თუ გეიწევს, ვერც ურემი დეიძვრება წინ და შეიძლება, ქეც შემეიმსხვრიონ გაჯიქებულ კისრებზე ხარებმა მაგ ურემი. ასეა ოჯახიც, ამაში ხომ მაინც მეთანხმები, მართა?! ჰოდა, არ ივარგოს იქნება ქალმაც და კაცმაც ისე თუ ვიცხოვრეთ და მოვიქეცით, რაფრაც ჩვენ გვინდა, გაგვიხარდება და მოგვეპრიანება. ვერც ოჯახი წავა წინ და ვერც ქვეყანა. დათმობა და ზომიერება უნდა ვიცოდეთ და ვისწავლოთ ყველაფერში.

- მაგას არ ვჩივი მეც, დათიკო?! რაის ოჯახის და ქვეყნის წინ წაწევაზე მელაპარაკები, დათიკო? მტერმა შეიყვანა ეკაიე ოჯახში... რასაა, რომ ამბობ, ბერიკაცო. თუ მაგია ლიბე-

რალიზმი და მაგის შემოტანა უნდა ჩვენს კუთხეში, ზურიე, არ ვიცი და ღერა-ღერა თუ არ დავაგლიჯე მაგ სამფერში შეღებილი თმა, ქალი არ ვიყო მე!

- მაგ ვერ შემეიტანს ვერაფერს ისეთს, რაც აქამდე არ ყოფილა შემოტანილი, ჩემო მართა. ლიბერალიზმი უნდა შემოვიტანოვო, რომ დოუჩემებია, მაგ კარგა ხნის წინ შემეიტანა დიდმა ილია ჭავჭავაძემ, მარა არც კესო ურონიებია ტრაკმოხდილი და არც ოთარაანთ ქვრივი თავის შემოქმედებაში. ქალზე ძალადობა რომ ცუდია და რა ფარსაგი ამბავი შეიძლება მოყვეს საქონელივით ჟინიანობას, ეგერ, ბატონო და წეიკითხონ გლახის ნაამბობი. რად უნდა ამას თავიდან გამოგონება და ათასი უცხო სახელის დარქმევა? რავარც ცხონებული ოტია იოსელიანი ამბობდა - ,,ამ ენაზე ვეფხისტყაოსანი დეიწერა და თქვენ არ გყოფნით საბჟუტუროთო?“ ჰოდა, ასეა ეს, ჩემო ბატონო. ზომიერებაა საჭირო ყველაფერში, ზომიერება. ილიაც ამას ქადაგებდა და მაშვინდელი ლიბერალიზმიც, თუ დოუკვირდება კაცი.

- ზურიე არ გეცოდება, დათიკო? ამ კახპას გულობიზე რომ დეიჭირონ, არაა ცოდვა მაგ ბიჭი?

- არაა მართალი ზურიე ეკაიესათან, მართა და თუ მართლა აკადრა უკადრებელი, ქეც უნდა დეისაჯოს. ახლა თუ არ დეისაჯა, მაგ ვარესს იზამს მერე. ახლა თუ შერჩა, ხვალე ყელამდე კაბიანს მიახტება საქონელივით და აკადრებს რაცხას. მოგეწონება, მართა, შენს გულიკოს რომ აკადროს რამე?

- ტიტუუ... რასაა რომ ამბობ და ვისაა, რომ ადრი! ჯერ ერთი, ჩემი გოგო არ მიცემს მაგის საბაბს არავის და მეორე, ვინ გაუბედავს მაგას ჩემს ოჯახს, დათიკო, ხო გამოვწვავ და გამოვბუგავ დედაბუდიანად.

- კაცს თუ საქონელზე მეტი ფიქრის უნარი არ აქვს, სულ ერთია მისთვის ვის მიახტება, ჩემო მართა. ჰოდა, შეეცოდება მერე ვინცხა შენნაირს და იტყვის - ცოდვაა საციხოდ, არაა ზურიე მართალი, მარა არც გულიკო იყო უბრალო მაგ საქმეშიო. თავის სამართლებელს რა დაულევს კაცს, ჩემო მართა. მეცოდება, რავა არ მეცოდება ზურიე ციხისთვის, მარა იმიტომ კი არა, რომე ეკაიე კახპას გულობიზა უნდა ამოყოს იქ თავი? იმიტომ მეცოდება, რომ განათლება არ მისცა ზურიეს თავის დროზე რაჟდენიე მოსასპობმა, გამეიყვანა ბაღანა სკოლიდან და შეაგდო ტრაქტორზე - ამაზე უკეთესს ვერაფერს ისწავლისო რომ გეიძახოდა, გახსოვს? ამით უნდა იშოვოს ლუკმა-პურიო, აგია მისი სკოლაც და უნივერსიტეტიცო, - გახსოვს, მართა? ჰოდა, ის ხუთი კლასის განათლება სადამდეც ყოფნის და რაზეც ყოფნის, ისე იქცევა ზურიეც. ე, ამის გულობიზა მეცოდება მაგ, სიმართლე რომ გითხრა. ჰოდა, ეგ დღევანდელი ამბავიც მამამისი რაჟდენიეს ასე აღზრდისა და გაუნათლებლობის ბრალი უფროა, ვიდრე ზურიესი, ჩემო მართა.

- რავა, დათიკო, ყველა დიპლომიანი დოხტური და პროფესორი უნდა შეიქნას ამ ქვეყანაზე, თუ? ვინ დაგიხნავს და დაგითესავს მერე მაგ ყანას ზურიესნაირები რომ არ იყვნენ, ჰა? ხომ ამოვარდა და მეისპო გლეხობა მაშვინ?

- მომაყურე აქეთ, მართა, ვინ თქვა მერე მაგ? ტრაქტორისტიც საჭიროა ამ დუნიაზე, მჭდელიც და სხვა მოხელეც, მარა, სკოლას რომ არ დაამთავრებინებ ბაღანას და წერა-კითხვის უცოდინარს დატიებ, მაგია საქმე? დღეს, ჩემო მართა, ტრაქტორის მოხელეს სეზონზე რომ შემოსავალი და ძღომა აქვს, მასეთი ფარა პროფესორმა შეიძლება სამ წელს ვერ იშოვოს, მარაა, ივარგებს ვითომ ყველა რომ ტრაქტორს მოახტეს, მაგ? იმ განათლებულმა ხალხმა მეიფიქრა და შექმნა მაგ ტრაქტორი, დღეს რომ ზურიესნაირები მართავენ და გააქვთ თავი, თუ დოუფიქრდები. წერა-კითხვის გავრცელება რომ დეიწყო, იმ სულმნათმა ჭავჭავაჭემ, რავა, გლეხობის ამოგდება და გადაშენება ჰქონდა მიზნათ, თუ მიწის დამუშავების წინააღმდეგი იყო ნამეტნავად, მიპასუხე ერთი? ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს ნამუსიანად და ყველა მოხელე საჭიროა... არ გამოვა წიგნიერების გარეშე სახეირო და სამომავლო არაფერი, ჩემო მართა.

- რა ვქნათ აბა ახლა, დათიკო, ჩაჯდეს ზურიე და შევეგუოთ ასე უსიტყვოდ ეკაიეს სოფელში პარპაშს და ბჟუტურს?

- რა უნდა ვქნათ, ჩემო მართა და რაც შეიძლება მეტი განათლება უნდა მივცეთ ჩვენს ბაღნებს. წიგნი და საკუთარი ქვეყნის ისტორია, საკუთარი სამშობლო უნდა შევაყვაროთ ბაღნებს, ჩემო მართა, რომ მიღებული განათლება თავის ქვეყანას მოახმაროს და არა სხვისას. განათლებული კაცი არც იმას იკადრებს, რაც ზურიემ იკადრა და არც ეკაიეს ცხოვრების სტილსა და ბჟუტურს აყვება არასდროს. გაუნათლებელი კაცია ცოდვაც და საშიშიც, ჩემო მართა, მაგრამ მასზე მეტად საშიში განათლებული კაცია, რომელსაც საკუთარი ქვეყანა და ფესვები არ უყვარს, რადგან ასეთი კაცი იმ გაუნათლებელს თავის ჭკუაზე მოაქცევს, თავისი მიზნის მიღწევის იარაღად გამოიყენებს, მათზე გაუფროსდება და ერთ დღესაც საკუთარი ქვეყნის მოყვარულებზე მეტნი შეიქნებიან. ჰოდა, თუ ასე იქნა, მხოლოდ ზურიე, ანდა მე და შენ კი არ ვიქნებით ცოდვა, ქვეყანა იქნება ცოდვა, ქვეყანა, - ჩემო მართა. ორი რამ გვაკლია დღეს, ჩემო მართა, განათლება და ზომიერება. ჰოდა, თუ შევძელით ამ დანაკლისის შევსება როდისმე, აღარც ზურიები გვეყოლება მაშვინ და აღარც ეკაიები.

- ეჰ, როის იქნება მაგ, დათიკო?!

- იქნება, ჩემო მართა, იქნება. ერთმანეთის პატივისცემას, ქვეყნისა და ბუნების პატივისცემასა და სიყვარულს როცა ვისწავლით, ე, მაშვინ იქნება მაგ ყველაფერი, ჩემო მართა. განათლება და ზომიერება, ზომიერება და განათლება, ე, აგი უნდა იყოს ჩვენი მიზანიც, გზაც და იმედიც, ჩემო მართა.

31.05.2022 წ.

ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. იღიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიულური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატინიანეებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. — წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქელთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი, რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაჟო, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართველები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯეელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოღმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა ულონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში, ხან სიფხიზლეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდება... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რაღათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა. ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ ღამეს სადმე, ქოხში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაჟო, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მივამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რია-რია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმე-

ლებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზეღა ჩანდა... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... ჩგიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შუღლი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, დილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერთიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლაღა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცივალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე:

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, ადუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლისფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაჟკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოვკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინდა. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაივლები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე განვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავ-

დნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომეღვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უეცრად შემხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავისუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოცხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყრიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გადამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრალება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვსინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მიწა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოაღწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

გვანცა ხარაიშვილი
ბეჟანის შვილიშვილი

უსამართლობის სრული ასპექტი

დიახ, განვიხილოთ უსამართლობის სრული ასპექტი რომელიც რეალობაში ხდება სადაც დაკარგულია ბალანსი, დაკარგულია სიყვარული, ერთგულება და თანაგრძნობა... შესაძლოა ადამიანის გრძნობებზე ბევრი კვლევაა განხორციელებული... მაგრამ მე ვფიქრობ რომ ადამიანები თავს ძალას ატანენ რომ იგრძნონ და მიიღონ ის რაც აკლიათ...უბრალოდ ცხოვრება იმდენად უსამართლოა რომ ტკივილის მეტს ვერაფერს ვღებულობთ მისგან....

რამდენჯერ დავფიქრებულვარ იმაზე თუ როგორი იქნებოდა ყველაფერი უბრალოდ, სიმშვიდე, მოთმინება, სიყვარული და თანაგრძნობა რომ ყოფილიყო... ალბათ ყველაფერი ნათელი და სასიამოვნო იქნებოდა.მე კი მხოლოდ მოვალეობის და ინსტიქტურად გაკეთებული ქმედებების წინაშე ვდგავარ რომელსაც უწევს თავის გადარჩენა და ყოველ ჯერზე სიმართლის ძინება... იქ სადაც არც კი არსებობს თეთრი მხარე ... დასკვნა კი ის არის რომ ადამიანი მუდმივ ასპექტში განიცდის ტკივილს...

ჩემს წინ რაღაც უცნაური ასხივებს... ოთახში მიმოფანტულ ნივთებს კი სახელი დაჰკარგვიათ... არ ვიცი ფანჯარასთან რაღაც ნივითი დევს რომელიც ჩემს ანარეკლს მხოლოდ მაშინ მანახებს როდესაც ვუახლოვდები... ფანჯრიდან კი ხეები ჩანს რომლებიც წვიმასთან ერთად ტირიან ... ზოგჯერ ციდან მოგლეჯილ ფანტელებს მხრებზე ილაგებენ ... ერთხელ შევამჩნიე როგორ ბედნიერად გრძნობდნენ თავს როდესაც მწვანე ფოთლები არხეინად შრიალებდნენ მის თავზე... თითქოს გარბოდა და ქარი თმებს უწეწავდა...აღსანიშნავია ის ფაქტიც თუ როგორ იცვლიდა ფერს დროთა განმავლობაში მისი თმა... წითლდებოდა შემდეგ ყვითელიც ერეოდა საბოლოოდ ჭკნებოდა და ძირს ნელ ნელა ეფინებოდა... მე კი მთელი ეს პროცესი ფანჯრიდან მაქვს დანახული....რაც მხოლოდ ჩემი თვალების უკან გადაშლილმა სამყარომ სკივრში მისთვის განკუთვნილ ადგილზე სამუდამოდ შეინახა... კიდევ ხეებს შორის მოქცეული სახლები რომლებიც უბრალოდ წლების განმავლობაში არიან ერთ ადგილზე და ხედავენ ყველა იმ პროცეს რომელსაც მათ წინ გადაშლილი ბუნება განიცდის...ვხედავ მზეს რომელიც ათბობს მთვარეს...

მიწას რომელიც ათბობს ფესვებს...ცას რომელიც ხელით იჭერს ღრუბლებს...წვიმა რომელიც ღრუბლებს ვეღარ ეჭიდება და ძირს ეხეთქება... სახლები რომლებიც უძლებენ

დროს...ადამიანები რომლებიც ძვლებით აწყობილი რობოტები არიან ... სტკივათ მაგრამ ვერ ამბობენ... გრძნობენ მაგრამ ვერ ამტკიცებენ... სჭირდებათ მაგრამ ვერ ღებულობენ... და ისევე მქვია მე გვანცა როგორც წიგნს სათაური...მინდა ეს ყოველივე მოვლენა ჩემი ილუზიის წყარო იყოს რომ.... ხეებს დავეხმარო და მათი თმები მარადიულად შრიალებდეს ნოტიო ქარის დროს... სახლებს გარსშემოერტყას ციმციმა წერტილები ფრენა რომ შეეძლოთ და მოსწყდნენ მათთვის ერთფეროვან წყეულ გარემოს...მაგრამ მე თავად ვარ გაჭედილი ბურთში რომელიც სუნთქვას მიკრავს...მინდა გავიქცე და დასასრულის წერტილიდან მხოლოდ ერთი ნავიჯის გადადგმით ღრმად ამოვისუნთქო...მაგრამ უკვე მივხვდი რომ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ გაქცევას არ აქვს აზრი... რადგან ის წერტილი რომლისკენას გავრბივარ საერთოდაც არ არსებობს... მხოლოდ ჰორიზონტს ვხედავ და როდესაც იმ წარმოდგენით გავრბივარ მისკენ რომ ზუსტად ის არის წერტილი რომელსაც გავცდები და ამოვისუნთქებ ... არასდროს მიმართლებს იმედებს ... რამდენ-ჯერაც მივუახლოვდი როგორც უდაბნოშო გაჭედილი ქვიშის მთები არ ილევა და ყოველ მწვერ-ვალზე ასვლის დროს იგივე ჰორიზონტი იშლება ... ანალოგიური სურათი იშლება ჩემს თვალწინ... აქ დავტოვებ ბევრ კითხვის ნიშანს და ბევრ პასუხს ... დანარჩენი თქვენთვის მომინდია ...

ისტორია რომელსაც ჩვენ თავად ვქმნით

ცხოვება ხომ ერთი შეხედვით შესაძლოა მარტივ და ერთი შეხედვით რვაასოიან სიტყვად მოგვეჩვენოს, მაშინ როდესაც არ ვიცით ამ სიტყვის უკან რა იმალება....და საერთოდ რას ნიშნავს?! მაგრამ თუ დავუკვირდებით და ამ ერთ სიტყვას უკან ჩვენს განვლილ და შექმნილ ისტორიას ჩავუდებთ სათავეში.... შესაძლოა ეს სიტყვა მეტად მრავალფეროვანი გავხადოთ ვიდრე იგი გვაჩვენებს.... მოდით განვმარტოთ და უფრო საინტერესოდ ავღწეროთ... ერთი შეხედვით ცხოვრება შესაძლოა იყოს ისეთვე მარტივი სიტყვა როგორც თუნდაც ისტორია ხომ? მაგრამ აქ მთავარია, მის უკან რა იმალება და ეს სიტყვა რის წინაპირობას გვაძლევს... მაგალითად, რომ ავიღოთ პიროვნება რომელმაც თავისი „ცხოვრების“ ძალიან რთული ეტაპი გაიარა და ეხლა, ის ამ მაგალითზე ქმნის ახალ უფრო გაუმჯობესებული „ცხოვრების ‘ „ისტორიას“ ,თუ ჩვენ წარმოდგენა არ გვექნება, როგორი იყო მისი განვლილი ცხოვრება და ახალ ისტორიაში იგი რას მოიაზრებს, რთული იქნება იმის ამოცნობა თუ რა მდგომარეობაშია , და ამავდროულად რას განიცდის....ფსიქოლოგები, ამ ხრიკს ბევრნაირად იყენებენ და განსხვავებული ვერსიებით...ფსიქოლოგიაში გამოყენებადი შესაძლოა იყოს როგორც : მათემატიკა,ქიმია,ისტორია და გასაკვირად ბიოლოგიაც კი. ეხლა განვმარტოთ რას ვგულისხმობ ამ მდგობარეობაში,სიტუაციებსა და განვლილ ცხოვრებაში... დარწმუნებული ვარ ამ ტექსტის ნებისმიერი მკითხველი რომელიც თავის განვლი და შექმნილ ისტორიას შეუთავსებს ზუსტად ერთ სიტყვას ‘ცხოვრება’-ს, იგი მარტივად მიხვდება ამ სიტყვის მნიშვნელობას...თუ რა არის ცხოვრება... და მასში მოქცეული თქვენივე ისტორია... მე ვფიქრობ, რომ ადამიანებს როგორც წინა თემაში ვახსენე სახელწოდებით „უსათაუროდ“ უნდა გააჩნდეთ, თავისი სუბიექტური და ინდივიდუალური აზროვნება ...მე პირადად ცხოვრებას ვუყურებ როგორც ხელოვნური თვალსაზრისით...მაგრამ თქვენმა ცხოვრებისადმი ნებისმიერმა შეხედულებამ ხელი არ უნდა შეგიშალოთ, მისი ‘რეალურობის’ აღქმაში .... ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს რომ აქ

რეალობაში იქმნება თქვენი ისტორია რასაც სათაურად „ცხოვრება“-ს ვუწოდებთ ... ტრამვები რომლებიც მოდის ღრმა ბავშვობიდან შესაძლოა ხელშემშლელი ფაქტორი იყოს შემდეგი ზრდასრულობის პერიოდში დასახული მიზნებისთვის ან თუნდაც უბრალოდ „არსებობისთვის' რადგან თქვენი ფსიქიკა ყველაზე დიდ როლს თამაშობს თქვენს ცხოვრებაში და ეს უნდა იცოდეთ .... მაგრამ მე ამასთანავე ვფიქრობ იმასაც რო თუ ადამიანები ამ ცხოვრებაში მოქცეულ ისტორიებს სწორი სვლებით გააგრძელებენ ,საბოლოოდ ფინალამდე რასაც მარტივ ენაზე 'მიზნების' განხორციელებას ვუწოდებ,მეტად მარტივი იქნება... ალბათ ნებისმიერ თქვენგანს როდესაც ვახსენე სიტყვა სვლა....ბევრი სიტყვის ერთობლიობა ტრიალებდა თქვენს გონებაში, რომ დაგეკავშირებინათ ... მაგრამ მე გეტყვით რომ თქვენი სიტყვების ერთობლიობაში მხოლოდ ის ერთი სიტყვაა შეთავსებადი ამ მომენტში ,სვლასთან რასაც 'თამაში' ეწოდება... და რა საერთო აქვს ცხოვრებაში თამაშს? ალბათ ეს კითხვაც გაგიჩნდებოდათ ... ესეც ავხსნათ ... მე ვფიქრობ რომ თქვენს ცხოვრებაში არსებობენ ადამიანები რომლებსაც თქვენთვის რადიკალურად განსხვავებული ადგილი აქვთ თქვენივე ცხოვრებაში .... უფრო რომ განვმარტო ... თქვენი დაოკიდებულება დედასთან იგივე ვერ იქნება როგორც დასთან , ან თუნდაც იგივე ვერ იქნება მამასთან ისევე როგორც ძმასთან .... აქედან გამომდინარე თქვენ გიწევთ თქვენ პიროვნებას შეუცვალოთ რაღაც ნაწილი რომელიც მოგცემთ საშუალებას თუნდაც ამ ორ ადამიანს რადიკალური სხვაობით მოექცეთ.... უპასუხოთ,შეედავოთ,მოუსმინოთ და ა.შ თუ გაინტერესებთ აქ სხვაობა რა არის?! ვგულისხმობ იმს რომ თუნდაც ერთი მაგალითი რომ ვთქვათ, შედარებით პატარასთან ნაკლები ნებისყოფა შესაძლოა გქონდეთ ვიდრე საპირისპიროდ დიდთან ... მე კი ვფიქრობ რომ ესეც თამაშის ერთ ერთი მახასიათებელი მდგომარეობა და მოქმედებაა...რადგან ალბათ მე და შენ უკვე შევთანხმდით იმაზე რომ ამ ცოვრებაში გვიწევს ისტორიები თამაშით შევქმნათ რომელიც წინ გვიხსნის გზას სვლისკენ სწორია მაშინ განვაგრძოთ საუბარი... რადგან შენ ახლა უკვე სწორედ იცი ცხოვრების,ისტორიის და თამაშის მნიშვნელობა, რაც შესაძლოა ჩემი ტექსტის გარეშეც ძალიან კარგად იცოდი .... გადავიდეთ ამის სწორედ გამოყენებაში ... მე გეთანხმები და დარწმუნებული ვარ ახლა გიჩნდება აზრი თუ როგორ შეიძლება ჩემთვის სწორი იყოს ,შენთვისაც ანალოგიური, როდესაც წინა თემაში ვახსენე აზრთა სხვადასხვაობა და ინდივიდუალიზმი... მაგრამ სწორედ რომ აგიხსნა შენი აზრთა სხვადასხვაობა ზუსტად იქიდან გამომდინარე შეიქმნა რომ სხვა ადამიანებისგან განსხვავებით გაქვს სხვა და სხვა ინტერესები... შესაძლოა რასაც შენ კითხულობ,ნახულობ,ისმენ ეს გიქმნიდეს შენი აზრისს სხვასთან განსხვავებით განსხვავებულს... ამიტომ ვწერ აქ ჩემს მოსაზრებას და განახებ რომ ჩემი აზრით ეს ასეა და მე ცხოვრების ეტაპზე ვფიქრობ რომ ჩემი ისტორია ცხოვრების მაგალითად ვაქციე... და შენ ამის წაკითხვის შემდეგ შესაძლოა შენი ცხოვრება და აზრები მეტად მრავალფეროვანი გახადო გარშომო მყოფი ადამიანებისგან ან პირიქით შენი აზროვნება დაამთხვიო მათსას...მოდით დავუბრუნდეთ თამაშს... რა ვიგულისხმე თამაშში... ეს არის წინა პირობა ისტორიის სექმნის რომელსაც ჩვენ სხვა და სხვა ადამიანებთან სხვა და სხვა ნაირად ვიყენებთ რაც გვაძლევს საშუალებას ,გზიდან რომელიც ჩვენი მიზნების განხორციელებისაკენ მიდის ავირიდოთ დაბრკოლებები და გზა განვაგრძოთ...აქ მთავარია რამდენად ძლიერი ხარ ... შესაძლოა საერთოდ არ იყო მაგრამ გზა ოდნავ გრძელი გახადო ჯერ შენი თავი გააუმჯობესო ,შემდეგ კი მიზნებისკენ განაგრძო გზა. ეს ხომ შენი თამაშია შენ ირჩევ ვინ იყო როგორი იყო და რა გინდა რომ გქონდეს.... რთული ის არის რომ შენ სულ რომ არ გინდოდეს დაბრკოლებები, ცხოვრება ამას მაინც დაგანახებს, რადგან ეს აქ არსებობს ,ისევე როგორც ცუდი და კარგი,თეთრი და შავი, ცხელი და ცივი ეს დაბრკოლება საპირისპიროა თავისუფლების... რომრლიც შენს ისტორიას მრავალფეროვანს ხდის შენს პიროვნებას კი ძლიერს... ალბათ მიხვდი

ამ თავში ჩემი მიზანი რაც იყო, დიდი ალბათობით დაფიქრები მაგრამ შეგახსენებ ჩემი მიზანი იყო ის რომ დაგანახო მეორე მხარე ,ამ ყველაფრის და არა, ის რომ ჩემს აზრზე დაყრდნობით განაგრძო ცხოვრება... აბა შენ იცი, დაფიქრდი დარწმუნებული ვარ შენი ისტორია მეტად მრავალფეროვანი იქნება, რადგან შენ ამ სიტყვებიდან რომლებიც ძალიან საინტერესო წინადადებებს ქმნის, აზრის ჩამოსაყალიბებლად მოტივაცია მოგცა...(მადლობა ყურედღებისთვის).

როგორ ვმართოთ შიში

„შიში ეს არის ერთ ერთი ეფექტური და სწრაფად რეაგირებადი გრძნობა..პრაქტიკულ დონეზე ,რომ ავხსნათ მისი მიზანია დაიცვას ორგანიზმები და დაეხმაროს მათ გადარჩენაში და გამრავლებაში.ეს ისეთივე მარტივი მოვლენა შესაძლოა იყოს როგორც წამში თვალის დახამხამება.ჩვენ ვიცით უკვე როგორი პრაქტიკით რეაგირებს შიში და ეს პრაქტიკა რისი წინაპირობაა, ხოლო ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე.“

– როგორ ვაკონტროლოთ შიში?

სანამ განვიხილავთ და ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, ჯერ გავიხსენოთ შიშის თავდპირველი ისტორია.ჰომო საპიენსი დაახლოებით 200 000 წლია რაც არსებობს და შესაძლოა ითქვას რომ შიშსაც ამდენი ხანია ვეზიარეთ.შესაძლოა ასევე ავღნიშნოტ ის ფაქტიც რომ შიშის ისტორიაში ფუნდამენტური გარდატეხა ალბათ მაშინ მოხდა როდესაც ადამიანს სხვა სიცოცხლის ფორმებისგან განსხვავებით გაუჩნდა კითხვები; სად ვარ? ვინ ვარ?საიდან მოვდივარ?საით მივდივარ? გასაკვირი არ არის რომ უძველეს წინაპრებს ამ კითხვებზე პასუხი არ ქონდათ რის შედეგადაც ბუნებრივია მათ შიში დაეუფლებოდათ. ამ დროისთვის უკვე ცნობიერი დაიბადა,რასაც თან უამრავი შიში მოჰყვა.“რეალობა კი ის არის რომ ადამიანი მუდმივ ასპექტში განიცდის შიშს,მე კი ვფიქრობ რომ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ერთ ერთი გამოსავალი არის, კონცენტრაცია იმ კითხვებზე და გრძნობებზე რაც ჩვენში იწვევს შიშს და მისი კონტროლი. ნებისმიერ შემთხვევაში თუ გავათვიცნობიერებთ იმას რომ გარკვეულ სიტუაციაში ადამიანი თავის ინტიქტებს მართავს ,ვგულისხმობ იმას რომ ქვეცნობიერს მიანდრობს ორგანიზმების დაცვა არა თუ პრაქტიკულ არამედ თეორიულ დონეზე, მან გადაწყვიტოს რომ პრაქტიკულ დონეზე მისი ორგანიზმების დაცვა შეწყვიტოს და მის ნაცვლად ქვეცნობიერმა გააგრძელოს ორგანიზმების დაცვა.ამ შემთხვევაში ნაკლებად გვექნება შიშის განცდა. რეალურად ადამიანის ინსტიქტებიც ასეთია როდესაც იგი სხვაზე დამოკიდებულების განცდაშია ნაკლებად ახდენს კონცენტრაციას გარკვეულ ქმედებებზე და მათ შორის მდგომარეობებზეც კი.ამ სიტუაციაშიც ჩვენს თავს უნდა მოვაშოროთ ის ზედმეტი პასუხისმგებლობა რასაც ინტიქტებით გამოვხატავთ.

ცხოვრების ისტორიის ერთი სურათი

ვიპოვოთ გამჭვირვალე მედუზა, გამჭვირვალე წყალში, ისეთივე შესაძლებელი შესაძლოა იყოს როგორც შეუმჩნეველი გამოსავალის პოვნა, გამოუვალ მდგომარეობაში. საზრისი კი არის ის, რომ თუ კონცენტრაციას მოვახდენთ, გარკვეულ პრობლემაზე, რომლის გადაჭრის გზებისთვის გამოსავალის პოვნა გვესაჭიროება, უბრალოდ დავაკვირდებით სიტუაციებს, სადაც გამოსავალის

კვალია, გავყვებით და ნელ ნელა პასუხსაც მივაგნებთ.თეორია რომელიც ვიცით, ძირითად შემთხვევაში, პრაქტიკაში იმ მიზეზით ვერ ვიყენებთ, რომ ჩვენი ქვეცნობიერი თავად საზღვრავს, მოვლენებს და მდგომარეობას. მაგალითად რომ ავიღოთ, დავუშვათ მაქვს გარკვეული მიზანი, რომლის განხორციელებაც გარკვეულ მოკლე დროში ჩემს შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ერთი მხრივ მე ამას ვაანალიზებ და ვახდენ, არა მხოლოდ დროზე არამედ ჩემს შესაძლებლობებზე კონცენტრაციას, მაგრამ კონცენტრაციაში ჩემი ხელშემშლელი ფაქტორი, არა თუ შესაძლებლობა და დრო, არამედ ქვეცნობიერია, რომელიც ცდილობს, ჩემში გააღვიძოს იმ დროისთვის მიყურადებული გრძნობები,ფიქრები და აზრები რომელიც მიზნის დასახვის დროს გვერდზე გადავდე.

იმ მომენტისთვის როდესაც უკვე ვიაზრებ, რომ უარყოფითი აზრები, ჩემში ბლოკავს მიზნებზე და შესაძლებლობებზე კონცენტრაციის შესაძლებლობას,ვცდილობ არა თუ საპირისპიროდ შემოვტრიალდე და უკუსვლით განვაგრძო სვლა ,არამედ წინ ვიარო, ყველა იმ დაბრკოლების მიუხედავად რასაც ჩემი ქვეცნობიერი ბლოკავს.ხშირ შემთხვევაში ხდება, ისე რომ როდესაც ვერ ვაღწევთ მიზნებს მოსაზრება ჩნდება, იმისა რომ არ ვართ საკმარისად განვითარებულები, ძლიერები,მოტივირებლები,თვითრეალიზებულები და ამ მომენტშიც კი როდესაც ისევ ჩვენი ქვეცნობიერი მართავს ჩვენს აზრებს, ვერ ვხვდებით რომ პირველ ეტაპზე სადც მიზანს უნდა მივაღწიოთ, ქვეცნობიერი უკან გვხევს და ვკარგავთ ძალას, მიზნების განხორციელებისათვის, უკვე როდესაც ვერ ვაღწევთ მიზანს, მაშინაც კი იმფაქტზე ვღელავთ რომ არ ვართ საკმარისად კარგი.ფოტოზე ასახულია ადამიანის გონების სამფლობელო, სადაც მასში მოქცეული ქვეცნობიერი ცდილობს, მისი მიზნები ჩააქსოვოს წვრილად, იმ ფიქრებში



რომელიც ბლოკავს, კონცენტრაციას შესაძლებლობებზე, შეგვიძლია უფრო განვავრცოთ ეს თემა, რომ მეტად მარტივად აღვიქვათ,ჩვენ შეგვიძლია ის წვრილად ჩაქსოვილი დადებითი აზრები,მიზნები და ფიქრები მეტად თვალსაჩინო გავხადოთ, თუ ქვეცნობიერს არ მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენს თვალს მოაშოროს ეს თვისებები და ისე დამალოს რომ მისი აღქმა ვერ შევძლოთ. ეს რომ მეტად თვალსაჩინო გავხადოთ, დავაკვირდეთ, მეორე სურათს და გავაკეთოთ შედარება. პირველ სურათზე ასახულია ისეთივე ადამანის გონების ნაწილი როგორიც მეორე სურათზე, მაგრამ სხვაობა ის არის რომ პირველ სურათზე ასახულ ადამიანის გონებას და შესაძლებლობებს ქვეცნობიერის მიერ ჩახლართული ქსოვილები აკავებს, ხოლო უშუალოდ მეორე სურათზე ასახულია, ადამიანის გონება, რომელშიც ქვეცნობიერი არანაირ როლს არ თამაშობს, გარდა შესაძლებლობების უკეთ აღქმაზე და მასზე კონცენტრაციაზე. არჩევანი ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაზე და მდგომარეობაზე, ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. თუ გადავაბიჯებთ ქვეცნობიერს, რომელიც აბრკოლებს ჩვენს მიზნებს მეტი წინ სვლა ექნება, რადგან ჩვენს შესაძლებლობებს არ ექნება დაბრკოლება რომელსაც ისევ და ისევ ქვეცნობიერი წარმოქმნის.აქ თეორიას და პრაქტიკას ისევ ჩვენ ვირჩევთ,სხვა შემთხვევაში პრაქტიკის წინაპირობას ანუ თეორიას ქვეცნობიერი განსაზღვრავს. მაშასადამე ლოგიკური საზრისი არის ის, რომ როდესაც ადამიანი მივა დასკვნამდე, რომ მისი ქვეცნობიერი თავად მართოს, მიზნებზე კონცენტრაცია ბევრად მარტივ იქნება, რის წინაპირობასაც შესაძლებლობები განსაზღვრავს...

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მადლობა უფალო!

ის რაც ხდება ჩემსა და სამყაროს ირგვლივ ყველაფერი ზეციდან მოდის. ჰო, უცხოა ცის სამყარო თვალთ უხილავია, მას ცის გალაქტიკას უწოდებენ. ლექსი რომელიც ჩემს სულიერ შვილს თემურის მიუძღვენი დღეს დავდე. ამბავი ცოტა შორიდან იწყება. ჩემი ძმა თამაზ ხარაიშვილი (დათას ბაბუა) და თემურის დედა საჩხერის სავადმყოფოში ერთად გადიოდნენ მკურნალობას. ჩვენ ერთმანეთს ვკითხულობდით. თემურ შვილო, დედაშენი როგორ არის? – რა ვიცი დედი უფლის ნებაა ყველაფერი იყო ერთიდაიგივე პასუხი თემურის მხრიდან. მოხდა ისე, რომ თემურის დედა გარდაიცვალა. მას შემდეგ თემურის სულში ასეთმა რწმენამ შემოღო სულის სარკმელი. მე გავხდი მისი სულიერი დედა. თემური როცა მივლინებიდან ჩამოდის, პირველი ჯერ შვილიშვილს ურეკავს კითხულობს მის ამბავს და მერე კი მე. დედი, როგორ ხარ? – მეც ვპასუხობ, კარგად შვილო. როცა ჩემი ძმა გარდაიცვალა ზამთრის პერიოდი იყო, უამრავ ხალხთან ერთად, თემურიც მოვიდა. გარეთ თოვდა. ყველა მომსვლელი, მანქანებში ან სახლის კუთხეში თბილ ღუმელს აფარებდა თავს. თემური იდგა გარეთ და ხვანის ზეციდან ჩამობარდნილ ფიფქებს ეფერებოდა. ვინ იცის თემური ამ ფიფქებში თავის დედის სიწმინდეს ხედავდა. ზოგი ცნობდა საკმაოდ ცნობილ ადვოკატს და თხოვდა სახლში შემოსვლას, ზოგს კიდევ უკვირდა თოვლის ფიფქებში გახვეულ თემურის ყინვაგამძლეობა. რა იცოდნენ მათმა, რომ თემურ გოგსაძე, იქიდანაც თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა და იმედიანი სიტყვებით აპურებდა იმდგაცრუებულ ხალხს. ასეა ცნობილი ადვოკატის სამსახური. თემურიმ ბოლომდე სცა პატივი ჩემი ძმის სულს და ალბათ თავის დედასთანაც მოკითხვა დააბარა. სუფრაზე ის აღარავის უნახია. ეს ერთი ნამდვილი ამბავი და რამდენი დედაშვილური ტკივილი თუ სიხარული გვაკავშირებს ერთმანეთთან. ზუსტად თემური, ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე, ეკა ბრსგვაძე ჩამოვიდა ჭალვანში, დათას მარადისობის გზის გასაცილებლად. თემური იყო დიანას, რომ მოძღრამდა რწმენით. დათა უფლის ანგელოზიაო ჩასძახოდა დიანას და თხოვდა, რომ სული არ დაუმძიმბინა ძმისთვის. დღეს როცა, ლექსი მიუძღვენი და ფეისბუქზე დავდე, ლია ალადაშვილს წამებში ქონდა სიმღერა გაკეთებული. ესეც უფლის ნებაა, ქალბატონი ლიას ტვირთია ეს. ამიტომ ნუ ჩაგვითვლით ბავშურ მიამიტირ სულსწრაფობაში, ნურც ლექსის გამოქვეყნებას და ნუცა ლექსის დადებას. ბედნიერი დღე დაგიღამდეთ ყველას. მრავალჟამიერი ვინც ამ პოსტს კითხულობს.

ჩემი ხვედრიც სხვათა ყურადღებაა.

გარეჯის ერთი ბალახის ღერო, ერთი წლის შენახულ მიმოზის ტოტებს შეხვდა. ეს ამბავი ასე მოხდა. ათ ნოემბერს შარშანაც და წელსაც ქალბატონი ირმა კეკელიძის ხელმძღვანელობით ვეწვიეთ გარეჯს, რომელიც წმინდა იოანეს სახელს ატარებს. რა ტკბილი გალობა იყო, ყველანაირი წირვის დროს შესრულებული საეკლესიო რიტუალები. სმენად გადაქცეული მრევლი და წმინდა სანთლის ალების სიკაშკაშე. წირვის დამთავრების დროს აღსაერბა და ზიარება. მამაოს

გამასპინძლება, სამარხვო ტრაპეზი. ბოლოს ეკლესის გარეთა ხედის დათვალიერება და თვალით ხილული სასწაულები.

შარშან მამამ მიმოზის ტოტები მაჩუქა. წელს კი გარეჯის ერთი ბალახის ღერო. ათ ნოემბერს ნაჩუქარი საჩუქარი დიდი სიფრთხილით და მოწიწებით ჩავიტანე აკადემიაში და გარეჯის ბუნების მეგობრები ერთმანეთს შევახვედრე. ცოტა ხნით გულს დავიბნიე სიყვარულის ნიშად და ბოლოს კი სანთელი ავანთე, ვილოცე და ერთად მოვათავე უჯრაში გამხმარი მიმოზის ტოტები და ერთი ღერი გამხმარი ბალახი. მე რწმენით ვცოცხლობ. რწმენაა ჩემი გადამრჩენი. რა ბდნიერებაა, როცა გჯერა, რომ შენგან არავინ წასულა. თუმცა ვერ ხედავ მაგრამ ისინი შენ გხედავენ. აღარ მაშინებს ცალუღელობა. არც ძმების დეფიციტს განვიცდი. ხუთი ძმა ციდან მპატრონობს. ჩემი ძმიშვილიშვილი, დათა შუბითიძე და ჩემი შვილი გელა ძირულის მდინარის სანაპიროზე ცეცხლის კოცონს ანთებენ და კეცებზე გარეულ ქათმებს წვამენ. ჩემს წარმოსახვაში ასე ხდება. დიახ! ეს ასეა. მადლობა ქალბატონო ირმა რწმენის სიმდირით, რომ დამაპურე და მამოგზაურე მეხუთე საუკუნის საქართველოში.

დიახ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფმა, ხელმძღვანელი (ქალბატონი ირმა კეკელიძე) გადავწყვიტეთ ათ ნოემბერს გარეჯში წავსულიყავით. დაგველიცა საქართველო და ჩვენი საახლობლო. ასეც მოვიქეცით. მივდიოდი და შარშანდელი ათი ნოემბრის საოცრებები თვალწინ მიტრიალებდნენ. მამა ნეოფიტეს შეხვედრა. ეთერ ისაკაძის ხელში ასანთის გარეშე ანთებული ოთხი სანთელი და უამრავი თვალთხილული საოცრებები. გზად მიმავალს ანგელოზის ჩრდილები მიმაცილებდნენ. გზადაგზა ვისვენებდი სასიამოვნო ერთი წლის მოგონებებთან ერთად. გამახსენდა ხუთი მაისი. ექვს საათზე ჩემს კარებზე დილის ცისკარის ალიონზე ახმაურებული ზარი. უფლის გზავნილების მოსვლა. ჩემი სტუმრები, ღმერთთან მოსაუბრეები, უფლის რჩეულები იყვნენ. გარეჯის ბერი მამა ნეოფიტე, რუთაველის მსახიობი თენგიზ გიორგაძე (ჩემი საყვარელი ირმა კეკელიძის მეუღლე), თვალებციმციმა ლამაზი სოფო და უახლოესი მეგობარი ლამზირა შეყილაძე. ეს შარშან... ახლა უდაბნოს ძლიერი ქარი ჩემს მოგონებებს წინ და უკან ატრიალებდა. ჩრდილის ანგელოზები კი მიმიძღოდა წინ მეექვსე საუკუნოვან საქართველოში. ჩემს წინ მიდიოდნენ აკადემიის წევრები ბატონები და ქალბატონები. მათ თვალებში იმედის სხივები ბრწყინავდა. ძალიან მიხაროდა მათი სიხარული. გამახსენდა წინა წლების ,,ათინათი ", ირმა კეკელიძის ხელით მირთმეული ჟურნალი მამა ნეოფიტესთან. მერე და რა დიდებული ლექსი მომიძღვნა მამა ნეოფიტემ.

,,მეც შენსავით ლაღ სტრიქონებს ვქარგავ,
რა შეგარქვა ენძელა თუ ია?
რასაც ფიქრში ვპოულობ თუ ვკარგავ,
შენს ენაზე,, ათინათი " ჰქვია!

ვინ მოთხარა, ისევ მოვრწყავ, დავრგავ
და მოუვლი როგორც შემიძლია,
პატარაა, ისევ მორწყვას ითხოვს,
მერე რა რომ მინდვრის ყვავილია.?!

ვეფერები ვარგა თუ არ ვარგა,
სხვისთვის ყალბი, – ჩემთვის ნამდვილია,
ნეტავ იმას ვინც ასე შეგარქვა,
ათინათი ზედგამოჭრილია.

ათინათი ხომ იმისთვის გქვია,
რომ ხანდახან გამინათო გზანი,
რომ მაისში სიხარულით დამხვდნენ,
მერხეული ჭალვანი და ხვანი!

ვინც ფიქრობს, რომ სხვის სტრიქონებს ვძარცვავ,
მას მკითხველის არაფერი სცხია,
დამეჭიდოს დავღლი და დავქანცავ,
ცივი წყალის სმა თუ შეუძლია.

ხელს ჩაგჭიდებ რომ არ დავიკარგო,
კიდევ კარგი არ ვარ თვითმარქვია,
 მახსოვხარ და თან იგივეს არ გთხოვ,
მეც შენსავით ათინათი მქვია.

პატარა ხარ არც ერთ ყვავილს გავხარ,
და სიმართლე გწყურია და გშია,
ჯორკოს სკამზე თუ დადგები სჩანხარ,
ყველა ია – ხარაიშვილია!

ას ვუვლი ვუთოხნი და ვმარგლავ,
და ჩიტების ატყდა რიარია,
მეზობლებთან საზღვარსაც არ ვფარგლავ,
რატომ არ გწყინთ ვეღარ გამიგია.

დევკაცებო, მომეშველეთ სად ხართ?
ვინ მაჩუმებს ღაღადებენ ქვანი,
დღეს ძირულას მძევლად გაჰყოლია,
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.

კაკალ გულში პაწაწინა მყავხართ,
თავი ვისთვის როდი დაგიხრიათ?!
ვაი იმას, ვისაც არ უყვარხართ,
ათინათი, ენძელა და ია!

ეს ლექსი მამა ნეოფიტემ, გამომიგზავნა ირმა კრკელიძის ხელით. დღეს როცა გადავწყვიტეთ გარეჯში წასვლა, ღამის სამ საათზე ინტერნეტიდან შეტყობინების ზარმა მამცნო, რომ ლონდონში მცხოვრებმა ჩვენმა საყვარელმა ქართველმა ქალბატონმა მზია კვირიკაშვილმა, მამა ნეოფიტეს ლექსი ინგლისურად ნათარგმნი გამოუგზავნა. თარგმანი აუცილებლად შევა ათინათის 50-ე ნომრში. სასწალების უკვე აღარც მიკვირს. სასწაული არაა? მამა ამირან ამირანაშვილმა ამაღლების ეკლესიაში ხარაიშვილების საგვარეულო ლომისის წმინდა გიორგის ხატთან დად რომ მაკურთხა? სასწაული არ არის? 53 წლის ასაკში, მამა გაბრიელის საფლავიდან ლექსების წერის მადლი, რომ გამომყვა? მე ხომ მანამდე 30 წელიწადი ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი და ლექსი ერთი სტროფიც კი არასოდეს დამიწერია. დედა – ბებიობის ხანაში, ცამეტი წიგნი შევქმენი. სასწაული არაა? ყველასთვის სიკეთე, რომ მინდა? იმსახურებენ თუარა მაინც?

მივდივარ და ვფიქრებ ამ ყველაფერზე, ადევნებული ჩრდილის ანგელოზებთან ერთად. ეკლესიის კარებში შარშანდელი ათი ნოემბერის დღესავით კვლავ მამა ნეოფიტე შემომეგება.,, დღეს ხუთი მაისია" მითხრა და თვალწინ დამიდგა 2023 წლის ხუთი მაისი. მამა ნეოფიტეს ნათქვამი რეალურად ახდენილი სასწაულები. ეკლესიაში შევედით, წირვას მამა დავითი ატარებდა. სანთლები ავანთე. ღმერთმა იცის ის, რომ ყველა დავლოცე. დავლოცე ჩემი ოჯახი და აკადემიის წევრები, ნათესავები და ემიგრანტები. დავლოცე ისრაელი. ავანთე წინა დღის ჩემი თამუნას გამოტანებული სანთლები, რომელიც ჩემ რძალს ისრაელიდან ჩამოუტანია, ეკატერინე ფხიკიძეს. უფალს შევავედრე ჩემი აწ გარდაცვლილი შვილის ცოლი და შვილები. გარეჯში ეს სალოცავი, იოანე ნათლისმცემელის სახელობისაა. ჩემი უფროსი შვითაშვილის სახელია იოანე. წელს ის პირველ კლასში შევიდა. ღმერთო, კარგად მიმყოფე და სახელოვანი ვაჟკაცი გაზარდე. იწვოდა სანთლები და მე ვლოცავდი ყველას. სათქმელი ბევრი მაქვს, რომელსაც უსათუოდ დავწერ. ეს მხოლოდ მწირი მასალაა დიდი და მადლიანი დღიდან გამომდინარე!

და მაინც... ყველაზე ბარაქიანია ოქტომბრის თვე. მზის სხივებში გახვეული ოქტომბერი თავდახრილი დგას. ტოტებს ბარაქის სიმძიმე აწევს. გამომცემლობაში წიგნები გამოდის.

მოსავლიანობით გაჯერებულია მიწის ნაკვეთები. სხვადასხვანაირ ხილითა და ბოსტნეულით აბარაქებულ ბაღებს ფუტკრებივით შესევიან მეპატრონეები. დღისით მზის სხივები ეალერსება დედამიწას და ღამე კი მთვარე. სრულყოფილების იდილიაა შექმნილი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთადორისო აკადემიაში ანთოლოგის მეცამეტე ტომს დასტრიალებენ აკადემიის წევრები. პოეტები პოეზიით ცეცხლს ანთებენ. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მასალების განხილვით არიან დაინტერესებულნი. ყველაზე აქტიურია თარგმანაების განყოფილება, რომლის რედაქტორია ქალბატონი მზია კვირიკაშვილი. ისტორიას განიხილავს ბატონი გოჩა ჭელიძე. სამართალის განყოფილება და ეკონომიკა 5 ნოემბერს იქნება განხილული აკადემიაში. ათ ნოემბერს კი აკადემიის გამგეობის ჯგუფი ვეწვევით დავით გარეჯს, რათა ბერმა მამა ნეოფიტემ დაგვლოცოს. მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში კი ღონისძიება მიმდინარეობდა მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვა კურთხევით. თითქმის მირზა გელოვანის სახელობის ბობლიოთეკაა მასპინძელი სისტემატიურად აკადემიის წევრების. დირექტორი ქალბატონ ქეთევან ნიკურაძეში და თითეულ თანამშრომლებში იგრძნობა მაღალი სულიერი იდეოლოგია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ გაყინულ დროში ბიბლიოთეკის მომსახურეობის დონე მიწიდან ცამდეა ამაღლებული.

როცა გიყვარს, როცა აფასებ, როცა გიხარია მასთან შეხვედრა კიდეც ელოდები. ელოდები მოთბინებით... საუბრობ მასზე. ყვები თავგადასავლებზე. იგონებ წარსულს, ფიქრობ აწყმოზე . ასე სიყვარულით ველოდებოდით დღეს ქალბატონი მზია კვირიკაშვილის ოჯახის წევრებს. ველოდებოდით საკმაოდ ცნობილ პიროვნებას ბატონ სოსო მამალაძესა და მის საყვარელ მეუღლეს. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის სამუშაო ოთახში იწვებიდა გულში ანთებული სიყვარელის სანთელი. სანთლის ალი წვდებოდა ამერიკაში ქართველ ქალბატონს მზია კვირიკაშვილს.

*. * * * *

როცა გიყვარს ელოდები კიდეც,
ელოდები მოლოდინის გრძნობით,
ისე გიყვარს ცდილობ ხელით მიწვდე,
ელოდები, შეხვედრის წუთს წლობით.

კლდე კაცი
/გარდაცვლილი მეუღლე/

ცუდი ადამიანი არ იბადება. მთავარი ის არის როგორ გაზრდი. ადრეც მიიღო ჩემგან ეს ინფორმაცია ჩემმა მკითხველმა. როცა მამა დაბადებულა, დედამისი მართა მახათაძე გარდაცვლილა. იმ დროს, სოფელ ხვანში არავინ არ ყოფილა მეძუძური დედა. ტირის უმწეო ბავშვი, დედის სითბო უნდა. დედის ცივი გაყინული სხეული ვეღარაფერს გრძნობს. სული ხედავს, მისი მუცლიდან დაბადებული პატარა ბიჭი როგორ ეძებს ტუჩების ცმაცუნით დედის ძუძუს, მაგრამ დედის გაყინული მკერდი ვეღარ იხუტებს შვილს. ამიტომ იყო, რომ ჩემს პაპას მამაჩემი გუდაში ჩაუსვამს და გასდგომია გზას, მეძუძური დედის საპოვნელად. ძალიან დიდი თოვლი ყოფილა, ვინც იცის ეს მხარე უდაბნოს ჰგავს. ერთი მთა მეორე მთაზეა გადამბული, მეორე მთა მესამეზეა და რომ გახედავ, გაშლილ ზღვის ტალღებს ჰგავს. წარმოიდგინეთ, ამ დროს, თოვლი და ქარბუქი. გაუკვალავ თოვლში მიდის პაპა, გუდაში ჩასმული ბავშვით ან რა ნერვები შერჩა, ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. მკითხველო, გადაჭარბებული მითებიდან მოყოლილი ზღაპარი არ გეგონოთ. რეალურად მომხდარ ამბავს გიყვებით. ეს ადრე ლექსითაც გადმოვეცი, მაგრამ ლექსი ვერ იტანს სიზუსტის ფრაგმეტებს. ლექსი მეტაფორაა, ახალი სახის შექმნაა, რითმია, რიტმია. ლექსი მუსიკალური ჟღერადობით უნდა იყოს მორთულ-მოკაზმული. გადავწყვიტე, პატარა ნოველის სახით მოგაწოდოთ ეს დაუჯერებელი ამბავი. თან იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ დამეწერა, თუ ადამიანს სიცოცხლე უწერია, გადარჩება. თქვენთვის ვწერ, რომ იმედი მოგცეთ, ამ შიშის დროში, სიძულვილის და გაუტანლობის დროში, მწირი იმედი შემოგაწოდოთ.

გავაგრძელოთ ამბავის მოყოლა, პაპას გადაუვლია ერთი მთა, მეორე მთა. ანუ ხვანიდან გორაძირი და ჩასულა სოფელ ნიგვზარაში. სადაც ხარაიშვილები, ხარშილაძეები და ციხისელები ცხოვრობენ. შეიძლება სხვა გვარებიც არიან, მაგრამ მე არ ვიცი და როცა არ ვიცი, აჯობებს არ დავწერო ის, რაც არ ვიცი. იმ დროს სოფელ ნიგვზარაში ერთ-ერთ ქალბატონს მერვე შვილი დაბადებია. როცა მისი მერვე შვილი ატირებულა, ეს ქალბატონი ძუძუს მოსაწოვებლად ზეზე ამდგარა. კარში მეზობლის ძაღლებს, უცხოს ფეხის ხმა შეუგვრძნია და აყეფებულან.

ქალბატონს გარეთ გაუხედია და დაუნახავს ვიღაც მგზავრი, თოვლის კაცი, მოდის გუდით. სახლში შესულა და მეუღლესთვის უთქვამს ვიღაცა თოვლში მოდის, ძაღლები უყეფენ, ეტყობა რაღაცა უჭირს და სახლში შემოიყვანეო. მეუღლეც გასულა, მაპატიეთ მკითხველო, სახელები აღარ მახსოვს, რომ მახსოვდეს დიდი სიამოვნებით დავწერდი. ისინი ყველა გარდაცვლილებია და მათმა სულმაც მაპატიოს. ამ დროს სანამ ამ ქალბატონის მეუღლე გარეთ გასულა, ძაღლებს წრეში ჰყავთ პაპა და გარშემო, ძინძგილაობენ. ბედად მიუსწრო ამ ღვთის კაცმა და ეს ნატანჯი თოვლში ამოგანგლული პაპა, უცებ აალებული ბუხრის გვერდით მოხვდა. გუდაში, მამაჩემს, უკვე ტირილის თავიც აღარ აქვს და ოდნავ ღნავის. სასწრაფოდ ქალბატონს გუდაში შეფუთული პატარა ამოუყვანია და ჯერ თავისი გულმკერდის სითბოთი გაუთბია, მერე ძუძუ მიუცია და უცებ პატარა ობოლს მშვიდად დაუძინია. ქალბატონს წყალი გაუთბია, მამაჩემი დაუბანია, თავისი შვილი აკვნიდან ამოუყვანია, მამაჩემი ჩაუწვენია და ასე გაუთენებიათ ღამე. პაპა კი იმ ღამით წამოსულა, რადგან სახლში გარდაცვლილი მეუღლე ჰყავდა მიტოვებული.

პაპამ, რადგან დაინახა რომ გუდიდან ამოყვანილმა პატარა უსუსურმა არსებამ ძუძუ მოწოვა და აკვანში მშვიდად განაგრძო ძილი, წასვლა გადაწყვიტა. ეს ამბავი იანვრის სუსხიან ღამეს ხდებოდა. მამაჩემი საღამოს შვიდ საათზე დაბადებულა და ამ დროს ზამთრის ღამე საკმაოდ დაბნელებულია. ღამე გავიდა სახლიდან და ისევ ღამით გადაუწყვეტია უკან დაბრუნება. კეთილი მასპინძლები თხოვდნენ დარჩენას. პაპას უთქვამს, ოღონდ ჩემი შვილი გამიზარდეთ და არაფერს მოგაკლებთო. მე საკუთარი წისქვილი მაქვს და ჩათვალეთ, რომ რაც კი სარჩო მექნება არაფერს დავინანებ, თუკი ჩემი შვილი გაიზრდებაო. ერთი დღის შვილი დაუტოვებია ბედის ანაბარა და ისევ ზამთრის ქარბუქში, უკვალავ თოვლში, ნიგვზარიდან ხვანში გაუდგა გზას. რა თქმა უნდა, სველი და ტანზე შემოყინული ტანსაცმლით. თოვლიანი ღამე ყოველთვის შუქიანია, გზა ჩანს. ქარი ალაგ-ალაგ ღრმად აგროვებდა თივის ზვინივით ნამქერს. ნამქერში ჩავარდნილი პაპა დიდხანს უნდებოდა თოვლიდან ამოსვლას. ალაგ-ალაგ კი ისე გასარკული გზა იყო, გეგონებოდა ასფალტი დაუგიათო. ამ სიტყვებს ახ-ლობლების ნაამბობიდან ვიმეორებ. ასე წვალებ-წვალებით მოატანა თოვ-ლის კაცმა სახლს, სანამ სახლამდე მივიდოდა, სანთელის მთებიდან მდინარე ძირულამდე, გორიალ-გორიალით მოდიოდა, ხან ღელეში ჩავარდებოდა, ხან ეკლებში.

როგორც იქნა მდინარემდე მივიდა. მდინარე გაყინული იყო, ფეხით მოსინჯა თურმე. ჩემს წონას გაუძლებსო უთქვია და ზედ შემდგარა. შუა მდინარემდე, რომ მისულა გამტყდარა ყინული და შიგ ჩავარდნილა. მისი სხეული უკვე ვეღარეფერს გრძნობდა, ძალა მოუკრეფია და ნაპირსკენ ყინულებს აქეთ-იქით ხელით ყრიდა და ნაპირზე მიუღწევია. თავისივე გათოშილი ხელებით ტანსაცმელი ტანზევე შემოუწურავს და ახლა უკვე სახლისკენ აღმართს შეუდგა. აღმართზე მსვლელობისას, სიხლმა მოძრაობა დაიწყო და უფრო გაუადვილდა სიარული. ახლა ცოტახნით დავუბრუნდეთ ქირისუფლებს, რომლებიც ცხედარს დასტიროდნენ. ბუხარში დიდი ცეცხლი აუნთიათ და შეშფოთებულები ელოდებიან გათენებას. გარდაცვლის არა, ახლა უკვე ცოცხალ პაპაჩემს დარდობდნენ. ერთი ამბობს, მგლები შეჭამდაო, მეორე ამბობს, ბავშვი გაიყინებოდა და თვითონ თავის თავს არაფერი აუტეხოსო. ჩემო მკითხველო, თქვენ მე არ დაგამძიმეთ. წინასწარ გავაშუქე ის ნამდვილი სიუჟეტი, რომ თოვლთან და ბუნებასთან ქიდილის დროს, პაპაჩემი გადარჩა. ამიტომ თუ ვინმეს განსაცდელი შეხვდება, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა იბრძოლოს. თუ სიცოცხლე უწერია, აუცილებლად გადარჩება. მამლებმა იყივლეს, ერთ-ერთ ქირისუფალს გარეთ გამოუხედია, ამ დროს პაპაჩემს დაბლა აღმართიდან ამოუძახია: მშვიდად წადი ჩემო მართა, შვილი გადაგირჩინეო. რა თქმა უნდა, ეს არც ერთმა ქირისუფალმა არ დაიჯერა და პაპას თურმე დუმილით შეხვდნენ.

სიხარულის დილა გათენდა, საჩხერის რაიონ სოფელ ნიგვზარაში, ციხისელების ოჯახში. კიდევ ვიმეორებ, სახელები რომ ვიცოდე, დიდი სიამოვნებით დავწერდი. ვიცი, ბევრი წაიკითხავს ამ თოვლის კაცის ამბავს. აუცილებლად მივა ეს ინფორმაცია მათთან. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამომეხმაურებიან. რვა შვილის მამამ დილაადრიანად მეზობლები შემოიარა. ერთ-ერთი ოჯახის სახლის კარები შეაღო. – რაზე შეწუხებულხარო? – მეზობელმა სახლიდანვე გამოძახა, რადგან თოვდა და გარეთ გამოსვლა დაეზარა. – აკვანი მჭირდება ჩემი ახლად დაბადებულ ბიჭისთვის და მათხოვე. თქვენ ერთი თვეა შვილი შეგეძინათ და ამდენი ხანს თუ აკვანში ბავშვი არ ჩაგიწვენიათ, ახლა ვეღარ მიაჩვევთ აკვანს, – ოთახიდან შეეხმიანა მამაკაცის მეუღლე. ძალიან ეწყინა მამაჩემის გადამრჩენელს, ეწყინა რვა შვილის მამას და მიაძახა: – თუ გენანებათ მითხარით, ამ თოვლში რომ მაჩერებთ, მეუღლე მელოდება. ორი ბავშვი უაკვნოდ როგორ უნდა გაზარდოს, სხვაგან წავალ და სხვას ვთხოვ. – მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს, თავი გადააქნიეს, იფიქრეს ამ საცო-

დავს რაღაცა სხვა აწუხებს, ალბათ, კარგად ვერ არისო. აკვანი გამოიტანა მეზობლის ქალბატონმა და თან ჩაფიქრებულმა უთხრა: – მეც გამოგყვებიო. ასე სიჩუმით შეაღეს სახლის კარები. მამაჩემი აკვნიდან ამოეყვანა კეთილ ქალბატონს და ძუძუს აჭმევდა. თავის საკუთარი შვილი კი ტირილით არღვევდა მშვიდი ოჯახის მყუდროებას. პატარა და-ძმები ხის საწოლს აჯაყჯაყებდნენ, მაშინ სად იყო ზამბარიანი საწოლები და კარგი ცხოვრება. შეშფოთებული მეზობელი კარებში გაჩერდა. – ხალხო, არ მეტყვით რა ხდება? ეს მეცხრე ბავშვი საიდან, ეს ნედლი სიმიდის ტაროსავით ჭყინტი ბავშვი ვინ მოგცათ? – რა თქმა უნდა, ის ამბავი, რაც უკვე იცით, მეზობელს სიტყვა-სიტყვით უამბეს კეთილმა ცოლ-ქმარმა და მამაჩემი აღმოჩნდა მეორე დედის (გამზრდელის) ხელში.

ძალიან ბევრ რამეს გამოვტოვებ. გამოვტოვებ ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებას, გავასწრებ წლებს. ამ ამბის მოყოლის მიზანია უფალთან მიახლოვება. დღევანდელი მდგომარეობის უიმედობა, არიქა, დამთავრდა ყველა და ყველაფერი. არაფერი არ მთავრდება და არაფერი არ იწყება. ყველაფერი იქნება კარგად. თუკი დავფიქრდებით, თუკი ვიწამებთ, გადაგვარებულები გადმოვგვარდებით და ასე შემდეგ. დღე ღამეს არ ჰგავს. ღამე კიდევ დღეს. ჩვენც, ადამიანები, ერთმანეთს არ ვგავართ. ყველას გვაქვს რაღაცა დადებითი და რაღაცა უარყოფითი. უნაკლო ადამიანი არ არსებობს. უნაკლო მხოლოდ ღმერთია. მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი და ერთმანეთს ბედისწერით ნაისრალ გულს უნდა უშუშებდეთ. უნდა ვცდილობდეთ, ისეთი შეცდომები არ დაუშვათ, თაობებს რომ გაყვება. აი, მაგალითად, ჩემმა პაპამ სად დაუშვა შეცდომა და აქ ძველ ანდაზას მოვიშველიებ, „პაპის ნაქამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოჭრა კბილია“.

ერთი სიტყვით, რა მოხდა ექვსი წლის შემდეგ. მამაჩემის გამზრდელმა, რვა შვილი გაზარდა და მეცხრე შვილი კი მამაჩემი. პაპა ყოველ წელს დატვირთავდა ურმებს და წლის მოსავალი ჩაჰქონდა ნიგვზარაში. რა თქმა უნდა, რაც შეეძლო, ალბათ, იმას მიაწოდებდა. თვითონ ფიზიკურად ძლიერი ყოფილა. ომებ გამოვლილი, რუსული კარგად ცოდნია. ეს კი ნოე ხარაიშვილმა მიამბო. პაპაშენის საკუთარ წისქვილში ძალიან ბევრი ხალხი ვიყრიდით თავსო და იქ იმაზე ვსაუბრობდით, ვინ ობოლი იყო, ვის უფრო უჭირდა ფიზიკურად, რომ ზოგს თოხნაში მივხმარებოდით, ზოგს მოსავლის აღებაში. წისქვილი ერთი დიდი აკადემია იყოო, სადაც მხოლოდ სიკეთეზე ვსაუბრობდითო. ეს ნაილი და ნათელა ხარაიშვილების მამამ აწ გარდაცვლილმა ნოე ხარაიშვილმა მიამბო. რომელიც ახლახან გარდაიცვალა და ას წელს თითქმის აღარაფერი აკლდა, როცა მისი სული ზეცას შეუერთდა. ეს ის ნაილია, ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი, რომელიც გერმანისტი იყო (პოეტი), ბოლოს საპატრიარქოში მუშაობდა და მალამოებს ამზადებდა. ბევრმა იცის ან ახსოვს ნაილი ხეთერელი. ზოგს ისევ ცოცხალიც ჰგონია. მან ისე ატარა მძიმე დაავადება (სიმსივნე), ფეისბუქზეც აქტიურად

მონაწილეობდა, არავის ამძიმებდა, თავისი ტკივილით. იქით მოგიკითხავდა, – როგორ ხარო. პანდემიის გამო ერთმანეთს ვეღარ ვნახულობდით, მონაზვნად აღკვეცილა, ამ სამოსშიც ფეისბუქზე ვნახე. მისმა დამ, ქალბატობმა ნათელამ, მითხრა, დედათა მონასტერში დავკრძალეთო. ღმერთი შემაძლებინებს მის საფლავზე მისივე პოეზიის საღამოს ჩატარებას. დავუბრუნდები პაპას დაშვებულ შეცდომას. მამაჩემი თავის გამზრდელს, თავის შვილებზე მეტად შეყვარებია. თუ რამე კარგი ოჯახში მოიპოვებოდა, ის მამაჩემის იყო. რვა დედმამიშვილი სიმართლის დასამტკიცებლად მამაჩემს იფიცებდა. ექვსი წელიწადი ასე ჰქონდა პაპას გატკეპნილი გზა, ნიგვზარასა და სოფელ ხვანს შორის. პაპას გაჭირვებია შვილების მოვლა და ერთ წელში დაქორწილებულა, რუსი ქალი შეურთავს, (ოლა). სახლში სამი შვილი ჰყოლებია, ნიკიფორე, შუშანა და ორი წლის ლუბა.

გარდაცვლილი მეუღლე, მართა ბაბო, მეორე ცოლი იყო პაპაჩემის. პირველი ცოლი რითი გარდაეცვალა არ ვიცი, ერთი ქალიშვილი (შუშანიკა) და ერთი ვაჟი (ნიკიფორე) დარჩენია პაპას. მართა ბაბოს მოყოლია (ლუბა). ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი შვილების მოსიყვარულე პაპაჩემს, რომელმაც მკვდარი ცოლი დატოვა და ახლად დაბადებული შვილი გაიტაცა, მეძუძური დედის საძებნად. მარტოდ, თოვლში, უღრან მთებში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, სადაც არც გზა იყო და არც ადამიანის კვალი, რომ ვინმეს იმედი მიცემოდა. მიდიოდა გუდაში ჩასმული ბავშვით, რომელიც მერე მამა გახდა ჩემი. პაპას ოჯახში იზრდებოდნენ ორი ნამდვილი და-ძმანი და მეორე ლუბა, რომელიც ამ და-ძმის არაფერი არ იყო. ბებიაჩემს საზიარო პაპაჩემის სახლში, არაფერი დარჩებოდა, მამაჩემი რომ არ გაზრდილიყო. მას დარჩებოდა მარტო ხვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალული უიღბლო ძვლები. როგორც აღვნიშნე, პაპაჩემს საკუთარი წისქვილი ჰქონდა და ეკონომიკურად არ უჭირდა. სულიერად კი მასთან უიღბლობა დაფათურობდა. ისეთი ძლიერი და უშიშარი ყოფილა, უბრალოდ სიავკაცით მასთან ვერავინ დაილაპარაკებდა. ნოე ხარაიშვილის, ნათელას და ნაილის მამას სიტყვებს მოვიშველიებ, – წისქვილში სოფლის საკეთილდღეო საკითხები წყდებოდაო.

ერთხელ პაპაჩემთან უშვილო ცოლ-ქმარი მისულა და ლუბაზე დალაპარაკებიან, მოგვაშვილეო. ლუბა დედას ძალიან ჯავრობდა. ბავშვებსაც უმიზეზოდ ებუტებოდა, ჭირვეულობდა, დედა მინდაო ტიროდა. პაპაც სულ გარეთ ტრიალებდა. ამიტომ, ამ საკითხზე დაფიქრებულა და უთქვამს. იმ პირობით გაგატან, თუ ჩემს ბიჭს უკან რომ მოვიყვან ლუბას დამიბრუნებთო.

კაცო, თუ უნდა გააშვილო, უკან რატომ უნდა დაგიბრუნოთო – მკვახედ უპასუხიათ ლუბას წასაყვანად მოსულ ცოლ-ქმარს. – მაშინ არ გაგატანთო, – მკაცრად უთქვამს პაპას. ეს საუბარი ესმოდა თურმე ლუბას და მისულა და ამ ქალბატონს კალთაში ჩაუჯდა. – მე შენი გოგო ვიქნები ხომ? წამიყვანე და ყოველთვის ყვავილებს დაგიკრეფ და მოგიტან. ყვავილების დაკრეფა ეგონა ლუბას პატივისცემა. რა ექნა, მეტი არაფერი ახსოვდა, ერთ წელიწადში დედა გარდაეცვალა. ხვანში ყვავილების და სოკოს მეტს პატარა ლუბა ვერაფერს ხედავდა. ბებია მართა და პატარა ლუბა (მამიდა), ახლა მამიდას ვიტყვი, მკითხველი რომ არ დავაბნიო. პაპას ძალიან ყვარებია მართა ბაბოს (ლუბას), ძალიან თბილი და მგრძნობიარე გული ჰქონია. უფიქრია, თუ ვერ გაძლებს, ისევ უკან წამოვიყვან, ჩემი მართას შვილსო. ერთი სიტყვით, ლუბა წაიყვანეს, უშვილო ცოლ-ქმარმა. გოგონა ანუ (მამიდაჩემი) ისეთ ფეხზე მისულა იმ უშვილო ცოლ-ქმარს, ათი წლის უშვილოებს, შვილი გაჩენიათ. ჯერ ერთი, მეორე, მესამე და ასე გაფუფუნდნენ შვილებით. მამიდაჩემი ლუბა, საკუთარ შვილებზე მეტად შეყვარებიათ. მამიდაჩემი მათი ფუძის ანგელოზი გამხდარა. უშვილო ცოლ-ქმარი ბავშვების ნამატით თავს ბედნიერად გრძნობდნენ. თუ რა ხდებიდა ნიგვზარაში ნაწილობრივ გითხარით.

პაპაჩემი ყოველ დღე მოსვენებას კარგავდა, როგორ დაებრუნებინა თავისი შვილი. სინდისი აწუხებდა, რამდენჯერმე ჩამოუგდო საუბარი თავისი შვილის გამზრდელს, ბავშვის წაყვანაზე. თან იმის შიში ჰქონდა, პატარა ჭიჭიკო საკუთარი დედასავით იყო მიკრული გამზრდელის მკერდს და ბავშმა არ იჯავროსო. ამის ფიქრსაც გულში აანალუზიბდა და თავისთავად დარდობდა. მოსვენება დაკარგა, შვილი თავისთან უნდოდა. თან ცოლის სულის წინაშე სინდისი ქენჯნიდა, ცოლის შვილი გააშვილა. თუ ვაჟკაცი იყო, თავისი გაეშვილებინა. არა, თავისას როგორ გაიმეტებდა. ჰოდა, კაცი ვარ ახლა მე? – ძალიან ხშირად საკუთარ თავს ესაუბრებოდა. – არა ვარ კაცი. ეს კარგი ვაჟკაცის საქციელი არაა. თვითონაც როგორ გაიწია ლუბამ და კალთაში ჩაუხტა უცხო ქალს. ნუთუ ჩემი შვილები არჩევდნენ ლუბას და არ ეფერებოდნენ? ან დედინაცვალი ხომ არ ავიწროებდა? – მერე ისევ დაფიქრდებოდა, – არა ახლა ამაზე ფიქრს აზრი არ აქვს. ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. მაგრამ ჭიჭიკო? მაინც რა ლამაზია. დედას ჰგავს, შავი ხუჭუჭა თმებით. გამზრდელმა მამამ ერთმანეთს დააჭიდა. ჩემმა პატარამ ბეჭებით ძირს დასცა. ენაცვალოს მამა, ჩემი გუდის კაცი. ყველაზე ცუდი ის არის, მე რომ ბიძას მიძახის. ვეტყვი აუცილებლად ვეტყვი, მე რომ მამა ვარ. გული რომ ეტკინოს? რომ იდარდოს? არა, ჯერ ისევ მოვითმენ, მაგრამ ვაი ამ მოთმენას. – ასე

ფიქრებდამძიმებული ბრუნდებოდა სახლში. ჯერ წისქვილში შეივლიდა, მერე ოჯახს მიხედავდა, იკითხავდა რა უჭირდათ, რა უნდოდათ. ისე ხშირად ბავშვებს ესაუბრებოდა ლუბაზე, აინტერესებდა რა რეაქცია ექნებოდათ ბავშვებს. მაინც და მაინც არ გამოხატავდნენ დიდ სიმპატიას. ბავშვების ეგოისტობას ვერ იტანდა, მაგრამ ამის დროც არ ჰქონდა. თავის რუს ცოლს გადაულაპარაკებდა რუსულად, ალბათ მოსაფერებელ სიტყვებს. მისი ქალ-ვაჟი ამას ვერ ხვდებოდა. ნიკიფორე უკვე წამოიზარდა და რუსულ ჯარში გაიწვიეს. ომმაც მოუსწრო და ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაღუპვის შეტყობინება მოსვლიათ. პაპას გული რკინის გრდემლში გამოუჭედია და კვლავ სიცოცხლეზე და შვილებზე ფიქრობდა. დარჩა ერთი შუშანიკა მამიდა. ძილშიც თავისი გუდის კაცზე ფიქრი არ ასვენებდა. წელი წელს მისდევდა. ნიგვზარაში სიყვარული იზრდებოდა, ხვანში კი იმისი ფიქრი, თუ როგორ დაებრუნებინა შვილი.

ექვსი წელი იარა, პაპამ ნიგვზარასა და ხვანს შორის ფეხით. ექვსი წელი აანალიზებდა იმას, თუ როგორ დაებრუნებინა შვილი თავის სახლში. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. ტყუილი უნდა თქვას, უნდა მოატყუოს თავისი შვილის გადამრჩენელს. უნდა მოატყუოს იმ ქალს, რომელმაც რვა შვილს, არჩია სხვისი შვილი. შვილი, რომელიც ღმერთმა მისცა. – მეც არ ვიცი, რატომ მომინდა ამ ამბის დაწერა. მე ხომ პოეტი ვარ. რატომ ავირჩიე დამეწერა ეს პროზის სახით, თან პირდაპირ ტელეფონში,

ესეც უფლის ნებაა და ამიტომ. იმედი უნდა მიმეცა ხალხისთვის. უნდა გადმომეცა ნამდვილი ამბავი, რომ ხალხისთვის რწმენით შიშის სინდრომი გამექრო. დედამ შვილი გააჩინა, თვითონ კი გარდაიცვალა. გუდაში ჩასმული ჩვილი ბავშვი, თოვლი, ქარბუქი, ღამის წყვდიადში სიარული, მთა-მთა, ღელე-ღელე, მიდიხარ და გგონია სწორი გზა, თოვლით ისეა გადაფარული, ჩავარდები და მომწივარი პატარა ბექებიდან დაგჩხავის. მერე სოფელში შეღწევა, აყეფებული ძაღლები, ჰა, დაგძიძგნონ თუ არა ძაღლების წრეში მოქცეული ყინულისლოლოებდაკიდებული ადამიანი, მერე სახლში მისვლა. რვა შვილის მეძუძური დედა, აკვანი, გუდიდან ამოყვანული ბავშვი. მერე უკვე გადარჩენილი და გაზრდილი. ესე იგი, თუ არ გიწერია არაფერი არ მოგივა. დარწმუნებული ვარ, როგორ შეუყვარდებოდა მამაჩემი თავის გამზრდელს. ბუნებრივიცაა, აღარ დაუბრუნებდა ოჯახს. აქ არის დედაშვილობაზე კიდევ უფრო მაღალი რაღაც, ისეთი უცხო ძალა, სიყვარულის გრძნობა, რომელსაც მე ვერ ავხსნი. მეორე მხრივ, პაპას, რომელსაც ამდენი ტკივილი შეხვედრია, ყოფილა თვითონ ძალიან ძლიერი, მშრომელი, იმ დროში ყველაზე განათლებული, სხვისი დამპურებელი. ერთი მეუღლის გარდაცვალება, მეორე მეუღლის გარდაცვალება. კვლავ მადლისა და სიკეთის კეთება და მერე კი გამოუსწორებელი შეცდომის დაშვება. შეცდომა ტყუილით დაიწყო. გადაწყვიტა, რომ რადგან შვილს არ აძლევს, თავისი შვილის გამზრდელი მოატყუოს. ხშირ-ხშირად დაიწყო სიარული, სოფელ ნიგვზარაში. ჩაქონდა თუკი რამე ჰქონდა. არ ზოგავდა არაფერს. ეფერებოდა თავის შვილს. მამაჩემიც თურმე კისერზე შეაჯდებოდა და ასე კოტრიალებდნენ მამა-შვილი. ამ ხერხმა რომ არ გაჭრა, ბოლოს უთქვამს, – წამოდი შენც და აჩვენე, რომ მას სახლში და ჰყავს, მე ისედაც დაჩაგრული მამა ვარ. ცოლი რომ გარდამეცვალა დიდხანს ვიგლოვე, ჯარგამოვლილი და ომგამოვლილი კაცი ვარ. საძეოც აღარ შემანარჩუნა ჩემმა ბედისწერამ, დედმამიშვილები ერთმანეთს ხომ უნდა ცნობდნენ? – მეუღლესაც ნება დაურთია: – წადი, ოჯახს მე მივხედავ ჩაიყვანე ბავში თავის კუთვნილ სახლში. როცა გაიზრდება ოჯახს შექმნის და სულ ასე გულჩახუტებული ხომ არ გეყოლებაო. პაპაჩემსაც მეტი რა უნდოდა და გაუდგნენ ხვანის გზას, მამაჩემი თავის გამზრდელი დედა და პაპაჩემი. ასე ეწვია თავის სახლს მამაჩემი.

უკვე წამოზრდილ მამიდაჩემ შუშანიკას და ჩემი ბებიის ნაცვალ რუსის ქალბატონ ოლას, ექვსი წლის მამაჩემი თბილად მიუღიათ. წინასწარ დაგეგმილ სუფრას შემოუსხდნენ. მამაჩემი კი საგანგებოდ გაფრთხილებული დიდი ბავშვებისთვის ჩაუბარებია პაპას. ფული უჩუქებია, რომ შორს წაეყვანათ, გაერთოთ და დაემალათ. მამაჩემი აღარ უნდა გაეტანებინა, გამზრდელისთვის. ბოლოს ყველაფერს მიხვდა თურმე ეს ქალბატონი, ჯერ თხოვნით, მერე ყვირილით, ბოლოს ეს დედაღვთისმშობელივით კეთილი ქალბატონი წყევლაზეც გადასულა, დამუქრებია კიდეც. ვერანაირმა ხერხმა ვერ გატეხა თურმე პაპაჩემი. მამაჩემის გამზრდელის ტირილი

და კივილი ხვანის მთების ექოში იკარგებოდა. შებინდებისას იძულებული გახდა ქალი წასულიყო, თავის ნამდვილ რვა შვილთან და ექვსი წლის ამაგი დაეტოვებინა. ის გზა, რომელიც პაპამ გაიარა, ზამთარში, თოვლიან ქარში. როცა ბუნებაც ტიროდა პაპაჩემის ცოდვით, იმ დღეს მზიან ამინდში, მამაჩემის გამზრდელი ტირილით და წყევლით ტოვებდა ხვანს და მას შემდეგ, მამაჩემი იმ ქალბატონს თვალით აღარ უნახია. თუმცა მერე კიდევ საინტერესო თავგადასავლები მოხდა, მაგრამ აქ, ვაპირებ უკვე გაჩერებას.

რა მოხდა ათი წლის შემდეგ, გავაგრძელებ თხრობას. ათ წლამდე მამაჩემი ძალიან დარდობდა, როცა გამზრდელზე საუბარს დაიწყებდა თურმე, ცხენზე შეაჯენდა პაპა და ხვანის მთებში დააჯირითებდა. სადილობის დროს, ძალიან კეთილი პელო და ქრისტინა ბიცოლა კალთაში ჩაიჯენდნენ და ეფერებოდნენ. მერე თავის შვილებთან ათამაშებდნენ. კოლიასთან, ანიჩკასთან, დაშასთან, მაროსა და გალინესთან. გალინა ახლაც ცოცხალია და თბილისში ცხოვრობს. კოლია ბიძია და მისი მეუღლე თამარა ბიცოლა მასწავლებლები იყვნენ (ეს წლების შემდეგ). ჩვენ მათი დაზრდილები ვართ. ისინი ჩვენი მასწავლებლები გახდნენ წლების შემდეგ.

მამაჩემი უკომფლიქტო ბავშვი ყოფილა, ძალიან ძლიერი. ადრე ახალგაზრდები თვითონ ირჩევდნენ რჩეულებს, მინდორზე ნახერხს დაყრიდნენ და ქიდაობის დღეს დანიშნავდნენ. იქ ქიდაობაში ყოველთვის მამა პირველობდა თურმე, მაგრამ არასოდეს დიდგულობდა. ყოფილა ძლიერი და კეთილი. ერთი სიტყვით მამას გამზრდელის მონატრების საშუალებას ბიცოლები არ აძლევდნენ. ბიძაშვილებს დედმამიშვილებზე ძალიან მამაჩემი უყვარდათ. თავის დას შუშანიკას ხომ სულ ზურგით დაჰყავდა და უყვებოდა ზღაპრებს. თექვსმეტი წლის მამაჩემი სოფელს ბრიგადირად აურჩევიათ. ძალიან დიდი ორგანიზატორი და ხალხთან ურთიერთობის ნიჭი ჰქონია. სიყვარულით შეურთავს დედაჩემი დონიკა შუბითიძე, ცხრა დედმამის შვილი. დიანოზ შუბითიძის და აღათი ტაბატაძის ქალიშვილი. მკითხველს, მაინც გამზრდელის ამბავი აინტერესებს. მასზეც გიამბობთ. ახლა რა მოხდა ერთ-ერთ ქორწილში, სანამ მამა დაქორწილდებოდა. ეს ამბავი ხაშურის რაიონ სოფელ კლდისწყაროში მოხდა. მამაჩემის მამიდაშვილს, რომელსაც შაქრო შუკაკიძეს ანუ პაპას დიშვილს შეურთავს ხვანელი მაჭარაშვილის გოგო. მამაჩემი მაყრად წაუყვანიათ. ადრე ქორწილში მეფისა და დედოფლის მაყრებს ერთმანეთთან აჭიდავებდნენ. ქორწილში თამადა მამაჩემი ყოფილა, ფიზიკურად ლამაზი და სიტყვით მჭერმეტყველ მამაჩემს დიდი მოწონება ახალგაზრდა გოგონებში დაუმსახურებია. აქ ყოფილა ის გაშვილებული ლუბა მისი და, მაგრამ დაძმანი ერთმანეთს ვერ ცნობდნენ. დილით ქიდაობა გამართულა, საქიდაოდაც მამაჩემი გამოიყვანეს თურმე. უკვე ნიკიფორე ხარაიშვილი და არა (ქიქიკო) პაპამ ომში დაღუპული შვილი ამით აღადგინა. ის თურმე თავისებურად ასე აცნობიერებდა.

ნიკიფორე ომს შეეწირა და ისევ მომცა უფალმა შვილი ჭიჭიკოს სახითო და მამაჩემში ორ შვილს ხედავდა. თავის გაგებით ნიკიფორე, ჭიჭიკოთი გააცოცხლა. ამიტომ მამაჩემს ხან ჭიჭიკოს უძახოდნენ და ხან ნიკიფორეს. დაუბრუნდეთ ქორწილის მეორე დღეს. დაიწყო ჭიდაობა, ვინც გადმოვიდა მამაჩემს ვერავინ გაუძალიანდა. ყველა რჩეული გოგო თავისად ნათლავდა მამაჩემს და მამიდაჩემი ლუბას წინათგრძნობა კი რაღაცა სხვა იდუმალებაში იძირებოდა. ვინც ჩემს ნოველას კითხულობთ, მიგანიშნებთ, რომ რუსთავში მამა ანდრია აბაშიძის მეუღლეა დედა ანა. ანა, მამიდა ლუბას შვილიშვილია. სისხლი-სისხლს გრძნობდა, ალბათ. ნამდვილმა და-ძმანმა თითი გაიჭრეს და ერთმანეთს დაძმობა შეფიცეს. დანარჩენ გოგოებს გაეხარდათ, ლამაზი ლუბა მათი მეტოქე აღარ იქნებოდა.

პაპა სულ ცდილობდა თურმე მამა დაეტვირთა. როგორც ადრე აღვნიშნე, საკუთარი წისქვილი ჰქონდა. მაშინდელი მეწისქვილე მდიდრად ითვლებოდა. ყველას ეხმარებოდა და როგორც იქნა დამშვიდდა ოჯახი. რუსის ცოლი, ოლა, ძალიან კეთილი იყო, ოლა ბებიას ხელში დავიზარდეთ ბავშვები. მამაჩემმა დედაჩემი სიყვარულით შეირთო. შუბითიძეებს დიდი შტო ჰქონდათ. ბევრი დედმამიშვილებს ბევრი შვილები ჰყავდათ. ხელოვნების მოყვარულნი იყვნენ. ზოგი დოლს უკრავდა, ზოგი სალამურს, ზოგი ფანდურს. მღეროდნენ ხმებში. მათთან ყოფნას არაფერი ჯობდა. გამზრდელ დედასთან იქნებ კიდევაც ჰქონდა მამას ურთიერთობა, მაგრამ რაც არ ვიცი ვერ დავწერ. ამასაც იმიტომ ვაქვეყნებ, იქნებ გამომეხმაურონ. ამ პატარა ეპიზოდების ძირითად დანიშნულებადაც ის ავიღე, რომ ამ ეტაპზე ხალხი დათრგუნულია, შიშმა შეიპყრო კაცობრიობა, ცხოვრებამ სიხალისე დაკარგა. ერთი მირეკავს, – მორჩა, დამთავრდა ყველაფერი. შე დალოცვილო, თუ დამთავრდა, მე რას მირეკავ, ჩემი სიცოცხლის დანიშნულება მე კარგად ვიცი. სანამ ვიცოცხლებ სიკეთე უნდა დავთესო, ხალხს იმედი უნდა მივცე. ყველას ტკივილის მალამოდ მინდა გადავიქცე. სულიერად განვკურნო უიმედონი. ახლა კი მართლაც, ძალიან შევცურდი პაპიდან მამის ცხოვრებაში. სიცოხლის ბოლომდე მამა ბრიგადირი იყო, ბოლოს სამ ადგილზე მუშაობდა. კაცური კაცი იყო. სტუმარიც უყვარდა და მასპინძლობაც. თავისი შრომით ჭიათურაში ბინები აიღო. სოფელიც გვქონდა და ქალაქიც. გაჭირვებაც გვინახია და დალხინებაც. ყოველი დღე სიყარულით იწყებოდა ჩვენს ოჯახში და სიყვარულით მთავრდებოდა. მამა იყო ჩვენი მესაიდუმლე. მე როცა გავთხოვდი და უკვე ორი შვილი მყავდა, გამაგებინეს დედის ავადმყოფობა. ჩემი მეუღლე მუშაობდა ქალაქ რუთავის აბანოს დოლომიტების ქარხანაში. შუა კვირა იყო. სამსახურიდან საბუთი გააკეთა, ქარხნისთვის საჩხერის ქვიშა უნდა ჩამოეტანათ ვითომ.

სინამდვილეში ეს საჩხერის ქვიშა, ჩემმა მეუღლემ, ვახტანგ სხირტლაძემ მამაჩემის საპატივსაცემოდ გამოიწერა, რაც კანონს ეწინააღმდეგებოდა. ჩემი ბიჭები – დათო და გელა, პატარები იყვნენ. მივდიოდი, დედასთან უნდა დავრჩენილიყავი და თან სახლისათვის ქვიშა ჭირდებოდათ. ჩვენი გათვლით ორი საქმე უნდა გაგვეკეთებინა – დედაც მენახა და მამასთვის სახლის გასალესი ქვიშა მიმეტანა. მეტიჩარა მზრუნველმა შვილმა კინაღამ გავაბოროტე მეუღლე. გზაში კოკისპირული წვიმა დაიწყო. ბავშვებს კალთაში ჩაეძინათ. არ დაგავიწყდეთ, ბავშვები დიდი მანქანით მიმყავს. საჩხერის დასპეცებულ ინსპექტორებს არ გამოპარვიათ, ახალგაზრდა ქალისა და ორი ბავშვის დანახვა და მანქანა გააჩერეს. მეუღლემ საბუთები ამოიღო და მანქანიდან ჩავიდა. ეს მოხდა ხვანის გადასახვევამდე. თუ გააჩერებდნენ ჩემი ბიძაშვილის ჯამბულ შუბითიძის იმედი მქონდა. ჩემი მეუღლე სახეშეცვლი მოვიდა და მეუბნება, გადასახვევზე ჩამოდი, თქვენზე ასე ვუთხარი მგზავრი შემხვდა პატარა ბავშვებით და წამოვიყვანე. მერე რომ წვიმს? აქედან ორ კილომეტრზეა კიდევ სავალი, როგორ ჩავიყვანო სახლამდე ბავშვები ამ წვიმაში? მათ ასე უთხარი, წარმოებისთვის საჩხერის ქვიშა დაგვჭირდა და მივდივარ საჩხერეში. რომ არ წავიდე, საბუთები წამართვეს და სხვანაირად ვერაფერს გავახერხებ. გადასახვევამდე მიმიყვანა, ბავშვები ჩამოვსვი, მანქანა უკან მოგვდევდა. ისინიც გაჩერდნენ, პირდაპირ მანქანისკენ წავედი ბავშვებით. რა თქმა უნდა, ამის ნებას ჩემი მეუღლე არავითარ შემთხვევაში არ მომცემდა. ეს წამებში მოხდა, მათთან აღმოვჩნდი. მისვლისთანავე ზრდილობით, თავმდაბლად ვთხოვე: – ხედავთ წვიმს, თქვენი რაიონის მკვიდრი ვარ, დედა მყავს ავად, მივდივარ სანახავად. მძღოლი მეუღლეა, თქვენ მან მოგატყუათ, მას საჩხერეში არანაირი საქმე არ აქვს. თქვენ რომ საბუთები არ მისცეთ, მე და... – ცრემლები მომერია. მთავარმა თავი გამოყო მანქანიდან, მამაშენს რა ქვია ვისი გოგო ხარ? მეც ვუთხარი ორი სახელი. ჭიჭიკო და ნიკიფორეც, ვინ როგორ ცნობს აბა რა გითხრათ და ცრემლი სახეზე თავისდაუნებურად ჩამომდიოდა. – ნუ ტირი, – გულში ჩამიკრა. ახლა ამაზე შევშინდი, ამ მეტიჩრობისთვის მეუღლე საყვედურს მეტყოდა და გულში გავიფიქრე: – მეტიჩარა ქალი ყველაფრის ღირსია-მეთქი. მეუღლეს დაუძახეს, რომელმაც გულში ჩამიკრა, ხუმრობით სილა გააწნა და მიაძახა: – სიძე ყოფილხარ. ვერ თქვი თუ ჭიჭიკოსთან მიდიოდი? ის ჩემი ძმააო!

გაოგნებული ვიდექი მამაკაცების გვერდით, რაც ჩემს ხასიათს არანაირად არ შეეფერებოდა. ჩემი მეუღლე, ვატყობდი, უარეს დღეში აღმოჩნდა. რადგან ეს გაუგებრობა ჩემით დაიწყო, კვლავ მე ავიღე ინიციატივა. სანამ ვეტყოდი წუთში ათასნაირად გადავხარშე, იქნებ შევეცოდე და

ტყუილი თქვა. უნდა, რომ საბუთი დააბრუნოს. მაინც გავბედე და ვუთხარი: – მამაჩემს ძმა არ ყავს. ისევ ხელი მომხვია და მეუღლეს ხუმრობა შერეული კილოთი მიმართა: – სიძევ ბატონო, ჩემს ძმიშვილთან არაფერში ჩაიჭრაო. ვეღარ მოვითმინე და ისევ შევბედე, რაღაცა გაუგებრობაში ვარ, მაგრამ ვხედავ რომ ჩემი დახმარება გინდათ, როგორც თქვენი კუთხის შვილს ხომ? მადლობელი ვარ, ჩემი ბიჭებიც არ დამისველდებიან. საბუთებს მოგვცემთ, ალბათ! ჩემმა მომფერებელმა ბრძანება გასცა: – დღეს ისეთ ხასიათზე ვარ, თუ დიდი დანაშაული არსად მოხდეს, ყველას ყველაფერი აპატიეთ, მე ჩემს ძმიშვილს გავყვები, – კარები გააღო და ბავშვების ჩასმა დააპირა. მე არ დავნებდი, მაინც ეჭვის თვალით ვუყურებდი, – არა მე მეუღლის მანქანაში დავჯდები ჩემი ბიჭებიანად, თქვენ თქვენს მეგობრებთან წამობრძანდით, რადგან მამაჩემი თქვენი ნაცნობია-მეთქი. წყენით შემომხედა, უნდობლობის სინდრომი შემნიშნა და აშკარად უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე. წინ გაგვიძღვა და ჩვენ უკან მივყევით. ეზოში არავინ დაგვიხვდა, მამას სახლში ვინ ნახავდა, მისი დასვენება, არც დღე იყო და არც ღამე. სახლის კარები გავაღე, დედა იწვა, ჩვენი მისვლა ძალიან გაუხარდა. – დედა, მე უცხო სტუმარიც მოვიყვანე და სახლში შევიპატიჟე, ჩემი ბიძად გაცნობილი პიროვნება. ანდროვო და სიხარულით წამოიწია დედამ. აბა, როგორ ხარ რძალო, წამლები მიიღე რაც მოგიტანე? ჩემმა ძმიშვილმა კი არ მიკადრა, მანქანაშიც არ ჩაჯდა. კვლავ აფორიაქებული მივჩერებოდი, კითხვები მიტრიალებდა ვინ იყო და რანაირი ძმა იყო მამაჩემის. სუფრა გავშალე, თვითონ დატრიალობდა, იმან უფრო იცოდა, საიდან რა უნდა გამოეღო. ცოტა რომ დანაყრდნენ, სტუმარმა, ანდრომ, ამბის მოყოლა დაიწყო: – მე რომ ინსპექტორად დავიწყე მუშაობა, დედაჩემმა მითხრა. ხვანში ჩემი გაზრდილი შვილი ცხოვრობს, ჩემთან ჭიჭიკო ხარაიშვილი იყო, ბავშვს სახელიც მამამისმა დაარქვა და გვარიც. მე გავზარდე, დაიბადა თუ არა იმ დღიდან. არ გეწყინოთ შვილო, ახლაც თქვენზე ძალიან მიყვარს. ვინც მომიყვანს და მაჩვენებს, ამაზე უკეთესი საჩუქარი ჩემთვის არაფერი იქნებაო. ჰოდა, ჩემო ძმიშვილო, ჩამოვედი და დედაჩემის გაზრდილი შვილი, დედაჩემს მივგვარე. მათი შეხვედრა იყო სასწაული, ენით აღუწერელი. ახლა ხომ გაიგე, მე ვინ ვარ, როცა ჭიათურაში ჩამოხვიდე, აუცილებლად ჩემთან მომიყვანე ჩემი ძმიშვილი, სიძე ბატონო. ჩემი მეუღლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმდენი ღვინო დალია, მეორე დღესაც აღარ უნდოდა წასვლა.

როცა ანდრო ციხისელი დიდ თანამდებობაზე გასულა და ჩაუბარებიათ საჩხერე-ჭიათურის ხაზი, მამაჩემის გამზრდელს უთქვამს შვილისთვის: – გავიგე ჩემი ჭიჭიკოს ბიჭები თამაზი და ამირან ხარაიშვილები ხაზის მიკროავტობუსზე სხედან და შეეცადე გაიცნო და როგორც ძმიშვილი ისე ეცი პატივიო.

– შვილო, – უთქვამს, – არავინ არ დაადანაშაულო იმაში, რომ ჩვენი ურთიერთობა დღემდე შეწყვეტელია. აქ ისევ მე ვიდანაშაულებ თავს. მეც გამეგო, ჩემი ჭიჭიკოს მამისთვის, კაცმა მიცვალებული ცოლი დატოვა ჭირისუფლების ანაბარა, აწივლე-

ბული ბავშვები, პატარა ლუბა, შუშანიკა, ნიკიფორე და ახლად დაბადებული ბავშვი გუდაში ჩასვა და ღამით თოვლიან ქარბუქში მარტომ გადმოიარა მთები, ტყეები და ჩვენამდე მოვიდა. იმდენად აზრიანი ყოფილა, რაღაცა სანთებელა ჰქონია, რუსულ ჯარში ნამსახურებს, ალბათ, თავისებური გამოცდილება და გამბედაობაც ჰქონდა. სადაც მგლების საშიშროებას დავინახავდი, მაშინ ავანთებდი ხოლმეო. როცა მოვიდა მაშინ თქვა, ისიც მანამ საუბრობდა სანამ ბავშვი არ დავბანე, არ დავაწვინე. სულ საუბრობდა და საუბრობდა, ასწრებდა ყველაფერს, იმიტომ რომ უნდა გაბრუნებულიყო. როცა ჩემმა ნაპოვარა ღვთის საჩუქარმა მიიძინა, სველი ტანსაცმელით უკან გაბრუნდა. გათენების ხანს მისულა თავის გარდაცვლილ მართასთან. თავისებურად ის მართალი იყო, ალბათ. მე ის დავწყევლე, გულით დავწყევლე. ახლა კი ვნანობ, მაპატიოს უფალმა, ჩემი გამბოროტებელი გზა მართალს არის. ჩემი ჭიჭიკო, მოიკითხე შვილო, აუცილებლად მოიკითხე, ისეთი გამწარებული ვიყავი აღარც მისი დანახვა მინდოდა. ვადანაშაულებდი, ეყვირა, ეტირა, ცუდად გამხდარიყო, ეგებ იმ მგელკაცა თოვლის კაცს, ჩემთვის დაებრუნებინა. როცა იავნანას ვუმღეროდი, თან ასეთ სიტყვებს ვაყოლებდი: იყო და არა იყო რა, იყო პატარა ანგელოზი, რომელიც გუდიანმა კაცმა მომიყვანა. ჩამაბარა და მითხრა: – არ მოშივდეს, არ შეცივდეს, მე წავალ ვიშრომებ და საკვებს არ მოგაკლებთო.

ამ პატარა ნოველის მიზანი იყო ხალხში შიშის სინდრომის გაქარწყლება, გაქრობა. რადგან ცხოვრების შუა მდინარეში დავცურაობ წინ და უკან, ერთ საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით: თქვენ იცით ლუბამ და მამაჩემმა ქორწილში თითი გაიჭრეს, საკუთარმა დედის შვილებმა, ერთი დედის ნაშობმა და არა გვარის შვილებმა. ლუბას და მამაჩემს ერთი დედა ჰყავდათ. დამთავრდა ქორწილი და წლები ისე მიდიოდა, თითგაჭრილი დობილ-ძმობილები კი არა, საკუთარი დედმამიშვილები ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს. იმ დროს ხალხის გადაადგილების ტრანსპორტი ცხენი და ხარები იყო. ჩვენ ბევრი წვრილფეხ-სხვილფეხი გვყავდა. ოჯახიც ამით იყო მდიდარი, ზამთრის პირი ახლოვდებოდა. საქონელი ბაგურ კვებაზე უნდა გადაეყვანათ. მამამ დედას უთხრა, შევამციროთ საქონელი, ზოგი გავყიდოთ. ვინ იცის, რამხელა ზამთარი მოვიდეს და გაგვიჭირდება შენახვაო. ცოლ-ქმარმა ერთიანი გადაწყვეტილება მიიღეს. შეთანხმდნენ, რომ ორი ძროხა გაეყიდათ და ორიც დაეტოვათ. ხარებს არავითარ შემთხვევაში არ გაიმეტებდნენ, უხაროდ ცხოვრება, მათთვის წარმოუდგენელი იყო. აქედან, ორი კიდევ სახარე, ორიც საფურე, იქ თხები, ცხვრები და დანარჩენი კი ფრინველები იყო გამოსაზამთრებელი. დილაადრიანად მამაჩემმა ძროხები კორბოულის ბაზარზე გასაყიდად წაიყვანა. კლიენტები ბევრი ყოფილან, ამ ბევრიდან ერთი მშვიდი სახის, მოწესრიგებული მამაკაცი მამაჩემისკენ წამოსულა. ახედ-დახედა ძროხებს და ერთი მართლაც ძალიან მოწონებია. დასახელებული ფასიც

მისთვის ხელსაყრელი გამოდგა და სასწრაფოდ მორიგდნენ. ჩამოხსნა თოკი მყიდველმა, ფული გადაიხადა და გზას აჩქარებით დაადგა, რადგან იმასაც ფეხით უნდა ევლო სახლამდე. მამაჩემს შეუჩერებია, გამოუკითხავს, – ვინ ხარ, საიდან ხარო. მყიდველსაც სასწრაფოდ უთქვამს: – ხაშურის რაიონი სოფელ ფლევიდანო. მამაჩემა ნახევრად ტყუილ-მართალით იცოდა, რომ და ჰყავდა და ბოლოს ისიც გაიგო, რომ მისი და ფლევში გათხოვდა და მისი მეუღლე ნოზაძეაო. – შენ მეუღლეს რა ჰქვია? – ლუბა. –

ლუბა? ჩემი და? ძროხის მყიდველ კაცს ცივი ოფლი დაასხა, გაუფიქრებია, – ეს რა ხდება ჩემს თავსო. – თქვენ რა გქვიათ? – კითხვა შეუბრუნებია კლიენტს. – მე ჭიჭიკო მქვია, ისე ორ სახელს ვატარებ. ნიკიფორეს და ჭიჭიკოს, რაშია საქმე რათ გაჩუმდით, რატომ დუმხართ? – ძლივს-ძლივობით წარმოსთქვა. – გაოგნებული ვარო და იქვე ქვაზე ჩამომჯდარა. – ჩემი მეუღლე, სულ საუბრობს მე ძმა მყავს, ვინ იცის წინაც მხვდება და არ ვიცნობო. მამაჩემმა გაჭრილ თითზე დაიხედა და ამოიღმუვლა: – თურმე, მე ქორწილში ხელი გავიჭერი და დის სისხლი დამილევიაო. სიძეს ფული უკან დაუბრუნა და დააბარა, ეს ჩემს დაიკოს ჩემგან მზითებშიო.

დედაჩემს ძალიან გაეხარდა მამიდა ლუბას გამოჩენა. რა წყაროებით შეუთვალა არ ვიცი, ერთ დღეს უცნობი მამიდა გვესტურა, თავისი ლამაზი ცირა ქალიშვილით. შეხვედრის სცენა ძალიან ამაღელვებელი იყო, ცრემლები, სიხარული თავგადასავლების მოყოლა და ასე შემდეგ. მამიდამ ცირა ერთი კვირა დატოვა ჩვენთან. ეს ის ცირაა, ადრეც დავწერე, რუსთავში მამა ანდრია აბაშიძის მეუღლის, დედა ანას დედა. ერთი კვირა მდინარე ძირულაში ბანაობა, თევზის ჭერა, ტყის სოკოს მოგროვება და ასე შემდეგ. ასეთი ლამაზი დღეები ჰქონდა ჩემს ცირას. ასე თენდებოდა და ასე მთავრდებოდა დღე. ცირას არ მოკლებია ტყეში სეირნობა და მდინარეში ბანაობა. მამიდამ ერთი კვირის შემდეგ ჩამოაკითხა, აღარ დატოვა, ორ კვირაში სკოლაც დაიწყებაო,

ამას ასახელებდა მიზეზად ლუბა მამიდა. მაშინ გულნაზის წავიყვანთო პრინციპულად განაცხადა ცირამ. დედაჩემმა უარი არ უთხრა და ახლა მე გავხდი მათი სტუმარი. მახსოვს, ბევრი ნუში ჰქონდათ ეზოში, გარდა ნუშისა ძალიან ბევრი ხილის სხვადასხვა ჯიში. მამიდას ხუთი შვილი ჰყავდა: ჯემალი, ბონდო, ჯიბო, ცირა და ციალა. საღამოთი ფლევში ახალგაზრდები ღამით იკრიბებოდნენ. ჩემს მამიდაშვილებს მეც დავყავდი სასეირნოდ. ამასობაში, სკოლის დროც მოვიდა და მამიდამ ხაშურში წამიყვანა. თუკი რამე მჭირდებოდა სასკოლოდ ყველაფერი მიყიდა, ბოლოს აფთიაქში შევიდა, ხელჩანთა მე დამიტოვა. მეც გავჩერდი და ველოდებოდი მამიდას გამოსვლას. ერთი მოხუცებული ქალი მოვიდა, ძალიან მძიმე კალათა ჰქონდა ბეჭზე შემოსკუპებული, მე რომ მომიახლოვდა ძირს ჩამოდგა. მთხოვა ბაზარში შემატანინეო. ვიქნებოდი ასე მეოთხე კლასში. აღარ მახსოვს ზუსტად. მოხუცს უარს როგორ ვეტყოდი, სახლში სულ ამაზე იყო საუბარი. უფროსს ყოველთვის პატივი ეცითო. შევედით ბაზარში მე და მოხუცი ბებო. მადლობა გადამიხადა და უკან გამოვტრიალდი, გზა ამებნა, ვეღარც მამიდასგან დატოვილი ტანსაცმლით სავსე ჩანთა ვნახე და მამიდაჩემიც არსად ჩანდა. ერთ ადგილზე გავჩერდი. აქეთ-იქით დავიწყე ყურება. არცერთი მხრიდან მამიდა არ ჩანდა. აი, რა მოხდა, მე რომ მოხუცებულს ვეხმარებოდი, მამიდა მოსულა. მე რომ არ დავხვედრივარ, ახლო-მახლო დაუწყია ძებნა. ბოლოს ყვირილით შეუძრია იქაურობა, ძმიშვილი დავკარგეო. ახლა მე დავიწყე ძებნა და ერთმანეთის ძებნაში დავტანჯეთ ერთმანეთი. მთელი ბაზარი ფეხზე დააყენა მამიდამ თურმე, ცალკე მე მეკითხებოდნენ, მამიდაშენს რა ეცვა, როგორი ქალია, მაღალია, დაბალია. ის დღე მამიდასთვის და ჩემთვის შიშით აფორიაქებული დღე იყო. ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვეთ ერთმანეთი. არ გამიწყრა, პირიქით, მეფერებოდა, გულში მიკრავდა. ძალიან ტკბილი იყო მამიდა. მეორე დღეს, ჩემს სახლში ჩამომიყვანა და ეს ამბავი საიდუმლოდ შევინახეთ მამიდამ და ძმიშვილმა.

მამაჩემის სიმამრი, დიანოზ შუბითიძე ანუ ჩემი მეორე პაპა, ტანით საშუალო სიმაღლის იყო. სამაგიეროდ ბებიაჩემი აღათი ტაბატაძე, რომელიც საჩხერის რაიონ სოფელ ვაკისიდან იყო, პაპაზე ორჯერ მაღალი. ეს სოფელი ლიჩთან და ღოდოროსთან არის ახლოს, ამ სოფლის ბავშვები ქალოვანის საშუალო სკოლაში სწავ-ლობენ. ეს ის სკოლაა, ჩემი აწ გარდაცვლილ პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელს რომ ატარებს, რომლის პრემია დაარსებულია მწერალთა კავშირში და რომელიც ოცდაათი წლის მოკლეს. ოცდაჩვიდმეტი წელი მისი გულის სუნთქვას ისევ ვგრძნობ. ეს მისი სიტყვებია: „ყველაზე დიდი სასაფლაო გული“,

მართლაც, გული, რამდენ ტკივილს მარხავს. რამდენი წლის ნაშენებ ამაგის დაუნახაობას კრძალავს და ინახავს. თუმცა ტკივილით, მაგრამ ხომ ინახავს? არ ყვირის, არ წიოკობს, დუმს ისე, ვით მკვდარი დედამიწა. ეს ის სკოლაა, სადაც „დათას“ დედა, ჩემი ძმიშვილი რომ ასწავლის, ეს ის სკოლაა, სადაც „დათამ“ დაამთავრა და თავისი ლამაზი სულით ცაზე ვარსკვლავად ააკაშკაშა უფალმა.

ისევ ბეჟანის სიტყვებს მოვიშველიებ: – „ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი, ისე დათოვა შენი მწვერვალი“. ბაჟანი ამას წინასწარ უწინასწარმეტყველებდა თავის „მეს“. დათამაც დაამთავრა და ერთ გაზაფხულსაც, ვერ მოესწრო, ისე ჩამოთოვა, მის მწვერვალზე. სამაგიეროდ, დათამ დატოვა დიდი სიყვარული, სამარადისო და ჩაუფერფლავი.

დავუბრუნდეთ, აღათი ბებიას. თუ სადმე ვინმეს უთქვამს ვინმეზე საქებარი სიტყვები, ალბათ კი არა და მართლაც, ყველა-ნაირი დადებითი საქებ სიტყვებს იმსახურებს, ცხრა შვილის გამზრდელი ბებია აღათი. თავისი ქალობით, შვილების აღზრდით, მაზლიშვილების და მულიშვილების პატივისცემით. მისთვის, მაზლიშვილ-მულიშვილები არ არსებობდა, ისინი მათი შვილები იყვნენ. თუ ვაჭარბებ, ცოცხლები არიან მეტი წილი, ღმერთმა კარგად ამყოფოთ და შემეპასუხონ. პაპა დიანოზ შუბითიძე, ოოო, ეს ისეთი მკაცრი იყო, სულ თვალებში მიჩერებოდა ბებია, რა ესიამოვნებოდა, რა გაეხარდებოდა. ჰოდა ასეთი მკაცრი სიმამრის ხელში მოხვდა, ისედაც ობლობაში გაზრდილი მამაჩემი.

ერთხელ ტყეში წასულან სიმამრი და სიძე ზამთრის შეშის დასამზადებლად. იქ მამაჩემს უნდა ემუშავა, პაპა ცოტას კი მუშაობდა, მეტწილად ბრძანებას იძლეოდა: – აბა, ეს ხე მოჭერი, ეს არა, რადგან ჯერ ისევ ზრდაშია, ცოდვაა. ეს მოვჭრათ ისედაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ უჩანს! – და ჩემი კუნთძლიერი მამაც ასრულებდა მის ბრძანებებს. ამ სიტყვებს მამას ნაამბობიდან ვწერ, ჩემით არაფერს ვიგონებ, ჩემო ერთგულო მკითხველო. ბოლოს ძალიან მსხვილ და მაღალ ხეზე უთხრა: – ესეც მოჭერი, რადგან უკვე ჩანს თავისი მოუჭამია. ღმერთმა ფლორაც და ფაუნაც ერთმანეთის საარსებოდ შექმნაო. – მამაჩემს ის, დიდი ხე, თვალით რომ ვერ შეწვდებოდი და ათ კაცს რომ დაღლიდა, იმერულად რომ ვთქვა „სიქას“ რომ გააძრობდა, ის ხეც მამას ძლიერი მაჯით ძირს ზღართანით დაცემულა. – ახლა ხარები შეაბი! – ბრძანებას იძლევა დიანოზ პაპა, – ჩაუბი ამ ხეს და გვერდზე გადაწიე თორემ გზა ჩაიკეტა და მეურმეებს გაუჭირდება აქ გავლაო! – სანამ პაპამ სიტყვა დაამთავრა, მამაჩემმა ბუმბულივით აიტაცა ეს ხე და გვერდზე მოისროლა. პაპაჩემი მიაჩერდა გაოგნებული, გაბრაზებული, განრისხებული სახით, უსიტყოდ, უყურა, უყურა და ბოლოს უხმაუროდ თავი დაღუნა და სახლისკენ წავიდა. მისდევს ჩემი ძლიერი და ზრდილობიანი მამა და გულში ფიქ-რობდა: – რა დავაშავე, მთელი დღე ვიმუშავე, ხე, რომელიც ხარებს უნდა გვერდზე გადაეწიათ ხელით გადავაგდე. მიდის პაპა და გვერდზე არ იხედება, მისდევს მამაჩემიც

უსიტყვოდ. ასე მივიდნენ სახლის კარებამდე, მოიხედა პაპამ და მამაჩემს მკვახედ მიახალა: – ხვალაც მჭირდები, მე ხვალაც! ეს მის ენაზე ასე ნიშნავდა: – თავს გაუფრთხილდი, რომ არაფერი გეტკინოსო. – აღათი, – შესძახა ჩემს ბებიას, ამ ურჩი სიძისთვის სადილი მზად გაქვს?! ბებიამ პაპის ხელით გათლილი მაგიდა კედლიდან ჩამოხსნა, რომელსაც კედელზე კიდებდა ხოლმე, რათა დიდი ადგილი ბავშვებისთვის დაეთმო. ბუხარს შეშა დაამატა, ზედ კეცები დააწყო ცხელი მჭადით და კეცებზე შემწვარი წიწილით გაუმასპინძლდა სიძეს ბებია. პაპას კი თვალებში შეჰყურებდნენ ცოლიც და მამაჩემიც, ჭამის დროსაც შენიშვნა არ მიეცა, მკაცრ და შეუპოვარ ერთ ციდა კაცს, რომლის სიტყვასაც დიდი ფასი ჰქონდა დედმამიშვილებშიც!

დრო მიდიოდა...

იყო სიხარული და ტკივილი ცხოვრების აღმართებზე. ამ ლამაზ ოჯახს დღესაც სითბოთი იხსენებენ. ტკივილი კი კვალდაკვალ მიდევს კლდეკაცის შთამომავალთ.

ერთი კი უდავოა, კლდეკაცის ფესვებზე სამი პოეტი ამოიზარდა, ბეჟან, გულნაზ და გვანცა ხარაიშვილები.



ბეჟან, გულნაზ და გვანცა ხარაიშვილები.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის ელჩი

ბატონი აბრამ პაატას ფესვები საქართველოშია. იყო კეთილი, ეს ღვთისგან ბოძებული მადლია. მის გულს დიდი ასოებით აწერია „გულთა კავშირი“. მას ისეთი გული აქვს, რომ მხოლოდ სიყვარული შეუძლია. ქუთაისში გაზრდილს ქუთაისური სითბო თან გაჰყვა ისრაელში. საქართველოში რამდენი რაიონიცაა, ქალაქი, დაბა, სოფელი, ყველგან ცხოვრობს ბატონი აბრამ პაატა. ყველა რაიონის ხელმძღვანელს და ლიდერს სწვდება მისი კალამი. წერს კლასიკურად და სრულიად განსხვავებულად. ეს ღვთით კურთხეული პიროვნება ისე განსხვავებულია, როგორც მზე ყველა მნათობებისაგან. ხშირად ვფიქრობ და უკვე ეჭვიც აღარ მეპარება იმაში, რომ ჩემმა „ათინათმა“ და წმინდა ნინოს ხატმა დამაკავშირა დიდებულ პიროვნებასთან. ყველა კეთილი საქმე მაინც ადამიანთანაა კავშირში. იბადებიან ისეთი სულგრძელებიც, რომლებიც მხოლოდ სიკეთის თესვით ცხოვრობენ. ასეთია პოეტი ნინო უძილაური. პანდემიის პერიოდში მოვახერხე „ათინათის“ გამოცემა. იმ პერიოდში ბატონი აბრამი საქართველოში იმყოფებოდა. ნინომ მომიყვანა იგი და მისი მეუღლე, ქალბატონი ლოლა აკადემიაში. აქედან დაიწყო ურთიერთობები და ეს გაგრძელდება სიცოცხლის ბოლომდე. აბრამ პაატამ მესამე სულიერი შვილიც შესძინა აკადემიას, იზოლდა მოშიაშვილი, რომლის ფესვები ქარელშია და თვითონ კი ისრაელში ცხოვრობს. რა უნდა გამიჭირდეს ასეთი შვილების პატრონს.

არ არსებობს საზღვარი,
საქართველოს შვილებთან,
ჩემი გული მანდ არის,
იორდანის ჯილესთან.
განვიბანე ვამხილე,
იქ, ვთქვი ჩემი სათქმელი,
ფეხს არ ვიცმევ ბახილებს,
სული დამხვდა ქართველი.
ბოროტების რა ვიცი,
სიყვარული მწყურია,
შუღლს და მტრობას განვიცდი,
გული იმერულია.

საამაყოა და ღვთის დიდი მადლია, რომ აბრამ პაატა არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაფორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი. ბატონმა ჯუმბერიმ 3333 დღე იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო თოთხმეტჯერ გინესის წიგნში შესულმა ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ – „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“, რომელმაც მსოფლიოს გააცნო საქართველო. აწ გარდაცვლილ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსებულ საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიას, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თვითონაც იყო, არ შეუწყვეტია მუშაობა და მოკრძალებული ნაბიჯებით დამოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. უკვდავი პიროვნების აკადემიის წევრები არიან ბატონი აბრამ პაატა და ლოლა იოსებაშვილები. აკადემიის წევრია ქარელელი პოეტი იზოლდა მოშიაშვილი. სამი ქართველი ებრაელი, სამების მადლით აღვსილნი საქართველოსა და ისრაელის გზაზე მოგზაურობენ. ბატონი აბრამ პაატა და ლოლა სიკეთის თესვით და იზოლდა მოშიაშვილი კი ლამაზი პოეზიით ასაზრდოებს ორ ერს – ქართველებს და ებრაელებს. კეთილი სულის ცოლ-ქმრის აბრამ და ლოლას დათესილი სიკეთე ორ ერს შორის უთვალავი და უამრავია. ორგანიზაცია „გულთა კავშირი“ რომლის, დამფუძნებელი თვითონაა ბატონი აბრამ პაატა, მიგვა-

ნიშნებს სიცოცხლის იმ ფესვის უკვდავებას, რასაც საქართველო და ისრაელის მეგობრობა ჰქვია. ცხინვალში დაბადებული და ქუთაისში გაზრდილი ბატონი აბრამ პაატა, ქარელელი პოეტი ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი სულის ჰარმონიას ქმნიან და ერთს პოეზია და მეორეს სიკეთის ვარსკვლავი აწერიათ გულის ფიცარზე. სიკეთის მგზავრები ერთად დამოგზაურობენ საქართველოსა და ისრაელს შორის. „გვირილობა“ ქუთათურებისათვის იასავით ნაზი და კოპწია არის. „გვირილობის“ დღესაწაული ყოველ წელს ტარდება ქუთაისში. სამი ქართველი ებრაელი აბრამ პაატა, ლოლა და იზოლდა ყოველ წელს ჩამოდიან საქართველოში და თბილისიდან ქუთაისამდე სიკეთის მარგალიტებს თესავენ. ამ ორი ქალბატონის გზის გამკვალავი ბატონი აბრამ პაატა არის. ქალბატონ იზოლდამ საუბრის დროს ისიც კი აღნიშნა რომ, აბრამ პაატა და ლოლა ერთ-ერთი რეისის დროს საჩუქრების ყიდვით ისე გაერთნენ თვითფრინავის გაფრენის დროც კი დაავიწყდათ და მგზავრების საყვედური აიტანეს, იმის გულისთვის ოღონდაც ქუთაისელებისათვის საჩუქარი ჩაეტანათო. ცხინვალში დაბადებულმა ბატონმა აბრამ პაატამ ქუთაისში გაარძელა ცხოვრება და სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ოჯახის ისრაელში გადასვლის გამო, მეხუთე კურსის დასრულება მოუწია ქალაქ ხაიფის პოლიტექნიკურ ინსტიტუში. უნიჭერესი ქართველი ებრაელი ანგელოზის რკალს ავლებს საქართველოსა და ისრაელს. საქართველოში და თითქმის მთელ მსოფლიოში ადამიანობის კრიზისი დადგა. აი, ამიტომ დაარსეს „გულთა კავშირი“. ორგანიზაციის დევიზია სიყვარულის კიდობანის შექმნა. კიდობანი ყველანაირ კატაკლიზმებს გაუძლებს. ამ კიდობანში მოხვედრილი მგზავრები ქართველები და ებრაელები გააგრძალებენ სიცოცხლეს უკუნისამდე.

უკვდავების გემის მგზავრებს,
ქართველებს და ებრაელებს,
ღმერთი ღვთის მადლს დაამგზავრებს,
სიკეთის მზედ აბრიალებს.

სწორედ სიყვარულის მზის ნარუჯი მიწის შვილია, აბრამ პაატა და ეს მზე არასოდეს ჩავა.

ბედნიერებაა, იყო ორი სამშობლოს შვილი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში, არქიტექტორი, აკადემიკოსი პაატა იოსებაშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, როცა მშობლებთან და სამ ძმასთან ერთად ისტორიული სამშობლოსკენ დაძრულ ებრაელთა პირველ ტალღას ამოჰყვა ისრაელში 1974 წელს. რთული აღმოჩნდა ახალ, უცნობ ქვეყანაში ცხოვრების ნულიდან დაწყება... პაატას მამამ ზეთის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, დედამ, პროფესიით პედიატრმა, მალე აითვისა ენა და კლინიკაში მოეწყო.

პაატამ ჯერ ებრაული ენის შესწავლის ექვსთვიანი კურსი გაიარა, მერე სწავლა ხაიფას მსოფლიოში ცნობილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არქიტექტურულ ფაკულტეტზე განაგრძო, თან ოფიციანტად დაიწყო მუშაობა, რომ საკუთარი ჯიბის ფული ჰქონოდა...

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი პაატა ასე იხსენებს ამ პერიოდს:

„ჩვენი მამა-პაპა ყოველდღე ასე ლოცულობდა: მომავალ წელს ღმერთმა გვაღირსოს იერუშალაიმში ასვლაო. 26 საუკუნის მერე მამაჩემის თაობას ეღირსა ეს დღე. ეს იყო პირველი თაობა, რომელმაც მთელი სიმწარე საკუთარ ზურგზე გადაიტანა.

საკუთარი თავი არ მეცოდებოდა, მამა მებრალებოდა. მეცოდებოდნენ მამაჩემის მეგობრები, არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც საქართველოში კარგად ცხოვრობდნენ და იქ, ასაკში შესულები, ფაბრიკა-ქარხნებში წავიდნენ სამუშაოდ.

ეს იყო ისრაელის პროპაგანდა – ჩამოდით სხვადასხვა ქვეყნიდან და ისრაელი ააშენეთო. მეც ყოველთვის ვამბობდი, რომ მე ჯერ ისრაელი უნდა ავაშენო და მერე მე უნდა ავშენდე-მეთქი,

მაგრამ სინამდვილეში ძალიან გვიჭირდა...

20 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ფეხზე მყარად დავმდგარიყავი. ოჯახი შევქმენი, შვილები წამომეზარდნენ. დღეს ძლიერები ვართ. ქართველი ებრაელები ყველაზე ძლიერი თემი ვართ. ჩვენი სიტყვა ვთქვით, მყარად დავდექით ფეხზე და მიუხედავად ყველაფრისა, ქართული ენა და კულტურა მაინც არ დავივიწყეთ."

დღეს ბატონ პაატას კერძო არქიტექტურული ფირმა აქვს, მანამდე კი, წლების მანძილზე, ქალაქ ხაიფას მთავარი არქიტექტორი იყო. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. მისი შვილი რან იოსები მაღალი რანგის სამხედრო პირი და ისრაელის გმირია.

ბატონი პაატა ხშირად სტუმრობს საქართველოს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებასა და პრეზენტაციაზე დასასწრებად და როგორც თვითონ ამბობს, ქალაქიდან ქალაქში დააქვს ორი ერის მეგობრობა.

2024 წელი 5 მაისი. აღდომის ბრწყინვალე დღესასწაული და ჩემი დაბადების დღე. პირველი მოლოცვა ისრაელიდან მივიღე. გმადლობ სიკეთის დესპანო ბატონო აბრამ პაატა, თქვენი მეუღლე ქალბატონი ლოლა და მე ერთ დღეს ვართ დაბადებული, ყველანაირი სიკეთე მისურვებია ქალბატონი ლოლასთვის. ბატონი აბრამ პაატა სრულიად განსხვავებული პიროვნებაა, ის მთელ საქართველოს ეფერება. ეს არის მსოფლიოში სიკეთით გამორჩეული პიროვნება. ქუთაისში დაბადებულ და გაზრდილ ქართველ ებრაელს ქუთაისური სითბო გაყოლია ისრაელში და იქ უფალთან სიახლოვის მადლს გზავნის თიოეულ ქართველის მისამართით. სიკეთის დესპანის მეუღლეს ქალბატონ ლოლას მთელი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. ქალბატონო ლოლა, ბატონი აბრამ პაატა არ მიწყენს თუ ვიტყვი იმას რომ, თქვენ ერთი გული გაქვთ, ერთნაირად ფიქრობთ და იღებთ სიკეთისა და სიყვარულის გზავნილების გადაწყვეტილებებს. საქართველოში კი გყავთ თქვენი მიმდევრები. ხარაგაულში ქალბატონი იზა ვეფხვაძე და თბილისში ნინო უძილაური. ჰოდა, თქვენი სულიერი დედა გულნაზი გეფერებათ და სამადლობელ სიტყვებს გზავნის ისრაელში. 2024 წლის ხუთი მაისი საერთოდ მაფიქრებდა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ განსხვავებული ყოფილიყო. აი, სახეზეა რაც მოხდა, მოლოცვა ისრაელიდან.

წერილი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ „ა თ ი ნ ა თ ი ნ ი ს" რედაქტორს, საოცარ ადამიანს, გულთბილსა და ენატკბილს, ხალხის სიყვარულს, პოეტს, მსურს ახლო წარსულში მიმოწერის ეს მშვენიერი დიალოგი აღვწერო:

ბ ა ტ ო ნ ო პ ა ა ტ ა,

ჟურნალი „ათინათი", რომელიც წმინდა ნინოს ხატით გამოდის, გამოვიდა, სადაც თქვენდამი მოძღვნილი ქალბატონი მადონა დვალის წერილია დაბეჭდილი და პატარა მოსაფერებელი მწირი სიტყვა ჩემგანაც მიუთბუნე, რომ კარგად მყავდეს ჩემი აკადემიის შვილი აბრამ პაატა იოსებაშვილი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია მადლობას საჯაროდ უცხადებს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ მ ა ყ ვ ა ლ ა გ ო ნ ა შ ვ ი ლ ს!

ბატონო აბრამ პაატა, თქვენი კანდიდატურა, ქალბატონმა მაყვალამ წამოაყენა აკადემიაში და სიხარულით გადმოგეცით საერთაშორისო აკადემიის დიპლომი.

მიხარია, რომ სიტყვა მეთქმის ისეთ პიროვნებასთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მეიმედებით, მეამაყებით და გლოცავთ აკადემიის შვილო აბრამ პაატა იოსებაშვილო!

ეს საოცარი და მოულოდნელი წერილი ჩემ ერთ ერთ პოსტში მომწერა ძვირფასმა ქალბატონმა, პოეტმა, აკადემიკოსმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი სა-

ერთაშორისო აკადემიის დამაარსებლებმა და მისმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა!

ქალბატონო გულნაზ, გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც თვენ ბრწყინვალებას არა ერთხელ უთქვია, არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ხალხს უყვარხარ და აფასებს შენს გაწეულ ღვაწლს ხალხის საკეთილდღეოდ!

თქვენი სიტყვებით, თქვენი ჩემში ღრმა რწმენით, პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში გაწევრიანებით და მისი დიპლომით დაჯილდიებით მომანიჭეთ დიდი სიხარული და ბედნიერება, რაც ჩემთვის ყველანაირ ღირებულებაზე მაღლა დგას!

და ბოლოს,

ქალბატონო გულნაზ, უძვირფასესო და უკეთილშობილესო ადამიანო, გილოცავთ

დაბადების დღეს!

უკვდავების დღეს!

გისურვებთ მზით გაბრწყინებულ დღეებს, თვეებს და წლებს, ურყევ ჯანმრთელობას, ბედნიერ წელთა სიმრავლეს, რომლებსაც ისევ და ისევ

თქვენდამი ღრმა პატივისცემით და თქვენ შვილებს, აკადემიის წევრებს ახარჯებთ და უნაწილებთ, თავს დაფუსფუსებთ, ლოცავთ და ლოცავთ!

იმ გარემოსაც დაგილოცავთ სადაც თქვენი კურთხვა-ლოცვა ფასდება!

უსაზღვრო სიყვარულით,

ლოლა და აბრამ პაატა იოსებაშვილი!

საერთაშორიო ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანები“-ს
დამფუძნებელი და მისი პრეზიდენტი.
საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში.
საქართველოს მწერალთა კაშირის დიპლომირებული „ღვაწლმოსილი“.
საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე.
ხარაგაულის საპატიო მოქალაქე, ხარაგაულის კარიბჭეს გასაღების, ჯილდოს და ნამდვილი
ოქროს მედლის მფლობელი!
საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!
დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი და
სრულუფლებიანი წევრი!
ფაზისის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის
დიპლომირებული წევრი, მისი ოქროს მედლის მფლობელი!
6 სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის წევრი
დიპლომირებული აკადემიკოსი!
არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიისა და „გულთა კავშირის“ ურთიერთობა ასე დაიწყო:

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის რასაც წერს ბატონი აბრამ პაატა ქართველ ებრალების მეგობრობაზე. მსოფლიოში უნიკალური ფენომენი, ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა, რომელიც დღეს აღიარებულია, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, არ არსებობს დიდი სიყვარულის გარეშე!

საუკუნეებია, თაობიდან თაობამდე, ერთად ვქმნით და ვამდიდრებთ ჩვენს საერთო კულტურულ მემკვიდრეობას და ამით ვაძლიერებთ ერთმანეთს.

რამდენად უძვირფასესი და დასაფასებელია ორ მოძმე ერს შორის მრავალსაუკუნოვანი ერთგულება, ნდობა და იმედი.

ჩვენ ერთმანეთისთვის თავს ვწირავდით, რისი გასაოცარი მაგალითები ბლომად გვაქვს.

ჩვენი წინაპარი მამა-პაპანი საქართველოში, საქართველოსათვისაც ლოცულობდნენ, ამას ჩვენი წმინდათა წმინდა წიგნი – თორა, გვკარნახობდა და გვავალებდა!

ჩვენი რაბინების გადმოცემით, ქართული მიწა წმინდა მიწად იყო და არის აღიარებული, რადგან უღირსი ადგილი საუკუნეების მანძილზე, ვერ დაიტევდა ამდენ ქართველ და ებრაელ წმინდანს!

ურთიერთობის ტრადიცია დღესაც არ ნელდება, იგი გრძელდება და ვითარდება, თუმცა გაძლიერება სჭირდება!

გ ა ვ ი ხ ს ე ნ ო თ

ჩვენი ერების კარგად შემონახული ისტორიული და ბიბლიური ძველი ისტორია:

ძველი წმინდა დედაქალაქები, მცხეთა და იერუსალიმი, უცვლელი სულიერი ცენტრები, ქართულ-ებრაული ურთიერთობების საუკეთესო მაგალითია!

მცხეთაშია დაკრძალული საქართველოს ეკლესიის პირველი წმინდანები, ქართველი ებრაელები, წმინდა სიდონია და მისი დედა.

აღსანიშნავია, რომ სვეტიცხოველში იკურთხებოდნენ წმინდა დავით წინასწარმეტყველის, ანუ დავით მეფის შვილის, ბრძენი სოლომონ მეფის, ანუ შლომო ჰამელეხის შთამომავლები, ბაგრატოვანი ქართველი მეფენი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ საქართველოში, სხვა ერების ქვეყნებთან განსხვავებით შეუფერხებლად და უვნებლად, დაიცვა ებრაელმა თემმა თავისი რჯული, ტრადიციები და ადათ-წესები... მხოლოდ ეს საკმარისია განაპირობოს ურთიერთობების უნიკალურობა!

ამ უნიკალურმა ურთიერთობამ 27-ე საუკუნის დღევანდელ სინამდვილეში ჩვენთან ერთად სიამაყით შეაბიჯა.

ეს ურთიერთობა ცოცხლობს, ფეთქავს და უფრო მეტს გვპირდება, რაც ჩვენი, დღევანდელი თაობის დამსახურებაა, ამ უპრეცედენტო მეგობრობამ რამდენიმე წლის წინ ეროვნული მნიშვნელობის სტატუსიც მოიპოვა.

ორი ერის ასეთ მრავალსაუკუნოვან ერთგულ მეგობრობას მსოფლიო მასშტაბით ანალოგი არ გააჩნია!

26 საუკუნეზე მეტი დევნილობაში გავატარეთ და წმინდათ შევინახეთ ჩვენი რწმენა, ჩვენი თორა.

მათი დამსახურებით შევინარჩუნეთ ტრადიციები, ადათ წესები, ჩვეულებები, ოჯახის სიწმინდე.

დღეს ახალგაზრდა ისრაელის სახელმწიფო მაღალ-მორალური, ზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული, ძლიერი ქვეყანაა, მაღალი ჰუმანიტარული კრიტერიუმებით, სადაც დაცულია ყოველი ადამიანი.

ქართველები და ებრაელები ორი უძველესი და კულტურული ხალხი ვართ, ერთმანეთის ტრადიციების პატივისცემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მრავალსაუკონოვანი თანაცხოვრების ისტორიის ასეთი ღირსეული ფურცლების დაწერა!

ჩვენ საქართველოს ებრაელები და სხვა რელიგიების ხალხები საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ვცხოვრობდით ერთად საქართველოში, ჩვენს შორის განსხვავების მიუხედავათ ჩამოგვიყალიბდა მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურა, რაშიც თითოეულმა მხარემ საკუთარი წვლილი შეიტანა.

ერთმანეთთან ურთიერთობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რომელსაც მოფრთხილება და მომავალი თაობებისათვის უვნებლად გადაცემა სჭირდება.

საქართველოდან ამოსვლის შემდეგ, მხოლოდ ქართველმა ებრაელებმა გამოავლინეს ერთგულება და განსაკუთრებული სიყვარული თავისი მეორე სამშობლოსადმი, ერთგულება ქართული ენისა და კულტურისადმი.

თანამედროვე რეალობამ ადამიანების სასარგებლოდ დიდ მიღწევებს მიაღწია. კეთილი სურვილის მქონე ადამიანებისთვის მიმინდვია ამ უნიკალური ურთიერთობების შენარჩუნება, გაღრმავება და განმტკიცება.

იმ დროს, როცა მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და მთელი სამყარო განსაცდელს ებრძოდა, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ქართველ-ებრაელთა დაინტერესებულ ჯგუფთა ერთობლივმა სურვილმა შექმნა საჭიროება ჩამოყალიბებულიყო ახალი ორგანიზაცია.

ორი წელიწადი მსოფლიოში პანდემია გიზგიზებდა, შეკავდა საერთაშორისო ორგანიზაციის, გაერთიანება „მეგობრობის მერიდიანების“ ჩამოყალიბება. გადავწყვიტეთ, მეტს აღარ დაველოდებოდით.

ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ !

პანდემიის ქარ-ცეცხლის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა საერთაშორისო გაერთიანება „მეგობრების მერიდიანები“. გამოდის მისი საინფორმაციო წყარო, ჟურნალი

„მეგობრობის მერიდიანი“. გამოიცა ჟურნალის მე-3 ნომერი.

ამ მამაშვილური და ისტორიული მნიშვნელობის საქმის ირგვლივ გაერთიანდნენ სიტყვა-საქმიანი გულმნათი და გულანთებული ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები!

ქართულ-ებრაული ურთიერთობა ურყევი ფენომენია, მართალია, ფერმკრთალია, მაგრამ დავიწყებას არ მიეცემა. ის ორი ერის მომავალ ჰაიტეკის თაობებს ჯანმრთელი, უვნებლად უნდა გადაეცეს.

ქართულ-ებრაული ურთიერთობის ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანები“ და იმავე სახელწოდების ჟურნალი, ქართველი და ებრაელი ერის მარადიული მეგობრობის კუთვნილება იქნება.

სხვა დასახულ მიზნებთან ერთად, ჩვენი მიზანია საქართველოში არსებული ებრაული მემკვიდრეობების პოპულარიზაცია, მეცნირული კვლევა, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების განახლება, შესწავლა და გაღრმავება, რაც ჩვენს ერებს შორის საუკუნეობრივად არსებობს და მისაბაძია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის!

მივცეთ ახალგაზრდობას საშუალება, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და წარუდგინონ ფართო საზოგადოებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი თაობების სასურველ განვითარებას და პროფესიულ ზრდას!

აბრამ პაატას ცხოვრებაში ყოველი დღე უფლის არის. ამიტომაა, რომ მას უამრავი პოეტი უძღვნის ლექსს:

ყველა დღე უფლის დღე არის

წმინდა სანთლები მოგვართვი,
წმინდა ადგილის მიწიდან,
სიწმინდის სულის ნობათით,
თქვენს მოსვლას ყველა უცდიდა.
მოხვედი, დაგხვდა სიმშვიდე,
ჩვენც რაც შეგვეძლო გაამეთ,
სანამ გულს გადაგიშლიდეთ,
კარი წინასწარ გავაღეთ.
ძმობა, ერთობა განახლდა,
სანთლის ალები ცას აწვდა,
გვიამბე რაც თავს გადაგხდა.
კვლავ ის ვიწამეთ რას გვწამდა.
ბრძოლის დროს არა ვწუწუნებთ,
ჟამთა სვლას არ ვუშინდებით,
გულს დარდი გამოუწურეთ,
ღრუბელშიც გამოვბრწყინდებით.
ებრაელსა და ქართველებს
გვაქვს ოდით ძმობა ზიარი,
ღვთის ძალა გაგვაჯანმრთელებს,
ყველა დღე უფლის დღე არის!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ნინო უძილაური

სიკეთის, სიყვარულის და
მეგობრობის ნათელი სხივი

ძნელია ისაუბრო ადამიანზე, რომელიც სიკეთედ ეფინება მთელ სამყაროს, ნაცნობს თუ უცნობს, მოკეთეს და მოშურნესაც კი....ბატონი აბრამ პაატა იოსებაშვილი, უამრავი ლეგალიების მფლობელი: საერთაშორისო ორგანიზაცია " მეგობრობის მერიდიანები"-ს და ჟურნალის დამფუძნებელი და მისი პრეზიდენტი. საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში. საქართველოს მწერალთა კავშირის დიპლომირებული " ღვაწლმოსილი ", საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე. ნამდვილი ოქროს მედლის მფლობელი, პროფესორი, აკადემიკოსი, არქიტექტორი. მისი მიზანია ადამიანებს შორის სიკეთისა და სიყვარულის განმტკიცება, პრიორიტეტი ადამიანია, რომლისთვისაც სიცოცხლე შეუძლია გაიღოს, თუ საჭიროება მოითხოვს, უანგაროდ ემსახუროს ქართულ-ებრაული მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას. მან სისხლხორცეულად, ღმერთის დონემდე აიყვანა ორი სამშობლოს სიყვარული და მუხლჩაუხრელად ემსახურება იმ დიად იდეას, რასაც წმინდა, უღალატო მეგობრობა ჰქვია, სურს თაობებს გადასცეს ქართულ-ებრაული მეგობრობის უწყვეტი ჯაჭვი და ამ მეგობრობის სიმტკიცე კიდევ უფრო განამტკიცოს, რამეთუ მეგობრობა ურყევი და დიდი ძალაა ადამიანებისთვის.

უამრავ ქველმოქმედებასთან ერთად, რასაც ბატონი პაატა და მისი არაჩვეულებრივი, უსათნოესი და უსაყვარლესი მეუღლე, ქალბატონი ლოლა ახორციელებენ, ქართული მწერლობის დიდი ქომაგებიც არიან, თუნდაც ის ფაქტი, რომ დააარსეს ქართველი ებრაელი პოეტის, ნანა შაბათაშვილ-დავარის სახელობის კონკურსი. მათ ქველმოქმედ ოჯახს კიდევ ბევრი კეთილი გეგმები აქვთ დასახული საქართველოში განსახორციელებლად...

ძნელია ისაუბრო სიკეთის ელჩზე, ადამიანზე, რომელიც უანგარო სიკეთედ ეფინება მთელ სამყაროს, ნაცნობს თუ უცნობს, მოკეთეს და მოშურნესაც კი....ძნელია ისაუბრო აბრამ პაატა იოსებაშვილზე, სიკეთის, სიყვარულის და მეგობრობის ნათელ სხივზე.

აი, რას წერს ორგანიზაცია „პოეტები საქართველოსი“ ხელმძღვანელი **მანანა სამყურაშვილი**

– პაატა იოსებაშვილი – ჩემი თვალთახედვით და დაკვირვებით უნიჭიერესი, უკეთილშობილესი ადამიანია.

– მას რამდენიმე ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი აქვს, მისი ნიჭიერებით სავსე გულს დიდი მოწყალების გაღება და გაჭირვებულის გვერდში დგომა შეუძლია.

– კაცი რომელსაც სიკეთის კეთება აცოცხლებს, მას შეუძლია სხვისი გაჭირვების გამო ცრემლის ზღვაში იცუროს, ათასგვარი გამოსავალს იპოვის შორიდან, ისრაელის მადლიანი კუთხიდან, გვერდში აქ, საქართველოში მყოფივით მცველ ბურჯად დაუდგეს.

– მისი სულიდან სიკეთე უშრეტ მდინარედ მოჰქუხს, ნაცნობ-უცნობთა ქომაგი და დიდი გულშემატკივარია. საქართველოში – ნებისმიერის ქომაგი და გულშემატკივარი ხშირად თვალცემლიანია, დიდი წუხილით ამცნობს მეგობართ ფეისფუქზე, თა-

ვის გვედრდში გაზრდილი მეგობრების, ან მისი ოჯახის წევრების გარდაცვალებას. საოცარი შინაარსის წერილით ცრემლის ზღვაში მოგაცურებს, იტირე მკითხველო, საქართველომ დიდი განძის ტოლფასი ადამიანი დაკარგაო...

– ასეთივეა დაბადების დღეების მილოცვა, ექოსავით გადაუვლის, ფეის გვერდს, მისი სიხარული უნდა გაითავისო და აჰყვე სიხარულის ფერხულს. როგორ შეიძლება მას ვინმეს ჭირი ან ლხინი გამორჩეს ან გვერდში დგომა დაასწრონ, ეს არის დიდი ადამიანობა,

უფლისა და მოყვასის სიყვარული.

– საამაყო თვისებებით დაუჯილდოვებია უფალს ორი სამშობლოს შვილი, დიდი მეცენატი, საქართველოსა და ისრაელის განურჩევლად მოსიყვარულე, უფლის შვილი.

– დიდი და საამაყო ოჯახის უფროსს, მის მოწყალე და სიყვარულით სავსე გულს უამრავი ნაშვილობები ყავს. მის მადლის, საქართველოსთვის გაკეთებული სიკეთეების ჩამოთვლა გაჭირდება, ტომები შედგება.

– პაატა იოსებაშვილი თვალს არ აცილებს გამზრდელ საქართველოს, ყოველ წუთს დასტრიალებს ფიქრებით, თითოეული ოჯახის ჭირის და ლხინის გამზიარებელს, მის გამჭრიახ და შორსმჭვრეტელ თვალს და გულს ესმის, ყოველ წუთსა გრძნობს გამზრდელი სამშობლოს გულის ფეთქვას.იშვიათია ასე სამშობლოზე გულანთებული და შეყვარებული, სამშობლოსთვის შორიდან ანთებული სანთელივით იწვის მისი სიყვარულით სავსე გული.

– მისი სპეტაკი სული მტრედივითაა, შემოფრინდება ნანატრ სამშობლოში თუ არა, ყველა ოჯახს ჩამოუვლის, კარზე ღუღუნით მიუკაკუნებს, გაიგებს რა ხდება და იმავ წუთიდან ექოდ გადაევლება მისი ხმა, აღარა წყდება დაბადების დღის მილოცვა, მიცვალებულთა ოჯახების გვერდში დგომა, ხანმოკლე სტუმრობით ყველას მოფერება-მოსიყვარულებას ასწრებს.

– უფალს მისთვის სპეტაკი, კაცთმოყვარე გული აქვს ნაბოძები, რომელიც მთელ საქართველოს იტევს. მისი სული ორი სამშობლოს საამაყო ისტორიითა ამაყობს. საქართველოსა და ისრაელის შვილი, ქრისტესა და მარიამის შვილი ამაყია რომ ორივე სამშობლოთი ქრისტიანია და მისი პაექრობა უფალთან ათი მცნებაა...ამაყია რომ უფალი ორივე სამშობლოში მცველად ახლია და ორივე სამშობლოში ერთი ანგელოსთა დასი მიუძღვის, ყველა ფეხის გადადგმაზე ნაცნობი სერაფიმთა გალობის ხმა ესმის.

– იდღეგრძელეთ, იმზეგრძელეთ ქრისტესა და მარიამის შვილო, მზის უბეში გამოზრდილო, სითბისა და სიყვარულს, მარიამის კალთაში მოფერებასა და ქებას ნაჩვევო, სულით სპეტაკო ბრძენ კაცო!

ბატონი აბრამის სიკეთეს ემიგრანტებიც ეხმაურებიან:

ბელა მოდებაძე

იყო სამშობლოსგან ძალიან შორს, მაგრამ სამშობლოსთან ძალიან ახლოს, ეს რჩეულთა ხვედრია. ნატრობდე საკუთარ ფესვებს, რომლისგანაც დროებით უცხო მიწაზე გადარგული ნერგი გერქვას...ნერგი, რომელიც თითქოს ხარობს, ფოთლებს აშრიალებს, ყვავილთა სურნელით სასიამოვნო გარემოს უქმნიდეს მის გარშემომყოფთ, მაგრამ გულში დიდი სევდა და დარდი დაჰქონდეს... დარდი მონატრების...სამშობლოდან შორს ყოფნის... სწორედ ასეთი ადამიანი გახლავთ ბატონი აბრამ პაატა.

არც თუ ისე დიდი ხანია, ფეისბუქის საშუალებით გავეცანი მის პიროვნებას, შემოქმედებას და მასზე უდიდესი შთაბეჭდილება შემექმნა.ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში, დედა გულნაზის და ასეთი უთბილესი

პიროვნებების გვერდით მიწევს ჩემი მოღვაწეობის დაწყება. ბატონი პაატა მაგალითი იმისა თუ, როგორი რუდუნებით უნდა ემსახურო ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას, შენი ტრადიციების წარმოჩენას უცხო ქვეყანაში და პოპულარიზაცის გაწევას. თავად შემოქმედი, სხვების სიკეთეზე ზრუნავს. დალოცვილი მინდა გვყავდეს უფლისაგან ბატონი აბრამ პაატა თავისი ოჯახით და საყვარელი ადამიანებით. მინდა ვუსურვო წარმატებები, როგორც საზოგადოებრივ, ისე შემოქმედებით საქმიანობაში საზღვრებს მიღმა და ასევე მშვიდობიან საქართველოში.

პაატა იოსებაშვილის ანუ, ლეგენდარული არქიტექტორის კვალდაკვალ...

ია ჯღარკავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი

ქართულ-ებრაული ურთიერთობა ფენომენია, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ეს 26-საუკუნოვანი მეგობრობა არამატერიალურ ღირებულებასაც გულისხმობს, რომელსაც, ე აღიარებს სწორედ ისეთი ადამიანების ინიციატივით და დამსახურებით, ა იოსებაშვილია!

ლტურის დიდი ქომაგი“ – ამაზე დიდი წოდება რა უნდა იყოს?! დროს ინვე საქართველოსკენ მოეშურება. ჩქარობს, მის თითოეულ კუთხეს თვა-

ბავშვივით შეჰხარის მის მიმართ გამოთქმულ თითოეულ სიტყვას და მადლიერებით ივსება.

მახსოვს, მწერალთა კავშირში შევხვდით ერთმანეთს. პოეტური კონკურსის დასკვნით ეტაპზე მიგვიწვია. კონკურსი ხომ ყოველთვის დაძაბულია თავისი შინაარსითა და კრიტერიუმით, მაგრამ ის დღე ასეთი არ ყოფილა, რადგან ყველას სჯეროდა ბატონი პაატას მიუკერძოებლობის. აქედან გამომდინარე, როცა ადამიანი ინტელექტუალობასთან ერთად პიროვნულ ღირსებასაც ყოველ ნაბიჯზე ავლენს, ღირსია ისევე იყოს პატივცემული და დაფასებული, როგორც ეს ბატონი პაატას მიმართ ხდება.

პაატა იოსებაშვილის სახელი არაერთ მნიშვნელოვან იდეას უკავშირდება. დააკვირდით ზოგიერთ სახელწოდებას: „გულთა კავშირი“, – ორგანიზაცია, რომელიც შექმნა და ფეხზე დააყენა, ლეგენდასავით პოპულარული გახადა მისი პრეზიდენტობის დროს.

ან ახალი ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანები“, დღეს საქვეყნოდ ცნობილი და საიმედო ორგანიზაცია. სიტყვასა და სახელს ხომ უდიდესი ძალა აქვს სამყაროში?! ამაზე ჰუმანური და ხალხთა შორის სიყვარულის მთესველი ჟესტი განა ხშირად გვინახავს?!

ვფიქრობ, ბატონ პაატას „სიკეთის ელჩის“ წოდება ძალიან მოუხდება.

მასზე საუბრისას ხშირად ვახსენებთ ქველმოქმედებას, რომლის მიღმა მართლაც დიდი სულგრძელობა და გულისხმიერება დგას. საქმე ისაა, რომ მისი ოჯახიც დიდსულოვანია და ხელს უწყობს, სტიმულდაუკარგავად აგრძელებდეს ამას. რამდენჯერ გვინახავს მისი მეუღლის, ქალბატონი ლოლას (მარინას) გაბრწყინებული თვალები, როცა სხვების სახეზე კმაყოფილებას ხედავს ან როცა სხვისი წარმატების მიზეზია!..

ბატონი პაატა ყველაფერს აკეთებს, რათა ქართულ-ებრაული სიყვარული და მეგობრობა არ განელდეს, „პირიქით, უნდა გაღრმავდეს!“ – იძახის.

ეს პიროვნება არა მხოლოდ ქალაქ ხაიფის პროფესიონალი არქიტექტორია, არამედ ხალხთა შორის მეგობრობის არქიტექტორიცაა და ამიტომ ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სტიმულს, რათა თავისი ნიჭი და ძალა მსოფლიოში მშვიდობას მოახმაროს.

ვუსურვებთ, ყველა მისი ჩანაფიქრი და სურვილი განხორციელდეს, ეს ხომ დიდ სიკეთეს მოუტანს მის ორ სამშობლოს!

ორი მოძმე ერის – საქართველოს და ისრაელის, მუდმივ მზრუნველს და მოამაგე შვილს – პაატა იოსებაშვილს

ფიქრია ბროლაშვილი იურისტი, პოეტი და მხატვარი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

პაატა იოსებაშვილი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ებრაელია. უმაღლესი სასწავლებლის დასრულებამდე მშობლებთან ერთად ასული თავის ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში.

წარმატებით დაამთავრა ქალაქ ხაიფის პრესტიჟული პოლიტექნიკური უნ[illegible]დენიმე წლის შემდეგ მოგვევლინა ისრაელის ჩრდილოეთის ულამაზესი ქალაქ ხაიფის მთავარ არქიტექტორად. მისი ზრუნვით ხაიფა უფრო დამშვენდა და უფრო გაიზარდა, ის სიდიდით მესამე ქალაქია ისრაელში, თელ-ავივის და იერუსალიმის შემდეგ.

სიმწვანეში ჩაფლული, ზღვის, მთის და ბარის ქალაქი, მისი ულამაზესი გაშენებით ალბათ პირველ ადგილზეა.

ამით ქართველმა ებრაელმა, პაატა იოსებაშვილმა, თავისი მშობელი – საქართველო ასახელა.

პროფესორ-აკადემიკოსს, საქართველოს კულტურის დესპანს ისრაელში, ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ ერთ ერთ დამფუძნებელს და მის პირველ პრეზიდენტს, უნიჭიერეს თაოსანს, ხელმღვანელს და ორგანიზატორს, ღვაწლმოსილ საზოგადო მოღვაწეს, მრავალი ჯილდოს და დიპლომის მფლობელ ბატონ პაატა იოსებაშვილს მინდა მივულოცო ეს მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენა, ფაქტი (მის შესახებ წიგნი იწერება საქართველოში. რედ.). დიდი დამსახურება უნდა

ჰქონდეს ადამიანს, რომ მის შესახებ დაიწეროს წიგნი... დიდი მადლობა ჩემს დედასამშობლო საქართველოს, ჩემს კოლეგებს, გულმნათ ქართველებს, რომ გდაწყვიტეს, ღირსეულად დააფასონ ღვაწლმოსილი ქართველი ებრაელის უანგარო ამაგი და დიდი სიყვარული საქართველოს და ქართველი ერის მიმართ!..

მრთლაც, ძნელია მოიძებნოს ისეთი ქველმოქმედი, პატრიოტი და გულანთებული ადამიანი, როგორიც გახლავთ ბატონი პაატა იოსებაშვილი, ორ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და ქართულ-ებრაული ურთიერთობის ქომაგი. სწორედ ამ გულისძგერით ჯერ კიდევ პანდემიის დროს, მან ჩამოაყალიბა ახალი ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანები“ და ამავე სახელწოდებით დააარსა ჟურნალი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში.

და დღეს როდესაც საშვილიშვილო წიგნი იწერება ამ მეტად ღირსშესანიშნავ ადამიანზე, მინდა მივმართო:

უკეთილშობილესო, მეტად თბილო და ყურადღებიანო მეგობარო, გულმართალო და გულალალო, მინდა ყოველივე საუკეთესო გისურვოთ და ის სიკეთე, რაც თქვენ დათესეთ თითოეული ადამიანის წინაშე, ფიანდაზად დაგეფინოთ თქვენ და თქვენს მომავალ თაობას.

მიყვარხართ გაფასებთ, მეამაყებით და მეძვირფასებით!

იზოლდა მოშიაშვილი

* * *

ამ ქვეყნად ყველაფერი ხომ დროებითი და წარმავალი, ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება, რამდენი წელიც არ უნდა ვიცხოვროთ, მაინც თითქოს ერთი ამოსუნთქვაა და ნეტავი მას, ვისაც შეუძლია ცხოვრების ყოველი დღე მიზანდასახულად გამოიყენოს, რადგან რაც იყო დღეს ხვალ უკვე ისტორიად იქცევა.

ჩვენ, საქართველოდან გამოსული ებრაელობა, ვერ ვივიწყებთ იმ ლამაზ მხარეს, სადაც დავიწყეთ ცხოვრება, შევისისხორცეთ ქვეყნის ადათ წესები, და აქ, ჩვენს ისტორიულ სამშობლოში ცხოვრებისას, თითქოს გაორებული გვაქვს ჩვენი ყოველდღიურობა. უკვე ნახევარი საუკუნეა რაც დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ არ ჩამქრალა და დავიწყებას არ მისცემია ჩვენი თანაცხოვრების წლები. ძნელია დაივიწყო ის მხარე სადაც ერთი დედის ძუძუთი ვიკვებებოდით და ერთი ჰაერით ვსუნთქავდით. სწორედ ამ ურთიერთ მონატრებამ შთაგვაგონა მოგვეძებნა ჩვენი ნასახლარი ადგილები, მივფერებოდით იმ მიწას, სადაც ჩვენი წინაპრების ძვლები დღესაც იქ განისვენებენ. სწორედ ამ ქვეყნისადმი მადლობლის გრძნობამ გვიბიძგა ყველას, თავისებურად მივფერებოდით ჩვენს მეორე სამშობლო საქართველოს. ამიტომ როცა კი მოგვეცა შესაძლებლობა, კვლავ ფეხი დაგვედგა იმ სანუკვარ მიწაზე და მივფერებოდით დედულეთს, ამ წუთებს სიხარულით ვხვდებოდით ყველა და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, რომელიც საქართველოს სიყვარულითაა გამსჭვალული და მუდამ იბრძვის ამ მეგობრული სიყვარული გასაძლიერებლად. კაცი ლეგენდა პაატა იოსებაშვილი, ორი ქვეყნის მოტრფიალე და ამ ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი მეგობრული ხიდის მშენებელი.

ქ-ნო გულნაზ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ნახევარი საუკუნეა დავტოვეთ საქართველო და ჩვენს ისტორიულ სამშობლოში დავიდეთ ბინა, ჩვენ არ დაგვიწყნია ქართული ენა, ქართული ხელოვნება, კულტურა, კულინარია და რაც მთავარია არ დაგვიწნია საუკუნეების მანძილზე ჩვენი თანაცხოვრების ლამაზი წლები. ეს წარსული ხომ ჩვენი ძლიერი ფესვებია, ჩვენი წინაპრების ძვლები, რომლებიც საქართველოს მიწაში განისვენებენ და ამ ფესვებზე გაზრდილი ხეები გაშლიან ტოტებს, ააშრიალებენ ფოთლებს და გამიღებენ მარად უჭკნობ სიყვარულის ნაყოფს. ჩვენი ოცნებაც ხომ ეს არის:

„მხარეს ზღაპრულს და სტუმართ მოყვარეს,
მინდა ჰფენოდეს სხივი დიდების,
დროის დინებას არ წაეშალოს,
კვალი ძმობის და კვალი ერთობის“.

იმედი გვაქვს რომ მუდამ ასე იქნება.

პაატა იყო ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი, შემდეგ კი თვითონ ჩამოაყალიბა ახალი ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანები“ და აგრეთვე გამოვიდა ამავე სახელწოდების ჟურნალის რამოდენიმე ნომერი. სწორედ მისდამი წრფელი სიყვარულის ფონზეა გამოცემული წიგნი „ორი სამშობლოს ერთი სიყვარული“ სადაც მისი ცხოვრების ლამაზი ეპიზოდებია აღწერილი. წრფელი სიყვარული ორი ქვეყნის მიმართ.

* * *

პაატა იოსებაშვილი, ეს ის პიროვნებაა, რომელმაც იცის სიტყვის და საქმის ფასი. მიზანდასახული და შორსმჭვრეტელი და რაც მთავარია ორი ქვეყნის მოტრფიალე და მეუღლითურთ შეუდა-

რებელი მასპინძელი. მათი სახლის კარი მუდამ ღიაა კეთილი ადამიანებისათვის. პაატა, სანამ ჩვენ ერთად დავიწყებდით საქართველოსთან ურთიერთ თანამშრომლობას, მანამდეც უკვე ჩართული იყო ამ საქმიანობაში. მან მრავალი საინტერესო და დასამახსოვრებელი პროექტი გააკეთა. თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ დამეგობრება ორი დიდი ქალაქი ორი ქვეყნისა, ხაიფა და ქუთაისი. ამ ამბის შემდეგ, როცა ქუთაისი ზეიმობს "გვირილობის" დღესასწაულს, პაატა მიწვეულია თავისი დელეგაციით ამ დღესასწაულზე დასაწრებად, როგორც ისრაელის წარმომადგენელი და მეც ამ დელეგაციის უცვლელი წევრი, როგორც თვითონ იძახის და რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ნდობისთვის. მან დიდი სამეგობროც შეიძინა და ბევრი დასამახსოვრებელი საქმეც გააკეთა. ქუთაისში, გიზო თავაძესთან და იზა ვეფხვაძესთან შეთანხმედით, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში გაიხსნა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ხეივანი, და როცა მომდევნო წელს ჩავედით, ჩევიტანეთ, ჩემოდანში კარგად შეფუთული ზეთისხილის ნერგები, საზეიმო ვითარებაში დავრგეთ ხეივნის ორივე მხარეს, ერთს დავარქვით საქართველო მეორეს კი ისრაელი. და დღეს ის სულ პატარა ნერგები, დიდ, ადამიანზე მაღალ ხეებად არიან გაზრდილნი. მადლობა საქართველოს მიწას, რომ ისრაელში დაბადებული სიცოცხლე საქარველოში იფურჩქნება, აგრეთვე მადლობა ბ-ონ გიზოს, რომ მზრუნველობას არ აკლებს. პაატა უშუალო კავშირშია საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირთან, სხვადასხვა საკრებულოსთან და მრავალ გამოჩენილ ადამიანებთან. ეწევა ქველმოქმედებას სადაც ხელი მიუწვდება. არის მრავალი აკადემიის წევრი და იქაც თავისი მცირედი წვლილი შეაქვს მათ საქმიანობაში. ამ რამოდენიმე წლის წინ როცა ქარელში, ჩემს ნასახლარ ადგილზე ვიპოვე ერთ დროს ჩვენს ეზოში მოჩუხჩუხე წყაროს დღემდე იხსენიებდნენ მამაჩემის სახელით, ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა ჩემზე და გადავწყვიტე ამ წყაროს რეკონსტრუქცია და როცა ეს ჩანაფიქრი პაატას გავუმხილე, მომიწონა და გვერდში დამიდგა ამ მიზნის მიღწევაში. საკუთარი სახსრებით განვაახლე წყარო და ერთად ავღნიშნეთ,ქარელის მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ მოსახლეობასთა თანდასწრებით წყაროს განახლება, რომელსაც დიდი ასოებით აწერია, როგორც ისტორიულ ძეგლს, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ნიშნად. ასე რომ ყოველი ჩვენი მოგზაურობა იყო გათვლილი, დაგეგმილი და სასარგებლოდ ორივე ქვეყნისთვის. ამიტომაც არის, რომ მისი მონაწილეობა ყველგან და ყოველთვის არის სიკეთის მომტანი. აფასებენ მის შრომას და ამიტომაც არის რომ ის ყოველთვის საპატიო სტუმარია ყველასთვის. რადიო, ტელეგადაცემები, ჟურნალ-გაზეთები, სისტემატიურად განიხილავდნენ ჩვენს მოგზაურობას საქართველოში. პაატა არის საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე, მრავალი აკადემიის წევრი, მრავალი მედლის, მადლობის გამომხატველი სიგელის მფლობელი. ეს ყველაფერი მისი ერთგულების, მისი დიდი სიყვარულის საპასუხოდ. მაგრამ მთავარი მაინც ხალხთა სიყვარულია, რასაც ყოველი პიროვნება, ვინც კი მასთან იქნებოდა კავშირში, ამ ყველა აგრძნობინებდა.

ეს რაც დავწერე, მხოლოდ წვეთია ზღვაში, მისი ცხოვრების ეპიზოდებიდან. იგი უდავოდ დიდი ისტორიის მქონე პიროვნებაა, ამასთანავე სპეციალობით წარმატებული არქიტექტორი, შესანიშნავი მეოჯახე და მეუღლე, მზრუნველი მამა, მოსიყვარულე ბაბუა და გულთბილი მეგობარი.

პაატა, კეთილო ადამიანო, მინდა რომ იყო ჯანმრთელი და კიდევ მრავალ წელს იმოღვაწე ორი ერის, ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ, საყვარელ ოჯახთან და უამრავ კეთილ მეგობრებთან ერთად.

ხათუნა ელიაშვილი.

წუთი სიბრძნისა!

ფიქრებს დავეწიე!
სიკეთე, წყალობაა და მარადიულობა!
ღრმა სიყვარულით სავსეა ბატონი პაატა აბრამ იოსებაშვილი! ქართველი ებრაელი! ადამიანი, რომელიც ორი ქვეყნით ფასობს!

სიმდიდრეს ეძებს სახში! სახლი კი საქართველო და ისრაელია!
ლოცვას აღავლენს მუდამ და ერთგულად ემსახურება,
მსახურება კი მისი სულიერი მდგომარეობაა, ლოცვაა და გრძნობაა!

სიტყვა ღმერთი - სიბრძნეა მასში, სიყვარულია და მეგობრობა!
სიბრძნის სიმფონია ორ ძმათა, საქართველოსა და ისრაელს შორის!
აქ საზღვარი არ არსებობს, ის გარღვეულია და ხელისგულებით არის შეერთებული.
მუდმივად მშენებელია და სიყვარულით ასაზრდოვებს.
აშენებს მაღალ სახლს,უკედლოს და თესავს სიკეთეს,სახლი კი შენებას განაგრძობს უსასრულობაში.
სიმართლეში საუბრობს,რადგან სიმართლეში ღმერთი განისაზღვრება,გულში კი სიყვარულის უშრეტი წყარო მდინარედ მოედინება,ხან ნაკადულია ,ხან კი ჩანჩქერი.

დიდებული ძალა ავსებს, ხედვის თავისუფლება კი არჩევანია!

შეცნობა მცნებებია თორის!

წყალობა, ლოცვა და კურთხევის გზის მიზანი.
წუთი სიბრძნისა, რომელიც საუკუნეებს მოჰყვება მისიაა!
სრულ ხედვას შეიცავს სადაც სინამდვილე და სინათლეა!
სულიერება ჭეშმარიტებაა! გულუხვობა მადლია ღირსებაში შეფუთული!
შთამომავალია ამ ღირსების და ნოდება ზნეობის!
სიკეთის კეთება ბატონი პაატა აბრამ იოსებაშვილის გზა და მწვერვალია.
აქ ხელახლა იბადება და ცხოვრებას აწვდის სიგნალს, პრინციპებს აგრძელებს ღმერთის კანონების საფუძველზე.

წმინდა მიწა ჯილდოა ერისთვის!
დედაა!

მთავარია სიუხვის გზა იყოს წმინდა მიწაზე მადლმოსხმული და ყოველივე უკეთური განადგურდება!

40 წელი გამოცდა და ხეტიალი არგუნათ უფალმა, ეს რწმენაში გამძლეობას ემსახურებოდა,
სიყვარულს ემსახურებოდა! და წყალობით გადმოედინა ერზე. უღალატობა გიანდერძათ ისრაელის შვილებს ღმერთმა!

ღვთაებრივი ასოები ამშვენებს ისრაელსა და საქართველოს, დრო ამაღლებისა და სიყვარულისა მუდმივია!

მიზანი ერთია!
გიყვართ საქართველო!
გვიყვარხართ ჩვენც ბატონო პაატა აბრამ იოსებაშვილო!
დროში ჩაქსოვილო წერტილო!
დაუსრულებელო მანძილო,სიყვარულით გაშლილო! სიბრძნეში ჩაქსოვილო!
წუთი სიბრძნისა ვიპოვეთ ერთად!
მთელი სამყარო ვიწრო ხიდია, მარტო სიყვარულს გაურითმია!

რითმებმა შექმნეს უკვდავების შენება, სადაც სხივთა შენებას სიცოცხლე და სიყვარული ემსახურება!

დაგლოცოთ ღმერთმა!

ბატონი პაატა აბრამ იოსებაშვილი! საკუთარი სულის მადლით მუდამ სიყვარულშია და მოქმედებს, ხელისგულებით აშენებს და ამშვენებს ორ ქვეყანას სადაც ჩახუტება გულების შეერთებაა და გამთლიანებაა!
დიდი გულის ფორმა დგება!
ეს უკვდავებაა!
მარადიული სასწაული!
მწვერვალი!
ენერგიათა ნაკადი ღმერთის! სიყვარულის წიგნი! დაუსრულებელი შემოქმედების ავტორი!

2024წ.
სექტემბერი.

ჯემალ მეგრელიძე

საქართველო მისი ცხოვრების ძალიან ძვირფასი ნაწილია...

ქართულ - ებრაული ძმობის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, ალბათ ახალს ვერც ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ამ ძმობის 26 საუკუნოვანი გადასახედიდან თვალწინ ჩვენი ორი ერის შესაშური ურთიერთობის უამრავი თვალნათელი მაგალითი იშლება, რაც იმთავითვე სიამაყის გრძნობით მავსებს და ჩვენი ღირსეული წინაპრების მიერ დამკვიდრებულ ლამაზ ურთიერთობაში ჩემეული წვლილის შეტანას მავალებს...

ისინი ამაყობენ თავიანთი ქართველ-ებრაელობით, მართალია, დღეს შორეული ისრაელის მკვიდრნი არიან, მაგრამ არაფრით ივიწყებენ მშობელ საქართველოს... ქვეყანას, რომელმაც თავისი გულისკარი გაუღო, თბილი კალთა გადააფარა, დედობრივი სითბო აჩუქა და დიდი ალიას დროს, ისტორიული სამშობლოსკენ მიმავალ შორეულ გზაზე სიყვარული გაატანა საგზლად...

პაატა იოსებაშვილი - ერთ ერთი იმ ქართველ ებრაელთაგანია, რომელიც ვერასდროს დაივიწყებს საქართველოს, რადგან ის ცხინვალში დაიბადა და გაიზარდა... ზოგადად, იოსებაშვილების მთელი დინასტია იყო ჩვენთვის, ქართველებისთვის ასე მონატრებული ცხინვალიდან. სამი წლის იყო, როცა დედულეთში - ქუთაისში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც მამას ბიზნესი ჰქონდა. ქუთაისში მე-19 სკოლაში სწავლობდა, იმ წლებს ვერ ივიწყებს, რადგან მართლაც საამაყო სამეგობრო წრე ჰყავდა...

თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული ფაკულტეტი დაამთავრა, როცა "რკინის ფარდა" გაიხსნა, ისრაელის ვიზები მიიღეს და წავიდნენ, სწავლა იქ განაგრძო და იმდენად წარმატებული იყო ამ სფეროში, რომ წლების განმავლობაში ქალაქ ხაიფას მთავარი არქიტექტორი გახლდათ.

დღეს კერძო არქიტექტურული ფირმა აქვს. მისი შვილი ისრაელის გმირია. ძველი ქართული კავშირები დიდი ხანია განაახლა და მეგობრების მოწვევით ოჯახთან ერთად ხშირად ჩამოდის საქართველოში, სადაც როგორც ქართული კულტურის დესპანი, სხვადასხვა სახის კულტურულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში იღებს მონაწილეობას. ამის გამო, საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინიციატივით, დღის წესრიგში მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხიც დადგა. როგორც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრს და ჟურნალისტს, მეც მქონდა ბედნიერება ახლოს გამეცნო ბატონი პაატა, ჩამეწერა მასთან ინტერვიუ და კიდევ ერთხელ მომესმინა მისი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული სიტყვები, რომლებიც ალალად მის მეორე სამშობლო - საქართველოსა და აქ დარჩენილ ბავშვობის მეგობრებს ეკუთვნოდა...

ისრაელში ახალი ცხოვრების დაწყება არ იყო იოლი, ხალხი, რომელთაც საქართველოში აბსოლუტურად ყველაფერი გააჩნდათ, შიშველი ხელებით აღმოჩნდა მკაცრი ცხოვრების ნულიდან დაწყების პირისპირ... ბატონი პაატა ამბობს: - დღეს უკან რომ ვიხედები, ვფიქრობ, კარგია, რაც მოხდა. 20 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ფეხზე მყარად დავმდგარიყავი. ოჯახი შევქმენი, შვილები წამომეზარდნენ. დღეს ძლიერები ვართ. ქართველი ებრაელები ყველაზე ძლიერი თემი ვართ. ჩვენი სიტყვა ვთქვით, მყარად დავდექით ფეხზე და მიუხედავად ყველაფრისა, ქართული ენა და კულტურა მაინც არ დავივიწყეთ.

მოკლედ, როგორც მასზე ამბობენ, ეწევა ცოცხალ (სახალხო) დიპლომატიას, ქალაქიდან ქალაქში დააქვს ორი ერის მეგობრობა. მას საქართველოს გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ეს ხომ უანგარო სიყვარულია, ეს ხომ მისი ცხოვრების ძალიან ძვირფასი ნაწილია!

ჯემალ მეგრელიძე, ჟურნალისტი, ტელეკომპანია „ტვ12-აჭარას“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი

იზა ვეფხვაძე

ადამიანის ცხოვრება ერთი პატარა მდინარეა, რომელსაც წლები შენაკადებით ავსებს და ამდიდრებს. ეს შენაკადები პატარა თუ დიდი ამბებია, ზოგი ვრცელი და უნაპირო, ზოგი მღვრიე და ბოროტი, ზოგი კი ანკარა და დაუსაბამო...არავინ იცის, სად და როდის შემოერევა ეს შენაკადი ჩვენს კალაპოტს, რადგან ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ამიტომ, ხშირად ისეც ხდება, რომ შემთხვევითობა მართლაც განსაზღვრავს და ფერს აძლევს ადამიანის მთელ შემდგომ ცხოვრებას. სწორედ ასეთმა შემთხვევითობამ წლების წინ, სრულიად ახალი შენაკადი შესძინა ჩემი ცხოვრების მდინარებას...ეს შემთხვევითობაც ასე დაიწყო:

ჩემს მიერ დაარსებული რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი ხარაგაულში დაარსების 20 წელს აღნიშნავდა. დარბაზი გადაჭედი იყო მოწვეული სტუმრებით საქართველოს ყველა კუთხიდან. იუბილე რეზო თაბუკაშვილი-

სადმი მიძღვნილი სპექტაკლით გაიხსნა. ვიდექი სცენაზე ჩემს სტიქიაში, დიდი ქართველის ცხოვრებით აღტაცებული და ჩემს გულს და სულს ვწვავდი, ჩემი სათქმელი მაყურებლამდე რომ მიმეტანა. ამ დროს ძნელია დარბაზში მაყურებელი გამოარჩიო, შეამჩნიო , მისი ემოციური მუხტი ისე ძლიერი აღმოჩნდეს, რომ ფიქრი ცოტაოდენ გაგიფანტოს და გაგაოცოს. იჯდა დარბაზში ჩემთვის სრულიად უცნობი თვალებანთებული კაცი, რომლის ემოცია თვალ სახიდან გადმოღვრილი სრულად იპყრობდა მზერა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს საოცარი მაყურებელი ქართველი ებრაელი, ისრაელის მკვიდრი ბატონი პაატა იოსებაშვილი იყო.

ეს დღე იყო და ეს დღე, ჩემი ცხოვრების ვრცელ მდინარეს, შემოუერთდა შენაკადი, რომელმაც კალაპოტში თავისი წილი უზარმაზარი ადგილი შემოიფარგლა.

იშვიათი მეგობრობის ჯადო-ძალა აქვს ამ ადამიანს __ ამოუწურავი და უკიდეგანო. თითქოს მთელი ცხოვრება ეძებდი, რომ გულში ღრმად დამარხული მიზნების რეალიზება და გაცოცხლება მოგეხდინა.

ამ დღიდან სულ ერთ წელიწადში, ისრაელის წმინდა მიწაზე , ქართველ ებრაელებთან მონატრებული სიყვარულის და ემოციური ცრემლების ზიარების შესაძლებლობა მომეცა. ბატონი პაატას და მისი ოჯახის ხელშეწყობით წმინდა მიწაზე გაიმართა ჩემი საავტორო სპექტაკლი " ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს", რომელიც ქართულ ებრაული მეგობრობის ვრცელ და უკიდეგანო ურთიერთობებს ეძღვნება. ეს არ იყო ჩვეულებრივ, ტრადიციულად ორგანიზებული შეხვედრა მასპინძლობა, ეს იყო ნამდვილი სასწაული, რაც შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა, რიგითმა მოკვდავმა. თუ არ გინახავთ ვერ დაიჯერებთ იმ მადლს და სიყვარულს, რაც ხაიფაში, პაატას და ლოლას დიდ და ლამაზ ოჯახში ტრიალებს. სულს და გულს დაგიდებენ ხელის გულზე, ფიანდაზად გაგეგებიან და ისე გაგაოცებენ, რომ გეგონება ლამაზ სიზმარში ხარ და ზღაპარში მოგზაურობ. მათ ოჯახში სიყვარულის, მეგობრობის, მასპინძლობის ოაზისია, ქართული სული ისე ძალუმად ფეთქავს, რომ იფიქრებ, ნეტავ საქართველოში როდის ვნახე ბოლოს ასეთი ქართული სტუმარ მასპინძლობა, ასეთი სიყვარული, ასეთი მონატრება და წრფელი გრძნობები...ულევი და უხარჯავია ის მადლი და სიკეთე, რომლითაც გულს აგივსებენ და ვერასოდეს ვერ დაივიწყებ.ამ ოჯახმა მომცა შესაძლებლობა ისრაელის წმინდა მიწაზე მე და ჩემს ქალიშვილს ვზიარებოდით უდიდეს სიწმინდეებს, გულწრფელი ცრემლი გვეღვარა და შევერთებოდით მარადიულ ჭეშმარიტებას. პაატას ოჯახის ორგანიზებით გამართულ სპექტაკლზე ისრაელის ყველა ქალაქში მცხოვრებმა ებრაელებმა მოიყარეს თავი. არ ვიცი რა დავარქვა ამ დღეს, ალბათ დღე სასწაული, ამ სიტყვის ყველა განზომილებით. იქ ნამდვილზე ნამდვილი საქართველო იყო, ქართული მუსაიფი, ქართული ცეკვა-სიმღერა, ქართული მასპინძლობა, დახვედრა, გულწრფელი ემოცია და ცრემლი, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ. მთელი ცხოვრება ვმადლობა პაატას და მის ოჯახს, რომელთაც ქართველ ებრაელებთან, ამ საოცარ ადამიანებთან შეხვედრა მოფერების შესაძლებლობა მომცა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ჩვენი ერთობლივი პროექტით, მე და ბატონმა პაატამ მისი დაფინანსებით და ხელშეწყობით გამოვეცით ქართულ ივრითულ ენაზე წიგნი " ამ მეგობრობით შევცვლოთ სამყაროს", რომლის პრეზენტაცია ასევე ისრაელში გაიმართა.

ამ გაავებულ, სიყვარულისგან დაცლილ სამყაროში, სრულიად ორიგინალური ფენომენია პაატას ოჯახი და მისი მეუღლე _ ქალბატონი ლოლა, რომელიც სანთელივით იწვის და ანათებს სტუმრების მსახურებაში, მათ ოჯახში მყოფი ისეთ გარემოში ხვდები, რომ გიჭირს გაარჩიო საკუთარ სახლში ხარ თუ სტუმრად მეგობართან. ოჯახის სიამაყეა ოთხი უკარგესი შვილი და შვილიშვილები, კარგად აღზრდილნი, გონიერნი, ლამაზნი, გენიის გამგლრგძელებლები, გშემიძლია არ გამოვყო უმცროსი ვაჟი, რანი, რომელიც ისრაელის გმირია, ამ წოდების ტარება და მით უფრო მოპოვება მარტივი არაა, მან ეს შესძლო და ღირსეულ ოჯახს კიდევ მეტი ღირსება შემატა.

განვლილმა წლებმა მე და ბატონი პაატას ოჯახის ურთიერთობის ბევრი კარგი ინიციატივა და კეთილი საქმე მიითვალა. ბატონი პაატა თავისი ღვაწლის გამო ხარაგაულზე, გამართულ მასშტაბური ღონისძიებების ხელშეწყობის გამო, ხარაგაულის საპატიო მოქალაქეა.

ბატონმა პაატამ თავის უანგარო სიყვარულით მეორე სამშობლოს მიმართ და რაც მთავარია ღირსეული საქმეებით საქართველოს მოქალაქეობის ტიტულიც მოიპოვა და რაოდენ სასიხარულოა, როცა შეგიძლია გულწრფელად ემსახურო ორ სამშობლოს, ორივ გიყვარდეს თანაბრად და მოიპოვო ზღვა სიყვარული და უთვალავი მეგობარი, რომლებიც ერთმანეთს შეეჯიბრებიან შენს სიყვარულში.

სულ ახლახან ბატონი პაატას ინიციატივით დაარსებულ გამოცემული ჟურნალი "მეგობრების მერიდიანები" ჩადგა ორი ერის სამსახურში.

შეიძლება ითქვას, რომ პაატა იოსებაშვილი და მისი ოჯახი თანამედროვეობის უბადლო მეგობრობის მაგალითია ორ ერს შორის და ის ნამდვილად არის სიყვარულის ელჩი ისრაელიდან ქართულ მიწაზე.

მრავალჟამიერ მის ოჯახს ისრაელის მიწაზე.

რთულ და უსიყვარულო საუკუნეში, იშვიათია ისეთი ნათელი დღეები, როცა შეიძლება გულს უხაროდეს...

ამჯერად ორი ერის ზიარი სიხარულის საბაბზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

საქართველოში ბატონ პაატა იოსებაშვილს Avraham Paata Yosef წარდგენა არ სჭირდება, რამდენი დადებითი სიტყვა და ემოციაც არ უნდა გამოვიყენო მისი პიროვნების დასახასიათებლად, უსათუოდ არასრულფასოვანი იქნება მისი ღვაწლის შესაფასებლად.

სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას ბურჯებად საქმე აქვს შეხიდული. ბატონი პაატას საქმიანობამ და ღვაწლმა ორი ერის სიყვარულის გზაზე, ქართულ_ ებრაული ურთიერთობების კიდევ მეტად განმტკიცების კუთხით ძალიან სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია... მის მიერ განხორციელებული პროექტები, პირადად მის მიერ და მისი ოჯახის მიერ გაწეული ქველმოქმედება ამ კუთხით შეუფასებელია.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება უდიდესი აღფრთოვანებით და კეთილი მოლოდინით შეხვდა მის ინიციატივას ქართულ_ ებრაული ორგანიზაციის __

" მეგობრობის მერიდიანები" შექმნის შესახებ...

ბატონი პაატას საქმენი მეტყველებენ ორგანიზაციის მომავალ წარმატებულ მოლოდინზე... მასში გაერთიანებული ადამიანები, დამფუძნებლები უდიდესი ენთუზიაზმით და სიყვარულით მზად არიან მთელი შესაძლებლობებით ჩაერთონ ორი ერისთვის მეტად სასარგებლო პროექტების განხორციელებაში.

მეც მაქვს პატივი ვიყო დამფუძნებელთა შორის და ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას, მაგრამ ბატონი პაატას განვლილი გზა, მისი დამოკიდებულება და გამორჩეული სიყვარული ორი ერის მიმართ, საქმის კეთების ჟინი და სურვილი, ცოდნა და გამოცდილება დიდ და ნათელ სურათს ხატავს მომავლის გზაზე...

ბატონო პაატა, არაერთგზის მითქვამს და ვიტყვი: თქვენი ოჯახი სიყვარულის მექაა, თქვენი გული სკასავით სავსეა სითბოთი და სიყვარულით, თქვენ□ან გაქვთ მიზნების აღსრულებისთვის სურვილიც და სრული პოტენციალიც და რაც მთავარია გაქვთ მაძიებელი სული.

რთულ და უსიყვარულო საუკუნეში, იშვიათია ისეთი ნათელი დღეები, როცა შეიძლება გულს უხაროდეს...

ამჯერად ორი ერის ზიარი სიხარულის საბაბზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

საქართველოში ბატონ პაატა იოსებაშვილს Avraham Paata Yosef წარდგენა არ სჭირდება, რამდენი დადებითი სიტყვა და ემოციაც არ უნდა გამოვიყენო მისი პიროვნების დასახასიათებლად, უსათუოდ არასრულფასოვანი იქნება მისი ღვაწლის შესაფასებლად.

სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას ბურჯებად საქმე აქვს შეხიდული. ბატონი პაატას საქმიანობამ და ღვაწლმა ორი ერის სიყვარულის გზაზე, ქართულ_ ებრაული ურთიერთობების კიდევ მეტად განმტკიცების კუთხით ძალიან სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია... მის მიერ განხორციელებული პროექტები, პირადად მის მიერ და მისი ოჯახის მიერ გაწეული ქველმოქმედება ამ კუთხით შეუფასებელია.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება უდიდესი აღფრთოვანებით და კეთილი მოლოდინით შეხვდა მის ინიციატივას ქართულ_ ებრაული ორგანიზაციის __

"მეგობრობის მერიდიანები" შექმნის შესახებ...

ბატონი პაატას საქმენი მეტყველებენ ორგანიზაციის მომავალ წარმატებულ მოლოდინზე... მასში გაერთიანებული ადამიანები, დამფუძნებლები უდიდესი ენთუზიაზმით და სიყვარულით მზად არიან მთელი შესაძლებლობებით ჩაერთონ ორი ერისთვის მეტად სასარგებლო პროექტების განხორციელებაში.

მეც მაქვს პატივი ვიყო დამფუძნებელთა შორის და ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას, მაგრამ ბატონი პაატას განვლილი გზა, მისი დამოკიდებულება და გამორჩეული სიყვარული ორი ერის მიმართ, საქმის კეთების ჟინი და სურვილი, ცოდნა და გამოცდილება დიდ და ნათელ სურათს ხატავს მომავლის გზაზე...

ბატონო პაატა, არაერთგზის მითქვამს და ვიტყვი: თქვენი ოჯახი სიყვარულის მექაა, თქვენი გული სკასავით სავსეა სითბოთი და სიყვარულით, თქვენ გაქვთ მიზნების აღსრულებისთვის სურვილიც და სრული პოტენციალიც და რაც მთავარია გაქვთ მაძიებელი სული, რომელიც მუდამ ეძებს სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას, თანაგრძნობას და თანადგომას... თქვენზე თქვენი გაკეთებული საქმეები საუბრობენ.. არაერთგზის უგრძვნია ლიტერატურულ თეატრს თქვენი თანადგომა, ერთგულება... ჩვენ ერთობლივი მუშაობის და საქმის კეთების დიდი გამოცდილება გვაქვს...

ამ გამოცდილებაზე და წარსულზე დაყრდნობით, ვიმედოვნებ ლამაზი და საქმიანი დღეების სიმრავლეს ორი მოძმე ერის სამომავლო გზაზე...

მიგულეთ თქვენს გვერდით...ლეხაიმ... რომელიც მუდამ ეძებს სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას, თანაგრძნობას და თანადგომას... თქვენზე თქვენი გაკეთებული საქმეები საუბრობენ.. არაერთგზის უგრძვნია ლიტერატურულ თეატრს თქვენი თანადგომა, ერთგულება... ჩვენ ერთობლივი მუშაობის და საქმის კეთების დიდი გამოცდილება გვაქვს...

ამ გამოცდილებაზე და წარსულზე დაყრდნობით, ვიმედოვნებ ლამაზი და საქმიანი დღეების სიმრავლეს ორი მოძმე ერის სამომავლო გზაზე...

მიგულეთ თქვენს გვერდით...ლეხაიმ...

მზიური შავაძე

♥ არმაზის ხევი ♥

ბებერ ხავსებში გზა გავიკვალე
ძირძველი ჩემი საბადო,
დღეს თუ დავმშრალვარ სასოწარკვეთით
ცოდვა ცოდვისგან შარად არ დამდო.
    თავს დამშრიალებს ბებერი მუხა
    მუხამბაზივით ვუმღერ შავლეგოს,
    ფესვიდან მოდის შარავანდედი
    ჭრილობებიდან შხამი განდევნოს.
ისევ მოგირწყავ გამხმარ გვირილებს
აგიმზიურებ შროშანთა ყანას,
წიფლის ფოთოლი ამ ნაგუბარზე
სიყრმისეულად იმღერებს ნანას.
    დასიცხულ სხეულს გაგიწმენდ ლოცვით
    და ვნებიანი სულით შეგავსებ,
    დამშრალ გრძნობებში აფათურებით
    იმედის სასმის ერთხელ შევავსებ.
იმედს არ ვიკლავ აგუგუნდება
არმაზის სულის ფერთა იალო,
ღელევ,მდინარევ კვლავაც ითმინე
ამ მოლოდინით არ დაიღალო.
    ამ მიწის გული სურნელით მკვებავს
    და მიმიღია ზღვა გრძნობის საზრდო,
    დღესაც ვიმღერებ მთებო შენ გულში
    არც გაიფიქრა ოდეს რომ გავნო....

სიკეთის ელჩი

სიკეთის ელჩს და დესპანს,
ზეცის დაჰყვება სხივი,
ფიქრი აწვალებს დღესაც,
მარგალიტების მძივი,
ყელზე მოარგოს ძმობას
და მეგობრობას ძირძველს,
რაც ოდითგანვე მოდის,
რაც ოდითგანვე მოგვდევს,
ქართველთ და ებრაელთა,
ის უხილავი გზები,
რასაც მივყავართ ღმერთთან,
რასაც უძლებდა წლები.
უკვე ჩარჩოებს გასცდა,
ბედსაც არავინ ერჩის,
ამ სიყვარულის განცდით.
ცხოვრობს სიკეთის ელჩი.

ქართულ ებრაული მეგობრობა

(ეძღვნება ჩემ მეგობარს,
საქართველოს კულტურის
დესპანს, აკადემიკოს
პაატა იოსებაშვილს)

ნიჭი გადმოდინდა სიყვარულის,
სიკეთე საზღვრებს გადასცილდა,
მეგობარს გიწოდებ და ისიც იცით,
როგორ გვიმეგობრო ... ან რა გვინდა.
ნიჭი სიყვარულის მადლად დაგდევ,
გული სასიკეთოდ გაგიღია,
ერთი სამშობლოდან მეორეში,
ხიდი უკვდავების აგიგია.
გულში სანთლად ანთებ ამ დიდ ძმობას,
გსურს რომ გამოძერწო მარადისი...
ქართულ-ებრაული მეგობრობა,
ქართველ ებრაელმა მარად იცი.

ქუთათურთა ქალაქო

იმერულად ავამღერებ,
ბაფთაშებმულ გიტარას,
შემოგფიცებ სიყვარულის,
სამარემდე მიტანას.
ქუთაისო, გელათის და
მოწამეთას ალაგო,
ბაგრატიდან დანახულო,
ქუთათურთა ქალაქო.
გულს სიმღერა მოუნდება,
თეთრი ხიდის გავლისას,
რიონი და წყალწითელა,
სხივს იხუტებს მთვარისას.
სიყვარულში დავითვრები,
საფიჩხია გამიგებს....
ვერაფერი შეედრება,
ქუთაისურ ამინდებს.
შენებური მაისობა,
გვირილების დღეობა,
ჩვენო ძირძველო ქალაქო,
კიდევ ბევრი ძეობა.
იმერულად ავამღერებ,
ძველ ბაფთიან გიტარას,
დაგიფიცებ სიყვარულის,
სამარემდე მიტანას

მეგობრობის მერიდიანი

ერთხელ თქვა იმან, იმას, მერე ის დაეთანხმა...
გულმა გულს უთხრა სათქმელი და გაცხადდა უმალ,
რომ მეგობრობის შექმნილიყო მერიდიანი,
სადაც სიყვარულს ეს გულები უმღერდნენ მუდამ.

ერთი, მეორე, მესამე და დიდი ლაშქარი...
დღეს უკვე ყლორტი აშრიალდა მარადისობად,
სიყვარულია, მზედ რომ ბრწყინავს წვიმაში, ქარში,
აქ მეგობრობის უკვდავება მარად იგრძნობა.

წარსული დღესაც მომავლისთვის გახდება ხიდი...
თაობებს შეცვლის დრო, სივრცე და ბედის დინება
და მეგობრობის ერთი დიდი მერიდიანი,
მარადისობად სამყაროში მოედინება.

ისრაელო, გეფერები

მანანა დანგაძე

დრო გადის და დღეებს ვითვლი,
წუთებს ითვლის საათი,
სიყვარულით ავსებულა
მოთმინების კალათი.
სადაც არის, ჩამორეკავს
ზარი დილის საარის,
მელოდება ჩემი ნანა,
როგორც ღვიძლი და არის.
იქ ნუგზარი მელოდება,
რობერტი და ედიტი,
ღმერთო, არ გამომილიო
სიყვარულის კრედიტი.
ჩემს პაატას ვენაცვალე,
არის ძმა და იმედი,
ღმერთო,
დიდხანს მიდღეგრძელე
თავის წერტილ-მძიმეთი.
ისრაელო,
შენს მზეს ვფიცავ,
მოვალ, მოგეფერები,
გაბრწყინდი და გაიხარე,
მანდ ცხოვრობენ ჩემები!

ირაკლი ნადარეიშვილი

შალომ

მაშინ, როცა მიწა-წყალი ყველგან ოხრად ეყარა,
შენ აღთქმული მიწა გერგო, მე წილხვედრი ქვეყანა.
ბევრჯერ, ჩვენი რწმენის გამო, ტანჯვა შემოგვეყარა,
შენ გოდების კედელი გაქვს, მე – გოდების ქვეყანა.
ერთნაირი ბედ-იღბალით, ერთნაირი ტკივილით,
სალამს გეტყვი და შენც შალომს შემაგებებ ღიმილით,
გვდევნიდნენ და სარგებლობდნენ მუდამ ჩვენი სიმცირით,
გავუძელით, გადავრჩით და დღესაც ლაღად ვიცინით.
გამიყავი ერთ დროს მაცა, მეც მოგართვი ხმიადი,
იმ დროიდან ვერ ჩამოწვა ორ ერს შორის წყვდიადი.
ერთმანეთის ჭირ-ვარამზე არ ვყოფილვართ მდუმარი,
ძმად მოხვედი, ძმად მიგიღე, ვერ დაგარქვი სტუმარი.
შენ შენს დავითს ადიდებდი, მე ჩემს დავითს ვაქებდი,
შენს შვილს ცოტნეს ეძახოდი, მე – სოლომონს ვარქმევდი.
„დაგენაცვლეს“ მიძახოდი, „შემოგევლეს“ გეძახდი.
ქართველ ებრაელად გცნობდი და „სხვა“ დღემდე ვერ გახდი.
ბევრჯერ, ჩვენი ძმობის გამო, ტანჯვაც შემოგვეყარა,
შენ გოდების კედელი გაქვს, მე გოდების ქვეყანა...
ერთმანეთის გვადევს ვალად სიყვარულის ბეგარა,
შენ აღთქმული მიწა გერგო, მე – წილხვედრი ქვეყანა.

ფიქრია ბროლაშვილი

პ ა ა ტ ა იოსებაშვილს.

ორი სამშობლო გარგუნათ ბედმა
და თქვენი ღვაწლიც ორად იყოფა,
მიიღეთ ჩემგან თბილი მოკითხვა,
შალომ ისრაელ, გქონდეთ მშვიდობა.

თქვენ მეგობრობის ეტალონი ხართ,
ერთგული, სუფთა და მეტად სანდო,
ორ სამშობლოზე შეყვარებული,
დაგვიბრუნდით და ტკივილით ამბობთ.

რომ გენატრებათ ძველი თბილისი,
კოხტა, კოპწია, გულთამპყრობელი,
,,- ო, რა ლამაზი დაგტოვე ერთ დროს"
თმცა შეცვლილი დაგხვდათ ყოველი.

- ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება,
რომ საქართველოს მუდამ ებრწყინოს
და სამშობლოში დაბრუნებულ ძმებს,
გულზედ მალამოდ გადაეფინოს.

ორი სამშობლო გარგუნათ ღმერთმა,
სიკეთე თქვენი, როგორ დავთვალო,
მიიღეთ ჩემგან თბილი მოკითხვა,
შალომ ისრაელ, ისრაელ შალომ.

15 თებერვალი 2020

გაბედავ ხმამაღლა ამოვთქვა სათქმელი,
თუმცაღა რთულია სიტყვებით გადმოვცე,
კაცი რომელიც დიდების ფრსია,
თავმდაბლობით და სიკეთით მაოცებს.

18 თიბათვისა 2021

ფიქრია ბროლაშვილი (ფიქო)

პაატა იოსებაშვილი, ევა ბაბალაშვი-ლი, ჯამლეტ ხუხაშვილი

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, თენგიზ მალანია და პაატა იოსებაშვილი

მსახიობ იზა ვეფხვაძესთან

რან იოსები, მისი მეუღლე ავივი
და დედა მარინა

პაატა და ლოლა (მარინა)
იოსებაშვილები

მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე მაყვალა
გონაშვილი, პოეტები ნინო უძილაური
და ეკა ქავჯაია, პაატა იოსებაშვილი

ქ-ნი იზოლდა მოშიაშვილი, პოეტი მანანა დანგაძე, მსახიობი იზა ვეფხვაძე, პაატა იოსებაშვილი, მაესტრო ვაჟა აზარაშვილი, ბაღდათის ყოფილი მერი არჩილ გოგსაძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი

იზოლდა მოშიაშვილი, იაკობ აჯიაშვილი,
პაატა იოსებაშვილი,
ნუგზარ ჯანაშვილი, რობერტ ადარი
სტუმრად საქართველოს
პატრიარქთან, უწმინდეს და
უნეტარეს ილია მეორესთან

წერილები

ლუარა სორდია

გალაკტიონ ტაბიძის რემინისცენციები მერაბ კოსტავას შემოქმედებაში

გარდასხეულებისა და მოგონების თეორია

პლატონის „მენონში“, „ფედონსა“ და „ფედროსში“ განხილულია „მოგონების“ (ანამნესის, რემინისცენცია), როგორც თანდაყოლილი ცოდნის თეორია.

„მენონში“ გამოიყოფა პლატონის მრავალწახნაგოვანი აზრის შინაგანი განვითარების ათი საეტაპო საფეხური, ათი ძირითადი მომენტი, რომელთაგან ერთ მეექვსე – მოგონების თეორია.

„მენონში“ სოკრატე იზიარებს სულის უკვდავების ორფიკულ პითაგორულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლისმცოდნეა. ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“(1,100).

„ცნებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესისია“ მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ (ფედონი).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ „იმავეს ხელახლა შემეცნებაა“, ცოდნის შეძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება“.

პლატონის აზრით, „ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწყისს, რომელთაც ის მხოლოდ იგონებს და ამრიგად, თავისსავე თავში პოულობს მათ“ (მენონი) (1,112).

„მემონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთან არის იდენტიფიცირებული, „მოგონებას“ კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

„სული, რომელსაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტება, ვერ შეიმოსავს კაცის სხეულს, რადგან კაცი რომ იყო, უნდა გესმოდეს, რა არის იდეა, რომელიც მრავალი კერძო შეგრძნების მონაცემიდან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობის გზით

ერთ უზოგადეს მთლიანობად ირწყმის და ყალიბდება. ამ ერთობის წვდომა კი იმის მოგონებაა, რაც ოდესღაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევი და თანამავალი, ზიზღით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს. სრულყოფილების მიღწევა ხელეწოფება იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმინდათა წმინდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთისკენ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებულია“ („მენონი“) (1,193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,135).

გარდასხეულების მოძღვრება თავდაპირველად გავრცელებული იყო ინდოეთში. მეოცე საუკუნის მოაზროვნე ვივეკანანდა ამბობდა: მე შანკარნას (VIII-IXსს. ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო.

ფილოსოფია, პლატონისეული მოსაზრებით, სიკვდილისათვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება, იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (2,110).

ქართულ ლიტერატურაში გარდასხეულების თეორიას იზიარებდნენ ვასილ ბარნოვი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, ნიკო სამადაშვილი.

გარდასხეულების და მოგონების თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელი პოეტის ედგარ პოს შემოქმედებაში.

მოთხრობაში „მორელა“ საუბარია „სულების გადასახლების პითაგორისეულ თეორიაზე“ (3,81-86).

„ელეონორაში“ ხაზგასმით არის ნათქვამი: „ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა... უნდა დაიჯეროთ მონათხრობი ჩემი ადრეული ყოფიერების შესახებ“ (3,75).

„მირიადი წლების ცნობიერებით, სიბილას თვალებით“ გამორჩეულია კაპიტანი მოთხრობაში „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ (3,43-57).

„სიცოცხლის პირველი წლებისა და ადრეული ყოფიერების“ შესახებ არის საუბარი „პაემანში“ (3,61-73).

„მორელაში“ ნათქვამია: „ფიხტეს დაუოკებელი პანთეიზმი, სახეცვლილი სულების გადასახლება პითაგორელებისა და უფრო მეტად შელინგის მიერ აგრე საგულდაგულოდ შესწავლილი იგივეობის თეორია“... (3,81-86).

„ხილვებზე, მოგონებებზე, მეხსიერების ჩრდილებზეა“საუბარი მოთხრობაში „მთხრებლი და ქანქარა“ (3,102-117).

გალაკტიონი კოსმიური მასშტაბების პოეტი იყო, განსაკუთრებული ხედვის, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის უნარით მომადლებული „...მინდა დავინახო ქვეყნის ყველა პოლუსები. ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს) (4,333-334).

საუკუნეებში მავალი პოეტის სული „უზენაესი ცეცხლის“ მადლით იყო გაალებული, ცეცხლი კი საღვთო სახელია: „...საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა... დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები) (5,196).

გალაკტიონის ქნარი „მარადის ცეცხლის“ (ღმერთის) საგალობელი იყო.

„მსოფლიო გლობუსს თამამად ვიდევ“, აცხადებდა პოეტი და ეს პრეტენზია ესაძირკვლება ობიექტურ მონაცემებს.

გალაკტიონი საუბრობს „ძვირფას მოგონებაზე“ (5,64), „მოგონების ნეტარებაზე“ (შეხვედრა) (5,13), „პირქუში ჟამის ხსოვნაზე“ (მუხა) (5,203). წინანდელ, „დიდი ხნის წინათ“ განცდილზე“ (ვერხვები), „პირველ, მეორე სიკვდილზე“ (ქალის ქანდაკება) (5,138), „სხვადასხვა მხრიდან“ მოვლენილ „მოგონებათ შადრევანზე“ (დგას ხეივანი სახლის წინ) (5,187) „მოგონებათა სიხარულზე და უხვ გრძნობაზე“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (5,223), ბეთხოვენთან შეხვედრაზე („მეცხრე სიმფონია)(5,506), შოთა რუსთაველთან ნაცნობობაზე (თენდება, გათენდა) (5,515), „მოგონებათა თოვაზე“, (მოგონებათა თოვის) (5,510) „მოგონებები მოგზაურია ლამაზი ნავის“ (გადამწვანებულ მწვერვალებიდან).

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ პოეტი იგონებს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას, პირველ სახეებს, „ქვეყნის შექმნის დიდ წამს“: „... იყო ამ ქვეყნად ხილვა სხვა არის“, „ყველაფრის მთქმელი, მომგონებელი არის ეს ველი, გზა ძველისძველი“ (5,158-159).

ეს „ველი“ საინფორმაციო ველია, სადაც ყველაფერი ინახება და რომელშიც შესვლა ხელეწიფება გენიოს პოეტს.

რეინკარნაციის თეორიაა გაზიარებულია გალაკტიონის შემდეგ ლექსებში: „მგლოვიარე სერაფიმები, მთვარის ნაამბობიდან, ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი, ძველ დღეებზე, ნიავი, ია, ნარგიზი“.

გალაკტიონი ზედმიწევნით იცნობდა იოგების ფილოსოფიას, ორფეიზმს, პითაგორას მოძღვრებას, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

ადამიანი მრავალგზის იბადება დედამიწაზე ახალი სხეულებრივი სახითა და ახალი ამოცანით. ბედის ბორბალი აიძულებს მას, ყოველი ახალი გარდასხეულების ტვირთი ატაროს მანამ, სანამ მისი სული ბოლომდე არ განიწმინდება და სრულყოფილი არ გახდება.

სიკვდილი „დიადი გადასასვლელია“, იგი გაგებულია, როგორც ნაბიჯი უფრო სრულყოფილი სულიერი არსებობისკენ.

არსებობს მოვლენები, რომლებიც მხოლოდ სულთა გარდასხეულებით აიხსნება. ადამიანებს მემკვიდრეობით აქვთ წარსული ცხოვრების, წინაპრების კვალი. ამ წინაპრების მეხსიერება კოდირებულია ჩვენს გენებში. ჩვენ ვღებულობთ სხვათა მეხსიერებას მემკვიდრეობით და ამის გამო ვიცით ბევრი რამ, რაც არ გვისწავლია.

რუდოლფ შტაინერის მიხედვით, სიცოცხლე დედამიწაზე შემეცნებისთვის მიუწვდომელია და ამდენადვე გაუგებარი რჩება სიკვდილიც, რომლის წვდომაც მხოლოდ ზეგრძნობად სფეროებში ხორციელდება.

გარდასხეულების თეორია გაზიარებულია ინდურ რელიგიასა და ფილოსოფიაში, სპარსულ პოეზიაში, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, დიდი ამერიკული პოეტის უოტ უიტმენის „ბალახის ფოთლებში“, ფრანგულ პოეზიაში, ალ. ბლოკის შემოქმედებაში.

გალაკტიონი აცხადებდა: „საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა“ (მგლოვიარე სერაფიმები) (4,87).

„მოვიარე მიწის კალთა, თან დამდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა“, გვამცნობდა „ათასის მხედველობის“, „ასი ათასის სმენის“ უნარით მომადლებული გალაკტიონი.

ის იყო მარადიული მგზავრი, ქვეყნიერების, ზესკნელ-ქვესკნელის მომვლელი, ნათელ-ხილვის და ნათელსმენის ფენომენებით გამორჩეული და გამაოგნებელი იყო მისი განაცხადი: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ რუსთაველის ნაცნობობაზე კეთდება აქცენტი: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (5,452).

ანალოგიური შინაარსის შემცველია შემდეგი ფრაზაც: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“ (თენდება, გათენდა) (5,515).

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი... ჟრუანტელი დაგივლის, როგორც კი ცხრა წლის რუსთაველს წარმოიდგენ.

„მას მართლა ახსოვდა რუსთაველი, რადგან იყო ყოველთვის – რუსთაველამდე და მის მერეც, ისევე, როგორც რუსთაველი იყო ყოველთვის, როგორც თანამდევი სული ქართველის – როგორც აკაკი იყო ყოველთვის.

„რუსთველი, აკაკი, გალაკტიონი! – აი, ქართული პოეტური სულის შეუცვლელი ტრიადა!“ – გვამცნობს საყოველთაოდ ცნობილი პოეტი ტარიელ ჭანტურია წერილში „ალქიმიკოსიც, ოქროს მაძიებელიც“) (6,141-143).

გალაკტიონი ხედავდა მარადიულ სულთა სავანეს: „...მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (5,25).

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, აცხადებდა ქვეყნის ოთხივე განედის მომვლელი პოეტი და ამ მოგზაურობაში დაგროვილი სიბრძნე – გამოცდილების გათავისებაა მისი პოეტური ინტეგრალები: „აგერ მზის ამომთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... და მესმის ხმა იდუმალი: წამოდექ, ძეო დილისა... ო, ძეო დილის, აწ განვლის გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (...ნიავი, ია, ნარგიზი) (4,78).

„საუკუნეთა შორის გრეხილის“ საიდუმლოებებში ჩაღრმავებულ პოეტს სიჩუმის ხმაც ესმოდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ) (4,128).

„ლურჯა ცხენების“ ავტორის შემოქმედებაში საუბარია მოგონების ნეტარებაზე, მოგონების თეთრ ნაკადებზე, მოგონებათ ხომალდზე, მოგონებათ ცაზე, სიმაღლეებისკენ მიმსწრაფ ფიქრის ოქროს ნავებზე.

მოგონებები „ლამაზი ნავის მოგზაურებია“ (გადამწვანებულ მწვერვალებიდან) – ასე იწოდებიან სიკვდილის პრობლემისთვის მიძღვნილი შრომები.

გალაკტიონმა გადასწია სიკვდილის ფარდა და ჩაგვახედა მიღმური სამყაროს საიდუმლოებებში, მოგვასმენინა „რაღაც არაქაური“, „სუნთქვა არაქაური“.

სულის მარადიულობას, მიღმური სამყაროს განჭვრეტას ეძღვნება მისი ლექსი „ნუ დაღონდები!“

არსებობა სულის მარადიული მოგზაურობაა „ზევით თუ სამარეში“.

გარდასხეულების თეორია, დედამიწაზე სულის მრავალგზის მოვლინების თეორიაა გაზიარებული სტრიქონებში“, „...მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება“.

ქართველი პოეტი საუბრობს „მოგონებით შადრევანზე, მოგონებათ თეთრ ნაკადებზე, მოგონებათა გამაზე, ლურჯ მოგონებაზე“.

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, გვაუწყებს ლექსი „ფარულ ტკივილებით“ (5,181).

შთაგონების მოვლინებას გვამცნობს „ეს მშობლიური ქარია“: „...ძილი მეგონება, უცებ ქაოსიდან მთვარე ამოზიდა ლურჯი მოგონება“ .

მხოლოდ გარდასხეულების თეორიით თუ აიხსნება ედგარ პოს საუბარი „ადრეულ ყოფიერებაზე“, „მილიარდი წლების ცნობიერებაზე“ გალაკტიონის მზერა „საუკუნეთა სათვალავში“, რუსთაველთან ნაცნობობა, მათი ჭვრეტა ზესკნელ საიდუმლოებებში, რაც მხოლოდ ერთეულთა, რჩეულთა ხვედრია და ასეთები იყვნენ ამერიკელი და ქართველი პოეტი.

მერაბ კოსტავას წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სულის უკვდავების, გარდასხეულების იდეას: „სულის უკვდავების იდეა იყო და მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ქვაკუთხედ იდეად, სულ ერთია, დედამიწაზე ერთგზის ცხოვრებას თუ გარდასხეულებას და ხელახალ დაბადებას დაეყრდნობა იგი“ (7,75-76).

„...თითეული სულისთვის, თვითეული ინდივიდუალობისთვის სიკვდილი და დაბადება ასევე მრავალგზის უნდა მეორდებოდეს, როგორც ძილი და გამოღვიძება.

„წიაღი ბიბლიისა საფუძვლიანად არის გამსჭვალული სულთა გარდასხეულების იდეით“ (7,77).

„...სულთა ხელახალი დაბადების რეალობა გვარწმუნებს მსოფლიოს სამართლიანობაში“ (7,83).

„თითოეული ადამიანების ბედი მისივე ხელითაა გამოჭედილი და წინა ცხოვრების შედეგს წარმოადგენს“ (7,89).

მაგრამ კოსტავას უცდომელი განაცხადით, გალაკტიონი იყო „წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი“ (გალაკტიონი) (8,144-162).

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ ნათქვამია: „აენთო თვალი წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ (5,688).

გალაკტიონმა იწინასწარმეტყველა მეორე მსოფლიო ომი და გამარჯვება ფაშიზმზე, იწინასწარმეტყველა ქრისტიანობისკენ მიბრუნება, თავის პოეზიის დიდი მომავალი. უცდომლად შეაფასა ტერენტი გრანელის შემოქმედება, უწოდა მას „ხალასი გენია და ნიჭი“. პოეტის განსაკუთრებულ მეხსიერებაზე, მრავალგზის დაბადებაზე მეტყველებს განაცხადი: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“ (მთვარის ნაამბობიდან) (5,452).

გვაგონდება დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის აზრი: „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში დაბადებული და მზემდე აღზევებული“.

დამოწმებანი

1. პლატონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1974
2. უილიამ გათრი, „პლატონი“, ბერძენი ფილოსოფოსები, თარგმანი გ. ნოდიასი, წინასიტყვაობა და რედაქცია გ. თევზაძის თბ., 1983
3. ედგარ პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი, „პალიტრა L“, თბ., 2011
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული თბ., 1977
6. გალაკტიონოლოგია II, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
7. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“თბ. 1990

ტიტე მოსია

ფერწერული ესთეტიკისათვის გრანელის ლირიკაში

ტერენტი გრანელის ლირიკა ფერის ესთეტიკის ქართული ტრადიციით არის გაჯერებული. მხედველობაშია მიღებული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება და მხატვრული მწერლობა. ფერი ემოციური მუხტით განგვაცდევინებს საგნებისა და მოვლენების გარეგნულ სილამაზეს. ასევე, ადამიანთა სულიერ მშვენიერებას. ფერი დიდად მოქმედებს ადამიანის ფსიქოლოგიაზე. „ფერთა ქროლვა“ მზის დაბადებიდან იღებს სათავეს სამყაროს ღმერთის მიერ გაჩენიდან. რუსთაველიც ამისი აქცენტირებით იწყებს პოემას: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უკვალავი ფერითა“.

სიტყვა „ფერი“ სულხან–საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ანუ პირველ ქართულ ლექსიკონში განუმარტავია (4, 184). მისი პირველი ახსნა მოგვცა ნიკო ჩუბინაშვილმა. შემდეგ გაიმეორა დავით ჩუბინაშვილმა: „ფერი ვითარება ნივთთა, ქვემდებარე ხედვისა, უპირველესი სახენი ფერისანი არიან: თეთრი, შავი, წითელი და ყვითელი. ამათ დაერთვის: ლურჯი, მწვანე და იისფერი. თუ თეთრი და შავი შეერთდების, მაშინ იწოდები ფეროა, თუ თეთრი და შავი ქარნია, თუ ყვითელი და წითელი ნარინჯია“ (5, გვ. 1801).

შუა საუკუნეებში განარჩევდნენ ფიზიკურ და სულიერ ფერს. საერო მწერლობა დამშვენებულია ფიზიკური ფერებით, საეკლესიო–სასულიერო მწერლობაში კი – სულიერ ფერები სულიერი ნათლის სახით, თავისი შემოქმედების პირველ დღეს ბიბლიურმა ღმერთმა სწორედ სულიერი ნათელი–ფერი შექმნა, მეოთხე დღეს კი – ფიზიკური ნათელი.

ტერენტი გრანელი მორწმუნე პოეტი იყო, წმინდად, სუფთად მორწმუნე, ხელი მიუწვდებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. ვინაიდან მისი დროისათვის ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობდა ბიბლიის სტამბური წესით გამოცემანი. მკითხველს შევახსენებთ, რომ მეფე–პოეტმა არჩილ ბაგრატიონმა (1647–1713) 1705 წელს მოსკოვში მის მიერვე დაარსებულ ქართულ სტამბაში პირველად დაბეჭდა ფსალმუნთა წიგნი. 1709 წელს მეფე–პოეტმა ვახტანგ მეექვსემ თბილისში გახსნა ქართული სტამბა და ახალი აღთქმის პირველი გამოცემა განახორციელა. 1884 წელს თბილისში (ხელაძის სტამბაში) გამეორდა ბაქარ და ვახუშტი ბაგრატიონების მიერ მოსკოვის ქართულ სტამბაში განხორციელებული ქართული ბიბლიის გამოცემა. საეკლესიო–სასულიერო ლიტერატურიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყო 1882 წელს მიხეილ საბინინის მიერ დასტამბული დიდი ფორმატის კრებული „საქართველოს სამოთხე“. ასევე, 1913 წელს პავლე ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული სოლიდური წიგნი „ძველ–ქართული სასულიერო პოეზია“. ეჭვი არ გვეპარება, რომ ტ. გრანელი ამ და სხვა გამოცემებს იცნობდა კიდეც და ისინი იყვნენ მისი შთაგონების წყაროები.

სწორად შენიშნავს ლუარა სორდია: „ტერენტი გრანელი ქართული კლასიკური პოეზიის მაგისტრალური ხაზის გამგრძელებელია და, მაინც, სრულიად თავისებური, განუმეორებელი და განსხვავებული მოვლენა. მისი მსოფლგანცდა ქრისტიანულია და, ამავე დროს, ამაღლებული ფენომენი“ (7, გვ. 266).

ტერენტი გრანელის ლირიკაში ფიგურირებს ფერთა მრავალსახეობა: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი... ზოგი მათგანი გამოყენებულია ჩვეულებრივი მნიშვნელობით, როგორც საგნისა და მოვლენის უბრალო მახასიათებელი, ზოგი ფერი კი სიმბოლოდ მოჩანს. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი ფერი აბსტრაქტული ცნებების მსაზღვრელად გვევლინება.

საუბარს დავიწყებთ „თეთრი“ ფერის რაობის ჩვენებით. სალხან–საბა ორბელიანის მიხედვით: „თეთრი“ სპეტაკი, გინა ვეცხლი“ (3, გვ.303). შევნიშნავთ, რომ შუა საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურაში ცნებები „თეთრი“ და „ნათელი“ გააზრებულია სინონიმურ სიტყვებად, რაც თავს იჩენს ტერენტი გრანელის შემოქმედებაშიც. ამას პირველად ყურადღება მიაქცია ლუარა სორდიამ. ის იმეორებს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ კონცეფციებს, რომ არაერთ რელიგიაში ნათელი ღმერთის სიმბოლოა, ასევეა ქრისტიანულ სახისმეტყველაბაში, რომლის მაიმპულსირებელია ქრისტეს ენით ნათქვამი სახარებისეული სიტყვები: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ“. მკვლევარი სავსებით სამართლიანად ზებუნებრივ ანუ საღვთო ნათელს ხედავს პოეტის გამოთქმაში: „და ასე ფიქრი უფრო ძნელია, როცა თვალები ნათელს უცდიან, ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა, ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა ბურუსია?!“ ამ „ნათელმა“ უნდა გაფანტოს სიბნელე და ბურუსი. აქ ალეგორიულად ნათქვამია: პოეტი შენატრის, უცდის ნათლის ანუ ღმერთის გამარჯვებას ბნელზე, ბურუსზე ანუ მის სამშობლოში გამეფებულ ბოროტებაზე, უკეთურებაზე, უმეცრებაზე.

განვაგრძოთ საუბარი „თეთრზე“. ლ. სორდია წერს: „თეთრი“ „შორეული ღრუბლის წვიმად“ არის ღმერთის სახე ტრანსფორმირებული (7, გვ. 279). „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“; „მიმზიდველია თეთრი ღრუბელი შორს მიმავალი“. თუ საღვთისმეტყველო სახისმეტველებას გავითვალისწინებთ და გრიგოლ ნოსელის თვალსაზრისს გავიზიარებთ, აქ კონკრეტულად სულიწმიდის სიმბოლოდ მოჩანს „თეთრი ღრუბელი“.

დავიმოწმებთ ტ. გრანელის რამდენიმე ტაეპს: „ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის“, „ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“. ტაეპის კომენტირებისას ლ. სორდია შეგვახსენებს, რომ ქრისტე ღმერთის ტრადიციული სიმბოლოა ვარსკვლავი. შესაბამისად ციტირებულია სახარებისაული ფრაზა: „მე ვარ (ქრისტე ამბობს – ტ.მ.) ძირი და ნათესავი დავითისი (იგულისხმება დავით წინასწარმეტყველი – ტ.მ.) და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (ი. 22, 7). ციტირებულ ტაეპში პოეტი თვითონვე გვიდასტურებს, რომ ვარსკვლავს აქვს სიმბოლური დატვირთვა: „ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის“, „მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“. ამით ტ. გრანელი თავად მიგვახვედრებს, რომ „თეთრი მარადისობა“ ქრისტეს ალეგორიული სახეა. იგივეა „თეთრი ვარსკვლავი“, „თეთრი ვარსკვლავი კაბადონზე რომ გამოჩნდება, მისი სხივები მსურს შევკონო ბრილიანტებად“.

შემოქმედს ადამიანის სულიერი მდგომარეობის, მისი ფიქრების და შინაგანი განცდების წარმოსახვაში სასარგებლო სასახურს უწევს ეპითეტი... ამ თვალსაზრისით ხმარებულ ეპითეტს ფსიქოლოგიურ ეპითეტს ეძახიან. სწორედ ფსიქოლოგიური ეპითეტებით არის დატვირთული ტ. გრანელის მელანქოლიური პოეზია. „მარადისობა“ იგუებს მხოლოდ პოზიტიურ ატრიბუტს (საპირისპიროდ ნეგატიურისა), მათ შორის, უპირველესად „თეთრს“. აქ „თეთრი“ არ უნდა გავიგოთ ფიზიკური თვისებების მქონედ, არამედ ის საღვთო თეთრია, სულიერი ნათელია, რომელიც უფალმა თავისი შემოქმედების პირველ დღეს გააჩინა. „თეთრი მარადისობა“ ღმერთის შეცნობის კატაფატიკურ მეთოდზე მიგვანიშნებს.

„სადღაც ელავს ლამპარი ჩემი თეთრი სულივით“ – იტყვის ტ. გრანელი, რომელმაც კარგად იცის, რომ ადამიანის სულის შემქნელი ღმერთია: „სული საღმრთო არს, რომელმან შემქმნა მე და სული ყოვლისა მპყრობელი, რომელი მასწავებს მე“ (იობი, 33, 4). „ცხოველ არს უფალი, რომელმან შექმნა სული ჩემი, ესე სული“ (იერ. 38, 16). პოეტმა ისიც საუცხოოდ უწყის, რომ „სული ღმერთ არს, ვითარცა იტყვის წერილი, თვით ხელმწიფე და შემოქმედი“, ამიტომ უფრთხილდება იგი სულს, ხორცთან შედარებით. ამიტომაც დარწმუნებულია, რომ მისი სული თეთრია ანუ წმინდა, სპეტაკი, რომელიც მოელვარე ლამპარს ედარება. ან კიდევ: თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“. სული უხილავია, აბსტრაქტული ცნებაა, ამიტომაც რა გამართლება ეძებნება სულის წინ დავსვით ეპითეტი „თეთრი“. საკითხს ნათელს მოფენს „თეთრის“ გააზრება სულიერ ეპითეტად.

იგივე სურათი იხატება ტ. გრანელის შემდეგ შესიტყვებაში: „თეთრი მდუმარება“ („დღესაც ბაღში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება“), „თეთრი სიჩუმე“ („სულში თეთრი სიჩუმეა დღესაც, ოთახში თეთრი სიჩუმე დადის“); „თეთრი იმედი“ („ჩემი თეთრი იმედი დამეკარგა ოდესღაც“); „თეთრი ფიქრი“ („უფრო ივლიან თეთრი ფიქრები“, „ქრიან თეთრი ფიქრები“), „თეთრი გლოვა“ („და თეთრი ქალწული – გლოვა ეცემა სისხლიან მიწას“).

როგორც ცნობილია, საგანთა და მოვლენათა თვისებების განსაზღვრა ორი გზით ხდება: ლოგიკური და მხატვრული. ლოგიკური განსაზღვრა არამხატვრული განსაზღვრაა, მართალია, იგი საგნისა და მოვლენის თვისებას წარმოაჩენს, მაგრამ ეპითეტად ანუ მხატვრულ განსაზღვრად აღარ ითვლება. მის მიზანს შეადგენს ამა თუ იმ საგან–მოვლენის თვისების გამოყოფა მსგავსი საგან–მოვლენისაგან. ქვემოთ ლოგიკური განსაზღვრის ნიმუშებს გავეცნობით, რომელიც ამოწერილია ტ. გრანელის პოეტური ნიმუშებიდან:

„თვალში თეთრი ცრემლი ბრწყინავს“; „თოვლი თეთრია და მიწა შავი“; „და მოდის თეთრი ზამთარი“; „მოვალ, მაცვია თეთრი ხალათი“; „შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით“; „და მატარებელს მწუხარე ქალის თეთრი ხელები თოვლივით მოაქეს“; „გლოვის ზარებით გამოაქანებს თეთრი კარეტა“; „სადღაც ელავდნენ თეთრი ნავები“; „სადღაც ტირიან თეთრი გედები“; „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით“; „ჯეკი პატარა თეთრი ძალღია“; „დევს მაგიდაზე თეთრი ყვავილი“; „უკცე ქრებიან თეთრი მინდვრები“; „ისევ თეთრია სივრცე“; „ჩემი ტირილის ჩუმი მოწმეა ეს თეთრი მთვარე და ვარსკვლავები“; „ახლა კიდია მაღლა მთვარე – ცის თეთრი საყურე“; „დაქრის დღეების თეთრი კრებული“; !თეთრი დღეები ჩემს წინ ქრებიან“; „თეთრი დღეა და ბაღია იქით“;

და ბოლოს: „ყურადღებას იქცევს ტ. გრანელის „თეთრი ღამე“. იგი ნიშნავს მთვარით განათებულ ღამეს: „და მთვარიანი თეთრი ღამეა“. თუმცა მთვარის გარეშეც გვაცნობს „თეთრ ღამეს“, რაც დაკვირვების საგნად უნდა ვაქციოთ: „და ისევ თეთრი ღამეა გარეთ“. მასში უთუოდ არეკლილია ღმერთის შეცნობის კატაფატიკურ–აპოფატიკური მეთოდი. ეს მეთოდი ქვემოთაც დაგვჭირდება და ამიტომაც ამთავითვე მოკლედ შევჩერდებით მის რაობაზე იმ მკითხველისთვის, ვისაც მასზე წარმოდგენა არ გააჩნია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ღმერთის კატაფატიკურ–აპოფატიკური მეთოდებით შეცნობის გზა სათავეს უძველესი ინდური ფილოსოფიიდან იღებს. ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში კატაფატიკა–აპოფატიკას საფუძველს უყრის კლიმენტი ალექსანდრიელი, ხოლო ენციკლოპედიურ ფორმას აძლევს გრიგოლ ნოსელი. მას იყენებდნენ ფილოინი, ორიგენი, კაპადოკიელი მამები. პეტრე იბერმა (ფსევდო – დიონისე არეოპაგელმა) აღნიშნულ მეთოდებს დასა-

ბუთებული ხასიათი მისცა თავის გენიალურ თეოლოგიურ–ფილოსოფიურ ნაშრომში – არეოპაგიტიკა.

პეტრე იბერი გვასწავლის, რომ ღმერთის შეცნობა–ცოდნის ერთ–ერთი საფუძველთაგანია მისი დახასიათების კატაფატიკურ–აპოფატიკური მეთოდი, ე. ი. უფლის დადებითი დახასიათების (კატაფატიკური) მეთოდი უარყოფითთან (აპოფატიკურთან) ერთად. დადებითი დახასიათება გასაგებია, მაგრამ როგორ აღვიქვათ უარყიფითი ანუ ნეგატიური დახასიათება? სიტყვა „უარყოფითი“ ჩვეულებრივი თუ პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება, როგორც, მაგალითად, უარყოფის გამომხატველი, უარყოფის შემცველი, ცუდი, მიუღებელი, მავნე.

ღმერთის უარყოფით დახასიათებაში იგულისხმება კატაფატიკური (დადებითი) ატრიბუტების საპირისპირო (მისი უარმყოფელი) ეპითეტების მოხმობა. მაგალითად, „საცნაური“ უფლის დადებითი ატრიბუტია, რაც ნიშნავს ხილულს, შეცნობილს. ამით მორწმუნეს შესაძლებლობა ექნება ღმერთის ხილვა– შეცნობისა. ეს, ამავე დროს, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთკავშირზეც მიგვანიშნებს. ქრისტე ხილული გახდა ადამიანური ბუნების შეძენის გამო. „საცნაურის“ საპირისპირო ცნებაა „უცნაური“. რითაც ხერხდება ღვთის აპოფატიკური დახასიათება ეს მიღწეულია „საცნაურის“ უარყოფის ხარჯზე. ამით ხაზგასმულია უფლის შეუცნობადი, მიუწვდომელი ბუნება. ეს იმას ნიშნავს, რომ მამაზეციერზე ადამიანს არანაირი ცოდნა არ გააჩნია, ვინაიდან იგი არსებადაუბადებელია. ქრისტე „უცნაურია“. შეუცნობელია იმდენად, რამდენადაც ღვიური ბუნება გააჩნია (6, გვ. 394–418).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გვიადვილდება ტ. გრანელის „თეთრი ღამის“ საიდუმლოს ამოცნობა. ეს სინტაგმა აგებულია კატაფატიკურ–აპოფატიკური ცოდნის მეთოდის საფუძველზე და მაცხოვრის ორბუნებოვნების გამომხატველია. ქრისტე „თეთრია“ ადამიანური ბუნების ქონის გამო, როგორც დროსა და სივრცეში შემოსული, ხილული, შეცნობადი... ქრისტე „ღამეა“, ანუ ღვთიური ბუნების მატარებელია, როგორც უხილავი, შეუცნობელი, მიუწვდომელი.

„თეთრი ღამე“ უთუოდ რუსთაველის „მზიანი ღამის“ ანალოგიითაა შექმნილი ისევე, როგორც ტ. გრანელის „ცისფერი ღამე“, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, საერთოდ, ოქსიმორონის ტიპის გამოთქმა „ცისფერი ღამე“ ტ. გრანელთან პირველად დასტურდება. ლ. სორდია ამ სახის შესახებ წერს: „ვფიქრობთ, იგი („ცისფერი ღამე“ – ტ.მ.) „მზიანი ღამის“ ანალოგიით შექმნილი უზენაესზე მიმანიშნებელი მხატვრული სახეა... „ცისფერი ღამე“ ძე ღმერთის სახეებთან ასოცირდება... ანალიგიური რელიგიური შინაარსის „ცისფერი საღამო“ გვხვდებაო ლექსში „ახლა საღამო ხომ ცისფერია“... „ცათა ცაში“ ეგულებოდაო პოეტს „ცისფერი ღამე“ (7, გვ. 307).

ერთი სიტყვით, ლ. სორდიამ პირველთაგანმა სავსებით სწორად დაგვაკვალიანა, რომ ტ. გრანელის „ცისფერი ღამე“ რუსთაველისეული „მზიანი ღამის“ ანალოგიით შექმნილი სახე–სიმბოლოა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ოქსიმორონი „მზიანი ღამის“ სიმბოლიკა პირველად მხოლოდ „ვეფხისტყაოსანშია“ თავჩენილი:

„იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისა,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისა“.

რუსთაველის შემდეგ ეს სახე–სიმბოლო დავით გურამიშვილამდე ქართულ სიტყვიერ კულტურაში არსად არ დასტურდება:

„ვირემდის განხლდებოდა ძველი დღე–ღამე მზიანი,
იფქლი კალოზედ ეყარა განურჩეველი, ბზიანი“.

ახლა კი მოვუსმინოთ გარდამავალი ხანის (XVIII–XIX სს. მიჯნის) პოეტს პეტრე ლარაძეს, რომელიც დავით აღმაშენებლის გარდაცვალების თაობაზე წერდა:

„განვიდა სოფლით, შვებულყო ანგელოსთ დასთა კრებული,
გახსოვდეთ მეფე ცხებული, ოთხ კიდედ სახელიანი,
უჟამო ჟამის მეტრფე და მზიანი ღამით სვიანი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში „მზიანი ღამის“ არსის გააზრების 13 შესაძლებლობიდან რამდენიმეს გამოვყოფთ: 1. „მზიანი ღამე“ ზოგადად ღვთაების სიმბოლოდ დაისახა; 2. „მზიანი ღამე“ სამების მეტაფორად გაცნობიერდა; 3. „მზიანი ღამე“ ქრისტეს სახე–ხატად იქნა გაგებული; 4. „მზიანი ღამე“ კატაფატიკისა და აპოფატიკის მთლიან სიმბოლოდ იქნა გააზრებული. ჩვენ ვიზიარებთ მხოლოდ იმ მკვლევართა (მანანა გიგინეიშვილი, ზურაბ კიკნაძე) მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ „მზიანი ღამე“ კონკრეტულად ქრისტეს სახესიმბოლოა, კატაფატიკისა და აპოფატიკის მთლიან სიმბოლოდ გააზრებული. იგი გამომხატველია ქრისტეს ორბუნებოვნებისა (ღვთიური და ადამიანური).

ვფიქრობთ, თემისთვის არ გადაგვიხვევია. გვსურდა „ცისფერი ღამის“ მაიმპულსირებელ „მზიანი ღამეზე“ შედარებით გაუთვითცნობიერებულ მკითხველს სათანადო წარმოდგენა ჰქონოდა.

ლექსში „სიცოცხლის გრადაცია“ ტ. გრანელი წერს: „წითელი მზე აელვარდა ბინებთან. მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე. უიმედო გულისძგერა მინელდა. შენ, წმინდაო მაცოვარო, ამინ!“ აქ „ცისფერ ღამეში“ რომ ქრისტე მოიაზრება, თვითონ მაცხოვარის ხსენება ადასტურებს. ამაზე ლუარა სორდია ამახვილებს ყურადღებას: „ზემოთ ხსენებული ლექსის სტროფში წმინდა მაცხოვრის გამოცხადება უფრო აკონკრეტებს სათქმელს და „წითელი მზე“, „ცისფერი ღამე“ ძე ღმერთის სახეებთან ასოცირდება“. კიდევ სხვა საილუსტრაციო მასალებს მოვუხმოთ:

„ახლა ჩემს ირგვლივ მეტი ხალხია,
მე მაინც ვფიქრობ ცისფერ ღამეზე.
ჩრდილია, ვწევარ და მეშინია,
რომ სახურავი თავზე დამეცეს“.

ან კიდევ: „მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ“; „ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის“; „ახლა საღამო რომ ცისფერია“; „სიცოცხლე ისე არ შეიძლება, და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა“.

ერთი სიტყვით, ტ. გრანელის „ცისფერი ღამე“ შექმნილია „მზიანი ღამის“ ანალოგიით. იგი უნდა გავიაზროთ კატაფატიკისა და აპოფატიკის მთლიან სიმბოლოდ, როგორც ქრისტეს ორბუნებოვნების (ღვთიური და ადამიანური) გამომხატველი.

ქვემით საუბარს განვავრცობ ფერზე „ცისფერი“, რომელიც ერთობ პოპულარულია საგანთა და მოვლენათა თვისების გამოსავლინებლად ტ. გრანელის პოეზიაში. სულხან–საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ გვაცნობს ამ სიტყვას ასეთი ფორმით „ცის–ფერი“. იგი განუმარტავია. მის გვერდით მიწერილია „ლურჯი“, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ცისფერი“ და ლურჯი“ დიდ ლექსიკოგრაფს სინონიმურ ცნებებად მიაჩნია. „სიტყვის კონაში“ „ლურჯიც“ განუმარტავია, გვერდით მისთვისაც „ცის–ფერი“ არის მიწერილი (4, გვ. 356).

ლ. სორდიას დაკვირვებით, ფსალმუნური (ფს. 56, 14) „სიცოცხლის შუქი“ გრანელის ლირიკაში ცისფერთან ფიგურირებს ტრადიციული ატრიბუტის თანხლებით „მარადისობის“ სახით: „სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“. მკვლევარს „მარადისობა“ ღმერთის სახელად ესახება: „მე ისევ ვეძებ გულისთვის საფლავს. მე ისევ ვეძებ მარადისობას“. ტ. გრანელის პოეზი-

ის უბადლო მკვლევარს პოეტის პოეზიიდან ამოუკრეფია ისეთი შესატყვებანი, რომელიც საღმრთო სახელად თუ ქრისტეს სიმბოლოდ მიუჩნევია: „ცისფერი სული“, „ცისფერი სიშორე“, ცისფერი სამყარო“, (უფლის სამყარო), „ცისფერი იმედი“. ამავე კატეგორიის ხილვებად მიაჩნია: „ცისფერი ბაღი“, „ცისფერი ყვავილი“, „ცისფერი ქვეყანა“, „ცისფერი წამი“ (უზენაესთან ზიარების მაცნე) „ცისფერი ფიქრი“, „ცისფერი სინათლე“, „ცისფერი თოვლი“, „ცისფერი წვიმა“.

ლ. სორდიას მიერ ამოკრებილი საილუსტრაციო ნიმუშების გარკვეულ ნაწილში გაჭირდება ქრისტეს სახე – სიმბოლოს დანახვა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომანტიკოსები გატაცებული იყვნენ „ცისფერით“. ამ ფერის წყაროს, სიმბოლისტებიც ხარბად ეწაფებოდნენ, რაც უთუოდ მახლობელი იყო ტ. გრანელისათვის. თუმცა პოეტმა „ცისფერის“ ესთეტიკას ახლებური, მისებური დატვირთვა და გარკვეულწილად რელიგიური ელფერი მისცა. ეს არ იყო ხელოვნური, ძალდატანებითი ახირება, არამედ იგი გამომდინარეობდა მისი ქრისტიანული სულიდან, შინაგანი ბუნებიდან.

მეცნიერის ციტირებული ნიმუშებიდან, ჩვენი აზრით, გასაზიარებელია შემდეგი: „ცისფერი სული“, „ცისფერი შუქი“, „ცისფერი სინათლე“, „ცისფერი თოვლი“, „ცისფერი ყვავილი“, „ცისფერი იმედი“, „ცისფერი წვიმა“. დანარჩენ შემთხვევაში ეპითეტი „ცისფერი“ პოეტს გამოყენებული აქვს საგრენბის, მოვლენების თვისებათა წარმოსაჩენად. ასევე, აბსტრაქტული ცნებებისთვის. აქვე თავს მოვუყრით ჩვენ მიერ ამოწერილი სათანადო ნიმუშების გარკვეულ ნაწილს ყოველგვარი კომენტარების გარეშე.

„შენ იღიმები ცისფერ თბილისით“, „როგორც ცისფერ პარიკებს – ღამე ფიქრებს არიგებს“, „ვნახე ცისფერი მატარებელი“, „დღეს კარგი ტაროსია... ირგვლივ კვიპაროსია, გარდა ცისფერი სახლის“; „გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი“; „მთაზე კვამლია ცისფერი“ (უთუოდ ნისლის მეტაფორა)“; „თოვლის და ყინვის ცისფერი წვეთი“; „სდუმდა ცისფერი მხარე“ (ეს სახე ერთ–ერთ მინიატურაში გაუმეორებია ავტორს: „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული“ – ეს უკვე მისტიკური მხარეა: „ეს ხედებია ჩემი, ცისფერ ქვეყანას ვხედავ“; „ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე“ („ცისფერ სიშორეში“ უკვდავების მხარე იგულისხმება“), „მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო, ლაჟვარდები ცისფერი“; „დგება ცისფერი წამი ზმანების“ (აქ „ცისფერი“ უნდა გავიგოთ, როგორც წმინდა უმანკო)“; „გაჩნდა ოცნების ცისფერი მხარე“ (იგულისხმება ზეციური მხარე)“; „თითქოს ცისფერი ოცნების შემდეგ ისევ გამეფდა ზამთრის ქარები“; „პოეტს ცისფერი ოცნება დაღლის, რადგან ცხოვრება მეტად რთულია“; „სადღაც მკრთალი მიდამოა და ცისფერი მოჩვენება“.

ცხადია, „ცისფერთან“ განიხილება „ლურჯიც“. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, სულხან–საბას „სიტყვის კონაში“ ორივე ფერი განუმარტავია და მოჩანს სინონიმურ სიტყვებად. „ლურჯი“ „სპექტრის ერთი ძირითად ფერთაგანია, რომელიც დავით ჩუბინაშვილს თავის „ქართულ–რუსულ ლექსიკონში ახსნილი აქვს, როგორც „მოჭირებული ცისფერი“. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „ლურჯი“ ახსნილია, როგორც „მუქი ცისფერი“.

ირკვევა, რომ ტ. გრანელის ლირიკაში საღმრთო სახელად, უფლის სახე–სიმბოლოდ „ლურჯი“ – ეპითეტიანი საგანი არ დასტურდება. ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, პოპულარულია ოდენ „ცისფერი“, რაც პოეტის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა და არა წინასწარ დაგეგმილ აქტს. გავეცნოთ შესბამის მაგალითებს, სადაც „ლურჯი“ ფიგურირებს საგნების, მოვლენების და აბსტრაქტული ცნებების მსაზღვრელად თუ ეპითეტად.

„მოვა მწუხარება – ჩემი ლურჯი ფრინველი“ (მწუხარების გარდასახვა ლურჯ ფრინველში ალბათ მხოლოდ ტ. გრანელს შეეძლო); „როგორც ლურჯი სინაზე დაიკივლებს ფარდებში“; „ლურჯი დღეები ჩემს წინ ჩნდებოდა, როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის“; „ლურჯი სიზმარივით მოვა გაზაფხული“; „ჩუმად სძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით“; „მთაზე ჩამოწვა ლურჯი ღრუბელი“; „და ეს თვალები,; ლურჯი თვალები, ჩემი თვალები ისევ მოგელის“; „ჩუმი და ღია ცა ჩნდება ლურჯად“; „უკვე გათენდა, ცა დავინახე, ცა სარკესავით ლურჯი“; „ეს ჩემი ფიქრის ლურჯი მხარეა“; „და ირგვლივ ბაღის ლურჯი სივრცეა“; „როცა საღამო დამშვიდებული იდგა სივრცეში ლურჯი ზვასავით“; „და მიმზერს ქალის ლურჯი თვალები“;

გელა მამფორიას მართებული შენიშვნით: „ცისფერი“ და „ლურჯი“ ფერის მხატვრული გააზრება ტერენტი გრანელის ლირიკაში თანხვდება რომანტიკულ–სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელ ფერწერულ ესთეტიკას“ (5, 125).

ტ. გრანელმა ლექსი მიუძღვნა გ. ტაბიძეს, სადაც ის აზრია გატარებული, რომ „ლურჯა ცხენების“ ავტორი მიწიერი პოეტია, თავად ტერენტი კი – ზეციერი მგოსანი:

„გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია...
გალაკტიონში მიწა ანათებს
და ჩემში უფრო ზეცის სხივი...
გალაკტიონში ლურჯი ფერია
და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული“.

ბოლო სიტყვა „უფსკრული“ აქ არ არის ჯოჯოხეთის ან ქვესკნელის სინონიმი. ჩვენი ფიქრით, იგი უნდა გავიაზროთ, შეუცნობელის, მიუწვდომელის, უხილავის სიმბოლოდ, რაც ზეციერებასთან არის წილნაყარი.

წითელი ფერი ტ. გრანელის პოზიაში ფართოდ განფენილი არ გახლავთ. სულხან–საბას „წითელი“ არ განუმარტავს. ამ ზედსართავი სახელის გვერდით მიუწერია „ცეცხლის ფერი“. იგივეს ვხედავთ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „წითელი ცეცხლის ფერი, ოღონდ მისთვის მიუმატებია „მეწამული“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „წითელი“ ახსნილია, როგორც „სისხლის ფერი“, „ჭიაფერი“, „ძოწისფერი“.

ტ. გრანელი იტყვის: „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე“. შეღამების მოახლოების ეს ჯადოსნური სურათი, მართლაც, ტერენტივით უნდა განიცადო, რომ იგი ღმერთის გამოცხადების შესაფერისად გაიშინაგანო.

ტ. გრანელს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის წითელი ყვავილი: „მხოლოდ წითელი ყვავილებია“; თავის სევდით დამჭკნარ გულს წითელ ვარდს ადარებს: „ეს გული ჭკნება წითელ ვარდივით“. პოეტს დაულანდავს: „სადღაც დაცურავს წითელი თევზი“. ტ. გრანელისეული სახე–ხატია: „შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე“.

„ო, საუკუნე წითელია“... ეს პოეტური გამოთქმა იტევს იმ სისხლიან რევოლუციებს, ბოლშევიკურ სისხლიან რეჟიმს, რომლის თვითმხილველი, მოწმე და მსხვერპლი იყო ტ. გრანელი.

ტ. გრანელის წარმოდგენით, მზის ტრადიციული მსაზღვრელია „წითელი“, მაგრამ ზოგჯერ ყვითელი ფერით მოსილად ეჩვენება (ალბათ შემოგდომით): „მზე დაიმალა ყვითელი ფერით“. საერთოდ, პოეტი ძალზე ძუნწად ეტანება ყვითელ ფერს. ეტყობა, ეს ფერი ავტორისთვის ესთეტიურად ნაკლებად ჩანს. მისი ეპითეტად გამოყენების თითო–ოროლა ნიმუში იძებნება მხოლოდ:

„ცაზე ყვითელი ღრუბლები რბიან“; „დაიწყო თოვა ყვითელ ფოთლების“; „უკვე გაყვითლდა სოფლის ტყე–ველი“... „სიფელს სიყვითლე გადაეხურა“.

ტ. გრანელის ლირიკა განიცდის „მწვანე“ ზედსართავი სახელის თუ ეპითეტის სიმწირეს. სხივთა შორის არც დავით გურამიშვილის „დავითიანია“ განებივრებული „მწვანე“ ფერით. მკითხველის საყურადღებოდ ვიტყვი: აღნიშნული ფერი ფართოდ გვხვდება ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, საქორწილო ლექს–სიმღერებში, შელოცვის ტექსტებში, ქართულ საერო მწერლობაში... „მწვანე“ სამების ფერია. მჭიდროდ დაკავშირებულია ქრისტიანულ აზროვნებასთან და ცნობიერებასთან.

სულხან–საბას თუ დავით ჩუბინაშვილს თავიანთ განმარტებით ლექსიკონებში „მწვანე“ არ განუმარტავთ. მის გვერდით მიუწერიათ ბალახის ფერი“... ტ. გრანელს „მწვანე“ შეურჩევია აბსტრაქტული საგნის „სიმშვიდის“ ეპითეტად: „დგას საფლავებს მწვანე სიმშვიდე და ეკლესია თითქოს თოვლია“.

სისხლიანმა ეპოქამ, წითელმა საუკუნემ, ბოლშევიკურმა ჯოჯოხეთობამ, უბედურმა ყოფამ, ტანჯულმა ცხოვრებამ, პირადულმა და მსოფლიო სევდამ ტ. გრანელს პოეზიაში შავი ფერები მოამრავლა. „შავი“ ზედსართავები. მსაზღვრელი და ეპითეტი უხვად მოგვეპოვება მის ლექსებში. „სიტყვის კონაში“ ეს სიტყვა არ არის განმარტებული. ლექსიკოგრაფს „შავის“ გვერდით მოუთავსებია „ყორნის ფერი“. დავით ჩუბინაშვილს კი „შავი“ განუმარტავს, როგორც „ფერი ბნელისა“.

„შავი“ „თეთრის“ საპირისპირო ეპითეტია. ასოცირდება მიწასთან, სამარესთან, ჯოჯოხეთთან, უბედურებასთან, სიკვდილთან, ამასთანავე. შავი ტრაფარეტულ ეპითეტად იქცა სატრფოს თვალების, თმების, წარბ–წამწამების გამოსახატავად. „შავი“ სიკვდილს და უბედურებას გვამცნობს ერთ ხალხურ ლექსში „ბოდახევაის თავზედა მზე შავად ამოჩნდებაო“. საეკლესიო–სასულიერო ლიტერატურაში ავი სულებისა და ბოროტების სიმბოლურ–მეტაფორულ სახეთა სინონიმური სიტყვებია: გველი, ვეშაპი, გველეშაპი, ასპიტი. ურჩხული, ვასილისკო, ღრიანკალი, იქედნე, სატანა, ეშმაკი, ტარტაროზი, უნასი, უხილავი მხეცი. მათგან გველზე, ვეშაპზე, გველეშაპზე გავრცელებულია ეპითეტი „შავი“ (შდრ. „ამირანდარეჯანიანი“, „ამირანიანი“ და ა.შ.): ქართული მითოლოგიის გავლენით სატანა თუ ეშმაკი დახასიათებულია „შავი“ ეპითეტით „დავითიანში“:

„ეშმაკნი შავნი თეთრ გრძელ კბილებით
მიკრაჭუნებენ, მკაწრვენ ფრჩხილებით“.

მკითხველს შევახსენებ ტ. გრანელის ლექსებიდან ამონარიდ მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც დომინირებს ეპითეტი „შავი“. „ელავს ზეცა და ღრუბლები შავი“, „მიწიდან ცამდე სივრცეა ისევ, მიწიდან ცამდე შავი ღამეა“; „უყვარდა ღამის შავი ხვეული“; „ვით მონაზონი, შავ ძაძებით შევიმოსები“; „კედელზე შავი ქუდი კიდია“; „და თითქოს მქონდა შავი ნიღაბი“; „შავი ლანდები ისევ ქრებიან“; „გაქრა წარსულის შავი ხაზები“; „და ირგვლივ შავი სივრცეა ქვეყნის“; „და შავი კატა წევს ფანჯარაზე“; „შავგვრევან სახეს აცისკროვნებს ლურჯი გაროზი“.

დამოწმებული ციტატები აჩვენებს პოეტის დაკვირვების ობიექტად ქცეულ ფიზიკურ საგნებს, რომელთა თვისების გამოსავლენად ნახმარია ეპითეტი „შავი“ (გარკვეულ წილად ტრაფარეტული, გაცვეთილი). პოეტური თვალსაზრისით უფრო ინტერესს იწვევს და ესთეტიკურ ელფერის იძენს აბსტრაქტულ ცნებებთან მოფიგურირე „შავი“.

„ქრის წამი შავი და უცნაური“, „შავი ფიქრები გროვდება ისევ, დგება წამების თეთრი საათი. მიწა არ მინდა და, როგორც ქრისტე, მე ვემზადები გაფრენისათვის“; „მოდის ცისფერი და რაღაც შავი, და სადღაც გაღმა გაისმის სროლა. ესენინივით მოვიკლა თავი? თუ სიცოცხლისთვის განვაგრძო ბრძოლა“ (ვფიქრობთ: მოდის ცისფერი და რაღაც შავი“. აქ „შავი“ სიკვდილის აჩრდი-

ლად იგულისხმება): „უკვე დაფარეს გული შავებმა“ (სიტყვა „შავებმა“ მიგვანიშნებს შავ ფიქრებზე, მომაკვდინებელ განწყობაზე), „და რაღაც შავი მიახლოვდება“ (აქაც „შავი“ სიკვდილზე თუ რაღაც უბედურებაზე მიგვითითებს); „ისევ ღამეა, ცა ელავს შავად“; „ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი“ (ბოროტება გაიგივებულია შავ ყორანთან).

როდესაც ტ. გრანელის პოეზიის ფერთამეტყველებაზე ვსაუბრობთ, ყურადღების არეალში უნდა მოექცეს ისეთი ლექსები, თუ ტაეპები, სადაც ფიგურირებენ შემდეგი ეპითეტები: ფერწასული, ფერმკრთალი, სიკვდილისფერი, მტრედისფერი, ოქროსფერი, სევდისფერი: „მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა“; „ქალაქის ფერმკრთალი ქალი“; „ციმციმებს სიკვდილის ფერი“; „მსურს წამოვიდეს დილა მტრედისფერი და ახლა მინდა იყოს გათენება“; „როდესაც იდგა დღე ოქროსფერი“; „და ეს დღეები სევდისფერია“.

შეიძლება დავასკვნათ: ძველ ქართულ სიტყვიერ კულტურაში „ფერს“ ნაირგვარი გაგება ჰქონდა. იგი ნიშნავდა დღევანდელი გაგების „ფერსაც“ (თეთრი, შავი, ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე...), „ფორმასაც“, „გვარსაც“, „ხატსაც“, „სახესაც“, ჰიპოსტატსაც“ (ზ. გამსახურდია). ტ. გრანელის პოეზიაშიც გრძელდება შუა საუკუნეების ქართულ მხატვრულ მწერლობაში გავრცელებული ფერთა ესთეტიკის ანუ ფერთა სიმბოლიკის ტრადიცია. პოეტის ლირიკაში ფერები ფიგურირებენ როგორც პირდაპირი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ისე მხატვრული ფუნქციითაც (თეთრი, შავი, წითელი, ცისფერი, ლურჯი...). სიმბოლურ–ალეგორიული თვალსაზრისით. განსაკუთრებით გამოსარჩევია შესიტყვებანი: „თეთრი ღამე“, „თეთრი საღამო“, „ცისფერი ღამე“, „ცისფერი სული“, „ცისფერი შუქი“, „ცისფერი სინათლე“, „ცისფერი ყვავილი“, „ცისფერი იმედი“. ამ სიტყვებიდან სიმბოლურ–ალეგორიულად გამოსჭვივის უსათუოდ „მაცხოვრის სახე“.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ტ. გრანელი, რჩეული, თბ., 2017
2. ტ. გრანელი, ერთტომეული, თბ., 2012
3. სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტორგაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკას საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991
4. სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993
5. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ–რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წიასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბ., 1984
6. გ. მამფორია, დათოვლილი სანთელი – „ტერენტი გრანელის პოეზია“, თბ., 2000
7. ტ. მოსია, ქართული სასულიერო მწერლობის სახისმეტყველებიდან, თბ., 2016
8. ლ. სორდია, ტერენტი გრანელის შემოქმედების ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მასშტაბები, თბ., 2024

ხათუნა ელიაშვილი

ს ი ბ რ ძ ნ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შენს მაღალ "მე"-ში.

იოანე ზისიმე
ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.
(განხილვა)

1

ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე!

მოსაუბრეა ქართული ენა! სადაც ი-ო-ან-ე საიდუმლოებებით სავსე კოდია.

ი – ბგერა თესლია.

ო – სუნთქვის ადგილი, საიდანაც სხეული ჟანგბადით ივსება, იკვებება. სიცოცხლის საწყისია აქ. ეს ცხვირია, ნესტოები.

ან – აბანის საწყისი.

ე – ენის ამოდგმა ხდება "ე" ბგერით.

ანე – თურქულ ენაში დ ე დ ა ა.

ენათა ერთობლივობა არსებულ სამყაროში კოდირებულია საიდუმლო ინფორმაციით და ერთმანეთში კავშირში არიან, არსებობს სიტყვათა რაოდენობა სადაც დიდი მგვანება და ერთნაირი ინფორმაციაა შიგ.

ზ – ო ს ი – მ ე.

ზ – ბგერა ქართულ ენაში უსასრულობას ნიშნავს, ზ ე ც ა ს, ზეციურს გულისხმობს, ზღვას, ზარს!

ო – ს – ი ბგერების უმაღლესი კომბინაცია, სადაც გული და სუნთქვა ერთმანეთს უკავშირდება.

ო – ჟანგბადის მიღების ადგილი, ცხვირი.

სი – ნოტია და გული.

საიდანაც სიცოცხლე ათვლას იწყებს!

მ ე – თვითეული ჩვენთაგანი.

ანუ სრულიად კაცობრიობა და ჩვენში არსებული "მ ე".

ამრიგად ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე არის საკაცობრიო გზავნილი, სიცოცხლის წყარო, ბგერებში შევსებული ენერგია, რასაც სიცოცხლის უსასრულობაში მიჰყავს კაცობრიობა!

მისი გზა თუ კი გათვალისწიებული იქნება და სწორი გაგება, მაშინ სიცოცხლის მბადებელია და უკვდავებაში გადის!

აქ, ამ ჩანაწერში, ბგერათა განლაგება იძლევა ველს, ღვთიურ ენერგიას და ჯამრთელობაში გადაჰყავს სხეული, ვივსებით ი ო ნ ი თ და ღმერთის ნებას ვებმევით.

ი ო ა ნ ე ე ნ ა ო ი!

აქ ლოცვაა!

ყველაფერი ყოფილა ქართულ ენაში ჩადებული.

დრო ფარდობითია!

ანუ გაფართოვებული, თან ფა და დო ნოტებია, ფა – რ – დო – ბითი. ანუ შენვე ხარ მისი შემმქმნელი, შემადგენელი და ის ფარიაო, საფარველი.

არასოდეს არ არის გვიან.

საქართველო!

ქართველი ანუ მმართველია! ველია! რთველია და ელიაა!

ჟანგბადი ველია, ქარია, და სულია!

ჟ – ან – გ – ბადი!

ჟ ა ნ – რია სხეულში,

ა ნ – ანბანი.

ბ ა დ ი – დაბადებაა.

ე.ი. საკუთარ სხეულში უნდა დაბადო ჟანრი, მუსიკალური განწყობა და ისე ახვიდე ზევითო, ამით სიცოცხლის გზა გეძლევა და ზე ასვლას ახდენ ცნობიერებაში!

რადგან თვითეული ასო ბგ – ერაა, ერთანაც არის კავშირში, ერასთანაც, ანუ დროსთან და ივსები ენერგიით.

ანუ ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ა!

თან მთა არის, თან რულია, მართვის სისტემა, უნდა ატრიალო, სადაც თუ ვერ გაიგე რთულია და თუ გესმის უკვე დართულია, დაქარგულ-მოჩუქურთმებული.

მარადიულია მოძრაობა მარადიული!

სიტყვების ღვთიური გაგებაა მთავარი, ბგერების აღქმა სწორი მიმართულებით, რადგან უარყოფითი ენერგია სამყაროში არ არსებობს.

ღმერთს არ შეუქმნია.

ამას მხოლოდ ადამიანის გონება ქმნიდა და ქმნის აზრის შედეგად, მისი შინაგანი არსი ამ-ჟღავნებს ამას და დამდაბლებას იწვევს.

ამ საკითხზე პასუხისმგებელი თვითონ ადამიანია.

2

1. დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად. რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

"და – მარხულ არს", ანუ არსებობს ენა რომელიც შენახულია, დამალულია, დამარხული, როგორც საგანძური და უნდა მოიძებნოს, მოინახოს ანუ ამოიღოთ ეს საგანძური.

წიაღირსეულია!

და ამას "ქართულ ენა – ზე", მის ძალაზე, გადმოგვცემს იოანე ზოსიმე.

მის სიღრმეში ჩაძიებას გულისხმობს, რათა გახსნილი იქნას ანუ ახსნილი და ეს მის მეორედ მოსვლას, დაბადებას გულისხმობს.

"არს"- მის არსებობას გვამცნობს და ჩვენში აღსდგ – ე ნ ა ს.

"სა – წამ – ებ – ლა – დ" სიტყვა განსაზღვრავს არა წამებას არამედ წამიდან დაწყებულ სიამოვნებას, საამებლად საკუთარი სულისა და სხეულისთვის, ღვთის მადლის მიღებას, როგორც წამალი ისე შედის ორგანიზმში სადაც მაღალ სულთან დაკავშირება ხდება და ჯამრთელდები!

"რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა"

თან ილოცება რომ გამხელილი იქნას მისი ღრმა შინაარსი.

ენა, სიტყვით აკეთებს ამას და სამყაროს პროცესებსაც მართავს გარდა სხეულისა, ურთიერ-თობის დალაგება ხდება, აღმშენებლობაში გადადის და წესრიგდება, როგორც ადამიანი ისევე სამყარო.

სიტყვის პირუკუ დაბრუნებას ახდენს იმწუთშივე.

"რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია"

ზუსტად მასზედაა მორგებული ეს ანდაზა.

ქართულ ენაში, სიტყვაში ღმერთის ძალა იმალება,

გამხელა, გახსნა ხდება იოანე ზოსიმეს ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

ეს ძირია, ფესვია, უკვდავებაა რაც ე ნ ა ს აღადგენს და დიდებით შეამკობს.

ე.ი ვინც ამ სიბრძნის ე ნ ა ს ჩასწვდება და ჩაუღრმავდება გამხელილ იქნება ეს საიდუმლო, ღვთის ძალის განვრცობა მოხდება სამყაროში.

"პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი"

ქართული ენიდან ამოსული და ამომზეურებული ინფორმაცია იშლება აქ და ეფინება ირგვლივ ყველაფერს, სიღრმისეული უნარი აქვს და ღმერთს ეკუთვნის, ჭეშმარიტების მღაღადებელია და ბგერების აღორძინება ხდება,

ა მ ე ნ – აზეა შექმნილი მთელი სულიერება, მას სიცოცხლე შეაქვს დედამიწაზეც და სამყაროშიც, შვიდ სხივზე იშლება და საკუთარი ღირსების შემამკობელია!

საღი აზროვნების უნარია მთავარი.

ეს ზოსიმეს ენაა!

ზ ე ო ენა, მაღალი განზომილების ენა, როგორც ღრმა ცოდნისა და ზეციური კანონის მარადიულობა!

2. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.

და ეს ენა – ჲ – დაფარული ცოდნაა,

იოტა მის დაკეტილობას გულისხმობს და ის საკუთარ სხეულშია დაფარული, დაკეტილობა მისი კი მისივე სიღრმის მანიშნებელია რაც მის ძალაზე მეტყველებს სხეულში.

"მძინ – არე არს"

მის მიძინებაზე, ზოგჯერ მძიმე არეზეც, რადგან სხეული ჩაკეტილი სივრცეა და მასში შეღწევა მხოლოდ მაღალი სულით და გახსნილი გონებით ხდება.

თვითონ სიტყვა მძი – ნ – არე მძივიცაა რომელიც სხეულში სამებასთან კავშირშია და მისით გავდივართ ღვთიურ განზომილებაში, ცნობიერის შევსებით ხდება ეს.

ეს სამება კი საკუთარ თავში მოიაზრება, რაც გონებას უკავშირდება ტვინის სამი ნახევარსფეროთი.

ერთობლიობაში კი სივრცეა, თავის სივრცე.

რაც შემოქმედებით უნარს ზრდის და ჩვენივე "სახარებას" ანუ გახარებას იწვევს.

სა – ხარ – ება!

ხარ – ება! ე.ი. თუ ხარ, ცოცხალიც ხარ და მოხვედი ამ ქვეყანაზე უნდა ებაო და გაიხარებო!

"სახარება" მაღალი ღვთიური არსის განზომილებაა.

ხარ- ი კისერია და იქ ბმულის რაობაზეა საუბარი, თავზე!

სადაც თავი – თავთავია!

"და შინა ამასა ენასა" შიგნით ჩადებული, აზრით შევსებული სიღრმე, მისი მრავალმხრივი ცნობიერება სულიერ ხარისხში გადის.

"ლა- ზარ – ე ჰრქვიან".

ე.ი ლა – ღვიძლია, რომელიც ზარს რეკავს და ჰრ – ქვიან ანუ ქვასავით ძლიერია.

ნოტები როგორც ბგერები ასევე ატარებს ღრმა შინაარსს და სხეულის ნაწილებს შეიცავს, სიტყვებშიც მასთან კავშირს ახდენენ.

დო – მარჯვენა ფეხია.

რე – მარცხენა ხელი.

მი – მარცხენა ფეხი.

ფა – მარჯვენა ხელი.

სოლ – თავი და აქედან მოდის სოლომონ ბრძენი, სიბრძნე არის თავში.

ლა – ღვიძლი.

სადაც ლა- ზარეა, ანუ ზარს რეკავს.

სი – გული.

სი – ონი!

ღვთიური არსი, რაც ჟანგბადით ივსება და სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს სხეულში, სიცოცხლის ცენტრია!

"დაძარით ტაძარი" ეს საკუთარი სხეულია და ტანზეა საუბარი.

დაბადება კი ძველის მოშორება და ახლის საწყისს ითვალისწინებს და ამას მუდმივად ქმნი საკუთარ სხეულში.

მას ტანჯვის ფორმა აქვს.

"და ესე ენაჲ მძინარე დღესამომდე",

სანამ სამების სიწმინდეს არ შეიცნობს ადამიანი, მანამდე ვერ შევა სამოთხეშიო.

3. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან. ესენი არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართაჲ

როდესაც ცნობიერება გაიხსნა, ანუ ამაღლდა ამ ახალი ცოდნით "მოიქცა ნინო"

ე.ი. გონების მართვა დაიწყო მოგრძო ტვინმა და ეს "მოქცევა" მისი გახსნაა.

ჰე – ლ – ენ – ე ანუ დედოფალი ხდება და შეძახილია. "დედოფალ – მან "

მან მიანიჭა დედოფლობა.

ჰე – შეძახილია

ენ – ენის მეშვეობით.

"ჰელ"- ოუ. Hello. მისალმება ინგლისურ ენაში.

ნი – ნო ცოდნა – ცნობიერება.

თან " ესენი არიან ორ – ნი დანი"

ორ – ნი, ორმაგად ძლიერნი, სულთან შესული ცნობიერება, რომელიც როგორც მჭრელი საგანი "დანი" "ვითარცა მარიამ და მ ა რ თ ა ჲ.

უდიდესი სულიერი განზომილება, ეს ღვთისმშობელი მარიამია და მისი მმართველობის ძალა, სადაც დაკეტილია იოტათი.

მ ა რ თ ა ჲ.

მის მართველობას ვგრძნობთ სხეულში.

და აქ მარიამის ძალა ენის მეშვეობით ხდება მართული.

სიმღერა გალობა ავემარია. მ – არია. მ – არია – მი ეს კი მიმართულია დედამიწის სიყვარულისკენ.

ჲ – სიბრძნის გასაღებია და მის ადგილმდებარეობას გულისხმობს, მართვის პულტია და უკავშირდება გირჩისებრივ ჯირკვალს, მესამე თვალს ანუ შუბლთან, წარბებ შუა ზის.

"იო" – ეს წერტილია.

ტ – მთელი სამყარო უსასრულობაში.

ა- მამაზეციერი.

ანბანის საწყისი, პირველი ასობგერა.

საღი აზრია მთავარი, მისი ფორმა, შინაარსი მუდამ უნდა დაუკავშირო ღმერთს, მისი დამოკიდებულება კი საკუთარ შინაგანს, სულს, ანუ შენი სული ღმერთში უნდა გამოფინო.

ჩვენს სივრცეში ჩადებულია უსასრულობა ამიტომ პირველი სულიწმინდა შედის და მკვიდრდება შიგ.

არ დავკარგოთ ეს.

ცნობიერების მარცვალი უნდა გავაღვიძოთ, რათა ცნობილი ერების განზომილება შევქმნათ,

საკაცობრიო ძალად უნდა ვაქციოთ და ღვთიური ენერგია მივანიჭოთ სიცოცხლეს, უნივერსალური ფორმაა რასაც ბუნება გვთავაზობს თავისივე არსით, რადგან ბუნებაში ბუნებრივად დევს.

ე ნ ა ს ააქვს დიდი ფასი.

ე – შეძახილია,ენის ამოდგმას უკავშირდება.
ე ნ ა დ ე დ ა ა!
დ ე დ ა ე ნ ა ა!

3

4. და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა [მახარებელმან]. რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

აუცილებელია დაუმეგობრდე საკუთარ სულსა და სხეულს, რადგან აქ არის ის საიდუმლო დამარხული, რომელიც ამ ე ნ ი ს მეშვეობით იხსნება.

უნდა შეაღწიო მასში, ანუ ჭაში ჩახედვა უნდა ისწავლო, ეს ჭკუასთანაა ახლოს.

და ეს "მახარობელ – მან" გახარებას გვპირდება.

საიდუმლოჲ კი დუმილია, ანუ ჩაკეტილია და ეს ენა ინახავს.

მდინარე დუმალა, დასავლეთ საქართველოში,

რას გვეუბნება ნეტავ?!

დუ – მალა, დუმ – ალ – ა.

ანუ დუმს მალა, ან დუმებში ალიაო, ენერგიააო და აქ დადუმებული საიდუმლო იმალებაო.

ზუსტად სხეულის ეს ზონა მშვილდოსანს მიეკუთვნება და ამ ზონას ბედნიერების პლანეტა მფარველობს ასტროლოგიურად.

ენითაუღწერელი საიდუმლო იხსნება აქ, ენითაუღწერელი ნიშნავს რომ მხოლოდ ე ნ ა მეტყველებს და არსად აღწერილა ჯერ.

ფილოსოფია ზე – ასვლაა, რომელიც მხოლოდ სულიერ ძალებზეა დაყრდნობილი და ორივე ერთად იპყრობს სიბრძნეს და ჯამრთელობას.

სხვადასხვა უმაღლესი ცივილიზაციების ცოდნა მოედინება აქ და ეს საკუთარი სხეულის კუთვნილებაა!

5. და ოთხსა დღესა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან, რამეთუ "წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეჲ."

წელიწადის ოთხ დროზეა მინიშნება, ოთხი სახარებაც მასზეა დაწერილი.

ეს ოთხი დრო ანუ პერიოდი როგორც ბუნება, ისევე ადამიანი გადის ზრდისთვის,

ამას ენა, აზროვნება ქმნის,

ზ – ა – მთა -რი.

მთაში ჩაკეტილი ცნობიერებაა, აქ გროვდება, როგორც თავში და გაზაფხულისთვის ნაწილ-დება გარშემო, ფესვებით გაედინება მი – წა – ში და ფესვებით მიიღება სიცოცხლისთვის ბუნებაში.

"დავით წინაჲსწარმეტყუელმან"

აქ და – ვით, თავია. და ეს თავი იძლევა წინასწარმეტყუელ – ებას, რადგან მეტყველია, მა მიმართვა "მან" ზეა გათვლილი.

რომელიც იოტათია დაკეტილი უნდა გახსნა და ახსნაო.

"რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო."

"და ეს ოთხსა დღესა მკუდარი" მიანიშნებს პერიოდის ოთხივე დროში შესაძლებელია აღვადგინოთ, "მკუ -დარი", გამოვაღვიძოთ, და სინათლე შევიტანოთ ჩვენივე ცნობიერებაში.

ყველა სულის გადარჩენა ჩვენივე ვალია,

მარცვალი რომელიც ვარდება მიწაში უსასრულობას გვაყვარებს და ჩვენივე არსს ამდიდრებს.

"რამეთუ წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეჲ"

ქრისტეს ერთი წელი მოიცავს 12 წლიან სრულყოფილ პერიოდს, ანუ 12 წელი ქრისტეს 1 წლად ითვლება.

ამიტომ გვყავს 12 მოციქული, ასევე სხეული დაყოფილია 12 ნაწილად და ის ერთი ადამიანია მთლიანობაში. ასტროლოგიაც 12 ნიშანში გადის, მინიჭებული ააქვთ სხვადასხვა სახელები ბუნებაში არსებული ცოცხალი ორგანიზმების.

ასევე გვაქვს სტიქიები რომელთა სწორი მოქმედება სამოთხეში გადის.

3 – 3 ზონაადა დაყოფილი სტიქიები, ცეცხლი, მიწა, ჰაერი და წყალი, ოთხია. მეხუთე სტიქია ლითონია და სხვა განზომილება აბარია, ანუ ადამიანის ზრდას, გამოწვრთნას გულისხმობს.

ლითონი, ვერცხლი,ოქრო.

"როგორ იწრთობოდა ფოლადი"

დროში გამოწრთვნილი სულის ფორმა ეძლევა.

საკუთარი ღირსების შემავსებელია.

სამოთხე არის ყოველივე ეს და ადამიანს ანიჭებს მის წყალობას და ძალას.

სტიქიათა სწორი მოძრაობა სამოთხის გარანტიაა სხეულში.

არ შეიძლება მათი რღვევა ეს სიკვდილთან აახლოვებს ადამიანს და სამოთხეს უკეტავს.

6. და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო, თავსა მათეჲსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს. და იტყვს ყოვლად ოთხ – ათასსა მარაგსა.

როგორც კი ქართულს ღრმად შეიცნობს ადამიანი სა – ხარ – ებას იღებს, რომელიც "მათეჲსსა წილ ზის" ანუ თავშია და იოტით არის დაკეტილი, ამიტომ მათე მართვას გულისხმობს და წერტილს სადაც იო – ტაა. მისი მდებარეობაა.

რომელიც ასოჲ არს. ანუ დაკეტილი ყოფილა ეს ბგერები.

და ეს იძლევა ყოველთვის ოთხ – ათასსა მარაგსა.

ანუ სიცოცხლე გიათასმაგდება და ეს ოთხი სტიქია ენერგიით ივსება.

სული მაღალი მეა! აქ სრულყოფილი და ამაღლებული ხდება ყველა და ყოველთვის.

ეს არის ცოდნა რომელიც დედამიწის ღერძსაც კი ატრიალებს.

სიტყვას რომელსაც ჩვენ ვხმარობთ ლოგოსს შეესაბამება, მას არ აქვს სხვა მხარე, ის უკვე ღმერთია. "ხოლო თავსა მათეჲ – სსა წილი ზის" ჯდომა, სასაა, პირის ღრუ საიდანაც ბგერები იბადება, "რომელ ასოჲ არს."

ესენი ასოები არიანო თან დაკეტილი.

ფილოსოფია შერწყმული ღვთიურ საწყისებზე, ეს ყველაფერი ღმერთია და საგალობელი, კოსმიური მფარველობა და დედამიწის აღმშენებლობაა.

ჭეშმარიტება აზრის ფესვიდან იწყებს აღმოცენებას.

რაც დაკეტილია საკუთარი თავით ხსნი, მათე ბგერებია და მანტრაა,

ხოლო იმას რასაც გასცემ სამყარო უკანვე გიბრუნებს, სიკეთე გადამდებია.

7. და ესე არს ოთხი დღეჲ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაითა.

და ესე არსებობს ეს ოთხი დღე, ოთხი სტიქია დღის განმავლობაში მუდმივ მოძრაობაში არიან სხეულში, აქ სიცოცხლის არსია და შიგ სიკვდილზე, ანუ წარსულის მოშორებაზეა საუბარი.

სიკვდილი უნდა დაფლა, ანუ მოიშორო, ტკივილი და უარყოფითი ძალები რათა ნათლისღებით აღსდგე, "ნათლისღებისა მისი – საითა"

ნათლის მიღება მისია ყოფილა გზა სიცოცხლისა.

როგორც თესლს ვფლობთ მიწაში და ველოდებით მის აღმოცენებას მიწიდან ისევე ხდება ეს პროცესები ენის მეშვეობით, აზრის გააზრებას ვახდენთ და სწორედ დაფარულიდან ამოდის სინათლე და დაფარული სიკვდილთანაა გაიგივებული და ნათლისღება კი სინათლის მიღებაა.

ეს ცოდნაა!

ცოდნა კი სინათლეა!

გონებას სიბრძნით ავსებს.

ყველაფერი არის სისხლი!

შეკუმშვის დროს ძველი სისხლი მიდის, გაშვების დროს ახალი სისხლი გადაეცემა სხეულს ჟანგბადთან ერთად.

ზე – ციდან მოსული მადლი და დიდება აძლიერებს და ამდიდრებს კაცობრიობას, მათ ღირსებას ზრდის და ფესვებს უძლიერებს.

ეს ზე – ცა მაღალი სული და სიტყვაა რომელიც თავშია.

ზ ო ს ი მ ე ე ნ ი ს ფესვებია!

4

8. და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული-მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

ანუ უფლების დაუფლება ჩვენი ვალია და უნდა დავეუფლოთ რადგან ე ნ ი ს აღორძინება მეორედ მოსვლას ელოდება!

დღეს ენა "მდაბალი და დაწუნებული" ანუ მისი სიღრმისეული არსი ბოლომდე არ ყოფილა გამომჟღავნებული,

მისი სულიერი პრინციპები ადამიანის ზრდაშია მხოლოდ, საკვებია, სიყვარულია და ყველაზე ლამაზი ფორმა დევს შიგ.

სიტყვითა და სუნთქვით უნდა დატენო სხეული, გული, როგორც ღვთიური სიწმინდე უნდა ჩადო შიგ და ისე აშენო აზრი სიტყვის მეშვეობით.

ქართული ენის საწყისი მხოლოდ სიცოცხლისა და სიყვარულის საწყისზე გადის.

ხმა იძახის იმას რასაც სულიერბა ჰქვია!

დროა აღმოვაჩინოთ მთავარი!

საჭიროა ჩავწვდეთ ბნელ ბრძოლას,

როგორმე უნდა მოვერიოთ საკუთარ თავს.

ყოველი გონივრული მოქმედება სამარადისოა და სიცოცხლის შენაძენი.

ამით უფლის სიტყვის, აზრის ამაღლებას ვახდენთ, ღმერთის ძალას მისივე ენერგიით ვავსებთ და ვკვებავთ სივრცეს.

განბანვა წმენდაა.

განბანვა ანბანია და იბანები!

"მეორედ მოსვლასა უფლი – სასა"

სასწაულია აქ!

სასა უფლისა ყოფილა და აქედან იწყება უფლის მეორედ მოსვლა, უფლება მინიჭებული ორ-განოა და მისით ხდება აღდგენა, ამაღლება ე ნ ი ს ა !

ზე ბუნებრივი ძალებია ჩვენში, ღვთიური სიწმინდის მსახურებაში უნდა ვიმყოფებოდეთ მუდამ.

საქართველო სულიწმინდის სამშობლოა.

ცოდნა სულიერი განზომილებაა, რომელიც ეძლევა ადამიანს, ადამიანი კი პასუხისმგებელია ამ საკითხის, სიტყვისა და აზრის მიმართ.

სწორედ აქ დევს მთავარი გასაღები.

სული მაღალი "მე" – ა!

და სრულყოფილებას ფლობს, სადაც მუდმივად მაღლდება!

სული, რომელიც ზრდაშია, მუდმივად ეძებს ღვთიურ მდგომარეობას და სადაც ის მარცხდება, ზუსტად იქ ხდება მისი ამაღლება!

ეს კანონი მუშაობს მუდმივად ჩვენში, რათა ეგოს დამორჩილებაში არ მოვიქცეთ და არ დავკარგოთ მაღალი "მ ე".

9. და სასწაულად ასე აქუს: ას – ოთხი წელი უმეტეღს სხუათა ენათა ქრისტეღს მოსლვითაგან ვიდრე დღესამომდე.

სასწაულად გვექცევა ეს ქება ენის, რომელიც განუსაზღვრელ პერიოდს ითვლის სიცოცხლისათვის და უსასრულობაში გადაჰყავს კაცობრიობა.

ეს ენა, არსებულ ენათა შორის არის გამორჩეული ქრისტეს მოსვლიდან დღემდე.

"დღესამომდე"

ანუ სამებაში აყვანილი ხდება სასწაული და მისი ენერგია შეესაბამება ას – ჯერ ოთხ წელს!

"აქუს" – ქებაა!

სულიერი გადარჩევა მიდის.

სიტყვა მატერიის სულია, რასაც ვსაუბრობთ რეალობაში ხდება მისი აქტივაცია, ეს ცხოვრებისა და სიცოცხლის დაპროგრამებაა, ამიტომ ყოველმა სიტყვამ თავისი ღრმა შინაარსი უნდა შეიძინოს და ღვთიურს გაუტოლდეს ადამიანში,

უნდა ვეცადოთ რომ მთელი თავისი სრულყოფილებით წარომვთქვათ, ვმართოთ,

რათა მოვიზიდოთ უნივერსალურობა!

სამყაროს უყვარს იდეა!

ჩვენ ბრძოლის ველზე ვიმყოფებით და ეს საკუთარ თავთან ბრძოლაა!

"ლომი!" ცხოველთა მეფე ბუნებაში!

"ლომი – სობა!"

იარაღი რომელიც გვეხმარება მიწის დამუშავებაში, სადაც ძნელად გასათხრელი ადგილია!

გამოიცანით მისი ღრმა შინაარსი.

ლ – ომი,

ანუ ომს აწარმოებ მუდმივად და ეს საკუთარი თავის ღირსებაა.

ამიტომ

ლ ო მ ი !

მეფე უნდა გახდე, უნდა გაიმარჯვო უნდა დასძლიო ეგო.

გააცნობიერო ცხოვრება.

სწორი ურთიერთობაა მთავარი სამყაროსთან!

10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამებ წარმოგითხარ, ას – ოთხი ესე წელი, და წილი ანბანისაჲ.

ყოველი, რაც აქ დაწერილია მოწმობს იმას რომ წარმოსახვით გვითხრეს, ანუ გზავნილია სამყაროდან, და ეს სიცოცხლის ძალა რომელიც მოიცავს პერიოდს "ას – ოთხი ესე წელი" ნაწილი ანბანიდან მოდის, რომელსაც იო – ტა განაგებს და ის აქ, ჩვენთანაა, ანუ სხეულში ზის.

შინაგანი სივრცე არის მბადებელი ამ ყველაფრის, ნაყოფი რომელიც გვეძლევა შინაგანი სივრცის საკუთრებაა და ის უპირობო სიყვარულით მჟღავნდება.

აზრების წარმოშობაც შინაგანი სივრცის კუთვნილებაა, ხედვა, გააზრება ეს გონია. სივრცე სრულიად ღიაა და მასში მოგზაურობს ადამიანი.

რელიგია საიდუმლო გასაღებია!

ზეციური სარკმლის გახსნა მოხდა ამ ჩანაწერის მიხედვით.

ი ო ა ნ ე როგორც ცოდნის გასაღები ისეა აქ ჩადებული.

მარადიულია ბუნება და მასში ჩადებული სიბრძნე.

ყველაფერი შესვლით იწყება.

საკუთარ თავში უნდა შევძლოთ შესვლა და ვმართოთ. ხრამში გადაჩეხვა ღმერთის კანონის დარღვევაა.

ამიტომ კარგად უნდა გვეჭიროს "რული", ანუ თავი, არ უნდა ჩაგვეძინოს!
ან სხვა რამემ დაგვიფანტოს ყურადღება!
ამღვრეული წყალი სათავედან მოდის.
გავწმინდოთ აზრები, რადგან ის მხოლოდ სიწმინდეს ემსახურება სამყაროში.
"სარეველა!"
რომელიც ქვას ხეთქავს, ბეტონს ანგრევს სიცოცხლისათვის. დავფიქრებულვართ კი, როგორ ახერხებს ამას?!
რა თვისებებს ავლენს სამყაროში რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს და საკუთარი თესლი უკვდავყოს?!
ის სიცოცხლისათვის იბრძვის, ღმერთს ემსახურება,
მისი მიზანი მზეა! სინათლეა!
სიბნელის გარღვევაა და მუდმივი ბრძოლაა!
სიტყვა ძალაა და სიბრძნეა, აზრთა დიდებული კრებული და აქედან მოდის "დედააზრი"
ის უნდა ნახო, მონახო, ანუ მონად უნდა იქცე რომ ნახო,
სიტყვაში ჩაძირული ცნობიერება იმალება, როდესაც ის მოდის შენთან უნდა მიიღო, შეაღწიო მასში და მისი სრულყოფილება გაშიფრო.
უნდა აიღო გეზი რადგან საწყისთან არის შეერთებული, ეს არის ნამდვილი თესლი რომელიც კაცობრიობის გამრავლებაში დევს.
ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა სინამდვილეში გონების სიწმინდეა, აზრთა სინათლეა, სი – ყვა -რულია და ეს მუდმივობაშია მოვლენილი!
ბგერების მიხედვით გავდივართ მიზანთან.
მი – ზ -ანი გასროლილი ისარია, "ი ს ა რ ი"ღმერთია!
მოზიდე მშვილდისარი, ანუ მოიზიდე მშვიდობა აზრით.
სა – ხელი!
ე.ი. სახელი ხელიდან გვეძლევა, ანუ რას ვქმნით.
ასევე გახელილი თვალია,
სახლია, სად ვცხოვრობთ!
რაში ვცხოვრობთ ანუ.
სად სახლობს ღმერთი?!
დავრეკოთ ზარები!
ლა – ზარე ირეკება!
ღვიძილი იწყება და გონება ახლდება, სხეული ჯამრთელდება, მისი მოვლა ხდება.
ს – ხე – ული.
ანუ ის ხეა და უნდა უპატრონო, მოუარო.
მზე უფალია!
აზრი ნაყოფია!
უსასრულობის სამყარო ე ლ ი ა!

2022წ.

გულნაზ ხარაიშვილი



"ათინათის" 51-ე გამოცემა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიამ, ჟურნალ "ათინათის" ახალი ნომერი გამოსცა...თუმცა, ახალ გამოცემას ჟურნალს ვეღარ დავარქმევთ, რადგანაც "ათინათი" ახალი (განსხვავებულ) ფორმატით, სქელყდიანი წიგნის სახით გამოიცა. ამიტომაც, უფლება გვეძლევა, რომ ვქვათ "ათინათის" კრებული გამოიცა... კრებულის გარეთა ყდებს, კვლავაც (ბატონ რეზო ადამიას მიერ დახატული) წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის გამოსახულებები ამშვენებს... "ათინათის" 2024 წლის პირველი (რიგით 51) ნომრის მთავარი რედაქტორია – გულნაზ ხარაიშვილი; რედაქტორი-ნანა სხირტლაძე; პასუხისმგებელი მდივანი– რეზო ადამია; სწავლული მდივანი– მალხაზ ჩხიტუნიძე; რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი-მამა ამირან ამირანაშვილი; საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები: თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) და თემურ გოგსაძე; სპორტის განყოფილების რედაქტორი-თენგიზ ფანცულაია; სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია; ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი-ეთერ ჭელიძე; მთარგმნელობითი განყოფილების რედაქტორი – მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი; ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: ნიკო ხერკელაძე და გულიადა სანოძე; მედიცინის განყოფილების რედაქტორი – ნაირა უგულავა; ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი-ვალერი მოსიაშვილი; იურიდიული განყოფილების რედაქტორი– ირაკლი ნადარეიშვილი;

სარედაქციო კოლეგიის წევრები: ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი), იური მამედოვი (აზერბაიჯანი), მარინე სხირტლაძე(საქართველო) და ლამაზირა შეყილაძე (საქართველო); კომპიუტერული უზრუნველყოფა– დათო ყანდაშვილი;

გარეთა ყდის შიდა გვერდზე, "ათინათის"ახალ გამოცემაში ბინა დაიდო, მხატვარ რეზო ადამიას მიერ დახატულმა, შოთა რუსთაველის პორტრეტმა, რომელიც ერთი შეხედვით, უფლის ხელთუქმნელ ხატსაც კი წააგავს... მხატვრის მიერ, დიდი შოთას, ახლებური (რეზო ადამიასეული) შექმნილი პორტრეტი, რეალურად ახალ სათქმელს ამბობს უკვდავი "ვეფხისტყაოსნის" ავტორის, ამოუცნობი, გენიალური აზროვნების მქონე პიროვნებაზე...ასევე, გარეთა ყდის შიდა გვერდზე (წიგნის ფინალურ ნაწილში),თვალში მოსახვედრია დიდი შოთას უკვდავი სიტყვები: "ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია"... იქვეა განთავსებული, დიდი პიროვნების, მსოფლიო მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ფოტო, რომელიც ეგვიპტის პირამიდების ფონზე, გაშლილი ხელებით, სრულიად სამყაროს ესალმება (ეფერება)... ამავე გვერდზეა განთავსებული, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი-"აკადემიის წევრების ფიცი", რომელიც ინგლისურ ენაზე, ქალბატონმა მზია ლოურენსმა თარგმნა...

"ათინათის" ახალი კრებული, ტრადიციულად სასულიერო პირთა შემოქმედებით იწყება... ყურადღებას იპყრობს, ხატმწერების: ხატია, გელა და გიორგი ლარიაშვილების მიერ დაწერილი– წმინდა ნიკოლოზის, შობის და აღდგომის, ულამაზესი ხატები, რომელთაც დაბა წყნეთის (მერვე საუკუნის) წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში დაიდეს ბინა... ამავე ნაწილში, ყურადსაღებია წმინდა მამა გაბრიელის (სალოსის) ქადაგება, რომელიც მრევლს მოგვიწოდებს:" თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმით სახე დაგებანათ"...სასულიერო ნაწილში განთავსებულია, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლოკოს-პქტრიარქის, ილია მეორეს ქადაგება:"მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქვს, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება იკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგიბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი!".. აქვე წავიკითხავთ, მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) მოწოდებას:" ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს; – სამარადისოდ – ამინ"...

"ათინათის" დასაწყისშივე დაბეჭდილია, პირადად ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "შევქმენ ჟურნალი", რომლშიც ასე მივმართავ მკითხველს:

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა...

"ათინათის" ახალ კრებულში, მკითხველი გაეცნობა, ჯგუფი ზღვარის ახალ ლექსებს... ჯგუფი ზღვარის შემოქმედება წარმოდგენიალია– სერგი ლომაძის, კახა ბაციკაძის და გიორგი ზუხბაიას, ულამაზესი პოეზიით...

"ათინათის" პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირების, ძალიან ლამაზი ლექსები... პოეზიის ნაწილში დაბეჭდილია, ისეთი პოეტების შემოქმედება, როგორებიც არიან: მამა ამირან ამირანაშვილი, ბერდიაკონი ნეოფიტე, ნანა ცინცაძე, ეთერ ჭელიძე, ნაირა უგულავა, ნელი საგინაძე, გულიკო კაპანაძე, ხათუნა თედიაშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, მალვინა ჭელიძე, გერონტი მესხი, ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, დარეჯან ღონღაძე, ნელი ტორონჯაძე, თემურ გოგსაძე, ია მაჭარაშვილი, მაგული კორძაია, ლამზირა შეყილაძე, ირმა ტყემალაძე, ვალია კვაშილავა, ნორა (ნორიკო) მგელაძე, მზია გირგვლიანი, ნინო ქინქლაძე-ჭიღიტაშვილი, ლეილა ვადაჭკორია, გიგი თეთრაძე, მანანა სამყურაშვილი, მირზა ვარძუკაშვილი, ანზორ შერვაშიძე, ბესო ჩუბინიძე, გვანცა პაატაშვილი, ნესტან გეგეშიძე, დარეჯან მაჭარაშვილი, ნატალია ფიფია-სამუშია, თეა ბარბაქაძე, ბელა მოდებაძე, ლეილა-ლიკა მაჩაიძე,

ნინო მოსაშვილი, ნინო უძილაური, მზია ელიაძე, ეთერ ისაკაძე, თამრო ნიჟარაძე, ვერიკო პარწიკანაშვილი, ეთერ გაჩეჩილაძე, მარინა კოლხელი, მარინა დიერაშვილი, მთვარისა ზეინკლიშვილი, ეკა სურამელი, ლალი სოხაძე, გოჩა ჭაბუკაიძე, თამარ ფიცხელაური, ნესტან ხარებავა, თინა ბასაბიშვილი, ირინა ბერიანიძე, მზია გომართელი, ლია ალადაშვილი, ელენე ზურაბიშვილი, ლია შენგელიძე, გიორგი დემეტრაშვილი, თინა სტეფლიანი, ნინა გაჩეჩილაძე, ნანა გიგუაშვილი, ლიკა აკობია, ია მოსულიშვილი, რუსუდან ჯანელიძე, ბეჟან ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი.

მიძღვნით ნაწილში, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის პოეზიით, ვეფერები ისეთ პიროვნებებს, როგორებიც არიან: უწმიდესი და უნეტარესი –ილია მეორე; მამა ამირან ამირანაშვილი და მამა დავით ადამაშვილი; დიდი მოგზაური– ჯუმბერ ლეჟავა; ჩემი საყვარელი პატარები– იოანე, ნენე და დანიელი; სოსო და ბექა მექვაბიშვილები; ჩემი საყვარელი გვანცა; მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი; ჩემი საყვარელი –ია ექიმი; ეთერ ჭელიძე; ჩემი დათო და ცირა; ერეკლე საღლიანი და მზია გირგვლიანი; ნანა გაჩეჩილაძე; დავით ახლოური და სხვები...

თარგმანების განყოფილება, მთლიანად ეთმობა, უნიჭიერესი ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის, შეუდარებლად მაღალ დონეზე თარგმნილ პოეზიას.მათ შორისაა, შემდეგი პოეტების ლექსები: გულნაზ ხარაიშვილი (3 ლექსი), ბეჟან ხარაიშვილი (3 ლექსი), მაგული კორძაია (3 ლექსი), ნანა გიგუაშვილი (2 ლექსი), ია მოსულიშვილი (ლექსი), ნინა გაჩეჩილაძე (2 ლექსი), ირინა ბერიანიძე (2 ლექსი), თამარ ფიცხელაური (2 ლექსი)...

საბავშვო ნაწილი წარმოდგენილია, მარინა დიერაშვილის "ლოგიკური რითმებით" და ლექსით "დედა ენა", რომელშიც ლამაზ სტროფებს წავიკითხავთ:

"გულის გულში ჩაბნეული მარცვლებად,
ქართველობის ნიშია და გენია,
ჩაკირულა, გონებაში ჩართულა,
დედა ენა სიბრძნედ შემოგვრჩენია."

ხსოვნის, "არდავიწყება მოღვაწეთა" ნაწილში, გავეცნობით, გარდაცვლილ ადამიანებისადმი მიძღვნილ წერილებს და მათ შემოქმედებას...ყურადღებას იპყრობს, მეუფე თადეოზის ლექსი "ფიროსმანის ფიქრები", სადაც ასეთ სტროფებს ამოიკითხავთ:

"ქვეყნად უმიზნოდ ვიცხოვრე განა,
განა უმიზნოდ გავცვითე ფუნჯი?
ვხატე ქალაქი, სოფელი, ყანა,
ყანაში გლეხი-სიკეთის ბურჯი."

ამავე ნაწილში წავიკითხავთ დავით გამთენაძის პოეზიას, სადაც ასეთ სტროფებს შევხვდებით:

"გაჩენის დღიდან მხარზე მაქვს სურა
და ყოველ დილით შენთან ვიჩქარი,
ანგელოზები თეთრ ფრთებს მახურავს,

ჩამომაქვს მთიდან ანკარა წყალი"...

აქვე გავეცნობით ედუარდ უგულავას წერილს, რომელიც უნიჭიერესი პოეტის, თემურ ჩალაბაშვილის, ხსოვნას ეძღვნება...თემურ ჩლაბაშვილის ხსოვნას ეძღვნება,ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "იმედის სანთელი", რომლითაც მოკრძალებით ვეფერები დიდი პოეტის მართალ სულს:

პირველ იანვარს შეხვდები ბეჟანს
და გაგახსენებს ახალგაზრდობას,
დრომ და ცხოვრებამ ის ადრე ჟეჟა,
ბედს არ ცოდნია თემურ დანდობა.
იმედის სანთელს მე კვლავ დავანთებ,
დეკემბრის სუსხმა ადრეც მატირა,
შენი ვარსკვლავი თბილისს ანათებს,
შენ ისევ მოხვალ...მოხვალ აპრილად!

პროზის ნაწილში განთავსებულია, კლასიკოსი მწერლის, რევაზ მიშველაძის რომანი "წამება" (დასაწყისი იხილეთ ჟურნალ "ათინათის" 28-32, 45-50 ნომრებში)...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, პროზაული ნაწარმოებები, რომელთა ავტორებიც არიან: ხათუნა ჩიტაძე, ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი, ია მაჭარაშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, ნინო ჭელიძე, ანამარია ლილუაშვილი, გვანცა ხარაიშვილი, იზა ვეფხვაძე...

პუბლიკის ნაწილში, დაბეჭდილია, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის წერილი,რომელიც აკადემიის კურთხევის ლამაზ, მართლმადიდებლურ, ცერემონიას ეხება...აკადემია შექმნისთანავე აკურთხა, ფშავხევსურეთის მიტროპოლიტმა-მეუფე თადეოზმა... შემდგომში აკადემია აკურთხეს მამებმა– მერაბ დეკანოსიძემ და ამირან ამირანაშვილმა...წელს აკადემია გვიკურთხა მამა დავით ადამაშვილმა, რომელიც მეუღლით და პატარა ანგელოზით გვესტუმრა...ვუყურებდი ჩემი შვილის მოსახელე მამა დავითს და ვგრძნობდი ღვთის ძალით ვივსებოდი...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის წერილები: აფხაზეთი ქართულად ამღერდება; როცა მეუღლე გიყვარს; მე სულით მდიდარი ვარ; ნანა გიგუაშვილის ბენეფისი; მალხაზ ხარაიშვილის იდეა; სიახლე აკადემიაში; გზა მომავალს; ჩემი მეკვლე; სიხარულის ემოციები; შენ რომ გეცოცხლა; როცა სიყვარული გიხმობს; ასეთი დედა ვარ; უნდა გაჩუქო; დარდი გამიფანტე ბელა; მადლობა ნანა სხირტლაძეს;

წერილების განყოფილება, იწყება ლუარა სორდიას წერილით: "სულთა სიახლოვე გალაკ-ტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი ნათესაობის ერთი ასპექტი"...წერილში ლაპარა-კია, გალაკტიონის და ტერენტი გრანელის შემოქმედებით ნათესაობაზე, სულიერ სიახლოვეზე, რომელიც მრავალ ასპექტში იქნა გამოვლენილი...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, რევაზ მიშველა-ძის წერილი "წინათქმა", რომელიც ნიჭიერი პოეტი ქალის, ნინო უძილაურის, ლამაზ შემოქმე-დებაზე მოგვითხრობს...აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის შემაჯამებელი წერილი, რომელიც "ათინათის" 50-ე საიუბილეო გამოცემას მიუძღვენი...წერილში "დევნილო-

ბაში ამღერებული მუზები" ჩემს დამოკიდებულებას (სითბოს) გამოვხატავ, ანსამბლ "ლომისის" ხელმძღვანელის, შალვა ილურიძის მიმართ, რომელიც ამჟამად წეროვანში ცხოვრობს და რომლისთვისაც ქსნის ლამაზი ხეობა, კვლავ წარსულის ცრემლია...

"პირველადობის სიმბოლო! დასაბამისეულის სიღრმე!"ასე ჰქვია წერილს, რომლის ავტორიც, მწერალი, ხათუნა ელიაშვილი გახლავთ...წერილის შინაარსი დაგვაფიქრებს და დაგვისვამს არაერთ (ცხოვრებისეულ) შეკითხვას: "ვინ ვართ ჩვენ?! სადაა ჩვენი საწყისი?! რატომ გვიჭირს მისი მოძებნა, მისი აღქმა, მისი გააზრება, რანი ვართ ადამიანები?!".

"სიბრძნის სკივრში" განთავსებულია, ნაირა უგულავას "აისის აპელიოტი", რომლის დასაწყისი დაბეჭდილია "ათინათის" 49-50 ნომრებში და ანთოლოგიის მე-13 ტომში...წერილის დღევანდელ თემატიკას "კულტურა, ერი, ტრადიცია" წარმოადგენს. მწერლის სიტყვებით: " "კულტურას", რომელიც ადამიანს მორალურ-ზნეობრივ სახეს არ უნარჩუნებს, ვერ მივიჩნევთ კულტურად"...

"ათინათის" ახალ ნომერს დაემატა დრამატურგიის განყოფილება, სადაც განთავსებულია, ირმა კეკელიძის პიესა "ზეთის ხილნარი"...პიესა ეძღვნება აფხაზეთის ომში დაღუპულ, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის ხსოვნას...

"შემეცნებითი სამყარო" წარმოდგენილია, ნაირა უგულავას "ბრალის თეორიით," სადაც გავეცნობით– სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებულ ბრალის ფორმებს (დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ "ათინათის" 38-50 ნომრებში)...

ისტორიის ნაწილში გავეცნობით, გოჩა ჭელიძის ნაშრომს" საქართველოს ისტორიის დიდებული მომენტები", სადაც ავტრის თქმით:"თამარ მეფის და ერეკლე მეორის შესახებ შემონახულ თქმულებებზე ახლო მომავალში ვისაუბრებთ. ამ ეტაპზე თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ გაზეთ "სანკტ პეტერბურგის უწყებანში" ერეკლე მეორეს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე"...

სამართალმცოდნეობის ნაწილში განთავსებულია, ლალი ჩოდრიშვილის წერილი-" საკუთრების უფლების შეზღუდვა". ავტორის აზრით:" საკუთრების უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე აბსოლუტური და მნიშვნელოვანი უფლებაა"... ქალბატონ ლალი ჩოდრიშვილის მიერ მოწოდებული თემა, საინტერესო და აქტუალურია, არა მხოლოდ ქონების მესაკუთრეებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისათვის...

ეკონომიკის ნაწილში დაბეჭდილია, ვალერი მოსიაშვილის წერილი-" კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა და განაკვეთების გაანგარიშების მეთოდები". ავტორს, ნაშრომში, წარმოდგენილი აქვს, თუ როგორ განისაზღვრება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საბანკო პროცენტის დონე...ნაშრომი სიღრმისეულად გვასწავლის, თანამედროვე საქართველოში, ბანკების საპროცენტო პოლიტიკის მართვას...

ხელოვნების განყოფილებაში გაეცნობით, ირმა კეკელიძის წერილებს: "დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" და "ვაჟიშვილი"..."დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" არის დოკუმენტური ფილმი, რომელიც 1993 წლის ოქტომბერში, სოხუმში, 9 აპრილის სახელობის სკვერში დახვრეტილი, ქართველი პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას მიეძღვნა. ავტორის

სიტყვებით:" ეს არის ფილმი-სპექტაკლი, სრულფასოვანი რეჟისურით, სცენარით, ოპერატორის ლამაზი ხედვით...ფილმი-სპექტაკლი, გაჯერებულია, სამშობლოს სიყვარულს ზვარაკად შეწირული პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძის ლამაზი ლექსებით, კომპოზიტორ ია მაისაიას ულამაზესი მუსიკით...კომპოზიტორი ია მაისაია, თავადვე არის ფილმის პროექტის ავტორი და სულის ჩამდგმელი...ფილმის რეჟისორი-ზვიად მიქელაძე, სცენარის ავტორი-ნინო ხოფერია"...რაც შეეხება მეორე წერილი "ვაჟიშვილი" ეხება, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრში დადგმულ, იგივე სახელწოდების მქონე სპექტაკლს. პიესის ავტორი, თანამედროვე ფრანგი დრამატურგი ფლორიან ზელერი გახლავთ. სპექტაკლის რეჟისორია-მერაბ ყოლბაია...ამავე ნაწილში შეგიძლიათ იხილოთ: გიორგი ჩლაიძის, ნინო კუტალაძის, ელენე ზურაბიშვილის შემოქმედებითი ნამუშევრების ფოტოები...

ნორჩი "ათინათელები" წარმოგვიდგენენ თავიანთ ლამაზ შემოქმედებას. ვიხილავთ, ნინი ზეინკლიშვილის ლამაზ ნახატებს და წავიკითხავთ მის მიერვე დაწერილ ლექსებს...ამავე ნაწილში წავიკითხავთ ნორჩი მწერლის, გიორგი ქემქაძის, მუსიკალური შინაარსის ნოველას "დიდი ოჯახის ფორტეპიანო"...აგრეთვე ვიხილავთ, პატარა მხატვრის, ელენე მაისურაძის ნახატებს...

გახსენების ნაწილში განთავსებულია, ლამზირა შეყილაძის ლექსი "უსაშველოდ ენატრება დედას". პოეტის სიტყვებით:

"შვილო! ავად ვარ...და სული მტკივა,
დარდი და ცრემლი სულს მიზიანებს.
ახლა, რომ ფეხზე წამოგაყენა
ჩამიყუჩებდი სულის იარებს"...

ამავე ნაწილში, განთავსებულია, ჩემი პოეტური მოფერება, მარადიულ სიცოცხლეში მყოფი ჩემი შვილისადმი:

მოგონებები ინისლება სევდის მალულად,
დღე არ გავა, რომ არ მახსოვდე სულის არაკო,
ახლაც ფიქრები შვილო შენსკენ გამოპარულა,
არ დამეღალო, ლექსებით თუ გელაპარაკო!..

გილოცავთ "ათინათელებო" 51-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა ვიმოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე...

ნანა სხირტლაძე

"ათინათის" 52-ე გამოცემა

სამზეოზე გამოვიდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიის, ჟურნალ "ათინათის" ახალი, რიგით 52-ე ნომერი...როგორც წინა 51-ე, ასევე ახალ 52-ე გამოცემას ჟურნალს ვეღარ დავარქმევთ, რადგანაც "ათინათის" ბოლო ორი ნომერი, ახალი (განსხვავებული) ფორმატით, სქელყდიანი წიგნის სახით გამოიცა. ამიტომაც, უფლება გვეძლევა, რომ ვთქვათ "ათინათის" მეორე კრებული გამოიცა...კრებულის გარეთა ყდებს, კვლავაც (ბატონ რეზო ადამიას მიერ დახატული) წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის გამოსახულებები ამშვენებს...

"ათინათის" 2024 წლის მეორე (რიგით 52-ე) გამოცემის მთავარი რედაქტორია გულნაზ ხარაიშვილი; რედაქტორი-ნანა სხირტლაძე; რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი- მამა ამირან ამირანაშვილი; პასუხისმგებელი მდივანი-რეზო ადმია; აკადემიის სწავლული მდივანი-მალხაზ ჩხიტუნიძე; საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები-თეა კანდელაკი და თემურ გოგსაძე; ფიზკულტურის და სპორტის განყოფილების რედაქტორი- თენგიზ ფანცულაია;

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები- ტიტე მოსია და ლუარა სორდია; ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი-ეთერ ჭელიძე; ხელოვნების განყოფილების რედაქტორები- ნიკო ხერკელაძე და გულიადა სანოძე; მედიცინის განყოფილების რედაქტორი-ნაირა უგულავა; ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი- ვალერი მოსიაშვილი; იურიდიული განყოფილების რედაქტორი-ირაკლი ნადარეიშვილი; რედკოლეგიის წევრები- ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი), იური მამედოვი (აზერბაიჯანი), მარინე სხირტლაძე, ლამზირა შეყილაძე; კომპიუტერული უზრუნველყოფა-დათო ყანდაშვილი.

"ათინათის " 52-ე ნომერში (ანალოგიურად წინა ნომრისა), გარეთა ყდის შიდა გვერდზე ბინა დაიდო, მხატვარ რეზო ადამიას მიერ დახატულმა, შოთა რუსთაველის პორტრეტმა, რომელიც ერთი შეხედვით, უფლის ხელთუქმნელ ხატსაც კი წააგავს...მხატვრის მიერ დახატული, დიდი შოთას ახლებური პორტრეტი, რეალურად ახალ სათქმელს ამბობს უკვდავი "ვეფხისტყაოსნის " ავტორის, ამოუცნობი, გენიალური აზროვნების მქონე პიროვნებაზე...ასევე, გარეთა ყდის შიდა გვერდზე (წიგნის ფინალურ ნაწილში), თვალში მოსახვედრია დიდი შოთას უკვდავი სიტყვები: "ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია"...იქვეა განთავსებული, დიდი პიროვნების, მსოფლიო მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ფოტო, რომელიც ეგვიპტის პირამიდების ფონზე, გაშლილი ხელებით, სრულიად სამყაროს ესალმება...ამავე გვერდზეა განთავსებული, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი-"აკადემიის წევრების ფიცი ", რომელიც ინგლისურ ენაზე, ქალბატონმა მზია ლოურენსმა თარგმნა...

"ათინათის" 52- ე ნომერი, ტრადიციულად სასულიერო პირთა შემოქმედებით იწყება. ყურადღებას იპყრობს, ხატმწერების:ხატია, გელა და გიორგი ლარიაშვილების მიერ დაწერილი წმინდა ნიკოლოზის, შობის და აღდგომის,ულამაზესი ხატები, რომელთაც დაბა წყნეთის (მერვე საუკუნის)წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში დაიდეს ბინა...ამავე ნაწილში ყურადსაღებია, წმინდა

მამა გაბრიელის (სალოსის) ქადაგება, რომელიც მრევლს მოგვიწოდებს:"თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმით სახე დაგებანათ"...

სასულიერო ნაწილში განთავსებულია, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს ქადაგება:"მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქვს, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება იკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გაუკეთეთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგიბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი!"..მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) კი მოგვიწოდებს: "ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს; – სამარადისოდ-ამინ!"..

"ათინათის" დასაწყისშივე დაბეჭდილია, პირადად ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "საინგილოს ვარდები", რომლშიც ასე მივმართავ მკითხველს:

ბილიკ-ბილიკ, გზის აღმართზე,
ვარდს ვეძებდი, ვერსად ვნახე,
სხვას არასდროს არ წავართმევ,
უბრალოდაც ხელს არ ვახლებ...

"ათინათის" ახალ კრებულში, მკითხველი გაეცნობა, ჯგუფი ზღვარის ახალ ლექსებს, რომელიც წარმოდგენილია- სერგი ლომაძის, კახა ბაციკაძის და გიორგი ზუხბაიას, ულამაზესი პოეზიით...

"ათინათის" პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირების, ძალიან ლამაზი ლექსები...

კრებულში დაბეჭდილია (უცნობი პოეტის რუბრიკით), მემ ელოუნის, ძალიან ლამაზი ლექსები...

პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, ძალიან ლამაზი ლექსები, ისეთი პოეტების, როგორებიც არიან: მამა ამირან ამირანაშვილი, ბერდიაკონი ნეოფიტე, ია მოსულიშვილი, ნანა ცინცაძე, თინათინ უზარაშვილი- თორდია, ტიტე მოსია, ედუარდ უგულავა, ეთერ ჭელიძე, ნაირა უგულავა, მალვინა ჭელიძე, ნელი საგინაძე, გულიკო კაპანაძე, ხათუნა თედიაშვილი, გერონტი მესხი, ლეილა გაფრინდაშვილი, ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, დარეჯან ღონღაძე, ნელი მუჯირი, თემურ გოგსაძე, მთვარისა ზეინკლიშვილი, გარი ჩაფიძე, ნორა მგელაძე, მაგული კორძაია, ლამზირა შეყილაძე, ირმა ტყემალაძე, ხათუნა ცომაია, ქეთევან გელაშვილი, ანზორ შერვაშიძე, იოსებ ტაბიძე, ნატალია აბდუშელიშვილი, ეთერ ლობჟანიძე, დავით მოდებაძე, ლეილა ვადაჭკორია, გიგი თეთრაძე, ანამარია ლილუაშვილი, მანანა სამყურაშვილი, თენგიზ ფანცულაია, მირზა ვარძუკაშვილი, ბესო ჩუბინიძე, გვანცა პაატაშვილი, ლეილა მაჩაიძე, მაია ქასრაშვილი, ბელა მოდებაძე, მარინა მანჯგალაძე, ცაგო აბაშმაძე, ელისო ფიჩხაია, გაგა გოგრიჭიანი, ია ხალვაში, ნანა ჩარკვიანი, ნესტან გეგეშიძე, მზია ერგემლიძე, დარეჯან მაჭარაშვილი, მზია ელიაძე, თეა ბარბაქაძე, აზა შანავა, ნინო მოსაშვილი, ნინო უძილაური, ნინა გიორგაძე, თამრო ნიჟარაძე, ვალია კვაშილავა, ეთერ ისაკაძე, ვერიკო პარწიკანაშვილი, მარინა დიერაშვილი, ლალი სოხაძე, მაკა გრიგალაშვილი, გოჩა ჭაბუკაიძე, თამარ ფიცხელაური, ლია ალადაშვილი, თინა სტეფლიანი, ირინა ბერიანიძე, ნანა გიგუაშვილი, მზია გირგვლიანი, იზოლდა ნიბლაძე, ნათია ჯიქურაშვილი, ნათელა ხარაიშვილი, მარინა კოლხელი, თინათინ ხაბურზანია, მარეხი რიკაძე, ელენე ზურაბიშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, თინა ბასაბაშვილი, ბეჟან ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)...

მიძღვნით ნაწილში წაიკითხავთ,ჩემს, გულნაზ ხარაიშვილის ლექსებს, რომელსაც დიდი სიყვარულით ვუძღვნი ახლობლებს, საყვარელ ადამიანებს, როგორებიც არიან: ანზორ შერვაშიძე, ნორიკო მგელაძე,ნინა საბოშვილი, მზია გირგვლიანი, მადონა ქალდანი, იოანე ლობჟანიძე, ბელა მოდებაძე, ნინო ღონღაძე და სხვები...

"ათინათის" გამორჩეული განყოფილებაა, თარგმანების ნაწილი, სადაც წაიკითხავთ, ლონდონში მცხოვრებ, ჩვენი თანამემამულის, უნიჭიერესი ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის მიერ თარგმნილ ნაწარმოებებს, რომლებიც ეკუთვნის, თანამედროვეობის გამორჩეულ შემოქმედ ადამიანებს, როგორებიც არიან: მაყვალა გონაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, თემურ გოგსაძე, ირაკლი ნადარეიშვილი, ირმა კეკელიძე, ნინო უძილაური, ეთერ ჭელიძე, იზა ჭიკაიძე, ბელა მოდებაძე, ხათუნა ჩიტაძე,ლია ალადაშვილი, ქეთო ჯომიდავა და სხვები.

საბავშვო ნაწილში, განთავსებულია, მარინა დიერაშვილის, ძალიან საინტერესო ლექსები, რომელიც აუცილებლად მიიპყრობს პატარა მკითხველების ყურადღებას.

"არდავიწყება მოღვაწეთა " ნაწილში, განთავსებულია მეუფე თადეოზის ლექსი "ყვავილი", სადაც ავტორი ასე მიმართავს მკითხველს:

ყვავილი მიწის ღიმილია, ზეცის შუქია,
სიწმინდის საგალობელია და ბრძენთ უქიათ.
საიდუმლოა მაღალ სიბრძნის ყოვლად უბიწო...

ამავე ნაწილში დაბეჭდილია დავით გამთენაძის (1993 წ.4. ოქტომბერი) დღიურიდან ამონაწერი, რომლის სახელწოდებაცაა "ჭუბერი". მოგონებაში, მთელი სიმძაფრით არის აღწერილი, ის ყოფა, ის განცდა, ის ტკივილი, რაც ჩვენმა მებრძოლებმა, დევნილებთან ერთად, აფხაზეთის დატოვების, ჭუბერის გადავლის დროს ნახეს და გადაიტანეს...

პროზის განყოფილებაში, წარმოდგენილია, კლასიკოსი მწერლის, რევაზ მიშველაძის რომანის "წამებას" გაგრძელება. დასაწყისი დაბეჭდილია ჟურნალ "ათინათის" 28-32, 45-51 ნომრებში...რომანის გაგრძელებაში, დიდი მწერალი, რეზო მიშველაძე, ძალიან საინტერესოდ მიმართავს მკითხველს (განსაკუთრებით სტუდენტებს): "ბატონო სტუდენტებო! თქვენ არ გემახსოვრებათ და მე მახსოვს თბილისის ქუჩებში მავალი ჭაღარაწვეროსანი, ტანსრული, ჭილოფისქუდიანი, შავპიჯაკიანი და ხელპორტფელიანი საუკუნის მოხუცი გალაკტიონ ტაბიძე. "ჯერ კი გვქვია ქართველები, თუ არ გაგვაესკიმოსეს", – დაიჩივლა მან ერთხელ და ეს იყო მარჯვედ ნასროლი ყუმბარა იმათ მიმართ, ვინაც ქართველი ერის გადაგვარებას ესწრაფვოდა. ქართველთა სულის მესაიდუმლემ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. გაინტერესებთ, როგორ მოკვდა გალაკტიონი? მაშ ყური დამიგდეთ... მართლაც, თუ ყურს დაუგდებთ, წაიკითხავთ, დიდი მწერლის რომანს "წამებას", აღმოაჩენთ ძალიან დიდი ტკივილით, დიდი გრძნობით, დიდი სასოებით ნათქვამ რეალობას, რომელიც მწერლის გულწრფელ განცდას და დიდ სიყვარულს გვანახებს, ჩვენი ერისა და ქვეყნის მიმართ...

პროზის ნაწილში, აგრეთვე დაბეჭდილია, ქართველი მწერლების, პროზაული ნაწარმოებები...მწერლებს შორისაა: ნელი საგინაძე, ელგუჯა მგელაძე, ირმა კეკელიძე, ლია ჩიქოვანი, მარინე ქარსაულიძე, ნათელა ხარაიშვილი, ნინა გიორგაძე, მირანდა ზაბახიძე, კლარა გელაშვილი...რაც შეეხება პუბლიკაციურ ნაწილს, მკითხველი წაიკითხავს- გულნაზ ხარაიშვილის, დარიკო ონიანის, ციური ხუჭუას, გვანცა ხარაიშვილის, ძალიან საინტერესო (აქტუალურ) პუბლიკაციურ წერილებს.

წერილების ნაწილში, განთავსებულია, თანამედროვეობის, ასევე ძალიან საინტერესო და აქტუალური წერილები, რომელთა ავტორებიც არიან- ლუარა სორდია, ტიტე მოსია, გულნაზ ხარაიშვილი, ირმა კეკელიძე, ხათუნა ელიაშვილი.

რუბრიკა "მოგზაური", გვთავაზობს ჯემალ კასრაძის ძალიან საინტერესო ჩანაწერებს (პუბლიკაციებს), რომელიც ისევ და ისევ, დიდი მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას პიროვნებას და ცხოვრებას ეხება...

"სიბრძნის სკივრში" მკითხველი კვლავ წაიკითხავს, ნაირა უგულავას, ძალიან საინტერესო ნაშრომის "აისის აპელიოტის" გაგრძელებას, რომლის დასაწყისი დაბეჭდილია "ათინათის" 49-51 ნომრებსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში... აქვე წაიკითხავთ, ნაირა უგულავას "ბრალის თეორიას", რომლის დასაწყისი დაბეჭდილია ანთოლოგიის 10-13 ტომებსა და "ათინათის" 38-51 ნომრებში.

ისტორიის ნაწილში განთავსებულია, გოჩა ჭელიძის, ძალიან საინტერესო ნაშრომი "კავკასიის ფენომენი", სადაც ავტორი გვეუბნება, რომ "კავკასიონი საქართველოს ერთ-ერთი მორფოლოგიური ერთეულია"...ნაშრომის წაკითხვისას, წინ გველოდება ძალიან საინტერესო ინფორმაცია, თუნდაც იმ საკითხის ირგვლივ, თუ რას ნიშნავს-"კავკასიური რასა, ანუ თეთრკანიანები"...

ძალიან ემოციური და სულში ჩამწვდომია, მზია კვირიკაშვილის ჩანახატი, რომელსაც განცდის გარეშე ვერ წაიკითხავთ. ავტორი მოგვითხრობს ოთარ ჯომიდავას ისტორიას...ავტორის სიტყვებით: "ოთარ ჯომიდავა ქართველი გმირია და ასეთი ვაჟკაცების გმირობანი აუცილებლად უნდა წარმოჩინდეს და ქართველმა ერმა უნდა იცოდეს მათზე...დიდება გმირებს!"

ეკონომიკის ნაწილში, წარმოდგენილია, ეკონომიკის დოქტორის, პროფესორის ვალერი მოსიაშვილის და სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის მერი ნეკრესელაშვილის, ძალიან ღრმა (მნიშვნელოვანი) წერილი- "ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულების ფუნქციონირების ისტორია საქართველოში "...ავტორები მოგვითხრობენ, რომ " საქართველოში საბანკო სისტემის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ბანკები ემბრიონის სახით, ჯერ კიდევ ჩვენ წელთ აღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში იღებენ სათავეებს"...

"ხელოვნების" რუბრიკაში განთავსებულია, ირმა კეკელიძის წერილი, რომელიც (მაყურებლის პოზიციიდან) გვაცნობს, გვახსენებს, რუსთაველის თეატრის, ეპოქალურ სპექტაკლს – "მოხუცი ჯამბაზები"... რომელიც რუსთაველის თეატრში, თანამედროვეობის უნიჭიერესმა რეჟისორმა, გოჩა კაპანაძემ დადგა. აქვეა დაბეჭდილი, ამავე წერილის ინგლისურენოვანი ვარიანტი, რომელიც მაღალ დონეზე თარგმნა, უნიჭიერესმა შემოქმედმა, ქალბატონმა მზია ლოურენსმა...ამავე რუბრიკაში შეძლებთ წაიკითხოთ, თეა კანდელაკის წერილი, ნიჭიერ ხელოვანზე- ირმა სადაღაშვილზე... აქვე შეხვდებით, ირმა სადაღაშვილის ნამუშევრებს, ფოტო მასალის სახით.

"მილოცვის" ნაწილში, საპატიო ადგილი უჭირავს წერილს, რომლშიც უსაზღვრო სიყვარულით, მილოცავენ დაბადების დღეს (თქვენს მონა- მორჩილს), გულნაზ ხარაიშვილს, ლოლა და აბრამ (პაატა) იოსებაშვილები!..როგორ არ ვიყო ამაყი, როდესაც საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში (მეუღლესთან ერთად), ასეთი სიტყვებით მეფერება:"გისურვებთ მზით გაბრწყინებულ დღეებს, თვეებს და წლებს, ურყევ ჯანმრთელობას, ბედნიერ წელთა სიმრავლეს, რომელსაც ისევ და ისევ თქვენდამი ღრმა პატივისცემით, თქვენ შვილებს, აკადემიის წევრებს ახარჯებთ და უნაწილებთ, თავს დაფუსფუსებთ, ლოცავთ და ლოცავთ! იმ გარემოსაც დაგილოცავთ, სადაც თქვენი კურთხვა-ლოცვა ფასდება!".. ამავე ნაწილში, მოლოცვის ლექსები მომიძღვნეს- ნინა გიორგაძემ და ბელა მოდებაძემ, რომელთა მიმართაც, გულწრფელი, მადლიერების გრძნობა გამაჩნია...

და ბოლოს, გილოცავთ "ათინათელებო" 52-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა გამოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს!..

მანანა კვატაია

გერონტი ქიქოძის პუბლიცისტიკის მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიურ-ესთეტიკური ვექტორები

XX საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნე, პუბლიცისტი, ესეისტი და კრიტიკოსი, მთარგმნელი, ფილოსოფიური, ესთეტიკური, კულტუროლოგიური კვლევების ავტორი, ეროვნული იდეოლოგიის ერთგული მცველი გერონტი ქიქოძე მისმა თანამედროვეებმა ქართული ინტელექტუალური სივრცის მეტრად აღიარეს. ერუდირებული მწერლისა და თეორეტიკოსის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ყოველ დროში ინარჩუნებს აქტუალობას, რადგან ის "თავისი წიგნებით... ცოცხალ კონტაქტშია ქართველ ერთან, მომავალ თაობებთან და შემწეა მათი გონებრივი თუ ესთეტიკური აღზრდისა და განვითარებისა" (გურამ გვერდწითელი). ღრმად განსწავლული მეცნიერი შესანიშნავად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, ფილოსოფიას, მუსიკას, სკულპტურას, მხატვრობას. მის კალამს ეკუთვნის პირველხარისხოვანი ანალიტიკური წერილები მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიის, ეთიკის თუ ესთეტიკის საკითხებზე.

გერონტი ქიქოძეს მისივე თანამედროვენი დიდად აფასებდნენ, როგორც ახლებური კრიტიკული პროზის დამფუძნებელს, "მაღალი რანგის ტიპურ ინტელიგენტს", "ქართული ენის ჭეშმარიტ არტისტს" (სარგის ცაიშვილი). გურამ ასათიანის თქმით, ის იყო "არა მხოლოდ ბრწყინვალე ლიტერატორი, არა მხოლოდ შეუდარებელი ესეისტი და უბადლო მოქართულე, ან, როგორც ხშირად ამბობენ: "თაობათა გემოვნების კანონმდებელი". ქიქოძე ნათელი პიროვნება გახლდათ და სხვებსაც ამაღლებდა, "იგი სულით წმინდა და გარეგნობით ფაქიზი იყო... აზრებს მოკლედ, სხარტად და შთამბეჭდავად გამოთქვამდა" (გიორგი შატბერაშვილი). თამაზ ვასაძე გერონტი ქიქოძეს ახასიათებს, როგორც მკვლევარს და აღნიშნავს, რომ სწავლულისათვის უმთავრესია ზომიერების გრძნობა, პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლასთან ერთად ის მის კულტურულ-მსოფლმხედველობრივ პროფილს გამოკვეთს.

1905 წელს ევროპიდან საქართველოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა გერონტი ქიქოძემ ჟურნალ "მოგზაურში" დაიწყო მუშაობა და აქვე პირველი წერილები დაბეჭდა. სტატია "კლასობრივი წინააღმდეგობა ჩვენში და უცხოეთში" (1905, 8) მეოცე საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს კარდინალურ, კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავების პრობლემას ეძღვნება. ქიქოძის დასკვნით, კლასობრივი წინააღმდეგობა დაწინაურებულ ქვეყნებში იმდენად გაძლიერდა, რომ "საერთო ნიადაგის პოვნა, დროებითი კავშირის შეკვრაც კი შეუძლებელი ხდება სხვადასხვა კლასებსა და მათი ინტერესების გამომხატველ პარტიებს შორის" (ქიქოძე 2003: 26).

1905 წელსვე ჟურნალ "მოგზაურში" (30) დაიბეჭდა ქიქოძის სტატია "სამშობლო განსაცდელშია", რომელიც რუსეთის იმდროინდელ კრიზისს ეძღვნება. ავტორის მართებული შეფასებით, ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ევროპაშიც რყევებს გამოიწვევდა. წერილში "როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა" ("მოგზაური", 1905, 30) ქიქოძე ახალი ფორმაციის მარკერებსა და საკუთარი ქვეყნის ფუნქციაზე მსჯელობს. სტატია "უტოპიური ელემენტები ფედერალისტურ აზროვნებაში" ("მოგზაური", 1905, 37) კრიტიკულად აანალიზებს ფედერალისტების შეხედულებებს ნაციასა და ნაციონალიზმზე. ქიქოძის აზრით, ნაციონალიზმი ისტორიული კატეგორიაა, ფედერალისტების კონცეფციით, ის ზეისტორიულია.

1910-იან წლებში გერონტი ქიქოძე მშობლიურ იდენტობას საბოლოოდ დაუბრუნდა. ახალგაზრდა მკვლევარი გულწრფელად მიუთითებდა: "მე არ ვახდენდი ქართველი ერის იდეალიზაციას... მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ძველი იბერიული და კოლხური ტომების ჩამომავლებს ჯანსაღი ფესვები ჰქონდათ და ბებერი მუხის ტოტებს, მრავალჯერ გასხეპილთ მტრების მიერ, ახალი ნორჩი ყლორტების გამოღება შეეძლოთ" (ქიქოძე 1985: 596).

ევროპული გამოცდილების მქონე სწავლულმა ზუსტად შეიგრძნო მეოცე საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს განსხვავებული რიტმი, მან გააცნობიერა, რომ ახალი ტექნიკის შემწეობით ქვეყნებს შორის წაიშალა ძველი გეოგრაფიული თუ ტოპოგრაფიული საზღვრები, საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მჭიდრო და მოწესრიგებული გახდა. სტატიაში "დასავლეთის კარები" (1916) ქიქოძე შენიშნავს, რომ მსოფლიოს გამათბობელი კულტურული ენერგია დასავლეთ ევროპიდან მოდის. ამიტომ, მისი აზრით, ფართოდ უნდა გაეღოთ დასავლეთის კარები, რათა ევროპული იდეები საქართველოშიც უხვად შემოსულიყო. გერონტი ქიქოძე იმედოვნებს, რომ ამ გზით "ქართველი ერიც თავს დაახწევს ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა".

1910-იან წლებში ევროპიდან საქართველოში დაბრუნებულ გერონტი ქიქოძეს თავის სამშობლოში კოსმოპოლიტებიც დახვდნენ, რომლებიც ქართულ კულტურას არაფრად მიიჩნევდნენ, ყალბი პატრიოტებიც, კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიას ქართულიდან რომ იწყებდნენ. ცნებათა და ღირებულებათა აღრევის ეპოქაში სწავლული ახალი, ეროვნული ორიენტირების ჩამოყალიბებას, ქართველი ერის ჭეშმარიტი ღირებულებებისაკენ შემობრუნებას შეეცადა. ამ მიზნით მან სრულიად ახალ, "ეროვნული ენერგიის" ექსისტენციურ კონცეპტს მიმართა და მისი გამოვლენა განიხილა სულიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში.

ქიქოძის ცნობილი წერილი "ეროვნული ენერგია" 1914 წელს "სახალხო გაზეთში" (16) გამოქვეყნდა და მკითხველს ქართველი ერის სასიცოცხლო პრობლემატიკის ახლებური ხედვა შესთავაზა. პუბლიცისტის მზერა შეჩერდა როგორც მისი თანამედროვე, ისე წარსული დროის საქართველოს მენტალური გათიშულობის პრობლემაზე, ორი დაპირისპირებული მსოფლმხედველობის შეჯახებით რომ იყო გამოწვეული.

"ეროვნულ ენერგიაში" მსჯელობაა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მიმართებაზე და აღნიშნულია, რომ "ევროპის სოციალიზმი ორგანული ნაყოფია განვითარებული კაპიტალისტური კულტურისა... საქართველოში კაპიტალიზმი ჯერ ნორჩი და უსუსურია, ეროვნული ენერგია — გაუშლელი" (ქიქოძე 2003: 65). ჩგერონტი ქიქოძე გაურკვევლობის ბურუსში მყოფ თანამემამულეებს ილიასეული პირდაპირობით მოუწოდებს: "ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თავისი ბედი. მან უნდა აამოძრაოს მატერიალური, საწარმოო ძალები". სწავლულმა შესანიშნავად იცის, რომ "ყველაზე დიდი ნაკლი ეროვნებისათვის უენერგიობა და უნაყოფობაა" და "ამ ნაკლს ვერასოდეს ვერ დაფარავს უმჭევრმეტყველესი კოსმოპოლიტური ფრაზეოლოგია" (ქიქოძე 2003: 66).

წერილში "ეროვნება და ტერიტორია" ("სახალხო გაზეთი", 1914, 117-118, 120, 124) გერონტი ქიქოძე ეროვნული სახელმწიფოსა და ავტონომიის კონცეპტებს განმარტავს. სახელმწიფო მისთვის გათვითცნობიერებული ეროვნების შესაფერ პოლიტიკურ ფორმაა, ავტონომია - "მხოლოდ საფეხურია ამ იდეალის მისაღწევად". ქიქოძის შეფასებით, "ეროვნება ცოცხალი ორგანიზმია და ის მწვავე ტკივილებს განიცდის, სანამ შესაფერ პოლიტიკურ ფორმას იპოვიდეს".

პუბლიცისტის დაკვირვებით, მის თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა ადამიანის ახალი, ენერგიული ტიპი, რომლისთვისაც "ეს ქვეყანა ფართო სახელოსნოა, თავად კი - დამოუკიდებელი ოსტატი". მისი აზრით, ამგვარ ვითარებაში ქართველობა ვერ იჩენს სისტემატური, აუჩქარებელი შრომის უნარს, ხოლო ქვეყნის ჩამორჩენილობის მიზეზი ისიც არის, რომ "მოუთმენელნი ვართ და შემთხვევით ან უცაბედად გამდიდრებაზე ვოცნებობთ" და "საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს უფრო ვგევართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს" (ქიქოძე 2003: 142).

ანალიტიკოსი თანამემამულეებს შეახსენებს, რომ "ეროვნულ სიმდიდრეს მხოლოდ ცოცხალი ეროვნული ენერგია ქმნის". ამავე დროს, მისი დაკვირვებით, ჩვენი ქვეყნისათვის კაპიტალიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ხელსაყრელი, თუკი ეს განვითარება ჩვენივე მწარმოებელი კლასების შემწეობით მოხდება. ქიქოძის აზრით, საქართველოშიც შეუძლებელია სამოქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება, თუ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებს უცხოელი კაპიტალისტები დაეპატრონებიან.

შრომის დანაწილებისა და სპეციალიზაციის პრობლემები განიხილულია წერილში "მეურნეობა და ეროვნული ენერგია" (გაზ. "საქართველო", 1916, 187). ქიქოძისათვის მთავარი ფაქტორი ქვეყნის

კლიმატური პირობები გახლავთ: საქართველოს ზოგიერთი კუთხე შეიძლება ვენახად გადაიქცეს, ზოგი — ხეხილის ბაღად. ქიქოძის დასკვნით, ჩვენში მეურნეობის შეფერხების უმთავრესი მიზეზი "ჩვენი უმეცრება და მცონარეობაა".

1910-იანი წლების საქართველოს პერიოდულ პრესაში გერონტი ქიქოძემ გამოაქვეყნა წერილები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის თემატიკას მიეძღვნა. სტატიაში "გამარჯვება ეროვნული იდეისა" აღნიშნულია, რომ ომი მხოლოდ ტერიტორიასა და პოლიტიკურ ურთიერთობებს არ ცვლის, არამედ — ადამიანების ფსიქოლოგიას და მსოფლმხედველობასაც. ავტორის შეფასებით, ომი უბედურებაა, ბრძოლის ველზე ადამიანების "ველური ინსტინქტები, ატავისტური გრძნობები ხელახლა იღვიძებენ" წერილში "ომი და უზენაესი მორალი" ქიქოძე აღნიშნავს, რომ ომი სპობს კულტურას და "არავითარ გამარჯვებას არ ძალუძს იმ დანაკლისის ანაზღაურება, რომელსაც მებრძოლი ერი განიცდის ომში".

ანალიტიკურ სტატიაში "რატომ დამარცხდა ინტერნაციონალი?" (1914) ავტორი ომისშემდგომი ახალი ევროპის დაბადებას წინასწარმეტყველებს და ოპტიმისტური განწყობით აღნიშნავს: "ნანგრევებიდან აღსდგება ახალი კულტურა, უფრო ბრძნული, უფრო ვაჟკაცური, უფრო ნათელი. ჩვენი პატარა სამშობლოც შესაფერ ადგილს დაიჭერს მზის ქვეშ" ("სახალხო ფურცელი", 1914, 174). 1917 წლით თარიღდება ქიქოძის წერილი "გეოგრაფიული ოცნებები", სადაც მითითებულია, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გეოგრაფიული რუკა შეიცვლება, რასაც, შესაძლოა, "ადამიანის სულიერი რუკის შეცვლაც მოჰყვეს".

გერონტი ქიქოძის 1910-იან წლების პუბლიცისტური წერილები მისი ფილოსოფიური თუ ესთეტიკური აზროვნების ორიგინალურობასა და მასშტაბებს ცხადყოფს. წერილი "ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა" (1909) "შეუდარებელი მნიშვნელობის" საკითხს ეძღვნება. ავტორს აინტერესებს: არსებობს თუ არა ეროვნება, როგორც ფსიქიკური რეალობა და ეთიკური ღირებულება, პიროვნების გარეშე და მასზე მაღლა. ქიქოძე განიხილავს ამ საკითხის ისტორიას შუა საუკუნეებიდან მის თანამედროვეობამდე. მისი აზრით, რაციონალისტური მსოფლმხედველობა ეროვნებაზე უარყოფითი კონოტაციისაა: რაციონალისტებისათვის ერთადერთი ჭეშმარიტი რეალობა არის სოციალურ ერთეულთან ორგანულად შეკავშირებული პიროვნება.

თეორეტიკოსის მითითებით, მეცხრამეტე საუკუნეში ამავე საკითხებზე მსჯელობდნენ რომანტიკული ფილოსოფიის მიმდევრები, ჰეგელი, ვოლუნტარისტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები. ქიქოძის განმარტებით, სუბიექტური სულის ანტითეზას წარმოადგენს ობიექტური სული, რომელიც უფლებაში, ზნე-ჩვეულებასა და მორალში გამოიხატება. შემოქმედი სულის უმაღლესი საფეხური კი არის მთლიანობა, სინთეზი სუბიექტური და ობიექტური სულისა - ანუ აბსოლუტური სული.

იმავე წერილში გააზრებულია მეცხრამეტე საუკუნეში ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისათვის მიმდინარე პროცესები. მრავლისმთქმელია ანალიტიკოსის დებულება: თავისუფალ ერს შეუძლია, პოლიტიკურ მონობაშიც ბევრი რამ შექმნას, მაშინ, როდესაც "სულიერად დამონებული და დამახინჯებული... მონად დარჩება თვით უთავისუფლეს სახელმწიფოში" (ქიქოძე 1985: 24).

წერილში "ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა" გერონტი ქიქოძე ენისა და აზროვნების მიმართების საკითხს განიხილავს და შენიშნავს, რომ ენა, აზროვნების მსგავსად, აპერცეფციული მოვლენაა და არა ასოციაციური. რაც შეეხება პიროვნებისა და ეროვნების მიმართებას, ქიქოძის ხაზგასმით, პიროვნება იბადება და კვდება, თაობები იცვლებიან, ეროვნება კი ამ ცვალებადობაში იგივეობას ინარჩუნებს.

გამოკვლევაში "ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში" (1909) გერონტი ქიქოძე გრძნობის კონცეპტზე მსჯელობს. მისი დეფინიციით, გრძნობები გახლავთ ადამიანის ინდივიდუალობისა და განუმეორებლობის გამოხატულება, პიროვნების თავისებურების საძირკველი, მისი განუმეორებელი, ამქვეყნიური სულიერი "მე", და, როდესაც ადამიანს საკუთარი გრძნობების გამოთქმა არ ძალუძს, ეს გახლავთ "ტრაგედია კეთილშობილი სულისა", ლიტერატურული თუ მუსიკალური ქმნილებისა, "რომელსაც სწადია, გამოსთქვას გამოუთქმელი". წერილში მოტანილია გერმანელი ფსიქოლოგის, ლიბსის მოსაზრება, რომლის თანახმად, გრძნობა არის "მე-ს" მდგომარეობა, ის სუბიექტურია და მას

წარმოდგენათა და შეგრძნებათა ობიექტურობა უნდა დავუპირისპიროთ. გრძნობა და სულიერი განწყობილება განუყოფელია, თუ "მთლიანი და განუყოფელია თვით "მე"".

მხატვრულ ნაწარმოებში გერონტი ქიქოძე ადამიანის სულს და გრძნობებს ხედავს. მკვლევრის დაკვირვებით, "სულის უზენაესი მოვლინება ტრაგიკული გრძნობაა", ხოლო ტრაგიკული ხელოვნების უმაღლეს გამოხატულებად ქიქოძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა ესახება. "პირველად მან გვაგრძნობინა, რომ... ტრაგიზმი გამომდინარეობს თვით სამყაროს ტრანსცენდენტალურ არსებობისა, მის მეტაფიზიკურ შუაგულისაგან" (ქიქოძე 1985: 54).

მეცნიერის დაკვირვებით, ბარათაშვილმა თავის ლექსებში ტრაგიკულ გმირად დასახა დიადი "მე", "ზოგადი, ინდივიდუალური საზღვრებისაგან თავისუფალი პიროვნება, რომლის ბრძოლა, ლტოლვა და ტანჯვა სივრცის, მიზეზობრიობისა და მიზანთა ურთიერთობის გარეშე დგას". ამასთან, ბარათაშვილის ზოგადი "მეს" ტრაგიზმი ის გახლავთ, რომ პოეტს ახასიათებს "უსაზღვრობა სურვილისა და მისწრაფებისა... ბედნიერებასაც კი გაურბის, თუკი ამ ბედნიერებაში იგი თავისი პირადული საზღვრების შევიწროებას გრძნობს" (ქიქოძე 1985: 63). მეცნიერის აზრით, აქ "მე" ებრძვის არა ხილულ მტერს, არამედ — საკუთარ თავს. ამასთან, ადამიანის ინდივიდუალური "მე" ყოველი არსებისათვის "აბსოლუტური და მუდმივ გარდუვალი ზღუდეა", ხოლო მეორე მნიშვნელოვანი ზღუდე, რომელსაც ვერასდროს გადააბიჯებ, "დროების მიერ შექმნილი საზღვრებია".

სწავლულის შეფასებით, ბარათაშვილი არის ძლიერი ინდივიდუალიზმის პირველი მოციქული საქართველოში, ის გახლავთ დიდი და ტრაგიკული პიროვნების აპოლოგეტი, "რომელიც თავის დანიშნულებას ხედავს არა არსებობის გაყინვაში და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში" (ქიქოძე 1985: 66). მისგან განსხვავებით, რეალისტ მწერალს, ილია ჭავჭავაძეს გრძნობები ვერ ეუფლებიან, არამედ "პირიქით, თვით იგი ფლობს და ბატონობს თავის გრძნობებს".

ჩგამოკვლევაში "ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში" ავტორი პოემა "განდეგილზე" ბუდიზმისა და ქრისტიანობის პოზიციებიდან მსჯელობს. წერილში მოტანილია ფრაგმენტი ბუდას ქადაგებიდან: "სხეული არ არის ჩემი, ის არ არის "მე", ან "ჩემი მე": ეს უნდა დაინახოს ჭეშმარიტად ყველამ, ვინც ნამდვილ ცნობიერებას ფლობს". გერონტი ქიქოძის დაკვირვებით, ილიას განდეგილმა საკუთარ სხეულზე გაიმარჯვა, წუთისოფელს გაშორდა და "განთავისუფლდა დროების ბრუნვისა და ჟამთაცვლისაგან". ამავე დროს, განდეგილთან ერთად დამარცხდა ქრისტიანული იდეალი, "რომელმაც ცალმხრივ ზეკაცობას, ასკეტურ წმინდანობას დაუპირდაპირა იდეა ყოველ მხრივ, ჰარმონიულად განვითარებული კაცობრიობისა და ადამიანის დანიშნულებად დასახა არა მზადება საიქიო ცხოვრებისათვის, არამედ ამქვეყნიური არსებობის გადაქცევა მოქმედების მიზნად და სარბიელად" (ქიქოძე 1985: 82).

გერონტი ქიქოძის მოსაზრებით, მეოცე საუკუნის ადამიანის აზროვნებასთან ილია ჭავჭავაძის მეორე პოემის გმირის, დემეტრე თავდადებულის პარადიგმა უფრო ახლოს დგას, ვიდრე განდეგილისა. დემეტრეს წუთისოფლის სიტკბოებათა ფასიც ესმის, მისი პიროვნების ტრაგიზმს კი ისტორიული ბედისწერა განსაზღვრავს.

ფილოსოფიური წიაღსვლებით გამოირჩევა გერონტი ქიქოძის წერილი "ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი" (1910), რომლის დასაწყისში ავტორი მომავლის იდეალებსა და ადამიანისა და ცხოველის ფენომენების სხვადასხვაობაზე მსჯელობს. ანალიტიკოსის დასკვნით, ადამიანი ისტორიული არსებაა, ცხოველი კი პიროვნება არ არის. იმავე ოპუსში მკვლევარი წარსულისა და მომავლის პარადიგმაზე მსჯელობს და აღნიშნავს, რომ წარსულის გააზრების გარეშე მომავლის შეგნება შეუძლებელია.

"ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი" ორიგინალურად წარმოადგენს სიკვდილის კონცეპტს. ქიქოძე შენიშნავს, რომ, შესაძლოა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ცხოვრებამ ფასიც დაკარგოს, სიკვდილი არ იყოს მტანჯველი და ადამიანმა ყოფნა-არყოფნას შორის წინააღმდეგობა ვეღარც შეიგრძნოს. სწავლულის დაკვირვებით, სიკვდილის ამგვარი გააზრება მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ზნეობრივი შეცოდების საფრთხის შეგრძნება ასევე მხოლოდ ადამიანს აქვს, ყველა სხვა არსება ბოროტებისა და სიკეთის წინააღმდეგობათა გარეშე დგას.

ნაშრომში ფილოსოფიური ასპექტით არის განხილული ნებისყოფის თავისუფლების პარადიგმა. აქვე ვრცელი მსჯელობაა ევდემონიის ცნებაზე, რომელსაც ავტორი გაიაზრებს, როგორც სიკეთისადმი ლტოლვას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სამყაროში. ჭქიქოძე განიხილავს ევდემონიის კონცეპტის გაგებას სხვადასვა ეპოქაში და მიუთითებს, რომ სტოიკური ეთიკისათვის უდიდესი სიკეთე არის დამოუკიდებელი, ზნეობრივი პიროვნება, ხოლო საბოლოო მიზანი, რომლისკენაც ყოველი ადამიანური შეგნება უნდა მიილტვოდეს - სულიერი მშვიდობა, ბორკილებისაგან გათავისუფლება და საკუთარი თავით კმაყოფილება გახლავთ.

იმავე წერილში აღნიშნულია, რომ გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუილ კანტმა სცადა, მორალი დოგმატური ქრისტიანობის მონური დამოკიდებულებისაგან გაეთავისუფლებინა. მანვე დაგმო ცრუმორწმუნოება, რომელიც ზნეობას არ ეთანხმება. ქიქოძის თქმით, კანტის ეთიკაში თავისუფალი, ზნეობრივი პიროვნების სადარი ღირებულება არ არსებობს.

არტურ შოპენჰაუერის მოძღვრების არსებითი ასპექტების გააზრებისას მკვლევარი ცხოვრებისადმი სიძულვილის კონცეპტზე მსჯელობს. მისი დაკვირვებით, გერმანელი ფილოსოფოსისათვის ცხოვრებას სიკვდილის შემდეგ ისეთივე ფასი აქვს, რამდენიც სიკვდილამდე ცხოვრებას, უდიდესი სასჯელი და ბოროტება - უკვდავებაა. შესაბამისად, მისთვის უზენაესი სიკეთე — არყოფნაა.

“ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი” განიხილავს ფრიდრიხ ნიცშეს შეხედულებას, რომლის თანახმად, ცხოვრების ღირებულება მის უძლიერეს ეგზემპლარებშია, ხოლო “დიადი, განუმეორებელი წუთების” გადაჭარბებული დაფასება ამ ღირებულებას “ბედნიერების მორალს” უნათესავებს.

იმავე ოპუსში ევდემონიის ცნების სხვაგვარი გაგებაც არის წარმოდგენილი: მოტანილია ფრენსის ბეკონის შეხედულება კეთილისა და სასარგებლოს სრულ იგივეობაზე; თომას ჰობსის მოსაზრება, რომლის თანახმად, ადამიანი თავის ქმედებაში არა ემოციური მოტივებით, არამედ ოდენ გონებრივი ანგარიშით უნდა ხელმძღვანელობდეს. აქვეა ბენედიქტე სპინოზას მოსაზრება, რომლის მიხედვით, ყოველი საგანი ცდილობს, რაც მასში არის, თავის არსებაში შეინახოს; დარვინის შეხედულება ადამიანის თუ ცხოველების ინსტინქტების შესახებ, მოდგმის საერთო გაუმჯობესებას რომ მიემართება და არა ბედნიერებას;ᲫᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲜᲘᲪᲨᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲣᲝᲡ ᲨᲔᲰᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ “ᲖᲔᲙᲐᲪᲝᲑᲐ” ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ - “ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ” ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲛᲙᲚᲔᲕᲐᲠ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲙᲝᲓᲣᲐᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲨᲘ ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲥᲘᲥᲝᲫᲔ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲝᲜᲢᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲒᲜᲝᲡᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ “ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲘᲛ ᲡᲙᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲔᲞᲝᲥᲐᲡ”.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲥᲘᲥᲝᲫᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ “ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ” (1914). ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲛᲒᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲫᲚᲘᲔᲠᲔ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲓᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲐᲦᲥᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲐ. ᲥᲘᲥᲝᲫᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲪᲐ, ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ.

ᲩᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲥᲘᲥᲝᲫᲘᲡ 1910-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡᲐᲪ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ. ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ “ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲓᲐᲜ” (1915) ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲔᲗᲘᲙᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲨᲘᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲘ “ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲘᲓᲒᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲡᲕᲔ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ”, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ “ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ”. ᲓᲐ ᲔᲡ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ “ᲖᲔᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ” ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ, ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲠᲔᲑᲘᲗ ᲖᲔᲪᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲢᲧᲝᲠᲪᲜᲘᲚᲘ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲘᲗ. ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ �პᲚᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲙᲣᲚᲞᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲐ.

წერილში "ხელოვნების ფსიქოლოგიიდან" დახასიათებულია ქართული ფერწერის შედევრები, უპირველესად, გელათის ღმრთისმშობლის ხატი, ე.წ. "ბაგრატის ლოცვა" (XI ს.). გერონტი ქიქოძე XI საუკუნის საქართველოს კულტურულ სივრცეს აფასებს და მიუთითებს, რომ ქვეყანა კულტუროსან ერებს შორის დაწინაურებული იყო ოქრომჭედლობაში, მინანქრის ხელოვნებაში, ქსოვაში, ხელნაწერების შემკობაში და ა.შ. ორიგინალური ხუროთმოძღვრებით გამოირჩეოდა ბაგრატის, მარტვილის, მოქვის ტაძრები. ქიქოძის მითითებით, გელათის ღმრთისმშობლის ("ბაგრატის ლოცვის") ხატიც ამ დიადი ეპოქის ნიშანს ატარებს და ეს თბილი ტონებით შესრულებული შედევრი სამაგალითო ნიმუშია "როგორც ენერგიული კომპოზიციის, ისე სხეულის რელიეფურად გადმოცემის მხრით": დედობის გრძნობა აქ ძლიერი ექსპრესიულობით არის წარმოდგენილი.

სწავლულს ადრეული რენესანსის გამოხატულებად ესახება ის ფაქტი, რომ "ბაგრატის ლოცვაში" ქართულმა მხატვრობამ ერთგვარად დაარღვია ვიწრო სამონასტრო ტრადიცია და "ტიპიური სქემის მაგივრად გრძნობებით გამთბარი პიროვნება მოგვცა". გერონტი ქიქოძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკვე XI-XII საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ის ელემენტები გამოვლინდა, უფრო მოგვიანო ხანის იტალიურ რენესანსს რომ ახასიათებს. კერძოდ, "ღვთაების ადამიანური შემეცნება, მისი მოთავსება ბუნებრივ ჩარჩოებში" (ქიქოძე 1985: 75).

ქართული ხელოვნების ევროპულ რენესანსთან ნათესაობის აშკარა გამოხატულებად მკვლევარი ბეთანიის ფრესკებს მიიჩნევს. მისი რეცეფციით, თამარის, გიორგი მესამის, ლაშა-გიორგის ისტორიულ პორტრეტებში სრულქმნილი ხელოვნება არ ჩანს, მათ აკლიათ "ინდივიდუალობის ბეჭედი, ფსიქოლოგიური დახასიათება". ამ ფრესკებში მთავარი აქცენტი ხელმწიფური სიდიადის გადმოცემაზე კეთდება.

ოპუსში "ხელოვნების ფსიქოლოგიიდან" მითითებულია, რომ რენესანსის ელემენტები ქართულ ხელოვნებაში უცხოელებსაც შეუნიშნავთ. ამის მაგალითად მოტანილია ფრანგი მოგზაურის მურიეს დაკვირვება, რომლის თანახმად, გელათის მხატვრობა საოცრად ჰგავს ადრეული იტალიური რენესანსის პირველ ნიმუშებს. ამ ფენომენს გერონტი ქიქოძე იმით ხსნის, რომ XI-XII საუკუნეების ქართული ეროვნული ხელოვნება "უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული და ქართველებს უცხოეთში მხატვრული ფორმებისა და იდეების ძებნა არ სჭირდებოდათ". მეტიც, ქიქოძის თქმით, იმ დროს იტალიური მხატვრობა "ჯერ კიდევ ფეხაუდგმელი იყო და წასაბაძ ნიმუშად ვერ ჩაითვლებოდა". მკვლევარი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ იდეათა და ფორმათა პარალელიზმს კულტურულ პირობათა ანალოგია ბადებს, ხოლო მსგავსი ესთეტიკური ძიებანი, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ იტალიურ ხელოვნებაში გამოაშკარავდა, საქართველოში მონგოლთა შემოსევის საშინელ კატასტროფას შეეწირა. ʒ

წერილში "ხელოვნების აღორძინებისათვის" (1917) ავტორი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ერის გემოვნება ბოლო საუკუნეების განმავლობაში გადაგვარდა, გაველურდა და ქართველ ერს არ აღმოაჩნდა შინაგანი ძალა, კულტურულ ძალმომრეობას წინ აღდგომოდა. ამის მიუხედავად, სწავლულის აზრით, ქართულ ბუნებაში "თვლემს დიდი ქართული სტილის გრძნობა".

გერონტი ქიქოძის პუბლიცისტურ წერილებში სათანადოდ არის შეფასებული მისი თანამედროვე ხელოვანების შემოქმედება. სტატიაში "იაკობ ნიკოლაძე" ავტორი გამოყოფს სკულპტორის საუკეთესო ქმნილებებს: ჩახრუხაძის ქანდაკებას, პროფესორ მელიქიშვილის ბიუსტს და სხვ. ქიქოძის დახასიათებით, "იაკობ ნიკოლაძეს აქვს წონასწორობის, ზომიერების და ჰარმონიულობის გრძნობა, როგორც ანტიკურ ელინურ პლასტიკას ახასიათებდა" (ქიქოძე 1958: 306, 307).

ნიკო ფიროსმანის ფენომენზეა მსჯელობა ქიქოძის დიდი მხატვრისადმი მიძღვნილ წერილში. ავტორის შეფასებით, "მის მხატვრულ ხილვას გასაოცარი გულუბრყვილობისა, მოულოდნელობისა და პირველყოფილების ბეჭედი აზის. ის ხშირად არღვევს პერსპექტივის კანონებს, მისი სურათი პრიმიტიულია, მაგრამ მას ფერების მძაფრი შეგრძნება აქვს" (ქიქოძე 1958: 313).

ნიჭიერი მხატვარი ლადო გუდიაშვილი ქიქოძისათვის "ინტუიციის, ფანტაზიისა და თვითრწმენის ადამიანია... მას აქვს ნიჭი, ოცნების სამყაროში გადავიდეს". ანალიტიკოსის დაკვირვებით, გუდიაშვილი ხატავს სხვადასხვა ეპოქის, სოციალური წრისა და და ისტორიული ეპოქის ქალებს, ხოლო

მის მიერ შექმნილი მამაკაცთა სამყარო წარმოდგენილია "ფოლადის კუნთებიანი, ან ღრმად ჩაფიქრებული, ბედნიერად მომღიმარე, ან ტრაგიკული ნაოჭებით სახედაღარული ადამიანებით".

ვრცელი ოპუსი "ოგიუსტ როდენი" (1912) ხელოვნების მრავალ ასპექტს განიხილავს. ავტორის ხედვით, როდენმა, შეუპოვარი სტიქიონის მსგავსად, ხელოვნებაში ახალი, უცხო რამ შემოიტანა, "თითქო ნაცნობი და მახლობელი, რომელიც ღირსია გვერდით ამოუდგეს ბერძნულ და გოთურ ხელოვნებას... როგორც მჭევრმეტყველი ესთეტიკური განსახიერება თანამედროვე სულის ძიებისა" (ქიქოძე 1985: 453). გერონტი ქიქოძე ოგიუსტ როდენის უკვდავ ქმნილებებს აფასებს და მეოცე საუკუნის დასაწყისის სახვითი ხელოვნების ძირითად ტენდენციას გამოყოფს. მისი თქმით, ეს გახლავთ "არა საგნების დახატვა თავისთავად, არამედ მათი ცხოვრების გადმოცემა ჰაერისა და სინათლის სფეროში".

ლიტერატურის თეორიის საკითხებს ეძღვნება გერონტი ქიქოძის გამოკვლევა "მეთოდები თანამედროვე კრიტიკისა" (1910), რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ არსებობს ე.წ პუბლიცისტური კრიტიკა, რომელიც არაესთეტიკური საზომებით ხელმძღვანელობს და მხატვრული ნაწარმოების ღირსებას მისი სოციალ-პოლიტიკური შედეგებით აფასებს. ესთეტიკური კრიტიკა სოციოლოგიური, ევოლუციური, ფსიქოლოგიური და იმპრესიონისტული მიმართულების კრიტიკად იყოფა.

იმპრესიონისტულ კრიტიკაზე მსჯელობისას ქიქოძე მიუთითებს, რომ ის განსხვავებული კრიტერიუმებით სარგებლობს და ესთეტიკური შეფასებისას იმ შთაბეჭდილებებს იყენებს, თვით ესთეტიკურიობიექტი რომ ახდენს. ამასთან, ყოველი ესთეტიკური კრიტიკა ნორმატიულია, იგი არ კმაყოფილდება ოდენ მხატვრულ ნაწარმოებთა ახსნით, არამედ ახალ ნორმებს, იდეალებსა და შესაძლებლობებს ავლენს. მეცნიერის აზრით, ყოველი ჭეშმარიტი კრიტიკა არსებითად რევოლუციურია და ძველ საზღვრებს თუ ახალ შესაძლებლობებს აჩვენებს.

ქიქოძის შეხედულებით, ხელოვნებას ყველაზე მეტად ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, გაქვავებული დოგმები ემუქრება, რომელთა შეცვლა კრიტიკოსის წმინდა მოვალეობაა. ამასთან, მკვლევარი მიუთითებს, რომ მხატვრული ტექსტის სრული სოციალურ-ფსიქიკური ანალიზი შეუძლებელია.

ლიტერატურის კრიტიკოსის ფხიზელი პოზიცია სწავლულმა არაერთ კრიტიკულ წერილში აჩვენა. 1916 წელს თბილისს ეწვია ფუტურისტი პოეტი ვასილი კამენსკი და მისი თანამოაზრე ვლადიმერ გოლდშმიდტი. გერონტი ქიქოძემ მათი ვიზიტის გამო დაწერა წერილი "ფუტურისტები", რომელიც გაზეთ "საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა. რუს ფუტურისტებთან საზოგადოების შეხვედრას სწავლული ამგვარად აფასებს: "მთელი საღამო ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს. ეს სიტყვაა უგემურობა". ქიქოძეს არ მოსწონებია კამენსკის ალისფერი ყელსახვევი და გოლდშმიდტის დეკოლტე, უგემურად მოჩვენებია მათი პოეზია, სადაც "ერთიმეორეს ეჯიბრებოდა შაბლონი, ციინიზმი და სენტიმენტალობა", ნატიფი ხელოვნების თაყვანისმცემელმა სწავლულმა ვერ მიიღო მათი ფრაზა: "ფუტურისტი დღეში ოცჯერ უნდა იყოს უზრდელიო" და სხვ. ქიქოძის აზრით, ფუტურიზმს გამართლება ჰქონდა იტალიაში: მისი ფუძემდებლის, მარინეტის აზროვნება გონებამახვილობითა და მოულოდნელობის ეფექტითაც გამოირჩევა, რაც, არ შეიძლება, ჩვენებურ ფუტურისტებზე ითქვას. მიუთითებენ, რომ ფუტურიზმის თემას ქიქოძე აღარასოდეს დაბრუნებია.

ქართული მწერლობის განვითარების გზებს გერონტი ქიქოძემ მიუძღვნა სტატია "ლიტერატურა და ეროვნული ენერგია" (იხ. "სახალხო ფურცელი", 1915, 241). წერილში პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ მხატვრულ ტექსტს დიდი სოციალური ძალა აქვს, მწერლობა ეროვნული ენერგიის გაღვივებას უწყობს ხელს. ანალიტიკოსის ხედვით, ქართველ ხალხს თანამედროვე რომანი ჯერ კიდევ არ შეუქმნია, "მას ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია თავისი ესთეტიური სახე". ქიქოძის რწმენით, ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას აღორძინება მოელის, რისთვისაც "ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას ძირითადი რეფორმა სჭირია".

1914 წელს "სახალხო ფურცელში" გამოქვეყნდა გერონტი ქიქოძის წერილი "ენა და ეროვნული ენერგია", სადაც ავტორი ქართული ენის განვითარების პრობლემებს განიხილავს. მკვლევრის მითითებით, ენის შემწეობით ეროვნული ენერგია უდიდეს კონცენტრაციას აღწევს. ის "ცოცხალი სალა-

როა იდეათა და ემოციათა” და, რაც უფრო სახელოვანია ერის ისტორიული წარსული, მით უფრო მრავალფეროვანი გახლავთ მისი ენა. აქტუალურია გერონტი ქიქოძის შეგონება: “ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა”.

გერონტი ქიქოძის ყურადღების არეალში საქართველოს ისტორიის აქტუალური თემებიც მოექცა. მრავალმხრივ საგულისხმოა წერილი “მესხეთი” (1916), სადაც ავტორი მსჯელობს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ხალხის ფსიქოლოგიისა და ისტორიის შესწავლისათვის. ნაშრომში აღნიშნულია, რომ მესხეთის მხარე, განსაკუთრებით, ტაო-კლარჯეთი, მცირე აზიასთან ყველაზე დაახლოებული გახლდათ. მეექვსე საუკუნემდე ამ მიწაზე ლაზები ცხოვრობდნენ, მეექვსიდან მერვე საუკუნის ნახევრამდე — სომხები, ბოლოს - კვლავ ქართველები, რამაც, ანალიტიკოსის თქმით, “გააძლიერა მდუღარე პატრიოტიზმი, რომელიც შემდეგ არაჩვეულებრივ კულტურულ აქტივობაში გამოიხატა”. რაც მთავარია, “ერთობლივი ქართლის იდეა პირველად ტაო-კლარჯეთში განმტკიცდა”, აქ ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და მთელი საქართველო სამეფო სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა.

ქიქოძის მითითებით, საქართველოს ისტორიაში ტაო-კლარჯეთმა იგივე როლი შეასრულა, რაც გერმანიაში - პრუსიამ. ერთიან სამეფოში მესხები დაწინაურდნენ. მათ ჰქონდათ აკადემიები, მონასტრები მდიდარი წიგნთსაცავებით, სადაც ბერძნული სასულიერო და საერო თხზულებები ითარგმნებოდა, ჰყავდათ საუკეთესო მწიგნობრები, მგოსნები, მხატვრები და ხუროთმოძღვრები.

ანტიკური პერიოდის მცხეთის ისტორიას ეძღვნება გერონტი ქიქოძის წერილი “ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან”, სადაც დამოწმებულია ავსტრიელი მეცნიერის, ფრიდრიხ ბაიერნის მიერ მცხეთის სასაფლაოს გათხრისას ნათქვამი სიტყვები: უძველესი მცხეთა დიდი და მდიდარი ქალაქი იყო, კომფორტის მოყვარული და მეომარი ხალხით დასახლებულიო. ბაიერნს მცხეთის საფლავებში ჯგუფ-ჯგუფად დამარხული მიცვალებულებიც უნახავს და უფიქრია, რომ ძველი იბერიელები თავიანთ მკაცრ ღმერთებს მრავალ ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად. ქიქოძის აზრით, ბაიერნის მოსაზრება მცდარია და ჯგუფური სამარხები ბრძოლის დროს მეომართა თავგანწირვას უნდა ნიშნავდეს. წერილში ასევე მითითებულია, რომ მცხეთა ყოველთვის დიდი სააღებმიმცემო ცენტრი უნდა ყოფილიყო. ძველი იბერიელების ჰაბიტუსის გაცნობისათვის კი მკვლევარი საუკეთესო წყაროდ მიიჩნევს იბერიელი პიტიახშების პორტრეტებს, მათი უაღრესად კეთილშობილი და ონავრული გამომეტყველებით.

ოპუსი “ლეგენდა და სინამდვილე” ცამეტი სირიელი მქადაგებლის საქართველოში შემოსვლას და მათ მოღვაწეობას ეძღვნება. გერონტი ქიქოძე ნაშრომში აღნიშნავს, რომ ზუსტად არავინ იცის, მართლა ცამეტნი იყვნენ ისინი, თუ არა; ან - საიდან მოვიდნენ - უცხოელები იყვნენ, თუ უცხოეთში აღზრდილი ქართველები; ერთად მოვიდნენ, თუ ცალ-ცალკე; მონოფიზიტები იყვნენ ისინი, თუ დიოფიზიტები. უდავოა, რომ მათ, ქრისტიანობის პროპაგანდისტებმა და დიდმა ასკეტებმა, VI საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარეს საძირკველი. მეცნიერის განმარტებით, ასურელი მამები ქართლ-კახეთში დაბინავდნენ და არა დასავლეთ საქართველოში, რადგან სპარსეთის პოლიტიკური გავლენა აქ უფრო ძლიერი იყო.

“კოლორიტული ფიგურას”, დავით გარეჯელს იმავე წერილის ვრცელი მონაკვეთი ეძღვნება. აღნიშნულია, რომ ამ წმინდა მამას სირიულის გარდა სცოდნია ბერძნული, ქართული, სომხური ენები, ბერძნული ფილოსოფია. მითითებულია, რომ ასკეტი თბილისში მოღვაწეობდა და მოგვებს ეპაექრებოდა. ოპუსში ჩართულია ქვაშვეთის ეკლესიის აგებასთან დაკავშირებული ლეგენდა, რომლის მიხედვით, დავითის შეურაცხმყოფელმა ფეხმძიმე ქალმა სასწაულის ძალით ბავშვის მაგიერ ქვა შვა. ქიქოძის თქმით, ცილისმწამებელი ქალის ამგვარი სასჯელით წმინდა მამაც შეწუხდა და მოწაფესთან ერთად გარეკახეთის უდაბნოს გამოქვაბულში დამკვიდრდა, რათა იქ გარესჯას, ე.ი. თვითგვემას შედგომოდა.

გერონტი ქიქოძის იმავე გამოკვლევაში ჩართულია თქმულება ებრაელების მეფე დავითზე, ქალის სილამაზის თაყვანისმცემელი რომ გახლდათ. მკვლევარი მისი და ჰურია ხეთელის მეუღლის, მშვენიერი ბერსაბეს სიყვარულის ისტორიას იხსენებს და მიუთითებს, რომ ბერსაბესაგან დავითს ვა-

ჟი, სოლომონ ბრძენი შეეძინა. მეცნიერი აზუსტებს: "დავით წინასწარმეტყველს, მგონია, სწორედ ამავე ბერსაბესაგან მეორე ვაჟიც ეყოლა, რომლისგანაც, ჩვენი ნაციონალური გადმოცემის თანახმად, ქართველი ბაგრატიონები წარმოდგნენ" (ქიქოძე 1985: 214).

აქტუალურია გერონტი ქიქოძის წერილი "აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან", სადაც მითითებულია, რომ აფხაზეთის სახელწოდება აბსნი სულის ქვეყანას ნიშნავს, ხოლო აბსუა - სულის ხალხს. სწავლულის აზრით, აფხაზეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და კლიმატურმა პირობებმა ამ რეგიონში თავისებური კულტურის ჩამოყალიბება განაპირობა: აფხაზეთსა და ეგრისში აიგო ბიჭვინთის, მოქვის, ბედიის, ჭყონდიდის დიდებული ტაძრები და სხვა მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლები. წერილში ქიქოძე იხსენებს ბედიის ტაძრის ამშენებელს, ბაგრატ მესამეს, რომელიც დედით აფხაზი, მამით ქართველი გახლდათ და აფხაზეთ-საქართველოს გაერთიანებულ ფეოდალურ სამეფოს ჩაუყარა საძირკველი.

არაბების შემოსევის ეპოქის დახასიათებისას მეცნიერი შენიშნავს, რომ არაბმა დამპყრობლებმა საქართველოს დასავლეთ ნაწილში ფეხი ვერ მოიკიდეს, ამიტომ ქვეყნის დასავლეთი, აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართლელი ემიგრანტების თავშესაფარი გახდა, რამაც დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა შეცვალა, მოსახლეობაში კი ერთიანი საქართველოს შექმნის იდეა განამტკიცა.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის გაერთიანების პროცესი აფხაზეთ-იმერეთიდან და ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო და ამ პროცესების წარმმართველნი აფხაზეთის მეფეები იყვნენ. წერილში საუბარია ლეონ მეორეზე, რომელმაც VIII საუკუნის დასასრულს თავისი რეზიდენცია ქუთაისში გადაიტანა. გერონტი ქიქოძის ხაზგასმით, აფხაზეთის სამეფო დინასტიასთან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების დამოყვრებას საქართველოს გაერთიანებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნაშრომში "აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან" საუბარია რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს შეერთებაზე. აღნიშნულია, რომ უკანასკნელი მთავრის გაძევებას 1877 წლის აჯანყება მოჰყვა, რის შედეგად აფხაზეთიდან მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი აიყარა. გადასახლებლთა ადგილ-მამული უცხო ადამიანებმა დაიკავეს, აფხაზეთის ძირეული ტერიტორია კი ეთნიკურად აჭრელდა. იმავე წერილში მეცნიერი საუბრობს ადგილობრივი ინტელიგენციის განსაკუთრებულ როლზე, იხსენებს გიორგი შერვაშიძეს - აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის მემკვიდრეს. წერილში გადმოცემულია მისი ბიოგრაფიის დეტალები, ლიტერატურული მოღვაწეობის ასპექტები.

გერონტი ქიქოძემ, ეროვნული ცნობიერების რეფორმატორმა და ინტელექტუალურმა მეტრმა, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ოპუსებით მეოცე საუკუნის ქართული სააზროვნო სივრცე ეროვნული ენერგიის ახალი პარადიგმით გამოაცოცხლა. მან დაამკვიდრა ახალი თემატიკა, მისი ეპოქის კარდინალურ პრობლემათა ახლებური ხედვა, შემოიღო ახალი კონცეპტები და ღირებულებათა სისტემა, რითაც ხელი შეუწყო ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლების მომზადებას, იდეოლოგიისა, რომელიც განიმარტება, როგორც "ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნების სისტემა". სიმონ ჩიქოვანის შეფასებით, გერონტი ქიქოძე "ჩვენი გონებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მესაჭე და ქართული სიტყვის უებარი ოსტატი" გახლდათ. გურამ ასათიანი გერონტი ქიქოძეს "ახალი საქართველოს უერთგულეს მსახურსა და მესიტყვეს" უწოდებდა, რომლის "გმირული თანმიმდევრულობა" მომავალი თაობებისთვის მისაბაძი და გამამხნევებელია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ქიქოძე 2003: ქიქოძე გ. პატარა ერის ხვედრი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. ქიქოძე 1985: ქიქოძე გ. წერილები, ესეები, ნარკვევები. თბილისი: "მერანი", 1985.

მოგზაური

ჯემალ კასრაძე

კაცი – პერპეტუმ-მობილე, ანუ მსოფლიოს გარშემო

ველოსიპედით მოგზაურის ნაკვალევზე

გინესის წიგნის თერთმეტგზის რეკორდსმენის, მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გამცილებელთა ჯგუფში რომ შემიყვანეს, ვიფიქრე, გზადაგზა ბევრი ადამიანი შემხვდება და გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟ ჩაჩას მსგავსად, დარდებსაც შევაგროვებ-მეთქი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ამ ჩანაფიქრს ჩემი დარდის აღწერით დავიწყებდი.

საქმე ისაა, რომ, ჩვენი ტრანსპორტის გადამკიდეს, სულ რაღაც ხუთიოდე წუთით დამაგვიანდა თბილისის მერიასთან მისვლა, საიდანაც რუსთავში „რაფი“ უნდა გასულიყო (მოგეხსენებათ, ამ „ეპოკაცურმა“ მოგზაურობამ სტარტი აქ აიღო). ჩვენი ჯგუფის წევრებსაც, მაინცდამაინც, მაშინ გამოედოთ თავი და გერმანული სიზუსტით გასულიყვნენ.

ველარაფერი შეღავათი იყო ის, რომ ჩემსავით დააგვიანდა ერთ-ერთ გამცილებელს, ჩემს მეგობარს, გაზეთ „დედამიწის“ პასუხისმგებელ მდივანს ავთანდილ გურასაშვილს, კაცს, რომელიც საერთოდაა დაგვიანების დიდოსტატი, მაგრამ ამით არასოდეს დაზარალებულა.

თუ როგორი ჯახირით ჩავედით რუსთავში და როგორ შემთხვევით დაგვინახეს „რაფელებმა“, ამის მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიკავეთ (ჩვენი სადარდებელიც აქ დამთავრდა) და ბატონი ჯუმბერის კვალს დავადექით, რომელიც ენერგიულად მიაპობდა ქარს (მოგვიანებით იგი იტყვის – საქართველოში ეს იყო ყველაზე მძიმე მონაკვეთი).

„მას ძალა კოსმოსიდან მიეწოდება“

პირველად სიონის საკათედრო ტაძართან შევისვენეთ. აქ გასაცილებლად მოსულთაგან ერთ-ერთს – უფოლოგ თალეს შონიას გამოველაპარაკეთ.

– ჯუმბერს დიდი ხანია ვიცნობ. ერთადაც გვიმუშავია. მას ძალა კოსმოსიდან მიეწოდება. კუნთები, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ფორმალურ მხარეს ასრულებს. ამას გარდა, ჯუმბერს ღმერთი მფარველობს და დარწმუნებული ვარ, იგი თავის მისიას შეასრულებს.

სიონთან გავიცანი ბატონი ნუგზარ კიკნაძე, კაცი, რომელიც მერმის აპირებს თავისი ხელით აგებული აფრიანი ნავით, ერთ წელიწადში მარტოდმარტო შემოუაროს დედამიწას. არაა გამორიცხული, ის და ბატონი ჯუმბერი დედამიწის რომელიმე წერტილში შეხვდნენ.

საოცარი დამთხვევაა, რომ ბატონი ნუგზარი, ისევე, როგორც ბატონი ჯუმბერი, ელექტროინჟინერია (სხვათა შორის, ერთ ელექტროინჟინერს სარფამდე კიდევ შევხვდებით).

არცთუ ლირიკული გადახვევა: 1987 წელს ბატონმა ჯუმბერმა კლინიკური სიკვდილი გადაიტანა (მას განგრენა დაეწყო და ქირურგებმა სამი მეტრი ნაწლავი ამოკვეთეს). იგი გვირაბის ბოლოს განათებულ ადგილას გავიდა და ზღაპრული სილამაზის მთები და ცა დაინახა. სფეროს ქვეშ სამი კაცი იდგა. მათ ბატონ ჯუმბერს უთხრეს, რომ იგი უკან, დედამიწაზე უნდა დაბრუნებულიყო, რადგან დიდი საქმეები ელოდა.

ბატონ ჯუმბერს ძალიანაც არ უნდოდა იქაურობის დატოვება, მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა. ექიმები, უკეთეს შემთხვევაში, ხეიბრის ეტლს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დიდი ნებისყოფით შეძლო ფეხზე დადგომა. ექვსიოდე თვის შემდეგ მანქანით ქუჩაში სასეირნოდ გამოსულმა დაინახა კაცი, რომელიც მანქანას ვერ ქოქავდა, სალონში კი მისი შვილიშვილები სიცივისგან იბუზებოდნენ. ბატონი ჯუმბერი, რომელსაც ჭრილობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული, მთელი ძალით მიაწვა მანქანას და... მეორე ოპერაცია არანაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე პირველი. განკურნება კი უფრო რთული და ხანგრძლივი, მაგრამ დიდმა ნებისყოფამ კვლავ თავისი გაიტანა. ვარჯიში ხეიბრის ეტლში დაიწყო...

სვეტიცხოველში

დარდი №2-3. მორიგი გაჩერება მცხეთაში, სვეტიცხოველთან გვქონდა. ბატონმა ჯუმბერმა, ისევე, როგორც სიონში, სანთლები დაანთო. მათგან ერთ-ერთი სამი წლის წინ გარდაცვლილ მეუღლეს ეკუთვნოდა, ადამიანს, რომლის სულმა არაერთხელ მოუწონა და დაუჭირა მხარი მეუღლის მოგზაურობას.

სვეტიცხოვლის მღვდელმა ტაძრის ნიშიდან წმინდა მიწა გაატანა ბატონ ჯუმბერს.

მოგზაურის თვალცრემლიან ქალიშვილებს, მაიასა და ხათუნას დაველაპარაკე.

– ძალიან გვეამაყება, რომ ასეთი მამა გვყავს, მაგრამ ძალიან გვადარდებს მისი რთული გზა და ის, რომ დიდხანს ვერ ვნახავთ.

– ბაბუა რომ ჩამოვა, მე თორმეტი წლის ვიქნები, – მითხრა ექვსი წლის ლაშამ, ოთხთაგან ერთ-ერთმა შვილიშვილმა.

დადგა დიდი დამშვიდობების დრო. ეს იყო მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი. ბატონი ჯუმბერის ბოლო სიტყვა იყო – ერთმანეთს მიხედეთ.

მცხეთაში, ქერდიკაშვილების ოჯახში, გამოსამშვიდობებელი სუფრა გაიშალა. მასპინძლისთვის, ბატონი შოთასთვის არ მიკითხავს, რა დარდი აწუხებდა – კედლიდან გვიმზერდა ახალგაზრდა ვაჟკაცის (შვილის) გადიდებული სურათი...

პირველი საჯილდაო ქვა

ღამე ხაშურში უნდა გაგვეთია და წინ საკმაოდ დიდი გზა გვქონდა.

გორში, სტალინის ძეგლთან, გამვლელ-გამომვლელები შემოგვეხვივნენ, ყველას აინტერესებდა, ახლოს ენახა ჯუმბერ ლეჟავა. ერთმა ახალგაზრდამ მკლავზეც კი შეავლო ხელი – კუნთები მოუსინჯა.

გორის ასავლელი აღმართი პირველი საჯილდაო ქვა აღმოჩნდა ხარკოვში საგანგებოდ დამზადებული ველოსიპედისთვის. სამწუხაროდ, პირველივე მონაკვეთზე ჯაჭვი კბილანებს ასცდა და

ველოსიპედმა და პატრონმა როლები გაცვალეს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ იგივე ავადმყოფობა ველოსიპედს კიდევ რამდენჯერმე დაემართა.

სამი პომიდვრის წვლილი

„რაფელები“ დავწინაურდით, რომ ხაშურში სასტუმროს საქმე მოგვეგვარებინა. ორი საათის შემდეგ, ღამის 11 საათზე, ხაშურში ბატონი ჯუმბერიც შემოვიდა (იმ დღეს მან 180 კილომეტრი გაიარა). მანამდე კი, როგორც მოგზაურობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბატონმა რობერტ ღარიბაშვილმა გვითხრა, ადგილობრივი სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ბოდიში მოუხდია – რესტორანი 8 საათზე დაიკეტა და ვახშამზე უკაცრავადო.

სამწუხაროდ, ვერც მცხეთის მშვენიერი სუფრის გახსენებამ გვიშველა და ვერც იმან, რომ მოგზაური ყველა გაჭირვებისთვის და, მათ შორის, შიმშილისთვისაც, მზად უნდა იყოს. ჩვენი უმთავრესი საწუხარი იყო ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, რომელსაც ენერგიის აღსადგენად კალორიული საკვები სჭირდებოდა.

ყველა მაშინ დავფიქრდით, რომ ბრმად ვენდეთ ორგანიზატორებს და შინიდან არაფერი გამოვიყოლეთ.

აქ ნაწილობრივ გვიშველა „ივექსის“ კორესპონდენტის ბესო ჭინჭარაულის „ხელმრუდობამ“, რომელმაც გზაზე ღობიდან მომზირალ წითელ-მწვანე სამ პომიდორს ადგილი შეუცვალა. ამ ნობათს ცოტ-ცოტა რამ სხვებმაც მიუმატეს და საუკუნის მოგზაურობის გაგრძელებაში თავისი ისტორიული წვლილი შეიტანეს.

არაკომპეტენტურობის გამო გვიჭირს იმის განსაზღვრა, ხაშურის სასტუმრო რამდენვარსკვლავიანი იყო, მაგრამ, როდესაც სართულის მორიგემ გვითხრა – ნათურიანი ოთახი გიპოვეთო, ქვეცნობიერად მივხვდი, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავით გაჩენილები.

აქვე, ერთი აღმოჩენაც დავაფიქსირე, მოპარვისგან დაზღვევის მიზნით – ყველა გრაფინს თავი ჰქონდა წამტვრეული. დილის 6-ის ნახევარზე, ძირითადი და დამხმარე „ეკიპაჟი“ სრულ მზადყოფნაში ვიყავით. სამწუხაროდ, ხაშურელებმა ვერ გაიგეს, რომ მათ სასტუმროში ღამე გაათია მოგზაურმა, რომელიც, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიოს მოგზაურთა ელიტაში.

ლირიკული გადახვევა: გინესის წიგნში დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობის სამი მნიშვნელოვანი ფაქტია აღნიშნული. ყველაზე ხანგრძლივი იყო შოტლანდიელი ტომი ჩემბერსის მოგზაურობა. მან 1922 წელს დაიწყო და 1973 წელს დაამთავრა (გაიარა მილიონ 200 ათასი კილომეტრი). ხანგრძლივობით მეორე ადგილზეა ინგლისელი უოლტერ სტიელი – 1952-1976 (24 წელიწადში დაფარა 650 ათასი კილომეტრი). კანადელმა ჯონ სატაუიმ ყველა კონტინენტის შემოვლას ოთხი წელი მოანდომა (გაიარა 81.800 კილომეტრი).

თბილისელმა ჯუმბერ ლეჟავამ შვიდი წლის განმავლობაში უნდა გაიაროს 300 ათასი კილომეტრი. აქედან 240 ათასი ველოსიპედით, დანარჩენი გემით. ამ ხნის განმავლობაში იგი უნდა შევიდეს ყველა ქვეყანაში, გარდა კუნძულების ხერდისა და მაკდონალდის.

მოდით, ბარემ აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოში პირველი ველოსიპედი ნიკო ნიკოლაძეს შემოუტანია.

შეხვედრა „ხუტა უფროსთან“

მომდევნო მცირე შესვენება შროშამდე გვქონდა – „სულიკოს“ მემორიალთან. აქ მოხდა ერთი საოცარი დამთხვევა (ეს სიტყვა, მგონი, ადრეც ვიხმარე), მემორიალთან მოსაუზმე კაცებს შორის შევიცანით ფილმ „რეკორდის“ მთავარი როლის შემსრულებელი გოვენ ჭეიშვილი – „ხუტა უფრო-

სი“. სწორედ ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ქვის მსროლელი ჯოტიას სახელი ჰქვია საქართველოს არაჩვეულებრივი რეკორდების კლუბს, რომლის პრეზიდენტი გახლავთ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა.

ბატონი გოვენი ამჟამად ქუთაისის თეატრში მუშაობს და თბილისში იმიტომ მიდიოდა, რომ შვილიშვილი – გიორგი შესძენოდა.

სამწუხაროდ, ბატონ გოვენს ფეხი ჰქონდა გაკავებული. ბატონმა გვანჯი მანიამ, „მოგზაურობა-93“-ის პრესცენტრის ხელმძღვანელმა, სთხოვა ბატონ ჯუმბერს, ის ვარჯიშები ეჩვენებინა, რომლითაც თვითონ განიკურნა.

დარდი №4. ბატონი გოვენი – იცით, რა მადარდებს? მეგობრიდან მეგობართან რომ გადავდივარ, მეშინია, ვინმემ ავტომატი არ დამახალოს.

სტუმრად ბიჭიკო სულიაშვილის ოჯახში

შროშასთან მეთუნეებმა ბატონ ჯუმბერს გზა დაულოცეს და ამ მოგზაურობის სამახსოვროდ, ფიალა და დოქი აჩუქეს.

წინ ილემია, იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი. აქ დილის 10-ის ნახევრიდან გველოდება ბიჭიკო სულიაშვილი – ბატონი ჯუმბერის მეგობარი.

– იმერეთში ქათამი სტუმარს რომ დაინახავს, თვითონვე დებს ჯირკზე თავს, – ხუმრობს ბატონი ამირან აბესაძე, ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და ჩვენს ისედაც გაღიზიანებულ გასტრონომიულ რეცეპტორებს უფრო მეტად აღიზიანებს.

ერთ-ერთი ეზოდან ხელს გვიქნევენ. იმერული შეხვედრა ზენიტშია. ამ ოჯახში გავიცანით, აგრეთვე, ბატონი ბიჭიკოს კარის მეზობელი, ბატონი გოგი ნადირაძე – მეფუტკრე (ადრე იგი მეფუტკრეობას ასწავლიდა საგურამოში – წინამძღვრიანთკარში), რომლის გამოგზავნილ თაფლს უმადლის ბატონი ჯუმბერი თავისი რეკორდების ნახევარს. ილემური თაფლის საუკეთესო თვისებებში ჩვენც მალე ვრწმუნდებით.

საგულისხმოა, რომ ბატონი გოგი სპორტის ოსტატი ყოფილა ველოსპორტში და პირველთანრიგოსანი კრივში (ეს უკანასკნელი სახეობა, მგონი, ჩვენს შესაშინებლად გვითხრა).

მაგონდება, რომ დარდებს ვაგროვებ და თონეში ჩაკიდებულ, ძელზე გაკრულ ციკანთან მოფუსფუსე მასპინძლის ბიძაშვილს, ბატონ ემზარ სულიაშვილს ვიწვევ სასაუბროდ.

დარდი №5. ჩემი ყველაზე დიდი დარდი საქართველოა. 60 წლის კაცი ვარ, ათმაგზე გადავხტები, საკუთარ სახლს კრამიტს გადავხდი, ოღონდ მაგი არ დამიჩაგრონ. აფხაზეთში მინდოდა წასვლა, ჯანი მერჩის, ერთს რომ დავარტყა, მეორეს წავაქცევ, მაგრამ არ გამიშვეს. რა მაქვს დასამალავი, ახალგაზრდობაში ხულიგანი ვიყავი, არავის ეგონა, თუ საქმეს მოვკიდებდი ხელს. დღეს პირადად კარგად ვარ, სტუმრის მიღების არ მრცხვენია, მაგრამ რად გინდა, მთელი ქვეყანა ერთმანეთზეა გადაკიდებული. ქართველებმა ერთმანეთს უნდა დავუჯეროთ. სხვანაირად არაფერი გვეშველება. ქალაქელები მეცოდებით, ნამეტნავად, ხელფასზე მცხოვრებლები. ჩემი ცოლისთვის ხშირად მითქვამს, ბაზარში ჭირნახულს რომ ყიდის – თუ გაჭირვებული ნახო, ფული არ გამოართვა-მეთქი.

კიდევ ერთი მინდა ვთქვა, მიწები დარიგდა არასწორად. მთავრობამ ფეხებზე დაგვიკიდა გლეხები.

ჯუმბერიც მადარდებს ძალიან. სად მიდის, ვინ იქნება მისი პატრონი და მფარველი?

იმერული სტუმარ-მასპინძლობა წინასწარ შედგენილ გრაფიკში არ თავსდება, მიუხედავად ამისა, დგება განშორების ჟამი და ვემშვიდობებით „მასპინძელსა მხიარულსა“.

ძაღლები მოგზაურის წინააღმდეგ

მალე ზესტაფონში ჩავალთ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი: ეკონომიკური სიდუხჭირის გამო აღარ ბოლავს ცადაწვდენილი მილები, აღარ წამლავს გარემოს.

თერჯოლის გადასახვევთან ბატონ ჯუმბერს მთვრალი ავტომატიანები გადაუდგნენ. აშკარად შარზე იყვნენ, მაგრამ ჩაერია ჩვენი დაცვა – რუსთავიდან საგანგებოდ გამოყოლილი პოლიციის კაპიტნები – რეზო იობიძე და ირაკლი ჯაჯანაშვილი და საქმე აღარ გართულებულა. სიტყვამ მოიტანა და, ასეც რომ არ მომხდარიყო, ამ ორი ადამიანის წარდგენას მაინც ვაპირებდით – მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენს უსაფრთხოებაში. სხვათა შორის, ორივე ყოფილი სპორტსმენია – პირველი ფრენბურთელი, მეორე ავტომრბოლელი. ეგ არის, ბატონი რეზო ბუნებამ დაჩაგრა – სიმაღლეში 4 სანტიმეტრი დააკლო... ორ მეტრს.

...ქუთაისის შესასვლელის საკმაოდ რთული აღმართი გაუჭირვებლად დასძლია ბატონმა ჯუმბერმა.

ქალაქის მერმა, ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა მოგვიბოდიშა – არ ვიცოდი, თუ ჩვენს ქალაქში შემოვლას აპირებდითო. წარმატება გვისურვა და დაგვემშვიდობა.

სოფელ ფარცხანაყანევთან ჩვენს მოგზაურს სერიოზული გამოცდა მოუწყვეს ძაღლებმა. შვიდი ზორბა ძაღლი შეუპოვრად ცდილობდა, რომ ეს მოგზაურობა მაინცდამაინც ამ სოფელში დამთავრებულიყო. მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ბატონი ჯუმბერი საგანგებოდ ემზადებოდა ძაღლების მოსაგერიებლად. საამისოდ ბევრი ილეთიც დაამუშავა, თუმცა თავისი საბრძოლო არსენალი მთლიანად არ გამოუყენებია, დროზე წამოეშველნენ პოლიციელები.

ჯიხაიში, მამაპაპურ მიწაზე

სოფელ დიდი ჯიხაიშისკენ გადავუხვიეთ და ერთ, უპატრონობისგან გავერანებულ მიწის ნაკვეთთან შევჩერდით. აქ მდგარა სახლი, სადაც ბატონი ჯუმბერის მამა, დავითი დაიბადა. 13 დაძმიდან ექვსი კომუნისტებს დაუხვრეტიათ. მამა, ცნობილი ადვოკატი (იგი კარგა ხანს მოსკოვში მუშაობდა) იმავე კომუნისტებმა მოწამლეს.

მასპინძელმა გულისტკივილით გვითხრა, რომ სოფლის მესვეურებმა მამაპაპური მიწის დაბრუნებაზე უარი უთხრეს, თუმცა კანონით ეკუთვნოდა.

მხედრიონელები და დეკანოზი

სამტრედია იყო მეორე პუნქტი, სადაც ღამე უნდა გაგვეთია, მაგრამ ამ სურვილს თურმე განხორციელება არ ეწერა, რადგან ერთადერთი სასტუმრო აფხაზეთიდან ლტოლვილებით და მხედრიონელებით იყო გადატვირთული. ის, რომ სამტრედიაში თავშესაფარს არ მოგვცემდნენ, „ოპერატიულად“, სულ რაღაც ოთხ საათში გაირკვა. თუმცა ის დრო ჩვენ, ჟურნალისტებმა, საკმაოდ ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ბატონმა გვანჯი მანიამ მხედრიონელთა და სასტუმროს აუდიტორიის წინაშე საინტერესოდ ისაუბრა ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე და მის მოგზაურობაზე. შემდეგ თვითონ მოგზაურმა ილაპარაკა, რა მნიშვნელობა აქვს მკლავებზე აზიდვას და იქვე პრაქტიკულად უჩვენა ამ ვარჯიშის სწორად შესრულების წესი.

აქვე გავიცანით სამტრედიის რაიონის სოფელ ხურჯულაურის დეკანოზი რევაზ კოხრეიძე. იგი ადრე კარგი მძლეოსანი ყოფილა. შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი დაუმთავრებია და სახასიათო როლებსაც ასრულებდა. მისი თაყვანისმცემლები თურმე ჟორჟოლიანსაც კი ადარებდნენ. პა-

რალელურად სკეტჩებსაც წერდა. დეკანოზი დაგვპირდა, რომ 30.000 კუპონს გადმორიცხავდა ჯუმბერ ლეჟავას სამოგზაურო ფონდში.

დარდი №6. დეკანოზი რევაზ კოხრეიძე: აგერ აქვე, პარკის ტერიტორიაზე ეკლესიას ვაშენებთ (პროექტი გვაჩვენა). თავიდან თითქოს კარგად მიდიოდა საქმე, მოსაპირკეთებელი ძვირფასი თეთრი ქვა მოვიტანეთ, თუნუქის სახურავიც, მაგრამ რად გინდა, საქმემ წინ ვერ წაიწია. უხარისხო აგურით გვაძალებდნენ ეკლესიის აშენებას. ჩემმა მტკიცებამ რომ ვერ გაჭრა, ორი აგური დავაყენე ვერტიკალურად, მესამე კიდეებით დავადე, გაშლილი ხელი ჩამოვკარი და შუაზე გადავტეხე. ეს იყო და ეს, ხმა აღარ ამოუღიათ.

ამასობაში ის თეთრი ქვა და თუნუქი სანახევროდ მოიპარეს. არ მოერიდნენ იმას, რომ ეკლესიისთვის იყო განკუთვნილი და ღმერთი დასჯიდა.

სამტრედიაში ადგილობრივი გამგეობის რჩევით გადაწყდა, რომ დაძაბული სიტუაციის გამო სენაკში აღარ შეგვევლო. ამან ბატონ ჯუმბერს ძალიან დასწყვიტა გული, რადგან მისი მსოფლიო მოგზაურობის მისია სამშვიდობოა.

გარემოებათა დამთხვევის გამო, მსოფლიოს გარშემო მოგზაურ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გამცილებელთა ჯგუფში საქართველოში არსებულმა ყველა პოლიტიკური მრწამსის ადამიანმა მოვიყარეთ თავი. ერთ „რაფში“ ვიყავით როგორც ორთოდოქსი ზვიადისტები და კომუნისტები, ისე ნეიტრალები და ზომიერები. მიუხედავად ამისა, საოცარი ჰარმონია სუფევდა (თუმცა, ბუნებრივია, კამათი ტემპერამენტის მიხედვით მიმდინარეობდა). ამის მიზეზი გახლდათ საერთო მიზანი. ამ საოცარმა კაცმა, რომელიც მედგრად მიიწევდა ველოსიპედით წინ, ყველა გაგვაერთიანა. ბავშვივით გვიხაროდა, როდესაც მოგზაურს ცნობდნენ და ხელის აწევით ესალმებოდნენ. ამ მხრივ ყველას გადააჭარბეს აჭარლებმა, რომლებიც, რატომღაც, საქართველოს სხვა კუთხეების ხალხზე მეტად იყვნენ ინფორმირებული. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ ბატონმა ჯუმბერმა აჭარის მთელ ტერიტორიაზე ველოსიპედი ცალი ხელით ატარა – მეორით მისალმებაზე პასუხობდა.

ეს უფრო გვიან მოხდა, მანამდე კი სამტრედიაში ღამე ვერ გავათიეთ და ახლა ლანჩხუთში მივემგზავრებით ბედის საძიებლად.

„კაგებეს“ მაიორი – ყაჩაღი

დაახლოებით ღამის 10 საათზე, ინდური ჟღერადობის სოფელ ჯაპანას პოლიციის ინსპექციის საგუშაგოს ჩავუარეთ, რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ჩვენი გამცილებელი პოლიციელები დაგვეწივნენ – ჯაპანას ინსპექტორები გოჭზე გვეპატიჟებიან და უკან დაბრუნდითო. ისე ვართ დაღლილები, რომ ზოგს ძილი ურჩევნია, მაგრამ ჩვენი მძღოლის, ბატონი ჯემალის ფრთიანი ნათქვამი „ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო“, ჩვენც გვახსენებს, რომ ბიოლოგიური არსებები ვართ. ესეც რომ არ იყოს, „რაფი“ მოტრიალებულია და ფარები იმ წყვდიადს ანათებენ, რომელიც ეს-ესაა გამოვიარეთ.

როგორც ყველგან, ჩვენი ეს შეჩერებაც ლექცია-პრესკონფერენციით მთავრდება. მაგონდება, რომ დარდებსაც ვაგროვებ და ამ შუაღამისას ჯაპანას საგუშაგოს უფროს ლეიტენანტს, ბატონ კუკური საკანდელიძეს ვიმარტოხელებ.

დარდი №7. დარდი და პრობლემა ჩვენ რომ გვაქვს, ვის ექნება, მაგრამ ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, არა გვაქვს იარაღი და საჭირო რაოდენობით ვაზნები. შიშველი ხელებით კბილებამდე შეიარაღებულ ბოროტმოქმედთან ბრძოლა, მოგეხსენებათ, სიცოცხლის რისკთანაა დაკავშირებუ-

ლი. თუმცა, რაც შეგვიძლია, თავს არ ვზოგავთ. გუშინ ერთ ჩვენს თანამშრომელს თურქი ტურისტების მძღოლმა ანიშნა, გვაყაჩაღებენო. სანამ პოლიციელები შეიკრიბებოდნენ, ბანდიტებს ავტობუსი სიმინდის ყანაში გადაეყენებინათ და ტურისტებს პირწმინდად ძარცვავდნენ. ჩვენებმა ალყა შემოარტყეს და ექვსი თავდამსხმელიდან სამი დაიჭირეს (დანარჩენების გვარებიც დადგენილია) და იცით, ყაჩაღებს შორის ვინ აღმოჩნდა? ოზურგეთის „კაგებეს“ მაიორი...

ძილი შიმშილზე ძლიერი აღმოჩნდა. ბატონ ჯუმბერს საგუშაგოს დასასვენებელ ოთახში „ჩავუწყვე“ საქმე, რამდენიმეს კი „რაფში“ გვაქვს თავი ჩაქინდრული. პირველის ნახევარზე გაგვაღვიძეს და პროჟექტორის შუქზე აშკარად ჩანს, მასპინძლებს გოჭის მაგივრად ბურვაკი „შემოუტყუებიათ“. თავს ზევით ძალა არაა და ვუსხდებით იმპროვიზებულ სუფრას.

მეთევზეთა ნობათი

ლანჩხუთში შუაღამისას შევდივართ და სასტუმრო „მესხეთში“ ვბინავდებით. დილით სასტუმროსთან ლანჩხუთელებმა მოიყარეს თავი. სანამ ბატონი ჯუმბერი ყველსა და პურს შეექცეოდა და ველოსიპედი მოჰყავდა წესრიგში, გვანჯი მანიამ მომენტი არ გაუშვა და პრესკონფერენცია გამართა. როდესაც გურულებმა გაიგეს, რომ არსებობდა მოგზაურის ფონდი, რაიონის ელქსელის უფროსმა კობა ცინცაძემ 50 ათასი კუპონის ჩარიცხვა აღგვითქვა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მამანტი თევზაძემ და გურიის მწვრთნელ-ფეხბურთელმა გოჩა ხიტირმა, რომლებმაც შესაბამისად 5 და 10 ათასი კუპონი ნაღდი ფული გაიღეს. 5 ათასი კუპონი შეიტანა იქ მივლინებით მყოფმა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა აკრობატიკაში ჰამლეტ სუთიძემ.

ისევ გზა. ამჯერად ფოთში უნდა შევიდეთ. წამოჟინჟლა. რაფელები კვლავ დავწინაურდით. სუფსასთან, გზის გასაყართან, გავჩერდით. ჩვენ გვერდით შუახნის გლეხი დგას ორი სავსე ტომრით, რომ გაიგო, ფოთში მივდივართ, თვალები გაუბრწყინდა. ვსარგებლობ შემთხვევით, მის დარდს ვიწერ.

დარდი №8. ვილჰელმ თალაკვაძე: წუხელ გუდაუთიდან ჩვენს სოფელში ცოლ-ქმარი ჩამოვიდა ბავშვით. ისეთ რამეებს ჰყვებოდნენ, თმები ყალყზე დაგვიდგა. გურული კაცისთვის მთავარი, მოგეხსენებათ, მშვიდობაა. პირადი გაჭირვება არა მაქვს. ეგაა, რომ პურის შოვნა ჭირს და მჭადს და ღომს გეახლებით. 8-9 ტონა სიმინდი მომყავს, რვა სული ძროხა მყავს და სარჩო-საბადებელი არ მაკლია. პრობლემა კიდევ ისა მაქვს, რომ გაჭირდა მისვლა-მოსვლა. სამი საათი ველოდე ტრანსპორტს და თქვენ რომ არ შემხვედროდით, შეიძლება შინ მივბრუნებულიყავი.

ჩვენებურ კაცზე იმას გეტყვით, რომ ისეთი მკაცრი უნდა გახდეს, როგორც ცეკას მდივნობის დროს იყო, სხვაგვარად ამ ხალხს ვერ მოთოკავ. სტალინმა ომი შიშით მოიგო.

ფოთის შესასვლელთან, სადაც რიონი ზღვას უერთდება, მეთევზეებმა დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს ბატონ ჯუმბერს. მშვიდობით დაბრუნება უსურვეს და პირველი დაჭერილი თევზი მთლიანად გადასცეს.

ცომაიების ოჯახში

ფოთში წვიმამ თავისებური გამოცდა მოუწყო მოგზაურს – სულ მთლად გაილუმპა. გეგმით უნდა მოგვენახულებინა ჯუმბერ ცომაია, რომელმაც სამი წლის წინ იახტით შემოუარა მსოფლიოს. სამწუხაროდ, იგი არ დაგვხვდა, საზღვარგარეთ იყო. მიუხედავად ამისა, მისმა მშობლებმა, ქალბატონმა ნელიმ და ბატონმა რაინდმა გულმხურვალედ მიგვიღეს.

ბატონი რაინდი: 22 წელი ვიცურე გემით. პურს ვაცხობდი. ბევრი ქვეყანა მაქვს შემოვლილი. ბატონ ჯუმბერს ვუსურვებ, ჩემი შვილივით წარმატებით დაეგვირგვინებინოს მსოფლიო მოგზაურობა. ისე, ველოსიპედით მეც ბევრი მივლია. ეგ არის, რომ ორი მომპარეს და ახლახან მესამე შევიძინე.

შამპანურით გაწუწული ველოსიპედი

ჩოლოქთან (აჭარის საზღვარი), რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული ბეტონის ფილები გვაიძულებენ, ნელა, ზიგზაგით შევიდეთ. აქ უკვე იციან, რომ ბატონი ჯუმბერი გაივლის და პატივით გვხვდებიან. ეგ არის, რომ აჭარის კანონით, იარაღიანებს არ უშვებენ და ჩვენი პოლიციელები იძულებული ხდებიან, ამ სამართლიან კანონს დაემორჩილონ.

საბაჟოს თანამშრომელი, ქობულეთის „შუქურას“ ყოფილი მეკარე თამაზ მჟავანაძე შამპანურს ხსნის და დალოცვის შემდეგ ბატონი ჯუმბერის ველოსიპედს ასხამს. იქვე კაფეში გვპატიჟებენ.

ხარკოვში საგანგებოდ დამზადებულმა ველოსიპედმა თავისი შელახული რეპუტაცია აჭარის რთულ, ძნელად დასაძლევ აღმართებზე აღიდგინა. ბატონმა ჯუმბერმა ადვილად გადალახა ეს დაბრკოლებები.

ქათქათა ბათუმში ადგილობრივი ტელევიზია ფეხდაფეხ მოგვყვა. ინტერვიუც, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა წრეში შედგა. მათი ყველაზე დიდი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ბატონ ჯუმბერს დაღლილობა არ ეტყობოდა.

ერთი „უხერხულობა“, რომელმაც ყველა თბილისელი შეგვიპყრო, ისაა, რომ არ დადიან შეიარაღებული ფორმიანი თუ უფორმო ადამიანები და ჩვენს ყურთასმენას არ „ატკბობს“ ავტომატის კაკანი.

13 – ბედნიერი ციფრი

სასტუმროში დავბინავდით. წინა ორ სასტუმროსთან შედარებით, აქ ყველა ოთახში ნათურაა ჩამოკიდებული და რაც ყველაზე საკვირველია – ანათებენ.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურის „მერანმა“ და თვით მისმა პატრონმა მე-13 სართულის მე-13 ოთახში დაიდეს ბინა.

ციფრი 13 ბატონი ჯუმბერის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მან ყველა გინესის რეკორდი სწორედ ამ თარს რიცხვში დაამყარა. ეს ციფრი იყო მიზეზი, რომ რუსთავიდან სტარტი 13 აგვისტოს, 10-ის 13 წუთზე აიღო. აი, ის კი, რომ ბატონი ჯუმბერის თხოვნით მე გამცილებელთა ჯგუფში მე-13 ნომრად შემიყვანეს, როგორც მისი პირველი წარმატების თავგამოდებული პროპაგანდისტი, სრულიად შემთხვევით მოხდა.

ორშაბათს ძველი ფუნქცია დავუბრუნეთ და დასვენების დღედ გამოვაცხადეთ. თუმცა ეს გამოცხადება უფრო პირობითი იყო. ამ დღეს მოგვარდა ზოგიერთი საორგანიზაციო პრობლემა. გაიმართა პრესკონფერენცია. ამ დღეს ინახულა ბატონმა ჯუმბერმა მეგობრის საფლავი. ჩვენი ეს ინტერვიუც ორშაბათს დილით ბათუმის პლაჟზე შედგა. მანამდე მოგზაურმა დაგვიმტკიცა, რომ წყლის მხრივ ხიფათი არ ელოდა. იგი, როგორც ამ საქმის მთავარმა „ექსპერტმა“, საქართველოს ექსჩემპიონმა ცურვაში ავთანდილ გურასაშვილმა აღნიშნა, კარგად ფლობდა ცურვის ჩვევებს.

აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ პლაჟი ზაფხულისთვის საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა. გასულ წლებში თუ კაცი ფეხს ვერ აუქცევდა დამსვენებელს, დღეს ეს „პრობლემა“ მთლიანად მოიხსნა. უსაშველოდ გაძვირებული საგზურისა და ტრანსპორტის გამო, დასვენება საზოგადოების მხოლოდ მცირე, ელიტარული ნაწილისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

– ბატონო ჯუმბერ, კაცი ოჯახიდან რამდენიმე დღითაც რომ გადის, უჭირს შეჩვეულ გარემოსთან მოცილება. თქვენ კი მთელი შვიდი წლით მიემგზავრებით.

– აქ მთავარი, იცით, რა არის? დედამიწა შენს სახლად უნდა ჩათვალო. ეს აზრი რომ გამეთავისებინა, საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ბარიერი დავძლიე. მარტო იმის წარმოდგენა და შეგუება როგორია, რომ ამ ხნის განმავლობაში ექვს ისეთ ქვეყანაში მომიწევს გავლა, სადაც ადამიანის ხორცი დიდ პატივშია. არანაკლები საშიშროება მელის ჯუნგლებში, ტუნდრებში და ზამთარში. ხოლო უდაბნოში ველოსიპედი, 35-კილოგრამიანი ტვირთით, უმეტესად მე უნდა ვატარო. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიურად, ყველაზე ძალიან გამიჭირდა შვილებთან და შვილიშვილებთან დამშვიდობება. ჩემი შვილიშვილების ერთი გაღიმება ხომ მთელ სიცოცხლეს მირჩევნია.

– ბატონო ჯუმბერ, როდესაც თქვენი მოგზაურობის საკითხი წყდებოდა, საპარლამენტო კომისიის ერთ-ერთი წევრი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა – გამცილებლებს ბენზინი დასჭირდებათო. მისთვის რომ დაეჯერებინათ, რას იზამდით?

– როდესაც მოგზაურობა გადავწყვიტე, კონსულტაციისთვის მივმართე ბალტიისპირეთისა და რუსეთის ცნობილ მოგზაურებს. მათ, გარდა კონსულტაციებისა, სპონსორობა შემომთავაზეს, მაგრამ მე, ჩავთვალე, რომ სხვისი სახელით მოგზაურობა საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა. საბედნიეროდ, იგივე აზრი ჩვენშიც ბევრს აღმოაჩნდა.

– იმ 300 ათასი კილომეტრიდან, რომელსაც თქვენ გაივლით, 60 ათასი გემით მოგიწევთ, როგორ აპირებთ ამ თავისუფალი დროის გამოყენებას?

– ჩაფიქრებული მაქვს, საკუთარ თავზე დავწერო 6-7 ფსიქოლოგიური ნაშრომი.

– თუ საიდუმლო არაა, რა დაჯდება თქვენი მოგზაურობა?

– 300-350 ათასი დოლარი. თუმცა ვაპირებ სპონსორებს ტვირთი შევუმსუბუქო... გზადაგზა ჩავატარებ ლექციებს და საჩვენებელ გამოსვლებს. მიმაჩნია, და ჩემი ცხოვრებაც იმის დასტურია, რომ მკლავებზე აზიდვა, ისევე როგორც ძუნძული და აერობიკა, კაცობრიობის ფიზიკური გაჯანსაღების უებარი საშუალებაა.

– ეს მოგზაურობა, ალბათ, გინესის წიგნში თქვენს მე-12 რეკორდად შევა. ხომ არ აპირებთ მოგზაურობის დროს კიდევ გაზარდოთ ეს რიცხვი?

– მინდა იაპონიაში და კანადაში დავამყარო 36-საათიანი რეკორდი მკლავებზე აზიდვაში და გავაუმჯობესო გინესის წიგნში შეტანილი, ველოსიპედით ტრეკზე ნაჩვენები 24-საათიანი რეკორდი.

– ბატონო ჯუმბერ, ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, არ გიფიქრიათ, ვინმე შეგეამხანაგებინათ?

– ცხადია, ვიფიქრე, მაგრამ ჩემი ტემპის კაცი ვერ ვნახე. ამას გარდა, მოგზაურობის დროს, ჯობია, სურვილის მოწინააღმდეგე არ გყავდეს.

სხვათა შორის, ერთმა ქალბატონმა დაჟინებით მთხოვა ჩემთან ერთად წამოსულიყო. იგი იმაზეც კი თანახმა იყო, ზედმეტი წონა, თითქმის ნახევარი, დაეკლო. მეორედ 32 წლის, სრულიად უვარჯიშებელმა, ახალგაზრდამ მთხოვა, წამეყვანა იმ იმედით... ამიყოლიებო.

– პრესაში გამოქვეყნდა, რომ თქვენ ამ მოგზაურობას უძღვნით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 75-ე წლისთავს. კიდევ ხომ არ იყო რაიმე სტიმული, რომელმაც თქვენ ამხელა გზაზე დაგაყენათ?

– ჩემი გარდაცვლილი მეუღლის, ლიანას ხსოვნა. თუმცა ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამდენი ხნით ოჯახს ვერ მოვწყდებოდი.

„ირაოელები“

ეს იყო ჩემი ბოლო ინტერვიუ 21-ე საუკუნემდე. ხვალ, როდესაც ბატონი ჯუმბერი თურქეთის საზღვარს გადაკვეთს, მას მხოლოდ სატელევიზიო პროგრამა „ირაოს“ სამი წევრი გაჰყვება: რეჟისორი რეზო შალიბაშვილი, ოპერატორი ალიკ გრიგორიანი და მხატვარი ზურაბ კალანდაძე.

ისინი მთელი გზა ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ ბატონი ჯუმბერის მოგზაურობის მნიშვნელოვან მომენტებს.

დარდი №10. რეზო შალიბაშვილი: ჩვენთვის, ყველასთვის, ამ მოგზაურობაში მონაწილეობა, გარდა პროფესიული ინტერესისა, პატრიოტიზმთანაა გაიგივებული. ხუმრობა ხომ არ არის, ქართველმა კაცმა 7 წლის განმავლობაში ველოსიპედით უნდა შემოუაროს დედამიწას. გააცნოს ჩვენი ერის ისტორია, კულტურა და შესაძლებლობები. სამწუხაროდ, გაცილების ორგანიზაციაში იყო ხარვეზებიც, რომლებმაც ერთგვარი ჩრდილი მიაყენეს ზემოთ აღნიშნულ გრძნობას. ვიღაცამ რაღაცის ეკონომიით ხელი მოითბო. ეს ეხება როგორც კვებას, ისე ბენზინს თუ სხვა საკითხს.

ბატონი რეზოს ეს დარდი საერთო იყო, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებისთვის.

„შვიდ წელიწადს ვერ გნახო“

სამშაბათი. დილა. ეკიპაჟი სრულ მზადყოფნაშია. „რაფელებს“ შემოგვიერთდნენ აჭარის ტელევიზიისა და გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტები.

სარფამდე გზამ შეუმჩნევლად, ემოციურად გაიარა. მიუხედავად ამისა, არ მავიწყდება „ჩაჩაობა“ და „აჭარის“ კორესპონდენტს მანანა ძიძიშვილს ვიწვევ სასაუბროდ.

დარდი №11. დღეს აჭარაში სიმშვიდეა. ღამე უშიშრად გამოვდივართ, რაც, უდავოდ, ბატონ ასლან აბაშიძის დამსახურებაა, მაგრამ ძალიან მადარდებს ის, რომ ხელფასს ინსტრუქცია არ მოჰყვება, როგორ უნდა დავხარჯოთ, რომ თვიდან-თვემდე გვეყოს.

სარფის საბაჟოსთან თურქეთში მიმავალთა კილომეტრიანი რიგები ეკონომიკურმა გაჭირვებამ ჯადოსნური მაკრატლით შეკვეცა.

სანამ ბატონ ჯუმბერს რუსი მესაზღვრე პასპორტში ვიზას ჩაურტყამს (აქ, რატომღაც, ყველა საკვანძო ადგილზე ამ ეროვნების მესაზღვრეები დგანან), ვეკითხები, რა დარდი მიგყვებათ-მეთქი.

დარდი №12. ჯუმბერ ლეჟავა: ყველაზე დიდი დარდი ჩემთვის ისაა, რომ სენაკში ვერ შევიარეთ. იმედი მაქვს, რომ დავბრუნდები, საქართველო არამარტო გაერთიანებული, დამოუკიდებელი, ეკონომიურად აყვავებული დამხვდება.

დარდი №13. ეს „თარსი“ დარდი ჩვენ, გამცილებლებს გვრჩება, 7 წელი რომ ვერ ვნახავთ ამ საოცარ ადამიანს, რომელმაც დედამიწა თავის სახლად ჩათვალა.

...„ვაიმე, ჩემო ვენახო, შვიდ წელიწადს ვერ გნახო“
„საქართველო“, 1993 წ.

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა

გადავწყვიტე, კვლავ დავუბრუნდე კომლის საკუთრების საკითხს, რადგან უკვე მოქმედი საკანონმდებლო ცვლილებით მნიშნელოვნად შეიცვალა კომლის საერთო ქონებაზე კომლის წევრთა და მემკვიდრეთა უფლებები. კერძოდ, 2019 წლის 25 ივნისს მიღებულია საქართველოს კანონი (N4851-IIს)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. კანონის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება: 15. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 15131 მუხლი:

„მუხლი 15131. კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა

1. თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, თუკი საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის ყველა წევრი, 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გარდაცვლილია.

2. თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის წევრის 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო მის წილ ქონებაზე გაიხსნება, მიუხედავად იმისა, იგი კომლის ბოლო წევრი იყო თუ არა.

3. კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ ეს ქონება კომლის წევრების თანასაკუთრებაა და მასზე ვრცელდება თანასაკუთრებისთვის დადგენილი საერთო წესები“.

უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით („სამკვიდროს გახსნა კომლში“) გათვალისწინებული ურთიერთობების საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფის საჭიროება,მაგრამ წარმოდგენილი ცვლილება რამდენად ეფექტური იქნება კომლის ქონებით დაინტერესებული ცოცხლად დარჩენილ წევრის ან არაწევრი მემკვიდრის უფლებების დასაცავად, დრო გვიჩვენებს, რადგან ჯერ არ არის რაიმე სტატისტიკა, არც უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკა მსგავს დავებზე. აქ ასევე ვერ ვიყენებ უშუალოდ ჩემი მონაწილეობით მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, რადგან ამ ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს განხილვაშია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის განმარტებული კომლი. ალბათ ამიტომაც, საქართველოს საერთო სასამართლოების პირველი და მეორე ინსტანციები კომლს სხვადასხვაგვარად განმარტავენ,რითაც ცოცხლად დარჩენილ წევრის ან არაწევრი მემკვიდრის კომლის ქონებაზე კონსტიტუციური უფლება გარანტირებულად დაცული ვერ იქნება. ზოგადად, კომლის ქონება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის დანაწესს,(„ქონება, ამ კოდექ-

სის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“), თუმცა აწესებს განსხვავებულ დათქმებს ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვისთვის. ესეც განაპირობებს კომლის ქონებასთან დაკავშირებული დავების სიმრავლეს და ხანგრძლივობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება ვრცლად და ძალიან საინტერესოდ არის შეფასებული ნაშრომში „კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი“: „აღნიშნული ნორმა წარმოადგენს კანონმდებლის მიერ წარსულში განუხორციელებელი და არასრულად განხორციელებული კანონშემოქმედების გაგრძელებას/შედეგს, რომელიც დროით გამყოფად 2019 წლის 1 აგვისტოს ადგენს. დაირღვა თუ არა კომლის წევრთა უფლებები ამ თარიღის დაწესებით, სავარაუდოა, რომ არავის გამოუკვლევია, არც ის დაუდგენიათ რა რაოდენობის კომლი არსებობს საქართველოს მასშტაბით და რამდენი პირი [კომლის წევრი] ირიცხება მასში [ასევე, წარმოუდგენელი იქნებოდა კომლის არაწევრი მემკვიდრეების წინასწარი რაოდენობის დაანგარიშება და, სამომავლოდ, სამემკვიდრეო დავების წარმოშობის რისკის გათვალისწინება]. ..... დღეს არსებული მდგომარეობით, დაუშვებელია კომლში წევრის ჩაწერა, წევრის კომლიდან ამოწერა ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დამოუკიდებლად მონაცემის შესწორება. საკომლო ჩანაწერის სისწორეს, მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნევის შემთხვევაში, განიხილავენ საქართველოს საერთო სასამართლოები. კანონმდებელმა კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნის საკითხისთვის განსაზღვრა ზღვარი 2019 წლის 1 აგვისტომდე და მის შემდეგ, რითაც დაადგინა კომლის სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესი და კომლის წევრის გარდაცვალების ფაქტის ახალი კრიტერიუმი, რომელიც თავისი ფორმით უპირისპირდება კომლის ცოცხლად დარჩენილ წევრებს შორის საოჯახო ურთიერთობების შენარჩუნების ინტერესს და დროში აჩქარებს კომლის წევრი და არაწევრი პირების კერძო მესაკუთრული ინტერესის გამოვლენას 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ. კომლის მომწესრიგებელი ნორმები არ არის აღჭურვილი კომლის მესაკუთრეთა ქონების ეფექტიანი და თანაბარი დაცვის ფუნქციით. უფლებრივი დაუცველობა იგრძნობოდა 1993 და 1996 წლის საკანონმდებლო აქტების მიღებისას და მის შემდეგაც. სარეგისტრაციო ორგანოები არაერთგვაროვნად ახდენდნენ მიწის აღიარების ან საკომლო ჩანაწერის წარმოებასა და უფლების რეგისტრაციას. კანონმდებელმა თავისი გადაწყვეტილებით, კვლავ რისკის ქვეშ დააყენა ის მრავალწლიანი სოციალური ურთიერთობა, რომელსაც პატივს სცემდნენ კომლის წევრი და არაწევრი პირები/მემკვიდრეები, ხოლო ახალი ნორმატიული დღის წესრიგით, კანონმდებელი არა კომლის წევრთა გარდაცვალების [რაც ადრეულ პრაქტიკას წარმოადგენდა], არამედ კომლის წევრი და არაწევრი პირების სასამართლო დავის შედეგის მოლოდინის რეჟიმში აღმოჩნდა“.(იხ:ირაკლი ლეონიძე* გიორგი ჩიკვილაძე** კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი“).

ზემოაღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებულ მდგომარეობას თუ გავიხსენებთ, 01.01.1993 წლამდე საქართველოში, სოფლად მცხოვრები პირები წარმოადგენდნენ ან საკოლმეურნეო კომლის ან მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრებს. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ სოფლად მცხოვრები ყველა პირი ე.წ. საკომლო წიგნებში რეგისტრირდებოდა, საკოლმეურნეო კომლისა და

მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრების სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, კერძოდ, 1964 წლის რედაქციით საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე, 125-ე მუხლების თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება მის წევრებს თანაბარი წილის უფლებით, კომლის წევრობის ფაქტის საფუძველზე ეკუთვნოდათ. მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრთა ქონებაზე საკუთრება კი საერთო წესით წარმოიშობოდა. ამის შესაბამისად, 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სოფლად საცხოვრებელი სახლის შესაძენად და მასზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად რთული წერილობითი ფორმით დადებული გარიგება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია იყო აუცილებელი. ამავდროულად, ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მიხედვით, მიწა მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნოდა და სხვა პირთა საკუთრებაში მისი გადაცემა დაუშვებელი იყო.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 22.09.1992 წლის №949 დადგენილებისა და სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტის საფუძველზე, 01.01.1993 წლიდან საქართველოში კოლმეურნეობები გაუქმდა, კოლმეურნეობათა გაუქმების შედეგად კი, საკოლმეურნეო კომლები, როგორც კოლმეურნეობის სუბიექტები, თავისთავად, მოისპო და 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, მათი ქონება კომლის წევრთა თანასაკუთრებად გარდაიქმნა. თუმცა, ზემოხსენებული ნორმატიული აქტებით მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი ჯგუფის საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი ბედი არ გადაწყვეტილა.

როგორც საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, საქართველოში საკოლმეურნეო კომლი 1993 წლამდე არსებობდა. საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით-საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობას კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრეებად გვევლინებოდნენ.თუ ოჯახში კოლმეურნეობის არცერთი წევრი არ რჩებოდა, საკოლმეურნეო კომლი ისპობოდა და მუშა-მოსამსახურის ოჯახი იქმნებოდა, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილს მუშა-მოსამსახურის მეურნეობა იკავებდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრებს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდა, 125-ე მუხლით კი, კომლის ყველა წევრს, მათ შორის – არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდა. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.1992 წლის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონება და ამავე დროს, კომლის წევრთა საერთო საკუთრება იყო, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის კომლის წევრების საერთო საკუთრება თანაბარი წილით. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება სსკ-

ით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი (შდრ. იხ. სუსგ: №ას-1063-983-2017, 17.10.2017წ; №ას-1430-1350-2017, 30.04.2018წ.; სუსგ №ას-7-2019, 11.06.2020წ.). ამდენად, ის ფაქტი, რომ პირი საკოლმეურნეო კომლის გაუქმების მომენტისათვის იყო კომლის წევრი, წარმოადგენდა დანარჩენი წევრების თანაბრად კომლის ქონებაზე მისი მესაკუთრედ ცნობის საფუძველს.

მოქმედი ცვლილების თანახმად, თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, თუკი საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის ყველა წევრი, 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გარდაცვლილია. ეს არსებითად ცვლის ზემოაღნიშნულ პრაქტიკას და მაგალითად, 2019 წლის 30 ივლისს გარდაცვლილ კომლის წევრზე აღარ გაიხსნება სამკვიდრო და კომლის თანასაკუთრებაში არსებული მისი წილი გადავა კომლის ბოლო წევრზე, შესაბამისად, მხოლოდ მის მემკვიდრეს აქვს უფლება მიიღოს კომლის ქონება.

ჩნდება წარმოდგენა, რომ კანონმდებლის მიერ ისე ხდება მიწის სამართლის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლობლო ცვლილება, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული კომლის მესაკუთრეთა /თანამესაკუთრეთა უფლებები. ცნობილია, რომ 2022 წლიდან მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო,რაც თავისთავად კომლის საკუთრების დარეგულირებასაც მოიცავს.ამიტომ ჩემთვის ცოტა ბუნდოვანია, აღნიშნული ცვლილებით რატომ განისაზღვრა რომ, თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის წევრის 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო მის წილ ქონებაზე გაიხსნება, მიუხედავად იმისა, იგი კომლის ბოლო წევრი იყო თუ არა.აღნიშნული, ჩემი აზრით, არათანაბარ პირობებში აყენებს მაგალითად, 2019 წლის 30 ივლისს და 02 აგვისტოს გარდაცვლილ კომლის წევრს (შესაბამისად მათ მემკვიდრეებს),თუ სიცოცხლეში ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი ჰქონდათ.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ თუ საკანონმდებლო ცვლილების მიზანია კომლის საკუთრების რეგულირება დაუქვემდებაროს მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობას და ამ ფორმით დაკმაყოფილოს კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების ინტერესი, უფრო ეფექტური იქნებოდა გარდაცვალების დროის მისადაგება მიწის სისტემური რეგისტრაციის დაწყების პერიოდთან. კომლის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ასევე გასათვალისწინებელია სხვა გარემოებებიც, კომლის საკუთრებასთან დაკავშირებული რთული სამართლებრივი შემთხვევების სწორი შეფასებისა და სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(გაგრძელება)
(დასაწყისი ათინათის 49 - 53-ე ნომრებსა
და ანთოლოგიის მე -13 ტომში)

სიბრძნე,ფილოსოფია,ლოგიკა

***

ფილოსოფიური მიმდინარეობები, სინამდვილეში, ერთი ხის განშტოებებია. ნაყოფი მუდამ უცვლელია... ამ ხის მასაზრდოებელი კი უფლისგან დაშვებული სიბრძნეა.

***

ზოგიერთი სიბრძნე წამიერი გამონათების – ექსპოზიციის შედეგია, ზოგი – ადამიანური პრაგმატიზმით გაჟღენთილი, ზოგი – მკვეთრად ინდივიდუალური – სუბიექტურობის ნიშნით აღბეჭდილი (დადაღულ-დაშტამპული)...

***

ბრძენთა და ფილოსოფოსთა ნააზრევი მდორე – მარგინალურ ხაზად მიჰყვება სწრაფი ტემპით დაწერილ კაცობრიობის ისტორიას...

***

სიბრძნე ერთია, მისი სხვადასხვანაირად წამკითხველი – მრავალი.

***

ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მიმდინარეობებს რომ მიჰყვე, შენს აზრს ვერ გაატარებ – ან მოიწამლები, ან დაითრგუნები... ამიტომ რაც გაბადია (თუ გაბადია) შენი ნიჭი, უნარი, შთაგონება, ზე და ქვე გრძნობები უნდა გამოიყენო – შეუპოვრობით, გაბედულად გადადგა ნაბიჯი და შექმნა საკუთარი – მიმზიდველი და საჭირო პროდუქტი, რომლითაც დააინტერესებ თანამედროვე მკითხველს და, ასევე, ის გამოსადეგი იქნება დროში სამოგზაუროდ.

***

სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ! ფილოსოფოსთა (მჭვრეტელთა) და მეცნიერთა (მჩხრეკელთა) საზოგადოების ძალისხმევა სამყაროს ვერ ცვლის...

***

ყოველგვარ ფილოსოფიას, ხელოვნებას და მათ მიმდინარეობებს თავიანთი ჩარჩოები აქვთ მოძებნილი, სხვანაირად, ჰაერში მოფარფატე ღრუბელს დაემსგავსებოდნენ და აზრის კონცენტრაციას ვერ მოახერხებდნენ...

***

მტკიცებულებებში, ზოგჯერ, ყველაფერი მოწესრიგებულია და დიდი ლოგიკური ჯაჭვით არის ასხმული, თუმცა რეალურობა სხვა რელსზე დგას და სადღაც მიექანება; ამაზე დასაფიქსირებ-ლად და ამის აღსაქმელად კი დრო არ გვყოფნის...

***

შედეგი მიზეზს ხსნის... ანუ შედეგი ხდება მოცემულობა, რომელიც მიზეზს განსაზღვრავს და მისი ახსნის საშუალებაცაა. ფაქტები, ხშირად, სწორედ ამას გვიდასტურებენ... ჩრდილოეთში მობინადრე ცხოველების ბეწვი ზაფხულში ფერადია, ხოლო ზამთარში თეთრი. ეს ამ სახეობის, ამ ადგილას შეგუების და ასახვის შედეგია, – ფერს, სითეთრეს ზამთარი – შედეგი განსაზღვრავს, ისევე, როგორც ფერადს – ზაფხული ...მაშასადამე, ჯერ არის ბუნების გადაწყვეტილება, როგორც შედეგი, შემდეგ მიზეზები... ეს შეეხება, შედეგის და მიზეზის ერთმანეთით განსაზღვრულობას, ხოლო მათ შორის დროითი დამოკიდებულება სრულიად ბუნდოვანი და განუსაზღვრელია... ბავშვი იბადება უსუსური, ვერ დადის, ვერ იხედება, დამოუკიდებლად ვერ იკვებება, მაშინ, როცა ცხოველის ნაშიერი, უმთავრეს შემთხვევაში, დაბადებისთანავე ფეხზე დგას და დამოუკიდებლად გადაადგილდება. ადამიანის, როგორც მაღალგანვითარებული არსების, ქვეყნიერების ბატონ-პატრონად მოვლინებამ, ადამიანის თავის ტვინის განვითარების და მომწიფების ბიოლოგიური დრო და რითმი სხვა არსებებისგან სრულიად განსხვავებულად ასახა... ადამიანის შემთხვევაში, შედეგია მზა სოციალური გარემო, რომელსაც შეუძლია ბავშვზე იზრუნოს, ხოლო მიზეზი ადამიანის ნაშიერის უსუსურობაა. ეს და სხვა შედეგ-მიზეზები ადამიანურ ფენომენებს თავისებურად ხსნიან...

***

არსებობს აღიარებული, გენიალური, მხარდაჭერილი, ლოგიკურ-ჭეშმარიტი და ჭეშმარიტი აზრები: აღიარებული – ცხოვრებისეული, მსგავსი შინაარსებიდან და მოსაზრებებიდან გამომდინარე: სხარტი, მომცველობითი, დახვეწილი, ლაკონური, ორიგინალურ-პოპულარული გამონათქვამები.გენიალური – გენიალური მიგნებები მხარდაჭერილი – ეპოქალური აზროვნებიდან გამომდინარე – ლიტერატურული, მხატვრული, სახელოვნებო სკოლების, შედარებით მცირე საზოგადოებების და მიმდინარეობების იდეები, შეხედულებები და თეორიები; კიდევ უფრო დიდი საზოგადოებრივი მასების, სახელმწიფოს, ქვეყნების მასაზრდობელი

იდეოლოგია (მათი ხელოვნური გაჟღენთვა მაგალითად„ ისტორიული მატერიალიზმით“, „დიალექტიკური მატერიალიზმით“, „კომუნიზმით~ „კოსმოპოლიტიზმით“ და ა. შ. იდეებით, რაც დროებითიათია).
ლოგიკურ-ჭეშმარიტი – მოვლენების, ფენომენების მეცნიერული ახსნა და დასაბუთება: სხვადასხვა მოვლენებს შორის კავშირების, დამოკიდებულებების, კანონზომიერებების ზუსტი ახსნა-გაშიფვრა, რაც უსათუოა და ეჭვს არ იწვევს. ჭეშმარიტი აზრი – რომელიც მხოლოდ უფლის განზომილებაში იკითხება...

სიკეთე, ქველმოქმედება, სათნოება

***

სიკეთე, რომელსაც ბოროტებად გადაქცევის შანსი გააჩნია, სიკეთე არაა...

***

სიკეთის ნაყოფი ყოველთვის სიკეთე არაა; ჩადენილმა გაუცნობიერებელმა სიკეთემ ბევრჯერ დაგვანახა თავისი ურჩხულებრივი სახე (ამ მაგალითებით სავსეა კაცობრიობის ისტორია); რაგინდ საკვირველიც იყოს, ვიტყოდი: ჩადენილმა ბოროტებამ, თავისი შემზარავი სახის წარმოდგენისას, ადამიანებს, მასებს შეიძლება მისი საშინელი სახე განაცდევინოს და აქედან გაკეთებული დასკვნების გამო, კეთილგონიერებისაკენ და, შესაბამისად, სიკეთის ჩადენისაკენ უბიძგოს... ამიტომ ნურასოდეს დავიიმედებთ თავს, რომ სიკეთის ჩადენით ადამიანური ვალი მოვიხადეთ. მხოლოდ უფალია ის, ვინც ზუსტად იცის ვის და როდის მიაგოს სიკეთე.

***

ზოგიერთ ადამიანს არ აქვს უნარი, ღირსეულად უპასუხოს ქველმოქმედებას, ზოგს – უნარი, – საერთოდ გაიგოს ის.

***

სადღაც წამადგებაო სიკეთე – რა, განა ცუდია თუნდაც ამ მოტივით სიკეთის თესვა? – დე იყოს ასე! ფიქრი – სადღაც წამადგებაო სიკეთე, ეს უკვე უფლის აღიარებაა.

***

თუ საკუთარი სიამოვნებისათვის ჩავდივარ სიკეთეს, ამ სიამოვნებისათვის უნდა მედავონ? დე, იყოს უდიდესი ეგოიზმი და ანგარებაც (უტილიტარული ეთიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისით); გაივსოს ქვეყანიერება ასეთი ეგოიზმის მაგალითებით!..

***

ილაპარაკო და იმსჯელო სიკეთეზე, როგორც „გონივრული ეგოიზმით“ ნაკვებზე და ამით ნაკარნახევზე მაშინ, როდესაც მან ნაყოფი გამოიღო, ყველაზე დიდი ეგოიზმი და უღმერთობაა...

***

არ თქვა, რომ მეზობლის სიკეთე შენი სიკეთე არ არის, ან მისი ქონება შენი ქონება არ

არის... ჩააგონე შენს თავს, რომ სხვისი ქონება შენი ქონებაცაა. არ უნდა შეგრცხვეს, როცა დადგება მომენტი და დაინახავ, რომ მეზობლის ქონება, წარმატება, თურმე, შენთვისაც ყოფილა სასიკეთო.

***

თესე სიკეთე და იმედი ისე, რომ არ „გაძარცვო“ სხვები შენი ზედმეტი ღონისძიებებით...

***

ნუ იქნები ზედმეტად სათნო და მოწიწებული, სჯობს – იყო სამართლიანი.

იდეა და იდეოლოგია

***

იდეა – იარაღია, რითაც რაიმეზე მუშაობას ვაპირებთ, არათუ ეს, ზოგჯერ თავად ადამიანია იარაღი, რომლითაც იდეა მუშაობს.

***

იდეოლოგიას ერთი ცუდი თვისება აქვს – როცა იზრდება, ფუტუროვდება და ადვილად იმსხვრევა...

***

დღევანდელ ქართულ საზოგადოებას აქვს შანსი, იხილოს მომაკვდავი პოლიტიკური იდეოლოგია და მათ წარმომადგენელთა, არამარტო, იდეოლოგიური კრიზისი, არამედ ფიზიკური განლევა-გადაგვარების უცნაური კანონზომიერება, რომელიც ტელევიზიის ეკრანებიდან თვალნათლივ სჭვივის.
ახლა კეთილგონიერთათვის გასაგებია: ისინი შეძლებდნენ ფენიქსივით აღდგომას იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ თავში ადამიანური განსჯისა და გონიერების შესაძლებლობებს ბოლომდე არ ამოწურავდნენ.

***

მთავარი არსის ძებნაში ადამიანები ათასი ჯურის „იდეოლოგ-ფანატიკებს“ გადაეყრებიან ხოლმე და აედევნებიან მათ, თუმცა შუა გზაში ხვდებიან, ეს მათი გზა რომ არაა. ზოგი ახერხებს მოწყდეს ამ ავანტურისტებს და მეტი გამოცდილებით აგრძელებს შეწყვეტილი გზის ძიებას.

***

იდეოლოგიის შემქმნელთ ინტუიცია სწორად განვითარებული არ აქვთ. ისინი ამ იდეოლოგიით გარკვეული ხნით მართავენ მასებს, რომელთა ინტუიცია, საბოლოო ჯამში, ამ მოძრაობის საწინააღმდეგო მოძრაობას აღძრავს.

***

საკითხავია, იდეოლოგიის ავტორები და მქადაგებლები რატომ ხდებიან არაადექვატურები თავიანთი „ნამოღვაწარის“ მიმართ?..

***

სწრაფვა იდეებისადმი, ხშირად, ადამიანს მის მორჩილებად უზის....

***

ფანტაზიებით დახუნძლული, იდეების ატაცებისაკენ მიდრეკილი ხალხთა მასა დროებით თუ ახერხებს დაშოშმინებას; დაუდგრომელი – მშფოთვარე სული ახალ-ახალ იდეებს იკრებს და, რაც ყველაზე საოცარია, თაობათა ცვლის სპირალურ ჯაჭვში ერთსადაიმავე შეცდომებს გამოცდილებად არ იღებს..

***

„იდეად“ ქცეული შურისძიება გადამდებია და ატომურ ენერგიაზე მეტი ძალა აქვს...

***

ახალი იდეების – შეხედულებების წარმოშობას აზროვნების სივიწროვე-სიმწირე კი არ უშლის ხელს, არამედ გაუბედაობა. მოაზროვნეები უფრო თამამად ბედავენ ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელიც სადღაც, ოდესღაც გაჟღერებული იყო ცნობილი ადამიანების შეხედულებებში. თუმცა, აზროვნებისას და მსჯელობისას მოაზროვნე ხშირად აღმოჩნდება აზროვნების ოკეანის ღრმულებში და იძულებული ხდება დამოუკიდებლად გადალახოს ის...

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)
(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12-13 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38 - 53-ში)

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები
(სისტემატიზირებული)

კულტივირებული ბრალი

ა) რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული მტრობა და ბრალი

მსოფლიოს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა დაპირისპირება რელიგიურ, ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე. განსხვავებულობა ბადებს გაუგებრობას, ეჭვს, უნდობლობას, ერთმანეთის მიუღებლობას და, აქედან გამომდინარე – ბრალს. ამ საზოგადოებების შიგნით, სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, ხდება ნეგატიური ენერგიების (ბრალის) მოკრება-კულტივირება და ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართვა. განსხვავებული რელიგიის, ეთნოსისა და რასის მიკუთვნებულობა ბევრჯერ გამხდარა მტრობის, წინააღმდეგობა-ჭიდილისა და ომების მიზეზი. ის, რომ წინააღმდეგობები ბუნებრივად არსებობს განსხვავებული კონფესიის, ეთნოსისა და რასების წარმომადგენლებს შორის, ხშირად ხდება შუღლის გაღვივებით დაინტერესებული ძალებისათვის მანიპულირების იარაღი და საშუალება. წამქეზებელი ძალები შეიძლება იყოს როგორც ამ საზოგადოებების შიგნით მყოფი ერთეული ლიდერები, მასები ან პოლიტიკური ორგანიზაციები, ასევე, ამ საზოგადოებების გარეთ მყოფი დაინტერესებული მესამე ძალა, რომელიც თავისი მიზნის განსახორციელებლად ახერხებს წინააღმდეგობის ჩასახვას და ბრალის კულტივირებას იმდაგვარად, რომ ვითარება დაიძაბოს და მოხდეს კონფრონტაცია. ეს ძალები იყენებენ ისეთ ამორალურ მეთოდებს, როგორიცაა ცილისწამება, ტყუილი, წაქეზება, ისტორიული ფაქტების გაყალბება და სხვა; ასევე, ამარაგებენ მათ მიერ წაქეზებულებს იარაღით და ჯარით; პირდებიან და უწევენ სხვადასხვა დახმარებას.

წარმოდგენებისა და შეხედულებების განსხვავებულობამ, არათუ რელიგიებს შორის, თვით ერთი რელიგიის შიგნითაც წარმოშვა ბრალი და გამოიწვია წინააღმდეგობა. ამის გამო, უძველესი რელიგიებიც კი დაიყო სხვადასხვა მიმდინარეობად და განშტოებად, რომელთა წარმომადგენლები ბრალითა და სიძულვილით არიან ერთმანეთისადმი განწყობილი. რეფორმა-

ციის სახელწოდებით ცნობილი რელიგიური ომები, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოიშვა, ას წელზე მეტხანს გაგრძელდა ევროპაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ომები არ იყო წმინდა რელიგიური წინააღმდეგობებით გამოწვეული. აქ იყო ეკლესიის, ხელისუფლების, სახელმწიფოს სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა მერკანტილურ მოტივსა და შინაარსზე აგებული მიზნები და აქედან გამომდინარე ბრალი. სარგებლის მოლოდინში ამ ომში ჩართული ბევრი მონაწილე თავისი მრწამსის საპირისპირო მხარესაც კი დგებოდა და მისი თანამოაზრე ხდებოდა. რელიგიურმა ომებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ზოგიერთი სახელმწიფო დაშლის პირას მიიყვანა. განსხვავებული შეხედულებების გამო, ბრალით განმსჭვალულები ერთმანეთს სასტიკად უსწორდებოდნენ; მაგალითად, ცნობილი ფრანგი პროტესტანტი ჟან კალვინი დიდხანს სდევნიდა ესპანელ ანაბაბტისტს მიგელ სერვეტს და იმდენი რამ იღონა, რომ ის საბოლოოდ კოცონზე დააწვევინა. ამ საქმის აღსრულებით ის ამაყობდა კიდევაც და ამბობდა: „უნდა განადგურდეს ესენი (ანაბაბტისტები) ისე, როგორც ესპანელი სერვეტი გავანადგურე...“

მესამე ძალის მიერ ბრალის კულტივირების მაგალითია ოსებისა და აფხაზების დაპირისპირებულობა და ომი ქართველ ხალხთან. კავკასიაზე გავლენის შენარჩუნების მიზნით, რუსეთმა (და არა მარტო რუსეთმა) გააძლიერა სეპარატისტულად განწყობილი ძალები ოსეთსა და აფხაზეთში, რითაც ხელი შეუწყო კონფლიქტის ესკალაციას. ამას მოჰყვა ომი და დაუსრულებელი კონფლიქტები. საუბედუროდ, რუსეთის წაქეზებით და ხელშეწყობით, დაძაბულობა კვლავ გრძელდება და სეპარატისტები საქართველოს საზღვრებისაკენ იწევენ.

წარმოდგენათა და შეხედულებების ფუნდამენტური განსხვავებულობის გამო, რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი საზოგადოებები ბრალის კულტივირებისათვის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენენ. ბრალის, შურის და შუღლის მარცვალი აქ ადვილი გასაღვივებელია. შიდა და გარე ავანტიურისტების ჯგუფები კი გამუდმებულად იჩეკებიან. ისინი თავიანთი მიზნების მისაღწევად კარგად იყენებენ ამ საზოგადოებებს; ხელსაყრელ მომენტებს ხელიდან არ უშვებენ მათ დასაპირისპირებლად; შედეგად, ეს საზოგადოებები ზარალდებიან ან საერთოდ ნადგურდებიან, ომის გამჩაღებლები კი ხელს ითბობენ..

ბ) ძალაუფლების კულტივირება რელიგიაში – ინკვიზიციის ბრალი

ძალაუფლების ერთ შემზარავ ბრალს განეკუთვნება ინკვიზიციის ბრალი – „კუდიანებზე ნადირობა“, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალმა შექმნა ერესთან საბრძოლველად მე-13 საუკუნეში, სინამდვილეში კი სახელმწიფოს და რელიგიის ძალაუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად გამოიგონა. ინკვიზიციის აბსურდული ბრალდებები – დანაშაულის დამტკიცების გარეშე დასჯა (ჩრიმენ Eხცეპტუმ) და დასჯის საშინელი ფორმები იყო ძალის დემონსტრირება, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებას. მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა სამართლიანობასთან და რწმენასთან. ეს იყო ბრალი ადამიანების და თავად უფლის წინაშე. თუ ვინმე შეეცდება, ოდესმე, ინკვიზიციას რაიმე დადებითი როლი მიაკუთვნოს რწმენის შენარჩუნების ან მაშინდელი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, ის

შეეცდება უფლის მიერ დაარსებული საზოგადოებების „ძალადობის“ გამართლებას, რაც აბსურდამდე დადის (შეგახსენებთ, რომ რინო კამილერის წიგნი – „ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია“, მოყვანილი ფაქტებით და არგუმენტაციებით, ინკვიზიციის გამართლების მცდელობაა). ინკვიზიციის მძვინვარების პერიოდში, ხალხში ჩანერგილი შიშისა და ტერორის გამო, მაშინდელ საზოგადოებაში არსებობდა ერთი ასეთი ჩვევა: მამები თავიანთ ქალიშვილებს განზრახ ასახიჩრებდნენ, რათა ინკვიზიციას ისინი „კუდიანებად“ არ შეერაცხა და ბრალი არ დაედო. ასეთი სამარცხვინო ისტორიები ინკვიზიციის ბრალით მაღალ დონეზე გაჟღენთილობას მოწმობენ და მათ საპირწონედ და გასამართლებლად არგუმენტების მოყვანა ნაკლებად სარწმუნოა დღევანდელი საზოგადოებისთვის.

გ) ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიცია და ბრალი

ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიციას ვხვდებით როგორც პრეისტორიულ, ასევე, ანტიკურ და შუასაუკუნეების თითქმის ყველა წარმართულ კულტში – ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის ხალხებს შორის. ამჟამად ის შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ არაცივილიზებულ ტომში.

როგორც არქეოლოგიური გათხრები, ასევე იმ ეპოქებში მოღვაწე ცნობილი ადამიანების გადმოცემები ადასტურებენ მსხვერპლშეწირვის ამაზრზენი ფორმების არსებობას. მსხვერპლშეწირვას ჰქონდა დღესასწაულის სახე და მოიცავდა სხვადასხვა რიტუალს. ამ რიტუალებში თითქმის ყველგან იყო განსაკუთრებული სისასტიკით ადამიანების წამება, დასახიჩრება, აჩეხვა-დაკუწვა, დანაწევრება, დაწვა და ა. შ. ბევრგან იყო ქალებისა და ბავშვების მსხვერპლშეწირვის წესიც.

მაია-აცტეკების მეზოამერიკულ კულტურებში, სპეციალურად მოწყობილ სამსხვერპლოებზე – პირამიდულ ტაძრებზე, ათასობით ადამიანს წირავდნენ მსხვერპლად. ამ ტრადიციებთან ახლოს დგას, სხვადასხვა ხალხში არსებული წეს-ჩვეულება – მეფეების, იმპერატორების და დიდებულების გარდაცვალებისას მათი მონა-მსახურების ან ახლობელი ადამიანების მსხვერპლშეწირვა, ასევე, მათი ცოცხლად ჩაყოლება სამარხებში. შენობის სიმყარისა და მედეგობის შენარჩუნების მიზნით, წინა საუკუნეებში იყო ტრადიცია საძირკველში და კედლებში ცოცხალი ადამიანების ჩაყოლებისა. საქართველოში ამ ტრადიციის არსებობას ადასტურებს სურამის ციხის და ხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საძირკველში ადამიანის ცოცხლად ჩამარხვის თქმულებები. საინტერესოა, მსხვერპლშეწირვის შინაარსების გაცნობა. ზოგჯერ ეს რიტუალი შეიცავდა ბრალისმართლებისდაგვარ შინაარსსაც, რაც მდგომარეობდა მსხვერპლშეწირვის ობიექტის „დანდობაში და პატივისცემაში“ – მას მსხვერპლშეწირვის წინ კარგად კვებავდნენ და უვლიდნენ... სხვა შემთხვევაში, მაგ. მიწათმოქმედ საზოგადოებებში მსხვერპლს წარმოსახავდნენ მეფე-ქურუმად, რომელიც განასახიერებდა ნაყოფიერების ღმერთს და გარკვეული პერიოდის შემდეგ წირავდნენ მსხვერპლად, რაც მსხვერპლშეწირულის „პატივად“ იყო მიჩნეული... ამ ტრადიციის და „ასეთი რწმენის“ სიმყარის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაიას ქალაქში მეფეები, ასევე აცტეკი იმპერატორები ხშირად საკუთარ სისხლს სთავაზობდნენ ღმერთს საჩუქრად.

საინტერესოა, ასევე, ადამიანის მსხვერპლშეწირვის რიტუალის ახსნა თავად ამ ტრადიციის მატარებელი ხალხების მხრიდან. აცტეკების წარმოდგენით ღმერთმა თავი გასწირა ადამიანების და სამყაროს შესაქმნელად – ერთ-ერთი ღმერთი აალებულ კოცონში შევიდა და მზედ გადაიქცა. თუ ღმერთმა გაიღო მსხვერპლი, ადამიანებმაც უნდა გაიღონ მსხვერპლი და ამით უნდა ასიამოვნონ ღმერთებს. მათი აზრით, რიტუალების დროს დაღვრილი სისხლი ღმერთებს აძლიერებდა და საშუალებას აძლევდა სამყარო გადაერჩინათ. ვიკინგები 9 წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ და 99 ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად. მათ მიაჩნდათ, რომ მსხვერპლად შეწირულები მკვდართა სამეფოში მათგან ჩადენილ ცოდვებს გამოისყიდდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მსხვერპლშეწირვის ძირითადი შინაარსი იყო უკვდავი ღმერთების მომადლიერება ადამიანების სისხლით – რომ შეწირული მსხვერპლი ხალხთა კეთილდღეობის გარანტორი უნდა ყოფილიყო...

ძნელია, დღევანდელი ეპოქიდან და აზროვნებიდან ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ და ანალიზი გავაკეთოთ ველური და ნახევრად ველური საზოგადოებების პირქუშ წესებსა და ადათებზე. მსხვერპლშეწირვის ვნება და ბრალი მაინც ადამიანური არსის – როგორც ფენომენის, ძირისძირების, ქვეუცგანწყობილებების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების ნაირგვარი შინაარსების და ფორმების კვლევა-ძიებასთან მიგვიყვანს. ბრალის ანალიზში აღვნიშნეთ, რომ ადამიანი ბრალს ხშირად მიმართავს საკუთარი კეთილდღეობის, გულდამშვიდების, თავისი უდანაშაულობის განცდის განსამტკიცებლად, შინაგანი ენერგიის ბალანსის შესანარჩუნებლად, უარყოფითი ენერგიების განსამუხტავ-გასანეიტრალებლად, ჭარბი ენერგიის გარეთ გამოსატანად... იგივე მსჯელობები შეიძლება აქაც გამოგვდგომოდა და ამას შეიძლება გარკვეული შვება მოეცა ჩვენთვის, მარტო ამით რომ აიხსნებოდეს ადამიანის მსხვერპლშეწირვის ვნებიანობა წარსულ კულტურებში. უნდა ვთქვათ, რომ, ჯერ კიდევ, ცხადსა და სიზმარეულ-გაბუნდოვანებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები არ შეიძლება ღმერთის წინაშე „სახდელით“ ყოფილიყვნენ დავალდებულებულები. ის, რაც ამ საზოგადოებებს გულდამშვიდების, კმაყოფილების, დაიმედებულად ყოფნის განცდას აძლევდა ადამიანის ენით აღუწერელი ტანჯვისა და დამცირების სანაცვლოდ, არ შეიძლება ყოფილიყო უფალი. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სისხლისმსმელი სატანა და მისი ბრალი უფლისა და ადამიანების წინაშე. მსხვერპლად შეწირული ადამიანები იყვნენ ეშმაკის „წილი“... არ არის გამორიცხული სატანას თავისი წილი ჩვენს დროშიც მიჰქონდეს, ოღონდ, სხვა ფორმით. ამის გააზრება დღევანდელობაში თავისუფლად შეიძლება იმ უბედურებებისა და კატასტროფების გაცნობიერებისას, რასაც პრესა და ტელევიზია გვამცნობს ყოველდღიურად.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მსხვერპლშეწირვა, თითქოს ადამიანების საკეთილდღეოდ, თანაც ღმერთის სახელით, რომ შეეძლო გამოეგონებინა მხოლოდ სატანას და თავს მოეხვია მათთვის, იმ საზოგადოებებს, იმ დროს, გააზრებული ვერ ექნებოდათ... რასაკვირველია, ამ თემას ასეთი მსჯელობებით, ვერ ამოვწურავთ. ეს თემები მუდამ დარჩება საფიქრელ- სააზროვნოდ და ყოველთვის წარმოშობს დილემას ადამიანის არსის, აზრის და ყოფიერების ახსნაში.

დ) სისხლის აღების ტრადიცია და ბრალი

სისხლის აღება არის, გარკვეული ეთნოსის მიერ, შურისძიების – სამაგიეროს მიზღვევის მიზნით აღძრული კულტივირებული ბრალი. ვერ ვიტყვით, სისხლის აღების ტრადიცია სამართლიანობაზე იყო თუ არა დაფუძნებული, მაგრამ თვლადობა-ანგარიშზე ნამდვილად იყო ფოკუსირებული. აქ მოქმედებდა პრინციპი კაცი – კაცის წილ. მოგვიანებით, კლასობრივ საზოგადოებაში სისხლის აღებას შეენაცვლა კომპოზიციის წესი, რაც „დამნაშავის“ მხრიდან გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებაში გამოიხატებოდა. ამ ბრალის განხილვისას ჩვენ გვაინტერესებს მოტივები და შინაარსები უფრო, ვიდრე თვლადობა.

სისხლის აღებით, შურისძიების ბრალში უამრავი ქვეგანწყობა შეიძლება მოვიძიოთ. ამ განწყობილებებს აუცილებლად მივყავართ კმაყოფილების განცდასთან რევანშის გზით, რითაც შურისმაძიებელი გარკვეულ სიმშვიდეს პოულობდა. ადამიანმა, ბიოლოგიური არსიდან და მისი ვნებითი ფანტაზიებიდან გამომდინარე, არათუ მტრის, უდანაშაულო ადამიანების გასანადგურებლად მრავალი ამაზრზენი ფორმა-საშუალება გამოიგონა და რა გასაკვირია, მოწინააღმდეგე მტრის მიმართ ბრალის ისეთი ფორმა მოეძებნა, როგორიც სისხლის აღება იყო. მტრის დასასჯელად, კიდევ უფრო საშინელი ბრალის ფორმები ამჟამადაც არსებობს. აფრიკის ზოგიერთი ტომები შურისძიების მიზნით, მტრულად განწყობილი ტომის ადამიანებს ჭამენ. ეს „სისხლის აღების“ ერთგვარი რიტუალია მათთვის. თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ბრალის ამ ფორმაში კვების ინსტინქტი მონაწილეობს. ამ ინსტინქტიდან ნაწარმოები კმაყოფილებითი წარმოსახვები შეჯვარებულია ზოგადი კმაყოფილების, თუნდაც, რევანშით აღძრულ, წარმოსახვებთან... მათთვის ეს ტრადიცია ორმაგად სარგებლიანია – კვებითი მოთხოვნილებებისა და რევანშისტული განწყობლებების დასაკმაყოფილებლად(ეს თემა ასახვის თეორიაშიც მაქვს განხილული).

ე) „შენ, არათუ, ჩემზე უკეთესი – ჩემზე უარესიც ხარ“ – ბრალი

არის ცნობილი კინოფილმი, რომლის სიუჟეტი ასეთია: პრესტიჟული რესტორნის დარბაზი სავსეა ხალხით. ერთ-ერთი მაგიდიდან დგება ყმაწვილი და ყურადღების მისაქცევად იატაკზე მოისროლის შამპანურის ფუჟერს. ხალხი ხმაურს და საუბარს წყვეტს. ყმაწვილი ამის შემდეგ იწყებს გამოთქმით ლექსის წაკითხვას. დარბაზი მოწონებას გამოხატავს, – ჩანს კმაყოფილი სახეები. ლექსის დასრულებისას ისმის ტაში და ოვაციები... ოვაციების დასრულების შემდეგ, ყმაწვილი დარბაზს მიმართავს: ვინც გამოიცნობს, თუ ვინ არის ლექსის ავტორი, მიიღებს ჯილდოს. ყმაწვილი დგას და ელოდება პასუხს. თუმცა, ლექსი საკმაოდ ცნობილია, დარბაზი დუმს... ბოლოს, დარბაზის ერთი კუთხიდან, სადაც ახალგაზრდები სხედან, წამოდგება გოგონა, რომელიც დაასახელებს ავტორს. ყოჩაღ! – შესძახებს ყმაწვილი, თქვენ გამოიცანით, ვინ არის ლექსის ავტორი და დაიმსახურეთ ჯილდო!.. და დარჩებით ადგილზე უვნებლად... მოულოდნელად, ორატორის მაგიდის წევრები წამოდგებიან ხელში იარაღებით. ორატორი აგრძელებს: თქვენ, რომლებიც ჭამთ, სვამთ, ერთობით, იღებთ ყოველგვარ სიკეთეს და სიამოვნებას ცხოვრებისაგან, არ გადარდებთ გაჭირვებულები, არ გაინტერესებთ ხელოვნება – პოეზია და სხვა, ამისათვის დაისჯებით!.. არ გაინძრეთ, დარჩით ადგილზე, არ გაბე-

დოთ დარბაზის დატოვება. ამოალაგეთ ჯიბეებიდან თუ რამ ფული გაქვთ, მოიხსენით სამკაულები და დაალაგეთ მაგიდაზე!... მოქეიფეები საფულეებიდან იღებენ ფულს, იხსნიან სამკაულებს და ალაგებენ მაგიდაზე. მძარცველები აგროვებენ ფულს და ოქროულს და სწრაფად უჩინარდებიან რესტორნიდან.

დაყაჩაღება სარკაზმით? რომელშიც „თითქოს“ მორალია გარეული. სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ამ მოვლენას. ყველაზე საინტერესოა, რომ ამ ბრალით დამყაჩაღებელი გამართლებას, სტიმულს და კმაყოფილებას პოულობს...

90-იან წლებში აღწერილია, მთელი რიგი შემთხვევები, როცა კრიმინალები წინასწარ მიდიოდნენ ბიზნესმენებთან და ითხოვდნენ ფულს დახმარების სახით, და თუ არ მიიღებდნენ, ქურდავდნენ, აყაჩაღებდნენ ან იტაცებდნენ გამოსასყიდის მიღების მიზნით (ამ ბრალს თან ახლდა სარკაზმი, სადიზმი – დასჯა და წამება...). ამ ბრალით მოქმედებდა ბევრი ხელისუფალი, როგორც წარსულ, ასევე უახლოეს ისტორიაში... წარსულში ბევრი იმპერია, სახელმწიფოები, ასევე, კრიმინალური დაჯგუფებები, მაფიოზები იყენებდნენ ამ მეთოდს. ეკონომიური კრიზისების, ომების, შიმშილის დროს სახელმწიფო ფულს იღებდა მდიდრებისგან. არათუ ართმევდნენ, არამედ წვავდნენ, ხოცავდნენ, ანადგურებდნენ მათ ოჯახებს. ასევე იქცეოდნენ მაფიოზური დაჯგუფებებიც, რომლებიც ხოცავდნენ მოწინააღმდეგე დაჯგუფების მამრობით შთამომავლობას, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო რევანში... (ამ ხერხს მრავალჯერ მიმართეს რომის იმპერიაში კეისრებმა).

მოგონილი ბრალდებებით სააკაშვილის ხელისუფლება აყაჩაღებდა და აშანტაჟებდა ბიზნესმენებს, ართმევდა სახლებს, პრივატიზირებულ ქონებებს. წინააღმდეგობის გაწევისთვის ან არასასურველი ჩვენების მიცემისათვის აწამებდა და ასახიჩრებდა ხალხს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, – სწორედაც, ცინიზმით. აგროვებდა კომპრომატებს, რის შედეგადაც „ავერბოვკებდა“ უახლოეს გარემოცვის წევრებსაც. „დავერბოვკებულთ“ აწინაურებდა თანამდებობებზე; ამ ნიშნით ირჩევდა თანაპარტიელებს, თანამზრახველებს და აყენებდა თავის სამსახურში... (აღსანიშნავია, რომ ეს ბრალი, „თითქოსდა,“ უწყინარი ფორმით ცირკულირებს საზოგადოების წევრებს შორის: ოჯახში, ბიზნესში, პოლიტიკაში, ორგანიზაციებში და ყოველგვარ ურთიერთობაში...).

შეუბრალებლად, სისასტიკით, ცინიკურად, ნიშნისმოგებით ადამიანების ხოცვა და განადგურება... საოცარია და, მართლაც, ძნელი ასახსნელია. ადამიანის სისასტიკეს, ავაზაკობას, ქურდობას, ყაჩაღობას, ხოცვა-ჟლეტას სჭირდებოდა ეს ბრალი, – ვიღაცის ან რაღაცის, უფრო დიდის და კანონზომიერის წინაშე თავის სამართლებლად?.. საინტერესოა, ამ ბრალის ქვეშინაარსების გაანალიზება. ცხადია, ამ ბრალში დამნაშავის მიერ, ქვეცნობიერად, ხდება ვიღაცის წინაშე თავის მართლების სქემის აგება (და ეს შეიძლება იყოს ღმერთი?..)... მიიღებს თუ არა „ასეთ სიმართლეს“ ღმერთი, თუ ეს ყველაფერი არის რაღაც, კანონზიმიერებითი „დაშვებულობა“ – უფრო დიდი სამსჯავრო?.. თუმცა, ეს ფენომენი იყო და იარსებებს კაცობრიობის არსებობის ყველა პერიოდში, რადგან ადამიანი დასაბამიდან გაჟღენთილია ამ ბრალით...

ისტორია

გოჩა ჭელიძე

გარნისის ომი

საქართველოს ავი ბედისწერა! 1798 წელს თელავში ღრმად მოხუცებული ერეკლე მეფე გარდაიცვალა და ტახტზე გიორგი მეთორმეტე ავიდა. ამ დროისთვის საქართველოს მცველი აღარ ჰყავდა. ერეკლე მეფის „მორიგი ჯარი“ რუსეთის წყალობით ქვეყანას აღარ გააჩნდა. რუსეთმა 1783 წლის გეორგიევის ტრაქტატი უკვე მერამდენედ დაარღვია და იმპერატორმა პავლე პირველმა საქართველოს დასაცავი ზუბოვის რაზმები რუსეთში გაიწვია. სამეფო ხაზინა აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ სრულიად დაცლილი იყო, ახტალის ვერცხლის მადნები დაქცეული.... გიორგი მეფემ დაინახა, რომ რუსეთს მამის მიერ რუსეთთან დადებული ტრაქტატის შესრულება აღარ აინტერესებდა და რუსეთი არც დაპირებულ ორ ბატალიონს, არც საჭურველს და არანაირ თანადგომას არ იჩენდა, გადაწყვიტა აღმოსავლეთისაკენ ებრუნა პირი. ამიტომ მან დესპანები გაგზავნა ოსმალეთს და სპარსეთს, რათა რუსეთის მიერ გადაკიდებულ მეზობლებთან ძველი ურთიერთობა კვლავ აღედგინა. ოსმალეთის მთავრობა სიხარულით შეხვდა გიორგის გადაწყვეტილებას და ახალციხის თემის ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი დანიშნა მეფე გიორგის წინაშე ოსმალური ენის მთარგმნელად და შუამდგომელადაც. 1799 წელს არქიმანდრიტი პავლე ახალციხიდან თბილისში ჩამოვიდა და წარუდგა მეფე გიორგის. მას მოახსენა ოსმალეთის სულთნის წადილი და ყველა პირობა დაწვრილებით. პირობებში ეწერა: 1) სულთნის დავალებით პირადად გადასცეს, რომ ოღონდ საქართველოს რუსეთს ნუ დაუკავშირებთ და ჩვენ გაძლევთ პირობას, რომ დღეის შემდეგ თქვენს ქვეყანას ჩვენ აღარას დავუშავებთ; 2) ოღონდ რუსებს საქართველოში ნუ შემოუშვებთ და ჩვენ დაგიბრუნებთ საქართველოს ყველა იმ წართმეულ ადგილებს, რომელნიც ჩვენს ძველებს თქვენთვის წაურთმევიათ; 3) პირობას დავსდებთ, რომ დღეის შემდეგ თქვენს ქვეყანაში ოსმალოს კაცმა ფეხი აღარ შემოდგას ვინმემ; 4) გარდა ასეთის უვნებლობის, ჩვენ ვიქნებით მომხრე ყოველთვის და მასთან კავკასიის მუსულმანებს ყველას ავუკრძალავთ თქვენზედ ნავარდობას და თავდასხმას. ხალხის ძარცვას; 5) ჩვენ დაგეხმარებით ჯარით და ჯარის შესანახი ფულით; 6) ჯარისათვის დაგეხმარებით იარაღით და ზარბაზნებით. რუსეთისათვის გახდა თუ არა ცნობილი ოსმალეთთან გიორგის მოლაპარაკებების შესახებ, ბედის ანაბარა მიტოვებული საქართველოსადმი „მინავლებული“ ინტერესი კვლავ გამოიჩინა და გიორგისთან სასწრაფოდ გამოგზავნა დავით ბატონიშვილი, რომელმაც ღრმა მორწმუნე გიორგი მეთორმეტეს ერთმაშად გაუცოცხლა იმედები საქრისტიანოს დიდ იმპერიისადმი და ოსმალეთში გაგზავნილი დესპანები უკან დააბრუნებინა. დავით ბატონიშვილმა გიორგი დაარწმუნა, რომ რუსეთი 1783 წლის ტრაქტატს ისევ ცნობდა და რუსეთი ტრაქტატის პირობების განხორციელებას შეუდგებოდა. მართლაც, 1799 წლის 16 აპრილს რუსეთმა საქართველოს „დასაცავად“ ორი ბატალიონი გამოგზავნა. გიორგის გამოუგზავნა აღქმული ინვესტიტურები და საგანგებო ღრამოტა, რომლის ძალით დავით ბატონიშვილი მემკვიდრედ ცხადდებოდა. გარეგნულად ყველაფერი საქართველოს სასარგებლოდ მიდიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. როგორც რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ ლეიტენანტი ნიკოლოზ დუბროვინი აღნიშნავდა, იმპერატორი პავლე პირველი კავკასიის ხაზის მმართველს კნორინგს სიტყვა სიტყვით ავალებდა: „საქართველოს დახმარება დაჰპირდით და

თავი ისე მოაჩვენეთ, თითქოს მართლაც ვეხმარებით, მაგრამ ჩვენი ძალები შეინახეთ, მისთვის არ გასწიროთო“. იმპერიის გეგმა იყო: მათ მიერ დასუსტებული საქართველო კიდევ უფრო დაესუსტებინა; ფორმალურად გიორგისაც დახმარებას ჰპირდებოდა, სინამდვილეში მაჰმადიან მეზობლებს კიდევ უფრო აგულიანებდა. გიორგი მეთორმეტეს მიერ რუსეთისკენ შემოტრიალებამ მაჰმადიანი მეზობლები კიდევ უფრო გააფთრა. შევიწროებულ საქართველოს ბაბა ხანი აოხრებით ემუქრებოდა და მძევლად დავით ბატონიშვილს ითხოვდა. არც ოსმალეთი იდგა განზე. ამ მძიმე დროში რუსეთის ორი ბატალიონი სამეფოს ვეღარაფერს არგებდა და გიორგიმ დამატებითი ჯარები და ზარბაზნების გამოგზავნა ითხოვა. რუსეთმა ზარბაზნების ნაცვლად საქართველოში გეოლოგების საფარქვეშ მზვერავების ჯგუფი გამოაგზავნა მუსინ პუშკინის ხელმძღვანელობით, რომელმაც იმპერატორს საიდუმლოდ აუწყა, რომ: საქართველოს ხელში ჩაგდება მეტად გაადვილებულია, გიორგი მეფე განუკურნებელი სნეულების გამო მალე გარდაიცვლება და საქართველოს მეზობელი ქვეყნების მუქარის ფონზე მზაკვრული გეგმის განხორციელება შესთავაზა. გეგმა, რომელიც რუსებმა წარმატებით განახორციელეს, შემდეგში მდგომარეობდა: იმპერატორი საქართველოს მეფეს ლაზარევის პირით დაემუქრა, რომ ორ ბატალიონს უკან გაიყვანდა და ირან თურქეთის წინაშე მარტო დატოვებდა თუ რუსეთის პირობებს არ დასთანხმდებოდა. სნეულსა და უძლურს, უაღრესად დასუსტებული საქართველოს მეფეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და რუსეთის ნებას დაჰყვა. პეტერბურგს მეტი უფლებების დათმობა აღუთქვა. გიორგი მეფემ რუსების მითითებით შეადგინა „თხოვნითი პუნქტები“ რომლის თანახმად რუსეთის სასარგებლოდ თითქმის ყველა უფლებაზე თქვა უარი. თავი ვასალად გამოაცხადა და მხოლოდ ტახტის დატოვებას ითხოვდა. ამრიგად სუვერენობის დათმობით, მეფე რუსეთის გულის მოგებას და რუსეთიდან რეალური დახმარების მიღებას ცდილობდა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა გიორგის რაც შეიძლება მალე მოეწერა ხელი ამ პუნქტებზე. იმავდროულად რუსეთის იმპერატორმა პავლემ კნორნინგს საიდუმლო ინსტრუქცია გაუგზავნა და უბრძანა: საკმაო ჯარები მიეახლოებინა საქართველოს საზღვრებისაკენ, ავადმყოფი მეფე გიორგის გარდაცვალებისთანავე ეს ჯარები სრულიად უნდა შეეყვანა საქართველოში, აეღო საქართველო და არავითარ შემთხვევაში საქართველოს ტახტზე არც დავითი და არც რომელიმე სხვა ბაგრატიონი არ უნდა აეშვა. ამ სამზადისის პარალელურად რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში საქართველოს სრული შეერთების მანიფესტს 1800 წლის 18 დეკემბრის რიცხვით მოაწერა ხელი იმ იმედით, რომ გიორგი უკვე მიცვალებული უნდა ყოფილიყო და ეს მანიფესტი საიდუმლოდ გაუგზავნა კნორრინგს ინსტრუქციით: მეფის გარდაცვალებისთანავე გამოექვეყნებინა თფილისში. მაგრამ გიორგი ამ „რეცეპტით“ არ გარდაიცვალა და პეტერბურგს გეგმები აებნა. ოდნავ მოგვიანებით 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი აღესრულა. აღესრულა ისე, რომ თხოვნით პუნქტებზე ხელი არც მოუწერია. პავლე პირველმა საქართველოში ორი მანიფესტი გამოაგზავნა. პირველი მანიფესტით ის მიმართავდა ქართველ ხალხს და მასში ეწერა: წყალობითა ღვთისათა ჩვენ პავლე პირველი იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა როსიისა და სხვათა. ადრის დროთაგან საქართელოისა სამეფო შეჭირვებულიყო უცხო თესლთაგან, რომელთაცა მეზობლობით განელიათ ძალი დაუცხრომელითა ბრძოლითა საკუთრითა დამცველობისა თავისა თვისისათა და განმხილველნი განულტოლველობისა შედგომილებაჲ აქვნდათ უბედურად. ამასთანავე შეერთდა უთანხმოება სახლსა შინა სამეფოსა სამუქაროჲ სრულ ყოფად დაცემისა სამეფოჲსა და ამისდა იშვა ურთიერთარს შორის ბრძოლაჲ. მეფემან გიორგი ირაკლის ძემან იხილა მოახლოვება დასასრული დღისა თვისისა. ჩინებულნი გვამნი და თვით ერი საქართველოჲსა მოლტოლვილი იქმნეს საფარველსა ქვეშე ჩვენსა და არა რაჲმე განიხილეს განრინებისათვის თვისისა დაუსრულებელისაგან წარწყმედისა და დამორჩილებისადმი მტერთა თვისთა, ითხოვეს წარმოგზავნილთა მიერ ელჩთა სხვისა ძალისა მქონებელთაგან უსაშვალოდ მონებაჲ იმპერატორისა ყოვლისა რუსეთის ტახტისა. ამისთვის ყურად-ვიღევით თხოვა მათი მოწყალებისა

ჩვენისა ერთმორწმუნეთა ერთა ზედა. და სამარადისოთა ზრუნვითა სარგებელისათვის საქართველოსა ერთასა, განვსაზრეთ ჩვენ აღსრულება სურვილისა მეფისა გიორგისა ირაკლისა ძისა და ერისათვისისა. და ამისთვის ვბრძანეთ რაოდენ დაპყრობისათვის შინაურისა დაწყნარებისა, ეგოდენ გარე მოზღუდვისათვის მისივე გარეგანთაგან დაცემათა და ვუბრძანეთ შეყვანება მხედრობისა ჩვენისა საპყრობელოსა საქართველოსა და ამით გამოუცხადებთ იმპერატორულისა ჩვენისა სიტყვითა ვითარმედ შეერთებისაზე სამეფოსა ქართლოსისა საუკუნოებითითა დროდთა, მპყრობელობასა ქვეშე ჩვენსა. არა თუ ოდენ დატყვევებულ იქმებიან (საყვარელ სიმართლესა შინა დაცვისა ჩვენისასა კანონნი მათნი) საყვარელ სარწმუნოდთა ახალნი ყმანი ჩვენნი სამეფო ქართლოსი და სამფლობელონი მისნი; არამედ წარმატებულება და საკუთრად სჯულიერი თვითოეული შესაბამობა, რომლისაგანცა თვითოეულისა დროსა დანიშნულება შედგომილება ერისა სამფლობელოსაცა აქვს სარგებლობად ყოვლითა მით კანონითა, რომლითაცა რუსეთისა ძველნი ყმანი წყალობითა ჩენითა წინაპართათა და ჩვენითა დატკბებოდნენ თავისუფლებითა და წარმატებულებითა საფარველსა ქვეშე ჩვენსა. სხვებრ ვეგებით რწმუნებულნი, ვითარედ ესე ახალნი ყმანი ჩვენნი და შემდგომნი ძენი მათნი დაცულ იქმნებიან შეურყეველითა დარწმუნებითა ჩვენითა და მოსაყდრეთა ჩვენთაგან და ვიმედოვნებთ, რომელ იქმნებიან მცდელ ერთგულებისა ჩვენისა და სარგებლობისა იმპერიისა ჩვენისა ყოვლისა უმაღლესისა განზრახვითა და მონარქულისა კეთილმნებებელობისა ჩვენისა. გამოცხადდა სანკტ-პეტერბურღსა შინა წელსა 1801 იანვრის 18 დღესა. წელსა მეფობისა ჩვენისა 5 და დიდისა მაგისტრობისა ჩენისა წელსა 3. მეორე მანიფესტი გამოგზავნა ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვლილის სახელზე, რომელშიც წერია: უფალო ღენერალ-ლეიტენანტო, მეფის ძეო დავით! წერილნი თქვენნი ოცდა ოთხით და ოცდა რვით დეკემბრით ჩვენგან მიღებულ იქმნეს. თანა აძს უწყებად უგანათლებულესობასა თქვენსა თხოვა ნეტარხსენებულისა მამისა თქვენისა, დიდებულთა და ერთა საქართველოსათა ჩვენდამი გამოცხადებულისა მიღებისათვის სამეფოსა საქართველოსასა საუკუნოობითსა მონებასა შინა იმპერიისა ჩვენისასა, რომლისა თვისცა გამოცხადებულ იქმნების ნება ჩვენი მდებარითა ამას უკვე წერილსა შინა გამოცხადებულითა მანიფესტითა, რომელნიცა თვის ეტყვიან პატივცემულსა გვამსა თქვენსა, წარმოგზავნილითა აქადგან სრულისა ძალისა მქონებათა საქართველოსა დესპანითა ძალ-ედვათ უწყებად თქვენდა წინადადებულთათვის ჩვენთა, რომელთაცა შინა ჰპოებთ თქვენ საკუთარსა მტკიცედ დამტკიცებასა მზრუნველობისა ჩენისასა თქვენდამი. ვით თქვენთვის, ეგრეთვე საზოგადოდ კეთილობისათვის საქართველოისა განკუთვნითა მოწყალებითა, თქვენდამი კეთილმნებებელობითა. იმისათვის რომ აღნიშნული მანიფესტი საზოგადოებას უმტკივნეულოდ მიეღოთ, კნორინგს დაევალა რომ თავადაზნაურობა დაეწინაურებინათ, ზოგი ხარისხით, ზოგი მედლით, ზოგი ანაზღაურებით. ლაზარევი თავის წერილებში ასევე წერდა, რომ იმდენად გახარებული იყო ქართული საზოგადოება მანიფესტის მიღებით და თავს ისე აღიქვამდნენ რუსებადო, რომ ქართველის დაძახება მათში გულისწყრომას იწვევდაო. მანიფესტის შინაარსი ქართველმა საზოგადოებამ მის გამარჯვებად ჩათვალა და დიდი ზეიმით გამოაცხადეს კიდეც. 1801 წლის 16 თებერვალს აღნიშნული ტექსტი კარლ კნორინგის დავალებით გენერალ-მაიორმა ივანე ლაზარევმა სიონის საკათედრო ტაძარში წაუკითხა საზოგადოებას. მანიფესტის კითხვას ასევე ესწრებოდნენ: გიორგი მეფის ძეები დავით, იოანე, ბაგრატ, მიხეილ და სამეფო სარდლები და მოხელეები. თავდაპირველად ის რუსულ და ქართულ ენებზე იკითხებოდა ხოლო შემდეგ სომხური და თათრულ ენაზეც გავრცელდა თბილისში. მანიფესტის წაკითხვისთანავე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონიმ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. მთელი დღე გაუჩერებლივ ირეკებოდა ეკლესიის ზარები. რა თქმა უნდა რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის საბოლოო მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა. ეს მანიფესტიც მიზნის განხორციელების გზაზე ერთ-ერთ საბოლოო ეტაპს წარმოადგენდა. ნებისმიერ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს გაუქმება გარკვეული

დროით უნდა გადაედო კიდეც, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. პავლე I-ის მანიფესტის სახელით შედგენილ აქტს, რომელსაც საქართველოში ასეთი შემართებით დახვდნენ, პავლე პირველის უეცარი გარდაცვალების გამო აღსრულება არ ეწერა. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ახალი მანიფესტი გამოსცა 1801 წლის 12 სექტემბერს, მაგრამ პირველად გამოქვეყნდა 1802 წლის 12 აპრილს რუსის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ თავად-აზნაურობის თანდასწრებით. დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიოვის გაუქმების მოკლე და ტრაგიკული ისტორია. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველო რუსეთს შორის დადებული ყველა შეთანხმების, თვით გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევით 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა მანიფესტი და აუწყა საქართველოს, ამ უძველესი სამეფოს გაუქმება და თვით ქართველთა „საბედნიეროდ“ მისი საბოლოოდ რუსეთის იმპერიასთან შეერთება. ქართველთა სამკვიდრო რუსეთის გუბერნიად გადაიქცა. იმპერატორის ბრძანებით რუსეთში მიიწვიეს სამეფო ოჯახის ყველა წევრი. იმპერატორის სურვილიი იყო არც ერთი ბაგრატიონი არ დარჩენილიყო საქართველოში. დასასრულს მოვიყვან დიდი ქართველის ივანე ჯავახიშვილის სიტყვას, რომელიც სრულიად ასახავს იმდროინდელი გაუბედურებული საქართველოს უსუსურ მდგომარეობას: „12 ენკენისთვეს 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I-ის მანიფესტი იყო გამოცხადებული, რომელშიაც ფარისევლურად ნათქვამი იყო, ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი. ლამაზ სიტყვებს რასაკვირველია არ შეეძლოთ მაინც გაექარწყლებინათ ის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობო, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენად თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი ქართველ მოწინავე, შეგნებულ წრეებისა და მთავრობისათვის. რაკი რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის გამო აღშფოთებული იქნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა. ხოლო როდესაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა, მაშინაც გენ. კნორინგს იმედი არა ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარ დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებდნენ. ამიტომ გადასწყვიტა ეს საქმე მოტყუებით და მუქარით მოეხერხებინა. მან დაჰპატიჟა გავლენიანი წრეები, თავადაზნაურობა და ქ. ტფილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, მან ბრძანება გასცა, რომ მათთვის საიერიშოდ გამზადებული (“аки штурмомъ”) რუსის ჯარი შემოერტყათ. მაშინდელი ერთი რუსული ცნობის მიხედვით “ლომების ხახასავით განხმული იყო” თურმე ის ზარბაზნების პირი. გენ. კნორინგმა ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულების ფიცი მიეღოთ. ქართველობა გაოცებული და აღშფოთებული იყო ასეთი უმსგავსო საქციელით. მოწინავე წრითგან მრავალმა იმოდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. მაშინვე გენ. კნორინგმა ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ“. იმ დღეს ბევრი ქართველი პატრიოტი დაატუსაღეს, ბევრიც გააციმბირეს. დარჩა მცირერიცხოვანი თავადაზნაურობა, რომელმაც ფიცი დასდო მეფის რუსეთის ერთგულებაზე, მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, არ ყოფილა საქართველოს არც ერთი თაობა, რომელსაც ორჯერ ან სამჯერ მაინც არ მოეხდინოთ აჯანყებები რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ. ჩვენი თაობაც ამ ძალმომრეობას ებრძვის დაუსრულებლად.

პაატა აბრაამ იოსებაშვილი

ეს მე არ მომიგონია.

ვისაც სჯერა რომ პალესტინა ისრაელმა მიითვისა ან ოკუპანტია კარგად მოუსმინეთ!!!

იორდანიის შეიხი

მუსულმანების წმინდა წიგნში.„ყურანში პალესტინა არ არის ნახსენები, არ არსებობს. ალლაჰმა ის ისრაელს უბოძა.

ეს მე არ მომიგონია.

ვისაც სჯერა რომ პალესტინა ისრაელმა მიითვისა ან ოკუპანტია კარგად მოუსმინეთ!!!

იორდანიის შეიხი

„ყურანში პალესტინა არ არის. ალლაჰმა პალესტინა - ისრაელს მისცა“.

იორდანეში მცხოვრებმა მუსლიმმა მკვლევარმა შეიხ აჰმად ადოანმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ყურანში პალესტინის მსგავსი ქვეყანა არ არსებობს, და ალლაჰმა აღთქმული ქვეყანა ებრაელებს განკითხვის დღემდე მიანდო (ყურანის მიხედვით, სურა 5, მუხლი 21), და „დაიმკვიდრებენ (ქვეყანას) ისრაელის ძეები“ (ყურანი, სურა 26, მუხლი 59).

„ამას ვეუბნები იმას, ვინც ალლაჰის დიდ წიგნს- ყურანს ამახინჯებს! საიდან მოიტანეთ ეს სახელი - პალესტინა? თქვენ მატყუარები და დაწყევლილები ხართ. ალლაჰმა უკვე გამოიყენა ტერმინი „აღთქმული ქვეყანა“ და ისრაელის შვილებს უანდერძა განკითხვის დღის დადგომამდე. ყურანში არ არსებობს პალესტინის მსგავსი ქვეყანა. თქვენი სიტყვები, რომ ეს მიწა თქვენ გეკუთვნით, სხვა არაფერია თუ არა ტყუილი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ყურანისთვის, ისრაელის ხალხისა და ქვეყნისთვის. ამიტომ, თქვენი მცდელობები წარმატებით ვერ დაგვირგვინდება, რადგან ალლაჰი იმედებს გაგიცრუებთ და დაგამცირებთ, რადგან ის დაიცავს ებრაელებს“.

„ებრაელებისთვის დიდი პატივია, რომ ალლაჰმა ისინი მსოფლიოს ყველა ხალხისგან გამოარჩია“. შეიხმა დასძინა: „პალესტინელები- ბავშვების, მოხუცებისა და ქალების მკვლელები არიან. ისინი თავს ესხმიან ებრაელებს და შემდეგ ბავშვების, მოხუცებისა და ქალების ზურგს უკან იმალებიან, სულაც არ ეცოდებათ ისინი, თითქოს მათი შვილები არ არიან“.

ისინი ამას აკეთებენ იმისთვის, რომ აჩვენონ მთელს მსოფლიოს, თუ როგორ სურთ ებრაელებს მათი მოკვლა. ეს საკუთარი თვალით მაქვს ნანახი 1970-იან წლებში. როდე-

საც ისინი თავს დაესხნენ იორდანიის არმიას , მათ თავიანთი შვილები გაგზავნეს წინ, რათა მთელ მსოფლიოს ეფიქრა, რომ იორდანელები ბავშვებს კლავდნენ. მათ ასეთი საქციელი სისხლში აქვთ, ეს არის მათი ბოროტი საქმე. მათი გულები ქვასავითაა, ისინი ცდილობენ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, რათა მხარდაჭერა მიიღონ".

შეგახსენებთ, რომ ადრე იორდანიის შეიხი ეწვია ისრაელს და შეხვდა ებრაელ ბრძენებს. ადონმა დაამატა: „ებრაელები ძალიან მშვიდი ხალხია, რომელთაც უყვართ მშვიდობა, მათში წვეთი აგრესია და მტრობაც კი არ არის, მაგრამ თუ მათ თავს ესხმიან, ვალდებულნი არიან თავი დაიცვან, ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენონ მოწინააღმდეგე მხარეს".

„ებრაელებისთვის დიდი პატივია, რომ ალლაჰმა ისინი მსოფლიოს ყველა ხალხისგან გამოარჩია. როდესაც ალლაჰმა აირჩია ებრაელები, მას ეს უბრალოდ ზრდილობის გამო არ გაუკეთებია, უბრალოდ იმიტომ, რომ ებრაელები არიან, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ამას იმსახურებენ.

„ებრაელებისთვის დიდი პატივია, რომ ალლაჰმა ისინი მსოფლიოს ყველა ხალხისგან გამოარჩია". შეიხმა დასძინა: „პალესტინელები- ბავშვების, მოხუცებისა და ქალების მკვლელები არიან. ისინი თავს ესხმიან ებრაელებს და შემდეგ ბავშვების, მოხუცებისა და ქალების ზურგს უკან იმალებიან, სულაც არ ეცოდებათ ისინი, თითქოს მათი შვილები არ არიან".

ისინი ამას აკეთებენ იმისთვის, რომ აჩვენონ მთელს მსოფლიოს, თუ როგორ სურთ ებრაელებს მათი მოკვლა. ეს საკუთარი თვალის მაქვს ნანახი 1970-იან წლებში. როდესაც ისინი თავს დაესხნენ იორდანიას ბავშვები დახოცეს ისრაელს დააბრალეს, თითქოს თავათი შვილები არ იყვნენ. ეს მე არ მომიგონია.

ვისაც სჯერა რომ პალესტინა ისრაელმა მიითვისა ან ოკუპანტია

სიმართლეს მოუსმინეთ!!!

იორდანიის შეიხი

ფიზკულტურა და სპორტი

როგორ დავვამარცხოთ ნაადრევი სიბერე



რამდენიმე სიტყვა ავტორზე

ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა 1939 წლის 23 ივლისს ქ. თბილისში, იურისტების, დავით (ალექსანდრე) ლეჟავასა და ეკატერინე კალანდაძის ოჯახში. 1942 წელს გარდაეცვალა მამა და ბავშვობა ომის მძიმე პირობებში გაატარა.

სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ დედა გარდაეცვალა.

სკოლა დაამთავრა ვერცხლის მედალზე და ჩაირიცხა მოსკოვის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში.

1962 წელს დაბრუნდა თბილისში. სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე.

1964 წელს დაქორწინდა ლიანა ალიბეგაშვილზე, რომელიც გარდაიცვალა 1990 წელს. ყავს ერთი ქალიშვილი (მეორე ქალიშვილი 2009 წელს გარდაეცვალა), ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

1964 წლიდან მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. 1968 წლიდან მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. კურირებდა საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობში კომპიუტერიზაციის და პროგრამირების განვითარებისა და მათი დანერგვის უზრუნველყოფას. სისტემატიურად კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო ნაშრომი. 1987 წელს მიანიჭეს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ბავშვობიდან ფიზიკურად სუსტი იყო, რამაც აიძულა ადრეულ ასაკშივე დაწაფებოდა სპორტს. უყვარდა ხალხური თამაშებიც, სპორტის კლასიკურ სახეობებშიც გამოუცდია თავი და მწვრთნელები დიდ პერსპექტივებს უსახავდნენ.

მიუხედავად სამსახურებრივ საქმიანობაში დიდი დატვირთვებისა, აგრძელებდა ვარჯიშს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ბოლოს გაიტაცა კულტურიზმმა და მოგზაურობამ (ფეხით, მოტოციკლეტით, მანქანით, ველოსიპედით).

46 წლის ასაკში დაავადდა შინაგანი ორგანოების განგრენით და 1986-87 წლებში გადაიტანა ორი უმძიმესი ოპერაცია, რომლის დროსაც ამოკვეთეს 4 მეტრზე მეტი სიგრძის წვრილი ნაწლავი. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ არნახული რწმენით, ნებისყოფით, სიმტკიცით და შეუპოვრობით უამრავი წინააღმდეგობა გადალახა და ისეთ ფიზიკურ ფორმას მიაღწია. რომ წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშებში 1990-92 წლებში, დროითი ნორმატივების მიხედვით, გინესის მრავალი რეკორდი დაამყარა, კერძოდ:

135 აზიდვა — ერთ წუთში (არაოფიციალური)
5 011 აზიდვა — ერთ საათში;
16 274 აზიდვა — ხუთ საათში;
19 378 აზიდვა — ექვს საათში;
34 955 აზიდვა — თორმეტი საათში;
44 141 აზიდვა — ოცდაოთხ საათში;

2 806 მუცლის პრესის ვარჯიში 1 საათში (უწყვეტ რეჟიმში);
100-დღიანი წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების მარათონული რეკორდი – 1 730 000 აზიდვა და ერთი წლის განმავლობაში 4 800 000 აზიდვა.

1993-2002 წლებში ველოსიპედით მარტოდმარტომ შემოიარა მსოფლიოს ყველა კონტინენტი, 238 ქვეყანა, მათ შორის გრენლანდია და ანტარქტიდა.

მოგზაურობის დროს ექსტრემალური სიტუაციების სიმრავლის გაზრდის მიზნით ჩრდილოეთ ქვეყნებს გადიოდა ზამთარში, ხოლო სამხრეთის ქვეყნებს – ზაფხულში, სამგზის ოფიციალურად სტუმრობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს (ატლანტის – 1996, ათენის – 2004, პეკინის – 2008).

მოგზაურობიდან ჩამოტანილი აქვს უნიკალური ინფორმაციული მასალა, დასამუშავებელია ასეულობით საათი ვიდეო ფირი. 60 000-მდე ფოტო სურათი. გამოსაცემად მზადაა 4000-მდე დღის დღიური (10.000-მდე თაბახი) და მოგზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებების მრავალტომეულიდან 8 ტომი.

მიუხედავად მისი ასაკისა იგი აგრძელებს მოგზაურებობებს. 2006 წელს მას ჰქონდა გეგმაში უკრაინელ ცნობილ მოგზაურთან ერთად, მათ მიერ შექმნილი სპეციალური ველომობილით, რომელსაც პინგვინი დაარქვეს და დევიზად დაისახეს „იბრძოლე და ეძებე, იპოვე და არ დანებდე“ დაელაშქრათ სამხრეთი პოლუსი, სიცივის პოლუსი და მაგნიტური პოლუსი. ამ პროექტმა გაიმარჯვა „ექსპო 2006“-ზე და მისმა მონაწილეებმა დაიმსახურეს მსოფლიო გამოფენის ოქროს დიპლომები. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო ამ პროექტის შესრულება ვერ მოხერხდა და მისი განხორციელებისათვის დაინიშნა ვადა 2013 წელი. 2010 წელს ისევ დაუფინანსებულობის გამო ჩაიშალა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პოლარული წრის გავლას. ამ პროექტის ჩაშლის გამო წელს გადაწყვეტილი აქვს დარჩენილი გასავლელი ექვსი ქვეყნიდან წავიდეს ორ ქვეყანაში სამოგზაუროდ. ესენია: საუდის არაბეთის სამეფო და ლივიის დიდი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამახირია. აქვს სხვა მეტად საინტერესო პროექტებიც, რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2020 წლამდე.

ჯუმბერ ლეჟავა არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელი, სხვა მრავალი ჯილდოც მიუღია. მაგალითად, UNESCO-მ გადასცა მსოფლიო სპორტსმენისა და მოქალაქის დიპლომი„ არის „საქართველოს 2002 წლის“ და „მსოფლიოს 2009 წლის“ ადამიანი, ამერიკის ბიოგ-

რაფიის ინსტიტუტის მიერ შეყვანილია მსოფლიოს 5000 ლიდერთა სიაში, კემბრიჯის უნივერსიტეტმა კი დაასახელა მსოფლიოს 400 წარჩინებულში. არის სრულიად უკრაინის გეოგრაფიული საზოგადოების და სრულიად უკრაინის ტურიზმის საზოგადოების წევრი, ევროპის ბიოგრაფიის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საპატიო მოქალაქე, მათ შორის 2009 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ, არის სპორტის დამსახურებული მუშაკი, მიღებული აქვს საქართველოს ოლიმპიური მედალი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ოქროს მედლით და მრავალი სხვა.

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე

(რეცენზია)

2009 წლის ივლისში, მე შევთავაზე ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ჩაეტარებინა სამედიცინო ფუნქციონალური გამოკვლევა, სამედიცინო და ფიზიკური მაჩვენებლების შეფასებისათვის.

ჯანმრთელობა შეფასდა როგორც კარგი, ხოლო ფიზიკური მაჩვენებლები შეესაბამება 40-45 წლის ჯანმრთელი მამაკაცის მდგომარეობას.

უდავოა, ეს მაჩვენებლები მიღწეულია „ჯანმრთელი ცხოვრების წესით – „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების“ სისტემატიური ვარჯიშის შედეგად.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვა – ეს არის იგივე სიმძიმეების აწევა „მწოლიარე“ გულაღმა მდგომარეობიდან, რომელშიც მონაწილეობს სხეულის მრავალი კუნთი, მაგრამ განსაკუთრებლად გამოვყოფ გულმკერდისა და ტრიცეფსების კუნთებს, ზუსტად ისე, როგორც დაწოლილი მდგომარეობიდან სიმძიმეების აწევის დროს, ირიბად კი ვარჯიშობს დელტის კუნთი, წინა მხარის, მტევნების წვრილი კუნთები, პრესი და კვადროცეპსები. ეს არის სუფთა ზედაპირული ანატომიური შეხედულებით.

სპორტული ფიზიოლოგის, სპორტული მედიცინის პროფესორის, აშშ ჩემპიონის „ბოდბილდინგში“ არაპროფესიონალთა შორის ბობი დელფის კვალიფიციური შეფასებით, „სინამდვილეში, წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის დროს, ვარჯიშში პრაქტიკულად მონაწილეობს სხეულის მთელი მუსკულატურა, ვარჯიშის დროს დინამიურ დატვირთვას იღებს სხეულის კუნთების ნაწილი, ხოლო დანარჩენი, მთელი ვარჯიშის პერიოდში არის სტატიკურად დაძაბული, სხეულის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაჭერის გამო. წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს აქვს უდიდესი მეტაბოლური ეფექტი“.

მკერდის დიდი კუნთები არ ჰგავს არცერთ სხვა კუნთს, ყველა ბოჭკოსებური კუნთი ერთი მიმართულებისაა, ხოლო მკერდის კუნთები ლავიწის ძვლისაგან იშლებიან მარაოსებურად. ასე რომ ნებისმიერი ვარჯიში ძალუნებურად ტვირთავს მხოლოდ უჯრედების ნაწილს – მხოლოდ იმას, რომელიც ემთხვევა დატვირთვის ვექტორს.

შტანგითა და განტელებით ვარჯიშის დროს, არ არის მანევრირების საშუალება, ხოლო წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებისას ყველაფერი სხვანაირადაა, რადგანაც საკმარისია ხელები იატაკზე დადოთ, ან მხრებზე ოდნავ ვიწროდ, ან ოდნავ განივრად, ან კიდევ ოდნავ წინ, ან ოდნავ უკან და თქვენ აღწევთ გულმკერდის არის ყველა „მიძინებული“ კუნთის გაღვიძებას.

46 წლის ასაკში ჯუმბერ ლეჟავამ საოპერაციო მაგიდაზე ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. სახლში დაბრუნებულმა მტკიცედ გადაწყვიტა არა მარტო ჯანმრთელობისათვის მიეღწია, არამედ დაბრუნებულიყო სპორტში.

„მე, დიდხანს ვფიქრობდი თუ რაზედ უნდა შემეჩერებინა ჩემი არჩევანი“. ამბობს იგი! „სირბილი არ შეიძლება, ხტომა არ შეიძლება, სიმძიმეების აწევაც არ შეიძლება, ნებისმიერი უეცარი მოძრაობებიც იძლევა უკუჩვენებებს, მაშინ შვილის კარნახით წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის გადაწყვეტილება მივიღე! რაც არის ფიზიკური ვარჯიშის ყველაზე მარტივი და სასარგებლო სახეობა; ფილტვები სწრაფად მდიდრდებოდა ჟანგბადით, შესაბამისად უმჯობესდებოდა სისხლის მიმოქცევაც და შემდეგ, მტევნის თითების ბალიშებში ხომ არის ადამიანის ნერვული სისტემის ყველა დაბოლოება და წოლბჯენიდან აზიდვების დროს ხდება ამ დაბოლოებების ხელოვნური მასაჟი, რომელიც სტიმულს აძლევდა მუცლის ღრუს შინაგანი ორგანოების მუშაობას. მე, არ ვაჩქარებდი მოვლენებს, დატვირთვებს ვზრდიდი თანდათანობით, ნახევარი წლის შემდეგ ტკივილებიც შემიწყდა, სისხლის შემადგენლობა ნორმალური გახდა, რამაც გულის ნორმალური მუშაობის რიტმის აღდგენა გამოიწვია, შემდეგ ნახევარ წელიწადში ფეხზე დავდექი“.

„წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებს და მუცლის პრესის ვარჯიშებს მოგზაურობის დროს პროპაგანდას ვუწევდი მთელ მსოფლიოს“ – განაცხადა ჯუმბერ ლეჟავამ.

ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ – არის პირველ ყოვლისა ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მოწოდება, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ადამიანმა თავის თავზე აიღოს.

ავტორმა დაამუშავა „ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების გამოყენებით“ მეთოდიკა და მოუწოდებს ყველას, იგი გადააქციოს ცხოვრების წესად. მეთოდიკა გასაგები და პოპულარული ენითაა დაწერილი, ფოტო მასალა გვიჩვენებს ამ ვარჯიშის ეტაპობრივ შესრულებას, რაც მეთოდიკას ხდის დამოუკიდებლად შესწავლისათვის ყველასათვის მისაწვდომს.

ვარჯიში არ ითხოვს სპეციალურ ინვენტარს და რეკომენდირებულია მამაკაცების, ქალების, ბავშვებისათვის და ასევე იმათთვის, ვისაც აქვს სხეულის ზედმეტი წონა.

ვარჯიში „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები“ გამოყენებული უნდა იქნას პრაქტიკულად ნებისმიერი დაავადებების რეაბილიტაციის პროცესებში. სპორტსმენებს შეუძლიათ ეს ვარჯიში აქტიურად ჩართონ ორგანიზმის საერთო გაჯანსაღების, ძალისა და გამძლეობის გამომუშავებისათვის, სპორტული ტრამვების შემთხვევაში ეს ვარჯიში სპორტსმენს საშუალებას მისცემს რეაბილიტაციის პროგრამის ადრეულ პერიოდში დაიწყოს საწვრთნელი ვარჯიშები.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჯუმბერ ლეჟავას ვარჯიშების მეთოდიკა სასწრაფოდ დაინერგოს არა მარტო სპორტის ყველა სახეობის საწვრთნელ მოღვაწეობაში, არამედ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლებსა და მოსახლეობის ფართო ფენებში.

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა
კონფედერაციიის ექიმ-რეაბოლიტოლოგი
ალექსანდრე მჭედლიშვილი

მეტად საჭირო ფორმულა აღმოჩენილია

(რეცენზია)

საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი გეოფიზიკური მდებარეობით, მისი მთა-ბარით, მდინარეებით, ტბებით და შავი ზღვის სანაპიროთი, იგი მსოფლიოში ცნობილია არა მხოლოდ მისი სილამაზით, არამედ ისტორიული შინაარსით, კულტურით, ხელოვნებით, მეცნიერებით, სპორტული მიღწევებით და სხვა.

საქართველოში მრავალი, მსოფლიოში ცნობილი ადამიანი ცხოვრობს და იღწვის მისი მომავლის კეთილდღეობისათვის, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს მის საზღვრებს გარეთ, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც არა მარტო მოგზაურობითაა ცნობილი, არამედ უფრო მეტიც – ის იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, სიბერის დამარცხებისათვის.

ჯუმბერ ლეჟავას მიერ აღმოჩენილია მეტად საჭირო ფორმულა – მომზადებულია სახელმძღვანელო ადამიანის ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნების მიზნით.

მეთოდური სახელმძღვანელო

„როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე“
ჯუმბერ ლეჟავას
„ჯანმრთელობის ფორმულა“
„მეთოდიკა“

რეკომენდირებულია როგორც ახალგაზრდობის, ასევე უფროსი ასაკის და ხანდაზმული ადამიანებისათვის.

ავტორის მეთოდურ სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად თვალსაჩინო ილუსტრაციებით, სურათებით მოცემული აქვს ვარჯიშების შესრულების ილეთები.

მეთოდური სახელმძღვანელო დაწერილია პროფესიონალურად გამართულ, ყველასათვის მისაწვდომ ქართული სპორტული ტერმინოლოგიით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ფართო მასების მიზიდვას, რათა იცხოვრონ ცხოვრების ჯანმრთელი წესით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის ცენტრის
„სპორტის აკადემიის“, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში

მამია ტულუში
28.04.2010.

ჯუმბერ ლეჭავას მიერ შემუშავებული ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლგჯენიდან მკლავებზე აზიდვების მეთოდიკა

ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, **მაგრამ ბევრს კიდეც ჰგონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან" – სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ლოთობასთან, სიზარმაცესთან განშორება.**

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერობიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირბინო ძუნძულით (ჯოგინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სავარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკრძალვაზე, ლოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაადგილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ-ერთი სახის – ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ვფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის ფიტნესის, ჯოგინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რა თქმა უნდა, ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, აღჭურვილობით უხრეხულობებს და ა. შ.

გარდა ზოგადად ჩამოთვლილ პრობლემებისა, ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები, – კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწელილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოჩვენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს „ჯანმრთელი ცხოვრების წესის" მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შეძენის ხარჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართთანაცაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩამოთვლილ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებს, მაგალითად ჯოგინგს (ძუნძულს), ესეც ყოველთვის არ მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს, რადგან ბევრს ძუნძულით ვარჯიშისას არა აქვს ბუნებრივი გარემო პირობები, ვგულისხმობთ ელემენტალურ სუფთა ჰაერს, რომელიც ნაკლებადაა ახორხლილ კორპუსთა გარემოცვაში. სპეციალურ სუფთა ჰაერიან გარე-

მოში მოხვედრისათვის კი საჭიროა თავისუფალი დრო და სპეციალური ტრანსპორტი. ზემო ხსენებული და სხვა პრობლემები ახლავს აერობიკით ხალხის მასობრივ დასაქმებასაც, კერძოდ, სპეციალური სავარჯიშო ადგილის უქონლობა, მუსიკალური ცენტრების სიმცირე და ა. შ.

ჩემი მიზანი იყო, მომეხსნა ცხოვრებისეული ფაქტორებით წარმოქმნილი ყველა ზემოთ ნახსენები პრობლემები და მომეძებნა ისეთი ვარჯიში, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა ყველა მსურველი სქემისა და ასაკის მიუხედავად.

გააზრებული მეცადინეობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, მივაგენი ფიზიკური გაჯანსაღების უნივერსალურ საშუალებას, რაშიც მეთოდიკის წაკითხვისას დარწმუნდებით.

***

ჯანმრთელი ცხოვრების წესი გიცავთ თქვენ ექიმებთან ხშირი ვიზიტისაგან და გიგრძელებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. რატომღაც ამაზე ბევრი გვიან იწყებს ფიქრს. ჩემი რჩევაა ჯანმრთელობის დაცვა მუდამ გახსოვდეთ. ჯანმრთელობა და ადამიანის სულიერი და ფიზიკური სილამაზე გარკვეულწილად ურთიერთკავშირშია. ცხოვრების ამგვარი წესის შემადგენელი ნაწილებია: **სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიშები, დროული ძილი, სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი.**

ფიზიკურ ვარჯიშად შევარჩიე წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები რაც თქვენ დაგიცავთ ზედმეტი წონისაგან, გაგიმაგრებთ კუნთებს, გექნებათ მოხდენილი სხეული და შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებითა და ხშირ შემთხვევაში განკურნებით, გახდებით ჯანმრთელი.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდიკა – უდაოა დაეხმარება ნებისმიერი სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის მქონე ადამიანს ჯანმრთელობის განმტკიცებაში და სხეულის სრულყოფაში.

მკლავებზე აზიდვებში, პირადად, დამყარებული მაქვს მსოფლიო და გინესის 14 რეკორდი. ველოსიპედით მარტოდმარტომ ვიმოგზაურე მსოფლიოს 238 ქვეყანაში, ყველგან მქონდა საჩვენებელი გამოსვლები არამარტო მასობრივი თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, პორტები, აეროპორტები, სტადიონები და ა. შ.), არამედ, სხვადასხვა დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, სპორტულ ორგანიზაციებში და სხვა. ყველგან დიდი გამოხმაურება მქონდა. ამის შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და გადასცემდა თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური ტელევიზია.

ქალისა და მამაკაცის დატვირთვები განსხვავებულია, ორივე სქესი მიილტვის ჯანმრთელობისკენ, სხეულისა და მასის სრულყოფისაკენ. ჭარბწონიანმა დღეში ერთხელ მაინც უნდა **ივარჯიშოს გადაღლამდე.** ნორმალურმა მასისამ და გამხდარმა კი, დღეში ერთხელ მაინც, **დაღლამდე**. (ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს **„გადაღლამდე, დაღლამდე – ნიშნავს ორგანიზმის კარგად გახურებას)**. თითოეულმა მოვარჯიშემ ყოველდღიურად ყურადღება უნდა მიაქციოს გულის ნორმალურ მუშაობას, პულსის რაოდენობას და დააკვირდეს არტერიული და თავის ქალის შიდა წნევებს. ბავშვების ვარჯიში უნდა აკონტორლოს მშობელმა. მამრობითი და მდედრობითი სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის აზიდვების რაოდენობები ინდივიდუალურია.

ვარჯიშის დაწყების წინ უნდა ვხედავდეთ მიზანს. ეს არის **წონის დარეგულირება, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, სხეულის სრულყოფა,** ადამიანის შინაგანი ორგანოებისა და მეფური დაავადებების განკურნვა. უწყვეტი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მივიღებთ სამივე (ჯანმრთელობის შეძენა, სხეულის სრულყოფა, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების განკურნვა) შედეგს. ვინაიდან ადამიანს ბევრი ფაქტორი უშლის ხელს სისტემური ვარჯიებისათვის, მაინც გამოვყოფ მათში ერთს. **ეს არის სიზარმაცე.** ამიტომ თავდაპირველად ადამიანების ასეთმა ჯგუფმა სიზარმაცის დასაძლევად უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა. ნებისყოფის გამომუშავებას სჭირდება ისეთივე ვარ-

ჯიში, როგორც აზიდვების ვარჯიშს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გონიერება და ნებისყოფა არის მიზნის მიღწევის საფუძველი. გონიერებაში ვგულისხმობ მიღწეულის სწორ ანალიზს, რათა დატვირთვები ვცვალოთ ანალიზის შესაბამისად.

სამივე ჯგუფის ვარჯიშის შესრულებისათვის, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა აქვს **ნებისყოფის გამომუშავებას.** თუ ჩვენ ვისწავლით სურვილის მიღწევისათვის მოქმედების მართვას, ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს. ეს ნიშნავს წინააღმდეგობისაგან თავის დაღწევას, როცა კი არ უნდა წარმოიქმნას ის. ჩვენს შემთხვევაში ნებისყოფის გამომუშავებისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს სისტემურად მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის შესრულება. ასეთი წინააღმდეგობა თავიდან უნდა დავძლიოთ დღეში n-რაოდენობაჯერ – ყოველდღე, ყოველ კვირა და შეიძლება ყოველ თვეც. ასეთი შრომით თქვენ დაიწყებთ ვარჯიშების სურვილით და არა იძულებით შესრულებას, რაც ნიშნავს, რომ **თქვენ იძულებითი შრომით გამოიმუშაოთ ნებისყოფა, სურვილით ვარჯიშების შესრულებისათვის**, რაც ვარჯიშს ბევრად ეფექტურს ხდის ჯანმრთელობისათვის და საერთოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამის შემდეგ თქვენი ლექსიკონიდან საერთოდ შეგიძლიათ ამოიღოთ „მე ამის გაკეთება არ შემიძლია“, რაც არის საფუძველთა საფუძველი ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევისათვის. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის ეფექტურობისათვის სამივე ჯგუფის სურვილისათვის **უნდა დავიცვათ რაოდენობრივი მცირედი მატების პრინციპი, ეს ნიშნავს, – დღეს ნუ აიზიდებით შესაძლებლობის მაქსიმუმით. დღეს აიზიდე საშუალო რაოდენობით და ყოველდღე აზიდვების რაოდენობას უმატეთ თითო-თითო აზიდვა. ასეთი პრინციპით მიდგომა მოგცემთ სასურველ ჯანმრთელობას და მიზნის სრულად მიღწევის საშუალებას. ე. ი. მასას, ფორმას და ჯანმრთელობას. გირჩევთ, ყოველთვის მკლავებზე აიზიდოთ იმდენჯერ, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თქვენ თქვათ: „ვგრძნობ თავს ძალიან კარგად, შემიძლია მეტჯერაც ავიზიდო, მზად ვარ უფრო რთული რეჟიმით აზიდვებისთვის“.** მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სერიაში ერთჯერადი აზიდვების რიცხვი.


სურ. 3


სურ. 4


სურ.1


სურ. 2


სურ. 5

ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სხეულის სრულყოფისა, უნდა მივაღწიოთ ჯანმრთელობასაც, ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველთვის სურვილით და სწორად. კონტროლის გამძაფრება გამოწვეულია იმითაც, რომ გული მუშაობს დატვირთვის არაბუნებრივ რეჟიმში. ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეული დროით, რის გამოც იგი განსაკუთრებულად იტვირთება. ამიტომ ყოველთვის უნდა

ვიფიქროთ და ვაკონტროლოთ, რომ არ გადავღალოთ იგი. გადაღლის შემთხვევაში შეიძლება ეს ვარჯიში გახდეს დაავადების მიზეზი, ამას კი იწვევს ვარჯიშის იძულებითი შესრულება, თუკი არ იჩქარებთ და არ მოინდომებთ მოკლე დროში რაოდენობრივად ბევრი აზიდვის შესრულებას და აზიდვებს შეასრულებთ მხოლოდ სიამოვნებამდე, მაშინ მიიღებთ სასურველ შედეგს.

სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ ყურადღება უნდა მიაქციოთ სავარჯიშო ადგილს და გარემოს. ვარჯიშის დროს ადგილი უნდა იყოს მკვრივგრუნტიანი, ხოლო ჭარბი რაოდენობის სუფთაჰაერიან ოთახში რომ ვივარჯიშოთ, აუცილებელია გავაღოთ ფანჯარა ან კარები, ან სულაც, უნდა ვივარჯიშოთ ჰაერზე. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვივარჯიშოთ ხალიჩით დაფარულ იატაკზე, რადგანაც იგი ყოველთვის შეიცავს მტვერს და მიმართული ღრმა ჩასუნთქვის დროს მტვერი ადვილად ხვდება ჩვენს ფილტვებში, რაც შეეხება მკვრივ გრუნტიან სვარჯიშო ადგილს, სასურველია იგი ვარჯიშის წინ მოვწმინდოთ სველი ტილოთი, კარგია თუკი სასუნთქ ზედაპირზე დავაგებთ პატარა ტილოს ან დავდებთ პატარა ფიცარს.

ვარჯიშისათვის მზადებას ვიწყებთ გაღვიძებისთანავე. ვიღვიძებთ ერთი და იგივე დროს. ეს უნდა დაარეგულიროთ დილის საქმიანობის დაწყების დროის მიხედვით. **გაღვიძების შემდეგ ვისვენებთ 5 წუთს და გავიაზრებთ დღის სამუშაო გეგმას.**

შემდეგ ვდგებით, ვიბანთ ხელპირს, რითაც ვეგუებით ფეხზე დგომის მდგომარეობას. ამ პროცესსაც უნდა დაუთმოთ ხუთი წუთი, რის შემდეგაც ვიწყებთ მოთელვის ვარჯიშებს. **ვდგებით გამართული, ფეხებს ვდგამთ ოდნავ განზე და ვასრულებთ მაჯების (სურ. 1. 2.) იდაყვების ზემოთ და ქვემოთ (სურ. 3. 4.) და მხრების (სურ. 5.) ბრუნვით მოძრაობებს ორივე მხარეს 10-10-ჯერ.**

გვახსოვდეს, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვისუნთქოთ პირით, მაჯების, იდაყვებისა და მხრების მოძრაობის ტემპის მიხედვით.



ადგილზე სიარულში ვისვენებთ 2 წუთს. დასვენების შემდეგ ვასრულებთ კისრის ვარჯიშებს, თავის მაქსიმალურად მიტრიალებით მარჯვნივ (სურ. 6.)

და მარცხნივ (სურ. 7.) ვარჯიშს ვასრულებთ თითოეულ მხარეს 10-ჯერ ნელი მიტრიალებით, აღვნიშნავ – თავი უნდა მიატრიალოთ და არა დაატრიალოთ.





ასევე თავის მაქსიმალურად წინ ნელი დახრით (სურ. 8.)

და უკან მაქსიმალურად ნელი გადაწევით (სურ. 9.) ვარჯიშს ვასრულებთ 10-10-ჯერ.

ამ ვარჯიშებს ვასრულებთ ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით ე. ი. ნელი ჩასუნთქვისას შევწევთ მუცელს ხერხემლისკენ. შემდეგ სწრაფად ამოვისუნთქავთ და მუცელი სწრაფად უბრუნდება საწყის მდგომარეობას.



ეს ვარჯიშები ამავე დროს მუცლის ღრუს შესანიშნავი მასაჟია, მათ შორის გულის კუნთისაც. იგი სასარგებლოა იმ პირთათვის, ვისაც აწუხებს ხერხემალი, გული, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი და სხვ. აქამდე ჩატარებული ვარჯიშები არა მარტო სახსრებს ამზადებს ვარჯიშისათვის, არამედ მიმდებარე კუნთებსაც. ამ ვარჯიშების უპირატესობა არის ის რომ, რომგორც მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, მასაც არ სჭირდება სპეციალური მოედნები, დარბაზები, ჩასაცმელი ფორმები და სხვა. ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშისათვის ვართ მზად.





დამატებით, სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეგვიძლია კოჭების, მუხლებისა და ბარძაყების სახსრების სავარჯიშოდ შევასრულოთ ფეხების გარეთ და შიგნით მოხრილ მდგომარეობაში ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 10).

ასევე, ორივე მხარეს ერთი მიმართულებით მუხლების ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 11).

ერთ წუთიანი შესვენების შემდეგ ვიწყებთ ფეხების ვარჯიშს რაც ამავე დროს ამზადებს მუცელს, მუცლის პრესის ვარჯიშისათვის. ზურგზე დაწოლილი მდგომარეობიდან 30°კუთხით მოხრილ ფეხებს (სურ. 12) ვშლით რიგრიგობით (სურ. 13, 14). ფეხის გაშლის რაოდენობას ზრდით თქვენი შესაძლებლობის მიხედვით.
მაქსიმუმი 20-ჯერ ერთ სერიაში, ერთ წუთიანი დასვენების შემდეგ გავიმეორებთ ამ ვარჯიშს 5-ჯერ.





ისევ ვისვენებთ ერთ წუთს და ვიწყებთ მუცლის პრესის ვარჯიშს არასრული წამოწევით (სურ. 15) ამ ვარჯიშს ვასრულებთ.

ყოველივე ამის შემდეგ ვიწყებთ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, სავარჯიშო პოზა არის: ხელის გულებს ვდებთ იატაკზე მხრების სიგანეზე, ფეხებს ვშლით ბოლომდე, მუხლებისა და ქუსლების შეერთებით ვდგებით ფეხის თითის წვერებზე. ვარჯიშს ვიწყებთ აზიდული მდგომარეობიდან (სურ. 16) ასეთი მდგომარეობიდან დავწევთ ტანს იატაკის ზედაპირამდე (სურ. 17) და ხელების ტანის გასწვრივ მოძრაობით ავიზიდებით მკლავების ბოლომდე გავშლით (სურ. 18) და ა. შ. 10-10-ჯერ დასვენებებით 5-ჯერ, ე. ი. სულ 50-ჯერ.







გარდა ტანის სწორად დაჭერის, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის, **ვარჯიშის დროს აუცილებელია სწორი სუნთქვა**. ვარჯიშის პროცესში ეს რთულად დასაუფლებელია, რადგანაც ურთულესი რეჟიმია. სუნთქვის რეჟიმის შერჩევას და შეჩვევას სჭირდება სპეციალური ვარჯიში, რადგანაც აუცილებელია მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსება. ამიტომ თავიდან ნუ ვიჩქარებთ ბევრი აზიდვის გაკეთებას სუნთქვის სისტემატური დარღვევით. ჯობია გავაკეთოთ ორი-სამი აზიდვა სწორი სუნთქვით. **საერთოდ რეკომენდებულია დატვირთვის მდგორეობაში ჩასუნთქვა და შედარებით მცირე დატვირთვის დროს ამოსუნთქვა,** თუმცა ჩემი რეჟიმით იგი შეცვლილია, რამაც ჩემს არც ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ იმოქმედა. ე. ი. მთავარია შეგუების პროცესში ისუნთქოთ ღრმად. სუნთქავთ პირით, რადგანაც დატვირთვების დროს საჭიროა თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ჩასუნთქვა და ასევე თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ამოსუნთქვა.

აზიდვების სიჩქარე უნდა დაარეგულიროთ ძალისა და სუნთქვის შეთავსების მიხედვით. არ იფიქროთ, რომ ეს მარტივია. აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებისათვის თქვენ უნდა ივარჯიშოთ მინიმუმ 3 თვე, რის შემდეგაც შეგიძლიათ აზიდვების რაოდენობების ზრდადი გრაფიკის შემუშავება. თუ თქვენ გეყოფათ ნებისყოფა და ყველა რეკომენდებული პირობების დაცვით შეძლებთ ამ ვარჯისის სისტემატურად და სწორად შესრულებას, დამერწმუნეთ თქვენ განიკურნებით ბევრი შინაგანი დაავადებებისაგან, იქნებით ჯანმრთელი და სხეული მიიღებს სრულყოფილ ჯანმრთელ სახეს. ე. ი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე ამ ვარჯიშების მეთოდიკას ვწერ მათთვის ვისაც ცხოვრებაში აქვს მიზანი და შრომობს ამ მიზნის მიღწევისათვის. ახლა ბევრი თვლის რომ მისი ჰობი არის ჯანმრთელი ცხოვრების წესი. ეს კარგია, მაგრამ ვიბრძვით კი ამისთვის? ამ ვარჯიშის დაუფლებით თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ, ხართ კი თქვენ ამისთვის მზად? თქვენ თუ მკლავებზე აზიდვებით ივარჯიშებთ სისტემატურად, მაშინ თქვენ შეხვალთ სიმშვენიერის, სიკეთის, ჯანმრთელი ცხოვრებისა და მუდმივობის სამყაროში.

თუ არქიტეტურას ეძახიან „გაქვავებულ მუსიკას“, სკულპტურას „გაქვავებულ ფანტაზიას“, მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს მე დავარქმევდი „ჯანმრთელობის, სულიერებისა და აღნაგობის არქიტექტორს“, რაც შემოქმედ პიროვნებას ლამაზი სიცოცხლის სტიმულს აძლევს.

კვლავაც ვიმეორებ – არ მოსწიოთ და ზომიერად მიიღეთ ალკოჰოლური სასმელი (1-2 ჭიქა), ასეთ შემთხვევაში თუ სისტემატურად ივარჯიშებთ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი მასას ჩამოგიყალიბებთ თქვენი სხეულის აგებულების სიმაღლის შესაბამისად, ე. ი. თუ ჭარბწონიანი ხართ თქვენი მასა კლებულობს და თქვენს სხეულს მიეცემა სპორტსმენის ტანადობის სახე და ჯანმრთელობა, ხოლო, თუ ხართ გამხდარი, გაგიზრდით კუნთებს და შესაბამისად მასას, რაც არა მარტო ჯანრმრთელობას, არამედ სილამაზესაც შემატებს თქვენს სხეულს. ამას ყველაფერს რომ მიაღწიოთ, უნდა გქონდეთ საფუძვლიანი არგუმენტები, რაც მასტიმულირებელი იქნება უფრო ინტენსიური დაუღალავი წვრთნისათვის. საფუძვლიან არგუმენტად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩემი მაგალითი.

ამ ვარჯიშის შესრულებისათვის თქვენ არ დაგჭრიდებათ სხვადასხვა სავარჯიშო ირაღები, რადგანაც იარაღი ვარჯიშისა არის თქვენი სხეული.

ჩემი გამოსვლების დროს ხშირად მეკითხებიან, როგორ დავიწყოთ ვარჯიში, მე მათ ვპასუხობ შემდეგს, რომ ვარჯიში არ არის ამ შემთხვევაში მხოლოდ გულდაღმა მდგომარეობიდან მკლავებზე ეპიზოდური აზიდვები, ასე შეიძლება ადამიანმა ზიანიც კი მიაყენოს თავს, რადგანაც იგი ვერ შეინარჩუნებს ეპიზოდური ვარჯიშის დროს ვერც კუნთის ძალას, ვერც სუნთქვის დამუშავებულ სისტემას და ვერც მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებულ კომპლექსს. ასეთ შემთხვევაში ეს ყოველთვის იწვევს მოვარჯიშის გაღიზიანებას, რაც აიძულებს მას გაღიზიანებულმა აკეთოს ვარჯიში. დამერწმუნეთ, ეს მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე და დროთა განმავლობაში გამოიწვევს არტერიული და თავის ქალის წნევების ცვალებადობას და გულის ნევროზით დაავადებას, რაც შემდეგში გამოამჟღავნებს სხვა დაავადებებსაც; რა თქმა უნდა, ეს არ არის სასურველი, რადგანაც ჩვენ ვარჯიში დავიწყეთ სამკურნალოდ და გაჯანსაღებისათვის და არა დაავადებების გასამრავლებლად. ეს ვარჯიში საუკეთესო მასაჟია მუცლის ღრუს ორგანოებისათვის და სასუნთქი გზებისათვის. განსაკუთრებით უხდება კუჭის წყლულითა და გასტრიტით დაავადებულებს.

მკითხველს ალბათ დაებადა კითხვა: ვარჯიში მარტივია, მაგრამ რამდენი პირობაა შესასრულებელი?! **დიახ, მთავარი პირობა სისტემატიური ვარჯიშის სურვილია** რაც ძალზე ეფექტურს ხდის მას.

უმრავლესობა, დღის უმეტეს ნაწილს სამსახურში ან სასწავლებელში ატარებს, რის გამოც მათთვის ვარჯიშისათვის ხელსაყრელი დრო საღამოა. მე მაგალითად ვიძინებ 11 სთ-ზე და ვდგები 5 სთ-ზე, ჩემთვის 6 სთ ძილი საკმარისია, რომ მთელი დროის განმავლობაში თავს ვგრძნობდე მხნედ, თუ თქვენთვის 6 სთ ძილი არ არის საკმარისი, მეგიძლიათ იძინოთ 8 სთ და ადგეთ 7 სთ-ზე. ყოველ დილით ვვარჯიშობ 1-1,5 სთ. განმავლობაში. მავანს შეუძლია ივარჯიშოს ნახევარი საათი. დატვირთვებში განსხვავებამ ჩემსა და თქვენს შორის არ გაგაკვირვოთ, რადგან მე სხვა მიზნითაც ვვარჯიშობ, თქვენ კი ჯანმრთელობის შეძენისთვის, სხეულის სრულყოფისათვის, ნებისყოფის გამომუშავებისათვის და წინააღმდეგობების დაძლევის ფსიქოლოგიური მომზადებისათვის და სხვ.

დამატებით მინდა გირჩიოთ: ხანგრძლივი დროით არ ივარჯიშოთ უშუალოდ ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. იგი შეიძლება შესრულდეს მინიმუმ ნახევარი საათით ადრე ან გვიან. ასევე არ შეიძლება ვარჯიში შეასრულოთ ძილის წინ ან გაღვიძებისთანავე. ძილის მდგომარეობიდან გამოს-

ვლის დრო 10-15 წუთია. ასევე 10-15 წუთით ადრე უნდა დაასრულოთ ვარჯიში დაძინებამდე. ერთჯერადი საშუალო რაოდენობის აზიდვებით შეგიძლიათ ივარჯიშოთ ნებისმიერ დროს – ჭამის წინ და შემდეგ, ძილის წინ და შემდეგ. ყოველთვის შეგიძლიათ აკეთოთ 10-15 ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით,

რაც ავარჯიშებს სასუნთქ გზებს, შიგა ორგანოებს, გულ-მკერდს, მკლავების კუნთებს და სხვ.

თუ ვარჯიშობთ ნახევარ საათსა და მეტს, უმჯობესია ჩაიცვათ სპორტული ფორმა სეზონისა და ამინდის მიხედვით. თუ ვარჯიშობთ ბინის პირობებში, უმჯობესია ივარჯიშოთ ფეხშიშველამ ტრუსებში, თუ ბინაში სიცივეა, უნდა ჩაიცვათ, მაგრამ მსუბუქად, ტანსაცმელი უნდა იყოს ისეთი, რომ არ გიჭერდეთ, შეიწოვდეს ოფლს. უმჯობესია ვარჯიშობისას ტანსაცმელი იყოს ბამბის.

დილის ვარჯიში ყველასათვის აუცილებელია დილით, რადგან საღამოთი შესაძლოა ადამიანს გაუჩნდეს რაიმე საქმე და დარჩეს ვარჯიშის გარეშე, რაც არასასურველია, საზოგადოდ ვარჯიშის იდეალური დრო არ არსებობს, იგი პრინციპულად ყველასათვის ინდივიდუალურია. ვისაც სურს ხსენებული ხერხით გაიუმჯობესოს ჯანრმრთელობა, თავდაპირველად ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად უნდა ჩაატაროთ ტანის სწორად დაჭერით ერთწუთიანი ვარჯიშის პოზაში დგომით ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვები. იგი უნდა გაიმეოროთ მინიმუმ ხუთჯერ მაინც, რათა ვარჯიშის დროს გაიადვილოთ სუნთქვა, მიაჩვიოთ გული ახალ რეჟიმში მუშაობას. ისუნთქეთ პირით ნელი ღრმა (სამი თვლა) ჩასუნთქვით ერთი უეცარი ამოსუნთქვით.

გაითავლისწინეთ ერთი რჩევაც: გულმა რომ კარგი დატვირთვა მიიღოს, ვარჯიშის დროს ტემპის ცვლაა საჭირო, ე. ი. მკლავებზე აზიდვები გააკეთეთ სწრაფი ან ნელი ტემპით, შესაბამისი სუნთქვითი პროცედურის დაცვით. თუ თქვენ სერიოზულად ვარჯშობთ, უნდა იკვებოთ კარგად და რეგულარულად, ბანაობის დროს კი მონაცვლეობით მივიღოთ ცივი და ცხელი შხაპი. ყურადღება უნდა მივაქციოთ სასმელ წყალსაც. იგი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის, ძილის რეჟიმის დაცვა ინდივიდუალურია, მაგრამ უნდა იძინოთ არანაკლებ 6 საათისა. გარდა იმისა, თუ თქვენ დღის განმავლობაში გამონახავთ ერთ-ორ საათს ძილისათვის, ეს ძალიან წაადგება თქვენს მიერ ვარჯიშის მაქსიმალური ეფექტით ათვისებას და დახარჯული ენერგიის სრულ აღდგენას, ჯანმრთელობა, ძალა, მოხდენილი სხეული – აი რა შედეგებს იძლევა ჩვენი ვარჯიში.

მსოფლიოს ყველა დროისა და ქვეყნის ცნობილი მხატვრები თუ მოქანდაკეები ცდილობდნენ დაედგინათ მოხდენილი სხეულის განმსაზრღვრელ ნიშანთა არსი და კანონი. დროის სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთებში ჯანმრთელობის, ძალისა და მოხდენლი ადამიანის სხეულის დაკვირვებების საფუძველზე, დასკვნები რეალისტურად კეთდებოდა და პირიქით, თუ მოგონილია და რეალობას არის მოწყვეტილი, არის ყალბი და ძალზე აბსტრაქტული.

შევადაროთ ჰერაკლესა და აპოლონის ქანდაკებები: ერთიცა და მეორეც არის მამაკაცური ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის განსახიერება. ჰერაკლეს ტანი გამოირჩევა მძლავრი კუნთებით, აპოლონისა კი ელეგანტურობითა და დრეკადი მოხაზულობის კუნთებითაა გალამაზებული. მაგალითი წარმოაჩენს ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის ორ ტიპს. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშით თქვენ შეიძენთ ჯანმრთელობას და აპოლონის ტანის სილამაზეს. იყო დრო როცა მოხდენილი სხეულის მავნებლად ითვლებოდა მხოლოდ ბიცეფსებისა და ყელის გარშემოწერილობის პროპორციები და სხვ. ახლა კი, ა. ვორობიოვისა და ი, სოროკინის წიგნში მოყვანილია ერის მანის მოხდენილი სხეულის მაჩვენებელი. გულმკერდის გარშემოწერილობას (მშვიდ მდგომარეობაში) გამოკლებული სიმაღლის ნახევარი. სხეულის ჰარმონიული განვითარების შემ-

თხვევაში გულმკერდის გარშემოწერილობა მეტია სიმაღლის ნახევარზე. ასეთი პროპორციების დაცვას უწყობს ხელს მკლავებზე აზიდვების ვარჯიში. გარდა ამისა, მისი მთავარი თვისებაა ადამიანის შიდა ორგანოების დაავადებების მკურნალობა. სხეულის წონას დამატებული გულმკერდის გარშემოწერილობა. საუკეთესო შეფასებას იღებენ ისინი, ვისაც აქვს ნაკლები მაჩვენებელი: 10-15 – ძლიერი აღნაგობა, 16-20 – კარგი აღნაგობა, 21-25 – საშუალო აღნაგობა, 26-30 – სუსტი აღნაგობა. ეს მხოლოდ მამაკაცების მაჩვენებელია. ადგენენ აგრეთვე ატროპიმეტრიული მაჩვენებლების ცხრილებს, რასაც შეიძლება შევადაროთ თქვენი მონაცემები. მაგალითად, ცნობილი კულტურისტის ჯო უადერის ცხრილი.

სიმაღლე	წონა	გულმკერ-დი	მხრები	წელი	ბარძაყი	წვივი
152.5	58.5	101.5	38.0	67.5	53.5	37.0
157.0	63.7	104.5	39.5	70.0	55.5	38.0
162.5	70.5	111.0	40.5	76.0	57.0	39.0
167.0	79.0	116.0	42.5	78.5	58.5	40.0
172.0	83.5	118.0	43.0	80.0	59.5	40.5
177.0	90.0	121.5	44.0	82.5	62.0	41.5
183.0	95.0	124.0	44.5	84.0	63.5	42.5
188.0	99.0	127.0	46.0	85.0	65.0	43.0

ჩემი ანტროპოგენური მაჩვენებლები შემდეგია: წლოვანება – 70 წ, სიმაღლე – 171 სმ, წონა – 74 კგ, გულმკერდის გარშემოწერილობა – 112,5 სმ, მხრები – 47 სმ, ბიცეფსები – 43 სმ, წელის გარშემოწერლობა – 82 სმ, ბარძაყის გარშემოწერილობა – 58 სმ, წვივის გარშემოწერილობა – 41 სმ.

სხეულის სილამაზე მრავალმხრივია და იზომება უფრო მრავალი წვრილმანით, ვიდრე მისი ზომის მეტრული ლენტით, ჩვენი გრძნობების ინსტრუმენტით ესთეტიკური გემოვნებით ჰარმონიის შეგრძნებით. ისინი ვინც იცნობენ ატლეტებს, იციან, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორ მათგანს აქვს ერთიდაიგივე ანტროპოგენური მაჩვენებლები, ისინი გამოიყურებიან სხვადასხვანაირად. ე. ი. განვითარებისა და ჰარმონიის ხარისხის გაზომვის მცდელობა ზომის მეტრული ლენტით უნაყოფო იქნება. კუნთის ხარისხი, რელიეფი, ტანადობის თავისებურებანი, მოძრაობების პლასტიკა და მრავალი სხვა არ ექვემდებარება განზომილებას.

ისე რომ იმათ„ ვისაც სურს გაერკვეს, თუ რა არის ადამიანის მოხდენილი სხეული, არ მოვიყვანთ ფორმულებსა და ცხრილებს, ვურჩევთ უფრო მეტად ათვალიერონ ძველი სკულპტორებისა და მხატვრების უძვირფასესი ქმნილებები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას აღვიქვათ ადამიანის სხეული გენიოსების თვალით. სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ფიგურები თანაბრად აცხადებენ პრეტენზიას იდეალურ პროპორციულობაზე. მათ გაუძლეს საუკუნეების კრიტიკას სილამაზისა და ჰარმონიის ჩარჩოებში. ყველა ტიპის აგებულებაში არის ჩადებული საწყისი სილამაზე. არასწორი ცხოვრების წესით – ფიზიკური დატვირთვების სიმცირით არათანაბარი კვებით, ვერ ვანვითარებთ, ვერ ვინარჩუნებთ ბუნებით ნაბოძებ ხარისხობრიობას.

თქვენი სხეულის რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა და მკლავებზე აზიდვების მეთოდების არსენალის ეფექტურად გამოყენება გარკვეულ ეტაპზე (მაგ. 6 თვის შემდეგ) დაგეხმა-

რებათ განსაზღვროთ თქვენი სხეულის აგებულების ტიპოლოგია. ადამიანის ინდივიდუალობის მრავალნაირობის მიუხედავად, ანსხვავებენ 3 ძირითად კონსტიტუციურ ტიპს: ენდომორფულს, ევტომორფულს და მეზომორფულს. ენდომორფულ ტიპს ახასიათებს მძლავრი ძვლის სისტემის ჩასკვნილობა, კანქვეშა ქონის დაგროვების მიმართ მიდრეკილება, რის გამოც ფორმა გვეჩვენება გასწორებული.

ევტომორფული ტიპი წვრილძვლიანია, როგორც წესი, ცხიმის ზედმეტობა არ ახასიათებს, გამხდარია და აქვს უფრო დაგრძელებული პროპორციები.

მეზომორფული ტიპი ათლეტურია, უფრო პროპორციული, კანქვეშა ცხიმს ინარჩუნებს ნორმასთან ახლოს, კუნთების სისტემა კარგად გამოიყურება და იტანს დატვირთვებს.

თითოეულ აღნაგობას აქვს თავისი უპირატესობები, მას სწორი გამოყენება უნდა. თუ თქვენ ყოველივე იმის გაკეთებას შეძლებთ, რასაც აღნიშნული მეთოდიკა გკარნახობთ, 6 თვის შემდეგ შეატყობთ თავს, რომ ის სისუსტენი, რაც თქვენ გქონდათ ორგანიზმში, თანდათან მცირდება, ხოლო კიდევ სამი თვის გასვლის შემდეგ – საერთოდ ქრება.

ზემოთ აღნიშნული მეთოდიკით თქვენ ყოველდღიურად მოგიწევთ დაახლოებით 30-45 წუთით ვარჯიში, სერიებს შორის 1 წუთიანი დასვენებით, საერთოდ კი პიროვნება ინდივიდუალურად არჩევს დასვენების დროს გულის დაღლილობის მიხედვით. ვინაიდან ეს ვარჯიში გულისათვის სხვა ვარჯიშებთან შედარებით რთულია. ყოველთვის უნდა დავიცვათ რეჟიმი, რომელიც გულს არ გადაღლის.

მკლავებზე აზიდვების სისტემატიური ვარჯიში იძლევა შემდეგ შედეგს:

– მთელი სხეულის პროპორციიულად განვითარებას, მასის მატებას;

– გულმკერდის არის განვითარებას (ზრდას), კუნთების, მათ შორის მხრის კუნთების გაფართოებას;

– მხრის დელტის განვითარებას;

– ძალის ზრდას;

– ბიცებსების (მკლავის მომხრელი და გამმართველი კუნთები) ზრდას;

– თეძოს კუნთების განვითარებას;

– ბარძაყების განვითარებას;

– წვივის კუნთების განვითარებას;

– მუცლის პრესის კუნთების განვითარებას და სხვ.

ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას თქვენი სამუშაოს ხასიათი, პირადი გატაცება, თავისუფალი დრო და სხვ. წარმატებები ბევრად არის დამოკიდბული ნებისყოფაზე.

წოლგჯენიდან მკლავებზე აზიდვების ინტენსიური ვარჯიშების დაწყებამდე გირჩევთ გაიაროთ მომზადების 3 ეტაპი.

1. ფიზიკური მომზადება, რომელშიც შედის მსუბუქი დატვირთვა და სუნთქვითი ვარჯიშები, უნდა გაგრძელდეს 1-1,5 თვე;

2. აზიდვების მსუბუქი რეჟიმით ვარჯიშების პერიოდი 1-1,5 თვე; თითო სერიაში უნდა აიზიდოთ 3-5-ჯერ პირველი 15 დღე; სულ შეასრულეთ 10 სერია; 5-10-ჯერ – მესამე 15 დღე, აქაც 10 სერია. მეორე პერიოდში ხდება აზიდვებთან ერთად სუნთქვითი ვარჯიშების დამუშავება.

3. მესამე პერიოდში მოვარჯიშე თვითონ განსაზღვრავს სერიაში აზიდვების რაოდენობას შესაძლებლობის მიხედვით. პირველი 15 დღეს არ უნდა გადააჭარბოს. სერიათა რიცხვი უნდა გაზარ-

დოთ 15-მდე, მესამეში – 20-მდე, ხოლო შემდეგ თქვენი შესაძლებლობებით ზრდით თითოეულ სერიაში უწყვეტი აზიდვების რაოდენობას.

თუ გვინდა, რომ ჯანმრთელობის შეძენასთან ერთად განვავითაროთ ჩვენი ტანის სილამაზეც, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: მათ ვინც წონას იმატებს ნელა და უჭირს კუნთების მოცულობის გაზრდა, საჭიროა თავიდანვე განვსაზღვროთ ხელისშემშლელი მიზეზები, კერძოდ:

1. კვების არასწორი რეჟიმი – სპორტსმენი ან პაციენტი არ იკვებება ერთი და იგივე დროს და არ იღებს კალორიულ საკვებს (ორგანიზმი არ იკვებება ხარისხიანი ცილოვანი საკვების საკმარისი რაოდენობით, არასაკმარისად მოიხმარს ნახშირწყლებს და ცხიმებს, ვიტამინებს და მინერალურ საშუალებებს);

2. ხანგრძლივი, გადამღლელი ვარჯიშები, დასვენებისა და ძილის ნაკლებობა ხელს უშლის კუნთების ზრდას;

3. სუსტი ნებისყოფა, ცუდი ფსიქოლოგიური მომზადება.

კუნთების ზრდისათვის აუცილებელია ცილები, რაც წარმოადგენს უჯრედების სამშენებლო მასალას: ცილები ორგანიზმში იშლებიან მონომჟავებად, რომლებიდანაც თავის მხრივ წარმოიქმნებიან ახალი მოლეკულები. არსებობს 22 სახის მონომჟავა, მათ შორის 10 დამოუკიდებელია, მათ ორგანიზმში არ შეუძლიათ ერთმანეთთან სინთეზი.

აზიდვებში ინტენსიურმა მოვარჯიშემ უნდა მიიღოს დაახლოებით ერთი გრამი ცილა 2,5 კგ წონაზე. ნახშირწყლები და ცხიმები ხელს უწყობენ ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და წარმოადგენენ ენერგიის ძირითად წყაროს. არსებობს ენერგიის ცვლის ორი სახე: ანაბოლიკური რეაქციები – უჯრედების დაშლა ენერგიის გამოყოფისათვის. უნდა მივაღწიოთ ანაბოლიკური რეაქციის უპირატესობას, რისთვისაც საკვები უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება კალორიული და დახარჯულ ენერგიასთან შედარებით, რასაც თქვენ ხარჯავთ ვარჯიშის დროს...

მე ვარ ჯანმრთელი ცხოვრების წესის მომხრე
და მიმდევარი, შემომიერთდით!



ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

თანამედროვე გამოწვევები საქართველოს შრომის ბაზარზე
(საქართველოს საბანკო-საკრედიტო სექტორის მაგალითზე)

აბსტრაქტი.

წინამდებარე კვლევაში შევეცადეთ შეგვესწავლა და ანალიზი გავეკეთებინა საქართველოს შრომის ბაზრის ისეთ მნიშვნელოვან სეგმენტში არსებულ თანამედროვე გამოწვევებზე, როგორიც არის საბანკო საქრედიტო სისტემა. თუნდაც იმ ფაქტის გათვალისწინებიტ, რომ საფინანსო სფერო (სადაც დომინანტია საკრედიტო სექტორი) ერთ-ერთი დიდი დამსამებელია და შრომის ანაზღაურების მხივაც „ლიდერობს".

საკრედიტო სექტორის დასაქმების სფეროს შესწავლის პროცესში კვლევის ფორმატი განსაზღვრა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. კვლევა განხორციელდა, როგორც მეორედი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვის, ანალიზის შესაძლებლობა, რის შედეგადაც გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები.

კვლევის მიმდინარეობისას გამოიყენება მეორად ინფორმაციაზე დაფუძნებული, ანალიზის, სინთეზის, შედარების, ექსტრაპოლაციის და მსგავსი კატეგორიის კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები. კვლევის ფორმატი განსაზღვრებაა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე – საქართველოში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიების, აღნიშნული პროფესიების შესაბამისი უნარების განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდისა და თვისებრივი კვლევისაგან - პირისპირი, სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდება სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც მოგვცემს სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი, საბანკო ბაზარი, ვაკანსია, დასაქმება, საფინანსო საქმე, ფინანსური კომპანია.

Abstract

In the present study, we tried to study and analyze the modern challenges in such an important segment of the Georgian labor market as the banking credit system. Even if you take into account the fact that the financial sector (where the credit sector is dominant) is one of the big contributors and the wage earner is also "leading".

In the process of studying the field of employment of the credit sector, the format of the research was determined based on the objectives of the research. The research was carried out both on the basis of secondary statistical information and through a structured questionnaire, which gave us the opportunity to obtain, measure and analyze statistically reliable information, as a result of which we made reasoned conclusions.

In the course of the research, methods based on secondary information, analysis, synthesis, comparison, extrapolation and similar categories used in the research process are used. The format of the research is determined based on the objectives of the research – to collect and analyze the information needed to determine the professions that are in demand and prospective in the labor market in Georgia, and the relevant skills of the said professions.

The research was carried out using quantitative research methods and qualitative research - face-to-face, in-depth interviews. The survey will be conducted through a structured questionnaire that will allow us to collect, measure and analyze statistically reliable information.

Key words: commercial bank, banking market, vacancy, employment, financial affairs, financial company.

ძირითადი ტენდენციების ანალიზი მეორადი სტატისიკური ინფორმაციის გამოყენებით.

შესავალი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემები ცხადყოფს, რომ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის სექტორში 2022 წელს (2023 წლის მონაცემებით) დასაქმებულთა ოდენობა შეადგენდა 29.4 ათასს[1], რომელიც თავისთავად აღემატება მომსახურების სფეროს სხვა სექტორების დასაქმების მაჩვენებლებს (ინფორმაცია და კომუნიკაცია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები), მართალია ჩამორჩება განათლების სფეროს, თუმცა განათლების სფერო ასევე არის აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქების სფერო.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ეკონომიკის რიგი სექტორებისაგან განსხვავებით, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობაში დასაქმებულთა ოდენობა 2024 წელს, პანდემიის დასწაყისთან შედარებით მინიმალურად შემცირდა (0.4 ათასი დასაქმებული)[2], ხოლო წინასწარი

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevrobahttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba [უკანასკნელად გადამოწმდა16.08.2024].

[2] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba [უკანასკნელად გადამოწმდა 16.08.2024].

მონაცემებით მიმდინარე წელს არდგილი ექნება დასაქმებულთა ოდენობის ზრდას. დარგმა ასევე აჩვენა სტაბილურობა და მდგრადობა, რამდენადაც პანდემიის დასწაყისიდანვე მომხმარებელს (ასევე დასაქმებულებს) შეთავაზა უსართხო და კლიენტზე მორგებული მომსახურეობებების სახეები - დისტანციური მომსახურება (ასევე დისტანციური და დასაქმებულზე მორგებული სამუშაო გრაფიკი), უკონტაქტო გადახდები, და სხვ.

რაც შეეხება დაქირავებულ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობაში, 2023 წლის III კვარტალის მონაცემების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით - „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით (ლარი)“ და შეადგენს 2 730.0[3] ₾. ასევე შემოსავლების (შესაბამისად მოგების) ზრდა ფიქსირდება მთლიანად საბანკო სექტორში.

ძირითადი ნაწილი.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო დამსაქმებლების ოფიციალური ვებ გვერდები, სადაც განთვსებულია ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ:

1. საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკის ოფიციალური ვერბ გვერდი;
2. საქართველოში მოქმედი ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ოფიციალური ვერ გვერდი;
3. საქართველოში მოქმედი ყველა სადაზღვევო კომპანიის ოფიციალური ვებ გვერდი;
4. საქრათველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს საფონდო ბირჟის ოფიციალური ვებ გვერდი;
5. სახვადასხა ფინანსური კომპანიების, ფინანსური სერვისების მიმწოდებელი კომპანიბის, საქსტატის, შემოსავლების სამსახურის, განათლების სამინისტროს და მსგავსი ინფორმაციული თავმოყრის სუბიქტების (მ.შ. hr.ge, jobs.ge, teacherjobs.ge, linkedin.com და სხვ) ინფორმაცია.

როგორც კვლევამ აჩვენა საკვლევ პეიოდში დამსაქმებლებისაგან ყველაზე მოთხოვნადი პოზიციებია - დღე-ღამის ცვლის ოპერატორი, საკრედიტო (მ.შ. მიკროდაკრედიტების) ექსპერტი, საკრედიტო ოფიცერი, უნივერსალური მოლარე-ოპერატორი, მიკრობიზნეს და აგრო სესხების უფროსი ოფიცერი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადებულ ვაკანსიებს შორის განსხვავება საბანკო სექტროსა და მიკროსაფინანსო სექტორში უმნიშვნელოა. განსხვავება ძირითადად მდგომარეობ-და იმაში, რომ საბანკო სექტორში შედარებით მეტია მოთხოვნა პოზიციაზე - უნივერსალური რეზერვი, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში - ფილიალის მენეჯერი მმართველი.

[3]https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi [უკანასკნელად გადამოწმდა 16.09.2024].



ასევე კვლევამ აჩვენა, რომ მიმდინარე ეტაპზე დამსაქმებლების მხრიდან გამოცხადებული ვაკანსიებიდან, პროფესიული უნარების ჩამონათვალში ყველაზე ხშირად გვხვდება - უმაღლესი განათლება საბანკო საფინანსო განათლების სფეროში, ბანკის სასესხო და საოპერაციო პროდუქტების ცოდნა, საბანკო პროგრამების (Alta, BANK 000) ცოდნა.

ძირითადი ტენდენციების ანალიზი პირველადი ემპირიული მონაცემების (სტრუქტურირებული კითხვარი) გამოყენებით.

გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებელი ფაქტობრივად კერძო სექტორია (კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო კომპანია და სხვ), ჩვენს მიერ თვისებრივი კვლევა განხოციელდა ძირითადად შესაბამის სეგმენტში. საპილოტე კვლევის დროს სტრუქტურირებული კითხვარი დაიგზავნა 70 ორგანიზაციაში, მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 16 მათგანმა. რიგ შემთხვევაში გამოვიყენეთ რედუქციული კვლევის მეთოდი, კერძოდ ვერ მოხერხდა ინფორმაციია მიღება ლიბერთი ბანკის „სათაო ოფისიდან“, შედაგად ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია, თბილისის ცენტარლური ფილიალის, მცხეთა მთიანეთის რეგიონალური განყოფილების, შიდა ქართლის ცენტარლური ფილიალიდან, ლაგოდეხის ცენტრალური ფილიალიდან და მოვახდინეთ მონაცემთა განზოგადება. რესპოდენტთა რესპოდენტის პოზიცია შედეგნარად განაწილდა ზედა რგოლის მენეჯერი - 27%, შუალედური რგოლის მენეჯერი 47%, ქვედა რგოლის მენეჯერი 13%.





კვლევის პროფესში შევეცადეთ დაგვედგინა ჩვენს მიერ შერჩეულ ფოკუს ჯგუფში რომელი სასწავლო დაწესებულების კურსდამტავრებულები იყვნენ დასაქმებული, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია სასწავლო დაწესებულების იმიჯთან, რაც გავლენას ახდენს კონკრეტული

სასწავლებლის (საგანმანათლებლო პროგრამის) კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივაზე. როგორც მიღებულმა სტატისტიკურმა ინფორმაციამ აჩვენა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს კურსდამთავრებულები საკმაოდ სოლიდური რაოდენობით არიან დასქმებული საბანკო-საკრედიტო ორგანიზაციებში, და მხოლოდ ორი „სახელმწიფო სასწავლებლის“ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - კურსდამთავრებულებს ჩამორჩებიან (შესაბამისად 7 და 2 პროცენტით), ლიდერობენ კერძო სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დასაქმების საერთო ოდენობაში.



საკმაოდ საინტერესოა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სამსახურში მიღებული კურსდამთავრებულებიდან ფინანსებისა და საბანკო საქმის მაგისტრატურის საფეხურის კურსდამთავრებულები აშკარად ჭარბობენ დანარჩენი კვალიფიკაციის დასაქმებულებს დროის აღნიშნულ პერიოდში. ეს ასევე დადასტურდა სხვა კითხვების პასუხებშიც, ზოგიერთ შმთხვევაში დოქტორის დონის (გამოცხადებული ვაკანსიებისა და მოთხოვნილი უნარების გათვალისწინებით) მოთხოვნა შეინიშნება საბანკო და საფინანსო სფეროს დამსაქმებლებში.


ბოლო 5 წლის განმავლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რამდენი კურსდამთავრებული მიიღეთ შემდეგი კვალიფიკაციების შესაბამისად?
300
250
200
150
100
50
0
ფინანსები/საბანკო საქმე
ფინანსური ტექნოლოგიები
ადამიანური რესურსების..
ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების..
ბიზნეს ანალიტიკა
ბაკალავრი
მაგისტრი


შეაფასეთ იმ თანამშრომლთა უნარები, რომელმაც ბოლო 5 წლის განმავლობაში დაასრულეს მაგისტრატურა: (შეაფასეთ 10 ქულიანი სკალით, 1 არის მინიმალური, 10 მაქსიმალური)
10
9
8
7
6
5
4
3
2
1
0
კომუნიკაციის უნარი
გუნდური მუშაობის..
ანალიტიკური..
კრიტიკული..
ტექნიკური უნარები
კონცეპტუალური..
ცვლილებებთან..
პრობლემის..
კვლევითი უნარები
გადაწყვეტილების..
კომერციული საბანკო სექტორი
მიკროსაფინანსო სექტორი
სხვა


ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა შერჩევისას, რომელ კრიტერიუმებს იყენებთ, ისეთ პოზიციაზე, სადაც აუცილებელია მაგისტრის დიპლომი, შეაფასეთ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენს მიერ დასახელებული კრიტერიუმები, შესაბამისი სკალის გამოყენებით:
(1 არის მინიმ
9,2
9
8,8
8,6
8,4
8,2
8
7,8
7,6
7,4
კომუნიკაციის უნარი
გუნდური მუშაობის უნარი
ტექნიკური უნარები
ცვლილებებთან ადაპტაციის უნარი
კვლევითი უნარები
დაწყებული ბიზნესის მიღების უნარი
კომერციული საბანკო სექტორი
მიკროსაფინანსო სექტორი
სხვა



როგორც კვლევამ აჩვენა გამოკითხული ორგანიზაციების დიდი ნაწილის აზრით პერსპექტივაში მოთხოვნა გაიზრდება ფინანსური ანალიტიკოსის, სერვისის ექსპერტის, Software არქიტექტორის, დიჯიტალ ოფიცერის ვაკანსიებზე. ხოლო კადრების მოზიდვის პრობლემა იქმნება დიჯიტალ ოფიცერის, მოლარე ოპერატორის, ქოლ ცენტრის ოპერატორის, საკრედიტო ექსპერტის, კრედიტ ოფიცერის პოზიციაზე. რაც შეეხება პოზიციებს რომელზედაც ყველაზე ხშირად ხდება კადრების ცვლილება გამოირჩევა - მოლარე ოპერატორი, საკრედიტო ექსპერტი, კრედიტ ოფიცერი, გაყიდვების კონსულტანტი. მიზეზებს შორის დასახელდა შედარებით დაბალი ანაზღაურება, მაღალი კონკურენცია კვალიფიციურ კადრებზე, კვაიფაიკაციის შედეგად პოზიციის ცვლილება.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტები, კვალიფიციური კადრების მოძიებას ახდენენ ინფორმაციული თავმოყრის სუბიქტების ისეთი პლატფორმებიდან, როგორებიცაა jobs.ge (23%), linkedin (21%), hr.ge (8%). ასევე აქტიურად გამოიყენება დასაქმების ფორუმები (12%), უნივერსიტეტებთან დასაქმების პროგრამები (7%), პირადი კონტაქტები (6%).

რაც შეეხება დამსაქმებელთა ჩართულობის მაჩვენებელს უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების/დაწესებულებების პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესებში, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მაღალია და შედაგენს ჯამში 78%-ს, რომელთაგან 53% მათივე ინფორმაციით სქკმაოდ აქტიურად მონაწილებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და/ან ოპტიმიზაციაში.





დასკვნა. საქართველოს საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის სექტორში დასაქმებულთა ოდენობა შეადგენდა აღემატება მომსახურების სფეროს სხვა სექტორების დასაქმების

მაჩვენებლებს (ინფორმაცია და კომუნიკაცია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები) და ზრდის ტენდენციით ხასიათდება;

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საფინანსო და სადაზღვევო სექტორში დაქირავებულ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება - ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ეროვნული ეკონომიკის საქმიანობის სხვადასხვა სახეებს შორის 2 730.0 ლარს შეადგენს.

საბანკო-საკრედიტო სფეროში ჯერ კიდევ მაღალია ისეთი კადრების დასაქმების მაჩვენებელი, რომელთაც საბაკალავრო (ზოგიერთ შემთხვევაში სამაგისტრო) სწავლების საფეხური არ არის დარგის შესაბამისი. რაც ვფიქრობთ გაზრდის საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაზე/პროგრამებზე სწავლების მოთხოვნას;

საბანკო-საკრედიტო სფეროში საკმაოდ მაღალია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები არის კონკურენტუნარიანი და მაქსიმალურად შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

დამსაქმებლები კვალიფიციური კადრების მოსაზიდად მეტწილად იყენებენ სხვადასხვა ინფორმაციული თავმოყრის სუბიქტების (hr.ge, jobs.ge, teacherjobs.ge, linkedin.com და სხვ). პლატფორმებს;

რესპოდენტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ არსებული პოზიციიების ცვლილების მიზეზი დაბალ ანაზღაურებასთან ერთად არის პოზიციის ცვლილება (დაწინაურება), რაც გაზრდის/ზრდის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლბაზე მოთხოვნას;

დამსაქმებელთა დიდი ნაწილი აქტიურადაა ჩართული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების/დაწესებულებების პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესებში.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevrobahttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba [უკანასკნელად გადამოწმდა 15.09.2024].
2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba [უკანასკნელად გადამოწმდა 01.09.2024].
3. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi [უკანასკნელად გადამოწმდა 16.08.2024].
4. https://www.hr.gov.ge/ [უკანასკნელად გადამოწმდა 26.08.2024].
5. https://www.hr.ge/ [უკანასკნელად გადამოწმდა 9.08.2024].
6. https://nbg.gov.ge/contact [უკანასკნელად გადამოწმდა 11.08.2024].
7. https://www.association.ge/ [უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.2024].
8. https://www.insurance.gov.ge/ [უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.2024].

Eter Mamatsashvili
Georgian National University SEU
Doctor of Economics. Associate Professor

ASIAN SHIPPING INDUSTRY: POWERFUL COMPANIES IN GLOBAL TRADE

Abstract. The global shipping industry is an ever-evolving, competitive sector of the global economy, and the Asian shipping industry has been at the forefront of its development. In this blog post, we'll take a look at some of the most powerful companies in the Asian shipping industry and what makes them so successful. We'll explore the major players in India, China, Japan, South Korea, Singapore, and Vietnam and discuss the unique factors that have led these companies to become powerful players in global trade. At Dfreight(your freight partner), understand that the Asian shipping industry is highly competitive and complex. That's why we are proud to offer our digital freight forwarding services to help you navigate this dynamic marketplace. With our experienced team and extensive network of partners, we can help you cut through the red tape and get your shipments to their destinations quickly and cost-effectively. Get a free quote today and learn more about how our digital freight forwarding services can help you succeed in the Asian shipping industry!

Major Players in the Asian Shipping Industry.

The UAE has become a shipping hub for maritime businesses operating in the Middle East and North Africa. For many years, the UAE has been a major partner for Asian shipping businesses since it is an attractive site for enterprises to build a foothold in the region. The country has excellent air and marine connections to the Asian continent, making it a preferred gateway for Asian businesses. In addition, the UAE has built its own maritime infrastructure, including ports, terminals, and warehouses. This infrastructure facilitates Asian shipping companies' operations in the UAE.

საკვანძო სიტყვები: Dfreight, shipping industry, Orient Overseas Container Line, Shipping Corporation.

With a variety of shipping companies in UAE, the UAE boasts a thriving maritime industry. These firms provide competitive pricing and services, which makes them appealing to Asian shipping corporations. Dubai Port, Abu Dhabi Terminals, and Jebel Ali Free Zone are among the leading companies in the UAE. In addition, the UAE has created excellent partnerships with Asian maritime corporations, allowing them to grow their operations in the region. Major Asian shipping corporations, for example, such as ZIM, Hanjin, and Maersk Line, have established operations in the UAE.

The Asian shipping industry is an incredibly important and influential part of the global economy. It is responsible for transporting a vast array of goods around the world, including food, raw materials, and manufactured items. So, who are the major players in this industry? We will explore the major players in the Asian shipping industry, their activities, and how they impact the global economy.

India

The Shipping Industry in India has been one of the most important contributors to the growth of the country's economy. India has a long-standing maritime tradition, and the port to port shipping industry has

been integral to the country's economic development since ancient times. With a large coastline and numerous ports, India has been able to develop an extensive network of shipping routes, making it a major player in the international shipping industry. The Shipping Industry in India is the sixth largest in the world and the largest in the South Asian region. It is a major source of employment for millions of people. The industry is highly regulated by the Directorate General of Shipping, which is responsible for the development and implementation of policies related to the shipping industry in India.

The Shipping Industry in India is divided into three main segments; the coastal trade, the deep-sea trade, and the inland water transport. The coastal trade includes the movement of goods along the Indian coast, while the deep-sea trade involves the movement of goods from one international port to another. Inland water transport involves the movement of goods from one inland point to another, such as from a river to a lake.

The industry also includes a number of related businesses, such as shipbuilding, ship repair and maintenance, port operations, logistics, freight forwarding, maritime insurance, and shipping finance. The industry is highly competitive, with both international and domestic players competing for market share.

The Indian government has been instrumental in the development of the shipping industry in India. The government has provided incentives such as tax breaks and subsidies to encourage investment in the industry. It has also opened up the industry to foreign investment by allowing foreign firms to enter the Indian market. This has resulted in a number of foreign companies investing in the industry, leading to increased competition as well as technological advancements.

The Shipping Industry in India is also responsible for the growth of the country's maritime infrastructure. The government has invested heavily in the development of ports and other related infrastructure to make the industry more efficient and competitive. This has allowed India to become one of the most important hubs for international trade.

The Shipping Industry in India has benefited from the liberalization of the Indian economy, which has allowed for the entry of foreign companies into the industry. This has resulted in a large number of investments from foreign companies, leading to increased competition as well as technological advancements. In addition, the industry has also benefited from the growth of the Indian economy, which has allowed for the development of a number of ports and other related infrastructure in the country.

In conclusion, the Shipping Industry in India has been a major contributor to the growth of the country's economy. The government has provided incentives to encourage investment in the industry and the liberalization of the Indian economy has allowed for the entry of foreign companies into the industry. The industry has also benefited from the growth of the Indian economy, which has allowed for the development of a number of ports and other related infrastructure in the country.

Let us have a look at the top three Indian shipping businesses.

The Shipping Corporation of India (SCI) is the largest shipping company in the country and has been providing reliable and efficient services for over 50 years. SCI operates a fleet of more than 120 vessels and has a presence in national and international markets. The company is focused on expanding its fleet and modernizing its operations to remain competitive in the global market. SCI is also making efforts to reduce its operating costs and enhance its efficiency.

Great Eastern Shipping Company (GESCO) is another leading shipping company in India. GESCO operates a fleet of more than 40 ships and provides a range of services to its customers, including bulk cargo, container, and break bulk cargo transportation. The company is focused on expanding its fleet and upgrading its operations to remain competitive.

Varun Shipping Company is a relatively smaller player in the Indian shipping sector. The company operates a fleet of more than 10 vessels and provides services to domestic and international customers. The company is focused on expanding its operations and upgrading its fleet to remain competitive in the market. Varun Shipping is also making efforts to reduce its operating costs and enhance its efficiency.

The shipping industry in China is one of the world's most important and significant. It plays a major role in the global supply chain and constitutes a large part of China's economic growth and development. China is the world's largest trading nation and the shipping industry has a major impact on the country's overall trade. This essay will discuss the importance of the shipping industry in China, the challenges it faces, and the potential opportunities for the future.

The shipping industry in China is essential for the country's economic development. China's vast population and huge internal market mean that it requires a large and efficient shipping industry to move goods between regions and to export to other countries. Shipping is also essential to China's international trade, as it is responsible for moving huge volumes of goods and services to and from the country. In addition, the maritime industry plays a key role in the development of the Chinese economy, providing jobs and other economic opportunities.

However, the shipping industry in China also faces a number of challenges. The industry is highly competitive and the cost of shipping is increasing due to rising fuel costs and other economic factors. In addition, the industry is subject to government regulation and taxes, which can make it difficult for companies to remain competitive. Furthermore, environmental regulations are becoming increasingly stringent, forcing companies to implement more sustainable practices. Finally, the industry is vulnerable to disruption due to external factors such as weather conditions and political instability.

Despite these challenges, there are also opportunities for the future of the shipping industry in China. The industry is likely to continue to grow as China's economy develops, and demand for shipping services from the country is likely to increase. In addition, technological advances such as the use of big data and artificial intelligence are likely to revolutionize the industry, making it more efficient and cost-effective. Finally, China is already investing heavily in green technologies such as electric ships and renewable energy, which could lead to further growth in the industry.

In conclusion, the shipping industry in China is essential for the country's economic development and is likely to continue to grow in the future. The industry faces a number of challenges, but there are also a number of opportunities for the future. With the right investments and policies, the sector has the potential to become even more successful in the years to come.

The top three Chinese companies in the shipping industry include:China Ocean Shipping Company. China Ocean Shipping Company (COSCO) is one of the largest shipping companies in the world and the largest in China. It offers a wide range of services such as dry bulk shipping, container shipping, oil tankers, car carriers, and other specialized vessels. COSCO also provides shipping services to many of the world's major ports. It has a fleet of over 700 vessels, ranging from small container vessels to large oil tankers.

China Shipping Group is another major Chinese shipping company. It is a state-owned enterprise that offers services in both dry bulk and container shipping. It has a fleet of more than 400 vessels, including container ships, bulk carriers, oil tankers, and others. The company also has a large network of ports and operates in many countries around the world.

Cosco Shipping is another leading Chinese shipping company. It is owned by the China Cosco Shipping Corporation, a state-owned enterprise. It provides a wide range of services, including container shipping,

dry bulk shipping, car carriers, and oil tankers. Cosco Shipping also has a large network of ports around the world. It has a fleet of over 400 vessels, ranging from small container vessels to large oil tankers.

Japan is known for its advanced shipping industry and has a long history of being a major player in the international shipping world. Japan is the fourth largest merchant fleet in the world and has been a major player in the international shipping industry for over a century. Japan is a leader in the global shipping industry, and the country has developed many innovative approaches to this sector.

The Japanese Shipping industry has a long history, and it is one of the oldest and most important industries in the country. The Japanese have had a strong presence in the international shipping industry since the 19th century. Japan had a key role in the development of the global shipping industry. Japan was the first country to establish a dedicated shipping agency and was the first country to have a dedicated shipping register.

Japan has a long tradition of innovation in the shipping industry. Japan was the first country to adopt containerization, and the first country to build large container ships. This allowed for a more efficient, cost-effective way to transport goods. Japan has also been a major innovator in the development of new technologies for the shipping industry. Japan has developed a range of advanced technologies for shipping and logistics, such as GPS navigation and automated sailing systems.

Japan is also a major player in the global shipping industry. The country has a large number of companies and businesses that are involved in the global shipping industry. These include major companies such as Mitsubishi, Nippon Yuki, and Nippon Yusen. The Japanese shipping industry is also home to a number of smaller companies and businesses, such as Yazaki Shipping and Nippon Kogyo.

The Japanese shipping industry is a major contributor to the country's economy. The industry has provided jobs to thousands of people in the country. It has also contributed to the development of new technologies and innovations, which have had a positive impact on the global shipping industry.

The Japanese shipping industry is also an important part of the country's environment. Shipping is a major source of air pollution, and the Japanese government has taken steps to reduce the impact of shipping on the environment. The government has implemented a number of policies to reduce emissions from ships and has also introduced regulations to limit the number of pollutants that ships can emit.

Overall, the Japanese shipping industry is an important part of the country's economy and has a long history of innovation and development. The industry has had a significant impact on the global shipping industry and continues to be a major player in the industry.

The three major Japanese shipping companies are as follows:

Nippon Yusen Kabushiki Kaisha (NYK Line) is one of the top three shipping companies in Japan. This shipping company is the largest in Japan and is part of the Mitsubishi Group. NYK Line is a global leader in the transportation of goods and services. It operates a fleet of more than 800 vessels and services more than 80 countries worldwide. It provides general cargo, containers, bulk cargo, and automotive carriers. NYK Line is also known for its extensive research and development initiatives, including advanced technologies for port management, navigation, and shipbuilding.

The second largest shipping company in Japan is Mitsui OSK Lines (MOL). MOL is a major Japanese transportation company that provides ocean transport, logistics, and related services. Founded in 1884, MOL has grown to become one of the largest integrated shipping companies in the world. It operates a fleet of over 800 vessels and services more than 140 countries worldwide. MOL offers a wide range of services, including container shipping, bulk cargo, breakbulk, and roll-on/roll-off. It is also known for its

research and development initiatives and advanced technologies for port management, navigation, and shipbuilding.

The third largest shipping company in Japan is Kawasaki Kisen Kaisha (K-Line). K-Line is a global transportation company that provides ocean transportation and related services. Founded in 1919, K-Line has grown to become one of the largest integrated shipping companies in the world. It operates a fleet of over 500 vessels and services more than 140 countries worldwide. K-Line is known for its high-quality services, including container shipping, bulk cargo, breakbulk, and roll-on/roll-off. It is also known for its research and development initiatives and advanced technologies for port management, navigation, and shipbuilding.

All three of these top Japanese shipping companies are global leaders in the transportation of goods and services. They all offer a wide range of services, including container shipping, bulk cargo, breakbulk, and roll-on/roll-off. All three companies are also known for their research and development initiatives and advanced technologies for port management, navigation, and shipbuilding. These three companies are key players in the global shipping industry, and their continued success will ensure that Japan remains a leader in the shipping industry.

The shipping industry in South Korea is one of the leading industries in the country, playing a vital role in the global economy. South Korea is home to some of the world's largest shipping companies and is one of the top countries in terms of shipping container volume. Furthermore, South Korea is the world's largest shipbuilder and is a leading global exporter of ships and related products.

South Korea's shipping industry is highly competitive, with a large number of international companies operating in the region. In particular, the country's major ports, such as Busan and Incheon, are among the busiest ports in the world. The sheer number of vessels calling at South Korean ports is a testament to the country's position as a global shipping powerhouse. In addition, South Korean ports are equipped with the latest technology, providing efficient and reliable services for ocean shipping vessels.

South Korea's shipping industry has also seen considerable growth in recent years. Thanks to the country's strong economic growth, the industry has been able to expand and modernize its infrastructure. This has resulted in an increase in the number of ships calling at South Korean ports and an increase in the number of international shipping routes. Furthermore, the introduction of new technologies has enabled the industry to become more efficient and cost-effective.

South Korea's shipping industry has also played an important role in the country's economic development. The industry has provided employment opportunities for many of the country's citizens, while also providing a valuable source of foreign exchange. In addition, the industry has helped the country become a major player in the global economy.

Overall, the shipping industry in South Korea is an important part of the country's economy. The industry has played a significant role in the development of the country's economy and has enabled South Korea to become a major player in the global economy. Furthermore, the industry's growth has been driven by the introduction of new technologies, which have made the industry more efficient and cost-effective.

The following are the three largest shipping companies in South Korea: 1)Hyundai Merchant Marine is the largest and oldest shipping company in South Korea. Founded in 1976, it is the only South Korean shipping company to be listed on the New York Stock Exchange. It is also the only South Korean shipping company to have a fleet of more than one hundred vessels, making it the largest shipping company in South Korea and one of the largest in the world. Hyundai Merchant Marine specializes in container

shipping, and its vessels can carry more than 1.2 million TEUs (twenty-foot equivalent units) of cargo per year. It also offers a range of other services, such as logistics, ship management, and port operation.

2)Hanjin Shipping Company is the second largest shipping company in South Korea. Founded in 1977, it is the only South Korean shipping company to be listed on the South Korean stock exchange. It is also the only South Korean shipping company to have a fleet of more than fifty vessels, making it one of the largest shipping companies in South Korea and one of the largest in the world. Hanjin Shipping specializes in container shipping, and its vessels can carry more than 0.7 million TEUs of cargo per year. It also offers a range of other services, such as logistics, ship management, and port operation.

3)Sinokor Merchant Marine is the third-largest shipping company in South Korea. Founded in 1979, it is the only South Korean shipping company to be listed on the Tokyo Stock Exchange. It is also the only South Korean shipping company to have a fleet of more than thirty vessels, making it one of the largest shipping companies in South Korea and one of the largest in the world. Sinokor Merchant Marine specializes in the bulk carrier and container shipping, and its vessels can carry more than 0.5 million TEUs of cargo per year. It also offers a range of other services, such as logistics, ship management, and port operation.

The top three shipping companies in South Korea have been instrumental in driving the growth of the South Korean economy and promoting international trade. Their fleets transport a huge number of goods from one corner of the globe to the other, and their services help to ensure that the goods arrive safely and on time. With their strong presence in the shipping industry, Hyundai Merchant Marine, Hanjin Shipping Company, and Sinokor Merchant Marine are some of the most important companies in South Korea.

The shipping industry plays a crucial role in Singapore's economy. It is the lifeblood of Singapore's continued success in its open economy. Singapore is one of the world's busiest and most important ports and has a strong reputation as a leading logistics hub. In recent years, the shipping industry has seen tremendous growth in Singapore, with the port handling more than 33.5 million TEUs in 2018.

The shipping industry in Singapore is mainly driven by the growth in the Asia-Pacific region. This is due to the increasing demand for shipping services from the region's booming manufacturing and trading sectors. Singapore has also become a key hub for the global shipping industry, with its strategic location at the heart of the Asia-Pacific region. The port of Singapore is well-connected to the major ports of call in the region, making it an attractive destination for international shipping companies.

Singapore's government has also played an important role in promoting the shipping industry. It has implemented various policies and initiatives such as the Maritime and Port Authority of Singapore (MPA) and the Singapore Maritime Academy (SMA) to promote and develop the shipping industry. The MPA is responsible for regulating the port and shipping industry in Singapore, while the SMA provides world-class maritime training and education.In addition, Singapore is home to several international shipping companies, such as Maersk Line, PIL, MSC, and Evergreen. These companies have invested heavily in the port and shipping industry in Singapore, making it one of the most technologically advanced ports in the world.

To further enhance the shipping industry in Singapore, the government has recently introduced the Maritime Singapore Connectivity Program (MSCP). The MSCP is a government-initiated program to promote connectivity between the port and regional supply chains. It is aimed at improving the efficiency and cost-effectiveness of the port and shipping industry in Singapore.

Overall, the shipping industry in Singapore has grown tremendously in recent years. It is a key contributor to Singapore's economy and a major hub for the global shipping industry. The government's

initiatives and investments in the industry have made it one of the most technologically advanced ports in the world. This has enabled Singapore to remain an attractive destination for international shipping companies.

The three largest Singapore shipping companies are: 1)Pacific International Lines. PIL is the largest shipping company in Singapore. It was established in 1967 and has grown to become one of the most reliable and respected companies in the world. PIL operates a fleet of over 300 vessels and provides a variety of services such as container, dry bulk, and break bulk shipping. It also offers door-to-door transport and logistics solutions. In addition, PIL has expanded its services to include port agencies and ship management. 2)APL is another leading shipping company in Singapore. It is a subsidiary of the Neptune Orient Lines group and is one of the largest providers of container shipping services. APL operates a fleet of more than 100 vessels and provides a wide range of services which include container shipping, intermodal services, and logistics management. It also offers door-to-door transport services and port agency services. 3)OOCL(Orient Overseas Container Line) is the third-largest shipping line in Singapore. It was founded in 1947 and provides container shipping services to over 150 ports in 40 countries. OOCL operates a fleet of more than 150 vessels and provides container shipping services, intermodal services, and logistics management. In addition, OOCL offers port agency services, ship management, and engineering services.

In conclusion, Pacific International Lines, APL, and Orient Overseas Container Line are three of the most prominent shipping companies in Singapore. They provide a wide range of services which include container shipping, intermodal services, logistics management, port agency services, and ship management. These companies have been instrumental in helping Singapore become one of the leading maritime centers in the world.

The shipping industry in Vietnam has seen tremendous growth over the past few decades. The nation is located in Southeast Asia in the South China Sea and has a long coastline and numerous ports. This allows for easy access to the international market and a large potential for the shipping industry.

The most common type of cargo shipped in Vietnam is oil and gas, accounting for nearly two-thirds of all shipments. Other commodities include coal, petroleum products, chemicals, and minerals. Vietnam also serves as a hub for the export of agricultural and seafood products, as well as manufactured goods. To promote the shipping industry, the government of Vietnam has established several initiatives. These include tax incentives for foreign companies and access to low-interest loans. Additionally, the government has invested in modernizing ports and improving infrastructure. This has enabled Vietnam to become an attractive option for international shipping companies. The shipping industry in Vietnam is also benefiting from the increasing amount of trade between countries in the region. This includes China, Japan, South Korea, and the Association of Southeast Asian Nations (ASEAN). Vietnam is a member of ASEAN and is increasingly becoming a hub for trade. The country has a strategic location in the region, allowing for easy access to the major markets in the area. The shipping industry in Vietnam is highly competitive. The country has a number of large and established shipping companies, as well as smaller, more specialized operators. This allows for competitive pricing and a wide range of services.

Overall, the shipping industry in Vietnam is booming. The government has invested in improving the infrastructure and creating incentives for foreign companies. This has enabled the country to become an attractive option for international shipping companies. Additionally, the increasing amount of trade between countries in the region has allowed for further growth. As a result, the industry is likely to continue to thrive in the years to come.

The following are the three biggest shipping firms in Vietnam: 1)Vietnam National Shipping Lines.

The first of these companies is Vietnam National Shipping Lines (VNSL). VNSL is the largest shipping line in Vietnam and was established in 1985. Their extensive network of international routes and terminals, along with their modern fleet of vessels, makes them the top choice for many companies when it comes to shipping goods. VNSL also offers competitive rates, efficient service, and a high level of customer service. 2)The second company is Vinalines. Established in 1995, Vinalines is a government-owned shipping company that has become one of the most reliable shipping lines in Vietnam. They offer competitive rates, a wide range of services, and reliable shipping schedules. They have also established a strong network of terminals, allowing them to effectively move goods from one part of the world to another. 3)The third company is the South East Asia Commercial Joint Stock Bank (SEACO). SEACO is a private shipping company that provides services to a wide range of customers, from individual shippers to large corporations. With their extensive network of terminals and vessels, SEACO is able to offer a wide range of services, from small package deliveries to large container shipments. They also offer competitive rates and reliable schedules.

These top three shipping companies in Vietnam are the best when it comes to shipping goods from one part of the world to another. With their extensive networks of vessels and terminals, competitive rates, reliable service, and excellent customer service, they are the top choice for many companies and individuals when it comes to shipping goods.

Conclusion. The Asian shipping industry is one of the most powerful companies in global trade. This blog post has explored the various countries in Asia that have a significant presence in the shipping industry and how they are contributing to global trade. We have seen that India, China, Japan, South Korea,

Singapore, and Vietnam all play a major role in the global shipping industry, and are helping to facilitate global trade.

The Asian shipping industry is a major player in global trade, and its major companies are becoming increasingly powerful. These companies have invested heavily in shipbuilding and other technologies, and their influence in global markets is growing. The outlook for the Asian shipping industry is generally positive, and the major companies are likely to become even more powerful and influential in the coming years.

Bibliography

1. https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139
2. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
3. https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2089
4. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108_2021_CEO_Proceedings_Book_Ready_to_Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
5. https://ijsser.org/2024files/ijsser_09__68.pdf
6. https://ijsser.org/more2024.php?id=68

ხარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
აკადემიის წევრების ფიცი.....3
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**
წმინდა ნიკოლოზი..... 4
წმინდა ლაზარე..... 5
მამა გაბრიელი.....6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)...7
გულნაზ ხარაიშვილი.....8
უნდა იცოცხლო უწმინდესო

უცნობი პოეტი

მემ ელოუნი.....9

ჯგუფი ხღვარი

სერგი ლომაძე 16
კახა ბაციკაძე 23
გიორგი ზუხბაია.....25

პოეზია

მამა ამირან ამირანაშვილი.....28
ბერდიაკონი ნეოფიტე 30
დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.....32
ირაკლი ნადარეიშვილი 34
ედუარდ უგულავა 37
თემურ გოგსაძე 38
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 40
ეთერ ჭელიძე 42
მალვინა ჭელიძე 45
ნელი საგინაძე.....48
"ანდრია" ანზორ შერვაშიძე 53
ნინო უძილაური.....56
თენგიზ ფანცულაია 58
მანანა სამყურაშვილი 60
ნელი გიუნაშვილი 64
გვანცა პაატაშვილი..... 66
მზიური შავაძე 68
ნიკოლოზ გოდერძიშვილი 72
თეიმურაზ კვარაცხელია..... 76
მაგული კორძაია 80
ნანიკო (ნანო) ხარძიანი..... 84
ცაგო აბაშმაძე 94
დარეჯან ღონღაძე..... 96
თინიკო ხარიტონაშვილი 98
ლიკა ქათამაძე 106
თინათინ ხაბურზანია..... 108
გიგი თეთრაძე 112
ნორიკო მგელაძე 114
მზია ერგემლიძე 118
ხათუნა თედიაშვილი-კვეტარის ასული... 124
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 130
თამრო სვანი-ნიჟარაძე 132
მაია ქასრაშვილი-რამიშვილი 134
ლალი სოხაძე 137
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი 138
ია მოსულიშვილი 140
ინგა ლომჯანიძე 142
ლეილა ვადაჭკორია..... 146
ნანა გიგუაშვილი..... 148
მადონა კისკეიძე-ქორიძე 159
ირმა ტყემალაძე..... 162
ნინო მოსაშვილი 164
ლია ალადაშვილი 166
ნელი ტორონჯაძე-მუჯირი..... 168
მირზა ვარძუკელაშვილი..... 174
ლია შენგელიძე..... 176

მარინა კოლხელი 180
გულიკო კაპანაძე 182
მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი 186
ნათია დაშნიანი 191
იზოლდა მოშიაშვილი 192
ვერიკო პარწიკანაშვილი 194
ტიტე მოსია 199
ლია ენისელი 200
ნესტან ხარეგავა 204
მაკა მექერიშვილი 206
მთვარისა ზეინკლიშვილი 208
ანამარია ლილუაშვილი 210
ნატალია აბდუშელიშვილი 212
ლამზირა შეყილაძე 216
ირინა ბერიანიძე 218
ნიკოლოზ კურტანიძე 222
დარეჯან მაჭარაშვილი 228
მზია გირგვლიანი 230
თინათინ უზარაშვილი 232
მზია ელიაძე 237
ნათია ჯიქურაშვილი 238
თეა ბარბაქაძე 240
ეთერ ლობჟანიძე 244
ვალია კვაშილავა 246
გვანცა ხარაიშვილი 250
დავით მოდებაძე 252
ქეთევან გელაშვილი 256
ქეთო ჯომოდავა 258
ნინა გაჩეჩილაძე 260
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 262

თარგმანები

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი 273

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი 354

პოემები

ბელა მოდება 358

არდაბეჭდა მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 372
ბეჟან ხარაიშვილი 373
დავით გამთენაძე 374
შერმადინ ქალდანი 375
ედუარდ უგულავა 376
მამა თეიმურაზ ქორიძე 378

პროზა

რევაზ მიშველაძე 379
ელგუჯა მგელაძე 389
თემურ გოგსაძე 397
მაია ტყემალაძე 402
მაგული ღვინიაშვილი 407
ირმა კეკელიძე 410
ხათუნა ჩიტაძე 415
ნიკოლოზ კურტანიძე 417
ირაკლი ნადარეიშვილი 428
ბეჟან ხარაიშვილი 432
გვანცა ხარაიშვილი 443
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 448
გულნაზ ხარაიშვილი 469
სიკეთის ელჩი

წერილები

ლუარა სორდია 493
ტიტე მოსია 498
ხათუნა ელიაშვილი 507
გულნაზ ხარაიშვილი 516
ნანა სხირტლაძე 522
მანანა კვატაია 526

მოგზაური

ჯემალ კასრაძე 535

საქართველოლოგია

ლალი ჩოდრიშვილი.....545

სიბრძნის საკითხი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 549
აისის აპელიოტი

შემეცნებითი საქმიანობა

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 554
ბრალის თეორია

ისტორია

გოჩა ჭელიძე 560
პაატა აბრაამ იოსებაშვილი..... 564

ფიზკულტურა და სპორტი

ჯუმბერ ლეჟავა..... 566
„ჯანმრთელობის ფორმულა“ (მეთოდიკა)
ვალერი მოსიაშვილი 584
Eter Mamatsashvili 595

მთავარი რედაქტორი – **გულნაზ ხარაიშვილი**

რედაქტორი – **ნანა სხირტლაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **დავით ყანდაშვილი**

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com